* * *

იმ სოდომელთა, რომლებიც ცით მოვლენილმა ცეცხლმა დაინდო, შთამომავლების – ქალაბიჭების – პირველი გამოჩენა.

ქალი გომორი იქნება, კაცი კი სოდომი.
ალფრედ დე ვინი

* * *

ნაწილი პირველი

უკვე იცით, რომ იმ დღეს (დღე, როცა პრინცესა გერმანტთან საღამოს წვეულება უნდა გამართულიყო), კარგა ხნით ადრე, ვიდრე ჰერცოგსა და ჰერცოგინიას ვიზიტად ვეწვეოდი, რაზეც, აგერ, ახლახან ვილაპარაკე, სულ გაფაციცებული ვიყავი, რათა მათი მოსვლა არ გამომპარვოდა, და ამ მოლოდინში ერთი რამ აღმოვაჩინე, უშუალოდ თვით ბატონ დე შარლიუს რომ ეხებოდა; ეს აღმოჩენა თავისთავად იმდენად საყურადღებო იყო, ვამჯობინე, მის მოსაყოლად მანამდე მეცადა, სანამ შესაძლებლობა მომეცემოდა, ამაზე დაწვრილებით და საფუძვლიანად მელაპარაკა. როგორც უკვე ვთქვი, მივატოვე ის დიდებული სათვალთვალო ადგილი, რომლის იტალიურ სტილში ნაკვეთი მრგვალი ფანჯარაც ფარდულის კოშკურის, მარკიზ დე ფრეკურის საკუთრების, ნამდვილ სამკაულს წარმოადგენდა და რომელიც სახურავქვეშ ისე მოხერხებულად იყო მოწყობილი, რომ იქიდან თვალისთვის საამურად მოჩანდა უსწორმასწორო დამრეცი ფერდობი, რომლის გავლითაც ბერკინის სახლამდე შეიძლებოდა მისვლა. რადგან ჰერცოგი და ჰერცოგინია წუთი წუთზე უნდა დაბრუნებულიყვნენ, ვიფიქრე, კიბეზე თუ გავჩერდებოდი, ჩემთვის ეს გაცილებით ხელსაყრელი იქნებოდა. ჩემი კოშკურის მიტოვება კი დამენანა, მაგრამ შუადღის ამ საათებში მასზე განსაკუთრებული გულდაწყვეტა არ ღირდა – მაინც ვეღარ დავინახავდი ფერდობზე

ჩრდილებად გამოხატულ კაცუნებს, რომლებადაც იქცნენ კარგა შორიდან ალანდული ბრეკინისა და ტრესმის სახლების ლაქიები, ცოცხებით ხელში ციცაბო ფერდობზე ქარსის გამჭვირვალე, ფართო ფოთლებს შორის ნელა რომ მიძვრებოდნენ და წითელი ქედის შვერილის ფონზე გამოკვეთილად ჩანდნენ. გეოლოგიური დასკვნების

Finch E-BOOK

გაკეთების შესაძლებლობა არ მქონდა, ამიტომ ბოტანიკის შესწავლას შევუდექი: ფანჯრიდან დავყურებდი კიბის ბაქნებზე ჩარიგებულ ბუჩქებსა და იშვიათ მცენარეებს, რომლებიც ჰერცოგინიას განკარგულებით ეზოში ისეთივე გულმოდგინებით ჩაჰქონდათ, როგორი მონდომებითაც სასიძოები და საპატარძლოები გამოჰყავთ საზოგადოებაში, და საკუთარ თავს ვეკითხებოდი: ნუთუ წინასწარდადგენილი შემთხვევითობის წყალობით რომელიმე მოულოდნელი, დაუპატიჟებელი მწერი არ მოფრინდება და ამ მიტოვებულ, მსხვერპლშეწირვისთვის უკვე გამზადებულ ბუტკოს არ ეწვევა-მეთქი. ცნობისმოყვარეობამ სიმამაცე შემმატა, ნელ-ნელა ქვედა სართულის ფანჯრამდე მივაღწიე, რომელიც ფართოდ გაეღოთ და დარაბებიც ღრიჭოდ დაეტოვებინათ, და წასასვლელად გამზადებული ჟიუპიენის გამოკვეთილი ხმაც შემომესმა – მას ჩემი დანახვა არ შეეძლო, რადგან დარაბებს იქით ვიმალებოდი; მერე სწრაფად დავიხიე უკან, რათა ეზოში ქალბატონ დე ვილპარიზის სანახავად დინჯად მიმავალ ბატონ დე შარლიუს არ შევემჩნიე, რომელიც დღის სინათლეზე კარგა ჩასუქებული, გაჭაღარავებული და მობერებული ჩანდა. ქალბატონ დე ვილპარიზის უქეიფობის გამო (მას მარკიზ დე ფიერბუას ავადმყოფობამ მოუღო ბოლო, რომელთანაც ბატონი დე შარლიუ სამკვდრო-სასიცოცხლოდ იყო წაკიდებული) ბატონი

დე შარლიუ, ცხოვრებაში, იქნებ, პირველადაც, მის სანახავად ასე ადრიანად მოვიდა. გერმანტების განსაკუთრებულობა ის იყო, რომ მაღალი წრის ცხოვრების წესს ვერ ეგუებოდნენ და მას თავიანთი ჩვევების შესაბამისად ცვლიდნენ; მათი აზრით, არაფრადღირებული მაღალი წრის წევრობას მაღალი წრის საზოგადოების წესების მსხვერპლად შეწირვა სჯობდა – ამიტომაც იყო, რომ ქალბატონ დე მარსანტს ვიზიტებისთვის დადგენილი დღე არ ჰქონდა და თავის მეგობრებს ყოველ დილას ათიდან თორმეტ საათამდე იღებდა, ბარონი კი ამ დროს კითხულობდა, ძველებურ ლამაზ ნივთებს ეძებდა და ასე შემდეგ, სტუმრად კი მხოლოდ საღამოს ოთხსა და ექვსს შორის გასწევდა ხოლმე. ექვსზე ჟოკეი-კლუბში მიდიოდა და ბულონის ტყეში სეირნობდა. მერე ისევ განზე გავიწიე, ჟიუპიენს რომ არ დავენახე; ეს ის დრო იყო, როცა სამსახურში უნდა წასულიყო, საიდანაც მხოლოდ საღამოს ბრუნდებოდა, ისიც ყოველთვის არა მას შემდეგ, რაც მისი ძმისწული ქალი თავის მოწაფეებთან ერთად სოფელში ვიღაც კლიენტთან გაემგზავრა, რათა შეკვეთილი კაბა დროულად დაემთავრებინა. ჟიუპიენის წასვლის შემდეგ, მეგონა, აღარავისი უნდა მშინებოდა, მაგრამ მაინც გადავწყვიტე, ადგილიდან არ დავძრულიყავი, რათა, თუ ეს სასწაული მაინც აღესრულებოდა, არ გამომპარვოდა – როგორ მოფრინდებოდა დიდი ხნის ლოდინისგან გულგადალეულ უმანკო ყვავილთან შორეული მხრიდან გამოგზავნილი მწერი, თუმცა ამის იმედი აღარც მქონდა (მანძილის სიშორის გამო ბევრი წინააღმდეგობის გადალახვა იყო საჭირო, თანაც გზაზე უამრავი ხიფათი და

საშიშროება ელოდა). ვიცოდი, ეს მოლოდინი ისეთივე აქტიური იყო, როგორიც მამრი ყვავილისა, რომლის

მტვრიანებიც თავისთავადი მოძრაობით ისე ამობრუნდებიან, რომ მწერი ყვავილზე ადვილად აძვრეს; ზუსტად ასევე, თუკი მწერი მოფრინდებოდა, მდედრი ყვავილიც კეკლუცად მოხრიდა ბუტკოს საცეცებს, სტუმარი შიგნით ღრმად რომ შემძვრალიყო, თანაც მოჩვენებით წმინდანის სახეს მიიღებდა, სინამდვილეში კი ავხორცი გოგოსავით შუა გზაზე შეეგებებოდა. მცენარეული სამყაროს კანონები უმაღლეს კანონებს ემორჩილება. ყვავილის გასანაყოფიერებლად მწერის მოფრენა, რომელსაც სხვა ყვავილის თესლი მოაქვს, აუცილებელია, რადგან თვითგანაყოფიერება, საკუთარი თავის განაყოფიერება, როგორც ერთი ოჯახის შიგნით ნათესავების ქორწინებისას, გადაგვარებას, უნაყოფობას იწვევს, ხოლო, თუ შეჯვარება მწერების მეშვეობით ხდება, ამ სახეობის ახალი თაობა ისეთ სასიცოცხლო ძალას იძენს, რითიც ამ ჯიშის უფროსი თაობა არ გამოირჩეოდა. ოღონდ ზრდა-განვითარება შეიძლება იმდენად უნარიანი აღმოჩნდეს, რომ ეს სახეობა მეტისმეტად ფართოდ გავრცელდეს. მაშინ, მსგავსად იმისა, როგორც ანტიტოქსინი ავადმყოფობისგან გვიცავს ან ფარისებრი ჯირკვალი გასუქების საშუალებას არ გვაძლევს, როგორც ქედმაღლობისთვის მარცხით ვისჯებით, ხოლო სიამოვნებისთვის დაღლილობით, მსგავსად იმისა, როგორც ძილი, რომლის დროსაც ვისვენებთ, ჩვენს ძალებს აღადგენს, იშვიათ შემთხვევაში ჩატარებული თვითგანაყოფიერების აქტიც განსაზღვრულ მომენტში ხრახნს ატრიალებს, ამუხრუჭებს, ყვავილი იმ ნორმაში მოჰყავს, რომელსაც მეტისმეტად დაშორდა. ჩემმა ფიქრმა, თაობაზეც მერე მოგახსენებთ, სულ სხვა, განსაკუთრებული მიმართულება მიიღო და, ის იყო, ყვავილთა მორიგი მოხერხებულობის

წყალობით, მომდევნო დასკვნის გაკეთებას ვაპირებდი იმ უზარმაზარი როლის შესახებ, რომელსაც მხატვრულ შემოქმედებაში ქვეცნობიერი თამაშობს, რომ მარკიზასგან გამოსული ბატონი დე შარლიუ დავინახე. მან მხოლოდ რამდენიმე წუთი დაჰყო მასთან. შეიძლება, თვითონ მარკიზასგან გაიგო ან მსახურმა შეატყობინა, რომ ქალბატონი დე ვილპარიზი გაცილებით უკეთ გრძნობს თავს ან იმ მსუბუქმა უქეიფობამ სრულიადაც გაუარა. ალბათ, ეგონა ვერავინ მხედავსო და ბატონმა დე შარლიუმ მზის სხივებისგან დასაცავად თვალი ოდნავ მოჭუტა, სახის დაძაბული კუნთები მოადუნა, მღელვარებას, გაცხარებული კამათისას და ნებისყოფის მოკრებისას რომ შველოდა, მოერია. მარმარილოსებრი სიფითრე გადაჰკვროდა სახეზე, დიდი მხოლოდ ცხვირი მოუჩანდა, სხვა ნაკვთები კი თხელი ჰქონდა, თხელი და ახლა უკვე თავისუფალი მისთვის ჩვეული გამომეტყველებისგან, რასაც მბრძანებლური გამოხედვა ანიჭებდა და რაც მის ნაქანდაკევ მოხდენილობას აუშნოებდა; ახლა იგი ნამდვილი გერმანტი იყო, კომბრეს ეკლესიის საძვალეში დასვენებულ პალამედ XV-ს[2] რომ მოგაგონებდათ. მაგრამ ბატონი დე შარლიუს საგვარეულოსთვის დამახასიათებელი ნაკვთები მაინც ფრიად შთამაგონებელი იყო და, რაც მთავარია, უფრო უწყინარი. აფსუს, რომ მისი ხშირი მრისხანების, კადნიერი

ქცევების, ყიამყრალობის, სიმკაცრის, წყენის, გულზვიადობის, ნაძალადევი უხეშობის მიღმა ის გულკეთილობა და კეთილმოსურნეობა არ ჩანდა, რაც ახლა, როცა ქალბატონი დე ვილპარიზისგან გამოვიდა, მის სახეზე ასე მიამიტურად აღბეჭდილიყო. მზისგან დასაცავად თვალს ჭუტავდა და ამის გამო ისე ჩანდა, თითქოს იღიმებოდა; სახეზე, ახლა

მშვიდი რომ მეჩვენა და ბუნებრივიც, რაღაც ალერსის, დაუცველობის ელფერი აღმოვაჩინე და უნებურად გავიფიქრე, ბატონი დე შარლიუ ძალიან განაწყენდებოდა, თუ შეამჩნევდა, რომ ვიღაც უთვალთვალებდა; ვუყურებდი ამ კაცს, რომელსაც ძალიან უნდოდა, მამაკაცური გამოჩენილიყო და, ისე ყოყოჩობდა თავისი ვაჟკაცობით, ყველა დანარჩენი საზიზღარ ქალაჩუნად ეჩვენებოდა, და უცბად უნებურად გამეფიქრა: ახლა მის ნაკვთებს, სახის გამომეტყველებას, ღიმილს რამდენმა ელფერმა გადაუარა, და ყველა ეს ელფერი ქალური იყო!

რომ არ შევემჩნიე, ისევ უნდა დავმალულიყავი, მაგრამ ამისი აღარც დრო მქონდა და აღარც აუცილებლობა შეიქნა. ღმერთო, ეს რა ვნახე! ამ ეზოში ისინი, ცხადია, აქამდე ერთმანეთს არასოდეს შეხვედრიან (ბატონი დე შარლიუ გერმანტებთან მხოლოდ დღის მეორე ნახევარში მოდიოდა. ამ დროს ჟიუპიენი ისევ სამსახურში იყო). აქამდე გულმოდგინედ მოჭუტული თვალი ბარონმა უცებ ფართოდ გაახილა და უცნაურად დაჟინებული მზერა მიაპყრო ჟილეტების ყოფილ მკერავს, რომელიც თავისი სახელოსნოს კარში ისე გახერგილიყო, თითქოს ზღურბლზე მცენარესავით გაედგა ფესვები და ერთ ადგილზე მილურსმული მზერით შეჰყურებდა ბატონ დე შარლიუს – სიბერეში გადამდგარი ბარონის ჩათქვირებული სხეულის სისავსით ტკბებოდა. და კიდევ საოცარი ის იყო, რომ, როგორც კი ბატონი დე შარლიუს პოზა შეიცვალა, ჟიუპიენმაც, თითქოს რომელიღაც იდუმალი ხელოვნების კანონს დაემორჩილაო, მაშინვე ზუსტად ასევე შეიცვალა პოზა. ბარონი ეცადა, ისეთი სახე მიეღო, ვითომ ამ შეხვედრამ

მასზე არანაირი შთაბეჭდილება არ მოახდინა, მაგრამ მის მოჩვენებით გულგრილობაში აშკარად ჩანდა, რომ წასვლა არ უნდოდა – მოქარაფშუტო, დაუდევარი, სასაცილო გამომეტყველებით დაიწყო ეზოში სეირნობა, სივრცეს გაჰყურებდა, ცდილობდა, ჟიუპიენის ყურადღება იმაზე გადაეტანა, ნახე, რა ლამაზი თვალები მაქვსო. ჟიუპიენის სახემ კი ის მოკრძალებული, სიკეთით სავსე გამომეტყველება დაკარგა, რომელსაც კარგად ვიცნობდი და – ბარონის ჩვეულების სრული შესაბამისობით – თავი მაღლა ასწია, გაიჭიმა, გადიდგულდა, უკანალი გაბზიკა, ისე აკეკლუცდა, როგორც ორქიდეა ზეცით მოვლენილი კრაზანის დანახვისას. ვერც კი ვიფიქრებდი, რომ შეიძლებოდა, ასეთი საძაგელი ყოფილიყო. ვერ წარმოვიდგენდი, რომ ექსპრომტად შეეძლო ორი მუნჯის ასეთ სცენაში თამაში და თანაც (თუმცა ბატონი დე შარლიუ ცხოვრებაში პირველად ნახა) ისე შეასრულა საკუთარი როლი, თითქოს დიდხანს ვარჯიშობდაო – მსგავს სრულყოფას ჩვენთვისვე მოულოდნელად მხოლოდ მაშინ ვაღწევთ, როცა უცხოეთში თანამემამულეს ვხვდებით – ამ დროს ურთიერთგაგება თავისთავად აღმოცენდება – თუმცა ადრე

ერთმანეთს არასოდეს შევხვედრივართ, რაკი სალაპარაკო ენა საერთო გვაქვს, ყველაფერი თავისთავად ლაგდება.

ეს სცენა, უბრალოდ, მხოლოდ სასაცილო არ იყო, მის უცნაურობაში, თუ გნებავთ, ბუნებრიობაშიც თავისებური სილამაზე გამოსჭვიოდა და ეს სილამაზე უფრო და უფრო მატულობდა. ბატონმა დე შარლიუმ გულგრილი სახე მიიღო, როგორღაც დაბნეულად

თვალებიც დახარა, მერე ისევ აიხედა და ყურადღებით დააკვირდა ჟიუპიენს. მაგრამ (ბატონ დე შარლიუს, ცხადია, ესმოდა, ეს სცენა არ შეიძლებოდა უსაზღვროდ გაგრძელებულიყო, ალბათ, მიზეზთა და მიზეზთა გამოც, მერე რომ გახდება გასაგები, ან, იქნებ, მასში იმ შეგრძნებამაც გაიღვიძა, რომ ცხოვრებაში ყველაფერი წარმავალია და ამიტომაც ვისწრაფვით, არც ერთი ჩვენი ძალისხმევა ამაოდ არ გაიხარჯოს, და, იქნებ, ამიტომაც გვაღელვებს ყოველგვარი სასიყვარულო სანახაობა), ბატონი დე შარლიუ ჟიუპიენს თვალს მიაპყრობდა თუ არა, მის გამოხედვაში აშკარად იგრძნობოდა, რომ რაღაცის თქმა უნდოდა, და ეს გამოხედვა მკვეთრად განსხვავდებოდა იმ გამოხედვისგან, ნაცნობ თუ უცნობ ადამიანებს რომ მივაპყრობთ; ასე დაჟინებით, როგორც იგი ჟიუპიენს მისჩერებოდა, მხოლოდ ის გიყურებთ, ვინც მაშინვე გეტყვით: «მომიტევეთ, მაგრამ ზურგზე გრძელი თეთრი ძაფი გაგდიათ», ან: «თუ არ ვცდები, თქვენც ციურიხელი ბრძანდებით. ასე მგონია, იქ, ანტიკვართან, ხშირად შევხვედრივართ». აი ასე, ყოველ ორ წუთში ერთი და იგივე კითხვა ჯიუტად აწყდებოდა იმ ნაჩქარევ გამოხედვას, რომლითაც ბატონი დე შარლიუ ჟიუპიენს უყურებდა და რომელიც ბეთჰოვენის შეკითხვის შემცველ მუსიკალურ ფრაზებს გვაგონებს, თანაბარ შუალედებში უსასრულოდ განმეორებულს და იმისთვის განკუთვნილს, რომ ერთობ საგულდაგულო მომზადების შემდეგ ახალი მოტივი შემოიტანოს, ერთი ტონალობიდან მეორეში გადასვლა მოამზადოს და ძირითად თემასთან დაბრუნება უზრუნველყოს. ოღონდ, როგორც ბატონ დე შარლიუს, ისე ჟიუპიენის გამოხედვას განსაკუთრებულ სილამაზეს ის ანიჭებდა, რომ მათ, ყოველ შემთხვევაში მოცემულ მომენტში

მაინც, არ ეტყობოდათ, რაღაც შედეგამდე მისვლას თუ ესწრაფოდნენ. ეს სილამაზე პირველად სწორედ ბარონისა და ჟიუპიენის ერთმანეთისკენ მიმართულ გამოხედვაში დავინახე. მათ თვალებში ზეცა ალანდულიყო, ოღონდ არა ციურიხისა, არამედ რომელიღაც აღმოსავლური ქალაქის, რომლის სახელის გახსენებაც ჯერ ვერ შევძელი. მიუხედავად ძალისხმევისა, თავი როგორმე შეეკავებინათ, ბატონ დე შარლიუსა და ჟილეტების ყოფილ მკერავს მაინც ეტყობოდათ, რომ მათ შორის უსიტყვო შეთანხმება უკვე მოხდა, ხოლო მათი უმიზნო გამოხედვა ახლა მხოლოდ რიტუალის პრელუდია გახლდათ, რაღაც ქორწინების წინა ზეიმის მსგავსი. თუ შედარებას ბუნებაში მოვძებნით – ასეთი შედარებების მრავალფეროვნებაში კი გამოგონილი არაფერია, რადგან ერთი და იგივე ადამიანი, რომელსაც მხოლოდ რამდენიმე წუთს აკვირდებით, შეიძლება იყოს ადამიანიც, ადამიანი-ჩიტიც, ადამიანი-მწერიც და სხვა – მაშინ შეიძლება ვთქვათ, რომ ეს ორი ჩიტია: მამალი და

დედალი; რომ მამალს დედალთან მიახლოება სურს, დედალი კი – ჟიუპიენი – თუმცა მის კურკურს არ პასუხობს, ახალ მეგობარს დაჟინებულ-ჩაციებული მზერით, ყოველგვარი გაოცების გარეშე უყურებს, რადგან ჰგონია, ამ გამოხედვამ ძლიერად უნდა იმოქმედოს მამალზე, ამ ხერხით მიიტყუოს და პირველი ნაბიჯების გადადგმის შემდეგ ბუმბულის გასუფთავების საშუალება მისცეს. მაგრამ, ეტყობა, ჟიუპიენს გულგრილობის თამაში, ბოლოს და ბოლოს, მობეზრდა; და გულდაჯერებული, რომ მამალი უკვე მოხიბლულია, იმდენად აღგზნებულია, უკან გაჰყვება და მოსვენებას აღარ მისცემს, ხოლო სურვილის აღძვრამდე კი მხოლოდ ერთი ნაბიჯია, ჟიუპიენი, რომელიც

სამუშაოზე უნდა წავიდეს, ჭიშკარში გადის. და მაინც, ვიდრე კუთხეში შეუხვევს, რამდენჯერმე მოაბრუნებს თავს. ბარონი კი, იმით შეშინებული, მის კვალს დავკარგავო (თვითკმაყოფილი სახით, სტვენა-სტვენით დაიძვრება, გვარიანად ნასვამ მეკარეს ხმამაღლაც კი გასძახებს: «ნახვამდის!»; მეკარე დამშვიდობებას ვერ იგებს, რადგან მეზობელ ოთახში სტუმრებს მასპინძლობს), უკან გამოუდგება. ზუსტად იმ წუთში, როცა უზარმაზარი კრაზანასავით მოზუზუნე ბატონი დე შარლიუ ჭიშკარში გავიდა, ეზოში ნამდვილი კრაზანა შემოფრინდა. ვინ იცის, იქნებ, ორქიდეა მას აღარც ელოდა, მით უფრო, აღარც მის მოტანილ უძვირფასეს მტვერს, ურომლისოდაც ისევ ასე უმანკოდ დარჩენა ელოდა? მაგრამ მწერის ანცობის თვალის სადევნებლად სადღა მეცალა – რამდენიმე წუთის შემდეგ ჩემი ყურადღება ისევ ჟიუპიენმა მიიპყრო. ის დაბრუნდა (იქნებ, პაკეტისთვისაც, რომელიც მოგვიანებით აიღო, რადგან, ისე ააღელვა ბატონ დე შარლიუსთან შეხვედრამ, თავიდან მისი აღება დაავიწყდა; ან, იქნებ, სხვა უფრო მარტივი მიზეზის გამოც). ჟიუპიენი ბარონთან ერთად დაბრუნდა. ამ უკანასკნელმა მოვლენათა მსვლელობის დაჩქარება გადაწყვიტა და ჟილეტების მკერავს ასანთი სთხოვა, მაგრამ მაშინვე რაღაც გაახსენდა და დააყოლა: «ასანთი კი გთხოვეთ, მაგრამ ვხედავ, სიგარა სახლში დამრჩენია». სტუმართმოყვარეობის კანონმა კეკლუცობის წესებს აჯობა: «შემობრძანდით, აქ ყველაფერს მოგართმევენ, რასაც ისურვებთ», უთხრა მკერავმა, რომლის სახე ახლა გულგრილობას კი აღარ გამოხატავდა, არამედ სიხარულს. მათ უკან სახელოსნოს კარი მიიხურა და მეტი აღარაფერი გამიგია. კრაზანაც თვალიდან დავკარგე; ვეღარც ის გავიგე,

ის მწერი იყო თუ არა, რომლის მოსვლასაც ორქიდეა ასე ელოდა, მაგრამ ეჭვი არ მეპარებოდა, ამ იშვიათ მწერსა და მომაჯადოებელ ყვავილს შორის შეწყვილების სასწაული მოხდა; და ეს მას შემდეგ დავიჯერე (ეს მხოლოდ წინასწარ განჭვრეტილი შემთხვევითობის მარტივი მაგალითია და უმცირესი სურვილიც არ არსებობს, რომ ვინმემ მეცნიერულად დაასაბუთოს ბოტანიკის ამა თუ იმ მოვლენის მსგავსება იმასთან, რასაც ზოგიერთი, საკმაოდ წარუმატებლად, ჰომოსექსუალიზმს ეძახის), რაც ბატონი დე შარლიუ, მრავალი წლის განმავლობაში ამ სახლში იმ საათებში რომ მოდიოდა, როცა ჟიუპიენი სამსახურში იყო, ახლა, ქალბატონ დე ვილპარიზის შემთხვევითი უქეიფობის წყალობით, ბოლოს და ბოლოს, ჟილეტების მკერავს შეხვდა და მასში თავისი ბედნიერება იპოვა, ბედისწერის მიერ ისეთი ადამიანებისთვის

შემონახული, როგორიც ბარონი ბრძანდებოდა, ბედნიერება იპოვა ჟიუპიენის მსგავსი არსებების სახით, რომლებიც, ეს შემდეგში გამოჩნდება კიდეც, შეიძლება ჟიუპიენზე უფრო ახალგაზრდები და უფრო ლამაზებიც აღმოჩნდნენ; მე ეს დავიჯერე მას შემდეგ, რაც დე შარლიუ შეხვდა იმ ადამიანს, რომელიც იმისთვის იყო შექმნილი, რათა დედამიწაზე თავისი წილი სიამოვნება მიეღოთ ისეთებს, როგორიც ბატონი დე შარლიუ ბრძანდებოდა და რომელსაც მხოლოდ ხანდაზმული ბატონები უყვარდა.

რასაც ახლა გეტყვით, უცბად ვერ მივხვდი, მხოლოდ რამდენიმე წუთის შემდეგ გავიცნობიერე, ისიც სინამდვილის იმ ხელშეუვალი თვისების გამო, რომ მანამდე დარჩენილიყო უხილავი,

ვიდრე შემთხვევითი გარემოება საბურველს არ ჩამოხსნიდა. ასეა თუ ისე, იმ წუთში ვნანობდი, რომ ჟილეტების ყოფილი მკერავისა და ბარონის საუბარი აღარ მესმოდა. ამ დროს თვალი მოვკარი, რომ ჟიუპიენის სახელოსნოსგან თხელი ტიხრით გამოყოფილი ასეთივე სახელოსნო ქირავდებოდა. იქ რომ შემეღწია, ჩვენი ბინის სამზარეულოში უნდა ავსულიყავი, იქიდან უკანა კიბით სარდაფის სართულზე დავეშვებოდი, ეზოს გასწვრივ, შიგნიდან, მთელ სარდაფს გადავივლიდი იმ ადგილამდე, სადაც ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინათ დურგალი თავის ნახელავს ინახავდა და სადაც ჟიუპიენი ნახშირის შენახვას აპირებდა. იქიდან კი მხოლოდ რამდენიმე საფეხურის ავლა დამჭირდებოდა და... ასე ფარულად შემეძლო მთელი გზა ისე გამევლო, ვერავის დავენახე. ეს ყველაზე უსაფრთხო გადაწყვეტილება იქნებოდა; მაგრამ სხვა გზა ავირჩიე: ვინმეს რომ არ დავენახე, კედელ-კედელ აკრული გავძვერი და ეზოს გარედან შემოვუარე. თუ მართლაც არავის დავუნახივარ, ვფიქრობ, ამაში იმდენად ჩემი სიფრთხილისგან კი არ ვარ დავალებული, რამდენადაც ეს უბრალო შემთხვევითობის წყალობაა. ახლა მივხვდი, რამაც ამ სახიფათო გზისკენ მიბიძგა იმ დროს, როცა სარდაფის გავლით არაფერი მემუქრებოდა, ეს იყო სამი შესაძლო მიზეზი, თუკი, ცხადია, მიზეზებზე შეიძლება ლაპარაკი. პირველი, ჩემი მოუთმენლობა; მეორე, შეიძლება, ის ბუნდოვანი მოგონებებიც იყო, როცა მონტჟუვენში ფანჯარასთან მიმალული მადმუაზელ ვენტეილის ოთახში მიმდინარე ამბებს ვუთვალთვალებდი. უნდა შევნიშნო, რომ ამგვარი სცენების, რომელთა ნახვაც მომიწია, მონაწილენი სიფრთხილეს არაფრად დაგიდევდნენ და ეს სცენები სრულიად დაუჯერებელ

ვითარებაში მიმდინარეობდა, რასაც ადამიანი უნებურად იმ რწმენამდე მიჰყავს, რომ ყოველი ასეთი აღმოჩენა დიდი ჯილდოა მისი ერთობ რისკიანი, თუმცა შეუმჩნეველი ქცევისთვის. დაბოლოს, თავისი ბავშვური ბუნების გამო მიჭირს, ვაღიარო მესამე მიზეზი და მჯერა, რომ იგი არსებობს – ჩემთვისაც უჩინარი და გადამწყვეტი. სენ-ლუს სამხედრო თეორიები სინამდვილესთან რომ შემეჯერებინა და დავრწმუნებულიყავი, რომ მათ ფაქტები არ ადასტურებს, ზედმიწევნით შევისწავლე ბურების ომი. გარდა ამისა, გადავიკითხე ძველი ექსპედიციებისა და მოგზაურობების ჩანაწერები. ამ ყველაფერმა ძალიან გამიტაცა და, მხნეობა რომ შემმატებოდა, ვცდილობდი, ისე მემოქმედა, როგორც წიგნის გმირები იქცეოდნენ. და, როცა

ავადმყოფობა საწოლს მიმაჯაჭვებდა ხოლმე, რამდენიმე დღე-ღამე არათუ თვალს ვერ ვხუჭავდი, არ შემეძლო არც სმა, არც ჭამა, გაზმორებაც კი და არც იმის იმედი მქონდა, უღონობა და ტკივილი ოდესმე თუ გაივლიდა. მაშინ ნაპირზე გარიყულ, შხამიანი ბალახებით მოწამლულ, თავით ფეხამდე სველ იმ მოგზაურზე ვფიქრობდი, ორი დღის შემდეგ ძალ-ღონემოკრებილი ალალბედზე რომ მიდიოდა ველურების საძებნელად, თუმცა ისინი შეიძლება კაციჭამიებიც აღმოჩენილიყვნენ. ასეთი მოგზაურის მაგალითი სიმხნევეს მმატებდა, იმედს მინერგავდა და ჩემი წამიერი სისუსტისა მრცხვენოდა. ბურებზე ფიქრისას კი, რომლებსაც არ ეშინოდათ, ბუჩქებით დაფარულ ადგილებამდე მისაღწევად ინგლისის ჯარის თვალწინ გადაელახათ ღია ადგილები, საკუთარ თავს ვეუბნებოდი: «აბა, რა კაცი ვიქნები, თუ იქ შემეშინდება, სადაც სამხედრო მოქმედების თეატრი მხოლოდ ჩვენი ეზოა, აკი, დრეიფუსის[3]

საქმის მსვლელობისას რამდენჯერმე უშიშრად გავედი დუელში. აქ კი მხოლოდ ერთი იარაღი მემუქრება – მეზობლების მზერა. არადა, მეზობლებს სხვა საქმე აქვთ საკეთებელი და ფანჯარაში საყურებლად არა სცალიათ».

სახელოსნოში შესულმა, ფიცრის იატაკს რომ არ ეჭრაჭუნა, თითის წვერებზე აწეულმა გავიარე – ჟიუპიენის სახელოსნოდან ჩემამდე უმცირესი ჩქამიც აღწევდა და ამისთვის ანგარიში უნდა გამეწია. ამ დროს მივხვდი, რა გაუფრთხილებლად იქცეოდნენ ბატონი დე შარლიუ და ჟიუპიენი და როგორი სამსახური გაუწია მათ შემთხვევამ.

განძრევას ვერ ვბედავდი. გერმანტების მეჯინიბეს, როგორც ეტყობა, მათი არყოფნით ესარგებლა, სარდაფიდან კიბე იმ სახელოსნოში გადაეტანა, სადაც მე შევედი. კიბეზე რომ ავსულიყავი, სარკმელს გამოვაღებდი და ყველაფერს ისე მოვისმენდი, თითქოს მეც ჟიუპიენთან ვყოფილიყავი, მაგრამ ხმაურის შემეშინდა. მათი საუბარი დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ დაიწყო (ამ ხნის განმავლობაში მოვასწარი, კიბეზე ჩუმად ავძვერი და ახლა უკვე სარკმლიდან შემეძლო მათი ყურება, თუმცა სარკმლის გამოღება, სიმართლე გითხრათ, ვერ გავბედე). ბატონი დე შარლიუ ჟიუპიენს ფულს აძლევდა, ის გადაჭრით უარობდა.

მერე ბატონი დე შარლიუ გასასვლელისკენ დაიძრა. «ასე რატომ იპარსავთ? – ალერსიანი ხმით

დაადევნა ჟიუპიენმა. – ლამაზი წვერი კაცს ამშვენებს!». «ფუ, რა საძაგლობაა!» – უპასუხა ბარონმა. კარში გასვლამდე შეჩერდა და ჟიუპიენს ამ კვარტალის ამბები გამოკითხა: «კუთხეში ერთი ახოვანი ჭაბუკი წაბლით რომ ვაჭრობს, იცნობთ? არა, ის არა, მარცხნივ რომ დგას – ის რაღაც საფრთხობელაა; აქეთ, მარჯვნივ, შავგვრემანი ყმაწვილია. მოპირდაპირე მხარეს რომ აფთიაქია, იმისი პროვიზორი ვინ არის, რომლის წამლებსაც სასიამოვნო სახის ველოსიპედისტი დაატარებს?» ეს სიტყვები ჟიუპიენს, ალბათ, გულში მოხვდა, რადგან მოტყუებული კეკლუცი ქალის ამაყი იერით გასწორდა წელში და უპასუხა: «როგორც ვხედავ, დიდი მუსუსი ბრძანდებით!» ამ მწარე, ცივმა და გაპრანჭულმა საყვედურმა, ეტყობა, ბატონ დე შარლიუზე იმოქმედა; ის უსიამოვნო შთაბეჭდილება რომ გაექარწყლებინა, რომელიც

მის ცნობისმოყვარეობას შეეძლო აღეძრა, ჟიუპიენს რაღაც უთხრა, ოღონდ ისე ჩუმად, ვერაფერი გავიგე. ეს კია, ეტყობოდა, ამის გასაკეთებლად ერთხანს კიდევ მოუწევდათ სახელოსნოში დარჩენა; მისმა ნათქვამმა ჟილეტების მკერავს ისე აუჩვილა გული, რომ ბარონს მაშინვე ყველაფერი მიუტევა და მის ჭაღარა თმას, სავსე, ღაჟღაჟა სახეს, ღრმა კმაყოფილებას რომ გამოხატავდა, ისეთი მზერა შეავლო, როგორც იმ ადამიანმა, რომლის პატივმოყვარეობაც დაკმაყოფილებულია, თხოვნაზე უარი არ უთქვამს, გახარებულ-აღელვებულმა, მადლიერებითა და უპირატესობის გრძნობით აღვსილმა არცთუ თავაზიანი შენიშვნის სახით უპასუხა: «კარგა დიდი ფეთქებადი იარაღი კი გაქვს!» მერე ღიმილით დაამატა: «კარგი, ასე იყოს, დიდო ბიჭუნა!».

«ტრამვაის კონდუქტორზე ლაპარაკს მხოლოდ იმიტომ ვუბრუნდები, – ისევ თავისი წამოიწყო ბატონმა დე შარლიუმ, – რომ უკან დაბრუნებისას, შეიძლება, ჩემი ინტერესი გამოიწვიოს. სინამდვილეში კი, ზოგჯერ, უბრალო ვაჭრის ტანსაცმელში გადაცმული ხალიფასავით, ბაღდადს რომ ათვალიერებს, ვინმე საინტერესო პატარას[4] მივდევ, რომლის სილუეტმაც მომხიბლა». აქ უკვე დე შარლიუს ერთ თვისებას მივაქციე ყურადღება, რომელიც უფრო ადრე ბერგოტსაც შევამჩნიე: სასამართლოს წინაშე წარდგომა რომ მოუწიოს, ბერგოტი იმ ენაზე კი არ ალაპარაკდება, რომლითაც მოსამართლეებს დაარწმუნებდა, არამედ პირადი შემოქმედებითი ინდივიდუალობით ნაკარნახევ სუფთა ბერგოტული კონსტრუქციების ხმარებას დაიწყებდა, რადგან ეს სიამოვნებას მიანიჭებდა. ზუსტად ასევე, ბატონი დე შარლიუც ჟილეტების მკერავს იმავე ენით ელაპარაკებოდა, რა ენითაც თავისივე წრის ადამიანებს დაელაპარაკებოდა, ჩვეულებას გადააჭარბა კიდეც, იქნებ, მორიდებულობის გამოც, რომლის დაძლევასაც აშკარად ცდილობდა და განსაკუთრებულად ქედმაღალი ჩანდა, ან, იქნებ, იმიტომაც, რომ საკუთარ თავს ვერაფერს უხერხებდა (მაშინ ხომ უფრო მეტად ვღელავთ, როცა საქმე ისეთ ადამიანთან გვაქვს, რომელიც ჩვენი წრისა არ არის), მორცხვობა თავისი ხასიათის გამოჩენა-გაშიშვლებას აიძულებდა, ნამდვილად ამაყისა და ოდნავ გიჟურის, როგორც ჰერცოგინია გერმანტი ამბობდა. «მხედველობიდან რომ არ დავკარგო, – განაგრძო მან, – როგორც ჭაბუკი მასწავლებელი ან როგორც ახალგაზრდა ლამაზი ექიმი, ისე შევახტები ხოლმე იმავე ტრამვაის, რომელშიც ჩემი პატარა ქალუკა ავიდა; მდედრობით სქესში მხოლოდ წესის გამო ვლაპარაკობ (განა ასე არ

მიმართავენ პრინცს: «თქვენი უგანათლებულესობა თავს ხომ კარგად გრძნობს?»[5]). თუ ის სხვა ტრამვაიში გადადის, მაშინ ვიღებ, იქნებ, შავი ჭირის მიკრობებთან ერთადაც კი, პირველ ნომერ ბილეთს, რაღაც სრულიად გაუგებარ სახელს, «გადასაჯდომ ბილეთს» რომ ეძახიან, და, თუმცა ამ პირველს კი მაძლევენ, მაგრამ ის ყოველთვის პირველი არ არის! ასე ვიცვლი «გადასაადგილებელ საშუალებას» სამჯერ, ოთხჯერ. ზოგჯერ ღამის თერთმეტ საათზე ორლეანის სადგურამდეც მივაღწევ, ახლა იქიდან დაბრუნება იკითხეთ! ორლეანის სადგურამდე მისვლა კიდევ არაფერი! ერთხელ ლაპარაკის დაწყება ვერა და ვერ მოვახერხე და თვით ორლეანამდე ჩავედი ერთი იმ საზარელი ვაგონით, რომლის ფანჯრიდანაც

განუწყვეტლივ თვალში გეჩხირებათ იმ რაიონის მთავარი არქიტექტურული ღირსშესანიშნაობა, სადაც ეს რკინიგზა გადის. მხოლოდ ერთი თავისუფალი ადგილიღა იყო დარჩენილი და სხვა რა ჩარა იყო, ორლეანის ტაძრის «ხედებით» უნდა დავმტკბარიყავი, რომელიც, თუმცა ისტორიულ ძეგლად კი მოიხსენიება, მასზე საძაგელი მთელ საფრანგეთში არაფერი არსებობს, მაგრამ, გინდა, არ გინდა, უნდა უყურო. ეს კი იმდენად დამღლელია, თუგინდ ბურთულებიანი ოპტიკური ხელსაწყოდან გიყურებია მისი კოშკებისთვის, რის გამოც თვალის ანთებისგან დაზღვეული არა ხარ. ობრეში ჩემს ჯეელთან ერთად ჩამოვედი, მაგრამ, სამწუხაროდ, ბაქანზე ახლობლები დახვდნენ (მისგან ყველანაირ ბიწიერებას ველოდი, ოღონდ ახლობლების დახვედრას – არა!)! პარიზში მიმავალი მატარებლის მოლოდინში თავი იმით დავიმშვიდე, რომ დიანა დე პუატიეს[6] სახლი დავათვალიერე. თუმცა ამ სახლმა მეფური

წარმომავლობის ერთი ჩემი წინაპარი მოაჯადოვა, მე მაინც პუატიეს ცოცხალი სილამაზე უფრო მერჩივნა. ამ მოგზაურობებიდან უკან დაბრუნებისას მარტოობა მოსაწყენი რომ არ ყოფილიყო, თავს საძინებელი ვაგონის გამცილებელი ბიჭის ან ომნიბუსის კონდუქტორი ბიჭის გაცნობით ვასიამოვნებდი ხოლმე. მაგრამ ამან თავზარი არ უნდა დაგცეთ, – განუმარტა ბარონმა, – ეს მხოლოდ «ჟანრისადმი» ინტერესის საკითხია. რაც შეეხება მაღალი წრის ახალგაზრდებს, მათდამი ფიზიკური ვნება არ მამოძრავებს, ოღონდ მანამ არ ვმშვიდდები, სანამ მათ სუსტ სიმებს ერთხელ მაინც არ შევეხები, მატერიალურად არა, რა თქმა უნდა. ერთ დროს ერთი ყმაწვილი, იმის მაგივრად, ჩემი წერილები უპასუხოდ დაეტოვებინა, თვითონ მიგზავნიდა წერილს წერილზე, სულიერად ის უკვე ჩემი იყო და გულიც საგულეში მქონდა, უფრო სწორად, საგულეში უნდა მქონოდა, სხვა ვინმეთი რომ არ ვყოფილიყავი გატაცებული. საინტერესოა, არა? ჰო, მართლა, სიტყვამ მოიტანა და მაღალი წრის იმ ახალგაზრდებიდან, აქ რომ ხშირად დადიან, არავის იცნობ?» «არა, ჩემო პატარავ, არ ვიცნობ. თუმცა არა, ერთს ვიცნობ, შავგვრემანია, ძალიან მაღალი, მონოკლს ატარებს, სულ იცინის და აქეთ-იქით იყურება». «ვერ ვხვდები, ვის გულისხმობთ». ჟიუპიენმა პორტრეტის გამოძერწვა დაასრულა, მაგრამ ბატონი დე შარლიუ მაინც ვერ მიხვდა, ვისზე ელაპარაკებოდა, რადგან არ იცოდა, რომ ჟილეტების ყოფილი მკერავი ადამიანთა იმ ნაწილს მიუკუთვნებოდა – უფრო მრავალრიცხოვანს, ვიდრე ჰგონიათ – რომლებიც არ იმახსოვრებენ იმ ადამიანების თმის ფერს, ვისაც თითქმის არ იცნობენ. მაგრამ მე ვიცოდი ჟიუპიენის ეს ნაკლი და, როგორც კი შავგვრემანის ადგილზე ქერა დავაყენე, ჰერცოგ დე

შატელროს ნამდვილი პორტრეტი მივიღე. «მაგრამ ისევ უბრალო ხალხის წრიდან გამოსულ ახალგაზრდებს დავუბრუნდეთ, – კვლავ ალაპარაკდა ბარონი, – ამას წინათ თავბრუ დამახვია ინტელიგენტური, წვრილბურჟუაზიული ოჯახის ერთმა უცნაურმა ბიჭუკელამ, რომელიც მეტისმეტად უდიერად მექცეოდა. წარმოდგენაც არ ჰქონდა იმ მანძილზე, რაც ისეთ უჩვეულო ადამიანს, როგორიც მე ვარ, აშორებდა იმ მიკროსკოპული ვიბრიონისგან, როგორიც თავად იყო. ბოლოს და ბოლოს, ჩემი

მაღალი ეპისკოპოსური მანტიის წინაშე პატარა ვირის ყროყინი რა მოსატანია». «ეპისკოპოსური? – წამოიყვირა ჟიუპიენმა, რომელიც ვერ მიმხვდარიყო, რაზე ლაპარაკობდა ბატონი დე შარლიუ, თუმცა სიტყვა «ეპისკოპოსურმა» კი გააოცა. – მაგრამ ეს ყოველივე ხომ საერთოდ ვერ ეგუება რელიგიას», – თქვა მან. «ჩემს გვარში სამი პაპი იყო, – უპასუხა დე შარლიუმ, – და წითელი მანტიის ტარების უფლებას პაპაჩემის ბიძაშვილის კარდინალის წოდება მანიჭებს, რომლის დისწულმაც ჩემს ღვიძლ პაპას ჰერცოგის ტიტული გადასცა, ეს ტიტული კი მემკვიდრეობით გადადის. მაგრამ ვხედავ, მეტაფორების არაფერი გაგეგებათ, ხოლო საფრანგეთის ისტორია საერთოდ არ გაინტერესებთ. მოკლედ, – გააგრძელა ბარონმა, ალბათ, არა იმდენად ნათქვამის შესაჯამებლად, რამდენადაც ჟიუპიენის გასაცნობიერებლად, – ახალგაზრდებმა, რომლებიც გამირბიან, ცხადია, შიშით, რადგან მხოლოდ ჩემი პიროვნების გამო ვერ მიმჟღავნებენ თავიანთ გრძნობებს, შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში დამაინტერესონ, საზოგადოებაში ბრწყინვალე მდგომარეობა თუ უკავიათ. მაგრამ მაშინაც კი ამ ყმაწვილების ნაძალადევი გულგრილობა მათთან განშორებას მაიძულებს. თუ

ისინი ისეთი სულელები არიან, რომ უნარი არ შესწევთ, შეწყვიტონ ეს თამაში, მაშინ მათ მიმართ ზიზღის გრძნობა მიჩნდება».

ამ სცენის დასაწყისიდან ახლა პირველად ახელილმა ჩემმა თვალმა, თითქოს ვიღაცის ჯადოსნური ჯოხი შეეხოო, ბატონი დე შარლიუ უცბად მთლიანად გარდაქმნილი აღიქვა. აქამდე ვერაფერს ვხვდებოდი, ამიტომაც არაფერი დამინახავს. ბიწიერება (ასე ამბობენ აზრის მარჯვედ გადმოსაცემად), ბიწიერება ადამიანს ყველგან თან სდევს, გენიის მსგავსად, რომელსაც ხალხი მხოლოდ იმიტომ ვერ ხედავს, რომ ვერ ხვდება მის არსებობას. სიკეთეს, თაღლითობას, სახელს, მაღალი წრის ურთიერთობებს ვერ აღმოაჩენ, რადგან მას ჩვენივე თავში ვატარებთ. ოდისევსმაც თავიდან ათენა ვერ იცნო. მაგრამ ღმერთები ღმერთებს უცბად ამჩნევენ. მსგავსნი მაშინვე შეიცნობენ თვისთა მსგავსთ. ჟიუპიენმა მაშინვე იცნო ბატონი დე შარლიუ. ამ დღემდე ბატონი დე შარლიუ დაბნეულ ადამიანად მიმაჩნდა, რომელიც ორსული ქალის დამრგვალებულ მუცელს ვერ ამჩნევს და რომელიც ღიმილით რამდენჯერმე გაიმეორებს: «დიახ, რაღაც ცოტა დავიღალე», და რომელიც ქალს მოურიდებელი კითხვით ჩააცივდება: «რა დაგემართათ?» მაგრამ, თუ ვინმე ეტყვის: «ის ორსულად არის», მაშინვე ქალის დიდი მუცელი ეცემა თვალში და მეტს უკვე ვეღარაფერს ხედავს. თვალს გონება გვიხელს; გაფანტული ცდომილება კი უფრო მეტი გრძნობით გვასაჩუქრებს.

ადამიანებს ასეთი კანონის არსებობის დასამტკიცებლად თავიანთი ნაცნობების მაგალითის დამოწმება არ უყვართ, არ იშველიებენ ბატონი დე შარლიუსა და მის მსგავსთა მაგალითს, რომლებზეც ამდენ ხანს არავინ არაფერს ეჭვობდა, იმ დღემდე, სანამ ინდივიდუუმის ერთფეროვან ზედაპირზე, სხვა დანარჩენის მსგავსზე, არ გაჩნდება აქამდე უხილავი მელნით დაწერილი სიტყვა, ძველ ბერძენთათვის ესოდენ ძვირფასი, რომელიც შთაგვაგონებს, რომ სამყარო მათ თვალსაწიერს ჯერ შიშველი

წარმოუდგა, ყოველგვარ სამკაულს მოკლებული, რასაც მხოლოდ განათლებული ადამიანი ხედავს, აბა, გავიხსენოთ, რამდენჯერ გავბმულვართ ხათაბალაში. ნებისმიერი ადამიანის სახე სრულიადაც არ მიანიშნებს, რომ იგი ძმაა, საქმრო ან საყვარელია ამა თუ იმ ქალისა, ამიტომაც, ცოტას დარჩა, ამ ადამიანზე არ თქვეს: «რა მახინჯია!» საბედნიეროდ, მეზობლის ჩურჩულით ნათქვამი ერთი სიტყვა და მაშინვე ტუჩზე გაიყინება ეს საბედისწერო წამოძახილი. Mené, Thécel, Pharés-ს[7] მსგავსად იმწამსვე გაჩნდება ეს სიტყვები: ის საქმროა, ან ძმაა, ანდა საყვარელია ამ ქალისა და მისი თანდასწრებით არ ღირს იმის თქმა, რომ ის «მახინჯია». და ამ ახალ ცნებას მთელი გადაჯგუფება, ცვლილებები მოსდევს, აფართოებს ჩვენს უწინდელ, არასრულ წარმოდგენას ამ ოჯახის დანარჩენ წევრებზე. ბატონ დე შარლიუში სხვა არსება ცხოვრობდა და ამით ყველასგან განსხვავდებოდა. როგორც კენტავრი აერთიანებს საკუთარ თავში ადამიანსა და ცხენს, ასევე ეს სხვა არსება ქმნიდა ბატონ დე შარლიუსთან ერთ მთლიანობას, მე კი ეს ვერ შევამჩნიე. ახლა განყენებულმა ხორცი შეისხა, ჩემ მიერ შეცნობილმა არსებამ, ბოლოს და ბოლოს, უხილავად დარჩენის უნარი დაკარგა, ბატონი

დე შარლიუს ახალ პიროვნებად გარდასახვამ ისეთ სისრულეს მიაღწია, რომ არა მხოლოდ მისი სახის გამომეტყველება და ხმის სწრაფი ცვლა, არამედ ყველაფერი, მაღალი თუ მდაბალი, რაც ჩემთან ურთიერთობაში გამჟღავნდა, ყველაფერი, რაც აქამდე მისი არათანამიმდევრულობა მეგონა, უცბად გასაგები გახდა, უცბად გაცხადდა, რომ ფრაზა ყოველგვარ აზრს მოკლებულია, რადგან სიტყვები ალალბედზე ჩაყარეს, სადაც მოხვდა და, თუ ეს სიტყვები ისე დალაგდება, როგორც საჭიროა, მაშინ ისეთი აზრი გადმოიცემა, რომელსაც უკვე ვეღარ დაივიწყებ.

და უფრო მეტიც, ახლაღა მივხვდი: როცა ქალბატონი დე ვილპარიზის სახლიდან გამოსული ბატონი დე შარლიუ დავინახე, რატომ ვიფიქრე, რომ იგი ქალს ჰგავს – ის ქალი იყო! იგი იმ ადამიანთა მოდგმას მიეკუთვნებოდა, ვისშიც, ვიდრე ჩვენ გვგონია, იმაზე გაცილებით ნაკლებია ურთიერთსაწინააღმდეგო გრძნობები, ვის იდეალადაც ვაჟკაცურობა სწორედ იმიტომ ქცეულა, რომ ქალური ტემპერამენტი აქვს და მამაკაცს მხოლოდ გარეგნულად ჰგავს. ყოველი მათგანის თვალი, რომელიც იმად გვემსახურება, რომ დავინახოთ ყველაფერი, რაც სამყაროშია, თავის გუგაში აღბეჭდავს სილუეტს, მაგრამ მათთვის ეს სილუეტი ნიმფას სილუეტი როდია, იგი ეფებაა[8]. ამ ჯიშის ადამიანებს მძიმე ტვირთად აწევთ წყევლა და კრულვა; მათი სიცოცხლე ერთი გაბმული სიცრუეა და ფიცის გატეხა, რადგან იციან, რომ მათი სურვილი, რომელიც ყველა ქმნილების სიცოცხლის უდიდესი სიხარულია, სასჯელს იმსახურებს და სამარცხვინოა, მისი გამომჟღავნება კი საძრახისი; ღმერთის მგმობელები არიან, რადგან, როცა სასამართლოში

მსაჯულის პირისპირ დგანან და იმაში ადანაშაულებენ, რაც მართლაც მათი ცხოვრების არსს წარმოადგენს, ქრისტეს სახების წინაშე მის სახელს იფიცებენ, აცხადებენ – ცილს გვწამებენო. ისინი არიან ვაჟიშვილები, ვისაც დედა არ ჰყავთ, რადგან მშობელს მთელი ცხოვრება ატყუებენ, მაშინაც კი, როცა მკვდარს თვალებს

უხუჭავენ; ისინი არიან მეგობრები, რომლებმაც არ იციან, რა არის ჭეშმარიტი მეგობრობა, თუმცა თავიანთი მომხიბლველობის წყალობით სხვებში ხშირად აღძრავენ მეგობრულ გრძნობებს, რადგან მათ უმრავლესობას კეთილი გული აქვს და თვითონაც სხვების მიმართ იმავე მეგობრულ გრძნობას განიცდიან; მაგრამ, განა შეიძლება მეგობრობა დავარქვათ იმ გრძნობას, რომელიც მხოლოდ სიცრუის საფარქვეშ აღმოცენდება და რომელიც ნდობის, გულახდილობის პირველივე აღტყინებას ანადგურებს, რადგან იგი ზიზღის გარდა სხვა გრძნობას არ აღძრავს, თუ, რა თქმა უნდა, გზად მიუკერძოებელი ვინმე არ შეხვდებათ, მათი გაგების უნარი რომ მოჰმადლებია, მაგრამ ასეთ ადამიანშიც კი შეიძლება პირობითობამ გაიმარჯვოს და მისი აღსარების მოსმენის შემდეგ, როგორც კი გაიგებს, რომ მისი ნაცნობი ასეთი მანკიერებით იტანჯება, გაიფიქრებს, მაშასადამე, მისი მეგობრული კეთილგანწყობაც ბიწიერების ნაყოფიაო. თუმცა, ამ მიუკერძოებელი ადამიანისთვის მსგავსი განწყობა საერთოდ უცხოა; განა ზოგიერთ მოსამართლეს ძალიან იოლად არ გამოაქვს განაჩენი, როცა მკვლელობას სექსუალური გადახრით ხსნის ანდა იმით, რომ გამცემი ებრაელია? სიამოვნებით ამართლებს ერთსაც და მეორესაც, მკვლელობას პირველი ცოდვით ხსნის, გამცემლობას კი იმ ნაკლით, მუდამ თან რომ სდევს ამ ერს. დაბოლოს – ყოველ შემთხვევაში,

პირველი თეორიის მიხედვით მაინც, რომელიც ადრე ჩამომიყალიბდა და რომელშიც, როგორც მკითხველი ნახავს, შემდეგში შესწორებები შევა – განსაკუთრებულად დასწყდებათ გული, თუ ჩემ მიერ აღმოჩენილი წინააღმდეგობა თვალს იმ ილუზიას არ დაუფარავს, მათ მხედველობასა და მთელ მათ ცხოვრებას რომ მართავს; ამგვარი საყვარლებისთვის თითქმის მიუწვდომელია ის სიყვარული, რომლის მოლოდინშიც ამდენ რისკზე მიდიან და ამდენ დროს ატარებენ მარტოობაში, რადგან ისეთი მამაკაცი უყვარდებათ, რომელსაც ქალური, გაუკუღმართებული არაფერი დაჰყოლია და, აქედან გამომდინარე, არც იმის უნარი აქვს, მათ სიყვარულს სიყვარულით უპასუხოს; ამგვარად, მათი ვნებები არასოდეს დაკმაყოფილდება, თუკი ნამდვილ მამაკაცს ფულით არ იყიდიან, ანდა იმ მამაკაცებს, რომლებსაც დანებდნენ და რომლებიც ისეთივე გაუკუღმართებული არიან, როგორებიც თვითონ ბრძანდებიან, წარმოსახვა ნამდვილ მამაკაცებად არ წარმოუჩენთ. ეს ადამიანები პირველ შემთხვევამდე არიან წესიერები და თავისუფლები, მანამდე, სანამ მათი დანაშაული არ გახსნილა; საზოგადოებაში მათი მდგომარეობა არამყარია, როგორც იმ პოეტის[9], რომლის წინაშეც ჯერ კიდევ წინა დღეს ყველა სალონის კარი ღია იყო, ლონდონის ყველა თეატრში ტაშს უკრავდნენ, მეორე დღეს კი ავეჯით გაწყობილ არც ერთ სასტუმროში არ შეუშვეს, მისთვის ბალიშიც არ მოიძებნა, თავი რომ დაედო და, სამსონის მსგავსად, იძულებული გახდა, წისქვილის დოლაბები ეტრიალებინა და მისი სიტყვები ეთქვა:

«ორივე სქესი თავის დროზე დაიღუპება».[10]

ისინი, იმ დღეების გამოკლებით, როცა დიდი უბედურება ხდება და მსხვერპლის ირგვლივ ხალხი გროვდება, როგორც დრეიფუსის ირგვლივ შეიკრიბა ებრაელობა,

მოკლებული არიან თანაგრძნობას – ზოგჯერ საზოგადოებასაც – თავისთა მსგავსთა, რადგან ზიზღს ჰგვრით მათში თავიანთი ანარეკლის დანახვა, ზუსტად ისევე, როგორც სარკე ასახავს დაუნდობლად ყველა იმ ნაკლს, რომლის არშემჩნევას საკუთარ თავში ასე ცდილობენ, და ამ გრძნობას მათი გონება იქამდე დაჰყავს, რომ ხვდებიან, ის, რასაც თავად სიყვარულს ეძახიან (ამ ცნების ფართოდ წარმოსადგენად, თვითგადარჩენის მიზნით მასში ჩადეს ყველაფერი: პოეზია, მხატვრობა, მუსიკა, რაინდობა, ასკეტიზმი), ნაყოფია არა იმ იდეალური სილამაზისა, საკუთარ თავს რომ შეუქმნეს, არამედ მათი განუკურნებელი სენისა; და ისევ ებრაელთა მსგავსად (ოღონდ არა იმათი, რომლებიც მხოლოდ თანამემამულეებთან ტრიალებენ და ენაზეც მხოლოდ რიტუალური და ტრადიციული ხუმრობები აკერიათ), ერთმანეთს გაურბიან, ეძებენ ისეთ ადამიანებს, რომლებიც ყველაფერში მათი საპირისპირონი იქნებიან და რომლებსაც ასეთ ხალხთან ურთიერთობა არ სურთ; ასეთებს მიუტევებენ უხეშობას და უსაზღვროდ უხარიათ მათი კეთილგანწყობა; მაგრამ ირგვლივ სულ ისეთი ადამიანები ახვევიათ, როგორებიც თვითონ არიან, და, რადგან მათ, ისევ და ისევ ებრაელთა მსგავსად, დევნიან და თავლაფს ასხამენ, ამიტომ ფიზიკური, სულიერი და რასობრივი თავისებურებები გამოუმუშავდათ, რაც დევნის მანიის შედეგია და, თუმცა ამ თავისებურებებიდან ზოგიერთი მშვენიერია, უფრო ხშირად საზიზღრობაა (ისინი დასცინიან იმათ, ვინც მოახერხა და დაუახლოვდა, შეერია სხვა ჯიშის

ხალხს და ერთი შეხედვით ნაკლებად გარყვნილი გამოჩნდა; დასცინიან იმათაც, ვისაც თავისი ჯიშის ნიშნები ნათლად აქვს გამოხატული); მიუხედავად ამისა, ისინი თავიანთ მსგავსთა საზოგადოებაში ისვენებენ, ცხოვრებას უადვილებთ ის აზრი, რომ არსებობენ, და მაინც – უარყოფენ, რომ იმნაირ ადამიანებს მიეკუთვნებიან (რომელთა სახელიც კი მათთვის უდიდესი შეურაცხყოფაა), მოსწონთ იმათი გამოაშკარავება, ვინც იმას მალავს, რაც არის; მოსწონთ არა იმიტომ, რომ ძალიან უნდათ, ამ ადამიანებს თავსლაფი დაასხან, თუმცა არც ამას ითაკილებენ, არამედ იმიტომ, რომ საკუთარ თავს ეჭვი აარიდონ, აქაოდა, ჩვენ ასეთები არა ვართო; გარყვნილებას ისე სინჯავენ, როგორც ექიმი აპენდიციტს, სიამოვნებას ანიჭებთ ისტორიიდან იმის შეხსენებაც კი, რომ სოკრატეც მათიანი იყო, ისევე, როგორც ისრაელიანები ამბობენ, ქრისტეც ებრაელი იყოო. ის კი ავიწყდებათ, რომ იმ ეპოქაში ცნება გადახრა არ არსებობდა და ჰომოსექსუალიზმი ნორმად მიიჩნეოდა, ისევე, როგორც შეუძლებელია ქრისტემდე ეარსება ანტიქრისტეს, იმასაც ივიწყებენ, რომ მხოლოდ სირცხვილი წარმოშობს დანაშაულს, რომლის წყალობითაც მხოლოდ ისინი ინარჩუნებენ სიცოცხლეს, ვისი თანდაყოლილი მანკიერებაც არავითარ ქადაგებას, არავითარ მაგალითს, არავითარ სასჯელს არ ემორჩილება და, საკუთარი გადახრის გამო, სხვებსაც თავიდან იშორებენ (თუმცა მაღალი სულიერი თვისებების გამო შეუძლიათ, მათ შეეთვისონ); რაც ნაკლებ საზიზღარია მანკიერება – მაგალითად, ქურდობისკენ, სიმკაცრისკენ, მზაკვრობისკენ მიდრეკილება – ჩვეულებრივი ადამიანის თვალსაზრისით მით უფრო გასაგებია და, მაშასადამე, უფრო მისატევებელიც. ეს ადამიანები თავისებურ მასონურ

ლოჟას ქმნიან, ოღონდ უფრო ფართოს, უფრო აქტიურს, ნაკლებად შესამჩნევს, რადგან იგი მიდრეკილებების, მოთხოვნილებების, ჩვევების ერთიანობის საფუძველზე იქმნება, ხიფათის ერთგვარობის საფუძველზე, იმ ნიშნით, რომ ყველა მისი წევრი ერთსა და იმავე სკოლას გადის, ერთსა და იმავე ცოდნას იღებს, იმის მიხედვით, რომ მოქმედების ერთი და იგივე წესი აქვთ, თავისი განსაკუთრებული ენა; ლოჟას, რომლის წევრებიც, ერთმანეთთან ნაცნობობის გაბმა რომ არ სურთ, ბუნებრივი თუ პირობითი, უნებლიე თუ წინასწარგანზრახული ნიშნებით ერთმანეთს მაშინვე ცნობენ, ზუსტად ისევე, როგორც ღატაკი ხვდება, რომ ის მედიდური ბატონი, რომლის კარეტის კარსაც ხურავს, ისეთივე ღატაკია, როგორიც თვითონ; ზუსტად ისევე, როგორც თავის თავს შეიცნობს მამა საკუთარი ქალიშვილის საქმროში, ავადმყოფი – ექიმში, აღმსარებელი – მოძღვარში, ძიებაში მყოფი კი – ადვოკატში; ისინი იძულებულნი არიან, თავიანთი საიდუმლო დაფარონ, მაგრამ სხვათა საიდუმლო იციან, რაზეც იმ სხვებს ეჭვიც არა აქვთ, და ეს საიდუმლო მათზე ისეთ ზემოქმედებას ახდენს, რომ ყველაზე დაუჯერებელი ავანტიურული რომანიც დამაჯერებლად ეჩვენებათ, რადგან მათი ცხოვრება გარდასული რომანტიკით არის სავსე და თანაც, როგორ არ უნდა დაიჯერონ, როცა იციან, რომ ელჩი კატორღელის მეგობარია; როცა პრინცი, ქცევის იმ ძალდაუტანებელი მანერებით რომ გამოირჩევა, რაც არისტოკრატიული აღზრდით გამომუშავდება და რაც არა აქვს, არც უნდა ჰქონდეს შეშინებულ წვრილ ბურჟუას, ჰერცოგინიას სალონიდან გამოსული ავარასთან შესახვედრად მიდის; ეს უარყოფა ისეთ მძლავრ ძალას ქმნის, რომ მის არსებობას იქაც ვარაუდობენ, სადაც არ არის, თუმცა ყველას თვალწინ

კადნიერად, დაუსჯელად მოქმედებს იქ, სადაც მის არსებობას ვერავინ ხვდება; ისინი თანამოაზრეებს ყველგან პოულობენ: უბრალო ხალხში, არმიაში, ტაძრებში, კატორღაში, ტახტზე; ისინი ცხოვრობენ, ყოველ შემთხვევაში, მათი დიდი უმრავლესობა მაინც, სხვა ჯიშის ადამიანებთან მომაჯადოებელ, თუმცა სახიფათო მეზობლობაში, რომლებსაც ელაციცებიან, მათთან ლაპარაკისას თავიანთ ნაკლზე ისე ხუმრობენ, თითქოს ეს მათი ნაკლი არ იყოს და თვითონ არ იტანჯებოდნენ ამით; სხვათა განსჯის და სიყალბის გამომზეურების თამაშით სულს იმსუბუქებენ; ეს შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს, იქამდე, ვიდრე აღშფოთება ზენიტს არ მიაღწევს და მომთვინიერებელს არ დაგლეჯს; ამ დღემდე კი იძულებულნი არიან, თავიანთი ცხოვრება დაფარონ, ზურგი შეაქციონ იმას, რისი უკეთ დანახვაც უნდათ, დაინახონ ის, რასაც უნდათ, ზურგი შეაქციონ, სალაპარაკო ენაში ბევრ ზედსართავს სქესს უცვლიან და მაინც ეს გარეგნული ტვირთი განუზომლად მსუბუქია იმ სულიერ ტვირთზე, რითიც ეს ნაკლი ან ის, რასაც არასწორი სახელი დაარქვეს, ავიწროებს მათ, ოღონდ ავიწროებს არა სხვათა, არამედ საკუთარ თვალში, რათა ნაკლი ნაკლად არ ეჩვენოთ. მაგრამ ზოგიერთები, უფრო პრაქტიკულები, უფრო ჩქარები, რომლებსაც ბაზარში სიარულის დრო არა აქვთ, არც ცხოვრების გაიოლებაზე ზრუნავენ, დროს ამაოდ არ კარგავენ და ურთიერთშეთავსების პრინციპით ორ საზოგადოებას ქმნიან, ამასთან, მეორე უკლებლივ მათი მსგავსი არსებებისგან შედგება.

ეს უმალ ხვდებათ თვალში პროვინციიდან ჩამოსულ ღარიბ ახალგაზრდებს, რომლებსაც არც

ურთიერთობები აუწყვიათ და არც არაფერი აბადიათ, გარდა პატივმოყვარული ოცნებებისა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ცნობილი ექიმები ან ადვოკატები გახდებიან, რომლებსაც საკუთარი აზრი ჯერაც არაფერზე გასჩენიათ, არც საზოგადოებაში თავდაჭერა შეუძლიათ, მაგრამ იმედს არ კარგავენ, რომ ყველაფერს სწრაფად ისწავლიან, ისევე, როგორც მალევე შეიძენენ ლათინური კვარტალის თავიანთი პაწაწინა ოთახებისთვის ისეთივე ავეჯს, იმათთან რომ ნახეს და ბოლო წვრილმანამდე დაათვალიერეს, ვინც უკვე «დაწინაურდა» სწორედ იმგვარ სასარგებლო და საპატიო სარბიელზე, რომელ ასპარეზზე მოღვაწეობა და სახელის მოხვეჭაც თავად ეოცნებებათ. ამ ადამიანების მისწრაფება ისეთივე თანდაყოლილია, როგორც ხატვის ან მუსიკის ნიჭი თუ სიბრმავისკენ მიდრეკილება, ეს, ალბათ, მხოლოდშობილი სიცოცხლისუნარიანი, დესპოტური – ორიგინალურობის თვალსაზრისით, იქნებ, ერთადერთიც – მისწრაფებაა, რომელიც აიძულებთ, შიგადაშიგ საღამოები იმ ადამიანებთან შეხვედრას შესწირონ, ვისთან ურთიერთობაც მათ კარიერას წაადგება და რომლებსაც ყველაფერში ბაძავენ: ლაპარაკის მანერა იქნება, აზრის გამოხატვა, ჩაცმა თუ ვარცხნილობა. იმ კვარტალში, სადაც სახლდებიან ისინი, ხვდებიან მხოლოდ სკოლის ამხანაგებს, რომლებიც მათ მისწრაფებებს არ იზიარებენ, და მასწავლებლებს ან ვინმე უკვე წარმატებულ, მათ მფარველ თანამემამულეს, მალე სხვა ახალგაზრდებსაც აღმოაჩენენ; და მათთვის დამახასიათებელი ეს განსაკუთრებული სწრაფვა ისე დააახლოებთ ხოლმე, როგორც უახლოვდებიან ერთმანეთს პატარა ქალაქში მცხოვრები მასწავლებელი და ნოტარიუსი, ორივე – კამერული მუსიკისა და შუა საუკუნეების სპილოს ძვლის ნაკეთობათა

დიდი მოყვარული. თავიანთ გართობებში ის პრაქტიკული ინტერესი, საქმიანი სულისკვეთება შეაქვთ, რომელიც კარიერის შექმნისკენ მიმართულ მათ ძალისხმევას წარმართავს; ისინი ამ ახალგაზრდებს იქ ხვდებიან, სადაც საქმეში ჩაუხედავნი არ დაიშვებიან, ისევე, როგორც ძველებური საბურნუთეების, იაპონური გრავიურების ან ყვავილთა იშვიათი ჯიშებით მოყვარულთა შეკრებებზე, სადაც, საფოსტო მარკების ბირჟისა არ იყოს, ცნობების ურთიერთგაცვლის სიამოვნების, ამ ურთიერთობების სარგებლიანობისა და, ამასთან, მეტოქეობის შიშის წყალობით, სპეციალისტების მჭიდრო კავშირს კოლექციონერების გააფთრებული მეტოქეობა შერწყმია. კაფეში, სადაც თავიანთი მაგიდა აქვთ, კაცმა არ იცის, რა შეკრებაა ეს – მეთევზეთა საზოგადოების, რედაქციის მდივნებისა თუ წარმოშობით ენდრელი ახალგაზრდების; ისინი თავდაჭერილი, მშვიდი, ცივი იერით სხედან და შეფარული მოწიწებით გაჰყურებენ იმ ახალგაზრდებს, მათი მაგიდიდან ორიოდე ნაბიჯის მოშორებით რომ სხედან და თითქმის ყვირილით ჰყვებიან თავიანთი საყვარლების ამბებს; მხოლოდ ოცი წლის შემდეგ, როცა ერთნი, ესენი, ვინც ახლა მათით იხიბლება და პირდაპირ შეხედვას ვერ ბედავს, აკადემიის წევრები გახდებიან, ისინი კი კლუბების ძველ,

ყოველდღიურ სტუმრებად დარჩებიან, მიხვდებიან, რომ იმდროინდელ მოდურ ჭაბუკ «ლომთა» შორის ყველაზე მაცდუნებელი, ახლა კი ჩასუქებული, გაჭაღარავებული დე შარლიუ სინამდვილეში ისეთივე ბრძანდებოდა, როგორებიც თავად იყვნენ, ოღონდ ის სხვა სამყაროს ეკუთვნოდა, სხვა გარეგანი სიმბოლოებით, სხვა განსაკუთრებული ამოსაცნობი ნიშნებით, რამაც ისინი შეცდომაში შეიყვანა და დააბნია. ეს

ჯგუფები შეიძლება მეტ-ნაკლებად პროგრესულნი იყვნენ და ისე განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან, როგორც «მემარცხენეთა კავშირი» და «სოციალისტური ფედერაცია», «მენდელსონის მუსიკალური საზოგადოება» და «Schola cantorum»-ი[11]; სხვა საღამოს კი მეზობელ მაგიდას ექსტრემისტები მიუსხდებიან, რომლებიც თავს უფლებას აძლევენ, მანჟეტების ქვეშ სამაჯური გაიკეთონ, პერანგის საყელოდან კი ყელსაბამები მოუჩანთ; მათი დაჟინებული მზერა, ქოთქოთი, სიცილი, ის თუ როგორ ენაზებიან ერთმანეთს, კოლეჯის მოწაფეთა გუნდს აფრთხობს და აქეთ-იქით სწრაფად იფანტებიან, ხოლო თავაზიანობის ნიღაბმორგებული აღშფოთებული ოფიციანტი, ისევე, როგორც იმ დღეებში, როცა დრეიფუსელებს ემსახურებოდა, რომ არა ფეხის ქირის მოლოდინი, დაუყოვნებლივ გამოიძახებდა პოლიციას.

ასეთ პროფესიულ ორგანიზაციებს გონება დამარტოებულების მიდრეკილებებს უპირისპირებს, უპირისპირებს განსაკუთრებული ძალდატანების გარეშე და დამარტოებულთა თვალსაზრისზე დგება, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ისე მკვეთრად არაფერი განსხვავდება ორგანიზებული ბიწიერებისგან, როგორც ის, რაც მათ სიყვარულში გაუგებრობად ეჩვენებათ, და მაინც ყოველივე არცთუ ძალდაუტანებლად ხდება, ვინაიდან ამ სხვადასხვა კლასებს არა მხოლოდ განსხვავებული ფიზიოლოგიური ტიპები შეესაბამება, არამედ ერთმანეთის მომყოლი პათოლოგიური მომენტებიც ან მხოლოდ სოციალური ევოლუცია, და მართლაც, იშვიათია, რომ

ესა თუ ის მარტოხელა ადრე თუ გვიან არ შეუერთდეს ერთ-ერთ ასეთ ორგანიზაციას, ზოგი მოწყენილობის გამო, ზოგი კი – თავი კომფორტულად რომ იგრძნოს (ზუსტად ასე დაამთავრეს ტელეფონის თავგამოდებულმა მოწინააღმდეგეებმაც – ბოლოს და ბოლოს, ტელეფონიც დაიდგეს, თავიანთ სალონებში იენას საგვარეულოს წევრების მიღებაც დაიწყეს და პოტენის მაღაზიებში საყიდლებზე სიარულიც[12]). უნდა ითქვას, რომ უმრავლეს შემთხვევაში ასეთ ორგანიზაციებში მათ საკმაოდ უხალისოდ იღებენ, რადგან გამოუცდელობას შერწყმული ავადმყოფური მეოცნებეობით გამოწვეულ მათ მოკრძალებულ ქცევებს, რასაც მარტოობა ბადებს, ქალურობის შესამჩნევი დაღი აზის, ანაბეჭდი, რომლის მოშორებასაც ასე ცდილობენ პროფესიონალები. უნდა ვაღიაროთ, რომ ზოგიერთ ახალბედაში ქალური საწყისი მამაკაცურს არა მხოლოდ შინაგანად ერწყმის, მისი საზიზღარი არსებობა ყველას დასანახად მჟღავნდება, მაგალითად, როცა ისტერიკულ-მწივანა ხმით იცინიან, რის გამოც მუხლები და ხელები უკანკალებთ; ასეთ დროს მამაკაცებს კი არა, უფრო თვალებნაღვლიან, უპეჩალურჯებულ, ფეხზე ჯაჭვგამობმულ მაიმუნებს ჰგვანან და მათგან მხოლოდ

იმით განსხვავდებიან, რომ ამათ სმოკინგები აცვიათ და შავი ჰალსტუხები უკეთიათ; მოკლედ, ნაკლებად ხელიდან წასულ ვეტერანებს ამ ახალბედებთან ურთიერთობა სახელის გატეხად მიაჩნიათ და არცთუ სიხარულით ხვდებიან თავიანთ რიგებში; მაგრამ საზოგადოება მაინც ითმენს მათ და ისინიც ყველა შესაძლებლობით სარგებლობენ: კომერციამ და დიდმა წარმოებებმა გაუკუღმართებული ინდივიდების ცხოვრება გარდაქმნა, მათთვის აუცილებელი ის სიამოვნებები, უწინ გაჭირვებით

რომ იღებდნენ და მათი სიყვარულის ბაზარზე არც კი ჩანდა, ახლა ხელმისაწვდომი გახდა; ის, რისი შოვნაც ადრე, როცა შუამავლის გარეშე ირჯებოდნენ, უძნელდებოდათ, უძნელდებოდათ იქაც კი, სადაც ხალხი იკრიბებოდა, ახლა თავსაყრელად აქვთ. მაგრამ, მიუხედავად ამდენი გამოსავლის არსებობისა, ზოგიერთს ჯერ ისევ ძალიან უმძიმს, გაუძლოს სოციალურ ზემოქმედებას, უმძიმს იმას, ვინც შინაგან თავისუფლებას მიეჩვია და დარწმუნებულია, რომ მისი ეს მიდრეკილება იშვიათი გამონაკლისია. თუმცა სინამდვილეში ასე არ არის. ჯერჯერობით გვერდზე დავტოვოთ ისინი, ვისაც თავისი მიდრეკილების უჩვეულობა საკმარის საფუძვლად მიაჩნია, რათა საკუთარი პიროვნება უმაღლეს არსებად მიიღოს; ისინი, ვისაც ქალები სძულს; ისინი, ვინც ჰომოსექსუალიზმს გენიოსების თვისებად აღიქვამს და ის ბრწყინვალე ისტორიული ეპოქების გამოვლინება ჰგონია; და, როცა სურვილის დასაკმაყოფილებლად ვინმე შესაფერს ეძებენ, იმათკენ კი არ ისწრაფვიან, ვისაც საამისო მიდრეკილება აქვს – როგორც მორფინისტს მორფი იზიდავს – არამედ მათკენ, ვისაც თავისი კეთილგანწყობის ღირსად მიიჩნევენ, და ისეთივე აპოსტოლური თავგამოდებით ცდილობენ საკუთარი რწმენის გავრცელებას, როგორც სხვები ავრცელებენ სიონიზმს, მოუწოდებენ სამხედრო სამსახურზე უარის თქმისკენ, სენ-სიმონიზმს, ვეგეტარიანობას, ანარქიზმს ქადაგებენ. და, თუ ვინმე ამათგანს დილით ისევ ლოგინში მწოლიარეს წააწყდებით, მის საუცხოო ქალურ თავს აღმოაჩენთ, გაოცდებით, იმდენად ბევრი საერთო აქვს ქალურ ექსპრესიასთან, რაც ასე სიმბოლურია ამ სქესისთვის; ამას მათი თმაც კი ამტკიცებს, მხრებზე

რომ აფენიათ და ისე ბუნებრივად მოუყვება ლოყას, უნებურად გაკვირვება გიპყრობთ, როგორ შეძლო ამ ახალგაზრდა ქალმა, ამ გოგონამ, ამ გალათეამ[13], რომელიც აქამდე მისი მამაკაცური სხეულის ქვეცნობიერში იყო ჩაკეტილი და, ეს-ეს არის, იღვიძებდა, დამოუკიდებლად, სხვათა დაუხმარებლად, თავისი დილეგის ყველა გასაძრომის, ოდნავ შესამჩნევისაც კი, მოძებნა და იმ ყველაფრის პოვნა, რაც მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ცხადია, ახალგაზრდა კაცი, რომელსაც ასეთი მშვენიერი თავი აქვს, არ ამბობს: «მე ქალი ვარ». ამას მაშინაც კი არ აღიარებს, მრავალ მიზეზთა გამო, ქალთანაც რომ ცხოვრობდეს, შეიძლება, მასთან საუბრისას უარყოს კიდეც, რომ თვითონაც ქალია, დაიფიცოს, რომ მამაკაცთან სქესობრივი კავშირი არასოდეს ჰქონია, თუნდაც მან ისეთივე დაინახოს, როგორიც სულ ახლახან გაჩვენეთ – საწოლში მწოლიარე, პიჟამაში გამოწყობილი, მოშიშვლებული მკლავებითა და შავი კულულებით დამშვენებული ტიტველი კისრით. მაგრამ პიჟამა

ქალის კოფთად იქცევა, თავი – მშვენიერი ესპანელი ქალის თავად. საყვარელს კი თავზარი დაეცემა ამ ფორმით გამოსახული აღიარებით, რაც მისი კითხვის გამომხატველი მზერის პასუხია, რადგან ის ყოველგვარ სიტყვაზე, თვით ქმედებებზეც კი უფრო ნამდვილია; თუნდაც აქტი ჯერ არაფრით იყოს დადასტურებული, მოგვიანებით აუცილებლად გამჟღავნდება, რადგან ყოველი არსება სიამოვნებისკენ ისწრაფვის; თუ ადამიანი მეტისმეტად გახრწნილი არ არის, იგი სიამოვნებას საპირისპირო სქესთან სექსუალურ კავშირშიც პოულობს. გაუკუღმართებული მიდრეკილების კაცი ბიწიერი მაშინ კი არ არის, როცა ქალებთან ამყარებს ურთიერთობებს (აქეთ შეიძლება ბევრმა რამემ უბიძგოს),

არამედ მაშინ, როცა ეს ურთიერთობა სიამოვნებას ანიჭებს. ახალგაზრდა, რომლის დახატვასაც აქ ვეცადეთ, იმდენად ნამდვილი ქალია, რომ ქალებს, რომლებიც მას ჟინმორეული შეჰყურებენ, ისეთივე იმედგაცრუება ეუფლებათ (ცხადია, თუკი თვითონ ნორმალურები არიან), როგორსაც შექსპირის პიესების მოტყუებული გმირი ქალები განიცდიან, როცა მამაკაცის მაგივრად ჭაბუკის ტანსაცმელში გადაცმულ გოგონას აღმოაჩენენ. სიცრუე ორივეგან ერთნაირია, გარყვნილმა მამაკაცმა იცის, წინასწარ ჭვრეტს, რა იმედგაცრუებაც დაატყდება ქალს, რომელიც, ამას რომ სამასკარადო ტანსაცმელი შემოეძარცვება, მიხვდება, მსგავსი შეცდომა მხოლოდ პოეტური ფანტაზიის ნაყოფია. საკმარისია, თეთრ ბალიშზე მიყრილ კულულებს თვალი შეავლოთ, რომ მიხვდეთ, საღამოს ეს ახალგაზრდა კაცი მშობლების თვალს, მათი სურვილის საწინააღმდეგოდ და საკუთარისაც, თუ დაუსხლტება, არა იმიტომ, რომ ქალების საძებრად წავიდეს. საყვარელმა შეიძლება იგი დასაჯოს, ჩაკეტოს, მეორე დღეს ეს ქალკაცა გამონახავს საშუალებას, კაცს იპოვის, ისე მიეწებება, როგორც ხვიარა მასთან ახლოს მიტანილ ბარს ან ფოცხს. რატომ არის, რომ ჩვენ, ამ ყმაწვილის ამაღელვებელი ნაზი სახის ცქერით, მამაკაცისთვის უჩვეულოდ ნატიფი, წრფელი და თბილი ქცევებით ნასიამოვნებნი, ასე მტკივნეულად განვიცდით, როცა ვიგებთ, რომ იგი მოკრივეებთან ნაცნობობას არჩევს? ეს ხომ ერთი რეალობის ორი სხვადასხვა ასპექტია. და ეს ასპექტი, ჩვენში ზიზღს რომ იწვევს, უფრო გულშემძვრელია, ყოველგვარ სიფაქიზეზე უფრო გულშემძვრელი, რადგან იგი ბუნების გასაოცარი, გაუაზრებელი ძალისხმევის შედეგია: მიუხედავად ყოველგვარი ხრიკისა, სქესი თავად

შეიცნობს, რა გზას დაადგეს, შეუცნობლად ასწორებს ადამიანთაგან დაშვებულ თავდაპირველ შეცდომას და ცდილობს, საზოგადოება თავისგან გამოაცალკევოს. ზოგისთვის, ისეთებისთვის, ალბათ, ბავშვობიდანვე მორცხვები და მგრძნობიარობისადმი გულგრილნი რომ იყვნენ, მნიშვნელოვანია, მიღებული სიამოვნება მამაკაცურ სახეს მოარგონ. მაშინ, როცა სხვებს, ეჭვი არ არის, დიდი ვნებების მქონე ადამიანებს, აუცილებლად სჭირდებათ თავიანთი შეგრძნებებით მიღებული სიამოვნებების ლოკალიზაცია. მათი აღიარებები ჩვეულებრივ ადამიანებს, ალბათ, შოკს მოჰგვრით. იქნებ, ისინი ბოლომდე არც ცხოვრობენ სატურნის თანამგზავრის[14] მფარველობის ქვეშ, რადგან ქალები მაინც სჭირდებათ

პირველისგან განსხვავებით, რომლებისთვისაც ქალები საერთოდ არ იარსებებდნენ, რომ არა მათი საუბრის წარმართვის უნარი, ქალური სიკეკლუცე, გრძნობათა სიუხვე. მეორენი კი იმ ქალებს ეძებენ, რომლებსაც ქალები უყვართ; მათ შეუძლიათ, ისინი ვინმე ახალგაზრდა კაცს შეახვედრონ და ამით ის სიამოვნება გაიმძაფრონ, რომელსაც ამ ახალგაზრდასთან ურთიერთობა მიანიჭებთ; უფრო მეტიც, მათ შეუძლიათ, ამ ქალებისგან ისეთივე სიამოვნება მიიღონ, როგორიც მამაკაცისგან. ეჭვმა მხოლოდ იმათში შეიძლება გაიღვიძოს, ვისაც პირველები უყვარს, ის სიამოვნება კი, მამაკაცი რომ ანიჭებს, აღიქმება ღალატად, რადგან ქალის სიყვარულის უნარი არ გააჩნიათ და, თუ ქალთან სქესობრივი კავშირი მაინც აქვთ, ესეც მხოლოდ ჩვეულების გამო, და კიდევ – ქორწინებისკენ მიმავალი გზა რომ არ მოიჭრან; მათ არ ესმით, რა არის ცოლქმრული ცხოვრებით მოგვრილი სიხარული, ამიტომაც, თუ მათი საყვარელი კაცი ოჯახური ყოფით

ბედნიერია, ისინი ამის გამო არ იტანჯებიან, მაშინ, როცა მეორენი ხშირად ეჭვიანობენ ქალებზე. საქმე ის გახლავთ, რომ ქალებთან მიმართებაში ისინი ისეთი ქალის როლს თამაშობენ, რომლებსაც ქალები უყვართ, ხოლო ქალი თითქმის ისეთივე სიამოვნებას ანიჭებთ, როგორსაც მამაკაცი. ეჭვიანი მეგობარი იტანჯება, რადგან მისი შეყვარებული იმას მიეწება, ვინც მისთვის თითქმის მამაკაცია, ჰგონია, რომ აღარასოდეს დაუბრუნდება, ვინაიდან ასეთი ქალები მისთვის რაღაც უცხო ხილია, ასეთები ხომ საერთოდ არ იცნობენ ქალის ამგვარ ტიპს. იმ უგუნურ ჭაბუკებზე კი ნუ ვილაპარაკებთ, რომლებიც მეგობრების გასაღიზიანებლად, მშობლების თავზარდასაცემად ან ბავშვური სიკერპით ანცობენ და იმგვარი ტანსაცმლით კოპწიაობენ, ქალის სამოსს რომ ჰგავს, ტუჩებს იღებავენ და თვალებს აქეთ-იქით აცეცებენ; მოდი, მათაც მოვეშვათ, რადგან თავის შერცხვენა ძვირად დაუჯდებათ, მერე მთელი ცხოვრება მკაცრი, პროტესტანტული ქცევებით ამაოდ ეცდებიან იმ ზიანის შედეგების აღმოფხვრას, საკუთარ თავს რომ მიაყენეს მაშინ, როცა იმავე დემონით იყვნენ შეპყრობილნი, რომელიც სენ-ჟერმენის გარეუბანში მცხოვრებ გოგონებს უბიძგებს, სკანდალური ცხოვრება აირჩიონ, ზრდილობის ყველა წესი დაარღვიონ, მშობლები მასხრად აიგდონ იმ დღემდე, როცა უცბად, რკინისებური სიკერპით, ოღონდ ამაოდ, დაიწყებენ იმ მთაზე აცოცებას, საიდან დაშვებაც ოდესღაც ასე მაცდუნებელი ჩანდა, უფრო სწორად კი, დაიწყებენ მწვერვალზე აცოცებას, რომლის წვერზე თავის შემაგრებას და მერე უკან ჩამოსვლას ვეღარ შეძლებენ. იმათზეც, ვინც ჰომეროსთან შეთანხმება დადო, ჯერჯერობით აღარაფერი ვთქვათ და მხოლოდ მას შემდეგ ვილაპარაკოთ,

რაც მათ ბატონი დე შარლიუ გაიცნობს. ნურც ამ ჯიშის სხვა სახესხვაობებზე ვილაპარაკებთ, რადგან ისინი ისევ გამოჩნდებიან, ხოლო, დაწყებული თხრობა რომ დავამთავროთ, კიდევ რამდენიმე სიტყვა ვთქვათ იმათზე, ვისზეც სულ ახლახან დავიწყეთ საუბარი – დამარტოებულებზე. არასწორი იქნებოდა, გვეფიქრა, რომ ის ნაკლი, რომელიც მათ აქვთ, იშვიათობაა; როგორც კი ამ ნაკლს საკუთარ თავში აღმოაჩენენ, მას შემდეგ, რაც საკმაოდ დიდხანს ატარეს ისე, რომ მის არსებობაზე

ეჭვიც არ ჰქონდათ, ისინი სრულ სიმარტოვეში იწყებენ ცხოვრებას. თავიდან ხომ არავინ იცის, ვინ არის: გარყვნილი, პოეტი, სნობი თუ ბოროტმოქმედი. ზოგი მოწაფე, სიყვარულზე უამრავი ლექსი რომ წაიკითხა, უამრავი უხამსი სურათი ნახა, ამხანაგს ელაციცება, ჰგონია, მასთან მხოლოდ ქალისადმი ლტოლვა აერთიანებს. განა როდისმე აზრად მოუვა, რომ ისეთივე არ არის, როგორებიც სხვები არიან. რასაც იგი განიცდის, ამ გრძნობაზე წერდნენ ქალბატონი დე ლაფაიეტი, რასინი, ბოდლერი, ვოლტერი, უოლტერ სკოტი. თუმცა თვითდაკვირვების მხრივ ჯერ ისევ სუსტია, უნარი არა აქვს, მიხვდეს, რომ გრძნობა ერთია, საგნები კი სხვადასხვა; იქნებ, მას იგივე სურს, რაც რობ როის და არა დიანა ვერნონს?[15] ბევრის გონებას წინ თვითგადარჩენის ინსტინქტი უსწრებს და მათ ოთახებში აღარც სარკე ჩანს, არც კედლები, რადგან მსახიობი ქალების სურათებით არის დაფარული; წერით კი ასეთ ლექსებს წერენ:

მთელ ქვეყანას მირჩევნია
ღვთაებრივი

, ოქროსთავა
ის ოყლაყი ბიჭი.
გული ჩემი მისმა ტრფობამ
დანავლა და დაწვა.

შეიძლება კი აქედან დავასკვნათ, რომ ცხოვრების დასაწყისში ისინი რაღაც უცნაური, განსაკუთრებული ვნებით არიან შეპყრობილნი, რადგან შემდეგში მისი გამოვლინება არ ჩანს; განა ოქროსკულულებიანი ბავშვები მოგვიანებით ხშირად შავგვრემანები არა ხდებიან? ვინ იცის, იქნებ, ქალების ამ ფოტოსურათებში იფარება კიდეც მათი თვალთმაქცობის ჩანასახი და გახრწნილი მამაკაცებისადმი ზიზღის ჩანასახიც? მაგრამ დამარტოებულებისთვის თვალთმაქცობა მტანჯველია. ებრაელთა, ამ განსხვავებული თემის, მაგალითი, ალბათ, საკმარისად დამაჯერებელი არ არის იმის ასახსნელად თუ რა ცოტას ნიშნავს მათთვის აღზრდა და რა ეშმაკობებს აღარ მიმართავენ, რათა ყოველივე ისევ დაიწყოს, თუმცა ეს შეიძლება არც ისე საშინელია, როგორც თვითმკვლელობა (მიუხედავად მიღებული სიფრთხილის ზომებისა, გიჟები მაინც ცდილობენ საკუთარი თავის ხელყოფას: მდინარეში ხტებიან და მერე ამოჰყავთ, თავს იწამლავენ, პისტოლეტს შოულობენ და სხვა), ისევ დაიწყოს ახალი სიცოცხლე თავისი სიამეებით, რაც თავისი გამუდმებული საშიშროებებითა და სირცხვილის მარადიული გრძნობით სხვა ჯიშის ადამიანებს არათუ წარმოუდგენლად მიაჩნიათ, არამედ

საზიზღრობადაც, მათ დასასურათებლად, ალბათ, სწორი იქნება, ისინი იმ ცხოველებს კი არ შევადაროთ, რომელთა მოთვინიერებაც შეუძლებელია, არა ლომის ბოკვერებს, რომელთა მოშინაურებასაც ცდილობენ, მაგრამ, გაიზრდებიან თუ არა, ნამდვილ ლომებად იქცევიან, არამედ შავკანიანებს, რომელთაც თეთრების კომფორტული ცხოვრება სევდას ჰგვრით, ამიტომაც საფრთხით სავსე ველურ

ცხოვრებას და მისით გამოწვეულ ჩვენთვის გაუგებარ სიხარულს ამჯობინებენ. და აი, ის დღეც დგება, როცა დამარტოებულები ხვდებიან, რომ უნარი არა აქვთ, ერთდროულად სხვებიც ატყუონ და საკუთარი თავიც, თავის მსგავსებს (მათ სჯერათ, რომ ცოტანი არიან) გაურბიან და სოფელში გადადიან საცხოვრებლად, რადგან საკუთარი არაბუნებრიობა ზიზღის გრძნობას აღუძრავთ ან ეშინიათ, ისევ ცდუნებას არ აჰყვნენ, სხვა ადამიანებს კი სირცხვილის გამო გაურბიან. ნამდვილი სიმწიფის ხანას ვერასოდეს აღწევენ, გამუდმებული ნაღველი აწევთ, დროდადრო, კვირა საღამოს, როცა მთვარე არ ანათებს, სასეირნოდ მიდიან, გზაჯვარედინამდე გაუყვებიან, სადაც ბავშვობის რომელიმე მეგობარი, რომელიც იქვე მეზობლად ცხოვრობს, მდუმარედ ელოდებათ. და ისინი, ასევე უსიტყვოდ, სიბნელეში აგრძელებენ ოდესღაც ბავშვობაში ბალახზე დაწყებულ თამაშს. სხვა დღეებში ერთმანეთთან დადიან, აქეთურზე, იქითურზე ლაპარაკობენ, არც ერთი არ იხსენებს იმას, რაც მათ შორის მოხდა, თითქოს არაფერი ყოფილა და არც იქნება, ოღონდ საუბარში ოდნავ შესამჩნევი სიცივე და ირონია იგრძნობა, ხამუშ-ხამუშ გაღიზიანება და სიძულვილიც იელვებს. მერე მეზობელი ცხენით თუ ვირით მთაში, მწვერვალების დასალაშქრად, არცთუ იოლ

მოგზაურობაში მიდის, თოვლზე სძინავს; აქ დარჩენილი კი, ვისაც საკუთარი უზნეობა სუსტ ხასიათთან, მარტოობასთან, მოშიშობასთან გაუიგივებია, ხვდება, რომ თავისუფლებისკენ მიმსწრაფი მისი მეგობრის სულში, რომელიც ახლა ზღვის დონიდან ამდენ და ამდენ მეტრ სიმაღლეზე იმყოფება, ბიწიერება ვეღარ იზეიმებს. და მართლაც, ის მეგობარი ცოლს ირთავს. ცხადია, მიტოვებული მეგობარი ამის გამო არ გამოჯანმრთელდება (თუმცა, როგორც ეს შემდეგში გამოჩნდება, სხვა შემთხვევაში გარყვნილების განკურნება შესაძლებელია). ახლა მიტოვებული მეგობარი მოითხოვს, მერძევე ბიჭმა ახალი ნაღები დილაობით სამზარეულოში შეუტანოს, საღამოობით, როცა სურვილი მეტისმეტად აწუხებს, იქამდე მიდის, რომ თავდაკარგულ მთვრალს გზას აჩვენებს, ხოლო ბრმას პერანგს უსწორებს. ზოგიერთი გაუკუღმართება ზოგჯერ თითქოს იცვლება, ამათ ქცევებში უკვე აღარ ჩანს (ე. წ.) ბიწიერებაც, მაგრამ უკვალოდ არაფერი იკარგება: სადღაც მიგდებული ძვირფასი ნივთი ბოლოს მაინც გამოჩნდება; როცა ავადმყოფის მიერ გამოყოფილი შარდის რაოდენობა იკლებს, ეს ნიშნავს, რომ იგი ძლიერ იოფლება, მაგრამ აუცილებელია, გამონაყოფის რაოდენობა ძველებური დარჩეს. ერთ დღეს ამ ჰომოსექსუალისტს ახალგაზრდა ნათესავი უკვდება, იმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, როგორ დარდობს და იტანჯება, მივხვდებით, რომ მან სიყვარულის მოთხოვნილება ამ ნათესავზე გადაიტანა – სიყვარული შეიძლება უმანკოც იყოს, სიყვარული, რომელშიც პატივისცემა ფლობის სწრაფვაზე მაღლა დგას. როგორც ჭინჭრის ციება დროებით მაინც ავიწყებს ავადმყოფებს თავიანთ მუდმივ სნეულებებს, ასევე ამ გარყვნილი კაცის წმინდა

გრძნობამ ახალგაზრდა ნათესავისადმი, თუნდაც დროებით, მეტასტაზური გზით, შესაძლოა, მისი მიდრეკილება შეავიწროოს, მაგრამ ადრე თუ გვიან უკვე განკურნებული ავადმყოფობის ადგილს ისევ მუდმივი სნეულებები დაიკავებენ.

ამასობაში მისი დაქორწინებული მეზობელიც ბრუნდება; იმ დღეს, რა დღესაც მათი სადილზე დაპატიჟება მოუწია, ახალგაზრდა ცოლის სილამაზემ და მისდამი ქმრის ალერსიანმა მოპყრობამ დამარტოებულს თავისი წარსულის გამო სირცხვილის გრძნობა აღუძრა. ცოლი უკვე საინტერესო მდგომარეობაშია და შინ ადრე უნდა წავიდეს. ის მიდის და ქმარს მეგობართან ტოვებს; როცა წასვლის დრო დაუდგება, სტუმარი მეგობარს გაცილებას სთხოვს; ეს ვერაფერს ხვდება, აცილებს; გზაჯვარედინთან კი ალპინისტი, რომელიც მალე მამა უნდა გახდეს, უსიტყვოდ ისევ ბალახზე წამოაქცევს. ამიერიდან მათი შეხვედრებიც ხელახლა იწყება და იმ დღემდე გრძელდება, ვიდრე მათ ახლოს ახალგაზრდა ცოლის ნათესავი არ ჩასახლდება; ქმარი ახლა უკვე მასთან ერთად აწყობს გასეირნებებს. და, როცა მიტოვებული მეგობარი საღამოხანს მასთან შეივლის, ის ღვარძლიანად იშორებს თავიდან, აღშფოთებული იმით, რომ ყოფილ მეგობარს იმდენი ტაქტი არ ეყო, რათა ეგრძნო, რაოდენ საძულველი გახდა ახლა მისთვის. ერთხელაც მასთან ვიღაც უცნობი მოდის, რომელიც მოღალატე მეზობელმა გამოუგზავნა; მიტოვებულს ძალიან ბევრი საქმე ჰქონდა და მისთვის არ ეცალა. მხოლოდ მოგვიანებით მიხვდა, რა მიზნითაც ეწვია ეს უცხო კაცი.

მიტოვებულს მარტოობა აწამებს. ერთადერთი მისი გასართობი პლაჟის ახლოს მდებარე სადგურში სიარული და რკინიგზის თანამშრომელთან საუბარია. მაგრამ თანამშრომელს მალე აწინაურებენ და სადღაც, საფრანგეთის მეორე ბოლოში გადაჰყავთ სამუშაოდ; მარტოხელა უკვე ვეღარავისგან იგებს, როდის რომელი მატარებელი გადის, რა ღირს პირველი კლასის ვაგონის ბილეთი, მაგრამ სახლში უცბად არ ბრუნდება, რათა გრიზელდასავით[16] იოცნებოს, დიდხანს ვერ შორდება პლაჟს, შეიძლება იგი ანდრომედას[17] მსგავს ვინმედაც მივიღოთ, ოღონდ ამ ანდრომედას გასათავისუფლებლად არგონავტი არ მოვა, ანდა უნაყოფო მედუზად, რომელსაც ქვიშაზე დაღუპვა უწერია; ზოგჯერ მატარებლის გასვლამდე ბაქანზე ზანტად სეირნობს და მგზავრებს ისეთი თვალით უყურებს, რომ ეს გამოხედვა სხვა ჯიშის ადამიანებს, ალბათ, უგრძნობი ეჩვენებათ, აგდებული და გაფანტული, სინამდვილეში კი, როგორც ზოგიერთი მწერი თავისივე ჯიშის მწერის მისატყუებლად ანათებს ან ზოგი ყვავილი ნექტარს აფრქვევს, რათა მიიზიდოს მწერი, რომელიც გაანაყოფიერებს, ისეთი თვალით იყურება, რომლითაც ვერ მოატყუებ მეტისმეტად უჩვეულო სიამოვნების მოყვარულ, მეტისმეტად იშვიათ გამვლელს; ამ გამოხედვით არ მოტყუვდება თანამოაზრე, ვისთანაც ჩვენი სპეციალისტი ორივე მათგანისთვის გასაგებ ენაზე ლაპარაკს შეძლებდა; ეს კია, განა ბაქანზე ვინმე კონკიაჟღარუნა ისეთ სახეს მიიღებს, რომ შეიმჩნიოს ამ გამოხედვამ დამიმორჩილაო? მაგრამ აი, მატერიალური მოსაზრებით კი ხელმძღვანელობს, როგორც ის, ვინც კოლეჟ დე ფრანსის[18] ცარიელ აუდიტორიაში, სადაც სანსკრიტის პროფესორი ლექციას კითხულობს, მხოლოდ იმისთვის

შედის, რომ გათბეს. მედუზა! ორქიდეა! როცა ბალბეკში ჩემში მხოლოდ ინსტინქტი ლაპარაკობდა, მედუზა მეზიზღებოდა; მაგრამ უნარი რომ მქონოდა, მისთვის ისე

შემეხედა, როგორც მიშლე[19] შეხედავდა, ბუნების მკვლევარისა და ესთეტის თვალით, მაშინ საუცხოო ლაჟვარდოვან სხივთა კონას დავინახავდი. განა მედუზები თავიანთი გამჭვირვალე ხავერდოვანი ფურცლებით ზღვის იასამნისფერი ორქიდეები არ გახლავან? მსგავსად ცხოველური სამყაროს არსებათა მრავალფეროვნებისა, მსგავსად მცენარეული სამყაროს ამდენი ნაირსახეობისა, იმ მცენარის მსგავსად, რომელიც ვანილს გვაძლევს, თუკი კოლიბრი ან რომელიღაც ფუტკარი მტვერს ერთი ორგანოდან მეორეში გადაიტანს ან ადამიანი ხელოვნურად გაანაყოფიერებს, ბატონი დე შარლიუც (და აქ სიტყვა «განაყოფიერება» მორალური აზრით უნდა გავიგოთ, რადგან ფიზიკური გაგებით ერთი მამლის კავშირი მეორე მამალთან უნაყოფოა, მაგრამ ინდივიდუუმისთვის უმნიშვნელო როდია მისთვის გამოყოფილი ერთადერთი სიამოვნების შესაძლებლობის მიღება, არც იმის გაცნობიერებაა სულერთი, რომ «ყველა სულიერმა» შეიძლება ვინმეს ძღვნად მიართვას «თავისი ჰანგი, ცეცხლი და სურნელი») იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომელთაც შეიძლება გამონაკლისი ვუწოდოთ. ისეთი ადამიანები, როგორიც ბატონი დე შარლიუ ბრძანდება (აუცილებლობის შემთხვევაში შეგუება რომ შეუძლიათ, რასაც მერე ნელ-ნელა გაიცნობიერებენ, თუმცა ამის მიხვედრა თავიდანვე იყო შესაძლებელი; შეგუება იმისთვის, რომ თანაზიარი და ურთიერთდამაკმაყოფილებელი სიამოვნება მიიღონ), თანაზიარი სიყვარულისკენ სწრაფვისას, გარდა დიდი, ზოგჯერ

გადაულახავი წინააღმდეგობისა, რაც ნორმალურ ადამიანებს ეღობებათ ხოლმე, სრულიად განსაკუთრებულ წინააღმდეგობებსაც ეჯახებიან და ის, რაც უიშვიათეს მონაპოვარს წარმოადგენს, მათთვის თითქმის მიუღწეველია, და, თუ მათ ცხოვრებაში ნამდვილად ბედნიერი შეხვედრა არსებობს ან ისეთი, როგორსაც ბუნება ნამდვილ ბედნიერებად ასაღებს, მაშინ ის განუზომელ, საუცხოო საჩუქრად ეჩვენებათ, მხოლოდ რჩეულთათვის განკუთვნილად, და უფრო მნიშვნელოვანი ჰგონიათ, ვიდრე ჩვეულებრივ შეყვარებულებს. დიახ, კაპულეტებისა და მონტეგების მტრობა, სავსე ყველა შესაძლებელი დაბრკოლებითა და განსაკუთრებული წინააღმდეგობით, რომელიც ბუნებამ მათ ირგვლივ განალაგა, ასეთ სიყვარულს წარმოშობს. და, ვიდრე ცდუნებული ჟილეტების ყოფილი მკერავი ამ ორმოცდაათი წლის ღიპიანი კაცის წინაშე ტორტმანებდა და წრიალებდა, ჭკვიანური აზრი მოუვიდა: უკვე დრო იყო, სამსახურში წასულიყო. ამ რომეოსა და ჯულიეტას სრული საფუძველი ჰქონდათ, ეფიქრათ, რომ მათი სიყვარული წუთიერი კაპრიზი არ იყო, არამედ ნამდვილი და წინასწარ განზრახულიც გახლდათ, რადგან იგი მათი ტემპერამენტის ჰორმონებში იყო ჩადებული, და არა მარტო მათი, არამედ მათი შორეული წინაპრების ტემპერამენტის მემკვიდრეობითობაშიც, თანაც ისე კარგად ჩადებული, რომ მათ შეუძლიათ იფიქრონ, ერთმანეთისკენ ის ძალა იზიდავთ, რომელიც იმ სამყაროებს მართავს, სადაც ჩვენმა წინა ცხოვრებებმა ჩაიარა. ბატონმა დე შარლიუმ ყურადღება გამიფანტა, კრაზანა დამავიწყდა და ვეღარ გავიგე, მოუტანა თუ არა მან ორქიდეას მისთვის ესოდენ სასურველი მტვერი. ამ დღის შემდეგ ბატონმა დე შარლიუმ ქალბატონ დე

ვილპარიზისთან სტუმრად მოსვლის დრო შეცვალა, არა იმიტომ, რომ ჟიუპიენს სადმე სხვაგან უფრო მშვიდ გარემოში ვერ შეხვდებოდა, არამედ იმიტომ, რომ მისთვის, ისე, როგორც ჩემთვისაც, ეს მათი პირველი შეხვედრა, ალბათ, შუადღის მცხუნვარე მზისა და აყვავილებული მცენარეების მოგონებებთან იყო დაკავშირებული. ბატონმა დე შარლიუმ ჟიუპიენებს ქალბატონ დე ვილპარიზისთან, ჰერცოგინია დე გერმანტთან და სხვა ბევრ წარჩინებულ ქალთან გაუწია რეკომენდაცია და იმათაც აღარ დააყოვნეს, ახალგაზრდა მკერავი ქალი შეკვეთებით აავსეს, იმათ კი, ვინც მკერავთან ურთიერთობა არ ისურვა ანდა შეაგვიანდა, ბარონმა თავს მთელი თავისი რისხვა დაატეხა, ალბათ, იმიტომ, რომ სხვებისთვის ეს გაკვეთილი ყოფილიყო, ან, იქნებ, იმიტომაც, რომ გაბედეს და ურჩობა გამოიჩინეს; მაგრამ მარტო ამას არ დასჯერდა, ჟიუპიენისთვის უფრო და უფრო ხელსაყრელ თანამდებობებს პოულობდა, ბოლოს მდივნად აიყვანა იმ პირობებით, რაზეც მოგვიანებით გვექნება ლაპარაკი. «ბედნიერი კაცია ეს ჟიუპიენი!» ამბობდა ფრანსუაზი, რომელსაც ერთი უცნაური თვისება ჰქონდა – ან უნდა დაემცრო, ან გაეზვიადებინა სიკეთე, იმის მიხედვით, თუ ვის გაუკეთეს იგი, მას თუ ვინმე სხვას. მაგრამ ახლა სხვა შემთხვევასთან გვქონდა საქმე, მას ჟიუპიენი გულწრფელად უყვარდა, ამიტომ არც მისი წარმატებების გაზვიადების სურვილი ჰქონდა და არც შურდა. «ბარონი ისეთი კეთილი კაცია, – დაუმატებდა, – ღვთისმოსავი და პატიოსანი. გასათხოვარი ქალიშვილი რომ მყავდეს და მდიდარიც ვყოფილიყავი, არც კი დავფიქრდებოდი, ბარონს მივათხოვებდი». «მაგრამ, ფრანსუაზ, – მშვიდად ეუბნებოდა დედაჩემი. – მაშინ თქვენს ქალიშვილს ორი ქმარი

ეყოლებოდა. აბა, გაიხსენეთ, თქვენ ხომ უკვე აღუთქვით ჟიუპიენს, ცოლად გამოგაყოლებო». «აჰ, ქალბატონო, – პასუხობდა ფრანსუაზი. – ამათთან ქალი ბედნიერი იქნება. არამზადასთან კი, მდიდარი იქნება თუ ღარიბი, ტირილი არ აგცდება. ბარონი და ჟიუპიენი კარგი ხალხია».

უნდა გითხრათ, რომ მას შემდეგ. რაც პირველად აღმოვაჩინე ესოდენ იშვიათი კავშირი, მისი განსაკუთრებულობა კარგა გავაზვიადე. ბუნებრივია, ისეთი მამაკაცები, როგორიც ბატონი დე შარლიუ ბრძანდება, უჩვეულო არსებები არიან, რადგან ცხოვრების მიერ შემოთავაზებულ პირობებთან გარიგებაზე არ მიდიან და სიყვარულს უპირატესად სხვა მოდგმის კაცთან ეძებენ, ასე ვთქვათ, ქალების მოყვარულ კაცთან (აქედან გამომდინარე, მას ამის შეყვარება არ შეუძლია); მაგრამ, მიუხედავად იმისა, თუ რას ვფიქრობდი, ეზოში, სადაც ჩემ თვალწინ ჟიუპიენი ბატონ დე შარლიუს ირგვლივ ისე იშლებოდა, ისე ეკურკურებოდა, როგორც ორქიდეა კრაზანას, ეს უჩვეულო ადამიანები მაინც სიბრალულის გრძნობას აღძრავენ – რაც შემდეგი თხრობისას გამოჩნდება და მიზეზთა გამო მხოლოდ ბოლოში გაიხსნება – აკი თვითონვე უფრო იმაზე ჩივიან, რომ ბევრნი არიან, და არა იმაზე, რომ ცოტანი ბრძანდებიან. სოდომის კარიბჭესთან ორი ანგელოზი დააყენეს, რათა გაიგონ, მისი მცხოვრებლები, რომელთა ხორხოციც უზენაესამდე აღწევს, ზუსტად ისე თუ იქცევიან, როგორც ნათქვამია შესაქმეთა წიგნში; უფალმა ნაჩქარევი გადაწყვეტილება

მიიღო, რაც მხოლოდ უნდა გვიხაროდეს, უკეთესი კი იყო, ეს საქმე რომელიმე სოდომელისთვის მიენდო. ასეთი თავის მართლება კი – ექვსი შვილის მამა ვარ, ორი ხარჭა

მყავს და სხვა – გულს ვერ მოულბობდა მას, ვერც სასჯელის ზომას შეამცირებდა და ვერც ცეცხლოვანი მახვილის ტყორცნას შეაჩერებდა; და იგი უპასუხებდა: «დიახ, მაგრამ ცოლსა შენსა ეჭვი აწამებს, მაშინაც კი, როცა ქალებს გომორში არ ეძებ და ღამეებს ჰევრონის სამწყსოს მწყემსთან ატარებ». და მაშინვე ცეცხლისა და გოგირდის წვიმებით განადგურებისთვის განწირულ ქალაქში დააბრუნებდა. მაგრამ ასე მოქცევა არ ინება: ყველა სოდომელს, ვისაც სირცხვილის გრძნობა კიდევ შემორჩენოდა, გაქცევის ნება მისცა, ისიც კი, ვინმე ჭაბუკის დანახვისას უკან რომ მოიხედა, არ გაუწირავს და ლოტის ცოლივით[20] მარილის ქანდაკად არ უქცევია. და მათგან იშვა მრავალრიცხოვანი შთამომავლობა, რომლებსაც ეს საქმიანობა ჩვეულებად ექცათ, მსგავსად იმ გარყვნილი დედაკაცების საქმიანობისა, რომლებიც ვითომ ვიტრინაში ფეხსაცმელს ათვალიერებენ, სინამდვილეში კი სტუდენტებს უთვალთვალებენ. სოდომელთა შთამომავლობა ისე მრავალრიცხოვანია, რომ ამათაც უნდა დაერთოს შესაქმეთა წიგნიდან ორიოდ სიტყვა: «თუ ვინმე შეძლებს დედამიწაზე მტვრის დათვლას, მაშინ შთამომავლობა მისი დათვლილი იქნება»[21]; ისინი მთელ დედამიწაზე გავრცელდნენ, რაც უნდათ, იმას აკეთებენ, უჩვეულოდ ადვილად ხდებიან ისეთი კლუბების წევრები, სადაც შეღწევა მეტისმეტად შეზღუდულია, და, თუ რომელიმე მათგანს არ მიიღებენ, ეს ნიშნავს, რომ შავი ბურთულების უმრავლესობა, ძირითადად, ისევ ისეთივე სოდომელებმა ჩაუყარეს, როგორებიც თვითვე არიან და რომლებიც სოდომის ცოდვას ცეცხლად და მახვილად ევლინებიან, რადგან წინაპართაგან მემკვიდრეობად სიცრუე მიიღეს, რომლის წყალობითაც

მოახერხეს და ეს უფლისგან დაწყევლილი ქალაქი დატოვეს. შეიძლება, ერთ მშვენიერ დღეს იქაც დაბრუნდნენ. ყველა ქვეყანაში ისინი რაღაც განსაკუთრებულ აღმოსავლურ კოლონიას ქმნიან, განათლებულს, მუსიკალურს, გულღრძოს, მომაჯადოებელი ღირსებებითა და აუტანელი ნაკლით გამორჩეულს. შემდეგში მკითხველს ამ ადამიანებზე უფრო ზუსტ წარმოდგენას შევუქმნით, მაგრამ აქვე გვინდა დავამატოთ, რომ სოდომისტური მოძრაობის ჩამოყალიბების განზრახვა, სოდომის ხელახლა აშენება არანაკლებ დამღუპველია, ვიდრე სიონისტური მოძრაობის წაქეზება. სოდომისტები ვერც კი მოასწრებენ ამ ქალაქში შესვლას, რომ მაშინვე მიატოვებენ, რათა მისი მუდმივი მცხოვრები არავის ეგონოს, სხვა ადგილებში წავლენ, სადაც ცოლებს იპოვიან, სადაც საყვარლებს შეინახავენ და სადაც მათ განკარგულებაში იქნება უამრავი მაცდუნებელი გასართობი. სოდომს მხოლოდ უკიდურესი საჭიროების შემთხვევაში ეწვევიან, როცა მათი ქალაქები დაცარიელდება, ეს იქნება ჟამი, როცა შიმშილი მგელს ტყიდან აძევებს, მოკლედ, ყველაფერი ისე აეწყობა, როგორც ეს ახლა არის ლონდონში, ბერლინში, რომში, პეტერბურგში, პარიზში.

იმ დღეს კი, ჰერცოგინიასთან ვიზიტის წინ, შორს ვერ გავიხედე და გული მწყდება, რომ ჩემი ყურადღება ჟიუპიენ-შარლიუს კავშირმა მიიჯაჭვა და შეიძლება ამის გამოც ვეღარ ვნახე, როგორ გაანაყოფიერა კრაზანამ ყვავილი.

თავი პირველი

ბატონი დე შარლიუ მაღალ საზოგადოებაში.

ექიმი. – ქალბატონი დე ვოგუბერის დამახასიათებელი ნიშანი. – ქალბატონი დ'არპაჟონი, იუბერ რობერის შადრევანი და დიდი მთავრის, ვლადიმირის მხიარულება. – ქალბატონი დ'ამონკური, ქალბატონი დე სიტრი, ქალბატონი დე სენტ-ევერტი და სხვები.

სვანისა და პრინც დე გერმანტის საინტერესო საუბარი. – ალბერტინი ტელეფონთან.

ვიზიტები ბალბეკში ჩემს მეორე და ბოლო ჩასვლამდე. – ბალბეკში ჩასვლა. – გრძნობათა აფეთქება.

გერმანტების ამ წვეულებაზე მისვლას სულაც არ ვჩქარობდი, რადგან დარწმუნებული არ ვიყავი, რომ ნამდვილად მიმიწვიეს, ამიტომ ქუჩაში თავისუფლად ყიალი ვარჩიე, მაგრამ ზაფხულის ამ დღეს არც თავად მიეჩქარებოდა არსად და არც ჩემს დაჩქარებას ცდილობდა. თუმცა ცხრა საათზე მეტი იქნებოდა, თანხმობის მოედანზე აღმართულ ლექსორის ობელისკს[22]

ვარდისფერი მაინც ნუგისფერით ახალისებდა. მერე შეფერილობა შეუცვალა, რაღაც მეტალის დარ ნივთიერებას დაამსგავსა, რის გამოც ობელისკი არა მარტო ძვირფას ნივთად იქცა, არამედ როგორღაც დაწვრილდა კიდეც და დამყოლი გახდა. წარმოსახვამ მიმანიშნა, რომ ამ განძის არათუ მოღუნვა, არამედ ოდნავ გამრუდებაც შეიძლებოდა, მთვარეს, ამწუთას ვიღაცის მიერ სულ ახლახან ფაქიზად მოჭრილ, ჯერ შეუჭმელ ფორთოხლის ერთ კბილს რომ ჰგავდა – მოგვიანებით იგი ოქროს უმტკიცეს ჩამონაჭერს დაემსგავსება – უკან ერთადერთი საცოდავი, პატარა ვარსკვლავი, მისი თანამგზავრი, მიკუნტვოდა, რომელსაც მარტოხელა მთვარე მფარველად მოვლენოდა; იგი გაბედულად მიიწევდა წინ და უკვე აღმოსავლური რომელიღაც სიმბოლოს მსგავსი თავისი ფართო, საუცხოო ნამგლის, როგორც უძლეველი იარაღის, აღმართვასაც აპირებდა.

პრინცესა დე გერმანტის სასახლის წინ ჰერცოგ დე შატელროს გადავეყარე; უკვე აღარც მახსოვდა, რაღაც ნახევარი საათის წინათ შიში როგორ მტანჯავდა – თუმცა მალე ისევ დამიბრუნდება – შიში, რომ საღამოზე მიწვეული არ ვიყავი და დაუპატიჟებლად მივდიოდი. ზოგჯერ ადამიანს შფოთვა ეუფლება, მაგრამ, საკმარისია, უცებ ყურადღება სხვა რამეზე გადავიდეს და შეშფოთების მიზეზი გვავიწყდება, მერე ისევ გვახსენდება, თუმცა მაშინვე არა, მას შემდეგ, რაც საფრთხე

გაივლის. ახალგაზრდა ჰერცოგს მივესალმე და სასახლეში შევედი. აქ ერთ ნაკლებად მნიშვნელოვან გარემოებაზე უნდა გავამახვილო ყურადღება, იგი თავისთავად

წვრილმანია, მაგრამ მისი წყალობით ადვილი გასაგები გახდება ის, რაზეც ამის შემდეგ გვექნება ლაპარაკი.

იყო ერთი ადამიანი, რომელიც ამ საღამოს, ისევე, როგორც წინა დღეებში, ბევრს ფიქრობდა ჰერცოგ და შატელროზე, თუმცა წარმოდგენა არ ჰქონდა, ვინ იყო იგი; ეს ადამიანი გახლდათ პრინცესა დე გერმანტის შვეიცარი (იმ დროში შვეიცარებს მეტსახელად «მოძახურებს» ეძახდნენ). ბატონი დე შატელრო სულაც არ მიეკუთვნებოდა პრინცესას მეგობართა წრეს – იგი მხოლოდ მისი ერთ-ერთი შორეული ბიძაშვილი იყო და დღეს პირველად ამიტომაც გაუღეს სალონის კარი. დე შატელროს მშობლები პრინცესასთან ნაჩხუბრები იყვნენ და ათი წელი ერთმანეთს ხმას არ სცემდნენ, მხოლოდ ორიოდე კვირის წინათ შერიგდნენ და, რადგანაც ამ საღამოს პარიზიდან უნდა გამგზავრებულიყვნენ, წვეულებაზე ოჯახის სახელით ვაჟიშვილი გამოგზავნეს. მანამდე კი, ორიოდე დღით ადრე, პრინცესას შვეიცარი ელისეს მინდვრებზე სეირნობისას ერთ ახალგაზრდა კაცს გადაეყარა, რომლითაც, ცხადია, მოიხიბლა, მაგრამ ვერ გაიგო, ვინ იყო, რას წარმოადგენდა. და არა იმიტომ, რომ ეს ახალგაზრდა ისეთივე თავაზიანობით არ გამოირჩეოდა, როგორი ხელგაშლილიც ბრძანდებოდა. ყველა ის სამსახური, რომელიც, როგორც შვეიცარს მიაჩნდა, კეთილშობილი ახალგაზრდისთვის აუცილებლად უნდა აღმოეჩინა, ბატონმა თვითონ გაუწია. მაგრამ ბატონი დე შატელრო, თუმცა დიდად ფრთხილი კაცი არ იყო, მხდალიც აღმოჩნდა; საკუთარი ვინაობის გამხელა არ ისურვა და ინკოგნიტოდ

დარჩენა ამჯობინა, ძირითადად კი იმიტომ, რომ არ იცოდა, ვისთან ჰქონდა საქმე; კიდევ უფრო მეტად შეშინდებოდა – თუმცა ამისი საფუძველი არ ჰქონდა – მისთვის ესეც რომ ცნობილი გამხდარიყო. თავი ინგლისელად გაასაღა, და რამდენიც არ უტრიალა ცნობისმოყვარეობააღძრულმა შვეიცარმა, რომელსაც სურვილი კლავდა, კიდევ შეხვედროდა იმ ადამიანს, ამდენი სიამოვნება რომ მიანიჭა და გულუხვადაც დააჯილდოვა, ის, ვიდრე გაბრიელის ავენიუზე მიაბიჯებდნენ, მის ყველა კითხვაზე პასუხობდა: «I do not speak french»[23].

თუმცა ჰერცოგ დე გერმანტს მშვენივრად ახსოვდა, მისი ბიძაშვილი, დედის მხრიდან ვის მოდგმასაც ეკუთვნოდა, მაინც ამტკიცებდა პრინცესა გერმანტ-ბავარიელის სალონში კურვუაზიეს[24] საგვარეულოდან რაღაც არის გადმოყოლილიო, მაშინ, როცა სხვები ამ ქალბატონის გამომგონებლურ ნიჭზე, გონებრივ უპირატესობაზე, ახლის ძიებისკენ სწრაფვაზე უფრო ლაპარაკობდნენ, რასაც სხვაგან, ამ წრეში, ვერსად შეხვდებოდით. პრინცესა დე გერმანტთან რა საზეიმო წვეულებაც უნდა გამართულიყო, ვახშმის შემდეგ შეხვიდოდით სალონში და აღმოაჩენდით, სკამები პატარ-პატარა ჯგუფებად ისე ეწყო, საჭიროების შემთხვევაში სტუმრებს შეეძლოთ, ერთმანეთთან ზურგშექცევით დამსხდარიყვნენ. თვითონ პრინცესაც ერთ ასეთ

ჯგუფს შეუერთდებოდა ხოლმე; იმ ჯგუფს, რომელსაც იმ დღეს ვითომ უპირატესობას ანიჭებდა და თავის სოციალურ მდგომარეობასაც მიანიშნებდა. თუმცა არც იმას

ერიდებოდა, სხვა ჯგუფიდან ვინმე ამოერჩია და საუბარში ჩაეთრია. დავუშვათ, მაგალითად, ბატონ დეტაის[25] ეუბნება – რომელიც, ბუნებრივია, დაეთანხმება – რომ ქალბატონ დე ვილმიურს, მათგან ზურგით რომ ზის მეორე რიგში, ლამაზი კისერი აქვს. პრინცესა, ცხადია, აღარ დააყოვნებს და მაშინვე ხმამაღლა გასძახებს: – «ქალბატონო დე ვილმიურ! ისეთი დიდი მხატვარი, როგორიც ბატონი დეტაია, თქვენი კისრით მოხიბლულია და თვალი ზედ რჩება». ქალბატონმა დე ვილმიურმა ეს შეხმაურება საუბარში ჩართვის მიწვევად მიიღო; მარჯვედ, ცხენოსნობის მოყვარულთ რომ სჩვევიათ, ისე, მეზობლები ოდნავადაც არ შეუწუხებია, თავისი სკამი სრული სამი მეოთხედი ბრუნით შემოატრიალა და თითქმის პრინცესას პირისპირ აღმოჩნდა. «როგორ? ბატონ დეტაის არ იცნობთ?» – ჰკითხა დიასახლისმა, რომელსაც სტუმრის დახვეწილი და ოსტატური ბრუნი არ ეყო. «თვითონ მას არ ვიცნობ, მაგრამ მისი ტილოები მინახავს», – მოკრძალებული, მომაჯადოებელი ხმით უპასუხა ქალბატონმა ვილმიურმა. მაშინ პრინცესას თავისი სიტყვები ოფიციალური ნაცნობობის დასაწყისად საკმარისად არ მოეჩვენა და მისთვის დამახასიათებელი ძალდაუტანებლობით, რაც ბევრს შურდა, მხატვარს, ოდნავ შესამჩნევად მისკენ თავდახრილი, ეუბნება: «მოდით, ბატონო დეტაი! ქალბატონ დე ვილმიურს გაგაცნობთ». ამ უკანასკნელმა კი ისეთივე გერგილიანობა გამოიჩინა, სულ ახლახან რომ ვნახეთ, და «ზმანების» ავტორს ადგილიც უშოვა და თვითონაც მისკენ შებრუნდა. პრინცესამ კი სკამი თვითონ მიიწია, იგი ხომ ქალბატონ დე ვილმიურს მხოლოდ იმიტომ გამოელაპარაკა, მიზეზი ჰქონოდა, ამ წრეს ჩამოშორებოდა, სადაც უკვე, ეტიკეტის წესების თანახმად, ათი წუთი იჯდა

და ზუსტად ამდენივე წუთი უნდა გაეტარებინა სხვებთანაც. ორმოცდახუთი წუთის განმავლობაში ყველა ჯგუფი შემოიარა, სტუმრებს ეგონათ, ამას შთაგონების გამო აკეთებდა ან ვინმესადმი კეთილგანწყობის ნიშნად, მთავარი მიზანი კი ის გახლდათ, რომ სხვებისთვის ეჩვენებინა, რა ბუნებრივად «იღებს სტუმრებს დიდი ქალბატონი». სტუმრებმა უკვე დაიწყეს საღამოს წვეულებაზე მოსვლა; სასახლის დიასახლისი, წარმოსადეგი, ამაყი, მეფური დიდებით მოსილი, ბუნებით მომადლებული მგზნებარებაჩამდგარი თვალებით კართან ახლო იჯდა და ორ უთვალადო უმაღლესობასა და ესპანეთის ელჩის ცოლს ესაუბრებოდა.

ჩემზე ადრე მოსული რამდენიმე სტუმრის შემდეგ დავიკავე რიგი. ჩემ წინ პრინცესა დავინახე, ცხადია, არამხოლოდ მისი განუმეორებელი მშვენიერების წყალობით დამამახსოვრდება ეს წვეულება, რომელზეც მრავალმა სხვა ლამაზმანმაც მოიყარა თავი; მაგრამ სასახლის დიასახლისის სილამაზე იმდენად უზადო იყო, სახე – ულამაზესი მედალიონივით ისე დახვეწილად ნაკვეთი, უმწიკვლოების განსახიერებას წარმოადგენდა და არ შეიძლებოდა, ჩემს მეხსიერებაში არ აღბეჭდილიყო. მას საღამოს გამართვამდე რამდენიმე დღით ადრე ჩვეულებად

ჰქონდა, სადმე შეხვედრილი მოწვეული სტუმრებისთვის ეკითხა: «ხომ აუცილებლად მობრძანდებით?» თან ისე ეკითხებოდა, შეიძლება კაცს ეფიქრა, რომ მათთან საუბარი სწყუროდა. პირიქით კი იყო, სტუმრებთან სალაპარაკო არაფერი ჰქონდა, როცა ისინი მის წინ ჩაივლიდნენ, ადგილიდან არ იძვროდა, მხოლოდ იმით კმაყოფილდებოდა, ერთი წამით

შეეწყვიტა ამაო ლაყბობა იმ ორ უმაღლესობასთან და ელჩის ცოლთან, მადლიერების გამომხატველი სიტყვები რომ ეთქვა: «რა სასიამოვნოა, რომ მობრძანდით». ამ სიტყვებს განა იმისთვის ამბობდა, სტუმრების მობრძანების გამო მათი განსაკუთრებული თავაზიანობისთვის გაესვა ხაზი, არა, იმიტომ ამბობდა, რომ ეჩვენებინა, თვითონ რა განსაკუთრებულად თავაზიანი იყო მათ მიმართ; მერე, სწრაფად რომ მოეშორებინა, მაშინვე უმატებდა: «ბატონ დე გერმანტს ბაღის შესასვლელთან ნახავთ» და სტუმარიც ბაღის შესასვლელისკენ მიდიოდა, რათა პრინცს მისალმებოდა. ზოგიერთს ამასაც არ ეუბნებოდა, მხოლოდ თავის ონიქსისფერ საუცხოო თვალებს ისე აჩვენებდა, თითქოს ისინი ძვირფასი ქვების გამოფენის დასათვალიერებლად ყოფილიყვნენ მოსულნი.

ჰერცოგ დე შატელროს პირველს, ჩემზე ადრე, უნდა ჩაევლო პრინცესას წინ.

ღიმილს ღიმილით უპასუხა, სალონიდან მისალმების ნიშნად აწეულ ხელს თვითონაც ხელი აუწია, აი, შვეიცარი კი ვერ შენიშნა. ხოლო შვეიცარმა დანახვისთანავე იცნო. ცოტა კიდევ და, საბოლოოდ დარწმუნდა, რომ არ შემცდარა. როცა თავის გუშინწინდელ «ინგლისელს» გვარი ჰკითხა, რათა გამოეცხადებინა, აღელდა, ეგონა, უტაქტოდ და უღირსად იქცეოდა. მოეჩვენა, რომ უკადრისი გზით ცდილობდა, მისთვის საიდუმლო გამოეძალა, რათა ყველას წინაშე გაემჟღავნებინა. სტუმრის პასუხი: «ჰერცოგი დე შატელრო» რომ შემოესმა, სიამაყისგან წამით

დამუნჯდა. ჰერცოგმა შეხედა, იცნო და იფიქრა დავიღუპეო, ამასობაში შვეიცარი გონს მოეგო: ტიტულების ჩამოთვლის ხელოვნებაში გაწაფულმა პროფესიული მაღალი ხმით, რიხიანობის ტონს ინტიმურობის ხავერდოვნება რომ შეაზიარა, წარმოთქვა: «მისი ბრწყინვალება, ჰერცოგი დე შატელრო!» ახლა ჩემი მოსვლა უნდა გამოეცხადებინა. მთელი ჩემი ყურადღება სასახლის დიასახლისმა შთანთქა, რომელმაც ჯერ ვერ შემამჩნია, არც იმ საზარელ მოვალეობაზე მიფიქრია, საზარლის ჩემთვის, თუმც სხვანაირად საზარლის, ვიდრე ჰერცოგ დე შატელროსთვის, ჯალათივით შავებში ჩაცმული შვეიცარის საზარელ მოვალეობაზე, ნაირფერ ლივრეებში გამოწყობილი ლაქიების მთელი ამალა რომ ერტყა გარს, მაგარი, ყოჩაღი ბიჭების მოვალეობაზე, მუდამ მზად რომ იყვნენ, დაუპატიჟებელი სტუმრისთვის ხელი ეტაცათ და კარში გაეგდოთ. შვეიცარმა გვარი მკითხა, ისევე მექანიკურად ვუპასუხე, როგორი მექანიკურობითაც სიკვდილმისჯილი ჯალათს კუნძზე მიბმის საშუალებას აძლევს. შვეიცარმა თავი დიდებულად აწია, ვერ მოვასწარი მეთხოვა, ხმადაბლა გამოეცხადებინა ჩემი მისვლა და ამით ჩემი თავმოყვარეობა დაენდო იმ შემთხვევისთვის, თუ არ მიმიპატიჟებდნენ, და თავმოყვარეობა პრინცესა დე

გერმანტისა იმ შემთხვევაში, თუ მიმიწვევდნენ, რომ... ისეთი სიძლიერით ამოხეთქა ჩემთვის მტანჯველი მარცვლების შეხამებამ, ცოტას დარჩა, სასახლის თაღი არ შეზანზარდა.

სახელოვანი ჰაქსლი[26] (რომლის ძმისწულსაც[27] ახლა პირველი ადგილი უკავია ინგლისურ

ლიტერატურულ სამყაროში) გვიამბობს, რომ ერთი მისი პაციენტი ქალი საზოგადოებაში გამოსვლას ვეღარ ბედავდა, რადგან ხშირად ხდებოდა: სავარძელში, რომელსაც მოკრძალებით სთავაზობდნენ დასაჯდომად, უკვე იჯდა ვიღაც მოხუცი. ის დარწმუნებული იყო, რომ ან ის ჟესტი იყო ჰალუცინაცია, სავარძელში ჩაჯდომას რომ სთავაზობდა, ან სავარძელში მჯდარი მოხუცი, რადგან უკვე დაკავებული ადგილის შეთავაზება შეუძლებელია. და, როცა ჰაქსლიმ, ავადმყოფი რომ განკურნა, საღამოს წვეულებებზე სიარული აიძულა, ქალი პირველად ერთობ მძიმე ეჭვებმა შეიპყრო – ასე მოკრძალებით სავარძლის შემოთავაზება ნამდვილი იყო თუ მოჩვენებითი და, თუ მოჩვენებით ნიშანს დაემორჩილება, მაშინ მთელი საზოგადოების თვალწინ ცოცხალ მოხუცს მუხლებზე დააჯდება. ეს წამიერი ეჭვი მისთვის ულმობელ წამებად იქცა. თუმცა მაინც არ მგონია, ისეთი ულმობელი ყოფილიყო, როგორიც ჩემთვის ის დაბნეულობა, იმ წუთში რომ განვიცადე, როცა გრუხუნ-გრიალით, კატაკლიზმის დასაწყისის მაუწყებლად რომ აღიქმებოდა, ჩემი გვარი წარმოითქვა. მეტი აღარაფერი დამრჩენოდა, საკუთარი კეთილგანზრახვის გამოსახატავად და იმის დასტურად, რომ ეჭვიც არ მღრღნიდა, მტკიცე და შეუპოვარი იერით პრინცესასთან მივსულიყავი.

მხოლოდ მაშინ მომაქცია ყურადღება, მისგან სულ რამდენიმე ნაბიჯით რომ ვიყავი დაშორებული, და საბოლოოდ ის ეჭვიც გამიქრა, რომ მაწვალებდა – ვიღაცის მზაკვრობის მსხვერპლი ხომ არ ვიყავი, რადგან, იმის მაგივრად, ჩვეულებრივ, სავარძელში დარჩენილიყო,

როგორც სხვა სტუმრებს ხვდებოდა, ადგა და ჩემს შესახვედრად გამოემართა. წამიც და, შვებით ამოვისუნთქე ჰაქსლის პაციენტი ქალივით, რომელმაც, ბოლოს და ბოლოს, გადაწყვიტა და სავარძელში ჩაჯდა, დარწმუნდა, რომ დაკავებული არ იყო და მოხუცი ბატონი მხოლოდ და მხოლოდ ჰალუცინაცია გახლდათ. პრინცესამ ხელი ღიმილით გამომიწოდა. ერთხანს იმ გასაოცარი განსაკუთრებული მოხდენილობით იდგა, როგორითაც მალერბის[28] სტროფი გამოირჩევა, რომელიც ასე მთავრდება:

და პატივისცემად მათდა თვით ანგელოზები დგებიან.[29]

და თითქოს შეეშინდა, ჰერცოგინიას გარეშე არ მომეწყინა, ბოდიში მოიხადა, რადგან ის ჯერ კიდევ არ იყო მოსული. რომ მომსალმებოდა, ისეთი ნატიფი წრიული მოძრაობა გააკეთა, თან ჩემი ხელი ეჭირა, ვიგრძენი, ამ გრიგალმა როგორ ჩამითრია და თან გამიყოლა. არ გამიკვირდებოდა, პრინცესას, როგორც კოტილიონის[30] განმკარგულებელს, ჩემთვის სპილოს ძვლის ბუნიკიანი ჯოხი ანდა მაჯის საათი რომ

გადმოეცა. მართალი გითხრათ, არაფერი უჩუქებია და ისეთი სახით, თითქოს ბოსტონის ცეკვაზე უარი იმისთვის თქვა, რათა ბეთჰოვენის ღვთაებრივი კვარტეტის საუცხოო ხმები მოესმინა, საუბარი შემიწყვიტა, უფრო სწორად, აღარ განაახლა და ჩემი მისვლით გამოწვეული იმავე სიხარულის გამომხატველი ღიმილით მიმასწავლა, სად შეიძლებოდა პრინცის ნახვა.

გავშორდი და მეტი ვეღარც გავბედე მასთან მიახლოება, ვიგრძენი, ჩემთან სალაპარაკო არაფერი ჰქონდა და, მთელი თავისი უსაზღვრო კეთილგანწყობის მიუხედავად, ამ საუცხოო, მაღალმა, თეთრყირმიზმა ქალმა, ისეთივე კეთილშობილებით აღვსილმა, როგორითაც მარტო ის დიდი ქალბატონები გამოირჩეოდნენ, სასიკვდილოდ განწირულები ამაყად რომ ადიოდნენ ეშაფოტზე, მხოლოდ ის შეძლო – ჩემთვის ლიმონათის შემოთავაზება, ალბათ, უხერხულად მიიჩნია – კიდევ ერთხელ გამიმეორა, რაც უკვე ორჯერ მოასწრო და მითხრა: «პრინცს ბაღის შესასვლელში იპოვით». მაგრამ, პირდაპირ პრინცთან რომ მივსულიყავი, ახალი ეჭვი გამიჩნდებოდა, ოღონდ სხვა ფორმით.

მაინც უმჯობესი იქნებოდა, ვიღაც მეპოვა, ვინც მასთან წარმადგენდა. ყველგან ბატონი დე შარლიუსა და ახლახან გაცნობილი მისი უგანათლებულესობის, ჰერცოგი დე სიდონიას განუწყვეტელი ლაქლაქის ხმა ისმოდა. მალე ყველა მიხვდა, რომ ორივეს ერთი პროფესია ჰქონდა და ერთი და იმავე ნაკლითაც იტანჯებოდა. ბატონმა დე შარლიუმ და ბატონმა დე სიდონიამაც უცბად იგრძნეს, ერთი საერთო ავადმყოფობა სჭირდათ, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ მხოლოდ მათ უნდა ელაპარაკათ, თანაც გაუჩერებლად. უცბად იმასაც მიხვდნენ, რომ ამ უბედურებას არაფერი ეშველება, როგორც ერთ ცნობილ სონეტშია[31] ნათქვამი, ამიტომ გადაწყვიტეს, აღარ გაჩერებულიყვნენ, ისე ელაპარაკათ, ერთმანეთისთვის არ მოესმინათ. ამის გამო სასტუმრო ოთახში ისეთი ხმაური იდგა, როგორც მოლიერის

კომედიებშია, როცა რამდენიმე პერსონაჟი ერთდროულად სხვადასხვა ამბავზე ლაპარაკობს, თანაც შეუჩერებლად. მოკლედ, როცა ბარონი, რომელსაც მქუხარე, რიხიანი ხმა ჰქონდა, თითქმის დარწმუნებული იყო, რომ აჯობებდა და ჩაახშობდა ბატონი დე სიდონიას სუსტ ხმას, სულის მოსათქმელად ერთ წამს შეჩერდებოდა, პაუზა მაშინვე ესპანელი გრანდის ჩურჩულით ივსებოდა, აღუშფოთებლად რომ აგრძელებდა თავის მონოლოგს. შემეძლო, ბატონ დე შარლიუსთვის მეთხოვა, პრინც დე გერმანტისთვის წარვედგინე, მაგრამ შემეშინდა (ამისი მიზეზი მქონდა კიდეც), იგი ჩემზე გულმოსული იქნებოდა. უმადურობა გამოვიჩინე, მეორედაც უარვყავი მისი წინადადება და იმ საღამოს შემდეგ, სახლამდე თავაზიანად რომ მიმაცილა, სიცოცხლის ნიშანს აღარ ვამჟღავნებდი. თავის გასამართლებლად არც ის გამომადგებოდა, თითქოსდა წინასწარ განვჭვრიტე ის სცენა, დღეს, შუადღის შემდეგ მასსა და ჟიუპიენს შორის ჩემ თვალწინ რომ გათამაშდა. მსგავსი რამ თავში არასოდეს მომსვლია. მართალია, ცოტა ხნით ადრე, როცა მშობლებმა სიზარმაცე მისაყვედურეს, აქაოდა, ბატონ დე შარლიუს დღემდე რამდენიმე სიტყვა ვერ მისწერეო, გავბრაზდი და ვთქვი, რომ ისინი უღირსი წინადადების მიღებისკენ მიბიძგებდნენ; მაგრამ ეს

ბრალდება ბოღმის გამო უფრო წამომცდა, მინდოდა, მშობლებისთვის რაც შეიძლება მტკივნეულად მეჩხვლიტა. სიმართლე გითხრათ, ბარონის შემოთავაზებულ წინადადებებში არც ავხორცული შემიმჩნევია რამე, არც, უბრალოდ, სანტიმენტალური. ეს სისულელე, როგორც მაშინ მეგონა, საგანგებოდ ჩემი მშობლებისთვის მოვიგონე. მაგრამ ზოგჯერ მომავალი ჩვენში ისე ცხოვრობს, თვითონაც არ ვიცით, ხოლო ჩვენი სიტყვები, სიცრუე რომ გვგონია, მკაფიოდ გვიხატავს ჭეშმარიტ მომავალს.

ბატონი დე შარლიუ, ცხადია, ამ უმადურობას მომიტევებდა, მაგრამ სხვა რამ გააცოფებდა: ახლა, მას შემდეგ, რაც პრინცესა დე გერმანტის ამ საღამოზე გამოვჩნდი და გარკვეული დროიდან მისი ბიძაშვილის საღამოებზეც დავიწყე სიარული, ფასი ეკარგებოდა მის თავდაჯერებულ, საზეიმო განაცხადს: «ასეთ სალონებში მხოლოდ ჩემი მეშვეობით შედიან». დიდი შეცდომა დავუშვი, შეიძლება გამოუსწორებელი დანაშაულიც, იერარქიული წესი დავარღვიე. ბატონმა დე შარლიუმ კარგად იცოდა, იმ ჭექა-ქუხილს, რომლითაც თავს ატყდებოდა იმათ, ვინც მის ბრძანებებს არ ემორჩილებოდა, ან იმათ, ვინც ძულდა, ბევრისთვის, მიუხედავად დიდი მრისხანებისა, ძალა არ ჰქონდა და, როგორც მუყაოს ხმაურს, ისე იღებდნენ. ბატონი დე შარლიუ, შეიძლება ფიქრობდა კიდეც, რომ მთლიანად არ ჰქონდა დაკარგული თუმც დამცრობილი, მაგრამ ჯერ მაინც მნიშვნელოვანი გავლენა ისეთ ახალბედებზე, როგორიც მე ვიყავი. აი, რატომ მომეჩვენა უხერხულად, მისთვის მეთხოვა, იმ სახლის მაღალი საზოგადოების წვეულებაზე დარჩენაში დამხმარებოდა, სადაც ჩემი დასწრებაც კი, შეიძლება, საკუთარი წარმოსახვითი ყოვლისშემძლეობის დაცინვად მიეღო.

ამ დროს ერთმა საკმაოდ ვულგარულმა კაცმა შემაჩერა, ეს კაცი პროფესორი E...[32] ბრძანდებოდა. გაკვირვებული დარჩა, როცა გერმანტების საღამოზე დამინახა. არც მე ვიყავი ნაკლებად გაოცებული, ვერ გამეგო, აქ როგორ მოხვდა, რადგან ამგვარი ყაიდის პერსონაჟი აქ ამ საღამომდე არასოდეს მიუღიათ, უნდა ითქვას, არც მერე. თურმე პროფესორს უკვე ზეთნაცხები

პრინცი დაჩირქებული ფილტვების ანთებისგან მოურჩენია, უსაზღვროდ მადლიერმა პრინცესა დე გერმანტმა ამჯერად წეს-ჩვეულება დაარღვია და იგი საღამოს წვეულებაზე მოიპატიჟა. ამ დარბაზებში ერთი ნაცნობიც არ ჰყავდა, სიკვდილის მაუწყებელივით მარტოდმარტოს ხეტიალი მობეზრდა და, როგორც კი მიცნო, ცხოვრებაში პირველად ჩემთან ბევრ საკითხზე მოუნდა საუბარი. უცბად სიმტკიცე იგრძნო, ნაწილობრივ ესეც იყო მიზეზი, ჩემთან რომ მოვიდა. სხვა მიზეზიც იყო. ყოველთვის ეშინოდა, დიაგნოზი შეცდომით არ დაესვა. ძალიან დიდი პრაქტიკა გაევლო და, ავადმყოფს ერთხელ თუ ნახავდა, მერე ყოველთვის არ ჰქონდა შესაძლებლობა, მისთვის თვალი ედევნებინა, გაეგო, აღსრულდა თუ არა მისი წინასწარმეტყველება. შეიძლება, მკითხველს ახსოვს კიდეც, რომ ბებიაჩემი, რომელსაც სისხლი ჩაექცა, მასთან იმ საღამოს მივიყვანე, როცა უამრავ ორდენს ჰკიდებდნენ. დრო გავიდა და აღარც ახსოვდა, რომ მისი გარდაცვალება წერილით

შეატყობინეს. «ბებიათქვენი გარდაიცვალა, არა?» – მკითხა, თან მის ტონში ოდნავ ეჭვშერეული თავდაჯერება იგრძნობოდა. «დიახ, დიახ, ასეა! მშვენივრად მახსოვს. შევხედე თუ არა, მაშინვე მივხვდი, იმედი აღარ იყო».

აი, ამგვარად გაიგო ან გაიხსენა პროფესორმა E...-მ ბებიაჩემის სიკვდილი; ქება-დიდება მას და ქება-დიდება მთელ სამედიცინო კორპორაციას; მას არ გამოუხატავს, შეიძლება ვერც იგრძნო, კმაყოფილება. ექიმების შეცდომებს ვინ დათვლის. ჩვეულებრივ კი, როცა დანიშნულებას იძლევიან, მეტისმეტად ოპტიმისტები არიან, და მეტისმეტად პესიმისტები, როცა დასასრულს

ხვდებიან. «ღვინო? ცოტა ღვინო არაფერს გავნებთ. არსებითად კი, ადამიანს ძალას მატებს... ფიზიკური სიამოვნება? ესეც ხომ ორგანიზმის ერთ-ერთი ფუნქციაა. ორივე უფლებას გაძლევთ, მაგრამ ბოროტად ნუ გამოიყენებთ, მიმიხვდით, ხომ? ზედმეტს ყველაფერს ზიანი მოაქვს». ავადმყოფისთვის, ო, რა ცდუნებაა, უარი არ თქვას ორ სამკურნალო საშუალებაზე: წყალზე და უბიწობაზე! მაგრამ, საქმე თუ გულს ეხება ან ცილებს, ან სხვა რაიმეს, აქ უკვე ექიმები ყურებს ჩამოყრიან ხოლმე. ავადმყოფში არარსებულ სიმსივნეებს პოულობენ და აი, ასე ადვილად ხსნიან სერიოზულ, მაგრამ ხშირად ფუნქციურ მოშლილობას. რა აზრი აქვს ავადმყოფთან სიარულს, თუ სნეულება განუკურნებელია. თუ ბედის ანაბარად მიტოვებული ავადმყოფი საკუთარ თავს უმკაცრეს რეჟიმს დაუნიშნავს, ბოლოს და ბოლოს, გამოჯანმრთელდება ან, უკიდურეს შემთხვევაში, ცოცხალი დარჩება და სიკვდილს გადაურჩება, მერე ოპერის ავენიუზე თავის ექიმს რომ შეხვდება, რომელსაც ჰგონია, მისი ავადმყოფის ნეშტი უკვე დიდი ხანია პერ-ლაშეზის სასაფლაოზე განისვენებს, პაციენტის თავის დაკვრითა და შლაპის მოხდით მისალმებას დამცინავ უტიფრობად აღიქვამს. და ექიმს იმაზე მეტი მრისხანება იპყრობს, ვიდრე სასამართლოს თავმჯდომარეს, როცა მის ცხვირწინ არხეინად მოსეირნე იმ დამნაშავეს დაინახავს, რომელსაც ორი წლის წინათ სიკვდილი მიუსაჯა. საერთოდ კი, ექიმებს (გასაგებია, რომ ეს ყველას არ ეხება და ბრწყინვალე გამონაკლისებსაც არ დავივიწყებთ) იმდენად ის არ უხარიათ, როცა მათი განაჩენი სწორი აღმოჩნდება ხოლმე, როგორც ის აღიზიანებთ, მათი დიაგნოზი რომ არ დადასტურდება. ამით აიხსნება, რომ პროფესორმა E...-მა, თუმცა კმაყოფილი

იყო, რომ არ შეცდა, მაინც იპოვა ძალა და ნაღვლიანი ხმით ილაპარაკა ჩვენს მწუხარებაზე. ჩემთან საუბრის შეწყვეტას არც აპირებდა, რადგან ამის წყალობით ამ წვეულებაზე თავისუფლად გრძნობდა თავს, გარდა ამისა, ეს იყო მიზეზი, ერთხანს კიდევ დარჩენილიყო აქ. დიდ სიცხეებზეც ილაპარაკა, ამ დღეებში რომ დაიწყო; თუმცა პროფესორი განათლებული ადამიანი ბრძანდებოდა და კარგი ფრანგულითაც შეეძლო აზრის გამოთქმა, მაგრამ, აი, ასეთი კითხვით მომმართა: «ჰიპერთერმია[33] ხომ არ გაწუხებთ?» უნდა შევნიშნო, რომ, მოლიერის დროიდან მედიცინამ, შემეცნების თვალსაზრისით და არა ენობრივი გაგებით, ოდნავ თუ წაიწია წინ. «ასეთ ამინდში, მთავარია, გაოფლიანება ავირიდოთ თავიდან, – განაგრძო პროფესორმა, – განსაკუთრებით სალონებში, სადაც მეტისმეტად ცხელა; თუ სახლში დაბრუნებულს

დალევა მოგინდათ, უმჯობესია თბილი» (ალბათ, მხედველობაში ცხელი სასმელი ჰქონდა).

გამახსენდა, რითი გარდაიცვალა ბებიაჩემი, და პროფესორის საუბარმა დამაინტერესა, თანაც ამას წინათ ერთი დიდი მეცნიერის წიგნში ამოვიკითხე, ოფლის გამოყოფა თირკმლებისთვის მავნებელია, რადგან ის, რაც სხვა ადგილზე უნდა გამოვიდეს, კანის მეშვეობით გამოდისო. ნაღვლიანად გავიფიქრე, რომ ბებიაჩემი ზაფხულის პაპანაქებაში გარდაიცვალა და მზად გახლდით, მისი სიკვდილის მიზეზად სიცხე მიმეჩნია. დოქტორ E...-თვის, ცხადია, ეს არ მითქვამს, მაგრამ მან, აი, რა მითხრა: «ძლიერი სიცხეების კარგი მხარე ის გახლავთ, რომ ოფლი უხვად გამოიყოფა, თირკმლები ზედმეტი ტვირთისგან თავისუფლდება და გაცილებით მსუბუქად მუშაობს». მედიცინა ზუსტი მეცნიერება არ არის.

ჩემზე ჩამოკიდებული პროფესორი E... ფეხის მოცვლასაც არ აპირებდა. ამ დროს მარკიზი დე ვოგუბერი შევამჩნიე, რომელიც უკან გადადგმული ყოველი ნაბიჯის შემდეგ მარჯვნიდან და მარცხნიდან მდაბლად უკრავდა თავს პრინცესა დე გერმანტს. იგი მარკიზმა დე ნორპუამ გამაცნო ამას წინათ და ახლა იმედი გამიჩნდა, რომ მისი სახით ისეთი ადამიანი ვიპოვე, რომელიც მოახერხებდა და სასახლის პატრონთან წარმადგენდა. ამ ნაწარმოების მოცულობა საშუალებას არ მაძლევს, დაწვრილებით აღვწერო ბატონი დე ვოგუბერის ახალგაზრდობის დროინდელი ამბები, რომლის წყალობითაც იგი ერთ-ერთი (და შეიძლება ერთადერთიც) აღმოჩნდა იმ მაღალი წრის ადამიანებიდან, ვისაც ბატონ დე შარლიუსთან ისეთი ურთიერთობა ჰქონდა, სოდომში «ინტიმურს» რომ ეძახიან. მეფე თეოდოზის კარზე წარგზავნილ ჩვენს ელჩსაც იგივე ნაკლი ჰქონდა, რაც ბარონს, მაგრამ ელჩი ამ გაგებით მხოლოდ სუსტი ანარეკლი თუ იყო ბარონისა. სიმპათიიდან სიძულვილში გადასვლა, რაც ბარონში ჯერ იმ სწრაფვის გამო ვლინდებოდა, რომ მოეხიბლა, მერე კი შიშისა – ესეც აუხსნელია – ზიზღი არ გამოეწვია ან საკუთარი თავი არ გაეცა, ელჩთან უფრო რბილ ტონებში, სანტიმენტალური, მიამიტური ფორმით ვლინდებოდა და კომიკურ შთაბეჭდილებას ახდენდა, რაც მისი უმანკოების შედეგი გახლდათ, შედეგი მისი «პლატონიზმისა» (რასაც ამ პატივმოყვარე ადამიანმა მსხვერპლად შესწირა სიჭაბუკის წლების ყველა სიამოვნება), უფრო კი შედეგი მისი ჭკუანაკლულობისა. ბატონი დე შარლიუ თავისი თავშეუკავებელი ქება-დიდებით ნამდვილად ბრწყინავდა, საკმაზად დახვეწილ გესლიან დაცინვასაც არ იშურებდა, რაც ადამიანს ერთხელ და სამუდამოდ

წებოსავით ეკვროდა; აი, ბატონ დე ვოგუბერთან კი სიმპათიის გამოხატვისას უნიჭო ადამიანების, ჩინოვნიკებისთვის დამახასიათებელი უმსგავსობა ვლინდებოდა; მისი პრეტენზიები (ისევე, როგორც ბარონთან – არაფერზე დაფუძნებული) სავსე იყო ულევი, სულელური ავი ზრახვით და დიდ აღშფოთებას იწვევდა, არავინ იცოდა, როდის რას იტყოდა, ნახევარი წლის წინათ გამოთქმული აზრის სრულიად საწინააღმდეგო აზრს განავითარებდა იმავე სულისკვეთებით; ეს კანონზომიერი ცვალებადობა ბატონი დე ვოგუბერის ცხოვრების სხვადასხვა ფაზას თითქმის

ასტრონომიულ პოეტურობას ანიჭებდა, თუმცა ისიც უნდა ითქვას, ვინ-ვინ და, მას მანათობელ ვარსკვლავს მაინც ვერ უწოდებდი.

მისალმებაზე ისე რიდით მიპასუხა, როგორც ბატონი დე შარლიუ მიპასუხებდა. მისალმებისას ათასგვარი, ზომას გადასული მანჭვა-გრეხა, მისი აზრით, მაღალი წრის ადამიანსა და დიპლომატს რომ შეჰფერის, ცოტა ეჩვენებოდა; მის მისალმებაში იყო რაღაც განსაკუთრებული სიმკვირცხლე, სიჩაუქე, მხიარული ღიმილი, რაც, ჯერ ერთი, იმისთვის სჭირდებოდა, ყველას ჰგონებოდა, რომ ცხოვრებით კმაყოფილი იყო, თუმცა განუწყვეტლივ თავის უიღბლო კარიერაზე, დაწინაურების უიმედობაზე, სამსახურიდან გათავისუფლების საშიშროებაზე ფიქრობდა; მეორე, ეს იმისთვის სჭირდებოდა, ყველას მიეჩნია, რომ ისევ ახალგაზრდა, მხნე და მომხიბლავი იყო – მაშინ, როცა, როგორც სარკეში, ხედავდა, ბოლო ხანებში კი სარკეში ჩახედვასაც ვეღარ ბედავდა, მთელი სახე ნაოჭებით ჰქონდა დაფარული, მას კი ისე უნდოდა,

ისევ მომხიბლავი ყოფილიყო. გამარჯვებები საერთოდ არ სწყუროდა, მითქმა-მოთქმა, საქვეყნოდ გამოჭენება და შანტაჟი აშინებდა. როცა ორსეს სანაპიროზე[34] ფიქრი დაიწყო და გადაწყვიტა, იქ თანამდებობრივად მაღალი მდგომარეობისთვის მიეღწია, მოულოდნელად თითქმის ბავშვური, თავაშვებული ცხოვრება მიატოვა და სრულიად თავშეკავებული ცხოვრება დაიწყო; გალიაში გამომწყვდეულ მხეცს დაემსგავსა, შეშინებულ, ავხორც, უაზრო თვალებს აქეთ-იქით რომ აცეცებს. იმდენად სულელი იყო, ვერ მიხვდა, რომ ანცი ბავშვები, რომლებსაც ჭაბუკობისას იცნობდა, უკვე დაიზარდნენ და, როცა გაზეთების გამყიდველი ყურში ჩასჭყივლებდა: «ლა პრეს!» მთლად აკანკალდებოდა, არა იმდენად სურვილის გამო, რამდენადაც შიშისგან – ეგონა, იცნეს და მის ნაკვალევს გამოჰყვნენ.

მართალია, ბატონმა დე ვოგუბერმა სიამოვნება და გართობა უმადურ ორსეს სანაპიროს შესწირა მსხვერპლად, დროდადრო, უეცრად, გულის წადილი მაინც მოეძალებოდა ხოლმე, ამიტომაც უნდოდა, ძალიან უნდოდა, ისევ მოსწონებოდათ. უფალმა იცის, რამდენ წერილს წერდა, თავს აბეზრებდა სამინისტროს, რა ეშმაკობებს აღარ მიმართავდა, ბოროტად იყენებდა თავისი ცოლის გავლენას (რომელიც თავისი ახოვანების, მაღალი წარმოშობის, მამაკაცურობის, რაც მთავარია, ქმრის უფერულობის წყალობით, ყველას განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულად მიაჩნდა და ყველა ფიქრობდა, რომ ნამდვილი ელჩი სწორედ ის იყო), რომ საელჩოს შტატში არაფრის შემძლე მავანი ახალგაზრდა კაცი ჩაერიცხათ! მართალია, რამდენიმე თვის ან რამდენიმე წლის

შემდეგ, თუ მოეჩვენებოდა, რომ ატაშე, რომელიც დიდს არაფერს წარმოადგენდა და მისდამი უმცირეს მტრობასაც არ ამჟღავნებდა, ცივად უყურებდა, როგორც ამას ეგონა, არაფრად აგდებდა და ძირსაც უთხრიდა, თუ უწინ სიკეთით ავსებდა, ახლა ცას და მიწას აზანზარებდა, რათა იგი გაეწვიათ. პოლიტიკურ ურთიერთობათა განყოფილების უფროსი ყოველდღე ასეთი შინაარსის წერილებს იღებდა: «ბოლოს და ბოლოს, როდის მომაშორებთ ამ თაღლითს? ცოტა მოარჯულეთ, ეს მხოლოდ სიკეთეს

მოუტანს. დაე, იმარხულოს», აი, რატომ მოხდა, რომ მეფე თეოდოზის კარზე ატაშეს თანამდებობა ნაკლებად სასიამოვნო იყო. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ბატონი დე ვოგუბერის ამ სისუსტეს, მაშინ, მისი კეთილგონიერების წყალობით, მაღალი საზოგადოების კაცის კეთილგონიერების წყალობით, იგი საფრანგეთის მთავრობის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი იყო უცხოეთში. როცა მოგვიანებით იგი იმ ადამიანმა შეცვალა, რომლის შესახებაც ისეთი აზრი შეიქმნა, რომ დე ვოგუბერზე მაღლა იდგა, ეს ადამიანი ყოვლისმცოდნე იაკობინელი აღმოჩნდა და საფრანგეთსა და იმ ქვეყანას შორის, რომელსაც მეფე მართავდა, მაშინვე ომი დაიწყო.

ბატონ დე ვოგუბერს, ისევე, როგორც ბატონ დე შარლიუს, არ უყვარდა, როცა «გამარჯობას» პირველი ამბობდა. ერთსაც და მეორესაც «პასუხი» ერჩიათ, რადგან ეშინოდათ, რომ, ამ ადამიანმა მას შემდეგ, რაც ბოლოს ერთმანეთი ნახეს, მათზე, ალბათ, უამრავი ჭორი მოისმინა. მე კი ბატონი დე ვოგუბერი გაჭირვებიდან უცბად გამოვიყვანე – პირველი მივესალმე, რასაც,

უპირველეს ყოვლისა, ჩვენს შორის ასაკობრივი განსხვავება მავალდებულებდა. მოხიბლული და გახარებული იერით დამიკრა თავი, თვალები ძველებურად აქეთ-იქით გაურბოდა, თითქოს მის მარჯვნივ და მარცხნივ იონჯა იზრდებოდა, რომლის წიწკნაც აკრძალული ჰქონდა. გადავწყვიტე, ვიდრე პრინცთან წარდგინებას ვთხოვდი, უმჯობესი იქნებოდა, ჩემთვის ჯერ ცოლი გაეცნო, ხოლო პრინცთან წარდგინება მოგვიანებით მეთხოვა. როგორც მივხვდი, ცოლის მაგივრადაც გაუხარდა და ლაღი ნაბიჯით გამიძღვა მარკიზასკენ. როცა ქალბატონს მივეახლეთ, სიტყვის უთქმელად, თვალისა და ხელის მოძრაობით ჩემდამი ღრმა პატივისცემა გამოხატა, მარკიზას ჩემკენ მოანიშნა და მაშინვე მოუსვენარი იერით, ჩქარი ნაბიჯით გაგვშორდა, ცოლთან პირისპირ დამტოვა. ქალბატონმა ხელი ისე გამომიწოდა, არც იცოდა, ვის მიმართ იჩენდა ასეთ თავაზიანობას; როგორც მივხვდი, ბატონმა დე ვოგუბერმა ვერ გაიხსენა, ვინ ვიყავი ან, იქნებ, სულაც ვერ მიცნო, მაგრამ თავაზიანობის გამო ეს ვერ გამოამჟღავნა და გაცნობის ცერემონია უბრალო პანტომიმად აქცია. ასე რომ, არაფერი გამომივიდა; სასახლის პატრონთან როგორ უნდა წარვედგინე ქალს, რომელმაც ჩემი სახელიც არ იცოდა. თანაც კეთილი უნდა მენება, ქალბატონ დე ვოგუბერთან დავმჯდარიყავი და საუბარი გამება. ამითი აღტაცებული ორი მიზეზის გამო არ დავრჩენილვარ. ამ წვეულებაზე დიდხანს დარჩენას საერთოდ არ ვაპირებდი, რადგან ალბერტინი დავიყოლიე («ფედრაზე» ლოჟის ბილეთები ვაჩუქე), რომ შუაღამის დადგომამდე გამომივლიდა. ცხადია, მე ის სულაც არ მყვარებია. როცა ამ საღამოს მოსვლა ვთხოვე, ჩემში მხოლოდ ვნება ლაპარაკობდა და მეტი არაფერი, თუმცა ისეთი სიცხე იდგა, როცა

გათავისუფლებული, ნებაზე მიშვებული ვნება გემოვნების ორგანოებისკენ ისწრაფვის და სიგრილის მოთხოვნილებას უფრო განიცდის, კოცნაზე მეტად ორანჟიდი[35] სწყურია, აბაზანაზე ოცნებობს, სურს წყლიანი მთვარის ჭვრეტით ტკბობა, ზეცას წყურვილს რომ უამებს. მაინც ალბერტინის იმედად ვიყავი, ვფიქრობდი, რომ სიმსუბუქეს მომიტანდა, ჩემში ტალღების სიგრილეს აღძრავდა,

ნაღველს ჩამომაშორებდა, რომელსაც მომხიბლავი სახეები აუცილებლად მომგვრიდა (პრინცესას წვეულებაზე ხომ არა მარტო ქალბატონები ბრძანდებოდნენ, არამედ გოგონებიც). აი, ქალბატონი დე ვოგუბერის დიდებული, ბურბონული, კუშტი სახე კი არაფრით იყო მიმზიდველი.

სამინისტროში დე ვოგუბერებზე ამბობდნენ, ოღონდ ბოროტი ზრახვის გარეშე, მათ სახლში ქვედაკაბას ქმარი უნდა ატარებდეს, შარვალს კი – ცოლიო. ეს სიტყვები სიმართლის დიდ ნაწილს შეიცავდა. ქალბატონი დე ვოგუბერი მამაკაცი იყო. ყოველთვის ასეთი იყო თუ დროის მსვლელობისას იქცა ისეთად, როგორიც დავინახე, ამას მნიშვნელობა არა აქვს, ორივე შემთხვევაში ბუნების გულის ამაჩუყებელ სასწაულთან გვაქვს საქმე, რაც, განსაკუთრებით მეორე შემთხვევა, ადამიანთა სამეფოს ყვავილთა სამეფოს ამსგავსებს. თუ პირველი ვარაუდი ნამდვილია, თუ მომავალი ქალბატონი დე ვოგუბერი მუდამ ასეთი მოუხეშავი და მამაკაცური იყო, მაშინ ეს ბუნების ვერაგული, მაგრამ მადლიანი ეშმაკობაა, რომელმაც გოგონას მამაკაცის ცრუ გარეგნობა მოარგო. აი, ჭაბუკი კი, რომელსაც ქალები არ უყვარს, მაგრამ გამოჯანმრთელება

უნდა, სიამოვნებით ეგება ანკესზე: საცოლეს პოულობს, რომელიც ბაზარში მოვაჭრე ძლიერ ქალებს ჰგავს. სხვა შემთხვევაში კი, თუ ქალს თავიდანვე მამაკაცური თვისებები არა აქვს და მერე ნელ-ნელა იძენს, ქმარს რომ მოეწონოს, ზოგჯერ ეს შენაძენი გაუთვითცნობიერებელია; ასეთი მიმიკრიის[36] ძალით, და წყალობითაც, ზოგიერთი ყვავილი მწერს ემგვანება, რათა მიიტყუოს იგი. ქალი დარდობს, წუხს, რომ არავის უყვარს, რომ მამაკაცი არ არის, და მწუხარებაც მამაკაცური თვისებებით ასაჩუქრებს. თავი დავანებოთ ამ ორ იშვიათ შემთხვევას; ბოლოს და ბოლოს, რამდენი სრულიად ნორმალური წყვილია, ერთმანეთს რომ ემსგავსება; ზოგიერთები კი სულიერ თვისებებსაც უცვლიან ერთმანეთს. გერმანიის ყოფილი კანცლერი, თავადი ბიულოვი იტალიელ ქალზე დაქორწინდა. ცოტა ხნის შემდეგ პინჩოზე[37] შეამჩნიეს, რომ გერმანელმა ქმარმა იტალიური გულისხმიერებიდან ბევრი რამ შეიძინა, თავადის იტალიელმა ცოლმა კი უამრავი რამ გადმოიღო გერმანული უხეშობიდან. ახლა სრულიად გამონაკლის შემთხვევაზე ვილაპარაკოთ – ყველა იცნობს გამოჩენილ ფრანგ დიპლომატს[38], რომლის წარმოშობაზეც მისი გვარი ლაპარაკობს, ერთ-ერთი ცნობილი გვარი აღმოსავლეთში. სიმწიფის ასაკში შესული, უფრო კი სიბერეში ნამდვილ აღმოსავლელად იქცა, თუმცა ადრე ვერავინ ხვდებოდა, რომ მასში ასეთი ადამიანი იჯდა, ახლა კი მის დანახვაზე ყველა უნებურად ფიქრობს, რომ მხოლოდ ფესიღა[39] აკლია.

თუ იმ ზნე-ჩვეულებებს გავიხსენებთ, რომლებზეც ელჩს, ვისი ატავისტური ქონიანნაკვთებიანი

სილუეტიც ახლახან დაგიხატეთ, საერთოდ არ ჰქონდა წარმოდგენა, მაშინ უნდა დავასკვნათ, რომ ქალბატონი დე ვოგუბერი ქალების იმ ტიპს მიეკუთვნებოდა, რომელთა ხორცშესხმული ნიმუშია უკვდავი პრინცესა პალატინი[40], ვინაც,

ამორძალის სამოსში გამოწყობილმა, ქმრისგან არა მარტო მამაკაცური თვისებები მიიღო, არამედ იმ მამაკაცთა ნაკლიც, რომლებსაც ქალები არ უყვართ, ხოლო თავის წერილებში, ჭორიკანას წერილებში, იმ ურთიერთობებზე ჰყვება, რაც ლუდოვიკო XIV-ის სამეფო კარის ყველა დიდგვაროვანს ჰქონდა. ისეთ ქალებს, რომელთაც ქალბატონი დე ვოგუბერი მიეკუთვნებოდა, რცხვენიათ, რომ ქმრებმა მიატოვეს, რაც კიდევ ერთი მიზეზია მათი გამამაკაცებისა; ეს სირცხვილი ნელ-ნელა ყოველივე ქალურს კლავს და ასეთები, ბოლოს და ბოლოს, იმ ღირსებებსა და ნაკლს იძენენ, რაც მათ ქმრებს არა აქვთ. ამ დროს ქმარი უფრო და უფრო არასერიოზული ხდება, უფრო და უფრო განაზებული, მოურიდებელი, ცოლი კი იმ სათნოებით შემკულ, ლაზათმოკლებულ გამოსახულებად იქცევა, რომელიც ქმარმა უნდა გამოიყენოს.

თავმოყვარეობის შელახვამ, დარდმა, აღშფოთებამ თავისი საქმე გააკეთა და ქალბატონ დე ვოგუბერს სიმეტრიული სახის ნაკვთები გაუფერმკრთალდა, მომხიბლველობა დაკარგა. სამწუხაროდ, ვიგრძენი, ისეთი ინტერესითა და ცნობისმოყვარეობით მათვალიერებდა, როგორც ერთ იმ ახალგაზრდას, როგორიც ბატონ დე ვოგუბერს მოსწონდა, ერთ იმ ახალგაზრდა კაცს, როგორიც თვითონ უნდოდა ყოფილიყო ზუსტად ახლა, როცა სიბერეში გადამდგარმა

მისმა ქმარმა ახალგაზრდებს მიანიჭა უპირატესობა. იგი იმ პროვინციალი ქალის ინტერესით მიყურებდა, რომელიც მოდური მაღაზიის კატალოგიდან იღებს კოსტიუმის თარგის ასლს, ასე რომ უხდებათ კატალოგში დახატულ გოგონებს (სინამდვილეში, ყველა გვერდზე ერთი და იგივე გოგოა დახატული, მაგრამ განსხვავებული პოზებისა და ტუალეტის წყალობით მრავალ სხვადასხვა მაცდუნებელ არსებად ქცეულა). ქალბატონ დე ვოგუბერს ცხოველური ჟინი ისეთი სიძლიერით უბიძგებდა ჩემკენ, რომ მკლავში ხელი მტაცა, რათა ჭიქა ორანჟიდის დასალევად მიმეყვანა, მაგრამ თავი გავითავისუფლე, მოვიმიზეზე, მალე უნდა წავიდე, სასახლის პატრონი კი ჯერ არ მინახავს-მეთქი.

ბაღის შესასვლელამდე, სადაც სასახლის პატრონი რამდენიმე სტუმართან ერთად იდგა და საუბრობდა, შორი არ იყო, მაგრამ გზის ეს მონაკვეთი უფრო მეტად მცემდა თავზარს, ვიდრე იმავე მანძილის საარტილერიო ქვემეხების ბათქის ქვეშ გავლა.

ამ ქალებიდან ბევრი, როგორც მე მეჩვენა, ჩემთვის რომ შეიძლებოდა გაეცნოთ, ბაღში იყო გამოსული და, თუმცა ყველა აღფრთოვანებას გამოხატავდა, სინამდვილეში ისე იყვნენ მოწყენილი, აღარ იცოდნენ, რა ექნათ. მსგავსი საღამოების წინასწარ განსჯა, ვიდრე იგი გაცხარებული მიმდინარეობს, ნაადრევია. მხოლოდ მეორე დღეს შეიძლება ასეთი წვეულებების შეფასება, როცა იგი იმ ადამიანების ინტერესს გამოიწვევს, ვინც მიწვეული არ ყოფილა. ბევრი

ლიტერატორისთვის დამახასიათებელი სულელური პატივმოყვარეობისგან თავისუფალ ნამდვილ მწერალს, იმ კრიტიკოსის წერილს რომ კითხულობს, რომელიც მუდამ ქება-დიდებას ასხამდა, ახლა კი საშუალო მწერლების გვარებს ჩამოთვლის, ხოლო მას არც ახსენებს, ასეთ მწერალს გაოცების დრო არ რჩება, რადგან

ახალ ნაწარმოებზე მუშაობა ელის. მაღალი საზოგადოების ქალი, რომელსაც არანაირი საქმე არა აქვს, როცა «ფიგაროში» ამოიკითხავს: «გუშინ პრინცმა და პრინცესა დე გერმანტებმა დიდი წვეულება გამართეს» და სხვა, მაშინვე წამოიძახებს: «როგორ? სამი დღის წინათ ხომ მარი-ჟილბერს მთელი საათი ველაპარაკე და ამის შესახებ სიტყვა არ დასცდენია». და თავს იმტვრევს, რომ როგორმე მიხვდეს, რა აწყენინა გერმანტებს. ისიც უნდა ითქვას, რომ გერმანტების დღესასწაულებზე მიწვეულები ზოგჯერ არანაკლებ გაოცებული რჩებიან, ვიდრე ისინი, ვინც არ მიიწვიეს; რადგან ამ წვეულებების ცეცხლი უცბად მაშინ იწყებს ბრიალს, როცა არავინ ელის და ისეთ ხალხს ეპატიჟებიან, პრინცესა დე გერმანტს წლების განმავლობაში რომ არ გახსენებია. მაღალი საზოგადოების თითქმის ყველა წევრი უმნიშვნელო ხალხია და ერთმანეთს მხოლოდ იმით აფასებენ, რამდენად თავაზიანნი არიან, მიწვეულებს ეფერებიან, უარყოფილები კი – სძულთ. სიტყვამ მოიტანა და, ამ უკანასკნელებიდან პრინცესა ხშირად ზოგიერთ თავის მეგობარსაც არ ეძახდა, რადგან «პალამედის» გაჯავრების ეშინოდა, რომელმაც ისინი განკვეთა. აი, რატომ მჯერა, რომ ჩემ შესახებ ბატონი დე შარლიუსთვის არაფერი უთქვამს, თორემ აქ არ ვიქნებოდი. ახლა იგი გერმანიის ელჩთან და სამ თუ ოთხ თაყვანისმცემელთან ერთად ბაღისკენ ზურგშექცეული

იდგა, იმ დიდი კიბის მოაჯირზე ჩამოყრდნობილი, რომელიც სასახლეში შემოდიოდა; ისე იდგა, სტუმრები, უნდოდათ თუ არა, მაინც უნდა მისალმებოდნენ. მისალმებაზე პასუხობდა, თან მათ გვარებს ასახელებდა, ამიტომ განუწყვეტლივ ისმოდა: «საღამო მშვიდობისა, ბატონო დიუ აზე; საღამო მშვიდობისა, ქალბატონო დე ლა ტურ დიუ პენ-ვერკლოზი; საღამო მშვიდობისა, ქალბატონო დე ლა ტურ დიუ პენ-გუვერნე; საღამო მშვიდობისა, ფილიბერ; საღამო მშვიდობისა, ძვირფასო ელჩის მეუღლევ» და სხვა. ამ დაუსრულებელ ღავღავს მხოლოდ კეთილმოსურნე დარიგებები თუ კითხვები შეწყვეტდა ხოლმე (პასუხებს კი ბატონი დე შარლიუ არც უსმენდა), თავშეკავებული, თბილი, ნაძალადევად გულგრილი სახით რომ იძლეოდა: «ფრთხილად იყავით, პატარა არ გაცივდეს. ბაღში ყოველთვის სინესტეა. საღამო მშვიდობისა, ქალბატონო დე ბრანტ; საღამო მშვიდობისა, ქალბატონო დე მეკლენბურგ; უმცროსი ქალიშვილიც მობრძანდა? თავისი საუცხოო ვარდისფერი კაბა აცვია? საღამო მშვიდობისა, სენ-ჟერმან». ცხადია, დე შარლიუს ამ პოზაში ქედმაღლობა გამოსჭვიოდა. მან იცოდა, ერთ-ერთი გერმანტი იყო და ამ ზეიმზე განსაკუთრებული ადგილი ეკავა. მაგრამ არამარტო ქედმაღლობა, სიტყვა «დღესასწაულიც» ესთეტიკურად განვითარებულ ადამიანში ფუფუნების შეგრძნებას იწვევს, ცნობისმოყვარეობას აღაგზნებს, თითქოს ამ ზეიმს მაღალი საზოგადოების წევრები კი არ აწყობენ, არამედ კარპაჩოსა[41] თუ ვერონეზეს[42] ტილოებზე თამაშდება. და უფრო დიდი ალბათობით, გერმანელ პრინცს, ბატონ დე შარლიუს საკუთარი თავი რომ ეგონა, ეს ზეიმი «ტანჰეიზერის»[43] ზეიმად ესახებოდა, თავად მარკგრაფი იყო, რომელიც ვარტბურგის[44]

ციხე-დარბაზის შესასვლელში იდგა და თითოეული წვეულისთვის კეთილი სიტყვა მზად ჰქონდა. ამასობაში კი ციხე-დარბაზში თუ პარკში შემავალ სტუმართა ნაკადს სახელგანთქმული მარშის ცნობილი, ასჯერ გამეორებული, ხანგრძლივი ფრაზა ესალმებოდა.

დადგა დრო, გადამწყვეტი ნაბიჯი გადამედგა. ხეებქვეშ ქალები დავინახე, რომლებთანაც ასე თუ ისე ახლო ნაცნობობა მაკავშირებდა, მაგრამ ახლა მომეჩვენა, მათში რაღაც გარდაქმნა მომხდარიყო და სულ სხვანაირები იყვნენ, ალბათ, იმიტომ, რომ სტუმრად პრინცესასთან ბრძანდებოდნენ და არა მის ბიძაშვილთან; ალბათ, იმიტომ, რომ საქსონური ფაიფურით გაწყობილ მაგიდასთან კი არ ვისხედით, არამედ წაბლის ხეების ტოტებქვეშ ვიმყოფებოდით. გარემო პირობების ელეგანტურობას ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ ჰქონდა. გარემო პირობები პრინცესასთან უფრო მოკრძალებულიც რომ ყოფილიყო, ვიდრე «ორიანთან», მაინც იგივე მღელვარება დამეუფლებოდა. როცა სასტუმრო ოთახებში ელექტროდენი ქრება და ნავთის ლამპების სინათლე აციმციმდება, ჩვენთვის უცბად ყველაფერი იცვლება. ჩაფიქრებიდან მარკიზა დე სუვრემ გამომიყვანა. «საღამო მშვიდობისა, – მომესალმა ჩემკენ მომავალი. – ჰერცოგინია დე გერმანტი დიდი ხანია არ გინახავთ?» ამ ქალს გასაოცარი უნარი ჰქონდა, წინადადებისთვის ისეთი ინტონაცია მიეცა, მიმხვდარიყავით, ამას აშკარა სისულელის გამო არ ამბობდა, იმათ მსგავსად, ვინც არ იცის, რა თქვას და მუდამ საერთო ნაცნობებზე იწყებენ ლაპარაკს, თუმცა უმრავლეს შემთხვევაში ეს ნაცნობობა ძალზე გაურკვეველია. მისი

ელექტროსადენივით წვრილი გამოხედვა გამოხატავდა: «არ გეგონოთ, ვერ გიცანით. ის ახალგაზრდა ბრძანდებით, რომელიც ჰერცოგინია დე გერმანტთან ვნახე. მშვენივრად მახსოვს». სამწუხაროდ, მფარველობა, რომელსაც გამოხედვა აღმითქვამდა, მხოლოდ გარეგნულად ჩანდა სულელური, თორემ სინამდვილეში ძალიან ეშმაკური იყო და ძალიან მყიფე: მისი გამოყენება გადავწყვიტე თუ არა, მაშინვე გაქრა. ქალბატონი დე სუვრე ფლობდა განსაკუთრებულ ხელოვნებას, თუ საჭირო იყო, ორიოდ სიტყვით შესწეოდა ვინმეს ძლიერთა ამა ქვეყნისათა წინაშე, ამ ქალის ორაზროვანი ქცევის წყალობით, მთხოვნელი დარწმუნებული და მადლიერი იყო, რომ მისთვის იზრუნებდნენ, მაღალი თანამდებობის პირი კი ხელსაც არ ანძრევდა. ქალბატონის ყურადღებით წახალისებულმა ვთხოვე, პრინც დე გერმანტთან წარმადგინეთ-მეთქი, ამან კი იმით ისარგებლა, რომ სასახლის პატრონი არ გვიყურებდა, დედობრივი ალერსით მხრებზე ხელი მომხვია, პრინცს გაუღიმა, რომელიც ზუსტად ამ დროს შეტრიალდა და ამის დანახვას ვერ შეძლებდა, მან კი ვითომ მფარველური და წინასწარგანზრახული მოძრაობით პრინცის მიმართულებით მიბიძგა, მაგრამ მე ადგილიდან არ დავძრულვარ. ასეთია მაღალი წრის ადამიანების სულმდაბლობა.

ქალბატონი, რომელიც მომესალმა და სახელით მომმართა, უფრო დიდი მშიშარა აღმოჩნდა. ლაპარაკი დავიწყეთ თუ არა, მაშინვე ვცადე მისი სახელის გახსენება.

მშვენივრად მახსოვდა, რომ მასთან ვივახშმე; გავიხსენე, რაზე მელაპარაკებოდა. მაგრამ ჩემი შინაგანი სამყაროს იმ

ნაწილისკენ მიმართული ყურადღება, სადაც მასზე მოგონებები ინახებოდა, მის სახელს ვერ პოულობდა. და მაინც, ის იქ იყო. ჩემმა ფიქრმა მასთან ერთგვარი თამაში წამოიწყო, რათა ხელი ჯერ მისი მოხაზულობისთვის ჩაეჭიდა, საწყისი ბგერისთვის მიეგნო, რომლითაც მერე მთლიანად განათდებოდა. ამაო გამოდგა ჩემი ძალისხმევა; ვგრძნობდი, დაახლოებით ვხვდებოდი მის მოცულობას, წონას; რაც შეეხება ფორმას, შინაგანი ციხის სიბნელეში მოკრუნჩხულ პატიმარს ვადარებდი და საკუთარ თავს ვეუბნებოდი: «არა, ეს არ არის». რა თქმა უნდა, ჩემს გონებას ყველაზე რთული სახელების გამოგონება შეეძლო, მაგრამ, საუბედუროდ, ამ შემთხვევაში გამოგონება კი არა, აღდგენა მჭირდებოდა. გონება ყოველთვის იოლად მოქმედებს, თუ იგი რეალობას არ ექვემდებარება. აქ კი იძულებული გავხდი, მორჩილება გამომეცხადებინა. და უცბად მისი სახელი მთლიანად ამომიტივტივდა: «ქალბატონი დ’არპაჟონი». არა, ისე ვერ ვთქვი. ასე მგონია, თვითონ არ გამოჩენილა. სულაც არ ვფიქრობ, რომ ამ ქალბატონთან დაკავშირებულ ბუნდოვან მოგონებებს (მაგალითად, როგორიც ეს არის: «იგი ხომ ქალბატონი დე სუვრეს მეგობარია და გულუბრყვილო აღფრთოვანებამორეული შიშითა და ზიზღით უყურებს ვიქტორ ჰიუგოს»), დასახმარებლად განუწყვეტლად რომ მივმართავდი და ჩემსა და მის სახელს შორის დაჰქროდა, რაღაცა ზომით ხელი შეეწყო, რათა იგი, ბოლოს და ბოლოს, ამოტივტივებულიყო. ამ დიდ «დამალობანას» თამაშში, რომელსაც მახსოვრობა სახელის მოსაძებნად იწყებს, სახელი თანდათან არ გვიახლოვდება. ჩვენ ვერაფერს ვხედავთ და უცბად ის სახელი ამოტივტივდება, საერთო რომ არაფერი აქვს იმ სახელებთან, რომლებიც თავში

გვერეოდა. მაგრამ ის ჩვენთან არ მოვიდა. მჯერა, რომ ასაკთან ერთად ჩვენ იმ არეს ვშორდებით, სადაც სახელები ნათლად არის გამოკვეთილი. მხოლოდ ძალისხმევის და სურვილის გაძლიერებამ ჩემი აზრობრივი არეალი გაამახვილა, ნახევრად სიბნელე გავკვეთე და ყველაფერი ნათლად დავინახე. თუ არსებობს დავიწყებიდან გახსენებისკენ გარდასვლა, მაშინ ეს გარდასვლა გაუცნობიერებელია. სახელები, რომლებიც ნამდვილი სახელების ძიების გზაზე გვხვდება, ყალბი სახელებია და ერთი ნაბიჯითაც არ გვაახლოებს ნამდვილთან. კაცმა რომ თქვას, სახელებიც არ არის, ხშირად მხოლოდ თანხმოვნებია, რომლებიც ნაპოვნ სახელში არ გვხვდება. მოკლედ, გონების ეს მუშაობა, რომელიც არარადან სინამდვილეში გადადის, ისეთი იდუმალებით არის მოცული, ბოლოს და ბოლოს, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს არის ლატანი, რომელსაც მოუხერხებლად, მაგრამ დროულად გვაწვდიან, რათა შევძლოთ და ნამდვილ სახელს ჩავჭიდოთ ხელი. «ყველაფერ ამას, – იტყვის მკითხველი, – ამ ქალბატონის თავაზიანობის ნაკლებობასთან კავშირი არა აქვს. მაგრამ, რადგან თავს ნება მიეცით და ასეთი გრძელი გადახვევა შემოგვთავაზეთ, მაშინ ნება მომეცით, ბატონო ავტორო, ერთი წუთით კიდევ შეგაჩეროთ და გითხრათ, რომ საწყენია, ისეთ ახალგაზრდა კაცს, როგორიც თქვენ ბრძანდებით (ან თქვენს

გმირს, თუ იგი თქვენ არა ხართ), ისეთი ცუდი მახსოვრობა გაქვთ, რომ ვერ შეძელით კარგად ნაცნობი ქალბატონის სახელის გახსენება». დიახ, მართლაც სამწუხაროა, ბატონო მკითხველო, სამწუხაროა და იმაზე მეტად სამწუხარო, ვიდრე თქვენ გგონიათ, რადგან იმ ჟამის მოახლოების მაუწყებელია, როცა სახელები და სიტყვები აზროვნების ნათელი ზონიდან

გაქრებიან, ჟამისა, როცა ვეღარ შეძლებ იმ ხალხის სახელების გახსენებას, რომლებსაც კარგად იცნობდი. მართლაც სამწუხაროა, რომ უკვე ახალგაზრდობაში გვიწევს მახსოვრობაში ქექვა, რათა კარგად ნაცნობი სახელები ვიპოვოთ. მაგრამ, თუ ეს ნაკლი მხოლოდ იმ ადამიანების სახელებზე ვრცელდება, რომლებსაც თითქმის არ ვიცნობთ და სრულიად გასაგები მიზეზების გამო დაგვავიწყდა, და, თუ მათ გასახსენებლად მახსოვრობის დაძაბვა არ გვსურს, მაშინ ეს ნაკლი სასარგებლოც კი იქნება. «გავბედავ და გკითხავთ, რისთვის?» ეე, ბატონო ჩემო, განა ავადმყოფობა არ გვაძლევს შესაძლებლობას და გვაიძულებს შევამჩნიოთ, შევისწავლოთ, განვალაგოთ მექანიზმის შემადგენელი ნაწილები, რასაც ამის გარეშე ვერ გავიცნობიერებთ. განა ადამიანი, რომელიც ყოველ საღამო მთელი თავისი მასით საწოლში წვება, იმ წუთამდე არ ცოცხლობს, როცა უნდა გაიღვიძოს და ადგეს; განა მას აქვს უნარი, ძილზე თუნდაც მცირე დაკვირვება მოახდინოს, აღარაფერს ვამბობ დიდ აღმოჩენებზე. ასეთმა ადამიანმა თითქმის არც იცის, რომ სძინავს. მხოლოდ იმ ადამიანს, რომელსაც უძილობისკენ აქვს მიდრეკილება, შეუძლია, სწორი წარმოდგენა შეიქმნას ძილზე, შეუძლია, ამ სიბნელეს ცოტა ნათელი მოჰფინოს. სუსტი მახსოვრობა მეხსიერების შესასწავლად მძლავრ ბიძგს ვერ მოგვცემს. «ბოლოს და ბოლოს, ქალბატონმა დ’არპაჟონმა პრინცთან წარგადგინათ?» არა, ოღონდ ნუ მაწყვეტინებთ, დამამთავრებინეთ დაწყებული ამბავი.

ქალბატონი დ’არპაჟონი ქალბატონ დე სუვრეზე მხდალი აღმოჩნდა, ოღონდ მისი სიმხდალე

მისატევებელი იყო. მან იცოდა, რომ საზოგადოებაზე დიდი გავლენა არ ჰქონდა. ეს გავლენა ჰერცოგ დე გერმანტთან მისმა სათავგადასავლო კავშირმა კიდევ უფრო შეამცირა, ხოლო ბოლო დარტყმად მათ შორის ურთიერთობის გაწყვეტა იქცა. ჩემმა თხოვნამ, პრინცთან წარვედგინე, ცუდ გუნებაზე დააყენა, რაც მდუმარებით გამოხატა. თავისი გულუბრყვილობით, ალბათ, ეგონა, ვიფიქრებდი, ჩემი თხოვნა ვერ გაიგო-მეთქი. ისიც ვერ შეამჩნია, სიბრაზისგან როგორ შეეჭმუხნა წარბები. ან, იქნებ პირიქითაც, შეამჩნია, მაგრამ არ აღელდა, საკუთარი თავი რომ გასცა, გაღიზიანებული სახის გამომეტყველებით ისარგებლა, რათა გავჩუმებულიყავი და მივმხვდარიყავი, რომ ასეთი თხოვნა ჩემი მხრიდან თავხედობა იყო; ეს მოახერხა კიდეც უსიტყვოდ, მაგრამ ზუსტი გამომეტყველებით.

მოკლედ, ვიკონტესა დ’არპაჟონს ცუდ გუნებაზე ყოფნის მიზეზი ჰქონდა; ამ წუთში ბევრის თვალი რენესანსის სტილის აივნისკენ იყო მიპყრობილი, იმ კუთხისკენ, სადაც ნაცვლად უზარმაზარი სტატუეტისა, რითიც მაშინ ხშირად ამკობდნენ აივნებს,

მოაჯირზე დაყრდნობილი, ქანდაკებაზე არანაკლებ დახვეწილი, უმშვენიერესი შესახედაობის ჰერცოგინია დე სიურჟილე-დიუკი იდგა; ის, ვისზეც ქალბატონი დ'არპაჟონისგან მემკვიდრეობით გადავიდა ბაზენ დე გერმანტის გული. მსუბუქი თეთრი ტიულის ტანსაცმლიდან, ღამის სიგრილისგან რომ იცავდა, მოქნილი სხეული ილანდებოდა და, გამარჯვების ქანდაკების[45] მსგავსად, თითქოს ზეცისკენ მიფრინავდა. თხოვნით რომ მიმემართა, იმედად მხოლოდ ბატონი დე

შარლიუღა მრჩებოდა, ის ახლა ქვედა დარბაზებიდან ერთ-ერთში იჯდა, რომელსაც გასასვლელი ბაღისკენ ჰქონდა. საკმაო დრო მქონდა (თავს იკატუნებდა, ვითომ ვისტის თამაშით იყო გართული, არადა, მხოლოდ იმიტომ თამაშობდა, ისეთი სახე რომ მიეღო, თითქოს ვერავის ამჩნევდა), მისი ფრაკის მხატვრული უბრალოებით, წინასწარგათვლილი უბრალოებით, დავმტკბარიყავი, რომელიც, რაღაც წვრილმანების წყალობით, რაც შეიძლება მხოლოდ მკერავმა შეამჩნიოს, შავსა და თეთრ ტონებში გადაწყვეტილ უისტლერის[46] «ჰარმონიას» გვახსენებდა, უფრო სწორად, შავ, თეთრ და წითელ ტონებში, რადგან ბატონ დე შარლიუს ჟაბოზე მიმაგრებულ ფართო ლენტზე თეთრი, შავი და წითელი მინანქრით შემკული ჯვარი ეკიდა – მალტის ორდენის რაინდის ჯვარი. ამ დროს ვისტის თამაში ქალბატონმა დე გალარდონმა შეაწყვეტინა, მან თავისი ძმისწული ვიკონტი დე კურვუაზე მოიყვანა, ახალგაზრდა კაცი, რომელსაც სანდომიანი, მაგრამ თავხედური სახე ჰქონდა. «ბიძაშვილო, – უთხრა ქალბატონმა დე გალარდონმა, – ნება მომეცით, ჩემი ძმისწული ადალბერი გაგაცნოთ. ადალბერ, ეს ჩვენი სახელოვანი ბიძა პალამედია, რომლის შესახებაც არაერთხელ გსმენია». «საღამო მშვიდობისა, ქალბატონო დე გალარდონ. – უპასუხა ბატონმა დე შარლიუმ. – საღამო მშვიდობისა, ბატონო», – ისე მიუგდო ახალგაზრდა კაცს, ზედაც არ შეუხედავს, ისეთი გულმოსული სახე ჰქონდა და უხეში ტონი, ყველა გაოცებული დარჩა. შეიძლება, ბატონმა დე შარლიუმ იცოდა კიდეც, რომ ქალბატონი დე გალარდონი მის ზნეობრივ მხარეზე მაღალი აზრისა არ იყო; აკი ერთხელ საკუთარ თავს სიამოვნების მინიჭებაზე უარი ვერ უთხრა და მის მიდრეკილებაზე მიანიშნა,

ამიტომ ბარონმა ახლა გადაწყვიტა, მისთვის უმცირესი მიზეზიც აღარ მიეცა, თავისებურად გაეგო, თუ მის ძმისწულს ალერსიანად მოექცეოდა, ამავე დროს ყველას თვალწინ ახალგაზრდა კაცისადმი თავისი გულგრილობაც გამოხატა; შეიძლება, ისიც მოეჩვენა, რომ ადალბერს, როცა მამიდამისი მასზე ელაპარაკებოდა, სათანადოდ მოკრძალებული სახე არ ჰქონდა, ან შეიძლება ასეთ სასიამოვნო ნათესავთან ურთიერთობის გაბმასაც აპირებდა და თავდასხმით დაიწყო, რათა შემდეგ საკუთარი წარმატება უზრუნველეყო; ასე მონარქები იქცევიან ხოლმე – ვიდრე დიპლომატიურ ნაბიჯს გადადგამენ, ჯერ ომს იწყებენ.

რომ მეგონა, ისეთი ძნელი სულაც არ გამოდგა ბატონი დე შარლიუს დათანხმება იმაზე, რომ პრინცისთვის წარვედგინე. ბოლო ოცი წლის განმავლობაში ეს დონ კიხოტი იმდენ ქარის წისქვილს ებრძოდა (ხშირად ნათესავებს, რომლებიც, როგორც მას ეგონა, ცუდად ექცეოდნენ), ისე მალიმალ უკრძალავდა გერმანტების გვარის

ქალებსა და კაცებს იმ ადამიანის მოწვევას, რომლის «სახლში შეშვებაც შეუძლებელი» იყო, რომ მთელი საგვარეულო შიშმა შეიპყრო, ყველა ის ადამიანი არ მოემდურებინათ, ვინც უყვარდათ, სამუდამოდ უარი არ ეთქვათ ახალ საინტერესო ნაცნობობაზე და ეს ყოველივე იმიტომ, რომ იმ ჭექა-ქუხილისთვის გაეძლოთ, რომელიც თავიანთი წყენია ნათესავისგან, თუმც უმცირესი საფუძველიც არ ჰქონდა, თავს ატყდებოდათ; იგი მიიჩნევდა, რომ, თუ მას სურდა, დანარჩენებს უნდა მიეტოვებინათ ცოლი, ძმა, შვილები. გერმანტებიდან ყველაზე გონიერმა ბატონმა დე შარლიუმ შეამჩნია, რომ მისი

მოთხოვნებიდან მხოლოდ ერთი სრულდებოდა, მომავლისა შეეშინდა, ერთ მშვენიერ დღეს მასთან ურთიერთობა არ შეეწყვიტათ და გადაწყვიტა, უფრო დამთმობი გამხდარიყო, რათა, როგორც იტყვიან, ფასი არ დაეკარგა. რამდენიმე თვის განმავლობაში, რამდენიმე წლისაც, შეიძლება ემტკიცებინა, რომ მისთვის საძულველი არსება საზიზღრად იქცეოდა და დროის ამ მონაკვეთში ვერც ერთი გერმანტი ამ ადამიანის მოწვევას ვერ გაბედავდა, ამ დროს იგი, ალბათ, იმ მტვირთავს ჰგავდა, რომელმაც საჩხუბრად თვით დედოფალზე გაიწია, ვინც წინააღმდეგობას გაბედავდა, იგი მისთვის ფასს კარგავდა, მრისხანების ამოფრქვევები მეტისმეტად ხშირად ემართებოდა, მაგრამ ხანმოკლე იყო. «ჩერჩეტი, არამზადა! სეირს უჩვენებენ, თავის ადგილზე მოსვამენ. სანაგვე ორმოში გადაუძახებენ, ოღონდ მეშინია, ამან ქალაქში სანიტარული მდგომარეობის გაუარესება არ გამოიწვიოს!» მაშინაც ბობოქრობდა, როცა საკუთარ თავთან მარტო დარჩენილი იმ წერილს კითხულობდა, საკმაოდ თავაზიანი რომ არ მოეჩვენა, ანდა ვიღაცის მოტანილი სიტყვა გაახსენდა. ოღონდ ახალი მრისხანება, ვიღაც სულელის სიტყვამ რომ გააღვივა, პირველს უოკებდა და, თუ პირველი დოყლაპია მასთან მოწიწებით მოიქცეოდა, მისი საქციელით გამოწვეული აფეთქება დავიწყებას ეძლეოდა, ბრაზი იმდენ ხანს სულაც არ გასტანდა, რომ იქიდან რამე აგებულიყო. აი, ამიტომაც, რომ, მიუხედავად იმისა, ჩემ მიმართ ცუდად იყო განწყობილი, თხოვნას, პრინცთან წარვედგინე, მაინც შემისრულებდა, თუკი ჩემი მეტისმეტი წესიერების გამო, ვაითუ იფიქროს, თითქოს იმდენად მოურიდებელი ვარ, რაკი ბედნიერი შემთხვევითობით ამ სახლში შევედი, იმასაც ვიმედოვნებ, რომ მისი მფარველობის

წყალობით დარჩენასაც შემომთავაზებენ-მეთქი – ჩემდა საუბედუროდ, არ წამომცდებოდა. «მოგეხსენებათ, მათ კარგად ვიცნობ. პრინცესა ჩემ მიმართ ძალიან თავაზიანი იყო». «ძალიან კარგი, თუ მათ კარგად იცნობთ, მაშინ წარდგინება რაღაში გჭირდებათ?» – მითხრა მედიდური სახით, შებრუნდა და პაპის ნუნციუსთან, გერმანიის ელჩთან და კიდევ ერთ პიროვნებასთან, რომელსაც არ ვიცნობდი, ვითომდა დიდი გატაცებით ისევ ვისტის თამაშს შეუდგა.

უცბად იმ ბაღში გამავალი ფართოდ გაღებული კარიდან, სადაც ოდესღაც ჰერცოგი დ’ეგილონის[47] განკარგულებით იშვიათ ცხოველებს აშენებდნენ, ჩემამდე ქშენამ მოაღწია, ვიღაც ცდილობდა, მთელი ეს დიდებულება ისე შეესრუტა, არაფერი დაეკარგა. ხმაური ახლოვდებოდა, ალალბედზე ამ ხმისკენ გავემართე და ბატონ დე

ბრეოტეს სიტყვები: «საღამო მშვიდობისა», პირდაპირ ჩემს ყურთან გაისმა არა როგორც დაჟანგულ-დაჩლუნგებული დანის ღრჭიალი, რომელსაც ლესავენ, არც როგორც ღორის ღრუტუნი, დამუშავებულ მინდვრებს რომ აჩანაგებს, არამედ როგორც მხსნელის იმედის მომცემი ხმა. თავიდან ძლივს მივიქციე მისი ყურადღება, თავს აქეთ-იქით ატრიალებდა, მონოკლს ცნობისმოყვარეობით ხან ერთ, ხანაც მეორე მხარეს აბრუნებდა, თითქოს შედევრების გამოფენაზე მოხვედრილაო, ცხვირი კი დროდადრო ისე უთრთოდა, ნესტოები ებერებოდა; იგი ნაკლებად გავლენიანი კაცი იყო, ვიდრე ქალბატონი დე სუვრე, სამაგიეროდ, უფრო მეტად გულისხმიერი, ვიდრე ის ქალბატონი, ვისაც პრინცთან უფრო მეტი მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა, ვიდრე ქალბატონ დ'არპაჟონს;

შეიძლება იგი გერმანტების წრესთან ჩემს ახლობლობას გადაჭარბებულად აფასებდა ან, იქნებ, უკეთ მოეხსენებოდა ჩემი მათთან ურთიერთობის შესახებ, მაგრამ, როგორც კი ეს თხოვნა მის გონებამდე დავიდა, მის შესასრულებლად მაშინვე მზადყოფნა გამოთქვა, პრინცთან მიმიყვანა და წარმადგინა; წარდგენისას სახეზე ისეთი ცერემონიალური, უგვანო, წუწკი გამომეტყველება აღებეჭდა, თითქოს პრინცს თეფშით ნამცხვარი მიართვაო. ჰერცოგი დე გერმანტი, როცა სურდა, თავაზიანი იყო, მეგობრული, შინაურული, უბრალო, ამხანაგური, აი, პრინცი კი, მიღებისას ვიგრძენი, დაძაბული, არაბუნებრივი, ქედმაღალი ჩანდა. ღიმილი ძლივს გამოიმეტა და ზვიადად მომმართა – ბატონოო. ხშირად გამიგია, როგორ დასცინოდა ჰერცოგი ბიძაშვილის მედიდურობას. მაგრამ პირველი სიტყვებიდანვე, რომლითაც პრინცმა მომმართა, თავისი სიცივითა და სერიოზულობით იშვიათ კონტრასტს რომ ქმნიდა ბაზენის მეტყველებასთან, მივხვდი, ქედმაღალი სწორედ ჰერცოგი იყო, თუმცა პირველი ვიზიტის დროს უკვე თქვენი «ამხანაგი» ხდებოდა, მაგრამ ამ ორი ბიძაშვილიდან ნამდვილი უბრალო ადამიანი იყო არა ის, არამედ პრინცი. პრინცის თავდაჭერილობაში ნათლად ის სურვილი კი არ ჩანდა, თქვენთან ისე ყოფილიყო, როგორც თანაბარი თანაბართან, არა, რა თქმა უნდა, მასში ასეთი სურვილის მინიშნებასაც ვერ აღმოაჩენდით. მაგრამ პატივისცემა იმისადმი, ვინც შენზე დაბლა დგას, იქ უფრო ჩნდება, სადაც იერარქიულ მდგომარეობას განსაკუთრებით მკაცრად იცავენ – მაგალითად, სასამართლოში ან უნივერსიტეტში, სადაც თავიანთი მაღალი დანიშნულების შეგნებით აღვსილი გენერალური პროკურორის ან დეკანის ტრადიციული ქედმაღლობის ქვეშ

შეიძლება ნამდვილი უბრალოება, დიდი სიკეთე, ჭეშმარიტი გულითადობა იფარებოდეს – ვიდრე ახალ ადამიანებში მათი მეგობარ-მოკეთეობის თამაშით. «მამათქვენის კვალზე სიარულს ხომ არ აპირებთ?» – მკითხა პრინცმა გულჩათხრობილად, მაგრამ ინტერესით. ზოგადი ფრაზებით ვუპასუხე, მივხვდი, ეს კითხვა მხოლოდ თავაზიანობის გამო დამისვა და უმალ გავშორდი, რათა ხელი არ შემეშალა, ახლად მოსულ სტუმრებს მისალმებოდა.

სვანი დავინახე, მინდოდა გამოვლაპარაკებოდი, მაგრამ ზუსტად ამ დროს პრინცმა დე გერმანტმა, იმის მაგივრად, ოდეტის ქმარს ადგილიდან ფეხმოუცვლელად

მისალმებოდა, მისი ხელი მაშინვე შემწოვი ტუმბოს სიძლიერით მოქაჩა და ბაღის სიღრმეში გაიყვანა, თითქოს, როგორც მერე ზოგიერთი იტყვის, «მისი კარში გაგდება» უნდოდა.

ამ საზოგადოებაში მოხვედრით იმდენად დაბნეული ვიყავი, რომ მხოლოდ ერთი დღის შემდეგ, გაზეთებიდან გავიგე, თურმე მთელი საღამო ჩეხური ორკესტრი უკრავდა და წარამარა ერთიმეორის მიყოლებით ბენგალიური ცეცხლი ენთებოდა, ჩემი ყურადღება კი მხოლოდ ჰუბერ რობერის[48] ცნობილმა შადრევანმა მიიპყრო.

იგი კორდიდან, მშვენიერ ხეებს რომ დაეფარა, რომელთაგან ზოგიერთი ისეთივე ძველი იყო, როგორც თვით შადრევანი, ცოტა მოშორებით იდგა და შორიდანვე ჩანდა აშოლტილი,

მოხდენილი, უმოძრაო, რომლის უფერულ, მოცახცახე წვერს ნიავი ოდნავ ეთამაშებოდა. მეთვრამეტე საუკუნემ გააკეთილშობილა მისი ხაზების სინატიფე, წყლის ნაკადის ამოტყორცნის განსაზღვრული სტილის შერჩევით თითქოს ცხოვრება შეუჩერეს; თუ მისგან გარკვეულ მანძილზე იდექით, მაშინ თავისი ხელოვნებით გაგაოცებდათ, ისეთი შეგრძნება დაგრჩებოდათ, რომ ეს წყლის სენსაცია იყო. ნესტიანი ღრუბელიც კი, წამდაუწუმ რომ ჩამოწვება ხოლმე მის თავზე, ეპოქის ანაბეჭდს ატარებდა, იმ ღრუბლების მსგავსად, ვერსალის სასახლის ირგვლივ რომ გროვდება. ახლოს მისვლისას ხვდებით, შადრევნის ჭავლები, მსგავსად ანტიკური სასახლეების ქვებისა, მართალია, მათთვის წინასწარ შექმნილ ნახაზს მიჰყვებიან, მაინც მუდამ ახალი ჭავლებია, ზევით, სიმაღლისკენ მსწრაფნი უსიტყვოდ რომ ემორჩილებიან ხუროთმოძღვრის ძველ ბრძანებას, მაგრამ უზადო სიზუსტის გამოჩენა მხოლოდ ამ ხაზების მოჩვენებითი დარღვევით თუ მიიღწევა, რადგან მრავალი დაქსაქსული ანატყორცნი შორიდან მაყურებელში ერთი ნაკადის შთაბეჭდილებას ქმნის. შადრევანი მართლაც ისეთივე ცვალებადი იყო, როგორც ატყორცნილი ჭავლები, შორიდან კი ერთიანი, უდრეკი და მკვრივი მეჩვენა. უფრო ახლო მანძილიდან ჩანდა, რომ მთლიანობის შთაბეჭდილება, ერთი შეხედვით სწორხაზოვნის, მხოლოდ ერთი ჭავლით იქმნებოდა, ყველგან, სადაც იგი უნდა გადაიმსხვრეს, გვერდით მომავალი, პარალელური ჭავლი უსწრებს, მაღლა მიისწრაფვის, დაუძლეველ სიმაღლეს მიაღწევს და მას სხვა, მესამე შეცვლის. ახლოდან ჩანდა წყლის ჭავლს გამოყოფილი წვეთების უძლურება, გზაზე თავიანთ აღმამავალ დებს რომ ხვდებიან და, ვიდრე წყალსატევში

ჩაიკარგებიან, ჰაერში დატივტივებენ: საუბედუროდ, თუ ქარი წამოიქროლებს, დედამიწისკენ ალმაცერად მოჰქრიან და, თუ მაყურებელი შადრევნიდან მოშორებით არ იქნება, მთლად გაიწუწება.

ერთი ასეთი პატარა უსიამოვნო შემთხვევა, რომელზეც ახლა გვექნება ლაპარაკი, მოხდა კიდეც, როცა ნიავმა წამოუქროლა. ქალბატონი დ’არპაჟონი დაარწმუნეს, რომ ჰერცოგი დე გერმანტი, რომელიც სინადვილეში ჯერ არ მოსულიყო, ქალბატონ დე სიურჟისთან ერთად ვარდისფერი მარმარილოს ერთ-ერთ გალერეაში იყო, სადაც

აუზის თავზე აღმართული კოლონების ორმაგი რიგის გვერდის ავლით შეიძლებოდა მოხვედრა. და, როცა ქალბატონი დ’არპაჟონი ერთ-ერთ კოლონას მიუახლოვდა, თბილი ნიავის ძლიერმა ტალღამ წყლის ჭავლი გადმოღუნა და ქალბატონს ზედ გადაევლო, წყალი კორსაჟშიც ჩაუვიდა, ისე დასველდა, თითქოს აბაზანაში ყოფილიყო. ამას ისეთი ხმამაღალი ბრდღვინვა მოჰყვა, მთელ არმიას შეეძლო გაეგო, მაგრამ პატარ-პატარა პაუზები ისე შეენაცვლა ერთმანეთს, თითქოს ის მთელ ჯარს კი არ ეხებოდა, არამედ რიგრიგობით ყველა დანაყოფს – ეს დიდი მთავარი ვლადიმირი[49] ბრძანდებოდა. გაწუწული ქალბატონის დანახვისას მთელი გულით ახარხარდა და მერეც ხშირად იხსენებდა, ცხოვრებაში ასეთი სასაცილო არაფერი მინახავსო. მაგრამ, როცა ვიღაც გულშემატკივარმა მოსკოველს უთხრა, ეს ქალბატონი თანაგრძნობას მაინც იმსახურებს და მისდა სასიამოვნოდ რამდენიმე კეთილი სიტყვა უნდა გავიმეტოთო, დიდმა მთავარმა, რომელსაც კეთილი გული

ჰქონდა, საჭიროდ მიიჩნია, რჩევისთვის ყური ეგდო და, ოდნავ ჩაუცხრა თუ არა მეომრული, რიხიანი სიცილი, ისევ ბრდღვინვა გაისმა, ოღონდ უფრო ხმამაღალი: «ბრავო, ბებრუხანა!» – წამოიძახა დიდმა მთავარმა და ტაში ისე შემოკრა, თითქოს თეატრში ყოფილიყო. და, როცა ვიღაცამ წყლის ხმაურის დაფარვა სცადა, დიდი მთავრის მქუხარე ხმასაც რომ ახშობდა, და ქალს უთხრა, მგონი, მისმა საიმპერატორო უდიდებულესობამ რაღაც გითხრათო, ქალბატონმა დ’არპაჟონმა არაო, უპასუხა, ქალბატონ დე სუვრეს მიმართაო.

ბაღი გავიარე და სასახლის კიბეს ავუყევი, სადაც პრინცის არყოფნის გამო, რომელიც სვანთან ერთად გაუჩინარდა, სტუმრები ბატონი დე შარლიუს ირგვლივ ისე ფუთფუთებდნენ, როგორც ლუდოვიკო XIV-ის ვერსალში არყოფნისას იკრიბებოდნენ მისი ძმის გარშემო. როცა ბარონს ჩავუარე, შემაჩერა; ჩემ უკან ორი ქალბატონი და ახალგაზრდა კაცი მოდიოდნენ, რათა ბატონ დე შარლიუს მისალმებოდნენ.

«სასიამოვნოა, აქ რომ გხედავთ, – მითხრა და ხელი გამომიწოდა. – საღამო მშვიდობისა, ქალბატონო დე ლა ტრემუი; საღამო მშვიდობისა, ძვირფასო ჰერმინი». ალბათ, ბატონ დე შარლიუს გაახსენდა, როგორ მითხრა გერმანტების სახლში პირველი კაცი ვარო; და, თუმცა გაღიზიანების დაფარვა არ გამოუვიდა, სახეზე კმაყოფილება მაინც აღიბეჭდა, ოღონდ არისტოკრატიულმა მოურიდებლობამ და ისტერიკულობამ ააჩქარა, ნათქვამის ფორმა ღრმა

ირონიით შეემოსა: «ძალიან სასიამოვნოა, – გაიმეორა მან, – მაგრამ, რაც მთავარია, თავშესაქცევია», – და გადაიხარხარა, რაც, ალბათ, იმას მოწმობდა, თითქოსდა კმაყოფილი იყო, შეიძლება იმასაც, თუ რა უძლური იყო ადამიანური სიტყვა მისი კმაყოფილების გამოსახატავად; ამასობაში ზოგიერთი სტუმარი, ვინც იცოდა, ეს რა გულზვიადი და მიუკარებელიც ბრძანდებოდა და თან ველურ გამოხდომებსაც არ ერიდებოდა, ცნობისმოყვარეობით მოგვიახლოვდა. «კმარა, ნუღარ ბრაზობთ, – მხარზე ფრთხილად შემახო ხელი და ისე მითხრა ბარონმა, – ხომ იცით, როგორ მიყვარხართ. საღამო მშვიდობისა, ანტიოშ; საღამო მშვიდობისა, ლუი რენე;

შადრევანი ნახეთ? – მტკიცებითი ფორმით უფრო მკითხა, ვიდრე კითხვითი, – ხომ ძალიან ლამაზია? ასე არ არის? საოცრებაა. ცხადია, თუ რაღაც-რაღაცებზე უარს იტყოდნენ და მოაშორებდნენ, მაშინ შეიძლება სრულყოფილიც გამოსულიყო; მთელ საფრანგეთში ამაზე მშვენიერი არაფერი იქნებოდა. თუმცა იგი შეიძლება საუკეთესოდაც მივიჩნიოთ მათ შორის, რაც გვაქვს. ბრეოტე გეტყვით, ამაოდ შეამკეს ლამპიონებითო, მაგრამ ამას იმიტომ ამბობს, რათა ყველამ დაივიწყოს, რომ ეს მისი სულელური აზრია. საერთოდ კი, არ გამოუვიდა შადრევნის დამახინჯება. ხელოვნების ნიმუშის დამახინჯება უფრო ძნელია, ვიდრე მისი შექმნა. მოკლედ, დიდი ხანია, ბუნდოვანი ეჭვი გვაქვს, რომ ბრეოტე ჰუბერ რობერზე ძლიერი არ არის».

ისევ სასახლეში შემავალ სტუმართა რიგს შევუერთდი. «ჩემი მომხიბლავი ბიძაშვილი ორიანი

დიდი ხანია არ გინახავთ? – მკითხა პრინცესამ, რომელიც შესასვლელში მდგარი სავარძლიდან, ის-ის იყო, ადგა და ახლა ჩემთან ერთად სასტუმრო დარბაზისკენ მოემართებოდა. – სადაცაა, უნდა მოვიდეს. დღისით ერთმანეთი ვნახეთ და... – გააგრძელა სასახლის დიასახლისმა, – მოსვლას დამპირდა. გარდა ამისა, თუ არ მეშლება, ჩემთან და მასთან ერთად ხუთშაბათს საელჩოში, იტალიის დედოფალთან ვახშმობთ. იქაურობა ნაირ-ნაირი უდიდებულესობებით იქნება სავსე. ისე მეშინია!» უდიდებულესობები არ შეიძლება საშიში ყოფილიყვნენ პრინცესა დე გერმანტისთვის, რომლის სალონებშიც ისინი ბუზებივით ირეოდნენ; ის კი მათზე ასე ამბობდა: «ჩემი პატარა კობურგები»[50], თანაც ისეთი ტონით, როგორითაც შეიძლება ეთქვა: «ჩემი პატარა ცუგები» და მაშინვე უმატებდა: «ისე მეშინია!» უბრალოდ, სულელობდა, რაც მაღალ საზოგადოებაში ამპარტავნობასაც კი ჯაბნის. თავის წარმომავლობაზე იმაზე ნაკლები იცოდა, ვიდრე რომელიმე ისტორიის მასწავლებელმა. როცა მის მეგობრებზე ჩამოვარდებოდა ლაპარაკი, მათი მეტსახელებით იწონებდა თავს. მკითხა, ვვახშმობდი თუ არა შემდეგ კვირას მარკიზა დე ლა პომელიერთან, რომელსაც ხშირად «ლა პომს»[51] ეძახდა; უარყოფითი პასუხი მიიღო და ერთხანს გაჩერდა. მერე, თავისი არცთუ ბრწყინვალე ცოდნით რომ გაბრწყინებულიყო, თანაც ეჩვენებინა, სხვებისგან არ გამოირჩეოდა და ისეთივე იყო, როგორიც ყველაა, დაუმატა: «ლა პომი საკმაოდ სასიამოვნო ქალია!»

პრინცესასთან ამ საუბრისას ჰერცოგი და ჰერცოგინია დე გერმანტებიც შემოვიდნენ, მაგრამ

მათთან მისვლა ვერ მოვახერხე, რადგან თურქეთის ელჩის ცოლმა დამიჭირა, სასახლის დიასახლისზე მიმანიშნა, რომელსაც, ის-ის იყო, დავშორდი, და ალაპარაკდა: «აჰ! რა მომხიბლავი ქალია პრინცესა! ყველაზე უკეთესია! კაცი რომ ვყოფილიყავი, ასე მგონია, – დაუმატა აღმოსავლური ლაქუცითა და მგრძნობიარობით, – მთელ ცხოვრებას ამ ზეციურ არსებას მივუძღვნიდი». დავუდასტურე, რომ მეც ამ აზრისა ვიყავი, თუმცა მის ბიძაშვილ ჰერცოგინიას

უკეთესად ვიცნობ-მეთქი, ვთქვი. «მათ შორის საერთო არაფერია, – შემედავა ელჩის ცოლი. – ორიანი მაღალი წრის მომხიბლავი ქალია, რომელიც თავის გონებამახვილობას მემესა და ბაბალს უნდა უმადლოდეს. აი, მარი-ჟილბერი კი პიროვნებაა».

არ მიყვარს, როცა ასე კატეგორიული ტონით, პასუხიც რომ არ აინტერესებთ, მიმითითებენ, რა უნდა ვიფიქრო ჩემს ნაცნობებზე. გარდა ამისა, თურქეთის ელჩის ცოლზე მეტი უფლება მქონდა, ჰერცოგინია დე გერმანტის ღირსებებზე მელაპარაკა. და კიდევ იმიტომ გავბრაზდი ელჩის ცოლზე, რომ ჩვენი უბრალო ნაცნობის ან მეგობრის ავად ხსენება ჩვენთვის ნამდვილი საწამლავია, რომლის საპირისპიროდაც, საბედნიეროდ, შხამსაწინააღმდეგო საშუალება «მითრიდატე» გვაქვს. რამე მეცნიერულად დასაბუთებული შედარებები რომ არ მოვიყვანო, არც ანაფილაქსიაზე[52] ვილაპარაკო, შევნიშნავ, რომ ჩვენი მეგობრული თუ მაღალი საზოგადოების ურთიერთობების სიღრმეში მტრობა ბუდობს, რომლის დროებითი გამოჯანმრთელება შესაძლებელია, მაგრამ შეტევებს განმეორება ახასიათებს. ჩვეულებრივ, ამ შხამით თითქმის არ

ვიტანჯებით მანამდე, ვიდრე ადამიანები «ბუნებრივად» გვექცევიან. იმის გამო, რომ თურქეთის ელჩის ცოლმა მისთვის უცნობ ადამიანებს «ბაბალი» და «მემე» უწოდა, შხამსაწინააღმდეგო მოქმედება, რომლის წყალობითაც მას ვიტანდი, შეწყდა. მასზე გული მომივიდა, ოღონდ სულ ტყუილად: ისინი ასე იმიტომ კი არ მოიხსენია, ყველას ეფიქრა, «მემეს» ახლო მეგობარიაო, არამედ იმიტომ, რომ ზედაპირული ცოდნა ჰქონდა და ეგონა, დიდგვაროვანი ადამიანების ასე მოხსენიება ქვეყნის ერთ-ერთი ჩვეულება იყო. დავფიქრდი და კიდევ ერთი მიზეზი აღმოვაჩინე, რატომაც ელჩის ცოლის საზოგადოებაში დარჩენა ჩემთვის არასასიამოვნო იყო. ამ ცოტა ხნის წინათ, ორიანთან ყოფნისას, ამ დიპლომატმა ჩემთან საუბრისას მტკიცედ განაცხადა, პრინცესა დე გერმანტი ღრმად ანტიპათიურიაო. გადავწყვიტე, არ მეკითხა, მაინც რამ გამოიწვია პრინცესასადმი მისი დამოკიდებულების ასეთი ცვლილება, ჩემთვის ისედაც ნათელი იყო, რომ ყველაფრის თავიდათავი დღევანდელ საღამოზე მოწვევა გახლდათ. ელჩის ცოლი გულწრფელი იყო, როცა მითხრა პრინცესა დე გერმანტი დიდებული ქმნილებააო, და თან ყოველთვის ასეთი აზრისა იყო. მაგრამ აქამდე პრინცესასთან არასოდეს მიუწვევიათ და ძალიან უნდოდა, სხვებს ისეთი შთაბეჭდილება შეჰქმნოდათ, თითქოს იმიტომ კი არ მიდის, რომ არ პატიჟებენ, არამედ თვითონ არ სურს მისვლა პრინციპის გამო. ახლა, როცა, ბოლოს და ბოლოს, მიიწვიეს და სარწმუნოა, რომ ამიერიდან ყოველთვის მიიწვევენ, უკვე შეეძლო, ღიად გამოეხატა პრინცესასადმი თავისი დამოკიდებულება. უმრავლეს შემთხვევაში, როცა ვინმეს განვიკითხავთ, ჩვენი განსჯა იმით როდი აიხსნება, რომ ურთიერთსიყვარული არა გვაქვს ან ესა

თუ ის ადამიანი ხელისუფლებაში აღარ არის. აზრი იმის მიხედვით იცვლება, მიწვეული ვართ თუ არა. ისიც უნდა ვთქვათ, რომ ჰერცოგინია დე გერმანტმა, ჩემთან ერთად სალონების ინსპექციას რომ ახდენდა, განაცხადა, ის მართლაც დროზე

გამოჩნდაო, რადგან აქ ძალიან საჭირო იყო. მაღალი საზოგადოების ნამდვილ ვარსკვლავებს უამათოდ ბრწყინვა მოსწყინდებოდათ. მაგრამ ოტომანების ელჩის ცოლის მსგავსი ქალები, მაღალ საზოგადოებაში ეს-ეს არის რომ გამოჩნდნენ, გაბრწყინებას ასწრებენ, როგორც იტყვიან, ყველგან და ყოველთვის. ისინი საჭირო ხალხია ამ განსაკუთრებულ წარმოდგენებზე, საღამოები, მეჯლისები რომ ჰქვია; მზად არიან, ნახევრად მკვდრები ლასლასით მივიდნენ, ოღონდ ერთიც არ გამოტოვონ. ამ სტატისტებს, რომელთა იმედიც კაცს მუდამ უნდა ჰქონდეს, რომელიმე ზეიმის გამოტოვებისა ეშინიათ. მთელი ლექციის წაკითხვა გახდება საჭირო, რათა ახალგაზრდა დოყლაპიებს, რომლებმაც არ იციან, რომ ესენი ყალბი ვარსკვლავები არიან და მათში ბრწყინვალების უმაღლეს განსახიერებას ხედავენ, როგორმე აუხსნა: ქალბატონ სტანდიშს, რომლის შესახებაც არაფერი იციან და რომელიც ამ საზოგადოებისგან სადღაც შორს ბალიშებს ქარგავს, ჰერცოგინია დე დუდოვილზე ნაკლები ღირსებები არა აქვს.

ჩვეულებრივ ცხოვრებაში ჰერცოგინია დე გერმანტს დაბნეული და ოდნავ ნაღვლიანი თვალები ჰქონდა; აზრთა მგზნებარების ცეცხლით მხოლოდ მაშინ იწყებდნენ ბრიალს, როცა ვინმე მეგობარს ესალმებოდა, თითქოს ეს მეგობარი კი არა, რამდენიმე გონივრული სიტყვა იყო,

მშვენიერი ოხუნჯობა, ნატიფი საჭმელი, რომელმაც, გემო რომ გაუსინჯა, გურმანის სახეს ნეტარი სიამოვნება მოჰფინა. მაგრამ ის ადგილი, სადაც ბევრი ხალხი იკრიბებოდა, სადაც გამუდმებით მისალმება და ყოველ ჯერზე ცეცხლის ჩაქრობა უწევდა, ძალზე დამღლელად ეჩვენებოდა. მხატვრული ლიტერატურის მცოდნე თეატრში შესვლისთანავე, სადაც ცნობილი დრამატურგის პიესა უნდა ითამაშონ, დარწმუნებულია, რომ დროს ამაოდ არ დაკარგავს, მეგარდირობეს ზედა ტანსაცმელს ჩააბარებს, ტუჩებზე მრავალმნიშვნელოვან ღიმილს გადაიკრავს, ხოლო გამოცოცხლებულ თვალებს მოწონების ეშმაკურ ციალს შესძენს; აი ასე, ჰერცოგინიამაც მისვლისთანავე თვალები ააელვარა, რაც მთელი წვეულების განმავლობაში გასტანს. საღამოს გამოსასვლელი მანტო გაიხადა, საუცხოო წითელი ფერისა, ისეთი, როგორც ტიეპოლოს[53] ტილოებზეა, და თვალს მოაწყდა კისერზე შემოხვეული ლალ-ბადახშით დამშვენებული მთელი წყება სამკაულისა; ბოლო სწრაფი გამოხედვით, გამჭრიახი, ყველაფრის შემამჩნეველი თვალით, ისეთით, როგორიც მკერავსა აქვს, კაბა ჩაითვალიერა და ეს გამოხედვა მაღალი წრის ქალბატონის გამოხედვა გახლდათ. ორიანი იმაშიც დარწმუნდა, რომ მისი თვალები მისსავე ძვირფასეულობაზე ნაკლებ არ ბრწყინავდა. ბატონ დე ჟუვილის მსგავსმა «თანამგრძნობელებმა» ამაოდ გადაუღობეს გზა ჰერცოგს. «იცით, რომ საცოდავი მამა სიკვდილის პირას არის? უკვე აზიარეს». «ვიცი, ვიცი, – უპასუხა ბატონმა დე გერმანტმა და აბეზარ ბატონს უკან დაახევინა. – ზიარების შემდეგ ცოტა მოიხედა», – დაუმატა ღიმილით, ოღონდ ეს ღიმილი მოსალოდნელ სიამოვნებაზე ფიქრს უფრო ეკუთვნოდა, რასაც იმ

კარნავალზე მიიღებდა, სადაც პირდაპირ პრინცესას საღამოდან აპირებდა წასვლას. «არ გვინდოდა, სხვებსაც გაეგოთ, ამიტომ ჩუმად მოვედით», – მითხრა ჰერცოგინიამ. ეჭვიც არ შეჰპარვია, რომ პრინცესამ უკვე გასცა ისინი, როცა გამიმხილა, ჩემი ბიძაშვილი ვნახეო, რომელიც შეჰპირდა, წვეულებაზე აუცილებლად მოვალო. ჰერცოგი მთელი ხუთი წუთი არ აშორებდა ცოლს ჩაციებულ მზერას. «ორიანს თქვენი ყოყმანის შესახებ ვუამბე», – თქვა ბოლოს. ახლა უკვე დარწმუნებული ვიყავი ჩემი ყოყმანის უსაფუძვლობაში და აღარც მას სჭირდებოდა მის გასაფანტად რაიმეს გაკეთება. ორიანმა შენიშნა, რომ ჩემი ყოყმანი დიდი სისულელე იყო და ამის გამო დიდხანს დამცინოდა. «აზრად როგორ მოგივიდათ, რომ მოწვეული არ იყავით! აქ ყოველთვის ყველას პატიჟებენ. თანაც მე რას ვაკეთებ? ნუთუ გგონიათ, პრინცესა უარს მეტყოდა და არ მოგიწვევდათ?» ისიც უნდა ვთქვა, რომ მას შემდეგშიც არაერთხელ გაუწევია უფრო მნიშვნელოვანი სამსახური, მაგრამ, მიუხედავად ამისა, უკვე აღარ ვიცოდი, მისი სიტყვები იმ აზრით თუ უნდა გამეგო, რომ მეტისმეტად ხათრიანი ვიყავი. ახლა უკვე, ასე თუ ასე, ზუსტად ვიცოდი არისტოკრატიული თავაზიანობის გახმოვანებული თუ გაუხმოვანებელი ენის ჭეშმარიტი ფასი, თავაზიანობისა, რომელიც სიხარულით აპკურებს ბალზამს თავისი სიმდაბლის იმ შეგრძნებას, რასაც ის ადამიანი განიცდის, ვისზეც ეს თავაზიანობა ვრცელდება და რომელიც მიზნად არ ისახავს, საერთოდ გამოათავისუფლოს იგი ამ შეგრძნებისგან, რადგან მაშინ თავის აზრს დაკარგავს. «ჩვენი თანასწორი ხართ, ჩვენზე მაღლაც კი დგახართ», – თითქოს ამბობდა გერმანტების ყოველი მოქმედება, უჩვეულო სანდომიანი ხმით ლაპარაკობდნენ, ისე,

რომ გერმანტები შეგიყვარდებოდათ, აღფრთოვანებული დარჩებოდით, ამასთან, მათთვის არ უნდა დაგეჯერებინათ; ამ თავაზიანობის ნამდვილობის მიხვედრა, გერმანტების აზრით, ზრდილობის გამოჩენას ნიშნავდა; ხოლო, თუ დაიჯერებდით, რომ ეს თავაზიანობა გულწრფელია, ეს იმას ამტკიცებდა, რომ ცუდად ხართ აღზრდილი. ცოტა მოგვიანებით კარგი გაკვეთილიც მივიღე, რისი წყალობითაც მერე უკვე უშეცდომოდ ვიგებდი არისტოკრატიული თავაზიანობის ზოგიერთი ფორმის გამოვლინების ზომასა და საზღვრებს. ეს დილის მიღებაზე მოხდა, რომელიც ჰერცოგინია დე მონმორანსმა ინგლისის დედოფლის პატივსაცემად მოაწყო; მცირერიცხოვანი ჯგუფი დედოფლის მეთაურობით, რომელიც ჰერცოგ დე გერმანტს ხელგაყრილი მიჰყავდა, ბუფეტისკენ დაიძრა. ამ დროს მეც შევედი. ასე ორმოციოდე მეტრის სიშორიდან ჰერცოგმა თავისუფალი ხელით რაღაც მანიშნა, რითიც მეგობრული განწყობილება გამოხატა, თითქოს მიხმობდა და მეუბნებოდა, გაბედულად მოდი, ნუ გეშინია სენდვიჩთან ერთად არ შეგჭამთო. რადგან სასახლის კარის ენის შესწავლაში უკვე წარმატებებს ვაღწევდი, წინ ნაბიჯიც არ გადამიდგამს და ორმოცი მეტრის მანძილიდან მდაბლად დავუკარი თავი, როგორც უცნობ ადამიანს, ისე, რომ არც გამიღიმია, და მოპირდაპირე მიმართულებით წავედი. რაიმე მნიშვნელოვანი ნაწარმოები რომ შემექმნა, ისეთ მაღალ შეფასებას არ მისცემდნენ, როგორითაც ამ ჩემს მისალმებას გამოეხმაურნენ. ეს არა მარტო ჰერცოგმა დაიმახსოვრა, რომელსაც იმ საღამოს ხუთასზე მეტ მისალმებაზე მოუწია

გამოპასუხებამ, არამედ ჰერცოგინიამაც, რომელმაც მერე, როცა დედაჩემს შეხვდა, უამბო, როგორ მივესალმე, მაგრამ

საჭიროდ არ ჩათვალა, ეთქვა, შეცდა, რომ არ მოვიდაო. პირიქით: დედაჩემს უთხრა, რომ მისი ქმარი ამ მისალმებით აღფრთოვანებული დარჩა, თავის მხრივ კი დაუმატა, ამ მდაბლად თავის დაკვრით ყველაფერი ითქვაო. ამაში ყველა ღირსება დაინახეს, გარდა ყველაზე მნიშვნელოვანის – თავმდაბლობის. ამის გამო დიდხანს მაქებდნენ, ამ ქებას იმდენად წარსულის ჯილდოდ არ ვიღებდი, რამდენადაც სამომავლო მითითებად, იმის მსგავსად, როგორც სასწავლებლის დირექტორი თავის მოწაფეებს ეუბნება: «არ დაივიწყოთ, ბავშვებო, არა იმდენად თქვენ გაჯილდოებთ, რამდენადაც თქვენს მშობლებს, რათა მომდევნო წელსაც გამოგგზავნონ სკოლაში»; ისევე, როგორც ვიკონტესა დე მარსანტი, როცა მასთან ისეთი ადამიანი გამოჩნდება, მის წრეს რომ არ ეკუთვნის, მისი თანდასწრებით ისეთ თავდაჭერილ ადამიანებს აქებს, რომლებიც «როცა საჭიროა, აქ არიან, საერთოდ კი, ჩრდილში ამჯობინებენ ყოფნას». ისევე, როგორც მსახურს, რომელსაც ცუდი სუნი ასდის, აგრძნობინებენ, გადაკვრით ეუბნებიან, რომ აბაზანა ჯანმრთელობისთვის ძალიან სასარგებლოა.

ჰერცოგინია დე გერმანტთან, რომელიც ისევ ვესტიბიულში იდგა, საუბარი დამთავრებული არ მქონდა, რომ უცბად ერთი ისეთი ხმა შემომესმა, რომელსაც მერე უკვე ადვილად ვანსხვავებდი. ამ შემთხვევაში ეს გახლდათ ხმა ბატონი დე ვოგუბერისა, რომელიც ბატონ დე შარლიუს ესაუბრებოდა. ექიმ-კლინიცისტს არ სჭირდება, ავადმყოფმა, მისი მეთვალყურეობის ქვეშ რომ იმყოფება, აიწიოს პერანგი; არ სჭირდება, შეამოწმოს, როგორ სუნთქავს, მისთვის

მნიშვნელოვანია ავადმყოფის ხმა. შემდეგ, მოგვიანებით, სადღაც-სადღაც, სალონებში, ვიღაცის ხმის ინტონაციას თუ სიცილს ბევრჯერ გავუოცებივარ; ასე შეიძლება ილაპარაკოს ან იცინოს განსაზღვრული პროფესიის, გარკვეული წრის ადამიანმა ან თავდაჭერილობის ნიღაბჩამოფარებულმა ან, პირიქით, თავაშვებულმა, რასაც ჩემი სმენა ინსტრუმენტის ამწყობის კამერტონის სიზუსტით უცბად ხვდებოდა: «ეს ერთ-ერთი შარლიუა». ამ დროს ბატონ დე შარლიუსთან მისასალმებლად სრული შემადგენლობით შემოვიდა მთელი საელჩო. მართალია, მხოლოდ დღეს (დე შარლიუსა და ჟიუპიენს რომ ვაკვირდებოდი) აღმოვაჩინე განსაკუთრებული ავადმყოფობა, მაგრამ დიაგნოზის დასადგენად არც კითხვები მჭირდება და არც პასუხების მოსმენა. ბატონ დე ვოგუბერს, რომელიც ბატონ დე შარლიუსთან საუბრობდა, რაღაც გაუბედაობა დაეტყო. თუმცა ახალგაზრდობისთვის დამახასიათებელი ეჭვიანობის პერიოდი უკვე გაევლო და უნდა სცოდნოდა, როგორ მოქცეულიყო. გაუკუღმართებული მიდრეკილების ადამიანს ჯერ ჰგონია, რომ ისეთი, როგორიც თვითონ არის, მთელ სამყაროში არ არსებობს, მერე მეორე უკიდურესობაში ვარდება და ფიქრობს, რომ ნორმალური ადამიანი ერთადერთი გამონაკლისია. მაგრამ დე ვოგუბერს, მედიდურსა და მხდალ ადამიანს, დიდი ხანია, თავი დაენებებინა იმისთვის, რისგანაც უწინ სიამოვნებას იღებდა. დიპლომატიურმა კარიერამ მასზე ისეთივე გავლენა მოახდინა, როგორიც სამონაზვნო აღთქმამ. ოცი

წლის დე ვოგუბერი უკვე ერთმანეთს უხამებდა პოლიტიკური მეცნიერებების სკოლის[54] მოწაფის მუყაითობასა და ქრისტიანულ ზნეობრიობას. და, რამეთუ ყველა გრძნობითი ორგანო თავის

ძალასა და სიცხოველეს კარგავს, ატროფირებას განიცდის იმის გამო, რომ მისით აღარ სარგებლობენ, მსგავსად ცივილური ადამიანისა, რომელსაც აღარც ის ძალა აქვს და აღარც სმენის ის სიმახვილე, როგორიც გამოქვაბულის ადამიანს ჰქონდა, დე ვოგუბერსაც აღარ შერჩა ის განსაკუთრებული გამჭრიახობა, რომელიც ბატონ დე შარლიუს იშვიათად ღალატობდა. ოფიციალურ სადილებზე – როგორც პარიზში, ასევე უცხოეთში – სრულუფლებიან ელჩს უკვე აღარ შესწევდა უნარი, გაეგო, რომ უნიფორმიანი ადამიანები, არსებითად, ისეთები არიან, როგორიც თვითონაა. ზოგიერთი სახელი, რომელსაც ბატონი დე შარლიუ წარმოთქვამდა, მის გულისწყრომას იწვევდა, ალბათ, თავის მიდრეკილებას ახსენებდა, სამაგიეროდ, დიდ სიამოვნებას იღებდა, როცა შესაძლებლობა მიეცემოდა, ეთქვა – ასეთივე მიდრეკილება აქვს ამა და ამ ბატონს. და არა იმიტომ, რომ ამდენი წლის თავშეკავების შემდეგ რაღაც ხეირის ნახვა უნდოდა. მაგრამ ეს მოულოდნელი აღმოჩენა, რისი წყალობითაც რასინის ტრაგედიებში ატალი და აბნერი გაიგებენ, რომ იოადი დავითის ტომისაა, ხოლო ძოწეულში გახვეული ესთერის მშობლები ებრაელები არიან, X საელჩოსა თუ საგარეო საქმეთა სამინისტროს რომელიღაც დეპარტამენტის იერს ცვლიდა და ისე ასაიდუმლოებდა, როგორი საიდუმლოებებითაც სავსე იყო იერუსალიმის ტაძარი თუ სატახტო დარბაზი სუზში[55]. საელჩოს ხალხის დანახვისას, რომლის ახალგაზრდა თანამშრომლებიც, უკლებლივ ყველა, ბატონ დე შარლიუს ხელს ართმევდნენ, ბატონ დე ვოგუბერს ისეთი აღტაცება გამოეხატა სახეზე, როგორითაც ელიზი წამოიძახებს «ესთერში»:

ო, ღმერთო, ღმერთო, რამდენი უმანკო სილამაზე
აწყდება ჩემ თვალს და ყოველი მხრიდან ისევ მოდიან!
რა გულითადი მოკრძალება ახატია ამათ სახეებს![56]

მერე, უფრო მეტი «სიცხადე» რომ შეეტანა, კითხვის გამომხატველი, სულელური, ორაზროვანი ღიმილით შეხედა ბატონ დე შარლიუს. «აბა, რასაკვირველია», – ისეთი ყოვლისმცოდნის იერით თქვა ბატონმა დე შარლიუმ, უცოდინარს რომ ელაპარაკებიან. ასეთი პასუხის შემდეგ ბატონი დე ვოგუბერი (რაც ბატონ დე შარლიუს ძალიან აღიზიანებდა) თვალს აღარ აშორებდა ახალგაზრდა ჩინოვნიკებს, რომლებიც ელჩს, ბებერ ცხენს, შემთხვევით არ შეურჩევია. ბატონი დე ვოგუბერი დადუმდა; მე მხოლოდ მის გამოხედვას ვიჭერდი. ბავშვობიდანვე მივეჩვიე აზრის უსიტყვოდ გამოხატვის კლასიკურ ენებზე თარგმნას, ბატონი დე ვოგუბერის თვალები ვაიძულე, ის ადგილები წაეკითხა, სადაც ესთერი ელიზს უხსნის, რომ მორდოხაი თავის რწმენაზე მედგრად დგას და ამიტომაც დედოფალს ის გოგონები შემოარტყა გარს, ამ რწმენას მტკიცედ რომ იცავენ:

ამასობაში, თავისი ხალხის სიყვარულით გულანთებულმა
სასახლეში იხმო სიონის ერთგული ქალიშვილები
და ეს ახალგაზრდა ქმნილებები აქ აყვავილდნენ,
მშობლიურიდან

მოშორებულ ამ უცხო მხარეს;
ეს კი (ეს მომხიბლავი ელჩი) მწყემსია მათი,
მაგალითის მიმცემი, დამრიგებელი[57].

მერე ბატონი დე ვოგუბერი არამხოლოდ თვალებით ალაპარაკდა. «ვინ იცის, – თქვა ნაღვლიანად, – იქნებ, იმ ქვეყანაში, სადაც ვიმყოფები, ასეთი ჩვეულებები არც არსებობს». «სრულიად შესაძლებელია, – უპასუხა ბატონმა დე შარლიუმ, – დაწყებული მეფე თეოდოზით, თუმცა მასზე რაიმე დადებითის თქმა არ შემიძლია». «ო, არა, რას ბრძანებთ!». «მაშინ, რა საჭიროა ასეთი სახის მიღება; თანაც ეს მისი მანჭვა-გრეხები. იგი იმ ჯიშის ხალხს ეკუთვნის, რომელიც ასე მოგმართავთ «ჩემო ძვირფასო» (სიტყვა მდედრობით სქესშია. მთარგმ.); ასეთი რამ კი მეზიზღება. მასთან ერთად ქუჩაში გამოჩენა შემრცხვებოდა, თან, თქვენ უკეთ მოგეხსენებათ, ყველასთვის ცნობილია...». «ცდებით, ისეთი სულაც არ არის, როგორიც წარმოგიდგენიათ. მომხიბლავი ადამიანია. იმ დღეს, როცა საფრანგეთთან შეთანხმებას ხელი მოეწერა, გადამეხვია. ასეთი აღელვებული არასოდეს ვყოფილვარ». «ჰოდა, მაგ დროს უნდა გეთქვათ ის, რაც ასე გსურთ». «ოო, რას ამბობთ, ღმერთო ჩემო. ეჭვიც რომ შეეტანა, საშინელება მოხდებოდა! მაგრამ შიშის საფუძველი არა მაქვს». იქვე ვიდექი, ყველაფერი გავიგე და გულში ეს სიტყვები წარმოვთქვი:

ოღონდ

აქამდე მეფემ არ იცის, ვინ ვარ;
ენა ჩემი დადუმდება და ამ საიდუმლოს არ გაამჟღავნებს[58].

ეს ნახევრად უხმო, ნახევრად ამეტყველებული დიალოგი ხანმოკლე გამოდგა და, ჰერცოგინია დე გერმანტთან ერთად რამდენიმე ნაბიჯის გადადგმაც ვერ მოვასწარი, რომ იგი პატარა, უჩვეულოდ ლამაზმა, შავგვრემანმა ქალმა შეაჩერა.

«ძალიან მინდა თქვენთან მოსვლა. დ’ანუნციომ[59] ლოჟიდან დაგინახათ; პრინცესა T...-ს მისწერა – ასეთი სილამაზე არასოდეს მინახავსო; მზად არის, მთელი ცხოვრება გაიღოს, ოღონდ თქვენთან ათწუთიანი ლაპარაკის საშუალება მიეცეს. იმ შემთხვევაში, თუ მისი მიღება არ შეგიძლიათ ან არ გსურთ, წერილი ჩემთან არის. შეხვედრა დამინიშნეთ. აქ ყველაფრის თქმა არ შემიძლია. ვხედავ, ვერ მიცანით, – ახლა მე მომიბრუნდა, – პარმის პრინცესასთან გავიცანით ერთმანეთი (პარმის პრინცესასთან არასოდეს ვყოფილვარ). რუსეთის იმპერატორმა მამათქვენის პეტერბურგში ელჩად დანიშვნა ისურვა, თუ შეძლებთ და სამშაბათს მობრძანდებით, იქ აუცილებლად იქნება იზვოლსკი[60] და გაგესაუბრებათ. ძვირფასო, თქვენთვის

საჩუქარი მაქვს, – ისევ ჰერცოგინიას მიმართა, – ასეთ საჩუქარს თქვენ გარდა არავისთვის გავიმეტებდი. იბსენმა თავისი მოხუცის მეშვეობით, რომელიც ავადმყოფობის დროს უვლიდა, სამი პიესის ხელნაწერი გადმომიგზავნა. ერთს დავიტოვებ, ორს კი თქვენ მოგართმევთ».

ჰერცოგი დე გერმანტი ამ საჩუქრებით დიდად არ აღფრთოვანებულა. არც იყო დარწმუნებული, იბსენი და დ'ანუნციო ისევ ცოცხლები იყვნენ თუ დაიხოცნენ; უკვე ეჩვენებოდა, მის ცოლთან მოსული პროზაიკოსებისა და დრამატურგების მთელი რიგი იდგა, რათა თავიანთ ნაწარმოებებში ჰერცოგინია პერსონაჟად გამოეყვანათ. მაღალი წრის ადამიანებს წიგნი კუბის სახით წარმოედგინათ, რომელსაც ერთი მხარე ღია ჰქონდა და მწერლები მასში იმ ადამიანების «ჩაყრას» ჩქარობდნენ, რომლებსაც ცხოვრებაში შეხვედრიან. ცხადია, ეს უპატიოსნო საქციელია და ასე მხოლოდ საძაგელი ადამიანები იქცევიან. თუმცა, მათთან «გზადაგზა» შეხვედრა არცთუ უსარგებლოა; მათი წყალობით კითხულობ წიგნს, სტატიას, იცი «ბანქოს მეორე მხარე» და შენც «შიდა პირიდან» ჩანხარ. მაგრამ მაინც, მკვდარ ავტორებთან საქმის დაჭერა უფრო ჭკვიანურია. ბატონ დე გერმანტს «ყველაზე წესიერ» ადამიანად ის ბატონი მიაჩნდა, ვინც «გოლუასთვის» ნეკროლოგებს წერდა. ეს ბატონი, ყოველ შემთხვევაში, იმით მაინც შემოიფარგლებოდა, რომ ჰერცოგ დე გერმანტის სახელს იმ პირთა თავში წერდა, ვინც დასაფლავების ანგარიშებში «განსაკუთრებულად ხსენების» ღირსი იყო, ანგარიშებში, სადაც ჰერცოგმა ჩანაწერი დატოვა. იმ შემთხვევებში, როცა ჰერცოგს ერჩივნა, მისი სახელი არ ეხსენებინათ, მიცვალებულის ოჯახს სამძიმრის წერილს უგზავნიდა, სადაც ძალიან მხურვალე თანაგრძნობას გამოხატავდა. თუ ჭირისუფლის თხოვნით გაზეთში ხაზგასმულად გამოყოფილი იყო, «გარდაცვლილის ოჯახის მიერ მიღებულ წერილებს შორის, საჭიროდ მიგვაჩნია, გამოვყოთ ჰერცოგ დე გერმანტის წერილი» და სხვა, ეს ქრონიკის შემდგენლის შეცდომა კი არ იყო, არამედ გარდაცვლილის

ოჯახის წევრების, მაგალითად, ვაჟის, ძმის ან მამისა, რომლებსაც ჰერცოგი «მლიქვნელებს» ეძახდა და მათთან ურთიერთობის გაწყვეტას დააპირებდა ხოლმე (და, რადგან ჰერცოგი ზოგიერთი გამოთქმის აზრს ვერ ხვდებოდა, ამბობდა, რომ «მათთან უთანხმოებაში» ყოფნას აპირებდა). იბსენისა და დ'ანუნციოს სახელის გაგონებაზე ჰერცოგი, რომელიც დარწმუნებული არ იყო, ისინი კიდევ თუ იყვნენ ამქვეყნად, მოიღრუბლა, თუმცა ჩვენგან შორს არ იდგა და არ შეიძლება არ გაეგო, როგორ ამკობდა მარკიზა ტიმოლეონ დ'ამონკური მის ცოლს ქათინაურებით. ეს მართლაც დიდებული ქალბატონი ბრძანდებოდა, ჭკუა-გონების გამო შეიძლებოდა არანაკლებ გყვარებოდათ, ვიდრე სილამაზისა. იმ წრეში არ დაბადებულა, სადაც ახლა ტრიალებდა, ჯერ ლიტერატურული სალონის შექმნაზე ოცნებობდა, მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა – მეგობრული და არა ახლობლური; მისი მკაცრად დაცული ზნეობრიობა ეჭვის საფუძველს არ იძლეოდა – ყველა დიდ მწერალთან; ისინი ხელნაწერებს ჩუქნიდნენ, მისთვის წერდნენ და, როცა ბედის განჩინებით სენ-ჟერმენის გარეუბანში აღმოჩნდა, ლიტერატორებთან ურთიერთობა

გამოადგა. ახლა მას შეეძლო, ვინც გნებავთ, ის გაებედნიერებინა თავისი სტუმრობით. დროულად გაიარა ხრიკებითა და ეშმაკობებით სავსე მაღალი საზოგადოების ქცევების სკოლა, მათთვის არც სამსახურის გაწევა დაზარებია, ახლაც აგრძელებდა, თუმც ამის აუცილებლობა უკვე აღარ იყო. იგი მუდამ მზად იყო, თქვენთვის სახელმწიფო საიდუმლოება გაემხილა ან მნიშვნელოვანი პიროვნება გაეცნო, ან რომელიმე ცნობილი მხატვრის აკვარელი ეჩუქებინა. ცხადია, ყველა ეს ფუჭი სატყუარა სიყალბის რაღაც

ნაწილს მოიცავდა, მაგრამ ეს მის ცხოვრებას მზაკვრული ინტრიგებით დახლართულ ელვარე კომედიად აქცევდა. ის კი ზუსტად იყო ცნობილი, რომ მასზე იყო დამოკიდებული პრეფექტებისა და გენერლების დანიშვნა.

ჩემ გვერდით მომავალი ჰერცოგინია დე გერმანტი თვალების ცისფერი ნათებით ასხივოსნებდა სივრცეს, ოღონდ მზერა გაურკვეველი ჰქონდა, რათა იმ ადამიანებისთვის არ შეეხედა, ვისთან ლაპარაკიც არ სურდა და წინასწარვე ცდილობდა, მათთან შეხვედრისთვის თავი ისე აერიდებინა, როგორც წყალქვეშა ქვებთან შეჯახებისთვის. ორ რიგად მდგარმა სტუმრებმა, რომელთა შორისაც მივდიოდით, კარგად იცოდნენ, რომ ორიანის გაცნობის შესაძლებლობა არასოდეს მიეცემოდათ; მათი ოცნების ზღვარი მხოლოდ იმაზე გადიოდა, ცოლებისთვის ეჩვენებინათ იგი, როგორც რაღაც ღირსშესანიშნაობა: «ურსულა, ჩქარა, ჩქარა მოდი. აგერ ჰერცოგინია დე გერმანტი. აი ის, ახალგაზრდა კაცთან რომ საუბრობს». ისე ჩანდა, რომ მის უკეთ დასანახად, როგორც 14 ივლისის აღლუმის ანდა დოღის ყურებისას, სადაცაა სკამებზეც ახტებოდნენ. ასეთ ცნობისმოყვარეობას იმიტომ როდი იჩენდნენ, რომ ჰერცოგინია დე გერმანტის სალონი უფრო არისტოკრატიული იყო, ვიდრე მისი ბიძაშვილისა. ჰერცოგინიას სალონს ხშირად ისეთი ადამიანები სტუმრობდნენ, რომლებსაც პრინცესა არასოდეს მიიწვევდა, ძირითადად თავისი ქმრის გამო. არ მიიწვევდა ქალბატონ ალფონს დე როტშილდს[61], რომელიც ისეთივე ახლო მეგობარი იყო, როგორიც ქალბატონი დე ლა ტრემუი და ჰერცოგინია

დე საგანი, როგორიც ორიანი, რომლებთანაც ეს ქალბატონები ძალიან ხშირად სტუმრობდნენ. ზუსტად ასევე იყო საქმე ბარონ ჰირშსთანაც[62], უელსის პრინცმა რომ მიიყვანა მათ სახლში, მაგრამ არა პრინცესასთან, რომელსაც ის არ მოეწონებოდა, ასევე ხდებოდა ბონაპარტისტული თუ რესპუბლიკური წრეების ფრიად მნიშვნელოვან პიროვნებებთანაც. ჰერცოგინიას ეს სახეები აინტერესებდა; აი, პრინცი კი ურყევი როიალისტი ბრძანდებოდა და მათ მიღებას პრინციპის გამო არ ისურვებდა. მისი ანტისემიტიზმი, მკვეთრად გამოხატული პრინციპულობის გამო, გამონაკლისს არ უშვებდა თვით დიდებულად აღზრდილი, გავლენიანი ადამიანებისთვისაც კი და, თუ თავის ძველ მეგობარ სვანს ეპატიჟებოდა, რომელსაც ყველა გერმანტისგან განსხვავებით «სვანს» ეძახდა და არა «შარლს», ამისი განსაკუთრებული მიზეზი ჰქონდა; სადღაც გაეგო, რომ სვანის ბებია, პროტესტანტი, ებრაელს რომ გაჰყვა ცოლად, ჰერცოგ დე ბერიელის[63] საყვარელი იყო და დროდადრო ცდილობდა იმ ლეგენდის დაჯერებას, რომელიც სვანის მამას პრინცის

უკანონოდ შობილ შვილად აქცევდა. ამ ჰიპოთეზის თანახმად – სიტყვამ მოიტანა და უნდა ვთქვათ, რომ ეს სიმართლე არ არის – სვანი კათოლიკეს შვილი, ერთ-ერთი ბურბონის შვილიშვილი, წმინდა სისხლის ქრისტიანი გამოდიოდა.

«როგორ, მთელი ეს დიდებულება არ გინახავთ?» – მკითხა ჰერცოგინიამ, მხედველობაში ის სასახლე ჰქონდა, სადაც ვიყავით. თავისი ბიძაშვილის სასახლის ხოტბა-დიდების შემდეგ იჩქარა, დაემატებინა, ამას ჩემი «უბადრუკი სორო» მირჩევნიაო. «აქ ყველაფერი საუცხოოა,

ვიდრე სტუმრად ხარ. მაგრამ ნაღველი მომკლავდა, დარჩენა, თანაც ერთ იმ ოთახში ღამის გათევა რომ მომიწიოს, სადაც ამდენი ისტორიული მოვლენა მოხდა. ისეთი შეგრძნება მექნებოდა, თითქოს ბლუას ციხე-დარბაზში, ფონტენბლოში ანდა ლუვრში ჩამკეტეს და დამივიწყეს. ერთი ნუგეშიღა დამრჩებოდა, საკუთარი თავისთვის მეთქვა, რომ იმ ოთახში ვიმყოფები, სადაც მონალდესკი[64] მოკლეს. მაგრამ ეს დიდი ვერაფერი დამამშვიდებელია. აგერ ქალბატონი დე სენტ-ევერტიც! ეს-ეს არის, მასთან ვივახშმეთ. ხვალ უთვალავი სტუმარი ეყოლება; ამ დღეს ყოველ წელს მოწვეული სტუმრები ჰყავს; მეგონა, ადრე დაწვებოდა. მაგრამ არც ერთი წვეულების გაცდენა არ შეუძლია. ქალაქგარეთაც რომ ეწყობოდეს, ყველა საშუალებას გამოიყენებს, ავეჯის გადასაზიდ ფურგონსაც კი, და მაინც ჩავა».

სინამდვილეში, ქალბატონი დე სენტ-ევერტი ამ საღამოს გერმანტებთან მხოლოდ იმიტომ არ მოსულა, რომ სიამოვნება მიეღო და ზეიმს არ დაკლებოდა, უფრო ის უნდოდა, თავისი წარმატებები განემტკიცებინა, ზოგიერთი თავისი დამქაში მოეძიებინა, მოკლედ in extremis[65] იმ ჯარების დათვალიერება მოეხდინა, ხვალ მის garden-party[66]-ზე თავისი სამანევრო ხელოვნება რომ უნდა ეჩვენებინა. ისიც უნდა შევნიშნო, რომ ის საზოგადოება, ოდესღაც ქალბატონ დე სენტ-ევერტთან რომ იკრიბებოდა, ძალიან შეიცვალა. გერმანტების გარემოცვის ბრწყინვალე ქალებმა, დროდადრო, საუკუნეში ერთხელ რომ გამოჩნდებოდნენ ხოლმე სენტ-ევერტთან, მარკიზას თავაზიანობით მოხიბლულებმა, ნელ-ნელა მის სახლში თავიანთი

მეგობრები შეიყვანეს. ერთდროულად სხვა შეტევითი მოქმედებებიც განახორციელა, ოღონდ საწინააღმდეგო მიმართულებით, წლიდან წლამდე იმ სტუმრების შემცირება დაიწყო, მაღალ საზოგადოებაში სახელი რომ არ ჰქონდათ განთქმული. ხან ერთს არ ეძახოდა, ხან მეორეს. ერთხანს სისტემაც შემოიღო «ყველა დანარჩენისთვის», რომლის მიხედვითაც გაცხრილულ ხალხს ცალკე პატიჟებდა, რაც საშუალებას აძლევდა, ისინი წესიერ ხალხთან არ გაეერთიანებინა. მეტი რაღა უნდათ? ნამცხვრებითა და მშვენიერი მუსიკალური პროგრამით (panem et circenses[67]) უმასპინძლდებიან. ჩვენს დღეებამდე კი მხოლოდ ორი უცხო შემორჩა, რომლებსაც ორი ჰერცოგინია-განდევნილის სიმპათიის გამოღა იწვევდა და რომელთა მხრებიც ოდესღაც იმ არასაიმედო თაღებს იჭერდა, როცა დე სენტ-ევერტის სალონი, ის-ის იყო, იხსნებოდა: ესენი გახლდნენ ბებერი ქალბატონი დე კამბრემე და არქიტექტორის მეუღლე, რომელსაც მშვენიერი ხმა ჰქონდა და ხშირადაც სთხოვდნენ, ემღერა. მაგრამ

მარკიზა დე სენტ-ევერტთან ისინი უკვე აღარავის იცნობდნენ, დაკარგულ მეგობრებს მისტიროდნენ, ხვდებოდნენ, აქ ზედმეტნი იყვნენ და გარეგნობაც ისეთი ჰქონდათ, როგორც იმ გაყინულ მერცხლებს, გაფრენა რომ ვერ მოასწრეს. მომდევნო წელს აღარც მოუწვევიათ. ქალბატონმა დე ფრანკეტიმ სცადა და თავისი ნათესავის მფარველობა ითხოვა, რომელსაც ძალიან უყვარდა მუსიკა. პასუხი მიკიბულ-მოკიბული მიიღო: «რატომაც არა. მუსიკის მოსასმენად მოსვლა ყოველთვის შეიძლება. ეს დანაშაული არაა», მაგრამ ქალბატონი დე კამბრემე მიხვდა, რომ ეს თავაზიანი მიწვევა არ იყო და აღარ წასულა.

თუ მარკიზა დე სენტ-ევერტმა ასე მალე ასეთი გარდაქმნა მოახდინა – კეთროვანთა სალონი უმაღლესი საზოგადოების ბანოვანთა სალონად აქცია (ახლა სწორედ ასეთ შთაბეჭდილებას ახდენდა, უმაღლესი ბრწყინვალების შთაბეჭდილებას), მაშინ, შეიძლება გაოცდეს კაცი, ამ პიროვნებას, რომელიც მეორე დღეს სეზონის ყველაზე ბრწყინვალე და დიდებულ წვეულებას აწყობდა, წინა დღით რისთვის დასჭირდა მოსვლა და თავისი ჯარისთვის ბოლო მოწოდებით მიმართვა. საქმე ის გახლავთ, რომ სენტ-ევერტის სალონს მხოლოდ იმათ თვალში ჰქონდა უპირატესობა, ვინც უმაღლესი საზოგადოების ცხოვრების წესზე მხოლოდ «გოლუასა» და «ფიგაროს» გვერდებზე მოთავსებული დილისა და საღამოს მიღებების ანგარიშებით იქმნის წარმოდგენას, თვითონ კი ამ წვეულებებს არასოდეს დასწრებია. მაღალი საზოგადოების ისეთი ადამიანებისთვის, უმაღლეს წრეს საგაზეთო ფურცლებზე რომ ხვდებიან, მხოლოდ სახელების ჩამოთვლა – ინგლისის ელჩის ცოლი, ავსტრიის ელჩის ცოლი და სხვა, ჰერცოგინიები დ'იუზე, დე ლა ტრემუი და სხვა – საკმარისი იყო, რომ მარკიზა დე სენტ-ევერტის სალონი პარიზის სალონებს შორის დაუფიქრებლად დაეყენებინათ პირველ ადგილზე, მაშინ, როცა სინამდვილეში ერთ-ერთი ბოლო იყო. საანგარიშო მოხსენებები არ იტყუებოდა. ჩამოთვლილი პირების უმრავლესობა მარკიზას საღამოებზე დადიოდა, მაგრამ ყოველი მათგანი ან ხვეწნა-მუდარით მოჰყავდა, ან ქათინაურებითა და თავაზიანობით იტყუებდა, ან რაღაც სამსახურის გაწევის გამო, და ეს ადამიანები ისეთი სახით მოდიოდნენ, თითქოს ამით მარკიზა დე სენტ-ევერტს დიდი პატივი დასდეს. ამგვარი სალონებით, სადაც სიარულს უფრო ერიდებიან, ვიდრე

იქ მისვლა იზიდავთ და მხოლოდ მოვალეობის გამო დადიან, «მაღალი საზოგადოების ცხოვრების ქრონიკების» მკითხველი ქალები იხიბლებიან. ასეთი მკითხველის თვალი გვერდს უვლის იმ წვეულებებს, სადაც ნამდვილად რჩეული საზოგადოება იკრიბება; მათი აზრით, ასეთ საღამოებზე დიასახლისმა შეიძლება ყველა ჰერცოგინია მოიწვიოს, ვისაც «რჩეულთა შორის» ყოფნა წყურია, მაგრამ ის სულ ერთი-ორს იწვევს და თავისი სტუმრების სახელებსაც არ ახსენებს გაზეთებში. ასეთი ქალი საჯაროობას ანგარიშს არ უწევს ან იმ მნიშვნელობას როდი ანიჭებს, ჩვენს დროში რომ მიიღო, ესპანეთის დედოფალს წმინდა წყლის არისტოკრატი ჰგონია იგი, ბრბოს კი არა. დედოფალმა იცის, რას წარმოადგენს იგი, ბრბომ კი არა.

ქალბატონი დე სენტ-ევერტი სხვა ყაიდის ქალი იყო, ფუტკარივით მშრომელი, და გერმანტებთან იმიტომ მიფრინდა, რომ მეორე დღეს ყველა მოწვეული სტუმრიდან თანხმობის თაფლი შეეგროვებინა. ბატონი დე შარლიუ მიწვეული არ იყო, რადგან მასთან მისვლაზე ყოველთვის უარს ამბობდა; მაგრამ დე შარლიუ უკვე იმდენ ადამიანთან იყო ნაჩხუბარი, ქალბატონ დე სენტ-ევერტს შეეძლო, ასეთი ქცევა მისი ცუდი ხასიათით აეხსნა.

მხოლოდ ორიანის გამო მარკიზა დე სენტ-ევერტს შეეძლო წვეულებაზე არც მისულიყო, რადგან იგი პირადად მიიწვია და მიწვევა ისეთი მომაჯადოებელი, მაცდუნებელი კეთილგანწყობით მიიღეს, რომლის ხელოვნებაც ზოგიერთ აკადემიკოსს ისე ოსტატურად აქვს დამუშავებული,

მათგან წამოსული აკადემიის წევრობის მაძიებელი კანდიდატები მტკიცედ არიან დარწმუნებული, რომ შეიძლება მათი ხმების მიღების იმედი ჰქონდეთ. მაგრამ საქმე მხოლოდ ორიანზე არ იყო. მოვა თუ არა პრინცი აგრიჟენტელი? ქალბატონი დე დიურფორი? და, ერთი მარცვალიც რომ არ დაეკარგა, ქალბატონმა დე სენტ-ევერტმა უფრო ხელსაყრელად მიიჩნია, თვითონ მიბრძანებულიყო წვეულებაზე; ზოგთან შემპარავი იყო, სხვასთან – კატეგორიული, ყველას ქარაგმულად მიანიშნა, რომ არაჩვეულებრივი მხიარულება ელოდა, როგორსაც სხვაგან ვერ ნახავდა; ყველას აღუთქვა, რომ მის წვეულებაზე იქნებოდნენ ისინი, ვისი ნახვაც სურდათ, ვისთან შეხვედრაც სჭირდებოდათ. აი, ამ მოვალეობას კისრულობდა წელიწადში ერთხელ – როგორც ძველ სამყაროში საკუთარ თავზე იღებდნენ მოსამართლის მოვალეობებს – სეზონის ყველაზე დიდებული garden-party-ს მოწყობის მოვალეობას, რაც საზოგადოების თვალში დროებით ავტორიტეტს მატებდა. საბოლოო სიები დადგენილ-დაზუსტებული ჰქონდა და ახლა ქალბატონი დე სენტ-ევერტი პრინცესას სასტუმრო ოთახებს ნელა უვლიდა, ხან ერთს ჩასჩურჩულებდა ყურში, ხან მეორეს: «ხვალ მე არ დამივიწყო», და სიამაყის გრძნობით ივსებოდა, თან განუწყვეტლივ იღიმებოდა, როცა ვინმე უშნოს გადაეყრებოდა და თვალს არიდებდა, ანდა პროვინციიდან ჩამოსულ წვრილ აზნაურს, რომელსაც «ჟილბერი», როგორც კოლეჯის ძველ მეგობარს, ისე იღებდა, რომლის დაპატიჟებაც მის garden-party-ს დიდს ვერაფერს შემატებდა. ერჩივნა, მათ არ დალაპარაკებოდა, რათა მერე, თუ საჭირო გახდებოდა, ეთქვა: «ყველა პირადად მოვიწვიე, თქვენ კი, სამწუხაროდ, არ შემხვედრიხართ». აი ასე, გულმართალი

სენტ-ევერტი თავისი მჩხიბავი გამოხედვით პრინცესას წვეულებაზე მოსული სტუმრების «შერჩევას» აწარმოებდა; თან თავი ნამდვილ ჰერცოგინია დე გერმანტად წარმოედგინა.

ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ჰერცოგინია თავის მისალმებებსა და ღიმილს, ეს შეიძლება ვივარაუდოთ, მაინცდამაინც ლაღად ვერ განაგებდა: ცხადია, ზოგ შემთხვევაში ამაზე ნებაყოფლობით ამბობდა უარს. «თავი მომაბეზრა უკვე, – იტყოდა

ხოლმე. – ნუთუ მის საღამოზე მთელი ერთსაათიანი ლაპარაკისთვის ვარ განწირული?».

ხშირად კი ჰერცოგინიას წინდახედულება აიხსნება შიშით, რომ ქმარს, რომელსაც არ სურდა, მის ცოლს არტისტები და სხვა ასეთი ხალხი მიეღო, აყალმაყალი არ აეტეხა (მარი-ჟილბერი, პირიქით, არტისტებს მოწყალე თვალით უყურებდა; ასე რომ, ფრთხილად უნდა ყოფილიყავით, აქ ვინმე ცნობილ გერმანელ მომღერალს არ გადაჰყროდით), ასევე ნაციონალიზმის შიშითაც, რადგან დე შარლიუსავით გერმანტების ჭკუა-გონება დაჰყოლოდა და მაღალი საზოგადოების გადმოსახედიდან იგი სძულდა (გენერალური შტატების[68] მიმართ მონური მორჩილება ახლა იქამდე მიდიოდა, რომ გენერალ-პლებეის წინ უშვებდნენ, ზოგიერთი ჰერცოგი კი უკან მისდევდა), მაგრამ იცოდა, რომ თავისუფლად მოაზროვნედ მიიჩნევდნენ და დიდ დათმობებზე მიდიოდა, იქამდე, ანტისემიტისტთა წრეში ყოფნისას სვანისთვის ხელის გაწოდებისაც კი ეშინოდა. დღეს ამ მხრივ მშვიდად იყო: იცოდა, პრინცმა სვანი სადღაც გაიყვანა და მასთან

რაღაცაზე «დავობდა». ყველას თვალწინ «საყვარელ შარლთან» ლაპარაკის ეშინოდა, ერჩივნა, მასთან ალერსიანი მხოლოდ ოჯახურ გარემოში ყოფილიყო.

«ეს ვინღაა?» – წამოიძახა ჰერცოგინიამ, როცა საკმაოდ უცნაური იერის, უბრალო შავ კაბაში გამოწყობილი, რაც მის სიღარიბეს მიანიშნებდა, პატარა ტანის ქალი დაინახა, ქმართან ერთად მდაბლად რომ უკრავდა თავს. ჰერცოგინიამ ქალი ვერ იცნო, ქედმაღალი ბრძანდებოდა და მაშინვე ამაყი სახე მიიღო, თითქოს მისთვის ვინმეს შეურაცხყოფა მიეყენებინოს, მისალმებას არ უპასუხა და ქალს გაოცებული მზერა მიაპყრო. «ვინ არის, ბაზენ?» – გაკვირვებულმა ჰკითხა ჰერცოგს, რომელმაც, ორიანის საქციელი რომ გადაეფარა, ქალბატონს თავი დაუკრა, ქმარს კი ხელი ჩამოართვა. «ქალბატონი დე შოსპერია, რომელსაც ძალიან უდიერად ექცევით». «არავითარ შოსპერს მე არ ვიცნობ». «მოხუცი შანლივოლის ძმისწულია». «არ ვიცი, ეს ქალი ვინ არის და რატომ მესალმება». «იცნობთ, ქალბატონი დე შარლევალის ქალიშვილია, ანრიეტ მონმორანსი». «აა, დედამისს კარგად ვიცნობდი, დიდებული და ძალიან გონებამახვილი ქალი იყო. რატომ დაუნათესავდა მისი ქალიშვილი ისეთ ხალხს, საერთოდ რომ არ მინახავს? მისი გვარი შოსპერია, ასე მითხარით, არა?» – იკითხა ჰერცოგინიამ და გვარი მარცვალ-მარცვალ წარმოთქვა, თან ქმარს შეხედა, თითქოს ეშინოდა, ისევ არ შეშლოდა. ქმარმა მკაცრი მზერა ესროლა. «შოსპერის გვარის ტარება არც ისე სასაცილოა; მოხუცი შოსპერი შარლევალის ძმაა, რომელიც, როგორც უკვე გითხარით, ქალბატონი დე სენ-კურისა და ვიკონტესა დიუ მერლეროს

ძმა იყო. დარბაისელი ხალხია». «საკმარისია, საკმარისი, – წამოიძახა ჰერცოგინიამ; მომთვინიერებლის მსგავსად, ისიც მუდამ ცდილობდა, ისეთი სახე არ მიეღო, თითქოს სისხლმოწყურებული მტაცებლის გამოხედვა აშინებდა. – აღტაცებული ვარ თქვენით, ბაზენ. არ ვიცი, ეს გვარები სად მოძებნეთ, მაგრამ ქათინაური კი მინდა გითხრათ. მართალია, შოსპერზე წარმოდგენა არ მქონდა, სამაგიეროდ, ბალზაკი მაქვს

წაკითხული, მარტო თქვენ არ წაგიკითხავთ, ლაბიშიც წავიკითხე. პატივს ვცემ შანლივოლს, შარლევალის საწინააღმდეგოც არაფერი მაქვს, მაგრამ სრულყოფილების მწვერვალი, ჩემი აზრით, დიუ მერლეროა. თუმცა, უნდა გამოვტყდე, არც შოსპერია ცუდი. ესენი, ალბათ, საგანგებოდ შეკრიბეთ, ცხოვრებაში ასე არ ხდება. რადგან თქვენ წიგნის დაწერას აპირებთ, – ახლა მე მომმართა, – შარლევალი და დიუ მერლერო უნდა დაიმახსოვროთ. უკეთესს ვერაფერს მოიფიქრებთ». «მაშინ ამის წინააღმდეგ საქმეს აღძრავენ, მორჩა და გათავდა, და ციხეში ჩაჯდება. ძალიან ცუდი მრჩეველი ხართ, ორიან». «ამისი მწამს; თუ სურვილი აქვს, ცუდი რჩევები მოისმინოს და, რაც მთავარია, გაიზიაროს, მაშინ ჩემზე ახალგაზრდა მრჩეველს ყოველთვის იპოვის. წიგნი კიდევ არ არის ყველაზე საშინელი რამ!» ჩვენგან კარგა მოშორებით მშვენიერი, ამაყი, ბრილიანტებით დამშვენებული ტიულის თეთრ კაბაში გამოწყობილი ახალგაზრდა ქალი გამოიკვეთა. ჰერცოგინია დე გერმანტის ყურადღება მაშინ მიიქცია, როცა იგი მისი ეშხით მოჯადოებულ სტუმართა ჯგუფს ელაპარაკებოდა. «თქვენი და, როგორც ყოველთვის, ყველაზე ლამაზია. ამ საღამოს კი, უბრალოდ, მომაჯადოებელია», – უთხრა სკამზე დაჯდომისას იქვე, გვერდით

ჩავლილ პრინც დე შიმეს. პოლკოვნიკი დე ფრობერვილიც (მას ბიძა ჰყავდა გენერალი, რომელიც იმავე გვარს ატარებდა) ჩვენს გვერდით დაჯდა, გრაფი დე ბრეოტეც, მარკიზი დე ვოგუბერი მოკაკული (მეტისმეტი თავაზიანობის გამო, რასაც ტენისის თამაშის დროსაც კი ამჟღავნებდა: ვიდრე ბურთს დაარტყამდა, იქ დამსწრე მნიშვნელოვან პიროვნებებს მუდამ ნებართვას სთხოვდა, რასაც აუცილებლად ბურთის აცდენა მოსდევდა) ისევ ბატონი დე შარლიუსკენ გაემართა (რომელიც გრაფინია მოლეს ქვედაკაბის გამო მხედველობისთვის სრულიად დაფარული იყო, ამ ფუშფუშა ქალის, რომელიც, დე შარლიუს აღიარებით, მასზე ყველაზე ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენდა) ზუსტად იმ წუთში, ეს სრულიად გაუთვალისწინებელი დამთხვევა გახლდათ, როცა პარიზის ახალი დიპლომატიური მისიის წევრები ბარონს ესალმებოდნენ. ახალგაზრდა მდივნის დანახვისას, იშვიათი ჭკვიანური სახე რომ ჰქონდა, ბატონი დე ვოგუბერი ბარონს ღიმილით მიაშტერდა; და ამ ღიმილში მხოლოდ ერთი კითხვა იყო აშკარად გამოხატული. თვით დე შარლიუ, ალბათ, სიამოვნებით გაუტეხდა ვინმეს სახელს, აი, ის კი, რომ ვიღაცის ორაზროვან ღიმილს მისთვის სახელი გაეტეხა, უკვე აღარ მოეწონა. «არაფერი გამეგება, თქვენი ცნობისმოყვარეობა მოცემულ შემთხვევაში სრულიად უადგილოა და თქვენთვის შეინახეთ. საერთოდ არ ვიზიარებ მას. უფრო მეტიც, უტაქტოდ მოიქეცით და შეცდომა დაუშვით. დარწმუნებული ვარ, ეს ახალგაზრდა კაცი ის არ არის, ვინც თქვენ გგონიათ. პირიქით». იმით გაჯავრებული ბატონი დე შარლიუ, რომ მის საიდუმლოში ვიღაც სულელი შეიჭრა, სიმართლეს არ ამბობდა. თუ მან მართალი თქვა, მაშინ

გამოდიოდა, რომ ეს ახალგაზრდა მდივანი საელჩოში გამონაკლისი იყო. იქ მართლაც ძალიან განსხვავებული ადამიანები მუშაობდნენ, მათ შორის იყვნენ საცოდავი, უფერული ხალხიც და, ვინმე რომ დაინტერესებულიყო, რა ნიშნით აიყვანეს ისინი

სამსახურში, დარწმუნდებოდა – მხოლოდ გარყვნილების ნიშნით მოხვდნენ აქ. ის, ვინც ამ პატარა დიპლომატიური სოდომის მეთაური, ელჩი დანიშნა, რომელიც ხელქვეითების საწინააღმდეგოდ ქალებს აღმერთებდა, რასაც ვოდევილის აქტიორის კომიკური გადაჭარბებით ავლენდა და თვალს ადევნებდა, მის ბატალიონს მწყობრი არ დაერღვია, ეტყობა, კონტრასტის კანონის გათვალისწინებით მოქმედებდა. მიუხედავად იმის სიცხადისა, რაც მის ცხვირწინ ხდებოდა, თავისი ხელქვეითების გარყვნილებაში ვერავინ დააჯერებდა. და ეს დაამტკიცა კიდეც, საკუთარი და საელჩოს რწმუნებულს გააყოლა, რადგან, თუმცა დიდი შეცდომა დაუშვა, ქალების მადევარი კაცი ეგონა. მას შემდეგ იგი ყველას თვალში ეჩხირებოდა და მალე ახალი «აღმატებულებით» შეცვალეს, რომელმაც საელჩოს პირადი შემადგენლობის ერთგვაროვნება უზრუნველყო. სხვა საელჩოები მათ მეტოქეობას ცდილობდნენ, მაგრამ უპირატესობა ვერა და ვერ მოიპოვეს (კონკურსზე ხომ პირველ ადგილზე ერთი რომელიმე სასწავლებელი გადის), ათ წელზე მეტი დასჭირდა, რათა ამ ერთ მთელში ატაშედ უცხო ვინმე მოხვედრილიყო, და დაირღვა ერთმთლიანობა, ბოლოს და ბოლოს, პირველობის საბედისწერო პალმა სხვა საელჩომ დაისაკუთრა და წინ გაიჭრა.

ქალბატონი დე გერმანტი ახლა მშვიდად იყო, რადგან სვანთან საუბარი აღარ მოუწევდა და მხოლოდ ერთი რამ აინტერესებდა, რაზე ლაპარაკობდნენ სვანი და პრინცი. «ხომ არ იცით, რაზე საუბრობენ?» – ჰკითხა გრაფ დე ბრეოტეს ჰერცოგმა. «როგორც შემომესმა, ერთაქტიან პატარა პიესაზე მსჯელობდნენ, რომელიც მწერალმა ბერგოტმა სვანებთან დადგა. საინტერესო პიესა უნდა იყოს. მგონი, ვიღაც მსახიობმა ჟილბერის გრიმი მოირგო, არადა, ბატონ ბერგოტს სდომებია მისი განსახიერება». «აჰ, აი თურმე რა! რას არ მივცემდი, რომ შემეხედა, ჟილბერს როგორ გამოაჯავრებენ», – ოცნებამორეული ღიმილით თქვა ჰერცოგინიამ». «აი, ამ პატარა წარმოდგენის გამო ჟილბერმა ახსნა-განმარტება მოსთხოვა სვანს, – ქვედა ყბა, მღრღნელის ყბა, წინ წამოსწია ბატონმა დე ბრეოტემ და ისევ ალაპარაკდა, – ამან კი, ყველას აზრით, ძალზე ჭკვიანური პასუხი გასცა: «არა, რას ბრძანებთ, სულაც არ გგავდათ, თქვენ უფრო სასაცილო ხართ!» როგორც ჩანს, – გააგრძელა ბატონმა დე ბრეოტემ, – მშვენიერი პიესა იყო. სპექტაკლს თურმე ქალბატონი დე მოლეც ესწრებოდა და ძალიანაც გაერთო». «როგორ, გრაფინია დე მოლეც სვანებთან დადის? – იკითხა გაოცებულმა ჰერცოგინიამ. – ამაში, ალბათ, მემეს ხელი ურევია. ასეთ ადგილებში, როგორც ყოველთვის, ყველაფერი ასე მთავრდება: ერთ მშვენიერ დღეს ყველა იქ აღმოჩნდება, მე კი, პრინციპის გამო, გადავწყვიტე, იმ სახლში აღარ მივსულიყავი, და აი, მარტო დავრჩი; იძულებული ვარ, საღამოობით შინ მოწყენილი ვიჯდე». მას შემდეგ, რაც ბატონმა დე ბრეოტემ ახლახან უამბო, ჰერცოგინია დე გერმანტმა თავისი დამოკიდებულება შეცვალა (თუ სვანების სალონისადმი არა, მასთან შეხვედრაზე მაინც, რაც

ყოველ წუთს იყო მოსალოდნელი). «ყველაფერი, რაც გვითხარით, თქვენი წარმოსახვის ნაყოფია და მეტი არაფერი, – უთხრა ბატონ დე ბრეოტეს პოლკოვნიკმა

დე ფრობერვილმა, – ამას დავამტკიცებ კიდეც. პრინცი სვანს მისი ქადაგებების გამო წაეჩხუბა და, როგორც ჩვენი მამები იტყოდნენ, სახლში მიღებაზე უარი უთხრა. მიმაჩნია, რომ ბიძაჩემი ჟილბერი ათასჯერ მართალია, ეს გამოუსწორებელი დრეიფუსარი კი ჯერ კიდევ ექვსი თვის წინათ უნდა გაეგდო».

საცოდავი ბატონი დე ვოგუბერი, მეტისმეტად ნელი ტენისისტიდან უცბად ტენისის უქმ ბურთად რომ იქცა, რომელსაც ყოველგვარი ცერემონიის გარეშე აქეთ-იქით ისვრიან, ჰერცოგინია დე გერმანტისკენ გაფრინდა, რათა თავისი პატივისცემა დაედასტურებინა. ცივად შეხვდნენ, ორიანს ღრმად სწამდა, რომ მისი წრის ყველა დიპლომატი – პოლიტიკური მოღვაწეც – ყეყეჩი იყო.

ბატონ დე ფრობერვილისთვის, ცხადია, ფრიად სასიამოვნო იყო ის პატივი, რასაც ბოლო ხანს საზოგადოება სამხედროებისადმი იჩენდა. თუმცა უდავო იყო გერმანტებთან მისი ცოლის ნათესაური კავშირი, საუბედუროდ, იგი ძალიან ღარიბი ნათესავი გახლდათ და, რადგან პოლკოვნიკმაც დაკარგა თავისი ქონება, ამიტომ დიდი ურთიერთობები არავისთან ჰქონდათ. იმ ნათესავთა რიცხვს ეკუთვნოდნენ, ვისაც არ იხსენებდნენ, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა, როცა, მათდა საბედნიეროდ, ვინმე ნათესავი კვდებოდა ან ქორწინდებოდა.

მხოლოდ მაშინ ახერხებდნენ მაღალ საზოგადოებასთან ურთიერთობას, იმ კათოლიკეებს ჰგავდნენ, რომლებიც კათოლიკეები კი არიან, მაგრამ საკურთხეველთან წელიწადში ერთხელ მიდიან. მათი მატერიალური მდგომარეობა, უბრალოდ, სატირალი იქნებოდა, რომ არა ქალბატონი დე სენტ-ევერტი, რომელსაც კიდევ ახსოვდა, რომ გარდაცვლილ გენერალ დე ფრობერვილთან მეგობრული გრძნობები აკავშირებდა; იგი ეხმარებოდა მათ ეკონომიურად, ფრობერვილის ორ ქალიშვილზეც ზრუნავდა, მათ ტანსაცმელზე და გართობაზე. მაგრამ პოლკოვნიკი, რომელიც ყველას ყოჩაღი ბიჭი ეგონა, უმადური კაცი აღმოჩნდა. მისი მფარველი უსასრულოდ და შეუჩერებლად გამოფენდა თავის ფუფუნებას, ფრობერვილს კი მისი შურდა. ყოველწლიური garden-party მას, მის ცოლს, მის შვილებს უზარმაზარ სიამოვნებას ანიჭებდათ და უარსაც არაფრის გულისთვის არ იტყოდნენ, მაგრამ ეს სიამოვნება იმ აზრით იყო მოწამლული, რომ იგი მარკიზა დე სენტ-ევერტის პატივმოყვარეობას აამებდა. Carden-party-ს გამართვის შესახებ გაზეთებში გამოცხადებას, მერე მისი დაწვრილებითი აღწერილობის დასკვნით მაკიაველურ ფრაზას: «ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით ამ საუცხოო ზეიმს», მის ქება-დიდებას, რამდენიმე დღის განმავლობაში ამა თუ იმ სამოსის წვრილად განხილვას ფრობერვილები ავადმყოფურად აღიქვამდნენ; თუმცა გართობებით განებივრებული არ იყვნენ, ამ წვეულებაზე დაპატიჟება კი უზრუნველყოფილი ჰქონდათ, მაინც ყოველ წელს იმედს არ კარგავდნენ, ცუდი ამინდი იქნებოდა და მიღება გადაიდებოდა, ბარომეტრს უყურებდნენ, ელჭექის მომასწავებელ ნიშნებს თვალს სიხარულით ადევნებდნენ, რადგან ჭექა-ქუხილის შემთხვევაში ზეიმი არ შედგებოდა.

«თქვენთან პოლიტიკაზე კამათს არ ვაპირებ, ფრობერვილ, – წამოიწყო ბატონმა დე გერმანტმა, – რაც შეეხება სვანს, გულახდილად უნდა გითხრათ, ჩვენდამი მისი დამოკიდებულება მიუტევებლად მეჩვენება. მაღალ საზოგადოებაში ჩვენ შევიყვანეთ და ჰერცოგმა დე შარტრმა, ეს კი, როგორც გავიგე, დრეიფუსარების მხარეზე ღიად გადავიდა. მასზე, ასეთი ნათელი გონების ადამიანზე, გურმანზე, კოლექციონერზე, ძველი წიგნების მოყვარულზე, ჟოკეი-კლუბის წევრზე, კაცზე, რომელიც საყოველთაო პატივისცემით სარგებლობს, დიდებულ ფილატელისტზე, ადამიანზე, რომელიც საუკეთესო პორტვეინს გვიგზავნის, ნატიფი ხელოვნების თაყვანისმცემელზე, ოჯახის მამაზე, ამას ვერასოდეს ვიფიქრებდი, ვერასოდეს. აჰ, თურმე როგორ ვცდებოდი! ჩემზე არაფერს ვიტყვი, ბებერი სულელი ვარ, რომლის აზრიც აღარაფერს ნიშნავს, რაღაც მარადიულ ყარიბს დავემსგავსე, მაგრამ ორიანის გამო მაინც არ უნდა მოქცეულიყო ასე, საჯაროდ უნდა ეთქვა უარი ებრაელობაზე და მსჯავრდებულის მომხრეებზე».

«არადა, იმ მეგობრული გრძნობების გამო მაინც, ჩემს მეუღლეს მისდამი რომ ჰქონდა, – გააგრძელა ჰერცოგმა; როგორც ეტყობა, იგი მიიჩნევდა, რომ დრეიფუსის სახელმწიფო ღალატში დადანაშაულებაზე სულის სიღრმეში რა აზრიც უნდა ჰქონოდა, სვანი სენ-ჟერმენის გარეუბანში მიღებისთვის მაინც უნდა დარჩენილიყო მადლიერი, – უნდა გამიჯვნოდა მათ. ჰკითხეთ ორიანს, იგი ხომ მართლა მეგობრობდა მასთან». ჰერცოგინიამ იფიქრა, გულუბრყვილობა და

სიმშვიდე მის სიტყვებს უფრო დიდ გულწრფელობასა და დრამატულობას მიანიჭებდა, ამიტომ მოწაფის მიამიტური ხმით ისე წარმოთქვა, თითქოს სურდა, სიმართლეს თავად ელაპარაკა, მხოლოდ თვალები დაინაღვლიანა ოდნავ: «დიახ, მართალია, რა მაქვს დასამალი. შარლთან გულითადი მეგობრობა მაკავშირებდა! – ხედავთ, მისთვის ხომ არაფერი მითქვამს. და ამის შემდეგ მხოლოდ უმადური კაცი შეიძლება გახდეს დრეიფუსარი!»

«სიტყვამ მოიტანა და, – ჩავურთე მე. – როგორც გავიგე, პრინცი ვონიც დრეიფუსარი ყოფილა». «კარგია, რომ ახსენეთ, – წამოიყვირა ბატონმა დე გერმანტმა, – ცოტას დარჩა, არ დამავიწყდა, რომ ორშაბათს მასთან ვახშმად ვარ დაპატიჟებული. ხოლო დრეიფუსარია თუ არა, საერთოდ არ მაღელვებს, რადგან უცხოელია. აი, ფრანგები კი სულ სხვა საქმეა. სვანი, მართალია, ებრაელია, მაგრამ აქამდე, მომიტევეთ, ფრობერვილ, ჩემი დაუფიქრებლობით მეგონა, რომ ებრაელიც შეიძლება ფრანგი გახდეს. მხედველობაში ყველასგან პატივცემული ებრაელი, მაღალი წრის ადამიანი მყავს. სვანიც ზუსტად ასეთი მეგონა. მაშასადამე, შევცდი, რაკი დრეიფუსის დამცველად მოგვევლინა (თანაც ეს დრეიფუსი, დამნაშავეც რომ არ იყოს, მისი წრის კაცი მაინც არ არის; სვანი არც არასოდეს ისურვებდა მასთან შეხვედრას), იმ საზოგადოების წინააღმდეგ მიდის, რომელმაც კარი გაუხსნა და მიიღო. თავისიანად მიიჩნია. აბა, რაღა უნდა თქვას კაცმა, ყველა თავდებად დავუდექით, მის პატრიოტიზმში ისევე ვიყავი დარწმუნებული, როგორც საკუთარში. მაგრამ მადლობა, აი, როგორ გადაგვიხადა! უნდა ვაღიარო, მისგან ამას არ ველოდი.

მასზე უკეთესი აზრისა ვიყავი. ჭკვიანი კაცია (თუმცა თავისებური გონება კი აქვს). ვიცი, სისულელე ჩაიდინა, სამარცხვინოდ რომ დაქორწინდა. იცით, ამ ქორწინებით ყველაზე მეტად ნაწყენი ვინ დარჩა? ჩემი ცოლი. ორიანი, ასე ვთქვათ, გულგრილობის ნიღაბს ხშირად ირგებს. სინამდვილეში, ყველაფერი გულთან მიაქვს», ჰერცოგინია დე გერმანტის ხასიათის ამ ანალიზმა ბანოვანს დიდი სიამოვნება მიანიჭა, მაგრამ ჰერცოგს მშვიდი იერით უსმენდა და სიტყვა არ უთქვამს; ეუხერხულა, მისთვის კვერი დაეკრა, უფრო კი სიტყვის შეწყვეტინებისა მოერიდა. ჰერცოგ დე გერმანტს შეეძლო მთელი საათი ელაპარაკა ამ თემაზე, ხოლო ყურადღებად ქცეული ჰერცოგინია იმაზე უფრო გაუნძრევლად მჯდარიყო, ვიდრე მუსიკის მოსმენისას. «მახსოვს, როცა სვანის ქორწინების ამბავი შეიტყო, პირად შეურაცხყოფად აღიქვა; მიიჩნია, რომ ის, ვინც ჩვენგან ამდენი სითბო და მეგობრობა მიიღო, ასე არ უნდა მოქცეულიყო. ძალიან უყვარდა სვანი და ძალიან გულნატკენიც დარჩა. ხომ მართალია, ორიან?» ქალბატონმა დე გერმანტმა საჭიროდ ჩათვალა, პირდაპირ დასმულ კითხვაზე პასუხი გაეცა, ამგვარად თითქოს სურდა, ქმარი მიეხვედრებინა, რომ შექება მიიღო და ამის მინიშნება ახლავე აჯობებდა, მანამდე, ვიდრე კაცი მის ქებას შეწყვეტდა. მორიდებული, გულუბრყვილო სახით, დასწავლილი «მგრძნობიარე» ტონით, რომელშიც თავშეკავებული სინაზე უნდა გამჟღავნებულიყო, დაუდასტურა: «დიახ, ასე იყო, ბაზენი არ ცდება. – და ეს ყველაფერი კიდევ არ არის. სიყვარული სიყვარულია, აქ ვერაფერს გახდება კაცი, თუმცა, ჩემი აზრით, სიყვარულიც არ უნდა გასცდეს საზღვრებს. ახალგაზრდა კაცს ეს კიდევ შემიძლია ვაპატიო, ცინგლიან ბავშვს, რომელსაც თავში უამრავი

ფანტაზია უტრიალებს. მაგრამ სვანს, ჯანსაღად მოაზროვნე ადამიანს, რომელიც მხატვრობას ნატიფი დახვეწილობით შეიგრძნობს, მეგობარ-ახლობელია ჰერცოგ დე შარტრის და თვით ჟილბერის!»... ჰერცოგ დე გერმანტის ტონში, უხამსობის უმცირესი მინარევის გარეშე, ღრმა სიმპათია იგრძნობოდა, რომელიც მისთვის ასე დამახასიათებელი იყო. ნაღვლიანად ლაპარაკობდა, დაფარული გულისწყრომით, საიდანაც რბილი დამაჯერობლობაც გამოსჭვიოდა, აღსავსე რემბრანდტის ზოგიერთი ნაწარმოების, მაგალითად – ბურგომისტრი სიქსი, სათნოებითა და გულუხვი ხიბლით. იგრძნობოდა, დრეიფუსის საქმესთან სვანის უგუნური დამოკიდებულების საკითხში ეჭვიც არ ეპარებოდა, იმდენად ნათელი იყო მისთვის; წყენა იგრძნობოდა მამისა, რომლის ერთ-ერთი ვაჟიც, ვისი ცხოვრების უკეთ მოსაწყობადაც უზარმაზარი მსხვერპლი გაიღო, იზრუნა, რათა განათლება მიეცა, საკუთარი ხელით ანგრევდა მისთვის შექმნილ ბრწყინვალე მდგომარეობას და ათასგვარი დაუდევარი ცელქობით, საიდანაც განდევნილია მისი ოჯახის პრინციპები და რწმენა, კეთილ სახელს არცხვენდა. ისიც უნდა ითქვას, რომ, როცა ჰერცოგმა შეიტყო, სენ-ლუც დრეიფუსარი იყო, ასე ღრმად და ასე უსიამოვნოდ გაოცებული არ დარჩენილა, რადგან იგი მიეჩვია ძმისშვილისათვის ისე შეეხედა, როგორც გზააბნეული ჭაბუკისთვის, ჭაბუკისთვის, რომელიც, ვიდრე არ გამოსწორდება, მეტად ვეღარაფრით გააკვირვებს; აი, სვანი კი, როგორც თვით ჰერცოგმა შეაფასა, უკვე «გაწონასწორებული კაცი» იყო, რომელიც

საზოგადოების ნაღებს მიეკუთვნებოდა. უმთავრესი კი ის გახლდათ, რომ დრეიფუსის საქმის დაწყებიდან დიდი დრო გავიდა, ამ ხნის

განმავლობაში, თუმცა ისტორიული მოვლენის თვალსაზრისით თითქოს დრეიფუსარების სიმართლე დამტკიცდა, ანტიდრეიფუსული ოპოზიციის თავდასხმები უფრო გამძვინვარდა და სუფთა პოლიტიკური ოპოზიცია სოციალურ ოპოზიციად იქცა. ახლა უკვე მილიტარიზმზე, პატრიოტიზმზე დაიწყეს ლაპარაკი და მრისხანების ტალღამ, საზოგადოებაში რომ იფეთქა, ისეთი ძალა შეიძინა, როგორიც გრიგალის დასაწყისში არა აქვთ ტალღებს. «გამიგეთ, – გააგრძელა ჰერცოგმა დე გერმანტმა, – მისთვის ასე ძვირფასი ებრაელების თვალსაზრისითაც, რადგან ასე გამოესარჩლა, შეცდომა დაუშვა, რომლის შედეგებსაც ვერ დაითვლი. ამით მან დაამტკიცა, რომ ებრაელები ერთმანეთთან საიდუმლო კავშირში არიან და თავიანთ მოვალეობად მიიჩნევენ, მხარი დაუჭირონ თვისტომელს, თუნდაც მასზე არაფერი იცოდნენ. საზოგადოებისთვის ეს ძალზე სახიფათოა. მეტისმეტად უნიათო ხალხი გამოვდექით, ახლა ეს უკვე ნათელია, სვანის უტაქტობა კი დიდ ხმაურს გამოიწვევს; მას ხომ პატივისცემით ექცეოდნენ, წესიერი ოჯახების კარიც გაუღეს. ეს იყო ერთადერთი ებრაელი, რომელსაც ვიცნობდით. ახლა კი იტყვიან: «Ab uno disce omnes»[69] (იმით კმაყოფილს, შესაფერი გამოთქმა რომ გაახსენდა, მოტყუებულ დიდ სენიორს ნაღვლიანი სახე ამაყმა ღიმილმა გაუნათა).

დიდი სურვილი მქონდა, გამეგო, რა მოხდა პრინცსა და სვანს შორის, ამ უკანასკნელის ნახვაც მინდოდა, თუ უკვე წასული არ იყო. «უნდა გამოგიტყდეთ, – მიპასუხა ჰერცოგინიამ, რომელსაც ჩემი სურვილი გავუმხილე, – მისი ნახვა არ მინდა. ქალბატონ დე სენტ-ევერტთან მისულს

გადმომცეს, რომ სურდა, ვიდრე ცოცხალი იყო, მისი ცოლი და ქალიშვილი გამეცნო. ღმერთო ჩემო, უსაზღვროდ ვწუხვარ, რომ ავად არის და იმედი მაქვს, მისი ავადმყოფობა ასე სერიოზული არ გამოდგება. თანაც არა მგონია, მიზეზი ეს იყოს, თორემ ძალიან მარტივად იქნებოდა საქმე. უნიჭო მწერალმა შეიძლება მოითხოვოს: აკადემიაში ასარჩევად ხმა მომეცით, რადგან ჩემი ცოლი სიკვდილის პირას არის და მინდა, უკანასკნელი სიხარული მივანიჭოო. ყველა მომაკვდავის გაცნობა რომ მოვინდომოთ, სალონები დაიხურება. ჩემმა მეეტლემ შეიძლება მთხოვოს: «ჩემი გოგონა მძიმედ არის ავად, სთხოვეთ პარმის პრინცესას, მიმიღოს». შარლს თაყვანს ვცემ, ძალიან გამიჭირდება, უარი ვუთხრა, ამიტომ მასთან შეხვედრას გავურბივარ, რათა ჩემთვის თხოვნით მომართვის საშუალება არ მიეცეს. მწამს, არ მოკვდება, მაგრამ, თუ ეს მაინც მოხდა, მაშინ ეს არ იქნება შესაფერისი დრო იმ ორი ქალის გასაცნობად, რომელთა გამოც მთელ თხუთმეტ წელიწადს მაკლდა ჩემი უახლოესი მეგობარი და რომლებსაც თავის მაგივრად მიტოვებს ზუსტად მაშინ, როცა ამ ნაცნობობით ვეღარ ვისარგებლებ, რათა შარლი ვნახო, რადგან იგი ცოცხალთა შორის აღარ იქნება!».

---

* * *

ამასობაში ბატონმა დე ბრეოტემ ვერა და ვერ დაივიწყა წყენა, რომელიც პოლკოვნიკმა დე ფრობერვილმა მიაყენა, როცა მისი ვერსია უარყო. «ძვირფასო მეგობარო, – დაიწყო მან, – ეჭვი არ მეპარება, რომ ზუსტად გადმოეცით ყველაფერი, რაც გითხრეს, მაგრამ ჩემი წყარო ყველაზე სანდოა. პრინცმა დე ლა ტურ დ'ოვერნმა მიამბო». «გაოცებული ვარ, – გააწყვეტინა ჰერცოგმა დე გერმანტმა, – ისეთი სწავლული კაცი, თქვენ რომ ბრძანდებით, მას ისევ პრინც დე ლა ტურ დ'ოვერნს ეძახით; ხომ იცით, რომ ის პრინცი არ არის. ამ გვარის მხოლოდ ერთი წარმომადგენელი დარჩა და ის ორიანის ბიძა, ჰერცოგი დე ბულონელი ბრძანდება». «ქალბატონ დე ვილპარიზის ძმა?» გამახსენდა, რომ მისი ქალიშვილობის გვარი დე ბულონელი იყო და ვიკითხე. «ასეა. ორიან! ქალბატონი დე ლამბრეზაკი მოგესალმებათ».

დროდადრო ჰერცოგინია დე ლამბრეზაკის სახეზე მოწყვეტილი ვარსკვლავივით იელვებდა ხოლმე ღიმილი, რითიც ვინმე ნაცნობთაგანს აჯილდოებდა. მაგრამ ეს ღიმილი, იმის მაგივრად, რაღაც განსაზღვრულზე მოკრებილიყო, მოძრაობაში მოსულიყო, ზუსტი მიმართულება მიეღო, მაშინვე უცხო იდეალურ ექსტაზში იკარგებოდა, ხოლო მისი თავი უშფოთველად იხრებოდა და იმ პრელატის თავს გახსენებდათ, რომელიც ოდნავ მოშვებული იდგა მაზიარებლების წინაშე და თავს ხრიდა. ქალბატონ დე ლამბრეზაკს არანაირი მოშვებულობა არ ემჩნეოდა. ჩემთვის

ნაცნობი იყო ძველმოდური თავაზიანობის ეს სახესხვაობა. კომბრეში და პარიზში ბებიაჩემის მეგობრებს ჩვეულება ჰქონდათ, საზოგადოებაში ასე მისალმებოდნენ ერთმანეთს, ნაცნობებს ისეთ სერაფიტულ მზერას მიაპყრობდნენ, თითქოს ეკლესიაში ამაღლების დღესასწაულზე არიანო ან დასაფლავებაზე, როცა მისალმების ჩურჩული მაშინვე ლოცვაში გადადის. იმან, რაც ჰერცოგმა დე გერმანტმა მითხრა, ამგვარი შედარების სისწორე განამტკიცა. «ხომ ნახეთ ჰერცოგი დე ბულონელი, – მკითხა ჰერცოგმა, – ჩემი კაბინეტიდან იმ დროს გავიდა, თქვენ რომ შემოდიოდით; პატარა ტანის, სრულიად ჭაღარა ბატონი». ის კაცი იყო, კომბრელი ბურჟუა რომ მეგონა, ახლა, როცა მასთან შეხვედრა გავიხსენე, ქალბატონ დე ვილპარიზთან მისი მსგავსება ჩემთვის უდავო გახდა. ჰერცოგინია დე ლამბრეზაკისა და ბებიაჩემის მეგობრების მისალმებების მსგავსებამ დამაინტერესა, იგი ადასტურებდა, რომ ჩაკეტილ, ვიწრო წრეში, ბურჟუაზიული იქნებოდა თუ არისტოკრატიული, ძველი მანერები არ ქრება და ჩვენ, არქეოლოგებივით, ამის მიხედვით ვხვდებით, როგორი იყო ვიკონტ დ'არლენკურისა[70] და ლუიზა პიუჟეს[71] ეპოქაში აღზრდა და აქედან არეკლილი ადამიანის სულიერი თვისებები. კომბრელი ბურჟუასა და მისი თანატოლი ჰერცოგ დე ბულონელის გარეგნულმა მსგავსებამ საბოლოოდ დამარწმუნა (ჯერ კიდევ მაშინ გავოცდი, როცა სენ-ლუს პაპა დედის მხრიდან,

ჰერცოგი დე ლაროშფუკო ვნახე დაგეროტიპზე, ბევრი საერთო ჰქონდა პაპაჩემის ძმასთან: ტანსაცმელი, სახის გამომეტყველება, ტანადობა), რომ სოციალური, ინდივიდუალური განსხვავება ასე შორეულ მანძილზეც კი ეპოქის ერთფეროვნებაში იკარგება. საქმე ის გახლავთ,

რომ ტანსაცმლისა და დროის სულის მსგავსება, სახეზე რომ აისახება, უფრო ბევრის მთქმელია, ვიდრე ადამიანის კასტური კუთვნილება, რომელიც მხოლოდ მისი პატივმოყვარეობისთვის არის მნიშვნელოვანი, ხოლო ადამიანის წარმოსახვისთვის კი მრავლისმეტყველი; ასე და ამგვარად, იმაში დასარწმუნებლად, რომ ლუი-ფილიპის დროის დიდგვაროვანი უფრო ნაკლებად განსხვავდება მისივე თანამედროვე ბურჟუასგან, ვიდრე ლუდოვიკო XV-ის დროინდელი დიდი ბატონი, ლუვრის საგამოფენო დარბაზების დათვალიერება საჭირო აღარ არის.

ამ დროს ორიანს გრძელთმიანი ბავარიელი მუსიკოსი მიესალმა, რომელსაც პრინცესა დე გერმანტი მფარველობდა. ორიანმა თავის დაკვრით უპასუხა, ხოლო იმით გაბრაზებულმა ჰერცოგმა, რომ მისი ცოლი ესალმება ვიღაც უცნობ ადამიანს, რომელსაც უცნაური გარეგნობა ჰქონდა და, როგორც ჰერცოგს ეგონა, ცუდი რეპუტაციაც, წარბები შეყარა და ისეთი მრისხანე მზერა შეავლო, თითქოს უნდოდა ეკითხა, ეს ველური ვინღააო. საბრალო ჰერცოგინია დე გერმანტი საკმაოდ რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა; მუსიკოსს წამებული ცოლისადმი თუნდაც უმცირესი სიბრალულის გრძნობა რომ აღძვროდა სულში, სასწრაფოდ გაეცლებოდა. მაგრამ ან ძალა არ შესწევდა, აეტანა შეურაცხყოფა, ყველა ამ ადამიანის თვალწინ რომ მიაყენეს, რომელთა უმრავლესობაც ჰერცოგის გარემოცვას ეკუთვნოდა, ან, იქნებ, მდუმარედ თავის მდაბლად დაკვრით უნდოდა ეთქვა, რომ უფლება ჰქონდა, ჰერცოგინია დე გერმანტს ისე

მისალმებოდა, როგორც ძველ ნაცნობს, ან შეიძლება თავისი შეცდომის გაუაზრებელი, ჯერ გადაულახავი გავლენის ქვეშ იყო მოქცეული, რამაც მუსიკოსი აიძულა, ზუსტად მაშინ, როცა გონებას უნდა დაჰყოლოდა და მაღალი საზოგადოების წესები დაეცვა, უფრო ახლოს მისულიყო ჰერცოგინიასთან და ეთქვა: «თქვენო ბრწყინვალებავ, პატივი დამდეთ და ჰერცოგთან წარმადგინეთ». ქალბატონი დე გერმანტი სრულიად სასოწარკვეთილი აღმოჩნდა. ბოლოს და ბოლოს, მართალია, ჰერცოგი ღალატობდა, მაგრამ იგი ხომ მაინც ჰერცოგინია დე გერმანტი იყო და ეჭვი არავის უნდა გასჩენოდა, რომ ჩამორთმეული ჰქონდა უფლება, ქმრისთვის თავისი ნაცნობები წარედგინა. «ბაზენ, – თქვა მან, – ნება მომეცით, ბატონი დ’ერვეკი წარმოგიდგინოთ». «არ გეკითხებით, ხვალ ქალბატონ დე სენტ-ევერტთან მიდიხართ თუ არა, – ჰერცოგინიასთან საუბარი წამოიწყო პოლკოვნიკმა დე ფრობერვილმა, რათა ის უსიამოვნო შთაბეჭდილება გაეფანტა, დ’ერვეკის უადგილო თხოვნამ რომ გამოიწვია. – მთელი პარიზი იქ იქნება». ამასობაში ჰერცოგი დე გერმანტი უეცარი მოძრაობით, მთელი ტანით შემობრუნდა უტაქტო მუსიკოსისკენ და დ’ერვეკს პირისპირ დაუდგა – დიდებული, მდუმარე, იუპიტერივით სასტიკი ერთხანს ასე იდგა, უმოძრაოდ, თვალანთებული, მრისხანე გაოცებით სავსე, აჯაგრული თმა

კრატერიდან ამოფრქვეულს რომ მიუგავდა. მერე თითქოს რაღაც ძალების ზემოქმედებით, რაც თხოვნის თავაზიანად აღსრულებისკენ მოუწოდებდა, მთელი თავისი შემაშინებელი იერით, თითქოს იქ დამსწრეთ მოწმედ უხმობდა, რომ არ იცნობდა ამ ბავარიელ მუსიკოსს, თეთრხელთათმნიანი ხელები ზურგზე დაიწყო, წინ გადაიხარა, ისე მდაბლად სცა თაყვანი, ისე

უეცრად, და ამ თაყვანში იმდენი განცვიფრება და გულისწყრომა იხატებოდა, მუსიკოსს შეაკანკალა, თავი მდაბლად დაუხარა და უკან დახევა დაიწყო, რათა მუცელში საშინელი დარტყმა არ მიეღო. «მე კი პარიზში არ ვიქნები, – უპასუხა ჰერცოგინიამ პოლკოვნიკ დე ფრობერვილს. – უნდა გაგიმხილოთ (თუმცა მრცხვენია ამის აღიარება), ამდენი ხანია ამქვეყანაზე ვიცხოვრე და მონფორ-ლ'ამორის[72] ვიტრაჟების სანახავად ვერ მოვიცალე. სირცხვილია, მაგრამ რა ვქნა, ასეა. ჩემი უვიცობით გამოწვეული დანაშაული რომ გამოვასწორო, საკუთარ თავს სიტყვა მივეცი, რომ ხვალ მის სანახავად წავიდოდი».

გრაფ დე ბრეოტემ მზაკვრულად ჩაიცინა. ცხადია, მიხვდა, თუ ჰერცოგინიას მონფორ-ლ'ამორის ვიტრაჟები აქამდე არ უნახავს, მაშინ ესთეტიკური თვალსაზრისით მოწყობილ ამ მოგზაურობაში სასწრაფო და ასაჩქარებელი არაფერი ჰქონდა და რომ ეს მოგზაურობა «ცხელ გულზე» არ იყო გადაწყვეტილი, თუკი მის ნახვას ოცდახუთ წელზე მეტხანს აყოვნებდნენ, მაშინ ოცდაოთხი საათით მისი გადადება თამამად შეიძლებოდა. არა, ჰერცოგინიამ გერმანტების აჩემებული ფორმის ბრძანების გამოცემა ჩაიფიქრა, რომელიც სენტ-ევერტის სალონს იმ ადგილად აცხადებდა, სადაც წესიერ ადამიანებს არაფერი ესაქმებოდათ, და იქ მხოლოდ იმიტომ იწვევდნენ, რომ მერე «გოლუას» საგაზეთო ანგარიშები მოწვეულთა სახელებით შეემკოთ, რათა ამ სახლისთვის უმაღლესი კეთილშობილების ბეჭედი დაერტყათ იმათ, ვინც იქ არ იქნებოდა. გრაფისთვის ეს მსუბუქი გასართობი იყო პოეტური სიამოვნების

მინარევით, რასაც მაღალი წრის ის ადამიანები განიცდიან, რომლებიც ჰერცოგინია დე გერმანტის ისეთ საქციელს ხედავენ, თვითონ რომ ვერ ჩაიდენენ, რადგან უფრო დაბალი მდგომარეობა უკავიათ. მაგრამ დახვეწილ სიამოვნებას, გრაფ დე ბრეოტეს სახეზე რომ იხატებოდა, საერთო არაფერი ჰქონდა იმ გიჟურ აღფრთოვანებასთან, რომელმაც წამიერად შეიპყრო დე ფრობერვილი, თუმცა ამის დაფარვას კი შეეცადა.

პოლკოვნიკ დე ფრობერვილს, რათა როგორმე თავი შეეკავებინა და მისი სიცილი არავის გაეგო, იმდენი ძალისხმევა დასჭირდა, რომ მამლის ბიბილოსავით გაწითლდა. მიუხედავად იმისა, შეკავებული სიცილისგან ასლოკინებდა, მოახერხა და თანაგრძნობით მაინც ამოთქვა: «საწყალი მამიდა სენტ-ევერტი, ავად გახდება! უბედური ქალი თავის ჰერცოგინიას ვერ ნახავს; რა დარტყმაა! მაგრამ არის რაღაცა, რისთვისაც სიკვდილი ღირს!» – დაუმატა, თან შეკავებული სიცილისაგან იკრუნჩხებოდა. ისეთი აღტაცებული იყო, ფეხებიც კი ააბრახუნა და ხელები მოიფშვნიტა. ცალი თვალით და ცალყბად გაუღიმა პოლკოვნიკს ჰერცოგინიამ, მადლიერი დარჩა, მისი გულის მოგებას რომ ეცადა, მაგრამ ის საშინელი

მოწყენილობა, რომელსაც პოლკოვნიკი ჰგვრიდა, ვეღარ აიტანა და მისი მიტოვება გადაწყვიტა.

«იცით, იძულებული ვარ, დაგემშვიდობოთ, – უთხრა და ისეთი თვინიერი, ნაღვლიანი სახით წამოდგა, თითქოს მასთან განშორება უმძიმდა. ჰერცოგინიას ალერსიანი, მუსიკალური ხმა ისე

პოეტურად ჟღერდა, თითქოს რომელიღაც ფერიას ჩივილი გესმოდათ, ხოლო მისი ჯადოქრული ცისფერი თვალები კიდევ უფრო ამძაფრებდა ამ შთაბეჭდილებას. – ბაზენს უნდა, მარის სანახავად წავიდე». სინამდვილეში პოლკოვნიკთან ლაპარაკი მოსწყინდა, რომელიც განუწყვეტლივ ჩასჩიჩინებდა: მშურს, მონფორ-ლ'ამორის სანახავად რომ მიდიხართო, თუმცა ქალმა მშვენივრად იცოდა: მან ახლა პირველად გაიგო ვიტრაჟების არსებობის შესახებ და ისიც იცოდა, სენტ-ევერტის წვეულებას არ გააცდენდა. «ნახვამდის. ძლივს ლაპარაკი დავიწყეთ, რას ვიზამთ, ასეა ცხოვრება მოწყობილი: ადამიანები ერთმანეთს ვერ ხვდებიან, ვერ ლაპარაკობენ იმაზე, რაზეც საუბარი უნდათ; ეს საერთო სენია. ერთი იმედიღა გვრჩება – იქნებ, იმ ქვეყნად უკეთესი პირობები იყოს. ყოველ შემთხვევაში, მოშიშვლებული კისრით სიარული საჭირო აღარ იქნება. თუმცა საიდან უნდა ვიცოდეთ? შეიძლება, დიდ დღესასწაულებზე საკუთარი ძვლებისა და ჭია-ღუების გამოფენა იქაც მოგვიწიოს. ვითომ რატომაც არა? აგერ, დიდედა რამპილონს შეხედეთ, განა მასსა და მოღიავებულ კაბაგადაცმულ ჩონჩხს შორის დიდი განსხვავებაა? თუმცა მას უკვე ყველაფრის უფლება აქვს, სულ ცოტა, ასი წლისა მაინც იქნება. თავიდანვე, როცა საზოგადოებაში გამოსვლა დავიწყე, ისეთი ჯოჯოხეთური სახე ჰქონდა, საკუთარ თავს ვერაფრით ვაიძულებდი, რომ მივსალმებოდი. მეგონა, უკვე დიდი ხნის მკვდარი იყო. ამ სანახაობაში არის რაღაც შემაძრწუნებელი, რაღაც სამგლოვიარო. თითქოს «კამპოსანტოზე»[73] ვიმყოფებოდეთ» – ჰერცოგინია ფრობერვილს გაეცალა; პოლკოვნიკი წამოეწია: «ორი სიტყვა მინდა გითხრათ». «კიდევ რა გნებავთ?» ქედმაღლურად შეხედა და ოდნავ გაღიზიანებული

ხმით იკითხა ჰერცოგინიამ. დე ფრობერვილს ეშინოდა, ჰერცოგინიას მონფორ-ლ'ამორში გამგზავრება ბოლო წუთებში არ გადაეფიქრებინა: «ვერ გავბედე მეთქვა, შემეშინდა, მარკიზა დე სენტ-ევერტს არ წყენოდა, მაგრამ ახლა, რაკი მის წვეულებაზე მაინც არ მიბრძანდებით, შემიძლია გითხრათ, რომ ძალიან მიხარია, რადგან მის სახლში წითელაა!». «ო, ღმერთო ჩემო! – წამოიძახა ორიანმა, მას ავადმყოფობების ეშინოდა. – თუმცა ამისი არ მეშინია, წითელა უკვე მქონდა. მეორედ ამით არ ავადდებიან». «ასე ექიმები ამტკიცებენ, მე კი ვიცნობ ადამიანებს, რომლებსაც ოთხჯერ გადაედოთ ეს დაავადება. მოკლედ, ჩემი მოვალეობა იყო, გამეფრთხილებინეთ». თავად კი მხოლოდ იმ შემთხვევაში გააცდენდა სენტ-ევერტის საღამოს, რომელსაც ამდენ ხანს ელოდა, თუ ამ მოგონილი ავადმყოფობით თვითონ დასნეულდებოდა და ლოგინში ჩაწვებოდა. მას ხომ ასეთ ბრწყინვალე საზოგადოებაში მოხვედრის სიამოვნება ელოდა! უფრო დიდ სიამოვნებას კი მარცხის აღნუსხვით მიიღებდა და, რაც მთავარია, მერე დიდი ხნით ტრაბახის საშუალება

ეძლეოდა, რომელი ვარსკვლავი ნახა – მათ მიერ დაშვებულ შეცდომებს აზვიადებდა ან თვითონ თხზავდა.

ჰერცოგინიამ ადგილი რომ შეიცვალა, ამით ვისარგებლე და მეც ავდექი, მოსაწევი ოთახისკენ წასვლა და იქ სვანის შესახებ ცნობების შეკრება გადავწყვიტე. «ბაბალის ნათქვამიდან ერთი სიტყვაც არ დაიჯეროთ, – მითხრა ჰერცოგინიამ. – პატარა მოლე იქ ცხვირს ვერ შეყოფს. ამას ჩვენს მისატყუებლად ამბობენ. ისინი არავის პატიჟებენ და არც არავის მიწვევას იღებენ. ხომ

თვითონვე აღიარა: ჩვენ ორივე მარტო ვსხედვართ ბუხართანო. ყოველთვის ამბობს ჩვენ, არა იმ გაგებით, როგორც მეფე ხმარობს, არამედ თავისი ცოლი ჰყავს მხედველობაში, ასე რომ, მისი ნათქვამი ჩვენ არ მეჩოთირება. ეს ზუსტად ვიცი» – დაუმატა ჰერცოგინიამ. ამ დროს ორ ახალგაზრდა კაცს შევეჩეხეთ, რომლებიც თავიანთ დამაბრმავებელ, მაგრამ სრულიად განსხვავებულ სილამაზეს ერთ ქალს უნდა უმადლოდნენ. ესენი მარკიზა დე სიურჟის, ჰერცოგ დე გერმანტის ახალი საყვარლის ვაჟები იყვნენ, დედის სრულყოფილებით ბრწყინავდა ორივე, მაგრამ თითოეულს თავისი განსაკუთრებული ხიბლი ჰქონდა. ერთს ქალბატონ დე სიურჟის მეფური წარმოსადეგობა ხვდა წილად, იგივე მღელვარება მამაკაცურ სხეულში, ოქროსფერი, მცხუნვარე, მარმარილოსებრ ასკეტური სიფითრე დაჰკრავდათ დედასაც და შვილსაც; ძმას კი ბერძნული შუბლი ერგო მემკვიდრეობით. სწორი ცხვირი, ქანდაკი კისერი, უძირო თვალები. მათთვის ნაბოძები ნიჭით შემდგარი ეს განსხვავებული სილამაზე, ღმერთქალმა მათ შორის რომ გაანაწილა, გონებას სიამეს ჰგვრიდა და იმ აზრამდე მიყავდა, რომ პირველსაწყისი ამ მშვენიერებისა მათ გვერდით იდგა; შეიძლება ითქვას, რომ დედის ძირითადმა ნაკვთებმა ორ სხვადასხვა სხეულში პოვა ხორცშესხმა, ერთს ტანადობა და სახის ფერი ერგო დედისგან, მეორეს კი გამოხედვა; როგორც იუპიტერისგან მარსმა სიძლიერე, ვენერამ კი სილამაზე მიიღეს. თუმცა ჰერცოგ დე გერმანტისადმი ღრმა პატივისცემით იყვნენ აღვსილნი და ორივე ამბობდა: «ჩვენი მშობლების დიდი მეგობარია», უფროსმა ვაჟმა მაინც არ მიიჩნია საჭიროდ, ჰერცოგინიას მისალმებოდა, რადგან იცოდა, იგი დედამისისადმი მტრულად იყო განწყობილი, თუმცა,

შეიძლება, მიზეზს ვერც ხვდებოდა: დაგვინახა თუ არა, თავი ოდნავ გვერდით მიაბრუნა. უმცროსი ძმა ჩერჩეტი იყო, ამასთან ახლომხედველიც, საკუთარი აზრის გამოთქმას ვერ ბედავდა, ცდილობდა, ყველაფერში ძმისთვის მიებაძა და იმანაც იმავე მანერით შეაბრუნა თავი; და ორივე, ერთიმეორის მიყოლებით, როგორც ორი ალეგორიული ფიგურა, სათამაშო დარბაზში შესრიალდა.

დარბაზთან მისული მარკიზა დე სიტრიმ შემაჩერა, ისევ ლამაზი იყო, მაგრამ ახლა პირზე ოდნავ ქაფი მოსდებოდა. საკმაოდ კეთილშობილი გვარის შთამომავალი გახლდათ, ძალიან უნდოდა, ხელსაყრელად ექორწინა და იქორწინა კიდეც, ცოლად ბატონ დე სიტრის გაჰყვა, რომლის დიდი ბებია ომალ-ლორენი[74] იყო. დაიკმაყოფილა სურვილი და მისი ყოვლისუარმყოფელი ნატურა მაღალი

საზოგადოების ადამიანებისადმი ზიზღმა მოიცვა, რაც ხელს არ უშლიდა, ნაწილობრივ იმავე საზოგადოების ცხოვრებით ეცხოვრა. და არა მხოლოდ რომელიმე წვეულებაზე, არამედ ყველგან თითქმის ყველას დაცინოდა, იმდენად თავდაუზოგავად დაცინოდა, რომ ასეთ დაცინვას უბრალო გაბოროტებული სიცილი აღარ შეეფერებოდა და ხორხისმიერ სტვენაში გადასდიოდა. «აჰ! – მითხრა და ჰერცოგინია დე გერმანტზე მიმანიშნა, რომელმაც, ის-ის იყო, დამტოვა და უკვე კარგა მანძილის გავლა მოესწრო. – გაოცებული ვარ, ასე ცხოვრება როგორ შეუძლია!» ვისგან იყო ეს სიტყვები ნათქვამი? განრისხებული წმინდანისგან, რომელიც განცვიფრებულია, რომ უღმერთონი ჭეშმარიტებასთან

თავისით არ მიდიან, თუ ანარქისტისაგან, ხოცვა-ჟლეტა რომ სწყურია? ყოველ შემთხვევაში, ეს ყველაფერი არადამაჯერებელი ჩანდა და დაუსაბუთებელი, რადგან ის მყოფობა, როგორითაც ჰერცოგინია დე გერმანტი ცხოვრობდა, ცოტათი თუ განსხვავდებოდა (თუ მხედველობაში არ მივიღებთ სიძულვილს) იმისგან, რითიც მარკიზა დე სიტრი სულდგმულობდა. ქალბატონი დე სიტრი საგონებელში ჩააგდო იმან, თუ როგორ შეძლო ჰერცოგინიამ ასეთი საშინელი ზნეობრივი მსხვერპლის გაღება – მარი-ჟილბერის წვეულებაზე მოსვლა. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მას ძალიან უყვარდა პრინცესა, მართლაც საუცხოო ქალი, და ისიც იცოდა, პრინცესას წვეულებაზე მისვლით მას დიდ სიამოვნებას ანიჭებდა. ამ ზეიმზე დასასწრებად რუს ბალერინასთან ვიზიტიც კი გააუქმა, რომელსაც გენიალურ მოცეკვავედ მიიჩნევდა და რომელსაც იგი რუსული ქორეოგრაფიის საიდუმლოებისთვის უნდა ეზიარებინა. ჩამოწოლილ მრისხანებას დამაჯერებლობა კიდევ უფრო მოაკლდა, როცა დაინახა, როგორ ესალმებოდა ორიანი მოწვეულ სტუმრებს, და რომ ჰერცოგინია დე გერმანტს იმავე ავადმყოფობის ნიშნები აჩნდა, ეს კია, ისე ძლიერ არა, როგორც მარკიზა დე სიტრის. ჩვენ უკვე ვიცით, რომ ჰერცოგინიას ეს ავადმყოფობა თანდაყოლილი გახლდათ. დაბოლოს, ჰერცოგინია დე გერმანტი მარკიზა დე სიტრიზე ჭკვიანი იყო, არსებითად კი, მას ამგვარი ნიჰილიზმის მეტი უფლება ჰქონდა (რომელიც მხოლოდ მაღალი საზოგადოების კუთვნილებაა), მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ ზოგიერთი ღირსების წყალობით, რომელიც ადამიანს აქვს, იგი ადვილად იტანს ახლობლის ნაკლს და აღარც ისე იტანჯება. ძალიან ნიჭიერი ადამიანი, ჩვეულებრივ, სხვათა სისულელეს

ნაკლებ ყურადღებას აქცევს, ვიდრე სულელი. ჩვენ დაწვრილებით გადმოგეცით ჰერცოგინიას გონებრივ თავისებურებებზე და დავრწმუნდით, თუმცა ძლიერ განვითარებულ ინტელექტთან საერთო არაფერი ჰქონდა, მაგრამ იგი გონიერი ქალი გახლდათ და ოსტატურად იყენებდა (მთარგმნელივით) სხვადასხვა სინტაქსურ ხერხს. აი, ქალბატონი დე სიტრი, ეტყობა, არც ერთ ამ თვისებას არ ფლობდა და არც არაფერი აძლევდა უფლებას, სხვებში სძულებოდა ის, რაც თავად მასში უმაღლესი ხარისხით იყო მოცემული. ყველას იდიოტს ეძახდა, მაგრამ მისი გამონათქვამებიდან, ასევე წერილებიდან ჩანს, რომ თავად მათზე უფრო დაბლა იდგა, ვისაც ასე უპატივცემულოდ მოიხსენიებდა. საერთოდ კი, ქალბატონ დე სიტრის ისე სწყუროდა

ნგრევა, რომ, მას შემდეგ, რაც ნელ-ნელა ჩამოშორდა საზოგადოებას, სხვა გასართობებმა საკუთარ თავზე გამოცადეს მისი გადაულახავი გამხრწნელი ძალის ზემოქმედება. მუსიკალურ საღამოებზე სიარული რომ შეწყვიტა, ამბობდა: «მუსიკა გიყვართ? აჰ, ღმერთო ჩემო, ეს ხომ განწყობაზეა დამოკიდებული, როდის როგორ! ზოგჯერ ისეთი მოსაწყენია! აჰ, ბეთჰოვენი – გულის გამაწყალებელია!» თუ ვაგნერზე ჩამოვარდებოდა სიტყვა, მერე ფრანკზე, დე ბიუსიზე, იმასაც აღარ ამბობდა, გულის გამაწყალებელიაო, მხოლოდ სახის მანჭვით გამოხატავდა მოწყენილობას. მალე ყველაფერი მომაბეზრებლად ეჩვენებოდა: «ლამაზი ნივთები ისეთი მოსაწყენია! აჰ, სურათები, მათი ნახვისას შეიძლება სევდამ გაგაგიჟოთ. მართალი ხართ, წერილების წერა მომაბეზრებელია!» ბოლოს გამოგვიცხადა მთელი ცხოვრებაა საშინლად მოსაწყენიო და ვერაფრით გავარკვიეთ, ეს დასკვნა საიდან გამოიტანა.

არ ვიცი, როდის, იქნებ, მაშინაც, როცა ჰერცოგინია დე გერმანტთან პირველად ვისადილე და მისი ნაამბობის გავლენით შემექმნა გარკვეული შთაბეჭდილება ამ დარბაზზე, სათამაშო თუ მოსაწევ დარბაზზე, მის სახეებიან პარკეტზე, სამფეხებზე, ღმერთებისა და ცხოველების ფიგურებზე, პირდაპირ რომ მოგჩერებიან, სავარძლების საიდაყვეებზე გაწოლილ სფინქსებზე და, რაც მთავარია, მის უზარმაზარ, მინანქრის მოზაიკითა და სიმბოლური ნიშნებით დამშვენებულ მარმარილოს მაგიდაზე, ეტრუსკული და ეგვიპტური ხელოვნების გავლენა რომ ეტყობოდა, მაგრამ ახლა იგი ნამდვილად ჯადოსნური მეჩვენა. უმშვენიერეს ავგურულ[75] მაგიდასთან მიწეულ სავარძელში ბატონი დე შარლიუ იჯდა, ბანქოს ხელს არ აკარებდა, საერთოდ არ მონაწილეობდა თამაშში, რაც ირგვლივ ხდებოდა, ვერ ამჩნევდა და ვერც ჩემი შესვლა შენიშნა, გრძნეულს ჰგავდა, რომლის ნებისყოფისა და გონების მთელი ძალები ჰოროსკოპის შედგენისკენ იყო მიმართული. სამფეხაზე მჯდარს პითიასავით თვალები ორბიტიდან გადმოკარკვლოდა, ოღონდ ხელი არავის შეეშალა, უმცირეს მოძრაობასაც ახლოს არ იკარებდა, გვერდით მიეგდო სიგარაც, რომელიც ახლახან პირში ჰქონდა გაჩრილი და რომლის ბოლომდე მოწევაც აღარ ისურვა, რადგან მოწევა აზროვნების თავისუფლებას უზღუდავდა. იმ ორი ღვთაების დანახვაზე, მის პირდაპირ მდგარი სავარძლის საიდაყვეებზე თათებით რომ გადაჭიმულიყვნენ, შეიძლება კაცს ეფიქრა, რომ ბარონი სფინქსის გამოცანის ამოხსნას ლამობდა, მაგრამ ეს უფრო ახალგაზრდა, ცოცხალი ოიდიპოსის გამოცანა იყო, რომელიც ზუსტად ამ სავარძელში ჩაჯდა, რათა თამაშში მიეღო მონაწილეობა. და, მართლაც,

სახის ნაკვთები, რომლის შესასწავლადაც ბატონმა დე შარლიუმ მთელი თავისი გონებრივი შესაძლებლობები დაძაბა და რომელიც, სიმართლე ითქვას, სულაც არ იყოს ის, რასაც more geometrico[76]-თი იკვლევენ, ეს ახალგაზრდა მარკიზ დე სიურჟის სახის ნაკვთები გახლდათ; ბატონი დე შარლიუ ისე დაწვრილებით შეუდგა ამ ნაკვთების შესწავლას, თითქოს მის წინ რაღაც სიტყვა იყო რომბის სახით გამოსახული, გამოცანა, ალგებრული ამოცანა და მისი ამოხსნა, ფორმულის გამოყვანა აღარ ეთმინებოდა. იდუმალი ნიშნები, ჩახაზული ფიგურები, რომელიც მის წინ გადაშლილ კანონთა წიგნში იყო მოცემული, წააგავდა საიდუმლო დამწერლობას,

რომლის მიხედვითაც მოხუც მისანს შეეძლო, ჭაბუკის შემდგომი ბედი განესაზღვრა. უცბად შეამჩნია, რომ ვუყურებდი, თავი ახლად გაღვიძებულივით აწია, გაწითლდა და გამიღიმა. ამასობაში ქალბატონი დე სიურჟის მეორე შვილი მივიდა მასთან, ვინც თამაშობდა, და მის კარტში ჩაიხედა. როცა ბატონ დე შარლიუს შევატყობინე, რომ ესენი ძმები იყვნენ, აღფრთოვანება ვერ დამალა იმ ოჯახისადმი, რომელმაც ასეთი დიდებული, ასეთი განსხვავებული ხელოვნების ნიმუშები შექმნა. ბარონი უფრო მეტად აღფრთოვანდებოდა, რომ გაეგო, ქალბატონი დე სიურჟი-ლე-დიუკის ორივე ვაჟს არა მარტო დედა, არამედ მამაც ერთი ჰყავდა. იუპიტერის შვილები ერთმანეთს არ ჰგვანან, რადგან მან ჯერ მეტიდაზე იქორწინა, რომელმაც ქვეყანას კეთილგონიერი შვილები მოუვლინა, მერე თემიდაზე, მერე ევრინიმეზე, მერე მნემოსინეზე და ლეტოზე, ბოლო ცოლად იუნონა ჰყავდა. ქალბატონმა დე სიურჟიმ კი ერთი ქმრისგან ორი ვაჟი შვა და ორივემ დედისგან სილამაზე მიიღო საჩუქრად, ოღონდ განსხვავებული სილამაზე.

ბოლოს და ბოლოს, სვანიც გამოჩნდა და გამიხარდა, თუმცა ეს ოთახი იმხელა იყო, შემოსვლისთანავე ვერ შემამჩნია. მაგრამ ჩემს სიხარულს ნაღველი შეერია, ნაღველი, რომელსაც, შეიძლება, სხვა სტუმრები ვერც გრძნობდნენ, რადგან მოახლოებული სიკვდილის განსაკუთრებული ნიშნები მათთვის რაღაც მიმზიდველი მოულოდნელობა გახლდათ, იმ სიკვდილისა, რომელზეც ხალხი ამბობს, უკვე სახეზე აწერიაო. და თითქმის უდიერი განცვიფრებით, კადნიერი ცნობისმოყვარეობით, სიმკაცრით, საკუთარ თავზე ფიქრითაც, რომელშიც შიში სიმშვიდესთან მეზობლობდა (იგი, როგორც რობერმა თქვა, მოიცავდა suave mare mago[77]-ს და memento quia pulvis[78]-საც), ყველა ამ სახეზე აჩერებდა მზერას, ლოყებზე, რომელიც ავადმყოფობას გამოეხრა და გალეულ მთვარეს მიუგავდა. იქნებ, იმიტომ, რომ სვანს ლოყები ჩასცვენოდა, რის გამოც სახე დაპატარავებოდა, იქნებ, ათეროსკლეროზის[79] გამოც, რომელიც სხვა არაფერია თუ არა ორგანიზმის მოწამვლა, სვანს სახე ლოთივით დასწითლებოდა და ისე დამახინჯებოდა, როგორც მორფინის ზემოქმედებით უმახინჯდებათ; ოღონდ სვანის ცხვირი, პოლიშინელის[80] ცხვირი, მის სანდომიან სახეზე დიდხანს შეუმჩნეველი რომ რჩებოდა, ახლა დიდი ჩანდა, გასიებული, წითელი, ასეთი ცხვირი უფრო მოხუც იუდეველს შეიძლება ჰქონოდა, ვიდრე ცნობისმოყვარე ვალუას. მოკლედ, ბოლო ხანს სვანის სახეზე მისი ჯიშისთვის დამახასიათებელი გარეგნული ნიშნები განსაკუთრებულად ნათლად გამოიხატა; მის სულში სხვა ებრაელებისადმი ზნეობრივი სოლიდარობის გრძნობა, სოლიდარობისა, რომელიც მან თითქოს დაივიწყა და რომელიც ერთმანეთზე დაშრევდა, დრეიფუსის საქმე იყო

თუ ანტისემიტური პროპაგანდა, სასიკვდილო ავადმყოფობამ გამოაღვიძა. ზოგიერთი იუდეველი, ესეც უნდა ითქვას, ძალიან დახვეწილი, მაღალი წრის ნატიფი ხალხი, საკუთარ თავს თადარიგში ამყოფებს, კულისებს იქით იმალება, როგორც თეატრში, რათა საჭირო დროს გამოჩნდეს, როგორც თავხედი თუ წინასწარმეტყველი. სვანი წინასწარმტეყველის ასაკს უახლოვდებოდა. ცხადია, რადგან მისი სახიდან

ავადმყოფობის გავლენით მრავალი სეგმენტი გაქრა, ზუსტად ისევე, როგორც დნობაში შესულ ყინულის ხორგს სცვივა ნატეხები, იგი ძალიან შეიცვალა. განსაკუთრებით იმან გამაოცა, რომ ჩემს თვალშიც ძალიან შეიცვალა. ვერ მივხვდი, ეს საყვარელი, დიდი კულტურის ადამიანი, რომელთან შეხვედრა ახლაც მიხარია, უწინ რატომ შევმოსე ისეთი საშინელი იდუმალებით, რომ, დავინახავდი თუ არა ელისეის მინდვრებზე, გული ძალუმად ამიძგერდებოდა და მის აბრეშუმგამოკრულ მოსასხამთან მიახლებაც მრცხვენოდა; ისეთი საშინელი იდუმალებით, რომ მის კართან მდგარი თრთოლითა და გიჟური შიშით ვაჭერდი თითს ზარის ღილაკს; ეს ყველაფერი ახლა გაქრა და არა მარტო მისი ცხოვრებიდან, არამედ მისი პიროვნებიდან, აი, ამიტომ მასთან საუბარი, სასიამოვნო იყო ის თუ უსიამოვნო, ჩემს ნერვულ სისტემაზე უკვე აღარ აისახებოდა.

ამ შუადღის შემდეგაც კი შეცვლილი მეჩვენა, ანუ იმ დროიდან, როცა ჰერცოგ დე გერმანტის კაბინეტში სულ რაღაც რამდენიმე საათის წინათ შევხვდი. შეიძლება, მართლაც, სერიოზული საუბარი ჰქონდა პრინცთან და ამანაც ააღელვა. ვარაუდები რა საჭიროა. სულ უმცირეს

ძალისხმევასაც კი მძიმე ავადმყოფი ქანცგაწყვეტამდე მიჰყავს. შევა თუ არა, უკვე დაღლილი, ამ წვეულების დახუთულ გარემოში, სახეც დაუმახინჯდება და დაულურჯდება; ასეთ სიცხეში დღეზე ნაკლებია საჭირო, რომ მსხალი გაფუჭდეს, რძე კი ამჟავდეს. გარდა ამისა, თმა ალაგ-ალაგ შეთხელებოდა და, როგორც ჰერცოგინია დე გერმანტი აცხადებდა, ჭონის[81] მომსახურება სჭირდებოდა; თითქოს თმა ქაფურით ჰქონდა გაჟღენთილი, თანაც უშნოდ. ის იყო, მთელი დარბაზის გადავლას და სვანთან დალაპარაკებას ვაპირებდი, რომ უცბად, საუბედუროდ, ვიღაცის ხელი ჩემს მხარზე დაეშვა: «გამარჯობა, ჩემო პატარავ, პარიზში ორმოცდარვა საათს დავრჩები. პირდაპირ შენთან შემოვიარე, მითხრეს, რომ აქ იქნებოდი. ჰოდა, მამიდაჩემი მის საღამოზე ჩემი ყოფნის პატივს შენ უნდა გიმადლოდეს». სენ-ლუ იყო. ვუთხარი ამ სახლით აღფრთოვანებული ვარ-მეთქი. «დიახ, სახლი კი არა, ისტორიული ძეგლია. ოღონდ, ჩემი აზრით, საშინლად მოსაწყენი. ბიძია პალამედისგან თავი შორს დავიჭიროთ, თორემ აგვეკიდება და ვეღარ მოვიშორებთ. რაც გრაფინია მოლე (ახლა ხომ ის ეწევა თოკს) გაემგზავრა, თავგზა დაკარგა. ამბობენ მთელი სპექტაკლი იყოო. ნაბიჯითაც არ მოშორებია, ვიდრე კარეტაში არ ჩასვა; არა, ამის გამო ბიძაჩემთან პრეტენზიები არა მაქვს, მაგრამ სასაცილოა, რომ საოჯახო საბჭო, რომელიც ჩემდამი ასე მკაცრია, ძირითადად იმ ნათესავებისგან შედგება, ყველაზე მეტად რომ «ცელქობდნენ», მთავარი გარყვნილის, ბიძია შარლიუდან, ჩემი მეორე მეურვიდან დაწყებული; ქალები იმდენი ჰყავდა, რამდენიც დონ ჟუანს, და მაინც ვერ დამშვიდდა. ერთხელ თავი მოიყარეს და ჩემთვის ოფიციალური მეურვის დანიშვნა მოინდომეს. და, როცა ეს ბებერი

ცოდვილები საკითხის განსახილველად შეიკრიბნენ, გამომიძახეს, რათა ერთი მაგრად შევეხურებინე და დავეტუქსე იმიტომ, რომ დედაჩემს გულს ვტკენდი, ერთმანეთს, ალბათ, ღიმილის გარეშე ვერც უყურებდნენ. თუ დაინტერესდები და

გაიგებ, ვისგან შედგებოდა ეს საბჭო, უნებურად გაიფიქრებ, რომ ისინი საგანგებოდ აარჩიეს იმათგან, ვინც ყველაზე მეტად ძვრებოდა ქალების კაბებქვეშ». ბატონ დე შარლიუს რომ თავი დავანებოთ, რომლის ქცევაც, ჩემი აზრით, ამაოდ აოცებდა ჩემს მეგობარს რიგ მიზეზთა გამო, რომლებსაც მერე სხვა თვალით შევხედე, რობერი მართალი არ იყო, მას ხომ მხოლოდ ის აღაშფოთებდა, რომ ახალგაზრდა კაცს კარგი ქცევის გაკვეთილებს ის ნათესავები უტარებდნენ, რომლებიც უწინ თვითონ ცელქობდნენ და ამას დღემდე არ იშლიან.

რაც შეეხება ატავიზმს[82], იგი გარდაუვალია, მიზეზი ოჯახურ მსგავსებაშია: ბიძას, რომელსაც ძმისწულის დატუქსვა დაევალა, აუცილებლად აღმოაჩნდება იგივე ნაკლი, რაც დასატუქს ძმისწულს. სხვათა შორის, ბიძა მოცემულ შემთხვევაში გულწრფელად არ იქცევა, მის შეცდომას იწვევს ჭეშმარიტი ადამიანური თვისება, რადგან ყოველი ახალი გარემოება აფიქრებინებს, რომ «ეს ის არ არის»; ეს ის თვისებაა, რომელსაც ადამიანები შეცდომაში შეჰყავს, როცა ისინი ხელოვნებაზე მსჯელობენ ან პოლიტიკაზე და სხვა, და ვერ ამჩნევენ, რომ დღეს მხატვრობაში ახალ მიმდინარეობას იწონებენ, არადა, ათი წლის წინათ იგი მიუღებლად მიაჩნდათ; ვერ ამჩნევენ, რომ ახლა ისე აღარ უყურებენ იმ პოლიტიკას, უწინ მათი მკვეთრი განსჯის საგანი

რომ იყო; ვერ ამჩნევენ, რომ, უწინდელი შეცდომებისგან თითქოსდა უკვე გათავისუფლებულები, ისევ შეცდომებს უშვებენ, რადგან შეცდომები ახალი ფორმით უბრუნდებათ და ესენი მათ ვერ ცნობენ. მოკლედ, მემკვიდრეობა გარკვეულ როლს თამაშობს მაშინაც კი, როცა ბიძის ცოდვები ისეთი არ არის, როგორიც ძმისწულისა; შედეგი ყოველთვის როდი ჰგავს მიზეზს, როგორც ასლი ორიგინალს. და, თუ ბიძის ცოდვები უფრო მძიმეა, მას შეუძლია, თავისი ცოდვები ძმისწულის ცოდვებთან შედარებით წვრილმანად მიიჩნიოს.

როცა ბატონი დე შარლიუ აღშფოთებული კიცხავდა რობერს, რომელსაც ბიძის მიდრეკილებაზე წარმოდგენა არ ჰქონდა, მით უმეტეს, თუ მაშინ ის დრო იყო, ბიძა მსგავს მიდრეკილებებს თვითონაც მკაცრად რომ გმობდა, დე შარლიუ, მაღალი წრის საზოგადოების თვალსაზრისით, შეიძლება სრულიად გულწრფელიც იყო იმაში, რომ რობერი მასზე მეტად ცოდვილია. განა როცა ბიძამ რობერის ჭეშმარიტების გზაზე დაბრუნების დავალება მიიღო, რობერი რისკზე არ მიდიოდა, რომ თავისი წრის მიღმა აღმოჩნდებოდი? განა ჟოკეი-კლუბის წევრად მიღების დროს კენჭისყრაში გაშავება არ ემუქრებოდა? განა დასაცინი არ იყო, ვიღაც მდაბალი წარმოშობის ქალს უამრავ ფულს რომ ახარჯებდა; ისეთ ადამიანებთან მეგობრობდა – მწერლები, აქტიორები, ებრაელები – მის წრეს რომ არ ეკუთვნოდნენ; ისეთ აზრებს გამოთქვამდა, მოღალატეთა აზრებისგან ვერ გაარჩევდი და თავის ახლობლებს აწამებდა? ეს სათაკილო ცხოვრების წესი რითი ჰგავდა დე შარლიუს ცხოვრების წესს, რომელმაც მოახერხა და არა მარტო შეინარჩუნა,

არამედ უფრო მეტად დახვეწა კიდეც თავისი მნიშვნელობა, გერმანტების ჯიშის წარმომადგენელის მნიშვნელობა იმდენად, რომ ახლა ისეთ სრულიად განსაკუთრებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა, მასთან ნაცნობობას ეძებდნენ, ყველაზე მაღალი წრის დახვეწილი ადამიანები ელაქუცებოდნენ, პრინცესა დე ბურბონელი, დიდებული ქალი, ცოლად შეირთო. შეძლო, მისთვის ბედნიერება მიენიჭებინა, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ ისეთი მოწიწებითა და სისათუთით ინახავდა მეუღლის ხსოვნას, როგორიც მაღალ საზოგადოებაში მიღებული არ არის, რითიც დაამტკიცა, რომ არა მარტო კარგი შვილია, არამედ კარგი ქმარიც?

«დარწმუნებული ხარ, რომ ბატონ დე შარლიუს მართლაც ამდენი საყვარელი ჰყავდა?» – ვკითხე არა იმ ბოროტი განზრახვით, რომ მისთვის ის საიდუმლო გამემჟღავნებინა, რომელშიც მე შევაღწიე, არამედ იმიტომ, რომ მისმა თავდაჯერებულობამ და ურყევმა რწმენამ გამაღიაზიანა – რობერი ბატონ დე შარლიუს მიაწერდა იმას, რაშიც იგი დამნაშავე არ იყო. პასუხად მხოლოდ მხრები აიჩეჩა, ჩემი შეკითხვა მიამიტურად ეჩვენა: «არ ვკიცხავ. ჩემი აზრით, სრულიად მართებულად იქცევა». – მიპასუხა. ამას ისეთი თეორიის განვითარება მოაყოლა, ბალბეკში ყოფნისას თვითონვე დაეცემოდა თავზარი (იქ ამტკიცებდა, მაცდუნებლის დადაღვა საკმარისი არ არის, ასეთი დანაშაულისთვის ერთადერთი სამართლიანი ზომა სიკვდილით დასჯაა. მაშინ შეყვარებული იყო და ეჭვიანი. ახლა კი იქამდე მივიდა, «მხიარულ სახლებს» აქებდა, თავისი კარგი მხარე აქვსო ამბობდა; მხოლოდ იქ იპოვი შენს სარგო ფეხსაცმელსო. ასეთი

დაწესებულებებისადმი ის ზიზღიანი გრძნობა აღარ ეუფლებოდა, ბალბეკში რომ ჰქონდა. მისი აზრი მოვისმინე და გამოვუტყდი, ბლოკმა ის ადგილები გამაცნო-მეთქი, მან კი მიპასუხა, რომ სახლი, სადაც ბლოკმა წამიყვანა, ალბათ «რაღაც საძაგელი რამეა, ღატაკთა სამოთხე. თუმცა, ალბათ, ყველაფერი მდგომარეობაზეა დამოკიდებული. სად მდებარეობს?». მიკიბულ-მოკიბულად ვუპასუხე, რადგან გამახსენდა, ზუსტად ამ სახლში რაშელი საკუთარ თავს ლიუდორად ყიდდა; რაშელი, რომელიც რობერს ასე უყვარდა. «კარგი, რაც არის, არის, უფრო მაღალი დონის სახლს გაჩვენებ; გასაგიჟებელ ქალებს ნახავ». რობერს ვთხოვე, რაც შეიძლება სწრაფად წამიყვანე-მეთქი რომელიმე ასეთ სახლში; ეჭვიც არ შემპარვია, იმაზე უკეთესი იქნებოდა, სადაც ბლოკთან ერთად ვიყავი; მაგრამ მითხრა, რომ, სამწუხაროდ, ჩემს სურვილს ჯერ ვერ შეასრულებდა, რადგან მეორე დღეს უკან ბრუნდებოდა. «შემდეგში რომ ჩამოვალ, წაგიყვან. იქ სულ პატარა გოგონებსაც ნახავ, – დაუმატა იდუმალი სახით, – ერთი გოგო ჰყავთ, ძალიან პატარა, მგონი, მადმუაზელ დ'ოჟერვილს ეძახიან; თავს ვდებ, მისი მშობლები ფრიად პატივსაცემი ხალხი იქნება. დედამისი ლა კრუა-ლ'ევეკების შთამომავალი უნდა იყოს; ეს ხომ საზოგადოების ნაღებია. თუ არ ვცდები, მამიდა ორიანის შორეული ნათესავია. შეხედავ თუ არა გოგოს, მაშინვე მიხვდები, რომ წესიერი ხალხის შვილია (ამ დროს ვიგრძენი, რობერის ხმაში გერმანტების სულის აჩრდილი გაკრთა და დიდ სიმაღლეზე

ღრუბელივით გაუჩერებლად გადაირა)! რაღაც საოცრებაა. მშობლები გამუდმებით ავად არიან, ყურადღებას ვერ აქცევენ. გასაგებია, რომ გოგონას გართობა უნდა; იმედი მაქვს, მის გამხიარულებას შეძლებ». «როდის

ჩამოხვალ?» «არ ვიცი; თუ ჰერცოგინიას სახელი მაინცდამაინც არ გჭირდება (ჰერცოგინიას ტიტული არისტოკრატთა წრეში ყველაზე მაღალ რანგს ეკუთვნოდა, როგორც ხალხისთვის პრინცესას ტიტული), მაშინ, შემიძლია, სულ სხვა ჟანრი, ქალბატონი პიუტბიუს მოახლე გოგო შემოგთავაზო».

სათამაშო დარბაზში ქალბატონი დე სიურჟი შემობრძანდა, შვილებს ეძებდა. დაინახა თუ არა, ბატონი დე შარლიუ ღიმილით გაემართა მისკენ, რამაც სასიამოვნოდ გააოცა მარკიზა, რომელიც უფრო ცივად მიღებას ელოდა ბარონისგან, რადგან ის ყოველთვის ორიანის მხარეს იჭერდა; იგი ერთადერთი იყო მთელ ოჯახში, ვინც ჰერცოგის ახირებებს შემწყნარებლურად უდგებოდა, შემწყნარებლურად, რადგან მისგან მემკვიდრეობას ელოდა, ხოლო, ჰერცოგინიას ეჭვიანობა რომ არ გამოეწვია, თავისი ძმის საყვარლისგან მუდამ მტკიცედ იცავდა საპატიო მანძილს. ცხადია, ქალბატონი დე სიურჟი მშვენივრად ხვდებოდა, ბატონი დე შარლიუ მასთან ურთიერთობებისას რატომ ამჟღავნებდა სიცივეს, მისი ეშინოდა კიდეც, მაგრამ ახლა საგონებელში ჩავარდა, ვერა და ვერ მიხვდა, რამ გაახარა ბარონი მის დანახვაზე. დე შარლიუმ დიდი ქებით მოიხსენია მისი პორტრეტი, რომელიც ოდესღაც ჟაკმა[83] დაწერა. მისი აღტაცება აღფრთოვანებაში გადავიდა და, თუ ამ აღფრთოვანებას ანგარებიანი მიზანი ჰქონდა – მარკიზასთვის გზა გადაეჭრა, «გამოეჭირა», როგორც რობერი იტყოდა, რაც გარკვეულ მანძილზე მტრის ძალების გადაადგილების შეყოვნებას გულისხმობს, მაშინ ეს აღფრთოვანება

გულწრფელი გახლდათ. თუ სხვები მისი შვილების მეფური შეხედულებითა და მარკიზა დე სიურჟის თვალებით იხიბლებოდნენ, ბარონი ამის საწინააღმდეგო სიამოვნებას განიცდიდა, რაც არანაკლებ ძლიერი იყო, რადგან დედაში იმ ლამაზი ნაკვთების გაერთიანებას ხედავდა, როგორც ნახატზე, რომელიც უშუალოდ სურვილს არ აღძრავს, მაგრამ სურვილის ესთეტიკურ მხარეს კი კვებავს, მისი წყალობით რომ აღმოცენდება. ეს სურვილი რეტროსპექტულად ავხორცულ ხიბლს ანიჭებდა ჟაკის შესრულებულ პორტრეტს, რომელსაც ბარონი ახლა სიამოვნებით შეიძენდა, რათა ამის მიხედვით ორი ახალგაზრდა სიურჟის ფიზიოლოგიური გენეალოგია შეესწავლა.

«ხომ ხედავ, არ ვაჭარბებ, – მითხრა რობერმა. – ნახე, როგორ ეგება ბიძაჩემი ფეხქვეშ ქალბატონ დე სიურჟის. ძალიან მაოცებს. ორიანმა რომ ეს გაიგოს, გაცოფდება. და, თუ ბიძაჩემმა ასეთები დაიწყო, განა სხვა ქალი დაილია? რაღა მაინცდამაინც ამას უნდა დატაკებოდა?» – დაუმატა ბოლოს. როგორც ყველას, ვინც შეყვარებული არ არის, ამასაც წარმოედგინა, რომ საყვარელ ადამიანს დიდი ხნის ფიქრისა და განსჯის, მისი ამა თუ იმ თვისების გათვალისწინებით და კიდევ სხვადასხვა მოსაზრების გამო ირჩევენ. ბიძის მექალთანედ მიჩნევა შეცდომა გახლდათ, რობერი რისხვას

დაებრმავებინა და ბატონ დე შარლიუზე მეტისმეტად ზედაპირულად მსჯელობდა. ადამიანი, რომელიც ვიღაცის ძმისწულია, ყოველთვის როდი გადარჩება ხოლმე დაუსჯელად. ძალიან ხშირად, ბიძის მეშვეობით, ადრე თუ გვიან, ესა თუ ის მემკვიდრეობითი

თვისება ძმისწულზეც გადადის. აქ შეიძლებოდა პორტრეტების დიდი გალერეა შეგეგროვებინათ და სახელად ერთი გერმანული კომედიის სათაური «ბიძა და ძმისწული»[84] გეწოდებინათ, მაშინ გალერეის დამთვალიერებლები დაინახავდნენ, რა ეჭვიანად, თუმც ამას ანგარიშს არ უწევენ, აკვირდება ბიძა, როდის დაემსგავსება ძმისწული. იმასაც დავუმატებ, რომ გალერეა სრულყოფილი არ გამოვიდოდა, თუ იქ ის ბიძები არ იქნებოდნენ წარმოდგენილნი, რომლებსაც არავითარი ნათესაური კავშირი არა აქვთ ძმისწულებთან, რადგან ისინი მათი ცოლების ძმისწულები არიან და მხოლოდ ამიტომ მიიჩნევიან ბიძებად. ბატონი დე შარლიუები დარწმუნებული არიან, ისეთ ქმრებს, როგორებიც თვითონ არიან, ვერსად იპოვი, მათ ცოლებს ეჭვიანობის მიზეზი არა აქვთ და ცოლის ძმისწულებს, მათთან კარგი ურთიერთობის გამო, ვინმე შარლიუზე ათხოვებენ. აქ კი ძაფის გორგალი იბურდება. ცოლის ძმისწულისადმი მგრძნობიარე განწყობა ზოგჯერ მის საქმროზე გადადის. ასეთი ქორწინებები იშვიათი არ არის და ხშირად ბედნიერსაც უწოდებენ.

«ჰო, რაზე ვლაპარაკობდით? იმ მაღალ ქერა ქალზე, ქალბატონი პიუტბიუს მოახლეზე! მას ქალებიც უყვარს, მაგრამ შენთვის ამას, ვფიქრობ, მნიშვნელობა არა აქვს; გულწრფელად გეუბნები, ასეთი ლამაზი ქალი ჯერ არ მინახავს». ჯორჯონეს ქალებს ხომ არა ჰგავს?». «და თანაც როგორ! აჰ, პარიზში რომ ვრჩებოდე, დიდებულად გავატარებდი დროს! მოგწყინდება და სხვას იპოვი. სიყვარული, გამიგე, მაგარი სისულელეა, მე მაგას მოვრჩი და აღარ

დავუბრუნდები». გაოცებულმა მალე შევამჩნიე, ლიტერატურასთანაც ყველაფერი დაამთავრა, მაშინ, ჩვენი ბოლო შეხვედრისას, ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ მხოლოდ ლიტერატორებზე იყო გულაცრუებული («თითქმის ყველა გაიძვერაა», მითხრა); ეს აზრი, შეიძლება, იმ სრულიად სამართლიანი გაბოროტებითაც აიხსნას, რაც მასში რაშელის ზოგიერთმა მეგობარმა გამოიწვია. მათ მოახერხეს და რაშელი დაარწმუნეს, რომ მისგან ნამდვილი მსახიობი არ დადგებოდა, თუ რობერის, «სხვა ჯიშის ადამიანის», გავლენისგან არ გათავისუფლდებოდა, თანაც ვაჟს ქალის თანდასწრებით დაცინოდნენ იმ ვახშმობებზე, რობერი მათთვის რომ მართავდა. არსებითად კი, რობერს ლიტერატურა სიღრმისეულად არ უყვარდა და ვერც ფესვი გაიდგა მის ბუნებაში; ეს მხოლოდ რაშელისადმი სიყვარულის შედეგი იყო და დარდიმანდული ცხოვრების ზიზღთან და ქალის პატიოსნების თაყვანისცემასთან ერთად გაიარა.

«ამ ორ ახალგაზრდას რა უცხო სახე აქვს! შეხედეთ, მარკიზა; მართლაც მგზნებარე მოთამაშეები არიან, – უთხრა ბატონმა დე შარლიუმ ქალბატონ დე სიურჟის და მის ვაჟებზე ისეთი იერით მიანიშნა, თითქოს პირველად ხედავდა. – ალბათ,

აღმოსავლელები არიან; რაღაც დამახასიათებელი ნაკვთები აქვთ. შეიძლება, თურქებიც იყვნენ», – დაუმატა მან, ჯერ ერთი, იმისთვის, რათა მარკიზა საბოლოოდ დაერწმუნებინა მათ არ ვიცნობო და, მეორეც იმიტომ, რომ ქალისთვის მისი შვილებისადმი მსუბუქი ანტიპათია ეგრძნობინებინა, რასაც მერე

კეთილმოსურნეობით შეცვლიდა, რითიც მარკიზას დაუმტკიცებდა – ამ ბიჭებს კეთილად მხოლოდ იმიტომ ექცეოდა, მისი ვაჟები რომ გამოდგნენ და თავისი დამოკიდებულება მათდამი მხოლოდ მას შემდეგ შეიცვალა, როცა გაიგო, ვინც იყვნენ. შეიძლება, ბუნებით უტიფარსა და კადნიერების მოყვარულ დე შარლიუს იმ წუთით სარგებლობაც უნდოდა, რომლის განმავლობაშიც უფლება ჰქონდა, არ სცოდნოდა, რა ერქვათ, ვინ იყვნენ, რათა მერე ქალბატონი დე სიურჟით თავი შეექცია, ჩვეულებისამებრ, დაეცინა, სკაპენივით[85] – თავის ბატონს სხვის ტანსაცმელს რომ გადააცმევს, მერე კი ამ შემთხვევით ისარგებლებს და ჯოხს ურტყამს.

«ჩემი შვილები არიან», – თქვა ქალბატონმა დე სიურჟიმ დე გაწითლდა, უფრო შორსმჭვრეტელი რომ ყოფილიყო და არა პატიოსანი, არ გაწითლდებოდა. მიხვდებოდა, ის სრულიად გულგრილი თუ დამცინავი სახე, დე შარლიუმ რომ მიიღო ვიღაც ახალგაზრდა კაცთან შეხვედრისას, ისეთივე არაგულწრფელი იყო, როგორც ქალებისადმი მისი ის აშკარა ყალბი აღფრთოვანება, მის ნამდვილ არსს რომ ფარავდა. ამასაც, დაუსრულებელი, ყველაზე ნატიფი ქათინაურებით რომ აავსო, შეიძლება ეჭვი აღძვროდა, თუ იმ გამოხედვას დაიჭერდა, რომლითაც დე შარლიუმ მასთან საუბრის დროს ვიღაც კაცი შეათვალიერა, თუმცა მერე ამტკიცებდა, არ შემიმჩნევიაო. ეს არ ჰგავდა იმ გამოხედვას, როგორითაც იგი ქალებს უყურებდა; განსაკუთრებული გამოხედვა გახლდათ, შინაგანი სიღრმიდან მომავალი; გამოხედვა, რომლითაც წვეულების დროსაც კი ახალგაზრდა მამაკაც სტუმრებს მიამიტურად

აშტერდებოდა; ასეთი გამოხედვა მკერავის საქმიანობას ააშკარავებს, რადგან მაშინვე ტანსაცმელს ეჯაჭვება.

«ოო, რა საინტერესოა, – კადნიერად უპასუხა დე შარლიუმ ისეთი სახით, თითქოს მისმა აზრმა ხანგრძლივად იმოგზაურა მანამდე, სანამ იმ ჭეშმარიტებამდე მივიდოდა, საერთოდ რომ არ შეესაბამებოდა მის ვარაუდს. – მე მათ არ ვიცნობ», – დაუმატა იმით შეშინებულმა, რომ შესაძლოა, თავისი ანტიპათიის გამჟღავნებით მეტისმეტად შორს შეტოპა და, ვაითუ მარკიზას მისთვის შვილების გაცნობის სურვილი აღარ აღძვროდა. «ნებას მომცემთ, გაგაცნოთ?» – მორცხვად იკითხა ქალბატონმა დე სიურჟიმ. «ღმერთო ჩემო, მოხარული ვიქნები. მაგრამ ასეთ ახალგაზრდებს ჩემთან ყოფნა მოსაწყენი მოეჩვენებათ, – ყოყმანითა და ცივად ჩააგალობა ბატონმა დე შარლიუმ, თითქოს მისგან თავაზიანი წინადადება ამოქაჩესო. «არნიულფ, ვიქტიურნენ, აქ მოდით», – შვილებს მოუხმო ქალბატონმა დე სიურჟიმ. ვიქტიურნენი უყოყმანოდ ადგა. არნიულფი, მისი აჩრდილი, შორს რომ ვერაფერს არჩევდა, მორჩილად მიჰყვა ძმას.

«ახლა შვილების რიგი დადგა, – თქვა რობერმა. – სიცილით მოკვდება კაცი. ცდილობს, ყველას მოეფეროს, ასიამოვნოს, ყველას, სახლის პატრონის ძაღლსაც კი. ეგ ხომ ლაწირაკებს ვერ იტანს. აი, რა არის ყველაზე სასაცილო. შეხედე, შეხედე, თან რა სერიოზული სახით უსმენს. მისთვის

მათი გაცნობა მე რომ მომსვლოდა თავში, ჯანდაბაში გამგზავნიდა. უნდა წავიდე და ორიანს მივესალმო. პარიზში დიდხანს არ დავრჩები და მეტი ხალხი მინდა ვნახო, თორემ მერე ბარათების დარიგება მომიწევს». «რა კარგად აღზრდილი ახალგაზრდები არიან. რა კარგი მანერები აქვთ», – ისევ ალაპარაკდა დე შარლიუ. «ასე გგონიათ?» – ჰკითხა გახარებულმა ქალბატონმა დე სიურჟიმ.

სვანმა დამინახა და ჩვენთან მოვიდა. მისი, ებრაელი სვანის, გონებამახვილობა ნაკლებად დახვეწილი ჩანდა სვანის, მაღალი საზოგადოების ადამიანის ხუმრობებზე. «საღამო მშვიდობისა, – გვითხრა მან. – ღმერთო ჩემო! სამივე შევიკრიბეთ, იფიქრებენ, რომ სინდიკატის სხდომაა. ცოტაც და, სალაროს ძებნას დაიწყებენ!» ვერ შეამჩნია, რომ მის ზურგს უკან ბატონი დე ბოსერფეი იდგა და უსმენდა. გენერალს უნებურად წარბები შეეჭმუხნა. ბატონი დე შარლიუს ხმა ახლა სულ ახლოდან გვესმოდა. «მაშ ასე, ვიქტიურნენი გქვიათ, როგორც «სიძველეთა მუზეუმის»[86] გმირს?» – იკითხა ბარონმა, ახალგაზრდებთან საუბარი რომ წამოეწყო. «როგორც ბალზაკთან, დიახ», – უპასუხა უფროსმა დე სიურჟიმ, რომელსაც მწერლის ერთი წინადადებაც არ ჰქონდა წაკითხული, მაგრამ რამდენიმე დღის წინათ მასწავლებელმა ყურადღება მიაქცევინა, რომ მას და დ’ეგრინიონს ერთი სახელი ერქვათ. ქალბატონი დე სიურჟი აღფრთოვანებული დარჩა, რომ მისმა შვილმა ცოდნით გაიბრწყინა და ბატონ დე შარლიუზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა.

«ამბობენ, ლუბე[87] მთლიანად ჩვენს მხარეზეა, სანდო წყაროდან ვიცი, – უთხრა რობერს სვანმა, ოღონდ ისეთი დაბალი ხმით, რომ გენერალს ვერ გაეგო. ახლა, როცა ისე არაფერი აღელვებდა, როგორც დრეიფუსის საქმე, ცოლის რესპუბლიკურ წრეებთან კავშირები მისთვის საინტერესო გახდა. – ამას იმიტომ გეუბნებით, რომ, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ჩვენი ერთგული მოკავშირე ხართ». «ო, არა. მთლად ასე არ არის. ცდებით, – უპასუხა რობერმა. – იმდენად ბუნდოვანი საქმეა, ახლა ვწუხვარ, მასში ცხვირი რომ ჩავყავი. ხელახლა რომ დაიწყოს, ცხადია, განზე გავდგები. ჯარისკაცი ვარ, ჩემთვის არმია უპირველესია. თუ ბატონ სვანთან კიდევ დარჩები, აქ გიპოვი. მამიდას სანახავად მივდივარ». გავოცდი, როცა დავინახე, მადმუაზელ დ’ამბრეზაკს ესაუბრებოდა, ვიფიქრე, რომ მათი შესაძლებელი ნიშნობის შესახებ მომატყუა და ეს მეწყინა. მხოლოდ მაშინ დავმშვიდდი, როცა გავიგე, რომ იგი რობერს მხოლოდ ნახევარი საათის წინ გააცნო ვიკონტესა დე მარსანტმა, რომელიც ამ საქორწინო კავშირზე ოცნებობდა, რადგან ამბრეზაკები ძალიან მდიდარი ხალხი იყო.

«ბოლოს და ბოლოს, განათლებული ახალგაზრდა კაცი ვნახე, ვისაც ბალზაკი წაუკითხავს და მასზე წარმოდგენა აქვს, – მიმართა ბარონმა მარკიზა დე სიურჟის. – ჩემთვის ეს განსაკუთრებით სასიამოვნოა, რადგან ისეთ ადგილზე შევხვდი, სადაც ეს

დიდი იშვიათობაა. და ასეთი ახალგაზრდა ჩემი თანასწორი და ჩემი წრის კაცია». – დაუმატა, ბოლო სიტყვები ხაზგასმით წარმოთქვა. მართალია, გერმანტები თავს იკატუნებდნენ, თითქოს მათთვის ყველა ადამიანი

თანასწორი იყო, მაგრამ საზეიმო შემთხვევებში, როცა «დიდგვაროვან» ადამიანთა საზოგადოებაში იყვნენ, განსაკუთრებით კი არც ისე «დიდგვაროვანთა» წრეში, რომელთა პირში ამება უნდოდათ და შეეძლოთ კიდეც, დაუფიქრებლად გამოჰქონდათ საოჯახო რელიკვიები. «ოდესღაც არისტოკრატებს საუკეთესო ადამიანებს ეძახდნენ, საუკეთესოს მათი გონებრივი შესაძლებლობებითა და სულიერი თვისებებით. ახლა კი ჩვენს შორის პირველად ვხედავ ადამიანს, ვინც იცის, ვინ არის ვიქტიურნენ დ'ეგრილიონი. თუმცა ვცდები, პირველად არა. არიან კიდევ პოლინიაკი და მონტესკიუ, – დაამატა ბატონმა დე შარლიუმ. იცოდა, ორ ასეთ გვარს გაიგებდა თუ არა, მარკიზა დადნებოდა. – თუმც თქვენს ვაჟებს განათლების მხრივ მისაბაძი მაგალითი ჰყავთ; მათ პაპას, დედის მხრიდან, მეთვრამეტე საუკუნის ცნობილი კოლექცია ჰქონდა. ჩემსას გაჩვენებთ, თუ მოისურვებთ და სიამოვნებას მომანიჭებთ, ერთ დღეს საუზმეზე მეწვიოთ, – მიმართა ჭაბუკ ვიქტიურნენს, – ბალზაკის ხელით ჩასწორებული «სიძველეთა მუზეუმის» საინტერესო გამოცემას გაჩვენებთ. ბედნიერი ვიქნები, თუ ჩემთან ორი ვიქტიურნენის შეხვედრას მოვაწყობ».

სვანის მიტოვება ვერ შევძელი. უკვე იმ დონემდე იყო დაღლილი, როცა ავადმყოფის სხეული წარმოადგენს მხოლოდ რეტორტას, რომელშიც ქიმიური რეაქცია მიმდინარეობს. სახე ბერლინის წვრილი ლაჟვარდოვანი ფერის ლაქებით დაეფარა, თითქოს მათში სიცოცხლე შეწყდაო, და ისეთ სუნი ასდიოდა, როგორიც სკოლების «საბუნებისმეტყველო მეცნიერებების»

კაბინეტებში დგას «ცდების» ჩატარების შემდეგ, რის გამოც იქ გაჩერება არავის სიამოვნებს. სვანს ვკითხე, პრინც დე გერმანტთან ხანგრძლივი საუბარი ხომ არ გქონიათ და, თუ გქონდათ, მაშინ შეიძლება გავიგო რა თემაზე-მეთქი. «კი, მქონდა, – მიპასუხა მან, – მაგრამ ჯერ ბატონ დე შარლიუსთან და ქალბატონ დე სიურჟისთან მიდით, ცოტა ხანს გაჩერდით, მე კი აქ მოგიცდით».

საქმე ის გახლდათ, რომ ბატონმა დე შარლიუმ ქალბატონ დე სიურჟის სხვა ოთახში გასვლა შესთავაზა, რადგან აქ ძალიან დაცხა, მაგრამ მათთან ერთად წასვლა მის შვილებს კი არა, მე მთხოვა. ჯერ მოხიბლა, ახლა თავს ისე აჩვენებდა, ვითომ საერთოდ აღარ აინტერესებდა ისინი. ჩემ მიმართ კი ის თავაზიანობა გამოიჩინა, რაც მისთვის დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა, თანაც ქალბატონ მარკიზა დე სიურჟი-ლე-დიუკთან დროს გატარების მსურველი აქ ბევრი არც ჩანდა.

საუბედუროდ, ფანჯარასთან ჩამოვსხედით თუ არა, ქალბატონი დე სენტ-ევერტიც გამოჩნდა, ბარონის მუდმივი დაცინვის სამიზნე. იქნებ, იმიტომ, რომ თავი ისე მოეჩვენებინა, თითქოს ვერც ამჩნევდა ბატონი დე შარლიუს მისდამი მტრულ დამოკიდებულებას, ნაწილობრივ, ალბათ, იმიტომაც, რომ დაენახათ – ასეთ მტრულ

დამოკიდებულებას მაინცდამაინც დიდად არ განიცდიდა, მთავარი კი ის იყო, ყველას ჰგონებოდა, რა ახლოს იცნობდა ქალბატონს, რომელიც

მას, როგორც ახლობელს, ისე ესაუბრებოდა – ქალბატონი დე სენტ-ევერტი ამაყად, მეგობრული იერით მიესალმა ცნობილ ლამაზმანს, მან პასუხი დაუბრუნა, თანაც ცალი თვალით ბატონ დე შარლიუს გადახედა და დამცინავად გაიღიმა. სარკმელთან გასავლელი ძალიან ვიწრო იყო და თითქმის უმოძრაოდ გაჩერებულმა ქალბატონმა დე სენტ-ევერტმა ჩვენს ზურგს უკან ისევ თავისი ხვალინდელი სტუმრების გამოკითხვა გააგრძელა; ის გაება ხაფანგში, საიდანაც თავის დახსნა არც ისე ადვილი გამოდგა, ხოლო ბატონმა დე შარლიუმ, რომელიც მხოლოდ იმას ელოდა, თავისი გონებამახვილობით გაებრწყინა ორი ახალგაზრდა კაცის დედის წინაშე, არ დააყოვნა, ეს არაჩვეულებრივად ხელსაყრელი შემთხვევა გამოეყენებინა. გულუბრყვილო შეკითხვა, რომელიც ბარონს ყოველგვარი ზედმეტი ჩანაფიქრის გარეშე დავუსვი, მისგან გამანადგურებელი ტირადის წარმოთქმის მიზეზი გახდა, რომელიც ჩვენ უკან თითქმის უმოძრაოდ მდგარმა საცოდავმა ქალბატონმა დე სენტ-ევერტმა იძულებით, სიტყვასიტყვით მოისმინა. «წარმოგიდგენიათ, ამ კადნიერმა ახალგაზრდა კაცმა გაბედა და მკითხა, წავალ თუ არა ქალბატონი დე სენტ-ევერტის წვეულებაზე, – უთხრა ქალბატონ დე სიურჟის და ჩემზე მოანიშნა, – არა, ბატონო, მის სენტევერტულ წვეულებაზე მიმსვლელი არა ვარ. თუმცა მისი მოსმენა ძალიან საინტერესო იქნება. მისმა მახსოვრობამ, ვინ იცის, რამდენი რამ შემოინახა, ისტორიული მნიშვნელობა რომ აქვს, პირველ იმპერიასა და რესტავრაციის ეპოქასთან დაკავშირებული რამდენი შთაბეჭდილება და განცდა; ბევრი რამ შეიძლება გვიამბოს თავისი პირადი, სავარაუდოდ, საჩოთირო ცხოვრებიდანაც, «წმინდანის» ცხოვრებასთან საერთო რომ

არაფერი ექნება, თუ აქამდე მოქნილობაშენარჩუნებული მისი სენტევერტული ბაყვებითაც ვიმსჯელებთ. მაგრამ მე მასზე გული არ მიმდის, მეტისმეტად ფაქიზი ადამიანი ვარ, მის ცუდი სუნის მფრქვეველ, პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობითაც, საზოგადოებას ვერ ავიტან; როცა ჩემთან ლაპარაკობს, მინდება, ხელი ცხვირზე მოვიჭირო. გავიგე, ეს დაუღალავი მორბენალი garden-party-ს აწყობს, მე კი ამას დაბინძურებული წყლის მილებში გასეირნებას ვეძახი. – ნუთუ თქვენ წახვალთ? არ გეშინიათ რომ დაისვრებით?» – ჰკითხა ბარონმა მარკიზა დე სიურჟის, რომელმაც აღარ იცოდა, რა ექნა. უნდოდა, ბარონი დაერწმუნებინა, არც მე წავალო; მეორე მხრივ, ძალიან უნდოდა წვეულებაზე მისვლა, იქ რომ მოხვედრილიყო, თავისი ცხოვრების რამდენიმე დღეს შესწირავდა, ამიტომ პირდაპირ პასუხს თავი აარიდა, არც «არა» თქვა და არც «ჰო». პასუხი იმდენად მიკიბულ-მოკიბული, უგერგილო გამოუვიდა, რომ ბატონი დე შარლიუ, თუმცა მარკიზა დე სიურჟის მოხიბვლას ისევ ცდილობდა, მის წყენინებას არ მოერიდა და გადაიხარხარა, რითიც მიახვედრა, რომ «არაფერი გამოუვიდა».

«ყოველთვის მაოცებდნენ ის ადამიანები, წინასწარ რომ აწყობენ გეგმებს, – თქვა მან, – ჩემს გადაწყვეტილებას ხშირად უკანასკნელ წუთში ვაუქმებ. ყველაფერი შეიძლება შეიცვალოს, ვთქვათ, ზაფხულის კაბის გამო. წუთიერი შთაგონებით ვცხოვრობ».

აღშფოთებული დავრჩი ბატონი დე შარლიუს საზიზღარი გამოხდომებით. რაღაცით მინდოდა

გამებედნიერებინა garden-party-ს მომწყობი ქალი. საუბედუროდ, მაღალ საზოგადოებაში, ასევე პოლიტიკურ წრეებში მსხვერპლი იმდენად მშიშარაა, რომ შეუძლებელია, დიდხანს იყო ჯალათზე გაბრაზებული. ქალბატონმა დე სენტ-ევერტმა, თუმცა გზა გადაღობილი გვქონდა, მაინც მოახერხა და გააღწია, ახლოს რომ ჩაგვიარა, უნებურად ბარონს დაეჯახა და სნობისტური რეფლექსიც ამუშავდა, გაბოროტება უცბად გაუქრა, ალბათ, იმედიც მოეცა, რომ საუბარს გააბამდა, შეიძლება, მსგავსი რამ უწინაც გამოუყენებია და არაერთხელ, წამოიყვირა: «აჰ, მომიტევეთ, ბატონო ბარონო, იმედია, არაფერი გატკინეთ», – ისეთი ხმით თქვა, თითქოს მუხლმოყრილი ევედრებოდა პატიებას თავის პატრონს. დე შარლიუმ პასუხიც არ აღირსა, მხოლოდ ირონიული ხარხარი ატეხა, მერე ინება და გამოცრა: «საღამო მშვიდობისა», მარკიზასთვის ეს კიდევ ერთი შეურაცხყოფა იყო, რადგან ბარონმა ისეთი სახე მიიღო, თითქოს ეს მაშინღა შეამჩნია, როცა ქალი პირველი მდაბლად მიესალმა. ბოლოს ქალბატონი დე სენტ-ევერტი უფრო დიდ თავდამცირებაზე წავიდა, ისეთზე, მის მაგივრად მე შემრცხვა, გვერდით გამიყვანა და წამჩურჩულა: «რა დავუშავე ბატონ დე შარლიუს? მითხრეს, თავის შესაფერად არ მივაჩნივარ; ვითომდა საკმაოდ მოხდენილი არ ვიყო». – მითხრა და მთელი ხმით გადაიკისკისა. გაღიმებაც კი ვერ მოვახერხე. დიდი სისულელე მგონია, თავი ისე დაიჭირო, თითქოს დარწმუნებული ხარ და გინდა სხვებიც დაარწმუნო, რომ შენზე მომხიბლვლელი არავინ არის. აქ ყოველივე პირიქით იყო, ასეთი ადამიანები, საკუთარ სიტყვებზე ესოდენ უდარდელად რომ იცინიან, სასაცილოები არ არიან, ისინი ხომ კვერის დაკვრის მოვალეობისგან გვათავისუფლებენ, რადგან სიცილ-ხარხარის ატეხვის მოვალეობას საკუთარ თავზე იღებენ.

«სხვებისგან გამიგია, თითქოს იმიტომ არის ნაწყენი, რომ არ ვეძახი. არ მინდა, თავი მოვაბეზრო. ისეთი სახე აქვს, ეტყობა, მებუტება (გავიფიქრე, რომ ეს მეტისმეტად რბილად იყო ნათქვამი). ეცადეთ, გაიგოთ და ხვალ მითხარით. და, თუ მაინც სინდისი შეაწუხებს და სურვილს გამოთქვამს, თქვენთან ერთად მოვიდეს, მოიყვანეთ. მიუტევებელი ცოდვები არ არსებობს. მოხარულიც კი ვიქნები მისი მობრძანებით. ქალბატონი დე სიურჟის გაბრაზება მინდა. მოქმედების სრულ თავისუფლებას განიჭებთ. ასეთ საკითხებში კარგი ალღო გაქვთ. არ მინდა, ვინმემ იფიქროს, რომ სტუმრების გადმობირებას ვლამობ. მოკლედ, თქვენი იმედი მაქვს».

ვიფიქრე, სვანს, ალბათ, ჩემი ლოდინით ილაჯი გაუწყდამეთქი. თან დიდხანს აქ დარჩენაც აღარ მინდოდა, რადგან ალბერტინის გამო სახლში ადრე უნდა დავბრუნებულიყავი. ამიტომ ქალბატონ დე სიურჟისა და ბატონ დე შარლიუსთან დამშვიდობება ვიჩქარე და სათამაშო დარბაზში მყოფ ჩემს ავადმყოფს დავუბრუნდი. ვკითხე, ბაღში საუბრისას პრინცი ბერგოტის პიესაზე ხომ არ გელაპარაკათ-მეთქი, როგორც ეს ბატონმა დე ბრეოტემ ჩვენთან თქვა (ცხადია, მისი სახელი არ მიხსენებია); სვანმა გაიცინა: «ერთი სიტყვაც არ არის მართალი. თავიდან ბოლომდე მოგონილია,

ისიც – უნიჭოდ. თანაც ამ უცბად წარმოქმნილ ცრუ ხმებში რაღაც არის გაუგებარი. არ გეკითხებით, ვინ გითხრათ, მაგრამ ერთობ თავშესაქცევია ამ ვიწრო წრისთვის ნელ-ნელა თვალის დევნება, რადგან საინტერესოა, როგორ ყალიბდება ასეთი ცრუ ინფორმაცია. ერთი რამ ვერ გამიგია, ადამიანებისთვის ასე მნიშვნელოვანი რატომ არის, რა მითხრა პრინცმა?

მეტისმეტად ცნობისმოყვარენი არიან. თვითონ ცნობისმოყვარე არასოდეს ვყოფილვარ, გარდა იმისა, როცა შეყვარებული ვიყავი ან ეჭვიანი. აბა, ამან რა მომცა! თქვენ ეჭვიანი ხართ?» ვუპასუხე, რომ ეჭვიანობა არასოდეს განმიცდია და არც ვიცოდი, ეჭვი რა იყო. «მაშინ, გილოცავთ. როცა ადამიანი ოდნავ ეჭვიანობს, რაღაცით სასიამოვნოც კია; სასიამოვნოა ორი გაგებით: პირველი, ამის წყალობით ის ადამიანები, რომლებიც ცნობისმოყვარენი არ არიან, სხვების ცხოვრებით დაინტერესებას იწყებენ, უკიდურეს შემთხვევაში, ერთი რომელიმე ქალის ცხოვრებით მაინც. მეორე, ამის წყალობით, ასე თუ ისე ნათლად შეიგრძნობთ, რა სიხარულს განიჭებთ ფლობის სიამოვნება, როცა ქალთან ერთად ეტლში ჯდებით და მარტო არ ტოვებთ. მაგრამ ეს სასიამოვნოა მხოლოდ ავადმყოფობის დასაწყისში ან როცა სრული გამოჯანმრთელება იწყება. შუალედში კი იგი აუტანელი წამებაა. თუმცა უნდა გამოვტყდე, ის ორი სასიამოვნო შეგრძნებაც კი, მხედველობაში რომ მაქვს, თითქმის უცნობია ჩემთვის: პირველი – ჩემი ბუნების გამო, რომელსაც ხანგრძლივად დაფიქრების უნარი არა აქვს; მეორე – ქალებისგან ჩადენილი დანაშაულების გამო, იმ ქალებს ვგულისხმობ, რომლებზეც ვეჭვიანობდი. მაგრამ ეს არსებითი არ არის. როცა რაღაცას უკვე დიდ მნიშვნელობას აღარ ვანიჭებთ, ის ჩვენთვის ბოლომდე უმნიშვნელო მაინც არ ხდება, რადგან ადრე ჩვენთვის ერთობ ძვირფასი იყო. ამას სხვა ვერ გაიგებს. გარდასულ გრძნობათა მოგონებები მხოლოდ ჩვენ შიგნით არის და სხვაგან არსად; მოგონებები რომ დაგვიბრუნდეს, ჩვენ შიგნით უნდა შევიხედოთ. ჩემს იდეალისტურ ნათქვამზე არ დამცინოთ; უბრალოდ, მინდა ვთქვა, რომ ძალიან მიყვარს

სიცოცხლე და ძალიან მიყვარს ხელოვნება. მორჩა და გათავდა, ახლა ისე დავიღალე, რომ ადამიანებთან ცხოვრება ცოტა გამიჭირდება, ხოლო ჩემი ყოფილი გრძნობები, ჩემი და სხვა არავისი, ეს ყველასთვის დამახასიათებელია, ვინც კოლექციონერობაზე ჭკუას კარგავს... საკუთარ თავს ჩემს გულს ისე ვუხსნი, როგორც ვიტრინას ხსნიან ხოლმე ერთიმეორის მიყოლებით, სათითაოდ ვათვალიერებ ჩემს სანუკვართ, რომლებსაც ჩემ გარდა ვერავინ იცნობს. და აი, ამ კოლექციაზე, ჩემთვის ახლა ყველაფერზე ძვირფასი რომ გახდა, საკუთარ თავს ვეუბნები, ისე, როგორც მაზარინი[88] თავის წიგნებზე, თუმცა მცირედი სევდის გარეშე, რომ მასთან განშორება უსიამოვნოდ დამრჩება. ახლა პრინცთან საუბარზე გადავიდეთ. ამას მხოლოდ ერთ ადამიანს ვუამბობ და ეს ადამიანი თქვენ ხართ». სვანის მოსმენას სათამაშო დარბაზში დაბრუნებული ბატონი დე შარლიუს დაუსრულებელი ყბედობა მიშლიდა. «თქვენც კითხულობთ წიგნებს? რას საქმიანობთ?» – ჰკითხა გრაფ არნიულფს, რომელსაც ბალზაკის სახელი არც კი გაეგო; და, რადგან ახლომხედველი

იყო და ყველაფერს ერთობ შემცირებულ ზომებში ხედავდა, ისე ჩანდა, თითქოს ძალიან შორსმჭვრეტელიაო, და იშვიათი პოეტურობა, ხანდახან ბერძნული ღმერთის სკულპტურაზე რომ შეიმჩნეოდა, მისი თვალის გუგებში შორეული იდუმალი ვარსკვლავებივით იხატებოდა.

«ბაღში ხომ არ გავიდეთ, ბატონო», – ვკითხე სვანს და ამ დროს გრაფ არნიულფის ენამოჩლექილი – მეტყველების ეს ნაკლი თითქოს მის განუვითარებლობას მიანიშნებდა, ყოველ

შემთხვევაში გონებრივს მაინც – პასუხი შემომესმა, ლაპარაკის მოყვარული ადამიანის გულუბრყვილო სიზუსტით რომ თქვა: «ო, არა. უფრო მეტად გოლფი, ტენისი, ბურთი, ფეხით სიარული, განსაკუთრებით კი პოლო მაინტერესებს». ორად გაყოფილმა მინერვამ[89] ზოგიერთ ქალაქში სიბრძნის ქალღმერთად ყოფნა შეწყვიტა და ნაწილი მისი, სუფთა სპორტული, ცხენოსანთა ღვთაებად – «ათენა ჰიპიად» იქცა. «აა!» – იმ ლმობიერი ადამიანის ღიმილით უპასუხა ბატონმა დე შარლიუმ, ვინც გონებრივი შრომით არის დაკავებული; ადამიანისა, რომელიც საჭიროდ არ მიიჩნევს, დაფაროს, როგორ დაცინის სხვებს, რადგან ფიქრობს, რომ ყველაზე მაღლა დგას; არც ისე სულელები სძულს; მთლად სულელებსა და არც ისე სულელებს ერთმანეთისგან არ განასხვავებს და, თუ განასხვავებს, მხოლოდ მაშინ, როცა სხვა თვალსაზრისით ხდებიან მისთვის საინტერესონი. დე შარლიუს ეგონა, რაკი არნიულფთან საუბრობდა, ამით მას სხვებზე აღმატებულს ხდიდა, რასაც იმ სხვებში შური უნდა გამოეწვია და არნიულფის უპირატესობა ყველას უნდა ეღიარებინა. «არა, – მიპასუხა სვანმა, – დავიღალე და სიარული გამიჭირდება. უკეთესია, სადმე კუთხეში დავსხდეთ. ფეხზე ძლივს ვდგავარ». სიმართლეს ამბობდა, მაგრამ, ლაპარაკი დაიწყო თუ არა, ოდნავ გამოცოცხლდა. საქმე ის გახლავთ, რომ ნამდვილი დაღლილობა, განსაკუთრებით ნერვულ ადამიანებში, ნაწილობრივ იმაზეა დამოკიდებული, შთანთქა თუ არა მათი ყურადღება დაღლილობამ და ახსოვთ თუ არა დაქანცულობა. ადამიანი უცბად იღლება, როგორც კი დაღლილობის შიში შეეპარება, რომ გახალისდეს, საკმარისია, დაღლილობა დაივიწყოს. ცხადია, სვანი დაუძლურებულთა ჯიშს

ბოლომდე არ მიეკუთვნებოდა; დაუცხრომელი ადამიანები, რომლებიც სადღაც სრულიად დაქანცული, გაფითრებული მივიდნენ და დაღლილობისგან ფეხზე ძლივს დგანან, საუბრისას ისე გამოცოცხლდებიან ხოლმე, როგორც წყალში ჩაწყობილი ყვავილები; ასეთ ადამიანებს საათობით შეუძლიათ, თავიანთი სიტყვებიდან ხაპონ ძალები, მაგრამ, სამწუხაროდ, უნარი არა აქვთ, მხნეობა მიანიჭონ მსმენელებს, პირიქით, რაც უფრო ძლიერად აქვთ განვითარებული აღმასვლის უნარი, მით შესამჩნევია მსმენელში მათი დაცემა. სამაგიეროდ, სვანი იმ მძლავრი ებრაული ტომის შვილი იყო, ვისი სასიცოცხლო ენერგია, სიკვდილისადმი წინააღმდეგობის უნარი მის ზოგიერთ წარმომადგენელს გადაეცემა. მთელი ტომის საერთო ავადმყოფობა დევნაა, ცალკეულის კი სხვადასხვა დაავადება, აგონიისგან დატანჯულებს დაუსრულებელი კრუნჩხვები აწამებთ, რაც შეიძლება დიდხანს

გაგრძელდეს; ტანჯულის მხოლოდ წვერი ჩანს, წინასწარმეტყველის წვერს რომ მიუგავს, მის ზევით გაფართოებულნესტოებიანი უზარმაზარი ცხვირი ჰკიდია, უკანასკნელად რომ ისრუტავს ჰაერს; მერე, წეს-ჩვეულების შესაფერისად, ლოცვები ისმის, რის შემდეგაც ნათესავ-ახლობლების მსვლელობა იწყება, მექანიკურად რომ მოძრაობენ, ზუსტად ისე, ერთ ასირიულ ფრიზზე რომ არის გამოსახული.

წავედით და დავსხედით, მაგრამ, ვიდრე იმ ჯგუფს დავშორდებოდით, ბატონი დე შარლიუს, ორი ახალგაზრდა კაცისა და მათი დედისგან რომ შედგებოდა, სვანმა თავი ვეღარ შეიკავა და ავხორცული, ჟინიანი, საქმის მცოდნის თვალით დიდხანს ათვალიერა ქალის სხეული. უკეთ

რომ დაენახა, მონოკლიც გამოიყენა, მერე, ჩემთან ლაპარაკისას, დროდადრო ისევ გახედავდა ხოლმე. «ახლა სიტყვასიტყვით გადმოგცემთ, – დაიწყო სვანმა, როცა ჩამოვსხედით, – პრინცთან ჩემს საუბარს და, თუ ოდესმე გაიხსენებთ, რასაც ახლა გეტყვით, მიხვდებით, რატომ გადავწყვიტე, თქვენთვის გამენდო იგი. კიდევ არის ერთი მიზეზი, რომელსაც ერთ მშვენიერ დღეს გაიგებთ. «ძვირფასო სვან, – მითხრა პრინცმა დე გერმანტმა, – უნდა მომიტევოთ, თუ ერთი პერიოდი გეჩვენებოდათ, თითქოს თავს გარიდებდით (არც შემიმჩნევია, რადგან ავად ვარ და თავადვე გავურბივარ ადამიანებს). ჯერ ერთი, სხვებისგან გავიგე, თავადაც ვხვდებოდი, რომ თქვენი შეხედულებები იმ ავადსახსენებელ საქმეზე, რომელმაც ქვეყანა ორად გაყო, სრულიად ეწინააღმდეგებოდა ჩემსას. და ჩემთვის მეტისმეტად მძიმე იქნებოდა, თუ ამის თაობაზე პირდაპირ გამომიცხადებდით. ამ საკითხმა ძალიან გამაღიზიანა; ორი წლის წინათ პრინცესას მისმა სიძემ, დიდმა ჰერცოგმა დე ჰესემ უთხრა, დრეიფუსი დამნაშავე არ არისო, პრინცესა, ცხადია, გაცეცხლდა, ჩემს გაღიზიანებას მოერიდა და არაფერი მითხრა. თითქმის იმავე ხანებში პარიზში შვედეთის სამეფოს მემკვიდრე პრინცი იმყოფებოდა; როგორც ჩანს, ვიღაცისგან გაიგო, რომ იმპერატრიცა ევგენია[90] დრეიფუსარია. მას კი იგი პრინცესაში აერია (დამეთანხმეთ, რომ ძალიან უცნაურია, როგორ შეიძლება აგერიოს ჩემი ცოლი, რომელიც უმაღლეს დიდგვაროვანთა წრეს მიეკუთვნება, ვიღაც ესპანელში, რომელიც შთამომავლობით იმაზე დაბლა დგას, ვიდრე ფიქრობენ, და რომელიც ცოლად გაჰყვა ვინმე ნაპოლეონს) და უთხრა: «პრინცესა, თქვენი ნახვა ორმაგად გამიხარდა, რადგან ვიცი, რომ დრეიფუსის საქმეზე ისეთივე შეხედულებები გაქვთ,

როგორიც მე. ეს არც მიკვირს, რადგან «თქვენი ბრწყინვალება ბავარიელია. რაზეც პრინცესამ უპასუხა: თქვენო უდიდებულესობავ, ახლა მხოლოდ ფრანგთა პრინცესა ვარ და სხვა არავინ. ისევე ვფიქრობ, როგორც ჩემი თანამემამულენი». აი, რა ხდება, ჩემო ძვირფასო სვან, წელიწად-ნახევრის წინათ, გენერალ დე ბოსერფეისთან საუბრის შემდეგ, უკვე ეჭვი შემეპარა, რომ სასამართლო განხილვის მსვლელობისას არა მხოლოდ უბრალოდ შეცდომა დაუშვეს, არამედ კანონის უხეშ დარღვევასაც ჰქონდა ადგილი».

საუბარი ბატონ დე შარლიუს ხმამ შეგვაწყვეტინა (სვანს არ სურდა, მისი ნაამბობი ვინმეს გაეგო), რომელიც (ისიც უნდა ვთქვათ, ჩვენთვის ყურადღება არ მოუქცევია) ქალბატონ და სიურჟის მოაცილებდა და ჩვენს სიახლოვეს უცბად შეჩერდა, რათა ერთხანს კიდევ დაეყოვნებინა ქალი, იქნებ, მისი შვილების გამოც ანდა გერმანტებისთვის დამახასიათებელი იმ სურვილით, მოცემული წამის დასასრული გაეჭიანურებინა, რომელიც მათ რაღაც შემაშფოთებელი უძრაობის ნაღველის წიაღში ითრევდა. ცოტა მოგვიანებით სვანმა ამ გვარის შესახებ რაღაც წვრილმანები მიამბო, რამაც სიურჟი-ლე-დიუკების გვარს მთელი ის პოეზია ჩამოაშორა, რომლითაც მე შევმოსე. მარკიზა დე სიურჟი-ლე-დიუკი საზოგადოებრივი მდგომარეობითა და ნაცნობობის წრითაც ბევრად აღემატებოდა თავის ბიძაშვილ გრაფ დე სიურჟის, რომელიც უკვე გაღარიბებული იყო და თავის მამულში ცხოვრობდა. მაგრამ მარკიზას გვარის დაბოლოება «ლე დიუკი» სულაც არ ატარებდა იმ მნიშვნელობას, მე რომ მივანიჭე და

ბურ-ლ’აბეს, ბუა-ლე-რუას და სხვა გვარეულობების გვერდით მივუჩინე ადგილი. არადა, სულ უბრალოდ ყოფილა საქმე, ერთ-ერთმა გრაფ დე სიურჟიმ, რომელიც თავადაც ქიმიური ქარხნის პატრონის ვაჟი იყო, თავისი დროის უმდიდრესი კაცი, და რომელმაც საფრანგეთის პერის წოდებაც კი მიიღო, რესტავრაციის ეპოქაში მდიდარი მეწარმის, გვარად ლედიუკის თუ ლე დიუკის ქალიშვილზე იქორწინა. მეფე შარლ X-მ ამ ქორწინებიდან დაბადებული ბავშვისთვის სიურჟი-ლე-დიუკის მარკიზატი შექმნა, რადგან დე სიურჟების მარკიზატი ამ გვარში უკვე არსებობდა. ამ შტოსთვის ბურჟუაზიული გვარის მიერთებას ხელი არ შეუშლია, უზარმაზარი სიმდიდრის წყალობით, სამეფოს ყველაზე წარჩინებულ ოჯახებს დანათესავებოდა, და ახლანდელი მარკიზა დე სიურჟი-ლე-დიუკი იმდენად კეთილშობილური წარმოშობისა ბრძანდებოდა, შეეძლო, საზოგადოების პირველი სიდიდის ვარსკვლავი გამხდარიყო, მაგრამ ეშმაკს არ სძინავს, მისგან წაქეზებულმა მარკიზამ მემკვიდრეობით მიღებული ბრწყინვალე მდგომარეობა არად ჩააგდო, ქმარს გაექცა და თავაშვებული ცხოვრების მორევში გადაეშვა. ოცი წლის ასაკში, როცა მთელი მაღალი საზოგადოება მის ფერხთით იყო გართხმული, ყველაფერი მიატოვა, ოცდაათი წლისას კი – ათი წლის განმავლობაში, ორიოდე ერთგული მეგობრის გარდა, არავინ ესალმებოდა – სასოწარკვეთა მოერია, თავისი საზოგადოება მოენატრა და გადაწყვიტა, ძალ-ღონე არ დაეშურებინა, ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ ისევ დაეპყრო ის, რისი მფლობელიც დაბადებიდანვე იყო (გაქცევისა და დაბრუნების შემთხვევები იშვიათი არ არის).

თავის დიდბატონ ნათესავებთან, რომლებზეც ერთ დროს უარი თქვა და რომლებმაც ერთ დროს მასზე უარი თქვეს, თავი იმ სიხარულის განცდით იმართლა, ძველი ურთიერთობის აღდგენამ რომ მოუტანა, რადგან მათთან ბავშვობის მოგონებები აკავშირებდა და ახლა შესაძლებლობა მიეცა, ისევ ერთად გაეხსენებინათ იგი. ამას თავისი სნობიზმის დასაფარად ამბობდა, თორემ, გაუცნობიერებლად, ნაკლებად ცრუობდა და ჭეშმარიტებისგან არცთუ შორს იდგა. «ბაზენი, ეს ხომ მთელი ჩემი

ახალგაზრდობაა!» – წამოიძახა იმ დღეს, როდესაც იგი დაუბრუნდა. და მართლაც, ამაში ცოტა სიმართლე იყო, მაგრამ კარგად ვერ გათვალა, როცა იგი საყვარლად აირჩია, რადგან ჰერცოგინია დე გერმანტის ყველა მეგობარმა ჰერცოგინიას მხარე დაიჭირა და ქალბატონი დე სიურჟი, უკვე მეორედ, ისევ იმ დაღმართზე დაეშვა, საიდანაც თავის დაღწევა ასე გაუჭირდა. «დიახ, კეთილი და პატიოსანი! – გააგრძელა ბატონმა დე შარლიუმ, რომელსაც საუბრის შეწყვეტა აშკარად არ უნდოდა. – ჩემი უღრმესი პატივისცემა დაუდასტურეთ თქვენს მშვენიერ პორტრეტს. როგორ არის? როგორ გამოიყურება?». «ხომ იცით, – მიუგო ქალბატონმა დე სიურჟიმ, – მე აღარა მაქვს, ჩემს ქმარს არ მოეწონა». «არ მოეწონა? არ მოეწონა ჩვენი დროის ერთ-ერთი შედევრი, რაც შეიძლება მხოლოდ ნატიეს[91] ჰერცოგინია დე შატორუს[92] შევადაროთ, რომელმაც, სიტყვამ მოიტანა და უნდა ვთქვა, ასე დიდებული და სიკვდილის მატარებელი ქალღმერთის ნაკვთები აღბეჭდა? ოჰ, ეს პატარა ცისფერი საყელო! თვით ვერმეერმაც კი ვერ დაჯაბნა თქვენი პორტრეტის ავტორის ოსტატობის ტექნიკა, როცა «მატერიას» ხატავდა. ოღონდ ხმადაბლა ვილაპარაკოთ, სვანმა არ გაგვიგოს, თორემ თავისი

საყვარელი დელფელი მხატვრის შეურაცხყოფისთვის ჩვენზე ჯავრს იყრის». მარკიზა შემობრუნდა და ღიმილით გაუწოდა ხელი სვანს, რომელიც ადგა, რათა ქალბატონს მისალმებოდა. და უკვე ფარულად კი არა – ალბათ, იმიტომ, ასაკის მომატებასთან ერთად ფარულად თითქმის აღარაფერს აკეთებდა, იქნებ, იმიტომაც, რომ ძლიერი ნების კაცი იყო ან საზოგადოებრივ აზრს გულგრილად უყურებდა, ანდა, იქნებ, ამაში რაღაც მგრძნობიარე იდო, რამაც სურვილით აღაგზნო, ხოლო ზამბარები კი, სურვილს რომ უოკებდა, დაუსუსტდა – მარკიზას ხელი თავის ხელში დააყოვნა, ზევიდან დაჰყურებდა, ახლოდან დახედა მის მკერდს და ყოვლისმცოდნე, მკაცრი, ფიქრიანი, თითქმის მზრუნველი თვალი კორსაჟში ჩაუცურა, ხოლო ნესტოები, სიამოვნებით რომ შეისუნთქა სუნამოს სურნელი, ისე აუთრთოლდა, როგორც პეპელას ფრთები ყვავილზე დაშვებისას. ამ თრობამ უმალ გაუარა, მაგრამ მარკიზამ, ოდნავ შეცბუნებულმა, თუმც მალვით, მაინც ღრმად ამოიოხრა, იმდენად გადამდებია ზოგჯერ სურვილი. «მხატვარი განაწყენდა და პორტრეტი წაიღო, – უპასუხა ბარონს, – გავიგე, ახლა დიანა დე სენტ-ევერტს ჰქონია». «ამას კი ვერასოდეს ვიფიქრებდი, – შენიშნა ბარონმა, – რომ შედევრს ასეთი ცუდი გემოვნება ექნებოდა».

«საკუთარ პორტრეტზე ელაპარაკება. მაგრამ მასზე მე უფრო მეტის თქმა შემიძლია, ვიდრე შარლიუს, – დამცინავი ტონით, მკვეთრი ტონით ალაპარაკდა სვანი, თან მიმავალ წყვილს თვალი გააყოლა. – და, ცხადია, ეს მე უფრო მეტ სიამოვნებას მომანიჭებდა, ვიდრე შარლიუს», –

დაუმატა. ვკითხე, რასაც ბატონ დე შარლიუზე ლაპარაკობენ, თუ გჯერათ-მეთქი; ჩემი შეკითხვა ორმაგ სიცრუეს მოიცავდა: ჯერ ერთი, მსგავსი რამ მასზე არასოდეს გამიგია, სამაგიეროდ, ამასწინდელი სინამდვილიდან გამომდინარე, მშვენივრად ვიცოდი, რასაც ვამბობდი. «საქმე ის გახლავთ, რომ საუკეთესო მეგობარია, მაგრამ ესეც უნდა ვთქვა, ჩვენი მეგობრული გრძნობა სუფთა პოლიტიკურ ხასიათს ატარებს.

სხვებზე უფრო სანტიმენტალურია, მორჩა და გათავდა; ქალებთან ერთიერთობაში შორს არასოდეს შეტოპავს, ეს უაზრო მითქმა-მოთქმაც, ალბათ, აქედან მოდის; რაც ახლა მითხარით, ვიღაც-ვიღაცები ამას, როგორც ჩანს, მნიშვნელობას ანიჭებენ. შარლიუს შეიძლება მეგობრები ძალიან უყვარდეს, მაგრამ, მერწმუნეთ, ეს სიყვარული მისი თავისა და გულის საზღვრებს არ სცილდება. ახლა კი, მგონი, ბოლოს და ბოლოს, თუნდ ორიოდე წუთით, მშვიდად შევძლებთ დალაპარაკებას. მერე პრინცმა დე გერმანტმა ასეთი რამ მითხრა: «გამოგიტყდებით, იმაზე ფიქრმა, რომ შეიძლება სასამართლო ძიებისას უკანონობა მოხდა, უკიდურესად შემაწუხა, რადგან, როგორც თქვენთვის ცნობილია, მე არმიის მხარეს ვარ. კიდევ ერთხელ ველაპარაკე გენერალს, საუბედუროდ, ამ საუბარმა ჩემს ჭოჭმანს ბოლო მოუღო. გულწრფელად გეტყვით, უდანაშაულო ადამიანი სასჯელთა შორის ყველაზე სამარცხვინო სასჯელით თუ დაისჯებოდა, ეს საერთოდ არ მაღელვებდა. მაგრამ უკანონობაზე ფიქრით შეწუხებულმა იმის შესწავლა დავიწყე, რასაც ადრე თავს ვარიდებდი, და ამ დროს ეჭვმაც შემიპყრო, ახლა უკვე არა კანონიერებაზე, არამედ ბრალეულობაზე, და მოსვენება დავკარგე. გადავწყვიტე, პრინცესასთვის არაფერი მეთქვა. ღმერთი ხომ ხედავს: იგი ისეთივე ფრანგი

გახდა, როგორიც მე ვარ. მისი ცოლად მოყვანის დღიდან ცდა არ დამიკლია, ჩვენი საფრანგეთი მისთვის მთელი თავისი სიდიადით დამენახვებინა, ხოლო საფრანგეთმა, ჩემი აზრით, ყველაზე მეტად რითი უნდა იამაყოს – ცხადია, არმიით, ამიტომ ჩემთვის ძალიან მძიმე ასატანი იქნებოდა პრინცესასთვის ჩემი ეჭვის გაზიარება, მით უმეტეს, რომ ის მხოლოდ რამდენიმე ოფიცერს ეხებოდა. მე ხომ სამხედროთა ოჯახიდან ვარ და არ მსურდა დამეჯერებინა, რომ ეს ოფიცრები შეცდნენ. კიდევ ველაპარაკე ბოსერფეის; მან მითხრა, რომ დანაშაულებრივი მაქინაცია აშკარაა, თუმცა ბორდერო[93] შეიძლება დრეიფუსის მიერ არც იყოს შედგენილი, მაგრამ მისი დანაშაულებრივი საქმიანობის უდავო საბუთები არსებობსო. ეს «ანრის[94] საბუთი» გახლდათ. რამდენიმე დღის შემდეგ კი ირკვევა, რომ საბუთი ყალბი გამოდგა. ამის შემდეგ პრინცესასგან ფარულად ყოველდღე «სიეკლსა» და «ორორს» ვკითხულობდი. მალე ყველა ეჭვი გამიქრა და ძილიც დავკარგე. ჩემი სულიერი განცდები ჩვენს მეგობარ აბატ პუარეს გავუმხილე, ჩემდა გასაოცრად, აღმოჩნდა, რომ მასაც იგივე აზრი ჰქონდა, მაშინ ვთხოვე, დრეიფუსის, მისი უბედური ცოლისა და შვილების სახელზე პარაკლისი გადაეხადა. დრო გავიდა და ერთ დილას პრინცესასთან მივდივარ, გზად მისი მოახლე შემხვდა, ჩემს დანახვაზე რაღაც დამალა – ის, რაც ხელში ჰქონდა; სიცილით ვკითხე, რა არის-მეთქი, გაწითლდა, მაგრამ სიტყვა არ უთქვამს. აქამდე ჩემი მეუღლის უსაზღვროდ მჯეროდა, ამ შემთხვევამ კი უკიდურესად დამაბნია, ცხადია, მოახლემ ჩვენი შეხვედრის შესახებ პრინცესას ყველაფერი უამბო, რადგან საუზმის დროს ჩემი ძვირფასი მარი გამუდმებით დუმდა. იმავე დღეს აბატ

პუარეს ვკითხე, ხვალ დრეიფუსის სახელზე პარაკლისს თუ გადაიხდი-მეთქი... ისევ...» – ლაპარაკი შეწყვიტა და ჩურჩულით თქვა სვანმა. თავი ავწიე და ჩვენკენ

მომავალი ჰერცოგი დე გერმანტი დავინახე. «მომიტევეთ, შვილნო ჩემნო, ხელი თუ შეგიშალეთ. ჩემო პატარავ, – მე მომმართავდა. – თქვენთან ორიანმა გამომგზავნა. მარიმ და ჟილბერმა ვახშამზე დარჩენა გვთხოვეს, სადაც მხოლოდ ხუთი თუ ექვსი კაცი იქნება: პრინცესა და ჰესე, ქალბატონი დე ლინი, ქალბატონი დე ტარანტი, ქალბატონი დე შევრეზი, ჰერცოგინია დ'არანბერი. სამწუხაროდ, დარჩენა არ შეგვიძლია, რადგან ერთ პატარა კოსტიუმირებულ მეჯლისზე მივდივართ». ყურადღებით მოვუსმინე ჰერცოგს, მაგრამ ყოველთვის, როცა რაღაც მომენტში ასე თუ ისე მოქცევა გვჭირდება, ვიღაცას ვავალებთ, ვინც უკვე მიჩვეულია მსგავსი მოვალეობის შესრულებას, თვალი ადევნოს საათს და საჭირო დროის დადგომა დროულად შეგვატყობინოს. ამ ჩემმა შინაგანმა მსახურმა შემახსენა ის, რაც რამდენიმე საათის წინ ვთხოვე: ალბერტინი, რომლისგანაც ამ წუთში ჩემი აზრები შორს იყო, სპექტაკლის დამთავრების შემდეგ ჩემთან უნდა მოსულიყო, ამიტომ ვახშამზე უარი ვთქვი და, არა იმიტომ, რომ პრინცესა დე გერმანტთან ვერ ვისიამოვნებდი. ადამიანს შეუძლია სიამოვნება ბევრი რამისგან მიიღოს. ჭეშმარიტი სიამოვნება კი ის არის, რის გამოც იგი უარს ამბობს სხვა სიამოვნებაზე. ამ მეორე სიამოვნებამ, თუ იგი ირგვლივ მყოფთათვის შესამჩნევია, შეიძლება პირველი არასწორად გაგებული ნამდვილი სიამოვნება შეცვალოს, რაც ეჭვიანთა სიფხიზლეს მოადუნებს ან კვალს აურევს და მოატყუებს საზოგადოებრივ აზრს. ოღონდ ცოტა ბედნიერება ან ცოტა სულიერი ტკივილი

შემოგვთავაზეთ და ჭეშმარიტი სიამოვნებისთვის ყოველგვარ სიამოვნებას შეველევით. მესამე რიგის სიამოვნება უფრო ძნელად მისაღწევია, სამაგიეროდ, უფრო მნიშვნელოვანი, ზოგ შემთხვევაში არც კი ვიცით მისი არსებობა, მაგრამ თვითონვე მიგვანიშნებს, რომ გაჩნდა, ოღონდ მაშინ, როცა ჩვენში სინანულს, სულიერ დაცემას იწვევს. ერთი მაგალითი ავიღოთ: მშვიდობიანობის დროს სამხედრო მოსამსახურე სიყვარულს სწირავს მაღალ საზოგადოებაში ცხოვრების სიამოვნებას, მაგრამ, როგორც კი ომი ატყდება (აქ არამარტო პატრიოტულ გრძნობებთან გვაქვს საქმე), ის უკვე სიყვარულს გაიღებს მსხვერპლად უფრო დიდი ვნებისთვის, ბრძოლის ჟინისთვის. სვანი მიმტკიცებდა, მიხარია, ჩემს ამბავს რომ გიყვებიო, მაგრამ მე ხომ ვგრძნობდი, ჩვენმა საუბარმა გვიანი დროისა და საშინელი განწყობის გამო ისეთ ქანცგაწყვეტამდე მიიყვანა, რაც ადამიანთა იმ ნაწილს, ვინც იცის, გადაჭარბება და უძილო ღამეები მისთვის დამღუპველია, სახლში დაბრუნებისთანავე სასოწარკვეთაში აგდებს. ზუსტად ასევე იქცევა მფლანგველიც ფულის მორიგი განიავებისას, რაც ხელს არ უშლის, მეორე დღეს ფული ისევ ქარს გაატანოს. სისუსტის განსაზღვრულ სტადიაზე, ასაკით არის გამოწვეული იგი თუ ავადმყოფობით, ყოველგვარი სიამოვნება, რომელსაც ადამიანი ძილის ხარჯზე იღებს, მას ჩვეული ცხოვრების კალაპოტიდან აგდებს და რეჟიმის ყოველი დარღვევა უსიამოვნებას ბადებს. თანამოსაუბრე თავაზიანობის გამო ლაპარაკს აგრძელებს ან იმიტომ, რომ აღგზნებულია, კარგად იცის, დრო, როცა უნდა დაიძინოს, უკვე გასულია, ისიც იცის, რა მწარედ უსაყვედურებს საკუთარ თავს, როცა უძილობა და გადაღლილობა წამებად ექცევა. თუნდაც ეს

წუთიერი სიამოვნება გაქრეს, სხეული და გონება უკვე დაცარიელებულია და ადამიანს საუბრის გასაგრძელებლად, რომელიც მის თანამოსაუბრეს საინტერესოდ ეჩვენება, ძალა აღარ შესწევს. მისი სხეული და გონება სადმე გადასვლის ან გამგზავრების იმ დათქმული დღის ბინას ჰგავს, როცა სტუმრებთან ერთად ჩემოდნებზე ზიხარ და ფარულად დასცქერი საათს. «ძლივს მარტო დავრჩით, – მითხრა სვანმა, – უკვე აღარ მახსოვს, სად შევჩერდი. მგონი, გითხარით, რომ პრინცმა აბატ პუარეს ჰკითხა, დრეიფუსის სახელზე პარაკლისის გადახდა შეიძლებოდა თუ არა. – არა, – მითხრა აბატმა. – (სიტყვასიტყვით გეუბნებით პრინცის ნათქვამს, ამიტომაც ვიხმარე სიტყვა «მითხრა», ხომ ხვდებით, – განმიმარტა სვანმა), – რადგან ხვალ დილით სხვამ შემიკვეთა პარაკლისი, თანაც დრეიფუსის სახელზე. – როგორ, – ვკითხე მე, – სხვა კათოლიკეც მოიძებნება, ვინც ჩემსავით დარწმუნებულია, რომ მას ბრალი არ მიუძღვის? – როგორც ეტყობა. – მაგრამ დრეიფუსის ეს მომხრე, ალბათ, ჩემზე გვიან დარწმუნდა მის უდანაშაულობაში. – არა, მან პარაკლისი მაშინ შემიკვეთა, როცა დრეიფუსი თქვენ ისევ დამნაშავე გეგონათ. – ჩანს, ეს ვიღაცა ჩვენი წრიდან არ არის. – პირიქით. – მართლა? ჩვენ შორისაც არიან დრეიფუსარები? ცნობისმოყვარეობა აღმიძარით. ძალიან მინდა, ამ იშვიათ ფრინველს ვიცნობდე, რათა გული გადავუშალო. – თქვენ მას იცნობთ. – ვინ არის? – პრინცესა დე გერმანტი. ვიდრე მეშინოდა, ჩემი ძვირფასი მეუღლის ეროვნული და საფრანგეთისადმი მისი სიყვარულის გრძნობები არ შემელახა, ის თურმე შიშით ფიქრობდა, ჩემი რელიგიური მრწამსისთვის და პოლიტიკური შეხედულებებისთვის შეურაცხყოფა არ მიეყენებინა. არადა, ორივეს ერთნაირი აზრი გვქონდა,

ოღონდ ამ დასკვნამდე ის ჩემზე ადრე მივიდა. მოახლე კი, მის ოთახში ჩემი შესვლისას რაღაც რომ დამალა, თურმე ყოველდღე მისთვის ყიდულობდა «ორორს». ჩემო ძვირფასო სვან, ამის შემდეგ სულ იმაზე ვფიქრობდი, როგორ გაგიხარდებოდათ, როცა ჩემგან გაიგებდით, რომ ამ საკითხში უთანხმოება აღარ გვაქვს; მომიტევეთ, რომ ეს უფრო ადრე არ გითხარით. როგორც ახლა უკვე იცით, პრინცესასაც კი ვუმალავდი სიმართლეს, ამიტომ აღარ უნდა გაგიკვირდეთ, რომ აზრთა მსგავსებამ უფრო დაგვაშორა თქვენთან, ვიდრე სხვაობამ. ეს საქმე ჩემთვის უსაზღვროდ მძიმე იყო. რაც უფრო ნათელი ხდება ჩემთვის, რომ შეცდომა დაუშვეს, უფრო მეტიც, დანაშაულია ჩადენილი, მით მეტად მტკივა გული არმიაზე. მეგონა, ეს საკითხი საერთოდ არ გაშფოთებდით, მაგრამ ამას წინათ გავიგე, რომ აღშფოთებული ხართ იმ შეურაცხმყოფელი გამოხდომებით, არმიას რომ აყენებენ, აგრეთვე იმ დრეიფუსარებითაც, ვინც მის მაგინებლებს მიუერთდნენ. მაშინ გადავწყვიტე – გულწრფელად გეტყვით, ეს ჩემთვის მტკივნეული იყო – იმაში გამოგტყდომოდით, რასაც ზოგიერთ ოფიცერზე ვფიქრობდი; საბედნიეროდ, ეს ზოგიერთები ბევრნი არ არიან; ახლა შვებას ვგრძნობ, აღარ მჭირდება, თავი აგარიდოთ და, რაც მთავარია, უკვე იცით, რომ, როგორც უნდა ვყოფილიყავი განწყობილი, განაჩენის სამართლიანობაში ეჭვიც არ მეპარებოდა. მას შემდეგ, რაც ეჭვი გაჩნდა, მხოლოდ ერთი რამ მსურდა – შეცდომა გამოსწორებულიყო». უნდა გითხრათ, რომ პრინც დე გერმანტის აღსარებამ ძალიან ამაღელვა. თქვენ რომ მას ისე კარგად იცნობდეთ,

როგორც მე ვიცნობ, მიხვდებოდით, რა ძვირი დაუჯდა ჩვენს მხარეზე გადმოსვლა, თავს მდაბლად დაუხრიდით...

ეს თაყვანისცემად ნამდვილად ღირს. თუმცა მისი ასეთი ხედვა არ მაოცებს, იგი ხომ საოცრად პატიოსანი ადამიანია!» სვანს უკვე დაავიწყდა, რომ დღეს შუადღისას მიმტკიცებდა, დრეიფუსის საქმეს საფუძვლად ატავიზმი უდევსო. ერთადერთ გამონაკლისს მხოლოდ ჭკვიანი ადამიანებისთვის უშვებდა, როგორიც, მაგალითად, სენ-ლუ იყო; რადგან სენ-ლუში ზუსტად გონებამ გაიმარჯვა ატავიზმზე, რისი წყალობითაც იგი დრეიფუსარი გახდა. ოღონდ ეს გამარჯვება ხანგრძლივი როდი გამოდგა, სენ-ლუ მალე სხვა ბანაკში გადავიდა. და ის როლი, რომელიც თავის დროზე სვანმა გონებას მისცა, ახლა პატიოსნებას მიანიჭა. გასაოცარი არაფერია, რადგან ყოველთვის მეტისმეტად გვიან ვადგენთ იმის მიზეზს, რატომ ემხრობიან ადამიანები ჩვენდამი მტრულად განწყობილ პარტიებს, მეტისმეტად გვიან მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ საქმე იმას კი არ ეხება, რამდენად მართალია ესა თუ ის პარტია, არამედ იმას, თუ რამდენად იზიდავს ჩვენი მხარე ჩვენი თანამოაზრეების გონებასა და თანდაყოლილ პატიოსნებას.

ახლა სვანი ყველას, ვინც მის საზრისზე იდგა, ჭკვიან ადამიანად მიიჩნევდა: თავის ძველ მეგობარ პრინც დე გერმანტსაც და ჩემს მეგობარ ბლოკსაც; გამუდმებით ცდილობდა ხოლმე, ბლოკისგან თავი შორს დაეჭირა, ახლა კი საუზმეზეც მიიწვია. ბლოკი ძალიან დაინტერესდა, როცა სვანისგან გაიგო, რომ პრინცი დე გერმანტი დრეიფუსარი გახდა: «უნდა ვთხოვოთ, პიკარის[95] საქმის წინააღმდეგ ჩვენს პროტესტს მოაწეროს ხელი. მისი სახელი გასაოცარ

შთაბეჭდილებას მოახდენს». ოღონდ ებრაული მგზნებარება, ბოლომდე ეერთგულა თავისი მრწამსისთვის, სვანში მაღალი საზოგადოების წევრის თავშეკავებას უთავსდებოდა; ეს უკვე ჩვეულება გახლდათ, ისე ჩანერგილი მასში, რომ ახლა მისგან გათავისუფლება უკვე გვიანი იყო, და ბლოკს გადაათქმევინა პრინცისთვის ხელმოსაწერად ქაღალდის გაგზავნა. «არ მოაწერს; შეუძლებელი არავის არ უნდა მოსთხოვო, – ამტკიცებდა სვანი, – იგი არაჩვეულებრივი კაცია; ჩვენამდე რომ მოსულიყო, დიდი გზა გამოიარა. შეიძლება ძალიან გამოგვადგეს. მაგრამ, თქვენს პროტესტს ხელს თუ მოაწერს, თავის წრეში სახელს გაიტეხს. ჩვენ გამო დაზარალდება, ინანებს და გულახდილიც აღარ იქნება». ეს კიდევ არაფერი, თვითონაც უარი თქვა ხელის მოწერაზე. მეტისმეტად ებრაული ჟღერადობის გვარი მაქვს და შეიძლება არასასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინოსო. მერე საქმის გადახედვისთვის კი იბრძოდა, მაგრამ არ სურდა, მასზე ეფიქრათ, რომ რაღაც ზომით ანტიმილიტარისტული კამპანიის თანამონაწილე იყო. აქამდე არასოდეს უტარებია ორდენი, რომელიც 70-იან წლებში სრულიად ახალგაზრდამ მიიღო, როცა ეროვნულ გვარდიაში მსახურობდა, თავის ანდერძშიც დამატება გააკეთებინა, მოითხოვა, როგორც საპატიო ლეგიონის ორდენის კავალერი, სამხედრო პატივით დაეკრძალათ. აი, რატომ იყო, რომ მერე კომბრეს ეკლესიასთან იმ კავალერისტების მთელი ესკადრონი შეიკრიბა, რომელთა ხვედრიც ოდესღაც წინასწარ დაიტირა ფრანსუაზმა,

რადგან ფიქრობდა, პერსპექტივაში, ალბათ, ომი დაიწყებაო. მოკლედ, სვანმა ბლოკის პროტესტზე ხელმოწერაზე უარი თქვა, თუმცა ბევრი ფიქრობდა, თავგამოდებული დრეიფუსარიაო, ჩემი მეგობარი კი ზომიერად მიიჩნევდა, ამბობდა ნაციონალიზმით არის დაავადებულიო და ორდენებზე მონადირეს ეძახდა.

წასვლისას ხელი არ ჩამომართვა, რათა არც სხვებს დამშვიდობებოდა, ამ დარბაზში ხომ მისი უამრავი მეგობარი იყო შეკრებილი, მაგრამ ეს კი მითხრა: «თქვენი მეგობარი ჟილბერტი უნდა ნახოთ. ისე გაიზარდა, ისე შეიცვალა, ვეღარ იცნობთ. ძალიან, ძალიან გაუხარდება!» ჟილბერტი გულიდან ამოვიღე. ახლა იგი ჩემთვის იმ მიცვალებულს ჰგავდა, რომელსაც დიდხანს დასტიროდნენ, მერე კი დაივიწყეს და რომელიც, მკვდრეთით რომ აღმდგარიყო, ამ ცხოვრებასთან შეზრდას ვეღარ შეძლებდა, რადგან ეს ახალი ცხოვრება მისთვის უცხო იყო. მისი ნახვა აღარ მინდოდა, არც ის მინდოდა, მიმხვდარიყო, რომ მისი ნახვის სურვილი აღარ მქონდა. მაშინ კი, როცა მიყვარდა, საკუთარ თავს ყოველდღე სიტყვას ვაძლევდი, თუ გადავიყვარებ, აუცილებლად ვაგრძნობინებ-მეთქი.

მოკლედ, ახლა ჩემი ძალისხმევა იქით მივმართე, ჟილბერტს წარმოედგინა, თითქოს მთელი არსებით ვესწრაფოდი მასთან ურთიერთობის აღდგენას, მაგრამ ამას ხელს რაღაც გარემოება უშლიდა, რომელიც, როგორც ამბობენ, «ჩვენს სურვილზე არ არის დამოკიდებული», სინამდვილეში ეს გარემოებები გარკვეული თანმიმდევრობით ასე ეწყობა და არა სხვანაირად, ზუსტად იმიტომ, რომ ჩვენი სურვილი არ ეწინააღმდეგება; სვანის მიწვევას მკვირცხლად გამოვეხმაურე და მხოლოდ მას შემდეგ დავშორდი, რაც სიტყვა ჩამოვართვი, ქალიშვილისთვის დაწვრილებით აეხსნა, რა მიშლიდა ხელს მის ნახვაში და რომ რაღაც დროის განმავლობაში კიდევ შემიშლიდა. «თუმცა, როგორც კი სახლში მივალ, მაშინვე წერილს მივწერ, – დავუმატე, –

ოღონდ გააფრთხილეთ, მუქარის წერილი იქნება, რადგან ორიოდ თვის შემდეგ სრულიად თავისუფალი ვიქნები და ვაი მაგას: ისეთი ხშირი სტუმარი გავხდები, როგორიც ადრე ვიყავი».

წასვლამდე ჯანმრთელობის ამბავი ვკითხე. «არა მიშავს, – მიპასუხა მან. – უკვე გითხარით, ცხოვრებამ დამღალა და, რაც უნდა დამემართოს, ყველაფერს მშვიდად შევხვდები. ოღონდ, გულწრფელად თუ ვიტყვი, დრეიფუსის საქმის დამთავრებამდე სიკვდილი საწყენი იქნება. მთელი ეს საზიზღრობა მომწყინდა. ეჭვი არ მეპარება, ყველაფერი გამოსწორდება, მაგრამ ისინი ძლიერები არიან, ყველგან მხარდამჭერები ჰყავთ. თითქოს საშიში აღარაფერიაო და უცბად – ჯახ! და ყველაფერი წყალში იყრება. იქამდე მინდა ვიცოცხლო, როცა დრეიფუსს გაამართლებენ, პიკარი კი პოლკოვნიკი გახდება».

სვანის წასვლის შემდეგ დიდ დარბაზში დაბრუნებულმა პრინცესა დე გერმანტი დავინახე, ის, ვისთანაც, მაშინ ეს ჯერ კიდევ არ ვიცოდი, ბედი მჭიდრო მეგობრული ურთიერთობით დამაკავშირებს. ბატონი დე შარლიუთი მისი გატაცება უცბად არ

აღმომიჩენია. მხოლოდ იმას ვამჩნევდი, რომ რაღაც დროიდან ბარონი, რომელსაც პრინცესასადმი მტრული გრძნობა არასოდეს გამოუვლენია, რაც მისი მხრიდან გასაოცარი იყო, უწინდელზე მეტ სინაზესაც კი იჩენდა, მაგრამ, როცა მისი თანდასწრებით პრინცესაზე ჩამოვარდებოდა ლაპარაკი, უკმაყოფილებას ვერ მალავდა და ღიზიანდებოდა. პრინცესას სახელი უკვე აღარ იყო აღნიშნული იმ სიებში, ვისთან ერთადაც ვახშმობას ისურვებდა

. * * *

უფრო ადრე ერთმა ავყია დიდგვაროვანმა მითხრა: პრინცესა ძალიან შეიცვალა, დე შარლიუზეა შეყვარებულიო, ეს ჭორი აბსურდად მეჩვენა და აღვშფოთდი. ოღონდ, აი, რამ გამაოცა: შევამჩნიე, რომ, როცა ჩემს თავზე რამეს ვუყვებოდი და ბატონ დე შარლიუს ვახსენებდი, პრინცესას ყურადღება ისე ეძაბებოდა, როგორც იმ ავადმყოფს, რომელიც, ვიდრე ჩვენს თავზე ვლაპარაკობთ, დაბნეული, გულგრილი სახით გვიყურებს, თავისი ავადმყოფობის დასახელებას გაიგებს და მაშინვე დაინტერესდება, სიხარულით შეფრთხიალდება. მაგალითად, თუ ვიტყოდი: «სწორედ ბატონმა დე შარლიუმ მიამბო...» პრინცესა უმალვე ყურადღებას ამახვილებდა. ერთხელ მისი თანდასწრებით ვთქვი, ბატონ დე შარლიუს ვიღაც ქალბატონი მოსწონს-მეთქი, ჩემდა გასაკვირად, მის თვალებში რაღაც განსაკუთრებული შტრიხი გაკრთა, თითქოს ნაპრალი გაჩნდა იმ აზრის გავლენით, რომელიც ჩვენ, თავადაც რომ არ გვინდოდა, თანამოსაუბრეს სულში ჩავუწვეთეთ, – იდუმალი აზრი, სიტყვებით რომ არ გადმოიცემა და მხოლოდ ჩვენ მიერ შერხეული სიღრმეებიდან მოაწყდება გამოხედვის ზედაპირს, რის გამოც ეს გამოხედვა უეცრად იმღვრევა. მაგრამ ვერ მივხვდი, რითი ავაღელვე პრინცესა.

ცოტა მოგვიანებით თვითონვე დამიწყო ბატონ დე შარლიუზე ქარაგმების გარეშე ლაპარაკი. იმ უაზრო და სამარცხვინო მითქმა-მოთქმაზე გადამიკრა სიტყვა, ვიღაც-ვიღაცები რომ

ავრცელებდნენ ბარონზე. მაგრამ სხვა რამეც თქვა: «ასე მგონია, ქალს, რომელიც ისეთ დიდ ადამიანს შეიყვარებს, როგორიც პალამედია, ფართო შეხედულებები უნდა ჰქონდეს, მთლიანად მისი ერთგული უნდა იყოს, ყველაფერში რომ გაუგოს, ისეთი მიიღოს, როგორიც არის, მთელი მისი უცნაურობებით, რათა მის თავისუფლებას ჩასწვდეს და მხოლოდ იმაზე იფიქროს, როგორ შეუმსუბუქოს ცხოვრება, როგორ დაუამოს ტკივილი». აი, ამ სიტყვებში, მართალია, ერთობ ბუნდოვანში, მჟღავნდება პრინცესა დე გერმანტის მისწრაფება, ისევე აღამაღლოს დე შარლიუ, როგორც ზოგჯერ თავად ბარონს აჰყავდა ცაში საკუთარი თავი. რამდენჯერ უთქვამს ჩემი თანდასწრებით იმ ადამიანებისთვის, რომლებისთვისაც სულერთი იყო, ბარონს ცილს სწამებდნენ თუ ყველაფერი მართლა ხდებოდა: «ჩემს ცხოვრებაში ბევრი იყო აღმა სვლაც და დაცემაც, ვიღას არ ვიცნობდი, ყველა ჯიშის ადამიანს, ქურდიდან

დაწყებული მეფეებით დამთავრებული, გულწრფელად გეტყვით, ქურდები უფრო მეტად მომწონდა – სილამაზეს მივსდევდი, ყველა მისი გამოვლინებით», და სხვა; არაერთხელ ვყოფილვარ მოწმე, აი, ასეთი მონოლოგების მეშვეობით, თავად რომ არაჩვეულებრივად ოსტატური ეჩვენებოდა, როგორ გაუბათილებია მთელი ის მითქმა-მოთქმა, იმ ხალხის ყურამდე, ვისაც ესაუბრებოდა, ჯერ რომ არ მიეღწია (იქნებ, ახირების გამოც მიიჩნევდა საჭიროდ, ზომიერების გრძნობა გამოეჩინა და ზრუნავდა, დამაჯერებელი ყოფილიყო, დათმობაზე მიდიოდა, რომელიც მხოლოდ მას ერთს ეგონა უმნიშვნელო), ამგვარად ბევრისთვის გაუფანტავს უკანასკნელი ეჭვი, ბევრისთვის კი პირველი ეჭვის ჭია ჩაუსახლებია. საქმე ის არის, რომ ყველანაირი დამალვიდან

დამნაშავისთვის ყველაზე სახიფათოა დანაშაულის საკუთარ გონებაში დამალვა. დანაშაულზე აკვიატებული ფიქრი საშუალებას არ აძლევს, დაადგინოს: თუ გადაჭრით უარყოფს ყველაფერს, მართლაც ვერავინ მიხვდება მის დანაშაულს და ისევ სრული ნდობით მოექცევიან თუ არა; მეორე მხრივ კი, იგი ხელიდან აცლის შესაძლებლობას, გაარკვიოს, სად იწყება აღიარება მის მართალ სიტყვებში, უდანაშაულოდ რომ ეჩვენება. არსებითად კი, დამალვის საფუძველი არ არსებობს, რადგან ვერსად ნახავთ ისეთ ნაკლს, რომელიც მაღალ საზოგადოებაში შემწყნარებლურ თანაგრძნობას არ იწვევს; ერთხელ რომელიღაც მამულში ერთ საწოლში დასაძინებლად ორი და ჩააწვინეს, რამაც საზოგადოებაში დიდი აღშფოთება გამოიწვია და ის მხოლოდ მას შემდეგ ჩაწყნარდა, რაც ყველამ დაიჯერა, რომ მათ, როგორც დებს, ისე უყვარდათ ერთმანეთი. პრინცესას სიყვარულს კი ჩემთვის ნათელი მოჰფინა ერთმა გარემოებამ. მაგრამ ამაზე აქ დაწვრილებით აღარ შევჩერდები, რადგან მას პირდაპირი კავშირი აქვს იმ ამბავთან, თუ როგორ მიატოვა ბატონმა დე შარლიუმ მომაკვდავი დედოფალი და პარიკმახერთან წავიდა თმის წვრილად დასახვევად; ამ დახვეული თმით მას ომნიბუსის კონტროლიორის მოხიბლვა უნდოდა, რომელსაც რატომღაც ძალიან ელაციცებოდა. მაშ ასე, პრინცესას სიყვარულის ამბავი რომ დავამთავრო, ახლა გიამბობთ, რა უბრალო შემთხვევითობამ ამიხილა თვალი. იმ დღეს ეტლით მარტო მივდიოდით. როცა ფოსტას ჩავუარეთ, მეეტლეს შეჩერება უბრძანა. ლაქია არ წამოუყვანია. მუფტიდან წერილი სანახევროდ ამოაძვრინა და ეტლიდან ჩასასვლელად, წერილის საფოსტო ყუთში ჩასაგდებად მოემზადა. მისი შეჩერება ვცადე, მცირედი

წინააღმდეგობა გამიწია, ორივესთვის მაშინვე ცხადი გახდა, რომ ეტლიდან წერილით ხელში ჩასვლა ჩრდილს მიაყენებდა, რადგან იფიქრებდნენ, რაღაც საიდუმლოს დაფარვას ცდილობსო, ხოლო ჩემი წინააღმდეგობის გაწევა კადნიერებად ჩამეთვლებოდა – თითქოს ამ საიდუმლოს გამოტაცებას ვლამობდი. პირველი პრინცესა მოეგო გონს. მთლად გაწითლდა, წერილი გამომიწოდა, მეც მორჩილად ჩამოვართვი, ყუთში ჩაგდებისას კი უნებურად აღმოვაჩინე, რომ წერილის ადრესატი ბატონი დე შარლიუ ბრძანდებოდა.

ახლა ისევ იმას, პრინცესა დე გერმანტთან გატარებულ ჩემი პირველი წვეულების ამბავს დავუბრუნდეთ; ჰერცოგმა და ჰერცოგინია დე გერმანტებმა სახლში წაყვანა შემომთავაზეს, ძალიან ჩქარობდნენ, ამიტომ დასამშვიდობებლად პრინცესასთან წავედი. ჰერცოგმაც ძმასთან დამშვიდობება ისურვა. ქალბატონმა დე სიურჟიმ დრო იხელთა, სადღაც კარებთან მიიმწყვდია და უამბო, ბატონი დე შარლიუ მასთან და მის ვაჟებთან რა მომაჯადოებლად მოიქცა; ამ უჩვეულო თავაზიანობამ, მისმა ძმამ ასეთ ვითარებაში პირველად რომ გამოიჩინა, ბაზენი ღრმად შეძრა და ნათესაური გრძნობები გაუღვიძა, რაც, კაცმა რომ თქვას, მასში ხანგრძლივად მიძინებული არც არასოდეს ყოფილა. როცა პრინცესას ვემშვიდობებოდით, ჰერცოგმა გადაწყვიტა, ბატონი დე შარლიუსადმი მადლიერება პირდაპირ კი არ გამოეხატა, უბრალოდ, ალერსიანად მოქცეოდა, იქნებ, იმიტომ, რომ ამ გრძნობამ მართლაც აუვსო გული, ან, იქნებ, იმიტომაც, ბარონს დაემახსოვრებინა, რომ ამ საღამოზე მისი ქცევა ძმის თვალს არ გამოჰპარვია,

ასე უკანა ფეხებზე მდგომ ძაღლს გადაუგდებენ ხოლმე შაქრის ნატეხს, რათა ეს სამარადისოდ სასიამოვნო მოგონებად დარჩეს. «რა ხდება, ძმაო, – ჰერცოგმა ბატონი დე შარლიუ შეაჩერა და მკლავზე ნაზად მოჰკიდა ხელი. – უფროს ძმას გვერდით ჩაუარე და სალამსაც არ ეუბნები? ერთმანეთს ვეღარ ვხედავთ. ვერ წარმოიდგენ, როგორ მაკლიხარ. ძველ წერილებს ვათვალიერებდი; ჩვენი ცხონებული დედის წერილი ვიპოვე. შენზე ყოველთვის ისეთი სინაზით წერდა!». «გმადლობთ, ბაზენ», – ჩამწყდარი ხმით ამოთქვა ბატონმა დე შარლიუმ, რადგან დედაზე მღელვარების გარეშე ლაპარაკი არ შეეძლო. «ნება მომეცი, გერმანტში ფლიგელი მოგიწყო», – გააგრძელა ჰერცოგმა. «რა სასიამოვნოა, რომ ძმებს ერთმანეთი ასე უყვართ». – უთხრა პრინცესამ ორიანს. «ო, დიახ. ძმებს შორის ასეთი ურთიერთობა იშვიათობაა. ერთ დღეს დე შარლიუსთან ერთად მოგიწვევთ, – მომმართა ორიანმა. – ერთმანეთთან ხომ კარგი ურთიერთობა გაქვთ?.. მაგრამ, ნეტავ, რაზე საუბრობენ?» – შეწუხებული ხმით დაუმატა, რადგან მათი ლაპარაკი ცუდად ესმოდა. მუდამ შური იპყრობდა, როცა ხედავდა, როგორ სიამოვნებდა ბატონ დე გერმანტს ძმასთან ერთად წარსულის გახსენება, რადგან ცოლს თავისი წარსულიდან ცოტა მოშორებით აყენებდა. ჰერცოგინია გრძნობდა, როგორ უხაროდათ ერთად ყოფნა და, თუ დაუძლეველი ცნობისმოყვარეობის შესაკავებლად ძალა არ ეყოფოდა და მათთან მივიდოდა, მისი გამოჩენა სიამოვნებას სულაც არ მიანიჭებდათ. მაგრამ დღეს ჩვეულ ეჭვს სხვაც დაერთო. საქმე ის გახლდათ, რომ ქალბატონმა დე სიურჟიმ ბატონ დე გერმანტს უამბო, თქვენი ძმა ძალიან კეთილად მომექცაო, უამბო, რათა ჰერცოგს ძმისთვის მადლობა გადაეხადა; მანამდე

კი გერმანტების წყვილის ერთგულმა მეგობარმა ქალებმა თავიანთ მოვალეობად მიიჩნიეს და ჰერცოგინიას ჩაუკაკლეს, რომ მისი მეუღლის საყვარელი ჰერცოგის ძმასთან პირისპირ მოსაუბრე ნახეს. აი, რა არ აძლევდა მოსვენებას ქალბატონ დე გერმანტს. «გახსოვს, რა ბედნიერად ვცხოვრობდით გერმანტში? – მიმართა ჰერცოგმა ბატონ დე შარლიუს. – ზაფხულობით ზოგჯერ რომ ჩამოხვიდე, ბედნიერი დღეები

ისევ დაგვიბრუნდება. მამილო კორვო ხომ გახსოვს?..» «რატომ არის პასკალი აღშფოთებული?» იმიტომ, რომ შეწუხებულია». – ისეთი ტონით ჩააბულბულა დე შარლიუმ, თითქოს მასწავლებელს გაკვეთილს აბარებდა. «მშვენიერია, გამოცდაზე გახვალ, კარგ ნიშანს მიიღებ, ჰერცოგინია კი ჩინურ ლექსიკონს გაჩუქებს». «გახსოვს, ბაზენ, როგორი გატაცებული ვიყავი ჩინეთით?». «როგორ არ მახსოვს, ძვირფასო მემე, ძველებური ჩინური საყვავილეც მახსოვს, ერვე დე სენ-დენმა[96] რომ გაჩუქა. ახლაც თვალწინ მიდგას. გვემუქრებოდი კიდეც, სამუდამოდ ჩინეთში წავალო. ისე გაინტერესებდა; ჯერ კიდევ მაშინ გიყვარდა აღმა-დაღმა ხეტიალი. ძალიან თავისებური იყავი. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ შენი გემოვნება არასოდეს არაფრით ემთხვეოდა სხვებისას...», – ეს სიტყვები თქვა და ჰერცოგს სახე წითელი ლაქებით დაეფარა, მზის ლაქებსაც რომ ეძახიან, ისეთით; ზუსტად არ იცოდა, როგორი ქცევები ჰქონდა ძმას, აი, მის რეპუტაციას კი კარგად იცნობდა. ჰერცოგს ძმასთან ამაზე არასოდეს ულაპარაკია და ახლა მისი სიტყვები შეიძლება ნართაულადაც მიეღო, ამის გამო განსაკუთრებულად უხერხულად იგრძნო თავი. «და ვინ იცის, – ბოლო სიტყვები რომ მიეფუჩეჩებინა, წამიერი დუმილის შემდეგ თქვა მან, – იქნებ, ჩინელი

გოგოც გიყვარდა, ვიდრე თეთრ ქალებთან დაიწყებდი არშიყს და მათი კეთილგანწყობით ისარგებლებდი, რაშიც ახლაც დავრწმუნდი ერთი ქალბატონის მაგალითზე, რომელსაც სულ ახლახან ესაუბრებოდი და, როგორც ეტყობა, დიდი სიამოვნებაც მიანიჭე. შენით მოხიბლულია». ჰერცოგმა საკუთარ თავს სიტყვა მისცა, ქალბატონ დე სიურჟიზე არავისთან ელაპარაკა, მაგრამ წეღანდელი უტაქტობის გამო აზრები აერია, პირველივეს, რაც წამოუტივტივდა, ჩაეჭიდა, ზუსტად იმას, რასაც არ უნდა შეხებოდა, თუმცა ეს დამაჯერებელი საბუთი გახლდათ. მაგრამ ბატონმა დე შარლიუმ შეამჩნია, რომ მისი ძმა გაწითლდა. და იმ დამნაშავესავით, რომლის გასაგონადაც დანაშაულზე ლაპარაკობენ, ის კი ისეთ სახეს იღებს, ვითომ ეს დანაშაული მას არ ჩაუდენია, ამიტომ სრულიადაც არ აწუხებს და ხელსაყრელადაც კი მიიჩნევს, ამ სახიფათო ლაპარაკს მხარი აუბას, ჰერცოგს უთხრა: «ცხადია, ამ შექებით აღტაცებული ვარ, მაგრამ მინდა შენს ბოლო წინადადებას დავუბრუნდე, რომელიც სრული სიმართლე მგონია. მეუბნებოდი ყველაფერზე საკუთარი, განსაკუთრებული შეხედულება გქონდაო, მართალია! ისიც თქვი, რომ ჩემი გემოვნება სხვისას არასოდეს ემთხვეოდა, ესეც მართალია! ოღონდ არ გითქვამს აზრებიო, შენ თქვი – გემოვნება, ესეც მართალია! თქვი, რომ სპეციფიკური გემოვნება მაქვს». «არა, არა», – შეეწინააღმდეგა ჰერცოგი. მას მართლაც არ უთქვამს ეს სიტყვები, შეიძლება, არც სჯეროდა, რომ ისინი მისი ძმის მიმართ იყო ნახმარი. გარდა ამისა, მიაჩნდა, რომ უფლება არ ჰქონდა მისი მიდრეკილებების გამო ბარონი აეღელვებინა, თანაც რაღაც საეჭვო, იდუმალებით მოცული მიდრეკილებების გამო, რაც მის

ყოვლად მაღალ მდგომარეობას, საზოგადოებაში რომ ეკავა, ზიანს არ აყენებდა. უფრო მეტიც, ჰერცოგი გრძნობდა, მისი ძმის ასეთი მაღალი მდგომარეობა შეიძლება გამოდგომოდათ მის საყვარლებს, ამიტომ ამჯობინებდა, მისდამი შემწყნარებელი

ყოფილიყო. ჰერცოგ დე გერმანტს კიდეც რომ გაეგო, მის ძმას ვიღაცისადმი «განსაკუთრებული» სიმპათიები ჰქონდა, მისი მხარდაჭერის იმედით და იმიტომაც, რომ ბარონთან წარსულის წმიდა მოგონებები აკავშირებდა, თვალს დახუჭავდა და საჭიროების შემთხვევაში დაეხმარებოდა კიდეც. «აბა, ბაზენ, უკვე დროა. ღამე მშვიდობისა, პალამედ! – თქვა სიბრაზისა და ცნობისმოყვარეობისგან ანთებულმა ჰერცოგინიამ, რომელსაც თავშეკავების ძალა აღარ ჰქონდა, – თუ გადაწყვიტეთ, მთელი ღამე აქ გაატაროთ, მაშინ უკეთესი იქნება, ვახშმადაც დავრჩეთ. თქვენ გამო მარი და მე, მთელი ნახევარი საათია, ფეხზე ვდგავართ». ჰერცოგი ძმას მრავალმნიშვნელოვნად მხურვალედ გადაეხვია და სამივენი პრინცესას სასახლის უზარმაზარ კიბეზე დავეშვით.

კიბის ზევითა ნაწილის ორივე მხარე წყვილებით იყო მოფენილი – თავიანთ ეტლებს ელოდნენ. ჰერცოგინია, ტანმაღალი და სადღაც შორს მყოფი, ქმარსა და ჩემ შორის იდგა მანტოში გახვეული, როგორც ტიეპოლოს ტილოზეა ლალ-ბადახშის ყელსაბამით დამშვენებული, ქალები და მამაკაცები თვალებით ჭამდნენ, მისი მოხდენილობისა და სილამაზის იდუმალებაში შეღწევას ცდილობდნენ. იმავე საფეხურზე, ოღონდ მოპირდაპირე მხარეს, თავის ეკიპაჟს ელოდა ჰერცოგინია დე გალარდონიც, რომელსაც, კარგა ხანია, იმედი გადასწურვოდა, რომ

მისი ნათესავი ოდესმე ინებებდა და მასაც ეწვეოდა; ვინმეს რომ არ ეფიქრა, ორიანს უყურებსო და, რაც მთავარია, არავის შეემჩნია, რომ ჰერცოგინია არ ესალმებოდა, ადგა და ზურგი შეაქცია. ქალბატონი დე გალარდონი გულმოსული გახლდათ, რადგან მისმა თანმხლებმა მამაკაცებმა სასაუბროდ უკეთესი ვერაფერი მოიფიქრეს – იდგნენ და ორიანზე ლაპარაკობდნენ. «მასთან შეხვედრა საერთოდ არ მიზიდავს, – განუცხადა თანამგზავრებს. – ახლახანსღა შევამჩნიე, სიბერე შეჰპარვია, ჩანს, ამას ვერაფრით ეგუება. ბაზენმაც ხომ პირდაპირ უთხრა ეს. მისი კარგად მესმის. ჭკვიანი ქალი არ არის, ღვარძლიანია. საზოგადოებაში თავის დაჭერა არ შეუძლია; მშვენივრად იცის, როცა სილამაზე დაჭკნება, მისგან არაფერი დარჩება».

პალტო ჩავიცვი, კიბეზე ჩასვლისას ბატონმა დე გერმანტმა მისაყვედურა, შეეშინდა, გამთბარი შენობიდან ჰაერზე გამოსული არ გავციებულიყავი, რადგან მაღალი საზოგადოების რაღაც ნაწილი, რომელმაც, მეტად თუ ნაკლებად, მონსენიორ დიუპანლუს[97] სკოლა გაიარა, ცუდი ფრანგულით ლაპარაკობს (გარდა კასტელანის ოჯახისა), ჰერცოგმაც თავისი აზრი ასე გამოხატა: «ცხადია, უკეთესია, საერთოდ რომ ვთქვათ, უკეთესია, ვიდრე ქუჩაში არ გამოხვალ, არ ჩაიცვა». ისევ ვხედავ, როგორ იშლებიან სტუმრები, ისევ ვხედავ კიბეზე, თუ მახსოვრობა არ მღალატობს, ჩარჩომოცილებულ პორტრეტს პრინც დე საგანისა, რომლისთვისაც საზოგადოებაში ეს გამოსვლა უკანასკნელი აღმოჩნდა და რომელმაც, ჰერცოგინიასთვის თავისი პატივისცემა რომ დაედასტურებინა, ღილ-კილოში გაკეთებულ გარდენიასთან ფერშეხამებული მაღალი შლაპა

თეთრხელთათმნიანი ხელის ფართო მოძრაობით ისე მოიხადა, გაოცდებოდით, იფიქრებდით, ეს ის ბუმბულებით დამშვენებული ფეტრის შლაპაა, ძველი რეჟიმის დროს რომ ატარებდნენო, მით უმეტეს, სახეზეც აშკარად ემჩნეოდა განსაკუთრებული, მემკვიდრეობითი კვალი იმ დროისა. ჰერცოგინიას გვერდით ცოტა ხანს დაჰყო და, ის პოზები, წამიერად რომ იღებდა, რომელიღაც ისტორიული პიესის სცენის გაცოცხლებული სურათები გახლდათ. ახლა იგი უკვე ამქვეყნად აღარ არის, სიცოცხლეშიც იშვიათად თუ შევხვედრივარ და, ამდენად, ის ჩემთვის მართლაც ისტორიული პერსონაჟი იყო, ყოველ შემთხვევაში, ადამიანი, რომელმაც მაღალი საზოგადოების ისტორიაში თავისი როლი შეასრულა, და ახლა მიმძიმს, წარმოვიდგინო, რომ შესაძლოა, ჩემი რომელიმე ნაცნობი, კაცი თუ ქალი, მისი და იყოს ანდა ძმისწული.

კიბეზე რომ ჩავდიოდით, საფეხურებს დაღლილი გამომეტყველებით (რის გამოც იგი ერთობ მიმზიდველად გამოიყურებოდა), ასე, ორმოციოდე წლის ქალი ამოუყვა. ეს პრინცესა დ’ორვილე იყო, როგორც ამბობდნენ, პარმის ჰერცოგის ქორწინების გარეშე დაბადებული შვილი, რომლის ნაზ ხმაშიც მსუბუქი ავსტრიული აქცენტი გამოსჭვიოდა. ყვავილებით მოჩითული თეთრი აბრეშუმის კაბა ეცვა, მაღალი იყო, ოდნავ წინ გადმოწეული მოდიოდა, ბრილიანტებისა და საფირონების აღჭურვილობას შორის მოჩანდა, როგორ აუდ-ჩაუდიოდა მშვენიერი, დაღლილი, მძიმედ მფეთქავი მკერდი. მეფის ცხენივით იქნევდა თავს, ფასდაუდებელი ღირებულებისა და უზომო წონის მარგალიტებით მოოჭვილი ავშარი რომ უმძიმებს; მშვიდსა და მომხიბლავ

მზერას უკვე დაშლილ სტუმრებს აპყრობდა, ბევრს თავის დაკვრით, მეგობრულად ესალმებოდა, თვალები კი, იმის მიხედვით, მისი სიცისფრე როგორ დალივლივებდა, უფრო ალერსიანი უხდებოდა. «კარგ დროს კი მოხვედი, პოლეტ! – უთხრა ჰერცოგინიამ. – აჰ, როგორ ვწუხვარ! მაგრამ ფიზიკურმა მდგომარეობამ მართლაც არ მომცა ამისი საშუალება», – იმავე ტონით უპასუხა პრინცესამ, რომელმაც უცბად აუღო ალღო ჰერცოგინია დე გერმანტის საუბრის სტილს, მაგრამ მისი ბაგიდან ნათქვამი ეს სიტყვები, ბუნებით უწყინარი და გულწრფელი ქალი იყო, მშვიდად გაისმა; თუმცა მისი ხმა უჩვეულო სინაზით ჟღერდა, მაინც იგრძნობოდა გერმანული აქცენტის ძლივს მოსახელთებელი სიმკაცრე, რაც თითქოს ცხოვრების რაღაც სირთულეზე მიანიშნებდა, რაზეც დიდხანს შეიძლებოდა ლაპარაკი, და არა ისეთ წვრილმანზე, როგორიც მაღალი საზოგადოების ეს წვეულება გახლდათ. თუმცა დღეს მაინც მოასწრო და რამდენიმე საღამოზე მივიდა. არა, ამის გამო არ მოსულა ასე დაგვიანებით. პრინცი დე გერმანტი მრავალი წლის განმავლობაში ცოლს უფლებას არ აძლევდა, პრინცესა დ’ორვილე მოეწვია, მაგრამ, როცა ეს აკრძალვა მოიხსნა, მიწვევის პასუხად, რომ ეჩვენებინა, თითქოს მათთან შეხვედრას დიდად არ ეშურებოდა, დე გერმანტებს ღია ბარათებს უგზავნიდა. ორი თუ სამი წლის შემდეგ თვითონვე მოისურვა მათ წვეულებებზე სიარული, ოღონდ ძალიან გვიან მოდიოდა, აქაოდა, თეატრის შემდეგ შემოვიარეო. ამ ხერხით ყველას აგრძნობინა, რომ მაღალი

საზოგადოების წვეულებებზე დასწრებას საერთოდ არ ესწრაფოდა, არც ის აინტერესებდა, სტუმართა შორის დაინახავდნენ თუ არა, უბრალოდ, პრინცისა და პრინცესას სანახავად

მოდიოდა, მხოლოდ მათი გულისთვის, მხოლოდ მათდამი სიმპათიის გამო, თან ისეთ დროს შეივლიდა, სტუმრების ნახევარზე მეტი უკვე წასული იყო და შესაძლებლობა ჰქონდა, სრულიად «დამტკბარიყო მასპინძლების საზოგადოებით». «მართლა როგორ დაეცა ეს ორიანი! – აბურტყუნდა ქალბატონი დე გალარდონი. – ბაზენის ვერაფერი გამიგია, ცოლს ქალბატონ დ'ორვილესთან ლაპარაკის ნებას როგორ რთავს. ბატონი დე გალარდონი ამის უფლებას არ მომცემდა». მე კი ქალბატონ დ'ორვილეში ის ქალი შევიცანი, გერმანტების სასახლის ახლოს ხანგრძლივი მიბნედილი მზერით რომ შემომხედა, მერე შებრუნდა და სავაჭრო ფარდულის ვიტრინას მიაჩერდა. ქალბატონმა დე გერმანტმა ქალბატონ დ'ორვილესთან წარმადგინა, მეტისმეტად მომხიბვლელად მომექცა, არც ძალიან თავაზიანი იყო, არც დაძაბული. მისი თვინიერი თვალები ისევე შემომყურებდა, როგორც ყველა დანარჩენს. მერე, სხვა შეხვედრებისას, დაახლოების სურვილი აღარც შემიმჩნევია. ცალკეული გამოხედვა თითქოს ამბობს, რომ თქვენ გიცნეს; ასე მავანი ქალი თუ მავანი კაცი ახალგაზრდას მხოლოდ იმ წუთამდე უყურებს, ვიდრე გაიცნობს და გაარკვევს, რომ ეს ახალგაზრდა იმ ხალხის მეგობარია, ვისთან ურთიერთობაც თვითონ აქვს.

გამოაცხადეს – ეტლი უკვე გველოდებოდა. ქალბატონმა დე გერმანტმა, ვიდრე კიბეს ჩაივლიდა და ეტლში ჩაჯდებოდა, ჯერ კაბის ბოლო აიკრიფა, ამ დროს შეიძლება სინდისის ქენჯნა იგრძნო ანდა სიამოვნების მინიჭების სურვილი მოეძალა, უფრო კი იმ ხანმოკლე დროით სარგებლობა

მოუნდა, რომელიც, გარემოებათა გამო, ამ მოსაწყენ საღამოზე ხელიდან გაუშვა, ჰერცოგინია დე გალარდონს შეხედა; მერე, თითქოს ახლაღა შეამჩნიაო, უეცარი აღმაფრენით საფეხურის მეორე მხარეს გადავიდა, თავის გაბრწყინებულ ბიძაშვილს მიუახლოვდა და ხელი გაუწოდა. «აჰ, მთელი საუკუნეა არ მინახიხარ!» – უთხრა ჰერცოგინიამ და თავისი ნათქვამით კმაყოფილმა, სინანულსაც რომ შეიცავდა და დამაჯერებელ გამართლებასაც, შეშფოთებით გადახედა ჰერცოგს, რომელიც ჩემთან ერთად უკვე ეტლთან იყო მისული და გაცოფდა, როცა დაინახა, რომ მისი ცოლი ქალბატონ დე გალარდონისკენ გაემართა და სხვა ეტლების მოძრაობა შეაფერხა. «ორიანი მაინც ისევ ლამაზია! – თქვა ქალბატონმა დე გალარდონმა. – მეცინება, როცა ჩვენზე ამბობენ ერთმანეთთან ცივი დამოკიდებულება აქვთო. შეიძლება, მიზეზთა გამო, რისი ცოდნაც ყველასთვის აუცილებელი არ არის, ერთმანეთი წლობით არ ვნახოთ, მაგრამ, იმდენი მოგონება გვაკავშირებს, ურთიერთობას არასოდეს გავწყვეტთ. სულის სიღრმეში მშვენივრად გრძნობს, რომ მე გაცილებით უფრო ვუყვარვარ, ვიდრე ისინი, ვისაც ყოველდღე ხედავს და მისი სისხლისა არ არიან». ქალბატონი დე გალარდონი იმ უარყოფილ საყვარელს ჰგავდა, რომელიც ძალას არ იშურებს, სხვები დაარწმუნოს, რომ მისი საყვარელი მისდამი უფრო მეტი ვნებით

არის ანთებული, ვიდრე იმისადმი, ვინც გულში ჰყავს ჩახუტებული (საერთოდ არც დაფიქრებულა იმაზე, რომ ცოტა ხნის წინათ სრულიად საწინააღმდეგო აზრი გამოთქვა). ამ შექებით ქალბატონმა დე გალარდონმა ჰერცოგინიას ირიბად მიანიშნა, რომ სრულყოფილად აითვისა ის წესები, რომლითაც მაღალი წრის დიდგვაროვანმა ქალბატონმა ცხოვრებაში უნდა

იხელმძღვანელოს; ამ დიდგვაროვანმა ქალბატონმა კი, შეამჩნია თუ არა, რომ მისი საუცხოო კაბა არა მარტო აღფრთოვანებას, არამედ შურსაც იწვევდა, მოისაზრა – ეს შური რომ გაექარწყლებინა, ახლავე კიბის მეორე მხარეზე უნდა გადასულიყო. «ყურადღებით მაინც იყავი, ფეხსაცმელი არ დაისველო» (ის-ის იყო, ოდნავ წამოწვიმა), – მიაძახა ჰერცოგმა, ისევ გაბრაზებულმა იმაზე, რომ ამდენ ხანს ალოდინებდნენ.

უკან დაბრუნებისას ეტლში სივიწროვის გამო, ნებსით თუ უნებლიეთ, ქალბატონ დე გერმანტის წითელი ფეხსაცმელი ჩემი ფეხის სიახლოვეს აღმოჩნდა, იმით შეშფოთებულმა, რომ ფეხზე არ შემხებოდა, ქმარს მიმართა: «ეს ახალგაზრდა კაცი მალე იძულებული იქნება, იგივე მითხრას, რაც რომელიღაც კარიკატურის ქვეშ იყო მიწერილი: «ქალბატონო, რაც შეიძლება სწრაფად ამიხსენით სიყვარული, ოღონდ ასე მტკივნეულად ნუღარ დამაბიჯებთ». ჩემი ფიქრები კი ახლა ქალბატონი დე გერმანტისგან კარგა შორს დაჰქროდა. მას შემდეგ, რაც სენ-ლუმ კეთილშობილური წარმოშობის გოგოზე მითხრა, საროსკიპოში დადისო, ასევე ბარონესა პიუტბიუს მოახლე გოგოზეც, გამუდმებით ამ ქალებისკენ ისწრაფოდა ჩემი გულისთქმაც, ორივე რანგის უამრავ ლამაზმანს ყოველდღე თავისკენ რომ უხმობდა. ერთი მხრივ, ესენი იყვნენ მდიდართა სახლების ვულგარული, დამაბრმავებელი, გაამპარტავნებულ-გაყოყოჩებული მოახლეები, რომლებიც, როცა თავიანთ ჰერცოგინიებზე ლაპარაკობდნენ, ამბობდნენ «ჩვენ», მეორე მხრივ კი, ის გოგონები, ჩემ წინ ფეხით თუ, გნებავთ, ეტლით რომ არც

გაველოთ, მაინც შემიყვარდებოდნენ; საკმარისი იყო, მეჯლისების ანგარიშებში მათი სახელები ამომეკითხა, მერე კეთილსინდისიერად შემესწავლა ცნობარი, რომელშიც მითითებული იყო ის ადგილები, სადაც ზაფხული გაატარეს (სახელები ხშირად ერთმანეთში მერევა), და უკვე დასავლეთის ველებზე ან ჩრდილოეთის დიუნებს შორის, ანდა სამხრეთის წიწვოვან ტყეებში ცხოვრებაზე ვოცნებობდი. მაგრამ როგორ არ ვცდილობდი, სენ-ლუს აღტაცების საფუძველზე დაყრდნობით, ყველაფერი ყველაზე მაცდუნებელი, რასაც მსუბუქი ქცევის გოგონასა და ქალბატონ პიუტბიუს მოახლე ქალის გარეგნობა მოიცავდა, აზრობრივად ერთმანეთთან შემეთავსებინა, რათა უფრო ნათლად წარმომედგინა ისინი, მაინც ორივე ადვილად ხელმისაწვდომ ლამაზმანს აკლდა ის, რაც შეიძლება მათთან შეხვედრისას აღმომეჩინა: მათი ინდივიდუალური თავისებურებები. რამდენიმე თვის განმავლობაში, როცა გოგონები უფრო მომწონდა, გულმოდგინედ ვლამობდი, წარმომედგინა, როგორ გამოიყურებოდა და ვინ იყო ის, ვისზეც სენ-ლუ მიყვებოდა, ხოლო იმ თვეების განმავლობაში, როცა მოახლე გოგოს ვამჯობინებდი, ვცდილობდი, გონებაში

ბარონესა პიუტბიუს მოახლე წარმომესახა. სამაგიეროდ, ჩემში დიდხანს მობობოქრე სურვილის ქარიშხალს სიმშვიდე ცვლიდა, რასაც ის წარმავალი არსებები იწვევდნენ, რომელთა სახელებიც ხშირად ჩემთვის უცნობი რჩებოდა, არსებები, რომლებსაც ხელახლა ძნელად თუ შევხვდებოდი, უფრო ძნელი კი მათი გაცნობა და დაპყრობა იყო; ო, რა სიმშვიდე მეუფლებოდა, როცა მთელი ამ დაქსაქსული, წარმავალი, უსახელო სილამაზიდან ორი სახე გამოიყოფოდა მათი არჩევისთვის საჭირო მინიშნებებით,

რომელთა მეშვეობითაც უნდა მეპოვა ისინი, და თავს ვირწმუნებდი, როცა მოვისურვებდი, მაშინ ჩავიგდებდი ხელში! დროს იქით ვწევდი, იმ დროს, როცა ორმაგ სიამოვნებას მივიღებდი, ისევე, როგორც მუშაობის დაწყების ვადას ვანაცვლებდი იქით და იქით, მაგრამ დარწმუნებულს, რომ ეს სიამოვნება ნებისმიერ დროს შემეძლო განმეცადა, ეს უკვე აღარ მჭირდებოდა – საკმარისია, ხელში ჩავიგდოთ დასაძინებელი საშუალება, რათა უიმისოდაც ჩავიძინოთ. მთელი სამყაროდან მხოლოდ ორი ქალის სურვილი მქონდა, თუმცა ძალა არ შემწევდა, მათი სახეები წარმომედგინა, მაგრამ მათი სახელები სენ-ლუმ მითხრა და მათ დამყოლობას თავდებადაც დაუდგა. ასე რომ, სენ-ლუმ ამასწინდელი ნათქვამით ჩემს წარმოსახვას მძიმე ამოცანა დაუსახა, სამაგიეროდ, ჩემს ჟინს საგრძნობი შესვენება მოუწყო და საკმაოდ ხანგრძლივიც.

«მისმინეთ, – მითხრა ჰერცოგინიამ, – მეჯლისებზე ისედაც დადიხართ. იქნებ, სხვა რამეში გამოგადგეთ? არ გინდათ, თქვენთვის სასურველი რომელიმე სალონის წევრი გახდეთ?» შიში გამოვთქვი, იმ ერთადერთ სალონს, სადაც მოხვედრა მინდა, ალბათ, ნაკლებ ბრწყინვალედ მიიჩნევთ-მეთქი. «ვისია?» – მუქარანარევი, ხრინწიანი ხმით, ბაგეც არ გაუხსნია, ისე მკითხა ჰერცოგინიამ. «ბარონესა პიუტბიუსი». ახლა კი ისეთი სახე მიიღო, რომ ნამდვილად გაწყრა. «ოო, არა; არავითარ შემთხვევაში! მგონი, დამცინით! სრულიად შემთხვევით მოვკარი ყური მაგ ყოვლად მახინჯი დედაკაცის გვარს. იგი ხომ საზოგადოების ნარჩენია. თუ გინდ ჩემი

თეთრეულის მკერავი ქალის გაცნობა გითხოვიათ. არა და კიდევ არა, თუმცა ჩემი თეთრეულის მკერავი მშვენიერი ქალია. ჩემო პატარავ, ცოტა გიჟუნია ხართ. აი, რას გთხოვთ, თავაზიანად მოექეცით იმ პიროვნებებს, რომლებიც უკვე გაგაცანით, იარეთ მათთან სტუმრად, გაუგზავნეთ ღია ბარათები, მაგრამ ბარონესა პიუტბიუზე სიტყვა არ დაგცდეთ, რადგან მას საერთოდ არ იცნობენ». მერე ვკითხე, პრინცესა დ’ორვილე ცოტა ქარაფშუტა ხომ არ არის-მეთქი». «ო, არა, რას ამბობთ; უფრო უკარებაა. ასე არ არის, ბაზენ?». «დიახ, ყოველ შემთხვევაში, არ მახსოვს, ოდესმე მასზე ვინმეს რამე ეთქვას». – უპასუხა ჰერცოგმა.

«არ გინდათ, ჩვენთან ერთად მასკარადზე წამოხვიდეთ? – მკითხა ჰერცოგმა. – ვენეციურ მოსასხამს გათხოვებთ და ვიცი, ერთ პიროვნებას თქვენი მისვლით მეტისმეტად დიდ სიამოვნებას მიანიჭებთ. ორიანზე არაფერს ვამბობ, ეს ისედაც იგულისხმება, პარმის პრინცესა მყავს მხედველობაში. ის გამუდმებით გაქებთ და

სულ თქვენი სახელი აკერია პირზე. ბედმა გაგიღიმათ, ყმაწვილი ქალი აღარ არის, მისი ზნეობრიობა ეჭვს არ იწვევს. ასე რომ არ იყოს, თქვენგან თავის ჩიჩისბეის[98] შექმნიდა, როგორც ჩემს ახალგაზრდობაში ამბობდნენ, რაღაც ერთგული რაინდის მსგავსს».

მასკარადზე მისვლა არ მიზიდავდა, რადგან ალბერტინთან მქონდა პაემანი, ამიტომ უარი ვთქვი. ეტლი შეჩერდა, მხლებელმა ალაყაფის კარის გაღება მოითხოვა, ცხენები მოუთმენლად

ტორავდნენ მიწას მანამდე, ვიდრე კარები არ გაიღო, ეტლი ეზოში შევიდა. «აბა, ნახვამდის!» – მითხრა ჰერცოგმა. «ზოგჯერ ვნანობ, ასე ახლოს რომ ვცხოვრობ მარისთან, – დაიწყო ჰერცოგინიამ. – ის ნამდვილად ძალიან მიყვარს, მასთან ყოფნა კი ნაკლებად, მაგრამ, ისე არასოდეს მინანია ახლო-ახლო რომ ვცხოვრობთ, როგორც დღეს, რადგან თქვენთან ერთად მგზავრობა ასე ცოტა ხნით მომიწია». «კარგი, ორიან! გეყოფა ლაყბობა!» ჰერცოგინიამ ისურვა, თუნდაც ერთი წუთით მათთან შემევლო. ჰერცოგინიამ ბევრი იცინა, ასევე ჰერცოგმაც, როცა ვთქვი, არ შემიძლია, რადგან სულ მალე ერთი გოგონა უნდა მესტუმროს-მეთქი. «უცნაურ დრო კი აგირჩევიათ სტუმრების მისაღებად, – მითხრა ჰერცოგინიამ. – წავიდეთ, ძვირფასო, ვიჩქაროთ, – მიმართა ბატონმა დე გერმანტმა ცოლს. – თორმეტს თხუთმეტი აკლია, კოსტიუმების გადაცმის დროა...» კართან ორ ხელჯოხიან ქალს შეეჩეხა, მკაცრად რომ იცავდნენ შესასვლელს, ამ კუნაპეტ ღამეში თავიანთი მწვერვალიდან ჩამოსვლას არ შეუშინდნენ, რათა ჰერცოგისთვის უსიამოვნება აეცდინათ. «ბაზენ! შენთან შეხვედრა ვიჩქარეთ – შეგვეშინდა, მასკარადზე არ გაგესწრო – რათა გვეცნობებინა, რომ ერთი საათის წინ ამანიენი გარდაიცვალა». ჰერცოგი ერთი წამით დაიბნა; უკვე გაიფიქრა კიდეც, რომ შესანიშნავ მასკარადზე დასწრების ოცნება ჩაუფლავდა, რადგან ამ შეჩვენებულმა ქალებმა დ’ოსმონდის გარდაცვალება შეატყობინეს, მაგრამ თავი მაშინვე ხელში აიყვანა და ორივე ნათესავ ქალს ისეთი სიტყვები უთხრა, რითიც მიახვედრა, რომ სიამოვნებას არ მოიკლებდა და აგრძნობინა, ზოგიერთი სიტყვის აზრი არ მესმისო: «გარდაიცვალა! რას ამბობთ, გადაჭარბებულია, გადაჭარბებული! –

და ყურადღებაც აღარ მიუქცევია ქალებისთვის, რომლებიც ამ ყორნისფერ ღამეში ისევ მთებში აპირებდნენ ასვლას, და თავის კამერდინერს შეკითხვები დააყარა: – ჩემი მუზარადი მშვიდობიანად მოიტანეს?». «დიახ, თქვენო ბრწყინვალებავ». «ნახვრეტი თუ გაუკეთეს, სუნთქვა რომ შევძლო?». «გაუკეთეს, თქვენო ბრწყინვალებავ». «დასწყევლოს ღმერთმა, რა უბედური საღამოა! ორიან, დამავიწყდა, ბაბალისთვის მეკითხა, წვეტიანი ფეხსაცმელი თუ გამოგიგზავნეს». «კომიკური ოპერის კოსტიუმერი აქ არის, ის გვეტყვის. მაგრამ, არა მგონია, შესაძლებელი იყოს ამ ფეხსაცმელზე დეზების გაკეთება». «წავიდეთ, კოსტიუმერი ვნახოთ, – უთხრა ჰერცოგმა. – ნახვამდის, ძვირფასო, სიამოვნებით მოგიწვევდით, რომ გენახათ, როგორ ვირგებ კოსტიუმებს, თქვენთვის უდავოდ საინტერესო იქნება, მაგრამ საუბარს შევყვებით, მალე კი შუაღამე დადგება. ხოლო, საღამოს მთელი სიამოვნება რომ განიცადო, დროულად უნდა მიხვიდე».

მეც ვჩქარობდი, იმ წუთს ველოდი, როცა ბატონ და ქალბატონ დე გერმანტებს დავემშვიდობებოდი. «ფედრა» თორმეტის ნახევარზე მთავრდებოდა. უკვე ალბერტინის მოსვლის დრო იყო. პირდაპირ ფრანსუაზთან შევედი: «მადმუაზელ ალბერტინი მოვიდა?». «არავინ მოსულა». ღმერთო ჩემო, ნუთუ ეს ნიშნავს, რომ არ მოვა? ავღელდი, ახლა, როცა დარწმუნებული აღარ ვიყავი, რომ ალბერტინი მოვიდოდა, მისი ნახვა უფრო მომინდა. ფრანსუაზიც განაწყენებული ჩანდა, ოღონდ სხვა მიზეზით. ის იყო, თავისი ქალიშვილი

მაგიდასთან დაესვა, რათა გემრიელი ვახშმით დაენაყრებინა, რომ ჩემი მოსვლა გაიგო, მიხვდა, მაგიდის ალაგებას და ზედ ნემსებისა და ძაფების დაწყობას ვეღარ მოასწრებდა, აქაოდა, კი არ ვვახშმობდით, არამედ ვმუშაობდითო. «ცოტა წვნიანი მივეცი და ტვინიანი ძვალი გამოსასწუწნად», – მითხრა ფრანსუაზმა, თავისი ქალიშვილის ვახშმის სიმწირისთვის რომ გაესვა ხაზი, სინამდვილეში კი ვახშამი საკმაოდ უხვი ჰქონდათ, ამიტომაც თავი დამნაშავედ იგრძნო. მაშინაც კი, საუზმის ან სადილის დროს, ჩემი გაუფრთხილებლობით, სამზარეულოში თუ შევიდოდი, ისეთ სახეს მიიღებდა, ვითომ მთელი საჭმელი გაუთავდათ და ბოდიშის ტონით იტყოდა: «ცოტა წავიხემსე» ან «ლუკმა გავღეჭე». სამხილი კი თავად ღაღადებდა, მაგიდა, რომლის ალაგებაც ჩემი მოულოდნელი გამოჩენის გამო ფრანსუაზმა ვერ მოასწრო, ხორაგით იყო სავსე. ის ქალიშვილს მიუბრუნდა და უთხრა: «ახლა წადი და დაწექი, ისედაც ბევრი იმუშავე (უნდოდა, გვეფიქრა, რომ მისი ქალიშვილის შენახვა არაფერი გვიჯდებოდა, ნახევრად მშიერი იყო და ჩვენი გულისთვის სამუშაოს თავს აკლავდა). დაყუდებულხარ სამზარეულოში და ბატონს, რომელიც სტუმარს ელის, ხელს უშლი; წადი, მაღლა ადი», – ისე გაუმეორა, თითქოს დასაძინებლად ისე არ წავიდოდა, თუ არ უბრძანებდა; ქალიშვილი კი თავაზიანობის გამო მაინც სამზარეულოში რჩებოდა და, ხუთიოდე წუთიც რომ შევყოვნებულიყავი, თვითონვე მოკურცხლავდა აქედან. მერე ჩემკენ შემობრუნებულმა ფრანსუაზმა თავისი მშვენიერი ხალხური ფრანგულით მითხრა: «შეხედეთ ერთი, ბატონო, ისე ეძინება, თავი უკვდება». ბედნიერი ვიყავი, რომ ფრანსუაზის ქალიშვილთან ლაპარაკმაც არ მომიწია.

უკვე ვთქვი, რომ ორივე ერთ პატარა მხარეში დაიბადა, ოღონდ სხვადასხვა სოფელში; ეს სოფლები ერთმანეთისგან არა მარტო ნიადაგის შემადგენლობით განსხვავდებოდა, არამედ მცენარეულობითაც, კილოთიც და, რაც მთავარია, ადგილობრივ მცხოვრებთათვის დამახასიათებელი თავისებურებებით. ამიტომ იყო, რომ «მეყასბის ცოლს» და ფრანსუაზის ძმისწულს ერთმანეთისა თითქმის არაფერი ესმოდათ, სამაგიეროდ, ერთი საერთო თვისება ჰქონდათ, თუ სადმე გაგზავნიდით, რამდენიმე საათით «დასთან» ან «ბიძაშვილთან» ჩამოსხდებოდნენ და ლაპარაკის დამთავრებას ვეღარ ახერხებდნენ, ბოლოს და ბოლოს, ავიწყდებოდათ, რისთვის გაგზავნეს და უკან დაბრუნებულებს რომ ჰკითხავდნენ: «აბა, რა პასუხი მოიტანეთ, მარკიზ დე ნორპუსთან შვიდის თხუთმეტ წუთზე მისვლა შეიძლება?» შუბლზე ხელსაც არ იტკიცავდნენ, ისე იტყოდნენ: «აჰ, დამავიწყდა», «ვერ გავიგე, მარკიზისთვის ეს თუ უნდა მეკითხა, მეგონა, მხოლოდ სალამი უნდა გადამეცა». იმდენად

«თავდაკარგულები» იყვნენ, ერთი საათის წინ რა უთხრეს, არ ახსოვდათ, სამაგიეროდ, ვერავითარი ძალით თავიდან ვერ ამოუგდებდით იმას, რაც ღვიძლ დასთან ან ბიძაშვილთან ლაპარაკისას ტვინში ჩაეჭედათ. თურმე ყასბის ცოლს ვიღაცისგან გაეგო, რომ 70 წელს[99] ინგლისელები გვეომებოდნენ. სინამდვილეში, პრუსიასთან ვიბრძოდით. რამდენჯერ ავუხსენი, რამდენჯერ ვუთხარი, რომ მართალი არ იყო, მაგრამ, როგორც კი შემთხვევა მიეცემოდა, იმავეს იმეორებდა: «ყველაფერი იმიტომ ხდება, რომ სამოცდაათ წელს ინგლისი გვეომებოდა, აი მაშინ, როცა პრუსიელებიც გვებრძოდნენ». «არა, ასჯერ მაინც გითხარი, რომ ცდები!» მომდევნო

საუბარი კი ისევ გარწმუნებდათ, რომ თავის აზრზე ურყევად იდგა: «ყოველ შემთხვევაში, სამოცდაათი წლის შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა და უკვე დროა, ამ გაბოროტებას შევეშვათ» და სხვა. ერთხელ ინგლისთან ომის აუცილებლობის მტკიცებისას, რისი წინააღმდეგიც მე ვიყავი, განაცხადა: «ცხადია, ყოველთვის კარგია, როცა საქმე უომრად გვარდება, მაგრამ, თუ სხვანაირად არაფერი გამოდის, მაშინ უკეთესია, მოსახდენი მალე მოხდეს. ხომ გაიგეთ, ჩემმა დამ რაც თქვა? მას შემდეგ, რაც სამოცდაათში ინგლისელები გვეომებოდნენ, ისეთი სავაჭრო ხელშეკრულებები დაიდო, რაც ჩვენთვის გამაპარტახებელია; ხოლო, როცა ჩვენ დავამარცხებთ, ვერც ერთი ინგლისელი საფრანგეთში ფეხს ვერ შემოდგამს, ვიდრე სამას ფრანკს არ გადაიხდის, როგორც ახლა ჩვენ ვიხდით ინგლისში ჩასასვლელად».

ასეთები იყვნენ, თუ არად ჩავაგდებთ მათ უზადო პატიოსნებასა და იმ ველურ სიჯიუტეს, ლაპარაკისას რომ იჩენდნენ, საკუთარ თავს ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდნენ, თუ შეაწყვეტინებდი, ერთსა და იმავე ამბავს ოცჯერ მაინც წამოიწყებდნენ, რაც მათ ლაპარაკს ბახის ფუგის ურღვევ ერთიანობას ანიჭებდა, ასეთი განსაკუთრებული თავისებურებები ჰქონდათ ამ პატარა მხარის მცხოვრებთ, რომელიც სულ ხუთასიოდე კაცს თუ ითვლიდა და გარს წაბლისა და ტირიფის კორომები, კარტოფილისა და ჭარხლის მინდვრები ერტყა.

ფრანსუაზის ქალიშვილი კი თანამედროვე ქალად მიიჩნევდა თავს, წარსულის

გადმონაშთებისგან თავი შორს ეჭირა, პარიზულ ჟარგონზე ლაპარაკობდა და შემთხვევას არ უშვებდა ხელიდან, თავისად მიჩნეული ხუმრობა არ დაერთო. თუ ფრანსუაზი ეტყოდა, რომ მე პრინცესასთან ვიყავი სტუმრად, ის ამბობდა: «აა, ალბათ ქოქოსის თესლის პრინცესასთან». ცხადია, ეს ცუდი გემოვნების ნიშანი იყო. განსაკუთრებით ის არ მესიამოვნა, რაც ალბერტინის დაგვიანებასთან დაკავშირებით დასამშვიდებლად მითხრა: «ასე მგონია, მეორედ მოსვლამდე მოგიწევთ ლოდინი. არ მოვა. ოჰ, ეს დღევანდელი გომბიოები!»

აი, ასე განსხვავდებოდა მისი და დედამისის საუბარი ერთმანეთისგან, მაგრამ საოცრება ის იყო, რომ არც დედა ლაპარაკობდა ისე, როგორც ბებიამისი, რომელიც წარმოშობით ბაიო-ლე-პენიდან იყო, იქვე, ფრანსუაზის სოფლის ახლოს რომ მდებარეობდა, და მაინც ამ ორი სოფლის სალაპარაკო ენა, ისევე როგორც ბუნება,

სხვადასხვა იყო. ფრანსუაზის დედის სოფელი მიხვეულ-მოხვეულად დატალღულ-დაქანებულ ადგილზე მდებარეობდა, ხევისკენ ეშვებოდა და უამრავი ტირიფი ხარობდა. აქედან ძალიან შორს არის ერთი პატარა მხარე, სადაც თითქმის ისევე ლაპარაკობენ, როგორც მეზენგლიზში. ამ აღმოჩენამ ძალიან გამაღიზიანა. ერთხელ ფრანსუაზისა და ჩვენი სახლის რომელიღაც ოჯახის მოახლის გაცხოველებული საუბრის მოწმე გავხდი; ეს ქალი იმ მხარიდან იყო წარმოშობით და იქაურ კილოზე ლაპარაკობდა; თავად თითქმის ყველაფერი ესმოდათ ერთმანეთისა, მე კი ვერაფერი გავიგე, მათ ეს იცოდნენ და მაინც გააგრძელეს ლაპარაკი, ალბათ, თავის გასამართლებელ საბუთს სიხარულის იმ გრძნობაში

პოვებდნენ, რასაც თვისტომელის, თუნდაც სხვა მხარეში დაბადებულის, შეხვედრისას განიცდის ადამიანი, მაგრამ, სხვისი თანდასწრებით იმ ენაზე გააგრძელო ლაპარაკი, რომელიც მას არ ესმის, ჩემი აზრით, იმ ადამიანებს აძლევს ხელს, რომლებსაც არ სურთ, მათი საუბარი ვინმემ გაიგოს. თანაც გეოგრაფიული ლინგვისტიკის ეს თვალსაჩინო გაკვეთილები ჩვენს სამზარეულოში ყოველკვირა ტარდებოდა და უმცირეს სიამოვნებასაც არ მანიჭებდა.

ყოველთვის, როცა ჩვენი სახლის ალაყაფის კარი იღებოდა, კონსიერჟი ელექტრონის ღილაკს თითს აჭერდა, კიბე რომ გაენათებინა; ამ დროს, როგორც წესი, ყველა მობინადრე სახლში ბრუნდება; ვიჩქარე და სამზარეულო დავტოვე, წინა ოთახში შევედი, დავჯექი და შემინული კარის – ეს კარი ჩვენს ბინაში შედიოდა – იმ ნაწილს მივეხუტე, რომელსაც სქელი, მაგრამ ვიწრო ფარდა ვერ ფარავდა და ამ სივიწროვის გამო დარჩენილი ადგილი შავ ვერტიკალურ ზოლად ჩანდა, იმ ნახევარსიბნელის გამოხატულებად, კიბეს რომ ფარავდა. ზოლი უცბად ღია ოქროსფერი რომ გამხდარიყო, ეს უკვე იმის ნიშანი იქნებოდა, რომ ალბერტინი ქვევით იყო და ორიოდ წუთში აქ გაჩნდებოდა; ამ დროს სხვას არავის შეეძლო მოსვლა. ვიჯექი და ჩაბნელებულ ზოლს თვალს არ ვაშორებდი; მთელი სხეულით გადავიხარე, უკეთ რომ დამენახა, მაგრამ შავი ვერტიკალური ხაზი, როგორც უნდა მეყურებინა, ჩემი მგზნებარე სურვილის ჯინაზე, იმ მათრობელა ზეიმის გრძნობას არ აღმიძრავდა, რომელიც მაშინვე შემიპყრობდა, ჩემ თვალწინ უეცრად, რაღაც ჯადოსნური მაქინაციის წყალობით, ოქროსფრად მანათობელ ხაზად რომ

ქცეულიყო. ალბერტინის გამო მართლაც ვღელავდი, არადა, გერმანტების საღამოზე მასზე სამ წუთსაც არ მიფიქრია! უბრალო ფიზიკური სიამოვნების მოკლების შიში ჩემში მოუთმენლობის გრძნობას ამწვავებდა; ეს განცდა მქონდა მაშინაც, როცა სხვა გოგოებს ველოდი, განსაკუთრებით კი ჟილბერტს; მისი დაგვიანება აუტანელ სულიერ ტკივილს მაყენებდა.

სხვა რაღა მრჩებოდა, ჩემს ოთახში უნდა წავსულიყავი. ფრანსუაზიც კვალდაკვალ მომყვა. მისი ჭკუით, რადგან საღამოს წვეულებიდან უკვე დავბრუნდი, ღილ-კილოში ჩაბნეული ვარდი საჭირო აღარ იყო და მის მოსახსნელად მოვიდა. ფრანსუაზის მოძრაობამ შემახსენა, ალბერტინი მართლაც აღარ მოვიდოდა, და მაიძულა, საკუთარ

თავს გამოვტყდომოდი, რომ მის გამო მინდოდა, ელეგანტური ვყოფილიყავი; ამან გამაღიზიანა და ეს გრძნობა კიდევ უფრო გამიძლიერდა, როცა ვარდი ღილ-კილოდან ამოვიძრე და დავსრისე, და იმიტომაც, რაც ფრანსუაზმა მითხრა: «ჯობდა, მე მომეხსნა, ახლა ყვავილი უკვე აღარაფრად ვარგა». ისიც უნდა გითხრათ, რომ მისმა ამ უმნიშვნელო სიტყვებმაც წონასწორობიდან გამომიყვანა. როცა ვიღაცას ველით, ძალიან ვიტანჯებით, რადგან სასურველი არსება არ მოდის, ვიღაც სხვის ჩვენთან ყოფნა კი აუტანელი ხდება.

როცა ფრანსუაზი ოთახიდან გავიდა, გავიფიქრე, რა სამწუხაროა, რომ ახლა ალბერტინისთვის ვკოპწიაობ-მეთქი, არადა, უწინ, იმ საღამოებზე, საალერსოდ რომ ვეძახდი, რამდენჯერ

ვუნახივარ გაუპარსავი და რამდენიმე დღის შეუკრეჭავი წვერით! ისეთი შეგრძნება გამიჩნდა, თითქოს მან დამივიწყა და მარტოობა მელოდა. ჩემი ოთახი რაღაცით რომ გამელამაზებინა, იმ შემთხვევისთვის, თუ ალბერტინი მაინც მოვიდოდა, პირველად, რამდენიმე წლის შემდეგ მაგიდაზე, საწოლთან ახლოს, ჩემი ყველაზე ლამაზი ნივთი, ფირუზებით შემკული პორტფელი დავდე, რომელიც ჟილბერტმა ბერგოტის წიგნის შესანახად მაჩუქა და რომელსაც დიდხანს არ ვიშორებდი, ძილის დროსაც კი, და აქატის ბურთულის გვერდით მედო. მტანჯველი გრძნობა ჩემში არა მარტო იმ განცდას ბადებდა, რომ ალბერტინი არა და არ მოვიდოდა, არამედ იმის შეგნებასაც, რომ იგი ახლა «სადღაც იქ» იყო, უფრო სასიამოვნო და ჩემთვის უცნობ ადგილზე, რაც ჩემში ტკივილს იწვევდა და, თუმცა ერთი საათის წინ სვანს ვუთხარი, ეჭვიანობის უნარი არა მაქვს-მეთქი, ჩემს მეგობარს უფრო ხშირად რომ შევხვედროდი, შეიძლება მტანჯველ მოთხოვნილებად გადამქცეოდა, მცოდნოდა, სად და ვისთან ატარებდა დროს. ალბერტინისთან ვინმეს გაგზავნა ვერ გავბედე, უკვე ძალიან გვიანი იყო, მაგრამ იმ იმედით, იქნებ, სადმე კაფეში მეგობარ ქალებთან ვახშმობისას უცბად ჩემთან დარეკვა მოიფიქროს-მეთქი, ტელეფონი კონსიერჟის ოთახიდან ჩემთან გადმოვრთე, არადა, ღამით სატელეფონო სადგურთან კავშირი, ჩვეულებრივ, მხოლოდ კონსიერჟის მეშვეობით ხორციელდებოდა. ტელეფონის აპარატის დერეფანში დადგმა, სადაც ფრანსუაზის ოთახის კარი გამოდიოდა, თითქოს უფრო მოსახერხებელი იყო, მაგრამ ამას რა სარგებელი ექნებოდა. ცივილიზაციის ყოველი ახალი მონაპოვარი შესაძლებლობას იძლევა, საკუთარ თავში აღმოაჩინო აქამდე შეუმჩნეველი

ღირებულება ან ახალი ნაკლი, რისი წყალობითაც იგი უფრო ძვირფასი ხდება ანდა, პირიქით, აუტანელი. ასე რომ, ედისონის აღმოჩენამ ფრანსუაზის კიდევ ერთი ნაკლი დაგვანახა, რაც იმით გამოიხატა, რომ ტელეფონით სარგებლობა არ სურდა, თუმცა ძალიან მოსახერხებელი იყო, თანაც აუცილებელი. იგი, როცა გვინდოდა, მისთვის ტელეფონით სარგებლობის წესი გვესწავლებინა, თავის დასაძვრენ მიზეზს მუდამ პოულობდა, ისევე, როგორც ზოგიერთები ცდილობენ, აცრა აიცილონ. ამიტომ ტელეფონი ჩემს ოთახში დადგეს; მშობლები რომ არ შეეწუხებინა, ზარი მარტივი მოძრავი ღერძის ტკაცუნით შეცვალეს. იმის შიშით, ვაითუ, ეს ტკაცუნი ვერ გამეგო,

არ ვინძრეოდი. ისე გავისუსე, პირველად ამ რამდენიმე თვის განმავლობაში კედლის საათის წიკწიკი შემომესმა. ფრანსუაზი შემოვიდა, რაღაც ნივთს თავისი ადგილი მიუჩინა. ლაპარაკი დამიწყო, მაგრამ მისმა ერთფეროვანმა უმსგავსმა ყბედობამ ზიზღი მომგვარა, უწყვეტი ხმაურის თანხლებით ჩემი გრძნობები ყოველ წამს იცვლებოდა, შიში შეშფოთებაში გადადიოდა, შეშფოთება – სრულ სასოწარკვეთაში. ჩემდა უნებურად, რაღაც გაურკვეველი სიტყვებით კმაყოფილება გამოვუხატე, თუმცა ვგრძნობდი, უბადრუკი შესახედავი ვიყავი, ბოლოს და ბოლოს, რევმატიზმს დავაბრალე ყველაფერი, რათა ჩემს ნაძალადევ გახალისებასა და წამებულ გამომეტყველებას შორის შეუსაბამობა როგორმე ამეხსნა. თანაც მეშინოდა, ფრანსუაზის ხმას, თუმცა ჩუმად ლაპარაკობდა (ალბერტინის გამო არა, რადგან დარწმუნებული იყო, ასე გვიან აღარ მოვიდოდა), არ ჩაეხშო ის დამაიმედებელი ძახილი, რომელიც აღარ განმეორდებოდა. ბოლოს ეღირსა – ფრანსუაზი დასაძინებლად წავიდა;

ალერსიანად, ოღონდ მტკიცე გადაწყვეტილებით გავუშვი, რადგან წასვლის წინ შეიძლება ისეთი ფუსფუსი დაეწყო, რომ ტელეფონის ტკაცუნი სულ იოლად გამომპარვოდა. ისევ ყურისგდება და ტანჯვა დავიწყე; როცა ველოდებით, ორმაგი მანძილი ყურიდან, რომელიც ხმაურს აღიქვამს, გონებამდე, რომელიც ხმაურს ახარისხებს და ანალიზს უკეთებს, და გულამდე, რომელსაც გონება შედეგს აუწყებს, ისე მცირდება, მის სიგრძეს ვერ ვგრძნობთ და გვგონია, რომ უშუალოდ ჩვენს გულს ვუსმენთ.

მოხმობის ძახილის გაგონების ჯერაც აუსრულებელი სურვილის განუწყვეტელმა, დაჟინებულმა შემოტევებმა ილაჯი გამიწყვიტა; და, როცა ჩემი მარტოდშთენილი სევდის მწვერვალისკენ აღმასვლა დავიწყე, ხალხმრავალი პარიზის წიაღიდან მე და ჩემი წიგნების კარადებს, ზუსტად ისევე, როგორც «ტრისტანში» აფრიალებული შარფი ანდა მწყემსი ქალების სალამურზე დაკვრა, ტელეფონის ტკაცუნის მეტალური, საუცხოო ხმა მოგვიახლოვდა. აპარატს მივვარდი, ალბერტინი რეკავდა. «ასე გვიან რომ გირეკავთ, ხომ არ გაწუხებთ?». «არა, რას ბრძანებთ...» – თავშეკავებული სიხარულით ვუპასუხე, სიხარული კი იმან გამოიწვია, რომ უდროო დროის ხსენება უფრო იმას ნიშნავდა – ის მოვიდოდა ახლა, ასე გვიან, და ამის გამო მომიბოდიშებდა და არა იმიტომ, რომ მოსვლაზე უარს მეტყოდა. «მოხვალთ?» – გულგრილად ვკითხე. «ალბათ, არა... თუ, ცხადია, უჩემოდ ცუდად არ იგრძნობთ თავს».

ჩემი არსების ერთი ნაწილით, რომელთან შეერთებასაც მეორე ნაწილი ლამობდა, ალბერტინში ვცხოვრობდი. აუცილებლად უნდა მოსულიყო, მაგრამ ეს მაშინვე არ მითქვამს მისთვის; და, რადგან ჩვენ შორის უკვე არსებობდა სატელეფონო კავშირი, მივხვდი, ბოლო წუთებშიც შევძლებდი მის მოყვანას ანდა მისი ნებართვით თვითონ მივირბენდი მასთან. «ძალიან ახლოს ვარ ჩემს სახლთან, – მითხრა მან, – თქვენი სახლიდან კი ცოტა მოშორებით. თქვენი წერილი კარგად ვერ გავიგე. ახლა გადავიკითხე და შემეშინდა, ვაითუ, ისევ მელოდება-მეთქი». ვგრძნობდი, სიმართლეს არ ამბობდა, და ახლა უკვე ჯავრის ამოსაყრელად მინდოდა

შეშფოთებულიყო, იძულებით მოსულიყო და არა იმდენად იმისთვის, რომ მისი ნახვა მეოცნებებოდა. მაგრამ ჯერ უარი უნდა მეთქვა იმაზე, რისთვისაც რამდენიმე წამში უნდა მიმეღწია. ნეტავ, სად არის? მის ხმას სხვა ხმებიც შეერია: მოტოციკლის საყვირის, ქალის სიმღერის, ფანფარის შორეული ხმები, და ეს ხმები არანაკლებ გასაგებად ჟღერდა, ვიდრე ჩემთვის ესოდენ ძვირფასი ხმა; ისინი თითქოს საგულისგულოდ ჩემთვის გასაგებად ხმაურობდნენ, რათა ზუსტად მივხვედრილიყავ, რომ ეს – ალბერტინი იყო ყველა იმასთან ერთად, ვინც ახლა მის გარშემო ირეოდა. ხმაური, ჩემამდე რომ აღწევდა, ალბერტინისაც ესმოდა და ყურადღების მოკრებაში უშლიდა ხელს: ეს იყო ჩვეულებრივი ცხოვრებისეული წვრილმანი, რომელსაც მასთან არანაირი კავშირი არ ჰქონდა, თავისთავად არასაჭირო, მაგრამ აუცილებელი, რათა იმ სასწაულის უეჭველობა დამტკიცებულიყო, ერთი მშვენიერი ძუნწი ხელის მოსმით რომ შეიქმნა პარიზის რომელიღაც ქუჩაზე ან სასტიკ, უკმეხ, თვალწარმტაცად

მბრწყინავ რჩეულთა რომელიღაც წვეულებაზე, რის გამოც ალბერტინი «ფედრას» შემდეგ ჩემთან არ მოვიდა. «ახლა რასაც გეტყვით, ისე არ გამიგოთ, თითქოს მოსვლას გთხოვდეთ, რადგან ასე გვიან თქვენი მიღება ძალიან დამღლის, ისედაც, ისე მეძინება, ვკვდები... – ვუთხარი მე, – გარდა ამისა, რაღაც საშინელ დომხალს აქვს ადგილი. მაგრამ გარწმუნებთ, ჩემს წერილში გაუგებარი არაფერი ყოფილა, თქვენ მიპასუხეთ – აუცილებლადო. თუ ჩემი წერილი ვერ გაიგეთ, მაშინ ამით რისი თქმა გსურდათ?». «მართლაც ვთქვი, აუცილებლად-მეთქი, მაგრამ ვერ ვიხსენებ, რა აუცილებლად. ვხედავ, გულმოსული ხართ და ეს მაწუხებს. ვნანობ, «ფედრაზე» რომ წავედი. რომ მცოდნოდა, ამას მთელი ამბები მოყვებოდა...» – დაუმატა მან, ასე მუდამ რაღაცაში დამნაშავე ადამიანები ლაპარაკობენ, რომლებიც თვალთმაქცობენ, თითქოს დარწმუნებულნი არიან, რომ სხვა რამეში ადანაშაულებენ. «ფედრა» არაფერ შუაშია, მე გთხოვეთ, ეს სპექტაკლი გენახათ». «და მაინც ჩემზე ნაწყენი დარჩით. სამწუხაროა, რომ ახლა ძალიან გვიანია, მაგრამ ხვალ ან ზეგ მოვალ და პატიებას გთხოვთ. – არა, არა, ალბერტინ, საჭირო არ არის, თქვენ გამო მთელი საღამო დავკარგე, რამდენიმე დღე მაინც მამყოფეთ მშვიდად. მხოლოდ ორი-სამი კვირის შემდეგ ვიქნები თავისუფალი. და, თუ თქვენთვის უსიამოვნოა, რომ ერთმანეთს ნაჩხუბრები ვშორდებით, ცხადია, ამ შემთხვევაში მართალი ბრძანდებით, მაშინ გთავაზობთ – დაღლილობით გამითანაბრდებით, ვინაიდან ასე დიდხანს გელოდით და, რადგან სახლში მაინც არა ხართ, ახლავე ჩემთან მოხვიდეთ. გამოსაფხიზლებლად კი ყავას დავლევ». «არ შეიძლება, ხვალისთვის გადავდოთ? ხომ

დამღლელია...» მის სიტყვებში დამნაშავის ტონი დავიჭირე, მივხვდი, მოსვლა არ უნდოდა. წყურვილი ვიგრძენი, კვლავ მენახა ხავერდოვან ელფერგადაკრული სახე, ჯერ კიდევ ბალბეკში ყოველი ჩემი დღე იმ წამს რომ მაახლოებდა, როცა სექტემბრის იასამნისფერი ზღვის ნაპირზე ჩემ გვერდით ეს ვარდისფერი ყვავილი აღმოჩნდებოდა, რომლისთვისაც ახლა სასოწარკვეთილი ძალისხმევის ფასად ვცდილობდი, სულ სხვა ელფერი შემემატებინა. მტანჯავი მოთხოვნილება, ვიღაც

ყოფილიყო ჩემთან, კომბრეშიც განმიცდია, როცა სიკვდილი მინდოდა, თუ დედაჩემი ფრანსუაზის პირით შემომითვლიდა, რომ ჩემს ოთახში ამოსვლა არ შეეძლო. უწინდელი გრძნობის ძალისხმევის გვირგვინს ახლა სხვაც უერთდება, ახალი, ვარდისფერი შეფერილობის სანაპიროს ყვავილის მოხატულ ზედაპირზე ავხორცულად განფენილი; ამ ძალისხმევის გვირგვინს ხშირად ახალი სხეული წარმოადგენს (ქიმიური გაგებით), მხოლოდ რამდენიმე წამით არსებული. ყოველ შემთხვევაში, იმ საღამოს და მერეც დიდხანს ორივე გრძნობა ერთმანეთისგან გათიშული იყო. ტელეფონში ნათქვამი ალბერტინის ბოლო სიტყვები გავიგე და მივხვდი, მისი ცხოვრება (ცხადია, მატერიალური არა) ისეთი დიდი მანძილით იყო დაშორებული ჩემგან, აქ რომ შემომეტყუებინა, მუდამ ხანგრძლივი ძიებითი სამუშაოები დამჭირდებოდა. მისი ცხოვრება საველე სიმაგრესავით იყო მოწყობილი, ისე, უფრო მეტი საიმედოობისთვის, მოგვიანებით «კამუფლიაჟური» შენიღბვის სახელი რომ მიიღო. მართალია, ალბერტინი საზოგადოებრივი ცხოვრების კიბის უფრო მაღალ საფეხურზე იდგა, მაგრამ, სინამდვილეში, აი, როგორი ქალების რიგს მიეკუთვნებოდა: თქვენგან გაგზავნილ შიკრიკს

კონსიერჟი ქალი ჰპირდება, რომ წერილს მაშინვე გადასცემს, როგორც კი იგი შინ დაბრუნდება; მერე შემთხვევით იგებთ, რომ ის ადამიანი, ვისაც ქუჩაში შეხვდით, გაუფრთხილებლობაც გამოიჩინეთ და წერილი მისწერეთ, სწორედ ეს კონსიერჟი ქალია. ის მართლაც იმ სახლში ცხოვრობს, რომელზეც ხელით მიგანიშნათ, ოღონდ კონსიერჟის ბინაში (სინამდვილეში, ეს პატარა სახლი პაემნების სახლია, რომლის დიასახლისიც თვითონ არის). ეს ცხოვრება რამდენიმე სიმაგრით არის დაცული, ასე რომ, კიდეც რომ მოისურვოთ ამ ქალის ნახვა ან გაარკვიოთ, ვინ არის, აღმოჩნდება, ან მეტისმეტად მარჯვნივ გადაუხვიეთ, ანდა მარცხნივ, ან მეტისმეტად წინ აღმოჩნდით, ანდა უკან წამოხვედით, ასე გავა რამდენიმე თვე, რამდენიმე წელი და მაინც ვერაფერს გაიგებთ. ვგრძნობდი, ალბერტინის შესახებ ვერასოდეს ვერაფერს შევიტყობდი, ერთმანეთში გადახლართული მოგონილი და ნამდვილი ფაქტების კვანძს ვერასოდეს გავხსნიდი. ასე იქნებოდა ბოლომდე, ცხადია, თუ ციხეში არ ჩასვამდნენ (მაგრამ პატიმრები ხომ გარბიან კიდეც). ამ საღამოს ეს ვარაუდი მსუბუქი მღელვარებით გამოიხატა, და ამ მღელვარებაში ბუნდოვნად გავარჩიე ხანგრძლივი ტანჯვის წინათგრძნობის თრთოლა.

«არა, არა, – ვუპასუხე, – უკვე გითხარით, მხოლოდ სამი კვირის შემდეგ გავთავისუფლდები; ხვალაც ისევე ვარ დაკავებული, როგორც დანარჩენ დღეებში». «კარგი... მოვრბივარ... სამწუხარო ის არის, რომ მეგობარ გოგონასთან ვარ, ის კი...» – ვიგრძენი, მის ხმაში იმედი გამოკრთა, რომ მის წინადადებას არ მივიღებდი, მე კი მისი კედელთან მიმწყვდევა გადავწყვიტე. «რა მესაქმება

თქვენს მეგობართან? მოხვალთ თუ არ მოხვალთ, თქვენი საქმეა. მე მოსვლა არ მითხოვია, თვითონ შემომთავაზეთ». «ნუ ბრაზდებით, ახლავე ფიაკრს ვიქირავებ და ათი წუთის შემდეგ თქვენთან ვიქნები». აი ასე, უკვე განვსაზღვრე შუაღამის პარიზის სიღრმიდან ჩემს ოთახამდე ჩემგან შორს მყოფი არსების მოქმედების რადიუსი,

უხილავმა ცნობამ მოაღწია, რომ აგერ-აგერ გამოჩნდება ის ალბერტინი, რომელიც ოდესღაც ბალბეკის ცის ქვეშ დავინახე, როცა გრანდ-ოტელის ოფიციანტებს მაგიდების გაწყობისას თვალს უბრმავებდა ჩამავალი მზის სხივები, ბოლომდე გამოღებული ფანჯრებიდან უკანასკნელი მოსეირნენი მოჩანდნენ, საღამოს ნიავი კი თავისუფლად დანავარდობდა უზარმაზარ სასადილო დარბაზში, სადაც პირველ სტუმრებს უკვე სავახშმოდ სვამდნენ, ხოლო სარკეში რივბელში მიმავალი ბოლო გემის წითელი ანარეკლი მიცურავდა, რომლის ნაცრისფერი კვამლის კვალიც სარკეს დიდხანს შემორჩა. საკუთარი თავისთვის უკვე აღარც მიკითხავს, ალბერტინმა რატომ დაიგვიანა, ხოლო, როცა ფრანსუაზი შემოვიდა და გამომიცხადა: «მადმუაზელ ალბერტინი მოვიდა», თავიც არ შემიბრუნებია, ისე გამოვხატე ნაძალადევი გაოცება: «მადმუაზელ ალბერტინი? ასე გვიან?» მერე თვალი ფრანსუაზს მივაპყარი, თითქოს ძალიან მაინტერესებდა, გამეგო, ჩემს კითხვას, რომელიც მოჩვენებით გულწრფელი ტონით დავსვი, დადებითად უპასუხებდა თუ არა. მაგრამ ფრანსუაზმა ისწავლა, ასეთ შემთხვევაში როგორ უნდა მოქცეულიყო. შემეშინდა, ფრანსუაზს არ ეფიქრა, ალბერტინის გვიანი მოსვლის გამო რომ მოვუბოდიშებდი და ვუთხარი: «მაინც მიხარია, რომ მოვიდა. ძალიან კარგია», – და აღტაცება მკვეთრი ხმაურით გამოვხატე. ოღონდ

ჩემი აღფრთოვანება იმ წუთამდე გაგრძელდა, ვიდრე ფრანსუაზი ალაპარაკდებოდა. არაფერზე დაუჩივლია, ისეთი სახეც კი მიიღო, თითქოს მოწოლილ ხველებას იკავებდა, მხოლოდ შეციებულივით შალში გაეხვია და იმ ყველაფრის გადმომღერება დაიწყო, რაზეც ახლახან ალბერტინთან ილაპარაკა, არც დედამისის მოკითხვა დავიწყებია: «პირდაპირ ვუთხარი, ბატონი უკვე აღარც ფიქრობდა, რომ მადმუაზელი მობრძანდებოდა, რადგან გვიანია და აქეთ-იქით სიარულის დრო აღარ არის, მალე გათენდება კიდეც-მეთქი. მაგრამ, ეტყობა, ისეთ ადგილას ბრძანდებოდა, სადაც დიდი მხიარულება იყო. არაფერი მიპასუხა; ის მაინც ეთქვა, ჩემთვისაც არასასიამოვნოა, ამდენ ხანს რომ ვალოდინეო. თანაც ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს ყველაფერი ფეხებზე ეკიდა. ბოლოს აი რა მიპასუხა: ჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო. მერე იმისთანა სიტყვები დაუმატა, გული განმიგმირა: «ალბათ, ურჩევნია კიდეც, ყოველივე ფარულად დარჩეს, მაგრამ...»

ამ ყველაფერში ჩემთვის გასაოცარი არაფერი ყოფილა. უკვე გითხარით, ფრანსუაზი, შეასრულებდა თუ არა დავალებას, ამჯობინებდა, ანგარიში იმის შესახებ ჩაებარებინა, რაც თვითონ ილაპარაკა, თავის ნათქვამს უამრავჯერ ყვებოდა, თან განსაკუთრებული სიამოვნებით, იმაზე კი, რა უპასუხეს, არაფერს ამბობდა. და, თუ გამონაკლისი სახით, მოკლედ გადმოგვცემდა ჩვენი კეთილი ნაცნობების პასუხს, ლაპარაკის ტონით, ზოგჯერ გამომეტყველებითაც ცდილობდა, გვეგრძნო ჩვენთვის მეტ-ნაკლებად საწყენი ის კილო, რომელიც, როგორც ის

გვიმტკიცებდა, მათ ნათქვამსა და სახეებზე იყო ასახული. უკიდურეს შემთხვევაში კი, იმით კმაყოფილდებოდა, რომ გვიყვებოდა, მომწოდებელმა, რომელთანაც გავგზავნეთ, როგორ მიაყენა შეურაცხყოფა, ჩანს, ამას თვითონვე თხზავდა, ოღონდ

თავის ნათქვამს ისეთ ელფერს აძლევდა, რომ თავისთავად იგულისხმებოდა: დიახ, მართალია, შეურაცხყოფა მას მიეყენეს, მაგრამ, რადგან ჩვენი წარმომადგენელი იყო და ჩვენი სახელით ლაპარაკობდა, ეს შეურაცხყოფა რიკოშეტით ჩვენც გვეხებოდა. მისი გადარწმუნება გვიხდებოდა, რომ ნათქვამი კარგად ვერ გაიგო, რომ დევნის მანია სჭირს, რომ ყველა ვაჭარი, ერთდროულად, მასზე გალაშქრებას ვერ შეძლებს. მაგრამ ვაჭრების განცდები ნაკლებად მაღელვებდა. აი, ალბერტინისთან დაკავშირებით კი საქმე სხვანაირად იყო. როგორც კი ფრანსუაზმა ალბერტინის ხუმრობით ნათქვამი სიტყვები «ჯობს გვიან, ვიდრე არასდროს» გაიმეორა, ჩემს წარმოსახვაში მაშინვე წამოიშალნენ მისი მეგობრები, საზოგადოება, ვისთანაც ალბერტინმა საღამოს დარჩენილი ნაწილი გაატარა და ვისთანაც, როგორც ჩანს, უფრო მხიარულად იყო, ვიდრე ჩემთან. «სასაცილო ვინმეა; ბრტყელი, პატარა ქუდი ახურავს; ახლა – თვალები, დიდი თვალები, კომიკურ იერს აძლევს; განსაკუთრებით კი მანტო, რომელიც დიდი ხანია განახლებას მოითხოვს, რადგან მთლად ჩრჩილისგან არის შეჭმული». – დამცინავად დაუმატა ფრანსუაზმა, თუმცა მისი შთაბეჭდილებები იშვიათად თუ ემთხვეოდა ჩემსას, მაგრამ თავს ვერ იკავებდა, ისე უნდოდა მათი ჩემთვის გაზიარება. არ მინდოდა, მიმხვდარიყო, რომ მის ტონში ზიზღისა და დაცინვის ნიშნები შევამჩნიე, მაგრამ დარტყმისთვის დარტყმით უნდა მეპასუხა და, თუმცა

შლაპა, რომელზეც ის ლაპარაკობდა, არასოდეს მინახავს, ფრანსუაზს ვუთხარი: «რასაც თქვენ პატარა, ბრტყელ ქუდს ეძახით, სინამდვილეში მშვენიერი რამეა». «კი, აბა. მასში გახვრეტილ შაურიანსაც არავინ გადაიხდის», – მიპასუხა, ოღონდ ამჯერად ღიად გამოხატა თავისი ზიზღი. მაშინ (ალერსიანი, საგანგებოდ შენელებული ხმით, რათა სიცრუე, ჩემი პასუხი რომ შეიცავდა, აღქმულიყო არა როგორც სიბრაზის გამოხატულება, არამედ სიმართლისა, ამასთან, დროც არ უნდა დამეკარგა – ალბერტინს დიდხანს ხომ არ ვალოდინებდი) ულმობელი სიტყვები ვუთხარი: «დიდებული ადამიანი ხართ, საყვარელი, უამრავი ღირსებით შემკული, მაგრამ, როგორიც ჩამოხვედით პარიზში, ისეთივე დარჩით. ადამიანის ჩაცმულობისა არაფერი გაგეგებათ, ძველებურად ისეთი სიტყვებით ლაპარაკობთ, ქათმებსაც გაეცინებათ. და, – დავუმატე, – რადგან ამდენი წლის შემდეგაც ვერაფერი ისწავლეთ, ამიტომ ახლაც ვერაფერს შეუშვებთ თავში, მაგრამ შეგიძლიათ მშვიდად ბრძანდებოდეთ, ეს ხელს არ შეგიშლით, კარგი ადამიანი იყოთ, მშვენივრად მოამზადოთ ძროხის ხორცი და კიდევ სხვა ათასი რამ. ხოლო შლაპა, რომელიც უბრალო გეჩვენათ, პრინცესა დე გერმანტის შლაპის მიხედვით არის შეკერილი, პრინცესას კი ეს შლაპა ხუთასი ფრანკი დაუჯდა. თანაც უახლოეს ხანში ვაპირებ, მადმუაზელ ალბერტინს ახალი, ამაზე უკეთესი შლაპა ვაჩუქო». ვიცოდი, ფრანსუაზისთვის იმაზე გულსატკენი არაფერი იყო, როცა ფულს იმათთვის ვფლანგავდი, ვინც მას არ უყვარდა. რაღაც მიპასუხა, ვერ გავარჩიე, რადგან სულის ხუთვის შეტევა დაეწყო. და, როცა მოგვიანებით გავიგე, რომ გულით ავადმყოფი ყოფილა, სინდისის ქენჯნა არ მასვენებდა იმის გაფიქრებაზე,

რომ მასთან კინკლაობის ჩემს არაადამიანურ და უნაყოფო სიამოვნებაზე უარი ვერასოდეს ვთქვი! ფრანსუაზი ალბერტინს იმიტომ ვერ იტანდა, რომ ღარიბ ალბერტინთან მეგობრობით ვერაფერს ვიგებდი იმ უპირატესობაზე მეტს, რაც მის თვალში მქონდა. იგი ყოველთვის კეთილმოსურნედ იღიმებოდა, როცა მარკიზა დე ვილპარიზი მეპატიჟებოდა. ის, რომ ალბერტინი სტუმრად არასოდეს მეძახდა, აღაშფოთებდა. ბოლოს ტყუილებსაც ვიგონებდი, ვითომ ესა თუ ის საგანი ალბერტინმა მაჩუქა, მაგრამ ფრანსუაზს ჩემი არ სჯეროდა. განსაკუთრებით ჩვენი ურთიერთგამასპინძლების საკითხი არ მოსწონდა. ალბერტინი სადილად მაშინ მოდიოდა, როცა დედაჩემი ეპატიჟებოდა, თუ, რა თქმა უნდა, ქალბატონ ბონტანთან არ ვიყავით მიწვეული (ის მხოლოდ ნახევარ წელს ატარებდა პარიზში, რადგან მის ქმარს სამინისტროში გაძლება აღარ შეეძლო და ხან ერთ ქალაქში ეკავა სხვადასხვა თანამდებობა, ხან მეორეში), და ფრანსუაზს ჩემი მეგობრის ასეთი საქციელი უზრდელობად მიაჩნდა, რაც კომბრეული ლათიით გამოხატა კიდეც:

– ვჭამოთ ჩემი პური.

– ძალიან მშია.

– ახლა შენიც შევჭამოთ.

– აღარ მშია.

ისეთი სახე მივიღე, ვითომ წერილს ვწერდი. «ვის სწერთ?» – მკითხა შემოსვლისას ალბერტინმა. «ერთ ჩემ ახლო მეგობარს, ჟილბერტ სვანს. იცნობთ?». «არა». აღარ გამოვკითხე, როგორი საღამო გაატარა. ვგრძნობდი, საყვედურებით ავავსებდი, დრო კი აღარ გვქონდა, გვიანი იყო, საბოლოო შერიგებას ვეღარ მოვასწრებდით, დრო არც კოცნისა და ალერსისთვის გვეყოფოდა, ამიტომ პირდაპირ ამით მინდოდა დაგვეწყო. ოდნავ დავმშვიდდი, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, ისეთი შეგრძნება მქონდა, ბედნიერი არ ვიყავი. გზის მაჩვენებლის, ორიენტაციის დაკარგვის გრძნობა ლოდინს ახასიათებს, მაშინაც არ ქრება, როცა ის ადამიანი მოდის, ვისაც ველოდით; იგი, ეს გრძნობა, სიმშვიდეს ავიწროებს, არადა, სრულიად დამშვიდებულს წარმოგვიდგენია ნალოდინარი უზარმაზარი სიხარულის გამოცხადება, მაგრამ დაკარგვის შიშით გემოსაც ვერ ვუსინჯავთ. ალბერტინი ჩემთან იყო, მაგრამ ნერვები ისე მქონდა ლოდინით გაღიზიანებული, ისევ მას ელოდა. «ალბერტინ, შეიძლება, ერთი მაგრად გაკოცოთ?». «რამდენიც გნებავთ», – მიპასუხა და ამ პასუხში მთელი მისი კეთილი სული აისახა. ასეთი ლამაზი არასოდეს მინახავს. «კიდევ ერთი? ხომ იცით, ეს ჩემთვის უზარმაზარი სიამოვნებაა, უზარმაზარი!» «ჩემთვის კი ათასჯერ მეტი, – მიპასუხა მან. «ო, რა ლამაზი პორტფელი გაქვთ!». «წაიღეთ. საჩუქრად გქონდეთ». «ოო, რა კეთილი ხართ!..» ყოველგვარი რომანტიკულისაგან ერთხელ და სამუდამოდ გავთავისუფლდებოდით, თუ იმაზე ფიქრისას, ვინც გვიყვარს, ვეცდებოდით,

ისეთი ვყოფილიყავით, როგორებიც მაშინ გავხდებით, როცა მას გადავიყვარებთ. ჟილბერტის პორტფელი და აქატის ბურთულა, ჩემთვის უწინ რომ ასე ძვირფასი იყო,

ძვირფასი მხოლოდ ჩემი სულისთვის, ახლა ჩემს თვალში ჩვეულებრივ პორტფელად და ჩვეულებრივ ბურთულად იქცა.

ალბერტინს ვკითხე, დალევა ხომ არ გნებავთ-მეთქი. «მგონი, აგერ, იქ ფორთოხალსა და წყალს ვხედავ, – მითხრა მან. – ამაზე უკეთესი რაღა იქნება». ასე რომ, ალბერტინის კოცნასთან ერთად იმ სიგრილითაც ვისიამოვნე, რომელიც პრინცესა დე გერმანტის წვეულებაზე კოცნაზე მეტი შვების მომცემი იყო. ფორთოხლის წვენში გარეულ წყალს ვსვამდი და მეჩვენებოდა, რომ იგი ნაყოფის მწიფობის საიდუმლოს მაზიარებდა, მაზიარებდა ადამიანის ორგანიზმის სხვადასხვა მდგომარეობაზე თავისი კეთილისმყოფელი ზემოქმედების უნარს, რომელიც სხვა სამყაროს მიეკუთვნებოდა და მის სამყაროს არ ჰგავდა, არ მალავდა თავის უღონობას ორგანიზმის გამოსაცოცხლებლად, სამაგიეროდ, სინოტივეს გამოცემდა, რაც შეიძლება მისთვის სასარგებლოც ყოფილიყო. მოკლედ, ჩემი გრძნობების ბევრი საიდუმლო ნაყოფის წვენს ვანდე და არა გონებას.

როცა ალბერტინი წავიდა, გამახსენდა, რომ სვანს დავპირდი, ჟილბერტს წერილს მივწერ-მეთქი და გადავწყვიტე, ეს ახლა გამეკეთებინა. უმცირესი მღელვარებაც არ განმიცდია, თითქოს

მოსაწყენ სასკოლო თხზულებას ვამთავრებდი, როცა კონვერტზე ჟილბერტ სვანი დავაწერე; ოდესღაც მთელი ჩემი რვეულები ამ სახელით მქონდა აჭრელებული, რათა მასთან მიმოწერის ილუზია შემექმნა. ადრე ჟილბერტის სახელს თვითონ ვწერდი, ახლა ჩვეულებამ ეს მოვალეობა იმ მრავალრიცხოვანი მდივნებიდან, დამხმარედ რომ აიყვანა, ერთ-ერთს დაავალა. მდივანს შეეძლო, მშვიდად გამოეყვანა ჟილბერტის სახელი, ჩვეულებამ ხომ სულ ახლახან დაიწყო ჩემთან ჩვეულებად მუშაობა, ჟილბერტს არ იცნობდა, ჩემგან შეიტყო მისი არსებობის შესახებ. მხოლოდ ის იცოდა, რომ ოდესღაც მიყვარდა, ამ სიტყვების უკან კი მისთვის რეალური სხვა არაფერი იდგა.

საფუძველი არ მქონდა, ჟილბერტი გულცივობაში დამედანაშაულებინა. იმას, ვინც ახლა მისთვის ვიყავი, მხოლოდ «მოწმის» სახელი მიესადაგებოდა, სრულიად შესაფერისი იმისთვის, რომ გავიგოთ, რა იყო ის ჩემთვის. პორტფელმა, აქატის ბურთულამ ალბერტინთან დაკავშირებით ისევ ის მნიშვნელობა დაიბრუნა, რაც ჟილბერტთან მიმართებით ჰქონდა, როგორიც ყოველი ადამიანისთვის შეიძლება ჰქონდეს, თუ მათ თავისი შინაგანი ცეცხლის ანაბზენით მოქმედებაში მოიყვანს. მაგრამ ამჯერად ჩემი სული სულ სხვაგვარად იყო აფორიაქებული და ეს ახალი შფოთიც სიტყვისა და საგნების ჭეშმარიტი ძალის გაგებას ამახინჯებდა. და, როცა ალბერტინმა კიდევ ერთხელ გადამიხადა მადლობა და წამოიძახა: «ო, როგორ მიყვარს ფირუზები!» – ვუპასუხე: «გაუფერულების ნება არ მისცეთ», – მჯეროდა, ჩვენი

მეგობრობა ისეთივე მტკიცე იქნებოდა, როგორი მტკიცეც ეს ქვები იყო, თუმცა ყოველგვარი ლაპარაკი მომავლის შესახებ, ალბერტინის თანაგრძნობა რომ

გამომეწვია, ისეთივე უძლური იყო, როგორი უძლურიც აღმოჩნდა იმ გრძნობის შესანარჩუნებლად, ოდესღაც ჟილბერტთან რომ მაკავშირებდა.

იმ ხანებში შეინიშნებოდა მოვლენა, რომლის ხსენებაც მხოლოდ იმიტომ არის საჭირო, რომ იგი ყველა მნიშვნელოვან ისტორიულ ეპოქაში მეორდება. როცა ჟილბერტს წერილს ვწერდი, მასკარადიდან დაბრუნებულ ბატონ დე გერმანტს, მუზარადის მოხდაც ვერ მოასწრო, გაახსენდა, რომ ხვალ, უნდოდა თუ არა, სამგლოვიარო ტანსაცმლის ჩაცმა მოუწევდა, ამიტომ ერთი კვირით ადრე გადაწყვიტა სამკურნალო წყლებზე წასვლა. სამი კვირის შემდეგ დაბრუნდა (წინ გავრბივარ, რადგან ეს-ეს არის დავამთავრე ჟილბერტთან გასაგზავნი ბარათი), ჰერცოგის მეგობრები, რომლებმაც იცოდნენ, რომ იგი დრეიფუსის საქმის დასაწყისში სრულ გულგრილობას იჩენდა, მერე კი მძვინვარე ანტიდრეიფუსარი გახდა, გაოგნდნენ, როცა მისგან ასეთი სიტყვები მოისმინეს (შეიძლება, კაცს ეფიქრა, რომ სამკურნალო წყლის მოქმედება მხოლოდ საშარდე ბუშტზე არ ვრცელდება): «საქმე გადაიხედება და მას გაამართლებენ; ვერ დასჯიან ადამიანს, რომლის წინააღმდეგაც სამხილი არ არსებობს. ოდესმე გინახავთ სიბერისგან ისე გაბავშვებული ადამიანი, როგორიც ფრობერვილია? ოფიცერი ფრანგებისთვის სასაკლაოს ამზადებს (უბრალოდ რომ ვთქვათ, ომს)! უცნაური დრო მოვიდა!» საქმე ის გახლავთ, რომ

წყლებზე ჰერცოგმა დე გერმანტმა სამი უმშვენიერესი ქალი გაიცნო (იტალიელი პრინცესა და მისი ორი მული). წაკითხულ წიგნებზე და კაზინოში დადგმულ სპექტაკლზე მათ მსჯელობას რომ მოუსმინა, ჰერცოგი მაშინვე მიხვდა, ეს ქალები გონებრივად მასზე განვითარებულნი იყვნენ და, როგორც თვითონ იტყოდა, მათ ვერ გაეჯიბრებოდა. აი, რატომ გაუხარდა, როცა პრინცესასგან ბრიჯის სათამაშოდ მიწვევა მიიღო. მაგრამ ის იყო შევიდა პრინცესასთან, რომ თავისი მოუთმენელი ანტიდრეიფუსარული სიფიცხით თქვა: «ყბადაღებული დრეიფუსის საქმის გადახედვით ხომ ყველაფერი დამშვიდდა», ძალიან გაოცდა, როცა პრინცესა და მისი მულები შეედავნენ: «რას ბრძანებთ, ასეთი აქტიური არასოდეს ყოფილა. უახლოესი მომავლის საქმეა. საკატორღო ციხეში უდანაშაულო ადამიანის გაჩერება როგორ შეიძლება». «რას ბრძანებთ? რას ბრძანებთ?» – ისე დაბნეულად ჩაიდუდუნა ჰერცოგმა, თითქოს ამ სახლში დამამცირებელი მეტსახელი შეარქვეს ადამიანს, რომელიც ჭკვიან კაცად მიაჩნდა. რამდენიმე დღის შემდეგ კი, მსგავსად იმისა, ჩვენი სულმოკლეობის გამო დიდ მსახიობს რომ ვუყვიროთ «ეე, ჟოჟოტ», მხოლოდ იმიტომ, რომ ერთ სახლში ჩვენი დასწრებით ასე მიმართეს, თან არ ვიცით, რატომ და რისთვის, ჰერცოგმაც, თუმცა ურწმუნოდ, მაგრამ მაინც თქვა: «ცხადია, რა თქმა უნდა, თუ მის წინააღმდეგ არაფერი არსებობს». სამივე მომხიბლვლელი ქალი მიხვდა, რომ იგი თავის უწინდელ შეხედულებებთან არცთუ მთლად მტკიცედ წყვეტდა კავშირს და ოდნავ მკვახედ მოეპყრნენ: «არც ერთ ჭკვიან ადამიანს არასოდეს დაუჯერებია, რომ იქ რაღაც არის». ყოველთვის, როცა დრეიფუსის წინააღმდეგ წინ წამოიწევდა რაღაც ახალი «გასაოცარი»

და ჰერცოგი, იმ იმედით, რომ ამ სამ მშვენიერ ქალბატონს გადაარწმუნებდა, მათ ახალ ამბებს აუწყებდა, ისინი მხიარულად იცინოდნენ, იოლად, უჩვეულოდ თავაზიანი დახვეწილობით უმტკიცებდნენ, რომ მისი მოსაზრებები არაფრად ვარგოდა და, უბრალოდ, სასაცილო იყო. ჰერცოგი პარიზში თავგამოდებულ დრეიფუსარად დაბრუნდა. ცხადია, ვერ უარვყოფთ, რომ მოცემულ შემთხვევაში ჭეშმარიტების მქადაგებელი ეს სამი მშვენიერი ქალი იყო. მაგრამ მაინც აღვნიშნავთ, რომ, ჩვეულებრივ, ყოველ ათ წელიწადში ხდება შემდეგი: ადამიანი რაღაცაში ღრმად არის დარწმუნებული და, თუ მასთან ნაცნობობას ჭკვიანი ცოლ-ქმარი გააბამს ან ვინმე ერთი მომხიბლავი ქალბატონი, მათი გავლენით, სულ რაღაც რამდენიმე თვეში, ამ ადამიანის შეხედულებები ძირეულად იცვლება. ასევე იქცევა ბევრი ქვეყანაც – რომელიღაც ხალხის მიმართ სიძულვილს აფრქვევენ, მაგრამ არ გაივლის ნახევარი წელიც და იმ ხალხისადმი სულ სხვა გრძნობებით ივსებიან, ყოფილ მოკავშირეებთან კი ურთიერთობას წყვეტენ.

ერთხანს ალბერტინი აღარ მინახავს, აღარც ქალბატონ დე გერმანტთან დავდიოდი, რადგან ჩემს წარმოსახვას უკვე ვეღარაფერს ჰმატებდა, სამაგიეროდ, სხვა ფერიებთან მივდიოდი სახლებში, რომლებიც ისევე განუყოფელი იყო მათგან, როგორც მოლუსკი თავის სადაფის თუ მინანქრის ნიჟარასთან, რომელიც თავის დასაცავად და დასამალად თვითონვე აიგო. ამ ქალების დახარისხება ვერ შევძელი, რადგან საკითხის სირთულე არა მხოლოდ მისი გადაწყვეტის უმიზნობაში და შეუძლებლობაში მდგომარეობდა, არამედ მისი დასმის უმიზნობასა და

შეუძლებლობაში. ვიდრე ქალბატონს დაუახლოვდებოდეთ, მანამდე მისი ჯადოსნური ციხე-კოშკი უნდა გაიცნოთ. მაგალითად, ერთ-ერთი ამათგანი ზაფხულის თვეებში სტუმრებს ყოველდღე იღებდა მხოლოდ საუზმის შემდეგ; მასთან მისასვლელად ეკიპაჟის სახურავზე მჯდარს უნდა გემგზავრა, მზე ისე აცხუნებდა, რომ ამ მცხუნვარების გახსენება მერე, ჩემდა უნებურად, საერთო შთაბეჭდილებებში შედიოდა. კურ-ლა-რეინში მივემგზავრებოდი, მაგრამ, ვიდრე შეკრების ადგილზე ჩავიდოდი, ამაზე გონიერი ადამიანი აგდებით ჩაიცინებს, იტალიაში მოგზაურივით დაბრმავებული ვიყავი, ისეთ სიამოვნებას განვიცდიდი, ჩემს მახსოვრობას წვეულების სახლი აღარ შემორჩა. გარდა ამისა, წელიწადის ამ დროისა და ამ საათის საშინელი მცხუნვარების გამო ქალბატონს ქვედა სართულის ფართო სალონების, სადაც სტუმრებს იღებდა, დარაბები მჭიდროდ დაეხურა. ჯერ ძლივს ვიცანი დიასახლისი და მისი სტუმრები, ჰერცოგინია დე გერმანტიც კი, ხრინწიანი ხმით რომ შემომთავაზა თავის გვერდით, ბოვეს სავარძელში ჩაჯდომა, რომელზეც ევროპეს[100] მოტაცება იყო გამოსახული. მერე ჩემი ყურადღება XVIII საუკუნის დიდმა გობელენებმა მიიპყრო, მოხატული რომ იყო გემებით, რომელთა ანძებსაც აყვავებული ტუხტები ამშვენებდა; ვიდრე ამ გემების ქვეშ ვიჯექი, მეჩვენებოდა, სენის ნაპირზე გაშენებულ სასახლეში კი არ ვიყავი, არამედ ნეპტუნისა, ოკეანის სანაპიროზე, ხოლო ჰერცოგინია დე გერმანტი წყლის ქალღმერთად იქცა. იმ სალონების ჩამოთვლა, ამას რომ არ ჰგავდა, დაუსრულებლად შემიძლია. მოყვანილი

მაგალითი საკმაოდ ნათლად აჩვენებს, რომ მაღალ საზოგადოებაზე ჩემი მსჯელობების ძირითადი ნაწილი წმიდა

პოეტური შთაბეჭდილებებია და შედეგების გადახედვისას არასოდეს ვითვალისწინებ, ასე რომ, როცა რომელიმე სალონის ღირსებებს ვკრებ, ჯამი ყოველთვის არასწორი გამოდის.

ცხადია, სხვა მიზეზებითაც ვცდებოდი, მაგრამ ბალბეკში გამგზავრებამდე (რომელსაც, ჩემდა საუბედუროდ, მეორედ და უკანასკნელად ვეწვიე) დრო აღარ მქონდა, მაღალი საზოგადოების სურათები აღმეწერა, რომლებიც თავის ადგილს მოგვიანებით იპოვნიან. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ჟილბერტისადმი მიწერილი პირველი მოჩვენებითი მიზეზისა (ჩემი საკმაოდ ფუქსავატური ცხოვრების წესის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მაღალი საზოგადოება მიყვარდა) და სვანებთან დაბრუნებისთვის, რასაც თითქოსდა ეს წერილი მიანიშნებდა, ოდეტს შეეძლო სხვაც დაემატებინა, არანაკლებ ყალბი ვარაუდებიდან გამომდინარე. აქამდე ვერ წარმომედგინა, რომ, სხვადასხვა გარეგნული ნიშნების მიუხედავად, საზოგადოება მაინც ერთსა და იმავე პიროვნებაში ვლინდება და არ იცვლება: თუ რომელიმე ქალბატონმა, რომელიც ნაცნობობას არავისთან აბამდა, ყველგან დაიწყო სიარული ან ვინმე სხვა ქალბატონი, რომელიც საზოგადოებრივ ცხოვრებას სათავეში ედგა, უცბად მიატოვებს ყველაფერს, ადამიანები ასეთ ამაღლებას ან დაცემას განიხილავენ, როგორც პირად შემთხვევებს, მსგავსად საბირჟო სპეკულაციებისა, როცა ერთსა და იმავე წრეში ერთნი კოტრდებიან, სხვები კი მოულოდნელად მდიდრებიან. მაგრამ აქ საქმე უფრო სხვანაირად არის. საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენები, გარკვეული ზომით, უფრო დაბალი წესრიგის

მოვლენებია (ვიდრე ხელოვნების სამყაროში მიმდინარე მოვლენები, სამთავრობო კრიზისები, იდეების თეატრით ან იმპრესიონისტული მხატვრობით მოხიბვლა, რთული გერმანული თუ მარტივი რუსული მუსიკით ან სოციალური საკითხებით გატაცება, სამართლიანობის, რეაქციულ-რელიგიური იდეების, პატრიოტული გრძნობების ამოფრქვევა), მაგრამ არსით რაღაც სხვაა და მათ შორეულ ანარეკლს ჰგავს – დამსხვრეულს, გაურკვეველს, ბუნდოვანს, ცვალებადს. აქედან გამომდინარე, სალონებიც არ შეიძლება აღიწეროს უძრავ მდგომარეობაში, ჯერჯერობით იგი, ეს მდგომარეობა, ხელს არ გვიშლიდა ხასიათების დახატვისას, ახლა კი ხასიათებიც უნდა ჩავრთოთ წარმოსახვითი ამბების მსვლელობაში. სიახლეს გამოდევნებული მაღალი საზოგადოების ადამიანები, ასე თუ ისე გულწრფელად რომ სურთ, საზოგადოებრივი აზრის განვითარებას არ ჩამორჩნენ, იქ დადიან, სადაც ამ განვითარებას მოხერხებულად ადევნებენ თვალს, ჩვეულებრივ, იმ დიასახლისს ამჯობინებენ, რომლის შესახებაც აქამდე არაფერი სმენიათ და რომელმაც უცბად იმედის მომცემი თვისებები გამოამჟღავნა, რადგან ვიღაცამ მასში ღრმა ჭკუა-გონება დაინახა, იმედი, რომელიც ის-ის იყო აყვავებას იწყებდა, ამასობაში კი იმ ქალბატონებისადმი რწმენა, დიდხანს რომ მეფობდნენ საზოგადოებრივ ასპარეზზე, დაჭკნა და ჩამოხმა. ეს ქალები ვეღარ კვებავენ სალონების სტუმრების წარმოსახვას,

რადგან სტუმრებმა უკვე შეისწავლეს მათი ძლიერი და სუსტი მხარეები. აი ასე, ყოველი ეპოქა თავის ხორცშესხმას ახალ ქალებში, ქალთა ახალ ჯგუფებში პოულობს, რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი ახალ დროსთან, ქალები, რომლებმაც თითქოს მხოლოდ ახლა დაიწყეს

თავიანთი მორთვა-მოკაზმულობით ბრწყინვა, თითქოს უკანასკნელი წარღვნისას გაჩენილი უჩინარი ტომიაო, თვალწარმტაცი ლამაზმანების ტომი, რომელსაც ყოველი ახალი კონსულატი[101], ყოველი ახალი დირექტორია[102] წინა პლანზე წამოწევს. მაგრამ ამ ახალი სახლების ბევრ დიასახლისში ხშირად შეიმჩნევა სახელმწიფო მოღვაწეებთან გასაოცარი მსგავსება, მაგალითად, რომელიღაც პრემიერ-მინისტრთან, რომელიც აქამდე, ორმოცი წლის განმავლობაში ყველა კარზე აკაკუნებდა, მის წინ რომ არა და არ იღებოდა. ეს ის ქალები იყვნენ, რომლებსაც საზოგადოება არ იცნობდა, თუმცა მიღებებს, უკვე დიდი ხანია, აწყობდნენ, ოღონდ აუცილებლობის გამო, ჯერ მხოლოდ «ყველაზე ახლობლებისთვის». ცხადია, ყველაფერი უცბად არ ხდება. როცა რუსული ბალეტის ტრიუმფისას ერთმანეთის მიყოლებით ბაკსტის, ნიჟინსკის, ბენუას, გენიალური სტრავინსკის აღმომჩენი თავადის ქალი იუბელეტიევა[103], ყველა ამ ახალი დიდი ადამიანის ახალგაზრდა ნათლია გამოჩნდა თავზე უზარმაზარი, ოდნავ მოქანავე ჯიღით, პარიზელ ქალებს ამაზე წარმოდგენაც არ ჰქონდათ, მაგრამ დაინახეს თუ არა, ყველამ მაშინვე მოისურვა ზუსტად ასეთის შეძენა; კაცი იფიქრებდა, რომ ეს საუცხოო ქმნილება რუსმა მოცეკვავეებმა უამრავ ბარგთან ერთად ჩამოიტანეს, როგორც ყველაზე ძვირფასი საგანძური; მაგრამ, როცა მის გვერდით ლიტერიან[104] ლოჟაში «რუსების» ყველა სპექტაკლზე ქალბატონ ვერდიურენს ვიხილავთ, ამ ნამდვილ ჯადოქარს, რომელსაც არისტოკრატია ადრე არ იცნობდა, მაღალი წრის ადამიანებს ყოვლად უმიზეზოდ ეგონებათ, რომ იგი დიაგილევის დასთან ერთად ჩამოვიდა, არადა, ეს ქალბატონი, დიდი ხანია არსებობდა, უამრავჯერ

გარდაისახა, ეს გარდასახვა კი წინა გარდასახვისგან იმით განსხვავდებოდა, რომ პირველად მიაღწია წარმატებას, უფრო და უფრო მზარდ წარმატებას, რასაც დიდხანს და ამაოდ ელოდა მისი მფარველი. ის სიახლე კი, რასაც თვით ქალბატონი სვანი განასახიერებდა, ასეთ კოლექტიურ ხასიათს როდი ატარებდა. მისი სალონი მომაკვდავი ადამიანის ირგვლივ ჩამოყალიბდა და იმ დროს, როცა უკვე დაილია, უცბად ყველასთვის უცნობი ადამიანი დიდებით შეიმოსა. დიდი იყო ბერგოტის ნაწარმოებებით გატაცება. ქალბატონ სვანს იგი ყოველდღე ყველას საჩვენებლად ჰყავდა გამოფენილი, თვითონ კი ვინმე გავლენიან კაცს ყურში ჩასჩურჩულებდა: «მოველაპარაკები და თქვენზე სტატიას დაწერს». ბერგოტს კიდევ შერჩენოდა სტატიის დაწერის უნარი და ქალბატონი სვანისთვის ერთაქტიანი პიესის შექმნისაც. ახლა ბატონი სვანი სიკვდილთან უფრო ახლოს იყო, მაგრამ თავს უკეთესად გრძნობდა, ვიდრე მაშინ, როცა ბებიაჩემის ჯანმრთელობის ამბის გასაგებად მოვიდა. საქმე ის არის, რომ მწვავე ფიზიკურმა ტკივილმა იძულებული გახადა,

განსაზღვრული რეჟიმი დაეცვა. ავადმყოფობა, როცა ვუჯერებთ, ყველაზე უკეთესი ექიმია. სიკეთესა და ცოდნას მხოლოდ ვპირდებით; ტანჯვას კი ვემორჩილებით.

ცხადია, ვერდიურენების პატარა კლანი ახლა უფრო საინტერესო იყო, ვიდრე ოდნავ ნაციონალისტური, ოდნავ მეტად ლიტერატურული, უპირველესად კი, ბერგოტული სალონი ქალბატონი სვანისა. ეს სალონი ერთ-ერთი, მართლაცდა, აქტიური ცენტრი გახლდათ, იმ

გაჭიანურებული პოლიტიკური კრიზისის გამოძახილი, ბოლოს და ბოლოს, თავის უმაღლეს მწვერვალს დრეიფუსარობისას რომ მიაღწია. მაგრამ მაღალი საზოგადოების უმრავლესობა საქმის გადახედვის წინააღმდეგი იყო, ამის გამო დრეიფუსარული სალონი როგორღაც უაზრობად ჩანდა, როგორც თავის დროზე, ალბათ, უაზროდ შეიძლებოდა მოგჩვენებოდათ კომუნარების სალონი. მართალია, პრინცესა კაპაროლას, ვინც ვერდიურენი დიდი გამოფენის დროს გაიცნო, რომლის მომწყობიც თვითონ იყო, მერე ვერდიურენთან დიდხანსაც იჯდა, რადგან იმედი ჰქონდა, ამ პატარა კლანიდან თავის სალონში რამდენიმე საინტერესო ადამიანს გადაიბირებდა და ამ ვიზიტისას პრინცესამ (რომელიც მინიატიურული ჰერცოგინია დე გერმანტის როლს თამაშობდა) გავრცელებული მოსაზრების საწინააღმდეგოდ სრულიად სხვაგვარი აზრები გამოთქვა, თავისი წრის ადამიანებს კი იდიოტები უწოდა, რაც ქალბატონმა ვერდიურენმა უდიდეს გამბედაობად ჩაუთვალა, ცოტა მოგვიანებით, ბალბეკში დოღის დროს გამბედაობა აღარ ეყო, ნაციონალისტურად განწყობილი ქალბატონების გამოხედვის ცეცხლქვეშ ქალბატონ ვერდიურენს მისალმებოდა. ქალბატონი სვანი ანტიდრეიფუსარებს «კეთილგონიერების» გამო მოსწონდათ, ებრაელის ცოლობას კი ორმაგ დამსახურებად უთვლიდნენ. იმათ, ვინც მასთან არასოდეს ყოფილა, წარმოედგინათ, რომ იგი მხოლოდ ყველასთვის უცნობ ებრაელებსა და ბერგოტის მოწაფეებს ეპატიჟებოდა. აი, ასე აყენებენ ქალბატონ სვანზე ოდნავ მაღალი მდგომარეობის ქალებსაც კი საზოგადოებრივი კიბის ქვედა საფეხურზე – ზოგს წარმოშობის გამო, ზოგს იმიტომ, რომ მაღალი საზოგადოების წვეულებებზე

და საღამოებზე არ უყვარს სიარული და იქ არ ჩნდება, მაშასადამე, არავინ იწვევს, ზოგს იმიტომ, რომ მაღალ საზოგადოებაში თავის კავშირებზე კი არ ლაპარაკობს, არამედ მხოლოდ ლიტერატურასა და რელიგიაზე უყვარს მსჯელობა. ზოგს კი იმიტომ, რომ მასთან ადამიანები ფარულად მიდიოდნენ, ხოლო თავისი სტუმრების წინაშე უტაქტო რომ არ გამოჩენილიყო, ასეთი ქალები არავის უყვებოდნენ, რომ ისინი მასთან დადიოდნენ, მოკლედ, მიზეზი ბევრია, შედეგად კი რომელიმე ქალზე ზოგიერთ წრეში დაბეჯითებით ამტკიცებენ არსად იწვევენო. ოდეტის საქმეც ზუსტად ასე იყო. პრინცესა დ’ეპინუამ გადაწყვიტა, რომ კარგი იქნებოდა, ოდეტს საზოგადოება «საფრანგეთის» დასახმარებლად შესაწირი გაეღო და ამ მიზნით ეწვია კიდეც, ოღონდ ისე მივიდა, როგორც საგალანტერიო მაღაზიაში შეივლიან ხოლმე, დარწმუნებული ბრძანდებოდა, იქ საძულველი თუ არა, სრულიად უცნობი ადამიანები მაინც დახვდებოდნენ; და, როცა მის წინ კარი გაიღო, არა იმ სასტუმრო

ოთახის კარი, წარმოსახვაში რომ ხატავდა, არამედ რაღაც ჯადოსნური ოთახისა, ისე გაშეშდა, თითქოს მის თვალწინ რაღაც ფეერული გარდასახვა მოხდაო. დივნებზე ნახევრად გადაწოლილ თუ სავარძლებში ნებივრად მჯდარ თვალისმომჭრელ სტატისტებში, სახლის დიასახლისს, უბრალოდ, სახელით რომ მიმართავდნენ, ის პრინცესები და ჰერცოგინიები შეიცნო, რომლებიც მან, პრინცესა დ'ეპინუამ დიდი გაჭირვებით მიიტყუა თავისთან და რომლებსაც, ოდეტის კეთილმოსურნე მზერის ქვეშ, მარკიზი დიუ ლო, გრაფი ლუი დე ტიურენი, პრინცი ბორგეზე, ჰერცოგი დ'ესტრე პურით, ღვინით, ორანჟიდითა და ნამცხვრით უმასპინძლდებოდნენ. პრინცესა დ'ეპინუა, ისე, რომ

თავადაც ვერ აცნობიერებდა, მაღალი საზოგადოების წევრობას ადამიანის ერთ-ერთ შინაგან თვისებად განიხილავდა და ახლა იძულებული გახდა, ქალბატონი სვანი გარდაესახა და ხელახლა შეექმნა იგი ელეგანტურ ქალბატონად. იმ ცხოვრების არცოდნა, ქალები გაზეთებში საქვეყნოდ, ყველას დასანახად რომ არ აფენენ, ზოგიერთ მოვლენას (ერთდროულად სალონების მრავალფეროვნებაზეც ზემოქმედებს) იდუმალების საბურველში ახვევს. ოდეტისთვის კი ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ზოგიერთი მამაკაცი, უმაღლესი წარჩინებული კლასის წევრი და ბერგოტთან ნაცნობობის მეოცნებე, ვიწრო წრეში მის ყოველდღიურ ვახშმობაზე წვეული გახდა. ოდეტს კი ახლად შეძენილი ტაქტი ეყო და ამით ტრაბახი არ დაუწყია; ბერგოტთან ერთად ისინი საინტერესო «პრემიერებზე» დაჰყავდა, არც დაფიქრებულა იმაზე, რომ ეს მას ბოლოს მოუღებდა. ამ ხალხმა კი თავიანთი წრის ზოგიერთ ქალს, რომელთა მიზიდვაც შეიძლებოდა მათთვის ახალ სამყაროში, ოდეტზე უამბეს. ქალებმა დაიჯერეს, რომ ოდეტი, ბერგოტის მეგობარი, მას, ალბათ, ასე თუ ისე, მუშაობაში ეხმარებოდა; და ათასგზის ჭკვიან ქალად მიიჩნიეს იგი, ვიდრე სენ-ჟერმენის გარეუბნის ყველაზე სახელგანთქმული ქალები იყვნენ, და იმავე მოსაზრებით მიუდგნენ, რა მოსაზრებაც პოლიტიკაში ჰქონდათ: მთელ იმედებს ისეთ ურყევ რესპუბლიკელებზე ამყარებდნენ, როგორებიც დუმერი[105] და დეშანელი[106] იყვნენ და ამტკიცებდნენ, საფრანგეთი უფსკრულის პირას აღმოჩნდებოდა, მისი ბედი მონარქისტების ხელში რომ ყოფილიყო, მიუხედავად ამისა, სადილებზე მათ მაინც იწვევდნენ. თუმცა ოდეტის მდგომარეობა უკეთესობისკენ შეიცვალა, მაინც მოკრძალებულად იქცეოდა, რისი წყალობითაც

ეს უკეთესობა საიმედოდ სწრაფად მიდიოდა წინ, და ძალას არ იშურებდა, იგი საიდუმლოდ დარჩენილიყო იმ პუბლიკისთვის, სალონების აყვავებასა თუ დაცემაზე «გოლუას» ქრონიკებით რომ მსჯელობდა; ასე რომ, როცა ბერგოტის მორიგი პიესის გენერალურ რეპეტიციაზე, რომელიც ერთ-ერთ ყველაზე დიდებულ დარბაზში მოაწყვეს რომელიღაც საქველმოქმედო საზოგადოების სასარგებლოდ, ცენტრალურ საავტორო ლოჟაში ქალბატონი სვანის გვერდით ვიკონტესა დე მარსანტი და გრაფინია დე მოლე დასხდნენ, ის, ვინც მიიჩნევდა, რომ ჰერცოგინია დე გერმანტი (პატივისცემით აღვსილი და პირველობისთვის ბრძოლით დაღლილი) სულ უფრო თვალში საცემად ინაცვლებდა მეორე რიგში და მიზანში «ძუ ლომად» ქცევა, ახალი

დროის გემოვნების კანონმდებლად გახდომა ჰქონდა ამოღებული, ფურორი მოხდა. «აზრადაც არ მოგვსვლია, რომ ამგვარად დაიწყებდა აღმასვლას, – ასე ალაპარაკდნენ ოდეტზე, როცა დაინახეს, რომ მის ლოჟაში გრაფინია დე მოლე შევიდა, – ახლა უკვე მწვერვალზე დგას». აქედან გამომდინარე, ქალბატონ სვანს შეეძლო დაეჯერებინა, რომ ჩემი მის ქალიშვილთან კვლავ დაახლოების მცდელობა სნობიზით იყო გამოწვეული. ოდეტი, მიუხედავად ასეთი ბრწყინვალე და წარჩინებული მეგობრების მეზობლობისა, ისეთი დაძაბული ყურადღებით მისჩერებოდა სპექტაკლს, თითქოს მხოლოდ ბერგოტის პიესის სანახავად ყოფილიყო მოსული, ზუსტად ასეთივე კეთილსინდისიერებას იჩენდა ოდესღაც, როცა ჰიგიენური მიზნით ბულონის ტყეში სეირნობდა. ახლა კი მამაკაცები, ადრე რომ არც ამჩნევდნენ, ერთმანეთს მუჯლუგუნებით აქეთ-იქით წევდნენ, მოაჯირთან მიდიოდნენ, რათა

მის ხელს ჩასჭიდებოდნენ და ამის წყალობით მის ბრწყინვალე გარემოცვას ზიარებოდნენ. ღიმილით, რომელშიც თავაზიანობა ირონიას ჯაბნიდა, მოთმინებით პასუხობდა მათ კითხვებს, თან თავი ისე გულდაჯერებით ეჭირა, მისგან რომ ყოვლად მოულოდნელი იყო, და ეს გულდაჯერება მოჩვენებითი არ გახლდათ, რადგან, მართალია, დაგვიანებით, ყველასთვის ნათელი გახდა მისი კავშირები, მისთვის დიდი ხანია ჩვეულებად ქცეული, მოკრძალების გამო დრომდე დაფარული. ამ სამი ბანოვანის უკან ბერგოტი იჯდა და ყველას გამოხედვას იზიდავდა, იჯდა პრინც აგრიგენტელის, გრაფ ლუი დე ტიურენისა და გრაფ დე ბრეოტის გარემოცვაში. ადვილი მისახვედრია, რომ ამ ადამიანებს, ყველგან რომ არიან მიღებულნი და მაინც უფრო მაღლა ასვლისკენ ისწრაფვიან, შესაძლებლობა მიეცათ, აჩვენონ, როგორია მათი ღირებულება, რაც, მათი აზრით, სახლის დიასახლისმა თავისთან დაახლოებით მიანიჭა მათ; ამ ქალის, – მრავალთა აზრით, ძალიან ჭკვიანის – სალონში, იმედი ჰქონდათ, ყველა მოდურ დრამატურგსა და რომანისტს შეხვდებოდნენ, რაც უფრო მიმზიდველი და სიცოცხლის ხალისით სავსე იყო, ვიდრე პრინცესა დე გერმანტის საღამოები, რომელთაც რამდენიმე წლის განმავლობაში რაიმე პროგრამისა და სიახლის გარეშე აწყობდნენ, ცოტად თუ ბევრად რომ ჰგავდა იმას, რასაც ასე დიდხანს აღვწერდით. უმაღლეს საზოგადოებაში, გერმანტების საზოგადოებაში, რომლისადმი ინტერესიც სუსტდებოდა, გონებრივი ცხოვრების ახალმა მოვლენებმა ხორცი ისე ვერ შეისხა იმ გართობებში, რომლებიც მათ სჭირდებოდათ, როგორც იმ უმნიშვნელო წვრილმანში განსახიერდა, ბერგოტი ქალბატონი სვანისთვის რომ თხზავდა,

როგორც საზოგადოებრივი კეთილდღეობისთვის მოწყობილ იმ სხდომებში (ძნელი წარმოსადგენია, რომ მაღალი საზოგადოება რაღაც ზომით მაინც დაინტერესებულიყო დრეიფუსის საქმით), რომლებზეც ამ მიზნით ქალბატონ ვერდიურენთან თავს იყრიდნენ პიკარი, კლემანსო, ზოლა, რეინაკი და ლაბორი[107].

ჟილბერტმაც განამტკიცა დედამისის მდგომარეობა, რადგან ერთ-ერთმა ბიძია სვანმა ანდერძით თითქმის ოთხმოცი მილიონი დაუტოვა, რისი წყალობითაც სენ-ჟერმენის გარეუბანმა მასზე ფიქრი დაიწყო. ხოლო საქმის ფარული მხარე სვანის დრეიფუსარულ შეხედულებებში იდო; სვანი კი ნელ-ნელა ქრებოდა; ქმრის

დრეიფუსარობა ცოლს ზიანს არ აყენებდა, უფრო მეტიც, მისთვის ხელსაყრელიც იყო. ცოლ-ქმარ სვანებზე ამბობდნენ: «ეს გაბავშვებული იდიოტია, ყურადღებას აღარავინ აქცევს, მხოლოდ მის ცოლს უწევენ ანგარიშს. აი, ის კი მართლაც მომხიბლავია». სვანის დრეიფუსარობაც ოდეტის სასარგებლოდ მუშაობდა. პირველ ხანებში, ქალს თუ არ შეაჩერებდნენ, მავანი დიდებული ქალბატონების წინაშე ლაქუცს იწყებდა და, ასე რომ გაგრძელებულიყო, ეს დაღუპავდა. იმ საღამოებზე, როცა სვანი სენ-ჟერმენის გარეუბნის ვახშმებზე დაჰყავდა, სვანი კი ცერემონიების გამართვას საჭიროდ არ მიიჩნევდა, სახემოღუშული კუთხეში იჯდა და, როგორც კი შეამჩნევდა, მისი ცოლი ვინმე ნაციონალისტურად განწყობილ ქალბატონს უნდა წარსდგომოდა, ყველას გასაგონად ეუბნებოდა: «გაგიჟდით, ოდეტ! თქვენს ადგილზე დაჯექით, გთხოვთ. ვიღაც ანტისემიტ ქალს

წარუდგეთ, უხამსობაა. გიკრძალავთ». მაღალი საზოგადოების ადამიანები, ვისაც ყველა ელაქუცება, ასეთ ამპარტავნობასა და უზრდელობას მიჩვეული არ არიან. სვანამდე კაცი არ შეხვედრიათ, რომელიც თავს მათზე «მაღლა» დააყენებდა. ეს სვანი ძალიან უხეშიაო – ერთმანეთს ატყობინებდნენ, ოდეტს კი წვიმასავით აყრიდნენ კუთხეჩაკეცილ სავიზიტო ბარათებს. ვიკონტესა დ’არპაჟონთან სტუმრობისას მან საყოველთაო თანაგრძნობა და დიდი ცნობისმოყვარეობა გამოიწვია. «წინააღმდეგი ხომ არ იყავით, რომ გაგაცანით?» – კითხულობდა ქალბატონი დ’არპაჟონი. «ძალიან საყვარელია. მარი დე მარსანტმა გამაცნო». «არა, რას ბრძანებთ, პირიქით! ერთი შეხედვით ჩანს, რა იშვიათი გონების პატრონია, გარდა ამისა, უბრალოდ, მომხიბლავია. დიდი ხანია მინდა მასთან შეხვედრა. მითხარით, გეთაყვა, მისი მისამართი». ქალბატონი დ’არპაჟონი ქალბატონ სვანს ეუბნება, ორი დღის წინ თქვენთან ყოფნისას ძალიან ვიმხიარულე, თანაც ორმაგად მიხაროდა, რადგან მიზეზი მქონდა ქალბატონ დე სენტ-ევერტის წვეულებაზე არ წავსულიყავიო. და იგი სიმართლეს ამბობდა, ქალბატონი სვანისთვის უპირატესობის მინიჭებით თავის ინტელექტუალობას უსვამდა ხაზს, რაც კონცერტზე წასვლის გამო ფინჯანი ჩაის დასალევად მიპატიჟებაზე უარის თქმას ნიშნავდა. მაგრამ, თუ ქალბატონი დე სენტ-ევერტი ქალბატონ დ’არპაჟონთან იმ დროს მივიდოდა, როცა ოდეტიც სტუმრობდა, მაშინ ვიკონტესა, რომლისთვისაც ცნობილი იყო ქალბატონი დე სენტ-ევერტის სნობიზმი და გულის სიღრმეში თვითონაც ეზიზღებოდა, მის მიღება-წვეულებებს მაინც არ აკლდებოდა, ოდეტს არ აცნობდა, რათა ქალბატონ დე სენტ-ევერტს ვერ გაეგო, ვინ იყო

ეს ქალბატონი. მარკიზამ წარმოიდგინა, რომ იგი რომელიმე პრინცესა იყო, რომელიც, როგორც ეტყობა, იშვიათად გამოდიოდა მაღალ საზოგადოებაში, რადგან აქამდე არსად ენახა; ერთხელ საგანგებოდაც დაიგვიანა ვიკონტესასთან, მაგრამ ქალბატონი დ’არპაჟონი ურყევად იდგა. მას შემდეგ, რაც ქალბატონი დე სენტ-ევერტი ისე წავიდა, რომ თავისას ვერ მიაღწია, დიასახლისმა ოდეტს უთხრა: «არ გაგაცანით, რადგან მასთან სიარული მაინცდამაინც არ უყვართ; თანაც ისეთი მომაბეზრებელია, თავიდან ვერ მოიშორებთ». «ო, არაფერია. დიდი უბედურება არ არის». – უპასუხა ოდეტმა,

მაგრამ მის ხმაში სინანული გაჟღერდა. თან წარმოიდგინა, თუ მარკიზა დე სენტ-ევერტთან სტუმრობა არ უყვართ, და ეს რაღაც ზომით სიმართლეს შეეფერებოდა, მაშინ თვითონ უფრო მაღალი მდგომარეობა ეკავა, ვიდრე ქალბატონ დე სენტ-ევერტს, თუმცა, სინამდვილეში, მარკიზას დიდებული მდგომარეობა ჰქონდა, ქალბატონ სვანს კი ჯერ არავითარი.

მას კი ეს ვერ გაეგო. ჰერცოგინია დე გერმანტის ყველა მეგობარი ქალი ქალბატონ დ'არპაჟონთანაც მეგობრობდა, როცა იგი ქალბატონ სვანს ეპატიჟებოდა, ოდეტი ეჭვნარევად ეუბნებოდა ახლობლებს: «ქალბატონ დ'არპაჟონთან მივდივარ, თქვენ კი ჩამორჩენილობას მსაყვედურობთ. ეს რომ ჰერცოგინია დე გერმანტის ყურამდე მივიდეს, არ მესიამოვნება» (სიტყვამ მოიტანა და, იგი ჰერცოგინიას არ იცნობდა). უფრო დახვეწილი მამაკაცები ჰკვირობდნენ, რომ ქალბატონ სვანს მაღალ საზოგადოებაში არც ისე ბევრი ნაცნობი ჰყავდა,

თავს იმშვიდებდნენ, ალბათ, განსაკუთრებული ქალია, სავსებით დასაშვებია, ცნობილი მუსიკოსიც კი, და შეიძლება მასთან ნაცნობობა ისეთი უმაღლესი წარჩინების ტვიფარს ნიშნავს, როგორც, მაგალითად, ჰერცოგს რომ მეცნიერებათა დოქტორის წოდება ჰქონდესო. თავქარიან ქალებს კი ოდეტისკენ სულ სხვა რამ იზიდავდათ: გაიგეს, რომ კოლონის[108] კონცერტებზე დადიოდა, საკუთარ თავს ვაგნერიანელს ეძახდა და დაასკვნეს, ალბათ, მხიარული ადამიანიაო და მისი გაცნობის სურვილით აინთნენ. ოღონდ თავიანთი მდგომარეობის არამდგრადობა ასე თუ ისე ნათლად განსაჯეს და შეეშინდათ, ოდეტთან ახლო ურთიერთობით საზოგადოებაში სახელი არ გასტეხოდათ და, თუ ოდეტს სადმე საქველმოქმედო კონცერტზე გადაეყრებოდნენ, ზურგს აქცევდნენ, უწესო საქციელად მიაჩნდათ, ქალბატონ დე როშუარის თვალწინ იმ ქალს მისალმებოდნენ, რომელიც ბაირეითში[109] დადიოდა, ეს უკვე აღარაფერს ჰგავდა.

ვინმესთან სტუმრად მისული თითოეული ჩვენგანი სხვად გარდაიქმნება. ფერიებთან ზღაპრულ გარდასახვაზე რომ არაფერი ვთქვათ, ქალბატონი სვანის სალონში გრაფ დე ბრეოტეს მისთვის ჩვეული გარემოცვა აღარ ერტყა გარს და თითქოს წონა მოემატა; იმის გაფიქრებაზეც კი, რომ აქ იმყოფებოდა, სახეზე სითბო ეღვრებოდა, ალბათ, ასეთივე გამომეტყველება ექნებოდა, როცა მაღალი საზოგადოების რომელიღაც შეკრებაზე წასვლას გადაიფიქრებდა და ჩაიკეტებოდა, ცხვირზე სათვალეს წამოისკუპებდა და «რევიუ დე დე მონდის» კითხვას დაიწყებდა ხოლმე; ოდეტთან მისვლით თითქოსდა საიდუმლო წესი აღასრულა და თვითონაც

გარდაისახა. რას არ მივცემდი, ოღონდ მენახა, ამ ახალ გარემოში ჰერცოგინია დე მონმორანს-ლუქსემბურგელში რა გარდასახვა მოხდებოდა. მაგრამ იგი იმ ადამიანების რიცხვს ეკუთვნოდა, ვისაც ოდეტს არაფრით არ გააცნობდნენ. ძალიან გავოცდი, როცა ჰერცოგინია დე მონმორანსისგან, რომელიც ორიანს უფრო კარგად ექცეოდა, ვიდრე ორიანი მას, შემდეგი სიტყვები მოვისმინე: «ჭკვიან ადამიანებს იცნობს, ყველას უყვარს, ვფიქრობ, ცოტა მეტი გაბედულება რომ გამოიჩინოს,

ნამდვილ სალონს შექმნის. თუმცა ამის გაკეთება არც უცდია და მართალიც არის. ისედაც ბედნიერია, ყველა მას ეტმასნება». ჰერცოგინია დე გერმანტს თუ «სალონი» არა აქვს, მაშინ «სალონი» რაღაა? ჰერცოგინია დე გერმანტი, როცა განვუცხადე ჰერცოგინია დე მონმორანსთან ყოფნა მიყვარს-მეთქი, იმაზე მეტად გავაოცე, ვიდრე მე გამაოცა ჰერცოგინია დე მონმორანსმა. ორიანმა მას ბებერი კრეტინი უწოდა. «მასთან მხოლოდ მოვალეობის გამო დავდივარ. – მითხრა მან. – დეიდაჩემია; მაგრამ თქვენ!.. სასიამოვნო ადამიანების მოზიდვის უნარი არ გააჩნია». ჰერცოგინია ვერ ხვდებოდა, რომ «სასიამოვნო ადამიანებისადმი» გულგრილი ვიყავი, როცა იტყოდა «არპაჟონების სალონი», თვალწინ ყვითელი პეპელა მიდგებოდა, როცა «სვანის სალონს» ახსენებდა (ზამთარში ქალბატონი სვანი ექვსიდან შვიდ საათამდე იღებდა სტუმრებს), მაშინ დაფიფქულფრთებიან შავ პეპელას ვხედავდი. თუმცა ქალბატონი სვანის სალონი სალონადაც არ მიაჩნდა და მის ზღურბლზე არც არასოდეს გადაუბიჯებია, მე მისვლის ნება, «ჭკვიანი ადამიანების» ხათრით, მოწყალედ დამრთო. მაგრამ ჰერცოგინია დე ლუქსემბურგელი! რამე რომ «შემექმნა» ისეთი, რაზეც

ილაპარაკებდნენ, ის აუცილებლად დაასკვნიდა, რომ ტალანტთან სნობიზმის რაღაც ნაწილის შეთავსება შესაძლებელია. მე კი საბოლოოდ გავუცრუე იმედები: გამოვუტყდი, რომ ქალბატონ დე მონმორანსთან რაღაცის «ჩასაწერად» ან «შესასწავლად» (როგორც მას ეგონა) არ დავდიოდი. მოკლედ, ქალბატონ დე გერმანტს არანაკლები შეცდომა მოსდიოდა, ვიდრე მაღალი წრის რომანისტებს, რომლებიც გვერდიდან შეხედავენ ნამდვილ თუ მოჩვენებით სნობს და მაშინვე მისი ქცევების დაუნდობელ ანალიზს იწყებენ, მის შინაგან სამყაროში არ იყურებიან, არც იმ ეპოქაში, როცა მის წარმოსახვაში საზოგადოებისაკენ სწრაფვის ნამდვილი გაზაფხული იფურჩქნება. ვცადე, გამეგო, ასეთ დიდ სიამოვნებას რატომ მანიჭებდა ჰერცოგინია დე მონმორანსთან მისვლა, და ოდნავ იმედგაცრუებული დავრჩი. სენ-ჟერმანის გარეუბანში ცხოვრობდა, ძველ სასახლეში, ერთმანეთისგან პატარა ბაღებით გამოყოფილი რამდენიმე პავილიონისგან რომ შედგებოდა. თაღის ქვეშ მოთავსებული სტატუეტი, ამბობდნენ, ფალკონეს[110] ქმნილებააო, წყაროს გამოხატავდა, საიდანაც განუწყვეტლივ მოჩხრიალებდა წყალი. ოდნავ მოშორებით კონსიერჟი იჯდა, რომელსაც თვალები მუდამ ჩაწითლებული ჰქონდა, შეიძლება მწუხარებისგან ანდა ნევრასთენიისგან, ან, იქნებ, მიგრენიც აწუხებდა, ანდა გაციებული იყო; კითხვაზე პასუხს არ იძლეოდა, მხოლოდ რაღაც მოძრაობებს აკეთებდა, რაც, ალბათ, იმას ნიშნავდა, რომ ჰერცოგინია სახლში იყო. ძალიან მსიამოვნებდა სტატუეტის ყურება, რადგან კომბრეს ერთ რომელიღაც ბაღში მდგარ თაბაშირის პატარა მებაღეს მახსენებდა, განუზომელ სიამოვნებას მანიჭებდა ნესტიანი და ხმაურიანი დიდი კიბის ყურება, ძველი

აბანოების კიბეებივით მრავალნაირ ხმას რომ გამოსცემდა, შესასვლელი, სადაც საყვავილეები იდგა, სავსე ლურჯზე ლურჯი ცინერარიებით[111], მთავარი მშვენიერება კი ჩემთვის მაინც პატარა ზარის რეკვა იყო, რომელიც ზუსტად ისეთივე

ხმას გამოსცემდა, როგორც ევლალიას ოთახში, რაც ენით აუწერელ სიამოვნებას მგვრიდა. მაგრამ ჰერცოგინია დე მონმორანსისთვის ჩემი შთაბეჭდილებების გაზიარება უზრდელობად მომეჩვენა, ამგვარად, იგი განუწყვეტლივ ხედავდა, რომ სულ რაღაცით ვიყავი აღფრთოვანებული, თუმცა ვერ გაეგო, რითი.

---

* * *

ბალბეკში ჩემი მეორედ ჩასვლა სრულიად განსხვავდებოდა პირველისგან. თვით სასტუმროს დირექტორი, საკუთარი პერსონით, პონ-ა-კულევრში დამხვდა და მაშინვე ალაპარაკდა თუ როგორ აფასებდა თავის მუდმივ ტიტულოვან კლიენტებს, რამაც შემაშფოთა, რადგან მნიშვნელოვანი პიროვნება ვეგონე, მერე მივხვდი, მისი გრამატიკული მახსოვრობის სიბნელის გამო «ტიტულოვანში», უბრალოდ, თავის იმ მუდმივ სტუმრებს გულისხმობდა, რომლებსაც იცნობდა. მოკლედ, ახალ ენებზე ლაპარაკს რომ ითვისებდა, იმ ენებზე ლაპარაკი დაავიწყდა, ადრე რომ იცოდა. გამომიცხადა, სასტუმროს ზედა სართულზე დაგაბინავებო. «იმედი მაქვს, – დააყოლა, – არასტუმართმოყვარეობაში არ ჩამომართმევთ; ვწუხვარ, საუკეთესო ნომერს ვერ გთავაზობთ, შემეშინდა, ხმაურს არ შეეწუხებინეთ, იქ კი თქვენს ზევით არავინ არის და თავის ქალასაც არავინ გაგიხვრეტთ (უნდოდა ეთქვა ყურის აფსკს). დარაბებს კი დავაკეტვინებ, რომ არ იხმაუროს. ამ საკითხებში აუტანელი ვარ» (უნდოდა ეთქვა შეუბრალებელი ვარო). ნომერი იგივე იყო, პირველი ჩამოსვლისას რომ მეკავა. თუ მოვისურვებდი, შემეძლო ოთახი გამეთბო (ექიმების დანიშნულებით ბალბეკში აღდგომის შემდეგ გავემგზავრე), ოღონდ ჭერზე «ნაპრალები» არ უნდა გაჩენილიყო. «მთავარია, როცა ბუხრის ანთებას მოისურვებთ, ვიდრე ძველი არ ჩაიწვება (ე. ი. ვიდრე არ აინთება), ახალ შეშას ნუ დააწყობთ. ფრთხილად იყავით, ბუხარი არ გავარვარდეს, რადგან ოთახი ოდნავ რომ გამემხიარულებინა, ზედ ძველ ჩინურ საყვავილეს მიმსგავსებული ლარნაკი დავდგი და შეიძლება გასკდეს».

დირექტორმა ღრმა მწუხარებით მაუწყა შერბურის ადვოკატთა მამასახლისის გარდაცვალება: «თავის საქმეში რუტინიორი[112] იყო» (ალბათ, «მოხერხებული» უნდოდა ეთქვა), მითხრა და განმიმარტა, რომ მოხუცმა სიკვდილი ღვინის სუნით დაიჩქარა, რაც, ალბათ, სიცოცხლის ღრეობებით შემოკლებას ნიშნავდა. «დიდი ხანია, ვამჩნევდი, სადილის შემდეგ განუწყვეტლივ მოკუნტული იჯდა (ალბათ, თვლემა იგულისხმა). უკანასკნელ ხანს კი იმდენად შეიცვალა, თუ არ იცოდნენ, ვინ იყო, საეჭვოა, ვინმეს ეცნო».

სასიამოვნო ამბავიც შემატყობინა, კანის სასამართლოს თავმჯდომარემ «პატივსაცემი» ლეგიონის ორდენი მიიღო. «რა თქმა უნდა, გონიერი კაცია, მაგრამ ამბობენ, ორდენი გავლენიან ადამიანებთან ნაცნობობის დახმარებით მიიღოო». ეს ამბავი გუშინდელ «ეკო დე პარის» ნომერში დაიბეჭდა, მაგრამ დირექტორმა მხოლოდ «პირველი პარაფი» (ალბათ, პარაგრაფი) წაიკითხა; ამ ნომერში გვარიანად

აკრიტიკებდნენ ბატონი კაიოს[113] პოლიტიკას. «ჩემი აზრით, მართალნი არიან, – მითხრა დირექტორმა. – მას უნდა, რომ გერმანელების ჩაჩის ქვეშ ვიყოთ» (ჩექმის ქვეშ). საერთოდ არ მაინტერესებდა, ამაზე რას ფიქრობდა სასტუმროს დირექტორი, ამიტომ აღარც ვუსმენდი, რას ლაპარაკობდა. ჩემ თვალწინ ის სახეები აირია, ვის გამოც ბალბეკში ჩამოსვლა გადავწყვიტე. ისინი საერთოდ არ ჰგავდნენ ძველ სახეებს; ახლა დამაბრმავებლად მოკაშკაშე შთაბეჭდილებებს ველოდი, პირველი კი უკვე ბურუსით იყო მოცული, მაგრამ ახალიც დიდად საიმედოს არაფერს მპირდებოდა. მახსოვრობის მიერ

შერჩეული სახეები ისეთივე უცნაური, ისეთივე შეზღუდული, ისეთივე უჩინარი იყო, როგორც ფანტაზიით შექმნილი და მერე რეალობით განადგურებული სახეებია. არავითარი საფუძველი არ არსებობს, ვიფიქროთ, რომ გარე სამყაროში, რეალური გარემოს რომელიღაც ადგილზე ჩვენს მახსოვრობაში შემორჩენილი უფრო მეტი სახე იყოს თავმოყრილი, ვიდრე ოცნებაშია. და თანაც, ახალმა რეალობამ შეიძლება დაგვავიწყოს ან შეგვაძულოს ის სურვილები, რის გამოც სადღაც გავემგზავრეთ.

ბალბეკში ნაწილობრივ იმიტომაც ჩამოვედი, რომ ვერდიურენებმა (რომელთა მიპატიჟებითაც ვერასოდეს ვისარგებლე და, ცხადია, მოხარულნი იქნებოდნენ, თუ აგარაკზე ვეწვეოდი და მოვუბოდიშებდი, პარიზში მათი მონახულება რომ ვერ შევძელი), გაიგეს თუ არა, რამდენიმე ერთგული ადამიანი ზაფხულს ამ სანაპიროზე გაატარებდა, ბატონ დე კამბრემერის ერთ-ერთი ციხე-დარბაზი (ლა რასპელიერი) მთელი სეზონით იქირავეს და ბარონესა პიუტბიუ მიიპატიჟეს. იმ დღეს, როცა ეს მითხრეს (პარიზში), გიჟად ვიქეცი, ახალგაზრდა ლაქია გავგზავნე გასაგებად, ბარონესას თავისი მოახლე გოგო თუ მიჰყავდა თან. ღამის თერთმეტი საათი იქნებოდა. ჩემს შათირს კონსიერჟმა დიდი ხნის შემდეგ გაუღო კარი, რაღაც სასწაულით არ გამოაგდო, არც პოლიციას გამოუძახა, მხოლოდ იმით დაკმაყოფილდა, რომ ცუდად მიიღო, მაგრამ სასურველი ცნობები მაინც მისცა. უთხრა: პირველი მოახლე გოგო თავის ქალბატონს ჯერ წყლებზე მიჰყვება, გერმანიაში, მერე ბიარიცში, იქიდან კი ქალბატონ ვერდიურენთან

ჩავლენო. გამიხარდა და დიდად კმაყოფილი დავრჩი, საქმეც გაჩარხულად მივიჩნიე. ახლა შემეძლო, ქუჩაში აღარ მედევნა ლამაზმანებისთვის, რომლებთანაც სარეკომენდაციო წერილები არ მქონდა, ხოლო ვინმე «ჯორჯონეს» მხედველობაში უნდა მიეღო ის გარემოება, რომ იმავე საღამოს ვერდიურენებთან, მის ქალბატონთან ერთად მომიწევდა სადილობა. მოკლედ, ალბათ, ჩემზე უფრო მაღალი წარმოდგენა შეექმნებოდა, თუ გაიგებდა, რომ არა მარტო ლა რასპელიერის დამქირავებელ ბურჟუა ობივატელებს ვიცნობდი, არამედ ციხე-დარბაზის მფლობელებსაც, განსაკუთრებით კი სენ-ლუს, რომელსაც შორი მანძილის გამო შესაძლებლობა არ ჰქონდა, მოახლე გოგოსთან (რომელმაც რობერის გვარიც კი არ იცოდა) ჩემთვის რეკომენდაცია გაეწია; კამბრემერებს ჩემზე რამდენიმე თბილი სიტყვა მისწერა. ის ფიქრობდა, გარდა იმისა, რომ მათ შეეძლოთ სხვადასხვა სამსახური გაეწიათ, ჩემთვის საინტერესო იქნებოდა, მათ რძალს, ქალბატონ დე კამბრემერსაც გავსაუბრებოდი,

რომელიც დაბადებით ლეგრანდების გვარს ეკუთვნოდა. «ჭკვიანი ქალია, – მარწმუნებდა იგი. – მისგან რაღაც განსაზღვრულს არ უნდა ელოდო (სიტყვა «განსაზღვრულმა» «ამაღლებული» შეცვალა. რობერი ყოველ ხუთ-ექვს წელიწადში ზოგიერთ თავის საყვარელ სიტყვას ცვლიდა, მხოლოდ მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანს ინარჩუნებდა), მაგრამ მტკიცე ხასიათი აქვს, პიროვნებაა, ინტუიციით არის დაჯილდოებული, მსჯელობებისას ძალიან ზუსტია. დროდადრო გამაღიზიანებელია, სისულელეს ლაპარაკობს, რათა «გაიბრწყინოს», არადა, არც ეს არის სასაცილო, რადგან მასზე დახვეწილი ადამიანი არ არსებობს, რაღაცით ცხოვრებას ჩამორჩება, მაგრამ ბევრ სხვაზე სასიამოვნოა».

რობერისგან სარეკომენდაციო წერილი მიიღეს და კამბრემერებმა, შეიძლება სნობიზმის გამო, რაც ირიბად იგრძნობოდა, ან სენ-ლუსადმი თავაზიანობა რომ გამოეჩინათ, ანდა მადლობის ნიშნად, რაც მან მათი ერთ-ერთი ნათესავისთვის გააკეთა დონსეიერში, უფრო კი – სიკეთისა და სტუმართმოყვარეობის ტრადიციების გავლენით მაშინვე გრძელ-გრძელი წერილები გაუგზავნეს, სთავაზობდნენ, მათთან მეცხოვრა და, თუ უფრო მეტ თავისუფლებას ვამჯობინებდი, მაშინ შესაფერ ბინას გამომიძებნიდნენ. სენ-ლუმ აუწყა, რომ ბალბეკის გრანდ-ოტელში გავჩერდებოდი, ამის პასუხად მისწერეს, ჩამოსვლისთანავე გვეწვიოსო, ხოლო თუ დიდხანს ვიყოყმანებდი, თვითონ მოვიდოდნენ და თავიანთ garden-parties-ზე წამიყვანდნენ.

ბუნებრივია, ქალბატონ პიუტბიუს მოახლე გოგოსა და ბალბეკის მხარეს შორის არანაირი შინაგანი კავშირი არ არსებობდა; მოახლე იმ გლეხის გოგოს ვერ შემიცვლიდა, მეზეგლიზისკენ მიმავალ გზაზე მარტოდ მდგარი რომ ვნახე და ჩემში დაგროვილი სურვილის მოძალებისას ამაოდ ვუხმობდი.

მაგრამ, უკვე დიდი ხანია, ქალიდან უცნობის, თუ შეიძლება ასე ითქვას, კვადრატული ფესვის ამოღებას აღარ ვცდილობდი; იმ უცნობის, რომელიც მასშია დაფარული და ხშირად გაცნობისთანავე ამოხსნით. ბალბეკში, დიდი ხანია, არ ვყოფილვარ და, თუმცა ამ მხარესა და მოახლე გოგოს შორის უშუალო კავშირი არ არსებობდა, მე მაინც ის უპირატესობა მქონდა, რომ

ჩვეულება სინამდვილის გრძნობას არ მიჩლუნგებდა, როგორც პარიზში, სადაც, სახლი იქნებოდა თუ სხვა კარგად ნაცნობი ადგილი, სიამოვნება, რომელსაც ქალი ჩვეულებრივ გარემოში მანიჭებდა, იმ წუთიერ ილუზიასაც ვერ მიქმნიდა, რომ მეფიქრა, ჩემ წინ ახალი ცხოვრების კარი იხსნება-მეთქი (თუ ჩვეულება მართლაც მეორე ბუნებაა, მაშინ პირველის შეცნობაში ხელს გვიშლის და არა მხოლოდ სისასტიკეს არის მოკლებული, არამედ პირველის ხიბლსაც). ამგვარად, ეს ილუზია შეიძლება ახალ მხარეში შემქმნოდა, სადაც მგრძნობიარობას მზის ერთი სხივიც მიმძაფრებდა და სადაც მოახლე გოგოსადმი ის ვნება ამიფეთქდებოდა, რაზეც ვოცნებობდი; მერე გამოჩნდება, რომ, რაღაც გარემოებების გამო, ეს ქალი ბალბეკში არ ჩამოვა, მე კი ამქვეყანაზე ყველაზე მეტად მისი ჩამოსვლისა შემეშინდება, ასე რომ, ჩემი მოგზაურობის მთავარ მიზანს ვერ მივაღწევ და მიღწევას აღარც ვეცდები.

ბარონესა პიუტბიუ სეზონის დასაწყისში ვერდიურენებთან ჩამოსვლას აღარ აპირებდა; როცა მოსალოდნელი სიამოვნების ტალღა რაღაც დრომდე სადღაც შორს არის და დარწმუნებული ვართ, ჩვენ გარეშე მაინც არ ჩაივლის, მაშინ მის მოლოდინში სიზარმაცე გვიპყრობს და ძალა აღარ შეგვწევს სიყვარულისა. სხვათა შორის, ბალბეკში ამჯერად ნაკლებად ამაღლებული მიზნით ჩამოვედი, ვიდრე პირველი ჩამოსვლისას; წარმოსახვა, საერთოდ, უფრო ცოტა ეგოიზმს შეიცავს, ვიდრე მოგონება; წინასწარ ვიცოდი, რომ ერთ-ერთ იმ ადგილზე მივდიოდი, რომელიც მშვენიერი უცნობი ქალებით იყო სავსე; ისინი ზღვის სანაპიროზე იმაზე ცოტა როდი არიან, ვიდრე მეჯლისებზე; და ისეთივე სიამოვნებას მანიჭებდა სასტუმროს წინ, სანაპიროს გასწვრივ

სეირნობებზე ფიქრი, რასაც ჰერცოგინია დე გერმანტთან ყოფნა მომგვრიდა, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ მაღალი საზოგადოების დიდებულ ვახშმობებზე დასწრების უფლების მოპოვების მაგივრად, იმ სასახლეების დიასახლისებს, სადაც საცეკვაო საღამოები იმართებოდა, დაჟინებით ურჩევდა, ჩემი გვარი კავალერების სიაში შეეტანათ. ახლა ბალბეკში ქალებთან ნაცნობობის გაბმა იმდენად ადვილი იყო ჩემთვის, რამდენადაც უწინ მიძნელდებოდა, რადგან აქ უკვე ნაცნობ-მოკეთეები შევიძინე; ხოლო, პირველად რომ ჩამოვედი, ასეთები არ მყავდა.

ფიქრებიდან დირექტორის ხმამ გამომიყვანა, რომლის პოლიტიკურ თემებზე მსჯელობები აღარ მომისმენია. მან ლაპარაკის თემა შეცვალა და მაუწყა, სასამართლოს თავმჯდომარეს, როცა გაიგო ჩამოვდიოდი, ძალიან გახარებია, და დაუმატა, დღესვე, საღამოს, თქვენს სანახავად ნომერში მობრძანებას აპირებსო. ამ ამბავმა შემაშფოთა, გადაღლილი ვიყავი, ვთხოვე, მისი მოსვლა დაებრკოლებინა და ამ პირველ საღამოს ჩემს სართულზე მომსახურე პერსონალიდან ვინმე სადარაჯოდ დაეყენებინა (რასაც დამპირდა კიდეც). ეტყობა, დირექტორს სასამართლოს თავმჯდომარე გულზე არ ეხატებოდა. «გამუდმებით მაგისი დევნა მიწევს, ისეთი ინერტული გახდა. მე რომ არ ვიყო, ნაბიჯსაც ვერ გადადგამდა. თქვენს კართან მელიფტე ბიჭი იმორიგეევებს». დამაინტერესა, ბოლოს და ბოლოს, დანიშნეს თუ არა ეს მელიფტე «შიკრიკების უფროსად». «სასტუმროში ახალი მოსულია, – მიპასუხა დირექტორმა. – მასზე ადრე მიღებული მომსახურე ხალხი გვყავს. ისინი ერთ ამბავს ატეხდნენ. ყველაფერში გრანულაციაა საჭირო.

ვაღიარებ, რომ სამუშაოს კარგად უსწორდება (ალბათ, კარგად ართმევს თავს), მაგრამ ასეთი თანამდებობისთვის ჯერ ახალგაზრდაა. ძველ თანამშრომლებთან კონტრასტი ექნება. ცოტა სერიოზულობა აკლია, არადა, ეს ხომ ყველაზე მეტად არის საჭირო. დაე, ცოტა წაივარჯიშოს. ჩემგან უნდა ისწავლოს. ვიდრე გრანდ-ოტელის დირექტორის მუნდირს ჩავიცვამდი, ბატონ ბაიართან მივიღე საბრძოლო ნათლობა». ამ მეტაფორამ ჩემზე შთაბეჭდილება მოახდინა და მადლობა გადავუხადე, რომ პონ-ა-კულევრში დამხვდა. «ო, არაფერია. ამაზე ცოტა დრო გავფლანგე (დაკარგვის მაგივრად), ძალიან ცოტა». ამ დროს სასტუმროსთან მივედით კიდეც.

მალე მთელი არსებით ავღელდი. პირველივე ღამეს გადაღლილი გულის შეტევამ დამტანჯა და, ტკივილის დაძლევას რომ ვცდილობდი, ფეხსაცმლის გასახდელად ნელა, ფრთხილად დავიხარე. წაღის პირველ ღილს ძლივს შევახე ხელი, რომ მკერდი რაღაც გამოუცნობმა, საკვირველმა გრძნობამ ამივსო, ქვითინმა ამაცახცახა და თვალებიდან ცრემლი ღვარად წამომივიდა. საშველად მომევლინა და სულიერი სიცარიელისგან მიხსნა იმავე არსებამ, რამდენიმე წლის წინათ, ასეთივე გასაჭირისა და დარდიანი მარტოობის ჟამს, იმ დროს, როცა ჩემში ჩემი უკვე აღარაფერი დარჩა, ჩემში შემოვიდა და მე დამიბრუნა, ეს მართლაც მე ვიყავი და უფრო მეტიც, ვიდრე მე (სათავსი შიგთავსზე ყოველთვის მეტია, და აი, სათავსიც მივიღე). მოგონებებში ჩემი ღონემიხდილობისკენ დახრილი ბებიაჩემის ალერსიანი სახე აღსდგა, მისი შეწუხებული და იმედგაცრუებული გამოხედვა დავინახე ბალბეკში ჩემი პირველი ჩასვლის

დღეს; არა ის, რომელიც ოდესღაც, ჩემდა გასაკვირად, არც შემცოდებია, რისთვისაც საკუთარ თავს ახლაც ვსაყვედურობ, და რომელთანაც ამას საერთო მხოლოდ სახელი ჰქონდა, არამედ ჩემი ნამდვილი ბებიის, რომლის ცოცხალი სახება, მას შემდეგ, რაც ელისეს მინდვრებზე სისხლი ჩაექცა, ჩემდა უნებურად პირველად წარმომიდგა. ეს ცოცხალი სახება ჩვენთვის არ არსებობს მანამდე, ვიდრე ჩვენი გონება არ შექმნის (სხვანარად გრანდიოზული ბრძოლის ყველა მონაწილე დიდი ეპიკური პოეტი იქნებოდა); და აი, მხოლოდ იმ წუთში გიჟურმა სურვილმა მომიარა, მისი დასაფლავებიდან ერთი წამის შემდეგ ჩავხვეოდი, ამ ანაქრონიზმმა[114], რომლის გამოც კალენდარული თარიღები ხშირად არ ემთხვევა იმას, რასაც ჩვენი გრძნობები ადგენს, მაგრძნობინა, რომ იგი გარდაიცვალა. მისი სიკვდილის შემდეგ ხშირად ვლაპარაკობდი და ვფიქრობდი მასზე, მაგრამ უმადური, ეგოისტი, უგულო ახალგაზრდის სიტყვებსა და აზრებში არაფერი იყო, რაც ბებიაჩემს გამახსენებდა, რადგან ჩემი ფუქსავატობის, გართობისკენ სწრაფვისა და იმის გამოც, რომ მის ავადმყოფობას მიჩვეული ვიყავი, მხოლოდ სულის ფარული მხარის ფსკერზე ვინახავდი იმაზე მოგონებებს, როგორი იყო ის. როცა კი უნდა დავიწყოთ ჩვენი შინაგანი სამყაროს მთელი სიგრძე-სიგანით შესწავლა, მიუხედავად მასში არსებული ურიცხვი სიმდიდრისა, იყოს ეს სიმდიდრე რეალური ან თუნდაც წარმოსახვითი, მისი ღირებულება თითქმის მოჩვენებითია, რადგან ხან ამის, ხან იმის გამოყენების უნარი არა გვაქვს, ჩემზე თუ ვილაპარაკებთ, ასეთ სიმდიდრეს ჩემთვის გერმანტების ძველთაძველი გვარი წარმოადგენდა ან შეუდარებლად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბებიაჩემზე ნამდვილ მოგონებებს. მახსოვრობის

მოშლასთან არის დაკავშირებული გრძნობის აფეთქებაც. ჩვენს სხეულს, რომელსაც ჭურჭელს ვადარებთ, სადაც ჩვენი სულიერი ცხოვრებაა მოთავსებული, ეჭვი არ არის, იმ აზრამდე მივყავართ, რომ მთელი ჩვენი სულიერი სიკეთე, გარდასულ დღეთა სიხარული, მთელი ჩვენი მწუხარება ჩვენს სამუდამო მფლობელობაშია. შეიძლება ერთნაირად არასწორია იმაზე ფიქრი, თითქოს ისინი სადღაც გარბიან ან ბრუნდებიან. ყოველ შემთხვევაში, თუ ისინი ჩვენს შიგნით რჩებიან, მაშინ დროის

დიდ ნაწილს უცნობ სფეროში ატარებენ და მათით არავითარი სარგებელი არ გვაქვს, და იქ მათგან ყველაზე ჩვეულებრივიც კი ისეთი მოგონებებით არის შევიწროებული, რომლებიც ჩვენს გონებასთან შეუთავსებელია. მაგრამ, თუ შეგრძნების ჩარჩო, რომელშიც ისინი ინახება, აღსდგება, მაშინ მათთან გადადის მთელი უფლება, გააძევონ ყველაფერი, რაც მათ არ ეთვისება და ჩვენში მხოლოდ ჩვენი «მე» მკვიდრდება, რომელმაც ისინი წარხოცა. და, რადგან იმან, რადაც უეცრად ხელახლა ვიქეცი, იმ შორეული საღამოს შემდეგ შეწყვიტა არსებობა, როცა ბებიაჩემი, ბალბეკში ჩამოსულს, ფეხსაცმლის გახდაში დამეხმარა, მაშინ სრულიად ბუნებრივია, რომ დღევანდელი დღის შემდეგ კი არა, რომელზეც ჩემმა უწინდელმა «მემ» არაფერი იცოდა, თითქოსდა დროის სხვადასხვა პარალელური მწკრივები არსებობდეს, არამედ მაშინვე, პირველივე საღამოს შემდეგ, იმ გაელვებას დავეუფლე, როცა ბებია ჩემკენ დაიხარა. მაშინდელი, დიდი ხნის წინათ გამქრალი «მე» ახლა ისევ ისე ახლო იყო ჩემთან, რომ მომეჩვენა, ისევ მესმოდა თითქოს ეს-ესაა ნათქვამი სიტყვები, სინამდვილეში კი, ეს ზმანება გახლდათ, ასე ნამძინარევ ადამიანს ისევ ესმის ხოლმე გაფრენილი სიზმრის

ხმები. ახლა მხოლოდ ის არსება ვიყავი, ვისაც ბებიასთან ჩახუტება და მის სახეზე ნაღვლის ნაკვალევის წაშლა უნდოდა, ის არსება, რომლადაც შევძელი და თავი წარმოვიდგინე, ვიდრე ერთი იმათგანი ვიყავი, ვინც ჩემში ერთმანეთს ენაცვლებოდა ისევე ძნელად, როგორიც, შევეცადე, ახლა ვყოფილიყავი, თანაც წარუმატებლად, რათა კვლავ განმეცადა სურვილისა და სიხარულის გრძნობა ერთი იმათგანის, რადაც მე, ყოველ შემთხვევაში, დროებით მაინც, შევწყვიტე ყოფნა. გამახსენდა, ერთი საათით ადრე, ვიდრე საშინაო კაბაში ჩაცმული ბებიაჩემი ჩემი ფეხსაცმლისკენ დაიხრებოდა, სიცხისგან გაწამებული საკონდიტროს ახლოს ქუჩაში დავხეტიალობდი და უცბად ისე მომინდა ბებიას კოცნა, შემეშინდა, იქამდე, როცა მას უნდა შევხვედროდი, ვეღარ მოვითმენდი; ახლა, როცა ისევ მომინდა მისი კოცნა, მივხვდი, საათი საათს გაჰყვებოდა და ის ჩემთან არასოდეს მოვიდოდა, ყოველ წამს ამას ვგრძნობდი, რადგან ამდენი ხნის შემდეგ პირველად შევიგრძენი იგი ისეთი, როგორიც სიცოცხლეში, სინამდვილეში იყო, ვიგრძენი, სადაც იყო, გული გამისკდებოდა, იმდენად გადავსებულიყო მისით, იმ დროს, როცა მეგონა, კვლავ მოვიპოვე იგი, მივხვდი, რომ სამუდამოდ დავკარგე. სამუდამოდ დავკარგე; ამის გააზრება ვერ შევძელი და ამ წინააღმდეგობით მოგვრილი ტანჯვის ატანას ვცდილობდი: ერთი მხრივ, იყო სიცოცხლე, ალერსი, ჩემში რომ ისეთივედ შემოინახა, როგორიც ვიცოდი, ასე ვთქვათ, ჩემთვის შექმნილი სიყვარული, მთლიანად ჩემით ნასაზრდოები, ჩემში რომ პოულობდა თავის აზრს, გამუდმებით ჩემკენ მომართული ისე, რომ დიდი ადამიანების ნიჭი, სამყაროს შექმნიდან ჩვენს დრომდე არსებული ყველა გენიოსი ბებიაჩემის თვალში ჩემ ერთ

ნაკლად არ ღირდა; მეორე მხრივ კი, ის იყო, ისევ ვიგრძენი, თითქოს ახლა ყოფილიყო ეს ნეტარება, რომ უცბად მივხვდი: იგი მთლიანად აღევსო მომსკდარ, თითქოს განმეორებულ ფიზიკურ ტკივილს, არყოფნის უეჭველობას, მოფერებაზე

შემორჩენილი ჩემი მოგონებები რომ წაშალა, ეს სიცოცხლე რომ გაანადგურა, უკანა რიცხვით ჩვენი ურთიერთდანიშნულების არსი გააუქმა და ბებიაჩემი, როცა ისევ ვნახე ისე, თითქოს სარკეში დამენახოს, ჩვეულებრივ უცხო ქალად აქცია, რომელმაც ბედის განჩინებით რამდენიმე წელი ჩემთან გაატარა, ისევე, როგორც შეეძლო ვინმე სხვასთან გაეტარებინა და რომლისთვისაც მანამდეც და შემდეგაც არაფერი ვიყავი და არაფერი ვიქნები.

ყველაფერს, რაც ერთხანს მახარებდა, ახლა ერთადერთ სიხარულზე გავცვლიდი: შემეცვალა წარსული და ბებიას ის ტანჯვა შემემსუბუქებინა, ოდესღაც რომ განიცდიდა. მე ხომ მარტო მას არ ვიგონებდი, არამედ ვიხსენებდი მის საშინაო კაბას, შესაფერ ტანსაცმელს, რომელიც თითქმის რაღაც სიმბოლოდ იქცა, დაღლილობას, ეჭვი არ არის, მისთვის მავნეს, მაგრამ, ალბათ, სასიამოვნოსაც, რადგან ჩემთვის იღლებოდა; ნელ-ნელა ყველა ის შემთხვევა გავიხსენე, როდესაც ვცდილობდი, მისთვის მეჩვენებინა, როგორ ვიტანჯებოდი, ვაზვიადებდი ჩემს ავადმყოფობას, ჯერ დარდს ვუჩენდი, მერე ვსარგებლობდი და ამ დარდს კოცნით ვუქარვებდი, მეგონა, ჩემს ალერსს, ისევე როგორც ჩემს ბედნიერებას, შეეძლო ისიც გაებედნიერებინა; და ყველაზე უარესი – ახლა ჩემთვის იმაზე მეტი ბედნიერება არ არსებობდა, ოღონდ მის ოვალურ,

ქანდაკ, სინაზით აღვსილ სახეზე, ჩემს მოგონებებში, ბედნიერების ნაკვალევი აღმომეჩინა, უწინ კი უაზრო ღვარძლით ვცდილობდი მისი სახიდან სიხარულის მსუბუქი გამონათების გაძევებასაც, მაგალითად, იმ დღეს, როცა სენ-ლუ სურათს უღებდა, შევამჩნიე თუ არა, რა ბავშვური, თითქმის სასაცილო სიკეკლუცით დაიხურა თავისი ფართოფარფლებიანი შლაპა და ჩრდილში დგომა არჩია, უკეთ რომ გამოჩენილიყო, გაღიზიანებულმა თავი ვეღარ შევიკავე და გულსატკენი სიტყვები ჩავიბუტბუტე, სახეზე თრთოლამ გადაუარა, რადგან ჩემი ნათქვამი მიზანში მოხვდა და გული დაუკოდა; და, როცა სამუდამოდ მომესპო ბებიას ნუგეშის, მისი სახის დაკოცნის საშუალება, ეს სიტყვები გულს მიფლეთდა.

ახლა უკვე ვერასოდეს შევძლებ მისი ათრთოლებული სახის ნაკვთების შეჩერებას, მისი გულის დაამებას, უფრო სწორად, კი ჩემსას; მიცვალებულები მხოლოდ ჩვენში ცოცხლობენ და, როცა მოგონებებით ჯიუტად ვუბრუნდებით იმ დარტყმებს, მათ რომ დავატეხეთ თავს, საკუთარ მეს ვაყენებთ დარტყმებს. მთელი ძალით მივეჯაჭვე ჩემს მწუხარებას, მიუხედავად ამ აუტანელი ტანჯვისა, ვგრძნობდი, მათ ბებიაჩემზე მოგონებები იწვევდა და იმის მტკიცებად აღვიქვამდი, რომ მასზე მოგონებები ჩემში ცოცხლობდა. ვგრძნობდი, რომ მხოლოდ ტანჯვის წყალობით მახსოვდა იგი ასე ნათლად და მინდოდა, უფრო მაგრად ჩაესოთ ის ლურსმნები, რომლითაც მასზე მოგონებები ჩემზე იყო მიმაგრებული. ჩემი სულიერი ტანჯვის გაქარვებას, შელამაზებას არც ვცდილობდი, არც საკუთარი თავის დარწმუნებას, რომ ბებია, უბრალოდ, ადგა და სადღაც

წავიდა, რომ დროებით დავშორდით ერთმანეთს და მანამდე კი მისი სურათისთვის (იმისთვის, რომელიც სენ-ლუმ გადაუღო და რომელიც მე წამოვიღე) შემეძლო სიტყვებითა და თხოვნით მიმემართა, როგორც ჩვენგან წასული ადამიანისთვის, რომელსაც ინდივიდუალობა არ ჰქონდა დაკარგული და ძველებურად ურღვევი ურთიერთგაგებით იყო ჩვენთან დაკავშირებული. ამისთვის არასოდეს მიმიმართავს, მე ხომ არა მარტო ტანჯვის, არამედ ამ ტანჯვის განსაკუთრებულობის შენარჩუნებაც მინდოდა, ისეთივესი, როგორიც მოულოდნელად, თავადაც რომ არ მსურდა, შევიცანი; საკმარისია, სიკვდილის შემდეგ ხელახლა აღმოცენდეს სიცოცხლესა და არმყოფობას შორის ეს უცნაური წინააღმდეგობა, ჩემში ერთმანეთს რომ კვეთს, და უწყვეტი ტანჯვის, ამ ტანჯვის კანონების დამორჩილების სურვილი მიჩნდება. გასაგებია, რომ დარწმუნებული არ ვიყავი, ამ მტანჯავი და ჯერ კიდევ გაუგებარი მდგომარეობიდან ჭეშმარიტების უმცირეს მარცვალს მაინც თუ ამოვიღებდი; მხოლოდ ის ვიცოდი, თუ ოდესმე ჭეშმარიტების უმცირეს მარცვალს მოვიპოვებდი, მხოლოდ მისივე წყალობით, რომელიც ასეთი უჩვეულო იყო, ასეთი მოულოდნელი, ჩემი გონებისგან არმითითებული და ჩემი სულმოკლეობის გამო შეუმსუბუქებელი; მხოლოდ ის ვიცოდი, რომ თვით სიკვდილმა, მოულოდნელმა აღმოჩენამ, როგორადაც იგი მომევლინა, ელვის სისწრაფით გაავლო ჩემში რაღაც ზებუნებრივი და არაადამიანური გრაფიკული, ორმაგი იდუმალი კვალი (აქამდე ბებია დავიწყებულია მყავდა, მაგრამ ახლა აზრადაც არ მომდიოდა, მეცადა და ჭეშმარიტება ამ დავიწყებიდან ამომეღო, რადგან დავიწყება სხვა არაფერია თუ არა უარყოფა, აზრთა შესუსტება,

რომელსაც უნარი აღარ აქვს, ხელახლა შექმნას სიცოცხლისეული რაიმე სახე და იძულებულია, შეცვალოს იგი პირობითი, უმნიშვნელო სახეებით). ოღონდ თვითგადარჩენის ინსტინქტმა და იმ მოხერხებამ, რითიც გონება ტანჯვისგან გვიცავს, აბოლებულ ნანგრევებზე უკვე დაიწყეს შენება, საფუძველი ჩაუყარეს თავის სასარგებლო თუ საბედისწერო საქმეს, მერე კი, იქნებ, ამაოდაც, ისეთი სიხარბით ვისრუტავდი მოგონებათა სიტკბოებას საყვარელი ადამიანის ამა თუ იმ მსჯელობიდან, თითქოსდა მას ახლაც შეეძლო გამოეთქვა ეს აზრები, თითქოსდა იგი ისევ არსებობდა, თითქოსდა მეც ვარსებობდი მისთვის. მაგრამ, როგორც კი ჩაძინება მოვახერხე, როგორც კი თვალი მოვუხუჭე გარე სამყაროს ყველა საგანს, ძილის სამყარომ (რომლის ზღურბლზეც გონება და ნებისყოფა უეცრად პარალიზებული ხდება და აღარც ერთს აღარ შეუძლია ცხოვრებისეული შთაბეჭდილებების სიმკაცრისგან ჩემი დაცვა) აირეკლა, იდუმალი სინათლით გარდატეხა სიკვდილის შემდგომი სიცოცხლისა და არყოფნის მტანჯავი სინთეზი. ძილის სამყაროში შინაგანი ცოდნა ჩვენი ორგანოების აშლილობაზეა დამოკიდებული, იგი აჩქარებს გულისცემას ან სუნთქვას და, თუ მას შემდეგ, რაც ამქვეყანაზე აღმოვჩნდებით, ვენებში შიშის, ნაღვლის, სინდისის ქენჯნის ჩვეულებრივ დოზას შევუშვებთ, იგი ასჯერ ძლიერად იმოქმედებს; მიწისქვეშა ქალაქის არტერიებით ჩვენი სისხლის შავ ტალღებს რომ მივყვეთ, ზუსტად ისევე, როგორც შინაგანი ლეთეს[115] ტალღების ურიცხვ კლაკნილს, ჩვენ წინ წარმოდგება, მოგვიახლოვდება, მერე დაგვშორდება დიდებული, მეფური

სახეები და ჩვენ მათ გამო ავტირდებით. ბნელ თაღებქვეშ აღმოვჩნდი და მაშინვე ბებიას ძებნა დავიწყე, მაგრამ

ამაოდ; თან ვიცოდი, რომ ცოცხალი იყო, ოღონდ რაღაც მინავლებული სიცოცხლე ჰქონდა, ისეთივე მკრთალი, როგორიც მოგონებათა სიცოცხლეა; სიბნელე იზრდებოდა, ქარიც მძლავრობდა; მასთან მამაჩემს უნდა მივეყვანე, მაგრამ ის არ მოდიოდა. უცბად სუნთქვა შემეკრა, გული გამიხევდა, რადგან რამდენიმე თვეა, მიმრჩა და, ბებიასთან წერილი არ მიმიწერია. ნეტავ, რას ფიქრობდა ჩემზე? «ღმერთო ჩემო, – ვუთხარი საკუთარ თავს, – ალბათ, რა უბედურია იმ ციცქნა ოთახში, რომელიც მისთვის იქირავეს და ისეთივე პატარაა, როგორც მოხუცი მსახურის სენაკი. რა მოსაწყენი იქნება მომვლელთან ერთად იმ პაწია ოთახში ცხოვრება, სადაც გაუნძრევლად წევს, რადგან ისევ დამბლადაცემულია და არც სურვილი აქვს, ადგეს. ალბათ, ფიქრობს, რომ მას შემდეგ, რაც გარდაიცვალა, დავივიწყე; ალბათ, რა მარტოსულად, მიტოვებულად გრძნობს თავს! ჩქარა, მასთან უნდა მივიდე, წუთით მოცდაც არ შემიძლია, მამას აღარ დაველოდები, მაგრამ სად წავიდე? მისამართი რამ დამავიწყა? ოღონდ მიცნოს! როგორ მოხდა, რომ რამდენიმე თვის განმავლობაში ერთხელაც არ გამხსენებია?» ბნელა, ვერ ვიპოვი, ქარი სიარულს მიშლის; აგერ, მამაჩემიც, წინ და უკან დადის, ვუყვირი: «ბებია სად არის? მისამართი მითხარი. თავს კარგად გრძნობს? არაფერი სჭირდება?». «არაფერი, – მიპასუხა მამამ, – მშვიდად იყავი. ყურადღებიანი მომვლელი ჰყავს. დროდადრო ცოტა ფულს უგზავნიან, მომვლელი, რაც საჭიროა, ყიდულობს; ბებიას ხომ ცოტა ჰყოფნის. ზოგჯერ კითხულობს, შენგან რა გამოვიდა. უთხრეს, რომ წიგნის დაწერას აპირებ. მგონი, ამან გაახარა. ცრემლი მოიწმინდა». ამ დროს გამახსენდა, მისი გარდაცვალებიდან ცოტა ხნის შემდეგ

გაგდებული ბებერი მსახურის დამცირებული სახით არა მშობლიური, არამედ უცხოს გამომეტყველებით, გულამოსკვნილი ტირილით მთხოვა: «ხანდახან ხომ მაინც მინახულებ? რამდენიმე წელში ერთხელ მაინც მოდი. გახსოვდეს, რომ ჩემი შვილიშვილი იყავი, ბებიებს ეს არ ავიწყდებათ». საკმარისი იყო, მისი სახე დამენახა, ასეთი მორჩილი, ასეთი ნაღვლიანი, ასეთი თვინიერი გამომეტყველებით, რომ მაშინვე მასთან გაქცევა მომინდებოდა და იმის თქმა, რაც მაშინ უნდა მეთქვა: «რას ამბობ, ბებია! იმდენჯერ ვნახავთ ერთმანეთს, რამდენჯერაც მოისურვებ. ქვეყანაზე შენ ხომ ერთადერთი მყავხარ, არასოდეს დაგშორდები». მთელი იმ თვეების განმავლობაში, ვიდრე ვდუმდი და არ მივდიოდი, ალბათ, რა მწარედ ტიროდა! ნეტავ, რას ფიქრობდა ჩემზე? და აცრემლებულმა მამაჩემს ვუთხარი: «ჩქარა, ჩქარა, მისამართი, მასთან წამიყვანე». მან კი მიპასუხა: «საქმე ის არის, რომ... არ ვიცი, მისი ნახვა გამოგივა თუ არა. თანაც, იცი, ძალიან სუსტად არის, სუსტად. უკვე ის აღარ არის, ვშიშობ, შენთვის მძიმე ასატანი იქნება. თანაც ბილიკის ნომერიც კარგად არ მახსოვს». «მაინც მითხარი. ხომ არ არის მართალი, რომ მიცვალებულები წყვეტენ სიცოცხლეს? რაც უნდა თქვან, ბებია ხომ ისევ ცოცხალია?» მამამ ნაღვლიანად გაიღიმა: «არა, იცი, ძლივს ცოცხლობს! მგონი, უკეთესია, არ წახვიდე. არაფერი

სჭირდება». «მარტო ხშირად არის?». «კი, მაგრამ მისთვის ასე ჯობს. უკეთესია, არაფერზე იფიქროს, ფიქრებმა შეიძლება გააღიზიანოს. ფიქრი ხომ ხშირად მძიმე ასატანია. და საერთოდაც, სრულიად ჩაქრა. ახლა ზუსტად გეტყვი, მასთან როგორ მიხვიდე, ოღონდ არ ვიცი, იქ რა უნდა გააკეთო, თანაც მომვლელმა, საეჭვოა, შეგიშვას». «შენ ხომ იცი, რომ მუდამ მასთან

უნდა ვიცხოვრო, ირმები, ირმები, ფრანსის ჟამი[116], ჩანგალი!» ამ დროს შავი მიხვეულ-მოხვეული მდინარის გზით ისევ იქ დავბრუნდი, საიდანაც გავცურე და ნაპირზე გადმოვედი, სადაც უკვე ცოცხალთა სამყარო იწყება, აი, ამიტომ ვიმეორებდი: «ფრანსის ჟამი, ირმები, ირმები», ზოგიერთმა ამ სიტყვამ უკვე დაკარგა ჩემთვის გამოკვეთილი ლოგიკური კავშირი, რომელიც წუთის წინ ასე ნათელი იყო და რომლის აღდგენის უნარი ახლა აღარ მაქვს. აზრს ვეღარ ვიგებ, სიტყვა «აიას»-ს, რომელიც მამამ ახლახან წარმოთქვა, მხოლოდ ერთი მნიშვნელობა რატომ ჰქონდა: «იცოდე, არ გაცივდე». დარაბების დახურვა დამავიწყდა, და, ალბათ, დღის სინათლემ გამაღვიძა. მაგრამ აუტანელ სიმძიმეს მგვრიდა ჩემ თვალწინ გადაშლილი ზღვა, რომლისთვისაც ბებიას საათობით შეეძლო ეყურებინა; მისმა გულგრილმა სილამაზემ, რაც ისევ ვიგრძენი, მაშინვე ის აზრი მომგვარა, რომ ბებია ამას ვეღარასოდეს დაინახავდა; მინდოდა, ყურები დამეცო, მისი ხმაური რომ არ გამეგო, მისი აკაშკაშებული სანაპირო ჩემში სიცარიელის გრძნობას იწვევდა; იმ პარკის ხეივნები, მდელოები, ყველაფერი, სადაც ერთხელ ბავშვობაში ბებია დავკარგე, თითქოს მეუბნებოდა: «არ გვინახავს»; მრგვალი და მკრთალი საუცხოო ცის ქვეშ ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ზევიდან რაღაც მაწვებოდა, თითქოს უზარმაზარი ცისფერი ზარი მჭყლეტდა, რომელიც ისე ეფარებოდა, რომ ბებია არ ჩანდა. არაფრის დანახვა არ მინდოდა, კედლისკენ გადავბრუნდი, მაგრამ ვაი! ჩემ წინ ზუსტად ის ტიხარი აღმოჩნდა, ოდესღაც ორივესთვის დილის მეკავშირე რომ იყო; ის ტიხარი, რომელიც ვიოლინოს მორჩილებით გამოხატავდა გრძნობის ყველა ნიუანსს, ზუსტად გადმოსცემდა ჩემს

შიშს, ბებია არ გამეღვიძებინა და, თუ არ ეძინა, ხმაური არ გაეგო, არ შემეწუხებინა, ხოლო წამის შემდეგ სხვა ინსტრუმენტი, რეპლიკის მსგავსად, მის მოსვლას მაუწყებდა და მომიწოდებდა, სიმშვიდე შემენარჩუნებინა. ტიხართან მიახლოება ჩემთვის უფრო საშინელება იყო, ვიდრე როიალთან მისვლა, რომლის სიმებიც ისევ თრთოდა, თუმცა ბებია, დიდი ხანია, როიალს აღარ შეხებია. ვიცოდი, რომ ახლა შეიძლებოდა კედელზე დაკაკუნება, უფრო ხმამაღლაც, ვიდრე ადრე, რადგან ბებიას აღარაფერი გააღვიძებდა, რომ მის პასუხს ვერ გავიგებდი, რომ იგი ჩემთან აღარ მოვიდოდა. და მხოლოდ ერთ რამეს ვთხოვდი უფალს: თუ სულის უკვდავება არსებობს, მაშინ კედელზე სამჯერ ჩუმად დაკაკუნების ნება დამრთე, ბებია ჩემს კაკუნს ათასი სხვა კაკუნისგან გამოარჩევდა და მიპასუხებდა, მე კი ამას ასე გავიგებდი: «ნუ ღელავ, თაგუნია, ვხედავ, მოუსვენრად ხარ, ახლავე მოვალ», და გთხოვ, ნება დამრთე, მარადიულად ვიყო ბებიასთან, რაც არც ერთს მეტისმეტად ხანგრძლივი არ მოგვეჩვენება.

დირექტორი მოვიდა და მკითხა, დაბლა ჩასვლას ხომ არ ინებებთო. გადაწყვიტა, ყოველი შემთხვევისათვის, შეემოწმებინა, როგორ «მომათავსებდნენ» სასადილო დარბაზში. იქ რომ ვერ დამინახა, შეშფოთდა, უწინდელივით სულის ხუთვის შეტევები ხომ არ დამეწყო; იმედი გამოთქვა, ალბათ, ეს «ყელში მსუბუქი სიწითლის» ბრალია და, როგორც გამიგია, მაგას «კალიპტი» კარგად ეხმარებაო.

ალბერტინის წერილი გადმომცა. ამ წელს ბალბეკში ჩამოსვლას არ აპირებდა, თუმცა გეგმები შეუცვლია და, უკვე სამი დღეა, მართალია, ბალბეკში არა, მაგრამ მეზობლად, ტრამვაით ათი წუთის სავალზე ცხოვრობდა. იმით შეშინებულმა, გზა გადამღლიდა, გადაწყვიტა, ჩამოსვლის დღესვე არ შემხვედროდა, ახლა აინტერესებდა, როდის შეიძლებოდა ჩემთან მოსვლა. დირექტორს ვკითხე, თვითონ იყო-მეთქი მოსული? ეს იმისთვის კი არ მაინტერესებდა, რომ მის ნახვას ვჩქარობდი, არამედ მასთან შეხვედრის თავის ასარიდებლად. «დიახ, თვითონ, – მიპასუხა მან. – უნდა, რაც შეიძლება მალე გნახოთ, თუ წინააღმდეგი არ ხართ. ხომ ხედავთ, – დაასკვნა მან, – ყველას თქვენი ნახვა უნდა, მერწმუნეთ». მე კი არავისი ნახვა არ მინდოდა. და მაინც, როცა ჩამოვედი, თითქოს ხელახლა შემიპყრო ზღვის კურორტის დამათრობელმა ნეტარებამ. იგივე მელიფტე, ძველებურად მდუმარე, ოღონდ ახლა არა ქედმაღლობის გამო, არამედ პატივისცემისა, სიამოვნებისგან გაწითლდა და თავისი მანქანა აამუშავა. ასვლისას ისევ გავფრინდი იმ სამყაროში, რაც ოდესღაც ჩემთვის უცნობი სასტუმროს საიდუმლო იყო, სადაც ჩამოსვლის დღეს ყველა გიყურებთ, ის, ვინც კარგა ხანია აქ დამკვიდრებულა და ნომერში ბრუნდება, ისიც, ვინც უკვე სავახშმოდ ჩადის, დერეფანში – დერეფნები კი აქ უჩვეულოა – მიმავალი ყველა მოახლეც, ოღონდ ამ გამოხედვაში იმას ვერ პოულობთ, რისი წაკითხვაც მათ თვალებში გინდათ. ახლა პირიქით იყო, ნაცნობ სასტუმროში ლიფტით ასვლამ დიდი სიამოვნება მომანიჭა, თავს ისე ვგრძნობდი, როგორც საკუთარ სახლში. თავს ვეკითხებოდი: მომიწევდა კიდევ როდესმე – ეჭვიც არ მქონდა, რომ სულიერი მდგომარეობის მკვეთრი

ცვლილებები მელოდა – მეცხოვრა სასტუმროებში, სადაც პირველად უნდა მევახშმა, სადაც ჩვეულებამ საზარელი ურჩხულების დახოცვა ვერ მოასწრო; იმ საზარელი ურჩხულების, ყოველ სართულზე, ყოველ კართან ვიღაცის მოჯადოებულ ცხოვრებას რომ დარაჯობენ, სადაც უხილავ ქალებთან მისვლა მომიწევს, რომლებიც პირველი კლასის სასტუმროებში, სამორინეებში, პლაჟებზე ერთიანდებიან, როგორც პოლიპები, და დიდ კოლონებად, საერთო ინტერესებით ცხოვრობენ?

ისიც კი მესიამოვნა, სასამართლოს აბეზარი თავმჯდომარე ჩემს ნახვას რომ ჩქარობდა; პირველ დღესვე ტალღები, ზღვის ცისფერ მთათა ჯაჭვი, მისი მყინვარები და ჩანჩქერები რომ წარმომედგინა, მისი აღმასვლა და დაუდევარი დიდებულება, საკმარისი იყო, მხოლოდ ხელები დამებანა, დიდი ხნის შემდეგ კვლავ მეგრძნო მეტისმეტად სურნელოვანი საპნის სპეციფიკური სუნი, როგორითაც გრანდ-ოტელებში იბანენ; სუნი, რომელიც თითქოსდა ახლანდელსაც და აქ გატარებულ წარსულ დღეებსაც გასჯდომოდა; სუნი, რომელიც მათ შორის ისე დაჰქროდა,

როგორც რომელიღაც განსაკუთრებული სიცოცხლის ნამდვილად არსებული მშვენიერება და რომელთანაც მხოლოდ იმიტომ ბრუნდები, რომ ჰალსტუხი შეიცვალო. მეტისმეტად თხელი, მეტისმეტად მსუბუქი, მეტისმეტად ფართო ზეწრები, რომელთა ამოკეცვაც შეუძლებელია და რომლებიც საბნის ირგვლივ ნაკეცებს იკეთებს და იბერება, უწინ სევდას მგვრიდა. ახლა უხეიროდ გადაკეცილ ადგილებს ნათელი, იმედით სავსე ჩემი პირველი დილის მზე

მოფერებით დანათოდა. მაგრამ დილამ დადგომა ვერ მოასწრო. ღამით ისევ ვიგრძენი რაღაც მკაცრისა და ზებუნებრივის ჩემთან ყოფნა. დირექტორს ვთხოვე, ებრძანებინა, ჩემთან არავინ შემოეშვათ; ვუთხარი, უნდა ვიწვე-მეთქი და სასწაულმოქმედი შინაური წამლის შესაძენად აფთიაქში ვინმეს გაგზავნაზეც უარი ვთქვი. ძალიან გაუხარდა, შიშობდა, სასტუმროში დაბინავებულთაგან ვინმესთვის «კალიპტის» სუნი უსიამოვნო არ ყოფილიყო. მომიწონა: «ერთი პირი გვაქვს (უნდოდა ეთქვა «თანახმა ვარ»), – და მირჩია, – კართან ფრთხილად იყავით, არ დაისვაროთ, რადგან ბოქლომებში ზეთი ჩავუშვით. თუ სასტუროს რომელიმე მოსამსახურე თავს ნებას მისცემს და დაგიკაკუნებთ, შევახურებ! არ მიყვარს ჩემი განკარგულების გაძევება (ეტყობა, ეს ნიშნავდა – არ მიყვარს ჩემი განკარგულების უგულებელყოფა). ძალ-ღონის მოსამატებლად ძველი ღვინის გასინჯვას თუ ინებებთ, ქვევით მაქვს, მაგრამ იონათანის თავივით ვერცხლის ლანგრით არ მოგართმევთ. მართალია, შატო-ლაფიტი არ არის, მაგრამ გემო დაახლოებით ეკვივოკური აქვს («ეკვივალენტურის» მაგივრად). საუზმეზე კი კარგი იქნებოდა ერთი პატარა სოლის[117] შეწვა – მსუბუქი საჭმელია». ყველაფერზე უარი ვთქვი. მხოლოდ იმან გამაოცა, თევზის სახელი ისე წარმოთქვა, როგორც ხის სახელი le saule[118]. არადა, რამდენჯერ ექნება შეკვეთილი ეს თევზი.

დირექტორის დაპირებების მიუხედავად, მალე მარკიზა დე კამბრემერის კუთხეგადაკეცილი ღია ბარათი მომიტანეს. ჩემს სანახავად მოსულმა ქალბატონმა რომ გაიგო, აქ დავბინავდი, რომ

მხოლოდ წინა დღით ჩამოვედი და შეუძლოდ ვიყავი, ჩემთან შემოშვება აღარ ითხოვა და (ალბათ, მერე აფთიაქის ან საგალანტერიო მაღაზიის ახლო იცდიდა, ვიდრე კოფოდან ჩამომხტარი ლაქია ანგარიშს ასწორებდა ან რაღაცას ყიდულობდა) უკან, ფეტერნში დაბრუნდა თავისი ძველი, ორცხენშებმული რვაღერძიანი ეტლით. სხვათა შორის, ამ დიდებული ეტლის, რომლის ცქერითაც ადგილობრივი მცხოვრებლები იხიბლებოდნენ, ბორბლების ხმაური ბალბეკის ქუჩებში, ბალბეკსა და ფეტერნს შუა მდებარე პატარა დასახლებებში ხშირად ისმოდა; ამ მოგზაურობების მთავარი მიზანი მომმარაგებლებთან შეჩერება კი არ იყო, არამედ რომელიმე ღარიბ აზნაურთან ან ბურჟუასთან, რომელიც ასეთ მაღალ პატივს არ იმსახურებდა, «ფინჯან ჩაიზე» თუ garden-party-ზე მისვლა გახლდათ. მარკიზა თავისი წარმოშობითა და სიმდიდრის წყალობით დაკნინებულ მემამულეებზე მაღლა იდგა, მაგრამ თავისი გასაოცარი სიკეთისა თუ უბრალოების გამო ფრთხილობდა, გული არ დაეწყვიტა მათთვის, ვინც მიიწვია, ამიტომ ოლქის მაღალი წრის ყველა ადამიანთან დადიოდა სტუმრად.

ცხადია, ასეთ სიშორეზე იმისთვის სიარულს, პატარა ჩახუთულ დარბაზში ვიღაც უნიჭოსთვის, უფრო ხშირად მომღერლისთვის, მოესმინა, მერე რეგიონის დიდ ქალბატონს, მუსიკის ცნობილ მოყვარულს, მისთვის ერთობ გადაჭარბებული ხოტბა შეესხა, ეტლით გასეირნება ანდა ფეტერნის საუცხოო ბაღებში დარჩენა ერჩია, რომლის ქვევითაც, პატარა ყურეში, ყვავილებს შორის ზღვის კამკამა წყალი განაბულიყო. მაგრამ იცოდა, სახლის პატრონმა – ვინც უნდა ყოფილიყო იგი, მენვილ-ლა-ტანტიურელი თუ შატონკურ-ლ'ორგეილი მემამულე ან დაბალი წრიდან გამოსული ინტელიგენტი –

საზოგადოებას მისი სტუმრობა უკვე აუწყა. ნაცნობები ხშირად ხედავდნენ, როგორ მიდიოდა მარკიზა კონცერტის მოსასმენად ისეთ სახლებში, სადაც, მათი აზრით, მისი ადგილი არ იყო; დამამცირებლად მიაჩნდათ ის, რასაც თავისი უსაზღვრო სიკეთის გამო აკეთებდა, ოღონდ, თვითონ რომ ეპატიჟებოდნენ, ეს დამამცირებლად აღარ ეჩვენებოდათ და ციებ-ცხელებიანის მოუთმენლობით მარჩიელობდნენ, ესტუმრებოდათ თუ არა მათს მოკრძალებულ «ფინჯან ჩაიზე». სამაგიეროდ, ამ მღელვარებიდან შემდეგ რა სიმშვიდე ისადგურებდა, რამდენიმე დღეს გაგრძელებული მანამდე, როცა სახლის პატრონის ქალიშვილი ან ვინმე ახლომახლო დამსვენებელი, ანდა ვიღაც მოწვეული სტუმარი ჩააჭიკჭიკებდა (რაც მისი მოსვლის უტყუარი ნიშანი იყო), რომ მისი ცხენები და სახელგანთქმული ეტლი საათების შემკეთებლის ჯიხურთან ანდა აფთიაქთან ნახეს! მაშინვე ქალბატონი დე კამბრემერი (იგი მართლაც მალე გამოჩნდებოდა ხოლმე რძალთან და თავის სტუმრებთან ერთად, რომლებიც მასპინძლის მეტისმეტად ხალისიანი თანხმობით თან მოჰყავდა) სახლის პატრონების თვალში კვლავ შარავანდედით მოსილი გაბრწყინდებოდა; რადგან მისი მობრძანება, რომელსაც ასე ელოდნენ, ჯილდო იყო. მათ ხომ ერთი თვის წინათ გადაწყვიტეს, არც ძალა დაეშურებინათ და არც ხარჯს მორიდებოდნენ, თუმცა ამას გულმოდგინედ მალავდნენ, რათა ეს წვეულება მოეწყოთ. მათთან «ფინჯანი ჩაის» დასალევად მისული მარკიზას დანახვისას აღარც ფიქრობდნენ, რომ უჩინო მეზობლებთან სიარულით იგი ამცრობდა თავის ღირსებას, არამედ მის გვარიშვილობაზე, მისი ციხე-დარბაზის სილამაზეზე, მისი რძლის უზრდელობაზე ლაპარაკობდნენ, წარმოშობით რომ

ლეგრანდენის ქალი იყო, რომლის გულზვიადობაც, დედამთილის გადაჭარბებული კეთილმოსურნეობის ფონზე, განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო. უკვე ეჩვენებოდათ, «გოლუას» მაღალი საზოგადოების ქრონიკებში როგორ კითხულობდნენ ცნობას, რომელიც ოჯახურ წრეში, ჩაკეტილ კარს მიღმა შეთხზეს: «ბრეტანიის ერთ პატარა კუთხეში ზენატიფად მოწყობილ წვეულებაზე მთელი გულით მოილხინეს და ყოველივე მხოლოდ მას შემდეგ დამთავრდა, რაც სტუმრებმა მასპინძლებს აღუთქვეს, რომ მათ ჭერქვეშ მალე ისევ შეხვდებოდნენ ერთმანეთს». ყოველდღე გულის კანკალით ელოდნენ გაზეთის მოსვლას, ეშინოდათ, რომ წვეულების შესახებ მათ ცნობას არ დაბეჭდავდნენ და მარკიზას მობრძანების ამბავი მხოლოდ მათ სტუმრებს ეცოდინებოდათ და არა ფართო პუბლიკას. ბოლოს ეს

ბედნიერი დღეც დგება: «წელს სეზონი ბალბეკში უჩვეულო წარმატებით მიმდინარეობს. დიდ მოდაშია დღის პატარ-პატარა კონცერტები...» და სხვა. მადლობა უფალს, მარკიზას გვარი უშეცდომოდ იყო დაბეჭდილი, თითქოს «გაკვრით ნახსენები», სამაგიეროდ – სტუმართა სიის თავში. ახლა მასპინძლებს ისეთი სახე უნდა მიეღოთ, თითქოს გაზეთში ატეხილი ეს ხმაური არ სიამოვნებდათ, რადგან ამას შეიძლება იმ ადამიანების განაწყენება მოჰყოლოდა, ვინც ვერ მიიწვიეს, და ფარისევლურად, ისიც მარკიზას გასაგონად, კითხულობდნენ, ვინ არის ამ სათოჩირო განცხადების ავტორიო. მარკიზა კი, კეთილმოსურნე და კარგად აღზრდილი ქალი, ამშვიდებდათ: «ვხვდები, თქვენთვის ეს სასიამოვნო არ არის; მე კი, პირიქით, მიხარია, ჩემს თქვენთან ყოფნას ყველა გაიგებს».

სავიზიტო ბარათზე, რომელიც მივიღე, ქალბატონ დე კამბრემერს სახელდახელოდ წაეწერა, რომ ზეგ მასთან დილის მიღება იმართებოდა. და, მიუხედავად იმისა, ჯერ კიდევ ორი დღის წინათ ბრწყინვალე საზოგადოების ცხოვრებით გადაღლილი ვიყავი, თავი მაინც ბედნიერად ვიგრძენი, ბაღებში გადმონერგილი ამ ცხოვრებით დავმტკბარიყავი, სადაც, ფეტერნის ადგილმდებარეობის წყალობით, თავისუფლად ხარობდა ლეღვის ხეები, პალმები, ვარდები, რომლებიც ბევრგან ლურჯად მოკამკამე, მშვიდ ზღვამდე გადაჭიმულიყო, საიდანაც მხიარულების დაწყების წინ მნიშვნელოვანი სტუმრების მოსაყვანად ყურეს მეორე ნაპირისკენ იახტა გადიოდა, მერე, როცა ყველა შეიკრიბებოდა, მზისგან თავდასაცავ ტილოგადაჭიმულ სასადილოდ იქცეოდა, სადაც ჩაი მოჰქონდათ, საღამოთი კი უკან მიჰყავდა ისინი, ვინც ჩამოიყვანა. ეს საოცრად მიმზიდველი ფუფუნება გახლდათ, მაგრამ ისე ძვირად ღირებული, დანახარჯი რომ დაეფარა, შემოსავლის გასაზრდელად, მარკიზა სხვა საშუალებებს ეძებდა, მაგალითად, ზაფხულის სეზონზე ერთ-ერთი თავისი მამული, ლა რასპელიერი, სრულიად რომ არ ჰგავდა ფეტერნს, ცხოვრებაში პირველად გააქირავა. დიახ, ორი დღის წინათ პარიზულ «უმაღლეს საზოგადოებაში» ცხოვრების შემდეგ დილის ასეთი წვეულება ჩემთვის სრულიად ახალ გარემოში, ირგვლივ მოფუთფუთე ჩემთვის უცნობი წვრილი აზნაურების წრეში, საუცხოო დასვენება იქნებოდა! მაგრამ ახლა გართობის თავი არ მქონდა. ქალბატონ დე კამბრემერს წერილი მივწერე და მოვუბოდიშე, მანამდე კი, ერთი საათით ადრე, ალბერტინი არ შემოვუშვი: მწუხარებამ ჩემში სურვილი ჩაკლა, ასე ეკარგებათ ხოლმე ძლიერი სიცხეების გამო მადა. მეორე

დღეს დედაჩემი უნდა ჩამოსულიყო. მეგონა, ახლა მაინც მოვიპოვე უფლება, ის ჩემთან ყოფილიყო, რომ ახლა უფრო უკეთ გავუგებდი, რადგან უცხო, დამამცირებელი ცხოვრება მოზღვავებულმა მტანჯავმა მოგონებებმა შემიცვალა, ეკლის გვირგვინმა, ჩემი და მისი სული რომ მოიცვა და გააკეთილშობილა. მე ასე მეგონა. სინამდვილეში კი იმისათვის, ნამდვილი მწუხარება რომ ვიგრძნოთ, ისეთივე, როგორიც დედაჩემის მწუხარება იყო, მწუხარება, რომელიც დიდხანს გრძელდება, ზოგიერთ შემთხვევაში კი ცხოვრებიდან სამუდამოდ გვაძევებს, როგორც კი საყვარელ ადამიანს ვკარგავთ, მწუხარება, რომელიც მომხდარი ამბიდან

დიდი ხნის შემდეგაც გვთრგუნავს, იგი, უპირველეს ყოვლისა, უნდა გავიაზროთ. მწუხარებას ბევრი განიცდის, ის, რაც ახლა ჩემთვის წამებად იქცა, მხოლოდ მის სახესხვაობას წარმოადგენს და უნებური მოგონებების გავლენით აღმოცენდა.

დედაჩემის მწუხარების სიღრმე, ამის შესახებ მერე გიამბობთ, მხოლოდ ერთ მშვენიერ დღეს შევიცანი, ოღონდ არა ახლა და არც ისეთის, როგორსაც საკუთარ თავს ვუხატავდი. და მაინც, იმ აქტიორის მსგავსად, რომელმაც თავისი როლი უნდა იცოდეს და სცენაზე გამოსვლამდე დიდი ხნით ადრე ადგილზე უნდა იყოს, მაგრამ მხოლოდ ბოლო წუთს მოდის, უცბად თვალს გადაავლებს იმას, რაც აგერ-აგერ უნდა წარმოთქვას, რეპლიკის თქმისას მარჯვედ ახერხებს, მაყურებელს დაუფაროს, რომ დაიგვიანა, ჩემი მწუხარებაც, რომელიც ეს-ესაა დამეუფლა, დამეხმარა, როცა დედაჩემი ჩამოვიდა, ისე მელაპარაკა მასთან, თითქოს ეს უკვე დიდი ხნის

მწუხარება იყო. დედას კი სჯეროდა, რომ მან მაშინ გაიღვიძა (არადა, ასე სულაც არ იყო), როცა კვლავ ვიხილე ის ადგილები, სადაც ბებიასთან ერთად ვყოფილვარ. და მაშინ პირველად, თუმცა დედაჩემის ტანჯვასთან შედარებით, ჩემი ტანჯვა უმნიშვნელო იყო, თვალი ამეხილა და წარმოვიდგინე, როგორ დარდობდა იგი. პირველად მივხვდი, რომ ეს გახევებული უცრემლო გამოხედვა (ამ გამოხედვის გამო ფრანსუაზს იგი მაინცდამაინც არ ეცოდებოდა), ბებიას გარდაცვალების შემდეგ რომ გაუჩნდა, მოგონებასა და არყოფნას შორის არსებულ, გონებისთვის მიუწვდომელ ამ გაუგებარ წინააღმდეგობასთან შეჩერდა. თუმცა შავ ვუალს ატარებდა და მხოლოდ ახალ მხარეში ჩამოსვლის გამო გამოეწყო, მასში მომხდარმა ცვლილებებმა მაინც ძალიან გამაოცა. გარდა იმისა, რომ ხალისი დაკარგა, გამოშრა და მავედრებლის გაქვავებულ სახედ იქცა, თითქოს მეტისმეტად მკვეთრი მოძრაობების, მეტისმეტად მაღალი ხმის ეშინოდა, რათა შეურაცხყოფა არ მიეყენებინა იმ ტანჯვისთვის, ერთი წამითაც რომ არ ტოვებდა. აი, განსაკუთრებით რამ გამაოცა: როცა იგი პალტოზე მოვლებული სამგლოვიარო შავი კრეპით ჩემს ნომერში შემოვიდა, მომეჩვენა – პარიზში ასეთ შთაბეჭდილებას არ ტოვებდა – რომ ჩემ წინ დედაჩემი კი არა, ბებიაჩემი იდგა. როგორც სამეფო თუ ჰერცოგთა ოჯახებში გვარის მეთაურის სიკვდილის შემდეგ მისი ტიტული ვაჟიშვილზე გადადის და ჰერცოგ დ’ორლეანელის, პრინც დე ტარენტის ან პრინც დე ლომის ვაჟები მეფეები ხდებიან ანდა ჰერცოგ დე ლა ტრემუის, ჰერცოგ დე გერმანტის ვაჟები ჰერცოგები, ასევე მემკვიდრეობითობის სხვა წესის მიხედვით, უფრო ღრმა საფუძველი რომ აქვს, გარდაცვლილი ცოცხალს ებღაუჭება და ცოცხალი მის საქმეს

განაგრძობს, მისი მემკვიდრე, მისი მსგავსი, მისი შეწყვეტილი სიცოცხლის გამგრძელებელი ხდება. იქნებ, დიდი მწუხარება, ისეთი, როგორსაც ის შვილები განიცდიან, როგორიც დედაჩემი იყო, დედის სიკვდილი, ჭუპრის გარსის ნაადრევ გაგლეჯას, მეტამორფოზის დაჩქარებას ნიშნავდა და ეს დაჩქარებული გარდატეხა, რომლის ძალითაც ვიღაც ჩნდება, ის, ვინც ჩვენშია, სტადიებს გვერდს აუვლის, პერიოდებს გადაახტება და, სულ ერთია, მაინც გამოჩნდება, ოღონდ მოგვიანებით. იქნებ, იმაზე დარდი, ვინც ცოცხალი აღარ არის, შთაგონების განსაკუთრებულ ძალას

ფლობს და ეს ძალა, ადრე თუ გვიან, მიცვალებულებთან ჩვენი მსგავსების არსებობას ამჟღავნებს და, რაც მთავარია, ჩვენს მკვეთრად გამოხატულ ინდივიდუალურ თვისებებს სპობს (დედაჩემს ასეთ თვისებად ჯანსაღი აზრი ჰქონდა და მამისგან მემკვიდრეობით მიღებული დამცინავი მხიარულება), რომლის გამოხატვისაც, ვიდრე საყვარელი არსება ცოცხალი იყო, არ გვეშინოდა და რომელიც მათგან ჩვენთან გადმოსულ თვისობრიობას აწონასწორებდა. როგორც კი იგი კვდება, სინდისი არ გვიშვებს, სხვად ვიქცეთ და მხოლოდ ის მოგვწონს, რაც მასში იყო, თუმც სხვა თავისებურებებთან შერწყმული, რაც ამიერიდან მხოლოდ ჩვენში იქნება. ზუსტად ამ მნიშვნელობით (და არა იმ ბუნდოვანი, არასწორი გაგებით, როგორადაც ამას, ჩვეულებრივ, იგებენ ხოლმე) შეიძლება ვთქვათ, რომ სიკვდილი ამაო არ არის, რომ გარდაცვლილები ჩვენზე ზემოქმედებას აგრძელებენ. უფრო ძლიერადაც ზემოქმედებენ, ვიდრე ცოცხლები, რადგან ჭეშმარიტ რეალობას გონების დახმარებით განვასხვავებთ, რადგან იგი ჩვენი გონებრივი ძალისხმევის დანართია და თანაც მხოლოდ ის ვიცით, რომ იძულებული ვართ, გონების

დახმარებით ხელახლა შევქმნათ ის, რასაც ყოველდღიურობა გვიფარავს... მოკლედ, ჩვენს მიცვალებულებზე წუხილის კულტის შექმნით ვეთაყვანებით ყველაფერს, რაც მათ უყვარდათ. დედაჩემმა ვერ შეძლო არა მხოლოდ ბებიას ჩანთასთან განშორება, მისთვის უფრო ძვირფასად რომ იქცა, ვიდრე საფირონებითა და ბრილიანტებით დამშვენებული ჩანთა, არამედ მუფტასთანაც, ტანსაცმელთან, უფრო მკვეთრად რომ აჩენდა მათ გარეგნულ მსგავსებას, ქალბატონი დე სევინიეს[119] წერილების ტომებთანაც, ბებიას რომ ყველგან თან დაჰქონდა და დედა კი ამ წერილების ორიგინალებშიც არ გაცვლიდა. ადრე დედა ბებიაჩემს, რომელიც ყოველ წერილში აუცილებლად იყენებდა ქალბატონი დე სევინიეს ან ქალბატონი დე ბოსერჟანის[120] რომელიმე ფრაზას, დაცინოდა. დედაჩემის სამივე წერილში, ბალბეკში სანამ ჩამოვიდოდა, მანამდე რომ მომწერა, ქალბატონი დე სევინიეს ციტატები დახვავებულიყო, თითქოს ეს წერილები მე კი არ მომწერა, ეს ბებიამ მისწერა მას. დედაჩემმა სანაპიროზე გასვლა მოისურვა, რათა ის ადგილი ენახა, ბებია ყოველ წერილში რომ ახსენებდა. ფანჯრიდან ვხედავდი, დედამისის ქოლგა ეჭირა, შავებში ჩაცმული გაუბედავად, მოწიწებით აბიჯებდა ქვიშაზე, რომელზეც მისთვის ძვირფას ადამიანს გაუვლია. ისე მიდიოდა, თითქოს წყალში დამხრჩვალს ეძებდა, რომელიც ტალღას შეიძლება ნაპირზე გამოერიყა. მარტოს რომ არ ევახშმა, მასთან ერთად სასადილოში ჩავედი. სასამართლოს თავმჯდომარემ და ადვოკატთა მამასახლისის ქვრივმა მასთან წარდგინება მთხოვეს. უკიდურესად მგრძნობიარე იყო ყველაფრისადმი, რაც ბებიას უკავშირდებოდა, სასამართლოს თავმჯდომარის სიტყვებმა გული აუჩუყა, მერე მუდამ

მადლიერებით იგონებდა, ხოლო ადვოკატთა მამასახლისის ქვრივს სიტყვაც არ დასცდენია მიცვალებულზე, რამაც გაანაწყენა და აღაშფოთა. სინამდვილეში არც სასამართლოს თავმჯდომარეს და არც ქვრივს ბებიაჩემი არ აღელვებდათ. თუმცა დედას სრულიად სხვადასხვა დამოკიდებულება ჩამოუყალიბდა სასამართლოს

თავმჯდომარისა და ქვრივისადმი, რომლებმაც – ერთმა ამაღელვებელი სიტყვებით, მეორემ თავისი დუმილით – თავისებურად გამოხატეს მიცვალებულისადმი ჩვენთვის ჩვეული გულგრილობა. მაგრამ ვფიქრობ, დედაჩემს განსაკუთრებით მაინც ჩემი სიტყვები ესიამოვნა, რადგან მათში გაუაზრებლად ჩავდე ჩემი მწუხარების რაღაც ნაწილი. დედას, შეიძლება, ჩემი წუხილი ახარებდა კიდეც (მიუხედავად ჩემდამი დიდი სიყვარულისა), როგორც ყველაფერი, რისი წყალობითაც ბებიას სიკვდილის შემდგომი სიცოცხლე ადამიანთა გულებში გრძელდებოდა. ყოველდღე გადიოდა პლაჟზე, დროს ისევე ატარებდა, როგორც ბებია – კითხულობდა მის საყვარელ წიგნებს: ქალბატონი დე ბოსერჟანის «მემუარებსა» და ქალბატონი დე სევინიეს «წერილებს». ვერ იტანდა, როგორც ჩვენ ყველა, ქალბატონ დე სევინიეს «გონებამახვილ მარკიზას» რომ ეძახდნენ, ხოლო ლაფონტენს «კაი ბიჭს». და, როცა ქალბატონი დე სევინიეს წერილებში ამოიკითხავდა «ჩემო გოგონა», ეგონა, დედამისის ხმა ესმოდა.

ერთ დღეს არ გაუმართლა; როცა ბალბეკის შემოგარენში სეირნობდა და ძალიან უნდოდა, მარტო ყოფილიყო, პლაჟზე ერთ კომბრელ ქალსა და მის ქალიშვილებს გადაეყარა. მგონი, მას

ქალბატონი პუსენი ერქვა, ჩვენ კი «ამას დაწვრილებით მიამბობ» შევარქვით, რადგან, გოგონები ავადმყოფობებისგან რომ დაეცვა, გამუდმებით ერთსა და იმავეს იმეორებდა, მაგალითად, თუ რომელიმე თვალს იჭიჭყნიდა, ეუბნებოდა: «იცოდე, თვალის ანთება დაგემართება, მაშინ მოხვალ და ამას დაწვრილებით მიამბობ». დედაჩემს შორიდანვე ნელი, მწუხარე თავის დაკვრით მიესალმა, არა იმიტომ, რომ დედას ნამდვილად უთანაგრძნობდა, არამედ ბავშვობიდანვე მიაჩვიეს ასე მისალმებას. კომბრეში უზარმაზარი ბაღის სიღრმეში განმარტოებული ცხოვრობდა და ყველაფერი არასაკმარისად სათუთად ეჩვენებოდა, ამიტომ სიტყვების, მათ შორის საკუთარი სახელებისაც, გამოყენებას საალერსო ფორმით ამჯობინებდა. მიიჩნევდა, რომ სახელი «კოვზი» ვერცხლის ისეთი საგნისთვის, რომლითაც სიროფს ასხამდა, ძალზე უხეში იყო, ამიტომ ამბობდა: «კოვზუნა». ქალბატონ პუსენის სიძე, რომლის გვარიც დამავიწყდა, ასეთი სათუთი სულის პატრონი სულაც არ გახლდათ; ის კომბრეს ნოტარიუსი იყო, ერთ მშვენიერ დღეს მთელი სალარო მიითვისა და მისი წყალობით ბიძაჩემი საკმაოდ დიდი თანხის გარეშე დარჩა. მაგრამ კომბრელების უმრავლესობას პუსენების ოჯახის სხვა წევრებთან მშვენიერი ურთიერთობები ჰქონდა, ოღონდ ქალბატონი პუსენი ეცოდებოდათ. იგი არავის იღებდა, მაგრამ მის ბაღთან ჩავლისას ყველა ჩერდებოდა, რათა ხშირი ფოთლებით, იმდენად ხშირი, რომ მათ შორის არაფერი ჩანდა, დაფარული ხეებით დამტკბარიყო. ქალბატონი პუსენი თითქმის არ გვაწუხებდა; მე მხოლოდ ერთხელ შევხვდი, ისიც იმ დროს, როცა ქალიშვილს, ფრჩხილებს რომ იკვნეტდა, უთხრა: «გარცმულა რომ დაგემართება, მოხვალ და ამას დაწვრილებით მიამბობ».

ვიდრე დედაჩემი პლაჟზე კითხულობდა, მე ოთახში მარტო ვრჩებოდი. ბებიაჩემის სიცოცხლის ბოლო დღეებს ვიხსენებდი და ყველაფერს, რაც მას უკავშირდებოდა –

მანამდე ღიად დარჩენილ კარს, ვიდრე ბებია არ გამოვიდა, ჩემთან ერთად თავის უკანასკნელ გასეირნებას რომ აპირებდა. ამასთან შედარებით მთელი დანარჩენი სამყარო თითქმის გამჭვირვალე მეჩვენებოდა: იგი ჩემი სულიერი ტკივილით იყო მოწამლული. ბოლოს დედამ ჩემი სასეირნოდ გასვლა მოითხოვა. მაგრამ ყოველ ნაბიჯზე კაზინოს, ქუჩის რაღაც მივიწყებული ასპექტი, რომლითაც ბებიას მოლოდინში დიუგე-ტრუენის[121] ძეგლამდე მივედი, ისე მაჩერებდა, როგორც ქარი, რომლისთვისაც წინააღმდეგობის გაწევა შეუძლებელია და წინ არ გიშვებს; ირგვლივ რომ არაფერი დამენახა, თავი ჩავღუნე. ძალა მოვიკრიბე და სასტუმროში დავბრუნდი, სასტუმროში, სადაც, რამდენიც უნდა მეცადა, ეჭვი უკვე აღარ მეპარებოდა, ვეღარ ვიპოვიდი ბებიას, როგორც ოდესღაც ჩამოსვლისას იმავე საღამოს ვიპოვე. პირველად გამოვედი ჩემი ნომრიდან, სასტუმროს ბევრი მსახური, რომლებიც ჯერ არ მენახა, ცნობისმოყვარედ მომჩერებოდა. სასტუმროს შესასვლელთან მდგარმა შიკრიკმა ჩემი დანახვისას ქუდი მოიხადა და მაშინვე დაიხურა. მეგონა, ემემ, მისივე სიტყვა რომ ვიხმაროთ, «ინსტრუქცია» ჩაუტარა, რომ პატივისცემით შემხვედროდა. მაგრამ იქვე დავინახე, რომ შიკრიკმა სასტუმროში შემოსული სხვა ადამიანის დანახვისასაც ქუდი მოიხადა. როგორც მერე გაირკვა, ამ ახალგაზრდა კაცს ცხოვრებაში არაფრის გაკეთების თავი არ ჰქონდა, გარდა ქუდის მოხდისა და დახურვისა, სამაგიეროდ, ეს დიდებულად გამოსდიოდა. და, როცა მიხვდა, სხვა რამის გაკეთების უნარი არ

ჰქონდა, გადაწყვიტა, ხშირად ეკეთებინა ის, რაშიც სრულყოფილებას მიაღწია, და შვეიცარის სიმპათიაც დაიმსახურა, რადგან მის მოვალეობაში შიკრიკის დაქირავებაც შედიოდა და, ვინც დაიქირავა, ყველა ერთი კვირის შემდეგ გაუშვა, ვიდრე ამ იშვიათ ეგზემპლარს არ გადაეყარა, რაც ძალზე უკვირდა ემეს და ამბობდა: «მათ ხომ ბევრი არაფერი მოეთხოვებათ, მხოლოდ თავაზიანობა. რა არის ამაში ძნელი?» გარდა ამისა, დირექტორს სურდა, შიკრიკებს «წარმომადგენლობითი» იერიც ჰქონოდათ, ცხადია, «წარმომადგენელს» «წარმოსადეგში» ურევდა. სასტუმროს იქით მდებარე ველობის იერიც შეცვლილი დამხვდა, ყვავილნარები გაჩენილიყო, ეგზოტიკური მცენარეები სადღაც გამქრალიყო, გაქრა ის შიკრიკიც, თავისი მოქნილი ტანითა და უჩვეულო ფერის თმით სასტუმროს შესასვლელს რომ ამშვენებდა. იგი პოლონელ გრაფინიას აუყვანია მდივნად და თან გაუყოლებია; ამ შემთხვევაში იგი თავისი ორი უფროსი ძმისა და მბეჭდავი დის მაგალითს მიჰყვა, რომლებიც მათით მოხიბლულმა სხვადასხვა ეროვნებისა და სქესის ადამიანებმა სასტუმროდან გაიტაცეს. მხოლოდ უმცროსმა ძმამ ვერავინ მოაჯადოვა, რადგან ელამი იყო. როცა პოლონელი გრაფინია და ძმების სხვა მფარველები ბალბეკის სასტუმროში ჩერდებოდნენ, უხაროდა. ძმების შურდა, მაგრამ ისინი უყვარდა და, ვიდრე სასტუმროში ცხოვრობდნენ, მათდამი ძმური გრძნობების გამჟღავნებას არ იშურებდა. განა ფონტევროს[122] აბატისამ თავისი მონაზვნები არ მიატოვა, რათა ესარგებლა ლუდოვიკო XIV-ის სტუმართმოყვარეობით, რასაც იმავე ხანებში მორტემარების საგვარეულოს სხვა წარმომადგენლისადმი, ქალბატონი დე მონტესპანისადმიც[123] იჩენდა? შიკრიკი

ბალბეკში ერთი წლის ჩამოსული იყო და მე არ მიცნობდა, როცა გაიგო, მისი უფროსი ამხანაგები როგორ მომმართავდნენ, ბატონო ესა და ესაო, მაშინვე მათ მიბაძა, ეტყობა, სიამოვნებასაც იღებდა ანდა ამგვარად ავლენდა თავის ცოდნას ადამიანზე, რომელიც, როგორც მას წარმოედგინა, ცნობილი კაცი იყო, ან დადგენილ წესს ემორჩილებოდა და, თუმცა ხუთი წუთის წინათ ამ ადამიანზე წარმოდგენაც არ ჰქონდა, ამ წესის დაცვა აუცილებლად მიაჩნდა. ჩემთვის სრულიად გასაგები იყო, რომ ამ უზარმაზარ დიდებულ სასტუმროს ზოგიერთ ადამიანზე მომაჯადოებელი შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა. თეატრივით აღმართულს ქვევიდან ზევით თაღებამდე მრავალრიცხოვანი სტატისტი უდგამდა სულს და აცოცხლებდა. თუმცა სასტუმროს მცხოვრებნი თითქოსდა მაყურებლები იყვნენ, მაინც განუწყვეტლივ მონაწილეობდნენ წარმოდგენაში და არა ისე, როგორც ზოგიერთ თეატრშია, აქტიორები ეპიზოდს პუბლიკასთან ერთად, მაყურებელთა დარბაზში რომ თამაშობენ, არამედ ისე, თითქოს მაყურებლის ცხოვრება ბრწყინვალე სცენის შუაგულში ვითარდება. სასტუმროში დაბრუნებულ, თეთრი ფანელის სავარჯიშო კოსტიუმში გამოწყობილ ტენისის მოთამაშეს შვეიცარი, რომელსაც ვერცხლის ბუზმენტებით დამშვენებული ლურჯი ლივრეა აცვია, წერილს გადასცემს. თუ ტენისის მოთამაშეს კიბეზე ფეხით ასვლა არ სურს, რადგან აქტიორებთან ურთიერთობას ვერსად გაექცევა, მაშინვე მის გვერდით მოხდენილად გამოწყობილი მელიფტე გაჩნდება და თავის მანქანას აამუშავებს. ზედა სართულების დერეფნებში უხმაურო ნაკადულებად ჩქეფს მოახლე გოგონების, ათენას პატივსაცემი დღესასწაულების მონაწილეთა მგვანი ზღვისპირეთის

ლამაზმანების გუნდი, რომელთა პატარა ოთახებშიც ათასგვარი ეშმაკური შემოვლითი გზებით ხშირად იპარებიან ლამაზ ქალთა არშიყის მოყვარულნი. ქვევით მამაკაცები ჭარბობენ, უმრავლესობა სრულიად ახალგაზრდა მსახურია, რომლებმაც სასტუმრო რაღაც იუდეურ-ქრისტიანული ტრაგედიის ადგილად აქციეს და შეუჩერებელი გატაცებით თამაშობენ. მათ შემყურეს ისევ რასინის ლექსი გამახსენდა, არა, ცხადია, ის არა, რომელიც პრინცესა დე გერმანტთან ყოფნისას გავიხსენე, როცა დე ვოგუბერი დე შარლიუსთან საუბრისას საელჩოს ახალგაზრდა თანამშრომლებს უყურებს, არამედ სხვა, «ესთერიდან» არა, «ატალიდან», რადგან ჰოლში, როგორც XVII საუკუნეში იტყოდნენ, პორტიკში, მეორე საუზმისას ახალგაზრდა შიკრიკების «აყვავილებული ტომი» ჩამწკრივდა, ჭაბუკ ისრაელელებს რომ ჰგავდნენ რასინის ქოროებიდან. ოღონდ არა მგონია, რომელიმეს ისეთივე აღუშფოთებლად ეპასუხა, როგორც იოდაიმ უპასუხა ატალის კითხვას, როცა ამ უკანასკნელმა მემკვიდრე პრინცს ჰკითხა: «რას საქმიანობთ?», რადგან არაფერს აკეთებენ. უკეთეს შემთხვევაში კი, თუ რომელიმეს ისევე ჰკითხავდნენ, როგორც მოხუცმა დედოფალმა იკითხა:

მაგრამ ეს ხალხი, ამ ადგილას გამოკეტილი,
აქ რას აკეთებს?

შეეძლო ეპასუხა:

ცერემონიების საზეიმო წესების
მეთვალყურე ვარ და ხელის შემწყობი.

დროდადრო მავანი ახალგაზრდა სტატისტი ამა თუ იმ მნიშვნელოვან პიროვნებასთან მიდიოდა, მერე ეს მშვენიერი ჭაბუკი ისევ ქოროს უბრუნდებოდა, თუ ამას კვალდაკვალ წამიერი ჭვრეტითი შესვენება არ მოჰყვებოდა, ყველა სტატისტი კვლავ ერთმანეთში ჩაწნულ მოძრაობას იწყებდა, უმიზნოს, მოწიწებულს, მოჩვენებითს და ყოველდღიურს. ტაძარს მხოლოდ «გამოსასვლელ დღეს» ტოვებენ და ისეთივე ეკლესიურ არსებობას განაგრძობენ, როგორც ლევიტები «ატალიში» და ამ «ერთგულ ჭაბუკთა ლაშქრის» დანახვისას, საუცხოო ხალიჩებგაფენილი კიბის წინ თავიანთ როლს რომ თამაშობენ, საკუთარ თავს ვეკითხები: ნეტავ, სად შევდივარ – ბალბეკის გრანდ-ოტელში თუ სოლომონის ტაძარში?

პირდაპირ ჩემს ოთახში ავედი. ჩემი ფიქრები ახლა ბებიაჩემის ავადმყოფობის ბოლო დღეებზე იყო მიჯაჭვული, ახალი ძალით გაცხოველებული იმავე სულიერი წამებით, რადგან მასში რაღაც ისეთი შევიტანე, რაც ჩვენთვის უფრო მტკივნეულია, ვიდრე სხვა ადამიანების ტანჯვაა: ულმობელი სიბრალულის გრძნობა. როცა, როგორც ჩვენ გვგონია, საყვარელი ადამიანის ტანჯვას ხელახლა აღვადგენთ, ჩვენი სიბრალული ზრდის მას; მაგრამ, იქნებ, ეს უფრო მეტადაც შეესაბამება სინამდვილეს, ვიდრე ის წარმოდგენა, ამ ტანჯვაზე რომ ექმნებათ იმათ, ვინც

ითმენს და ვისგანაც დაფარულია მათი უღიმღამო ცხოვრება, სამაგიეროდ, იგი ნათლად ხედავს სიბრალულს, რომელსაც სასოწარკვეთამდე მიყავს. სიბრალულის ახალი შეტევა ბებიის ტანჯვას გადააჭარბებდა, მაშინ რომ მცოდნოდა ის, რაც კიდევ დიდხანს უცნობი დარჩება ჩემთვის, რომ ბებიამ სიკვდილამდე ერთი დღით ადრე, როცა წუთით გონება დაუბრუნდა და დარწმუნდა, ახლომახლო არსად ვიყავი, დედაჩემის ხელი აიღო, ციებ-ცხელებიანი ტუჩები შეახო და უთხრა: «მშვიდობით, ჩემო გოგონა, სამარადისოდ გემშვიდობები». და, იქნებ, ამ მოგონების გამოც, დედა ასე გაშეშებული იყურებოდა. მერე უფრო სასიამოვნო მოგონებები დამიბრუნდა. ის ბებიაჩემი იყო, მე კი – მისი შვილიშვილი. მისი სახის გამომეტყველება თითქოს იმ ენაზე იყო დაწერილი, რომელიც მხოლოდ ჩემთვის გახლდათ გასაგები; მხოლოდ ის იყო ჩემთვის ყველაფერი, სხვა ადამიანები იმდენად არსებობდნენ, რამდენადაც მასთან ჰქონდათ შეხების წერტილი, ანდა რასაც თავად მეტყოდა მათზე; მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი ურთიერთობა წარმავალი იყო, მაშასადამე, შემთხვევითი. იგი უკვე ვეღარ მცნობს და ვერასოდეს ვნახავ. მხოლოდ ერთმანეთისთვის არ ვიყავით შექმნილი, იგი უცხო აღმოჩნდა. ახლა სენ-ლუს გადაღებულ სურათზე ამ უცხოს ვათვალიერებ. დედაჩემი ალბერტინის შეხვედრია, თურმე ისე კარგად ელაპარაკა ბებიაზე და ჩემზე, დედაჩემს გული აჩუყებია და დაჟინებით მომთხოვა, იგი მენახა. ალბერტინის შეხვედრა დავუნიშნე. დირექტორი გავაფრთხილე, მისთვის სალონში მოცდა ეთხოვა. მითხრა, დიდი ხანია ვიცნობ მასაც და მის მეგობრებსაცო, მათზე გულმოსული იყო, სასტუმრო ცუდად მოიხსენიესო. შეიძლება ტყუილიც უთხრეს. ალბერტინისთან

შეხვედრის მოლოდინში ლუს გადაღებულ ფოტოს თვალს არ ვაშორებდი, ზუსტად ისე, როგორც რაღაც ნახატს იმდენ ხანს ვუყურებთ, რომ, ბოლოს და ბოლოს, ვეღარც ვხედავთ. და უცბად გავიფიქრე: «ეს ბებიაა, მე კი მისი შვილიშვილი», – ასე მახსოვრობადაკარგული ადამიანი ცდილობს, გაიხსენოს, რა ჰქვია; ასე ავადმყოფი ამჩნევს, რომ მისმა პიროვნებამ ცვლილება განიცადა. ფრანსუაზი შემოვიდა, მითხრა ალბერტინი უკვე მოდისო, ფოტოსურათი დაინახა და დაუმატა: «საცოდავი ქალბატონი, ცოცხალივით არის, ლოყაზე ხალიც ემჩნევა; იმ დღეს, როცა მარკიზი სურათს უღებდა, ძალიან ავად იყო; ორჯერ გახდა ცუდად. გამაფრთხილა: «იცოდე, ფრანსუაზ, ჩემს შვილიშვილს არაფერი უთხრა». ავადმყოფობას კარგად მალავდა, საზოგადოებაში მუდამ მხიარული იყო, ოღონდ, თუ მარტო დარჩებოდა, მაშინვე მოიწყენდა. მაგრამ სწრაფად გაუვლიდა ხოლმე. ერთხელ მითხრა: «თუ რამე მომივიდა, მას ჩემი სურათი უნდა დარჩეს. მე კი სურათი საერთოდ არ გადამიღია». მარკიზთან გამგზავნა, მიბრძანა, გადამეცა, თუ სურათს არ გადაუღებდა, თქვენთვის არ ეთქვა, თავად ბებიათქვენმა მთხოვა გადაღებაო. როცა დავბრუნდი და ვუთხარი, სურათს გადაგიღებს-მეთქი, იმდენად ცუდად გამოიყურებოდა, აღარ ისურვა. «უკეთესიც იქნება, – მითხრა მან, – არანაირი სურათი აღარ დარჩება». ის ხომ ჭკვიანი ქალი იყო, ბოლოს კარგად მოიფიქრა: ფართოფარფლებგადაკეცილი შლაპა დაიხურა, ჩრდილში გამოკვეთილად არაფერი გამოჩნდებოდა. ძალიან უხაროდა, რომ სურათი გადაიღო, რადგან, ბალბეკიდან ცოცხალი თუ დაბრუნდებოდა, ამის იმედი აღარ ჰქონდა. რამდენჯერ ვუთხარი: «ქალბატონო, ასე ლაპარაკი რა საჭიროა, არ მიყვარს, როცა ასე

ამბობთ», მაინც ეს ჩაიჭედა თავში. იყო დღეები, როცა პირში არაფერი ჩაუდია. აი, მაშინ გაგზავნიდათ სადღაც შორს, მარკიზთან ერთად სავახშმოდ. თვითონ, სასადილოში წასვლის მაგივრად, ვითომ წიგნს კითხულობდა, როგორც კი მარკიზის ეკიპაჟი დაიძვრებოდა, თავის ნომერში ადიოდა და წვებოდა. ერთხელ დედათქვენის დაბარება განიზრახა, უკანასკნელად რომ ენახა. მაგრამ ადრე მისთვის არაფერი შეუჩივლია და შეეშინდა, არ დაეფრთხო: «არა, ფრანსუაზ, ჯობს, ქმართან დარჩეს». ამ დროს შემომხედა და მკითხა: «თავს კარგად გრძნობთ?» კარგად-მეთქი, ვუთხარი, იმან კი: «რამდენს ვლაყბობ. თქვენი სტუმარი, ალბათ, უკვე მოვიდა. დაბლა უნდა ჩავიდე. ოღონდ აქ მისი ადგილი არ არის. თანაც, რა მოუთმენელია: შეუძლია, ადგეს და წავიდეს. ლოდინი არ უყვარს. ახლა იგი მნიშვნელოვანი ქალბატონი გახდა». «ცდებით, ფრანსუაზ, ეს ადგილი ზუსტად მისთვის არის ზედგამოჭრილი, შეიძლება, მეტისმეტად კარგიც კია. წადით და უთხარით, რომ დღეს მისი მიღება არ შემიძლია».

ალბათ, როგორ შევებრალებოდი ფრანსუაზს, მტირალი რომ ვენახე! გულმოდგინედ ვეცადე ამის დაფარვას, თორემ მის სიმპათიას ნამდვილად დავიმსახურებდი; აი, ჩემი სიმპათია კი მოიპოვა. ჩვენ საკმაოდ ღრმად არ ვწვდებით ამ საცოდავი მსახურების სულში, რომლებსაც არ შეუძლიათ, უყურონ, როგორ ვტირით, თითქოს ეს ტირილი ჩვენ კი არ გვაყენებდეს ტკივილს, არამედ მათ; როცა პატარა ვიყავი, ფრანსუაზმა

მითხრა: «ასე ნუ ტირით. არ მიყვარს, როცა ასე ტირით». ხმამაღალი, თავდაჯერებული ფრაზები არ გვიყვარს, აი, აქ ვცდებით, რადგან ჩვენს

გულებს სოფლურ პათეტიკას ვუკეტავთ; არ გვესმის, როცა ქურდობაში ეჭვმიტანილი, შეიძლება ცრუ ეჭვის გამოც, სამსახურიდან გაგდებული, დაბეჩავებული, ტილოსავით გათეთრებული, საცოდავი მოახლე მამამისის პატიოსნებაზე, დედის პრინციპებზე, პაპა-ბებიის დარიგებებზე გვიყვება. ცხადია, იგივე მოახლეები, რომლებსაც არ შეუძლიათ, გულგრილად უყურონ, როგორ ვტირით, არც ამოიოხრებენ, თუ მათი დანაშაულით ფილტვების ანთება დაგვემართება, მხოლოდ იმის გამო, რომ ქვედა სართულის ბინის მოახლეს ორპირ ქარში უყვარს ყოფნა და კარ-ფანჯარა არ დაკეტა. ბატონები მსახურების უმცირეს სიხარულსაც არად აგდებენ და დასცინიან. აი, რატომ შეუძლია მსახურ გოგოს, თქვას: «მთელი წელი მათთვის არაფერი მითხოვია, რატომ არ მაძლევენ ამის უფლებას?» ბატონები მეტის უფლებასაც მისცემდნენ, ოღონდ ეს სულელური და სახიფათო არ უნდა იყოს მოახლე გოგოებისთვის ანდა თვით ბატონებისთვის. იმ დღეს კი ხან გამახსენდა, ხანაც წარმოვიდგინე ის სცენები, ჩვენს ბებერ მსახურს მონაწილეობის მიღება რომ ვაიძულე, ამის შემდეგ, მიუხედავად ყველა იმ უსიამოვნებისა, რაც შეიძლება ალბერტინისთვის მიეყენებინა, მე მაინც მიყვარდა ფრანსუაზი, თუმცა ნაწყვეტ-ნაწყვეტად, სამაგიეროდ, ძლიერი სიყვარულით, რომელიც სიბრალულის გრძნობაზე იყო დაფუძნებული.

მთელი დღე ბებიაჩემის სურათის წინ ვიტანჯებოდი. ძალიან მაწვალა; მაგრამ ისე მაინც არა, როგორც დირექტორის საღამოს ვიზიტმა გამაწვალა. როცა ბებიაზე დავუწყე ლაპარაკი, კიდევ

ერთხელ მომისამძიმრა, მერე მითხრა (როგორც ცნობილია, ისეთ სიტყვებს ხმარობდა, რომლებსაც არასწორად გამოთქვამდა): «ერთ დღეს ქალბატონ ბებიათქვენს გული შეუღონდა, მინდოდა თქვენთვის მეთქვა, რადგან ეს შეიძლება სხვა კლიენტებისთვის სასიამოვნო არ ყოფილიყო, ხომ ასეა? და სასტუმრო დაზარალებულიყო. უკეთესი იქნებოდა, იმავე საღამოს გამგზავრებულიყო, მაგრამ მთხოვა, თქვენთვის არაფერი მეთქვა, დამპირდა, გული აღარ შემიღონდება და, თუ ასე მოხდება, მაშინვე წავალო. მოგვიანებით სართულის მორიგემ შემატყობინა, რომ კიდევ ერთი გულყრა ჰქონია. თქვენ ხომ დიდი ხანია, რაც ჩემთან ჩამოდიხართ, ამიტომ ურთიერთობის გაფუჭება არ მოვინდომე, თანაც საჩივარი არ შემოსულა...» მაშასადამე, ბებიაჩემს გული რამდენჯერმე შეჰღონებია, მე კი დამიმალეს. და კიდევ, თითქოს განგებ, როცა არც ისე თავზიანად ვექცეოდი, ის ყველანაირად ატანდა თავს ძალას, როგორმე არ გავეჯავრებინე, იძულებული იყო, სასტუმროდან რომ არ გაეგდოთ, მხიარულად მოქცეულიყო, ისეთი სახე მიეღო, თითქოს ჯანმრთელი იყო. «გულის შეღონება» – ასეთი სიტყვა არასოდეს გამიგია; ვინმეზე ასეთი სიტყვები რომ ეთქვათ, სიცილად არ მეყოფოდა, მაგრამ ბებიის მიმართ ამ სიტყვების ხმარება, თავისი უჩვეულო ჟღერადობის, ორიგინალთან დისონანსური მსგავსების გამო, მერე დიდი ხნის განმავლობაში აუტანელ წამებად მექცა.

მეორე დღეს, დედაჩემის თხოვნით, ქვიშაზე სანებივროდ ზღვისკენ გავეშურე, უფრო სწორად,

დიუნებს შორის დასაწოლად; მის ნაკეცებში თავშეფარება ისე შეიძლებოდა, ალბერტინი და მისი დაქალები ვერ მიპოვნიდნენ, რაშიც სრულიად დარწმუნებული ვიყავი. ნახევრად დაშვებულ ქუთუთოებს შორის ვარდისფერი სინათლე იჭრებოდა; ამ ფერს ქუთუთოების შიდა კედლის სისხლძარღვები იძლეოდა. მერე ქუთუთოები კიდევ უფრო დაეშვა. ამ დროს სავარძელში მჯდარი ბებია დავინახე; ისეთი სუსტი, თითქმის უსიცოცხლო, მაგრამ ჩემმა სმენამ მისი სუნთქვა დაიჭირა; დროდადრო იმის მიხვედრაც შეიძლებოდა, რომ ესმოდა, რასაც მე და მამა ვლაპარაკობდით. რამდენი არ ვკოცნე, მის თვალებში სიყვარული მაინც არ გაჩნდა, არც ლოყებს შეპარვია თუნდაც ოდნავი სიწითლე. საკუთარ თავთანაც გაუცხოებულს ისეთი სახე ჰქონდა, ალბათ, არ ვუყვარდი, ვერც მცნობდა, იქნებ, ვერც მხედავდა. ვერ ჩავწვდი მისი გულგრილობის, მისი სულით დაცემის, მისი მდუმარე უკმაყოფილების საიდუმლოს. მამაჩემი განზე გავიყვანე: «ახლა ხომ დარწმუნდი, – ვუთხარი. – ხომ ნათელია, რომ მის გონებამდე ყველაფერი მივიდა. სიცოცხლის სრული ილუზიაა. ნეტავ, ახლა აქ იყოს შენი ბიძაშვილი, რომელიც ამტკიცებდა, რომ მიცვალებულები ცოცხლები არ არიან! ერთ წელზე მეტია, ბებია გარდაიცვალა, მაგრამ, აგერ, ცოცხალია. თუმცა რატომ არ მაკოცა?». «შეხედე, საცოდავს თავი ისევ ჩამოუვარდა». «ელისეს მინდვრებზე უნდა წასვლა». «სიგიჟეა! – დარწმუნებული ხარ, რომ ეს ზიანს არ მიაყენებს? და ამის გამო უფრო მეტად ხომ არ მოკვდება? შეუძლებელია, აღარ ვუყვარდე. რამდენი ვკოცნე, ნუთუ არასოდეს გამიღიმებს?». «ვერაფერს გახდები, მიცვალებული მიცვალებულია!».

რამდენიმე დღემ გაიარა; სენ-ლუს გადაღებული სურათის ცქერა უკვე მსიამოვნებდა; იმ მოგონებებს აღარ აღმიძრვდა, ფრანსუაზმა რომ მიამბო, თუმცა მათ არ მივუტოვებივარ, რადგან უკვე შევეგუე, იმის საწინააღმდეგოდ, ბებიას მდგომარეობას საკუთარ თავს როგორადაც ვუხატავდი, ის კი ძალიან საშიშ და მტკივნეულ მდგომარეობაში იყო იმ დღეს, სურათი რომ გადაიღო, რასაც ბებიას ეშმაკობები ძველებურად ფარავდა, მას შემდეგაც, რაც მატყუებდა და როცა უკვე ყველაფერი ნათელი გახდა, ამ თავისი შლაპით, ოდნავ რომ უფარავდა სახეს, ისეთი ელეგანტური, უზრუნველი ჩანდა, სულაც არ ჰგავდა უბედურსა და ავადმყოფს. ეს კია, თუმცა მას, ალბათ, ეჭვიც არ ეპარებოდა, მის ლოყებს რაღაც ტყვიისფერი დაკრავდა, გამომეტყველებაც თავისებურად განსაკუთრებული ჰქონდა – დაკარგულის – როგორიც იმ ცხოველის გამოხედვაა, რომელიც გრძნობს, რომ განწირულია. აი, რატომ გაუხდა ბებიას სიკვდილმისჯილის სახე, მოღუშული, გაუაზრებლად ტრაგიკული, აი, ამ გამომეტყველების გამო, რომელიც მე გამომეპარა, დედაჩემს ამ სურათის ყურება არ შეეძლო. მისთვის იგი დედამისის სურათი არ იყო, ეს დედის ავადმყოფობის სურათი გახლდათ, შეურაცხყოფის უხეში ფოტო, რაც ავადმყოფობამ თავისი დარტყმით მიაყენა ბებიის სახეს.

ერთ დღეს გადავწყვიტე, ალბერტინისთვის მეთქვა, რომ უახლოეს ხანში შევხვდებოდი. აი, რითი აიხსნება ჩემი გადაწყვეტილება: ერთხელ დილით, ადრიანად, უკვე ძალიან ცხელოდა და მოთამაშე ბავშვების წიოკმა, მოცურავეების ხმამაღალმა ხუმრობაშერეულმა გადაძახილებმა,

გაზეთების გამყიდველების ყვირილმა ჩემ წინ ცეცხლოვანი ხაზებით ერთმანეთში გადახლართული ალის ენებით გავარვარებული პლაჟი დახაზა, რომელსაც ერთიმეორის მიყოლებით ევლებოდა თავს წყლის ჭავლი და თავისი სიგრილით ირგვლივეთს რწყავდა; სიმფონიური კონცერტის ხმები ტალღების ხმაურს ერთვოდა, ვიოლინოების გაძლიერებული ზუზუნი კი ზღვის თავზე გზააბნეული ფუტკრის გუნდის ზუზუნს ჰგავდა. აი, ამ დროს ისევ მომინდა, გამეგო ალბერტინის სიცილი, ისევ მენახა ტალღების ფონზე გამოხატული მისი დაქალები, ეს ახალგაზრდა გოგონები, რომლებიც ჩემმა გონებამ ბალბეკის მშვენიერებიდან, მისთვის დამახასიათებელი ფლორიდან ვერ გამოყო; გადავწყვიტე, წერილი ფრანსუაზისთვის გამეტანებინა თხოვნით, ჩემს სანახავად შემდეგ კვირას მოსულიყო და, ვიდრე ამაზე ვფიქრობდი, ზღვის ყოველი ძლიერთქაფუნიანი მოქცევა ფარავდა მელოდიას, რომლის ფრაზებიც თითქოს როგორღაც ერთმანეთისგან იყო დაშორებული, ისე, როგორც იტალიურ ტაძრებში აღმართული ბარბითიანი ანგელოზები არიან დაშორებულნი. იმ დღეს, როცა ალბერტინი მოვიდა, ამინდი ისევ გაფუჭდა, აცივდა, არც მისი სიცილის მოსმენა გამოვიდა, რადგან განწყობილება ცუდზე ცუდი ჰქონდა. «წელს ბალბეკში ჯოჯოხეთური მოწყენილობაა, – მითხრა მან. – ვეცდები, დიდხანს აღარ გავჩერდე. ხომ იცით, აღდგომის კვირაში ჩამოვედი. ერთ თვეზე მეტი გამოდის, რაც აქ ვარ. სრულიად მარტო. ხუმრობა ხომ არ არის!» ის იყო, წვიმაც შეწყდა, ცა ყოველ წამს იცვლებოდა და საიმედოდ არ გამოიყურებოდა, მაგრამ მაინც, როცა ალბერტინის ეპრვილამდე ვაცილებდი, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, «აქეთ-იქით

დადიოდა» სანაპიროს იმ სოფელსა, ქალბატონი ბონტანის ვილა რომ მდებარეობდა, და ენკარვილს შორის, სადაც როზმუნდების ახლობლებთან «პანსიონით» იკვებებოდა, სეირნობის სურვილმა მომიარა, იმ გზისკენ გადავუხვიე, მარკიზა დე ვილპარიზის ეკიპაჟი რომ დადიოდა, რომლითაც ის, ბებია და მე სასეირნოდ გამოვდიოდით; მზეზე აბრწყინებულ გუბეებს, რომლის ამოშრობაც სხივებს ვერ მოესწრო, ნამდვილი ჭაობი გაეჩინა და ბებია გამახსენდა: წუმპიანში ისე ვერ გაივლიდა, რომ არ დასვრილიყო. გზასთან მივედი და აღფრთოვანებისგან გავირინდე. იქ, სადაც მე და ბებიამ აგვისტოს თვეში მხოლოდ ფოთლები ვნახეთ, ახლა, სადამდეც თვალი მისწვდებოდა, ვაშლის ხეები გაუგონარი დიდმშვენიერებით გამოწყობილიყვნენ, ყვაოდნენ, ფეხები ტალახში ჩაფლობოდათ, თავად სამეჯლისო კაბებით მორთულიყვნენ, არც ფრთხილობდნენ, რომ არ დაესვარათ გასაოცარი, ჯერაც თვალით უნახავი, მზეზე აბრწყინებული ვარდისფერი ატლასი. ზღვის შორეული ჰორიზონტი თითქოს უკანა მხარე იყო ამ ვაშლოვანის, ზუსტად ისე, როგორც იაპონურ გრავიურებზეა გამოხატული; როცა ცის შესახედად თავი ავწიე, ვაშლის ყვავილთა შორის თავის კაშკაშა, თვალის ტკივილამდე კაშკაშა, სიცისფრით

რომ მოჩანდა, ვაშლყვავილობა თითქოს გადაიხსნა, რათა ჩემთვის ამ სამოთხის სიღრმე ეჩვენებინა. ამ ლაჟვარდოვან ცისქვეშეთში მსუბუქი, ოღონდ ცივი სიო ოდნავ შესამჩნევად აცახცახებდა ვარდისფერშეპარული ყვავილედის თაიგულებს. წიწკანები ტოტიდან ტოტზე ხტოდნენ, ყვავილიდან ყვავილზე გადაფრინდებოდნენ და ამის მნახველს შეიძლება ეფიქრა, რომ მთელი ეს ცოცხალი სილამაზე ეგზოტიკისა და ფერების ზღაპრული შეხამების

რომელიღაც მოყვარულმა ხელოვნურად შექმნა. მაგრამ ეს ყველაფერი გულის ამაჩუყებელი მხოლოდ იმიტომ იყო, რა დახვეწილი სახელოვნებო ეფექტისთვისაც უნდა მიეღწია, რომ იგრძნობოდა, ეს ბუნებრივი სილამაზე გახლდათ, რადგან ვაშლოვანი აქ ბარაქიან ნიადაგზე იდგა, ისევე, როგორც საფრანგეთის ერთ დიდ გზაზე მდგარი გლეხები. მერე მზის სხივები მოულოდნელად წვიმის სხივებმა შეცვალა; ამ სხივებმა მთელი ჰორიზონტი ზოლ-ზოლად დაჭრა და ვაშლის ხის მწკრივებს ნაცრისფერი ბადე გადააფარა. მაგრამ ვაშლოვანს ამ ცივ ქარსა და თავსხმა წვიმაში ისევ ისე მედიდურად აღემართა თავისი აყვავებული ვარდისფერი სილამაზე: ეს გაზაფხულის ერთი დღე გახლდათ.

თავი მეორე

ალბერტინის საიდუმლოებები. – სარკეში დანახული ქალიშვილები. – უცნობი ქალბატონი. – მელიფტე. – ქალბატონი დე კამბრემერი. – ბატონ ნისიმ ბერნარის სიამოვნებები. – მორელის უცნაური ხასიათის პირველი ესკიზი. – ბატონი დე შარლიუ ვერდიურენებთან ვახშმობს.

იმის შიშით, რომ ამ მარტოდ გასეირნების სიამოვნებას ჩემში ბებიაჩემზე მოგონებები არ შეესუსტებინა, შეგნებულად ამ მოგონებებს ვაცოცხლებდი, ვცდილობდი, ის დიდი სულიერი ტანჯვა წარმომედგინა, რომელიც წილად ერგო; ჩემ მიერ გამოხმობილი ეს ტანჯვა ჩემს გულში უზარმაზარი დედაბოძების აგებას ცდილობდა, მაგრამ, როგორც ჩანდა, ჩემი გული მათთვის ძალიან პატარა აღმოჩნდა, ამხელა ტკივილის ტარების ძალა არ მეყო, ყურადღება ზუსტად მაშინ მეფანტებოდა, როცა დედაბოძები უნდა დამთავრებულიყო და ვიდრე ხიდურით შეერთდებოდნენ, მანამდე ისე ინგრეოდნენ, როგორც ტალღები ანგრევს დაუმთავრებელ თაღებს.

მაგრამ ჩემი სიზმრებიდანაც შემეძლო დამესკვნა, რომ მწუხარება, ბებიაჩემის სიკვდილმა რომ მომიტანა, ნელ-ნელა ქრებოდა: ამ სიზმრებში მის არყოფნაზე ჩემი წარმოდგენები უკვე ტვირთად აღარ მაწვებოდა. ადრინდელივით, ახლაც ავადმყოფი მესიზმრებოდა, ოღონდ გამოკეთების გზაზე დამდგარი: უკეთესად გამოიყურებოდა. როცა თავის ტანჯვაზე უნდოდა ლაპარაკი, პირზე ვკოცნიდი, სიტყვის თქმის საშუალებას არ ვაძლევდი, ვარწმუნებდი, რომ ახლა სრულიად ჯანმრთელი იყო. მინდოდა, სკეპტიკოსები მეიძულებინა, ეღიარებინათ, რომ

სიკვდილი მხოლოდ და მხოლოდ ერთი ჩვეულებრივი ავადმყოფობაა და გამოჯანმრთელება შეიძლება; ოღონდ ბებიაჩემისთვის დამახასიათებელ უწინდელ გასაოცარ უშუალობას ვეღარ ვხედავდი. ჩემი სიტყვების პასუხად, მისი სიტყვები მხოლოდ მისუსტებული, მორჩილი გამოძახილი იყო, ხოლო ბებია ჩემს აზრებში შემორჩენილი ანარეკლი.

ფიზიკური ლტოლვის ახალი განცდა ჩემში ჯერ არ იყო გაღვიძებული, რომ ალბერტინმა დაიწყო ჩემში ბედნიერების სურვილის ხორცშესხმა. ურთიერთსწრაფვაზე ზოგიერთი ოცნება, წამითაც რომ არ გვტოვებს, ზოგი შინაგანი მდგომარეობის ძალით ადვილად უკავშირდება იმ ქალზე მოგონებებს (იმ პირობით, თუ იგი ოდნავ გაუფერულებულია), რომელთანაც კარგად ვგრძნობდით თავს. ბედნიერებისკენ სწრაფვამ მახსოვრობაში ალბერტინის სახის სხვადასხვა გამომეტყველება აღმიდგინა – უფრო ნაზი, ნაკლებ მხიარული, არა ისეთი, რომ ჩემში ხორციელი სწრაფვის სურვილი აღეძრა; და რადგან ხორციელი სიამოვნება დიდი ცხოველუნარიანობით გამოირჩევა, ვიდრე ბედნიერებისკენ სწრაფვა, მზად ვიყავი, ჩემი სურვილის აღსრულება ზამთრისთვის გადამედო და ბალბეკში ალბერტინს აღარ გავკარებოდი. მაგრამ, მაშინაც კი, როცა სულიერი ტკივილი ჯერ არ არის ჩამქრალი, ხორციელი სწრაფვა მაინც აღმოცენდება. ყოველდღიური ხანგრძლივი დასვენება მქონდა გამოწერილი და ლოგინში მწოლიარე ალბერტინთან სასიყვარულო თამაშების განახლებაზე ვოცნებობდი. განა არ ხდება, რომ იმ ოთახში, სადაც ცოლ-ქმარს ბავშვი მოუკვდა, მათი სხეულები ისევ ერთმანეთს გადაეწნა და გარდაცვლილი პატარას ძმა დაიბადა? სურვილი რომ ჩამეხშო, ფანჯარასთან მივდიოდი და ზღვას გავყურებდი. როგორც გასულ წელს, დღევანდელი ზღვაც გასული წლისას არ ჰგავდა. მოკლედ, იგი საერთოდ არ ჰგავდა გასული წლის ზღვას, იქნებ იმიტომ, რომ გაზაფხული იდგა თავისი ჭექა-ქუხილებით, ანდა იქნებ იმიტომ, წელსაც იმ დროს რომ ჩამოვსულიყავი, როგორც

გასულ წელს ჩამოვედი, სხვა ამინდი, ხშირად ცვალებადი, ნაპირსა და გაზარმაცებულ, ნისლიან, არამდგრად ზღვას შორის კავშირს, სულერთია, მაინც დაარღვევდა, რომელიც ცხელ დღეებში ჩემ თვალწინ, პლაჟის ახლოს მიბნედილი იწვა და ოდნავ შესამჩნევი მოცისფრო თრთოლით სათუთ მკერდს მაღლა სწევდა, ანდა იქნებ იმიტომ, რომ ჩემი თვალი, ელსტირმა ისეთი წვრილმანის გარჩევას რომ მიაჩვია, რომლის შემჩნევასაც ადრე არ ვცდილობდი, ახლა ხარბად და დიდხანს ისრუტავდა იმას, რისი ყურებაც გასულ წელს არ იცოდა. ქალბატონ დე ვილპარიზთან და მის უცნაურ მეზობლებთან ერთად სეირნობისას სოფლური გარემო ჩემს წარმოსახვას ისე აღელვებდა, რომ ცვალებადი, მიუღწეველი, საარაკო სიახლოვე მარადიული ზღვისა ჩემთვის უკვე აღარ არსებობდა. ახლა ხანდახან ზღვასაც ერთგვარ მინდორს ვამსგავსებდი. დარიან დღეებში იმ მართლაც იშვიათ სიცხეს წყალზე ისე გაჰყავდა გზა, თითქოს მინდორი ყოფილიყო, თეთრი, მტვრიანი გზა, რომლის იქითაც, სოფლის ეკლესიის სამრეკლოსავით, მეთევზეთა გემის თხელი წვერი მოჩანდა. შორს, განმარტოებით მდგარი, საბუქსირო გემი ქარხანასავით

ბოლავდა, რის გამოც მხოლოდ საკვამლე მილი ჩანდა, ჰორიზონტზე ერთადერთი გაბერილი, კარგად გამოკვეთილი კვადრატი მოჩანდა, ეჭვი არ არის, ეს კვადრატი იალქანი იყო, ოღონდ რაღაც მკვრივის, თითქოსდა კირქვის შთაბეჭდილებას ახდენდა, მზით განათებულ მარტოდ მდგარ საავადმყოფოს შენობასა თუ სკოლას გვაგონებდა. ქარი და ღრუბელი მზიან დღეებში, მართალია, მცდარი წარმოდგენისგან ვერ მიცავდნენ, მაგრამ ჩემს პირველ მცდარ შეხედულებას მაინც აძლიერებდნენ. ფერადოვანი სივრცის მონაცვლეობა, ერთს მეორისგან ნათლად რომ ჰყოფდა, როგორც მინდვრებში, სადაც სიჭრელე ზოლმიწიანობიდან აღმოცენდება, თვალში გვეცემა ყვითელი ფერი და თითქოს ზღვის სიფართოვის ჭუჭყიანი უსწორმასწორობა, ბორცვები, ღრმულები, სადაც უცბად მარჯვე მეზღვაურებით, მთიბავებს რომ ჰგავდნენ, სავსე ნავი გაქრა და ეს ყველაფერი ჭექა-ქუხილიან

დღეებში ზღვას ისეთ მრავალფეროვან, მკვრივ, უსწორმასწორო, ხალხმრავალ, ცივილურ ადგილად აქცევს, ისეთად, როგორიც ახლა ის გზებია, რომლებზეც ადრე დავდიოდი და სადაც უახლოეს ხანებში ისევ ვივლი სასეირნოდ. და აი, ერთ მშვენიერ დღეს სურვილს წინააღმდეგობა ვეღარ გავუწიე და ისევ, ლოგინში ჩაწოლის მაგივრად, ჩავიცვი და ენკარვილში გავწიე ალბერტინთან. მინდოდა მეთხოვა, დუვილამდე გავეცილებინე, იქიდან კი ფეტერნში ქალბატონ დე კაბმრემერთან ვაპირებდი წასვლას, მერე ლა რასპელიერში ქალბატონ ვერდიურენთან. ალბერტინი პლაჟზე დამელოდებოდა, შეღამებისას კი უკან ერთად დავბრუნდებოდით. ჩავჯექი საგარეუბნო მატარებელში, რომლის მეტსახელებიც, ადგილობრივები რომ ეძახდნენ, ალბერტინმა და მისმა მეგობარმა გოგონებმა შემატყობინეს; მითხრეს: ხან «ჭიაყელას» ეძახიანო, რადგან გზაში განუწყვეტლივ იკლაკნებოდა, ხან – «კუს», კი არ მიდიოდა, მიცოცავდა, ხან «ტრანსატლანტის» – საშინელი საყვირის გამო, რელსებს შუა გამვლელ ხალხს რომ აშინებდა, ხანაც «ვიწროლიანდაგას» და «ფუნიკულორს», თუმცა ფუნიკულორთან საერთო არაფერი ჰქონდა, არადა, სანაპიროს ციცაბო ნაპირზე დაცოცავდა და არც ვიწროლიანდაგიანი რკინიგზისთვის იყო გათვალისწინებული, ხან კიდევ «B. A. G», რადგან ბალბეკსა და გრატვასტს შორის ანჟერვილის გავლით დადიოდა, ზოგჯერ «ტრამვაისაც» უწოდებდნენ და «T. S. N»-საც, რადგან სამხრეთ ნორმანდიის ტრამვაის ხაზებს იყო მიკუთვნებული. ვაგონში მარტო ვიჯექი; მზიანი დღის სულის შემხუთველი სიცხე იდგა. ფანჯარაზე ცისფერი ფარდა დავუშვი, სინათლის შემოსასვლელად ვიწრო ღრიჭო დავუტოვე. ამ დროს უცბად ბებიაჩემი მომეჩვენა, ისეთი, როგორიც პარიზიდან ბალბეკში გამომგზავრებისას ვაგონში იჯდა: იმის გამო დატანჯული, რომ ლუდს ვსვამდი და ჩემთვის არ ეყურებინა, თვალი დახუჭა, თავი მოიკატუნა, ვითომ ეძინა. ისიც მომხდარა, გული გადამტრიალებია იმ გატანჯული გამომეტყველებისგან, სახეზე რომ ესახებოდა, როცა პაპაჩემი კონიაკს სვამდა,

შემდეგში მეც ვატკინე გული, როცა უცხო ადამიანის მიერ შემოთავაზებული კონიაკი დავლიე, რადგან სასმელი ჩემთვის მავნებლად მიაჩნდა. ეს კიდევ ცოტაა: იმასაც მივაღწიე, მისი ნებართვით დამელია. ბოლოს იქამდე მივიდა, რომ, როცა

მრისხანების აფეთქება მემართებოდა ან სულის ხუთვა მომივლიდა, თვითონვე მირჩევდა, კონიაკი დამელია.

და აი, ახლა ჩემი საროსკიპო იყო. პირველი და ერთადერთი. მსგავსი მომსახურებისთვის ასეთი დაწესებულება ყველა პორტშია გახსნილი, მაგრამ ეს სახლი მხოლოდ მეზღვაურებისთვის როდია განკუთვნილი, არამედ თვალწარმტაცი ხედები მშვენიერებით ტკბობის მოყვარულთათვისაც, რომელთა თვალსაც მეზობლად მდებარე უძველესი ეკლესია სიამოვნებას ჰგვრის, თითქმის იმავე ხნის, ღირსებით სავსე, სახლის დახავსებული დიასახლისი, მეტისმეტად სტუმართმოყვარე, ცუდი სახელის მქონე დაწესებულების კართან დგას და მეთევზეთა გემების დაბრუნებას ელოდება.

გავიარე თვალისმომჭრელი «სიამოვნების» სახლი, თავხედურად რომ იყო წამოჭიმული იმ ოჯახის პატრონი ადამიანების ჯიბრზე, პროტესტით ამაოდ რომ მიმართეს მერს და მაინც აშენდა, ციცაბო კლდემდე მივაღწიე, მერე მიხვეულ-მოხვეული გზებით ბალბეკისკენ წავედი. თავისკენ მიხმობდნენ კუნელის ტოტები, არ გამოვხმაურებივარ. მეზობლად ნაკლებ ყვავილოვანი ვაშლის ხეები იდგა. კუნელს მათი ტოტები მეტისმეტად მძიმე ეგონა, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა, მათი ფერების ჯეროვანი სიქორფე შეეფასებინა, როგორითაც მისი ვარდისფერი ფურცლები გამოირჩეოდა. იცოდა, რომ, მართალია, ასეთი მდიდრული მზითვი არ ჰქონდა, მაინც მეტი თაყვანისმცემელი ჰყავდა, ხოლო წარმატების მისაღწევად მისი სითეთრის გასრესა იყო საკმარისი.

როცა სასტუმროში დავბრუნდი, შვეიცარმა სამგლოვარო არშია შემოვლებული წერილი გადმომცა, ხელს მარკიზი და მარკიზა დე გონვილები, ვიკონტი და ვიკონტესა დ'ამფრევილები, გრაფინია დე მენვილი, გრაფი და გრაფინია დე ფრანკტო და გრაფინია დე შავრენი, დაბადებით დ'ეგლევილი აწერდნენ. მე რატომაც გამომიგზავნეს ეს სამძიმრის წერილი, მერეღა მივხვდი, როცა დე კამბრემერების რძლის, დაბადებით დიუ მენილ ლა შიგარის, მარკიზ და მარკიზა დე კამბრემერების სახელები ამოვიკითხე და გავიგე, რომ კამბრემერების ნათესავი ქალი ელეონორ-ევფრაზი-ემბერტინ დე კამბრემერი, გრაფინია დე კრიკტო გარდაცვლილიყო. ყველა აქ ჩამოთვლილ პროვინციულ გვარებში ერთი ბურჟუაც არ ერია, მაგრამ არც ტიტულების შესაფერი ღირსეული გვარები იყო, სამაგიეროდ, ადგილობრივი კეთილშობილების მთელი თაიგული გახლდათ წარმოდგენილი, გვარების მუსიკალური დაბოლებით, რომლებიც მხარის ყველა ღირსშესანიშნაობიდან იყო წარმომდგარი, მხიარული «ვილ» და «კურ» დაბოლოებებით დაწყებული, ყრუდ მჟღერი «ტო»-თი დამთავრებული. კრამიტით დახურული თავიანთი ციხე-დარბაზებიდან ან კირით შეთეთრებული ეკლესიის თაღებიდან თავის კანკალით მხოლოდ იმიტომ იხედებოდნენ, რომ ნორმანდიული წაწვეტებული კოშკების მსგავსი თავიანთი ქუდები გამოეჩინათ; ამ სახელებმა საყვირივით ყველა ლამაზ დასახლებას მიუხმო, განსაზღვრული წესით რომ იყო განლაგებული ანდა პირიქით, გაფანტული ორმოცდაათი მილის დაშორებით, თვალი მიადევნა, ყველა

გამოცხადებულიყო, მათ შორის უცხო პირი არ აღმოჩენილიყო და სწორკუთხა სამგლოვიარო ლენტმოვლებულ დაფაზე მჭიდროდ განალაგა ისინი.

თავის ოთახში დაბრუნებული დედაჩემი ქალბატონ დე სევინიეს ერთ ფრაზაზე ფიქრობდა: «ვერავის ვხედავ, ვისაც სურს ჩემი გართობა; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იმას, ვისაც სურს ხელი შემიშალოს თქვენზე ფიქრში; ეს კი შეურაცხყოფას მაყენებს». ამაზე იმიტომ ფიქრობდა,

რომ სასამართლოს თავმჯდომარემ გართობა ურჩია, მე კი ჩამჩურჩულა: «აგერ პარმის პრინცესა». ჩემი შიში მაშინვე გაიფანტა, როგორც კი ის ქალი დავინახე, რომელიც თემიდას მსახურმა მაჩვენა. ამ ქალს მის სამეფო უდიდებულესობასთან საერთო არაფერი ჰქონდა. საქმე ისაა, რომ პრინცესამ სასტუმროში ნომერი დაიტოვა, რომ ჰერცოგინია დე ლუქსემბურგელთან სტუმრობის შემდეგ ღამე სასტუმროში გაეთენებინა; ბევრმა, ვინც ეს გაიგო, ყოველი ახლად გამოჩენილი ქალბატონი პარმის პრინცესად მიიღო, მე კი ეს ამბავი გავიგე თუ არა, ჩემს სხვენში ჩავიკეტე. მაგრამ მარტო ყოფნა არ მინდოდა. მხოლოდ ოთხი საათი იყო. ფრანსუაზს ვთხოვე, ალბერტინთან წასულიყო და მოსვლა ეთხოვა, რათა დღის დარჩენილი ნაწილი ჩემთან ერთად გაეტარებინა.

მგონი, ჭეშმარიტების წინაშე ცოდვას ჩავიდენდი, თუ იმის მტკიცებას დავიწყებდი, რომ ალბერტინი უკვე მაშინ ჩემში გამუდმებულ, მტანჯავ უნდობლობას იწვევდა, უფრო მეტიც, ეს უნდობლობა განსაკუთრებული სახისა იყო და რაღაც ისეთი იფარებოდა, რაც გომორული იყო. და ამ დღიდან, თუმცა ეს პირველი არ იყო, ჩემი მოლოდინი მღელვარებით აივსო. ფრანსუაზის წასვლიდან იმდენი დრო გავიდა, რომ ალბერტინთან შეხვედრის ყოველგვარი იმედი დავკარგე. ღამის ლამპა არ ავანთე. საღამო დადგა. კაზინოს თავზე ქარი დროშის ტარს არახუნებდა. და კიდევ, სიჩუმეში სანაპიროზე, რომელსაც ტალღები აწყდებოდა, სუსტი ხმა ისმოდა და ეს ხმა თითქოს აძლიერებდა სულის ამომხდელ მოუსვენრობას ამ მშფოთვარე საათს – სასტუმროს ახლოს პატარა არღანი ვენურ ვალსებს უკრავდა. ეღირსა და ფრანსუაზი დაბრუნდა, მაგრამ მარტო: «როგორც შევძელი, სწრაფად მოვედი, ჯერ უარი მითხრა, დავარცხნილი არა ვარო. მთელი საათი პომადა თუ ვერ წაისვა, ხუთ წუთში რას მოასწრებდა. ახლა აქ ისეთი სუნი დატრიალდება, თითქოს პარფიუმერიის საწარმო იყოს. მალე მოვა, ალბათ ისევ სარკის წინ

ტრიალებს, ალბათ ამიტომ აგვიანდება. მე კი მეგონა, უკვე აქ იქნებოდა». კიდევ დიდხანს არ გამოჩენილა ალბერტინი. მაგრამ ისეთი მხიარული მოვიდა, ისეთი ალერსიანი, ნაღველი მაშინვე გამიქრა. მითხრა (წინადღეს სულ სხვა რაღაც თქვა), რომ საწინააღმდეგო არაფერი ექნებოდა, თუ მთელი სეზონი აქ დარჩებოდა; მერე მკითხა, არ შეიძლება, როგორც გასულ წელს, ახლაც ყოველდღე შევხვდეთ ერთმანეთსო? ვუთხარი, რომ ჯერ ისევ დარდიანად ვიყავი, მირჩევნია, ასე, დროდადრო, გაუფრთხილებლად დაგიძახო-მეთქი, როგორც პარიზში. «თუ უცბად ნაღველი მოგაწვებათ ან მოგეწყინებათ უჩემოდ, არ მოგერიდოთ, ვინმე

გამომიგზავნეთ, – მითხრა მან. – მაშინვე აქ გავჩნდები და დიდხანს დავრჩები». როცა ალბერტინი გამოჩნდა, ფრანსუაზს ბედნიერი სახე გაუხდა, როგორც ყოველთვის, როცა ჩემს საამებლად რაღაცის გაკეთებას ცდილობდა და გამოუვიდოდა. მაგრამ ალბერტინი ასეთ სიხარულს არ განიცდიდა, და მეორე დღეს ფრანსუაზმა მნიშვნელოვანი სიტყვები მითხრა: «არ ღირს ამ მადმუაზელთან შეხვედრა. ვხედავ, რაც არის: დიდ მწუხარებას შეგყრით». როცა ალბერტინს ვაცილებდი, კარგად განათებულ რესტორანში პარმის პრინცესა დავინახე. ვეცადე, შეუმჩნეველი დავრჩენილიყავი და თვალი ავარიდე. უნდა გამოვტყდე, რომ მის მეფურ თავაზიანობაში, გერმანტების საღამოებზე ჩემში ღიმილს რომ იწვევდა, ახლა რაღაც განსაკუთრებული დიდებულება აღმოვაჩინე. როგორც წესი, მონარქები ყველგან თავის სახლში არიან, და ამ წესს ცერემონიები უსიცოცხლო უაზრობად აქცევს, მაგალითად: სახლის პატრონი მოვალეა, ხელში ქუდი ეჭიროს იმის ნიშნად, რომ ის უკვე თავის სახლში აღარ არის, არამედ პრინცის სტუმარია. პარმის პრინცესა ამ აზრს ვერ გამოხატავდა, მაგრამ მთლიანად ამ აზრით იყო გამსჭვალული და ამა თუ იმ მდგომარეობაში ამას კეთებდა კიდეც. მაგიდიდან ადგა და ემეს ფეხის ქირად კარგა დიდი ფული გადაუხადა, თითქოს იგი პრინცესას გამო იმყოფებოდა რესტორანში, თითქოს რომელიღაც ციხედარბაზიდან გამგზავრების წინ მადლობა გადაუხადა იმ ადამიანს, რომელიც

მსახურად მიუჩინეს. არადა, მხოლოდ ფეხის ქირით როდი დაკმაყოფილდა, მომხიბლავი ღიმილით რამდენიმე თავაზიანი და საამო სიტყვაც უთხრა, როგორც დედამ ასწავლა. მგონი, ცოტაც და, იმასაც ეტყოდა, რომ ოტელში ბრწყინვალე წესრიგია, რომ ასეთივე ავსებულ მდგომარეობაშია მთელი ნორმანდია და რომ საფრანგეთზე უკეთესი ქვეყანა მსოფლიოში არ არსებობს. კიდევ ერთი მონეტა გადავიდა პრინცესას ხელიდან მსახურთუფროსის ხელში, რომელიც ისე გამოიძახა, როგორც გენერალმა, ჯარს რომ ათვალიერებს და თავისი კმაყოფილების გამოხატვა ინება. მერე მელიფტემ რაღაცაზე პასუხი მოუტანა; არც იმას დააკლო ალერსიანი სიტყვა, გაუღიმა, ფეხის ქირაც მისცა, ამით პრინცესა ეცადა, კიდევ ერთხელ ეჩვენებინა, რომ მათი თანასწორი იყო. ემემ, ზედამხედველმა, მელიფტემ და სხვებმა იფიქრეს, რომ უხერხული იყო, არ გაეღიმათ იმისთვის, ვინც მათ უღიმოდა, მალე იგი მსახურების გარემოცვაში მოხვდა, ახლა მათთან დაიწყო თავისი კეთილმოსურნეობის გამოჩენა. ძვირფას სასტუმროებში ასეთი მიღება უჩვეულოა. პლაჟზე მიმავალ ადამიანებს, ვინც არ იცოდა, ვინ იყო ეს ქალბატონი, ბალბეკის მკვიდრი, ვინმე მდაბიო ეგონათ, ან ის, ვისაც სუფთა პროფესიული ინტერესები ამოძრავებდა (შეიძლება შამპანურის გამსაღებელი აგენტის ცოლიც იყო), რომელიც უფრო ახლო იდგა მსახურებთან, ვიდრე იმ ბრწყინვალე პიროვნებებთან, სასტუმროში რომ ცხოვრობდნენ. მე კი ამ დროს პარმის სასახლეზე ვფიქრობდი, იმ ნახევრად რელიგიურ, ნახევრად პოლიტიკურ რჩევებზე. მათი რჩევების გათვალისწინებით, პრინცესას ხალხის წინაშე ისე უნდა დაეჭირა თავი, რომ მათი სიყვარული დაემსახურებინა, რადგან ერთ მშვენიერ დღეს მათი მბრძანებელი გახდებოდა, უფრო სწორად, უკვე იყო მბრძანებელი.

ჩემს ოთახში ავბრუნდი, აღმოჩნდა, რომ მარტო არ ვიყავი, ვიღაც შუმანის ჰანგების ნაწყვეტებს ძალიან სასიამოვნოდ უკრავდა, ბუნებრივია, რომ ადამიანები, ისინიც კი, ვინც განსაკუთრებით

ძვირფასია ჩვენთვის, ჩვენგან გამომდინარე გადაჭარბებული დარდისა თუ გულის ტკივილის გამო, ძალიან გვშორდებიან. და მაინც, არც ერთ ადამიანს არ შესწევს ძალა მეორეში ისეთი აუტანელი სულიერი ტკივილი გამოიწვიოს, როგორსაც ჩვენში უსულო საგანი იწვევს: ეს უსულო საგანი ფორტეპიანო გახლავთ.

ალბერნტინმა იმ დღეების ჩამოწერა მთხოვა, როცა მეგობრებთან შეეძლო წასვლა და მათი მისამართები გადმომცა იმ შემთხვევისთვის, თუ მაინც დამჭირდებოდა, ყველა მისი მეგობარი ახლოს ცხოვრობდა. ამგვარად, ირგვლივ ბუნებრივი ყვავილების წნული ერტყა და ალბერტინამდე რომ მიმეღწია, გოგონადან გოგონამდე უნდა მემოძრავა. გავბედავ და გამოვტყდები, მაშინ ჯერ კიდევ შეყვარებული არ ვიყავი, რომ ბევრი მათგანისგან წამიერი სიამოვნება მიმიღია პლაჟზე. მაშინ მეჩვენებოდა, რომ ასეთი კეთილმოსურნე მეგობარი გოგონა ბევრი არ იყო. ამ ცოტა ხნის წინათ ჩემს ფიქრებში ისევ მათ დავუბრუნდი და მათი სახელები გავიხსენე. დავითვალე და მხოლოდ ამ საზონში თორმეტმა მაინც გამოიჩინა ჩემ მიმართ არამყარი კეთილგანწყობა. ამ დროს კიდევ ერთი სახელი გამახსენდა, მაშასადამე, ცამეტმა. ამ რიცხვზე, რაღაც ბავშვური შიშით შევჩერდი. ო, ღმერთო დიდებულო! – გავიფიქრე, – პირველი დამავიწყდა, ალბერტინი, რომელიც ახლა უკვე აღარ არის და მეთოთხმეტე აღმოჩნდა.

თხრობის ძაფი რომ არ გავწყვიტო, ისევ დაწყებულ ამბავს ვუბრუნდები, იმ გოგონების სახელებსა და მისამართებს ვიწერ, ვისთანაც ალბერტინის პოვნა შემეძლებოდა იმ დღეებში, როცა ენკარვილში არ იქნებოდა, ოღონდ ამ დღეების გამოყენებას იმისთვის ვაპირებდი, რომ ქალბატონ ვერდიურენს ვწვეოდი. სხვათა შორის, სურვილი, რომელიც სხვადასხვა ქალის მიმართ გვამოძრავებს, ერთნაირი სიმძაფრისა არ არის. შეიძლება რომელიმე საღამო, როცა

უქალოდ ყოფნა არ შეგვიძლია, ვინმესთან გავატაროთ, მაგრამ მერე მასზე ფიქრსაც საერთოდ ვივიწყებთ. მონაცვლეობის კანონის თანახმად, რომლის შესწავლასა და ჩაღრმავებასაც აქ არ ვაპირებ, თუ მას შემდეგ, რაც დიდი ფიზიკური სისუსტისას ის ქალი დავინახეთ, რომლის სახებაც მოულოდნელი ღონემიხდილობისას მოსვენებას არ გვაძლევდა, შეიძლება მხოლოდ შუბლზე ვეამბოროთ და ამით დავკმაყოფილდეთ. ალბერტინს კი მხოლოდ იმ იშვიათ საღამოობით ვხვდებოდი, როცა უიმისოდ გაძლება არ შემეძლო. თუ მისი ნახვის სურვილი მომერეოდა და ბალბეკიდან შორს იყო, ფრანსუაზს აღარ ვგზავნიდი, მელიფტეს ვთხოვდი, თავის საქმეებს ადრე მორჩენილიყო და ეპრევილში, ლა სონში, სენ-ფრიშუში ვაფრენდი. ჩემს ოთახში შემოსული მელიფტე კარს არ კეტავდა, თუმცა კეთილსინდისიერად «წყდებოდა წელში», მძიმე სამუშაო ჰქონდა, დილის ხუთ საათზე იწყებდა გულმოდგინედ დასუფთავებას, მაგრამ თავი ვერ აიძულა, მიჩვეოდა კარის დახურვას, როცა

ეტყოდნენ, კარი ღია დაგრჩაო, დიდი ძალისხმევა სჭირდებოდა, რომ კარს დაბრუნებოდა, მაგრამ მხოლოდ ოდნავ უბიძგებდა დასახურად. მისთვის დამახასიათებელი დემოკრატიული სიამაყით სწორად ხმარობდა იმ გამოთქმებს, დახურულ წრეში რომ იყენებენ, მაგალითად, აკადემიკოსები; შიკრიკთან მიმართებით, რომელიც მხოლოდ სამ დღეს მუშაობდა მელიფტედ, იტყოდა: «კოლეგას ვთხოვ, შემცვალოს». სიამაყე ხელს არ უშლიდა, შემოსავლის, რასაც თვითონ «ჩემს ჯამაგირს» უწოდებდა, გაზრდის მიზნით, ათასი საქმე ეკეთებინა, რატომაც ფრანსუაზის სიძულვილი დაიმსახურა: «ერთი შეხედვით, ღმერთსაც კი მონანიების გარეშე დატოვებს, მეორე დღეს კი, ციხის კარივით თავაზიანია. ყველა ხელებში გიყურებს». ევლალიასას ადამიანთა ამ კატეგორიას აკუთვნებდა (მერე უამრავი უბედურების მიზეზი რომ გახდა), სამწუხაროდ, ამავე კატეგორიას მიაკუთვნა ალბერტინიც, რადგან ფრანსუაზის თანდასწრებით დედაჩემს ჩემი ლამაზი მეგობრისთვის სხვადასხვა წვრილმან სამშვენისს ვთხოვდი. ფრანსუაზი ამას დაუშვებლად

მიიჩნევდა. მელიფტე გაიხდიდა თუ არა იმას, რასაც მე ლივრეას ვეძახდი, თვითონ კი მუნდირს, ჩალის ქუდითა და ხელჯოხით გამოჩნდებოდა, ცდილობდა, გამართულად გაევლო და ნატიფად დაეჭირა თავი, ეს დედამ ასწავლა, ისიც შთააგონა, რომ ვინმე შავი მუშა ან შიკრიკი არ იყო. წიგნის კითხვის წყალობით მუშა, სამუშაოს შემდეგ აღარ იყო მუშა, ხელთათმანებსა და ჩალის ქუდში გამოწყობილი ელეგანტურად გამოიყურებოდა, რაჟამს კლიენტების ლიფტით აყვანას დაამთავრებდა, იგი ისეთივედ იქცეოდა, როგორიც ახალგაზრდა ქირურგი იყო, თეთრი ხალათის გახდის შემდეგ, როგორიც იყო სენ-ლუს სერჟანტი, სამხედრო მუნდირის გახდის შემდეგ, ნამდვილ ბატონად იქცეოდა; არც უნიჭო იყო და არც თავმოყვარეობა აკლდა; მისი ნიჭი იმაში გამოიხატებოდა, რომ ლიფტს, გაფუჭების შემთხვევაში, ადვილად აკეთებდა და სართულებს შორის არ უჩერდებოდა. მაგრამ სწორად ვერ მეტყველებდა. გადავწყვიტე, რომ პატივმოყვარე კაცი ბრძანდებოდა, რადგან შვეიცარზე, რომელზედაც დამოკიდებული იყო, ამბობდა: «ჩემი შვეიცარი», ზუსტად ისეთივე ტონით, როგორც იტყოდა, პარიზში სასტუმროს მფლობელი თავის შვეიცარზე. ზოგიერთი მისი ჩვეულება კი, საერთოდ, ძალიან მაღიზიანებდა, როცა რაღაცაზე ვსაუბრობდით, ისე ღებულობდა, თითქოს ის ამბავი ყველასთვის უკვე ცნობილი იყო ან პირველმა მან აღმოაჩინა და ამაზე ჩემი ყურადღება მიაპყრო. თავს ძლივს ვიკავებდი, როცა ზოგიერთ სპეციალურ ტერმინს, სრულიად მართებულს, თუ პირდაპირი მნიშვნელობით ვიხმარებდით, იგი გადატანითი მნიშვნელობით ხმარობდა, რაც იაფფასიანი ხუმრობის შთაბეჭდილებას ტოვებდა, მაგალითად, გამოთქმა «პედალზე დაწოლა». ამ გამოთქმას არასოდეს იყენებდა უშუალოდ ველოსიპედის ტარებისას. მაგრამ თუ სადმე ფეხით მიდიოდა და რომ არ დაეგვიანა, იძულებული გახდებოდა აჩქარებულიყო, ამბობდა: «წარმოიდგინეთ ერთი, როგორ ვაწვებოდი პედლებს!». მელიფტე უფრო მომცრო ტანის კაცი იყო, მოუქნელი, შეუხედავი. მაგრამ, როცა მისი თანდასწრებით ვინმე ტანად, ნატიფ

ახალგაზრდაზე იწყებდნენ ლაპარაკს, მაშინვე ჩაურთავდა: «აა, ვიცი, ვინც არის, ზუსტად ჩემი სიმაღლეა». ერთხელ ჩემთვის პასუხი უნდა მოეტანა, გავიგე, კიბეზე ვიღაც ამოდიოდა, ვეღარ მოვითმინე, კარი გამოვაღე და ენდიმიონივით[124] მშვენიერი შიკრიკი დავინახე, დაუჯერებლად უზადო ნაკვთები ჰქონდა, ვიღაც ჩემთვის უცნობ ქალბატონთან მიდიოდა საქმეზე. როცა მელიფტე დაბრუნდა, ვუთხარი, რომ პასუხს ისე მოუთმენლად ველოდი, მეგონა, კიბეზე შენ ამოდიოდი, მაგრამ სასტუმრო «ნორმანდის» შიკრიკი აღმოჩნდა-მეთქი. «აჰ, ვიცი, ვინც არის, – მიპასუხა. – იქ მხოლოდ ერთია ჩემი სიმაღლისა. სახითაც ისე ვგავართ ერთმანეთს, შეიძლება ვინმეს შევეშალოთ კიდეც ან ჩემს ძმად მიიღონ». ამ მელიფტეს თავი ისე მოჰქონდა, ვითომ ყველაფერი გაეგებოდა, დავუწყებდი თუ არა დავალების მიცემას, მაშინვე ამბობდა: «დიახ, დიახ, დიახ, მშვენივრად გავიგე». და ამ ტონს, საზრიანი და მიხვედრილი კაცის ტონს, პირველად შეცდომაში შევყავდი, მაგრამ, რაც უფრო ახლო ვეცნობით ადამიანებს, მით მეტად გვაგონებენ მეტალს, რომელიც მავნე ნარევში ჩაშვებული, ნელ-ნელა კარგავს თავის ღირსებას (ზოგჯერ ნაკლსაც). ერთხელ, ვიდრე მელიფტესთან ლაპარაკს დავიწყებდი, შევამჩნიე, რომ კარი არ დახურა; შემეშინდა, ვინმეს ჩვენი ლაპარაკი არ გაეგონა; ინება ჩემი სურვილის შესრულება და ოდნავ მიხურა კარი: «თქვენ რომ გასიამოვნოთ, თორემ სართულზე ჩვენ მეტი არავინ არის». ამ დროს ჯერ ერთმა გაიარა, მერე მეორემ, შემდეგ მესამემ. ამან ძალიან გამაღიზიანა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ მეშინოდა, ვინმე ყურს დაგვიგდებდა და, რაც მთავარია, მელიფტეს სულაც არ ადარდებდა ეს მისვლა-მოსვლა, რადგან ეს მისთვის ჩვეული ამბავი იყო: «აა, ეს ჩვენი მოახლე ქალია, ჩემოდნებისთვის მიდის. ოო, ნუ ღელავთ, ეს ჩვენი მსახურთუფროსი იყო, გასაღებებისთვის მიდის. არა, არა, არაფერია, შეგიძლიათ მშვიდად ილაპარაკოთ. ეს ჩემი კოლეგა მოვიდა სამორიგეოდ». მის ახსნას, რატომაც დადიოდნენ ეს ადამიანები დერეფანში, ჩემი შიში არ შეუნებელია და მხოლოდ ჩემი მკაცრი ბრძანების მერეღა

მივიდა კართან, მაგრამ არა იმიტომ, რომ მჭიდროდ დაეხურა იგი, არამედ მსუბუქად ეკრა ხელი: «ახლა უკვე სრული სიმშვიდეა». იმდენად უზადო სიმშვიდე გამეფდა, რომ უცბად ვიღაც ამერიკელი ქალი შემოგვივარდა, ბოდიში მოიხადა, სხვა ნომერში მოვხვდიო და ისევ გავარდა. «წახვალთ და ამ გოგონას მომიყვანთ, – ვუთხარი, ოღონდ მთელი ძალით მივაჯახუნე კარი (ხმაურზე სხვა შიკრიკი შემოვარდა, ეგონა, რომ ფანჯარა გაიღო). – კარგად დაიმახსოვრე: მადმუაზელ ალბერტინ სიმონე. დანარჩენი კონვერტშია. მხოლოდ ის უთხარი, რომ ჩემგანაა. სიამოვნებით წამოვა». «ცხადია!» «არა, იქიდან ყველა როდი წამოვა სიამოვნებით. ბერნვილიდან აქეთ სიარული ძალიან მოუხერხებელია». «მივხვდი!». «უთხარით, თქვენთან ერთად წამოვიდეს». «დიახ, დიახ, დიახ, ყველაფერი კარგად გავიგე», – მიპასუხა გამჭრიახი და მიხვედრილი ადამიანის სახით, მაგრამ მისი გამომეტყველება დიდი ხანია ჩემში ნდობას აღარ იწვევდა, რადგან დავრწმუნდი, რომ მელიფტე სიტყვებს უაზროდ ისროდა და მისი საქმიანი გარეგნობის მიღმა სრული გაურკვევლობა და სიბრიყვე იფარებოდა. «რომელ საათზე დაბრუნდები?». «ბევრი დრო არ დამჭირდება, – მიპასუხა მელიფტემ, – იქ წასვლა ჩემთვის არაფერია. ახლახან გასვლა აგვიკრძალეს,

რადგან ცალკე კაბინეტში ოც კაცზე საუზმე შეუკვეთეს. მე კი შესვენება უნდა მქონოდა. და სამართლიანი იქნება, თუ წავალ. ველოსიპედით ვივლი, ასე უფრო სწრაფად იქნება». ერთი საათის შემდეგ ბრუნდება და მეუბნება: «ბატონს ალბათ გული გადაელია, მადმუაზელი ჩემთან ერთად მოვიდა. ქვევით არის». «დიდი მადლობა! იმედია, შვეიცარი ჩემზე არ გაბრაზდება». «ბატონი პოლი? არც კი იცის, სად ვიყავი. არავინ არაფერს ეტყვის». სხვა დროს, როცა ასეთივე დავალებით გავგზავნე და ვუთხარი, დაუყოვნებლივ მომიყვანე-მეთქი, უკან დაბრუნებულმა ღიმილით მომახსენა: «იცით, მადმუაზელი ვერ ვიპოვე. იქ არ არის. დიდხანს ვერ ველოდე, რადგან შემეშინდა, რომ ჩემი კოლეგასავით მომექცეოდნენ: მას სასტუმროდან წასვლა მოუწია» (როცა საქმე სამუშაოზე

მოწყობას ეხებოდა, მელიფტე ძველებურ კონსტრუქციას ხმარობდა: თანამდებობის დაკავებაო – ამბობდა; მაგალითად, იტყოდა: «წინააღმდეგი არ ვიქნებოდი თანამდებობა ფოსტაში დამეკავებინა», ხოლო სამსახურიდან დათხოვნის მაგივრად «წასვლას» ხმარობდა, მაგალითად: «გავიგე, რომ სამსახურიდან წასვლა მოუწია»). იღიმებოდა, მაგრამ სიბოროტისგან როდი იღიმებოდა, არამედ სიმორცხვისგან. იმედი ჰქონდა, ხუმრობის ტონი დანაშაულის სიმძაფრეს შეუმცირებდა. და როცა იტყოდა: «თქვენ ხომ იცით, რომ მადმუაზელი ვერ ვიპოვე», ეს არ ნიშნავდა, რომ იგი დარწმუნებული იყო ჩემ მიერ საქმის ვითარების ცოდნაში. პირიქით, ეჭვი არ ეპარებოდა, რომ არაფერი ვიცოდი და ეს იყო ის, რაც აშინებდა. მელიფტე ამ სიტყვით «იცით» ლაპარაკს იმიტომ იწყებდა, რომ ისე არ გავტანჯულიყავი, როცა იძულებული იქნებოდა ჩემთვის ის ეთქვა, რაც არ ვიცოდი. არ არის საჭირო იმ ადამიანებზე გაბრაზება, ვინც ჩვენ მიმართ დანაშაულს ჩაიდენს და ჩაიცინებს. ეს დაცინვა არ არის, პირიქით, შიშია, რომ არ განვრისხდეთ. იმან, ვინც იცინის, ჩვენში უსაზღვრო სიბრალული უნდა გამოიწვიოს და დიდი თანაგრძნობით უნდა მოვექცეთ. თითქოს სახეში შემოულაწუნესო, მელიფტემ უცბად ლაპარაკის მანერა შეიცვალა, და, ბოლოს და ბოლოს, ამიხსნა, რომ ალბერტინი ეპრევილში არ იყო, მხოლოდ ცხრა საათზე დაბრუნდებოდა და თუ შემთხვევით ადრე მივიდოდა სახლში, წერილს აუცილებლად გადასცემდნენ, და ჩემთან კი ღამის პირველ საათზე ადრე ვერ მოვიდოდა.

თუმცა ჩემი მტანჯველი უნდობლობის გამძაფრება მხოლოდ ამ საღამოდან როდი დაიწყო. არა, და რადგან ამაზე წამოვიწყე, ლაპარაკი, ბარემ ახლავე ვიტყვი, რომ არა, ყველაფერი გაცილებით ადრე დაიწყო და კოტარის შენიშვნიდან რამდენიმე კვირის შემდეგ დაიბადა. იმ დღეს ალბერტინმა და მისმა მეგობრებმა ენკარვილის კაზინოში ჩემი შეტყუება მოინდომეს, ბედი რომ

მქონოდა, მათ არ შევხვდებოდი (ქალბატონ ვერდიურენთან ვაპირებდი მისვლას, რომელმაც უკვე რამდენჯერმე დამპატიჟა), რომ მატარებელი ზუსტად ენკარვილში არ გაფუჭებულიყო, შესაკეთებლად რაღაც დრო იყო საჭირო, ვიდრე გააკეთებდნენ, ბაქანზე ბოლთას ვცემდი, მოულოდნელად დოქტორ კოტარს შევეფეთე, რომელიც აქ ავადმყოფის სანახავად ჩამოსულიყო. არ მინდოდა მივსალმებოდი, რადგან არც ერთ

ჩემს წერილს არ უპასუხა. მაგრამ ყოველი ადამიანი თავისებურად თავაზიანია. მართალია, კოტარს მაღალი წრის შესაფერისი აღზრდა არ მიუღია, მაგრამ კეთილი სურვილებით სავსე ადამიანი ბრძანდებოდა, რასაც ვერავინ ხვდებოდა, არც სჯეროდათ მანამდე, ვიდრე ამისი გამომჟღავნების საშუალება არ მიეცემოდათ. ბოდიში მომიხადა, ჩემი წერილები, ცხადია, მიღებული ჰქონდა, ხოლო ის, რომ მე აქ ვიყავი, ვერდიურენებისთვის უკვე მოეხსენებინა, მათ ჩემი ნახვა ძალიან უნდოდათ და მირჩია, აუცილებლად წავსულიყავი. ახლა ისევ მატარებელში უნდა ჩამჯდარიყო და უკან დაბრუნებულიყო მათთან სავახშმოდ, ჩემი წაყვანაც უნდოდა. მისი მატარებლის გასვლამდე ცოტა დრო რჩებოდა, ჩემი მატარებლის შეკეთებას კი დიდი ხანი სჭირდებოდა, ვყოყმანობდი, არ ვიცოდი, ვერდიურენებთან ავსულიყავი თუ არა, კოტარი პატარა კაზინოში შევიყვანე, რომელიც ერთ იმ კაზინოს ჰგავდა, ჩემი პირველი ჩამოსვლისას ძალიან მოსაწყენ ადგილად მეჩვენა, ახლა კი გოგონების წიოკით და ჟრიამულით იყო სავსე, კავალრები არ ჰყავდათ და მეგობრები ერთმანეთთან ცეკვავდნენ. ანდრე პარკეტზე სრიალ-სრიალით ჩემკენ წამოვიდა, მე კი უკვე კოტართან ერთად ვერდიურენებთან გასამგზავრებლად ვემზადებოდი, მაგრამ უცბად ალბერტინთან დარჩენის ძლიერმა სურვილმა წამომიარა და გამგზავრებაზე მტკიცე უარი ვთქვი. საქმე ის იყო, რომ მისი სიცილი გავიგონე და ეს სიცილი ფერმიხდილი ვარდისფერი, სურნელოვანი სიცილი იყო, რაღაც კეთილსურნელებით გაჟღენთილი, მძაფრად მგრძნობიარე და გამაღიზიანებელი, იდუმალი და უხილავი, ნემსიწვერას სუნივით ირგვლივ მიმოფრქვეული.

ჩემთვის უცნობი ერთი გოგონა როიალს მიუჯდა, ანდრემ ალბერტინი ვალსის საცეკვაოდ გაიწვია. მიხაროდა, რომ ამ პატარა კაზინოში, ამ გოგონებთან ვრჩებოდი; კოტარს ყურადღება იმაზე მივაქცევინე, თუ რა კარგად ცეკვავდნენ ისინი. მაგრამ, რადგან ის ყველაფერს მედიცინის თვალსაზრისით უყურებდა, ამით მან თავისი გაუზრდელობის წყალობით ანგარიში არ გაუწია იმას, რომ ამ გოგონებს ვიცნობდი, არ შეიძლებოდა, არ შეემჩნია, მათ როგორ მივესალმე და ასე მიპასუხა: «დიახ, მშობლები გაუფრთხილებლად იქცევიან, აქ ეს ქალები ცუდ ჩვევებს იძენენ. ჩემს გოგონებს მოსვლის უფლებას არ მივცემდი. ლამაზები მაინც არიან? ვერ ვხედავ, როგორი სახეები აქვთ. აბა, შეხედეთ, – გააგრძელა კოტარმა და ალბერტინსა და ანდრეზე მიმანიშნა, ჩახუტებულები ნელა რომ ტრიალებდნენ, – პენსნე დამავიწყდა, ცუდად ვხედავ, მაგრამ ჩემთვისაც კი ნათელია, რომ სიამოვნების მწვერვალზე არიან. ცოტამ თუ იცის, რომ ქალები სიამოვნებას ძირითადად მკერდიდან შეიგრძნობენ. აი, ბატონო, შეხედეთ, მათი მკერდები რა მჭიდროდ ეკვრიან ერთმანეთს». მართლაც, ანდრესი და ალბერტინის მკერდები წუთითაც არ დაშორებია ერთმანეთს. არ ვიცი, გაიგეს თუ მიხვდნენ, რაც კოტარმა თქვა და უცბად ცეკვა-ცეკვით ერთმანეთს ოდნავ დაშორდნენ. ანდრემ რაღაც უთხრა ალბერტინს, ალბერტინმა ისეთი მგრძნობიარე სიცილით გაიცინა, რომელიც ამ წამს მესმოდა. მაგრამ მღელვარება, რომელიც ამან ჩემში ახლა გამოიწვია, ჩემს სულს მტკივნეულად მოედო; ამ სიცილით თითქოს ალბერტინს ანდრეს გამოწვევა უნდოდა, რათა რაღაც იდუმალი ნეტარი თრთოლა ეგრძნო. იგი ისე ჟღერდა, თითქოს პირველი ან ბოლო აკორდი იყო რაღაც ზღაპრული

ზეიმისა. კოტართან ერთად იქიდან გამოვედი, დაბნეულად ვუპასუხე მის ნათქვამს, ისე, თითქოს ახლახან რაც ვიხილე, არც ვფიქრობდი. ეს იმით როდი აიხსნება, რომ კოტარი საინტერესო მოსაუბრეთა რიცხვს აღარ მიეკუთვნებოდა. თანაც ახლა უკმაყოფილება გამოხატა, რადგან დოქტორი დიუ ბულბონი დავინახეთ. იგი ერთხანს ბალბეკის ყურის მეორე მხარეს აპირებდა ცხოვრებას, სადაც ბევრი

ავადმყოფი ჰყავდა. კოტარი კი, თუმცა განუწყვეტლივ აცხადებდა, შვებულების დროს ავადმყოფებს არ ვიღებო, მაინც ცდილობდა გარს რჩეულ პაციენტთა წრე შემოეკრიბა, დიუ ბულბონს კი შეეძლო ამაში მისთვის ხელი შეეშალა. ბალბეკელ ექიმს, ცხადია, მისი შევიწროება არ შეეძლო. ძალიან კეთილსინდისიერი ექიმი იყო, ესაა და ეს, ექიმი, რომელმაც ყველაფერი იცოდა: ოდნავი ქავილი აგიტყდებოდა და მაშინვე რთული შემადგენლობის მალამოს, სითხეს ან სველ საფენებს დაგინიშნავდა. როგორც თავისი მშვენიერი ენით მარი ჟინესტი იტყოდა, მას შეეძლო ჭრილობისა თუ წყლულის მოჯადოება, მაგრამ სახელმოხვეჭილი არ იყო, თუმც კოტარს საქმე ერთხელ მაინც გაუფუჭა. კოტარმა ერთი თალია თერაპიის კათედრის დაკავება გადაწყვიტა და ორგანიზმის თვითმოწამვლის საკითხებით დაინტერესდა. ორგანიზმის თვითმოწამვლის თეორია ძალიან სახიფათო თეორიაა. ბალბეკში რამდენიმე დღით ჩამობრძანებულ დიდ მთავარს თვალი გაუსივდა და კოტარი მიიწვიეს სამკურნალოდ, რომელმაც დასიება ორგანიზმის თვითმოწამვლით ახსნა, გაუვნებლობის რეჟიმი დაუნიშნა და რამდენიმე ასეული ფრანკიც აიღო (ნაკლებ თანხად პროფესორი თავს არ შეიწუხებდა). მაგრამ შეშუპება არ დაცხრა, დიდმა მთავარმა, ჩვეულებრივ, ბალბეკელ მკურნალს მიმართა, რომელმაც ხუთ წუთში თვალიდან მტვრის ნამცეცი ამოუღო, მეორე დღეს ავადმყოფს უკვე აღარაფერი ეტყობოდა. კოტარის ყველაზე სახიფათო მეტოქე ერთი ცნობილი ფსიქიატრი იყო, ღაჟღაჟა, ხალისიანი კაცი, ხალისიანი არა მხოლოდ იმიტომ, რომ გამუდმებით სულით ავადმყოფებთან ჰქონდა საქმე, თვითონ ჯანმრთელობას არ ემდუროდა, არამედ ავადმყოფების დასამშვიდებლად ხმამაღალი სიცილი საჭიროდ მიაჩნდა, რაც ხელს სულაც არ უშლიდა, მათთვის დასამშვიდებელი პერანგი ჩამოეცვა. როცა საზოგადოებაში რაღაცაზე საუბარს ჩამოუგდებდი, პოლიტიკა იქნებოდა თუ ლიტერატურა, იგი კეთილგანწყობილი ყურადღებით გისმენდათ, მაგრამ ისეთი სახე ჰქონდა, თითქო კითხულობდა: «მერე რა?» თავის აზრს უცბად

არ გამოხატავდა, თითქოს საკონსულტაციოდ ყოფილიყო მიწვეული. კოტარს მისი ნიჭი შურდა, მაგრამ ანგარიში უნდა გაეწია, რადგან ფსიქიატრი თავისი ვიწრო სპეციალობის დარგში ნამდვილი ოსტატი იყო. ამიტომ მთელი თავისი მრისხანება დიუ ბულბონს დაატეხა თავს. სახლში წასვლა გადავწყვიტე, გამოვემშვიდობე ვერდიურენების მეგობარს და აღვუთქვი, რომ მათ სანახავად სხვა დროს მივიდოდი.

იმან, რაც ალბერტინსა და ანდრეზე ითქვა, ღრმა ჭრილობა მომაყენა, მაგრამ ტანჯვა უცბად არ დამწყებია, როგორც ეს მოწამვლის შემთხვევაშია და რაღაც დროის გასვლის შემდეგ იჩენს თავს.

იმ საღამოს, როცა მელიფტე ალბერტინთან გავგზავნე, მიუხედავად მისი დამარწმუნებელი ნათქვამისა, იგი მაინც არ მოსულა. ქალის მომხიბვლელობა ისე ძლიერად არ აღაგზნებს ჟინს, როგორც იმავე ქალის ზოგიერთი ნათქვამი, მაგალითად, ასეთი: «არა, საღამოს დაკავებული ვარ». თუ მეგობართა წრეში ვიმყოფებით, მაშინ ამ ნათქვამს ყურადღებას არ ვაქცევთ, მთელი საღამო ვმხიარულობთ და ამ ქალის სახე საერთოდაც არ გვახსოვს. ამ ხნის განმავლობაში იგი რაღაც განსაკუთრებულ ხსნარშია ჩადებული; სახლში მივალთ და უკვე გამჟღავნებულ, მკაფიო სურათს აღმოვაჩენთ. ვხვდებით, რომ სიცოცხლეს ისე ადვილად ვეღარ დავშორდებით, როგორც წინადღეს დავშორდებოდით; სიკვდილისა არც ახლა გვეშინია, მაგრამ განშორებაზე ფიქრიც კი აუტანლად მიგვაჩნია.

მოკლედ, ღამის პირველი საათის შემდეგ კი არა (როგორც მელიფტემ მითხრა), არამედ მხოლოდ სამის შემდეგ უკვე ისე აღარ ვეწამებოდი, როგორც ადრე, იმის აღიარებით, რომ მისი მოსვლა თანდათან დაუჯერებელი ხდებოდა. როცა საბოლოოდ დავრწმუნდი, აღარ მოვიდოდა, სრული

სიმშვიდე დამეუფლა და გამომაცოცხლა; ჩემ მიერ გატარებული ეს ღამე, უბრალოდ, ერთ-ერთია იმ ღამეთაგან, როცა მე და ალბერტინს ერთმანეთი არ გვინახავს და მეტი არაფერი. მერე ის აზრი, რომ ალბერტინს ხვალ ვნახავდი ანდა სხვა დღეებში, სიცარიელეში გამოიკვეთა, რასაც უკვე შევურიგდი კიდეც და ჩემთვის განსაკუთრებულ სიხარულად იქცა. ზოგჯერ მოლოდინის საღამოებისას მოწყენილობას ჩვენ მიერ მიღებული წამალი იწვევს. ნაღველის წყაროს ძიებით გადაქანცული ადამიანი სხვაგან იყურება და არა იქით, სადაც უნდა იყურებოდეს და ფიქრობს, რომ იმ ადამიანის გამო ვერ პოულობს ადგილს, ვინც უნდა მოსულიყო და ვინც არა და არ მოდის. გამძაფრებული ჟინი ამ დროს ზოგიერთ ნერვულ ავადმყოფობას ჰგავს, რომელიც მწვავე ტკივილის გამომწვევი მიზეზების არასწორი ახსნით უარესდება. მაგრამ სწორი ახნის ძიების მცდელობა, ყოველ შემთხვევაში სატრფიალო ვნების საკითხებში მაინც, ამაოა, რადგან სატრფიალო სწრაფვა (რითიც არ უნდა იყოს გამოწვეული) მუდამ მაცდუნებელია.

მეორე დღეს ალბერტინისგან წერილი მივიღე, ის მაუწყებდა, რომ მხოლოდ ახლა დაბრუნებულიყო ეპრევილიდან და ჩემი წერილი დროზე ვერ მიიღო, საღამოს კი, თუ ნებას მივცემდი, ჩემს სანახავად მოვიდოდა, და მისი სიტყვების მიღმა, როგორც იმ სიტყვების უკან, ერთხელ ტელეფონით რომ მითხრა, თითქოს მის მიერ განცდილი სიამოვნება ვიგრძენი, ის ადამიანები ვიგრძენი, რომლებიც ჩემს თავს ამჯობინა. ისევ შემიპყრო სურვილმა, გამეგო, რას აკეთებდა იგი, ავადმყოფური ცნობისმოყვარეობა დამეუფლა, სიყვარულის ის ფარული გრძნობა, რომელიც მუდამ ჩვენთანაა და ერთი წამით მომეჩვენა, რომ იგი ალბერტინს შემაყვარებდა, მაგრამ მხოლოდ იმით დამთავრდა, რომ ათრთოლდა, ადგილიდან არ დაიძრა და მისი ბოლო გამოძახილი მანამდე შეწყდა, ვიდრე განძრევას მოასწრებდა.

ბალბეკში პირველი ჩამოსვლისას, – ალბათ ანდრესაც ასე დაემართა – ალბერტინის ხასიათში ვერ გავერკვიე. მეგონა, რომ გულუბრყვილო, ფუქსავატი ადამიანი იყო, დარწმუნებული არ ვიყავი, ჩვენი ხვეწნა-მუდარა თუ გაჭრიდა და garden-party-ზე წასვლაზე თავს შეიკავებდა, უარს იტყოდა ვირით სეირნობაზე, აღარ ივლიდა პიკნიკებზე. ბალბეკში მეორედ ჩამოსვლისას კი უკვე ეჭვი შემეპარა, რომ მისი ფუქსავატობა ნიღაბი იყო, garden-party კი შირმა და, შეიძლება, უბრალოდ გამონაგონიც. ერთი და იგივე სხვადასხვა ფორმით ჩნდებოდა (მე მხოლოდ იმაზე ვლაპარაკობ, რაც მინაში ჩემი მხრიდან ჩანდა, რომელიც განსაკუთრებული გამჭვირვალობით არ გამოირჩეოდა, მაგრამ, სინამდვილეში, მინის იქით რა ხდებოდა, არ შემეძლო მცოდნოდა). ალბერტინი, ჩემთვის თავისი ნაზი გრძნობები რომ აეხსნა, ყველაზე ვნებიან გამოთქმებს ხმარობდა; მერე საათს დახედავდა, რადგან ენფრევილში ვინმე ქალბატონთან უნდა წასულიყო, რომელიც სტუმრებს ხუთ საათზე ყოველდღე ღებულობდა. ეჭვი მახრჩობს, ვგრძნობ, ავად ვარ, ჩემთან დარჩენას ვთხოვ, ვევედრები. არა, შეუძლებელია (მხოლოდ ხუთი წუთი აქვს დარჩენილი წასვლამდე), თორემ ის არცთუ გულითადი, წყენია ქალი, და როგორც თვით ალბერტინი ირწმუნება, საშინლად მოსაწყენიც, გაბრაზდებაო. «მაგრამ, ხომ შეიძლება, არ წახვიდეთ». «არ შემიძლია, რადგან დეიდამ მასწავლა, რომ თავაზიანობაა უპირველეს ყოვლისა». «მაგრამ ჩემთან არაერთხელ ყოფილხართ უდიერი». «ამ შემთხვევაში განსაკუთრებული მდგომარეობაა: ის ქალბატონი ჩემზე გაბრაზდება, ათას ამბავს შეთხზავს და დეიდაჩემს გამიქეზებს. მე და დეიდას კი ისედაც დაძაბული ურთიერთობა გვაქვს. მას სურს, რომ იმ ქალთან ერთხელ მაინც შევიარო». «ის ხომ სტუმრებს ყოველდღე ღებულობს». მიხვდა, ტყუილებში რომ «შეტოპა» და სხვა მიზეზი გამოძებნა: «დიახ, ყოველდღე ღებულობს, მაგრამ დღეს მასთან ჩემს მეგობრებს დავუნიშნე შეხვედრა. მოწყენილი აღარ ვიქნები». «ალბერტინ, რადგან გეშინიათ, იქ მოწყენილი არ იყოთ და მაინც გადაწყვიტეთ, რომ ავადმყოფი, უბედური

მარტო დამტოვოთ, მაშასადამე, ჩემ თავს ის ქალბატონი და შენი მეგობრები გირჩევნიათ». «ის, რომ მოსაწყენი იქნება, ეს მაინცდამაინც არ მაწუხებს. მეგობრების გამო მივდივარ. სახლში ჩემი ორთვალათი წამოვიყვან. სხვანაირად იქიდან ვერ გამოაღწევენ». შევეპასუხე, ენფრევილიდან მატარებლები ათ საათამდე დადიან-მეთქი. «მართალია, მაგრამ შეიძლება ვახშამზე დარჩენა გვთხოვონ. დიასახლისი ძალიან სტუმართმოყვარეა». «უარი უთხარით». «დეიდა ამაზეც გაბრაზდება». «მაშინ ივახშმეთ და ათსაათიანით დაბრუნდით». «ასე უფრო მოსახერხებელი იქნება». «იცი რა, ყველაფერი შეიძლება ძალიან მარტივად გადაწყდეს. ვგრძნობ, ჰაერზე უკეთესად გავხდები, რადგან იმ ქალბატონის წყენის გეშინიათ, ენფრევილამდე მიგაცილებთ. ნუ ღელავთ, ელიზაბეთის კოშკამდე (იმ ქალბატონის ვილა) არ მოვალ, ვერც ქალბატონს ვნახავ და ვერც თქვენს მეგობრებს». ალბერტინი გაოგნდა, საშინელი სახე მიიღო და ხმა ჩაუწყდა. თქვა, ზღვაში ბანაობა არ მომიხდაო. «იქნებ, არ გინდათ გაგაცილოთ?». «ამას როგორ ამბობთ. მშვენივრად მოგეხსენებათ, რომ თქვენთან ერთად სეირნობა ჩემთვის ყველაზე დიდი სიამოვნებაა». ალბერტინი მყისვე შეიცვალა. «რადგან

სასეირნოდ მივდივართ, – გააგრძელა მან, – უკეთესი ხომ არ იქნება, ბალბეკის მეორე მხარეს წავიდეთ? ერთადაც ვივახშმებდით. რა საუცხოო იქნება! ის მხარე ხომ უფრო ლამაზია. ენფრევილი უკვე მომბეზრდა, ისევე, როგორც ყველა ეს ეგრეთ წოდებული «მწვანე კუთხე». «მაგრამ, თუ არ მიხვალთ, დეიდათქვენის მეგობარი ნაწყენი დაგრჩებათ». «განაწყენდეს». «არა, არა, ადამიანის გაჯავრება არ შეიძლება». «ვერც შეამჩნევს. სტუმრებს ყოველდღე ღებულობს. ხვალ მივალ, ზეგ, ერთი კვირის თუ ორი კვირის შემდეგ, მნიშვნელობა არ აქვს». «თქვენი მეგობრები?». «ისინიც ხშირად მატყუებენ. ახლა ჩემი ჯერია». «მაგრამ იმ მხარეს, საითაც წასვლა გინდათ, ცხრა საათის შემდეგ მატარებლები აღარ დადიან». «მერე რა? ცხრა საათამდე? მშვენიერია. ადამიანმა საერთოდ არ უნდა იფიქროს, სახლში რითი მივა. ყოველთვის მოიძებნება რაღაცა – საზიდარი, ველოსიპედი,

უკიდურეს შემთხვევაში, საკუთარი ფეხები». «ყოველთვის მოიძებნება რაღაცა! რა მოხერხებული ხართ, ალბერტინ! ენფრევილის მხარეს, სადაც პატარ-პატარა სადგურები ერთმანეთს მისდევს, მოიძებნება, მაგრამ მოპირდაპირე მხარეს საქმე სხვანაირად არის». «მოპირდაპირე მხარესაც მოიძებნება. პირობას გაძლევთ, უკან მთელსა და უვნებელს ჩამოგიყვანთ». ვგრძნობდი, ალბერტინი ჩემ გამო რაღაც ისეთზე ამბობდა უარს, რაზეც უკვე მოლაპარაკებული იყო და არ მეუბნებოდა, იმასაც ვხვდებოდი, ვიღაც ისეთივე უბედურად იგრძნობდა თავს, როგორც მე ვგრძნობდი. დარწმუნდა თუ არა, რომ თუ გავაცილებდი და მისი სურვილი არ აღსრულდებოდა, მაშინვე გადაიფიქრა. იცოდა, მერეც შეიძლებოდა ყველაფრის გამოსწორება. როგორც ყველა ქალს, რთულ ცხოვრებას რომ ეწევიან, ამასაც ჰქონდა საყრდენი წერტილი, რომელიც არასდროს სუსტდებოდა: ეჭვი და შური თანხმიერად. ცხაჟია, მათ საგანგებოდ არ იწვევდა, პირიქით. შეყვარებულები მუდამ დაძაბულნი არიან, ყველგან სიცრუეს გრძნობენ. ალბერტინი სხვებზე უკეთესი როდი იყო, გამოცდილებით იცოდა, რომ ის, ვინც ერთ საღამოს მან მოატყუა, აუცილებლად დაუბრუნდებოდა. უცნობი, ვისთანაც ჩემ გამო პაემანზე არ მივიდა, დაიტანჯება, მაგრამ უფრო ძლიერად მიეჯაჭვება (ალბერტინისთვის მხოლოდ მიზეზი დარჩება გაუგებარი) და რომ არ იტანჯოს, თვითონ მიუვა. მის ადგილზე მეც ასე მოვიქცეოდი, მაგრამ სურვილი არ მქონდა, მისთვის ტკივილი მიმეყენებინა, საკუთარი თავი გადამექანცა და ძიების საზარელ გზას, უსასრულო თვალთვალის გზას დავდგომოდი. «არა, ალბერტინ, არ მსურს სიამოვნება მოგაკლდეთ, წადით თქვენს ენფრევილელ ქალბატონთან, თუნდაც იმასთან, ვინც ამ სახელის ქვეშ იმალება, ჩემთვის სულერთია. თქვენთან ერთად თუნდაც იმ მიზეზის გამო არ წამოვალ, რომ ეს არ გსურთ, ჩემთან ერთად სეირნობა, – ის სეირნობა არ იქნება, რაზეც ოცნებობთ, და აი, დამამტკიცებელი საბუთიც: ხუთჯერ მაინც, თუ მეტი არა, საკუთარ თავს წინააღმდეგობა გაუწიეთ, და ვერ შეამჩნიეთ». საცოდავმა ალბერტინმა

წარმოიდგინა, რომ ამ წინააღმდეგობას, რომელიც ვერ შეამჩნია, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა და შეეშინდა. ზუსტად არ ახსოვდა, რა მოიტყუა. «შეიძლება, საკუთარი თავის წინააღმდეგი წავედი. ზღვის ჰაერის ბრალია, თავში ყველაფერი

ამერია. ერთი გვარის მაგივრად სხვა გვარს ვამბობ». როგორც კი მისი აღსარება მოვისმინე, რასაც ბუნდოვნად ვხვდებოდი, ისევ ჭრილობის ტკივილი ვიგრძენი. «აბა, სხვა რა ვქნა, რადგან ასეა, მივდივარ», – ტრაგიკული ტონით თქვა, მაგრამ თავი ვერ შეიკავა, საათს დახედა, რათა დარწმუნებულიყო, ხომ არ დააგვიანდებოდა მეორე ადგილზე მისვლა, რადგან ჩემთან საღამოს გატარების აუცილებლობისგან გავათავისუფლე. «ძალიან ბოროტი ხართ. თქვენთან ერთი კარგი საღამოს გატარებისთვის ყველაფერზე უარს ვამბობ, თქვენ კი არ გინდათ, თანაც მიმტკიცებთ, რომ ვცრუობ. ასეთი ულმობელი ჩემთან ჯერ არ ყოფილხართ. ზღვა იქნება ჩემი საფლავი. მეტს ვეღარ გნახავთ (ამ სიტყვების მოსმენამ გული ძალუმად ამიძგერა, თუმცა დარწმუნებული ვიყავი, ხვალვე დამიბრუნდებოდა და ასეც მოხდა). თავს დავიხრჩობ, წყალში გადავვარდები». «როგორც საფო». «ისევ შეურაცხმყოფით: ეჭვქვეშ არა მარტო ჩემ სიტყვებს აყენებთ, არამედ იმასაც, რასაც ვაკეთებ». «არა, პატარავ, გეფიცებით, არავითარი სხვა განზრახვა ამ სიტყვებში არ მიგულისხმია. ხომ ცნობილია, რომ საფო ზღვაში გადახტა». «არა, არა, უკვე საერთოდ აღარ მენდობით». ნახა, ხუთს ოცი აკლდა, შეეშინდა, შეხვედრაზე არ დაგვიანებოდა, ფაციფუცით დამემშვიდობა (მეორე დღეს ჩემს სანახავად მოვიდა და ბოდიში მომიხადა, ეტყობა, ის ვიღაცა (ქალი) ამ დღეს დაკავებული იყო) და სასოწარკვეთილი წამოძახილით გავარდა: «სამუდამოდ გემშვიდობები!» და შეიძლება იყო კიდეც სასოწარკვეთილი, რადგან ჩემზე უკეთ აღიქვამდა, რასაც ახლა აკეთებდა, შეიძლება ეჭვიც ეპარებოდა, ამგვარი დაშორების შემდეგ მივიღებდი თუ არა. ის რომ, როგორც მე მჯეროდა, ჩემზე იყო შეყვარებული, თანაც ისე ძლიერად, რომ ის მეორე ჩემზე ძლიერად ეჭვიანობდა.

რამდენიმე დღის შემდეგ ბალბეკის კაზინოს საცეკვაო დარბაზში ვიყავით, სადაც ბლოკის ღვიძლი და და ბიძაშვილი ქალი შემოვიდნენ, ორივე ძალიან გალამაზებულიყო; ჩემი მეგობარი ქალების გადამკიდე, მათ აღარ ვესალმებოდი, რადგან უმცროსი (ბიძაშვილი) ვიღაც აქტრისასთან ცხოვრობდა და ეს არავისთვის იყო საიდუმლო. ანდრემ ვიღაცის ჩურჩულით ნათქვამი ქარაგმა გაიგო და მითხრა: «მე და ალბერტინს ამ საკითხში ერთი აზრი გვაქვს, ამაზე საზიზღრობა არაფერი არსებობს». ალბერტინმა, ჩემ გვერდით დივანზე რომ იჯდა და მესაუბრებოდა, საძრახისი ქცევების ორივე ქალს ზურგი შეაქცია. მაინც შევამჩნიე, მანამდე, ვიდრე ამ მოძრაობას გააკეთებდა, ზუსტად იმ წუთში, როცა მადმუაზელ ბლოკი და მისი ბიძაშვილი შემოვიდნენ, ჩემი მეგობრის გამოხედვა უეცრად დაიძაბა, ამ დაძაბულობამ ანცი გოგონას სახეს სერიოზული გამომეტყველება მიანიჭა, მრავალმნიშვნელოვანიც კი, მერე დაუნაღვლიანდა. მადმუაზელ ბლოკი და მისი ბიძაშვილი ხმამაღლა ხარხარებდნენ, უზრდელად, ყვიროდნენ, ბოლოს წავიდნენ, ამ დროს ალბერტინს ვკითხე, ეს პატარა ქერა ქალი (აქტრისას მეგობარი) ის ქალი ხომ არ არის, რომელმაც გუშინ პრიზი მოიგო-მეთქი. «არ ვიცი, – მიპასუხა მან, – განა რომელიმე ქერა იყო? სიმართლე გითხრათ, ისინი მაინცდამაინც არ მაინტერესებს და არც შემიხედავს. ნუთუ ერთ-ერთი ქერა იყო?» – მიუბრუნდა თავის სამივე მეგობარს და გულგრილად ჰკითხა. იმ პიროვნებებზე იყო ლაპარაკი, რომლებსაც ალბერტინი ყოველდღე სანაპიროზე ხვდებოდა, ეს მისი გასაოცარი უცოდინარობა რაღაც

თვალთმაქცობას ჰგავდა. «მგონი, არც იმათ შემოუხედავთ ყურადღებით», – ვუთხარი ალბერტინს, შეიძლება გაუაზრებელი სურვილი მამოძრავებდა, მენუგეშებინა იგი. «არ შემოუხედავთ? – დაუფიქრებლად წამოიძახა ალბერტინმა. – სხვა არაფერი გაუკეთებიათ, გარდა ამისა». «საიდან იცით? – ვკითხე, – თქვენ ხომ ზურგი შეაქციეთ?». «აბა, ეს რა არის?» – და ჩვენ წინ დაკიდებული დიდი სარკე მაჩვენა, რომელიც მე ვერ შევამჩნიე და ახლა მივხვდი, რომ ჩემს

მეგობარს ჩემთან ლაპარაკისას, ერთი წამითაც არ მოუშორებია მისთვის თავისი მშვენიერი შეფიქრიანებული თვალები.

იმ დღის შემდეგ, როცა კოტარი ჩემთან ერთად ენკარვილის პატარა კაზინოში შემოვიდა, მე, თუმცა მის აზრს არ ვიზიარებდი, ალბერტინს სხვანაირად დავუწყე ყურება; მისი გამოხედვაც კი სიბრაზეს მგვრიდა. თვითონაც შევიცვალე, ის ჩემთვის ძველი ალბერტინი აღარ იყო; კეთილ გრძნობებს აღარ აღმიძრავდა; ზოგჯერ ჩვენი ურთიერთობა უკეთესობისკენ იცვლებოდა. ერთ დღეს გავიგე, რომ ალბერტინმა და ანდრემ ელსტირის მიწვევა მიიღეს. დარწმუნებული ვიყავი, მიწვევაზე იმ ანგარიშით დათანხმდნენ, რომ უკან დაბრუნებისას გაერთობოდნენ, საძრახისი ქცევების გოგონებს მიბაძავდნენ და იმ სიამოვნებებს მისცემდნენ თავს, რაც ქალიშვილებისთვის ხელმიუწვდომელია; იმ სიამოვნებებს, რომელზე ფიქრიც გულზე მტკივნეულად მხვდებოდა. გაუფრთხილებლად, რათა ისინი შემერცხვინა და ალბერტინისთვის სიამოვნება მომეკლო, რითიც იგი წინასწარ ტკბებოდა, ელსტირთან დაუპატიჟებლად გამოვცხადდი. მაგრამ იქ მხოლოდ ანდრე დამხვდა. ალბერტინს, დეიდასთან ერთად, მასთან მისვლა მეორე დღისთვის გადაეწყვიტა. აი, ამ დროს ვიფიქრე, რომ კოტარი შეცდა; სასიამოვნო გრძნობა დამეუფლა, როცა მხოლოდ ანდრე დავინახე, ეს გრძნობა ჩემს სულში ჩარჩა და ალბერტინისადმი ჩემი მტრული განწყობა შეარბილა. მაგრამ ეს იმდენხანს გაგრძელდა, რამდენ ხანსაც სუსტი ჯანმრთელობის ადამიანის დროებითი გამოჯანმრთელება გრძელდება. ალბერტინი ანდრეს თამაშისკენ უბიძგებდა, რომელიც შორს არ მიდიოდა, მაგრამ არც უწყინარი იყო. ეჭვი მღრღნიდა, ბოლოს, როგორც იყო, მოვიშორე. მაგრამ ერთისგან გავთავისუფლდი თუ არა, იგი სხვა ფორმით გამომეცხადა: დავინახე, ანდრემ მისთვის დამახასიათებელი მოხდენილი ლაციცით ალბერტინს მხარზე თავი როგორ დაადო და

თვალმილულულმა კისერზე აკოცა; ან ერთმანეთს როგორ შეხედეს; ან ერთად მიდიოდნენ საბანაოდ – ყველა ეს წვრილმანი ჰაერში დაქრის, უმრავლესობა ამას იწოვს ჯანმრთელობის დაუზიანებლად და განწყობილების გაუფუჭებლად, მაგრამ ეჭვიანი ადამიანი ამით ავადდება და მისთვის ტანჯვა-წამების ზოლი იწყება. ზოგჯერ ალბერტინი არ მინახავს, არც არაფერი მსმენია და უცბად მახსენდება ის პოზა, როგორითაც იგი ჟიზელის გვერდით იჯდა, მაშინ რომ უწყინარი მეგონა, ახლა სრულიად საკმარისი აღმოჩნდა, სიმშვიდე დამრღვეოდა; უფრო მეტიც: მინდოდა, მოწამლული ჰაერი მესუნთქა, როგორც კოტარი იტყოდა, თვითონვე ვიშხაპუნებდი საწამლავს. ასეთ წუთებში სათითაოდ ყველაფერს ვიხსენებდი, რაც სვანისა და

ოდეტის სიყვარულზე ვიცოდი, იმაზე ვფიქრობი, რომ სვანს მუდამ ატყუებდნენ. არსებითად კი, თუ დავუფიქრდებით, ჰიპოთეზა, რომლის დახმარებითაც თანდათან ყველაფერი შევაგროვე, რათა ალბერტინის ხასიათზე სრული წარმოდგენა მქონდა და რომლის დახმარებითაც მისი ცხოვრების ყოველ მომენტზე ჩემი მტანჯავი ვარაუდები ავაგე, რადგან მასზე დაკვირვების შესაძლებლობა არ მქონდა, ჩემი ჰიპოთეზა სხვა არაფერი იყო, თუ არა მოგონებები, აკვიატებული იდეები ქალბატონ სვანის ხასიათზე, ისეთის, როგორიც დამიხატეს. მასზე მოყოლილი ამბები ახლა ალბერტინზე ჩემს ფანტაზიორობას უწყობდა ხელს, ვითომ კარგი გოგო არ იყო, ისეთივე მრუში იყო, ისეთივე მატყუარა, როგორც ბებერი მეძავი, თვალწინ მიდგებოდა, მის გამო რამდენი ტანჯვის ატანა მომიწევდა, თუ შევიყვარებდი.

ერთხელ, როცა ზღვის სანაპიროზე წასასვლელად გრანდოტელის წინ ვიკრიბებოდით, ალბერტინზე ბევრი საწყენი, უხეში სიტყვა ვთქვი და როზამუნდმა მითხრა: «მაინც როგორ შეიცვალეთ; ადრე ყველაფერი მისთვის გინდოდათ, ყველა სურვილს უსრულებდით, ახლა კარგი აღარ არის, არა? და შეიძლება ძაღლებს მივუგდოთ შესაჭმელად?» ჩემი ცუდი

დამოკიდებულება ალბერტინის მიმართ უფრო მეტად რომ გამომეხატა, ვაპირებდი, ანდრე გამენებივრებინა საალერსო სიტყვებით, რადგან ვფიქრობდი, რომ თუ ანდრეც იმავე გარყვნილებას ეწეოდა, რასაც ალბერტინი, თავისი ავადმყოფობის გამო მაინც დიდ შემწყნარებლობას იმსახურებდა, ამ დროს სანაპიროს ქუჩის პერპენდიკულარულად, კუთხეში, სადაც ვიდექით, მარკიზა დე კამბრემერის ორცხენშებმული ეტლი გამოჩნდა. სასამართლოს თავმჯდომარე ჩვენკენ რომ მოდიოდა, ეტლის დანახვისთანავე განზე გახტა, ვინმეს რომ არ ეფიქრა, რომ ჩვენთან მეგობრობდა; მერე, მარკიზამ შეიძლება შემამჩნიოსო და თავის დაკვრით მიესალმა. მაგრამ ეტლმა სანაპიროს ქუჩით არ ჩაიარა, როგორც მოსალოდნელი იყო, არამედ სასტუმროს ეზოში შეუხვია. ათიოდე წუთის შემდეგ აქოშინებული მეეტლე ჩემთან მოიჭრა და მომახსენა: «მარკიზა დე კამბრემერი თქვენს სანახავად მობრძანდა. ჯერ თქვენს ოთახში ავედი, მერე სამკითხველო დარბაზში გეძებეთ, მაგრამ ბატონი ვერ ვიპოვე. საბედნიეროდ, პლაჟის დათვალიერება მომივიდა აზრად». დაამთავრა და დავინახე კიდეც – იგი რძლისა და ვიღაც ცერემონიულ ბატონთან ერთად ჩემკენ მოდიოდა; ეტყობა, დილის მიღებაზე ან «ფინჯან ჩაიზე» იყვნენ მიწვეულნი; მოხრილი მოდიოდა, ოღონდ არა იმდენად სიბერის გამო, არამედ ფუფუნების ურიცხვი სამკაულის გამო, რადგან მიაჩნდა, რომ მისი საზოგადოებრივი მდგომარეობა და წოდება მოითხოვდა, რაც შეიძლება მეტი სამკაული ეტარებინა, რათა ყველას ენახა, რომ «მორთულ-მოკაზმული» დადიოდა. «შეიძლება, დავრჩე? ხელს ხომ არ შეგიშლით? – მკითხა ალბერტინმა (მის თვალებში ჩემი უხეშობით გამოწვეული ცრემლები ისევ ბრწყინავდა; ისეთი სახე მივიღე, ვითომ ვერ შევამჩნიე, მაგრამ სულის სიღრმეში გამიხარდა). – რაღაც უნდა გითხრათ». მარკიზა დე კამბრემერს პარიკზე, არ ვიცი, როგორ, ფრთებით დამშვენებული შლაპა ეხურა, რომლის ზევითაც საირონის ქინძისთავი იყო აღმართული, როგორც ნიშანი

წარჩინებისა; სიცხის მიუხედავად, პატივცემულ ქალბატონს ყარყუმის მოსასხამი მოესხა,

ზემოდან კიდევ სხვა, დალმაციელ ქალს ჰგავდა, ერთი სიტყვით, ტემპერატურის შეუფერებლად, წლის ამ დროის შეუფერებლად ეცვა, მკერდზე ჯაჭვზე ჯვარივით, ბარონის ღირსების ნიშანი ეკეთა; უცნობი ბატონი ცნობილი პარიზელი ადვოკატი აღმოჩნდა, წარმოშობით აზნაური, რომელიც სამი დღით იყო ჩამოსული კამბრემერებთან სტუმრად. იგი იმ ადამიანებს ეკუთვნოდა, რომლებმაც დიდი პროფესიული გამოცდილება დაიგროვეს, თავიანთ საქმიანობას ოდნავ აგდებით უყურებენ და რომლებისგანაც შეიძლება ასეთი სიტყვებიც მოვისმინოთ: «ვიცავ, კარგად ვიცავ, ამიტომ დაცვა ჩემთვის საინტერესო აღარ არის» ან «ჩემთვის ოპერაციის კეთება საინტერესო აღარ არის; ვიცი, კარგად ვაკეთებ». ისინი ჭკვიანი ადამიანები არიან, თავისებური «არტისტები», იმასაც ხვდებიან, რომ მათ გამოცდილებას ხმაურიანი წარმატებები უმაგრებს ზურგს. ისინი მხატვრობით არიან გატაცებულნი, ოღონდ არა დიდი მხატვრებით, არამედ მაინც გამორჩეული მხატვრებით, რომელთა ტილოების შესაძენადაც თავიანთი შემოსავლის არცთუ მცირე თანხას ფლანგავენ. კამბრემერების მეგობარი, სიტყვამ მოიტანა და ძალიან სასიამოვნო კაცი, ლე სიდანერის მხატვრობით იყო გატაცებული. წიგნები უყვარდა, მაგრამ იმ მწერლებისა, ვინც ნამდვილი ოსტატი იყო, არამედ იმათი, ვისაც ხელი ჰქონდა გაჩვეული. ამ დილეტანტს ერთი უსიამოვნო ნაკლი ჰქონდა: გამუდმებით გაზვიადებულ გამოთქმებს ხმარობდა, მაგალითად, ასეთს: «დიდი უმრავლესობა», რაც მის ლაპარაკს განსაკუთრებულ მრავალ მნიშვნელობას ანიჭებდა. მარკიზა დე კამბრემერმა მითხრა, რომ სენ-ლუს აღუთქვა, ჩემს სანახავად მოვიდოდა; დღეს იმით ისარგებლა, რომ მისმა მეგობრებმა დილის მიღება მოაწყეს და პირდაპირ იქიდან შემომიარა. «იცით, რამდენიმე დღით აქაც უნდა ჩამოვიდეს. მისი ბიძა შარლიუც აქ ისვენებს, თავის ნათესავთან, ჰერცოგინია დე ლუქსემბურგელთან არის; დე სენ-ლუ დეიდას ნახავს, თავის პოლკშიც შეივლის, იქ ძველებურად ძალიან უყვართ და პატივს სცემენ. ჩვენთან ხშირად

მოდიან ოფიცრები, ყველა მას აქებს. გთხოვთ, სიამოვნება მოგვანიჭოთ და ორივე ფეტერნში გვეწვიოთ». მარკიზას ალბერტინი და მისი მეგობრები გავაცანი. მარკიზამ კი თავისი რძალი წარმოგვიდგინა. მარკიზას რძალი ფეტერნის ახლომახლო მცხოვრებ წვრილ-წვრილ მემამულეებს ძალიან ცივად ექცეოდა, ვისთანაც უნებურად უწევდა ურთიერთობა, მუდამ თავდაჭერილი იყო იმის შიშით, ღირსება არ შელახვოდა, მაგრამ ახლა მე რომ მესალმებოდა, ალერსიანად გაიღიმა, დამშვიდებული და გახარებული იყო იმით, რომ რობერ დე სენ-ლუს მეგობარს ხედავდა, სენ-ლუ კი, რომელსაც მაღალი საზოგადოების ეშმაკობები მომეტებულად ჰქონდა შეთვისებული, ვიდრე ამჟღავნებდა, მათ არწმუნებდა, თითქოს ძალიან ახლო ვიყავი გერმანეტებთან. ქალმა თავაზიანობის გამოჩენის ორი სრულიად განსხვავებული ფორმა იცოდა და ამით განსხვავდებოდა დედამთილისგან. თუ მას მისი ძმა ლეგრანდენი გამაცნობდა, მაშინ ჩემთან პირველს, აუტანელ ფორმას

გამოიყენებდა, გერმანტების მეგობრისთვის კი ღიმილი ჰქონდა შემონახული. სასტუმროში სტუმრების მისაღებად ყველაზე მოსახერხებელი ადგილი სამკითხველო დარბაზი იყო, სადაც უწინ ძალიან მეშინოდა შესვლა, ახლა კი დღეში ათჯერ შევდიოდი, სრულ ბატონ-პატრონად ვგრძნობდი თავს, იმ გიჟების მსგავსად, სახიფათონი რომ არ არიან, ისე დიდხანს იმყოფებიან სამკურნალო დაწესებულებაში, რომ დირექტორი გასაღებებს ანდობთ. მაშ ასე, მარკიზა დე კამბრემერს სამკითხველო დარბაზში შესვლა შევთავაზე. სამკითხველო დარბაზს აღარ ვუფრთხოდი, საგნები ხომ ჩვენ თვალწინ იცვლება, ისევე, როგორც ადამიანების სახეები, ამიტომ უმცირესი მღელვარების გარეშე შევთავაზე მარკიზას იქ შესვლა. მაგრამ მარკიზამ სუფთა ჰაერზე ყოფნა ირჩია და სასტუმროს ტერასაზე დავსხედით. აქ ქალბატონ დე სევინიეს წიგნი აღმოვაჩინე, რომელიც დედაჩემს ფაციფუცში დარჩენოდა, როცა ჩემი სტუმრებისგან თავის გადასარჩენად გაიქცა. ბებიაზე არანაკლებ ეშინოდა უცხო ადამიანების; ეშინოდა, რომ გარშემორტყმულ უცხოებს თავს ვერ დააღწევდა და

თავქუდმოგლეჯილი გარბოდა, მე და მამაჩემი ამის გამო გამუდმებით დავცინოდით. მარკიზა დე კამბრემერს იმ ხელზე, რომლითაც ქოლგა ეჭირა, პატარა ტომრები ჰქონდა ამოქარგული, კალათი, ბროწეულისფერთასმებიანი, ოქროთი ამოქარგული საფულე და მაქმანებშემოვლებული ცხვირსახოცი. მის ადგილზე ვიჩქარებდი და ყველა ამ საგანს სკამზე დავაწყობდი, მაგრამ მივხვდი, ამ მორთულობასთან განშორების თხოვნა უადგილო იყო და უშედეგოც. მშვიდ ზღვას გავყურებდით, რომლის თავზეც თოლიები თეთრ ყვავილებად დაფრინავდნენ. «საშუალო რეგისტრამდე» დაშვებული ხმით არისტოკრატული საუბარი გავაბით და ხელსაყრელი შთაბეჭდილებების შექმნას ვეცადეთ, ოღონდ არა ჩვენი ჭეშმარიტი ღირსებების დახმარებით, რომლებიც ჩვენთვისაც უცნობი იყო, არამედ იმ თვისებების საშუალებით, რომლებიც, როგორც ჩვენ გვგონია, იმათ უნდა შეაფასონ ჩვენში, ვინც გვესაუბრება. უნებურად ქალბატონ დე კამბრემერს, წარმოშობით ლეგრანდენს, მისი ძმის სტილით დაველაპარაკე. «მათ უძრაობაში და მეთოვლიას სითეთრეში არის რაღაც დუმფარისა», – ვთქვი თოლიებზე. ქვრივი ქალბატონი დე კამბრემერი ბალბეკიდან დანახული ზღვის საუცხოო ხედით მოხიბლული დარჩა და ჩემი შეშურდა – ლა რასპელიერიდან (სადაც ამ წელს არ ცხოვრობდა) ზღვას მხოლოდ შორიდან ხედავდა. მას ორი უცნაურობა სჭირდა, ხელოვნებით იყო აღფრთოვანებული (განსაკუთრებით მუსიკით), მეორე, მარკიზას ბევრი კბილი აკლდა. როგორც კი ესთეტიკაზე იწყებდა ლაპარკს, მაშინვე სანერწყვე ჯირკვლების ჰიპერსეკრეცია ეწყებოდა და პირის კუთხეებში, ამ მეტად საპატივსაცემო ბანოვანს, ოდნავ შესამჩნევი რამდენიმე წვეთი უჩნდებოდა, რომლის ადგილიც იქ არ იყო. ღრმა შესუნთქვით მაშინვე ყლაპავდა სულმოუთქმელად. თუ საუბარი რომელიმე საუცხოო მუსიკას ეხებოდა, იგი ხელებს მაღლა სწევდა, მოკლე ფრაზებს წარმოთქვამდა, გულმოდგინედ იღეჭდა ტუჩებს და, საჭირო შემთხვევაში ხმას ცხვირიდან უშვებდა. აქამდე არც მიფიქრია, რომ უგვანი ბალბეკური

სანაპიროდან მართლაც «ზღვის საუცხოო ხედი» იშლებოდა, მაგრამ მარკიზას მიერ ნათქვამმა ჩვეულებრივმა სიტყვებმა ამ პეიზაჟის მიმართ ჩემი დამოკიდებულება შეცვალა. სამაგიეროდ, ვუთხარი, რომ გორაკის თავზე წამოჭიმული ლა რასპელიერიდან უბადლო სურათი იშლებოდა, ხოლო დიდი სასტუმრო დარბაზის ფანჯრების ერთი მწკრივი ზღვას გაჰყურებდა ბალბეკამდე, ბაღის ბოლოს ფოთლებშორისაც ზღვა გამოკრთოდა, და რომ ამ ადგილის საქებარი სიტყვები ყოველი მხრიდან მესმოდა. «რა თავაზიანი ბრძანდებით. რა კარგად თქვით: ფოთლებშორის გამომკრთალი ზღვა. მართლაც მომაჯადოებელი ხედია... მარაოს ჰგავს». ღრმა შესუნთქვით, რომელი ნერწყვის შესაკავებლად იყო აუცილებელი, მივხვდი, რომ ქათინაური გულწრფელი იყო. მეორე მარკიზა კი, რომლის ქალიშვილობის გვარიც ლეგრანდენი იყო, ცივი, დამცინავი სახით იდგა, ოღონდ ეს დამცინავი გამომეტყველება ჩემს სიტყვებს არ გამოუწვევია, არამედ დედამთილისას, იგი აგდებულად უყურებდა ბებერი მარკიზას აზროვნების უნარს, და ამ აგდებულ დამოკიდებულებას ის ჯავრიც ერეოდა, რომ მისი დედამთილი ყველასთან თავაზიანი იყო; რძალს ეშინოდა, რომ ამ მიზეზის გამო ადამიანები კამბრემერების ოჯახზე საკმარისად მაღალი აზრისა აღარ იქნებოდნენ. «და რა ლამაზი სახელწოდება აქვს. – გავაგრძელე. – ყოველთვის მაინტერესებდა სახელთა წარმოქმნის ისტორია». «ამ სახელის წარმოშობის ისტორია კარგად ვიცი და შემიძლია აგიხსნათ, – ალერსიანად მითხრა დარბაისელმა ქალბატონმა. – ბებიაჩემ არაშპელის საგვარეულო მამულია; არაშპელები დიდგვაროვნები არა ყოფილან, მაგრამ პროვინციის კარგი და ძალიან ძველი საგვარეულო იყო». «რას ჰქვია დიდგვაროვნები არ იყვნენ? – მშრალი, უკმაყოფილო ტონით გააწყვეტინა რძალმა. – ბაიეს საკათედრო ტაძარში მათი გერბის გამოსახულებას მთელი ვიტრაჟი უკავია, საგვარეულო აკლდამა კი ავრანშის მთავარ ეკლესიაშია. თუ თქვენ ძველი სახელები ცნობისმოყვარეობას აღგიძრავთ, – გააგრძელა მან, – მაშინ ერთი წლით დაგაგვიანდათ. მიუხედავად ერთი

ეპარქიიდან მეორეში გადასვლის დიდი სიძნელეებისა, კრიკტოს მრევლში გადასვლას მაინც მივაღწიეთ, რომლის მოძღვარიც იმ მხარიდან არის, სადაც მამული მაქვს, აქედან ძალიან შორს, კომბრედან. სამწუხაროდ, ჩვენს კეთილ მოძღვარს ნევრასთენია დაემართა. ზღვის ჰაერი ასეთ ხანდაზმულ ადამიანებს არ შველის, უფრო მეტად გაურთულდა დაავადება და კომბრეში დაბრუნდა. როცა ჩვენი მეზობელი იყო, უძველეს ქარტიებს სწავლობდა და რეგიონის ადგილების სახელწოდებების შესახებ საკმაოდ საინტერესო პატარა წიგნი დაწერა. ამბობენ, ახლა კომბრესა და მის შემოგარენზე დიდ წიგნს წერსო. ფეტერნის ახლომდებარე ადგილების შესახებ დაწერილ მის წიგნს გამოგიგზავნით. ეს ნამდვილი ბენედიქტელის შრომაა. მასში ბევრ საინტერესოს იპოვით ჩვენს ბებერ ლა რასპელიერზეც, რომელსაც ჩემი დედამთილი მაინცდამაინც არ წყალობს». «ყოველ შემთხვევაში, წელს ლა რასპელიერი ჩვენი არ არის, მე არ მეკუთვნის, – უპასუხა ქვრივმა მარკიზამ. – ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ მხატვრის ბუნება გაქვთ; უნდა გეხატათ; ჩემთვის კი ძალიან სასიამოვნო იქნებოდა თქვენთვის ფეტერნი მეჩვენებინა, რომელიც ლა რასპელიერზე გაცილებით უკეთესია». მოკლედ, ლა

რასპელიერი არაიმდენად ფინანსური მოსაზრებით გააქირავა, რამდენადაც ცხენები შეეცოდა. აღტაცებული იყო, რომ ფეტერნში ზღვა მუდამ თვალწინ ჰქონდა, მანამდე კი, მრავალი წლის განმავლობაში ლა რასპელიერში მხოლოდ ორ თვეს ატარებდა და ზღვას ზევიდან დაჰყურებდა, როგორც პანორამას. «ჩემს ასაკში, მხოლოდ ახლა აღმოვაჩინე ზღვა, – თქვა მარკიზამ, – რა დიდ სიამოვნებას მანიჭებს! რა სიხარულს მგვრის! მზად ვარ, ლა რასპელიერი უფასოდ გავაქირავო, ოღონდ ამის გამო ფეტერნში უნდა მომიწიოს ცხოვრება».

«უფრო საინტერესო რამეზე ვისაუბროთ, – თქვა ლეგრანდენის დამ; ის მოხუც მარკიზას «დედას» ეძახდა, მაგრამ წლების გასვლასთან ერთად ხმა უფრო კადნიერი უხდებოდა. – წყლის

თეთრი დუმფარები ახსენეთ. ცხადია, კლოდ მონეს «დუმფარებს»[125] იცნობთ. რა გენიალურია! ეს ტილო განსაკუთრებით ახლოა ჩემთან, რადგან კომბრეს მახლობლად, როგორც უკვე გითხარით, ჩემი მამული მდებარეობს...». მაგრამ ამჯობინა, კომბრეს თემაზე ბევრი არ ელაპარაკა. «აა, ეს ალბათ პეიზაჟების იმ სერიიდან არის, რომელზეც ელსტირმა, თანამედროვე მხატვრებს შორის ყველაზე დიდმა მხატვარმა, გვიამბო», – წამოიძახა ალბერტინმა, რომელსაც აქამდე სიტყვა არ დაუძრავს. «ოო, ეტყობა, მადმუაზელს ხელოვნება უყვარს!» – წამოიძახა ქალბატონმა დე კამბრემერმა და ღრმა ჩასუნთქვით ნერწყვი გადაყლაპა. «მომიტევეთ, მაგრამ მე ლე სიდანერს ვამჯობინებ. – მცოდნე იერით, ღიმილით წარმოთქვა ადვოკატმა. და რადგან ოდესღაც ალბათ თვითონაც მოსწონდა ან გაეგო, რომ სხვებს მოსწონდათ ელსტირის «გაბედული ხერხები», დაუმატა: – ელსტირი ნიჭიერი მხატვარია, თავის დროზე ავანგარდშიც იყო, მერე, არ ვიცი, რატომ, წინსვლა შეწყვიტა და თავისი ნიჭი დაღუპა». ქალბატონ დე კამბრემერის რძალი ადვოკატის აზრს დაეთანხმა, მაგრამ სტუმარს გული ძალიან დასწყვიტა, როცა ლე სიდანერის გვერდით მონე დააყენა. კაცი ვერ იტყოდა, რომ უმცროსი მარკიზა სულელი იყო, მაგრამ მისი გონების თავისებურება, ვგრძნობდი, ჩემთვის უცხო იყო. ამასობაში მზე ჩავიდა, თოლიები ახლა ყვითლად გამოჩნდნენ, როგორც დუმფარები მონეს ამავე სერიის მეორე ნახატზე. ვუთხარი, რომ ამ სერიას ვიცნობდი (ისევ მისი ძმისთვის დამახასიათებელი მანერით გავაგრძელე ლაპარაკი, რომლის სახელის ხსენებაც ჯერ ვერ გავბედე) და სინანული გამოვთქვი, გუშინ აქ რომ არ იყვნენ, რადგან გუშინ ამ დროს იმ განათებით დატკბობას შეძლებდნენ, როგორიც პუსენის ტილოებზეა. თუ ვინმე გუდამშიერი აზნაური, რომელიც გერმანტებს არ იცნობდა, ქალბატონ ლეგრანდენ-კამბრემერს ეტყოდა, გუშინ უნდა მოსულიყავით, ეჭვი არ არის, ის შეურაცხყოფილ ამაყ სახეს მიიღებდა. მე კი შემეძლო უფრო დიდი ფამილარობის უფლება მიმეცა საკუთარი თავისთვის, ის კი მაინც ალერსიან და

სილამაზის დიდებულ განსახიერებად დარჩებოდა; ამ უღრუბლო, ცხელ საღამოს უკანდაუბრუნებლად შემეძლო იმ უშველებელი თაფლიანი ნამცხვრიდან თაფლის შეგროვება, როგორც ძალიან იშვიათად იყო ქალბატონი დე კამბრემერ-რძალი და რომელიც ამჯერად ნამცხვარმა შეცვალა, რომლის სტუმრებისთვის შეთავაზებაც

დამავიწყდა. მაგრამ პუსენის სახელის ხსენებას დიდგვაროვან ქალბატონზე დიდი გავლენა არ მოუხდენია, აი, ხელოვნების მოყვარული ადამიანის მტკიცე პროტესტი კი გამოიწვია. უკმაყოფილების გამოსახატად ენა გააწკლაპუნა და თქვა: «ღვთის გულისათვის, ისეთი მხატვრის გვერდით, როგორიც მონეა, ნამდვილი გენიოსის გვერდით, ნუ დააყენებთ ისეთ ბანალურ, უნიჭო მოხუცს, როგორიც პუსენია. რაც გნებავთ, ჩემზე ის იფიქრეთ, მაგრამ იგი მჯღაბნელია და ამას მხატვრობას ვერ ვუწოდებ. მონე, დეგა, მანე, დიახ, ისინი მხატვრები არიან. მაგრამ, აი, რა არის საყურადღებო, – გააგრძელა და მაძიებლის აღტაცებული მზერა უხილავ სივრცეს გაუშტერა, სადაც მის წინ, ძალიან შორს მისი აზრები მოჩანდა, – უწინ მანე უფრო მომწონდა, ახლაც მომწონს, ეს გასაგებიც არის, მაგრამ უპირატესობას ახლა მონეს ვანიჭებ. ოჰ, ეს მისი ტაძრები!»[126]იგი კეთილსინდისიერი, მომხიბლავი ტონით აღმიწერდა თავისი მხატვრული გემოვნების ევოლუციას. იგრძნობოდა, რომ განვითარების ეტაპებს მისთვის არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე თვით მონეს სხვადასხვა მანერებს. კამათი უყვარდა, შებრძოლება, შეიძლება ეს კომბრეული ჩვეულებაც არის; ბებიაჩემის დებს თუ გავიხსენებთ, რომლებიც ამას «სამართლიანი საქმისთვის ბრძოლას» ეძახდნენ და რამდენიმე კვირით ადრე ხვდებოდნენ, რომ ფილისტერებისგან საკუთარი ღმერთების დაცვა მოუწევდათ. ქალბატონ დე კაბრემერ-უმცროსს კი «სისხლის ადუღება» უყვარდა, ხელოვნების გულისთვის «ერთმანეთის დაჭმა», როგორც სხვები პოლიტიკის გამო ჭამენ ერთმანეთს. ისე იცავდა დებიუსს, როგორც თავის ერთ-ერთ მეგობარს დაიცავდა, რომელიც უზნეობაში დაადანაშაულეს. «ლე სიდანერს უნდა ვკითხოთ,

პუსენზე რა აზრი აქვს, – მე მომმართა ადვოკატმა. – გულჩახვეული კაცია, მაგრამ მე მაინც გამოვძალავ».

«გარდა ამისა, – გააგრძელა ქალბატონმა დე კამბრემერ-უმცროსმა, – მზის ჩასვლისა მეშინია, ეს ხომ რომანტიკაა, ოპერა. ამიტომაც მძულს ჩემი დედამთილის სახლი თავისი სამხრეთული მცენარეებით. თვითონაც ნახავთ, მონტე-კარლოს პარკს ჰგავს. თქვენი სანაპირო იმიტომ მომწონს, რომ უფრო სევდიანია, უფრო ბუნებრივი; ერთი პატარა გზაა, საიდანაც ზღვა არ ჩანს, წვიმიან დღეებში აქ მხოლოდ ტალახია და ეს მთელი სამყაროა. ვენეციას ჰგავს: დიდ არხს ვერ ვიტან და ისეთი გულისშემძვრელი არაფერი ვიცი, როგორიც მისი ქუჩაბანდებია». მივხვდი, ერთადერთი საშუალება, ქალბატონ დე კამბრემერის თვალში პუსენის რეაბილიტაცია მომეხდინა, ის იყო, მისთვის მეცნობებინა – რომ პუსენი ისევ მოდაში შემოვიდა. «დეგა ამტკიცებს, რომ, მისი აზრით, პუსენის შანტელის პერიოდის ტილოებზე მშვენიერი არაფერია». «ეს რაღაა? შანტელის პერიოდისა არაფერი ვიცი, – თქვა მან, – შემიძლია მხოლოდ ლუვრის ტილოებზე ვილაპარაკო, და ისინი საშინელებაა». «დეგა კი მათითაც აღფრთოვანებულია». «კიდევ ერთხელ უნდა ვნახო. ცოტა დამავიწყდა», – წამიერი სიჩუმის მერე ისეთი ტონით მიპასუხა, თითქოს პუსენზე დადებითი აზრი, რომლის გამოთქმა ძალაუნებურად მალე მოუწევდა, მასზე არ იყო დამოკიდებული, არამედ საბოლოოდ შემოწმებაზე, რომლის ჩატარებასაც ვარაუდობდა, რათა

გადარწმუნებულიყო. იმით კმაყოფილმა, რომ თავისი შეხედულებები და უკან დახევა დაიწყო და ეს მართლაც შეხედულებების გადახედვის დასაწყისი იყო, რადგან თუმცა პუსენის მხატვრობით ჯერჯერობით აღფრთოვანებული არ იყო, მაგრამ განაჩენის გამოტანა ხელმეორე განხილვის დრომდე გადადო, ამიტომ ეს საუბარი შევწყვიტე, რადგან მისთვის სატანჯველად იქცა და დედამთილს მივმართე, ვუთხარი, რომ

ბევრი რამ მსმენია ფეტერნის საუცხოო ყვავილებზე-მეთქი. მოკრძალებით დაიწყო თავის ბაღზე ლაპარაკი, სადაც დილაობით, საშინაო კაბით, პირდაპირ თავისი ოთახიდან გადიოდა ფარშევანგების გამოსაკვებად, ღამით დადებული კვერცხების მოსაგროვებლად, კვირისტავებისა და ვარდების დასაკრეფად, რასაც მერე სასადილო მაგიდისკენ მიმავალ გზაზე ალაგებდნენ და შემწვარისა თუ ათქვეფილი კვერცხის კერძების ირგვლივ ბორდიურებს ქმნიდნენ. «მართალია, ბევრი ვარდი გვაქვს, – დამიდასტურა მან, – ვარდნარი მეტისმეტად ახლოა სახლთან, არის დღეები, როცა ამის გამო თავი მტკივა. ლა რასპელიერის ტერასაზე ყოფნა უფრო სასიამოვნოა, ვარდების სუნი შორიდან მოაქვს ქარს, ამიტომ მისი სურნელი გამაბრუებელი არ არის». «ზუსტად ისეა, როგორც «პელეასში», – რძალს მივმართე, რადგან მოდერნიზმისადმი მისი სწრაფვა კარგად ვიცოდი, – იქაც ვარდების სუნი ტერასამდე მოდის. მისით არის გაჟღენთილი პარტიტურაც; და რადგან ყვავილებისა და თივის სუნზე მუდამ ვაცემინებ, ამიტომ ამ სცენის დაწყებიდანვე ცემინებას ვიწყებდი». «პელეასი» ნამდვილი შედევრია! – წამოიძახა ქალბატონმა დე კამბრემერმა, – ძალიან მიყვარს» და აცეკვებული ველური ქალის მოძრაობით მომიახლოვდა, თითებს ისე ატრიალებდა, თითქოს უხმოდ უკრავდა, რაღაცის ღიღინიც დაიწყო და, ეს რაღაცა, როგორც მას ეგონა, პელეასის გამოსამშვიდობებელი სცენიდან იყო; ისეთი მგზნებარე სიჯიუტით ღიღინებდა, თითქოს მისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, ჩემთვის ზუსტად ეს სცენა გაეხსენებინა, ან უფრო ზუსტად, ჩემთვის ეჩვენებინა, რომ იგი ისევ ახსოვდა. «მგონი, «პარსიფალზე» უკეთესია, – დაუმატა მან, – «პარსიფალში» ყველაზე ლამაზ ადგილებშიც კი მელოდიური ფრაზების ჰალო[127] ჩნდება, რაც მის მნიშვნელობას ამცრობს». «ვიცი, რომ მშვენიერი პიანისტი ბრძანდებით, – ახლა კამბრემერ-უფროსს მივმართე. – ძალიან მინდა, მოგისმინოთ». საუბარში მონაწილეობა რომ არ მიეღო, ლეგრანდენ-კამბრემერი ზღვას გაჰყურებდა. დარწმუნებული გახლდათ, რომ ის

მუსიკა, მის დედამთილს რომ უყვარდა, მუსიკა არ იყო; მის ბრწყინვალე ნიჭს, რომელსაც ყველა აღიარებდა, სინამდვილეში, მართლა შესანიშნავს, მხოლოდ ის ერთი უარყოფდა და დარწმუნებული იყო, რომ მისი დედამთილი მუსიკისადმი გულგრილი იყო. ისიც მართალია, რომ შოპენის ერთადერთ ცოცხლად დარჩენილ მოწაფეს ყველა საფუძველი ჰქონდა, რომ მასწავლებლის შესრულების მანერა და ის «გრძნობა», რა გრძნობითაც მაესტრო უკრავდა, მხოლოდ ქალბატონ დე კამბრემერზე გადავიდა, მაგრამ ვინმეს დაკვრის შოპენის შესრულებასთან შედარება, სულაც არ იყო ლეგრანდენის დის თვალში ქათინაური, ისე არავინ სძულდა, როგორც პოლონელი

მუსიკოსი. «ოო, მიფრინავენ!» – წამოიძახა ალბერტინმა და თოლიებზე მიუთითა, რომლებმაც უეცრად მოიშორეს თავიანთი შეუცნობელი ნიღაბი და ერთი მიზნისკენ გაფრინდნენ. «გიგანტური ფრთები მიწაზე სიარულში ხელს უშლით», – ალბატროსი თოლიაში აურია მარკიზა-უმცროსმა. «თოლიები ძალიან მიყვარს, ამსტერდამში მათი ყურებით გული ვიჯერე, – თქვა ალბერტინმა. – ზღვის სუნი ასდით. ქვაფენილებზეც კი ზღვის სუნი იგრძნობა». «ჰოლანდიაში ბრძანდებოდით? ვერმეერი გაიცანით?» – თავისი დიდებულების მწვერვალიდან ისეთი ტონით იკითხა მარკიზა-უმცროსმა, თითქოს ეკითხა: «გერმანტები გაიცანით?» საქმე ისაა, რომ სნობიზმი ობიექტს ცვლის, ინტონაციას კი არა. ალბერტინმა უპასუხა, არ გამიცნიაო. ეგონა, კითხვა ცოცხალ ადამიანს ეხებოდა, მაგრამ ამან შეუმჩნევლად ჩაიარა. «ბედნიერი ვიქნები, თუ თქვენთვის დავუკრავ, – მითხრა მარკიზა-უფროსმა. – მაგრამ, იცით, მხოლოდ ისეთ მუსიკას ვასრულებ, თქვენს თაობას რომ აღარ აინტერესებს. მე შოპენზე გავიზარდე», – ხმის დაწევით დაუმატა, რადგან რძლისა ეშინოდა; იცოდა, ლეგრანდენ-კამბრემერი შოპენის ნაწარმოებებს მუსიკად არ მიიჩნევდა, აქედან გამომდინარე, შოპენს კარგად დაუკრავდი თუ ცუდად, მისთვის უაზრობის გამოხატვა იყო. დედამთილის ოსტატობასა და ვირტუოზულობას აღიარებდა მხოლოდ. ქალბატონ დე ლეგრანდენ-კამბრემერს საკუთარი თავი

«მოწინავედ» მიაჩნდა (და მხოლოდ ხელოვნების დარგში) და «ყველაფერი მისთვის არასაკმარისად მემარცხენე იყო» (ესეც მხოლოდ ხელოვნების დარგში), როგორც თვითონ ამბობდა. მას წარმოედგინა, რომ მუსიკა არამხოლოდ წინსვლაა, არამედ წინსვლაა მხოლოდ ერთი მიმართულებით და რომ დებიური ზევაგნერია, ვაგნერი კი ოდნავ წინ წასული. ვერ ხვდებოდა, რომ დებიუსი ჯერ მთლიანად არ იყო ვაგნერის გავლენისგან თავისუფალი, რაშიც რამდენიმე წლის შემდეგ დარწმუნდება; ჩვენ ხომ იქითკენ ვისწრაფვით, რათა საბოლოოდ გავთავისუფლდეთ მათი გავლენისაგან, ვისზეც გამარჯვება ეს-ეს არის მოვიპოვეთ, დამორჩილებულის იარაღს ვიყენებთ, და მას შემდეგ, რაც პუბლიკას ყელში ამოუვიდა მეტისმეტად მრავალაზროვანი ნაწარმოებები, რომელიც ყველაფერს გამოხატავდა, დებიუსმა სხვანაირი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ცდა დაიწყო. თავისთავად ცხადია, რომ თეორიებმა ამ ახალ რეაქციას მაშინვე უპასუხეს. დაიწყეს ლაპარაკი იმაზე, რომ აჩქარებულ ეპოქას აჩქარებული ხელოვნება სჭირდება. თეორიები და სკოლები იგივე მიკრობები არიან ან სისხლის წითელი ბურთულები: ერთი მეორეს ჭამს და ამაზეა დამოკიდებული ყოფის უწყვეტობა. მაგრამ მაშინ ეს დრო ჯერ არ იყო დამდგარი.

როგორც ბირჟაზე კურსის აწევა ზოგიერთი ფასიანი ქაღალდისთვის ხელსაყრელია, ასევე ზოგიერთი ავტორისთვის, ადრე უარყოფილი რომ იყო, ახალი სიოს დაბერვა სასარგებლო გამოდგა. ზოგიერთი მართლაც არ იმსახურებდა აგდებულ დამოკიდებულებას, ზოგიერთს კი, იმის წყალობით, რომ ადრე აბუჩად იყო აგდებული, ახლა აქებდნენ, ახალი შეხედულების ადამიანად მიიჩნევდნენ. შორეულ წარსულშიც კი თვითმყოფადი ტალანტების აღმოჩენას ცდილობდნენ, რომელთა

რეპუტაციაზეც თანამედროვე მოძრაობას თითქოსდა გავლენა არ უნდა ჰქონოდა, მაგრამ, როგორც ხმები დადიოდა, თანამედროვე ოსტატები მათ ქებით

მოიხსენიებდნენ. მსგავსი გამოძახილი ხშირად იმით აიხსნება, რომ ოსტატი, როგორც არ უნდა იყოს, რა უკიდურესობამდეც უნდა მიდიოდეს მისი სკოლა, თავის განსჯებში საკუთარი აღღოთი ხელმძღვანელობს, ნებისმიერ ტალანტს ჯეროვნად მიაგებს, ტალანტს იმდენად არა, რამდენადაც შთაგონების აღტყინების ნეტარებას, რომელსაც ოდესღაც თვითონაც გაუსინჯა გემო და რომელმაც მის წარმოსახვაში ახალგაზრდობის სხვა მოგონებებთან დააკავშირა. ზოგიერთ შემთხვევაში კი, იგი იმით აიხსნება, რომ სხვა ეპოქის ზოგმა ხელოვანმა ხორცი შეასხა რაღაც სრულიად უმნიშვნელო საგანს, რომელიც იმას ჰგავს, რის გაკეთებასაც ახალი ოსტატი აპირებდა. ასეთი ოსტატი ძველ ოსტატში რაღაც წინამორბედის მსგავს ხედავს, თუმცა, როგორიც არ უნდა იყოს მათი ნაწარმოებების ფორმათა სხვაობა, მისთვის მათი შემოქმედების ნათესაობა ძვირფასი ხდება, მაგრამ ხანმოკლე. პუსენის შემოქმედებაში არის ტერნერის ფუნჯის კვალი, არის ფლობერის წინადადებები მონტესკიესთანაც. ზოგჯერ თანამედროვე ოსტატის მიერ ძველი ოსტატის უპირატესობის აღიარება სიცრუე გამოდის, რომელიც არავინ იცის, სად დაიბადა და ვინ გაავრცელა. ადამიანური აზროვნება, რომელიც, ჩვეულებრივ, თავის მიხვეულ-მოხვეულ გზას მიჰყვება, ხან ერთ მხარეს იხრება, ხანაც მეორე მხარეს, ზოგიერთი უკვე დავიწყებული ნაწარმოები კვლავ სინათლეზე გამოიტანა, სამართლიანობის აღდგენის მიზნით კვლავ ააღორძინა ძველი, დებიუსის გემოვნება, მისი ახირება, სიტყვა, რომელიც შეიძლება არც უფიქრია, რომ ეთქვა, მისი ნაწარმოებები შოპენის ნაწარმოებებთან შეაერთა. თუ დამსახურებული საყოველთაო ნდობით ვიმსჯელებთ, ქებას რომ ასხამდა შოპენს, «პელეასის» უდავო წარმატება მისთვის ხელსაყრელი იყო და მისი ვარსკვლავი კვლავ ამობრწყინდა. ისინიც კი, ვისაც ეს ნაწარმოები დიდხანს აღარ მოუსმენია, აჩქარდნენ, რათა თაყვანისმცემელთა რიგში ჩაწერილიყვნენ, თუმცა გული კი ეთანაღრებოდათ; ქალბატონი დე ლეგრანდენ-კამბრემერი წლის ნაწილს პროვინციაში ატარებდა. ავადმყოფობის გამო პარიზშიც იშვიათად ჩადიოდა. ეს

მდგომარეობა მის ლექსიკონზეც არახელსაყრელად აისახა, მოდურად მხოლოდ ის გამოთქმები მიაჩნდა, წერითი მეტყველებისთვის რომ იყო უფრო შესაფერი, მაგრამ ამ განსხვავებას ვერ ამჩნევდა, რადგან წიგნის ენა სალაპარაკო ენაზე უფრო ადვილი გასაგები იყო. სალაპარაკო ენის ცოდნა კი აუცილებელია, რათა ახალი აზრების სიოს დაქროლვა იგრძნო, ახალი გამოთქმები ისწავლო. კრიტიკას ჯერ კიდევ ქებით არ ჰქონდა მოხსენიებული ნოქტიურნები, რომ ეს ახალი ამბავი ახალგაზრდობის წყალობით გახმაურდა. ლეგრანდენ-კამბრემერამდე ამ ამბავს ჯერ არ მოეღწია. საკუთარ თავს სიამოვნებაზე უარი ვერ ვუთხარი და ეს ამბავი მისთვის რომ მეუწყებინა, დედამთილს მივმართე (ასე ბილიარდის თამაშისას ხდება, ბურთის კალათში ჩასაგდებად გვერდიდან ურტყამენ), რომ შოპენი მოდიდან არ გასულა და დებიუსის საყვარელი კომპოზიტორია-მეთქი. «როგორ? რა საინტერესოა!» – წამოიძახა ლეგრანდენ-კამბრემერმა, ეშმაკურად გაიღიმა, თითქოს «პელეასის»

ავტორზე რაღაც უცნაური ამბავი უთხრეს. სამაგიეროდ, სრულიად ნათელი გახდა, რომ ამიერიდან შოპენს პატივისცემით მოუსმენდა, სიამოვნებითაც კი. მას შემდეგ, რაც მათ ეს ამბავი გავაგებინე, ქვრივ-მარკიზას რომ ამცნობდა, მისი ზეიმის საათიც დადგა, მადლიერი და, რაც მთავარია, აღტაცებული მზერა მომაგება. თვალები ისე აუბრწყინდა, როგორც ლატიუდს პიესაში «ლატიუდი ანუ ოცდათხუთმეტი წელი ციხეში», მკერდმა კი ზღვის ჰაერი ისე ხარბად ჩაისუნთქა, რომელიც ასე ნათლად გამოხატა ბეთჰოვენმა «ფიდელიოში», იმ სცენაში, როცა პატიმრებს, ბოლოს და ბოლოს, შესაძლებლობა მიეცათ «მარგებელი ჰაერი» ესუნთქათ. ქვრივი მარკიზას ყურებისას უნებურად გავიფიქრე, რომ ახლა ჩემი ლოყები მის ულვაშიან ტუჩებს შეეხება-მეთქი. «როგორ, თქვენ შოპენი გიყვართ? მას შოპენი უყვარს, მას შოპენი უყვარს», – წამოიძახა გახარებულმა მარკიზამ, ზუსტად ასეთივე გაოცებით შეეძლო ეკითხა: «როგორ, გრაფინია დე ფრანკტოს იცნობთ?» განსხვავება კი მხოლოდ ის იყო, როგორი ურთიერთობა მქონდა გრაფინიასთან, ეს კი სრულიად არ

აინტერესებდა, იმ ფაქტმა კი, რომ შოპენის მუსიკას ვიცნობდი, რაღაც არტისტულ ექსტრაზში ჩააგდო. ნერწყვის ჰიპერსეკრეცია საკმარისი არ აღმოჩნდა. მარკიზას არც უცდია გაეგო, შოპენის აღდგენაში რა როლი ითამაშა დებიუსმა, მან მხოლოდ ის იგრძნო, რომ მე შოპენის მხარეზე ვიყავი. ამ დროს მუსიკოსის აღფრთოვანებამ შეიპყრო. «ელოდი! ელოდი! მას შოპენი უყვარს! – ხელებს იქნევდა მარკიზა და მკერდი ძალუმად უხტოდა. – მე ხომ მაშინვე ვიგრძენი, რომ მუსიკოსი ხართ, – წამოიყვირა მან, – ახლა ჩემთვის ყველაფერი გასაგებია: ისეთ ჰააა-არტისტს, როგორიც თქვენ ხართ, არ შეიძლება შოპენის მუსიკა არ უყვარდეს. იგი ისეთი მშვენიერია!» მისი ხმა ისე მტკიცედ ჟღერდა, რათა შორენისადმი თავისი აღტაცება გამოეხატა. დემოსთენეს მსგავად, პირი ზღვის სანაპიროს ქვიშით ამოივსო. მერე მოქცევა დაიწყო, რამაც ვუალი დაუსველა, რომლის აწევაც ვერ მოასწრო, მერე მარკიზამ ამოქარგული ცხვირსახოცით ულვაშები მოიწმინდა, რომელიც შოპენის ხსენებისას ნერწყვით დაესვარა.

«ო, ღმერთო დიდებულო, – მომიბრუნდა ქალბატონი დე ლეგრანდენ-კამბრემერი. – მგონი, ჩემი დედამთილი დიდხანს ზის, დაავიწყდა, რომ დღეს ჩვენთან ბიძაჩემი შ'ნუვილი ვახშმობს, კანკანსაც[128] ლოდინი არ უყვარს». ვინ იყო ეს კანკანი, ჩემთვის გაუგებარი დარჩა, ვიფიქრე, ალბათ ძაღლია-მეთქი. რაც შეეხება მის ბიძაშვილ შ'ნუვილებს, საქმე შემდეგში იყო, დროის მსვლელობასთან ერთად, ახალგაზრდა მარკიზას აღარ სიამოვნებდა, მათი გვარი ამ სახით წარმოეთქვა. კაცმა რომ თქვას, ამის გამო გადაწყვიტა ქორწინებაც. მარკიზ დე კამბრემერთან ქორწინებამ მადმუაზელ ლეგრანდენს შესაძლებლობა მისცა, პირველი წინადადება ეთქვა, მაგრამ არა მეორე, რადგან მეუღლის მშობლების ნაცნობობის წრე ისეთი არ აღმოჩნდა, როგორიც წარმოედგინა და როგორზეც ოცნებობდა. მაშ ასე, მან სენ-ლუზე დამიწყო ლაპარაკი და მისი გამოთქმები იხმარა (მე კი ლეგრანდენების გამოთქმებით ვლაპარკობდი, რობერმა

თავის დროზე რაქელისგან გადმოიღო ამ ენაზე ლაპარაკი, რაც კამბრემერ-უმცროსმა არ იცოდა), მერე დიდი თითი საჩვენებელს მიადო, ნახევრად მილულა თვალები, თითქოს რაღაც ოდნავ მოუხელთებელს მიაშტერდა, იმას, რისი გარჩევაც მხოლოდ ახლა შეძლო: «ლამაზი გონება აქვს» – ეს სიმღერა წამოიწყო და სენ-ლუს ისეთი მხურვალებით შეასხა ხოტბა, რომ შეიძლებოდა ვინმეს ეფიქრა, ხომ არ შეუყვარდაო იგი (ხმები დადიოდა, ვითომ დონსიერში რობერი მისი საყვარელი იყო), სინამდვილეში კი, უბრალოდ უნდოდა, მისთვის გადამეცა, რომ მარკიზას ახსოვდა და მასზე მელაპარაკა და კიდევ ამგვარად უნდოდა შეემსუბუქებინა სხვა თემაზე გადასვლა: «ჰერცოგინია დე გერმანტთან ახლო მეგობრობა გაკავშირებთ. მე ავად ვარ და სახლიდან თითქმის არ გამოვდივარ. ჩემთვის ცნობილია, რომ მას მეგობრების ვიწრო წრე ჰყავს, რაც ძალიან მომწონს, მაგრამ ერთმანეთს ნაკლებად ვიცნობთ, მაგრამ ვიცი, რომ არაჩვეულებრივი ქალია». ვიცოდი, რომ ქალბატონი დე კამბრემერ-უმცროსი საერთოდ არ იცნობდა ჰერცოგინიას, თანაც რომ არ ეფიქრა, რომ ჩემი უპირატესობის ხაზგასმა მინდოდა მის წინაშე, ჰერცოგინია დე გერმანტზე ლაპარაკს თავი ავარიდე და ვუთხარი, რომ მის ძმას, ბატონ ლეგრანდენს კარგად ვიცნობდი. ამ სახელის ხსენებისას ისეთი გაურკვეველი გამომეტყველება აღებეჭდა სახეზე, როგორიც მე – ჰერცოგინია დე გერმანტის სახელის ხსენებაზე, მაგრამ მის გამომეტყველებას აშკარა უკმაყოფილებაც შეერია. ალბათ იფიქრა, რომ ეს მის დასამცირებლად ვთქვი. იქნებ აწუხებდა კიდეც, მისი ქალიშვილობის გვარი ლეგრანდენი რომ იყო. ყოველ შემთხვევაში, ამაში დარწმუნებული იყვნენ მისი ქმრის დები და სხვა ნათესავი ქალები, პროვინციალი არისტოკრატები, რომლებიც არავის იცნობდნენ, არც არაფერი იცოდნენ და მარკიზა დე კამბრემერ-უმცროსის შურდათ, რომ ჭკვიანი იყო, განათლებული, მდიდარი და, ვიდრე ავად გახდებოდა, ფიზიკურადაც საამური. «ის მხოლოდ ამაზე ფიქრობს და ეს ჭკუიდან შეშლის», ამბობდნენ ეს კაპასი ქალები, როცა ქალბატონ დე კამბრემერზე ჩამოვარდებოდა

ლაპარაკი; მაგრამ ისინი თავის რძალს ცუდად იცნობდნენ. სულაც არ ანაღვლებდა, რომ ლეგრანდენების შთამომავალი იყო, უბრალოდ, ეს დაავიწყდა უკვე. ამის შეხსენება გულზე მოხვდა, გაჩუმდა, ისეთი სახე მიიღო, რომ ვერ მიმიხვდა და საჭიროდ არ მიიჩნია არათუ დაზუსტება, არამედ ჩემი სიტყვების დადასტურებაც.

«ნათესავები ჩვენი ვიზიტის ხანმოკლეობის მთავარი მიზეზი არ არის, – მითხრა ქვრივმა ქალბატონმა დე კამბრემერმა, რომელსაც ალბათ რძალზე უფრო მობეზრდა «შ'ნუვილის» ხსენება. – არამედ, აი, იმ ბატონმა, – გააგრძელა და ადვოკატი დამანახა, – ბევრი სტუმრის მოზღვავებით რომ არ გადაეღალეთ, ცოლი და ვაჟი არ მოიყვანა. ისინი ზღვის სანაპიროზე არიან და ალბათ უკვე ძალიან მობეზრდათ ჩვენი ცდა». მათი გარეგნობის აღწერა ვთხოვე და მერე მათ მოსაძებნად გავიქეცი. მრგვალსახიანი ცოლი ბაიისებრთა ოჯახის ყვავილს ჰგავდა, თვალის კუთხეში საკმაოდ დიდი ხალი ჰქონდა. ადამიანებში, ისევე როგორც მცენარეებში, დამახასიათებელი ნიშნები ჯიშიდან ჯიშში გადადის, ამიტომ შვილს თვალქვეშ, დედამისივით, ასევე ხალი ამშვენებდა, მოცემული სახესხვაობის განმასხვავებელი ნიშანი. ადვოკატი მისი ცოლ-

შვილისადმი გამოჩენილმა ჩემმა ყურადღებამ შეძრა. ჩემი ბალბეკში ცხოვრებით დაინტერესდა: «აქ ალბათ უცხოდ გრძნობთ თავს, რადგან გარს უამრავი უცხოელი გახვევიათ». მელაპარაკებოდა და დაჟინებით შემომყურებდა – უცხოელები არ უყვარდა, თუმცა მათი უმრავლესობა მისი კლიენტი იყო, ახლა უნდოდა დარწმუნებულიყო, მის ქსენოფობიას ვიზიარებდი თუ არა, სხვანაირად უკან დაიხევდა და იტყოდა: «რა თქმა უნდა, ქალბატონი X, მაგალითად, მომხიბლავი ქალია. პრინციპის საკითხია». რადგან მე უცხოელებზე არანაირი აზრი არ გამაჩნდა, არც თანხმობა გამომიხატავს, მან ფეხქვეშ ნიადაგი მყარად იგრძნო, პარიზშიც კი დამპატიჟა ლე სიდანერის ტილოების კოლექციის დასათვალიერებლად და

კამბრემერებიც უნდა მიმეყვანა, ალბათ ფიქრობდა, რომ ჩვენ ვმეგობრობდით. «ლე სიდანერთან ერთად მოგიწვევთ, – ისეთი ტონით წარმოთქვა, თითქოს დარწმუნებული იყო, რომ ამიერიდან მხოლოდ იმ დალოცვილი დღის მოსვლაზე ოცნებებით ვიცხოვრებდი. – ნახავთ, საუცხოო კაცია. მისი ტილოებით კი აღფრთოვანდებით. მართალია, ცნობილ კოლექციონერებს მეტოქეობას ვერ გავუწევ, მაგრამ ის ნახატები, რომლებიც მას ყველაზე ძალიან მოსწონს, ყველაზე მეტი მე მაქვს. ბალბეკის შემდეგ უფრო საინტერესო იქნება მათი ნახვა, რადგან ეს ზღვის ხედები, ყოველ შემთხვევაში მათი უმრავლესობა...». მისი მეუღლე და შვილი ჩვენს საუბარს შორიდან სუნთქვაშეკრული უსმენდნენ; იგრძნობოდა, რომ მათი სახლი, რაღაც ტაძარი იყო, რომელიც ლე სადანერს აღუმართეს. ასეთი ტაძრები არცთუ უსარგებლოა. როცა ღვთაებას საკუთარ თავში ეჭვი ეპარება, მაშინ ნაპრალების ამოვსება იმ ადამიანების მოსაზრებებით უფრო ადვილია, რომლებმაც მის შემოქმედებას მთელი თავისი სიცოცხლე მიუძღვნეს.

რძლის ნიშანზე მარკიზა დე კამბემერმა წამოიწია. «რადგან ფეტერნში ცხოვრებაზე უარს ამბობთ, იქნებ უახლოეს ხანში სასაუზმოდ მაინც გვეწვიოთ? მაგალითად, ხვალ. – მომმართა კეთილი განწყობით აღვსილმა და რომ დავეყოლიებინე, დაუმატა: – ისევ ნახავთ გრაფ დე კრიზენუას». თუმცა მისი უნახაობით არაფერს დავკარგავდი, იმ უბრალო მიზეზით, რომ არ ვიცნობდი. სხვა სატყუარებითაც აპირებდა ჩემს მიტყუებას, მაგრამ უცბად გონს მოვიდა. სახლში მიმავალმა სასამართლოს თავმჯდომარემ შეიტყო, რომ მარკიზა სასტუმროში იყო და ფარულად დაიწყო მისი ძებნა, ერთხანს ყარაულობდა, მერე ისეთი სახე მიიღო, ვითომ შემთხვევით გაიგო, სადაც იყო და პატივისცემის დასადასტურებლად გამოეცხადა. მივხვდი, მარკიზა სასამართლოს თავმჯდომარის საუზმეზე დაპატიჟებას არ აპირებდა. იგი მან ჩემზე ადრე გაიცნო და წლების განმავლობაში ფეტერნული დილის მიღებების ხშირი სტუმარი

ბრძანდებოდა, რომელზეც მეც ძალიან მინდოდა მოხვედრა, როცა ბალბეკში პირველად აღმოვჩნდი. მაგრამ ნაცნობობის ხანდაზმულობა მაღალი საზოგადოებისთვის მთავარი როდია. საუზმეებზე სიამოვნებით იწვევენ მათთვის საინტერესო ახალ სტუმრებს, განსაკუთრებით, თუ მათ გამოჩენას წინასწარ იტყობინება ყველაზე საუკეთესო, სასიამოვნო რეკომენდაცია, ისეთი, როგორიც სენ-

ლუმ მომცა. მარკიზა დე კამბრემერმა ივარაუდა, რომ სასამართლოს თავმჯდომარემ ვერ გაიგო ის, რაც მე მითხრა, მაგრამ სინდისი რომ დაემშვიდებინა, მასთან ხაზგასუმლი თავაზიანობით დაიწყო ლაპარაკი. მზის ბრწყინვალებაში, ოქროსფრად რომ აცისკროვნებდა შორეთს – ჩვეულებრივ, აქედან რომ არ ჩანდა, რივბელის სანაპიროდან, ჩვენამდე მოაღწია თითქმის სილაჟვარდესთან განუშორებელმა, ოდნავ გასაგონმა პატარა ზარების ხმამ, ფეტერნის ირგვლივეთს მწუხრისკენ რომ უხმობდა. «ესეც თითქოს «პელეასიდანაა», – ვუთხარი ქალბატონ დე ლეგრანდენ-კამბრემერს. – ცხადია, ხვდებით, რომელი სცენა მაქვს მხედველობაში». «როგორ ვერ ვხვდები!» – გამომეხმაურა, მაგრამ ისეთი ხმა და გამომეტყველება ჰქონდა, რომელიც ამბობდა: «ვერაფერსაც ვერ ვხვდები», მახსოვრობის რაღაც ნიშანიც არ გამკრთალა მის სიტყვებში, ხოლო მისი უსაფუძვლო ღიმილი ჰაერში დარჩა. ქვრივ მარკიზას ძალიან გაუხარდა, რომ მწუხრის ზარების რეკვის ხმა აქამდე ისმოდა, მიხვდა, რომ გვიანი იყო და ადგა. «ჩვეულებრივ, – ვთქვი მე, – ბალბეკიდან ის მხარე არ ჩანს, ცხადია, არც არაფერი ისმის. შეიძლება ამინდი შეიცვალა და ჰორიზონტი ორმაგად გაფართოვდა. შეიძლება თქვენ გამო ჩამოჰკრეს ზარებს, როგორც კი წასვლა დააპირეთ. იგი შეგიცვლით ვახშმობის მაუწყებელი ზარის რეკვას». სასამართლოს თავმჯდომარეს ზარების რეკვისთვის ყურადღება არ მიუქცევია, მალულად გადახედავდა ხოლმე ზღვის სანაპიროს, სადაც დღეს, მისდა სამწუხაროდ, სრული სიცარიელეს სუფევდა. «ნამდვილი პოეტი ბრძანდებით, – მითხრა ქალბატონა დე კამბრემერმა. – ისეთი არტისტული ალღო გაქვთ, ჩამოდით და შოპენს

დაგიკრავთ», – ისეთი ჩახლეჩილი ხმით დაუმატა, თითქოს პირში კენჭი გადასცდა და ექსტაზში შესულმა, ხელები აღაპყრო. მერე ნერწყვმა დაიწყო დენა და დარბაისელმა ბანოვანმა ცხვირსახოცით ულვაშის (ამერიკულს რომ უწოდებენ) კუთხეები ინსტინქტურად მოიწმინდა. სასამართლოს თავმჯდომარემ უნებურად დიდი სამსახური გამიწია, მარკიზას ხელი გაუწოდა, რათა ეკიპაჟამდე მიეყვანა. მას, ჩემგან განსხვავებით, მრავალწლიანი გამოცდილება ჰქონდა. თუმცა მისი უსაზღვროდ მადლიერი ვიყავი, მაინც ვერ გავბედე მისთვის მიმებაძა და ლეგრანდენ-კამბრემერის გვერდით ხელებჩამოყრილი მივდიოდი. ის დაინტერესდა, ხელში რომელი წიგნი მეჭირა და მთხოვა მეჩვენებინა. ქალბატონ დე სევინიეს სახელის გაგონებისთანავე უკმაყოფილო სახე მიიღო და მკითხა: «თქვენ რა, მართლა ნიჭიერი გგონიათ?» მარკიზამ ლაქიას საკონდიტროს მისამართი მისცა, სახლში მიმავალს გზად რომ უნდა შეევლო, თავის მოხუც მეეტლეს კი ჰკითხა, ცხენებს ხომ არ შესცივდათ ან ჩლიქი ხომ არ აწუხებთო. «ჩვენი მოლაპარაკების თაობაზე მოგწერთ, – მითხრა ხმადაწევით. – გავიგე, ჩემს რძალს ლიტერატურაზე როგორ ელაპარაკებოდით; ჩემი რძალი საუცხოო ქალია», – თქვა მან: თუმცა ამას სულაც არ ფიქრობდა, მხოლოდ იმიტომ თქვა, რომ ჩვეულებად ჰქონდა ასე ლაპარაკი და რადგან შინაგანად კეთილიც იყო, ეს ჩვეულება არ შეუცვლია; ასე იმიტომ ლაპარაკობდა რძალზე, რომ არავის ეფიქრა, თითქოს მისი შვილი მასზე ფულის გამო დაქორწინდა. «თანაც, – დაუმატა და ბოლოჯერ აღტაცებით გააწკლაპუნა ტუჩები, – ისეთი ჰაა-არტისტულია!» მერე ქოლგა გაშალა, თავის კანკალით ეტლში ჩაჯდა და

ბალბეკის ქუჩებს ისე გაუყვა, როგორც სამღვდელმთავრო ნიშნებით დამძიმებული ბებერი ეპისკოპოსი, თავისი ეპარქიის შემოვლისას.

«საუზმეზე მიგიწვიათ, – მკაცრად მითხრა სასამართლოს თავმჯდომარემ, შეიცადა, ვიდრე ეკიპაჟი ოდნავ დაგვშორდებოდა და მეც ის-ის იყო, ჩემი მეგობარი ქალებისკენ ნაბიჯი გადავდი.

– ჩვენს ურთიერთობაში რაღაც სიცივე შეიპარა. ჰგონია, რომ უყურადღებოდ ვექცევი. ღვთისმშობელო, მე ხომ დამჯერი ადამიანი ვარ. მუდამ მზად ვარ, თუ ვინმეს რამე დასჭირდება, ვუპასუხო – აქ ვარ. მაგრამ მათ ჩემი დაბმა უნდათ. უკაცრავად, ბატონო, – წამოიძახა ეშმაკრი იერით, თან თითი ასწია, თითქოს რაღაცას ხვდებოდა და რაღაცას ამტკიცებდა. – ამის უფლება არ მივეცი. ეს ნიშნავდა შვებულების დროს ჩემი თავისუფლების შეზღუდვას. იძულებული გავხდი, მეთქვა: «შეჩერდი!» თქვენ, როგორც ეტყობა, მასთან კარგი ურთიერთობა გაქვთ. როცა იმდენი წლის გახდებით, რამდენისაც მე ვარ, დარწმუნდებით, რა არარაობას წარმოადგენს საზოგადოება, ინანებთ, რომ ყოველგვარ უმნიშვნელო წვრილმანს ასეთი მნიშვნელობა მიანიჭეთ. აბა, წავედი, ვახშმის წინ გავისეირნებ. ნახვამდის, ბავშვებო», – ისე დაიყვირა, თითქოს უკვე ორმოცდაათი ნაბიჯი გვაშორებდა ერთმანეთს.

როცა როზამუნდსა და ჟიზელს დავემშვიდობე, ისინი გაოცებულნი დარჩნენ, ალბერტინი რომ გაჩერდა და მათ არ გაჰყვა. «რას შვრები, ალბერტინ, რას დგახარ, ხომ იცი, რომელი საათია?». «წადით სახლში, – ავტორიტეტულად გამოეხმარუა მათ ალბერტინი: – სალაპარაკო მაქვს», – დაუმატა და მორჩილი გამომეტყველებით ჩემზე მოანიშნა. როზამუნდმა და ჟიზელმა ჩემთვის უჩვეულო პატივისცემით შემომხედეს. იმ შეგნებით ვტკბებოდი, რომ თუნდაც ერთი წამით, როზამუნდისა და ჟიზელის თვალში, ალბერტინისთვის რაღაცით საჭირო და აუცილებელი გავხდი, ვიდრე სახლში დაბრუნება იყო, ვიდრე მისი მეგობრები იყვნენ და რომ ერთმანეთთან მნიშვნელოვანი საიდუმლოებებით ვიყავით დაკავშირებულნი, რომელთა განდობაც მათთვის არ შეიძლებოდა. «ნუთუ ამ საღამოს ვერ გნახავთ?». «არ ვიცი, ეს ამაზე იქნება დამოკდებული. ყოველ შემთხვევაში, ხვალამდე». «ჩემს ოთახში ავიდეთ», – ვუთხარი, როცა ალბერტინს მეგობრები წავიდნენ. ლიფტში შევედით; მელიფტის დასწრებით ალბერტინს ხმა არ ამოუღია.

თვალთვალისა და დედუქციისკენ მიდრეკილება, როგორც ბატონების, ამ უცნაური ადამიანების, გამუდმებით ერთმანეთთან რომ ჩურჩულ-კურკურებენ, საქმიანობის გაგების საშუალება, მოსამსახურე პერსონალში მიხვედრის უნარს უფრო მეტად ავითარებს, ვიდრე მათ პატრონებს აქვთ. ადამიანის ორგანოები ან ატროფირდება, ან, პირიქით, უფრო ძლიერი ხდება, იმისდა მიხედვით იზრდება ან კლებულობს, როგორი მოთხოვნილებაა მათზე. მას შემდეგ, რაც რკინიგზა შემოვიდა ჩვენს ცხოვრებაში, არდაგვიანების აუცილებლობამ წუთების სიზუსტით გათვლა გვასწავლა, მაშინ, როცა ძველი რომაელების ასტრონომიაზე განზოგადოებულ ცოდნას ფლობდნენ, ცხოვრების რიტმი ასე აჩქარებული არ იყო და საათზეც

ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ, უკვე არაფერს ვამბობ წუთებზე. მელიფტე სწორად მიხვდა და თავის ამხანაგებთან აპირებდა კიდეც ამის მოყოლას, რომ მე და ალბერტინი რაღაცაზე ვიყავით შეფიქრიანებული. მაგრამ უტაქტობა სჯაბნიდა და შეუსვენებლად გველაპარაკებოდა. ოღონდ მის სახეზე, ჩვეული კეთილგანწყობისა და სიხარულის მაგივრად, რაღაც უჩვეულო უგუნებობა და მოუსვენრობა იკითხებოდა. არ ვიცი, მიზეზი რა იყო, მაგრამ მისი ყურადღება სხვა რამეზე რომ გადამეტანა, თუმცა მთელი ჩემი გონება და აზრები ალბერტინით იყო დაკავებული, ავუხსენი, რომ ქალბატონი, რომელიც სულ ახლახან გაემგზავრა, მარკიზა დე კამბრემერი იყო და არა კამამბერი. სართულზე, რომელიც ავიარეთ, ერთი საძაგელი გოგო შევამჩნიე, რომელსაც ბალიში ეჭირა ხელში, იმ იმედით, რომ წასვლისას ფეხის ქირას დავუტოვებდი, თავის დაკვრით და დიდი პატივისცემით მომესალმა. ცნობისმოყვარეობა მომეძალა და გავიფიქრე, ნეტავ, ეს გოგო ის ხომ არ იყო, ბალბეკში პირველი ჩამოსვლისას პირველსავე საღამოს ასე რომ მსურდა-მეთქი, მაგრამ, ცხადია, ვერაფერს მივხვდი. მელიფტემ დაიფიცა უმრავლესი ცრუპენტელისთვის დამახასიათებელი გულწრფელობით, სახე კი ისევ ძველებურად გატანჯული ჰქონდა, რომ თქვენთვის რომ მომეხსენებინა, ასე უწოდა საკუთარ თავსო. შეიძლება მართლაც ეს ბუნებრივი

იყოს, რომ ასე შემოესმა. არისტოკრატიაზე და ტიტულოვანი გვარების წარმომავლობაზე მას ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა და გასაოცარი არაფერია, თუ გვარი კამამბერი სრულიად შესაძლებლად მიიჩნია, რადგან ეს გვარი ყველასთვის ცნობილი იყო. ხედავდა, რომ ვერ დამარწმუნებდა, იცოდა, ბატონებს უყვარდათ, მათი უმცირესი ახირების ნამდვილ სიმართლედ აღიარება, მან, როგორც დამჯერე მსახურმა, აღმითქვა, რომ ამიერიდან კამბრემერს იტყოდა. ქალაქის არც ერთი მედუქნე, ამ არემარის არც ერთი გლეხი, სადაც ამ გვარსა და თვით მათ კარგად იცნობდნენ, ასეთ შეცდომას არ დაუშვებდა, როგორიც მელიფტემ დაუშვა. მაგრამ ბალბეკის გრანდოტელის მომსახურე პერსონალი ადგილობრივი მცხოვრებლები არ იყვნენ; ინვენტართან ერთად ისინი ბიარიციდან, ნიცადან და მონტე-კარლოდან ჩამოიყვანეს, ზოგი დოვილიდან, ზოგიც – დინარიდან.

მაგრამ გულის გამაწვრილებელი მოუსვენრობა მელიფტეს უფრო და უფრო ემატებოდა. რადგან მან თავისი ერთგულება ჩვეული ღიმილით ვერ გამომიხატა, მაშასადამე, უბედურება დაატყდა თავს. შეიძლება «სამსახურიდან გადააყენონ» კიდეც. სიტყვა მივეცი, თუ ასე მოხდებოდა, მის სამსახურში აღდგენას მოვახერხებდი, რადგან დირექტორმა პირობა მომცა, ეს პერსონალს ეხებოდა: «შეგიძლიათ, რასაც მოისურვებთ, ის მთხოვოთ, წინასწარ რატიფიკაციას გპირდებით». მაგრამ ლიფტიდან გამოვედი თუ არა, მაშინვე მივხვდი, რატომაც იყო მელიფტე ასე აღელვებული და ასე დაბნეული. ალბერტინის დასწრებით ასი სუ არ მიმიცია, როგორც, ჩვეულებრივ, ვაძლევდი ხოლმე. ეს ჩერჩეტი ვერ მიხვდა, რომ ხელგაშლილობის საქვეყნოდ გამოფენა არ მინდოდა და ნაღველს მისცა თავი; წარმოიდგინა, რომ ყველაფერი დამთავრდა და აღარასოდეს არაფერს მივცემდი.

წარმოიდგინა, რომ «გავღატაკდი» (როგორც ჰერცოგი დე გერმანტი იტყოდა), მაგრამ ამ ვარაუდმა მასში უმცირესი სიბრალულიც კი არ გამოწვია; მისი ეს

იმედგაცრუება სუფთა ეგოისტური ხასიათისა იყო. გავიფიქრე, არც ისე უგუნური ვყოფილვარ, როგორც დედაჩემს ჰგონია, როცა საკუთარი თავი ვერ ვაიძულე, რათა იგივე დიდი თანხა მიმეცა, რომელსაც მოუთმენლად ელოდა, რაც წინა დღეს მივეცი ფეხისქირად-მეთქი. მეორე მხრივ კი, მნიშვნელობამ, რომელსაც აქამდე მელიფტეს გახარებულ სახეს ყოველგვარი ეჭვის გარეშე ვაძლევდი, რადგან უყოყმანოდ სიყვარულის გამოხატულებად ვღებულობდი, ყოველგვარი აზრი დაკარგა. ვუყურებდი მელიფტეს, რომელიც სასოწარკვეთისგან მზად იყო მეხუთე სართულიდან გადმოსახტომად და საკუთარ თავს ვკითხე: თუ ჩვენს სოციალურ პირობებში სრული გადატრიალება მოხდა, მაგალითად, რევოლუცია, მაშინ ეს მელიფტე, ახლა რომ ჩემთვის ირჯება, ბურჟუად იქცევა და ხომ არ გამომაგდებს ლიფტიდან? უბრალო ხალხის ზოგიერთი ფენა ორპირობით ხომ არ გამოირჩევა? ვიდრე მაღალი საზოგადოება, სადაც, ცხადია, ჩვენ ზურგსუკან, უფალმა უწყის, რას აღარ ამბობენ, მაგრამ შეურაცხყოფას არავინ მოგაყენებთ, თუ ერთ მშვენიერ დღეს უბედურება გვეწვევა.

და მაინც, არ შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე ხარბი ადამიანი ბალბეკის მელიფტე იყო. ფულის სიხარბის თვალსაზრისით, პერსონალი ორ კატეგორიად იყოფოდა: ისინი, ვინც კლიენტებს შორის განსხვავებას ხვდება და კეთილგონივრულ გასამრჯელოს მოხუცი მემამულისგან ამჯობინებს, ვიდრე ვინმე წინდაუხედავი ბედოვლათისგან, რომელსაც ეტყობა, რომ ცხოვრებისა არაფერი გაეგება. და ისეთებად, ვისთვისაც გვარიშვილობა, ჭკუა, სახელი, მდგომარეობა, მანერები არაფერს ნიშნავს, ყველაფერ ამას, მათ თვალში ესა თუ ის ციფრი გადაწონის. მათთვის მხოლოდ იერარქიის ერთი სახეობა არსებობს – ფული, რომელიც ადამიანს აქვს, უფრო ზუსტად, რომლის გაცემაც შეუძლია. შეიძლება ემეც კი, რომელიც მიიჩნევს, რომ დიდი ცხოვრებისეული გამოცდიდება აქვს, რასაც სასტუმროებში მუშაობას

უნდა უმადლოდეს, ამ კატეგორიას მიეკუთვნებოდა. და მაინც ფულის სიხარბისგან გაუთავისუფლებელი ადამიანი ასეთ სულელურ სასოწარკვეთას არ გამოიჩენდა; მოკლედ, მოცემულ შემთხვევაში, მელიფტეს გულუბრყვილობის გამო ყველაფერი ნათელი იყო.

*** * ***

როგორც კი მე და ალბერტინი მარტონი დავრჩით და დერეფანს გავუყევით, მან კითხვით მომმართა: «რატომ მიბრაზდებით?» – იყო თუ არა ჩემი სასტიკი

დამოკიდებულება მისდამი ჩემთვისვე მტანჯველი? ხომ არ იყო ეს მხოლოდ და მხოლოდ გაუცნობიერებელი ფანდი, მინდოდა თუ არა, რომ მას პასუხის გამოთხოვა დაეწყო, რაც მისი აზრის გაგების საშუალებას მომცემდა, გამერკვია, მის მიმართ დიდი ხნის წინათ ჩამოყალიბებული ორი მოსაზრებიდან რომელს ჰქონდა საფუძველი? ასე იყო თუ ისე, მისი კითხვის გაგონებისას უეცრად ვიგრძენი, რომ ბედნიერი ვიყავი – სანუკვარ მიზანთან მიახლოებული ადამიანივით ბედნიერი. ჩემი ნომრის კარებამდე პასუხის გაუცემლად მივიყვანე. შეღებული კარიდან ვარდისფერი სინათლე გადმოიღვარა, რომლითაც სავსე იყო ოთახი და რომელიც საღამოსთვის ჩამოფარებული თეთრი ფარდების მარმაშს – განთიადის ფერის აბრეშუმად აქცევდა. მე ფანჯარას მივუახლოვდი: თოლიები კვლავ ტალღებზე ლივლივებდნენ, ოღონდ, ამჯერად ისინი ვარდისფერები იყვნენ. ალბერტინის ყურადღება მათზე გადავიტანე. «ნუ არიდებთ პასუხს თავს, – თქვა მან. – იყავით ისეთივე გულწრფელი, როგორიც მე». მისი მოტყუება დავიწყე, გამოვუცხადე, რომ ჯერ ჩემი აღიარების მოსმენა მოუწევდა, – იმ აღიარებისა, რომ მე უკვე რამდენიმე ხანია, ძლიერ გრძნობას განვიცდიდი ანდრესადმი და ამაში ისე უბრალოდ და გულწრფელად გამოვტყდი, როგორც ამას აკეთებენ სცენაზე, ცხოვრებაში კი, თუ ვინმე იქცევა ასე, მხოლოდ მოჩვენებით სიყვარულში გამოტეხვისას. ისეთივე სიცრუის დახმარებით, როგორითაც უკვე ვისარგებლე ჟილბეტრის გამო, ჯერ კიდევ ბალბეკში პირველად ჩამოსვლამდე, ვცდილობდი, მეტი დამაჯერებლობა მიმენიჭებინა იმისთვის, რომ არ მიყვარდა ალბერტინი, რომ შემთხვევით წამომცდა, რომ კინაღამ შემიყვარდა იგი, და რომ მას მერე ბევრმა წყალმა ჩაიარა, ახლა იგი ჩემი ახლო

მეგობარია და რომც მომენდომებინა, მაინც ვეღარ ვაიძულებდი თავს, უფრო მძაფრად შემეყვარებინა. მაგრამ ასეთი მკვეთრად ხაზგასმული გულგრილობით ალბერტინისადმი, განსაკუთრებული გარემოებებისა და განსაზღვრული მიზნის გამო, რომელიც განსაკუთრებული გარემოებებით და განსაზღვრული მიზეზებით იყო გამოწვეული, მხოლოდ იმას ვაღწევდი, რომ უფრო გასაგონი და მკვეთრად გამოხატული ხდებოდა ის ორმაგი რითმი, რომელიც ყველა, საკუთარ თავში დაურწმუნებელი ადამიანის სიყვარულში იგრძნობა, რომლებსაც არ შეუძლიათ ქალის ჭეშმარიტი სიყვარული და ვერ უშვებენ, რომ ქალს მათი შეყვარება შეუძლია. ასეთი ადამიანები საკმაოდ კარგად იცნობენ საკუთარ თავს და ახსოვთ, რომ სხვადასხვა ქალბატონებთან შეხვედრებისას იგივე იმედები ჰქონდათ, იმავე მღელვარებას განიცდიდნენ, იმავე რომანებს იგონებდნენ, იმავე სიტყვებს წარმოთქვამდნენ, ამ ყველაფრის გამო, აგრეთვე ფიქრობენ, რომ მათი გრძნობები და ნაბიჯები მჭიდრო და გარდაუვალ დამოკიდებულებაში არ არის საყვარელ ქალთან, რომ ეს გრძნობები გვერდს უვლიან, ვერ უახლოვდებიან მას ისევე, როგორც კლდეს – გვერდით ჩავლილი ტალღები, და ეს საკუთარი არამდგრადობის განცდა კიდევ უფრო აძლიერებს უნდობლობას ქალებისადმი, ვის მიმართაც განიცდიან გაშმაგებულ ლტოლვას, მაგრამ ფიქრობენ, რომ მათ არ უყვართ ისინი. ფიქრობენ, რომ ისინი მხოლოდ შემთხვევითობაა – აღმოცენებული იქ, სადაც გადმოსჩქეფს ჩვენი სურვილები და რატომ უნდა მოაწყოს განგებამ ისე, რომ მაინცდამაინც ჩვენ

უნდა აღმოვჩნდეთ მათი ოცნების ზღვარი? აი, რატომ, მიუხედავად იმისა, რომ განვიცდით მისთვის ამ გრძნობების გადმოღვრის ძლიერ მოთხოვნილებას, რომლებიც ასე არ ჰგავს ახლობლების მიერ შთაგონებილ ჩვეულებრივ ადამიანურ გრძნობებს, იმ სრულიად განსაკუთრებული გრძნობების გადმოღვრა – რასაც სასიყვარულო გრძნობები ჰქვია. მაგრამ პირველივე წინგადადგმული ნაბიჯის შემდეგ, მას შემდეგ, რაც გამოვუტყდით ქალს ჩვენს გულითად მისწრაფებებში, გავანდეთ მას ჩვენი

იმედები, სასწრაფოდ გვეუფლება შიში და უხერხულობა იმისთვის, რომ ჩვენ მისთვის უსიამოვნონი ვართ, ვერ ვპოულობთ სიტყვებს, რომლებსაც მხოლოდ მას ვეტყოდით, რომ ეს სიტყვები უკვე გვითქვამს და მომავალშიც ვეტყვით სხვა ქალებს იმისათვის, რომ თუ არ ვუყვარვართ, ესე იგი ვერც გაგვიგებს, რომ მასთან ჩვენ ვერ გამოვიჩინეთ პედანტისთვის დამახასიათებელი გემოვნება და უბიწოება, რასაც ისინი უკმეხ ხალხთან ურთიერთობაში იჩენენ აღმატებული სიტყვების შერჩევით, რასაც ეს უკანასკნელნი მაინც ვერ შეაფასებენ. და აი, ეს შიში და სირცხვილის განცდა ბადებს კონტრრითმს, – უკუდინებას და აჩენს მოთხოვნილებას, ამ მცირედი უკანდახევის შემდეგ სასწრაფოდ უარვყოთ – გამჟღავნებული ნაზი მიდრეკილებები და ისევ გადავიდეთ შეტევაზე, რათა ისევ დავიმსახუროთ პატივისცემა და ისევ დავიმორჩილოთ იგი; ეს ორმაგი რითმი იკითხება ერთი და იმავე რომანის სხვადასხვა პერიოდში და ყველა ამგვარი რომანის შესაბამის პერიოდებში, ის ახასიათებს ყველა, უფრო დაბალ, ვიდრე გადაჭარბებული თვითშეფასებისკენ მიდრეკილი მამაკაცს. თუკი ალბერტინისადმი გამოთქმულ სიტყვებში ეს რითმი ცოტა უფრო ძლიერად იგრძნობოდა, მხოლოდ იმიტომ, რომ მინდოდა, რაც შეიძლება მალე და განსაკუთრებული სიძლიერით ავლაპარაკებულიყავი შეყვარებული ადამიანის საწინააღმდეგო რითმში.

იმით შეშინებულმა, რომ ალბერტინს ეჭვი არ შეეტანა ასეთი ხანგრძლივი შესვენების შემდეგ ხელახლა მისი შეყვარების შეუძლებლობაში, და ამის უფრო მეტად განსამტკიცებლად, ჩემს შეხვედრებზე ვუამბე სხვა ქალბატონებთან, რომლებთანაც ჩემი ან მათი მიზეზით გაწყვეტილი ურთიერთობა, შემდგომში, მიუხედავად დიდი სურვილისა, ვეღარ აღვადგინე. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ერთგვარად ვებოდიშებოდი ალბერტინს იმის გამო, რომ ვეღარ შევძლებდი მის შეყვარებას, რომ ეს იქნებოდა მისი უპატივცემულობა ჩემი მხრიდან და, ამავდროულად,

ვცდილობდი, მიმექცია მისი ყურადღება, თითქოს ეს ჩემი ფსიქოლოგიური თავისებურება იყო. სინამდვილეში, ჟილბერტზე დეტალურად საუბრით, რომელთანაც ყველაფერი ზუსტად ასე ხდებოდა, მაგრამ მაინც არაფრით მოგვაგონებდა ალბერტინთან ურთიერთობას, ვცდილობდი, მეტი დამაჯერებლობა მიმეცა ჩემი აღიარებისთვის, რომელიც, ჩემი წარმოდგენით, აკლდა მას. ვგრძნობდი, როგორ აღიქვამდა ალბერტინი ჩემს სწრაფვას, მელაპარაკა პირდაპირ, ვგრძნობდი, რომ ჩემი დასკვნები მისთვის ნათელი იყო, მოვუბოდიშე ამ პირდაპირობისთვის და აღვნიშნე, რომ: რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, სიმართლე არავის არ უყვარს და ეს

სიმართლე მას, უბრალოდ, დაუჯერებლად უნდა მოსჩვენებოდა. ალბერტინმა მადლობა გადამიხადა გულწრფელობისთვის და დაამატა, რომ ყველაფერთან ერთად, მას კარგად ესმის ამგვარი – ეგზომ ხშირად გამოვლენილი და აბსოლუტურად ბუნებრივი – სულიერი მდგომარეობა.

ანდრესადმი გამოგონილი გრძნობების და ალბერტინისადმი გულგრილობის აღიარებით, ჩემი გულწრფელობის და სიტყვების გაუზვიადებლობის დასადასტურებლად, სხვათა შორის, ვითომდა ზრდილობისთვის შევაპარე, რომ არ იყო საჭირო ჩემი ყველა სიტყვის სწორხაზოვნად გაგება. ამის მერე, ყოველგვარი შიშის გარეშე, რომ შეყვარებული არ ვგონებოდი, შემეძლო მესაუბრა ალბერტინთან ისეთი ნაზი ხმით, როგორითაც დიდი ხანია არ მისაუბრია, ხმით – რომელიც თავად მომაჯადოებლად მეჩვენებოდა. მე თითქოსდა ვეალერსებოდი, და როცა ვუამბობდი მის მეგობარზე – რომელიც მიყვარდა, თვალზე ცრემლი მადგებოდა. საქმის ძირითად არსზე გადასულმა ალბერტინს ვუთხარი, რომ მან, რა თქმა უნდა, იცის, რა არის სიყვარული და მასთან დაკავშირებული – ადვილად ტრავმირებადი სულიერი მდგომარეობა და, როგორც ჩემი ძველი მეგობარი, იგი დარწმუნდება ჩემი ასეთი მძიმე განცდებისგან გათავისუფლების აუცილებლობაში, რა განცდებსაც იგი მაყენებდა არაპირდაპირ, რადგან მე ის

არ მიყვარდა – ამას, რა თქმა უნდა, მისი თავმოყვარეობის შესალახად არ დავუბრუნდი, არამედ ირიბად – ანდრესადმი ჩემს გრძნობებზე ტკივილის მიყენებით. აქ შევწყვიტე საუბარი, რათა დამენახვებინა ალბერტინისთვის, უზარმაზარი მსუბუქფრთიანი მარტოხელა ფრინველი, რომელიც ფრთების თანაბარი მოძრაობით აპობდა ჰაერს და საგანგებო ამბით შორს გაგზავნილი შიკრიკივით, დაუღალავად მიფრინავდა შორს ჩვენგან – ჩამავალი მზის ანარეკლით აჭრელებულ, თითქოს წითელი ქაღალდის ნაგლეჯებით მოფენილი ნაპირის თავზე და რაც უნდა შორი ყოფილიყო მისი გზა, არ უხვევდა მას. «აი, ის კი პირდაპირ მიზნისკენ მიფრინავს, – საყვედურიანი ხმით წარმოთქვა ალბეტრინმა. – ასე იმიტომ იძახით, რომ არ იცით, რისი თქმა მინდა თქვენთვის, მაგრამ ეს ისე მიმძიმს, რომ სჯობს, არაფერი ვთქვა: დარწმუნებული ვარ, გაგაბრაზებთ ამით და მხოლოდ იმას მივაღწევ, რომ საყვარელ გოგონასთან ბედნიერი ვეღარ ვიქნები და თქვენი სახით კი, ერთგულ მეგობარს დავკარგავ». «გეფიცებით, რომ არ გაგიბრაზდებით». ალბერტინს ისეთი სათნო, ისეთი მოწყენილი და თვინიერი შესახედაობა ჰქონდა, თავი ძლივს შევიკავე, რომ არ მეკოცნა ისეთი ნეტარებით, როგორითაც ვაკოცებდი საკუთარ დედას. ეს ახალი სახე იყო ჩემთვის, ეს იყო არა ძველებურად ყოჩაღი, ვარდისფერლოყება პირისახე – გათამამებული, მოუსვენარი, ვარდისფერცხვირაპრეხილ კაცს რომ ჰგავდა, არამედ გოგონასი, რომლის ნაკვთებსაც დარდი და მწუხარება დროთა განმავლობაში ერთმანეთს შერწყმოდა და უსაზღვრო სიკეთის გამომეტყველებად გადაჰქცეოდა. საკუთარი სიყვარულის შეხედვით, როგორც ქრონიკულ სულიერ დაავადებაზე, რომელიც ალბერტინთან არ იყო დაკავშირებული და მის ადგილას საკუთარი თავის დაყენებით, მე უნებურად მოვლბი: ეს საყვარელი გოგონა მიჩვეული

იყო მოფერებას და სამართლიან დამოკიდებულებას ყველას მხრიდან, ახლო მეგობარი კი, როგორადაც საფუძველი ჰქონდა, მივეჩნიე, აწვალებდა მას და ახლა ამ ტანჯვამ თავის ზღვარს მიაღწია. ზუსტად იმიტომ, რომ ამ

ყველაფერს გვერდიდან ვუცქერდი და ზოგადსაკაცობრიო შეხედულებებზე ვიდექი, რომელიც ჩემს მძაფრ სიყვარულს აჩლუნგებდა, მე ძლიერ მებრალებოდა იგი, თუმცა, რომ არ მყვარებოდა, არც ასეთი ღრმა სიბრალულის განცდა მექნებოდა. მაგრამ რა საჭიროა რითმის ცვალებადობაში – გამოტყდომიდან განშორებამდე (ყველაზე უტყუარი და ძლიერმოქმედი საშუალება, რომელიც მონაცვლეობითი ურთიერთსაწინააღმდეგო სულიერი განცდებით აბამს სასიყვარული ძაფებს, რომლებიც სულ უფრო ძლიერად გვკრავს და გვაახლოვებს ქალთან) – კიდევ განვასხვავოთ სიბრალულის შესუსტება, თუკი სიბრალულს, მიუხედავად სიყვარულთან დაპირისპირებისა, იმავე შედეგებამდე მივყავართ? ქალებთან ჩვენი ურთიერთობის შეჯამებისას, ხშირად მივდივართ დასკვნამდე, რომ ნაბიჯებს, რომლებიც შთაგონებული გვაქვს ქალისთვის სიყვარულის დამტკიცების, მისთვის თავის შეყვარებისა და მისგან მოალერსების სურვილით, თითქმის იგივე მნიშვნელობა აქვთ, როგორც ნაბიჯებს, რომელსაც სუფთა კაცთმოყვარეობიდან და ზნეობრივი ვალიდან გამომდინარე – დანაშაულის გამოსყიდვის მიზნით, ყველა საყვარელი არსების მიმართ ვდგამთ. დანაშაულისა – რომელსაც ჩავიდენდით არაშეყვარებულის მიმართაც. «ასეთი რა ჩავიდინე?» – იკითხა ალბერტინმა. გაისმა კარზე კაკუნი, ეს მელიფტე იყო – ალბერტინის დეიდა ოტელთან გავლისას ყოველი შემთხვევისთვის შეჩერებულიყო, რათა გაეგო, აქ ხომ არ იყო იგი და თუ იქნებოდა, ბარემ სახლში გაეყოლიებინა. ალბერტინმა დამავალა გადამეცა, რომ იგი არ წამოვა, რომ მის გარეშე ივახშმონ და რომ მან არ იცოდა, რომელ საათზე დაბრუნდებოდა. «კი, მაგრამ, დეიდა ხომ გაბრაზდება?». «არა, რას ამბობთ! იგი ყველაფერს შესანიშნავად გაიგებს». ეს ნიშნავდა, რომ თუნდაც იმ მომენტში, რომელიც შეიძლება აღარ განმეორებულიყო, ჩვენი საუბარი, რიგი გარემოებების გამო, ალბერტინისთვის იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ ყველაფერი დანარჩენი მისთვის აზრს კარგავდა, და ჩემს მეგობარს – რომელიც, რა თქმა უნდა, ინსტინქტურად, ოჯახურ იურისპრუდენციაზე

დაყრდნობის მცდელობით აღიდგენდა მეხსიერებაში ისეთ შემთხვევებს, როდესაც ბონტანის კარიერის გამო მის ოჯახს მოგზაურობაც კი გაუბედავს, ეჭვი არ ეპარებოდა, რომ დეიდა ბუნებრივად მიიჩნევდა მის გადაწყვეტილებას – მსხვერპლად გაეღო ვახშამი. ამ გვიანი საათის გადაწევით, რომელსაც, როგორც წესი, ალბერტინი ჩემგან შორს – ოჯახურ წრეში ატარებდა, ეს დრო მე მაჩუქა და შემეძლო, ჩემი სურვილისამებრ განმეკარგა იგი. ბოლოს და ბოლოს, გადავწყვიტე, მეთქვა ყველაფერი, რაც მოსმენილი მქონდა მისი ცხოვრების წესის შესახებ და ვუთხარი, რომ, მართალია, ამგვარ მანკიერებას მიცემული ქალები ძლიერ ზიზღს იწვევდნენ ჩემში, მე ყურიდან ყურში ვატარებდი მათ სახელებს, სანამ მისი ამფსონი არ დამისახელეს, და მას თავისუფლად შეეძლო წარმოედგინა, რარიგ მტკივნეული

იქნებოდა ამის გაგება ჩემთვის – ანდრეს შეყვარებულისთვის. უფრო საზრიანი რომ ვყოფილიყავი, დავუმატებდი, რომ მისახელებდნენ მის სხვა ამფსონებსაც, მაგრამ ისინი სულერთნი იყვნენ ჩემთვის. ჩემს გულს ის მოულოდნელი და საშინელი აღმოჩენა ღრღნიდა, რომელიც კოტარის მეშვეობით გავაკეთე, მხოლოდ ეს მიღრღნიდა გულს! და როგორც ვერ წარმოვიდგენდი იმას, რომ ალბერტინს ანდრე უყვარდა, ან ეალერსებოდა მაინც, სანამ კოტარმა არ მიმაქცევინა ყურადღება მათ პოზაზე ვალსის ცეკვისას, ასევე თავში აზრად არ მომივიდოდა კიდევ უფრო საშინელი აზრი, რომ ალბერტინს გარკვეული ურთიერთობები სხვა ქალებთან ჰქონდა, რომლებთანაც არ იყო ისე ახლოს სულიერად, რაც ასეთი საქციელის ერთგვარ გამართლებად შეიძლებოდა მიეჩნიათ. ამ ყველაფრის უარსაყოფად დაფიცებამდე, ალბერტინი – როგორც ნებისმიერი ქალი, ვისზედაც ასეთი ჭორები ვრცელდება, გაბრაზდა, განაწყენდა და მასთან შეხვედრისა და ბინძურ ტყუილში მხილების მიზნით ძლიერი ცნობისმოყვარეობა გამოიჩინა უცნობი ცილისმწამებლის მიმართ. მაგრამ, როგორც ალბერტინი ამბობდა, იგი ჩემზე არ ბრაზობდა. «ეს რომ სიმართლე ყოფილიყო, თავად გეტყოდით ამის შესახებ. მაგრამ მეც და ანდრესაც გვძულს ასეთები. ცხოვრების

განმავლობაში არცთუ ცოტა ამგვარი ქალი გვინახავს – მოკლეთმიანი, მამაკაცური ქცევებით – ზუსტად ისეთები, როგორებზედაც თქვენ საუბრობთ, ვერ ვიტანთ მასეთებს». ალბერტინმა პატიოსანი სიტყვა მომცა, თუმცა დაუსაბუთებელი. ზუსტად ამას შეეძლო დავემშვიდებინე ყველაზე მეტად, რადგან ეჭვიანობა მიეკუთვნება იმ მტანჯველ განცდათა ოჯახს, რომელთაც დარწმუნების ძალა უფრო ჩამორეცხავს, ვიდრე სიმართლე. სიყვარულის თვისებაც ხომ ეს არის – შეყვარებულები უფრო ეჭვიანები და, ამასთან, უფრო მიმნდობები ვართ, უფრო ადვილად გვეპარება იჭვნეულობის ჭია საყვარელ ქალთან მიმართებაში, ვიდრე სხვა ვინმესთან და, ამასთანავე, ჩვენ უფრო ადვილად ვიჯერებთ შეყვარებულისგან მის რწმუნებებს. უნდა გვიყვარდეს, რომ გვესმოდეს – არსებობენ არა მხოლოდ პატიოსანი ქალები და, შესაბამისად, ყურადღებით ვიყოთ არაპატიოსნებთან, კიდევ იმისთვის უნდა გვიყვარდეს, რომ ვისურვოთ მათი – პატიოსანი ქალების არსებობა და დავრწმუნდეთ მათ არსებობაში. ადამიანებს ახასიათებთ განსაცდელის ძებნა იმისთვის, რომ შემდგომში გათავისუფლდნენ მისგან. იმ აზრებს, რომლებსაც დასახულ მიზნამდე მივყავართ, ჩვენ უპირობოდ ვეთანხმებით, თქვენ ხომ არ უღრმავდებით გამაყუჩებლის ნაკლს, თუკი გვიშველის. და აი, კიდევ რა: მრავალმხრივ თუ არამრავალმხრივ საყვარელ არსებაში ორი, აბსოლუტურად სხვადასხვა პიროვნების განსხვავება შეგვიძლია, ეს დამოკიდებულია ჩვენს თავდაჯერებულობაზე – არის თუ არა საყვარელი არსება ჩვენი ზეგავლენის ქვეშ ან, პირიქით, მიმართულია თუ არა მისი აზრები სხვაგან. პირველი ამ პიროვნებათაგანი მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ განსაკუთრებულ უნარს ფლობს, ძალით გაანადგუროს ჩვენი რწმენა მეორე პიროვნების რეალურად არსებობის მიმართ და, კიდევ განსაკუთრებულ საიდუმლოს – მეორე პიროვნების მიერ მოყენებული ტკივილის გაყუჩების საიდუმლოს. საყვარელი არსება ზოგჯერ სენია ჩვენთვის, ზოგჯერ

წამალი, რომლისგანაც თავს ხან უკეთესად, ხან უარესად ვგრძნობთ. რა თქმა უნდა, თავის დროზე სვანის მაგალითმა

იმოქმედა ჩემს წარმოსახვაზე, გამიძლიერა ეჭვი და მე უკვე დიდი ხანია, მზად ვიყავი, დამეჯერებინა უფრო ის, რისიც მეშინოდა, ვიდრე ის, რაზედაც ვოცნებობდი. აი, რატომ იყო ოდეტის გახსენების შედეგად, კინაღამ რომ არ ჩამოიქცა ალბერტინის მიერ ჩემს სულში შემოტანილი სამყარო. მაგრამ მაშინვე ვუთხარი საკუთარ თავს, რომ, თუ მუდმივად უარესს უნდა ველოდო, მაშინ უმჯობესია, გამეგო, რის გამო იტანჯებოდა ასე სვანი და საკუთარი თავი მის ადგილას დამეყენებინა. მაგრამ ახლა, როცა მოქმედი პირი უკვე მე ვიყავი, სიმართლემდე ჩაძიებული ისე, თითქოს ჩემ ადგილას ვიღაც სხვა იყო, ამიტომ არ ღირდა, საკუთარი თავის მიმართ შეუბრალებელი ვყოფილიყავი, ისევე, როგორც ულმობელია ის ჯარისკაცი, რომელიც არა იმ პოსტს ირჩევს, რომელზედაც მას შეუძლია მეტი სარგებლის მოტანა, არამედ იმ პოსტზე, სადაც სიცოცხლეს სწირავს, საბოლოოდ კი საკუთარი თავი შეცდომაში შეჰყავს და ასკვნის, რომ ერთი მიგნება სხვებზე მართებულია მხოლოდ იმიტომ, რომ ის უფრო მეტად მტანჯველია. ხომ არ იყო უფსკრული ალბერტინის, – გოგონას, რომელიც წესიერი ბურჟუაზიული ოჯახიდან იყო, და კეკლუც ოდეტს შორის, რომელიც ბავშვობაშივე გაყიდა საკუთარმა დედამ. სიტყვა, მიცემული ერთის მიერ, სრულებითაც არ იყო მეორის სიტყვის თანაბარფასიანი და თუ ალბერტინი მატყუებდა კიდეც, არა იმ განზრახვით, რომლითაც ოდეტი ატყუებდა სვანს. ხომ აღიარა კიდეც ოდეტმა ის, რასაც ალბერტინი უარყოფდა. მეორე მხრივ კი, ისეთივე სერიოზულ შეცდომას დავუშვებდი, ოღონდ სრულიად საწინააღმდეგოს, თუ ამა თუ იმ მოსაზრებას მივემხრობოდი, რომელიც უფრო ნაკლებ ტკივილს მომაყენებდა, ვიდრე სხვები. მივემხრობოდი და მხედველობაში არ მივიღებდი განსხვავებულ გარემოებებს და ჩემი მეგობარი ქალის ცხოვრებას ზუსტად ისეთად წარმოვიდგენდი, როგორც ჩემთვის იყო ცნობილი, როგორ ცხოვრებასაც ოდეტი ეწეოდა. ახლა ჩემ წინაშე სხვა ალბერტინი იყო, ისეთი, როგორიც უკვე მელანდება ბალბეკში ჩემი პირველად ჩამოსვლის მიწურულს, გულახდილი, კეთილი, და ამ

ალბერტინმა შემიბრალა, მაპატია ჩემი ეჭვიანობა და შეეცადა, ჩემი ორჭოფობა გაეფანტა. მან თავის გვერდით დამსვა საწოლზე, მადლობა გადავუხადე ყველაფრისთვის, რაც მითხრა, განვუცხადე, რომ ახლა ჩვენ შორის მშვიდობამ დაისადგურა და რომ მე არასოდეს ვიქნებოდი მასთან უხეში. და მაინც, ვურჩიე, სახლში წასულიყო სავახშმოდ. მან მკითხა, კარგად ვგრძნობდი თავს თუ არა და მიიზიდა ჩემი თავი, რათა ისე მომფერებოდა, როგორც აქამდე არასოდეს მომფერებია, ისე, როგორც, შესაძლოა, ჩვენი შერიგების გამო მოესურვა. ენით ტუჩებზე მომეფერა. მე მოკუმული ტუჩები არ გამოხსნია. «როგორი ბრაზიანი ხართ!» – მითხრა მან.

მე იმ საღამოსვე უნდა გამოვგზავრებულიყავი და აღარასოდეს შევხვედროდი მას. იმ დროიდან წინათგრძნობა არ მტოვებდა, რომ გაუზიარებელ სიყვარულში, სხვაგვარად რომ ვთქვათ, უბრალოდ, სიყვარულში, ბევრისთვის, მხოლოდ გაუზიარებელი სიყვარული არსებობს. – შეიძლება არა თავად ბედნიერებით ტკბობა, არამედ

მხოლოდ მისი მოჩვენებითობით, – მოჩვენებითობით, რომელიც ერთ-ერთ იმ განუმეორებელ წამს, როდესაც ქალის სიკეთის ან მისი უცნაურობის წყალობით, ან სულაც შემთხვევითობის წყალობით ჩვენს სურვილებს სრულებით შეესაბამებიან მისი სიტყვები და მოქმედებები ისე, თითქოს ნამდვილად ვუყვარდით. კეთილგონიერება ჩემგან მოითხოვდა, რომ ცნობისმოყვარეობით შემეხედა ამ ბედნიერების ნაპერწკლისთვის, სიამოვნებით შემეგრძნო, რადგან, ის რომ არ მქონოდა, ისე მოვკვდებოდი, ვერ გავიგებდი, რას ანიჭებს ეს ბედნიერება ნაკლებად მომთხოვნ და მეტად განებივრებულ გულებს; წარმომედგინა, რომ ეს მხოლოდ ნაწილი იყო უსაზღვრო და უდიდესი ბედნიერებისა, რომელსაც მხოლოდ წამიერად შევავლე თვალი, და იმის შიშით, მეორე დღეს ეს ილუზია არ გამქრალიყო, აღარ მიცდია, დამემსახურებინა კიდევ ერთი წყალობა მას შემდეგ,

რაც წილად მხვდა, რადგან თითქოს განგებ დაემთხვა ასეთ იშვიათ წამს. უმჯობესი იქნებოდა, ბალბეკიდან გავმგზავრებულიყავი და მარტოობაში მეცხოვრა, რაც ჩემი შინაგანი ხმის უკანასკნელი გამოძახილი იქნებოდა, რომელშიც მე წამიერად მომესმა ტრფობის ძახილი, და რომლისგანაც მხოლოდ ერთი უნდა მომეთხოვა: რომ იგი ჩემთან აღარასოდეს მოსულიყო, რადგან რომელიმე ახალი სიტყვის გამოძახილი, რომელიც ჩემ მიერ შეიძლება აღქმულიყო, როგორც უცხო, დაარღვევდა ჩემს მყუდროებას, რომელიც თითქოს განსაკუთრებული ღილაკის საშუალებით ეს ბედნიერების ხმა ჩემში კიდევ დიდხანს არ განელდებოდა.

ალბერტინთან ურთიერთობის გარკვევით დაკმაყოფილებული, მეტ დროს ვუთმობდი დედას. მას სიამოვნებას ანიჭებდა, ჩემი ჭრილობების გაუმიზეზებლად, იმ დროის გახსენება, როცა ბებია ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო. იმის შიშით, რომ საკუთარ თავს დავიდანაშაულებდი იმ უსიამოვნებების გამო, რომლებმაც შეიძლება ბებიას სიცოცხლის ბოლოს გული ატკინა, დედა უფრო ხშირად უბრუნდებოდა ჩემი სწავლის პირველ წლებს, როდესაც ბებია ჩემი წარმატებებით ხარობდა და რასაც ამ დრომდე მიმალავდნენ. ჩვენ ხშირად ვლაპარაკობდით კომბრეზე. დედამ შენიშნა, რომ იქ ბევრს ვკითხულობდი და რომ ბალბეკშიც ბევრი უნდა მეკითხა, რა თქმა უნდა, თუ მუშაობას არ დავიწყებდი. ვუთხარი, რომ კომბრეს ლამაზად მოხატული თეფშების გასახსენებლად, სიამოვნებით გადავიკითხავდი «ათას ერთ ღამეს». ისევე, როგორც კომბრეში, როდესაც დედა დაბადების დღეზე წიგნებს მჩუქნიდა, აქაც, საიდუმლოდ, ჩემთვის სიურპრიზი რომ მოეწყო, ერთდროულად გალანის და მარდრიუს ნათარგმნი «ათას ერთი ღამე» გამოიწერა. თუმცა, ორივე თარგმანზე თვალის გადავლების შემდეგ მან დაასკვნა, რომ მე გალანის თარგმანი უნდა წამეკითხა. მაგრამ იგი, ჩემი აზროვნების თავისუფლების პატივისცემიდან და ჩემი გონებრივ ინტერესებში ჩარევის შიშიდან

გამომდინარე, ვერ ბედავდა, ჩემს არჩევანში ჩარეულიყო. აგრეთვე იმ შინაგანი რწმენიდან გამომდინარეც, რომლის მიხედვითაც ქალები უარესად ერკვევიან ლიტერატურაში და მოზარდის წიგნიერების არეალი არ უნდა იყოს დამოკიდებული რომელიმე წიგნის ეპიზოდით მიყენებულ შოკზე. იგი მართლაც გააღიზიანა

ზოგიერთი ზღაპრის სიუჟეტის უზნეობამ და მათში გამოყენებულმა უხეშმა გამონათქვამებმა. მაგრამ იგი როგორც სიწმინდეებს, ისე ინახავდა არამარტო ბებიის ნაქონ ბროშს, ქოლგას, ქალბატონ დე სევინიეს ტომს, არამედ მის აზრებს და გამონათქვამებს. ყოველთვის ცდილობდა, გამოეცნო, როგორი აზრის იქნებოდა ბებია, და მოცემულ შემთხვევაში, დედას ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ბებიას ნამდვილად არ მოეწონებოდა მარდრიუს თარგმანი. დედა იხსენებდა, რომ კომბრეში, მეზეგლიზისკენ გასეირნების წინ ვკითხულობდი ოგიუსტენ ტიერის, ბებია კი, რომელიც კმაყოფილი იყო იმით, რომ ვსეირნობდი და ვკითხულობდი, ავტორის სახელის დანახვისას უკმაყოფილებას გამოხატავდა, ეს დაკავშირებული იყო ნახევარტაეპთან: «იქ ბატონობდა მეროვეი», რომელსაც დაარქვა მეროვინგი. იგი აცხადებდა, რომ არ იტყოდა «კაროლინგი»-ს, «კარლოვინგი»-ს ნაცვლად. ბებია ძველებური გამოთქმის ერთგული რჩებოდა. მე კი დედას ვუამბე იმის შესახებ, როგორი აზრის იყო ბებია ჰომეროსის ბერძენი გმირების სახელებზე, რომლებსაც, ბლოკი, ლეკონტ დე ლილის მიბაძვით, თავის წმინდათაწმინდა მოვალეობად მიიჩნევდა, ყველა უბრალო შემთხვევაშიც კი, რაშიც, როგორც ის ფიქრობდა, ვლინდებოდა ლიტერატურისადმი მიდრეკილება, დაეწერა ბერძნულად. ასე, მაგალითად, როდესაც ვინმეს სწერდა, რომ მასთან სახლში სვამდნენ არა ღვინოს, არამედ ნამდვილ ნექტარს, იგი ამას წერდა არა ზოგადად მიღებული ფორმით, არამედ «კ»-თი (nektar). და დასცინოდა ლამარტინს. მაგრამ, ბებიასთვის «ოდისევსი», რომელშიც არ იყო გამოყენებული მინევრასა და ულისის სახელები, უკვე «ოდისეა» აღარ იყო, მაშინ რაღას იტყოდა «ათას ერთი ღამის» ყდაზე დამახინჯებული

სათაურის დანახვისას, როცა ვერ შეამჩნევდა მისთვის ჩვეულ სათაურს, ბავშვობიდან შეზრდილს, ჩვენთვის ახლობლებად ქცეული შეჰერეზადას და დინარზადას სახელებს, რომელთაც იგი ზუსტად ასევე გამოთქვამდა. მიუხედავად ამისა, დედამ ორივე წიგნი მაჩუქა და მე ვუთხარი, რომ მათ მაშინ წავიკითხავდი, როცა დავიღლებოდი და სეირნობა აღარ მომინდებოდა.

თუმცა, ასეთი დღეები არც ისე ხშირი იყო. ჩვეულებრივ, ალბერტინი, მისი დაქალები და მე, როგორც ადრე, მთელი «გუნდით» მივდიოდით ჩაის დასალევად კლდეებთან ან ფერმა «მარია ანტუანეტაში». მაგრამ ხანდახან ალბერტინი უდიდეს სიამოვნებას მანიჭებდა. ის მეუბნებოდა: «დღეს თქვენთან ცოტა ხნით მარტო მინდა დავრჩე; სასიამოვნო იქნება ერთად ყოფნა». სხვებს კი ეუბნებოდა, რომ დაკავებული იყო, თან არ იყო ვალდებული, ყველასთვის ჩაებარებინა ანგარიში, ხოლო, თუ მეგობრები მაინც გადაწყვეტდნენ სასეირნოდ და ჩაის დასალევად წასვლას, ვერ ვეპოვნეთ. შეყვარებულებივით ორნი მივდიოდით ბაგატელში ან კრუა-დ'ელანში, მაშინ, როცა გუნდი, რომელსაც აზრად არასოდეს მოსვლია იქ ჩვენი ძებნა და არც ერთხელ არ გადაგვყრია, უსასრულოდ დიდხანს გველოდებოდა ფერმა «მარია ანტუანეტაში». მე მახსოვს ის ცხელი დღეები, როცა მცხუნვარე მზის ქვეშ მომუშავე ახალგაზრდა მოჯამაგირეების შუბლიდან ოფლი წვეთავდა. ეს დღეები, ქალში ჩაბუდებულ საიდუმლოსთან ერთად, აქამდე განცდილი ყოველი ჩემი ახალი სიყვარულის

ყველაზე მყარი შემადგენელი ნაწილია. იმ ქალის გასაცნობად, რომელზეც მესაუბრნენ და რომელზეც სხვაგვარად ფიქრიც კი არ მომივიდოდა თავში, მე ყველა შეხვედრაზე უარს ვამბობდი, თუკი სწორედ ასეთი ამინდი იდგა და თუ ქალთან პაემანი უნდა შემდგარიყო რომელიმე განმარტოებულ ფერმაში. მე ხომ ვიცი, რომ ამინდი და შეხვედრის ადგილი მასთან არ არის დაკავშირებული და მაინც სრულიად საკმარისი იყო ეს ჩემთვის

კარგად ნაცნობი სატყუარა, რომ ანკესს წამოვეგო. მესმის, რომ ცივ დღეს და თუნდაც ქალაქში, იგივე ქალი მაინც გააღვიძებდა ჩემში სურვილს, – მართალია, ყოველგვარი რომანტიკის გარეშე, სიყვარულის თემის გარეშე, მაგრამ, გრძნობის ძალით, რადგან, მოვლენათა გამო, მას შეეძლო ჩემი დათრგუნვა, ეს ზემოქმედებას ვერ მოახდენდა – მას, შესაძლოა, სევდა გარეოდა, მაგრამ ყველა ჩვენი გრძნობა ქალებისადმი ხომ სევდიანდება იმისდა მიხედვით, რაც ირკვევა, რომ ქალები სულ უფრო ნაკლებ ადგილს იკავებენ ჩვენს ცხოვრებაში და რომ ჩვენი ახალი სიყვარული, რომლის ხანგრძლივობაზეც ჩვენ ასე ვოცნებობდით, შეიძლება შეწყდეს ჩვენს სიცოცხლესთან ერთად და უკანასკნელი გახდეს.

ბალბეკში ჯერ კიდევ ცოტა იყო ხალხი, ცოტა გოგონები. ზოგჯერ მინახავს, რომ ზღვის კიდეზე დგას ქალიშვილი, მაგრამ მასში არ იყო არაფერი მომხიბვლელი, მიუხედავად მისი დიდი მსგავსებისა მასთან, ვინც მეგობრებთან ერთად ოდესღაც მანეჟიდან თუ ტანვარჯიშის სკოლიდან ბრუნდებოდა და რომელიც ისე მტანჯავდა იმის გამო, რომ არ შემეძლო მასთან მიახლოება. თუ ეს იგივე ქალიშვილი იყო (ალბერტინთან საუბრებში ამაზე ვდუმდი), მაშინ მისი მომხიბვლელობა აღარ მოქმედებდა და ჩემთვის არსებობას წყვეტდა. მაგრამ დარწმუნებული არ ვიყავი იმაში, რომ ეს ის არის, რადგანაც ქალიშვილების სახეები სანაპიროზე არ წარმოადგენდა რაიმე მნიშვნელოვანს, რაიმე მტკიცე ანსამბლს, – მათ კუმშავდა, აფართოებდა, გარდაქმნიდა ჩემი მოუთმენლობა, ჩემი სურვილების ქარიშხალი, ჩემი კარგი მდგომარეობა, რომელიც მოქმედებს განწყობაზე, სხვადასხვა კაბა, რომლებშიც გოგონები ჩნდებოდნენ, მათი სწრაფი სიარული ან პირიქით, მათი უმოძრაობა. თუმცა ისინი ახლოდან მაინც მომაჯადოებლები მეჩვენებოდნენ. ყოველ ჯერზე, როცა ვხედავდი რომელიმე მათგანს, სურვილი მიჩნდებოდა, წამეყვანა ის ბულვარზე, ან დიუნებთან, ან უკეთესი, კლდეებთან.

მაგრამ, მართალია, სურვილი, გულგრილობისგან განსხვავებით, შეიცავს სიმამაცეს, რაც უკვე არის მისი განხორციელების პოტენციური საწყისი, მაინც სურვილსა და ქცევას შორის, ანუ თხოვნას შორის, რომ გოგონამ მოგცეს მისი მოხვევის უფლება, რჩებოდა უზარმაზარი «ხარვეზი» – ხარვეზი ყოყმანისა და სიმორცხვის. მაშინ შევდიოდი კაფე-საკონდიტროში და ვსვამდი მიყოლებით შვიდ-რვა ჭიქა პორტვეინს. და იმავე წამს უიმედოდ ცარიელ სივრცეში სურვილსა და ქცევას შორის ალკოჰოლის მოქმედება ავლებდა გამაერთიანებელ ხაზს. არ რჩებოდა ადგილი არც ყოყმანისთვის, არც შიშისთვის. მეჩვენებოდა, რომ გოგონა, აი, ახლა მოფრინდებოდა ჩემთან. მე ვუახლოვდებოდი მას, სიტყვები თავისით წყდებოდა ტუჩებს: «სიამოვნებით

გავისეირნებდი თქვენთან ერთად. ხომ არ გინდათ, კლდეებთან წავიდეთ? იქ არავინ შეგვიშლის ხელს, შეიძლება ტყესთან ჩამოჯდომა, – ის ქარისგან იცავს დასაშლელ სახლს, სახლი კი ახლა ცარიელია». ყველა გარეგანი წინაღობა გადალახული იყო, არაფერი უშლიდა ხელს ჩვენი სხეულების გადახლართვას. ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის არ არსებობდა არავითარი სირთულე. მაგრამ მისთვის სირთულე კიდევ არსებობდა, რადგან მას არ დაულევია პორტვეინი. თუმცა, რომც დაელია და მის თვალში სამყაროს დაეკარგა რეალობის რაღაც ნაწილი, მაინც აღმოჩნდებოდა, რომ ის დიდი ხანი ელოლიავებოდა სულ სხვა ოცნებას, რომელიც ამ წუთს განხორციელებადი მოეჩვენებოდა და, არამც და არამც იმაზე, რომ ჩემს მკლავებში აღმოჩენილიყო.

გოგონები ცოტანი იყვნენ, მაგრამ ისინიც კი, რომლებიც ჩამოვიდნენ, აქ დიდ ხანს არ ცხოვრობდნენ, რადგან ჯერ «სეზონი» არ დამდგარიყო. ჩემს მეხსიერებაში იხატება ერთი მათგანი, ჟღალთმიანი, მწვანეთვალება, ვარდისფერლოყება, გაორებული და ისეთი მოძრავი, რომ შეიძლებოდა ხის მფრინავ თესლთან მისი შედარება. ჩემთვის უცნობია, რა ქარმა

გადმოაგდო ის ბალბეკში: ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, რომ მერე რამდენიმე დღე ვიდარდე და, როცა გავიგე, რომ გოგონა სამუდამოდ წავიდა, გადავწყვიტე ალბერტინს გამოვტყდომოდი, რომ ვდარდობდი.

უნდა აღინიშნოს, რომ გოგონებიდან ზოგს ადრე არ ვიცნობდი, ზოგი რამდენიმე წელი არ მინახავს. ხშირად ხდებოდა ისეც, რომ გოგონასთან შეხვედრამდე მას წერილებს ვწერდი. როგორ მიხაროდა, თუ პასუხი დამაიმედებელი იყო, რომ ჩვენ ერთმანეთი შეგვიყვარდებოდა! ქალთან მეგობრობის დასაწყისში და შემდეგაც, როცა ვრწმუნდებით, რომ ჩვენს მეგობრობას განვითარება არ უწერია, ძალა არ გვყოფნის, გავანადგუროთ ეს წერილები. გვსურს ისინი ყოველთვის ჩვენთან იყოს, როგორც ნაჩუქარი ლამაზი ყვავილები, ყვავილები – ჯერ კიდევ ნორჩი, რომლებსაც არც ვუყურებთ, ვხედავთ მხოლოდ მაშინ, როცა სახესთან მიგვაქვს, რომ ვუყნოსოთ. სასიამოვნოა იმ ფრაზის გადაკითხვა, რომელიც უკვე ზეპირად ვიცით და გვსურს დავრწმუნდეთ, რამდენი სინაზეა ფრაზებში, რომლებიც არ შეგვეძლო სიტყვასიტყვით გაგვემეორებინა. მან, მართალია, მომწერა: «თქვენი სასიამოვნო წერილი». ბედნიერებაში, რომლითაც ჩვენ ვსუნთქავთ, შეიმჩნევა მსუბუქი გულგატეხილობა, გამოწვეული იმით, რომ პირველად ძალიან სწრაფად ვკითხულობდით კორესპონდენტის გაურკვეველ ხელნაწერს; მან დაწერა არა «თქვენი სასიამოვნო წერილი», არამედ «თქვენი წერილის დანახვისას». მაგრამ რამდენი სინაზეა ყველაფერ დანარჩენში! ეხ, ხვალაც რომ ეჩუქებინათ ჩვენთვის ასეთი ყვავილები! ასე იშვიათად ხდება. სიტყვებთან მზერა და ხმა უნდა შეჯერდეს, ინიშნება პაემანი, მაგრამ – ის შეიძლება არც შეცვლილა – იმის ნაცვლად, ვისაც წარმოვიდგენდით, აღწერით ან წარმოდგენით, ფერია ვივიანის სახით, ჩვენს თვალებს წარმოუდგება ჩექმებიანი კატა. ვთანხმდებით პაემანზე ხვალისთვისაც, რადგან, რაც უნდა იყოს, ეს ხომ ისაა, ვისზეც

ვოცნებობდით. იმისთვის, რომ ქალმა მიგვიზიდოს, ის არ უნდა იყოს ასე ლამაზი. ჩვენი სწრაფვა, – ეს სწრაფვაა ქალისკენ საერთოდ, ეს არაა განსაზღვრული, ისევე, როგორც სურნელება: როგორც პროფირიას მიზიდულობა სტირაქსისადმი, ეთერს იზიდავს ზაფრანა, ჰერას იზიდავდა არომატები, მური იყო ქურუმთა საყვარელი ნელსურნელება, ნიკეს იზიდავდა ციური მანანა, ზღვას იზიდავს საკმეველი. მაგრამ ორფეოსული ჰიმნებით ქებული ეს ნელსურნელებანი, მაინც არ არის ისე მრავალფეროვანი, როგორც ღმერთები, რომლებიც სიამოვნებას იღებენ მათგან. მური არა მხოლოდ ქურუმთა უსაყვარლესი ნელსაცხებელია, არამედ პროტოგონოსისა, ნეპტუნისა, ნერეიასი, ლეტოსი; საკმეველი – არა მარტო ზღვის საყვარელი ნელსურნელებაა, არამედ მშვენიერი დიკესი, თემიდასა, ცირცეისა, ცხრა მუზისა, ეოსისა, მნემოზინასი, დიასი, დიკაიოსინისა. თუ მოვინდომებდით ღვთაებათა ჩამოთვლას, რომლებიც ყნოსავენ ამბრის, მანანასა და არომატებს, ვერაფრით დავასრულებდით – იმდენად მრავალრიცხოვანნი არიან ისინი. ამფიეტესი თავს ინებივრებს ყველა ნელსურნელებით, საკმევლის გარდა, გეა კი ვერ იტანს პარკოსნებს და არომატებს. ასევე იყო ჩემი მიზიდულობები გოგონებისადმი. ის ნაკლები იყო, ვიდრე თვითონ გოგონები, თან ისინი იცვლებოდნენ, მსგავსი მწუხარებებითა და იმედგაცრუებებით. მე არასოდეს მიზიდავდა მური. მას ყოველთვის ვუთმობდი ჟიუპიენს და პრინცესა გერმანტი, რადგან ის იზიდავს პროტოგონოსს, «ორსქესიან არსებას, ხარივით რომ ბღავის, უსასრულო ორგიების მონაწილეს, დიდებით განებივრებულს, აუწერელ, ორგიოფანტომურ მხიარულ მსხვერპლშეწირვებამდე დაშვებულს.»

თუმცა, რაღაც დროის შემდეგ, სეზონი უკვე გაცხარდა: ყოველდღე ჩნდებოდნენ ახალი სახეები, ჩემი გასეირნებები, რომლებზეც გავცვალე დამბნედავი კითხვა «ათას ერთი ღამისა», არ მანიჭებდნენ სიამოვნებას, – პირიქით, ისინი ყველა სიამოვნებას მიშხამავდნენ. პლაჟი უკვე

სავსე იყო გოგონებით, მაგრამ აზრი, რომელიც ჩემში კოტარმა ჩააგდო და, რომელიც, მართალია, არ იწვევდა ჩემში ახალ ეჭვებს, გაზარდა ჩემი სიფხიზლე ამ სახის გატაცებებისადმი, გააძლიერა ჩემი უნდობლობა, გააძლიერა ჩემი სიფრთხილე იმ დონემდე, რომ ჩანასახშივე ვახშობდი ამგვარ ეჭვებს და როცა ბალბეკში ჩამოდიოდა ახალგაზრდა ქალი, ღელვას ვიწყებდი და ალბერტინს შორეულ გასეირნებებზე სიარულს ვთავაზობდი, რომ მას არ გაეცნო, ან თუ შესაძლებელი იქნებოდა, არც შეხვედროდა ახალჩამოსულს. რა თქმა უნდა, განსაკუთრებით მეშინოდა იმათი, ვინც ყურადღებას იქცევდა ცუდი ქცევით ან ცუდი რეპუტაციით სარგებლობდა; ვცდილობდი დამერწმუნებინა ჩემი მეგობარი ქალი იმაში, რომ ეს ცუდი რეპუტაცია არაფერს ეყრდნობოდა, რომ ეს ჭორი იყო; ვცდილობდი, შესაძლოა, გაურკვეველი, ჯერ კიდევ გაუცნობიერებელი შიშის გამო, რომ ალბერტინი შეეცდებოდა დაახლოებოდა გარყვნილ ქალს, ან ინანებდა, რომ ჩემ გამო ის ხელიდან გაუშვა, ან ირგვლივ ბევრი მაგალითის გამო, გადაწყვეტდა, რომ ასე გავრცელებული ხინჯი გაკიცხვას არ იმსახურებდა. მე ვიცავდი ცალკეულ პირებს იმ მიზნით, არც მეტი, არც

ნაკლები, რათა დამემტკიცებინა, რომ სოფიზმი უკვე არ არსებობდა. ალბერტინი იზიარებდა ჩემს ურწმუნობას ამა თუ იმ ქალის გარყვნილებისადმი.

«არა, მე მგონი, მას უბრალოდ ასეთი მანერები აქვს, რომ თავის თავს უშავებს». მაგრამ მე უკვე ვიწყებდი სინანულს, რომ ვიცავდი უცოდველობას: არ მომწონდა, რომ ალბერტინს, რომელიც ადრე მკაცრი წესების მიმდევარი იყო, ახლა შეუძლია იფიქროს, რომ ასეთ «მანერას» აქვს რაღაც იმდენად მიმზიდველი, რომ ის ქალებიც კი, რომლებსაც არა აქვთ ამგვარი მიდრეკილებები, განზრახ იქმნიან საკუთარ თავზე მცდარ შეხედულებებს. მინდოდა, რომ არც ერთი ქალი არ ჩამოსულიყო ბალბეკში; მაკანკალებდა იმის შიშით, რომ ვერდიურენები დღე-დღეზე

ელოდებოდნენ თავისთან ბარონესა პიუტბიუს და რომ მისი მოახლე, რომლის მიდრეკილებებიც ჩემთვის არ დაუმალავს სენ-ლუს, შესაძლოა, სეირნობისას მისულიყო პლაჟამდე და, თუ იმ დღეს მე არ ვიქნებოდი ალბერტინის გვერდით, შეეცდებოდა მის გარყვნას. კოტარს არ დაუმალავს ჩემთვის, რომ ვერდიურენები ძალიან მაფასებდნენ და რომ ცდილობდნენ არ ეჩვენებინათ, თითქოს, როგორც ის ამბობდა, დამდევდნენ, ამიტომ ბევრს მისცემდნენ იმისათვის, რომ მათთან მევლო და უკვე ვფიქრობდი, არ შეიძლებოდა, მათთან პარიზში მსოფლიოში არსებული ყველა გერმანტის მიყვანის დაპირებით, მიმეღწია ქალბატონ ვერდიურენთან, რომ ნებისმიერი მიზეზით, რაც შეიძლება მალე გაესტუმრებინა ბარონესა პიუტბიუ.

თუმცა ასეთი აზრები მიფრინდებოდა თავში, მაგრამ ყველაზე მეტად მაღელვებდა ანდრეს ყოფნა ბალბეკში, ამიტომ ალბერტინის ნათქვამი ჯერ კიდევ დამამშვიდებლად მოქმედებდა ჩემზე; თანაც ჩემთვის ცნობილი იყო, რომ მალე ნაკლებად ვიღელვებდი, რადგან ანდრე როზამუნდასა და ჟიზელთან ერთად უნდა გამგზავრებულიყო და მას ალბერტინთან ყოფნის თვეზე ნაკლები დარჩენოდა. ამასთან, ბოლო დროს, ალბერტინის ყველა სიტყვა და საქმე თითქოს მიმართული იყო იქითკენ, რომ ჩაეხშო ჩემში უკანასკნელი ეჭვები, თუკი ისინი ჯერ არ გაქარწყლებულიყო ბოლომდე, ან არ მიეცა მათთვის გამოფხიზლების საბაბი. ის განზრახ არ რჩებოდა მარტო ანდრესთან. როცა სახლში ვბრუნდებოდით, მოითხოვდა, კარამდე გამეცილებინა, მოითხოვდა, რომ მისთვის გამომევლო, თუ სასეირნოდ ვაპირებდით წასვლას. ანდრეც ასევე იქცეოდა და თითქოს გაურბოდა ალბერტინს. მხოლოდ ამითაც ნათელი იყო, რომ მოილაპარაკეს, მაგრამ სხვა რამეებიც მიანიშნებდა იმაზე, რომ ალბერტინმა, როგორც ჩანს, შეატყობინა თავის დაქალს ჩვენი ახსნა-განმარტება და თხოვნით მიმართა, გაეფანტა ჩემი სულელური ეჭვები.

სწორედ ამ დროს ბალბეკის გრანდოტელში სკანდალი მოხდა, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ უწყობდა ხელს ჩემს დამშვიდებას. რაღაც პერიოდში ბლოკის და ყოფილ მსახიობ ქალთან იყო ინტიმურ კავშირში, მაგრამ მალე ამით არ დაკმაყოფილდნენ. მათი აზრით, თუ ისინი სიამეს ყველას თვალწინ მიეცემიან, ეს მათ სიამოვნებას განსაკუთრებული გარყვნილების ელფერს შესძენდა. მათ სურდათ,

რომ საშიში ცელქობით გარეშეთა ყურადღება მიექციათ. ალერსით დაიწყო, რომელიც შეიძლებოდა მათი ახლო მეგობრობით ახსნილიყო. ეს ხდებოდა სათამაშო სახლში, ერთ-ერთ მაგიდასთან, სადაც ბაკკარას თამაშობდნენ. ისინი თანდათან გათამამდნენ. ბოლოს, ერთ საღამოს, დიდ საცეკვაო დარბაზში და არა ბნელ კუთხეში, ისე მოიქცნენ, თითქოს თავიანთ საწოლში ყოფილიყვნენ. მათთან შორიახლოს იმყოფებოდა ორი ოფიცერი ცოლებთან ერთად და ამ ოფიცრებმა დირექტორთან იჩივლეს. თავიდან ყველა დარწმუნებული იყო, რომ ეს იმოქმედებდა, მაგრამ ოფიცერთა ჩივილი წარუმატებელი გახლდათ; ისინი ცხოვრობდნენ ნეტჰოლმში. ბალბეკში მხოლოდ ერთი საღამოთი ჩამოვიდნენ, ამდენად, დირექტორს არ შეეძლო მათგან რაიმე მოგების მიღება. ბლოკის დას კი დირექტორის დამოძღვრის არ ეშინოდა, იმიტომ რომ, მისთვისვე გაუცნობიერებლად, მას ნისონ ბერნარი მფარველობდა. უნდა აღინიშნოს, რომ ნისონ ბერნარი აღმერთებდა თავის ნათესავებს. ყოველ წელს ბალბეკში თავისი დისშვილისთვის ის მდიდრულ ვილას ქირაობდა და, სადაც არ უნდა მიეწვიათ, ყოველთვის თავისთან ვახშმობდა, ანუ სინამდვილეში, თავისი დისშვილის ოჯახში. სამაგიეროდ, ის სახლში არასოდეს სადილობდა. შუადღეს უკვე გრანდოტელში იყო. იმის მსგავსად, როგორც სხვებს ჰყავდათ ოპერის სტატისტები, მას ჰყავდა ოფიციანტი, რომელიც ნაწილობრივ ხელის ბიჭს მოგაგონებდათ, რომლებზედაც ჩვენ უკვე ვისაუბრეთ და რომლებმაც გაგვახსენეს ნორჩი ებრაელები «ესფირიდან» და «გოფოლიიდან». თითქოსდა, ორმოცწლიან სხვაობას უნდა დაეცვა ყმაწვილი ბერნართან უსიამოვნო სიახლოვისაგან. მაგრამ, როგორც ბრძენი როსინის ქოროებშია ნათქვამი:

ო, ღმერთო, რამდენ ცდუნებას
გადაეყრება ნორჩი უბიწოება!
სულმა უნდა განდევნოს ეჭვების ურიცხვი რიგი,
რომ შენთან მივიდეს, უფალო.

თუმცა ახალგაზრდა ოფიციანტი «მაღალი წრისაგან შორს იზრდებოდა», ანუ ბალბეკის ტაძაროტელში, მან არ დაუჯერა იოადეს რჩევას:

მბრძანებელო! შენს ძალაუფლებას ნუ შექმნი სიმდიდრით.

შესაძლოა, ის იმით იმართლებდა თავს, რომ «ქვეყანა სავსეა ცოდვილებით». როგორც უნდა იყოს, თუმცა ნისონ ბერნარს არ ჰქონდა სწრაფი გამარჯვების იმედი პირველივე დღეს:

გადამრჩენელს საპასუხო სინაზით უპასუხა,
მას უცებ მიეხუტა გადარჩენილი ბავშვი.

მეორე დღეს კი, როცა ნისონ ბერნარი ოფიციანტთან ერთად წავიდა სასეირნოდ, «სიახლოვის სენმა უცოდველობა დაღუპა». მას შემდეგ ნორჩი არსების ცხოვრებაში გარდატეხა მოხდა. თუმცა ის ძველებურად ისე მსახურობდა, როგორც უბრძანებდა მეტრდოტელი, მაგრამ მისი სახე თითქოს მღეროდა;

მოდი, ვიმღეროთ და ვიმხიარულოთ,
ყვავილის

კვალად ყვავილი ვკრიფოთ,
რადგანაც ვცოცხლობთ მცირე ხანი,
იჩქარეთ, ცხოვრებით დატკბეთ!
ვინ იცის, წინ რა გველოდება?
არა სიკეთეს, არა დიდებულ საქმეებს,
არამედ მხოლოდ ტკბილ მორჩილებას
შეუძლია აქ ძალისა და პატივის მოცემა.

ახლა უკვე ნისონ ბერნარი ყოველდღე მოდიოდა სასადილოდ გრანდოტელში და თავის ადგილას ჯდებოდა (ასე ჯდება თავის ადგილას პარტერში მამაკაცი, რომელსაც ჰყავს სტატისტი, მაგრამ, ამ შემთხვევაში, ეს იყო განსხვავებული სახის სტატისტი, რომელიც ჯერ კიდევ ელოდებოდა თავის დეგას). ნისონ ბერნარს სიამოვნებას ანიჭებდა თვალის დევნება, რესტორნის სიღრმეში, პალმის ქვეშ ბრძანდებოდა მოლარე, მოძრაობდა ეს ყმაწვილი, ყველას ემსახურებოდა, ნისონ ბერნარის გარდა. მასთან მიმართებაში ის ნაკლებად ყურადღებიანი გახდა მას შემდეგ, რაც ბერნარმა თავისი მფარველობის ქვეშ აიყვანა, – ამიტომ თუ ფიქრობდა ნორჩი ლევიტი, რომ ადამიანთან, ვის სიყვარულშიც ეჭვი არ გეპარება, შეიძლება არ იყო ისე თავაზიანი, როგორც სხვების მიმართ. იმიტომ ხომ არა, რომ ნისონ ბერნარის სიყვარული მას აღიზიანებდა, თუ შიშის გამო, რომ თუკი მათი კავშირი ცნობილი გახდებოდა, ეს სხვა გზებს ჩაუკეტავდა მას. მაგრამ ვაჟის სიცივეც ახარებდა ბერნარს იმით, რაც ამ ქცევის უკან იმალებოდა; ან ბერნარში მეტყველებდა იუდეური ატავიზმი, ან ახარებდა ქრისტიანული გრძნობის წაბილწვა, – როგორც უნდა იყოს, მას განსაკუთრებით სიამოვნებდა ეს როსინისეული ცერემონია, თუნდ ებრაული, თუნდ კათოლიკური. ნისონ ბერნარი ნამდვილად რომ ყოფილიყო

«ესფირის» და «გოფოლიის» წარმოდგენაზე, ის ინანებდა, რომ განსხვავება საუკუნეებში არ აძლევს მას საშუალებას, გაეცნო ავტორი, ჟან როსინი, რომელსაც სთხოვდა, მიეცა თავისი ქვეშევრდომისთვის უფრო მნიშვნელოვანი როლი. მაგრამ სადილობის ცერემონია არ იყო შეთხზული რომელიმე დრამატურგის მიერ და მას უნდა შეენარჩუნებინა კარგი ურთიერთობა არა დრამატურგთან, არამედ, მხოლოდ და მხოლოდ, დირექტორთან და ემესთან, რომ «ყრმა ებრაელს» მიეღო სასურველი თანამდებობა დამხმარისა ან თვით მეტრდოტელისა. ღვინის მარნის ზედამხედველის თანამდებობა მას უკვე შესთავაზეს. თუმცა, ბერნარმა უარი ათქმევინა ამ წინადადებაზე, რადგან, ამ შემთხვევაში, ის უკვე ვერ ადევნებდა თვალს ყოველდღიურად, თუ როგორ დაქრის ის რესტორნის მწვანე დარბაზში. ვერც მისი მომსახურებით ისარგებლებდა, როგორც ჩვეულებრივი სტუმარი. ბერნარისთვის კი ეს იმდენად დიდი სიამოვნება იყო, რომ ამისთვის ყოველ წელს ჩამოდიოდა ბალბეკში და არ სადილობდა თავის სახლში. ამასთან, თავისი ბიძის პირველ წესს ბლოკი მისი პოეტური ნატურით ხსნიდა, ფერებით თამაშის სიყვარულით, მზის

ჩასვლების, რომლებითაც უნდა დატკბე სწორედ ამ შეუდარებელ სანაპიროზე. ხოლო მეორეს – მოხუცი ბერბიჭას უცნაურობით.

არსებითად, ნისონ ბერნარის ნათესავების შეცდომა, რომლებიც ვერ ხვდებოდნენ მისი ბალბეკში ყოველწლიური ჩამოსვლის ნამდვილ მიზეზს, მათი ეს შეცდომა სინამდვილეში ჭეშმარიტებით იფუთებოდა, თუმცა დაფარულით და გართულებულით. თვითონ ნისონ ბერნარმაც ხომ არ იცოდა, მისი გატაცება ბალბეკის სანაპიროთი, ხედით ზღვაზე, რომელიც რესტორნიდან იშლებოდა და რომ მისი მანიაკური ჩვევები დაკავშირებული იყო სიამოვნებასთან, ჰყოლოდა, ჯერ ისევ თავისი დეგას მომლოდინე ოპერის სტატისტის მსგავსად, ერთ-ერთი მისი მომსახურე, რომელიც, არსებითად, წარმოადგენდა იმავეს, რასაც მსუბუქი

ყოფაქცევის ქალი. მისი გულისთვის ნისონ ბერნარს თეატრის, ანუ ბალბეკის ოტელის დირექტორთან, დამდგმელ და ტექნიკურ რეჟისორ ემესთან, რომელთა როლიც მთელ ამ ისტორიაში ნამდვილად არ იყო ლამაზი, ყველაზე სასიამოვნო დამოკიდებულება ჰქონდა. ვინ იცის, შემდეგში ისინი შეიძლება გამოდგომოდა იმისათვის, რომ ოფიციანტი დაწინაურებულიყო და მეტრდოტელი გამხდარიყო. ჯერჯერობით კი სიამოვნება, რომელსაც იღებდა ნისონ ბერნარი, მთელი მისი პოეტურობითა და შორსმჭვრეტელური სიმშვიდით, გარკვეულწილად ჰგავდა იმას, რასაც გრძნობენ მექალთანეები – როგორიც, მაგალითად, ადრინდელი სვანი, – რომლებმაც დანამდვილებით იციან, რომ ხალხში გასულები, ისინი თავის შეყვარებულს შეხვდებიან. ნისონ ბერნარი კი ჯდებოდა თავის ადგილას – და აი, უკვე მისი სურვილების მწვერვალი ჩნდებოდა სცენაზე, აწეულ ხელში ხილით ან სიგარებით სავსე სინით. ამიტომაც, ყოველ დილით, აკოცებდა რა დისშვილს, დაინტერესდებოდა რა, როგორ მისდიოდა საქმეები ჩემს მეგობარ ბლოკს და ხელისგულით შაქრის ნატეხს თავის ცხენებს მიაწვდიდა, ჩქარი ნაბიჯით გაემართებოდა გრანდოტელისაკენ. მასთან სახლში შეიძლებოდა გაჩენილიყო ხანძარი, დისშვილი შეიძლებოდა შეუძლოდ ყოფილიყო, მაგრამ ის მაინც აუცილებლად წავიდოდა იქ. ტყუილად კი არ ეშინოდა ჭირივით გაციების – ის ხომ ჰიპოქონდრიკი იყო: მაშინ დაწოლა მოუწევდა და ემესთვის თხოვნა, რომ საუზმემდე გამოეგზავნა მისთვის მისი ნორჩი მეგობარი.

თანაც ბერნარს უყვარდა დერეფნების, ცალკეული კაბინეტების, დარბაზის, გარდერობების, საკუჭნაოების, გალერეების მთელი ეს ლაბირინთი, რომელსაც თავისი აღმოსავლური ატავიზმის გამო წარმოადგენდა ბალბეკის ოტელი. ჰარამხანის მოყვარული, წასვლის წინ საღამოს ფარულად სწავლობდა ამ ლაბირინთის ხვეულებს.

იმ დროს, როცა ნისონ ბერნარი ახალგაზრდა ლევიტების ძიებაში სარდაფებში ჩასვლასაც კი ბედავდა, თან ყოველნაირად ცდილობდა შეუმჩნეველი ყოფილიყო და არ გამჟღავნებულიყო, ასე რომ, მის შემხედვარეთ, უნებურად გაგახსენდებოდათ ლექსი:

ო, ისრაელის შვილთა ღმერთო,
დაეშვი, მოგვევლინე ჩვენ შორის,
დაიფარე ჩვენი საიდუმლო
უწმინდური თვალისგან! –

მე, პირიქით, ორი დის ნომერში ავდიოდი, რომლებიც ბალბეკში ერთი ხნიერი უცხოელის მოსამსახურეებად ჩამოსულიყვნენ. ოტელის ენაზე მათ «გოგონები დავალებებისათვის» ერქვათ, ხოლო ფრანსუაზის ენაზე, რომლის წარმოდგენითაც უცხოელების კერძო სახლებში მოსამსახურის შტატს სამხედრო ჩინი ეძლეოდა, – «პორუჩიკი ქალები». მიუხედავად იმისა, რომ ოტელში მაცხოვრებლისთვის ძნელი იყო მოსამსახურე გოგონების ნომერში მოხვედრა, ხოლო მოსამსახურე გოგონებისთვის – მაცხოვრებელთა ნომრებში, მე ძალიან სწრაფად ამეწყო ძლიერი, თუმცა ძალიან სუფთა მეგობრობა მადმუაზელ მარი ჟინესტსა და ქალბატონ სელესტ ალბარესთან. ისინი დაიბადნენ მაღალი მთების ძირას, საფრანგეთის შუა ზოლში, ნაკადულებისა და წყაროების ნაპირზე (წყალი მიედინებოდა ზედ მათი სახლის ქვეშ, სადაც წისქვილის ბორბალი ტრიალებდა და რომელიც არაერთხელ დატბორილა) და ამან მათ ხასიათს გარკვეული დაღი დაამჩნია. მარია ჟინესტის მიზანსწრაფულობაში და სიფიცხეში თავისებური სიდინჯე იყო, ხოლო სელესტა ალბარე, უფრო დუნე, სევდიანი გახლდათ, წყნარ ტბას მოგაგონებდათ, მაგრამ დროდადრო ის წამოდუღდებოდა და მისი რისხვა წყალდიდობას

ედრებოდა, ან მორევს, რომელიც ირგვლივ ყველაფრის წალეკვით იმუქრებოდა. მარია და სელესტა დილაობით ხშირად მოდიოდნენ ჩემთან, როცა მე ჯერ კიდევ ვიწექი. აქამდე არ შევხვედრივარ ქალებს, რომლებიც ამ დონემდე უმეცრები იქნებოდნენ, რომლებმაც სკოლიდან ვერავითარი ცოდნა ვერ გამოიტანეს, მაგრამ რომელთა მეტყველებაშიც ამდენი ლიტერატურული მინარევი იქნებოდა, რომ არა თითქმის ველური ბუნებრივობა, მათი მეტყველება შეიძლებოდა მაღალფარდოვნად მოგჩვენებოდათ. მე განზრახ არ შევალამაზებ სელესტას ფამილარობას, როცა მელაპარაკებოდა – სანამ რძეში პურს ვალბობდი – (რომლებიც მომყავს აქ სელესტას განსაკუთრებული უნარის წარმოსაჩენად) ჩემ მიერ დაუმსახურებელი, ასევე მისი მხრიდან სავსებით დამსახურებული საყვედურებით მავსებდა, რომლებიც მის წამოძახილებში იყო ჩადებული: «აჰ, თქვე ეშმაკუნავ, ყორნის ფრთისფერთმიანო! უუ, დამცინავო, ცბიერო! არ ვიცი, რაზე ფიქრობდა დედათქვენი, როცა თქვენზე იყო ორსულად, მაგრამ ყველაფრით ჩიტს გავხართ. შეხედე, მარია: როგორ იწმენდს ბუმბულს, ხომ მართალია, მოხერხებულად ატრიალებს კისერს და ისეთი მსუბუქია, თითქოს ახლა აფრინდებაო? როგორ გაგიმართლათ, რომ მდიდარ ოჯახში გაჩნდით! თორემ რა გეშველებოდათ ასეთ უყაირათოს? შეხედე, მას რქაპურა დაუვარდა ლოგინზე და არ შეჭამა. თან რძეც დაღვარა! მოდით, ხელსახოცს მოგახვევთ, თორემ დაისვრებით – ასეთი სულელი და დოყლაპია არასოდეს მინახავს». მაშინვე ნაკადულის მსგავსი ხმაურით იღვრებოდა მარია ჟინესტი, რომელიც დას ბრაზიანი საყვედურებით ავსებდა: «გაჩუმდი რა, სელესტი! შენ სულ გაგიჟდი. როგორ ბედავ,

ასე ელაპარაკო ახალგაზრდა კაცს?» სელესტი პასუხად მხოლოდ იღიმებოდა. მე ვერ ვიტანდი, როცა ხელსახოცს მახვევდნენ. «არაფერია, არაფერი, მარია, – ამბობდა სელესტი, – შეხედე ერთი, ოჰ, როგორ დაიძაბა, როგორც გველის წიწილი. ნამდვილი გველის წიწილია!» საერთოდ, სელესტა გულუხვი იყო ზოოლოგიურ შედარებებში: ის ფიქრობდა, რომ, არავინ იცის, როდის

მძინავს, – მთელი ღამე დავფარფატებ, როგორც ფარვანა, დღისით კი ისე ყოჩაღად ვარ, როგორც ციყვი. «იცი, მარია, ის იმ ციყვებივითაა, ჩვენთან რომ ცხოვრობენ: ისეთი სწრაფები – თვალს ვერ შეასწრებ». «მაგრამ შენ ხომ იცი, სელესტი, რომ მას არ უყვარს, როცა ჭამს, ხელსახოცს რომ ახვევენ». «ეს იმიტომ კი არა, რომ არ უყვარს, – ყველაფერს თავისებურად აკეთებს. მედიდური ბატონია და უნდა აჩვენოს, რომ მედიდური ბატონია. მოითხოვს, რომ ათჯერ შეუცვალონ ზეწარი, – და შეუცვლიან, თავისას მიაღწევს. გუშინდელები სამრეცხაოში წაიღეს, დღეს კი ვერ მოასწრეს შეცვლა – გაშალე სხვა. მართალი ვთქვი, სიღარიბეში არ უნდა გაჩენილიყო. შეხედე, თმა ჩიტის ბუმბულივით აებურძგლა, სიბრაზისგან აეშალა. ახ, შე ჩიტის ბარტყო!» აქ უკვე მარიამ კი არა, მეც გამოვხატე უკმაყოფილება – სულაც არ მომქონდა თავი მედიდურ ბატონად. თუმცა სელესტის არ სურდა დაეჯერებინა, რომ მე ნამდვილად მოკრძალებული ადამიანი ვარ და მაწყვეტინებდა: «აჰ, თვალთმაქცო! აჰ, ხორცშესხმული მოკრძალება! ახ, ცრუპენტელა, ეშმაკზე ეშმაკი, ავზე ავი! აჰ, მოლიერი!» (ეს იყო ერთადერთი მისთვის ცნობილი მწერლის გვარი, მაგრამ ასე იმიტომ მეძახდა, რომ მოლიერი მის წარმოდგენაში იყო ადამიანი, რომელიც არა მხოლოდ წერდა კომედიებს, არამედ თამაშობდა კომედიას). «სელესტი!» – წამოიყვირებდა ხოლმე მარია – მან არ იცოდა ვინ იყო «მოლიერი» და ეშინოდა, რომ მასშიც იყო რაღაც ჩემთვის შეურაცხმყოფელი. სელესტის სახე ისევ ეწელებოდა ღიმილით. «შენ, ეტყობა, არ გინახავს ყუთში მისი საბავშვო ბარათი. და მას კიდევ უნდოდა დავერწმუნებინეთ, რომ ყოველთვის სადად იყო ჩაცმული! აი ის, პატარა ჯოხით, ისეთ ბეწვეულსა და ისეთ მაქმანებში, პრინცსაც რომ არ დასიზმრებია. მაგრამ ყველაფერი ეს სისულელეა მის არაჩვეულებრივ, დიდებულ შესახედაობასთან შედარებით და მის კიდევ უფრო მომხიბვლელ სიკეთესთან». «დასასრულ, – გრგვინავდა მარიას ჩანჩქერი, – შენ მის ყუთებში იქექები». მარიას რომ ამაზე არ ეღელვა, კითხვა დავუსვი, როგორ მოსწონდა მას ნისონ ბერნარის საქციელი... «აი, ადრე ჩემთვის ასეთი რამეები

რომ მოეყოლათ, არავითარ შემთხვევაში არ დავიჯერებდი. აქ გავიგე ამის შესახებ. – აქ კი მან ბევრად აჯობა სელესტის აზრის სიღრმეს: – ცხოვრებაში რა არ ხდება – ყველაფერს ვერ გაიგებ, ხვდებით?» საუბრის თემა რომ შემეცვალა, ლაპარაკს ვიწყებდი მამაჩემზე, დაუღალავად მშრომელზე. «აი, არიან ადამიანები, რომლებიც თავისთვის საერთოდ არ ცხოვრობენ, საკუთარ თავს არც ერთ თავისუფალ წუთს არ აძლევენ, არ აძლევენ თავს სიამოვნების უფლებას, ყველაფერი, ყველაფერი – სხვებისთვის. ასეთ ადამიანებს საკუთარი ცხოვრება არა აქვთ – ისინი უსიცოცხლოები არიან... შეხედე, სელესტა: ის მხოლოდ ხელს დებს საბანზე და იღებს

რქაპურას, არადა, მაშინვე ხვდები, რომ ის დიდებულთაგანია. საკმარისია, გააკეთოს ყველაზე უბრალო მოძრაობა, გეგონება მთელი საფრანგეთის დიდგვაროვნები თვით პირენეებამდე ამოძრავდნენო».

ეს პორტრეტი, რომელიც ნაკლებად ჰგავდა ორიგინალს, მთრგუნავდა და ვდუმდებოდი; სელესტის ეგონა, რომ ესეც ეშმაკობა იყო: «ოჰ, ეს შუბლი, თითქოს ასეთი უცოდველი, მაგრამ რამდენ საიდუმლოს მალავს; საყვარელი ლოყები, ნუშივით ქორფა, აბრეშუმივით რბილი ხელები, ფრჩხილები – ბრჭყალები», – და ასე შემდეგ. «ოჰ, მარია, შეხედე, როგორი დაძაბული მზერით სვამს რძეს, – მის შემხედვარეს, უნებურად გინდა ილოცო. რა სერიოზულობაა! ნეტავ, შეიძლებოდეს ახლა მისთვის სურათის გადაღება! ჯერ კიდევ ისეთი ბავშვია. ამიტომაც შეგინარჩუნდათ ალბათ სახის ასეთი ნაზი ფერი, რძეს რომ სვამთ? აჰ, რა ახალგაზრდაა ჯერ კიდევ! აჰ, რა ლამაზი კანი აქვს! არასოდეს დაბერდებით. ბედნიერი ხართ, არ მოგიწევთ ვინმეზე ხელი აწიოთ, ისეთი მბრძანებლური იერი გაქვთ. აი, უკვე გაბრაზდა! წამოხტა, მთელი ტანით გაიმართა, რა ქანდაკებაა!»

ფრანსუაზი ძალიან უკმაყოფილო იყო იმით, რომ ეს ორნი, როგორც მათ უწოდებდა, «მაცდუნებლები» მოდიან ჩემთან და ასე საუბრობენ. დირექტორმა, რომელიც ავალდებულებდა მოსამსახურეებს, ყველაფრისთვის თვალი ედევნებინათ, რაც ოტელში ხდებოდა, სერიოზული შენიშვნაც კი მომცა, რომ მცხოვრებლებმა არ უნდა ილაპარაკონ დავალებების შემსრულებლებთან. მე კი ჩემს «მაცდუნებელს» ყველა იმ ქალბატონზე მაღლა ვაყენებდი, ვინც ოტელში ცხოვრობდა. მაგრამ, რადგან დარწმუნებული ვიყავი, რომ დირექტორი ვერ გამიგებდა, რომ არაფერი ვუპასუხე, მხოლოდ გავიცინე. დები ძველებურად მნახულობდნენ. «ნახე, მარია, რა დახვეწილი სახის ნაკვთები აქვს, უზადოდ გაკეთებული მინიატიურაა, ყველაზე ძვირფასი, რაც კი შეიძლება ნახო ვიტრინაზე. და ახლა მოძრაობები! მისი მოსმენა კი დღე და ღამე შეიძლება».

ჩემთვის გამოცანად რჩებოდა, როგორ მოახერხა უცხოელმა, თან წაეყვანა ისინი: ვერ იტანდნენ ინგლისელებს, გერმანელებს, რუსებს, იტალიელებს, უყვარდათ მხოლოდ ფრანგები და თანაც ყველა არა. მათ სახეებში იმდენი დამყოლი სინოტივე იყო მათი მშობლიური მდინარეებისა, რომ, საკმარისი აღმოჩნდებოდა მათთან გეხსენებინა რომელიმე, სასტუმროში მცხოვრები უცხოელი, რომ სელესტი და მარია, მათ გამონათქვამებს იმეორებდნენ, სახითაც ემსგავსებოდნენ, პირითაც, თვალებითაც – სურვილი გიჩნდებოდა, დაგეფიქსირებინა ეს საოცარი აქტიორული ოსტატობა. სელესტი, რომელიც თითქოს მხოლოდ გადმოსცემდა, რა თქვა დირექტორმა, ან რომელიმე ჩემმა ამხანაგმა, ახერხებდა, ოსტატურად ჩაესვა მონაყოლში საკუთარი გამონათქვამები, რომლებშიც მჟღავნდებოდა ბლოკის ან სასამართლოს თავმჯდომარის ან სხვათა ყველა ნაკლი. ანგარიში ყველაზე ჩვეულებრივი დავალების შესრულების შესახებ, რომელსაც ის დაუზარებლად ასრულებდა, შეუდარებელ პორტრეტად

იქცეოდა ხოლმე. დები არასოდეს არაფერს კითხულობდნენ, გაზეთებსაც კი. ერთხელ ჩემს საწოლზე ნახეს წიგნი. ეს იყო ნაკლებად ცნობილი პოეტის – სენ-ლეჟეს – შესანიშნავი ლექსების კრებული. სელესტმა რამდენიმე გვერდი წაიკითხა და მკითხა: «დარწმუნებული ხართ, რომ ეს ლექსებია და არა გამოცანები?» რა თქმა უნდა, ადამიანისთვის, რომელმაც ბავშვობაში მხოლოდ ერთი ლექსი ისწავლა: «მთვარის ქვეშ იასამნები ყვავილობენ», მეტისმეტად მკვეთრი გადასვლა იყო. მე მგონი, მათი დაჟინებული სურვილი – არაფერი ესწავლათ, გარკვეულწილად აიხსნებოდა მათი მშობლიური ადგილების არაჯანსაღი კლიმატით. ამასთან, ისინი არანაკლებ ნიჭიერები იყვნენ, ვიდრე ზოგიერთი პოეტი, თუმცა ბევრ მათგანზე მოკრძალებულნი. თუ სელესტი ამბობდა რამე გასაოცრად ორიგინალურს, მე კი ვერ დავიმახსოვრებდი და ვთხოვდი გაემეორებინა, ის იფიცებდა, რომ დაავიწყდა. ისინი არასოდეს წაიკითხავდნენ, მაგრამ არც დაწერდნენ წიგნს.

ფრანსუაზმა გაიკვირვა, როცა შეიტყო, რომ ამ სრულიად უბრალო დების ერთი ძმა ტურის არქიეპისკოპოსის ძმისშვილზე იყო დაქორწინებული, მეორე კი – როდეზელი ეპისკოპოსის ნათესავზე. ოტელის დირექტორს ეს სახელები არაფერს ეუბნებოდა. სელესტი ზოგჯერ საყვედურობდა თავის ქმარს, რომ მისი არ ესმის, მე კი ის მაოცებდა, როგორ იტანდა მას ქმარი. დროდადრო, ბრაზისგან აკანკალებული, ყველაფრის განადგურებისთვის იყო მზად, საზიზღარი გახლდათ. ამბობენ, თითქოს მლაშე სითხე, როგორსაც ჩვენი სისხლი წარმოადგენს, სხვა არაფერია, თუ არა თავდაპირველი ზღვის სტიქიის ნარჩენი ჩვენს ორგანიზმში. ზუსტად ასევე, ვფიქრობ, სელესტიც არათუ ბრაზისას, არამედ დათრგუნვილ მდგომარეობაშიც ინარჩუნებდა თავისი სამშობლოს მდინარეების რიტმს. ძალები მასაც ელეოდა, როგორც მდინარეს. ნამდვილად შრებოდა. მაშინ არაფერს შეეძლო მისი გაცოცხლება. და, უცებ, სისხლის

მიმოქცევა აღდგენას იწყებდა მის დიდ, ფუმფულა და მსუბუქ სხეულში. წყალი ისევ იწყებდა დენას მისი მოცისფრო კანის გამჭვირვალე სიგამხდრეში. ის მზეს უღიმოდა და ცისფერდებოდა და ცისფერდებოდა. ასეთ წუთებში სურვილი გიჩნდებოდა, მისთვის ციური გეწოდებინა.

ბლოკის ოჯახს ვერ გაერკვია, რატომ არ სადილობდა მათი ბიძა შინ, – ისინი თავიდანვე ისე აღიქვამდნენ ამას, როგორც მოხუცი ბერბიჭას ახირებას, ცდილობდნენ ეს რომელიმე მსახიობ ქალთან კავშირით აეხსნათ, ხოლო ბალბეკის ოტელის დირექტორი ნისონ ბერნარს ყველანაირი უსიამოვნებისაგან იფარავდა. ისე რომ ბიძისთვის არაფერი უთქვამს, მან მხოლოდ რჩევა მისცა, ფრთხილად ყოფილიყო.

მეორე შემთხვევამ კიდევ უფრო მიიქცია ჩემი ყურადღება გომორზე. პლაჟზე ლამაზი ახალგაზრდა ქალი დავინახე, თხელი, ფერმკრთალი, რომლის თვალებიდანაც იმდენად ნათელი გეომეტრიული სიზუსტის სინათლის სხივები გამოსჭვიოდა, რომ მისმა მზერამ თანავარსკვლავედი მომაგონა. «რა ლამაზია! – ვიფიქრე მე. – ხომ არ

დავშორდე ალბერტინს?» მაგრამ იმ ახალგაზრდა, ლამაზი ქალის სახეზე შემზარავად ზნედაცემული ცხოვრების უხილავმა ჭრილობამ გადაირბინა, ზნედაცემული ცხოვრების, როგორითაც ის ადამიანები ცხოვრობენ, რომლებიც მუდმივად სარგებლობენ არაკეთილსინდისიერი საშუალებებით. მეორე დღეს კაზინოში, სადაც ახალგაზრდა ქალი ჩვენგან ძალიან შორს იჯდა, შევნიშნე, რომ ის გამუდმებით უყურებდა ალბერტინს მოციმციმე, მოელვარე მზერით. შეიძლებოდა გეფიქრა, რომ ეს შუქურის სასიგნალო ცეცხლი იყო. ვიტანჯებოდი იმ აზრისგან, რომ ჩემი მეგობარი შეამჩნევდა, როგორი ყურადღება მიიქცია მან; მეშინოდა, რომ ეს წამდაუწუმ ანთებული მზერა – შეთანხმების ნიშანია, რომელიც პაემანს უნიშნავდა ხვალისთვის. და ვინ იცის? იქნებ

ხვალინდელი პაემანი – უკვე პირველი არც იყო. ახალგაზრდა ქალი სხივიანი თვალებით – განა არ შეიძლებოდა ერთი წლით ადრეც ჩამოსულიყო ბალბეკში? შესაძლოა, მან ამიტომაც გაუბედა ალბერტინს ამ მანათობელი სიგნალების გაგზავნა, რომ ალბერტინმა უკვე უპასუხა მის ან მისი მეგობრის ძახილს. მაშინ შუქურის ეს ცეცხლი არათუ ახლა სთხოვდა რამეს, არამედ უფლებების წარდგენით, ახსენებდნენ გარდასულ ბედნიერ წუთებს.

მაშასადამე, ეს პაემანი – პირველი არ არის, სხვა შეხვედრების გაგრძელებაა, რომლებიც გასულ წლებში შედგა. ეს მზერა არ კითხულობდა: «გინდა?» შემთხვევითი არ იყო, რომ ალბერტინის დანახვაზე ახალგაზრდა ქალი მაშინვე მისკენ სახით შემობრუნდა და ისეთი ანთებული თვალებით შეხედა, რომელიც მოგონებებით იყო დამუხტული. ნუთუ ალბერტინს დაავიწყდა? ალბერტინმაც ის მაშინვე შენიშნა, მაგრამ ფლეგმატურად უძრავი გახდა და ახალგაზრდა ქალმა ის თავშეკავება გამოიჩინა, როგორსაც იჩენს მამაკაცი, რომელიც ხედავს თავის ყოფილ შეყვარებულს ახალ საყვარელთან, თვალი აარიდა და მერე აღარ მიუქცევია მისთვის ყურადღება, თითქოს არც ყოფილიყო იქ. რამდენიმე დღის შემდეგ ჩემი აზრი ახალგაზრდა ქალთან დაკავშირებით გამართლდა; არც იმაში შევმცდარვარ, რომ ის და ალბერტინი ერთმანეთს იცნობდნენ. როცა კაზინოში გოგონები ერთმანეთს ხვდებიან, რომლებსაც ერთმანეთი იზიდავდათ, როგორც წესი, წარმოიშობა ერთგვარი სინათლის მოვლენა, თითქოს ფოსფორისებური ბილიკი იქმნება. ბრჭყალებში აღვნიშნავ, რომ სწორედ ასეთი სახის მატერიალიზაცია, როგორი გაურკვეველიც უნდა იყოს, იმ ასტრალური ნიშნების დამსახურებით, ატმოსფეროს მთელ მონაკვეთს რომ ასხივოსნებს, დაბნეული გომორი ისწრაფვის ყოველ ქალაქში, ყოველ დასახლებაში შეაერთოს თავისი გაყრილი ნაწილები, აღადგინოს ბიბლიური ქალაქი, მაშინ, როცა იგივე ძალისხმევა მიმართულია – სოდომიდან

განდევნილ და დაკარგულ სამშობლოს მონატრებულების, რომელიც წამოწყებულია ზოგჯერ ორპირი ადამიანების, იშვიათად კი მამაცების მიერ, თუნდაც დროებით ასაღორძინებლად.

ოდესღაც მე ვნახე ახალგაზრდა ქალი, რომელიც ალბერტინმა თითქოს ვერ იცნო, იმ მომენტში, როცა გვერდით ბლოკის ბიძაშვილმა ჩაუარა. ახალგაზრდა ქალის თვალები ვარსკვლავებად გადაიქცა, მაგრამ დარწმუნდებოდით, რომ ის არ იცნობდა ახალგაზრდა ებრაელ ქალს. მან პირველად ნახა, იგრძნო მასთან მიზიდულობა, მაგრამ ახლა მას არ ჰქონდა იმის მეასედი თავდაჯერებულობა, რაც გამოავლინა ალბერტინთან დამოკიდებულებაში, რომელთან თანამონაწილეობაში ის სავსებით დარწმუნებული იყო და რომლის გულგრილობამ ზუსტად ისეთივე გაკვირვება გამოიწვია მასში, როგორც იმ ადამიანის სახემ, რომელიც არ ცხოვრობს პარიზში, მაგრამ ხშირად ჩამოდის და ერთ-ერთ ჩამოსვლაზე უცებ ხედავს, რომ პატარა თეატრის ადგილას, სადაც მას ასე ძალიან უყვარდა საღამოების გატარება, ბანკია აღმართული.

ბლოკის ბიძაშვილი მაგიდასთან დაჯდა და ჟურნალის თვალიერება დაიწყო. ცოტა ხანში იმავე მაგიდასთან, თითქოს შემთხვევით, ახალგაზრდა ქალი დაჯდა. ცოტა ხნის მერე მაგიდის ქვეშ რომ შეგეხედათ, ნახავდით, როგორი მონდომებით იყო გადანასკვული მათი ხელები და ფეხები. მოძრაობებს სიტყვები მოჰყვა, საუბარი გაიბა და ახალგაზრდა ქალის მიამიტი ქმარი უკიდურესად გაკვირვებული იყო, როცა გაიგო, რომ ქალი საღამოს გატარებას იმ ახალგაზრდა ქალთან ერთად გეგმავს, რომელსაც ქმარი ცხოვრებაში პირველად ხედავდა. ცოლმა მას ისე წარუდგინა ბლოკის ბიძაშვილი, როგორც ბავშვობის მეგობარი და მისი სახელი ისე გაურკვევლად წარმოთქვა, რომ ვერაფერს გაიგებდით, – დაავიწყდა, ქალისთვის სახელი ეკითხა. ქმრის დასწრებამ ისინი აიძულა, კიდევ ერთი ნაბიჯი გადაედგათ დაახლოებისაკენ –

ერთმანეთს შენობით მიმართავდნენ, რადგან, ვითომ ოდესღაც ერთად ცხოვრობდნენ მონასტერში, რაზეც შემდეგ ბევრს იცინოდნენ, ისევე, როგორც გასულელებულ ქმარზე და ეს მხიარულება ახალი ალერსის მიზეზი ხდებოდა.

ვერ ვიტყვი, რომ ალბერტინი სადმე, კაზინოში ან პლაჟზე, ძალიან თავისუფლად იქცეოდა გოგონებთან. უფრო მეჩვენებოდა, რომ ის მეტისმეტად ცივი და გულგრილი იყო, რის მიზეზადაც არა იმდენად კარგი აღზრდა მიმაჩნდა, რამდენადაც ეშმაკობა, გათვლილი იმაზე, რომ ეჭვები გაექარწყლებინა. განსაკუთრებული მანერა – ეპასუხა გოგონასთვის სწრაფად, პატივისცემით, ყინულივით ცივად და ძალიან ხმამაღლა – ჰქონდა: «დიახ, ხუთ საათზე მე ჩოგბურთზე მივდივარ. საბანაოდ ხვალ შვიდისთვის წავალ», – და მაშინვე გაეცლებოდა, გოგონას კი, ჩანს, ძალიან უნდოდა მასთან თამაშის წამოწყება: დაენიშნა მისთვის პაემანი ან, უფრო სწორად, პაემანზე ჩურჩულით შეთანხმებულიყვნენ, ხმამაღლა კი ეთქვა, «რომ არავის არაფერი ეფიქრა», ალბერტინს თითქოს უმნიშვნელო ფრაზა. მერე, როცა ალბერტინი ველოსიპედზე ჯდებოდა და საშინელი სიჩქარით მიქროდა, მე უკვე არ შემეძლო იმ ფიქრისგან თავის დაღწევა, რომ ის იმისკენ მიიჩქარის, ვისაც მან ძლივს აღირსა პასუხი.

და კიდევ: როცა ლამაზი ახალგაზრდა ქალი, პლაჟთან ავტომობილიდან გადმოდიოდა, მისკენ არ მიეხედა – ეს ალბერტინის ძალებს აღემატებოდა. მაგრამ ის ამას მაშინვე ხსნიდა: «ახალ დროშას შევხედე, საბანაოებზე რომ დაკიდეს. შეეძლოთ უკეთეს რამეზე დახარჯულიყვნენ. ძველი საკმაოდ გაცვეთილი იყო. მაგრამ ხომ მართალია, ეს კიდევ უფრო შეუხედავია».

იყო ისეთი შემთხვევა, როცა ალბერტინი სიცივის ჩარჩოებიდან გამოვიდა და ამის გამო კიდევ

უფრო მეტკინა გული. იცოდა, რომ მე არ მსიამოვნებდა იშვიათი შეხვედრებიც კი მისი დეიდის ნაცნობთან – ცუდი ყოფაქცევის ქალთან, რომელიც სამიოდე დღით ჩამოსულიყო ქალბატონ ბონტანთან. და მან, საყვარლად მოღიმარმა ალბერტინმა, პირობა მომცა, არ მისალმებოდა მას. როცა ეს ქალი ენკარვილში ჩამოვიდა, ალბერტინმა მაცნობა: «სხვათა შორის, იცით, რომ ის აქაა? გითხრეს?» – თითქოს უნდა ენახვებინა, რომ ის მას მალულად არ ხვდება. ერთხელ დაამატა: «პლაჟზე შევხვდი მას და განზრახ უხეშად მოვექეცი: არ გავიწიე და დავეჯახე». როცა ალბერტინმა ამის შესახებ მაცნობა, გამახსენდა ქალბატონ ბონტანის სიტყვები, რომელიც მისგან ქალბატონ სვანთან გავიგე და მაშინვე დამავიწყდა; ქალბატონი ბონტანი საუბრობდა იმაზე, თუ როგორი მოურიდებელია მისი ძმისწული ალბერტინი, და მოიყვანა მაგალითი: რომელიღაც ჩინოვნიკის ცოლს ალბერტინმა უთხრა, რომ მამამისი იყო მზარეულის შეგირდი. მაგრამ საყვარელი ადამიანის სიტყვა დიდხანს არ ინახება, ის ფუჭდება, ლპება. ორიოდ დღის მერე ისევ გამახსენდა ალბერტინის მოურიდებლობა, და ახლა ეს უკვე ჩემთვის ცუდი აღზრდის ნიშანი აღარ იყო, რომლითაც ალბერტინი ამაყობდა და რომელიც, ღიმილის გარდა, არაფერს იწვევდა ჩემში, არამედ სრულიად სხვა ნიშანი: ალბერტინს არც ჰქონდა წინასწარ მოფიქრებული განზრახვა, მაგრამ, როცა ის ამ ქალბატონს შეხვდა, მისი აფორიაქება მოისურვა, თან უნდოდა, ბოროტად შეეხსენებინა ოდესღაც, დიდი ხნის წინათ, გაკეთებული შეთავაზებები, შესაძლოა, თავის დროზე სასიამოვნოც კი, ამიტომ განზრახ დაეჯახა მას, მერე იფიქრა, რომ მე შეიძლებოდა ამის შესახებ გამეგო, რადგან ეს ბევრმა ნახა და გადაწყვიტა, თავიდან აეცილებინა არასასურველი ლაპარაკი.

მე და ალბერტინი ქალაქგარეთ, ერთ-ერთ სადგურზე მატარებელს ველოდით – სადგურს ერქვა «ბალბეკი». ცუდი ამინდის გამო, ომნიბუსით ჩამოვედით, რომელიც ოტელს ეკუთვნოდა.

შორიახლოს იდგა ნისონ ბერნარი; თვალი ჩალურჯებული ჰქონდა. ბოლო დროს თავის ახალგაზრდა ლევიტელს ღალატობდა ერთ პატარასთან, რომელიც სასტუმროსთან ახლოს მდებარე ხმაურიან სასადილოში, «ალუბლების ქვეშ», მსახურობდა. ამ წითელსახიან ბიჭს სახის უხეში ნაკვთებით, თავი კი არა, ნამდვილი პომიდორი ჰქონდა. ზუსტად ასეთივე პომიდორი ჰქონდა თავის ნაცვლად მის ტყუპისცალ ძმასაც. ძმების სრული მსგავსების მიუკერძოებელ დამკვირვებელში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა ის, რომ თითქოს უცებ მწარმოებლად

გარდაქმნილმა ბუნებამ სრულიად ერთნაირი ნაწარმის მოწოდება დაიწყო. ნისონ ბერნარისთვის საუბედუროდ, მას სხვაგვარი თვალთახედვა ჰქონდა, ხოლო ტყუპების მსგავსება მხოლოდ გარეგნული იყო. პომიდორი №2 გატაცებით ასრულებდა თავის მოვალეობას – გასართობი ყოფილიყო მხოლოდ ქალებისათვის, პომიდორი №1 მამაკაცებს ანიჭებდა სიამოვნებას, რომლებიც განსხვავებული მიდრეკილებებით გამოირჩეოდნენ. და ყოველთვის, როცა მოხუცი ახლომხედველი ებრაელი (თუმცა იმისთვის, რომ ერთი პომიდორი მეორეში აგრეოდა, ახლომხედველობა არ იყო საჭირო) მოდიოდა სასადილოში «ალუბლების ქვეშ», თითქოს რეფლექსით, პომიდორ № 1-თან სასიამოვნოდ გატარებული დროის მოგონებების გავლენით, ის, თავისთვისაც გაუცნობიერებლად, იწყებდა ამფიტრიონის როლის თამაშს და მიმართავდა მეორე ტყუპს. «გინდა, შევხვდეთ საღამოს?» – სთავაზობდა ის. პასუხის ნაცვლად დაუყოვნებლივ იღებდა მძიმე «სილას». ოდესღაც მან რამდენიმე ასეთი სილა მიიღო. მატარებლის მომლოდინე ბერნარი თავისი ჩალურჯებული თვალის გამო ცდილობდა არ მისალმებოდა ალბერტინს. ჩვენ კი საერთოდ არ გვქონდა სურვილი, მას გამოვლაპარაკებოდით. თუმცა, ამას ალბათ თავს ვერ დავაღწევდით, რომ არა ველოსიპედისტი, საშინელი სიჩქარით რომ მოქროდა ჩვენკენ; როცა ის აქოშინებული ჩამოხტა ველოსიპედიდან, აღმოჩნდა, რომ ეს მელიფტე იყო. თურმე ჩემი და ალბერტინის ოტელიდან წამოსვლის მერე მალევე დამირეკა

ქალბატონმა ვერდიურენმა და ვახშმად დამპატიჟა; რატომ – ეს შემდგომ გახდება ცნობილი. სატელეფონო საუბრის დეტალების გადმოცემის შემდეგ, მელიფტე უკან დაბრუნდა: «მივფრინავ – უფროსებისგან რომ არ მომხვდეს!»

ალბერტინის მეგობრები რაღაც დროით გაემგზავრნენ. მინდოდა, გამერთო, მაგრამ, როცა ვფიქრობდი, რომ ის შეიძლება ბედნიერი იყოს, როცა მხოლოდ ჩემთან ატარებს დროს, მაშინვე საკუთარ თავს ვეუბნებოდი, რომ სრული ბედნიერება არ არსებობს და რომ ალბერტინი, რომელიც ისეთ ასაკშია (რომლიდანაც ზოგიერთები ვერასოდეს გამოდიან), როცა ადამიანი ჯერ კიდევ არ არის დარწმუნებული, რომ სისრულე იქიდან გამომდინარეობს, ვინ გრძნობს ბედნიერებას და არა იქიდან, ვინც მას გვჩუქნის, ვერ გაიგებს, რა არის საქმე და გადაწყვეტს, რომ მის იმედგაცრუებაში დამნაშავე მე ვარ. მერჩია, რომ ყველაფერი მოვლენებისთვის მიეწერა – თითქოს ხელს რომ გვიშლიდნენ მარტო ყოფნაში და ამავე დროს არ მისცემდნენ მას საშუალებას, კაზინოში დამჯდარიყო ან სანაპიროზე უჩემოდ ესეირნა. აი, რატომ ვთხოვე მას იმ დღეს წამოსულიყო ჩემთან ერთად დონსიერში, სადაც სენ-ლუსთან შესახვედრად მინდოდა წასვლა. ამავე მიზნით, რომ რაღაცით გამერთო, ვურჩევდი, ფერწერით დაკავებულიყო, რომელსაც ოდესღაც სწავლობდა. მუშაობისას საკუთარ თავს კითხვას არ დაუსვამდა, ბედნიერია თუ უბედური. მე კი დროდადრო ვერდიურენებთან და კამბრემერებთან ვატარებდი, რომლებიც, რა თქმა უნდა, სიხარულით მიიღებდნენ, მაგრამ ჯერ უნდა დავრწმუნებულიყავი, რომ ბარონესა პიუტბიუ არ იყო ლა რასპელიერში. ამის გაგება მხოლოდ ადგილზე შემეძლო და

რადგანაც ჩემთვის ადრევე იყო ცნობილი, რომ ზეგ ალბერტინი უნდა გამგზავრებულიყო თავის დეიდასთან ერთად ბალბეკის გარეუბანში, ამით ვისარგებლე და ქალბატონ ვერდიურენს დეპეშა გავუგზავნე, რომელშიც ვეკითხებოდი, შეუძლია თუ არა

მიმიღოს ოთხშაბათს. თუ ბარონესა პიუტბიუ უკვე ჩავიდა ვერდიურენებთან, როგორღაც მოვახერხებდი მის მოსამსახურესთან შეხვედრას, გამოვკითხავდი, აპირებდა თუ არა ის ჩამოსვლას ბალბეკში და თუ აპირებდა, ზუსტად როდის, – რომ იმ დღეს ალბერტინი სადმე შორს წამეყვანა. მატარებელი, რომელიც ქალაქგარეთ მიემგზავრებოდა, ახლა წრეს არტყამდა, რაც არ იყო ადრე, როცა მე ბებიასთან ერთად ვიმგზავრე და გადიოდა დონსიერ-ლე-გუნილს – დიდ სადგურს, საიდანაც შორეული მიმოსვლის მატარებლები გადიან, მაგალითად, ექსპრესი, რომლითაც პარიზიდან ვიმგზავრე, რომ სენ-ლუს შევხვედროდი და, რომლითაც გავემგზავრე უკანა გზაზეც. ცუდი ამინდის გამო მე და ალბერტინი სადგურ «ბალბეკ-პლაჟამდე» ჩავედით გრანდ-ოტელის ომნიბუსით.

მატარებელი ჯერ არ იყო მოსული, მაგრამ ნელი და ზარმაცი ბოლი უკან დატოვა და ახლა, ყველაზე ჩვეულებრივ ნელ ღრუბელს დამსგავსებული, აუჩქარებლად მიიწევდა კრიკტოს ამწვანებული დაღმართების მაღლა. ბოლოს პატარა მატარებელი, ჯერ რომ გაუსწრო ბოლს, მერე კი ვერტიკალური მდგომარეობა მიიღო, ნელა მოუახლოვდა სადგურს.

ვერდიურენების სატელეფონო ზარი ჩემი დეპეშით იყო გამოწვეული და სწორედ კარგ დროს გაისმა, იმიტომ, რომ ოთხშაბათობით (და ზეგ სწორედ ოთხშაბათი იყო) ქალბატონ ვერდიურენს პარიზშიც და ლა რასპელიერშიც ჰქონდა მრავალსტუმრიანი ვახშამი, მე ეს არ ვიცოდი. ისე, «ვახშმებს» ქალბატონი ვერდიურენი არ მართავდა – მას ჰქონდა «ოთხშაბათობები». ისინი წარმოადგენდა ხელოვნების ნიმუშს. ქალბატონმა ვერდიურენმა იცოდა, რომ მსგავსი რამ სხვებს არ ჰქონდათ და მაინც ითვალისწინებდა რაიმე განსხვავებას მათ შორის. «ბოლო ოთხშაბათი არ შეედრება წინას, – ამტკიცებდა ის. – მაგრამ შემდეგი,

ვფიქრობ, ყველაზე წარმატებული იქნება იმათგან, რაც ოდესმე მომიწყვია». ზოგჯერ ის გულწრფელად ამბობდა: «ეს ოთხშაბათი ყველაზე ცუდი იყო, მაგრამ შემდეგისთვის დიდ სიურპრიზს გიმზადებთ». პარიზული სეზონის ბოლოს, აგარაკზე გამგზავრების წინ, მფარველი აცხადებდა ოთხშაბათების დახურვის შესახებ. ეს იყო მიზეზი შეეფუცხუნებინა «ერთგულები»: «დარჩა მხოლოდ სამი ოთხშაბათი, დარჩა ორი ოთხშაბათი, – ისეთი ტონით ამბობდა, თითქოს ქვეყნის დასასრული ახლოვდებოდა. – თქვენ ხომ არ გამოტოვებთ შემდეგს: ეს სეზონის დახურვაა». მაგრამ დახურვა მოჩვენებითი იყო, რადგან ქალბატონი ვერდიურენი აფრთხილებდა: «ოფიციალურად ოთხშაბათები აღარ იქნება. წინა საბოლოო იყო ამ წელს. მაგრამ ოთხშაბათობით მაინც სახლში ვიქნები. რა იცი, იქნებ ეს მცირერიცხოვანი ინტიმური ოთხშაბათები ყველაზე სასიამოვნო იყოს?..»

ლა რასპელიერში ოთხშაბათები გათვალისწინებული იყო უფრო ვიწრო წრისთვის, მაგრამ ვერდიურენები მუდმივად ხვდებოდნენ ნაცნობებს, რომლებიც აქ გავლით ჩამოდიოდნენ და მათ საღამოს გასატარებლად იწვევდნენ. ასე რომ, ოთხშაბათები თითქმის ყოველდღე ჰქონდათ. «მე კარგად არ მახსოვდა მოწვეულთა გვარები, მაგრამ დანამდვილებით ვიცი, რომ იქ იქნებოდა ქალბატონი მარკიზა დე კამბრამემო», – შემატყობინა მელიფტემ; ჩემმა საუბარმა კამბრემერებზე მაინც ვერ ამოშალა მის თავში დიდი ხნიდან ჩარჩენილი სიტყვა «კამბრა»: შეჩვეული, განსაზღვრული მნიშვნელობის მქონე, ის ეხმარებოდა ახალგაზრდა მოსამსახურეს ყოველ ჯერზე, როცა კი მას გაუჭირდებოდა გამოეთქვა მისთვის რთული გვარი და ის მაშინვე ანიჭებდა უპირატესობას მის მიერ გადაკეთებულ და თავის წრესთან გათანაბრებულ ცნებებს – ანიჭებდა არა სიზარმაცით და არა სიყვარულით ყველაფერ მყარად ჩამოყალიბებულისადმი, არამედ ლოგიკურობისადმი და გასაგებისადმი მიდრეკილების გამო, ხოლო მის მიერ გადაკეთებული გვარი მის ამ მოთხოვნილებას სრულიად აკმაყოფილებდა.

თავიდან ცარიელ ვაგონში გვინდოდა ასვლა, მთელი გზა მინდოდა მეკოცნავა ალბერტინთან. მაგრამ ცარიელი ვაგონი არ აღმოჩნდა და კუპეში შევედით, სადაც უკვე იჯდა უზარმაზართავიანი, მახინჯი მოხუცი, მამაკაცური სახით, ძალიან გამოპრანჭული, – იჯდა და «რევიუ დე დე მონდს» კითხულობდა. ის ვულგარული იყო და, ამავე დროს, პრეტენზიული; საკუთარ თავს კითხვა დავუსვი: რომელ სოციალურ კატეგორიას მიეკუთვნებოდა ის? – და იქვე ვუპასუხე: ალბათ, მხიარულების დიდი სახლის მფლობელია, მოგზაური მაჭანკალი. ეს ნათლად იკითხებოდა მის სახეზე და მანერებზე. მხოლოდ ის არ ვიცოდი აქამდე, რომ ასეთი ტიპის ქალები «რევიუ დე დე მონდს» კითხულობდნენ. ალბერტინმა მიმანიშნა მასზე და ჩაიცინა. ქალბატონს არაჩვეულებრივად დიდებული გამომეტყველება ჰქონდა, მაგრამ რადგან ამ სამატარებლო გზის ბოლო სადგურზე ზეგ დაპატიჟებული ვიყავი სახელგანთქმულ ქალბატონ ვერდიურენთან, რომ ერთ-ერთ შუალედურ სადგურზე სენ-ლუ მელოდებოდა და რომ კიდევ ცოტა ხნის შემდეგ დიდ სიამოვნებას მივანიჭებდი მარკიზა დე კამბრემერს, რადგან ფეტერნეში სტუმრობაზე დავთანხმდი, ამიტომ თვალები დამცინავი ნაპერწკლებით ამევსო ამ მედიდური ქალბატონის დანახვაზე, რომელიც, როგორც ჩანს, ფიქრობდა, რომ დახვეწილი ტანსაცმელი, ქუდზე ბუმბულები და «რევიუ დე დე მონდი» მას ჩვენზე მაღლა აყენებდა. ვიმედოვნებდი, რომ ქალბატონი ვაგონში ნისონ ბერნარზე ნაკლებ ხანს დაჰყოფდა, რომ ის ჩავიდოდა, უკიდურეს შემთხვევაში ტუტენვილში, – არაფერიც! მატარებელი გაჩერდა ევრევილში – ქალბატონი ადგილიდან არ დაძრულა. არ ჩასულა ის მონმარტენ-სიურ-მერშიც, არც პარვილ-ლა-ბენგარში, არც ენკარვილში და, ბოლოს, როცა მატარებელმა გაიარა სენ-ფრიში, უკანასკნელი სადგური დონსიერამდე, მე, იმედგადაწურული და ქალბატონის მიმართ მორიდებადაკარგული, ალბერტინს მოვეხვიე. დონსიერში სენ-ლუ დამხვდა: მან მითხრა, რომ დეიდასთან ცხოვრობდა და ამიტომ ჩემი დეპეშა, რომელიც მხოლოდ ახლა მიუვიდა,

მოულოდნელი იყო, რომ მას ყველაფერი წინასწარ აქვს დაგეგმილი და მხოლოდ ერთი საათი შეუძლია დაჰყოს ჩემთან. ეს ერთი საათი – ამაოდ! – ძალიან გრძლად მომეჩვენა იმის გამო, რომ ალბერტინმა, როგორც კი ვაგონიდან გავიდა, მთელი თავისი ყურადღება სენ-ლუსკენ მიმართა. მე არ მელაპარაკებოდა, გაღიზიანებული მპასუხობდა, თუ მივმართავდი. სამაგიეროდ, რობერთან საუბრისას იცინოდა თავისი გამომწვევი სიცილით, გაუჩერებლად ლაპარაკობდა, თამაშობდა მის ძაღლთან და აბრაზებდა მას, თან განგებ ეხებოდა პატრონს. გამახსენდა, რომ იმ დღეს, როცა ალბერტინმა პირველად მომცა მისი კოცნის უფლება, კეთილშობილად გავუღიმე უხილავ მაცდუნებელს, რომელმაც მასში ასეთი მკვეთრი ცვლილება გამოიწვია და ასე გამიიოლა ამოცანა. ახლა შიშით ვფიქრობდი ამაზე. რობერი, როგორც ჩანს, მიხვდა, რომ გულგრილი არ ვიყავი ალბერტინის მიმართ: ის არ პასუხობდა მის გამოწვევას და ალბერტინს ჩემ მიმართ მტრულ გრძნობას აღუძრავდა; მერე რობერმა ისე დამიწყო ლაპარაკი, თითქოს მე მარტო ჩამოვსულიყავი და როცა ალბერტინმა ეს შენიშნა, ისევ ავმაღლდი მის თვალში. რობერმა მკითხა, სურვილი თუ მქონდა, მომეძებნა მისი ის მეგობრები, რომლებიც ჯერ ისევ აქ იყვნენ და რომლებთან ერთადაც მუდმივად ვვახშმობდი მასთან, როცა დორსიერში ვიყავი. ის ყოველთვის გმობდა თავსმოხვეულ ჭკუის სწავლებას, თუმცა თვითონ აკეთებდა ამას. «მაშ, რატომ ცდილობდი მოგეხიბლა ისინი, თუ ახლა მათი ნახვის სურვილი არა გაქვს?» – მკითხა მან. მე უარვყავი მისი წინადადება, პირველ ყოვლისა, იმიტომ, რომ ალბერტინის მარტო დატოვება არ მინდოდა, მეორეც, რობერის მეგობრებს დავშორდი. დავშორდი მათ, ანუ საკუთარ თავს. ჩვენ გატაცებით ვოცნებობთ სხვა სამყაროზე, რომელშიც ჩვენ ვიქნებოდით ისეთივენი, როგორებიც აქ ვიყავით. მაგრამ გვავიწყდება, რომ იმქვეყნად გადასვლის დალოდების გარეშე, რამდენიმე წელიწადში ამქვეყანაზე ვხდებით სხვანაირები და არა ისეთები, როგორებიც გვინდა დავრჩეთ სამუდამოდ. სულ ერთია, ჩვენ სხვა სამყაროში ის «მე» რომ შეგვხვედროდა, რომელიც ადრე

ჩვენვე ვიყავით, მას ზურგს შევაქცევდით ისევე, როგორც იმ ადამიანებს, რომლებთანაც ვმეგობრობდით და დიდი ხანი არ გვინახავს. სენ-ლუსნაირი მეგობრებივით, რომელთან ყოველდღიური შეხვედრებიც «ოქროს ხოხობში» ძალიან დიდ სიამოვნებას მანიჭებდა, ახლა კი მასთან საუბარს ვერ ავაწყობდი და ჩემთვის მძიმე ასატანიც იქნებოდა. აი, ამიტომ და კიდევ იმის გამო, რომ მე არ მინდოდა, ის მომეძებნა აქ, რაც ოდესღაც ჩემთვის ძალიან ძვირფასი იყო, შეიძლება დონსიერზე გასეირნება სამოთხეში გადასახლებად მომჩვენებოდა. ჩვენ ხშირად ვფიქრობთ სამოთხეზე, ან, უფრო სწორად, მრავალრიცხოვან სამოთხეებზე, რომლებიც ერთმანეთს ენაცვლება, მაგრამ ისინი, ჯერ კიდევ ჩვენს გარდაცვალებამდე დიდი ხნით ადრე, დაკარგული სამოთხეები აღმოჩნდებიან ხოლმე, სადაც ჩვენც დაკარგულებად ვგრძნობთ თავს.

სენ-ლუ სადგურში დაგვშორდა. «შეიძლება ერთი საათი ლოდინი მოგიხდეს, – გამაფრთხილა მან. – თუ აქ ამდენ ხანს დაჰყოფ, მაშინ აუცილებლად შეხვდები ბიძია შარლიუს – იგი პარიზში მიემგზავრება შენი მატარებლის გასვლამდე ათი წუთით

ადრე. უკვე გამოვემშვიდობე. უკან მის გამგზავრებამდე უნდა დავბრუნდე. შენ შესახებ არაფრის თქმა არ შემეძლო – შენმა დეპეშამ ჩამოსვლა ვერ მოასწრო». როდესაც სენ-ლუ ჩვენგან წავიდა, ალბერტინი საყვედურებით ავავსე, მან კი მიპასუხა, რომ ჩემ მიმართ სიცივის გამოვლინებით, მას სურდა იმ შთაბეჭდილების შეცვლა, რომელიც სენ-ლუს შეიძლებოდა შექმნოდა, როცა მატარებელი გაჩერდა და შეამჩნია, რომ მისკენ დავიხარე და წელზე მოვხვიე ხელი. მან მართლაც მიაქცია ამას ყურადღება (მაშინვე არ დამინახავს სენ-ლუ, თორემ უფრო თავდაჭერილად მოვიქცეოდი) და ჩამჩურჩულა: «ეს ერთ-ერთი იმ უკარებათაგანია, რომელთა შესახებაც შენ მიამბობდი, – ერთ-ერთი იმათგანი, რომლებიც თავს არიდებდნენ მადმუაზელ დე სტერმარიასთან სტუმრობას, რადგან მას ცუდი ყოფაქცევის ქალად მიიჩნევდნენ?» სინამდვილეში კი, როცა მე პარიზიდან დონსიერში ჩავედი

რობერთან შესახვედრად, საუბარი ბალბეკს შეეხო, და ვუთხარი გულახდილად, რომ ალბერტინთან არაფერი გამომდიოდა, რადგან იგი უმწიკვლოების განსახიერება იყო. ახლა კი, როცა უკვე დიდი გამოცდილება მქონდა და ვიცოდი, რომ ეს სიმართლე არ იყო, განსაკუთრებით მინდოდა, რომ რობერს ჰგონებოდა, თითქოს ეს სიმართლე იყო. მხოლოდ ის უნდა მეთქვა, რომ მიყვარდა ალბერტინი. რობერი იმ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომლებიც უარს ამბობენ ყოველგვარ სიამოვნებაზე, ოღონდ მეგობარი იხსნან იმ ტანჯვისგან, რომელიც მათთვისაც ისეთივე აუტანელი იქნებოდა, როგორც საკუთარი ტანჯვა. «ჰო, მასში ჯერ კიდევ ბევრი რამ არის ბავშვური. მის შესახებ არაფერი იცი?!» – შევეკითხე შეშფოთებით. «არაფერი, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ თავი შეყვარებული წყვილივით გეჭირათ».

«თქვენმა მოქცევამ რობერის შთაბეჭდილება ვერ შეცვალა», – ვუთხარი ალბერტინს, როცა სენ-ლუ ჩვენგან წავიდა. «მართალია, – დამეთანხმა, – ყველაფერი მოუხერხებლად გამომივიდა, გაწყენინეთ, მე ეს უფრო მეტად მტკივა, ვიდრე თქვენ. ნახავთ, რომ მე არასოდეს ვიქნები ასეთი. მომიტევეთ», – თქვა მან და მწუხარე სახით ხელი გამომიწოდა. ამ დროს, მოსაცდელი დარბაზის სიღრმეში, სადაც ჩვენ ვისხედით, ბარონი დე შარლიუ დავინახე – იგი ნელი ნაბიჯით მოდიოდა, ოდნავ მოშორებით მტვირთავი მოჰყვებოდა, რომელსაც მისი ჩემოდნები მოჰქონდა.

პარიზში, სადაც მას მხოლოდ საღამოებზე ვხვდებოდი, უძრავად მდგარს, შავ ფრაკში, ტანზე რომ მჭიდროდ ადგა და თავი გამართულად, ამაყად ეჭირა, რათა შთაბეჭდილება მოეხდინა და საკუთარი მჭევრმეტყველება დაეფარა, მაშინ ვერ ვამჩნევდი, როგორი დაბერებული იყო. ახლა, როცა ღია ფერის სამგზავრო კოსტიუმში იყო გამოწყობილი, რომელიც უფრო მსუქანს აჩენდა, რწევით მოდიოდა, ღიპსა და უკანალს ისე აქანავებდა, როგორც რაღაც სიმბოლოს,

დაუნდობელი დღის სინათლე კი, რომელიც მის შეღებილ ტუჩებსა და შეპუდრულ ნიკაპს ეცემოდა, რომელზეც პუდრა კოლდკრემის წყალობით თუ ჩერდებოდა, ასევე ცხვირის წვერზე, შავ-შავ ულვაშზე, რომელიც არაფრით მოდიოდა ჰარმონიაში

ჭაღარაშეპარულ თმასთან, აშიშვლებდა იმას, რაც ხელოვნური განათების დროს ახალგაზრდულ და სინორჩის შთაბეჭდილებას ტოვებდა.

დროის სიმცირის გამო, სერიოზული საუბრის გაბმა შეუძლებელი იყო იმიტომ, რომ მატარებელი სადაცაა, უნდა გასულიყო, ჩემს მომლოდინე ალბერტინს ვუყურებდი, რომელიც ვაგონთან იდგა და ვანიშნებდი, რომ მალე მივიდოდი. როცა მე დე შარლიუსკენ სახით შევბრუნდი, მან მთხოვა, რომ მის ნათესავ სამხედროსთან მივსულიყავი და მეთქვა, რომ ეძახდა, – ნათესავი რელსების იქითა მხარეს იდგა, თითქოს ისიც ჩვენს მატარებელში აპირებდა ასვლას, მაგრამ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი, თუ მატარებელი ბალბეკიდან წამოვიდოდა. «პოლკის ორკესტრში მსახურობს, – ამიხსნა დე შარლიუმ. – საბედნიეროდ, თქვენ ჯერ ახალგაზრდები ხართ, მე კი, საუბედუროდ, უკვე ვბერდები, – თქვენთვის უფრო ადვილია რელსებზე გადასვლა». საკუთარ თავზე ავიღე, მივსულიყავი სამხედროსთან და მის საყელოზე ამოქარგული ლირის დანახვისთანავე მივხვდი, რომ იგი მართლაც მუსიკოსი იყო. მაგრამ, როდესაც უკვე მზად ვიყავი მოცემული დავალების შესასრულებლად, გაოგნებული და გახარებული დავრჩი, რომ სამხედროში ჩემი ბიძის ლაქიის ვაჟი, მორელი ამოვიცანი, ადამიანი, რომელთანაც ბევრი მოგონება მაკავშირებდა! დე შარლიუს თხოვნა სრულიად გადამავიწყდა. «ესე იგი, თქვენც დონსიერში ხართ? – დიახ, საარტილერიო პოლკის ორკესტრში ჩამრიცხეს». მშრალად და მედიდურად მელაპარაკებოდა. იგი გამდიდრებულიყო და ჩემთან შეხვედრა, რაც მას მამის საქმიანობას ახსენებდა, მისთვის უსიამოვნო იყო. ამ დროს შევნიშნე, რომ ჩვენკენ დე

შარლიუ მოდიოდა. ალბათ, გაბრაზდა, რომ შევყოვნდი. «ამ საღამოს მუსიკას მოვისმენდი, – თითქოს მორელს არ მიმართავდა, ისე დაიწყო დე შარლიუმ, – ერთ საღამოში ხუთას ფრანკს ვიხდი, – იქნებ ამან დააინტერესოს თქვენი მეგობრები, თუკი გყავთ ვინმე მუსიკოსებს შორის». ჩემთვის ძალზე კარგად იყო ნაცნობი დე შარლიუს მედიდურობა, და მაინც, იმან გამაოგნა, რომ იგი არც კი მიესალმა თავის ახალგაზრდა მეგობარს. მაგრამ ბარონმა არ მომცა იმის დრო, ამაზე დავფიქრებულიყავი. ალერსიანი მზერით დე შარლიუმ ხელი გამომიწოდა. «ნახვამდის, ჩემო ძვირფასო!» – თქვა მან და ამით მიმახვედრა, რომ იქ ზედმეტი ვიყავი. მეც უკვე დიდი ხნის წინათ უნდა მივსულიყავი საყვარელ ალბერტინთან, რომელიც მარტო დავტოვე. «იცით, რა, – ვთქვი მე, როცა კვლავ დავიკავე ვაგონში ადგილი, – კურორტზე ცხოვრება და მოგზაურობა მარწმუნებს იმაში, რომ მაღალი წრის თეატრში უფრო ნაკლები დეკორაციებია, ვიდრე აქტიორები, და ნაკლები აქტიორები, ვიდრე «სიტუაციები». «რატომ მეუბნებით ამას?». «იმიტომ, რომ დე შარლიუმ მთხოვა მისი მეგობრის დაძახება და ახლა, ამ ბაქანზე, მასში ჩემი დიდი ხნის მეგობარი შევიცანი». ამის შესახებ საუბრისას ვცდილობდი, გამომეცნო, როგორ შეიტყო ბარონმა იმ სოციალური უთანასწორობის შესახებ, რომელიც მასა და მორელს შორის არსებობდა და რის შესახებაც მე არ მიფიქრია. თავიდან მეგონა, რომ ეს მან ჟიულიენისგან შეიტყო, რომლის ქალიშვილიც, როგორც გვახსოვს, მგონი,

მევიოლინეზე იყო შეყვარებული. როგორც უნდა ყოფილიყო, გაოგნებული ვიყავი იმით, რომ პარიზის მატარებლის გასვლამდე ხუთი წუთით ადრე ბარონმა მუსიკის მოსმენის სურვილი გამოთქვა. თუმცა, წარმოვიდგინე თუ არა ჟიულიენის ქალიშვილი, ჯერ ვიფიქრე, რომ ამ «ნაცნობობაში» შეიძლება ასახულიყო ცხოვრების ფრიად მნიშვნელოვანი მხარე, ჩვენ რომ ნამდვილი რომანტიკოსის სიმაღლეებამდე მიღწევა შეგვძლებოდა, მაგრამ გონება გამინათდა და მივხვდი, როგორი მიამიტი ვიყავი. ამ დრომდე ბარონს არასოდეს უნახავს მორელი და არც მორელს – ბარონი, რომელიც სამხედროს

დანახვამ დააბრმავა და დააბნია, რომელსაც, მართალია, მხოლოდ ლირები ჰქონდა დაკერებული, მაგრამ იმდენად უნდოდა მისი გაცნობა, რომ მე მთხოვა მასთან იმ ადამიანის მიყვანა, რომელთანაც ჩემს ნაცნობობაზე არც კი ეჭვობდა. ყოველ შემთხვევაში, ის ხუთასი ფრანკი, ალბათ, მორელისთვის იმის საზღაური იქნებოდა, რომ მანამდე მათ შორის არავითარი ურთიერთობა არ არსებობდა, ისინი კვლავ საუბრობდნენ და არც კი ფიქრობდნენ იმაზე, რომ ჩვენი ვაგონის სიახლოვეს იდგნენ. როცა გავიხსენე, როგორ მოგვიახლოვდა დე შარლიუ მე და მორელს, მაშინვე დავინახე, როგორ ჰგავდა დე შარლიუ თავის ნათესავებს, რომლებიც ქუჩაში ქალებს აეკიდებიან ხოლმე. ოღონდ, ამ შემთხვევაში, მსხვერპლი სხვა სქესის იყო. განსაზღვრული ასაკიდან დაწყებული, მაშინაც კი, თუკი ჩვენში განსხვავებული ცვლილებები ხდება, – რაც უფრო მეტად ვუახლოვდებით საკუთარ თავს, უფრო ნათლად ვლინდება ოჯახური თავისებურებები. ბუნება ცდილობს საკუთარი ქსოვილის ნახატის ჰარმონიულობის მიღწევას, კომპოზიციის ერთფეროვნებას არღვევს ორნამენტის ახირებულობით და ბოლომდე არ ასრულებს. მედიდურობა, რომლითაც დე შარლიუ მევიოლინეს ზომავდა, სხვადასხვაგვარად შეიძლებოდა შეფასებულიყო. ამ მზერას გაამართლებდა მაღალი წრის წარმომადგენელთა სამი მეოთხედი, რომლებიც მიჩვეულნი იყვნენ მისალმება-დამშვიდობებას, მაგრამ არა პოლიციის პრეფექტი, რომელმაც რამდენიმე წლის შემდეგ მევიოლინეზე თვალთვალი დააწესა:

«ბატონო! პარიზის მატარებელი ახლავე გავა», – განაცხადა მტვირთავმა, რომელსაც ხელში ჩემოდნები ეჭირა. «ოჰ, ჯანდაბას, არსად არ მივდივარ, ნივთები შემნახველ საკანში ჩააბარეთ!» – თქვა დე შარლიუმ და მტვირთავს ოცი ფრანკი მისცა. მას მგზავრის გეგმების შეცვლა გაუკვირდა, გასამრჯელო კი გაუხარდა. დე შარლიუს გულუხვობამ მეყვავილე ქალის

ყურადღება მიიპყრო: «იყიდეთ, კეთილო ბატონო, მიხაკები, ნახეთ, როგორი ვარდია, ის თქვენ ბედნიერებას მოგიტანთ». იმიტომ, რომ იგი თავიდან მოეშორებინა, დე შარლიუმ მას ორმოცი სუ მისცა, მეყვავილემ კი კეთილი სურვილები არ დაიშურა და ეცადა, ყვავილები შეეჩეჩებინა. «ღმერთო ჩემო, ოდესმე დამანებებს თავს?!» – მოთმინებადაკარგული ადამიანის კომიკურ-საწყალობელი ტონით მიმართა დე შარლიუმ მორელს, რომლის მხარდაჭერაც მისთვის გარკვეულწილად სასიამოვნოც იყო. «ჩვენ მნიშვნელოვან რაღაცებზე უნდა ვისაუბროთ». შეიძლება, მტვირთავი ჯერ

ისევ საკმაო მანძილზე არ იყო გასული, დე შარლიუს გეგმებში კი არ შედიოდა, რომ მათ გარშემო მრავალრიცხოვანი აუდიტორია შეკრებილიყო, ან, შესაძლოა, ეს შესავალი მის მედიდური სიმორცხვიდან შეხვედრის თხოვნაზე გადასვლას ამსუბუქებდა. მუსიკოსი შეუვალი და გამეხებული სახით შებრუნდა მეყვავილისკენ და ხელით განზე გასწია, რითიც აგრძნობინა, რომ მისი ყვავილები არავის სჭირდებოდა და სწრაფად უნდა წასულიყო აქედან. დე შარლიუ აღფრთოვანებული იყო ამ მბრძანებლური, მამაკაცური მოძრაობით, იმდენად ნატიფისა, რომ სხვა მამაკაცის ასეთივე მოძრაობა შეიძლება მოუხერხებელი, უხეში მოჩვენებოდა, მაგრამ ეს მოძრაობა მიანიშნებდა მის ადრეულ ასაკში განვითარებულ მოქნილობაზე, რაც ამ უწვერო ახალგაზრდას ყმაწვილ დავითთან აახლოებდა, რომელიც მზად იყო, გოლიათს შებრძოლებოდა. ბარონის აღფრთოვანება უნებურად იმ ღიმილში გამოიხატა, რომელიც გვიჩნდება, როდესაც ბავშვისთვის უჩვეულო სახის გამომეტყველებას ვხედავთ. «კარგი იქნებოდა, ასეთი ადამიანი მახლდეს მოგზაურობისას და საქმეებში მეხმარებოდეს! – გაიფიქრა დე შარლიუმ. – რამდენად გამიადვილდებოდა ცხოვრება!»

პარიზის მატარებელი (რომელშიც ბარონი მაინც არ ავიდა) დაიძრა. ამის შემდეგ მე და ალბერტინი ჩვენს მატარებელში ჩავსხედით და, მაინც ვერ გავიგე, როგორ დასრულდა დე

შარლიუსა და მორელის შეხვედრა. «ჩვენ არასოდეს აღარ ვიჩხუბებთ, კიდევ ერთხელ გთხოვთ პატიებას, – წარმოთქვა ალბერტინმა, მხედველობაში სენ-ლუსთან თავისი მოქცევა ჰქონდა. – მოდით, ყოველთვის ალერსიანები ვიყოთ ერთმანეთის მიმართ, – თბილად განაგრძო მან. – რაც შეეხება თქვენს მეგობარ სენ-ლუს, თუ ფიქრობთ, რომ მან ჩემზე ოდნავი შთაბეჭდილებაც კი მოახდინა, მწარედ ცდებით. მასში მხოლოდ ის მომწონს, რომ, როგორც ჩანს, ნამდვილად უყვარხართ». «ის შესანიშნავი ყმაწვილია, – ვთქვი მე და რობერზე ახლა ალბერტინთან კი არა, სხვა ვინმესთან რომ მესაუბრა, მას ბევრ არარსებულ სრულყოფილებას მივაწერდი, მაგრამ, ამ შემთხვევაში კი თავი შევიკავე. – ის შესანიშნავი ადამიანია, პატიოსანი, პირდაპირი, ერთგული მეგობარი, მისი იმედი ყველაფერში შეიძლება გქონდეს». ეჭვიანობით შეპრობილი სენ-ლუზე მხოლოდ სიმართლეს ვამბობდი, ჭეშმარიტ სიმართლს, ყველაფერს იმ სიტყვებით გამოვხატავდი, რომელთაც მარკიზა ვილპარიზი იყენებდა მისი დახასიათებისას. როცა მე და რობერი ჯერ კიდევ არ ვიცნობდით ერთმანეთს, ოდესღაც იგი სულ სხვა ადამიანად წარმომედგინა – მედიდურ ადამიანად – და საკუთარ თავს ვეუბნებოდი: «მას კარგად მხოლოდ იმიტომ ახასიათებენ, რომ მნიშვნელოვანი პიროვნებაა». აი, კიდევ ერთი მაგალითი – ერთხელ როგორღაც მარკიზამ მითხრა: «ის ბედნიერი იქნება!» – მერე კი, როცა დავინახე, როგორ გაიარა სასტუმროს წინ ცხენზე ამხედრებულმა, გავიფიქრე, რომ მისი დეიდის სიტყვები სუფთა წყლის მაღალი წრის ბანალურობა იყო, ჩემთვის სიამოვნების მოსანიჭებლად თქმული. მაგრამ მალე მივხვდი, რომ მან იცის ჩემი ინტერესების სფერო, იცის, რას ვკითხულობ, იცის სენ-ლუს გემოვნება და ამის გამო სრულიად გულწრფელი ბრძანდებოდა, – სწორედ

ამგვარად, გულწრფელად ვუთხარი ერთ ადამიანს, რომელიც თავისი წინაპრის, ლაროშფუკოს ბიოგრაფიას წერდა, რომელმაც «მაქსიმები» დაწერა, რომ «იგი ბედნიერი იქნება!» ამის შემდეგ გავიცანი რობერი. მაგრამ, როდესაც პირველად დავინახე, ვერ დავიჯერე, რომ ჩემი მონათესავე

გონება იფარებოდა ასეთი ნატიფი სამოსისა და კარგი ქცევების უკან. როცა მის გარეგნულ იერს ვუყურებდი, რობერს რაღაც განსაკუთრებულ ადამიანთა ჯიშს მივაკუთვნებდი. და, აი, ახლა, ალბერტინმა, ნაწილობრივ, შესაძლოა იმიტომ, რომ სენ-ლუ მას ცივად მოექცა, ან რადგან მე ვეცოდებოდი, ის მითხრა, რაზეც მეც მიფიქრია ადრე: «ვითომ მართლა ასეთი ერთგული მეგობარია! შევამჩნიე, რომ ადამიანში ყველა საუკეთესო თვისებას მაშინ ამჩნევენ, თუ ის სენ-ჟერმენის შემოგარენიდან არის». მე კი მთელი იმ წლების განმავლობაში, როდესაც სენ-ლუ ისე მექცეოდა, როგორც თანასწორს და საუკეთესო თვისებებს ავლენდა, არასოდეს გამხსენებია, რომ ის სენ-ჟერმენის შემოგარენიდან იყო. ასე დროის ცვლასთან ერთად იცვლება ჩვენი შეხედულება ადამიანთა შესახებ, იცვლება უფრო მძაფრად, როცა მათ მეგობრობა აკავშირებთ და არა უბრალო ადამიანური ურთიერთობა, კიდევ უფრო მძაფრად კი მაშინ, თუ ორ ადამიანს უყვარს ერთმანეთი, თუკი სურვილი, რომელიც სინატიფის საზომს ფლობს, უსაზღვროდ აძლიერებს სიცივის მცირედ გამოვლინებასაც კი: ასე, მაგალითად, საკმარისი იყო, რობერს გამოევლინა იმაზე ნაკლები სიცივე, რომელიც თავიდან გამოავლინა, რომ მე მაინც ვიფიქრებდი, რომ ალბერტინისთვის სულაც არ ვიყავი ძვირფასი, წარმოვიდგენდი, თითქოს მისი მეგობრები – ფანტასტიკურად უსულგულო არსებები არიან და ყველაფერს მხოლოდ იმ შემწყნარებლობას, რის უფლებასაც სილამაზე და თავისებური ელეგანტურობა ანიჭებთ, მივაწერდი იმ სიტყვებს, რომლებიც ელსტიერმა მითხრა ფრთოსანთა ამ გუნდზე იმავე გრძნობით, როგორითაც მარკიზა დე ვილპარიზი ამბობდა სენ-ლუს შესახებ: «კარგი გოგონები». და ნუთუ ასეთივე სიტყვების თქმა არ მინდოდა ალბერტინის შესახებ ახლა, როცა იგი მეუბნებოდა: «ერთგული მეგობარია თუ არა, – სულაც არ ვაპირებ მასთან შეხვედრას, რადგან მე და თქვენ წაგვაჩხუბა. მოდით, ერთმანეთს არასოდეს გავუბრაზდეთ. ეს ცუდია». ახლა, იმის შემდეგ, რაც თითქოს სენ-ლუ ალბერტინს მოეწონა, დროებით თითქმის განვიკურნე ეჭვისგან, რომ თითქოს მას ქალები

უყვარს, – მაშინ ეს შეუთავსებლად მეჩვენებოდა. ვუყურებდი ალბერტინის ნაცრისფერ, წყალგაუმტარ ლაბადას, ის საკუთარ თავს არ ჰგავდა, წვიმიან ამინდში დაუოკებელი მოგზაური გეგონებოდათ და, მის ტანზე შემოხვეულ ლაბადას არა მარტო უნდა დაეცვა მისი კაბა დასველებისგან, არამედ თვითონაც გაჟღენთილიყო წყლით და სხეულზე მიწებებულიყო, რათა მოქანდაკის სურვილით, მასზე საკუთარი ანაბეჭდი დაეტოვებინა, უცებ შემოვგლიჯე ეს საფარველი, რომელიც ჩემთვის სასურველ მკერდს ფარავდა, მივიზიდე ალბერტინი და შევძახე: «არ გინდა, გულგრილო მწირო, მკერდზე თავით მომეყრდნო და იოცნებო?» – მერე ორივე ხელი თავზე მოვკიდე და დატბორილი მინდვრები დავანახე, რომლებიც შორს ჩანდა მზის

ჩასვლის სიჩუმეში გარინდულ ჰორიზონტზე და ნაცრისფერ-ცისფერი გორაკების ორ პარალელურ რიგზე.

ორი დღის შემდეგ, ამ ადგილებში გახმაურებულ ერთ-ერთ ოთხშაბათს, მე იმავე სააგარაკო მატარებელში ვიჯექი, რომლითაც იმ დღეს ბალბეკიდან ლა რასპელიერში სავახშმოდ გავემგზავრე და არ მასვენებდა აზრი იმის შესახებ, რომ გრენკურ-სენ-ვასტში ვერ შევამჩნევდი კოტარს, სადაც – რის შესახებაც ტელეფონით მაცნობა ქალბატონმა ვერდიურენმა – ჩვენ ერთმანეთს უნდა შევხვედროდით. ჩემს მატარებელში უნდა ამოსულიყო და ეჩვენებინა, სად იდგნენ სადგურზე ლა რასპელიერიდან გამოგზავნილი ეკიპაჟები. ვიცოდი, რომ სააგარაკო მატარებელი გრენკურში, დონსიერის მომდევნო სადგურში, მხოლოდ ერთ წუთს ჩერდებოდა, დროულად მივედი ფანჯარასთან – მეშინოდა, რომ კოტარს ვერ შევამჩნევდი ან ის ვერ დამინახავდა. ამაოდ ვღელავდი. ვერ გავითვალისწინე, რომ კლანმა თავისი «მუდმივი სტუმრები» ერთ ყალიბში ჩამოასხა, ამიტომ მათ, მით უფრო, თუ ვახშმის გამო იყვნენ გამოპრანჭულნი, ადვილად იცნობდით ბაქანზე მომლოდინე ბრბოში – ისინი

თავდაჯერებულობით, სინატიფით და ბუნებრიობით გამოირჩეოდნენ, ისე ათვალიერებდნენ ჩვეულებრივი მგზავრების რიგებს, თითქოს მათი მზერა სიცარიელეში იკარგებოდა, სადაც ყურადღებას არაფერი იპყრობს, რათა არ გამორჩენოდათ რომელიმე «მუდმივი სტუმარი», რომელიც ერთ-ერთ მახლობელ სადგურზე ჩაჯდა მატარებელში და მოუთმენლად ელოდნენ ამ შეხვედრას, რომელსაც მაღალი წრის საუბარი მოჰყვებოდა. გამორჩეულობის ნიშანი, რომელიც ამ წრეში შემავალ ადამიანებზე აღბეჭდილიყო, არა მარტო მაშინ შეინიშნებოდა, როცა ისინი, თავიანთი მრავალრიცხოვნებით აღმატებულნი, ერთად იდგნენ სხვა მგზავრების ნახირს შორის, რომელთაც ბრიშო საქონელს უწოდებდა და რომელთა უფერულ სახეებზეც ვერაფერს ამოიკითხავდით, იმის იმედიც არ ჩანდა, რომ ოდესმე ლა რასპელიერში ივახშმებდნენ და ღია ფერის ლაქას ქმნიდნენ. ეს ჩვეულებრივი მგზავრები უფრო ნაკლებად დაინტერესდებოდნენ, ვიდრე მე, თუ მათი თანდასწრებით დაასახელებდნენ, – მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მათგანი ძალზე ცნობილი გახდა – «ერთგულთა» სახელებს. თუმცა, სხვათა შორის, ჩემდა გასაკვირად, «ერთგულები» ქალაქში ვახშმობას აგრძელებდნენ, არადა, სხვა ადგილებშიც ვახშმობდნენ ჯერ კიდევ ჩემს დაბადებამდე – შორეულ და საარაკო დროში, მე სურვილი არც კი გამჩენია, ის დრო გამეგრძელებინა, იმ დროსა და ჩემს დროს შორის რომ არსებობდა. მათი არსებობის ხანგრძლივობას შორის არსებული კონტრასტი – და არა მხოლოდ ხანგრძლივობის, არამედ მათი ძალების გაფურჩქვნისა, – ერთი მხრივ, და მეორე მხრივ, – ხან ერთი და ხან მეორე მეგობრის დაკარგვა, – ჩემში ისეთ გრძნობებს იწვევდა, როგორსაც მაშინ გავნიცდით, როცა გაზეთის ბოლოში იმას ვპოულობთ, რასაც ყველაზე ნაკლებ ველით, – მაგალითად, ვინმეს უდროო გარდაცვალების ცნობას, რაც მოულოდნელი გეჩვენებათ იმიტომ, რომ იმ მიზეზების შესახებ, რომელთა შედეგიც ის გახდა, ჩვენ არაფერი გაგვიგია. ეს

გრძნობა გვკარნახობს, რომ ადამიანებთან სიკვდილი სხვადასხვანაირად მოდის, რომ, რომელიღაც ტალღას, რომელიც

ტრაგიკული მოქცევის თავში მოექცევა, მიაქვს ის სიცოცხლე, რომელიც იმავე დონეზეა განლაგებული, რომელზედაც სხვები, რომლებსაც კიდევ დიდხანს დაინდობს მის უკან მომავალი ტალღები. მოგვიანებით დავინახავთ, რომ სიკვდილის მრავალსახეობა, რომელიც ჩვენ გარშემო მალულად მოძრაობს, არის იმ განსაკუთრებული მოულოდნელობის მიზეზი, რასაც ჩვენთვის წარმოადგენს საგაზეთო ნეკროლოგები. და კიდევ უფრო მოგვიანებით დავრწმუნდი იმაში, რომ ნამდვილი ნიჭი, რომელსაც მშვენივრად ეწყობა მეტყველების საოცარი სიბილწე, ვლინდება და აღიარებას ჰპოვებს მხოლოდ დროის გასვლის შემდეგ ისევე, როგორც ჩვეულებრივი ადამიანები, ბოლოს და ბოლოს, იკავებენ მაღალ მდგომარეობას, რაც ჩვენს ბავშვურ წარმოდგენებში დაკავშირებულია ბრძენ მოხუცებთან, მაგრამ ჩვენ ხომ არ ვფიქრობთ იმაზე, რომ რამდენიმე წლის შემდეგ მათი მოსწავლეები, თავის მხრივ, გახდებიან სხვების დამრიგებლები და ჩაუნერგავენ იმ შიშსა და პატივისცემას, რასაც თვითონ გრძნობდნენ ოდესღაც. «ერთგულთა» სახელები მასისთვის ცნობილი არ იყო, ისინი მათ გარეგნობით გაარჩევდნენ. როდესაც შემთხვევა, რომელიც ამათაც და იმათაც დღის განმავლობაში მართავდა, ერთ ვაგონში შეყრიდა «ერთგულებს». ისღა დარჩენოდათ, ვინმე მარტოხელა თანამგზავრი წაეყოლებინათ, ეს ვაგონი, რომელსაც მაშინვე იცნობდით მოქანდაკე კოტარის იდაყვით, შორიდან ისე მოჩანდა, როგორც დიდებული საომარი ეტლი, რომელიც იმ სადგურზე ჩერდებოდა, სადაც მათ ჩამორჩენილი ამხანაგი უნდა შეერთებოდა. ერთადერთი ადამიანი, რომელიც ამ განმასხვავებელ ნიშნებს ვერ გაარჩევდა, რადგან ვერაფერს ხედავდა, ბრიშო გახლდათ. მაგრამ მაშინ სხვა «მუდმივი სტუმრები» ნებაყოფლობით ასრულებდნენ ბრმის ნაცვლად დამკვირვებლის მოვალეობას და, როგორც კი ბრიშოს ჩალის ქუდი, მწვანე ქოლგა და ცისფერი სათვალე გამოჩნდებოდა, იგი მოწიწებით და ფრთხილად მიჰყავდათ რჩეულთა ვაგონთან. ამგვარად, არ ყოფილა შემთხვევა, რომ რომელიმე «ერთგული» თავისიანებს არ

შეხვედროდა გზაში, თუ ის «ტრანსპორტის სხვა სახეს» არ აირჩევდა. ზოგჯერ რაღაც საწინააღმდეგო ხდებოდა: «ერთგულთაგან» რომელიმე დღისით საკმაოდ შორს მიემგზავრებოდა, მას მარტოს უნდა გაევლო გზის ნაწილი, ვიდრე მთელი კლანი არ შეუერთდებოდა; მაგრამ მარტოობაშიც, რადგან თავისი ჯიშის ერთადერთი წარმომადგენელი იყო, ის მაინც იქცევდა ყურადღებას. მომავალი, რომლისკენაც ის ისწრაფოდა, მგზავრის თვალში, რომელიც მის წინ იჯდა, მას გამოარჩევდა და საკუთარ თავს ეუბნებოდა: «ეს უბრალო მოკვდავი არ არის»; სკის ან კოტარის დახვეწილი შლაპის ირგვლივ იგი ხედავდა ოდნავ შესამჩნევ შარავანდედს და ძალიანაც არ უკვირდა, როცა შემდეგ სადგურზე, თუ ეს ბოლო გაჩერება იყო, ელეგანტური ადამიანების ბრბო, რომელთაც პატივისცემით ესალმებოდა რკინიგზის მოსამსახურე, ეკიპაჟთან მიჰყავდათ. ზუსტად ასე მოიქცა – ამასთან, არაჩვეულებრივი სისწრაფით, რადგან ზოგიერთებმა დაიგვიანეს და ზუსტად იმ

მომენტში მოუსწრეს, როცა მატარებელი უკვე სადაცაა, გასვლას აპირებდა, – ლაშქარი, რომელმაც სწრაფი ნაბიჯით მიიყვანა კოტარი იმ ვაგონთან, საიდანაც მე ნიშანს ვაძლევდი. ბრიშოს ერთგულება კიდევ უფრო გაიზარდა ამ «ერთგულებს» შორის ყოფნის ბოლო წლებში, მაშინ, როცა სხვების გზნება განელდა. ბრიშოს მხედველობა უუარესდებოდა – სწორედ ამიტომ, იგი პარიზში უკვე აღარ მეცადინეობდა. ამასთან, მას სულაც აღარ იზიდავდა ახალი სორბონი, სადაც გერმანიაში დამკვიდრებულმა სამეცნიერო სიზუსტის პრინციპებმა ჰუმანიზმის შევიწროება დაიწყო. ახლა მხოლოდ თავის კურსს კითხულობდა და მონაწილეობას იღებდა საგამოცდო კომისიებში – ამჟამად ახლა უფრო მეტ დროს მაღალი წრის შეხვედრებს უთმობდა. სხვათა შორის, უნდა აღინიშნოს, რომ საყვარელმა ლამის ორჯერ შეძლო ის, რაც ვერ შეძლო მეცნიერებამ, ბრიშო ლამის მოწყვიტა კლანს, მაგრამ ქალბატონმა ვერდიურენმა, რომელიც ყოველთვის «ფხიზლად იყო» და, იმ ჩვევის თანახმად, რომელიც მან სალონის ინტერესებიდან გამომდინარე შეიძინა,

საბოლოოდ წააჩხუბა იგი იმ სახიფათო არსებასთან, იმ უნარის წყალობით, როგორც თვითონ ამბობდა, «ყველგან დაემყარებინა წესრიგი» და «გავარვარებული რკინით მოეწვა ჭრილობა». დიახ, ეს მისთვის დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა და, რადგანაც ერთ-ერთი სახიფათო პიროვნება ბრიშოს მრეცხავი გახლდათ და, ქალბატონი ვერდიურენი, რომელიც ზოგჯერ მეექვსე სართულს სტუმრობდა პროფესორის მოსანახულებლად, იმ უგვანოს გარეთ გაუძახებდა ხოლმე. «ეს რას ჰგავს? – წამოიყვირებდა ხოლმე მფარველი და ბრიშოს მიმართავდა. – ისეთი ქალი, როგორიც მე ვარ, პატივს გდებთ, სანახავად მოდის, თქვენ კი ასეთ არარაობას იღებთ?» ბრიშოს არ ავიწყდებოდა ის კეთილი საქმე, რაც ქალბატონმა ვერდიურენმა გაუწია, რომელმაც არ დაუშვა, რომ სიბერეში უბედური ყოფილიყო, რაც სულ უფრო და უფრო დამოკიდებულს ხდიდა მასზე. მისი ნაზი დამოკიდებულების საწინააღმდეგოდ, ან, შესაძლოა, სწორედ ამგვარი დამოკიდებულების მოზღვავების გამო, მფარველს მობეზრდა ეს «ერთგული» თავისი უსაზღვრო დამთმობი ხასიათისა და მორჩილების გამო. მაგრამ ბრიშოს ვერდიურენებთან მეგობრობა განსაკუთრებულ ბრწყინვალებას ანიჭებდა, რაც მას სხვა სორბონელი კოლეგებისგან ანსხვავებდა. იმ ვახშმების შესახებ ნაამბობი აბრმავებდათ, რომელზეც მათ არასოდეს მიიწვევდნენ, მის შესახებ დაბეჭდილი სტატია ჟურნალში და მისი პორტრეტი გამოფენაზე აბრმავებდათ, რომლებიც ცნობილ მწერალსა და ცნობილ მხატვარს ეკუთვნოდა, რომელთა ნიჭს ფილოლოგიური ფაკულტეტის სხვა კათედრების თანამშრომლებიც აღიარებდნენ. – დაბოლოს, ამ მაღალი წრის წარმომადგენელი ფილოსოფოსის სამოსის ელეგანტურობა აბრმავებდათ, რასაც თავიდან უზრუნველობად აღიქვამდნენ, ვიდრე მათმა კოლეგამ მოთმინებით არ აუხსნა, რომ ცილინდრი ვიზიტის დროს იატაკზე უნდა დაედო და თუ ქალაქგარეთ მიდიოდა ვახშამზე, როგორი ნატიფი საზოგადოებაც უნდა ყოფილიყო შეკრებილი, შლაპა უნდა დაეხურა, რომელიც ძალზე უხდება სმოკინგს. პირველ წამს, როცა «ერთგულები» ერთად შეცვივდნენ ვაგონში,

კოტარისთვის სიტყვის თქმაც ვერ მოვასწარი, რომელიც ძლივს სუნთქავდა არა იმის გამო, რომ მორბოდა, რათა არ დაგვიანებოდა მატარებელზე, არამედ იმ აღფრთოვანების გამო, რომ მატარებელს მოუსწრო. ეს უბრალო სიხარული არ იყო იმ ადამიანისა, რომელმაც წარმატებას მიაღწია – სიცილი ახრჩობდა, თითქოს ზუსტად ახლა უყურა ძალიან სასაცილო რაიმეს. «როგორ გამიმართლა! – მოსულიერდა თუ არა, მაშინვე წარმოთქვა – კიდევ ცოტაც და! ეშმაკმა დალახვროს! ამას ჰქვია – «უკანასკნელ წამს!» – დაამატა მან და თვალი ჩამიკრა, მაგრამ არა იმის გამო, რომ თანხმობა მიეღო, არამედ იმიტომ, რომ დასტური მიეღო იმაზე, რომ სწორად გამოთქვა თავისი აზრი, – თავდაჯერებულობით იყო აღსავსე და უსაზღვროდ კმაყოფილი საკუთარი თავისა. როგორც იქნა, შეძლო ჩემთვის კლანის სხვა წევრები გაეცნო. მე არასასიამოვნოდ გამაოცა იმ გარემოებამ, რომ თითქმის ყველას სმოკინგი ეცვა, როგორც უწოდებენ ამ კოსტიუმს პარიზში. სულ დამავიწყდა, რომ ვერდიურენებმა ერთხელ უკვე სცადეს, მოკრძალებულად, შერიგებოდნენ მაღალ საზოგადოებას. მაღალი საზოგადოებაც მზად იყო, ვერდიურენებისკენ ნაბიჯი გადმოედგა. ვერდიურენების სალონს მუსიკის ტაძარს უწოდებდნენ. მაღალი საზოგადოებიდან მათ არავინ სტუმრობდა, მაგრამ ისინი ამაზე საერთოდ არ ნაღვლობდნენ. ამტკიცებდნენ, რომ ვენტეილი სწორედ აქ პოულობს შთაგონების წყაროს და მხარდაჭერას. ვენტეილის სონატა ჯერ კიდევ ბევრს არ ესმოდა და არავისთვის იყო ცნობილი, მაგრამ მასზე საუბრობდნენ, როგორც თანამედროვეობის უდიდეს კომპოზიტორზე და მისი სახელი წარმატების შარავანდედით იყო მოსილი. სენჟერმენელ ახალგაზრდებს შორის, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ ისინი ბურჟუებზე განათლებულები უნდა ყოფილიყვნენ, სამი მუსიკას სწავლობდა. სწორედ ისინი მიიჩნევდნენ ვენტეილის სონატას სრულყოფილების მწვერვალად. სახლში მისვლისას თითოეული ამის შესახებ თავიანთ ინტელიგენტ დედას უყვებოდა, რომელმაც კულტურას აზიარა. დედები ინტერესით ადევნებდნენ თვალს იმას, თუ

როგორ სწავლობდნენ მათი ვაჟები და კონცერტებზე გარკვეული პატივისცემით უმზერდნენ ქალბატონ ვერდიურენს, რომელიც პირველ ლოჟაში იჯდა პარტიტურაში თავჩარგული. ჯერჯერობით ვერდიურენების ფარული ლტოლვა მაღალი საზოგადოებისკენ ურთიერთსაწინააღმდეგოდ ვლინდებოდა: «ო, ეს ქალი მომხიბლველი და ჭკვიანია. უგნურებს ვერ ვიტან. მათ სიგიჟემდე მივყავარ». ოდნავ გამჭრიახი ადამიანი მაშინვე მიხვდებოდა, რომ პრინცესა დე კაპრაროლა, რომელიც უმაღლეს საზოგადოებას ეკუთვნოდა, ქალბატონ ვერდიურენთან ბრძანდებოდა ვიზიტით. პრინცესამ ეს გვარი ქალბატონ სვანთან ახსენა, რომელთანაც მისი მეუღლის გარდაცვალების გამო სამძიმრის გამოსახატავად მივიდა, – მან ჰკითხა, იცნობდა თუ არა ქალბატონი სვანი ვერდიურენებს. «რა გვარები არიან?» – შეეკითხა ოდეტი და თვალებში ნაღველი ჩაუდგა. «ვერდიურენი». «ა, აი, თურმე ვისზე ამბობდით! – წამოიძახა მწუხარე სახით. – დიახ, ვიცნობ, უფრო სწორად, ვიცი მათ შესახებ, მაგრამ არ ვიცნობ, ოდესღაც ჩემს მეგობრებთან შევხვედრივარ. დიდი ხნის წინათ იყო. ისინი სიმპათიურები არიან». როცა პრინცესა დე კაპრაროლა გაემგზავრა,

ოდეტმა ინანა, რომ სრული სიმართლე არ უთხრა. მაგრამ ეს უნებური სიცრუე წინასწარი განზრახვით არ უთქვამს, არამედ, შიშის გამო. ოდეტი იმას კი არ უარყოფდა, რისი უარყოფაც სწორი იქნებოდა, არამედ იმას, რაც მას უნდოდა. თუნდაც თანამოსაუბრეს ერთი საათის შემდეგ შეეტყო, სინამდვილეში როგორ იყო ყველაფერი. მას მალევე დაუბრუნდა თავდაჯერებულობა და, თავიდან რომ აეცილებინა კითხვები და არ ეჩვენებინა, როგორ ეშინოდა ამის, ლაპარაკი დაიწყო: «ქალბატონი ვერდიურენი. მე თუ არა, მაშ, ვინ უნდა იცნობდეს!» – მის ტონში კი ხელოვნურობა იგრძნობოდა, თითქოს პატივსაცემი ქალბატონი იყო და ყვებოდა, როგორ მგზავრობდა ტრამვაით. «ახლა მხოლოდ ვერდიურენების შესახებ ლაპარაკობენ», – თქვა მარკიზა დე სუვრემ. «ჰო, ჩემი აზრით, მათ შესახებ მართლაც ბევრს ყვებიან. ასე ხდება ხოლმე დროდადრო, როცა საზოგადოებაში ახალი ადამიანები

ჩნდებიან», – დამამცირებელი ქირქილით აჰყვა ჰერცოგინიას ოდეტი, რომელსაც დაავიწყდა, რომ თვითონაც ახლებს მიეკუთვნებოდა. «პრინცესა დე კაპრაროლამ ივახშმა მათთან», – განაგრძო მარკიზა დე სუვრემ. «ჰო, მაგრამ არ მიკვირს! – კიდევ უფრო დამცინავად გაიღიმა და დაამატა ოდეტმა. – იწყება პრინცესა დე კაპრაროლათი, მერე კი გამოგეცხადება ვინმე გრაფინია მოლესნაირი», – დაასკვნა ოდეტმა ისეთი სახით, თითქოს ეზიზღებოდა ეს ორი მნიშვნელოვანი ქალბატონი, რომლებსაც ჩვევად აქვთ, პირველები შეეტენონ ახალგახსნილ სალონებში. მის ტონში იგრძნობოდა, რომ ვერც მას, ოდეტს და ვერც მარკიზა დე სუვრეს ასეთ საჩოთირო ადგილებში ვერ შეიტყუებდი.

მათთან ერთად, ვინც გრენკურში ჩემს ვაგონში ამოვიდა, აღმოჩნდა სანეტიც, რომელიც ვერდიურენების სახლიდან გააგდო მისმა ნათესავმა ფორშვილმა, მაგრამ, რომელიც მოგვიანებით მაინც დადიოდა მათთან. სანეტს ნაკლი და ღირსებები, – მაღალი წრის ადამიანების შეხედულებით, წარსულში ისეთივე ჰქონდა, როგორიც კოტარს: სიმორცხვე, სურვილი, რომ ყველას მოსწონებოდა, ოღონდ ამის უნარი არ ჰქონდა. თუმცა კოტარი თითქმის არ იცვლებოდა, – რაც მას აიძულებდა – ყოველ შემთხვევაში, სამედიცინო აკადემიის საავადმყოფოს პაციენტებთან – სახეზე მოერგო უგრძნობი, ბუზღუნა და ამპარტავანი ადამიანის ნიღაბი, რაც განსაკუთრებით მაშინ იყო შესამჩნევი, როცა იგი თავს იწონებდა კალამბურებით თავისი ნაკლებადმომთხოვნი მოწაფეების წინაშე. ბოლოს და ბოლოს, დიდი ზღვარი გაავლო უწინდელსა და ამჟამინდელ კოტარს შორის, სანეტთან კი პირიქით, ნაკლოვანებები მით უფრო მატულობდა, რაც უფრო ცდილობდა მათ გამოსწორებას. ხშირად, მოწყენილობის ჟამს, როცა ხედავდა, არ უსმენდნენ, იმის ნაცვლად, უფრო ნელა ელაპარაკა, როგორც მის ადგილზე კოტარი მოიქცეოდა, ყურადღება რომ მიეპყრო, კატეგორიული ტონით ლაპარაკობდა.

ცდილობდა, ხუმრობებით დაემსახურებინა პატიება საკუთარი მოსაზრებების ზედმეტი სერიოზულობის გამო, გარდა ამისა: იგი თავს აიძულებდა, მოკლედ ელაპარაკა, აბრევიატურებს იყენებდა, რათა არ ეჩვენებინა, რომ მისთვის ეს

ყოველივე სრულიად გასაგებია და ამით მხოლოდ იმას აღწევდა, რომ მსმენელს საბოლოოდ აბნევდა, რომლებსაც ეგონათ, რომ იგი არასდროს დაასრულებდა. მისი თავდაჯერებულობა სრულიად განსხვავდებოდა კოტარის თავდაჯერებულობისგან, რომლის პაციენტებიც ადგილზე შეშდებოდნენ მისი მზერისგან: «როცა იგი თავის კაბინეტში გიღებთ, სახით სინათლისკენ გსვამთ, თვითონ კი ფანჯრისკენ ზურგით ჯდება და გბურღავთ მზერით, თითქოს თქვენ წინაშე სრულიად სხვა ადამიანია». სანეტის თავდაჯერებულობა ვერ ახდენდა შესაბამის შთაბეჭდილებას, იგრძნობოდა, რომ ამის უკან უზომო მორცხვობა იმალებოდა, რომ ეს თავდაჯერებულობა სულ მცირე რაიმეს გამოც შეიძლებოდა გამქრალიყო. მეგობრები მუდმივად უმეორებდნენ სანეტს, რომ საკუთარ თავს ღირსეულად ვერ აფასებდა, იგი თავადაც გრძნობდა, რომ ის ადამიანები, რომლებსაც იგი, არც თუ უსაფუძვლოდ, თავისზე ნაკლებად მიაჩნდა, ყოველგვარი ზედმეტი ძალისხმევის გარეშე აღწევდნენ იმას, რაზეც მას უარი უთხრეს და ახლა უკვე ყოველთვის, იმის შიშით, რომ სერიოზული სახე მას ხელს შეუშლიდა საკუთარი «საქონლის» კარგად წარმოჩენაში, ღიმილით საუბარს იწყებდა და აგრძნობინებდა მსმენელს, რომ ეს ძალზე სახალისო იქნებოდა. ზოგჯერ, როდესაც დაიჯერებდნენ, რომ იგი ნამდვილად აპირებდა პუბლიკის გართობას, მსმენელი ჩუმდებოდა, მაგრამ ყველაფერი სანეტის სრული მარცხით მთავრდებოდა. მხოლოდ იშვიათი სტუმარი თუ გაამხნევებდა მას სიბრალულის გამო, ისიც ისე, რომ არავის დაენახა, რათა ყურადღება არ მიექცია, ისე, თითქოს ხელში ბარათს უდებდა. მაგრამ მეტს ვერავინ რისკავდა, ვერავინ ბედავდა, სანეტის მხარე ღიად, ხმამაღალი სიცილით დაეჭირა. როდესაც თავის ისტორიას დაასრულებდა და ჩაფლავდებოდა, შეწუხებული სანეტი კიდევ დიდხანს

იღიმებოდა და იმ სიამოვნებას გამოხატავდა, რომელიც სხვებმა რატომღაც ვერ მიიღეს, მაგრამ რომელიც თითქოს თავად მიიღო. ხოლო სკულპტორი სკი, რომელსაც ასე ეძახდნენ, პირველ ყოვლისა, იმიტომ, რომ უძნელდებოდათ მისი პოლონური გვარის წარმოთქმა, და კიდევ იმიტომ, რომ რაღაც დროიდან, მას შემდეგ, რაც იგი ეგრეთ წოდებული «საზოგადოების» წევრი გახდა, არ უყვარდა, რომ იგი, მართალია, ღირსეულ, მაგრამ მოსაწყენ განსაკუთრებით მრავალრიცხოვან ნათესავებთან დაეკავშირებინათ ორმოცდახუთი წლის ასაკში და, მიუხედავად საშინელი გარეგნობისა, გამოირჩეოდა რაღაც განსაკუთრებული ბავშვურობით, იგი მეოცნებედ და ფანტაზიორად რჩებოდა იმის გამო, რომ ათი წლის ასაკში ვუნდერკინდად და ქალების საყვარელ არსებად მიაჩნდათ. ქალბატონი ვერდიურენი ამტკიცებდა, რომ იგი უფრო მეტად ჰგავდა მხატვარს, ვიდრე ელსტირი. მიუხედავად ამისა, ეს საკმარისი იყო, რომ ელსტირს, როდესაც შემთხვევით შეხვდა სკის, მის მიმართ უზომო ზიზღი ეგრძნო, როგორსაც ჩვენში, უფრო მეტად, ვიდრე ჩვენგან განსხვავებულ ადამიანებში, – იწვევენ ის ადამიანები, რომლებიც ჩვენ გვგვანან ცუდი თვისებებით, ისინი, ვისშიც ის ცუდია ჩაბუდებული, რაც ჩვენშიც არის, ვინც ვერ მიატოვა ის ნაკლოვანებები, რომელთაგანაც ჩვენ გავთავისუფლდით და რომლებიც გვახსენებენ, ჩვენდა სამწუხაროდ, მათნაირებად შეეძლოთ მივეჩნიეთ, ვიდრე სხვანაირები არ გავხდით. ქალბატონი ვერდიურენი ფიქრობდა, რომ სკი უფრო მეტ

შესაძლებლობებს ფლობდა, ვიდრე ელსტირი, რომ არ არსებობდა ხელოვნების დარგი, რომელშიც მას არ ჰქონდა ნიჭი: იგი დარწმუნებული იყო, რომ თუ არა სიზარმაცე, მას შეეძლო საკუთარი შესაძლებლობების ისე განვითარება, რომ ტალანტად გადაექცია. ამ სიზარმაცესაც კი მფარველი ისე უყურებდა, როგორც განსაკუთრებულ ნიჭს, რადგან სიზარმაცე შრომისმოყვარეობის საწინააღმდეგოა, ამასთან, შრომისმოყვარეობას უნიჭო ადამიანების ხვედრად მიიჩნევდა. სკი ყველგან ყველაფერს ხატავდა, კარზეც კი. მღეროდა, როგორც

კომპოზიტორი, მეხსიერებით უკრავდა და შეეძლო როიალისთვის ორკესტრის ჟღერადობა მიენიჭებინა. ზოგიერთი ინსტრუმენტის ჟღერადობას კი ტუჩებით ბაძავდა. როცა რაიმეს ყვებოდა, თითქოს სიტყვებს ეძებდა, – ამით იგი ცდილობდა, გაეძლიერებინა მსმენელის შთაბეჭდილება, აკორდის აღებამდე კი საყვირის ხმას გამოსცემდა; ითვლებოდა, რომ იგი ჭკუა-გონებით აღსავსე იყო, სინამდვილეში მისი სიბრძნე მხოლოდ ორი-სამი ბრძნული აზრისგან შედგებოდა. მას აწუხებდა, რომ მეოცნებედ მიიჩნევდნენ; და უნდოდა, ყველა საშუალებით დაემტკიცებინა, რომ იგი პრაქტიკული და დადებითი ადამიანია. აი, საიდან ჰქონდა მას მიდრეკილება ყალბი პუნქტუალურობისადმი, საღი აზროვნების მიმართ, რომელიც უმძაფრდებოდა იმის გამო, რომ არაფერი ახსოვდა და არაფერი იცოდა. კისრისა და ფეხების მოძრაობა ძალზე დახვეწილი ექნებოდა, იგი რომ ათი წლის ყოფილიყო, ჰქონოდა ოქროსფერი კულულები, ფართო მაქმანის საყელო და წითელი ჩექმა. ის, კოტარი და ბრიშო გრენკურის სადგურზე ერთდროულად მოვიდნენ, ბრიშო მოსაცდელ დარბაზში დარჩა, სკიმ და კოტარმა გასეირნება გადაწყვიტეს. როცა კოტარმა უკან დაბრუნება შესთავაზა, სკი შეეწინააღმდეგა: «არაფერია საჩქარო. დღეს ამ დროს მოდის არა სააგარაკო, არამედ შორი მიმოსვლის მატარებელი». იმით აღფრთოვანებულმა, როგორი შთაბეჭდილებაც მან კოტარზე მოახდინა ყველაფრის, წვრილმანების ცოდნითაც კი, სკიმ საკუთარ თავზე დაიწყო საუბარი: «იმის გამო, რომ სკის უყვარს ხელოვნება და ძერწვა, მას ყველა არაამქვეყნიურად მიიჩნევს. სინამდვილეში კი, ჩემზე უკეთესად არავინ იცის ამ რკინიგზის განრიგი». მაინც მობრუნდნენ უკან, ამ დროს კოტარმა, რომელმაც მატარებლის ბოლო დაინახა, არაადამიანური ხმით შეჰყვირა: «სასწრაფოდ უნდა გავიქცეთ!» ლამის დაიგვიანეს იმის გამო, რომ სკის დღეები აერია, როცა აქ სააგარაკო და შორი მიმოსვლის მატარებლები დადიოდნენ. «ნუთუ ქალბატონი ამ მატარებლით არ მგზავრობს?» – ხმის კანკალით იკითხა ბრიშომ, რომლის უზარმაზარი სათვალე, რომლებიც იმ

სარკეებივით ბზინავდნენ, ლარინგოლოგი შუბლზე რომ იკეთებს, რათა ავადმყოფს ყელში ჩახედოს. იმ ძალისხმევის შედეგად, რასაც პროფესორი ხარჯავდა, რათა ამ სათვალეებისთვის საკუთარი მხედველობა მიესადაგებინა, გეჩვენებოდა, თითქოს მაშინაც კი დაძაბული ყურადღებით და საოცარი დაჟინებით იყურებოდნენ, როცა არაფერი საინტერესო არ ხდებოდა. როცა ავადმყოფობის გამო მხედველობა გაუუარესდა, ბრიშომ იგრძნო, როგორ სიამოვნებას ანიჭებდა ეს, – ისევე, როგორც ხშირად გვემართება, როცა რომელიმე ნივთზე უარის თქმას გადავწყვეტთ ხოლმე.

მაგალითად, მის გაჩუქებას, ვერ ველევით, გვენანება და განუწყვეტლივ ვუყურებთ მას. «არა, ქალბატონი მენვილამდე გაემგზავრა, ქალბატონი ვერდიურენის სტუმრები გააცილა – იქ ისინი პარიზის მატარებელში გადასხდებიან. სრულიად შესაძლებელია, რომ ქალბატონი ვერდიურენიც მასთან ერთად წავიდა – მას სენ-მარსში საქმეები აქვს. თუ შემოგვიერთდება და ერთად გავემგზავრებით – შესანიშნავი იქნება! მენვილში ყურადღებით უნდა იყო! მოდი, აღიარეთ, რომ მე და თქვენ ლამის ჩამოვრჩით მატარებელს. როცა დავინახე, ფეხები ამიკანკალდა – აი, რას ნიშნავს «წამი-წამში». წარმოიდგინეთ, ჩვენ დაგვაგვიანდებოდა მატარებელზე და ქალბატონი ვერდიურენი დაინახავდა, რომ ეკიპაჟები ჩვენ გარეშე ბრუნდებიან. რა სანახავი იქნებოდა! – წამოიძახა ჯერ კიდევ აღელვებულმა ექიმმა. – ასეთი რამ ხშირად როდი ხდება. არა, ისე, ბრიშო, როგორ მოგწონთ ჩვენი თავგადასავალი?» – არც თუ სიამაყის გრძნობის გარეშე შეეკითხა ექიმი. «ვაღიარებ, – უპასუხა ბრიშომ, – მე და თქვენ, როგორც აწ გარდაცვლილი ვილმენი იტყოდა «გუბეში აღმოვჩნდით». ამ დროს ჩემი ყურადღება უცნობმა ადამიანებმა მიიპყრეს და უცებ გამახსენდა, რაც კოტარმა ერთი პატარა კაზინოს საცეკვაო დარბაზში მითხრა, რომ თითქოს არსებობდა რაღაც რგოლი, რომელიც რომელიმე ორგანოს იმ სახეებთან აკავშირებდა, რომლებიც ჩვენს მეხსიერებაში აღმოცენდებიან და წარმოვიდგინე, როგორ ეკვროდა ალბერტინი მკერდზე ანდრეს, გულში მწვავე ტკივილი

ვიგრძენი. თუმცა ტკივილმა მალევე გამიარა. იმის წარმოდგენა, რომ ალბერტინს ქალებთან აქვს ურთიერთობა, ახლა წარმოუდგენლად მომეჩვენა, რადგან სამიოდე დღის წინათ ალბერტინსა და სენ-ლუზე ვიეჭვიანე, და მას შემდეგ, რაც ეჭვიანობის ამ გრძნობამ ეს გრძნობა განდევნა, ჩემი გულუბრყვილობით ვფიქრობდი, რომ ერთი მიდრეკილება შეუძლებელია მეორესთან თანხვდენილი იყოს. მატარებელი გადაჭედილი იყო და არამბუვილში ამოსული ვიღაც ფერმერი, რომელსაც ლურჯი ბლუზა ეცვა და მესამე კლასის ბილეთი ჰქონდა, ჩვენს განყოფილებაში შემოვიდა. ექიმმა, რომელსაც მიაჩნდა, რომ ქალბატონს არ შეშვენის ფერმერთან ერთად მგზავრობა, გამოიძახა სადგურის უფროსი, აჩვენა მოწმობა, რომ ის უმსხვილესი რკინიგზის კომპანიის ექიმია და მოითხოვა, რომ ფერმერი ჩამოესვათ. ამ სცენამ იმდენად გაანაწყენა და შეაშფოთა მორცხვი სანეტი, იმის შიშით, რომ, ბაქანზე გლეხების ბრბო გამოჩნდებოდა და მდგომარეობა გართულდებოდა, მოიგონა, თითქოს მუცელი ასტკივდა და ექიმის ამგვარ ქცევაზე პასუხისმგებლობა მისთვის რომ არ დაეკისრებინათ, დერეფანში გავიდა. მან ფანჯრიდან დაიწყო ცქერა. «თუ თქვენ პირველად მიემგზავრებით ქალბატონ ვერდიურენთან, – მითხრა ბრიშომ, რომელსაც «ახალბედებთან» საკუთარი ყოვლისმცოდნეობით უყვარდა თავის მოწონება, – დარწმუნდებით, რომ ამ სახლში ისე, როგორ არსად, იგრძნობა «ცხოვრების სიტკბო», როგორც იტყოდნენ «დილეტანტიზმის და სხვა მოდური «იზმების» ავტორები, – მე ვგულისხმობ ბატონ პრინც ტალეირანს». საქმე ის გახლავთ, რომ, როდესაც ბრიშო ძველი დროის დიდგვაროვნებზე საუბრობდა, მათ ტიტულებს დაურთავდა ხოლმე «ბატონს», რაც «კოლორიტულად» და საზრიანად მიაჩნდა: ასე მაგალითად, იგი ამბობდა: «ბატონი ჰერცოგი დე ლაროშფუკო»,

«ბატონი კარდინალი დე რეტცი», რომელსაც ზოგჯერ «სიცოცხლისთვის მებრძოლ დე გინდოს უწოდებდა», «ეს ბულანჟისტი დე მარსილიაკი». ხოლო, როცა საუბარი მონტესკიეს შეეხებოდა, იგი ხელიდან არ

უშვებდა შემთხვევას, მის შესახებ ღიმილით არ ეთქვა: «ბატონი პრეზიდენტი სეკონდა დე მონტესკიე». მაღალი წრის გონიერი ადამიანი უნდა გაეღიზიანებინა ამ პედანტიზმს. მაგრამ უზადოდ აღზრდილი მაღალი წრის წარმომადგენელიც ავლენს კასტურ პედანტიზმს, როცა ამბობს არა უბრალოდ «ვილჰელმს», არამედ – «იმპერატორ ვილჰელმს» და, როცა «აღმატებულებას» მიმართავს, აუცილებლად მესამე პირს იყენებს. «აი, ის იყო ადამიანი», – განაგრძობდა ბრიშო, რომელსაც მხედველობაში «ბატონი პრინცი დე ტალეირანი» ჰყავდა. – ასეთი ადამიანების წინაშე არ შეიძლება თავი არ მოიდრიკო. ის წინამძღოლია». «ქალბატონ ვერდიურენს მშვენიერი სახლი აქვს. – გამომელაპარაკა კოტარი, – ყველაფერს ნახავთ, რადგან «ფართო» სახლია. იქ შეხვდებით ცნობილ მეცნიერებს, მაგალითად, როგორიც ბრიშოა, საზოგადოების ნაღებს, მაგალითად, როგორიც თავადის ასული შჩერბატოვაა, მაღალი წრის რუსი ქალბატონი, დიდი თავადის ასულის ევდოკიას მეგობარი, რომელიც შჩერბატოვას ისეთ დროსაც კი იღებს, როცა სხვას არავის უშვებენ».

სინამდვილეში კი, დიდი თავადის ასული ევდოკია, რომელსაც არ სურდა, რომ შჩერბატოვა მასთან სხვა სტუმრებს შეხვედროდა, რადგან არ ესიამოვნებოდათ ამ ქალბატონთან შეხვედრა და თანაც თავად შჩერბატოვაც არ ჩავარდნილიყო უხერხულ მდგომარეობაში, ძალიან ადრე იღებდა. სამი წლის განმავლობაში, როცა თავადის ასული შჩერბატოვა დიდი თავადის ასულისგან გამოდიოდა, იგი ქალბატონ ვერდიურენთან მიდიოდა, რომელიც ის-ის იყო, იღვიძებდა და მერე მთელ დღეს მასთან ატარებდა. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ შჩერბატოვა უფრო ერთგული იყო ქალბატონი ვერდიურენისა, ვიდრე ბრიშო, რომელიც ყოველ ოთხშაბათს სტუმრობდა პარიზში და საკუთარი თავი აბეი-ო-ბუაში შატობრიანად წარმოიდგინა, ხოლო აგარაკზე თავს იმგვარად გრძნობდა, როგორც ქალბატონ დიუ შატლესთან

ვოლტერი, ვისაც იგი ყველაფრისცმოდნე ადამიანის ეშმაკური და თვითკმაყოფილი სახით «ბატონ დე ვოლტერს» უწოდებდა.

იმის გამო, რომ ნაცნობთა წრე არ ჰყავდა, თავადის ასული შჩერბატოვა უკვე რამდენიმე წლის განმავლობაში ვერდიურენების მიმართ ისეთ ერთგულებას ავლენდა, რომლის წყალობითაც იგი ერთგულების იდეალად იქცა, რაც ქალბატონ ვერდიურენს დიდი ხნის განმავლობაში მიუღწევლად მიაჩნდა და რისი განხორციელებაც მან უკვე მხცოვან ასაკში შეძლო.

რამდენიც უნდა ეეჭვიანა, ყველაზე «ერთგულთაგან» ყველამ თითოჯერ მაინც «უღალატა» მას. ასეთ შემთხვევაში რომაელი იმპერატრიცასავით ამბობდა, რომ იგი ერთადერთი მხედართმთავარია, რომელსაც ყველა უნდა დაემორჩილოს, ყველა, როგორც ქრისტეს ან კაიზერს. ვისაც იგი საკუთარ მშობლებზე მეტად არ უყვარს და

მათ არ მიატოვებს, რომ მის გვერდით იყოს, მისი ღირსი არ არის. უმჯობესია, მასთან იყოს, რადგან მხოლოდ მას შეუძლია მათი განკურნება და მათთვის სიამოვნების მინიჭება. მაგრამ ბედისწერამ, რომელიც სიამოვნებას იღებს იმით, რომ სიხარული მიანიჭოს ადამიანებს, რომლებმაც ამქვეყნად დიდხანს იცხოვრეს, შეახვედრა თავადის ქალ შჩერბატოვას. მას შემდეგ, რაც შჩერბატოვამ ოჯახის წევრებთან იჩხუბა, სამშობლო მიატოვა და ნაცნობობას მხოლოდ ბარონესა პიუტაბიუსა და დიდი თავადის ასულ ევდოკიასთან ინარჩუნებდა, რომლებთანაც მხოლოდ დილის საათებში მიდიოდა, როცა ქალბატონ ვერდიურენს ჯერ კიდევ ეძინა, რათა მათ მეგობარ ქალბატონებს არ შეხვედროდა. ქალბატონ ვერდიურენს თხოვნაზე, ახალი წლის ღამე მასთან გაეტარებინა, რადგან ეშინოდა, მასთან არავინ მივიდოდა, შჩერბატოვამ ასე უპასუხა: «რა მნიშვნელობა აქვს, რომელი ღამეა. მით უმეტეს, ახალწლის ღამეს ადამიანები საკუთარ ოჯახში

ატარებენ და ჩემი ოჯახი ხომ თქვენ ხართ». სადაც უნდა ყოფილიყვნენ, მუდმივად ვერდიურენებთან იყო. ქალბატონმა ვერდიურენმა და შჩერბატოვამ მოილაპარაკეს, რომ გარდაცვალების შემდეგ ერთმანეთის გვერდით ყოფილიყვნენ დაკრძალული. შჩერბატოვა ყოველთვის აღნიშნავდა, რომ მისი მეგობრობა დიდი თავადის ასულთან, ვერდიურენებთან და ბარონესა პიუტბიუსთან შემთხვევით არ შენარჩუნდა იმ დიდი კატაკლიზმების დროს, რომლებიც მასზე არ იყო დამოკიდებული და რომლებმაც ყველაფერი გაანადგურეს. ეს იყო თავისუფალი არჩევანის შედეგი, რომელსაც მან მიანიჭა უპირატესობა, მისი განსაკუთრებული სიყვარულის შედეგი განმარტოებისა და უბრალოებისადმი. სწორედ ამიტომ კმაყოფილდებოდა იგი ამ სამი ადამიანის მეგობრობით. იგი ხშირად იმეორებდა, რომ სხვას არავის ხვდებოდა, რათა ეჩვენებინა, რომ გარკვეულ წესებს ემორჩილებოდა. «მე მხოლოდ სამ სახლს ვსტუმრობ», – ხშირად ამბობდა იგი. შესაძლოა, ვერდიურენებს სჯეროდათ ამ გამონაგონის, ან არ სჯეროდათ, მაგრამ ორივე მხარე მომხრე იყო იმისა, რომ ასე ჩაბეჭდილიყო ამ კლანის წევრთა გონებაში. ისინი იმ რწმენით იყვნენ განმსჭვალულნი, რომ თავადის ასულს, დიდი არჩევანის მიუხედავად, ურთიერთობა მხოლოდ ვერდიურენებთან ჰქონდა, მეორეს მხრივ კი ეგონათ, რომ ვერდიურენებმა, რომლებთან ნაცნობობასაც მაღალი არისტოკრატიის წარმომადგენლები ცდილობდნენ, გამონაკლისი მხოლოდ მისთვის დაუშვეს.

«ერთგულები» ფიქრობდნენ, რომ თავადის ასული თავისი წრის წარმომადგენლებზე მაღლა იდგა და მხოლოდ ვერდიურენებთან გრძნობდა თავს კარგად, ვერდიურენებმა კი გამონაკლისი მხოლოდ იმ წარჩინებული ქალბატონისთვის დაუშვეს, რომელიც სხვებზე ჭკვიანი იყო, ე. ი. თავადის ასულ შჩერბატოვასთვის.

თავადის ასული ძალიან მდიდარი იყო: ნებისმიერ პრემიერაზე ბენუარის დიდ ლოჟას იღებდა და ქალბატონი ვერდიურენის თანხმობით მხოლოდ «ერთგულებს» ეპატიჟებოდა. ყველა ამ ფერმკრთალ ქალბატონს უყურებდა, რომელიც წლების მატებასთან ერთად უფრო ლამაზი ხდებოდა. მიუხედავად სიმდიდრისა, იგი ძალზე მოკრძალებული იყო: მუდმივად აკადემიკოს ბრიშოს, ცნობილი მეცნიერის,

საუკეთესო პიანისტის კოტარის საზოგადოებაში ტრიალებდა, მერე კი დე შარლიუს საზოგადოებაში; ლოჟის სიღრმეში ჯდებოდა, მხოლოდ თავისი ვიწრო წრის წევრებთან ურთიერთობდა, რომლებიც სპექტაკლის დამთავრებამდე ცოტა ხნით ადრე ტოვებდნენ დარბაზს თავიანთი საოცარი «მფლობელის» კვალდაკვალ, რომლის სილამაზეც შემაძრწუნებელი, მომნუსხველი და ჭკნობაშეპარული იყო უკვე. ის ირგვლივ არ იყურებოდა, რადგან არ შეეძლო იმ ცხოვრებაში მიეღო მონაწილეობა, რომელიც მას ძალიან იზიდავდა; «მისი კამპანია» მისთვის იყო ის, რაც ზოგიერთი ცხოველისთვის გარესამყაროს სასიკვდილო უძრაობაა, რომელიც ხიფათს შეიცავს. მიუხედავად ამისა, სიახლეებისადმი ინტერესმა მაღალი წრის ადამიანები იქამდე მიიყვანა, რომ ისინი უფრო მეტ ყურადღებას უთმობდნენ ამ იდუმალ უცნობ ქალს, ვიდრე იმ ცნობილ ადამიანებს, რომლებიც სცენასთან ახლოს მდებარე ლოჟებში ისხდნენ და რომლებთანაც სტუმრად დადიოდნენ. ეგონათ, რომ შჩერბატოვა მათ ნაცნობ ქალბატონებს არ ჰგავდა, რომ მან გამოჩენილ ადამიანთა ვიწრო წრეში ყოფნა იშვიათი ჭკუისა და კეთილგანწყობილი გამჭრიახობის წყალობით დაიმსახურა. თუ შჩერბატოვას ვინმეს წარუდგენდნენ ან მასთან საუბრობდნენ მაღალი წრის წარმომადგენელთა შესახებ, იგი ძალზე თავშეკავებული იყო, რათა ის რეპუტაცია შეენარჩუნებინა, რომ მაღალი წრის ადამიანები არ უყვარს. და მაინც, ზოგიერთები კოტარის და ქალბატონი ვერდიურენის საშუალებით მაინც ახერხებდნენ მის გაცნობას. ყოველი ახალი ნაცნობობა მას დიდ სიამოვნებას ანიჭებდა და ცდილობდა, ახალგაცნობილთა წინაშე სრულიად წარმოედგინა საკუთარი თავი.

კოტარი ხშირად ამბობდა, მე მას ვნახავ ოთხშაბათს ვერდიურენებთანო, თავად კოტარი არ მიეკუთვნებოდა იმ ადამიანთა რიცხვს, ვისთან ნაცნობობაც განსაკუთრებით იზიდავთ ადამიანებს. თუ ის ვერდიურენებთან არ მივიდოდა ოთხშაბათს, ეს ნიშნავდა, რომ იგი ავადმყოფთან იყო, რაც დაავადების სერიოზულობით კი არა, ავადმყოფის საზოგადოებრივი მდგომარეობით განისაზღვრებოდა. კოტარი კეთილი იყო, მაგრამ ოთხშაბათის სიამოვნებაზე იგი უარს მხოლოდ მაღალი წრის პაციენტის გამო თუ იტყოდა. როცა ერთ ოთხშაბათს მზარეულმა შემთხვევით ვენა გადაიჭრა, მან ცოლის თხოვნაზე, ხელი შეეხვია მზარეულისთვის, უარი განაცხადა იმ მიზეზით, რომ თეთრი ჟილეტი ეცვა. მაშინ მისმა მეუღლემ კლინიკიდან უფროსი ექიმი გამოიძახა, რომელიც ეკიპაჟით მოვიდა და გზა ჩახერგა, რის გამოც ძლივს მოახერხეს სახლიდან გამოსვლა. უსიამო განწყობა, რომელიც შეიძლება, იმ უხერხულობას გამოეწვია, რომ, შესაძლოა, კოტარი სინდისს შეეწუხებინა, მხოლოდ ოთშაბათს მიღებულ სიამოვნებას შეეძლო გაეფანტა.

თუ პაციენტი კოტარს ჰკითხავდა: «გერმანტებს შეხვედრიხართ?» პასუხობდა, რომ თავის მეგობრებთან ყველანაირ ადამიანს შეხვედრია. «რა თქმა უნდა, გაგიგონიათ ვერდიურენების შესახებ? ისინი ყველას იცნობენ. ვიღაცები კი არ არიან. ქალბატონ ვერდიურენის ქონება ოცდაცამეტ მილიონად არის შეფასებული. ეს შთამბეჭდავი თანხაა. თქვენ ჰერცოგინია დე გერმანტზე მკითხეთ. ქალბატონი ვერდიურენი ფრიად უზრუნველყოფილი ქალბატონია, ჰერცოგინია გერმანტი კი – მასთან შედარებით

შიშველ-ტიტველია. სხვაობას ხვდებით? ქალბატონი ვერდიურენი მათზე მნიშნელოვან ადამიანებს ღებულობს – საფრანგეთისა და ნავარის მაღალი წრის წარმომადგენლებს, რომლებთანაც მე ახლო ურთიერთობა მაქვს. ასეთ ადამიანებს ყოველთვის უხარიათ მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენლების გაცნობა», –

უმატებდა და სახეზე პატივმოყვარეობის კმაყოფილებით გამოწვეული ღიმილი დასთამაშებდა იმის გამო, რომ, როგორც იქნა, სხვადასხვა გამონათქვამების სწორად გამოყენება ისწავლა. როცა მაღალი წრის ადამიანების ჩამოთვლისას, რომლებიც ვერდიურენებს სტუმრობდნენ, თავადის ასული შჩერბატოვა დაასახელა, კოტარმა ხაზი გაუსვა, რომ ვერდიურენების სახლი უმაღლესი ბრწყინვალების გამოხატულებაა. ის სიმდიდრე, რომლითაც გარშემორტყმულნი არიან ჩვენი ნაცნობები, მსახიობების სიმდიდრეს ჰგავს, რისთვისაც თეატრის დირექტორი ასობით ათას ფრანკს არ გადაყრის, რათა ნამდვილი ისტორიული კოსტიუმები შეიძინოს, არავითარი ეფექტის მოხდენა რომ არ შეუძლიათ, მაშინ, როცა დიდ თეატრალურ მხატვარს შეუძლია ათასჯერ უფრო დიდი შთაბეჭდილების გამოწვევა უხეში ქსოვილის კომზოლსა და ქაღალდის ლაბადაზე ხელოვნური სინათლის ოსტატურად მართვით. ზოგი ადამიანი ამა ქვეყნის ძლიერთა შორის ცხოვრობს, მაგრამ ისინი მისთვის ჩვეულებრივი მოსაწყენი ნათესავები ან თავისმომაბეზრებელი ადამიანები არიან და მათთვის დიდ ღირებულებას არ წარმოადგენენ. მაგრამ საკმარისია, ვიღაც ბნელი წარსულის პიროვნებამ საზოგადოებაში შემთხვევით მდრომარეობა მოიპოვოს და მაშინ მრავალრიცხოვან კოტარებს ტიტულოვანი ქალბატონები აბრმავებენ, რომელთა სალონები მათ თვალში არისტოკრატული სინატიფის თავშეყრის ადგილად იქცევა, თუმცა, ისინი ახლოსაც ვერ მივლენ მარკიზა ვილპარიზთან და მის მეგობრებთან, რომლებიც გაღარიბდნენ, ხოლო მათთან ერთად გაზრდილმა არისტოკრატებმა თავიანთი ნაცნობობიდან გარიყეს. «ქალბატონი მენვილში ამოვა და ჩვენთან ერთად იმგზავრებს, მაგრამ უმჯობესი იქნება, თუ ქალბატონი ვერდიურენი გაგაცნობთ, თუ მანამ საშუალება არ გამოჩნდა, რომ მე წარგადგინოთ. თუ ასეთი რამ მოხდა, დარწმუნებული იყავით, ხელიდან არ გავუშვებ». ვაგონში დაბრუნებული სანეტის კითხვაზე, რომელიც სუფთა ჰაერის ჩასაყლაპად იყო გასული, რაზე საუბრობდითო, უპასუხა, ჩვენი საუბრის საგანი პერიგორის აბატი შარლ მორისი იყოო.

*** * ***

«როგორც ჩანს, მევიოლინეზე ჯერაც ვერაფერი შევიტყვეთ», – თქვა კოტარმა. საქმე ის არის, რომ კლანში დღის მთავარ თემად ქალბატონი ვერდიურენის საყვარელი მევიოლინის «ცუღლუტობა» იქცა. მევიოლინე, დონსიერის მახლობლად სამხედრო სამსახურს რომ იხდიდა, კვირაში სამჯერ საღამოობით თავისუფლდებოდა და

ვახშმად ლა რასპელიერს სტუმრობდა. და აი, გუშინწინ «ერთგულებმა», პირველად მოხდა, იგი მატარებელში ვერ აღმოაჩინეს. იფიქრეს, ალბათ, დაუგვიანდაო. ქალბატონმა ვერდიურენმა ეკიპაჟი გაგზავნა მომდევნო, შემდეგ – ბოლო მატარებლის დასახვედრად, მაგრამ ის ორივეჯერ ხელმოცარული დაბრუნდა. «ეჭვი არ არის, ჰაუპტვახტში ჩასვეს – სხვა რამ მიზეზი, წარმოუდგენელია, არსებობდეს. ლაპარაკი არ უნდა, არმიაში ამ ყმაწვილების პატიმრობაში გამოკეტვა სულ მარტივია – საკმარისია, გაბრაზებულ ფელდფებელს ჩაუვარდე ხელში». «თუ დღესაც მოგვატყუებს, ეს ქალბატონი ვერდიურენისთვის დიდი დარტყმა იქნება, – შენიშნა ბრიშომ, – სწორედ დღეს ჩვენს სტუმართმოყვარე მასპინძელთან პირველად ვახშმობენ მისი მეზობლები – ისინი, ვისგანაც ლა რასპელიერში აგარაკი აიღეს – მარკიზი და მარკიზა კამბრემერები». «დღეს? მარკიზი და მარკიზა კამბრემერები? – წამოიძახა კოტარმა. – ეგ არ ვიცოდი. უფრო სწორად, მეც, ისევე როგორც თქვენ, ვიცოდი, რომ უნდა მოსულიყვნენ, მაგრამ, თუ ასე ჩქარა, ეს არ ვიცოდი. დალახვროს ეშმაკმა! – მომიბრუნდა იგი. – აბა, მე რას გეუბნებოდით? თავადის ქალი შჩერბატოვა, მარკიზა და მარკიზ კამბრემერები. – ამ სახელების წარმოთქმით ისეთ სიამოვნებას იღებდა, რომ არ შეეძლო, კიდევ და კიდევ არ გაემეორებინა. – აი, როგორ ხდება ჩვენთან! ასე რომ, დასაწყისისთვის უკეთესს ვერაფერს მოიფიქრებ, თითქოს შეურჩევიათო». მერე ბრიშოს მიმართა: «მფარველი, ეჭვი არ არის, გაცოფებულია. სწორედ რომ დროულად მივალთ მის

საშველად». ქალბატონი ვერდიურენი ლა რასპელიერში დასახლებული, «ერთგულებს» თავს ისე აჩვენებდა, თითქოს რომელიმე აგარაკის მფლობელის თავისთან მიპატიჟება – ეს მისთვის «მწარე აუცილებლობაა». ამის წყალობით, მომავალ წელს შეძლებს, ისინი უფრო ხელსაყრელ პირობებზე დაითანხმოს, – ამტკიცებდა ის. – მხოლოდ ანგარების გამო პატიჟებს, და, ამის მიუხედავად, თვით ფიქრიც კი იმ ადამიანებთან ვახშმობაზე, მის წრეს რომ არ ეკუთვნიან, მასში ისეთ საშინელ გრძნობას ბადებდა, იმდენად საზარლად ეჩვენებოდა, რომ ეს საქმე სულ სამომავლოდ გადაჰქონდა. ამ ვახშამზე ფიქრი გარკვეული აზრით, იმ მიზეზებით აშინებდა, რომელთა თაობაზეც ის ყველას და თითოეულს უყვებოდა – ოღონდ თავის ამ შიშებს ყოველნაირად აზვიადებდა – მაგრამ სნობისტური მოსაზრებით კამბრემერების მოსვლა ახარებდა და აი, ამაზე კი დუმილს ამჯობინებდა. ამგვარად, სანახევროდ გულწრფელი იყო: კლანი მართლაც უნიკალურად მიაჩნდა; ის ერთ-ერთ იმგვარ საზოგადოებად ეჩვენებოდა, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში შეირჩევიან, და პირდაპირ აკანკალებდა, როცა იმაზე ფიქრობდა, რომ კლანში შეაღწევდნენ პროვინციალები, რომლებსაც თავის დღეში არაფერი გაეგონათ არც ტეტრალოგიაზე, არც «მაისტერზინგერებზე», ვინც ვერ შეძლებდა, თავისი პარტია შეესრულებინა საერთო საუბრის კონცერტში და ვინც ვერდიურენების ყველაზე შესანიშნავი გარემოცვის დამანგრეველი გამოდგებოდა – ამ შეუდარებელი, სათუთი შედევრების, ამ ვენეციური შუშის ნაწარმისა, რომლებიც პირველივე ყალბი ნოტის აღებისთანავე შეიძლება დაიმსხვრეს. «სხვა სიკეთესთან ერთად, ვაითუ ეს ყველა შესაძლოზე უფრო ანტი იყოს, მხედრიონი», – შენიშნა ბატონმა ვერდიურენმა. «აი,

ჩემთვის კი სულ ერთია, მთელი ეს აურზაური მომწყინდა», – გააპროტესტა ქალბატონმა ვერდიურენმა; მტკიცე დრეიფუსარი, იგი მაინც ოცნებობდა იმაზე, რომ მისი დრეიფუსარული სალონი ელიტურად ეღიარებინათ. საქმე ის იყო, რომ დრეიფუსარობა გამარჯვებას ზეიმობდა პოლიტიკურ

მოღვაწეთა წრეებში, ოღონდ არა ბომონდში. მაღალი წრის ადამიანები კვლავ ისე უყურებდნენ ლაბორის, რეინაკს, პიკარს, ზოლას, როგორც, ასე თუ ისე, გამყიდველებს, აქედან გამომდინარე, ამნაირ ადამიანებს შეეძლოთ მაღალი წრის ხალხი «ბირთვისგან» მოეწყვიტათ. აი, რატომ იყო, რომ პოლიტიკის სფეროში შეჭრის შემდეგ ქალბატონ ვერდიურენს გულმა კვლავ ხელოვნებისკენ გაუწია. და თანაც, განა დ'ენდი, დებიუსი დრეიფუსის საქმეში არ «ჩაიჭრნენ?» «დრეიფუსის საქმეს რაც შეეხება, აქ მდგომარეობიდან გამოსვლა იოლია: სტუმრებს ბრიშოს გვერდით დავსვამთ, – გადაწყვიტა ქალბატონმა ვერდიურენმა («ერთგულებიდან» მხოლოდ პროფესორი, ქალბატონის თვალში ბევრი რომ დაკარგა, იდგა გენერალური შტაბის მხარეს). – ვალდებულები ხომ არა ვართ, დრეიფუსის საქმის გარდა, სხვა არაფერზე ვილაპარაკოთ! გაცილებით მნიშვნელოვანი სხვა რამეა: კამბრემერების ატანა არ შემიძლია». «ერთგულებს» კი, მოსვენებას რომ არ აძლევდათ ფარული სურვილი, კამბრემერები გაეცნოთ და ამასთან მოტყუებულებს ქალბატონი ვერდიურენისგან, რომელიც უმტკიცებდათ, თითქოს ზიზღს ჰგვრიდა მათი შინ მოპატიჟება, მასთან ყოველდღიურ საუბრებში ერთი და იგივე ულამაზო საბუთი მოჰქონდათ, რასაც თავად ქალბატონი იყენებდა ხოლმე იმის დასამტკიცებლად, რომ ასეა თუ ისე, აუცილებელია ვერდიურენების მიღება, და უხსნიდნენ, რატომ იყო ეს მოსაზრებები უდავო. «ბოლოს და ბოლოს, გადაწყვიტეთ, – უმტკიცებდა კოტარი, – და შეღავათიან პირობებს მიაღწევთ: კამბრემერები მებაღეს შეინახავენ, თქვენ კი მწვანე მდელობებით დატკბით. ამის გამო ღირს, ერთი საღამო მოწყენილმა გაატაროთ. მე ხომ თქვენზე ვზრუნავ», – დაუმატა, არადა, გული ლამის საგულედან ამოუვარდა, როცა ერთხელ ქალბატონი ვერდიურენის ეკიპაჟი, რომლითაც კოტარი მგზავრობდა, და მოხუცი მარკიზ დე კამბრემერის ეკიპაჟი ერთმანეთს შეხვდა. ყოველთვის ეჩვენებოდა, რკინიგზის მუშაკები აგდებულად შეხედავდნენ ხოლმე, როცა კი ვოგზალზე მარკიზს შეეჩეხებოდა. კამბრემერები კი, მაღალი

საზოგადოებისგან შორს მცხოვრებთ ეჭვიც რომ არ ჰქონდათ, ვიღაც-ვიღაცები, ელეგანტური ქალები ქალბატონ ვერდიურენს ერთგარი პატივისცემით თუ მოიხსენიებდნენ, დარწმუნებული იყვნენ, ამ პერსონას ნაცნობობა მხოლოდ ბოჰემასთან აკავშირებს, შესაძლოა, კანონიერ ქორწინებაშიც კი არ იმყოფება და, როცა ესენი მასთან მივლენ, ის, იქნებ, ცხოვრებაში პირველად ნახავს «დიდგვაროვან» ადამიანებს. მასთან ვახშმობას მხოლოდ იმის გამო დათანხმდნენ, რომ კარგი ურთიერთობა ჰქონოდათ დამსვენებელთან, რომელიც, როგორც მათ მიაჩნდათ, მათთან კიდევ რამდენიმე სეზონს გაატარებს, ხოლო ეს განსაკუთრებით მიმზიდველად ეჩვენებოდათ მას შემდეგ, რაც ერთი თვის წინათ შეიტყვეს, რომ მან მილიონიანი მემკვიდრეობა მიიღო. მდუმარედ, ყოველგვარი ცუდი ტონის ხუმრობის

გარეშე ემზადებოდნენ საბედისწერო დღისთვის. «ერთგულებმა» იმედი დაკარგეს, რომ ეს დღე ოდესმე დადგება – აკი, ქალბატონმა ვერდიურენმა უკვე რამდენჯერ დანიშნა და გადაავადა იგი. მიზანი, რომელსაც ის ამ დანიშვნებითა და გაუქმებებით ისახავდა, მარტო იმაში კი არ მდგომარეობდა, რომ ყველას ეგრძნო, რაოდენ უსიამოვნოა მისთვის ეს ვახშამი, არამედ იმაშიც, რათა დაძაბული ჰყოლოდა ჯგუფის წევრები, მეზობლად რომ ცხოვრობდნენ და დროდადრო ამჟღავნებდნენ სურვილს, «გაეცურებინათ» ქალბატონი ვერდიურენი. მფარველი ვერ ხვდებოდა, რომ «საზეიმო დღე» სინამდვილეში მათ ისეთივე სიამოვნებას მიანიჭებთ, როგორც თავად მას – გონებაში სხვა რამ უტრიალებდა: ისინი რომ დაარწმუნა, ეს ვახშამი ჩემთვის უმძიმესი მოვალეობაა, ამით შესაძლებლობა მიიღო, მათში ერთგულება გაეღვიძებინა: «მარტოს ხომ არ მიმატოვებთ ამ ჩინელ აბუეტებთან? თუ უნდა მოვიწყინოთ, მაშინ – ყველამ ერთად! რა თქმა უნდა, საინტერესო თემებზე ლაპარაკს ვერ მოვახერხებთ, ეს ოთხშაბათი მთლად წყალწაღებული გამოგვივა – მაგრამ რა გაეწყობა».

«დიახ, მართალია, – შენიშნა ბრიშომ და მომიბრუნდა, – ქალბატონი ვერდიურენი გამჭრიახი ქალია, თავის გარემოცვას დიდი გემოვნებით აყალიბებს და სულაც არ ეჭაშნიკება, თავისთან მოიწვიოს ეს გუდამშიერი დიდგვაროვნები, ცნობილნი, მაგრამ ახლობლები. მოხუცი მარკიზას დაპატიჟება მის ძალებს აღემატებოდა და გაჭირვებით აიძულა თავი, მხოლოდ ვაჟიშვილი და რძალი მოეწვია». «მაშ, გამოდის, ახალგაზრდა კამბრემერებს ვნახავთ?» – იკითხა კოტარმა ღიმილით, საჭიროდ რომ მიიჩნია, ამისთვის თამაშისა და მანჭვა-გრეხის ელფერი მიენიჭებინა, თუმცა ოდნავი წარმოდგენაც არ ჰქონდა, ლამაზია თუ სრულიად შეუხედავი კამბრემერ-უმცროსი – ასეთ ფრივოლურ აზრებს თვით მარკიზას ტიტული შთააგონებდა. «აი, მე კი ვიცნობ», – თქვა სკიმ. ერთხელ როგორღაც შეხვედრია მას, ქალბატონ ვერდიურენთან ერთად რომ მოსეირნობდა. «სიტყვის ბიბლიური გაგებით, თქვენ მას არ იცნობთ», – თავისი საყვარელი ხუმრობით გაეპასუხა კოტარი, პენსნედან ორაზროვანი მზერა რომ ესროლა. «მარკიზა გონიერია», – მითხრა სკიმ. ის, გაღიმებული რომ გამოკვეთდა თითოეულ სიტყვას, თავისი აზრის განვრცობას განაგრძობდა: «უდავოდ გონიერია, მაგრამ თან უგუნურიც არის; გაუნათლებელია, ქარაფშუტა, მაგრამ ლამაზი ნივთები უყვარს. არჩევს, ჩუმად იყოს, სამაგიეროდ, სისულელეს არ იტყვის. და კიდევ, სახეზე შესანიშნავი ფერი აქვს. კარგი იქნებოდა მისი პორტრეტის დახატვა», – დაუმატა, თან თვალები სანახევროდ მოხუჭა, თითქოს ქალი მის წინაშე პოზირებდა, ეს კი მას უყურებდა. თავად სულ სხვა აზრის გახლდით, ვიდრე სკი, თავისი თემის უსასრულო ვარიაციებს რომ ქმნიდა, ამიტომ იმ ცნობით, რომ მარკიზა ცნობილი ინჟინრის, ლეგრანდენის დაა, მას დავშორდი. «აი, ხომ ხედავთ, გაგაცნობენ ლამაზ ქალს, – მითხრა ბრიშომ, – და ვერავინ გამოიცნობს, აქედან რა გამოვა. კლეოპატრა დიდად ყურადღებამისაქცევი არ ყოფილა, ეს იყო პატარა ტანის, ხუშტურიანი, შეუხედავი ქალი, როგორადაც ჩვენმა მელიაკმა გამოიყვანა, არადა, აბა, გაიხსენეთ შედეგები არამარტო ამ

დოყლაპია ანტონიუსმა, საერთოდ, მთელმა ძველმა სამყარომ რომ მიიღო». «მარკიზა დე კამბრემერი უკვე გამაცნეს», – შევეწინააღმდეგე მე. «ო, მაშინ თავს ისე იგრძნობთ იქ, როგორც თევზი წყალში». «მოხარული ვიქნები, შევხვდე, უმთავრესად იმიტომ, – ჩავურთე, – რომ შემპირდა, წასაკითხად მომცეს ძველი კომბრელი მოძღვრის ნაშრომი ამ მხარის ადგილების სახელწოდებებზე, ჰოდა, ახლა თავის ამ შეპირებას მოვაგონებ. თვითონ მღვდელიც მაინტერესებს და მისი ეტიმოლოგიური ძიებანიც». «თქვენს ადგილას მას დიდად არ ვენდობოდი, – შენიშნა ბრიშომ, – მის ამ ნაშრომს, რომელიც ახლა ლა რასპელიერშია, უსაქმობის ჟამს ვათვალიერებდი და, ჩემი შეხედულებით, ყურადღებას არ იმსახურებს: შეცდომებით არის სავსე. აი, მაგალითიც. სიტყვა bricg ბევრ აქაურ დასახელებაში გვხვდება. პატივცემულ ღვთისმსახურს თავში საკმაოდ უცნაური აზრი დაებადა. თითქოსდა ის მომდინარეობს სიტყვიდან briga, რაც «სიმაღლეს, გამაგრებულ ადგილს» ნიშნავს. ის მას ჯერ კიდევ კელტური ტომების – ლატომრიგების, ნემეტობრიგების და ამგვარ სახელწოდებებში ელანდება, შემდეგ კი აქედან ძაფს აბამს ისეთ გვარებთან, როგოებიც არის ბრიანი, ბრიონი და სხვა ამის მსგავსი... თუ იმ ადგილებს გადავხედავთ, სად სიარულის სიამოვნებაც მე და თქვენ გვაქვს, სახელწოდება ბრიკბოსი უნდა ნიშნავდეს «ტყე მაღლობზე», ბრიკვალი – «დასახლება მაღლობზე», ბრიკბეკი, სადაც ახლა, მენვილამდე არმისული, შევჩერდებით, «სიმაღლე ნაკადულთან». არადა, სხვათა შორის, ეს არასწორია: bricg – ძველსკანდინავიური სიტყვაა და ის, სრულიად მარტივად, «ხიდს» ნიშნავს. სწორედ ასევე fleur, რომელსაც მარკიზა დე კამბრემერის რჩეული პირდაპირ თმით მიათრევს ხან სკანდინავიური სიტყვისკენ floiflo, ხანაც ირლანდიური სიტყვების ae და aer-ისკენ, უეჭველია, დანიური friord-ისგან მოდის და «ნავსაყუდელს» ნიშნავს. ზუსტად ასე მწყემსი კეთილი ვარაუდობს, რომ სახელწოდება სადგურსა სენ-მარტენ-ლე-ვეტიუ, ლა რასპელიერის სიახლოვეს რომ არის, იგივეა, რაც სენ-მარტენ-ლე-ვიეი, ანუ vetus. ეჭვგარეშეა,

სიტყვა «ვიეი»-მ დიდი როლი ითამაშა ამ მხარის ტოპონიმიკაში – «ვიეი»-ს, ჩვეულებისამებრ, აწარმოებენ vadum-ისგან და იგი «ფონს» ნიშნავს, როგორც იმ ადგილას, რომელიც სწორედ ასე იწოდება – ლე-ვიაი, «ფონები». იგი შესატყვისია ინგლისური ford-ისა (ოქსფორდი, გერფორდი). მოცემულ შემთხვევაში, «ვიეი» დასაბამს იღებს არა vetus-იდან, არამედ vastatus-იდან – შიშველი, გაუკაცრიელებული ადგილი. აქედან სულ ახლოს მდებარეობს სოტვასტი – სეტოლდის vast-ი, ბრილვასტი – ბეროლდის vadum-ი. საბოლოოდ სასულიერო პირის გაუთვითცნობიერებაში მაშინ დავრწმუნდი, როცა შევიტყვე, რომ წარსულში სენ-მარტენ-ლე-ვიეი სენ-მარტენ-დიუ-ჰასტად და სენ-მარტენ-დე-ტურგატადაც კი იწოდებოდა. უნდა შევნიშნო, რომ ამ ორ სიტყვაში v და g ერთნაირად გამოითქმის. «გამოცარიელების» მნიშვნელობით შეიძლება გამოიყენოთ არა მარტო ზმნა devaster, არამედ ზმნაც gâcher. «ჟაშერი» და «გატინი» (ზემოგერმანული wastinne-დან) ერთსა და იმავეს ნიშნავს: ტერგატი, ანუ – terra vasta. რაც შეეხება «გავა»-ს, წინანდებურად წმინდა გავინიას (რაიმე არ იფიქროთ), ეს გაბრიელია, არადა, მას როგორ არ ადიდებენ: როგორც გაბრ-ი, გაბრი-ც, გაბრიმიური-ც, და შამარს-იც კი. ეს კია, არ

უნდა დავივიწყოთ, რომ აქედან სულ ახლოს არის ადგილები, რომლებიც, უბრალოდ, მარს-ად იწოდება – ეს მხოლოდ იმას მოწმობს, რომ აქ წარმართული საწყისი სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა (ღმერთი მარსი) მაგრამ წმინდა მამას არ სურს, ეს სათვალავში ჩააგდოს. საერთოდ, აქ ბევრი აღმატებულებითობაა, მიძღვნილი წარმართული ღმერთებისადმი, ისეთები, როგორიც, მაგალითად, არის იუპიტერის მთა (ჟიომონ), თქვენს ხუცესს აქედან არაფრის დანახვა არ სურს, მაგრამ ის ნაკვალევიც, ქრისტიანობამ რომ დაამჩნია, ხელიდან უსხლტება. ამ ხეტიალში Loctudi-მდე მიაღწია და ამტკიცებს, რომ ეს ბარბაროსების სიტყვაა, სინამდვილეში კი ეს არის Locus Sancti Tudeni, ხოლო სახელწოდებაში «სამარკული» მან ვერ ამოიკითხა Sanctus Martialis. თქვენი მღვდელუკა, – რადგან მიხვდა, რომ ეს საკითხი მაინტერესებდა, ბრიშო განაგრძობდა, – სიტყვებს, რომლებიც

«ონ»-ზე, «ომ»-სა და «ოლმ»-ზე მთავრდება, აწარმოებს სიტყვიდან holl (hullus) ანუ, მისი აზრით, მაშინ როცა სინამდვილეში holl-ი ძველსკანდინავიური holm-იდან მოდის, რაც «კუნძულს» ნიშნავს: თქვენ ის გეცნობათ სტოკჰოლმიდან, აქ კი ყოველ ნაბიჯზე გვხვდება – ულმ-ი, ენგოომ-ი, თაუნ-ი, რობელომ-ი, ნეომ-ი, ქეთეონ-ი და ასე შემდეგ». ამ დასახელებებმა ის დღე გამახსენა, როცა ალბერტინმა ამფრევალ-ლა-ბიგოში (ადგილი, რომელსაც, როგორც ბრიშომ განმიმარტა, ასე ეწოდა მისი ორი მფლობელის სახელების მიხედვით, რომელთაგან ერთისგან ის მეორეზე გადავიდა) და როდესაც მან რობეომეში ვახშმობა შემომთავაზა. «ნეომიდან, როგორც ჩანს, შორს აღარ არის კარკეტიუი, და კლიტურპსი?» – ვკითხე მე. «სწორია, ნეომი – ეს არის holm-ი, კუნძული ან, უფრო, ნახევარკუნძული სახელგანთქმული ვიკონტის, ნიველის, რომლის სახელი ასევე შემოინახა ნევილის დასახელებამაც. კარკეტიუისა და კლიტურპსის წარმომავლობაშიც, რომელთა შესახებაც შემეკითხეთ, მარკიზა დე კამბრემერის რჩეულმა გვარიანი არევ-დარევა შეიტანა. ცხადია, მხედველობიდან არ გამორჩენია, რომ «კარკე» – ეს «ეკლესიაა», გერმანული Kirche. თქვენთვის ცნობილია სახელწოდება კერკევალი და, მით უმეტეს, დიუნკერკი. ამიტომაც, მოდით, უფრო ფართოდ გავრცელებულ სიტყვა dun-ზე შევჩერდეთ – კელტებთან ეს ნიშნავდა მაღლობს, ამას მთელ საფრანგეთში წააწყდებით. თქვენი აბატი დააჰიპნოზა სახელმა დიუნვილი, რომელიც ერ-ე-ლუარში მოიძია. შატიდენს, დენ-ლე-რუას იპოვიდა შერში, დიუნოს – სარტში, დენს – არიეჟში, დიუნ-ლე-პლასს – ნიევრში და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. ამ dun-ის გადამკიდემ მან კურიოზული შეცდომა დაუშვა დუვილთან დაკავშირებით – იქამდე მალე მივალთ და იქ ქალბატონი ვერდიურენის კომფორტული ეკიპაჟები გველოდება. დუვილი – ეს არის ლათინური denvilla, – ამტკიცებს ის. დიახაც, დუვილი მაღალი გორაკების ძირშია განლაგებული. თქვენი ყოვლისმცოდნე მღვდელუკა სადაღაც გრძნობს, რომ ყველაფერი აურია. რომელიღაც ძველ საეკლესიო წიგნში Demvilla

ამოუკითხავს. და აი, აქედან უკან დახევას იწყებს: მისი აზრით, დუვილი – ეს აბატის საკუთრებაა, Domino Abbati მიქაელ მთავარანგელოზის მონასტრიდან. მკვლევარი აღტაცებულია, თუმცა შესაძლოა, ეს ცოტა უცნაურად მოგვეჩვენოს, თუ გავიხსენებთ,

რაოდენ უმსგავსად იქცეოდნენ ამ მონასტერში «კაპიტოლარიუმის» დროიდან მოყოლებული, რომელიც სენტ-კლერ-სიურ-ეპტში გამოიცა, და სრულიად დაუჯერებლად, რომ დანიის მეფე, როგორც მთელი ამ სანაპიროს სუზერენი, იქ ქრისტიანობაზე მეტი თავგამოდებით ოდინის კულტს ამკვიდრებდა. სხვა მხრივ, იმის დაშვება, რომ n გადაიქცა m-ად, არ მიკვირს – ამას გაცილებით ნაკლები დამახინჯება სჭირდება, ვიდრე სრულიად აშკარა ლიონს, რომელიც ასევე dun (Lugdunum)-იდან მოდის. და მაინც, აქაც აბატი ცდება. დუვილი ძველი დროიდან დონვილი არ ყოფილა – ოდესღაც ეს იყო დოვილი, Ludonis Villa, ედის სამოსახლო (სამყარო), წინათ დუვილს ესკალეკლიფი ერქვა – «კიბე კლდეში». ათას ორას ოცდაცამეტ წელს ედ-მერიქიფე, ესკალეკლიფის ბატონი, წმინდა მიწაზე გაემართა. წასვლის წინ მან ეკლესია ბლანშლანდის სააბატოს გადასცა. მისი კეთილი საქმეების გამო დასახლებას მის პატივსაცემად სახელი გადაერქვა – აი, საიდან მოდის ახლანდელი სახელწოდება დუვილი. ოღონდაც უნდა გითხრათ, რომ ტოპონიმიკა, რაშიც მე, გამოგიტყდებით და გეტყვით, სულაც არა ვარ ძლიერი, ზუსტი მეცნიერება არ არის. ისტორიული ფაქტები რომ არ გვქონდეს ხელთ, შესაძლებლობა გვექნებოდა, გვემტკიცებინა, რომ დუვილი წარმოიშვა სახელიდან დუკიტი, დუვრიდან, საიდანაც გნებავთ. დუვალის სიახლოვეს მდებარეობდა კარკებიუს ცნობილი წყარო. წარმოიდგინეთ, ალბათ, როგორი აღფრთოვანებულია მღვდელუკა იმით, რომ იქ ქრისტიანობის რაღაც ნაკვალევი აღმოაჩინა, თუმცა იმ მხარეებში, როგორც ჩანს, ევანგელიის სწავლებას საკმაოდ მძიმედ ითვისებენ მქადაგებელთა ხშირი ცვლილებების გამო, მას კი იქ ხან წმიდა ურსალი, ხან წმინდა გოფრუა ან წმიდა ბარსანორი, ხანაც წმინდა ლავრენტი ბრევედენელი, და

ბოლოს, ბობეკსელი ბერმონაზვნები ქადაგებდნენ. რაც შეეხება «ტიუპ»-ს, ავტორი აქაც გამოუსწორებელ შეცდომას უშვებს, ის მას «ტოფრ»-ის ერთ-ერთ ფორმად მიიჩნევს, რაც «ქოხმახს» ნიშნავს და ის გვხვდება რიტკოში, ეკტოსა და ივეტოში, მაგრამ ეს «ტვეიტი»-ია: «ყამირი», «გატეხილი ყამირი», როგორც მაგალითად, ბრაკტიუიში, ტიუიში, რეგნტიუიში და ასე შემდეგ. ის არ უარყოფს, რომ კლიტურპსში ნორმანდიული «ტორა»-ი დევს, რაც ნიშნავს «სოფელს», მაგრამ სურს, სახელწოდების დასაწყისი გამოიყვანოს clivus-იდან, ანუ «ფერდობიდან», ის კი, სხვათა შორის, cliff-იდან – «კლდეებიდან» – მოდის. მისი შედარებით აშკარა შეცდომები იმდენად უვიცობით კი არა აიხსნება, რამდენადაც ცრურწმენებით. კი ბატონო, გიყვარდეს ყველაფერი ფრანგული, მაგრამ იმას, რაც აშკარაა, რატომ უნდა შეებრძოლო და ამტკიცო, რომ წმინდა ლავრენი ბრეიელი რომაელი ღვთისმსახურია, თავის დროზე ძალიან ცნობილი, მაშინ როცა ლაპარაკია წმინდა ლოურენის ო’ტულზე, დუბონის არქიეპისკოპოსზე? და მაინც, ყველაზე უხეშ შეცდომებს თქვენი მეგობარი იმდენად პატრიოტული გრძნობის გავლენით არ უშვებს, რამდენადაც რელიგიური მოსაზრებით. ასე, მაგალითად, ჩვენი ლა რასპელიერელი მეპატრონეებისგან არც ისე შორს ორი მონმარტენია: მონმარტენ-სიურ-მერი და მონმარტენ-ან-გრენი. გრენში ჩვენს ძვირფას მღდელუკას შეცდომა არ მოსდის: მან მოისაზრა, რომ გრენი ლათინური Grania, ბერძნული კრენე «ტბორს», «ჭაობს» ნიშნავს

– მაგალითისთვის, ვინ იცის, რამდენი სხვადასხვა კრემაისების, კრენების, კრემვილების, ტენგრონების მოყვანა შეიძლება! მაგრამ, აი, რაც შეეხება მონმარტენებს; ლინგვისტად რომ წარმოიდგინა თავი, რადაც უნდა დაუჯდეს, ისწრაფვის, დაამტკიცოს, რომ აქ ლაპარაკია წმინდა მარტინის სახელობის ეკლესიებზე. ის ეყრდნობა იმას, რომ წმინდა მარტინი ამ ტაძრების მფარველია, მაგრამ ყურად არ იღებს იმ მოსაზრებას, რომ წმინდა მარტინი მათ მფარველად გაცილებით გვიან იქცა; უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, მღვდელუკას წარმართობისადმი სიძულვილი აბრმავებს; არ უნდა,

ანგარიში გაუწიოს იმას, რომ, თუ აქ ლაპარაკი იქნებოდა წმინდა მარტინზე, მაშინ უნდა ეთქვათ: მონ-სენ-მარტენ, მსგავსად მიქაელ მთავარანგელოზის სააბატოსი, რომელსაც მონ-სენ-მიშელს უწოდებენ, არადა, სახელწოდება მონმარტენი გაცილებით დიდი ალბათობით შეიძლება მივაკუთნოთ წარმართობის ეპოქას: ეს იყო ტაძრები, მიძღვნილი ღმერთ მარსისადმი: მათგან, მართალია, არაფერი გადარჩენილა, მაგრამ ახლომახლო შემონახულია ნამდვილი რომაული ციხესიმაგრეების ნანგრევები და ეს, სახელწოდება მონმარტენიც რომ არ გვქონოდა და მარტო ესეც კია, ყოველგვარ ეჭვს გვიფანტავს – იმის უდავო მტკიცებულებად გამოდგებოდა, რომ აქ ნამდვილად არსებობდა წარმართული ტაძრები. იმედი მაქვს, დარწმუნდით, რომ წიგნაკს, რომელსაც ლა რასპელიერში მოიძიებთ, არ შეიძლება ბრწყინვალე ეწოდოს». შევეწინააღმდეგე, რომ კომბრეში მოძღვარი საინტერესოდ ხსნიდა ცალკეული სიტყვების წარმოშობას. «იქ მას, როგორც ჩანს, გაცილებით მყარი საფუძველი ჰქონდა; ნორმანდიაში გადასვლამ მას იგი ფეხქვეშ გამოაცალა». «და, როგორც ჩანს, ვერ განკურნა, – ავიტაცე მეც. – ის ხომ ნევრასთენიით ჩამოვიდა, წასვლით კი რევმატიზმით წავიდა». «ოჰ, ეს ნევრასთენია! ის მას ფილოლოგიაში გადაუვიდა, როგორც ჩემი საყვარელი პოკლენი იტყოდა. თქვენ რა აზრის ხართ, კოტარ: შეუძლია ნევრასთენიას, ცუდი გავლენა მოახდინოს ფილოლოგიაზე, შეუძლია ფილოლოგიას, დამამშვიდებლად იმოქმედოს ნევრასთენიაზე და შესაძლოა კი ნევრასთენიიდან გათავისუფლებამ რევმატიზმი გამოიწვიოს?». «შეუძლია და მერე როგორ! რევმატიზმი და ნევრასთენია – ეს ნევროართრიტის ორი ფორმაა. ერთი დაავადებიდან მეორეზე გადასვლა მეტასტაზების მეშვეობით ხდება». «სახელგანთქმული პროფესორი, – შენიშნა ბრიშომ, – იმდენ ლათინურსა და ბერძნულს ურევს ერთმანეთში, რომ მისი თვით მოლიერის ნეტარი მეხსიერების მქონე ბატონ პურგონსაც კი შეშურდებოდა. და, რათა, მინდოდა მეთქვა: ჩვენი სამშობლოს სიამაყე სარსე...» – ბრიშომ აზრის დამთავრება ვერ შეძლო. უეცრად პროფესორი

წამოხტა და აღმუვლდა. «ზზაც იქით გქონიათ! «myga bac pacnpomyga!» – მაშინვე დამაჯერებლად ალაპარაკდა. – მენვილი გავიარეთ (ოი-ოი) და რენვილიც კი. – დაინახა, რომ მატარებელი სენ-მარს-ვიეიში ჩერდებოდა, სადაც თითქმის ყველა მგზავრი ჩადიოდა. – აბა, სადგურის გამოტოვებას როგორ შეძლებდნენ! კამბრემერებზე ლაპარაკს შევყევით და ვერ შევამჩნიეთ. მისმინეთ, სკი! ერთი წუთით,

დიდად პატივცემული (ბოლო ხანებში, კოტარმა მიმართვის ამ ფორმის ხშირად გამოყენება დაიწყო, ესოდენ გავრცელებულის ზოგიერთ სამედიცინო წრეში) ჩვენს მატარებელში თავადის ქალი უნდა იყოს – სავარაუდოდ, თვალში არ მოვხვდით და სხვა კუპეში დაჯდა. წავიდეთ, მოვძებნოთ. ოღონდ ამის გამო რამე ისეთი არ მოხდეს!» და აქ მან თავადის ქალ შჩერბატოვას მოსაძებნად გაგვიყოლა. იგი ცარიელი კუპეს კუთხეში იჯდა და «რევიუ დე დე მონდ»-ს კითხულობდა. იმის შიშით, რამე უხეშობას არ გადაჰყროდა, დიდი ხანია წესად გაიხადა, გაუნძრევლად მჯდარიყო ერთ ადგილზე, კუთხეში მიკუნჭული – როგორც ვაგონში, ისე ცხოვრებაში – და, ვიდრე ხელს გაუწვდიდა, დალოდებოდა, ის სხვა პირველი არ მისალმებოდა. «ერთგულები» თავს კითხვაში გართულს წაადგნენ. მე ის მაშინვე ვიცანი: ეს ქალი, რომელმაც დაკარგა ის მდგომარეობა, ადრე რომ ეჭირა საზოგადოებაში, მაგრამ ვერ შეძლო დაეკარგა თავისი დიდგვაროვნება, რომელიც, ყოველ შემთხვევაში, ისეთი სალონის მშვენებად მიიჩნეოდა, როგორსაც ვერდიურენების სალონი იყო, გუშინწინ ამავე მატარებელში სამეძავო სახლის პატრონად მივიჩნიე. მისი ერთობ გაურკვეველი სოციალური მდგომარეობა ჩემთვის ნათელი გახდა, როგორც კი გვარი გავიგონე – ისე, როგორც გამოცანაში ჩაფლულები უცბად ამოვიცნობთ სიტყვას, რომელიც ნათელს მოჰფენს ყოველივეს, რაც ჩვენთვის აქამდე ბურუსით იყო მოცული. ორი დღის შემდეგ გაიგო, ვინ იყო ის ქალი, რომელთან ერთადაც მატარებლით მგზავრობდი, მაგრამ ვერ შესძელი გაგერკვია, საზოგადოების რომელ ფენას მიეკუთვნება იგი – ეს გაცილებით სახალისო სიურპრიზია, ვიდრე

ის, რას გვიმზადებს ჟურნალი, რომელშიც იმ გამოცანის ამოხსნას მოვიძიებთ, წინა ნომერში რომ შემოგვთავაზეს. მდიდრული რესტორნები, სამორინეები, საგარეუბნო მატარებლები ამ სოციალური გამოცანების გვარების მუზეუმებია. «თავადის ქალო! მენვილში გამოგვეპარეთ. ნებას დაგვრთავთ, თქვენს კუპეში დავსხდეთ?». «რასაკვირველია!» – უპასუხა თავადის ქალმა; მხოლოდ მას შემდეგ, რაც გაიგონა, რომ კოტარი მას მიმართავდა, გადაწყვიტა, თვალი მოეწყვიტა წიგნისთვის, და ეს თვალები, ისე, როგორც დე შარლიუსი – თუმცა თავადის ქალის თვალებში გაცილებით რბილი გამოხედვა იგრძნობოდა – შესანიშნავად ხედავდნენ იმათ, ვისაც ვითომდა ვერც კი ამჩნევდნენ. კოტარმა, რომელმაც გადაწყვიტა, რომ, რადგან მე კამბრემერებთან ერთად მეძახიან, ეს საკმაოდ ღირებული რეკომენდაციაა, გაბედა თავადის ქალთან წარვედგინე და ისიც ერთობ თავაზიანად მომესალმა, ოღონდ მთელი თავისი შეხედულებით მაგრძნობინა, რომ ჩემი სახელი პირველად ესმის. «ფუ, ძაღლმა შეჭამოს! – წამოიძახა დოქტორმა. – ჩემს ცოლს ჩემს თეთრ ჟილეტზე ღილების გამოცვლა დავიწყებია! ოჰ, ეს ქალები! მაინც რა აქვთ თავში? ცოლი არ მოიყვანოთ! გესმით? არ იქორწინოთ!» – მე მომმართა. მიიჩნია, რომ ასეთი ხუმრობა შესაძლებელია, როცა არ იცი, რაზე ილაპარაკო, კოტარმა თავადის ქალსა და დანარჩენ «ერთგულებს» თვალი ჩაუკრა, ამათ კი, რადგან ის პროფესორი და აკადემიკოსი იყო, გაუღიმეს, მასში ამპარტავნობის არარსებობას და მისი მხიარულების გადამდებობას აფასებდნენ. თავადის ქალმა გვაცნობა, რომ ჭაბუკი მევიოლინე აღმოაჩინეს. გუშინ მთელი დღე თავის ტკივილით გაწამებულმა

ლოგინში გაატარა, დღეს კი მოვა და თან მოიყოლებს მამამისის ძველ მეგობარს, რომელსაც დონსიერში შეხვდა. თავადის ქალმა ამის თაობაზე ქალბატონი ვერდიურენისგან გაიგო, რომელთანაც ამ დილით ისაუზმა, რის შესახებაც ის, როგორც ყოველთვის, სხაპასხუპით მოგვიყვა, რომელშიც ბგერა რ, რუსულად რომ გამოთქვამდა, ტკბილად ეღვრებოდა ყელში, ისე, თითქოს ეს ბგერა რ კი არა, ბგერა ლ

ყოფილიყო. «აჰ, დღეს მასთან ისაუზმეთ? – ჩაეკითხა კოტარი თავადის ქალს, თან ამ დროს მე მომჩერებოდა – უნდოდა, თავადის ქალის მფარველთან სიახლოვის ხარისხი შემეფასებინა. – არა, თქვენ «ერთგულთა» შორის «ერთგული» გვყავხართ!». «დიახ, მიყვარს ამ წლეში გაერთიანებული ჭკვიანი ადამიანები, სასიამოვნო, უბოლოტო, ძალიან უბლალო ადამიანები, ეს წლე, სადაც ალ ალის ადგილი სნობებისთვის და სადაც ყველა მახვილსიტყვაობით ბლწყინავს». «ოჰ, რა მამაძაღლობაა, ბილეთი დავკარგე! ნეტავ, სად უნდა მიმეკარგა?» – წამოიყვირა კოტარმა, რომელიც სულ ტყუილ-უბრალოდ ღელავდა. არ შეიძლება, არ სცოდნოდა, რომ დუვილში, სადაც ორი ლანდო უნდა დაგვლოდებოდა, კონტროლიორი მას უბილეთოდ გაატარებს და პატივისცემით ქუდსაც მოუხდის, რითიც აგრძნობინებს, რომ არ აპირებს, გამოეკიდოს, რადგან მასში მაშინვე ამოიცნო ვერდიურენის ხშირი სტუმარი. «ამის გულისთვის პოლიციაში ხომ არ გამაქანებენ», – როგორც იქნა, გადაწყვიტა დოქტორმა. «წეღან თქვით, რომ ახლომახლო სახელგანთქმული წყაროებია; ეს საიდან გახდა ცნობილი?» – შეკითხვით მივმართე ბრიშოს. «მრავალთაგან ერთ-ერთი საბუთია მომდევნო სადგურის სახელწოდება. მას ფერვაშს ეძახიან». «ამით რა უნდა გაარკვიო?» – ისე ჩაიდუდუნა თავადის ქალმა, თითქოს მისი სიტყვები ჩემკენ იყო მომართული და მე მითანაგრძნობდა, «უჰ, ალბათ, თავი მოგაბეზრათ ამ კაცმა!» «ჰოდა, აქ გასარკვევი არც არაფერია, თავადის ქალო. «ფერვაში» «ცხელ წყლებს» ნიშნავს. Fervidae aguae. მართლა, რაც შეეხება ახალგაზრდა მევიოლინეს, – განაგრძობდა ბრიშო, – დამავიწყდა, თქვენთვის მეცნობებინა, კოტარ, სამწუხარო ახალი ამბავი. გაიგეთ, რომ ჩვენი საბრალო მეგობარი დეშამბრი, პიანისტი, რომელიც ადრე განსაკუთრებულად უყვარდა ქალბატონ ვერდიურენს, სულ ახლახან გარდაიცვალა? ეს საშინელებაა». «ჯერ სრულიად ახალგაზრდა იყო, – გამოეხმაურა კოტარი. – მაგრამ, მე მგონი, ღვიძლზე რაღაც სჭირდა, რაღაც საზიზღრობა, ბოლო ხანს ძალიან ცუდად გამოიყურებოდა». «არც ისე ახალგაზრდა იყო, –

შეეკამათა ბრიშო. – როცა ქალბატონ ვერდიურენს ელსტირი და სვანი სტუმრობდნენ ხოლმე, დეშამბრი უკვე მაშინ პარიზში ცნობილი კაცი იყო, და – რა უცნაურია! – აქამდე წარმატებებით არ განბანილა საზღვარგარეთ! ჰო, ვინ-ვინ და, მას არასოდეს უქადაგია ევანგელიის სწავლება წმინდა ბარნუმისთვის!». «რაღაც გეშლებათ, მაგ დროს ის ვერაფრით ვერ მოხვდებოდა ქალბატონ ვერდიურენთან, მაშინ ჯერ კიდევ ძუძუს წოვდა». «მაგრამ, თუ ჩემი ბებერი მეხსიერება არ მღალატობს, დეშამბრი ვენტელის სონატას უკრავდა სევანისთვის, როდესაც ეს კლუბმენი, არისტოკრატიასთან კავშირი რომ გაწყვიტა, ჯერ კიდევ შორს იყო იმ აზრისგან, რომ

შედეგად გაბურჟუებულ პრინც-კონსორტად იქცევა ჩვენთან გამეფებული ოდეტისთვის!». «ნუ კამათობთ! ვენტელის სონატას ქალბატონ ვერდიურენთან მაშინ უკრავდნენ, როცა სვანს უკვე დიდი ხნის შეწყვეტილი ჰქონდა მასთან მიმოსვლა, – გააპროტესტა დოქტორმა; როგორც ყველა დიდად გამრჯე ადამიანს, რომელთაც წარმოუდგენიათ, რომ იმახსოვრებენ, როგორც თავად ფიქრობენ, ყველაფერ მნიშვნელოვანს, ის ბევრ დანარჩენს ივიწყებდა – აი, რატომ აღფრთოვანდებიან ასეთი ადამიანები იმათი მეხსიერებით, ვინც თითქმის არაფერს აკეთებს. – თქვენ ხომ ბავშვობას არ დაბრუნებიხართ, – უბრალოდ, თქვენს ცოდნას მიენდეთ», – ღიმილით დაუმატა დოქტორმა. ბრიშომ შეცდომა აღიარა. მატარებელი გაჩერდა. ეს სონი იყო. დასახელებამ დამაინტერესა. «როგორ მინდა, ვიცოდე, რას ნიშნავს ყველა ეს სახელწოდება», – ვუთხარი კოტარს. «თქვენც ბრიშოს ჰკითხეთ – იქნებ, მან იცის». «სონი – ეს ხომ siconia – იგივე ყანჩაა», – გვიპასუხა ბრიშომ, მე კი, ღმერთმა უწყის, როგორ მინდოდა კიდევ ბევრი, ბევრი სახელწოდების თაობაზე გამომეკითხა.

თავადის ქალმა შჩერბატოვამ, იმის შესახებ, რომ მიავიწყდა, როგორ უფრთხილდება თავის «კუნჭულს», ჩემთან საუბარი გააბა, შემომთავაზა, ადგილები გაგვეცვალა, რათა უფრო იოლად

მომეხერხებინა ბრიშოსთან საუბარი, რადგან ვოცნებობდი, მისგან გამეგო ჩემი ცნობისმოყვარეობის აღმძვრელი დანარჩენი ეტიმოლოგიის შესახებ, – მარწმუნებდა, რომ მისთვის სულერთია, როგორ იმგზავრებს – სახით პირდაპირ, უკან, ფეხზე მდგომი თუ ასე შემდეგ. თავდაცვით მდგომარეობაში იყო მანამდე, ვიდრე ახალშემოსულის განზრახვას არ შეიტყობდა, მერე, როგორც კი დარწმუნდებოდა, რომ მის მიმართ თავაზიანია, მაშინვე იწყებდა საბაბის ძებნას, მისთვის რაიმე ესიამოვნებინა. ბოლოს და ბოლოს, მატარებელი დოვილ-ფეტერნის სადგურზე გაჩერდა, რომელიც დაახლოებით ერთი და იმავე მანძილით იყო დაშორებული სოფელ ფეტერნსა და სოფელ დოვილს და სწორედ ამ მისთვის დამახასიათებელი განსაკუთრებულობის გამო ჰქონდა ორმაგი სახელი. «ფუ, დალახვროს ეშმაკმა! ვერაფრით ბილეთი ვერ მიპოვნია, – როგორც ჩანს, სადღაც დამივარდა!» – წამოიძახა კოტარმა, ისეთი სახე რომ მიიღო, თითქოს ეს ამბავი ტურნიკეტს რომ მივუახლოვდით, სადაც ბილეთებს ამოწმებდნენ, იმ წუთას აღმოაჩინაო. მაგრამ კონტროლიორმა, ქუდი რომ მოიხადა, არა უშავსო, მიმართა და პირმოთნედ გაიკრიჭა. თავადის ქალმა მეეტლეს მითითება მისცა, ისე, თითქოს რაღაც ფრეილინის მსგავსი ყოფილიყოს ქალბატონი ვერდიურენისა, რომელიც სადგურზე მხოლოდ კომბრემერების გამო არ მოვიდა – სხვათა შორის, უნდა ითქვას, ძალიან იშვიათად ხდებოდა, რომ ქალბატონი ვერდიურენი თავის სტუმრებს სადგურზე არ დახვედროდა – მერე კი მე და ბრიშო თავისთან ეკიპაჟში ჩაგვსხა. მეორეში დოქტორი, სანეტი და სკი მოთავსდნენ.

მეეტლე ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა იყო, თუმცა ის ვერდიურენების უფროსი მეეტლე გახლდათ, ერთადერთი, ვინც სამართლიანად ატარებდა მეეტლის წოდებას. დღისით მას სასეირნოდ დაჰყავდა ბატონები, რამდენადაც ყველა გზა იცოდა,

საღამოს «ერთგულების» მოსაყვანად მიდიოდა, მერე კი ისინი სადგურზე მიჰყავდა. თან უმცროსი მეეტლეც ახლდა

ხოლმე (რომელსაც საჭიროების ჟამს თვითონ ირჩევდა). უფროსი მეეტლე მშვენიერი ყმაწვილი იყო, არ სვამდა, მარჯვე გახლდათ, ოღონდ სახის მოწყენილი გამომეტყველებითა და ერთობ დაძაბული მზერით, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ეს კაცი ყველა წვრილმანზე ღელავს და რომ მას მრუმე ფიქრები აქვს. მაგრამ ახლა კარგ გუნებაზე იყო, რადგან მოახერხა, მისი ძმა – ისეთივე კეთილი არსება, როგორიც თავად იყო – ვერდიურენებს სამსახურში აეყვანათ. თავდაპირველად დოვილი გავიარეთ. ბალახით დაფარული გორაკები ზღვისკენ ფართო საძოვრებით ეშვებოდა, რომლებსაც სინესტით და მარილით გაჟღენთილობა ტონების უჩვეულო სისქეს, სირბილესა და სიცინცხალეს აძლევდა. პატარა კუნძულები, რომლებიც რივბელში შეუდარებლად უფრო ახლოს იყო შეჭრილ-შემოჭრილი ნაპირთან, ვიდრე ბალბეკში, ზღვას ჩემთვის სრულიად ახალ ამობურცულ ზედაპირს უჩენდნენ. სახლები, რომელთა სიახლოვესაც მივდიოდით, პატრონებისგან თითქმის ყველა მხატვრებს დაექირავებინათ. მერე გზაზე გადავუხვიეთ და აქ ძროხებმა, თავისუფლად რომ დახეტიალობდნენ და ჩვენი ცხენების დანახვაზე ისევე დაფეთდნენ, როგორც ცხენები მათ დანახვაზე, მთელი ათი წუთით გადაგვიღობეს გზა, მერე კი ზღვით წავედით. «ყველა უკვდავი ღმერთის სახელით, – უცებ ბრიშო ალაპარაკდა. – ჩვენს საბრალო დეშამბრს დავუბრუნდეთ; როგორ ფიქრობთ, ქალბატონ ვერდიურენს ეცოდინება? უთხრეს რამე?» ქალბატონი ვერდიურენი, ისე, როგორც თითქმის ყველა მაღალი წრის ქალბატონი, სწორედ იმიტომ, რომ საზოგადოება ესაჭიროებოდა, თავისი ნაცნობებიდან ვინმეს გარდაცვალების შემდეგ მას ერთი დღითაც კი აღარ იხსენებდა: მათ უკვე აღარ შეეძლოთ მოსულიყვნენ არც ოთხშაბათობით, არც შაბათობით, არც იმისთვის, რომ მიპატიჟების გარეშე ესაუზმათ. კლანზე, ამ ტიპურ სალონზე, არ შეიძლებოდა გეთქვათ, რომ მასში გარდაცვლილი მეტია, ვიდრე ცოცხალი, იმიტომ, რომ, როგორც კი ვინმე კვდებოდა, ყველაფერი ისე გადაეწყობოდა ხოლმე, თითქოს მას არც არასოდეს უარსებია. რათა თავი აერიდებინათ

სამწუხარო აუცილებლობისთვის, ესაუბრათ გარდასულებზე ან, გლოვის ნიშნად, გადაედოთ სადილობა, – ამას კი მფარველი ქვეყნად არაფრის გულისთვის არ დაუშვებდა – ვერდიურენი ყველას ყურს უხედნიდა იმაზე ლაპარაკით, თითქოს მისი ცოლი ისე მძიმედ განიცდის «ერთგულის» აღსასრულს, რომ მის სიკვდილზე საუბარმა შესაძლოა დამღუპველად იმოქმედოს ქალბატონის ჯანმრთელობაზე. აქვე უნდა ვთქვათ, შესაძლოა, სწორედ იმიტომ, რომ ვიღაც სხვისი სიკვდილი ამ კაცს გარდაუვალ და ჩვეულებრივ უბედურებად მიაჩნდა, საკუთარი სიკვდილი ისეთ საშინელებად ეჩვენებოდა, რომ ცდილობდა, ამაზე არ ეფიქრა. ბრიშო, შესანიშნავი ჭაბუკი, ბრმად რომ სწამდა ვერდიურენის მონაჩმახი თავისი ცოლის შესახებ, შიშობდა, ვაითუ, ამ მწუხარე ამბავს მისი კეთილმოსურნე აეღელვებინა. «დიახ, დღეს ყოველივე შეიტყო, – წარმოთქვა თავადის ქალმა. – ამის დამალვის არანაირი შესაძლებლობა არ იყო». «ზევსის რისხვავ! – წამოიყვირა ბრიშომ. – წარმომიდგენია,

რა საშინელი დარტყმაა ეს მისთვის: ოცდახუთწლიანი მეგობრობა! აი, ვინ იყო ჩვენი, ასე ჩვენი!». «ცხადია, ცხადია, მაგრამ აქ ვეღარაფერს გააწყობ, – შენიშნა კოტარმა. – მწუხარება მწუხარებაა, მაგრამ ქალბატონი ვერდიურენი ძლიერი ქალია, მისი გონება კი ყოველთვის გრძნობაზე მაღლა დგას». «ექიმს მთლად ვერ დავეთანხმები, – საუბარში ჩაერთო თავადის ქალი; იმის გამო, რომ სწრაფად და გაურკვევლად მეტყველებდა, ისე ჩანდა, თითქოს მუდმივად რაღაცით უკმაყოფილოა, და ამასთან, მის ტონში რაღაც გამოწვევა გაისმოდა. – ქალბატონი ვერდიურენი მხოლოდ გარეგნულად ჩანს ცივი, მაგრამ ამ ცივი გარსაკრავის მიღმა გულკეთილობის განძია შეფარული. ბატონმა ვერდიურენმა მიამბო, რა ფასად დაუჯდა, რომ მისთვის პარიზში წასვლა გადაეფიქრებინა: მისმა მოტყუებამ მოუწია, უთხრა, რომ დეშამბრს სოფელში ასაფლავებენ». «დასწყევლოს ეშმაკმა, ესღა გვაკლდა – პარიზში! ძალიან თანამგრძნობელია, რამდენად ვიცნობ, მეტისმეტადაც კი. საბრალო დეშამპრი! რაღაც ორიოდე თვის წინათ ქალბატონმა ვერდიურენმა

მასზე მითხრა: «მის გვერდით არც პიანტეს, არც პადერევსკის, თვით რისლერის დაყენებაც კი არ შეიძლება». დეშამბრის დიდი საფუძველი ჰქონდა, ვიდრე ამას, როგორ ჰქვია, ნერონს, რომელმაც გერმანელ მეცნიერებსაც, მათაც კი თვალი აუხვია, წამოეძახა: Daalis artifex pereo! მაგრამ, უკიდურეს შემთხვევაში, ეს – ანუ დეშამბრი – მოკვდა, როგორც ღვთისმსახურებაში, ბეთჰოვენისეული შთაგონების გუნდრუკში გახვეული, მოკვდა მშვიდად – ამაში ეჭვი არ მეპარება; გულზე ხელის დადებით თუ ვიტყვით, გერმანული მუსიკის ამ მღვდელმსახურს შეეფერებოდა სული მესა r-ის შესრულებისა ამოეშვა. სხვათა შორის, ამ კაცს უნარი შესწევდა, სიკვდილს ამაყი ტრელით შეხვედროდა: აკი ამ გენიალურ მუსიკოსში, თუმც გაპარიზელებულში, მაგრამ მაინც საცხოვრებელი ადგილის მიხედვით შამპანელისა, დროდადრო თავს აღწევდა ფრანგი გვარდიელი მისთვის დამახასიათებელი სიმკვირცხლითა და სიკოხტავით».

იმ სიმაღლიდან, რომელზეც ავედით, ზღვა ჩვენს მზერას ისეთად კი არ წარმოუდგებოდა, როგორც ბალბეკში, სადაც ის მთების უწყვეტ მოძრაობას მოგაგონებდათ, – არა, ის აქ ისეთი იყო, როგორადაც მზერას მთის წვერიდან ან გზიდან, მას რომ გარს უვლის, წარმოუდგება – მოცისფრო საყინულე ან თვალისმომჭრელი ველი. ჭავლი აქ ერთ ადგილას გაშეშებული ჩანდა, მისი კონცენტრირებული წრეები თითქოს სამარადჟამოდ მოეხაზათ; ზღვის მინანქარი, ფერს შეუმჩნევლად რომ იცვლიდა, ზღვის უბის სიღრმეში, რომლის ნაპირზეც მოქცევის ჟამს ტალღები მოვარდებოდა ხოლმე, რძის ფერს იძენდა, და ამ ცისფერ სითეთრეში უძრავი შავი გემები მოგაგონებდათ ბუზებს, ქსელში რომ მოხვდნენ. ძალა არ მქონდა, უფრო ფართო სურათი წარმომედგინა. ეს კია, ყოველ ახალ შესახვევში მას უერთდებოდა რაღაც ახალი ნაწილი, ხოლო, როცა დოვილის საბაჟოს ჯიხურთან მივედით, სანაპიროს კლდეების ფარი, აქამდე ზღვის უბის

ნახევარს რომ გვიფარავდა, უკვე აღარ არსებობდა, და უეცრად ჩემს მარცხნივ გამოჩნდა ყურე, თითქმის ისეთივე ღრმა, როგორც ის, მთელ ამ გზაზე ჩემი

თვალსაწიერისთვის მისაწვდომი რომ იყო, ოღონდ ეს ყურე სულ უფრო და უფრო იზრდებოდა და ლამაზდებოდა. ამ სიმაღლეზე ჰაერი თავისი მაცოცხლებელი უნარითა და სისუფთავით მათრობდა. ახლა ვერდიურენები მიყვარდნენ; სულის სიღრმემდე შემძვრელი იყო ის, რომ მათ ეკიპაჟი გამოგვიგზავნეს. მომინდა, თავადის ქალისთვის მეკოცნა. ვუთხარი, რომ ასეთი სილამაზე ჯერ არსად მეხილა. მან მიპასუხა, ჩემთვისაც ეს მხარეები ყველაზე ძვირფასიაო. მაგრამ ვხვდებოდი, რომ მისთვის ისე, როგორც ვერდიურენებისთვის, ეს ინტერესის საგანი იყო არა მოგზაურთა თვალის დამატკბობელი თვალსაზრისით, არამედ იმიტომ, რომ აქ შეგიძლია გემრიელად ისადილო, შეხვდე სიმპათიურ ადამიანებს, დაწერო ბარათები, იკითხო – ერთი სიტყვით, იცხოვრო, დაუფიქრებლად გადაეშვა ამ სილამაზეში, ოღონდ არ ეცადო, გააცნობიერო იგი.

როცა ეკიპაჟი წუთით საბაჟოს ჯიხურთან შეჩერდა, ზღვის დონიდან ძალიან, ძალიან მაღლა რომ იდგა, ისე, რომ მეჩვენებოდა, თითქოს მთის ყველაზე მაღალი წერტილიდან მოცისფრო უფსკრულს ჩავცქეროდი, რაღაც თავბრუსხვევის მსგავსი ვიგრძენი; სარკმლები შევაღე; თვალნათლივ გამორჩეული თითოეული ტალღის ტლაშუნის სირბილესა და გამოკვეთილობაში, ნაპირზე რომ იშლებოდა, იყო რაღაც დიდებული. მაგრამ არის თუ არა ეს ტლაშუნი საზომის განსაკუთრებული ერთეული, რომელიც, ჩვენი აღქმის ჩვეულებრივ წარმოდგენას რომ ამსხვრევს, გვიჩვენებს, ჩვენთვის დამახასიათებელი წარმოდგენის საპირისპიროდ, შვეული მანძილები შეესაბამება ჰორიზონტალურებს და, რამდენადაც ცას გვიახლოებენ, მაშასადამე, ისინი არც ისე დიდია, რომ ისინი უფრო მოკლეა, ვიდრე ის ხმა, მათ რომ ფარავს, ისე, როგორც დაძლია მანძილი ზღვის ჭავლმა, იმიტომ, რომ გარემო, რომელსაც

ხმა გაივლის, უფრო სუფთაა? სინამდვილეში, ჯიხურს სულ ორიოდე მეტრით თუ მოსცილდებოდით, უკვე ვეღარ გაიგონებდით ტალღების ტლაშუნს, რომელსაც კლდის ორასმეტრიანი სიმაღლე ვერ ართმევდა მის რბილ, გამოკვეთილ და ყურისთვის სასიამოვნო რიტმულობას. გამეფიქრა, რომ ეს ტლაშუნი ისეთივე აღტაცებას მოჰგვრიდა ჩემს ბებიას, როგორსაც მასში ბუნების მოვლენები და ხელოვნება იწვევდა, რომელთა უბრალოებაც სავსეა დიდებულებით. ჩემი უსაზღვრო აღფრთოვანება ყველაფერს აკეთილშობილებდა. მაგალითად, გული ამიჩუყა იმან, რომ ვერდიურენებმა სადგურზე ეკიპაჟი გამოგვიგზავნეს. ამის თაობაზე თავადის ქალს ვუთხარი, მაგრამ მან მიიჩნია, რომ ძალიან ვაზვიადებ ჩვეულებრივი თავაზიანობის გამოვლინებას. მოგვიანებით გავიგე, რომ კოტართან საუბარში ჩემზე თქვა, მეტისმეტი აღტაცება ახასიათებსო; ამაზე კოტარმა უპასუხა, რომ ადვილად აღვეგზნები ხოლმე და ცუდი არ იქნებოდა, თუ დამამშვიდებლებს მივიღებდი და ქსოვას მივყოფდი ხელს. თავადის ქალის ყურადღებას მივაპყრობდი თითოეულ ხეზე, თითოეულ ძველ ქოხზე, ვარდის ბუჩქებიდან რომ გამოიყურებოდა, მოვითხოვდი, რომ ქალი ყველაფრით აღფრთოვანებულიყო, და მზად ვიყავი, გულში ჩამეკრა. მან შეამჩნია, რომ, როგორც ჩანს, ფერწერისკენ მაქვს მიდრეკილებები, რომ უნდა ვხატო, რომ მას უკვირს, ამაზე აქამდე როგორ არავინ მითხრა. და

დამიდასტურა, ეს ადგილები მართლა თვალწარმტაციაო. მთაზე მიკრული სოფელი ანგლესკვილი გავიარეთ. «Engleberti villa, – აგვიხსნა ბრიშომ. – თქვენ, თავადის ქალო, მტკიცედ ხართ დარწმუნებული, რომ, დეშამბრის აღსასრულის მიუხედავად, ვახშამი მაინც გაიმართება?» – იკითხა მან, ის კი ვერ გაიაზრა, რომ სადგურზე იმ ეკიპაჟების გამოგზავნა, რომლითაც ვმგზავრობდით, უკვე იყო პასუხი მის შეკითხვაზე. «დიახ, ვახშამი შედგება, – უპასუხა თავადის ქალმა. – ბატონმა ვერდიურენმა გადაწყვიტა, არ გადაეტანა – რათა ცოლი «ფიქრებს» ჩამოაშოროს. ეგეც არ იყოს, რამდენიმე წლის განმავლობაში არც ერთი ოთხშაბათი არ

გამოუტოვებია და ჩვეულების დარღვევას, შესაძლოა, მისი აღელვება გამოეწვია. ბოლო ხანებში ქალი ძალიან ნერვიულობს. ბატონი ვერდიურენი განსაკუთრებულად კმაყოფილია, რომ ეს მას გამოთიშავს, – მომმართა თავადის ქალმა, რომელსაც დაავიწყდა, რომ სულ ახლახან თავს ისე მაჩვენებდა, თითქოს აქამდე ჩემი სახელი არც არასდროს გაუგონია. – ჩემი აზრით, ყველაზე უკეთესი იქნება, თუ ქალბატონ ვერდიურენთან ამაზე არაფერს იტყვით», – დაუმატა თავადის ქალმა. «კარგია, რომ გაგვაფრთხილეთ, – თქვა მიამიტმა ბრიშომ. – თქვენს ამ რჩევას კოტარსაც გადავცემ». ეკიპაჟი წუთით შეჩერდა. მერე კვლავ დაიძრა, მაგრამ ბორბლების ხმაური, სანამ სოფელს გავივლიდით, სულ რომ ისმოდა, შეწყდა. შევედით მთავარ ხეივანში, რომელსაც ლა რასპელიერისკენ მივყავდით, სადაც შესასვლელთან ვერდიურენი გველოდა. «კარგია, სმოკინგი რომ ჩავიცვი, რადგან ასეთი ბრწყინვალე სტუმრები მყვანან», – თქვა მან, კმაყოფილებით რომ აღიქვა, «ერთგულები» სმოკინგებით არიან. მე მოვუბოდიშე, რომ პიჯაკით მივედი. «კარგი ერთი, ეს ისეთი წვრილმანია, მშვენივრად მოიქეცით! – წამოიძახა ვერდიურენმა. – ჩვენს ვახშმობებზე ყველაფერი მარტივად არის. რა თქმა უნდა, შემეძლო ჩემი რომელიმე სმოკინგი შემომეთავაზებინა, მაგრამ არ მოგერგებათ». გულმხურვალე hand[129]-მა, რომლითაც ბრიშოს, ლა რასპელიერის ვესტიბიულში რომ შევიდა, სურდა, მასპინძლისთვის პიანისტის გარდაცვალების გამო თავისი თანაგრძნობა გამოეხატა, ვერდიურენებში ვერავითარი გამოძახილი ვერ პოვა. მე ამ მხარის ქება დავიწყე. «ო, მოხარული ვარ, მოხარული, თან თქვენ ჯერ თითქმის არაფერი გინახავთ, ჩვენ გიჩვენებთ. ხომ არ ინებებდით ასე თვე-ნახევრით აქ ჩამობრძანებს? აქაური ჰაერი მომხიბლავია». ბრიშო შიშობდა, რომ მისი ხელის ჩამორთმევის არსი გაუგებარი დარჩა. «ეჰ, საწყალი დეშამბრი!» – იმის შიშით, რომ ქალბატონი ვერდიურენი სადღაც ახლომახლოა, ნახევარხმით წარმოთქვა მან. «საშინელებაა, მხიარულად გაეპასუხა ვერდიურენი. «ისეთი ახალგაზრდა იყო!» – თავისას არ იშლიდა ბრიშო. იმით

გაღიზიანებულმა, რომ ამ ფუჭსიტყვაობით აყოვნებენ, ვერდიურენმა სწრაფად, მკივანა ნოტზე უპასუხა, ამასთან, მწუხარება კი არა, დასანანი მოუთმენლობა გამოხატა: «დიახ, მაგრამ როგორ გინდათ? ჩვენ აქ არაფრის გაკეთება არ ძალგვიძს. იმის გამო, რომ ვიწუწუნებთ, ის ვერ აღდგება, ასე არ არის?» მაგრამ აქ ის უცებ გამხიარულდა და მოლბა. «აბა, ძვირფასო ბრიშო, ჩქარა, პალტო გაიხადეთ. დღეს ქერქეჭელა გვაქვს, მას კი ლოდინი არ უყვარს. რაც მთავარია, ღვთის გულისათვის,

ქალბატონ ვერდიურენს დეშამბრზე ნუ დაელაპარაკებით! ხომ იცით: გულდახურულია, მაგრამ მის აღქმას პირდაპირ ავადობამდე მიჰყავს. არა, მართლა, გეფიცებით: როცა უთხრეს დეშამბრი მოკვდაო, ლამის ატირდა», – თქვა ვერდიურენმა, მაგრამ მის ხმაში ღრმა ირონია გაისმა. ისეთი ტონით ლაპარაკობდა, თითქოს: გეცოდებოდეს ადამიანი, რომელთანაც ოცდაათწლიანი მეგობრობა გაკავშირებდა – ეს ერთგვარი სიგიჟეა, ამასთან, იგრძნობოდა, თუმცა მან ამდენი წელი ცოლთან ერთად გაატარა, მაინც განიკითხავს მას და ხშირად ღიზიანდება მის საქციელზე. «თუ მასთან ამაზე ილაპარაკებთ, კვლავ ავად გახდება. ბრონქიტიდან სამი თვის შემდეგ – შედით ჩემს მდგომარეობაში! ასეთ დროს ხომ მომვლელად გადავიქცევი ხოლმე. თვითონაც ავად ვხდები ხოლმე, გამიგეთ? იგლოვეთ დეშამბრი, რამდენ ხანსაც გნებავთ, ოღონდ მარტომ. იფიქრეთ მასზე, ოღონდ ნუ ილაპარაკებთ. დეშამბრი მიყვარდა, მაგრამ იმის გამო ხომ ვერ განმსჯით, რომ ცოლი მასზე მეტად მიყვარს. აგერ, კოტარიც, მას დაეკითხეთ». ვერდიურენმა შესანიშნავად იცოდა, რომ ოჯახის ექიმს უამრავი წვრილმანი სამსახურის გაწევა შეეძლო – მაგალითად, დაეშალა, ნუ იღელვებთო.

მორჩილი კოტარი მფარველს ეუბნებოდა: – «აი, ცუდ განწყობაზე დადგებით რაიმე მიზეზით, ხვალ კი ოცდაცხრამეტს გამიმზადებთ», ისე, როგორც შეეძლო, მზარეულისთვის ეთქვა: «ხვალ, ბრინჯიანი საქონლის ჩაშუშულს მომიმზადებთ». როცა განკურნება არ ძალუძს, მედიცინა იმით არის დაკავებული, რომ იგონებს ზმნებისა და ნაცვალსახელების გამოყენების ახალ ფორმებს.

ვერდიურენს ახარებდა, რომ, მიუხედავად იმ უკმეხობისა, რომლის ატანამაც სანეტს მოუწია, მან «ბირთვი» მაინც არ მიატოვა. საქმე ის გახლავთ, რომ უსაქმურობისგან ქალბატონ ვერდიურენს და მის ქმარს სულ უფრო ხშირად უჩნდებოდათ მოთხოვნილება, ტკივილი მიეყენებინათ ადამიანებისთვის, მის დასაკმაყოფილებლად კი უკვე არ ჰყოფნიდათ საგანგებო ვითარებები, რაც ყოველთვის ძალზე იშვიათია. მართალია, მათ, უკეთესი რომ არ იქნება, ისე მოახერხეს ოდეტისა და სვანის წაკიდება, ბრიშოსი – მის შეყვარებულთან. ახლა დგებოდა დრო, კიდევ ვინმე ამოეღოთ მიზანში – ეს უკვე ჩაიფიქრეს. მაგრამ შემთხვევა ყოველთვის არ ჩნდებოდა. სანეტი კი, მისი ადვილად მოწყვლადი სულის, დამფრთხალი სიმორცხვის წყალობით, რომელთა გამოც ის შეურაცხი ხდებოდა ხოლმე, მათთვის ყოველდღიურ მსხვერპლს წარმოადგენდა. ეს კია, იმის შიშით, აქედან არ მოკურცხლოსო, ყოველთვის ისეთი თავაზიანი და დაჟინებული გამოთქმით ეპატიჟებოდნენ, როგორებითაც სკოლებში მეორეწლიანები სარგებლობენ, არმიაში კი ძველი მომსახურენი, თუ სურთ, ახალბედა მიიტყუონ, რათა ღიტინით გააწამონ. «მთავარია, – გააფრთხილა კოტარმა ბრიშო, ვერდიურენს რომ არ უსმენდა, – ქალბატონი ვერდიურენის დასწრებით – ღიმილი!» «ნუ იღელვებთ, თქვენ საქმე გაქვთ გონიერ ქმართან, როგორც თეოკრიტე ამბობდა. არსებითად, ბატონი ვერდიურენი ხომ სწორია: რას იძლევა მთელი ეს ჩვენი თანაგრძნობა; – განაგრძო ბრიშომ; მას ჰქონდა უნარი, სხვისი მეტყველების ხვეულები აეთვისებინა და შეეღწია

სხვების აზრებში, რომლებიც ამ ხვეულებში პოვებდნენ გამოხატვას, მაგრამ გამჭრიახობით არ გამოირჩეოდა – აი, რატომ მიიღო ვერდიურენის სიტყვები აღფრთოვანებით, როგორც მამაცური სტოიციზმის ზღვარი. – და მაინც, ერთობ დიდი ტალანტი მოგვაკლდა». «თქვენ რა, ისევ დეშამბრზე ლაპარაკობთ? – შეეკითხა ვერდიურენი; ის იყო, წინ წავიდა, მაგრამ დაინახა, რომ უკან არ მივყვებოდით, და მობრუნდა. – მისმინეთ, – მიმართა ბრიშოს, – საჭირო არ არის გადამეტება. დეშამბრი თუ

მოკვდა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ის გენიოსია – გენიოსს მას ვერ უწოდებ. სადავო არ არის: კარგად უკრავდა, მაგრამ, აი, რა იყო მისთვის ძალიან მნიშვნელოვანი: ჩვენ მას შესაბამის ბუდეს ვუქმნიდით, მაგრამ, როგორც კი სხვა ნიადაგში გადარგეს, მაშინვე ჩამოხმა. ჩემი მეუღლე მოხიბლა მისმა ნიჭიერებამ და მისი წყალობით მოიხვეჭა სახელი. ჩემს ცოლს ხომ იცნობთ. მეტსაც გეტყვით: მის რეპუტაციას თუ გავითვალისწინებთ, სწორედ დროულად მოკვდა, წამი წამზე (აი, თქვენ კი, ვშიშობ, თქვენი იერემიადებით დიდხანს მოგიწევთ ყურყუტი იქ, სადაც ყოველი მხრიდან უბერავს). ხომ არ გინდათ, ყველანი დაგვხოცოთ მხოლოდ იმიტომ, რომ დეშამბრი გარდაიცვალა, თუმცა, თუ მართალს ვიტყვით, უკვე მთელი წლის განმავლობაში უწევდა, კონცერტების წინ გამები დაეკრა, რათა დროებით – ოღონდ სულ მოკლე დროით! – კვლავ აღედგინა სისწრაფე. სამაგიეროდ, დღეს ჩვენთან მოისმენთ – ან მხოლოდ ნახავთ, რადგან ვახშმის შემდეგ ეს საძაგელი ხელოვნებას ძალიან ხშირად ბანქოზე ცვლის ხოლმე – სრულიად სხვას, ვიდრე დეშამბრი იყო, მუსიკოსს, ბიჭუნას, რომელიც ჩემმა მეუღლემ აღმოაჩინა (ეს ხომ მან აღმოაჩინა დეშამბრი, პადერევკსი და ბევრი სხვაც) – მორელს. ეს საძაგელი ჯერ კიდევ არ მოსულა. მომიწევს, ბოლო მატარებელზე მისთვის ეკიპაჟი გავგზავნო – თავისი ოჯახის ძველ მეგობართან ერთად მოვა – შემთხვევით გადააწყდა, და იმან უკვე მოასწრო, თავი მოებეზრებინა, მაგრამ, თან რომ არ წამოეყვანა, მამა ვაჟიშვილზე განაწყენდებოდა და მუსიკოსს შინ დარჩენა და მეგობრის გართობა მოუწევდა: ბარონ დე შარლიუს ვგულისხმობ». «ერთგულები» შემოვიდნენ. ვერდიურნმა, რომელიც, ვიდრე პალტოს ვიხდიდი, ჩემთან შეყოვნდა, ხელი გამომდო, თითქოს მის სტუმრებს შორის არ მოიძებნებოდა. ქალი, რომელზეც მთხოვდა, მაგიდამდე მიმეცილებინა. «მგზავრობა მომქანცველი იყო?» «არა, ბატონი ბრიშო ძალიან საინტერესო რაღაცებს მიამბობდა». ასე ვუპასუხე, მხედველობაში ეტიმოლოგია მქონდა, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ ეს საკითხები ნამდვილად მაინტერესებდა, მეორეც

იმიტომ, რომ ვიცოდი, რა პატივში ჰყავთ ვერდიურენებს ბრიშო. «არც კი გამიკვირდებოდა, სულ არაფერი რომ არ ეამბნა, – შენიშნა ვერდიურენმა. – როგორც წესი, მუდამ განზე დგას, საკუთარ ცოდნას არცთუ ხალისით უზიარებს ვინმეს. გავიფიქრე, რომ ვერდიურენი ცდებოდა. «ბატონმა ბრიშომ ჩემზე მომხიბლავი ადამიანის შთაბეჭდილება დატოვა», – ჩავერთე მე. «ჩინებულის, არაჩვეულებრივის, – ვითომ აღტაცებით დამეთანხმა ვერდიურენი და, როგორც დაზეპირებული გაკვეთილი, ისე წარმოთქვა: – მასში იოტისოდენადაც არ ზის მშრალი, უემოციო

მეცნიერი, მეოცნებეა, აღმტაცი ნატურა, ჩემი ცოლი გიჟდება მასზე, მეც!» მხოლოდ ახლაღა გავიაზრე, რომ ეს საქებარი სიტყვა ირონიით სავსეა. და საკუთარ თავს ვკითხე: იქნებ, ვერდიურენმა მოახერხა ამდენი წლის განმავლობაში განთავისუფლებულიყო ზედამხედველობისგან, ცოლმა რომ დაუწესა?

მოქანდაკე ძალიან გაოცდა, როცა გაიგო, რომ ვერდიურენები დე შარლიუს მიღებაზე დათანხმდნენ. სენ-ჟერმენის მამულში, სადაც დე შარლიუ ფართოდ იყო ცნობილი, არასოდეს არავინ სიტყვა არ ძრავდა მის მიდრეკილებებზე (უმრავლესობამ ამაზე არც არაფერი იცოდა, სხვები ეჭვობდნენ, ამჯობინებდნენ, მსგავსი ურთიერთობები ისე განეხილათ, როგორც ცეცხლოვანი, მაგრამ პლატონური მეგობრობა, მიეჩნიათ, რომ ის სიფრთხილეს არ იჩენს, და სულ ეგ არის, ისინი კი, ვინც ყოველივე უწყოდა, საგულდაგულოდ მალავდნენ ჭეშმარიტებას და შეცბუნებულები იჩეჩდნენ მხრებს, როცა ვინმე ენამწარე გალარდონი თავს უფლებას აძლევდა, რაღაც მინიშნება გაეკეთებინა), სამაგიეროდ, მის ამ მიდრეკილებებზე, რომლის თაობაზე მხოლოდ რამდენიმე მისმა ახლო მეგობარმა რაღაც იცოდა, გამუდმებით ჭორაობდნენ იმ წრიდან შორს მყოფნი, სადაც ის ცხოვრობდა – ასე ზარბაზნის გასროლის ხმა ყურს მხოლოდ მას შემდეგ სწვდება, რაც სიჩუმის ზონას გაივლის. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ბურჟუაზიულ

და არისტოკრატიულ წრეებში, სადაც მას ისე უყურებდნენ, როგორც განსხეულებულ გარყვნილებას, ბრწყინვალე მდგომარეობა, რომელიც მას მაღალ საზოგადოებაში ეჭირა და მისი დიდებული წარმომავლობა არავისთვის ცნობილი არ იყო – მოვლენაა, იმის მსგავსი, რაც შეიძლება რუმინეთში ნახოთ: იქ რონსარი ყველასთვის ცნობილია, როგორც დიდებული, მისი პოეზია კი უცნობია. მაგრამ ყველაზე საინტერესო ის არის, რომ რონსარის დიდებულება, რომელშიც რუმინელები დარწმუნებულნი არიან, – ეს მითია. დე შარლიუს ბილწი რეპუტაცია მხატვრებისა და აქტიორების სამყაროში გაუგებრობაზე იყო დაფუძნებული – იმაზე, რომ ის გრაფ ლებლუა დე შარლიუში აერიათ, გრაფი კი – თუ საერთოდ ერგებოდა ნათესავად, მხოლოდ ძალიან შორეულად – ერთხელ, იქნებ, შეცდომითაც – შემოვლის დროს პოლიციამ დააკავა, ჰოდა, სწორედ ეს შემოვლა გახმაურდა და ყველას დაამახსოვრდა. მოკლედ, ყველა იმ თავგადასავალს, რასაც დე შარლიუზე ჰყვებოდნენ, მას ყოველგვარი საფუძვლის გარეშე მიაწერდნენ. ბევრი პროფესიონალი იფიცებოდა, რომ დე შარლიუსთან გარკვეული ურთიერთობა ჰქონდა, და მოჩვენებით დე შარლიუს ნამდვილ დე შარლიუდ რომ მიიჩნევდნენ, ამას თავადვე იჯერებდნენ, გამოგონილი დე შარლიუ ამას არ უარყოფდა, ნაწილობრივ იმიტომ, რომ ეს მისთვის შირმა იყო, მაშინ, როცა ნამდვილ დე შარლიუს, სწორედ იმ ბარონს, რომელსაც მე და თქვენ ვიცნობთ, ეს შეცდომა დიდი ხნის განმავლობაში სახელს უტეხდა, მაგრამ შემდგომში, როდესაც დაქანებულ სიბრტყეზე დაეშვა, ეს მისთვის ხელსაყრელად იქცა, იმდენად, რამდენადაც თავადაც ეძლეოდა შესაძლებლობა, ეთქვა: «ეს მე არა ვარ». ახლა ლაპარაკი ნამდვილად მას არ ეხებოდა. ბოლოს და ბოლოს, ფაქტის (ბარონის გემოვნებაზე) ჭორების გავრცელებას ხელი შეუწყო მისმა მჭიდრო და უზადო

მეგობრობამ მწერალთან, რომელსაც თეატრალურ სამყაროში, კაცმა არ იცის, რატომ, ასეთივე რეპუტაცია ჰქონდა, რაც არავითარ შემთხვევაში არ დაუმსახურებია. როცა პრემიერაზე ერთად ხედავდნენ, ამბობდნენ:

«ახლა ხვდებით?» ზუსტად ასევე მიიჩნეოდა, რომ ჰერცოგინია გერმანტი საძრახის ურთიერთობაშია პარმის პრინცესასთან, და ამ ლეგენდის დარღვევა შეუძლებელი ჩანდა, რადგან ლეგენდის ფერფლად ქცევა ამ ორი ცნობილი ქალბატონიდან ისეთ ახლო მანძილზე შეიძლებოდა, რომელსაც ის ხალხი, ამ ლეგენდას ერთმანეთს რომ უყვებოდა, სავარაუდოდ, ვერასოდეს მიაღწევდა, – ისღა რჩებოდათ, თეატრში ლორნეტით დაკვირვებოდნენ და სავარძლის მეზობელთან საუბარში მათთვის ცილი დაეწამებინათ. შარლიუს საქციელზე ყურმოკრულმა სკულპტორმა გადაწყვიტა, რომ, თუ ბარონი ცუდად იქცევა, მაშინ საზოგადოებაში მისი მდგომარეობაც ცუდი უნდა იყოს – გადაწყვიტა ყოყმანის გარეშე, რადგან მცირედი წარმოდგენაც კი არ ჰქონდა არც დე შარლიუს ოჯახზე, არც მის ტიტულზე, არც მის დიდებულ წარმომავლობაზე. კოტარი დარწმუნებული იყო, რომ მთელმა ქვეყანამ იცოდა, თითქოს მედიცინის დოქტორის ხარისხი ნულის ტოლია, აი, სტუდენტი კი, რომელიც საავადმყოფოში დატოვეს – ეს უკვე რაღაცას ნიშნავს. ასეთივე შეცდომა მოსდით მაღალი წრის ადამიანებსაც, წარმოიდგენენ რა, რომ მათ საზოგადოებრივ მდგომარეობაზე ყველას ზუსტად ისეთი შეხედულება აქვს, როგორიც თავად მათ და მათი წრის ადამიანებს.

კლუბის შიკრიკს პრინცი აგრიგენელი «ფეხაპკიან ბატად» მიაჩნდა, რადგან პრინცს მისი ოცი ლუიდორი ემართა, მაგრამ იგივე პრინცი კვლავ იძენდა ნამდვილ წონას მხოლოდ სენ-ჟერმენის მამულში, სადაც სამი და-ჰერცოგინია ჰყავდა, რადგანაც პატივსაცემი ბატონი გარკვეულ შთაბეჭდილებას ახდენს არა უბრალო ადამიანებზე, ვის თვალშიც არც ისე დიდი ფასი აქვს, არამედ ბრწყინვალე ადამიანებზე, ვინც იცის, რას წარმოდგენს იგი. რაც შეეხება დე შარლიუს, მას უკვე დღეს შეეძლო გაერკვია, რომ სახლის პატრონს დიდებულ ჰერცოგულ გვარეულობებზე არც მთლად დაწვრილებითი ცნობები გააჩნია. იმაში დარწმუნებულმა, რომ ვერდიურენები

ცდებიან, როცა თავიანთ სალონში, «რჩეულთათვის», შემოჰყავთ დასვრილი ადამიანი, სკულპტორმა საჭიროდ მიიჩნია, მფარველი გვერდზე გაეხმო. «დიდად ცდებით; ეგეც არ იყოს, საერთოდ, მიმაჩნია, რომ ეს ყოველივე გამონაგონია, მაგრამ, ასეც რომ იყოს, ნება მომეცით, გითხრათ, ეს უკვე ვერაფრით მოახდენდა ჩემს კომპრომეტირებას», – მოუჭრა გაცოფებულმა ქალბატონმა ვერდიურენმა: მორელი მისი ოთხშაბათების მშვენება იყო და ეშინოდა, ვაითუ, რაიმეთი გაენაწყენებინათ. კოტარს აზრი არ გამოუთქვამს, რადგან სწორედ ამის წინ ითხოვა ნებართვა «თავის საქმეზე» გასულიყო «ჩასაფიქრებელ კაბინეტში», შემდეგ კი ბატონ ვერდიურენთან შესულიყო და სასწრაფო წერილი მიეწერა ერთ-ერთი ავადმყოფისთვის.

მსხვილმა პარიზელმა გამომცემელმა, ვერდიურენებთან ვიზიტით ჩამოსულმა, თითქმის რომ იმედოვნებდა, დარჩენას სთხოვდნენ, უცბად, როგორც კი მიხვდა, კლანისთვის საკმარისად ელეგანტური არ იყო, წასვლა დააჩქარა. ეს იყო მაღალი,

მხარბეჭიანი მამაკაცი, შავტუხა, შრომისმოყვარე, და იყო მასში რაღაც სუსხიანი – ეკლიანი. შავი ხის დასაჭრელ დანას მოგაგონებდათ.

ქალბატონი ვერდიურენი, დაუჯერებელი ზომების მქონე სასტუმრო ოთახში რომ შემოგვეგება, სადაც თაველი, მიხაკები, მინდვრის ყვავილები, მხოლოდ დღეს დაკრეფილი, საკუთარი გამოსახულებები რომ ჩაენაცვლებოდათ, რომლებიც ორასი წლის წინათ ერთი ფერის სხვადასხვა შეფერილობით უზადო გემოვნების მქონე მხატვარმა შეასრულა თავის ძველ მეგობართან, ბანქოს თამაშს მოწყდა და სავარძლიდან წუთით წამომდგარმა გვთხოვა, ნება მომეცით, სწრაფად ჩავამთავრო ეს ხელიო, რასაც არ შეუფერხებია, ჩვენთან საუბარი გაება. ეს კია, შთაბეჭდილებებს, რომლებიც გავუზიარე, მისთვის დიდი სიამოვნება არ მიუნიჭებია.

უპირველესად, ერთობ არასასიამოვნოდ გამაოცა იმან, რომ ვერდიურენები სეირნობიდან მზის ჩასვლამდე კარგა ხნით ადრე ბრუნდებიან, არადა, გეყურებინათ მზის ჩასვლისთვის სანაპიროს კლდიდან და, კიდევ უკეთესი, ლა რასპელიერის ტერასიდან – ეს ისეთი სიამოვნება გახლდათ, რომლისთვისაც მზად ვიყავი, თუნდაც ცხრა მთა და ცხრა ზღვა გადამევლო. «ჰო, ეს შეუდარებელია, – დაუდევარი ტონით ჩაილაპარაკა ქალბატონმა ვერდიურენმა, თვალი რომ შეავლო ვეებერთელა ფანჯრებს, რომელთაგან თითოეული მინის კარს წარმოადგენდა, – ჩვენ იქ ყურება ყოველთვის შეგვიძლია და, მაინც, ეს არასოდეს არ გვწყინდება», – დაუმატა და ცხვირი კვლავ ბანქოში ჩაყო. მაგრამ ჩემი აღტაცება ჩემსავე მომთხოვნელობას ზრდიდა. წუხილი გამოვთქვი, რომ სასტუმროდან დარნეტალის კიდეებს ვერ ვხედავდი, არადა, ელსტირისგან გამეგონა, რომ ისინი განსაკუთრებულად ლამაზია სწორედ ამ პერიოდში, როცა მრავალფეროვან სხივებს აირეკლავენ. «ო, არა, აქედან ვერ დაინახავთ, პარკის ბოლოში უნდა წახვიდეთ, «ყურეს პანორამის» გამოჩენამდე. იქიდან, სკამზე მჯდომი, მთელ გარემოს მოავლებთ თვალს. მაგრამ იქ მარტოდ წასვლა არ შეიძლება, გზა აგერევათ. თუ გნებავთ, მე გაგაცილებთ», – მინაზებულმა დაასკვნა. «აჰ, რას ამბობ! ცოტაა, რაც ახლახან იტანჯე – გინდა, ტკივილები განგიახლდეს? ეს ჩვენთან სხვა დროსაც მოვა, ჰოდა, მაშინ დატკბით ყურეთი». არ დამიჟინია; გადავწყვიტე, ისიც საკმარისია, ვერდიურენებმა გააცნობიერონ, რომ მზის ჩასვლა – ეს მათი სასტუმროს თუ სასადილოს ისეთივე ნაწილია, როგორც ვინმესთვის – ლამაზი ნახატი, ძვირად ღირებული იაპონური მინანქარი, და რომ ამისთვის ღირს დიდი ფულის დახარჯვა, რომელიც მათგან ლა რასპელიერის – მთელი მისი მორთულობით – გამო აიღეს, თუმც თავად ვერდიურენები მზის ჩასვლას იშვიათად უყურებდნენ; მათი მთავარი მიზანი იყო, როგორც თავდაპირველად მომეჩვენა, აქ კმაყოფილებს ეცხოვრათ, ესეირნათ, კარგად ეკვებათ, ესაუბრათ, მიეღოთ სასიამოვნო ადამიანები, რომელთაც ბილიარდის თამაშით ართობდნენ, გემრიელ

საუზმეს სთავაზობდნენ, მათთვის მხიარულ ჩაის სმის ცერემონიებს მართავდნენ. მაგრამ მოგვიანებით დავრწმუნდი, რომ მათ ეს მხარე დაწვრილებით შეესწავლათ – სტუმრები სასეირნოდ მიჰყავდათ; «ბეჭდვა ჯერ კიდევ რომ არ დასრულებულიყო»,

რამდენადაც სტუმრებს სთავაზობდნენ, მოესმინათ მუსიკალური ნაწარმოებები, რომელთა სანოტო ჩანაწერები ჯერ კიდევ არ იყო გამოქვეყნებული. როლი, რომელსაც ლა რასპელიერის ყვავილები, ზღვისპირეთი, ძველი სახლები, არაფრით გამორჩეული პატარ-პატარა ეკლესიები თამაშობდა ვერდიურენის ცხოვრებაში, უჩვეულოდ დიდი იყო; მათთვის, ვისაც ის მხოლოდ პარიზში უნახავს და ვისაც ქალაქის ფუფუნება ზღვის პირას, ბუნების წიაღში ცხოვრებას ჩაუნაცვლებია, ძნელი წარმოსადგენი იქნებოდა, რა არის ამისთვის იდეალი ცხოვრებისა და მის რომელ ღირებულებებს აყენებს ყველაფერზე მაღლა. ამასთან, იმ ცხოვრებისეული ღირებულებების ფასი, რომლებიც ჭეშმარიტად მიაჩნდა, მის ცნობიერებაში უფრო და უფრო იზრდებოდა, რადგან ვერდიურენებს სწამდათ, რომ ისეთი მამული, როგორიც ლა რასპელიერია, ქვეყნად არსად არ არის, და მის შემენას აპირებდნენ. ის, რომ მათი პატივმოყვარეობა ლა რასპელიერს ყველა დანარჩენ მამულზე მაღლა აყენებდა, მათ თვალში ჩემს აღტაცებას ამართლებდა, სხვაგვარად ცოტათი გააღიზიანებდათ კიდეც, რადგან აღტაცებას მთელი რიგი იმედგაცრუება მოსდევდა (იმათი მსგავსი, რაც მაშინ განვიცადე, ბერმის სცენაზე რომ ვუყურებდი?), რაც მათთვის არ დამიმალავს.

«ეკიპაჟი მოვიდა», – მოულოდნელად ჩაიჩურჩულა მფარველმა. აქ მოკლედ შევნიშნოთ, რომ იმ გარდაუვალი ცვლილებებისდა მიუხედავად, ასაკს რომ უკავშირდება, ახლა ეს ის ქალბატონი ვერდიურენი აღარ იყო, როგორადაც მაშინ გამოიყურებოდა, როცა სვანი და ოდეტი მის მოკლე ფრაზას ისმენდნენ. ახლა, თუ ქალბატონი ვერდიურენისთვის ვენტეილის ფრაზას

დაუკრავდნენ, სრულებით აღარ დასჭირდებოდა, აღფრთოვანებისგან გადაქანცული სახე მიეღო, რამდენადაც ეს გამომეტყველება უკვე ნიღაბი კი არა, მისი ნამდვილი სახე იყო. ბახის, ვაგნერის, ვენტელის, დებიუსის მუსიკით მიყენებული უსასრულო ნერვული რყევებისგან ქალბატონ ვერდიურენს შუბლი უზომოდ გაუდიდდა, როგორც სხეულის ნაწილები მატულობს, ბოლოს და ბოლოს, რევმატიზმით დამახინჯებული. მისი საფეთქლები – ორი მშვენიერი ზედაპირი, სადაც გამუდმებით ჟღერდა ჰარმონია – ცხელი, მტკივნეული, რძესავით თეთრი, გვერდებზე ვერცხლისფერი კულულებით, მფარველის სახელით, რომელიც არანაირად არ საჭიროებდა, ამაზე თვითონ ელაპარაკა, აცხადებდნენ: «ვიცი, საღამოს რაც მელოდება». მისი ნაკვთები უკვე აღარ ცდილობდნენ, თანმიყოლებით გამოეხატათ მეტ-ნაკლებად ძლიერი ესთეტიკური სიამოვნებანი – ისინი როგორღაც თავად იქცნენ მათ მუდმივ გამოსახულებად, მის მოთენთილ და ამაყ სახეზე რომ აღიბეჭდნენ. მისთვის გამზადებული განცდებისადმი ამგვარი მორჩილების შედეგად, ყოველგვარი მშვენიერის სანაცვლოდ რომ მიეგებოდა, ასევე თავდაჭერილობის შედეგადაც, რომელიც იმისთვის სჭირდებოდა, რათა კაბაში გამოწყობილიყო, მაშინ, როცა თვითონ სონატით გამოწვეული შთაბეჭდილებების ქვეშ ხარ, ქალბატონი ვერდიურენის სახეს, თუნდაც სულისშემძვრელი მუსიკის მოსმენისასაც კი, ზიზღიან-უგრძნობი გამომეტყველება არ სცილდებოდა, ეს კიდევ რაა: ის საკუთარ თავში პოულობდა ძალას, იმისთვისაც კი, რომ სხვებისგან უჩუმრად ორი კოვზი

ასპირინი მიეღო. «აი, ისინიც, როგორც იქნა!» – შვებით წამოიყვირა ვერდიურენმა, როცა კარში მორელი, მის უკან კი დე შარლიუ დაინახა. დე შარლიუსთვის ვერდიურენებთან ვახშამი სულაც არ გახლდათ მაღალ საზოგადოებაში შესვლა, ეს იყო რაღაც ცუდი ადგილი, და ახლა თავს უხერხულად გრძნობდა, მოწაფესავით, რომელიც, საროსკიპოში პირველად შესული, დიასახლისს უჩვეულო პატივისცემით ეპყრობა. ამჯერად დე შარლიუს მუდმივ მისწრაფებას, ძლიერ და ცივ ადამიანად

მოეჩვენებინა თავი, ჯაბნიდა (როგორც კი კარებთან შეჩერდა) თავაზიანობის მარადიული გაგება, რომელიც თავს იმ მომენტში გახსენებს, როდესაც სიმორცხვე ანადგურებს იმას, რადაც თავს ვაჩვენებთ, და ქვეცნობიერისკენ გვიხმობს. ისეთ ინდივიდუმებს, როგორიც დე შარლიუა, უცნობი ადამიანებისადმი ინსტინქტური, ატავისტური სინაზე უჩნდებათ, იმისგან დამოუკიდებლად, დიდგვაროვანნი არიან ისინი თუ რაზნოჩინელები, მოვალეობას, შეიყვანოს ისინი ახალ სალონში და მანამდე უხელმძღვანელოს, ვიდრე ბინის პატრონამდე არ მიაღწევენ, თავის თავზე იღებს რომელიმე ნათესავი ქალის სული, მათ დასახმარებლად მოსული ისე, თითქოს რომელიღაც ქალღმერთიაო, ან სულაც მათში, როგორც ორეულებში, განსახიერებული. ასე ახალგაზრდა ხელოვანი, ნათესავი ღვთისმოსავი პროტესტანტის მიერ აღზრდილი, შედის თავდახრილი, თავაცახცახებული, თვალებს ცისკენ აღაპყრობს, შემდეგ კი ებღაუჭება წარმოსახვით მუფთას, რომელზე გაფიქრებაც კი არანაკლებ, ვიდრე მაშინ, მართლაც რომ მიებარებინათ მის მზრუნველობაში, ეხმარება შემკრთალ ხელოვანს, თავბრუსხვევის გარეშე გაიაროს უფსკრულის სიახლოვეს, შესასვლელიდან პატარა სასტუმრო ოთახამდე რომ გადაჭიმულა. მრავალი წლის წინათ კი ღვთისმოშიში ნათესავი ქალი, რომელზე მოგონებებიც მართავს ახლა მას, სახის ისეთი მტირალა გამომეტყველებით შედიოდა, რომ ყველას ერთი შეკითხვა უჩნდებოდა, რა უბედურების შესახებ აცნობებს ახლა ის, მაგრამ მისი პირველი სიტყვებიდანვე ნათელი ხდებოდა, რომ იგი, როგორც დღეს – მხატვარი, სადილად იყო მიპატიჟებული და იქიდან მოვიდა. სწორედ იმ კანონის ძალით, რომელიც მოითხოვს, ცხოვრება, ჯერ კიდევ განუხორციელებელი მოქმედებების ინტერესებიდან გამომდინარე, თქვენს სამსახურში ჩადგეს, გამოიყენოს, განუწყვეტლივ შებილწოს ის, რაც უფრო მეტად თაყვანისცემას იმსახურებს, ზოგჯერ – ყველაზე წმინდა, და იშვიათად – ნაკლებ ფასეული რამ წარსულის მემკვიდრეობიდან, სამაგიეროდ, მაშინ ეს კანონი განსაკუთრებული სახით

წარმოგვიდგება – ძმისწული ქალბატონი კოტარისა, – რომელსაც შინაურები ქალურობისა და ნაცნობთა წრის გამო კიცხავდნენ, ყველგან მოზეიმე სახით შედიოდა, თითქოს თქვენთვის სიურპრიზის გაკეთებას აპირებდა ან უნდა ეცნობებინა, რომ მემკვიდრეობა მიიღეთ – ბედნიერებისგან გაბრწყინებული შემოდის და შეეკითხო, ასეთი ბედნიერი რის გამოა, უსარგებლო იქნებოდა, რადგან მისი მდგომარეობა აიხსნებოდა გაუცნობიერებელი მემკვიდრეობითი თვისებებით და იმით, რომ ის ქალად კი არა, კაცად დაიბადა. ფეხის წვერებზე დადიოდა; დიდი

ალბათობით, აწუხებდა ის, რომ თან არა აქვს პირადი ბარათებით სავსე საქაღალდე; ხელს ჩამოსართმევად რომ გიწვდიდათ, ტუჩებს გულისებურად მოპრუწავდა, ისე, როგორც ეს მამიდამისმა იცოდა, და მხოლოდ სარკისკენ მიმართავდა შეშფოთებულ მზერას, თითქოს ვერ ითმენდა, დარწმუნებულიყო – თუმც თავზე არაფერი ჰქონდა – შლაპა მობრეცილი ხომ არ აქვს: თავის შლაპაზე ასეთივე კითხვით ერთხელ სვანს ქალბატონმა კოტარმაც მიმართა. ხოლო დე შარლიუს – რომელსაც საზოგადოება, სადაც ცხოვრობდა, მაგალითების მრავალფეროვნებას ჩუქნიდა, თავაზიანობის განსაკუთრებულ არაბესკებს და ჩურჩულებდა, რომ გარკვეულ შემთხვევებში უბრალო წვრილი ბურჟუას გამო უნდა იცოდე, ღვთის სინათლეზე გამოიყვანო და საქმეში ჩართო უფრო დახვეწილები, ჩვეულებისამებრ, ცდუნების ხერხების მარაგს რომ ებღაუჭებიან, – შეშფოთდა და, გაპრანჭული, იმგვარი თავისუფლებით, როგორითაც გამორჩეული იქნებოდა მისი მიმოხრა, ქვედატანი რომ სცმოდა, რომელიც უფრო გააფართოვებდა ან, პირიქით, შეკრავდა მის მორღვეულ ტანს, ქალბატონი ვერდიურენისკენ გაემართა და ისეთი ნასიამოვნები და კმაყოფილი შეხედულება ჰქონდა, რომ გეჩვენებოდათ, თითქოს იმათ, ვინც ის მფარველს წარუდგინა, უდიდესი პატივი მიაგეს. თავი ოდნავ გვერდზე გადაეხარა, სახე კი, რომელზეც ერთდროულად ამოიკითხავდით კმაყოფილებასა და დახვეწილ აღზრდას, ალერსიან ნაოჭებში შეფარულიყო. შეიძლებოდა

გაგფიქრებოდათ, ეს ვიკონტესა დე მარსანტი მოდისო – ისეთი დოზით ჩანდა ახლა დე შარლიუში ქალი, რომელიც ბუნებამ შეცდომით ჩადო მასში. მართალია, ბარონი ვეებერთელა ძალისხმევას ხარჯავდა, ეს შეცდომა როგორმე დაეფარა და საკუთარი თავისთვის მამაკაცური იერი მოერგო. მაგრამ, როგორც კი ამას მიაღწევდა, იმავდროულად თავის თავში რომ ინახავდა საკუთარ მისწრაფებებს, ჩვეულების ძალით – თავი დედაკაცად აღექვა, ქალური კვლავ წინ იწევდა და აქ უკვე საქმე მემკვიდრეობითობასთან კი არ გვქონდა, არამედ მის პირად ცხოვრებასთან. თანდათან იქამდე მივიდა, რომ სოციალურ საკითხებზეც კი ქალივით მსჯელობდა, თუმცა ამას თვითონ ანგარიშს ვერ უწევდა – აკი, როცა შევწყვეტთ იმის შემჩნევას, რომ ვიტყუებით, ეს იქცევა შედეგად სიცრუისა არა მარტო სხვებთან, არამედ საკუთარი თავის მიმართაც – და აი, ახლა (ის-ის იყო, შარლიუ ვერდიურენებთან შემოვიდა), მან აიძულა საკუთარი სხეული, გამოემჟღავნებინა მთელი თავაზიანობა, დიდებულისთვის დამახასიათებელი, მაგრამ მისმა სხეულმა, რომელიც ნათლად აცნობიერებდა იმას, რასაც თვითონ უკვე ვეღარ ხვდებოდა, გარდაქმნა დაიწყო – თან ისე, რომ ბარონისთვის თამამად შეიძლებოდა გეწოდებინათ ladylike[130] – მაღალი წრის ქალბატონის მომხიბვლელობა. სხვათა შორის, დე შარლიუს გარეგნული სახის აღწერისას არ შეიძლება არ შევამჩნიოთ, რომ ზოგიერთი იმ ვაჟიშვილთაგან, რომლებიც მამას არ ჰგვანან, მაშინაც კი, თუ მათ არანაირი ბიწიერება არ სცხიათ და ქალები უყვარდებათ ხოლმე, თავისი სახის ნაკვთებით მაინც დედის ხსოვნას ბღალავენ. მაგრამ დედის ხსოვნის შებღალვა – ეს სპეციალური თავის თემაა.

საერთოდ, დე შარლიუს გარდაქმნა სხვადასხვა მიზეზით აიხსნებოდა, მისი ხორცის ღვივილი გამოწვეული იყო წმინდად ფიზიკური ფერმენტებით, ცოტცოტაობით რომ აიძულებდნენ მის სხეულს, ქალურობა შეეძინა, მაგრამ გარდასახვა, ჩვენ მიერ ახლახან აღწერილი, სულიერი

გარდასახვის რიგს მიეკუთვნებოდა. თუ თავს შთააგონეთ, რომ ავადმყოფი ხართ, ბოლოს და ბოლოს, ნამდვილად დაავადდებით, გახდომას იწყებთ, ძალა აღარ გყოფნით, საწოლიდან წამოდგეთ, ნერვულ ნიადაგზე ენტერიტი გაქვთ. სიყვარულით რომ ფიქრობთ მამაკაცებზე, ბოლოს და ბოლოს, ქალი ხდებით. და კაბა, რომელიც გონებაში გადაიცვით, სიარულში ხელს გიშლით. აკვიატებულ იდეას ასეთ შემთხვევებში სქესის სახეცვლილება შეუძლია (ისე, როგორც სხვებში – იმოქმედოს ჯანმრთელობაზე). მორელი, დე შარლიუს ფეხდაფეხ რომ მოჰყვა, ჩემთან მოსასალმებლად მოვიდა. უკვე ამ წუთში მასში მომხდარი ორმაგი ცვლილების გამო მისი ჩამოშორების შთაბეჭდილება გაჩნდა (ვწუხვარ, რომ ამაში მაშინვე არ გავერკვიე). დიახ, სწორედ ამიტომ. უკვე აღვნიშნე, რომ მორელმა, მამამისისგან განსხვავებით, იმდენი ეშმაკობა იხმარა, რომ მოახერხა, დამოუკიდებელი მდგომარეობა მოეპოვებინა, განსაკუთრებულ სიამოვნებას ნახულობდა იმ უკიდურესად საძულველ დაურიდებლობაში, რის უფლებასაც თავს აძლევდა. იმ დღეს, ფოტოები რომ მომიტანა, ზევიდან დამყურებდა და არც ერთხელ ბატონობით არ მოუმართავს. რაოდენ დიდი იყო ჩემი გაკვირვება, როცა, ქალბატონ ვერდიურენთან რომ მომიახლოვდა, თავი მდაბლად დამიკრა და მისი პირველი სიტყვები, რომლითაც მომმართა, იყო: «პატივისცემა», «უღირსეულესი», ამ დროს კი დარწმუნებული ვიყავი, რომ ვერანაირი ძალით ვერ აიძულებ, წარმოთქვას ან კალმით გამოიყვანოს მსგავსი სიტყვები. და მართლაც, მან გვერდზე გამიყვანა და ამჯერად ხაზგასმული თავაზიანობით ალაპარაკდა: «გავბედავ, თხოვნით მოგმართოთ უდიდესი დახმარებისთვის: გამოიჩინეთ სიკეთე, ნურაფერს ეტყვით ქალბატონ ვერდიურენს და მის სტუმრებს, რა მოვალეობას ასრულებდა მამაჩემი თქვენს პაპასთან. თუ შეიძლება, უთხარით, რომ ის მართავდა თქვენი ოჯახის ერთობ ფართო მამულებს, ამიტომ ასეთი მამულების მმართველს უფლება ჰქონდა, თქვენს მშობლებთან, როგორც თანასწორს თანასწორებთან, თავი ისე დაეჭირა». მორელის თხოვნა საშინლად არ

მესიამოვნა და იმიტომ კი არა, ჩემი სიტყვებიდან ისე გამოვიდოდა, თითქოს მამამისს გაცილებით მაღალი მდგომარეობა ეკავა, ვიდრე სინამდვილეში – ეს სწორედაც რომ ჩემთვის სულერთი იყო – არამედ იმიტომ, რომ მომიწევდა, მამაჩემი მდიდრად გამომეყვანა, ანუ, როგორც მეჩვენებოდა, სასაცილო მდგომარეობაში ჩამეყენებინა. მაგრამ მორელი ისეთი სასოწარკვეთილი, ისეთი მავედრებელი თვალით მიყურებდა, გამბედაობა არ მეყო, უარი მეთქვა. «ოღონდ, გთხოვთ, ვახშმამდე! – ხვეწნით მიყოლიებდა ის, – თუ არ გაგიჭირდებათ, ყოველთვის გამონახავთ საბაბს, ქალბატონ ვერდიურენს დაელაპარაკოთ.» მის თხოვნას დავნებდი: რაც კი შემეძლო, შევეცადე, მორელის მამა ამემაღლებინა, იმავდროულად მეტისმეტად არ «გამიშლია ფეხი»,

რითი ცხოვრობდნენ ჩემი მშობლები და არ გამიზვიადებია ის «უძრავი ქონება», რასაც ისინი ფლობდნენ. ყველაფერმა ამან ნაკეჭნის გარეშე ჩაიარა და მხოლოდ ქალბატონმა ვერდიურენმა, გაკვრით რომ ახსოვდა პაპაჩემი, გამოხატა გაკვირვება. ქალმა, ოჯახური კერიის მოძულემ (რადგან ოჯახური კერია შლიდა «ბირთვს») – ქალბატონი ვერდიურენი, როცა აღნიშნა, რომ თავად სულ სხვაგვარად წარმოედგინა ჩემი დიდი პაპა, რომ ამას იგი თითქმის სრულ იდიოტად მიაჩნდა, რომელიც მათ წრეში თავს უცხოდ იგრძნობდა, როგორც თვითონ გამოხატა «ისე გამოჩნდებოდა, როგორც თეთრი ყვავი», – წამოისროლა: «საერთოდ – ოჯახური კერია – ეს ისეთი მოსაწყენია, აღარ იცი, იქიდან თავი როგორ დაიხსნა», – და იქვე მაცნობა ჩემი დიდი პაპის ცხოვრების ერთ დამახასიათებელ თვისებაზე, თვისებაზე, ჩემთვის უცნობი რომ იყო, თუმც კი ვეჭვობდი (მე მას არ ვიცნობდი, მაგრამ ჩვენს სახლში მასზე ხშირად ლაპარაკობდნენ), რომ ეს იყო უიშვიათესად ძუნწი კაცი (სრულიად საპირისპირო ჩემი მეორე პაპისა, ვარდისფერკაბიანი ქალბატონის მეგობრისა და მორელი-მამის ბატონისა, რომელიც ზედმეტი ხელგაშლილობით გამოირჩეოდა): «ის, რომ თქვენს პაპას და ბებიას ასეთი ჩინებული მმართველი ჰყავდათ, ამტკიცებს, ერთ ოჯახში შეიძლება სულ სხვადასხვანაირი

ადამიანები იყვნენ. თქვენი დიდი პაპა ისეთი ძუნწი იყო, რომ, როცა უკვე, არსებითად, სიბერის ჭკუასუსტობა აწამებდა – ჩვენში დარჩეს და, ჭკუა-გონებით ადრეც არ ბრწყინავდა, თქვენი წინაპრების ყველა უარყოფით თვისებას თქვენ გამოისყიდით – არაფრის გულისთვის არ სურდა, ომნიბუსისთვის სამი სუ გაეხარჯა. მისთვის გამცილებელი უნდა გაგეყოლებინათ. რათა მის ნაცვლად კონდუქტორისთვის გადაეხადა, ბებერ ძუნწს კი ეუბნებოდნენ, რომ მისმა მეგობარმა, მინისტრმა დე პერსინიმ, მისთვის ომნიბუსით უფასო მგზავრობის უფლების მოპოვება შეძლო. რაც შეეხება ჩვენს მორელს, დიდად მოხარული ვარ, რომ მამამისი ასე კარგად ყოფილა მოწყობილი. მეგონა, რომ ის გიმნაზიაში ასწავლიდა, მაგრამ არა უშავს, უბრალოდ, კარგად ვერ გავიგე. ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს: უნდა გითხრათ, რომ აქ, ჩვენთან, მხოლოდ პირად თვისებებს ვაფასებთ, იმ ღვაწლს, რომელსაც თითოეული გაიღებს – მე ამას «თანამონაწილეობას» ვეძახი. ოღონდ ადამიანს ხელოვნება ესმოდეს, ერთი სიტყვით, ოღონდ საძმოს მიეკუთვნებოდეს – სხვა ყველაფერი არაარსებითია». საძმოსთან მორელის მიკუთვნება, რამდენადაც ამის დანახვა შევძელი, იმით გამოიხატებოდა, რომ ის მიდრეკილებას ამჟღავნებდა როგორც ქალების, ისე მამაკაცებისადმი და ერთ სქესს სიამოვნებას ანიჭებდა იმ ხერხების მეშვეობით, რომლებიც უკვე გამოსცადა მეორეზე. ეს შემდგომში გამოჩნდება, ახლა კი უნდა აღვნიშნოთ, რომ, როგორც კი მორელს შევპირდი, ქალბატონ ვერდიურენს მასზე დაველაპარაკებოდი, მოვიჭერი რა უკან დასახევი გზა, პირობა შევასრულე და ჩემდამი მორელის «მოკრძალებული» დამოკიდებულება ისე გაქრა, თითქოს ჯადოქრობას მიმართესო, თავაზიანობის გამოვლინებების დასასრული დადგა, გარკვეული დროის განმავლობაში გამირბოდა კიდეც, ცდილობდა ეჩვენებინა, რომ მისთვის არაფერს წარმოვადგენ და, თუ ქალბატონი ვერდიურენი სურვილს გამოთქვამდა, მისთვის რაღაცის გამო მიმემართა, მეთხოვა,

რამე დაეკრა, ის ერთ-ერთ «ერთგულთან» საუბარს განაგრძობდა, მერე მეორესთან მიდიოდა და

მაშინვე შორდებოდა, როგორც კი მისკენ დავიძვრებოდი. მორელისთვის სამ-ოთხჯერ უნდა მეთქვა, რომ მას მივმართავდი – მხოლოდ ამის შემდეგ მოკლედ, გაღიზიანებული ხმით მპასუხობდა; როცა მე და ის მარტო ვრჩებოდით, ამოუცნობად გადაიქცეოდა ხოლმე, საიდან მოდიოდა გულითადობა და გულწრფელობა – როცა სურდა, შეეძლო მომხიბლავი ყოფილიყო. მაგრამ უკვე იმ საღამოს დავრწმუნდი, რომ ის უნამუსო ადამიანია, რომ, თუ შემთხვევა მიეცემა, არაფრის წინაშე უკან არ დაიხევს და რომ მადლიერების გრძნობა მისთვის უცხოა. ისე, უმადურობის მხრივ სულაც არ იყო გამონაკლისი. მაგრამ მე, რაღაც-რაღაც თვისებები ბებიასგან რომ მივიღე, ადამიანებისგან არაფერს არ ველოდი და მათზე არ ვბრაზობდი – აი, რატომ ვცდილობდი, მორელის სიმდაბლე არ შემემჩნია, მისი მხიარულება გადამედებოდა, თუკი ის მას ამჟღავნებდა, გამახარა იმანაც, როგორც შევამჩნიე, ჩემ მიმართ გულწრფელი კეთილგანწყობა გაუჩნდა, როგორც კი ადამიანურ ბუნებაზე ცრუ წარმოდგენების მთელი მარაგი ამოწურა და ბოლოს და ბოლოს, დარწმუნდა (დარწმუნდა უცებ კი არა, რადგან მასში გაუგებრად უცნაური სახით იღვიძებდა მისი უწინდელი განუსჯელი სიველურე), რომ ჩემი სირბილე მისდამი მოქცევაში უანგაროა, რომ ჩემი შემწყნარებლობა მომდინარეობს არა გამჭრიახობის უქონლობიდან, არამედ იქიდან, რასაც ის სიკეთეს უწოდებდა, მთავარი კი ის არის, რომ მოჯადოებული ვიყავი მისი ხელოვნებით, რადგან, თუმც ეს ხელოვნება გასაოცარი ვირტუოზულობის იქით არ მიდიოდა (ჭეშმარიტი მუსიკოსი, ამ სიტყვის მაღალი მნიშვნელობით, ის არ ყოფილა), მაინც ის მაძლევდა საშუალებას, კიდევ ერთხელ მომესმინა ან პირველად გამეგონა ასე ბევრი, შესანიშნავი მუსიკა! მისი მოძღვარი დე შარლიუმ კი (ბარონის სწორედ ასეთი ნიჭის შესახებ მე არაფერი ვიცოდი, მაგრამ ჰერცოგინია გერმანტი, რომელსაც ის სრულიად სხვანაირი ახსოვდა ახალგაზრდობისას, მიყვებოდა, რომ ამ კაცმა მას უძღვნა სონატა, მოუხატა მარაო და ა. შ.), ამ მოკრძალებულმა მამაკაცმა, როცა სიტყვა მის ღირსებებზე

ჩამოვარდებოდა, მის პირველი კლასის ნიჭიერებაზე, შეძლო მორელის ვირტუოზულობა მისი მრავალმხრივი არტისტული ალღოსთვის დაემორჩილებინა, ალღომ კი დიდწილად დახვეწა მისი ვირტუოზულობა. წარმოვიდგინოთ რუსული ბალეტის მსახიობი, მსახიობი, რომელიც თეატრში მოვიდა მხოლოდ მოცეკვავის საუკეთესო მონაცემებით, მაგრამ რომელიც განსწავლა, ყოველმხრივ განავითარა დიაგილევმა.

ის-ის იყო, მორელის დანაბარები გადავეცი ქალბატონ ვერდიურენს და ბარონ დე შარლიუსთან სენ-ლუზე წამოვიწყე საუბარი, რომ სასტუმრო ოთახში კოტარი შემოვიდა და ისე გამოაცხადა, შამბრემერები მოდიანო, თითქოს ცეცხლი გაჩენილიყო. ქალბატონ ვერდიურენს არ სურდა, რომ ახლების დასანახად, როგორებიც ბარონი დე შარლიუ (რომელიც კოტარს არ დაუნახავს) და მე გახლდით, კამბრემერების მოსვლისთვის დიდი მნიშვნელობა მიენიჭებინა, არც კი განძრეულა,

პასუხიც არ გაუცია ამ ახალი ამბის უწყებაზე და მხოლოდ მარაოთი მოხდენილად დანიავება და ექიმისთვის ფრანგული თეატრის მარკიზას ტონით ნათქვამი იკმარა: «ბარონი სწორედ ახლა გვეუბნებოდა...» ეს მეტისმეტი იყო კოტარისთვის! ადრინდელზე ნაკლებ ცოცხლად, რადგან მეცნიერულმა სწავლამ და მაღალმა მდგომარეობამ შეანელა მისი მეტყველება, მაგრამ მაინც ემოციით, რომელიც ყოველთვის ეუფლებოდა ვერდიურენებთან ყოფნისას, წამოიყვირა: «ბარონი! კი მაგრამ, სადაა ბარონი? სადაა ბარონი?!» და უნდო, თან გაოცებული მზერით დაუწყო მას ძებნა. ქალბატონმა ვერდიურენმა იმ დიასახლისის მოჩვენებითი გულგრილობით, რომლის მოსამსახურესაც სტუმრების თანდასწრებით ძვირფასი ჭიქა გაუტყდა, და დიუმა შვილის პიესებში მოთამაშე მსახიობთა საუკეთესო მოწაფის ხელოვნური ინტონაციით უპასუხა და მარაოთი მფარველ ბარონ შარლიუზე მიუთითა: «აი, ბარონი დე შარლიუ, ნება მიბოძეთ წარმოგიდგინოთ... ბატონი პროფესორი კოტარი». სხვათა შორის უნდა აღინიშნოს, რომ

ქალბატონ ვერდიურენს სიამოვნებას ჰგვრიდა მაღალი საზოგადოების მანდილოსნის როლის თამაში და შემთხვევას ხელიდან არ უშვებდა. ბარონმა შარლიუმ ორი თითი გაუწოდა და პროფესორმაც «მეცნიერებათა პრინცის» მწყალობელი ღიმილით ჩამოართვა ხელი. მაგრამ გაშეშდა ოთახში შემოსული კამბრემერების დანახვისას, დე შარლიუმ კი სიტყვის სათქმელად კუთხისკენ გამიყოლა, თან გერმანულ ყაიდაზე კუნთებზე ხელის მოთათუნებასაც ვერ ავცდი. ბატონი კამბრემერი სულაც არ ჰგავდა მოხუც მარკიზას. ის, როგორც სიყვარულით ამბობდა ხოლმე მარკიზა, «სრულიად მამას დაემსგავსა». მათ, ვინც მას ადრე მხოლოდ მონათხრობით, ანდა მისივე ცოცხალი და კარგად დაწერილი წერილებით იცნობდა, შეხვედრისას აოცებდა მისი გარეგნობა. რაღა თქმა უნდა, მასთან შეგუება შეიძლებოდა. მაგრამ ტუჩებზე გარდიგარდმოდ ჩამოშვებული ცხვირი – ერთადერთი ალმაცერი ხაზი, მრავალ სხვათა შორის, რომელიც მის სახეზე შეიძლებოდა გავლებულიყო – ვულგარულ სისულელეს გამოხატავდა, რასაც კიდევ უფრო ამძაფრებდა ყვრიმალების ნორმანდიული სიწითლე. შესაძლოა ბატონი დე კამბრემერის ქუთუთოებჩამოფარებულ თვალებში იყო შენარჩუნებული კოტანტენის ცისფერი, ისეთი მშვიდი მზიან დღეებში, რომ მოსეირნეებს სიამოვნებთ მისი ცქერა, გზის პირას შეჩერებულნი ასობით ალვის ხის ჩრდილს ითვლიან, მაგრამ ეს მძიმე, ჩირქიანი, ცუდად მოკეცილი ქუთუთოები თვით აზრსაც კი უღობავდნენ გზას. და ამ ცისფერი ვიწრო მზერით დაბნეული, თვალს დიდ მობრეცილ ცხვირზე გადაიტანდით. გრძნობის ორგანოთა ტრანსპოზიციის გამო ბატონი კამბრემერი ცხვირით გიყურებდათ. ბატონი კამბრემერის ეს ცხვირი არ იყო უშნო, პირიქით, ცოტა ზედმეტად ლამაზი იყო, ზედმეტად ძლიერი, ზედმეტად ამაყი თავისი მნიშვნელოვნობით. კეხიანი, გაპრიალებული, მბზინვარე, კოპწია მთლიანად მზად იყო აენაზღაურებინა მზერის სულიერების ნაკლებობა; სამწუხაროდ, თუ თვალები ხანდახან ის ორგანოა, სადაც ჭკუა-გონება გამოსჭვივის, ცხვირი (როგორიც არ უნდა იყოს

შინაგანი კავშირი და ფარული ურთიერთგავლენა სახის ნაკვთებს შორის), ცხვირი საზოგადოდ არის ორგანო, რომელიც ყველაზე ხელგაშლილად ავლენს სისულელეს.

შესაფერისი შავი ტანსაცმელი, რომელსაც ყოველთვის, დილითაც კი, ატარებდა მარკიზი კამბრემერი, ამშვიდებდა მათ, ვინც ცდუნებულნი და გაღიზიანებულნი იყვნენ უცნობთა საბანაო კოსტიუმებით თავხედურად მიმოსვლით, მაგრამ მაინც გაუგებარი იყო, რის საფუძველზე აცხადებდა სასამართლოს პირველი პრეზიდენტის მეუღლე შეუვალი და ავტორიტეტული იერით, თითქოს თქვენზე უკეთ იცნობდა ალანსონის მაღალ საზოგადოებას, რომ ბატონ კამბრემერში მყისვე იგრძნობა, თუნდაც არ იცოდე ვინაა იგი, კეთილშობილი წარმოშობის ადამიანი, ძალზე კარგად აღზრდილი კაცი, რომლის მხოლოდ ყოფნითაც კი იცვლება ბალბეკის იერსახე, ბოლოს და ბოლოს, კაცი, ვის გვერდითაც თავისუფლად ამოსუნთქვა შეიძლება. მისთვის, ბალბეკის ამდენი უცხო ტურისტით დახუთულისთვის, ეს კაცი სასუნთქი მარილის ფლაკონივით იყო. მე კი პირიქით, ის იმ კაცად მეჩვენებოდა, ვისაც ბებიაჩემი მყისვე «ძალიან ცუდ» ადამიანად მიიჩნევდა, და რადგან მისთვის სნობიზმი უცხო იყო, ნამდვილად განცვიფრდებოდა, თუ როგორ შეძლო მან მადმუაზელ ლეგრანდენზე დაქორწინება, ვისთვისაც ძნელი უნდა ყოფილიყო ამ კაცში კეთილშობილების დანახვა, რადგან მისი ძმა «ძალიან კარგებს» განეკუთვნებოდა. ბატონი კამბრემერის ვულგარულ სიმახინჯეზე მხოლოდ იმის თქმა შეიძლებოდა, რომ ის ცოტა ამ კუთხისთვის სახასიათო იყო, რაღაც ძალზე ძველთაგანვე ადგილობრივი; მისი მობრეცილი ნაკვთების წინაშე, რომლის გასწორების სურვილი მიჩნდებოდა, მახსენდებოდა ნორმანდიული პატარა ქალაქების სახელები, რომელთა ეტიმოლოგიაშიც ჩემი მღვდელი ცდებოდა, რადგან გლეხები ცუდად წარმოთქვამდნენ ან ვერ იგებდნენ ნორმანდიულ თუ ლათინურ სიტყვებს, და მათ ბარბარიზმებად, უაზრობად ანდა

წარმოთქმის მანკად აღიარებდნენ, რომელთაც, ბატონი ბრიშოს თქმისა არ იყოს, კარტულარებში[131] შეხვდებით. სხვათა შორის, ამ ძველ, პატარა ქალაქებში ცხოვრება შესაძლოა სასიამოვნოდაც მიდიოდეს და ბატონ კამბრემერსაც უნდა ჰქონოდა დადებითი თვისებები, რადგან მოხუც მარკიზას არა მარტო უფრო მეტად უყვარდა შვილი, ვიდრე რძალი, არამედ ხშირად ამბობდა, რომ მარკიზი, მისი აზრით, ოჯახში საუკეთესო იყო, არადა სხვა შვილებიც ჰყავდა, რომელთაგან ორი არ იყო ღირსებას მოკლებული. იმ ცოტაოდენი ხნის განმავლობაში, რაც ჯარში გაატარა, ამხანაგებმა, ძალიან გრძლად რომ ეჩვენებოდათ მისი გვარი – კამბრემერი, მეტსახელად კანკანი შეარქვეს, რომელსაც, სხვათა შორის, არაფრით იმსახურებდა. მას შეეძლო დაემშვენებინა ვახშამი, სადაც მიწვეული იყო, თევზის შემოტანისას (თუნდაც აყროლებული თევზი ყოფილიყო) ანდა საუზმის დროს იტყოდა: «აბა მითხარით, მეჩვენება თუ მართლა მშვენიერი ცხოველია». მარკიზის ცოლმა ოჯახში შესვლისთანავე ყველაფერი მიიღო და შეითვისა, რაც ამ წრისთვის დამახასიათებლად მიიჩნია, ცდილობდა თავისი ქმრის მეგობრების დონეზე დამდგარიყო და ალბათ სურდა მისთვისაც თავი მოეწონებინა, როგორც საყვარელს,

თავისუფლად ესაუბრებოდა ოფიცრებს, გადაკვრით მიანიშნებდა, თითქოს ქორწინებამდეც ჰქონდა ვაჟთან ურთიერთობა, ეუბნებოდა: «კანკანს ნახავთ. კანკანი ბალბეკში წავიდა, ამ საღამოს დაბრუნდება». ამ საღამოს გაცოფებული იყო, რომ ღირსება ელახებოდა, იძულებული იყო, ვერდიურენებთან წასულიყო, ამ დათმობაზე მხოლოდ ქმრისა და დედამთილის თხოვნით წავიდა, რადგან ვერდიურენები სარფიანი მდგმურები იყვნენ. მაგრამ მათსავით კარგად აღზრდილი არ გახლდათ, არ მალავდა ამ სტუმრობის მოტივებს და აგერ უკვე თხუთმეტი დღე იყო, რაც მეგობრებთან დაუფარავად ქირდავდა ამ ვახშამს. «იცით, ჩვენს მდგმურებთან ვვახშმობთ. ეს ფასის აწევად ღირს. გულის სიღრმეში მაინტერესებს, რა დამართეს ჩვენს საბრალო ძველ რასპელიერს (თითქოს იქ დაბადებულიყოს და თავისიანების ყველა მოგონება

მასთან აკავშირებდეს). გუშინ ჩვენმა მოხუცმა დარაჯმა მითხრა, რომ იქ ვეღარაფერს იცნობთო. ვერც კი ვბედავ გაფიქრებას, შიგ რა ხდება. ვფიქრობ, დეზინფექცია უნდა გავაკეთებინოთ, სანამ უკან დავბრუნდებით». ის მოვიდა ქედმაღალი, გოროზი, დიდი ქალბატონივით, ვისი სასახლეც ომიანობის გამო მტრის მიერაა დაკავებული, მაგრამ მაინც თავს შინ გრძნობს და ცდილობს გამარჯვებულ დამპყრობლებს უჩვენოს, რომ ისინი შემოჭრილნი არიან. ქალბატონმა დე კამბრემერმა თავიდან ვერ დამინახა, რადგან ბარონ დე შარლიუსთან ერთად გვერდითა ფანჯარასთან ვიდექი, რომელსაც მორელისგან შეეტყო, რომ მამამისი «ინტენდანტი» ყოფილა ჩემს ოჯახში, და ის, შარლიუ, იმედოვნებდა მე გონივრულად და სულგრძელად (მისთვის და სვანისთვის დამახასიათებელი ტერმინი) მოვიქცეოდი და უარს ვიტყოდი ბილწი და წვრილმანი სიამოვნების მიღებაზე – რომელზეც პატარა ვულგარული ბრიყვი (გამაფრთხილეს), ჩემ ადგილას, არ იტყოდა უარს, – მასპინძლებისთვის გამემხილა ის წვრილმანები, რომლებიც ამ უკანასკნელთ დამამცირებლად შეეძლოთ მიეჩნიათ. «ერთადერთი, რაც მაინტერესებს მასში, ისაა, რომ ვუმფარველო, ეს ყველაფერს გადაწონის და აუქმებს წარსულს», – დაასკვნა ბარონმა. ჯერ მოსმენისას და მერე დუმილის ფიცის მიცემისას მარკიზა დე კამბრემერს ვუცქერდი, ისედაც არაფერს ვიტყოდი, არ იყო საჭირო დუმილის სანაცვლოდ გონიერისა და სულგრძელის სახელის მონიჭების დაპირება. ძლივსღა ვცნობდი გემრიელ და მადისაღმძვრელ რაღაცას, რომელსაც ბელბეკის ვერანდაზე სამხრობისას ვგრძნობდი ხოლმე, ამ ნორმანდიულ რიყის ქვასავით მაგარ კვერში, რომელზე კბილის დასობასაც «ერთგულნი» ამაოდ შეეცდებოდნენ. წინასწარვე გაღიზიანებული იყო ქმრის გულუბრყვილობით, რაც დედამისისგან მოსდგამდა და რის გამოისობითაც შესაძლოა დიდად პატივდებულის იერი დასდებოდა, როდესაც «ერთგულთ» წარუდგენდნენ, და მაინც მაღალი საზოგადოების ქალის ფუნქციების თავის თავზე აღების სურვილით აღვსილმა, როგორც კი ბრიშო წარუდგინეს, მოინდომა თავის

ქმრისთვის გაეცნო, რადგან ამგვარად იქცეოდნენ მისი, მასზე მეტად დახვეწილი, მეგობარი ქალები, მაგრამ გაშმაგებამ თუ ამპარტავნებამ სძლია თავაზიანობის წესების დაცვის სურვილს და იმის მაგივრად, რომ ეთქვა: »ნება მიბოძეთ,

წარმოგიდგინოთ ჩემი მეუღლე», თქვა – ნება მიბოძეთ, წარგადგინოთ ჩემი მეუღლის წინაშეო. ამგვარად, მაღლა ასწია კამბრემერების დროშა, მათივე სურვილის საწინააღმდეგოდ, რადგან მარკიზი ისე ღრმად მოიხარა ბრიშოს წინაშე, როგორც ქალს წინასწარვე ჰქონდა წარმოდგენილი. მაგრამ ქალბატონი დე კამბრემენის ეს გუნება-განწყობა მყისვე შეიცვალა, როდესაც ბარონი დე შარლიუ შეამჩნია, რომელსაც სახეზე იცნობდა. ვერასდროს მოახერხა, მისთვის წარედგინათ, თვით იმ დროსაც კი, როდესაც სვანთან საკმაოდ ახლო ურთიერთობა ჰქონდა. რადგან ბარონი დე შარლიუ ყოველთვის ცოლების მხარეს იჭერდა, თავისი ცოლისდის, დე გერმანტის მეუღლის და არა მისი საყვარლების მხარეს, ოდეტის მხარეს, თუმცა კი ჯერ არ იყო მასზე გათხოვილი, მაგრამ დიდი ხნის ურთიერთობა ჰქონდა სვანთან, და არა ახალი ურთიერთობების მხარეს; იგი მორალის და ოჯახური სიმყუდროვის მკაცრი დამცველი გახლდათ, ოდეტს შეპირდა – და სიტყვა არ გატეხა – რომ ქალბატონი კამბრემერის მისთვის წარდგენის უფლებას არავის მისცემდა. ამ უკანასკნელს კი თავშიც არ გაუელვებდა, რომ, ბოლოს და ბოლოს, სწორედ ვერდიურენებთან გაიცნობდა ამ უკარება კაცს. ბატონმა დე კამბრემერმა კარგად იცოდა, რა სიხარული იყო ეს მისი მეუღლისთვის, თვითონაც გულაჩუყებული იერით შესცქეროდა ცოლს, თითქოს ეკითხებაო, «კმაყოფილი ხართ, წამოსვლას რომ დათანხმდით, არა?». საერთოდ ძალზე ცოტას ლაპარაკობდა, იცოდა, რომ ბევრად უფრო მაღლა მდგომ ქალზე იყო დაქორწინებული. «მე ტლუ ვარ», იმეორებდა ხშირად და სიამოვნებით ციტირებდა ლა ფონტენის და ფლორიანის ორ იგავს, რომლებიც თავისი გულუბრყვილობის სახედ მიაჩნდა, და კიდევ, მეორე მხრივ, შესაძლებლობა ეძლეოდა ნასწავლი, მეცნიერი ხალხი, რომლებიც არ იყვნენ ჟოკეი-კლუბის

წევრები, აბუჩად აეგდო და ეჩვენებინა, რომ ნადირობა იგავების კითხვას სულაც არ უშლიდა ხელს. უბედურება ის გახლდათ, რომ მხოლოდ ეს ორი იგავი იცოდა. ხშირად უხდებოდა მათი მოყოლა. ქალბატონი დე კამბრემერი სულაც არ იყო ტუტუცი, მაგრამ მისი ზოგიერთი ჩვევა გამაღიზიანებელი იყო. იმაში, რომ იგი ამახინჯებდა გვარებს, არაფერი იყო არისტოკრატული უგულვებელყოფისა. სხვა მის ადგილას, მაგალითად, ჰერცოგინია დე გერმანტი (ვისაც თავის წარმომავლობის გამო ეს სასაცილო თვისება ნაკლებ უნდა ჰქონოდა, ვიდრე ქალბატონ დე კამბრემერს) თავს მოიკატუნებდა, ვითომ არ იცოდა ნაკლებ გამორჩეული გვარი (რომელსაც დღეს, სხვათა შორის, ატარებს ერთ-ერთი ყველაზე ხელმიუწვდომელი ქალბატონი) ჟულიენ დე მონშატოსი, ასე იტყოდა: «აი, ის ქალუკა... პიკ დე ლა მირანდოლა». არა, როდესაც მარკიზა დე კამბრემერი გვარებს კეთილმოსურნეობით ურევდა, რათა არავის ჰგონებოდა, რომ რაიმე იცოდა და როდესაც მაინც გულწრფელობის გამო უწევდა აღიარება, ეგონა, რომ გვარის დამახინჯებით დაფარავდა სიმართლეს. მაგალითად, თუ იცავდა ქალს და ყველანაირად ცდილობდა შეენიღბა ნათქვამი, არ წამოსცდენოდა, და ამავე დროს არ მოეტყუებინა ის, ვინც სიმართლის თქმას ემუდარებოდა, რომ ქალბატონი მავანი სილვენ ლევის ამჟამინდელი საყვარელია, ამბობდა: «არა... არაფერი ვიცი მის შესახებ, მგონი, იმას უკიჟინებენ, რომ ვიღაც ბატონს, ვისი გვარიც არ ვიცი, გრძნობა გაჰღვიძებია მის მიმართ, მგონი კაჰნს, კოჰნს,

კიუჰნს; მაგრამ, მგონი, ეს ბატონი დიდი ხნის წინ გარდაიცვალა და მათ შორის არაფერი ყოფილა». ეს ნამდვილი მატყუარის ქცევაა – მაგრამ საპირისპირო – რომელიც საყვარელთან ან მეგობართან საუბრისას თავის ნამოქმედარს სხვაგვარად წარმოაჩენს და არ უშვებს, რომ ერთიც და მეორეც წამსვე ხვდება, რომ მონათხრობი მხოლოდ სიტყვის მასალაა (როგორც კაჰნ, კოჰნ, კიუჰნი), არ ჯდება საუბარში და ორმაგი შეფარული აზრი აქვს.

ქალბატონმა ვერდიურენმა ყურში ჩასჩურჩულა ქმარს: «მე ხელკავი გავუკეთო ბარონ დე შარლიუს? შენ მარჯვნივ ქალბატონი დე კამბრემერი გეყოლება, შესაძლებელი იქნება ურთიერთთავაზიანობის გამოჩენა». »არა, – თქვა ბატონმა ვერდიურენმა, – რადგან ის უფრო მაღალი რანგისაა (უნდოდა ეთქვა, რომ ბატონი დე კამბრემერი მარკიზიაო), ბარონი დე შარლიუ საბოლოოდ მისი დაქვემდებარებულია». «კეთილი! თავადის ქალის გვერდით დავსვამ». და ქალბატონმა ვერდიურენმა ბარონ დე შარლიუს თავადის ქალი შერბატოვა წარუდგინა; მათ მდუმარედ დაუკრეს ერთმანეთს თავი ისეთი გამომეტყველებით, რომ ბევრი რამ იცოდნენ ერთმანეთის შესახებ და ერთმანეთს პირდებოდნენ, არაფერი გაემხილათ. ბატონმა ვერდიურენმა ქალბატონ კამბრემერთან წარმადგინა. სანამ თავისი ძლიერი ხმით ცოტა ენის ბორძიკით დაილაპარაკებდა, მისმა მაღალმა ტანმა და წამოწითლებულმა სახემ იმ ბრძოლის მეთაურის ყოყმანი გამოამჟღავნა, რომელსაც შენი გამხნევება სურს და გეუბნება: «კი, კი მელაპარაკნენ, მოვაგვარებთ ამ საკითხს; მოგიხსნით სასჯელს; სისხლის მსმელები კი არ ვართ; ყველაფერი კარგად იქნება». შემდეგ ხელის ჩამორთმევისას მითხრა: «მგონი, დედაჩემს იცნობთ». ეს «მგონი» ეტყობა მიაჩნდა, რომ ყველაზე მეტად შეესაბამებოდა გაცნობის პირველ წუთს და არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობდა დაეჭვებას, რადგან დაამატა: «სხვათა შორის, მისი წერილი მაქვს თქვენთვის გადმოსაცემი». ბატონი კამბრემერი გულუბრყვილოდ ბედნიერი იყო იმ ადგილების ხილვით, სადაც ასე დიდხანს ეცხოვრა. «ჩემი თავი ვიპოვე», ეუბნებოდა ქალბატონ ვერდიურენს, როდესაც თავისი კარის ყვავილოვან ნახატებს ან მაღალ ტუმბოებზე შემომდგარ მარმარილოს ბიუსტებს აღტაცებაში მოჰყავდა მისი მზერა. მაგრამ მაინც დაკარგულად შეეძლო ეგრძნო თავი, რადგან ქალბატონ ვერდიურენს უამრავი რაოდენობით მოეტანა ძველი, ლამაზი ნივთები, რომელთაც ფლობდა. ამ მხრივ, კამბრემერების აზრით, ქალბატონმა ვერდიურენმა ყველაფერი თავდაყირა დააყენა, თუმცა სინამდვილეში ის

რევოლუციონერი კი არა, გონივრულად კონსერვატორი იყო, მაგრამ ეს მათ არ ესმოდათ. გარდა ამისა, უსაფუძვლოდ აბრალებდნენ მათი ძველი სახლის სიძულვილსა და შეურაცხყოფას, ძვირფასი ხავერდის უბრალო ტილოს ქსოვილით შეცვლას, როგორც უბირი კიურე საყვედურობს ეპარქიის არქიტექტორს, როდესაც ის თავის ადგილზე აბრუნებს ხისგან ნაქანდაკებ ძველ სკულპტურებს, რომლებიც ღვთისმსახურს თავისი გემოვნებით სენ-სიულპისის მოედანზე ნაყიდი მორთულობებით ჩაუნაცვლებია. დაბოლოს, ბაღი, სასახლის წინ მდებარე ყვავილნარი, რომელიც არა მარტო კამბრემერების, არამედ მათი მებაღის სიამაყესაც

წარმოადგენდა, სოფლის კიურეს სახლის ბაღს დაამსგავსაო. მებაღე თავის ბატონებად მხოლოდ კამბრემერებს აღიარებდა და ისე იტანჯებოდა ვერდიურენების უღლის ქვეშ, როგორც უეცრად შემოჭრილი დამპყრობლის და მისი ხეპრე ჯარისკაცების ბატონობით დაიტანჯებოდა და ჩუმ-ჩუმად მიდიოდა და ეწუწუნებოდა ქონებაწართმეულ მფლობელს, აღშფოთებული იყო იმ უდიერი მოპყრობით, თუ როგორ ექცეოდნენ მის არაუკარიებს, ბეგონიებს, კლდისვაშლებს, გეორგინებს, გაბედეს და ამ მდიდრულ მამულში ამოიყვანეს ისეთი ჩვეულებრივი ყვავილები, როგორებიცაა ყანის ირაგები და ვენერას თმები. ქალბატონი ვერდიურენი გრძნობდა ამ ყრუ წინააღმდეგობას და გადაწყვიტა, თუ ლა რასპელიერს ხანგრძლივი დროით აიღებდა არენდით ანდა იყიდდა, პირობას წააყენებდა, რომ მებაღეს, ასე გადაჭარბებულად რომ აფასებდა ძველი მეპატრონე, მოხუცი მარკიზა, დაითხოვდა. ძნელბედობის ჟამს ის მარკიზას უფასოდ ემსახურებოდა, აღმერთებდა; მაგრამ უბრალო ხალხის შეხედულებებისთვის უცნაური წინააღმდეგობებია დამახასიათებელი, სადაც უღრმესი მორალური ზიზღი გადაიზრდება უდიდეს პატივისცემაში, რასაც, თავის მხრივ, თან სდევს ძველი, დაუვიწყებელი წყენანი, და სწორედ ასე იყო მებაღის შემთხვევაშიც, ხშირად ამბობდა, რომ 70-იან წლებში ქალბატონ კამბრემერს გერმანელების შემოსევამ თავის აღმოსავლეთ საფრანგეთში მდებარე სასახლეში

მოუსწრო და იძულებული გახდა, მათთან ურთიერთობა ჰქონოდა ერთი თვის განმავლობაში: «მარკიზას ძალზე საყვედურობდნენ, რომ ომის დროს პრუსიელების მხარე დაიჭირა და თავისთანაც კი განათავსა. სხვა დროს, კი ბატონო, გასაგები იქნებოდა; მაგრამ ომის დროს, ეს არ უნდა ექნა. ეს არაა კარგი». მაშ, მისი ერთგული იყო სიკვდილამდე, აღმერთებდა მისი გულკეთილობის გამო და მაინც სამშობლოს მოღალატედ მიაჩნდა. ქალბატონ ვერდიურენს გულს მოხვდა, რომ მარკიზ დე კამბრემერს ასე კარგად ეჩვენებოდა ლა რასპელიერი. «თვალში მაინც არ მოგხვდათ რაღაც ცვლილებები? – ჰკითხა ქალმა. – დავიწყოთ იმით, რომ ბარბენდიური ბრინჯაოს ბრგე აყლაყუდებს და პლუშის სამაგელ სავარძლუკებს სასწრაფოდ მივუჩინე ადგილი სხვენში, ეგეც მეტია მათთვის». ბატონი დე კამბრემერისადმი მიმართული ამ უკმეხი საპასუხო დარტყმის შემდეგ ქალმა ხელი გაუწოდა, რომ მაგიდისკენ წასულიყვნენ. კაცი ცოტა შეყოყმანდა, იფიქრა, ბარონ დე შარლიუზე წინ ხომ არ შევალო, მაგრამ მიიჩნია, რომ ეს უკანასკნელი ოჯახის ძველი მეგობარი იყო, რადგან საპატიო ადგილი მას არ ეკუთვნოდა და გადაწყვიტა ქალბატონი ვერდიურენის შეთავაზებულ მკლავზე ხელკავი გამოედო და უთხრა, თუ რა ბედნიერი იყო მისი ამ სერობაში მიღებით (ამგვარად დაასახელა წრე და ცოტა არ იყოს კმაყოფილი ღიმილი მოეფინა სახეზე, ეს ტერმინი რომ იცოდა). კოტარი, რომელიც ბარონი დე შარლიუს გვერდით იჯდა, მას უყურებდა მონოკლიდან, ცდილობდა ყინული გაეტეხა, საუბარი გაება, და თვალს ადრინდელზე ხშირად აპაჭუნებდა, საკმაოდ მოურიდებლად. ამ ღიმილით გამაგრებულ მეგობრულ მზერას მონოკლის მინა ვეღარ იჭერდა და ყოველი მხრით იღვრებოდა. ბარონი ყველგან იოლად პოულობდა თავისნაირებს, ეჭვი არ ეპარებოდა, რომ კოტარიც ერთ-ერთი

მათგანი იყო და თვალებს უნაბავდა. მაშინვე გამოამჟღავნა პროფესორის მიმართ ჰომოსექსუალისტებისთვის დამახასიათებელი სიმტკიცე, რომლითაც ისინი ქედმაღლურად თავიდან იშორებენ იმათ, ვისაც მოსწონთ და მლიქვნელურად დამთმობი ხდებიან იმათთან,

ვინც მოსწონთ. რაც არ უნდა ვითვალმაქცოთ, რომ ვიღაცის საყვარელ ადამიანად ყოფნა დიდი ბედნიერებაა, რომელიც ბედმა არ გვარგუნა, უეჭველია ერთი ზოგადი კანონი, რომლის ძალაც მარტო დე შარლიუებზე არ ვრცელდება; ადამიანი, რომელიც არ გვიყვარს, მას კი ვუყვარვართ, აუტანლად გვეჩვენება. ამ ადამიანზე, ამ ქალზე იმას კი არ ვიტყვით, რომ ვუყვარვართ, არამედ რომ ჩვენზეა ჩაბღაუჯებული და მას ნებისმიერი სხვა ქალის საზოგადოებას ვარჩევთ, თუნდაც იმ სხვას არც მისი მომხიბვლელობა, არც მიმზიდველობა და არც გონება ჰქონდეს. მასში ამ თვისებების ხელახლა აღმოსაჩენად საჭიროა, რომ ქალს აღარ ვუყვარდეთ. ამავე ზოგადი წესის გათვალისწინებით უნდა შევხედოთ გაღიზიანებას, რომელიც კომიკურ ფორმას იღებს ჰომოსექსუალთან იმ კაცის მიმართ, ვისაც ის მოსწონს და მასთან ურთიერთობას ესწრაფვის. მაგრამ ეს გაღიზიანება მასში უფრო მძაფრია. აგრეთვე, იმ დროს, როდესაც მამაკაცთა უმრავლესობა ცდილობს დაფაროს თავისი გაღიზიანება, ჰომოსექსუალი ულმობლად ცდილობს აგრძნობინოს იმას, ვინ ეს გრძნობა გამოიწვია მასში, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ქალს, მაგალითად, ბარონი დე შარლიუ არ აგრძნობინებდა პრინცესა გერმანტს, რომ მისი მისდამი გამომჟღავნებული ვნებიანი გრძნობა აღიზიანებდა, მაგრამ თან ეამებოდა. მაგრამ როდესაც ჰომოსექსუალი რწმუნდება, რომ სხვა კაცი მის მიმართ განსაკუთრებულ წადილს იჩენს, ან იმის გამო, რომ ამგვარი წადილი მისთვის გაუგებარია, ისევე როგორც მისი მიდრეკილებებია სხვებისთვის გაუგებარი, ანდა იმის გამო, რომ ეს დაჟინებული მოძალება, რომელშიც ცუდს ვერაფერს ხედავს, როდესაც თვითონ ეძალება სხვას, მაგრამ თუ მას ეძალებიან, ამას ცოდვად განიხილავს, იქნებ რეაბილიტაციის სურვილითაცაა იმგვარ სიტუაციებში რისხვის გამომჟღავნება, რომელიც არაფრად უღირს, იქნებ გამოაშკარავების შიში, რომელიც უეცრად იპყრობს, როდესაც უეცარი სურვილით ატანილი, თვალზე ბინდგადაკრული შეცდომას შეცდომაზე უშვებს, იქნებ იმაზე გამწარებული, რომ სხვისი

ორაზროვანი ქცევა მას ჩრდილს აყენებს, თუმცა თვითონ არც დაფიქრდებოდა თავისი ორაზროვანი საქციელით ვინმესთვის ჩრდილი რომ მიეყენებინა, თუ ის მოსწონდა, არ შეკრთდებოდა, კუდში გაჰყოლოდა ახალგაზრდა კაცს, თვალი არ მოეშორებინა თეატრში, თუნდაც მეგობრებთან ერთად ყოფილიყო, არად დაგიდევდათ, თუ ეს ახალგაზრდა კაცი მეგობრებს წაეჩხუბებოდა, – თვითონ კი წამსვე საკადრის ადგილს მიუჩენდა კაცს, რომელიც არ მოსწონდა და მიშტერებოდა, ეტყოდა: «ბატონო, ვინ გგონივართ? (უბრალოდ სწორედ ის ჰგონიათ, ვინც არის), თქვენი არ მესმის, ამაოდ იწუხებთ თავს, შემცდარი ბრძანდებით», უკიდურეს შემთხვევაში სილის გარტყმამდეც შეიძლება მივიდეს, იმასთან კი, ვინც მისთვის ცნობილია თავისი უტიფრობით, აღშფოთდება: «როგორ არ გეზიზღებათ ეს

საძაგლობა? ის ისე შემოგცქეროდათ!.. აი, მანერები! « ბარონი შარლიუ ასე შორს არ მიდიოდა, ოღონდ შეურაცხყოფილ და გაყინულ გამომეტყველებას იღებდა იმ ჭკუადამჯდარი ქალივით, რომელებიც ჭკუამხიარულად მიუჩნევიათ, ან უფრო მართლა ჭკუამხიარული ქალივით. სხვათა შორის, ჰომოსექსუალი სხვა ჰომოსექსუალის გამოჩენისას ხედავს არა მარტო თავის უსიამოვნო სახეს, რომელიც შეურაცხყოფს მის თავმოყვარეობას, არამედ თავის სხვა «მეს», ცოცხალს, იმავე მიმართულებით მოქმედს, შესაბამისად, მისთვის სიყვარულში ტანჯვის მიყენების შემძლეს. თვითგადარჩენის ინსტინქტით შეპყრობილი მზადაა, ლაფში ამოსვაროს სავარაუდო მოწინააღმდეგე (ჰომოსექსუალ ნომერ ერთს არ ეშინია, თუ მატყუარად ჩათვლიან, როდესაც ამგვარად ანადგურებს ჰომოსექსუალ ნომერ ორს იმ ხალხის თვალში, რომელმაც შესაძლოა კარგად უწყის, როგორ ცხოვრებას ეწევა თვითონ) ან იმ ხალხის წინაშე, ვისაც მისთვის ზიანის მიყენება შეუძლია, ან ახალგაზრდა ვაჟის წინაშე, რომელიც «ააგდო», რომელიც შესაძლოა მოსტაცონ, რომელიც აუცილებლად უნდა დაარწმუნოს, რომ მან რაც მასთან გააკეთა, უპირატესი ბედნიერებაა, მაგრამ თუ სხვასაც მისცემს იმავეს გაკეთების ნებას, ეს მისი მთელი

ცხოვრების უდიდესი უბედურების მომტანი იქნება. ბარონი დე შარლიუსთვის, რომელიც ეტყობა ფიქრობდა საფრთხეზე (მოჩვენებით საფრთხეზე), რომელსაც პროფესორი კოტარი, ვის ღიმილსაც არასწორად იგებდა, წარმოადგენდა მორელისთვის, – ჰომოსექსუალი, რომელიც არ მოსწონდა, იყო არა მხოლოდ მისი კარიკატურა, არამედ სავარაუდო მეტოქეც. ვაჭარი, რომელიც გემიდან ჩამოდის პროვინციულ ქალაქში და იქ აპირებს სიცოცხლის ბოლომდე დასახლებას და იშვიათი ნივთების მაღაზიის გახსნას, თუ იმავე მოედანზე, ზუსტად თავის პირდაპირ სხვა ვაჭრის, კონკურენტის, მაღაზიას დაინახავს, რაღა თქმა უნდა, არანაკლებ შეფიქრიანდება, ვიდრე ვინმე შარლიუს მსგავსი, რომელიც მიყრუებულ რეგიონში ჩამოსულა თავისი სიყვარულის დასამალად და ჩამოსვლის დღესვე ამჩნევს ადგილობრივ აზნაურს ან პარკმახერს, რომელთა შესახედაობა და მანერები არავითარ ეჭვს აღარ უტოვებს. ვაჭარს ხშირად კონკურენტის სიძულვილი შეიპყრობს; სიძულვილი ზოგჯერ მელანქოლიაში გადადის, და თუკი ცუდი მემკვიდრეობაც აქვს, სიგიჟის პირველი ნიშნებიც ჩნდება, რომლისგანაც მხოლოდ «ქონების» გაყიდვით და იმ ადგილიდან გადაკარგვით თუ გამოჯანმრთელდება. ჰომოსექსუალის გაცოფება კიდევ უფრო მწვავეა. პირველივე წამს ხვდება, რომ მისი ახალგაზრდა ქარგალი სასურველია აზნაურისა და პარიკმახერისთვის. დღეში ასჯერ ამაოდ უმეორებს თავის ქარგალს, რომ აზნაური და პარიკმახერი ნამდვილი ბანდიტები არიან და მათთან ურთიერთობა შებღალავს მას; იძულებულია ჰარპაგონივით უყარაულოს თავის განძს, ღამე დგება და ამოწმებს, ხომ არ მოჰპარეს იგი. და სწორედ უფრო მეტად ამ სიფრთხილის წყალობით და არა საერთო ჩვევებისა თუ ქცევის მსწრაფლი გამოცნობით, და საკუთარი გამოცდილების გათვალისწინებით, რომელიც ნამდვილად მყარი დასაყრდენია, ჰომოსექსუალი წამსვე, თითქმის შეუმცდარად, ჩაუდგება ხოლმე კვალში სხვა ჰომოსექსუალს.

შესაძლოა ერთი წამით შეცდეს, მაგრამ სხარტი მიხვედრილობა ჭეშმარიტებაში აბრუნებს. ბარონი დე შარლიუს

შეცდომაც ხანმოკლე აღმოჩნდა. რამდენიმე წუთის შემდეგ ღვთიურმა ნათებამ გაუნათა გონება და მიხვდა, რომ ბატონი კოტარი მისი მოდგმისა არ იყო და რომ მისი თვალების პაჭუნი, რომელაც შესაძლოა მხოლოდ მოთმინებიდან გამოეყვანა ადამიანი, არც მისთვის იყო სახიფათო და არც მორელისთვის, რაც თავიდან უფრო საშიშად მოეჩვენა. დე შარლიუ დამშვიდდა, მაგრამ რადგან ჯერ კიდევ ანდროგენი ვენერას ჩავლის შთაბეჭდილება არ განელებოდა, ჟამიდან ჟამზე ოდნავ უღიმოდა ქალბატონ ვერდიურენს, ბაგეების გახსნით თავს არ იწუხებდა, მხოლოდ ტუჩების კუთხეებს კეცავდა, და წამიერად თვალებში მოალერსე ცეცხლს გაიკრთობდა, – რათა მასში მამაკაცი ეგრძნოთ, – სწორედ ისე, როგორც ამას მისი რძალი, ჰერცოგინია გერმანტი, აკეთებდა. «ხშირად ნადირობთ, ბატონო?» – ზიზღით ჰკითხა ქალბატონმა დე ვერდიურენმა ბატონ დე კამბრემერს. «სკი მოგიყვათ, როგორ გამოვიჩინეთ თავი?» – ჰკითხა კოტარმა თავის მწყალობელ ქალბატონს. «მე უმეტესად შანტეპის[132] ტყეში ვნადირობ», – უპასუხა მარკიზ დე კამბრემერმა. «არა, არაფერი მომიყოლია», – თქვა სკიმ. «ამართლებს კი თავის სახელს?» – ჰკითხა ბრიშომ ბატონ დე კამბრემერს, მას შემდეგ რაც თვალი ჩემკენ გამოაპარა, რადგან შემპირდა, ეტიმოლოგიებზე ვისაუბრებო, ოღონდ მთხოვა, კამბრემერებთან სიტყვა არ დამცდენოდა იმის თაობაზე, რომ დასცინოდა კომრეის კიურეს ეტიმოლოგიურ აღმოჩენებს. «ეტყობა, ვერ მიგიხვდით, ვერ გავიგე თქვენი კითხვა», – თქვა ბატონმა დე კამბრემერმა. «მე მინდოდა მეთქვა: ბევრი კაჭკაჭი[133]თუ გალობს?» – უპასუხა ბრიშომ. ამ დროს კოტარი იტანჯებოდა, რომ ქალბატონმა ვერდიურენმა არ იცოდა, რომ ლამის იყო ჩამორჩნენ მატარებელს. «აბა, – წააქეზა ქალბატონმა კოტარმა თავისი მეუღლე, – მოგვიყევი შენი ოდისეა». «ეს მართლაც უჩვეულო ამბავია, – თქვა ექიმმა და განაგრძო ამბის მოყოლა. – როდესაც დავინახე, რომ მატარებელი უკვე სადგურში იყო, გავშეშდი. ყველაფერი სკის ბრალი იყო. თქვენ კი საიდან გაქვთ ეს უცნაური ცნობები? ბრიშო კი სადგურში გველოდებოდა!» «ასე მეგონა, –

თქვა უნივერსიტეტელმა, ძლივს მხედველი მზერა გარემოს მოავლო, წვრილ ბაგეზე კი ღიმილი უკრთოდა, – ის, რომ თქვენ გრენკურში შეგაგვიანდათ, რომ შეხვდით ვიღაც კახპას». «გაჩუმდით ჩემმა ცოლმა შეიძლება გაიგონოს! – თქვა პროფესორმა. – ჩემი ცოლი ეჭვიანია». «აჰ! ეს ბრიშო, – წამოიძახა სკიმ, ვისაც ბრიშოს თამამმა ხუმრობამ ტრადიციული მხიარულება გაუღვიძა, – მარად უცვლელია», მაგრამ დარწმუნებული არ იყო, რომ უნივერსიტეტელი ოდესმე ცუღლუტი და თავაშვებული ყოფილიყოს. და ჩვეულებადქცეულ ამ სიტყვებზე რიტუალური ჟესტის მიმატებაც იყო საჭირო და ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს ბრიშოსთვის ფეხზე ბწკენის ცდუნებას ვერ სძლევდა. «არა, არ იცვლება ეს გიჟმაჟი, – განაგრძობდა სკი, და არც უფიქრია, თუ რა სევდიან და კომიკურ იერს აძლევდა ამ სიტყვებს უნივერსიტეტელის ლამისაა სრული სიბრმავე, და დაამატა: – სულ ქალებისკენ აპარებს თვალს». «ხედავთ, – თქვა მარკიზ დე კამბრემერმა, – რას ნიშნავს

მეცნიერთან შეხვედრა?! აი, უკვე თხუთმეტი წელია, რაც შანტეპის ტყეში ვნადირობ და არც კი ჩავფიქრებულვარ, რას ნიშნავდა ეს სიტყვა». ქალბატონმა დე კამბრემერმა მკაცრად შეხედა ქმარს; არ სურდა, რომ მისი მეუღლე ამგვარად დამცირებულიყო ბრიშოს წინაშე. კიდევ უფრო უკმაყოფილო იმით იყო, რომ ყველა ეს გამოთქმა, რომელსაც კანკანი და კოტარი იყენებდნენ, რომლებმაც კარგად უწყოდნენ ამ გამოთქმათა სისუსტეცა და სიძლიერეც, რადგან შესწავლილი ჰქონდათ, ნათლად უჩვენებდნენ მარკიზს მის სიბრიყვეს და უმტკიცებდნენ, რომ ეს გამოთქმები არაფრის მთქმელი იყო: «რატომ ქათამივით სულელი? რა, ქათამზე სულელი აღარაფერია? ამბობთ: ასჯერ უნდა გაგიმეორო ყველაფერი. რატომ ასჯერ? მკვდარივით სძინავს. რატომ მკვდარივით? ხელმისაწვდომი და რატომ არა ფეხმისაწვდომი?» მაგრამ ბატონი დე კამბრემერის დაცვა ბატონმა ბრიშომ იკისრა და ყველა გამოთქმის წარმომავლობა ახსნა. ქალბატონი დე კამბერემერი კი ამ დროს იმ ცვლილებების თვალიერებით იყო დაკავებული, რომლებიც

ვერდიურენებს განეხორციელებინათ ლა რასპელიერში, ზოგი რამ არ მოსწონდა, აკრიტიკებდა, მაგრამ ეს დაწუნებულებიც, შესაძლოა, ფეტერნეშიც გაემეორებინა. «ეს რა ჭაღია მოღრეცილად ჩამოკიდებული? ვეღარ ვცნობ ჩემს ძველ რასპელიერს», – დაუმატა მან არისტოკრატული ფამილიარობით, თითქოს მსახურზე ლაპარაკობს, რომლის ასაკსაც კი არ უსვამს ხაზს, არამედ იმას, რომ ის უკვე მათთან მუშაობდა და მის დაბადებას შეესწრო. და რადგან თავისი მეტყველებით ნაკლებ წიგნიერი გახლდათ, მაინც ჩუმად დაუმატა: «მაინც ასე მგონია, სხვის სახლში რომ მეცხოვრა, შემრცხვებოდა ყველაფრის ასე შეცვლა». «ცუდია მათთან ერთად რომ არ ჩამოხვედით, – უთხრა ქალბატონმა ვერდიურენმა ბარონ დე შარლიუს და მორელს, იმ იმედით, რომ ბარონი კვლავ ჩამოვიდოდა და დაემორჩილებოდა საერთო წესს, რომლის მიხედვითაც ყველას ერთი მატარებლით ჩამოსვლა იყო გათვალისწინებული. – გგონიათ რომ შანტეპიე მართლა კაჭკაჭს ნიშნავს, რომელიც გალობს?» – დაამატა მან იმის ხაზგასასმელად, რომ სახლის დიდი დიასახლისი ყველა საუბარში ერთდროულად იღებს მონაწილეობას. «ცოტა რამ მომიყევით იმ მევიოლინეზე, – მითხრა მარკიზ დე კამრემერმა, – მაინტერესებს; მიყვარს მუსიკა. მგონი, რაღაც გამიგია მასზე, გამანათლეთ». მან გაიგო, რომ მორელი ბარონ დე შარლიუსთან ერთად ჩამოსულიყო და სურდა, რომ ერთის გაცნობით მეორესაც დაახლოვებოდა. მაგრამ ამას რომ არ მივმხვდარიყავი, დაამატა: «ბრიშოც მაინტერესებს». ქალბატონი დე კამბრემერი ძალზე განათლებული იყო, მაგრამ იმის არ იყოს, ზოგიერთი ქალი სიმსუქნისკენ რომაა მიდრეკილი, არაფერს ჭამს, მთელი დღე ფეხზეა და მაინც თვალდათვალ სუქდება, ესეც, განსაკუთრებით ფეტერნეში ყოფნისას, უფრო და უფრო კი უღრმავდებოდა ეზოთერულ ფილოსოფიას და გატაცებული იყო სერიოზული მუსიკით, მაგრამ მაინც თავის სწავლა-განათლებას მიატოვებდა ხოლმე ინტრიგების დასახლართად, რომელთა მიზანიც მისი ახალგაზრდობისდროინდელ ბურჟუაზიულ მეგობრებთან ურთიერთობის გაწყვეტა და ახალ

საზოგადოების იმ ნაწილთან, – რომელიც თავიდან თავისი ქმრის ოჯახის საზოგადოებად მიიჩნია, – ურთიერთობის გამყარება იყო, თუმცა, როგორც შემდგომში შეამჩნია, ბევრად უფრო მაღლა და უფრო შორს აღმოჩნდა მათგან. მისთვის არც თუ ისე თანამედროვე ფილოსოფოსმა ლეიბნიცმა თქვა, რომ გზა გონებიდან გულამდე გრძელია. ქალბატონ დე კამბრემერს, ისევე როგორც მის ძმას, არ ძალუძდათ ამ გზის გავლა. სტიუარტ მილის კითხვას მხოლოდ იმიტომ შეწყვეტდა, რომ ლაშელიე აეღო ხელში და რაც უფრო ნაკლებად სჯეროდა გარე სამყაროს რეალურობის, მით მეტი სიჯიუტით ცდილობდა, სიკვდილამდე მოესწრო და იქ მნიშვნელოვანი ადგილი დაემკვიდრებინა. რეალისტური ხელოვნების მოყვარეს მიაჩნდა, რომ ყოველი უმნიშვნელო საგანი შეიძლებოდა მხატვარს ან მწერალს მოდელად გამოდგომოდა. მაღალი წრის მოდური ტილო ან რომანი გულს ურევდა; ტოლსტოის «მუჟიკი» ან მილეს გლეხი წარმოადგენდა იმ სოციალურ ზღვარს, რომლის გადაკვეთის ნებასაც ის ხელოვანს არ აძლევდა. მაგრამ იმ ზღვარის გადაკვეთა, რომელიც მის ურთიერთობებს ზღუდავდა და ჰერცოგინიებთან მიმოსვლამდე ამაღლება მისი ყველა ძალისხმევის მიზანი იყო და სულიერი ცხოვრება, რომელსაც ეწეოდა ხელოვნების შედევრების შესწავლით, უძლური აღმოჩნდა თანდაყოლილი და მასში გაფურჩქნილი, დამღუპველი სნობიზმის წინაშე. სწორედ ამ სნობიზმმა განკურნა იგი ახალგაზრდობისდროინდელი ზოგიერთი ისეთი ცუდი მიდრეკილებისგან, როგორიცაა სიძუნწე და მრუშობა, განსაკუთრებული და მუდმივი პათოლოგიური მდგომარეობანი, რომლებიც, როგორც ჩანს, სხვა დაავადებათა წინააღმდეგ იმუნიტეტად გამოდგება. მისი მოსმენისას არ შემეძლო ჯეროვნად არ დამეფასებინა მისი გამოთქმების დახვეწილობა, თუმცა მათგან ვერავითარ სიამოვნებას ვერ ვღებულობდი. ეს ის გამოთქმებია, რომელთაც მოცემულ ეპოქაში ყველა განათლების გარკვეულ დონეზე მყოფი ადამიანი ხმარობს, ასე რომ, ამ დახვეწილ გამოთქმათაგან ერთიც საკმარისია ამა თუ იმ წრის ერთბაშად აღსაწერად და მისი

საზღვრების დასადგენად. აგრეთვე ეს გამოთქმებიც და მათი წარმომთქმელი ადამიანებიც წამსვე მაბეზრებენ თავს, როგორც უკვე ჩემთვის კარგად ნაცნობნი, მაგრამ სხვებისთვის არაჩვეულებრივნი და მათ გვერდით რომ მსვამენ ხოლმე მაგიდასთან და მეუბნებიან, როგორი შეუდარებელნი და მომხიბვლელნი არიან. «თქვენთვის უცნობი არ უნდა იყოს, ქალბატონო, რომ ტყეთა სახელები უმეტესად იმ ცხოველთა სახელებიდან მოდის, რომელნიც იქ ბინადრობენ. შანტეპის ტყის გვერდით არის შანტერეინის[134] ტყე». «არ ვიცი, რომელ დედოფალს ეხება საქმე, მაგრამ არ ბრძანდებით გალანტურნი მის მიმართ», – თქვა ბატონმა დე კამბრემერმა. «დაიჭირე, – თქვა ქალბატონმა ვერდიურენმა. – და გარდა ამისა, კარგად იმგზავრეთ?». «იმას თუ გამოვრიცხავთ, რომ მატარებელი სავსე იყო რაღაც გაურკვეველი ხალხით. მაგრამ მე პასუხს ვცემ ბატონი დე კამბრემერის კითხვას; ამ შემთხვევაში reine მეფის ცოლს კი არ გულისხმობს, არამედ ბაყაყს». «მგონი ეს ისეთი რამეა, თითებს ჩაიკვნეტ, – ეუბნება მარკიზ დე კამბრემერი ქალბატონ ვერდიურენს და თევზზე უთითებს. ეს ერთ-ერთი ქათინაური გახლდათ, რომლითაც ბატონი

კამბრემერი მადლობას იხდიდა ვახშმისთვის და თავაზიანობას იჩენდა («არ ღირს მათი მოპატიჟება, – ხშირად ეუბნებოდა ხოლმე ცოლს თავისი მეგობრების შესახებ – ისინი მოხიბლულნი დარჩნენ, რომ ვესტუმრეთ. მადლობაც კი გადამიხადეს»). – სხვათა შორის, უნდა გითხრათ, რომ უკვე აგერ რამდენიმე წელია, ყოველდღე დავდივარ რენვილში და იქ მეტი ბაყაყი არ მინახავს, ვიდრე სხვა ადგილებშია. ქალბატონმა დე კამბრემერმა აქ კიურე ჩამოიყვანა იმ სამწყოდან, სადაც მას დიდი მამულები აქვს, ისე ჩანს, ის კიურე და თქვენ ერთნაირად აზროვნებთ. მთელი ნაშრომი დაწერა». «უსაზღვრო ინტერესით წავიკითხე», – პირმოთნედ უპასუხა ბრიშომ. ამ პასუხმა არაპირდაპირ სრულად დააკმაყოფილა ბატონი დე კამბრემერის პატივმოყვარეობა და გულიანადაც აცინა. «აჰ! კეთილი. ავტორი, როგორ ვთქვა, ამ გეოგრაფიისა, ამ ლექსიკონისა ხანგრძლივად მსჯელობს ერთი პატარა

ადგილის სახელის თაობაზე, სადაც ადრე, თუ შეიძლება ასე ვთქვა, ჩვენ მებატონეები ვიყავით და რომელსაც პონტ-ა-კულევრი[135] ჰქვია. მე მხოლოდ არაფრისმცოდნე უწიგნური ვარ მეცნიერების ამ წყაროს გვერდით, მაგრამ კიურე იქ მხოლოდ ერთხელ იყო, მე კი ათასჯერ გამივლია და ეშმაკმა წამიღოს, თუ ერთხელ მაინც მენახოს ეს საძაგელი გველი, დიახ, საძაგელი, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი საყვარელი ლა ფონტენი ქებას ასხამს» («კაცი და გვეხოკერა» იყო მისი ორი იგავიდან ერთი). «თქვენ არ გინახავთ და არც უნდა გენახათ, – უპასუხა ბრიშომ. – მაგრამ რასაკვირველია ავტორი, რომელზეც თქვენ საუბრობთ, ღრმად იცნობს საკითხს და ჩინებული წიგნი დაწერა». «დიახ! – წამოიძახა ქალბატონმა დე კამბრემერმა, – ეს წიგნი, უნდა აღინიშნოს, რომ ნამდვილი ნაშრომია ბენედიქტელისა». «უეჭველია, ჩაიხედა ძველ საეპარქიო წიგნებში (ვგულისხმობ შესაწირავთა ნუსხებს და თითოეული ეპარქიის სამწყსოთა სიებს), და ამან საშუალება მისცა დაედგინა ეკლესიისა და მონასტრის შემომწირველთა და მფარველთა სახელები. მაგრამ სხვა წყაროებიც ხომ არსებობს. ერთმა ჩემმა ყველაზე მეცნიერ მეგობართაგანმა ეს წყაროები გამოიყენა. და იქ აღმოაჩინა, რომ ამ ადგილს ერქვა პონტ-ა-კილევრი. ამ უცნაურმა სახელმა უბიძგა, უფრო შორს წასულიყო და ლათინურ ტექსტში ხიდი, რომელიც თქვენს მეგობარს გველხოკერებით გადავსებული ჰგონია, აღნიშნულია, როგორც Pons cui aperit, ანუ დახურული ხიდი, რომელიც იღებოდა მხოლოდ ღირსეული საფასურის გადახდისას». «ბაყაყებზე ლაპარაკობდით. მე კი ამდენ მეცნიერ კაცთა გარემოცვაში თავი არეოპაგის წინაშე მყოფი ბაყაყი მგონია» (ეს მეორე იგავი იყო), – თქვა კანკანმა, ის ხშირად ხარხარებდა ამ ხუმრობაზე, რომლის წყალობითაც, როგორც თვითონ ეგონა, თავმდაბლობის გამო თან თავს უსწავლელს უწოდებდა, თანაც თავის ცოდნას ამჟღავნებდა. რაც შეეხება კოტარს, ბარონი დე შარლიუს დუმილით ბლოკირებული შეეცადა, სხვა მხარეს გაეღწია, მე მომიბრუნდა და ერთ-ერთი იმ კითხვათაგანი დამისვა, რომელიც, თუ ზუსტად გაარტყამდა, აოგნებდა მის

პაციენტებს, ასე ვთქვათ, გადაუშლიდა მათ სხეულებს, და ამით საშუალება ეძლეოდა, შესწორებები შეეტანა თეორიებში და განევრცო თავისი ძველი თვალსაზრისი. «როდესაც ასეთ ამაღლებულ ადგილას ამოდიხართ, როგორზეც ახლა

ვართ, ამჩნევთ, რომ სულის შეხუთვის ტენდენცია გემატებათ?» – მკითხა მან დარწმუნებულმა იმაში, რომ ან ყველას აღაფრთოვანებდა, ან ცოდნის მარაგს შეივსებდა. ბატონმა კამბრემერმა გაიგონა შეკითხვა და გაიღიმა. «ვერ წარმოიდგენთ, როგორ მართობს იმის გაგება, რომ სულის შეხუთვები გაქვთ». – გადმომიგდო მან მაგიდის მეორე მხრიდან. ამით იმის თქმა არ უნდოდა, რომ ეს ამხიარულებდა, თუმცა არც უამისობა იყო. რადგან ამ კეთილ ადამიანს, სხვისი უბედურების გაგონებისას მაინც არ შეეძლო კარგ გუნებაზე არ დამდგარიყო და არ ახარხარებულიყო, მაგრამ მალევე ეს სიხარული მის კეთილ გულში ადგილს თანაგრძნობას უთმობდა. მაგრამ მის ნათქვამს სხვა მნიშვნელობა ჰქონდა, რაც დამტკიცდა მომდევნო ფრაზით: «ეს მართობს, რადგან ჩემს დასაც აქვს ხუთვის შეტევები». საბოლოოდ, ამან იმდენადვე დააინტერესა, რამდენადაც დააინტერესებდა, რომ მეთქვა, ის, ვინც ხშირად სტუმრობდა მას, ჩემი მეგობარიც იყო. «რა პატარაა ეს ქვეყანა», – აი, ასე ჩამოაყალიბა აზრი, რომელიც მის მოღიმარ სახეზე წარწერილი ამოვიკითხე, როდესაც კოტარი ჩემს ხუთვებზე მელაპარაკებოდა. და ამ ვახშმის შემდეგ ეს ხუთვები იქცა ჩემი და მარკიზ კამბრემერის ურთიერთობის გასაღებად, რომელთა შესახებაც სულ მეკითხებოდა, რამე ახალი ხომ არააო, მხოლოდ იმისთვის, რომ შემდეგ თავისი დისთვის მოეყოლა. მისი ცოლის კითხვებს ვპასუხობდი ბატონი მორელის შესახებ და თან იმაზე ვფიქრობდი, რაზე ვილაპარაკეთ მე და დედამ ნაშუადღევს. მან არ დამიშალა ვერდიურენებთან წასვლა, თუ ეს გამართობდა, მაგრამ შემახსენა, რომ ამ წრესთან ურთიერთობა არ მოეწონებოდა ბაბუაჩემს, რომელიც იყვირებდა: «ფრთხილად!», აგრეთვე დედამ დაამატა: «მისმინე: თავმჯდომარე ტურეიმ და მისმა ცოლმა მითხრეს, რომ ქალბატონ ბონტამპთან უსადილიათ.

არაფერი უკითხავთ, არც უთხოვიათ, მაგრამ როგორც მივხვდი, ალბერტინისა და შენი ქორწინება მისი დეიდის ოცნებაა. ვფიქრობ, ამის ნამდვილი მიზეზი ისაა, რომ ისინი ძალიან სიმპატიურად მიგიჩნევენ. ესაა მთავარი. რა თქმა უნდა, ფუფუნებას, რომელიც, მათი აზრით, შეგიძლია ალბერტინს შესთავაზო, ურთიერთობებს, რომლებიც, როგორც იციან, ასე თუ ისე გვაქვს, როგორც ვფიქრობ, ანგარიშს უწევენ, მაგრამ ეს მაინც მეორე ხარისხოვანია. ამაზე არ დაგელაპარაკებოდი, რადგან მაინცდამაინც არ მხიბლავს ეს აზრი, მაგრამ მგონია რომ დაგელაპარაკებიან და ვარჩიე დამესწრო». «შენ რა აზრის ხარ, მოგწონს ალბერტინი?» – ვკითხე დედას. «მე?! მე კი არ უნდა შევირთო ცოლად. რა თქმა უნდა, ათასჯერ უკეთესად შეგეძლო დაქორწინებულიყავი, მაგრამ, ვფიქრობ, ბებია წინააღმდეგი იქნებოდა შენზე ვინმეს მოეხდინა გავლენა. ახლა ვერაფერს გეტყვი ალბერტინზე, ჯერ არანაირი აზრი არ ჩამომყალიბებია. მადამ სევინიესავით გეტყვი: «მას კარგი თვისებები აქვს, ყოველ შემთხვევაში, მე ასე მგონია. მაგრამ ჯერჯერობით მისი ქებისას აღვნიშნავ, რა ნაკლი არა აქვს. ის არაა ასეთი, არა აქვს რენის კილო. დროთა განმავლობაში, შეიძლება ვთქვა: ის ასეთია». და ყოველთვის საუკეთესოდ მივიჩნიო, თუ შენ ბედნიერს გაგხდის. მაგრამ სწორედ ამ სიტყვებით, რითაც დედაჩემმა ჩემი ბედნიერების გადაწყვეტა მე მომანდო, მე ჭოჭმანის მდგომარეობაში აღმოვჩნდი, როგორშიც უკვე

ვიყავი ჩავარდნილი, როდესაც მამამ ნება დამრთო, ფერდრაზე წავსულიყავი, და კიდევ უფრო მეტად მაშინ, როცა მწერლად გახდომა არ დამიშალა, მაშინ ერთბაშად ვიგრძენი, რომ უდიდეს პასუხისმგებლობას ვიღებდი თავზე, შემეშინდა, მისთვის იმედი არ გამეცრუებინა და ტკივილი არ მიმეყენებინა, და ისეთ მელანქოლიაში ჩავვარდი, როგორშიც ვარდებიან ადამიანები, როდესაც შეწყვეტენ ყოველდღიური ბრძანებების მორჩილებას, როცა მომავალს ვეღარ ხედავენ, როცა იაზრებენ, რომ აი, ბოლოს და ბოლოს, ნამდვილი ცხოვრება იწყება, ცხოვრება ზრდასრული ადამიანისა, ერთადერთი ცხოვრება, რომელიც თითოეული ჩვენგანის განკარგულებაშია».

*** * ***

ალბათ იმის გასარკვევად, მართლა მიყვარდა თუ არა ალბერტინი, უკეთესი იქნებოდა ცოტა შემეცადა და ისე შემეხედა მისთვის, თითქოს წარსულიდან ვუყურებო. შემეძლო ვერდიურენებთან წამეყვანა, რომ გამერთო, მაგრამ ამან მომაგონა, რომ სტუმრად იმ საღამოს მხოლოდ იმიტომ მივედი, რომ გამეგო, ქალბატონი პიუტბიუ იქ უკვე ცხოვრობდა თუ აპირებდა ჩამოსვლას. ყოველ შემთხვევაში ვახშამს არ ესწრებოდა. «ჰო, თქვენი მეგობარი სენ-ლუს შესახებ, – მომმართა ქალბატონმა კამბრემერმა, გამოიყენა ეს გამოთქმა, რომელიც ცხადად აღნიშნავდა იმას, რომ მისი ერთი აზრი მეორისგან გამომდინარეობდა, რასაც მისი სიტყვების მიხედვით ვერ იტყოდით, რადგან თუ ის მუსიკაზე მელაპარაკებოდა, გერმანტებზე ფიქრობდა, – იცით, ყველა მისი და პრინცესა გერმანტის დისშვილის დაწინდვაზე ლაპარაკობს. უნდა გითხრათ, რომ მთელი ეს მაღალი წრის მითქმა-მოთქმა მე სულაც არ მაინტერესებს». მე შემეშინდა რობერტის წინაშე სიმპატიის გარეშე მელაპარაკა ამ ახალგაზრდა, ყალბად ორიგინალურ ქალზე, რომელსაც საშუალო გონება და ცუდი ხასიათი ჰქონდა. არ იყო თითქმის არც ერთი ახლად გაგონილი ამბავი, რომელიც ჩვენ მასზე ნათქვამ სიტყვებს არ გვანანებდა. მე ვუპასუხე ქალბატონ დე კამბრემერს, და ეს სიმართლე იყო, რომ ამის თაობაზე არაფერი ვიცოდი და რომ, ჩემი აზრით, საცოლე ჯერ ძალზე ნორჩი იყო. «ალბათ ამიტომაცაა, რომ ჯერ ოფიციალურად არ გამოუცხადებიათ; ყოველ შემთხვევაში, ბევრს კი ლაპარაკობენ. ვარჩიე გამეფრთხილებინეთ», – მშრალად უთხრა მარკიზა ვერდიურენმა ქალბატონ დე კამბრემერს, როდესაც გაიგონა, რომ ეს უკანასკნელი მორელზე მელაპარაკებოდა და როდესაც ხმას დაუწია სენ-ლუს დაწინდვაზე სალაპარაკოდ, ეგონა რომ ისევ მორელზე ვლაპარაკობდით. «აქ მსუბუქი მუსიკით კი არ ვერთობით. ჩემს ოთხშაბათობებზე ერთგულად მოარულნი, ჩემი შვილიკოები,

როგორც მე ვეძახი, ვერ წარმოიდგენთ, რა წინ წავიდნენ ხელოვნებაში, საშინლად წინ, – თქვა მან და სახეზე ამაყი შიში გამოიხატა, – ხანდახან ვეუბნები: «ჩემო პატარებო, თქვენ უფრო სწრაფად მიაბიჯებთ, ვიდრე თქვენი მფარველი, ის კი არასდროს ჩამორჩენილა და არანაირი გამოწვევის არ შეშინებია». ყოველ წელს უფრო და უფრო შორს მიდიან; მალე ვაგნერს და ინდისაც გადააბიჯებენ». «მაგრამ წინსვლა ხომ

მშვენიერია, შუა გზაზე გაჩერებაა ცუდი», – თქვა ქალბატონმა კამბრემერმა, თან დაკვირვებით უყურებდა სასადილო ოთახის ყოველ კუთხე-კუნჭულს, უნდოდა ამოეცნო, რა იყო მისი დედამთილის დატოვებული და რა ქალბატონი ვერდიურენის მოტანილი, რომ უგემოვნობაში გამოეჭირა. მაგრამ მაინც ცდილობდა ჩემთან იმ თემაზე ელაპარაკა, რაც ყველაზე მეტად აინტერესებდა, ბარონ დე შარლიუზე. გულისამაჩუყებლად მიაჩნდა, რომ დე შარლიუ მევიოლინეს მფარველობდა. «ჭკვიანური გამომეტყველება აქვს». «და მხნედაც გამოიყურება, ასაკოვანი კაცისთვის», – ვთქვი მე. «ასაკოვანი? მაგრამ სულაც არ ჰგავს ასაკოვანს, შეხედეთ, თმები ახალგაზრდული აქვს» (სამი თუ ოთხი წელი იყო, რაც ერთმა ლიტერატურული მოდის დამმკვიდრებელმა სიტყვა «თმა» მრავლობითში იხმარა, მას მიბაძა ქალბატონი დე კამბრემერის გასხივოსნებული დონის ყველა პერსონამ და ამ სიტყვას ნაზ ღიმილსაც თან მოაყოლებდნენ ხოლმე. ახლაც «თმებს» ამბობენ, მაგრამ მხოლობითი სძლევს მრავლობითს). «მე განსაკუთრებით იმიტომ მაინტერესებს ბარონი შარლიუ, – დაუმატა მან, – რომ მასში თვითნაბადი ნიჭი იგრძნობა. პირდაპირ გეტყვით, ნასწავლობას ჩემთვის დიდი ფასი არა აქვს. სწავლით მოცემული არ მაინტერესებს». ქალბატონი დე კამბრემერის ეს სიტყვები მის განსაკუთრებულ აზრს წარმოადგენდა, თუმცა მისი ყველა აზრი სწორედაც ნასესხები და შეძენილი იყო. მაგრამ სწორედ ახლა უნდოდა ეთქვა, რომ ცოდნა არაფერია, რომ არად ღირს ორიგინალურობის გვერდით. ქალბატონმა დე კამბრემერმა ისწავლა, ისე როგორც ბევრი სხვა რამ, რომ არაფრის სწავლა არაა საჭირო. «აი, რატომაა, რომ ბატონი

ბრიშო, – რომელიც თავისთავად ცნობისწადილის აღმძვრელია, რადგან მე უარს კი არა ვარ გადამოწმებულ საინტერესო სამეცნიერო ცოდნაზე, – ბევრად ნაკლებ მაინტერესებს». ამ დროს კი ბრიშოს ერთადერთი საზრუნავი ჰქონდა: გაიგონა რა, რომ მუსიკაზე ლაპარაკობდნენ, იმაზე კანკალებდა, რომ ამ თემას ქალბატონი ვერდიურენისთვის დეშამბრის სიკვდილი არ გაეხსენებინა. სურდა რაღაც ეთქვა, რომ ეს სამგლოვიარო მოგონება გაეფანტა და ბატონმა დე კამბრემერმა მისცა ამის საბაბი დასმული კითხვით: «მაშ, ტყიანი ადგილები ყოველთვის ცხოველთა სახელებს ატარებენ?». «თითქმის ყოველთვის, – უპასუხა ბრიშომ, იმით გახარებულმა, რომ თავის ცოდნას გადმოაღვარღვარებდა ამდენი ახალი ადამიანის წინაშე, რომელთაგან, როგორც მე ვუთხარი, ერთი მაინც დაინტერესდებოდა, – და ადამიანთა გვარებს თუ გადავხედავთ, ხეების სახელები ისე ჩაკირულან მათში, როგორც გვიმრა ქვანახშირში. მაგალითად, ერთ-ერთ ჩვენ სენატორს ჰქვია ბატონი სოლს დე ფრეისინე, რაც, თუ არ ვცდები, ნიშნავს, იფნიან და ტირიფიან ადგილს, salix et fraxinetum; მისმა ძმისწულმა კიდევ უფრო მეტი ხეები შეაგროვა, რადგან მისი გვარი დე სელვია, sylva[136]». სანეტი სიხარულით შეცქეროდა, რომ საუბარმა ასეთი გაცხოველებული სახე მიიღო. მას შეეძლო ჩუმად ყოფილიყო, რადგან ბრიშო სულ ლაპარაკობდა, და არ გამხდარიყო ბატონი და ქალბატონი ვერდიურენების გესლიანი დაცინვის საგანი. სიხარულს, რომ თავდაღწეული, კარგად დამალული იყო, ისიც წაემატა და გული აუჩვილა, რომ გაიგონა ქალბატონმა ვერდიურენმა როგორ უბრძანა მეტრდოტელს, მიუხედავად

საზეიმო ვახშმისა, ბატონი სანეტის წინ ტოლჩით წყალი დაედგა, რადგან სხვას არაფერს სვამდა (მხედართმთავრები ბრძანებენ, კარგად გამოკვებონ სასიკვდილოდ მიმავალი ჯარისკაცები). დაბოლოს, ქალბატონმა ვერდიურენმა ერთხელ გაუღიმა სანეტს. არა, ნამდვილად კარგი ხალხია, აღარ გააწვალებენ. ამ მომენტში ვახშამი შეწყდა ერთი სტუმრის, რომლის დასახელებაც დამავიწყდა, ნორვეგიელი ფილოსოფოსის გამო,

რომელიც ფრანგულად ძალზე კარგად, მაგრამ მეტისმეტად ნელა ლაპარაკობდა ორი მიზეზის გამო, ჯერ ერთი, ახალი ნასწავლი ჰქონდა და არ უნდოდა შეცდომები დაეშვა (თუმცა მაინც უშვებდა), თითოეული სიტყვისთვის, ასე ვთქვათ, შინაგან ლექსიკონს მიმართავდა; მეორეც, რადგან მეტაფიზიკოსი იყო, ლაპარაკის დროს კვლავ ფიქრობდა იმაზე, თუ რისი თქმა სურდა, ეს ფრანგშიც კი გამოიწვევდა მეტყველების შენელებას. სხვა მხრივ ჩინებული ადამიანი იყო, თუმცა სხვათა მსგავსად მოგეჩვენებოდათ, რომ არა ერთი თვისება. ეს ასე ნელა მოლაპარაკე კაცი (ყოველი სიტყვას დუმილი მოჰყვებოდა) თავბრუდამხვევ სიმკვირცხლეს ავლენდა წასვლისას, როდესაც გამოგემშვიდობებოდათ. თუ პირველად ხედავდით მის ამ უცნაურ გაქცევას, იფიქრებდით, მუცელმა წამოუარა ან კიდევ უფრო დიდი გაჭირვება ადგასო.

«ძვირფასო, კოლეგავ, – მიმართა მან ბრიშოს, მას შემდეგ რაც გონებაში გადაამოწმა, ტერმინი «კოლეგა» სათანადოდ თუ შეეფერებოდა ამ მიმართვას, – მე სურვილი – მაქვს – ვიცოდე – თუ არის სხვა ხეები – თქვენი მშვენიერი ენის – ნომენკლატურაში – ფრანგულის – ლათინურის – ნორმანდიულის. ქალბატონმა (ქალბატონ ვერდიურენს გულისხმობდა, მაგრამ მისკენ გახედვასაც ვერ ბედავდა) მითხრა, რომ თქვენ ყველაფერი იცით. სწორედ ამის დროა, არა?» «არა, ჭამის დროა», – შეაწყვეტინა ქალბატონმა ვერდიურენმა, რომელიც ხედავდა, რომ ვახშამი აღარ თავდებოდა. «აჰ, კეთილი, – უპასუხა სკანდინავიელმა და მოწყენილად და მორჩილად მოღიმარმა თავი თეფშში ჩარგო. – მაგრამ მინდა ქალბატონის ყურადღება მივაპყრო იმას, რომ მე მხოლოდ იმიტომ გავბედე ამ დაკითხვის – უკაცრავად, ამ კითხვარის დასმა – რომ ხვალ პარიზში ვბრუნდები, ტურ დ’არჟანთან თუ ოტელ მერისთან უნდა ვივახშმო. ჩემი მოძმე – ფრანგი – ბატონი ბუტრუ, უნდა გველაპარაკოს სპირიტიზმის სეანსებზე – უკაცრავად სულიერების გამოძახებებზე – რომელთაც აკონტროლებს». «ტურ დ’არჟანი სულაც არაა ისეთი

კარგი, როგორსაც ამბობენ, – თქვა გაჯავრებულმა ქალბატონმა ვერდიურენმა. – ერთხელ იქ საზიზღარი ვახშმით გამიმასპინძლდნენ». «განა მე ვცდები, განა საკვები, რომელსაც ვჭამთ ქალბატონთან, არაა საუკეთესო ფრანგული სამზარეულო?». «ღმერთო ჩემო, ჰო, არც ისე ცუდია, – უპასუხა მომბალმა ქალბატონმა ვერდიურენმა. – და თუ თქვენ მომავალ ოთხშაბათს მობრძანდებით, უკეთესს დაგახვედრებთ». «მაგრამ ორშაბათს ალჟირში მივდივარ, და იქიდან კონცხზე. და როდესაც ბონ ესპერანსის კონცხზე ვიქნები, ვეღარ შევხვდები ჩემს სახელგანთქმულ კოლეგას – უკაცრავად, ვეღარ შევხვდები ჩემს თანამოძმეს». ამ დაგვიანებული მობოდიშების

შემდეგ მორჩილად შეუდგა ჭამას თავბრუდამხვევი სისწრაფით. მაგრამ ბრიშო ძალიან ბედნიერი იყო, რომ შეეძლო სხვა ქვეყნების მცენარეულ ეტიმოლოგიებსაც გადასწვდომოდა, რომელმაც ისე დააინტერესა ნორვეგიელი, რომ კვლავ შეწყვიტა ჭამა, ოღონდ ანიშნა, რომ მისი სავსე თეფში აეღეთ და შემდეგი კერძი მოერთმიათ: «ორმოციდან ერთი ადამიანი ატარებს გვარს «უსეი», ანუ ადგილი, სადაც იზრდება ჭყორი; დახვეწილი დიპლომატის ორმესონის გვარში თქვენ აღმოაჩენთ თელას, ვირგილიუსისთვის ასე საყვარელ ulmus-ს, რომლისგანაც წარმოდგება ქალაქ ულმის სახელი, მისი კოლეგების: ბატონი დე ბულეიეს გვარში «ბულოს» ნიშნავს სამუშაოს; ბატონი ონეის გვარში – მურყანს; ბატონი ბიუსირისაში – ბზას; ბატონი ალბარეტისაში – ნაქურთენს (თავს პირობა მივეცი, ამას სელესტს ვეტყოდი); ბატონი შოლესაში – კომბოსტოს და ვაშლის ხეს; ბატონი დე ლა პომერეის გვარში, სანეტ გახსოვთ, ჩვენ მისი მოხსენება იმ დროს მოვისმინეთ, როდესაც კეთილმა პორელმა ქვეყნის დასალიერში, ოდეონიში, გააგზავნა პროკონსულად». ბრიშოს მიერ სანეტის სახელის ხსენებაზე ბატონმა ვერდიურენმა თავისი ცოლი და კოტარი ირონიული მზერით განგმირა, რამაც დააბნია მორიდებული. «თქვენ ბრძანეთ, რომ შოლე კომბოსტოსგან წარმოდგება, – ვუთხარი ბრიშოს, – სადგური, რომელიც დონსიერსი ჩამოსვლამდე გამოვიარე, სენ-ფრიშუ,

ისიც კომბოსტოსგან მოდის?». «არა, სენ-ფრიშუ არის Sanctus Fructiosus, როგორც Sanctus Ferreolus – დონნა სენ-ფარგო, მაგრამ ეს სულაც არაა ნორმანდიული». «ბევრი რამ იცის, თავს გვაბეზრებს, – ჩაიდუდღუნა თავადის ქალმა. – იმდენი სხვა სახელი მაინტერესებს, მაგრამ ყველაფერს ერთბაშად ვერ გკითხავთ». კოტარს მივუბრუნდი და ვკითხე: «ქალბატონი პიუტბიუ აქაა?». «არა, კიდევ კარგი არა, – მიპასუხა ქალბატონმა ვერდიურენმა, რომელმაც ჩემი კითხვა გაიგონა. – შევეცადე, ეგ მოაგარაკე ვენეციისკენ წაეღო დინებას, წელს მოვიშორეთ თავიდან». «მეც მაქვს ორ ხეზე უფლება, – თქვა დე შარლიუმ, – რადგან თითქმის ვიშოვე პატარა სახლი სენ-მარტინ-დიუ-შენსა და სენ-პიერ-დე-იფს შორის». «მაგრამ ეს აქედან ძალიან ახლოსაა. იმედი მაქვს, მობრძანდებით ხოლმე შარლი მორელისთან ერთად. მხოლოდ ჩვენს პატარა ჯგუფთან უნდა შეთანხმდეთ მატარებლის თაობაზე, დონსიერიდან ორ ნაბიჯში ხართ», – თქვა ქალბატონმა ვერდიურენმა, რომელიც ვერ იტანდა, ერთი და იმავე მატარებლით თუ არ ჩამოდიოდნენ სტუმრები და თანაც იმ დროს, როდესაც ის ეტლებს აგზავნიდა დასახვედრად.

იცოდა, ლა რასპელიერში ამოსვლა რა ძნელიც იყო, თუნდაც შემოვლითი გზით, ფეტერნის შემოვლით, კიდევ ზედმეტი ნახევარი საათი იყო საჭირო, ეშინოდა ცალ-ცალკე ჩამოსულები ვერ იპოვნიდნენ მათთვის გაგზავნილ ეტლებს, ანდა სინამდვილეში შინ დარჩენილები, ამას მოიმიზეზებდნენ, იტყოდნენ, რომ ვერ იპოვნეს დუვილ-ფეტერნში ეტლი და ძალა არ ეყოთ ამ აღმართზე ამოსულიყვნენ. ამ მოპატიჟების საპასუხოდ ბარონმა დე შარლიუმ მდუმარედ თავის დაკვრა იკმარა. «ყოველ დღე მასთან ყოფნა არ უნდა იყოს მოსახერხებელი, რაღაც პრეტენზიული იერი აქვს», – ჩასჩურჩულა სკის ექიმმა, რომელიც ძალზე უბრალო ადამიანად

რჩებოდა, მიუხედავად ზედაპირული ამპარტავნობისა და სულაც არ მალავდა, რომ შარლიუ აღიზიანებდა თავისი სნობიზმით. «ის უგულებელყოფს და არ იმჩნევს, რომ ყველა კურორტზე

და თვით პარიზის კლინიკებში ექიმებს, რომლებიც, რა თქმა უნდა, «დიდ შეფად» მიიჩნევენ, დიდ პატივად მიაჩნიათ ჩემი წარდგენა ყველა კეთილშობილ ბატონთან, რომლებიც იქ არიან და ისინი ცხვირს მაღლა არ სწევენ. ეს საკმაოდ სასიამოვნოს ხდის ჩემთვის კურორტებზე ყოფნას, – დაუმატა მსუბუქი იერით, – თვით დონსიერში პოლკის სამხედრო ქირურგმა, რომელიც გენერალს მკურნალობდა, მასთან ერთად რომ მევახშმა კიდეც, თავს არ შევირცხვენდი. და ეს გენერალი იყო ბატონი დე[137] რაღაც. არ ვიცი მისი გენეალოგიური ხაზი უფრო ძველია თუ არა, ვიდრე ამ ჩვენი ბარონისა». «კარგით რა, თავბრუ ნუ გესხმით, საკმაოდ დაქვეითებული გვარისაა», – ხმადაბლა უპასუხა სკიმ და რაღაც გაურკვეველი ზმნა დაუმატა, რომლის მხოლოდ ბოლო მარცვალი «ვნა» დავიჭირე, თუმცა მას გაფაციცებით არ ვუსმენდი, უფრო ის მაინტერესებდა, რას ეუბნებოდა ბრიშო ბატონ დე შარლიუს. «არა, სავარაუდოდ, ვნანობთ, რომ გეუბნებით, მაგრამ მხოლოდ ერთი ხე გაქვთ, რადგან სენ-მარტენ-დიუ-შენი, ცხადია …...……-ია, სამაგიეროდ სიტყვა ... შესაძლოა მხოლოდ სიტყვების ფუძეს ნიშნავდეს, ... კი ნიშნავს ნესტიანს, ნოტიოს, როგორც სახელებში ავერიონი, დოლევი, ივეტი, რომლებიც ჩვენს სამზარეულოშიც გადმოვიდა ... ნიჟარის სახით. ბრეტონში წყალი ითქმის «სტერ» – სტერმარია, სტერლერი, სტერბუესტი, სტერ-ან-დრეშანი». ბოლო ვეღარ გავიგონე, რადგან თუმცა ძალიან მსიამოვნებდა სახელი სტერმარიას ხელახლა გაგონება, ჩემდაუნებურად გავიგონე, კოტარი, ჩემთან ახლოს რომ იყო, რას ეუბნებოდა სკის: «აჰ, არც კი ვიცოდი. მაშ, ეს იმ ბატონთაგანია, კარგად რომ ბრუნავენ ცხოვრებაში! წარმოგიდგენია?! იმ საძმოს ეკუთვნის! მაგრამ მაინც თვალებიდან ქონი არ გადმოსდის. ყურადღებით უნდა ვიყო, მაგიდის ქვეშ ფეხზე არ მიბწკინოს. ისე, ეს მხოლოდ სანახევროდ მიკვირს. ბევრი კეთილშობილი მყავს ნახული, ადამის სამოსში გამოწყობილნი შხაპს რომ იღებდნენ, ყველა მეტად თუ ნაკლებად დეგენერატია. მე მათ არ ველაპარაკები, რადგან მაინც საჯარო პირი ვარ და ამან შეიძლება მავნოს. მაგრამ მათაც

მშვენივრად იციან, ვინ ვარ». სანეტი, რომელიც ბრიშოს გადაძახილმა შეაშინა, მშვიდად სუნთქვას იწყებდა იმ ადამიანივით, ჭექა-ქუხილისა რომ ეშინია და ხედავს, რომ ელვას ქუხილი აღარ მოსდევს და ამ დროს გაიგონა, რომ ბატონი ვერდიურენი კითხვებს უსვამდა და თვალმოუშორებლად უყურებდა, რომ დაებნია საბრალო და გონზე მოსვლის უფლება არ მიეცა. «კი მაგრამ, სანეტ, რატომ გვიმალავდით, რომ ხშირად დადიხართ ოდეონის დილის წარმოდგენებზე?» – როგორც მწვალებელი სერჟანტის წინ აკანკალებული ჯარისკაცი, სანეტი მოკლე-მოკლე ფრაზებით უპასუხებს, რათა დარტყმებისგან თავის დაღწევის მეტი შესაძლებლობა ჰქონდეს: «ერთხელ ვიყავი «მძებნელზე». «რა თქვა?» – დაიღმუვლა ბატონმა ვერდიურენმა გაცოფებული და გულარეული იერით, წარბები შეიჭმუხნა რათა ეჩვენებინა, რომ რაღაც სრულიად გაუგებრის გაგებას ცდილობდა მთელი ყურადღების დაძაბვით.

«ჯერ ერთი, გაუგებარია, რას ამბობთ, რა გიდევთ პირში?» – ეკითხებოდა ბატონი ვერდიურენი უფრო და უფრო მრისხანედ და სანეტის ენაბრგვილობაზე გადაკვრით მიუთითებდა. «საბრალო სანეტი, მოეშვით, ნუ აწვალებთ», – თქვა ქალბატონმა ვერდიურენმა თვალთმაქცი შემბრალებლის ხმით, რათა ეჭვი აღარავის დარჩენოდა, რომ მისი ქმარი სანეტს დასცინოდა. «ვიყავი მმ...მმ...მმ...» «ეცადე გარკვევით ილაპარაკო, – უთხრა ბატონმა ვერდიურენმა, – ვერც კი ვგებულობ, რას ამბობთ». თითქმის ყველა «ერთგული» ფხუკუნებდა და ხარხარებდა და ახლა ისინი კაციჭამიების ხროვას ჰგავდნენ, რომლებსაც თეთრკანიანისთვის მიყენებული ჭრილობა სისხლის წყურვილს უღვიძებდა, რადგან მიმბაძველობის ინსტინქტი და გაბედულების არქონა წარმართავს საზოგადოებებსაც და ხროვებსაც. და ყველა დასცინის ვიღაცას, ვისაც სხვებიც დასცინიან, ათი წლის შემდეგ კი სწორედ ეს დამცინავნი შემოეხვევიან გარს იმ წრეში, სადაც გააღმერთებენ. ამგვარადვე ჩამოაგდებს ხოლმე ხალხი მეფეებს, ანდა შეძახილებით შეხვდება. «გეყოფათ, მისი ბრალი ხომ არაა», – თქვა ქალბატონმა ვერდიურენმა. «არც ჩემი ბრალია, რომ

არ ვახშმობენ ქალაქში, თუ ლაპარაკი არ იციან». «ვიყავი ფავარტის «გონების მძებნელზე». «რაო? «მძებნელს» უწოდეთ «გონების მძებნელი»? აჰ! შესანიშნავია, ასი წელი რომ მეფიქრა, ვერ მოვიფიქრებდი», – წამოიძახა ბატონმა ვერდიურენმა, არადა თუ ვინმე სრულად იტყოდა ნაწარმოების სათაურს, წამსვე გაუნათლებელ, ლიტერატურისა და ხელოვნებისგან შორს მდგომ ადამიანად მიიჩნევდა ხოლმე. მაგალითად, საჭირო იყო თქმულიყო – «ავადმყოფი», «მდაბიო», და ვინც მიუმატებდა «მოჩვენებითს» ან «გააზნაურებულს», დაამტკიცებდა, რომ ის მათი წრის არ იყო, ისევე, როგორც თუ ვინმე სალონში იტყოდა ბატონი მონტესკიე-ფეზენსაკს და არა დე მონტესკიეს, ამით დაამტკიცებდა, რომ არ იყო მაღალი წრის ადამიანი. «მაგრამ ეს არაა უცნაური», – თქვა სანეტმა. გული ყელში ჰქონდა მიბჯენილი, მაგრამ მაინც ნაძალადევად იღიმებოდა. ქალბატონი ვერდიურენი აფეთქდა: «ოჰ, არის! – თქვა და ჩაიქირქილა – გარწმუნებთ, ქვეყანაზე ვერავინ გამოიცნობდა, რომ საქმე «გონების მძებნელს» ეხებოდა, – ქალბატონმა ვერდიურენმა კვლავ მშვიდი ხმით მიმართა სანეტსა და ბრიშოს, – სხვათა შორის, მშვენიერი პიესაა!» სერიოზული ტონით წარმოთქმულმა ამ წინადადებამ, რომელშიც გულღვარძლიანობის კვალს ვერ იპოვიდით, გული მოუფონა სანეტს და მასში დიდი მადლიერებისა და ალერსიანობის გრძნობა გამოიწვია. სიტყვის წარმოთქმა არ შეეძლო და ბედნიერი დუმდა. ბრიშო უფრო შორსმჭვრეტელი იყო. «მართალია», – უპასუხა მან ბატონ ვერდიურენს, – ის ვინმე სარმატელი ან სკანდინავიელი ავტორის ნაწარმოებად რომ მიგვეჩნია, იმ შემთხვევაში თუ შედევრის ადგილი ვაკანტური იქნებოდა, «გონების მძებნელი» შესაძლოა კანდიდატად წარგვედგინა. მაგრამ როგორც არ უნდა ვცემდეთ პატივს გარდაცვლილი საყვარელი ფავარის სულს, ის სულაც არ გახლდათ იბსენური ტემპერამენტის ადამიანი (მაშინვე ყურებამდე გაწითლდა, ნორვეგიელი ფილოსოფოსის იქ ყოფნა რომ გაახსენდა, რომელსაც უბედური გამომეტყველება ჰქონდა, რადგან ამაოდ ცდილობდა გამოეცნო, რომელი მცენარე

იყო ბზა, ბრიშომ ცოტა ხნის წინ ბუსიეს ფუძედ რომ დაასახელა). სხვათა შორის, რადგან ახლა, პორელის სატრაპია ტოლსტოის თავგადაკლული თაყვანისმცემელი ფუნქციონერის ხელშია ჩავარდნილი, შესაძლოა ოდეონის თაღებქვეშ «ანა კარენინა» ან «აღდგომა» ვიხილოთ». «მე მინახავს ფავარის პორტრეტი, რომელზეც თქვენ საუბრობთ, – თქვა ბარონმა დე შარლიუმ, – გრაფინია მოდიესთან ვნახე ძალიან კარგი ანაბეჭდი». გრაფინია მოლეს ხსენებამ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ქალბატონ ვერდიურენზე. «აჰ, ხშირად ხართ ხოლმე ქალბატონ დე მოლესთან?» – წამოიძახა მან. ის ფიქრობდა, რომ «გრაფინია მოლეს» «დე» ნაწილაკის გარეშე უბრალოდ შემოკლებით ამბობდნენ, როგორც მოსმენილი ჰქონდა, რომ ამბობდნენ «როანებს», ან ზიზღის გამო, როგორც თვითონ ამბობდა «მადამ დე ტრეიმოს», ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ გრაფინია მოლეს, რომელიც საბერძნეთის დედოფალს და კაპადოკიის პრინცესას იცნობდა, უფრო მეტი უფლება ჰქონდა ეტარებინა «დე» ნაწილაკი, ვიდრე სხვა ვინმეს და ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვიტა, მიენიჭებინა ამ ბრწყინვალე ადამიანისთვის, რომელიც მის მიმართ ძალზე თავაზიანი იყო. უკეთ რომ ეჩვენებინა, რომ ასე საგანგებო მიზნით ლაპარაკობდა და რომ ნაწილაკი «დე» დავას არ ექვემდებარებოდა, თქვა: «საერთოდ არ ვიცოდით, რომ ქალბატონ დე მოლეს იცნობდით!», თითქოს ორმაგად არაჩვეულებრივი და უცნაური ის გახლდათ, რომ ბარონი დე შარლიუ იცნობდა ამ ქალბატონს და ქალბატონმა ვერდიურენმა ამის თაობაზე არაფერი იცოდა. მაღალი საზოგადოება, ან რასაც ბარონი დე შარლიუ ამ გამონათქვამში გულისხმობდა, ქმნიდა ერთ ფარდობითად ჰომოგენურ ჩაკეტილ წრეს. იმდენად, რამდენადაც დასაშვებია, ბურჟუაზიის განფენილ სიმრავლეში ადვოკატი ეთქვა ვინმესთვის, რომ მის ერთ-ერთ კოლეჯელ ამხანაგს იცნობს, მას კი ეპასუხა: კი მაგრამ, ეშმაკმა დალახვროს, საიდან იცნობთო. ასევე, სულაც არ იყო შემთხვევითი და გასაოცარი ბარონი დე შარლიუსა და ჰერცოგინია მოლეს ერთმანეთთან შეხვედრა, ეს ისეთივე არაჩვეულებრივი იყო, ფრანგს რომ

სიტყვების – «ტაძარი» და «ტყე» – მნიშვნელობა არ სცოდნოდა. მეტიც, თუნდაც ამგვარი ნაცნობობა ბუნებრივად არ შემდგარიყო მაღალი საზოგადოების კანონების მიხედვით, თუ ის შემთხვევითი და გაუთვალისწინებელი იქნებოდა, რატომ უნდა ყოფილიყო უცნაური, რომ ქალბატონ ვერდიურენს ამის თაობაზე არაფერი სცოდნოდა, რადგან ბარონ დე შარლიუს პირველად ხედავდა და ქალბატონ მოლესთანაც მისი ურთიერთობა შორს იყო იმისგან, რასაც ურთიერთობა ჰქვია და სიმართლე რომ ითქვას, სულაც არ იყო ახლო, მის შესახებ თითქმის არაფერი იცოდა. «ვინ თამაშობდა «გონების მძებნელში», ჩემო კარგო სანეტ?» – ჰკითხა ბატონმა ვერდიურენმა. კი გრძნობდა, რომ ჭექა-ქუხილმა გადაიარა, მაგრამ ყოფილი არქივარიუსი მაინც ყოყმანობდა პასუხის გაცემაზე. «კი, მაგრამ აფრთხობ, ყოველ მის სიტყვას დასცინი და კიდევ გსურს პასუხი გაგცეს? მითხარით ვინ თამაშობდა და საგზლად საქონლის თავ-ფეხს გაგატანთ», – უთხრა ქალბატონმა ვერდიურენმა, ბოროტი ნართაულით იმაზე მიანიშნა, რომ თავისი მეგობრის გაკოტრებისაგან გადარჩენის მოსურნე სანეტი თავისვე ნებით გაკოტრებულიყო. «მახსოვს მხოლოდ, რომ ქალბატონი სამარი თამაშობდა ზერბინს», – თქვა სანეტმა. «ზერბინს? ეს რაღაა? –

იღრიალა ბატონმა ვერდიურენმა, თითქოს ცეცხლი გაჩენილიყოს». «ეს ძველი რეპერტუარის ამპლუაა, მაგალითად «კაპიტანი ფრაკასის» ან, როგორც იტყვიან, ტრანშ-მონტანის, პედანტის». «აჰ! თვითონ ხართ პედანტი. ზებრინი! არა ნამდვილად აფრენს!» – იყვირა ბატონმა ვერდიურენმა. ქალბატონმა ვედიურენმა სტუმრებს სიცილით გადახედა, თითქოს სთხოვდა სანეტისთვის პატიებას. «ზებრინი! წარმოუდგენია, რომ ყველა წამსვე მიხვდება, რას ნიშნავს. თქვენ ბატონი დე ლონჟ-პიერივით ხართ, ყველაზე შტერი ადამიანივით, ვინც კი შემხვედრია, რომელმაც ერთ დღეს გვითხრა «ბანატი». კაციშვილი ვერ მიხვდა რაზე ლაპარაკობდა. ბოლოს და ბოლოს, გავარკვიეთ, რომ თურმე სერბიის პროვინცია ყოფილა». სანეტის ტანჯვა-წამება რომ შეწყვეტილიყო, რომელიც მე უფრო მაწუხებდა, ვიდრე მას, ბრიშოს

ვკითხე, თუ იცოდა, რას ნიშნავდა ბალბეკი. «ბალბეკი» სავარაუდოდ გახრწნილი დალბეკია, – მიპასუხა მან, – ინგლისის მეფეები და ნორმანდიის სიუზერენების სიგელ-გუჯრებში ჩახედვა არ იქნებოდა ურიგო, რადგან ბალბეკი დუვრის ბარონის დაქვემდებარებაში იყო, რის გამოც ხშირად ამბობდნენ – «ზღვათა გადაღმა ბალბეკი», ან ბალბეკ-ან-ტერი, ესე იგი მიწის ბალბეკიო. მაგრამ თვითონ დუვრის საბარონო ბეიეს ეპარქიაში შედიოდა და მიუხედავად იმისა, რომ ლუი დ'არკურიდან, იერუსალიმის პატრიარქიდან და ბეიეს ეპარქიიდან მოყოლებული, ტამპლიერებს ეპყრათ მონასტერი, მაგრამ ბალბეკის ქონებას მაინც ეპარქიის ეპისკოპოსი განკარგავდა. ეს ამიხსნა მელოტმა, მჭევრმეტყველმა, ფანტაზიორმა და მსუნაგმა დოვლის დეკანოზმა, ბრილა-საფარენის მორჩილებაში მცხოვრებმა, და გადმომიშალა საკმაოდ ბუნდოვანი ტერმინებით სავსე თავისი საეჭვო თეორიები და თან უგემრიელესი შემწვარი კარტოფილით მიმასპინძლდებოდა». მაშინ, როცა ბრიშო იღიმებოდა, რომ წარმოეჩინა, თუ რა მახვილგონივრულად გააერთიანა სრულიად სხვადასხვა საკითხი და ჩვეულებრივ საკითხზე მსჯელობა ძალზე ირონიულად ამაღლებული ტონით წარმართა, სანეტი ცდილობდა, რაიმე კვიმატი შენიშვნა ჩაერთო და შური ეძია ცოტა ხნის წინანდელი გაბაიბურების გამო. მახვილგონიერება ნიშნავდა ნახევრად თქმებს, მაგრამ იცვლიდა ფორმებს, რადგან არსებობს ევოლუცია როგორც კალამბურებისთვის, ასევე ლიტერატურული ჟანრებისთვის, ეპიდემიებისთვის, რომლებიც ქრებიან და სხვებით ჩაენაცვლებიან და ა. შ. ადრე ერთ-ერთი ასეთი ნართაული იყო სიტყვა «მწვერვალი», მაგრამ ყავლი გაუვიდა, აღარავინ ხმარობდა, ხანდახან მხოლოდ კოტარი თუ გაიხსენებდა «პიკეტის» პარტიის თამაშისას: «იცით რა არის დაბნეულობის მწვერვალი? როდესაც ნანტის ედიქტს ინგლისელ ქალად მიიჩნევ». «მწვერვალები» ზედმეტი სახელებით შეიცვალა. არსებითად ეს ისევ ძველი ნართაულები იყო, მაგრამ რადგან მოდაში ზედმეტი სახელები შემოვიდა, მათ მსგავსებას ვეღარ ამჩნევდნენ.

სანეტის საუბედუროდ, ეს ნართაულები მისი კი არა, რომელიღაც პატარა ჯგუფის მოგონილი იყო და მათ მორიდებულად ხმარობდა. და მიუხედავად ჩაცინებისა, სიტყვის წარმოთქმას რომ მოადევნებდა ხოლმე, რათა ნათქვამის იუმორისტული ხასიათი მიენიშნებინა, მას კაციშვილი მაინც ვერ ხვდებოდა. პირიქით, როდესაც

სიტყვა მისი მოგონილი იყო, რომელიც, როგორც წესი, რომელიმე «ერთგულთან» აფიქრდებოდა ხოლმე, ეს უკანასკნელი კი გაიმეორებდა ამ სიტყვას, თავისად გაასაღებდა და სიტყვა მოდაში შემოდიოდა, მაგრამ არა როგორც სანეტის მოფიქრებული. ასევე, როდესაც ამ სიტყვათაგან ერთ-ერთს ფრთხილად იტყოდა, სიტყვა ნაცნობად აღიქმებოდა, მაგრამ სანეტის ავტორობას არ სცნობდნენ და პლაგიატში ადანაშაულებდნენ. «მაშ, – განაგრძობდა ბროშო, – «ბეკ» ნორმანდიულად ნაკადულს ნიშნავს; არის ბეკის სააბატო; მობეკი – ჭაობის ნაკადული («მორ» ან «ბეკ» ნიშნავს ჭაობს, როგორც დასახელებებში მორვილი ან ბრიკემარი, ალვიმარი, კამბრემერი, ბრიკებეკი – მაღლობის ნაკადული, «ბრიგა»-დან – გამაგრებული ადგილიდან სიტყვებში წამოსული ბრიკეფილი, ბროკებოსი, ბრიკი, ბრიანი. ანდა «ბრის» – ხიდი, იგივეა, რაც გერმანული «ბრუკ» (ინსბურკი) და ინგლისური «ბრიჯი», რომელიც ადგილის დასახელების დაბოლოებებში გვხვდება (კემბრიჯი და ა. შ.)). ნორმანდიაში კიდევ ბევრი «ბეკია»: კოდბეკი, ბოლბეკი, ლე რობეკი, ლე ბეკ-ელუინი, ბეკერელი. ეს გერმანიკული «ბახ»-ის ნორმანდიული ფორმაა: ოფენბახი, ანსბახი. ვარაგებეკი – ძველი სიტყვიდან «ვარენი»-დან მოდის, რაც «გარენის» ეკვივალენტია და ნიშნავს დაცულ ტყეს, დაცულ გუბურას. რაც შეეხება «დალ»-ს, – განაგრძობდა ბრიშო, ეს «ტალის» ძველი ფორმაა: დარენტალი, როზენდალი და თვით დუფიესთან ახლოს, ბეკადალი. მდინარე, რომელმაც სახელი აჩუქა დალბეკს, მშვენიერია; თუ მას ციცაბო კლდეების ნაპირებიდან – ფალეზებიდან (ფალეზ – გერმანულად; აქედან არც თუ შორსაა გორაკზე აღმართული ქალაქი ფალეზი) გადავხედავთ, ისე ჩანს, რომ სულ ახლოა ეკლესიის სახურავის წვერთან, სინამდვილეში კი კარგა მოშორებითაა და მათ მაინც ირეკლავს».

«დაბეჯითებით მგონია, – ვთქვი მე, – ელსტირს ძალიან უყვარდა ეს ეფექტი, ბევრი ესკიზი ვნახე მასთან». «ელსტირს? იცნობთ ტიშს? – წამოიძახა ქალბატონმა ვერდიურენმა, – იცით, ძალზე ახლო ურთიერთობა გვქონდა. ღვთის წყალობით, აღარ ვხვდები. არა, ჰკითხეთ კოტარს, ბრიშოს, ჩემთან ერთი თეფში მისთვის მუდამ იდგმებოდა, ყოველდღე მოდიოდა. და აი, ვისზეც შეიძლება ითქვას – ვერ გაუმართლა, ჩვენს «ბუდეს» რომ ჩამოშორდა. ცოტა ხნის შემდეგ გიჩვენებთ ყვავილებს, ჩემთვის რომ დახატა. ნახავთ, რა სხვაობაა, რასაც დღეს აკეთებს და რაც სრულიად, სრულიად არ მომწონს! «. «ჩემი პორტრეტის შემდეგ კოტარის პორტრეტი შევუკვეთე და პროფესორი იასამნისფერი თმით დახატა, – თქვა ქალბატონმა კოტარმა და სულ გადაავიწყდა, რომ მის ქმარს მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხიც კი არ ჰქონდა, – არ ვიცი, ბატონო, თუ თქვენ მიგაჩნიათ, რომ ჩემს მეუღლეს იასამნისფერი თმა აქვს». «ეგ არაფერია, – თქვა ქალბატონმა ვერდიურენმა და ნიკაპი მაღლა ასწია, ქალბატონი კოტარის მისამართით ზიზღით, ხოლო ვისზეც ლაპარაკობდა იმის მისამართით აღფრთოვანებით, – «ის დიდი ფერმწერი იყო, კარგი მხატვარი. მაგრამ არ ვიცი, – ისევ მე მომმართავდა, – თქვენ ამას მხატვრობას ეძახით, ყველა იმ, ეშმაკმა უწყის, რა ზომის კომპოზიციებს, მახინჯებს, რომელსაც მას შემდეგ ფენს, რაც ჩვენთან აღარ დადის. მე ამას თხუპნას ვუწოდებ, ეს შტამპია, სახე და პიროვნულობა აკლია. ყველასგან რაღაც აქვს აღებული». «ის აცოცხლებს XVIII საუკუნის დახვეწილობას,

მაგრამ ათანამედროვეს, – ნაჩქარევად თქვა სანეტმა, რომელსაც განწყობა ამხნევებდა და სულიერ წონასწორობას უბრუნებდა. – მაგრამ მე ჰელე უფრო მომწონს». «არავითარი საერთო არა აქვს ჰელესთან». – თქვა ქალბატონმა ვერდიურენმა. «კი ციებ-ცხელებიანი XVIII საუკუნეა. ორთქლის ვატოა», – და სანეტს სიცილი აუტყდა. «ოჰ! ცნობილი, ცნობილი, უცნობილესი, ამით უკვე რამდენიმე წელია, მიმასპინძლდებიან, – თქვა ბატონმა ვერდიურენმა; ნამდვილად ჰქონდა გაგონილი ეს შედარება სკისგან, ოღონდ როგორც სკისავე

მოგონილი. – ბედი არ გწყალობთ, როდესაც, როგორც იქნება და გასაგებად იტყვით რაიმე საკმაოდ სასაცილოს, ის თქვენი არ აღმოჩნდება». «მეცოდება ელსტირი, – განაგრძო ქალბატონმა ვერდიურენმა, – ნიჭიერი კაცია, მაგრამ ამაოდ დაღუპა მხატვრის დიდი ტემპერამენტი. აჰ! აქ რომ დარჩენილიყო! ჩვენი დროის პირველი პეიზაჟისტი გახდებოდა. და ქალმა ჩააგდო ასეთ მდაბალ მდგომარეობაში! ეს, სხვათა შორის, არ მაკვირვებს, რადგან სასიამოვნო კაცი კი იყო, მაგრამ ვულგარული. არსებით მდარე, უფერული. გეტყვით, რომ ეს თავიდანვე ვიგრძენი. გულის სიღრმეში არც არასდროს მაინტერესებდა. უბრალოდ მიყვარდა, სულ ესაა. ჯერ ერთი ბინძური იყო! თქვენ, თქვენ გიყვართ ხალხი, რომელიც არასდროს იბანს?». «ეს რა საყვარელი ფერისაა, რას ვჭამთ?» – იკითხა სკიმ. «ამას მარწყვის მუსი ჰქვია», – უპასუხა ქალბატონმა ვერდიურენმა. «გა-და-სა-რე-ვია. შატო მარგოს, შატო ლაფიტის, პორტოს ბოთლები უნდა გაგვეხსნევებინა». «ვერ წარმოიდგენთ, როგორ მართობს, მხოლოდ წყალს ვსამ», – თქვა ქალბატონმა ვერდიურენმა და შეეცადა სტუმრის ამ ახირებისგან გამოწვეული შიში დაეფარა, რომელიც დიდ ხარჯში ჩააგდებდა. «დასალევად კი არ მინდა, – განაგრძო სკიმ, – შეავსებდით სირჩებს, მოიტანდნენ არაჩვეულებრივ ატმებს, უზარმაზარ ვაშლატმებს და აქ ჩამავალი მზის შუქზე ეს დიდებული იქნებოდა, როგორც მშვენიერი ვერონეზე». «და თითქმის იმავე ფასიც ექნებოდა, – ჩაიჩურჩულა ბატონმა ვერდიურენმა. – ბოლოს და ბოლოს, აიღეთ ეს საშინელი ფერის ყველი.» და შეეცადა სახლის პატრონისთვის გამოეცალა თეფში, ეს უკანასკნელი კი მთელი ძალ-ღონით იცავდა თავის გრიუიერს. «ხომ ხვდებით, ელსტირს კი არ მივტირი, – მითხრა ქალბატონმა ვერდიურენმა, – აი, ეს სულ სხვაგვარად ნიჭიერია. ელსტირი მუყაითია, კაცი, რომელიც არ უღალატებს მხატვრობას, თუნდაც მობეზრდეს მუშაობა. კარგი მოწაფე, კონკურსებს შეწირული. სკი თავის ახირებებსაა აყოლილი. აი, ნახავთ, შუა ვახშმობისას სიგარეტს მოუკიდებს». «სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, რატომ არ ისურვეთ მისი ცოლის

მიღება, – თქვა კოტარმა, – ისევ ისე ივლიდა თქვენთან, როგორც ადრე დადიოდა». «თქვენც იტყვით რაღა! კეთილი ინებეთ და თავაზიანი იყავით. მე ჩემს სახლში არ ვიღებ ქუჩის ქალებს, ბატონო პროფესორო», – თქვა ქალბატონმა ვერდიურენმა, რომელიც ადრე ყველაფერს აკეთებდა, რისი გაკეთებაც შეეძლო, რომ ელსტირი დაებრუნებინა, თუნდაც ცოლთან ერთად. სანამ დაქორწინდებოდნენ, ცდილობდა ერთმანეთთან წაეჩხუბებინა, ეუბნებოდა ელსტირს, რომ მისი საყვარელი ქალი სულელი, ბინძური, თავქარიანი და ქურდი იყო, მაგრამ ვერ შეძლო მათი დაშორება.

ელსტირი კი ჩამოშორდა ვერდიურენის სალონს; და ისე უხაროდა ეს ამბავი, როგორც სარწმუნოებაზე მოქცეულს უხარია და ლოცავს ავადმყოფობას ანდა ცხოვრების ბედუკუღმართობას, რომელმაც რწმენამდე მიიყვანა და სულის გადარჩენის გზა უჩვენა. «პროფესორო, ნამდვილად ჩინებული ხართ, – თქვა ქალბატონმა ვერდიურენმა, – ბარემ გამოაცხადეთ, რომ ჩემი სალონი შეხვედრის სახლია. ადამიანი იფიქრებს, რომ არ იცით, ვინაა ქალბატონი ელსტირი. უკანასკნელ ქუჩის კახპას უფრო მივიღებდი! აჰ! არა, მე არ ვჭამ ამ პურს. სხვათა შორის, იცით რას გეტყვით, დიდი ბრიყვი ვიქნებოდი, რომ ამეტანა ცოლი იმ კაცისა, რომელიც აღარ მაინტერესებს, ის მოდიდანაა გასული, ეს აღარაა ხელოვნება». «ეს გასაოცარია ასეთი გონების კაცისთვის», – თქვა კოტარმა. «ოჰ, არა! – უპასუხა ქალბატონმა ვერდიურენმა, – თვით იმ დროსაც კი, როდესაც ნიჭი ჰქონდა, – არადა ნამდვილად ჰქონდა მაგ სალახანას, თანაც როგორი! – ჭკუა აშკარად აკლდა და ეს აღმაშფოთებელი იყო». ქალბატონმა ვერდიურენმა ეს განაჩენი ელსტირს მანამდე გამოუტანა, სანამ იჩხუბებდნენ და როდესაც მისი ნახატები აღარ მოსწონდა. საქმე გახლდათ, რომ თვით იმ დროსაც კი, როდესაც ელსტირი მისი ჯგუფის წევრი იყო, მთელ დღეებს ისეთ ქალთან ატარებდა, რომელსაც ქალბატონი ვერდიურენი, სამართლიანად თუ უსამართლოდ «ყეყეჩად» მიიჩნევდა და მისი აზრით, ეს არ ეკადრებოდა ჭკვიან კაცს. »არა, – თქვა ქალბატონმა ვერდიურენმა და გულგრილი გამომეტყველება მიიღო, –

ვფიქრობ, რომ ის და მისი ცოლი ძალიან შეეფერებიან ერთმანეთს. ღმერთია მოწმე, რომ დედამიწის ზურგზე ჯერ არ მინახავს ამ ქალივით მოსაწყენი ადამიანი, გავცოფდებოდი, მასთან ორ საათზე მეტი რომ გამეტარებინა. მაგრამ ამბობენ, რომ ელსტირს ძალიან ჭკვიანად მიაჩნია. რაც იმას ადასტურებს, რომ თვითონ ჩვენი ტიჩი უკიდურესად სულელია. ვერ წარმოიდგენთ, როგორი ქალები ახვევდნენ თავბრუს, ნამდვილი იდიოტები, რომელთა მსგავსნიც, არასდროს მოგვმდომებია, რომ ჩვენს პატარა «კლანში» ყოფილიყვნენ. ის კი, ელსტირი, მათ წერილებს სწერდა, ეკამათებოდა! ეს ხელს არ უშლიდა არაჩვეულებრივი თვისებები ჰქონოდა. აჰ! დიახ, არაჩვეულებრივი, ნამდვილად არაჩვეულებრივი და ბუნებრივია, მომხიბვლელად აბსურდული». რადგან ქალბატონი ვერდიურენი დარწმუნებული იყო, რომ მართლა შესანიშნავი კაცები ათას სისულელეს სჩადიან. ყალბი აზრია, მაგრამ არის შიგ ჭეშმარიტების მარცვალი. რა თქმა უნდა, «სისულელეები» არაა მისაღები. მაგრამ გაუწონასწორებლობა, რომელიც მხოლოდ ხანგრძლივი დროის შემდეგ მჟღავნდება, არის ადამიანის გონებაში შეღწეული სირთულის შედეგი, რომლისთვისაც ის არ იყო თავისი ბუნებით მზად. ამგვარად, მომხიბვლელი ადამიანების უცნაურობანი გამაღიზიანებელია, მაგრამ, სხვათა შორის, არ არსებობენ მომხიბვლელი ადამიანები უცნაურობების გარეშე. «მოიცათ, ახლავე გაჩვენებთ მის ყვავილებს», – მითხრა ქალბატონმა ვერდიურენმა, დაინახა რა, რომ მისი ქმარი სუფრიდან ადგომას ანიშნებდა. მან მკლავი გამოსდო მარკიზ დე კამბრემერს. როგორც კი ბარონმა დე შარლიუმ ქალბატონი დე კამბრემერი დატოვა, ბატონ ვერდიურენს მოუნდა ბოდიში მოეხადა და ახსნა-განმარტება მიეცა მისთვის, უმთავრესად სიამოვნებდა მაღალი

წრის ეტიკეტის შესახებ ლაპარაკი ტიტულოვან პირთან, რომელიც მოცემულ მომენტში იმათზე დაბლა აღმოჩნდა, ვინც ადგილი მიუჩინა, რომელზეც, როგორც ისინი განსჯიდნენ, მას უფლება ჰქონდა. მაგრამ, უპირველესად, ვერდიურენს სურდა, ბარონ დე შარლიუს ეგრძნო, რომ ქედს იხრის მისი

სულიერი კეთილშობილების წინაშე და არც კი გაუფიქრებია, რომ ბარონ დე შარლიუს შესაძლოა ყურადღება მიექცია ამ წვრილმანებისთვის: «მაპატიეთ, რომ ამ წვრილმანებზე მიხდება თქვენთან საუბარი, ვვარაუდობ, რომ ამგვარ ამბებს თქვენ არად აგდებთ. ამას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ბურჟუები, მაგრამ სხვები, ხელოვანნი, ნამდვილი ხელოვანნი, ამას არად აგდებენ. პირველი სიტყვებიდანვე, რომელიც ერთმანეთს ვუთხარით, მივხვდი, რომ თქვენ სხვა ყაიდის ადამიანი ბრძანდებით». ბარონმა დე შარლიუმ ამ გამოთქმას ძალზე განსხვავებული მნიშვნელობა მიანიჭა და გულზიდვა იგრძნო. ექიმის თვალების პაჭუნის შემდეგ, ოჯახის პატრონის შეურაცხმყოფელმა გულახდილობამ სული შეუხუთა. «არ შემეკამათოთ ბატონო ბარონო, თქვენ სხვა ყაიდის ადამიანი ხართ და ეს ცხადზე უცხადესია, – განაგრძობდა ვერდიურენი, – მე არ ვიცი, მოღვაწეობთ თუ არა ხელოვნების რომელიმე დარგში, მაგრამ ეს არაა აუცილებელი და ეს არაა ყოველთვის საკმარისი. ახლახან გარდაცვლილი დეშამბრი მშვენივრად უკრავდა საოცარი ტექნიკით, მაგრამ ის არ იყო განსაკუთრებული ყაიდის ადამიანი, წამსვე იგრძნობოდა, რომ არ იყო. ბრიშოც არაა. მორელი არის, ჩემი ცოლიც არის, ვგრძნობ, რომ თქვენც ხართ...». «რისი თქმა გსურთ?» – შეაწყვეტინა ბარონმა დე შარლიუმ, რომელიც უკვე ხვდებოდა, რისი მინიშნება სურდა ბატონ ვერდიურენს, მაგრამ ერჩია, ასე ხმამაღლა არ ეყვირა ორაზროვანი სიტყვები. «თქვენ მხოლოდ მარცხნივ დაგსვით». – უპასუხა ბატონმა ვერდიურენმა. ბარონმა დე შარლიუმ მიხვედრილი, გულკეთილი და კადნიერი ღიმილით უთხრა: «კი მაგრამ, რა შუაშია აქ ეს?» და ჩაიკისკისა მისთვის დამახასიათებელი კისკისით, რომელიც ალბათ ბავარიელი თუ ლოტარინგიელი ბებიისგან გამოჰყოლოდა, მათ კი, სრულიად ამის იდენტური, თავიანთი წინაპრებისგან, ასე რომ, ეს უცვლელი კისკისი საუკუნეების განმავლობაში გაისმოდა ევროპის ძველ, პატარა ეზოებში და მისი ხმოვანებით ისევე ტკბებოდნენ, როგორც უიშვიათესი მუსიკალური ინსტრუმენტის

ხმოვანებით ტკბებიან. დგება მომენტი, როდესაც პერსონაჟის სახის დახატვისას, სრული აღწერისთვის, საჭირო ხდება მისი ფონეტიკური თავისებურებების დამატება, ბარონი დე შარლიუს აღწერა, ვშიშობ, არასრული დარჩებოდა ამ, ასე დახვეწილი და მსუბუქი ჩაკისკისების გამოტოვებით, როგორც ბახის ზოგიერთი სიუიტა, რომელსაც ზუსტად ვერასოდეს ასრულებენ, რადგან ორკესტრს არ აქვს ის განსაკუთრებული ხმოვანების «პატარა საყვირები», რომელთათვისაც ავტორმა ესა თუ ის პარტია დაწერა. «კი მაგრამ, ეს საგანგებოდ ხომ არ იყო მოწყობილი, – განაგრძობდა ახსნა-განმარტებას განაწყენებული ბატონი ვერდიურენი, – მე არავითარ მნიშვნელობას არ ვანიჭებ ტიტულებს, – დაამატა იმ აბუჩად ამგდები ღიმილით, არაერთხელ რომ მინახავს ჩემს ნაცნობთა სახეებზე, რითაც ეს ხალხი, დედაჩემისა და ბებიაჩემისგან

განსხვავებით, თავს იცავდა, როდესაც საქმე იმას ეხებოდა, რაც მათ არ გააჩნდათ, იმათ წინაშე, ვისაც, მათი აზრით, ეს გააჩნდა, რომ ამ უკანასკნელთ მათზე მაღლა მდგომად არ ეგრძნოთ თავი, – და, ბოლოს და ბოლოს, იმიტომ, რომ ბატონი დე კამბრემერი მარკიზია, თქვენ კი მხოლოდ ბარონი ბრძანდებით... «. «ნება მიბოძეთ, – უთხრა ბარონმა დე შარლიუმ ქედმაღლური ტონით გაოცებულ ვერდიურენს, – მოგახსენოთ, რომ მე ასევე ბრაბანის ჰერცოგი, მონტარჟის აზნაური, ოლეონის, კარენსის, ვიარეჯიოს და დიუნის პრინცი გახლავართ. სხვათა შორის, ეს აბსოლუტურად არაფერს ნიშნავს. ნუ წუხართ, – დაუმატა მან და ჩაიღიმა, – თავიდანვე მივხვდი, რომ ამ ამბების არა გაგეგებათ რა».

ქალბატონი ვერდიურენი მომიახლოვდა, რათა ელსტირის ყვავილები ეჩვენებინა. ვახშმად ქალაქში სიარულისადმი უკვე კარგა ხანია გულგრილი ვიყავი, მაგრამ დღევანდელმა მგზავრობამ სანაპიროს გასწვრივ და მერე ზღვის დონიდან ორას მეტრზე ასვლამ რაღაც სრულიად ახალი გრძნობები გამიღვიძა, თითქოს დამათრო და ეს გრძნობა ლა რასპელიერშიც

არ გამქარვებია. «ერთი ამას შეხედეთ, – მითხრა დიასახლისმა და ელსტირის დიდი და არაჩვეულებრივი ვარდები მაჩვენა, რომელთა მსუყე წითელი და ქათქათა თვალისმომჭრელი თეთრი ცოტა ნელდებოდა კალათის კრემისფრით, რომელშიც ისინი ეწყო. – გგონიათ, რომ ისევ შეუძლია ამ დონეზე ხატოს, ასეთი გაქანებით? რა ძალაა! და კიდევ, ხელით შეხება მოგინდება. ვერ აგიწერთ, რა სიამოვნება იყო მისი ყურება მუშაობისას. იგრძნობოდა, რომ სწორედ ამ ეფექტის პოვნას ცდილობდა». და დიასახლისის მეოცნებე მზერა მხატვრის ამ საჩუქარზე შეჩერდა, სადაც აღბეჭდილიყო არა მარტო მისი დიდი ნიჭი, არამედ მათი ხანგრძლივი მეგობრობაც, რომელიც ახლა მხოლოდღა იმ მოგონებებში ცოცხლობდა, ვაჟს რომ ქალისთვის დაეტოვებინა; ოდესღაც მისთვის მისგან დაკრეფილი ამ ყვავილების მიღმა ქალი კვლავ ხედავდა იმ ლამაზ ხელს, რომელმაც ისინი დახატა, გააცოცხლა იმ ერთ მშვენიერ დილას, როდესაც ყვავილები მაგიდაზე ეყარა, სასადილო ოთახის სავარძელზე დაყრდნობილიყო ვაჟი, და ეს ნახატი მფარველი ქალბატონის მიერ გამართული სადილის დროს ჯერ კიდევ იმ დაუმჭკნარი ვარდების პირისპირ ეკიდა, რომლებიდანაც ის შეიქმნა. შეიქმნა ნაწილობრივ, რადგან ელსტერი ყვავილს მხოლოდ მაშინ ხედავდა, როდესაც ის მისი სულის ბაღში გადაირგვებოდა, სადაც ჩვენ იძულებით ვრჩებით მარადიულად. ამ აკვარელში მან ვარდების თავისი ხედვა შემოგვთავაზა, უმისოდ ჩვენ მათ ვერასდროს გავეცნობოდით. შეიძლება ითქვას, რომ მხატვარმა, მოხერხებული მებაღესავით, გაამდიდრა ვარდთა ოჯახი. «იმ დღიდან, როდესაც «პატარა ბირთვი» დატოვა, უკვე დაღუპული ადამიანი იყო. ჩემი ვახშმები, თურმე, დროს აკარგვინებდა, მე კი ხელს ვუშლიდი მისი გენიის განვითარებას, – თქვა ქალმა ირონიული კილოთი, – თურმე ჩემნაირ ქალთან ურთიერთობა და სტუმრობა სარგებლობის მომტანი არაა ხელოვნისთვის!» – წამოიძახა ქედმაღლურად. ჩვენთან სულ ახლოს ჩამომჯდარმა ბატონმა დე კამბრემერმა სკამიდან წამოიწია ფეხზე მდგარი ბატონი დე შარლიუს დანახვაზე,

თითქოს ადგილის დათმობას უპირებსო. ეს შეთავაზება მარკიზის წარმოდგენით, მხოლოდ რაღაც თავაზიანობის გამომჟღავნების მსგავსი იყო. ბარონმა დე შარლიუმ კი ეს, უბრალო აზნაურის მიერ პრინცისადმი გამოხატულ სავალდებულო პატივისცემის გამოხატვადაც მიიჩნია და თავისი უპირატესობის საუკეთესო დადასტურებად ამ პატივისცემაზე უარი ჩათვალა. აი, რატომ წამოიყვირა: «არა, ბატონო! როგორ გეკადრებათ! ნუ სწუხდებით!» ყალბად აღგზნებულ კილოში, რომლითაც ბარონი დე შარლიუ უარობდა დე კამბრემერის თავაზიან შემოთავაზებას, იყო რაღაც ძალზე «გერმანტული», რომელიც კიდევ მეტად გაძლიერდა მბრძანებლური, ფამილიარული და გადაჭარბებული ჟესტით, როდესაც მან მხრებზე ორივე ხელი დაადო მარკიზს, თითქოს ადგომის ნებას არ აძლევსო, თუმცა ამ უკანასკნელს ადგომა არც უფიქრია. «აჰ! ჩემო ძვირფასო, – დაჟინებით ამბობდა ბარონი, – ესღა გვაკლია! ამის არავითარი საფუძველი არაა! ჩვენს დროში ამით მხოლოდ წმინდა სისხლის უფლისწულები სარგებლობენ». მე, კამბრემერები და ქალბატონი ვერდიურენი ამ სახლში სხვადასხვა რამით აღვფრთოვანდებოდით. მე გულგრილი ვრჩებოდი იმ მშვენიერებათა წინაშე, რაზეც ისინი მიმითითებდნენ და აღტაცებაში მოვყავდი რაღაც ბუნდოვან მოგონებებს; ზოგჯერ გულგატეხილობასაც არ ვმალავდი, თუ რაღაც ისეთს შევამჩნევდი, რაც, ჩემი წარმოდგენით, მის სახელს არ შეესაბამებოდა. ქალბატონი დე კამბრემერის გულისწყრომა გამოვიწვიე, როდესაც ვუთხარი, რომ ეს მამული უფრო სოფლურად წარმომედგინა. სამაგიეროდ, სიამოვნებით ვისუნთქავდი კარის ჭუჭრუტანებიდან შემოსული ქარის სურნელს. «ვხედავ, ორჭოლი ქარი გყვარებიათ», – მეუბნებოდნენ ისინი. ჩამსხვრეულ ფანჯარაზე აფარებული მწვანე ჭაღის ჩემეულ ქებასაც აღარ ჰქონდა წარმატება: «რა საძაგლობაა!» – წამოიძახა მარკიზამ. უარესი მოხდა, როდესაც ვთქვი: «აქაურობამ ფეხის შემოდგმისთანავე ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. როდესაც დერეფანში შემოვედი და ჩემი ფეხის ხმა გავიგონე, მეგონა, რომ

რომელიღაც სოფლის მერიის ბიუროში ვიყავი, სადაც კედელზე კანტონის რუკა ეკიდა». ამჯერად ქალბატონმა დე კამბრემერმა ზურგი დემონსტრაციულად შემაქცია. «არ მიგაჩნიათ, რომ ყველაფერი ცუდადაა მოწყობილი? – ჰკითხა მარკიზას მისმა ქმარმა თანამგრძნობი ყურადღებით, თითქოს იმის გაგება უნდოდა თუ როგორ გადაიტანა მისმა ცოლმა რაღაც მოსაწყენი ცერემონია. – ლამაზი ნივთებიცაა». მაგრამ, თუ უბადლო გემოვნების დადგენილ წესებს, სათანადო ზღვარს არ დავუდებთ, არაკეთილგანწყობა გასაკრიტიკებელს ყოველთვის იპოვის ადამიანებშიც და მათ სახლშიც, განსაკუთრებით იმ ადამიანებში, ვინც თქვენს სახლში დასახლებულან: «დიახ, მაგრამ ისინი თავიანთ ადგილზე არ არიან. და ნამდვილად ლამაზები კი არიან?». «თქვენ შეამჩნიეთ, – თქვა ქალბატონმა დე კამბრემერმა და თან ნაღველის დაფარვას ცდილობდა, – ჟუის ტილოები დაძენძილა და მისაღებშიც ყველაფერი გაცვეთილია! და ეს მსხვილვარდებიანი ნაჭრის ნაგლეჯი გლეხის ფეხების გადასაფარებლად გამოდგებოდა», – თქვა ქალბატონმა დე კამრემერმა, რომლის მოჩვენებითი კულტურულობა ექსკლუზიურად იდეალისტურ ფილოსოფიას, იმპრესიონისტების მხატვრობას და დებიუსის მუსიკას ეყრდნობოდა. და არა

მხოლოდ ფუფუნების ტრფიალი რომ იყო, არამედ გემოვნებისაც, დაამატა: «კიდევ ეს ფარდები ჩამოუფარებიათ ფანჯრების ქვედა ნაწილზე! რა უგემოვნობაა! ან კი რა გინდათ მათგან? არაფერი იციან, ან საიდან უნდა იცოდნენ? როგორც ჩანს, ყოფილი დიდვაჭრები არიან. ესეც დიდი ამბავია მათთვის». «მგონი, შანდლები არაა ცუდი». – თქვა მარკიზმა, რაღა მაინცდამაინც შანდლები გამოჰყო, გამოცანაა; ყოველთვის სწორედ ასე იქცეოდა, როდესაც ეკლესიებზე ჩამოვარდებოდა სიტყვა, შარტრის ტაძარი იქნებოდა, რეიმსის, ამიენისა თუ ბალბეკის ეკლესია რაღაც უმნიშვნელოთი აღფრთოვანდებოდა და იტყოდა: «ორღანის კორპუსი, კათედრა და ბერებისთვის განკუთვნილი სკამები». «ბაღზე ხომ ლაპარაკიც აღარ ღირს, – თქვა ქალბატონმა დე კამბრემერმა, – სრულიად განადგურებულია, ხეივნები

დაბრეცილი!» ვისარგებლე იმით, რომ ქალბატონმა ვერდიურენმა ყავის შემოტანა ბრძანა და თვალი გადავავლე ბატონი დე კაბრემერის მიერ გადმოცემულ წერილს, რომელშიც დედამისი ვახშმად მიწვევდა. უმცირესი რაოდენობის მელნის მეშვეობით მისი ხელწერა პიროვნულ ინდივიდუალობას ამჟღავნებდა, რომელსაც ამიერიდან ათას სხვაში გამოვარჩევდი, საქმე არც რაღაც განსაკუთრებულ კალმებს ეხებოდა, – მხატვარს თავისი ორიგინალური ხედვის გადმოსაცემად არ სჭირდება იშვიათი და ჯადოსნურად მომზადებული საღებავები. თვით აგრაფიის მდგომარეობაში მყოფი დამბლადაცემული, რომელიც ასოებს ნახატებად აღიქვამს, მიხვდებოდა, რომ ქალბატონი დე კამბრემერი იმ ძველ არისტოკრატულ ოჯახს ეკუთვნოდა, სადაც ხელოვნებისა და მწერლობის სიყვარული ცოტათი ამოსუნთქვის საშუალებას აძლევს არისტოკრატულ ტრადიციებს. ასევე მიხვდებოდა, როდის, რომელ წლებში, ისწავლა მარკიზამ ერთდროულად წერა და შოპენის დაკვრა. ეს ის ხანა იყო, როდესაც კარგად აღზრდილი ადამიანები იცავდნენ თავაზიანობისა და ეგრეთ წოდებული «სამმაგი ზედსართავი სახელის» წესებს. ქალბატონი დე კამბრემერი ორივეს იცავდა. საქებარი ერთი ზედსართავი არ ჰყოფნიდა, მას მეორეს მოაყოლებდა (პატარა ტირეს შემდეგ), შემდეგ მესამეს (მეორე ტირეს შემდეგ). მაგრამ, მისთვის სახასიათო ის გახლდათ, – სულერთია საქმიან ბარათს წერდა თუ თავის წარმოსაჩინებელ ლიტერატურულ წერილს – რომ სამი ეპითეტის თანმიმდევრობა აღმავალი კი არ იყო, არამედ დაღმავალი. ამ პირველ წერილში ქალბატონი დე კამბრემერი მწერდა, რომ შეხვდა სენ-ლუს და კიდევ მეტად დააფასა მისი «უნიკალური – იშვიათი – რეალური» თვისებები, რომ ის თავის ერთ-ერთ მეგობართან ერთად (იმასთან ერთად, ვისაც მისი რძალი უყვარდა) აპირებდა მასთან კვლავ მისვლას და თუ მე ვისურვებდი მათთან ერთად ან ცალკე ფეტერნში ვახშმად წვევას, იგი «აღფრთოვანებული – ბედნიერი – კმაყოფილი» დარჩებოდა. შესაძლოა ეს იმიტომ ხდებოდა, რომ თავაზიანობის გამოჩენის სურვილი ვერ ჰქონდა

გამყარებული უხვი წარმოსახვით და მდიდარი სიტყვიერი მასალით და ამ სამმაგი წამოძახებისას, მეორე და მესამე მხოლოდ პირველის ექო იყო. მეოთხე ზედსართავიც რომ ეპოვა, მისი საწყისი თავაზიანობიდან აღარაფერი დარჩებოდა. ბოლოს, მისთვის დამახასიათებელი დახვეწილი უბრალოების წყალობით, რომელსაც მნიშვნელოვანი

შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა არა მარტო ოჯახის წევრებზე, არამედ ნაცნობთა წრეზეც, მარკიზა დე კამბრემერს ჩვევად ჰქონდა სიტყვა «გულწრფელი», რომელსაც რაღაც ტყუილის იერი დაჰკრავდა, სიტყვით «ჭეშმარიტი» შეეცვალა. და ცხადად რომ ეჩვენებინა, რომ საქმე მართლაც გულწრფელობას ეხებოდა, მან წინადადების ჩვეულ წყობასაც კი არღვევდა, სადაც სიტყვა «ჭეშმარიტი» არსებითის წინ უნდა მდგარიყო და მამაცურად შემდეგ წერდა. წერილებს ამგვარად ამთავრებდა: მიიღეთ ჩემი სალამი ჭეშმარიტი.» «მიიღეთ ჩემი სიმპატია ჭეშმარიტი». სამწუხაროდ, ეს იმდენად ჩვეულ გამოთქმებად ექცა, რომ ამ ხაზგასმულმა გულწრფელობამ უფრო მოჩვენებითი თავაზიანობის იერი მიიღო, ვიდრე ძველმა სიტყვათშეთანხმებებმა, რომელთა შინაარსში ჩაწვდომასაც აღარავინ ფიქრობს. კითხვას, სხვათა შორის, არეულ-დარეული საუბრის ხმაური მიშლიდა, რომლისგანაც მკვეთრად გამოიყოფოდა ბარონი შარლიუს ხმა, რომელიც ისევ იმავე თემაზე ელაპარაკებოდა ბატონ დე კამბრემერს: «ადგილის დათმობას რომ მიპირებდით, ერთი ბატონი მომაგონეთ, რომელმაც ამ დილით წერილი გამომიგზავნა, სადაც ამგვარად მომმართავდა «მის უდიდებულესობას ბარონ დე შარლიუს» და ასე იწყებოდა: «მონსენიორ». «მართლაც ცოტათი გადაუჭარბებია მაგ თქვენს კორესპონდენტს», – უპასუხა ბატონმა დე კამბრემერმა და მორიდებულად გაიცინა. ბარონმა დე შარლიუმ ეს მხიარულება არ გაიზიარა, ცოტა გაღიზიანდა კიდეც: «მაგრამ არსებითად ჰერალდიკის თვალსაზრისით ის კაცი მართალია. თქვენ კი იცით, რომ ეს ჩემთვის სულერთია, მაგრამ ისე, ზოგადად ვლაპარაკობ, ვითომ საქმე სხვა პირს ეხებოდეს. მაგრამ რას იზამთ, ისტორია

ისტორიაა, ის ჩვენზე არაა დამოკიდებული, ჩვენ მასში ვერაფერს შევცვლით. მე თქვენ არ მოგიყვანთ იმპერატორ გიიომის მაგალითს, რომელიც კიელში ყოფნისას სულ «მონსენიორით» მომმართავდა. ჩემი ყურით მესმოდა, რომ ამგვარად მიმართავდა ყველა ფრანგ ჰერცოგს, ეს უმართებულოა, მაგრამ, ეტყობა, მისი მხრიდან ეს დელიკატური ყურადღება იყო ჩვენს სახეში დანახული საფრანგეთის მიმართ. «დელიკატური და ასე თუ ისე გულწრფელი, – თქვა ბატონმა დე კამბრემერმა». «აჰ! მე ვერ დაგეთანხმდებით. ოჰენცოლერნი, რაც კი შეიძლება ყველაზე უკანასკნელი სუვერენი, რომელმაც ჩემს ბიძაშვილს, ჰანოვრეს მეფეს, ტახტი წაართვა, ჩემთვის პიროვნულად სიმპათიური ადამიანი ვერ იქნება, – დაამატა ბარონმა დე შარლიუმ, რომელსაც, როგორც ჩანს, ჰანოვრეზე უფრო შესტკიოდა გული, ვიდრე ელზასსა და ლოტარინგიაზე. – მაგრამ ვფიქრობ, რომ ჩვენდამი იმპერატორის კეთილგანწყობა ნამდვილად გულწრფელია. ბრიყვები გეტყვიან, რომ ეს თეატრის იმპერატორია, ყალბია, მაგრამ, პირიქით, არაჩვეულებრივად ინტელიგენტი ადამიანია. ფერწერაში არაფერი გაეგება და ჩუდი აიძულა, ნაციონალური მუზეუმიდან ჩამოეხსნათ ელსტერის ყველა ნამუშევარი. მაგრამ ლუი XIV-ს არ უყვარდა დიდი ჰოლანდიელი მხატვრები, უყვარდა ფუფუნება და ეს ხელს არ უშლიდა დიდი სუვერენი ყოფილიყო. გიიომ მეორემ მოახერხა ის, რაც ლუი XIV-მ ვერ შესძლო – ქვეყნის სამხედრო და სანაოსნო შეიარაღება გაამყარა და სწორედ ამიტომ, ვიმედოვნებ, რომ მისი მეფობა არასოდეს დაიჩრდილება ისეთი უკუსვლით,

როგორითაც იმის ბოლო წლები დაიჩრდილა, ვისაც ბანალურად «მეფე-მზეს» უწოდებენ. ჩემი აზრით, რესპუბლიკამ დიდი შეცდომა დაუშვა ოჰენცოლერნის თავაზიან შემოთავაზებაზე უარი რომ თქვა და გადახდისას თითოეულ გროშს ითვლიდა. მან მშვენივრად იცის, რაც უნდა და მისთვის დამახასიათებელი აზრის სხარტად გამოხატვის ნიჭით ამბობს: «მე ფულის ხარჯვა კი არა, ხელის ჩამორთმევა მინდა». ის სულით მდაბალი ადამიანია; მან მიატოვა, გასცა, გარიყა თავისი საუკეთესო მეგობრები, ისეთ

გარემოებაში, როდესაც სიჩუმე მისი მხრიდან ისეთივე სიმდაბლის გამოხატულება იყო, როგორც მათი მხრიდან დიდსულოვნების». განაგრძობდა ბარონი დე შარლიუ, რომელიც უკვე შემომჯდარიყო თავის რაშზე და მიაჭენებდა, ეილენბურგის საქმეზე მსჯელობისას გაიხსენა, რომ ერთ-ერთმა ყველაზე მაღალი რანგის ბრალდებულმა უთხრა: «გამოდის, იმპერატორს ჩვენს წესიერებაში ეჭვიც არ ეპარება, რადგან ასეთი პროცესის დაშვება გაბედა! და არც შემცდარა ჩვენი სიმტკიცის რომ სწამდა. ეშაფოტზეც კი სიტყვა არ დაგვცდებოდა». – თუმცა ამას არანაირი კავშირი არა აქვს იმასთან, რისი თქმაც მინდოდა: გერმანიაში ჩვენ, მედიატიზირებულ პრინცებს, Durchlaucht-ს გვეძახიან, საფრანგეთში კი სახალხოდ აღიარებული «უდიდებულესობები» ვართ. სენ-სიმონი დაჟინებით ამტკიცებს, რომ ჩვენ უკანონოდ მივითვისეთ ეს წოდება, მაგრამ მწარედ ცდება. ამის დასასაბუთებლად ლუი XIV-ის მოთხოვნას ასახელებს, რომლითაც აგვიკრძალა მისთვის «ყოვლად უქრისტიანესი» მეფე გვეწოდებინა და გვიბრძანა, უბრალოდ მეფე დაგვეძახებინა, ჩვენც დავმორჩილდით, მაგრამ ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ პრინცის ტიტულის უფლება არ გვქონდა. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ტიტული ლოტარინგიის ჰერცოგისთვის და კიდევ ბევრი სხვისთვისაც უნდა ჩამოერთმიათ! თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი ჩვენგანის ტიტული სწორედ ლოტარინგიის სახლიდან, ჩემი დიდი ბებიის, ტერეზ დეპინუას, კომერსის აზნაურის გვარიდან მოდის». როგორც კი შეამჩნია, მორელი ყურადღებით მისმენსო, ბარონმა დე შარლიუმ მეტი მონდომებით გააგრძელა თავისი პრეტენზიების დასაბუთება. «მე მივუთითე ჩემს ძმას, რომ ჩვენი ოჯახის წარმომავლობის ისტორია გოთას ალმანახის მესამე ნაწილში კი არა, ანდა მეორეში, არამედ მეტიც, პირველში უნდა იყოს-მეთქი, – ამბობდა ის და აზრადაც არ მოსდიოდა, რომ მორელს წარმოდგენაც კი არ ჰქონდა რა იყო გოთა. – მაგრამ, ეს სწორედ მისი საქმეა, ისაა უფროსი და თუკი ფიქრობს, რომ ასე უნდა იყოს და წინააღმდეგობას არ სწევს, მე, თვალის დახუჭვის გარდა, აღარაფერი

დამრჩენია». «ბატონმა ბრიშომ ძალიან დამაინტერესა», – ვუთხარი ქალბატონ ვერდიურენს, ჩემკენ რომ მოემართებოდა და თან ჯიბეში ქალბატონ კამბრემერის წერილს ვიტენიდი. «ის ნათელი გონების, არაჩვეულებრივი ადამიანია, – ცივად მიპასუხა მან. – ცხადია მას გემოვნება და ორიგინალობა აკლია, მაგრამ არაჩვეულებრივი მახსოვრობა აქვს. ჩვენი სტუმრების «პეპერებზე», ემიგრანტებზე ითქვა, რომ მათ არაფერი დავიწყებიათ; თუმცა ზოგი ჭირი მარგებელია: ეს ამართლებთ, რომ არაფერი უსწავლიათ, – თქვა მან და სვანის ნათქვამი მიიწერა. –

ბრიშომ კი ყველაფერი იცის და მთელი ვახშმის განმავლობაში ლექსიკონის გორებს თავში გვესვრის. დარწმუნებული ვარ, ახლა უკვე ზეპირად იცით, თუ რას ნიშნავს ამა თუ იმ სოფლის და ქალაქის დასახელება». სანამ ქალბატონი ვერდიურენი საუბრობდა, სულ ვფიქრობდი, რომ მისთვის რაღაც უნდა მეკითხა, მაგრამ ვერაფრით გავიხსენე რა. «დარწმუნებული ვარ ბრიშოზე საუბრობდით, – თქვა სკიმ. – შანტეპი და ფრეისინე, არ დაგინდოთ, არა? გაკვირდებით, ჩემო პაწაწინა მფარველო. გხედავდით, არაფერი გამომრჩენია, ლამის იყო სიცილი წამსკდა». დღეს ვეღარ ვიხსენებ როგორ იყო ჩაცმული იმ საღამოს ქალბატონი ვერდიურენი. შესაძლოა ვერც იმ წუთას აღმეწერა, დაკვირვებულობით არ გამოვირჩევი. მხოლოდ იმას მივხვდი, რომ პრეტენზიულად არ იყო ჩაცმული და რაღაც თავაზიანი სიტყვები ვუთხარი, აღფრთოვანებაც კი გამოვხატე. როგორც ყველა ქალს, მასაც კომპლიმენტი, შთაბეჭდილების ზუსტი და ჭეშმარიტი გამოხატვა, სულიდან ამოხეთქილი მიუკერძოებელი განსჯა ეგონა, თითქოს საქმე თვითნაბად ხელოვნების ნიმუშს ეხებოდა და სულერთი იყო, ვის ეკუთვნოდა იგი. ქალბატონმა ვერდიურენმა ყველაფერი ძალზე სერიოზულად მიიღო და სწორედ ამ სერიოზულობამ მაიძულა შემრცხვენოდა ჩემი პირმოთნეობისა და წამოვწითლებულიყავი. ქალბატონი ვერდიურენი მოგვიახლოვდა და მსგავსი სიტუაციისთვის ჩვეული მიამიტი და თან მედიდური იერით გვკითხა: «მართლა მოგწონთ? დარწმუნებული ვარ შანტეპიზე ლაპარაკობდით». მე

მწვანე პატარა ჭაღზე და ხის სურნელზე ვფიქრობდი და ერთადერთი აღმოვჩნდი, ვინც ვერ შეამჩნია, რომ ამ ეტიმოლოგიების ჩამოთვლით ბრიშო საყოველთაო დაცინვის საგანი გამხდარიყო. ჩემი და დანარჩენი საზოგადოების წარმოდგენები და ღირებულებები აშკარად განსხვავებული იყო, ჩემთვის ძვირფასი საგნები და ადამიანები მათთვის შეუმჩნევლად რჩებოდა ან თვალს ისე გადაავლებდნენ, თითქოს შეხედვაც არ ღირსო; შესაბამისად შთაბეჭდილებასაც ვერავის გავუზიარებდი, მაინც ვერავინ გამიგებდა, შეიძლება ზიზღითაც შემოეხედათ. ჩემი შეხედულებები საზოგადოების თვალში სულაც არ მამაღლებდა, პირიქით, მაგალითად, ქალბატონი ვერდიურენი ნამდვილად სულელად ჩამთვლიდა ბრიშოს «გაღმერთებისთვის», თუმცა ეს პირველი შემთხვევა არ იქნებოდა ჩემს ცხოვრებაში, ქალბატონი დე გერმანტიც როგორც შტერს, ისე მიყურებდა, მხოლოდ იმიტომ, რომ ქალბატონ არპაჟონის საზოგადოებაში ყოფნა მიყვარდა. რაც შეეხება ბრიშოს, აქ მიზეზი სულ სხვა იყო, მათ პატარა კლანს არ ვეკუთვნოდი. და თან ყველა კლანს, იქნება ის პოლიტიკური, ლიტერატურული თუ მაღალი საზოგადოებისა, გაუკუღმართებულობამდე მისული სურვილი აქვს, ნაუბარში, ოფიციალურ გამოსვლაში, ნოველასა და სონეტში აღმოაჩინოს ის, რასაც ღირსეული მკითხველი არასოდეს მიაქცევდა ყურადღებას. რამდენჯერ დამმართვია, რომ ვინმე მოხუცი აკადემიკოსის მიერ ოსტატურად დაწერილი მოთხრობის ემოციურად კითხვისას თავი ძლივს შემიკავებია, არ წამომცდენოდა: «არაჩვეულებრივია!» – მაგრამ ბლოშს და ქალბატონ გერმანტს პირის გაღების საშუალებაც არ მოუციათ და ორივეს ერთხმად, ოღონდ განსხვავებული ენით არ ეთქვა: «სიცილი თუ გინდათ, ამის და

ამის მოთხრობა წაიკითხეთ. მსგავსი სისულელის წარმოდგენაც კი ძნელია». ბლოშის გაღიზიანებას ოდნავ მოძველებული სტილი იწვევდა, ქალბატონი გერმანტისას კი ის წინააღმდეგობრიობები, რითაც გამოირჩეოდა ამ მოთხრობის ავტორი და მისი მონათხრობიდან ისეთი განსხვავებული დასკვნა გამოჰქონდა, რომლის მსგავსი არც

ავტორს უფიქრია და არც მე მომსვლია თავში, მას კი თავისი გამჭრიახობით შეეძლო აღმოეჩინა. ბრიშოს მიმართ ირონიამ, რომელიც ვერდიურენების გარეგნული თავაზიანობის მიღმა იმალებოდა, არანაკლებ გამაოცა, ვიდრე მოგვიანებით ფეტერნში, კამბრემერების ნათქვამმა, როცა მათთან ლა რასპელიერის თაობაზე ჩემი აღფრთოვანება გამოვხატე: «შეუძლებელია გულწრფელად ამბობდეთ, მას შემდეგ, რაც მათ იქ გააკეთეს». აღიარეს, რომ ჭურჭელი ლამაზი იყო, თუმცა მე არ შემიმჩნევია, ისევე როგორც არ შემიმჩნევია მათი უმსგავსი ფარდები. «მოკლედ, ახლა ბალბეკში რომ დაბრუნდებით, გეცოდინებათ, რას ნიშნავს ბალბეკი», – ირონიულად აღნიშნა ბატონმა ვერდიურენმა. მე კი სწორედ ის მაინტერესებდა, რასაც ბრიშოსგან ვსწავლობდი. მას ზუსტად ისეთი გონება ჰქონდა, როგორსაც ოდესღაც პატარა კლანში ძალიან აფასებდნენ. ახლა ის ისეთივე ცეცხლოვანი უბრალოებით საუბრობდა, მაგრამ მისი სიტყვები მიზანს ვეღარ აღწევდნენ, მათ მტრულ მდუმარებასთან ან არასასურველ გამოძახილთან ბრძოლა უწევდათ; შეიცვალა არა მისი სასუბრო თემები, არამედ სალონის აკუსტიკა და პუბლიკის განწყობა. «სიჩუმე!» – ჩაიჩურჩულა ქალბატონმა ვერდიურენმა და თან ხელი ბრიშოსკენ გაიშვირა. ბრიშოს სმენა აშკარად მხედველობაზე უკეთესი ჰქონდა, თავისი ბეცი მზერა «მფარველს» წამიერად სტყორცნა. მართალია, მხედველობა არ უვარგოდა, სამაგიეროდ მისი გონება შორეულ სივრცეებს სწვდებოდა. კარგად ხედავდა, ასეთ ადამიანურ ურთიერთობებს რა შეიძლება მოჰყოლოდა, მაგრამ შეგუებული იყო. რა თქმა უნდა, ეს სტანჯავდა. ასეც ხდება ხოლმე, ადამიანი, რომელიც ყველასგან მხოლოდ აღფრთოვანებას იმსახურებდა, სახლში ძალიან უბედური ბრუნდება იმის გამო, რომ საზოგადოება მას, როგორც არასერიოზულს, პედანტს, მოუხერხებელს ან თუნდაც უტიფარს და, ასე შემდეგ, შეხვდა. ხშირ შემთხვევაში ეს იმიტომ ხდება, რომ მისი შეხედულებები და აზრები სხვებმა აბსურდულად ან ჩამორჩენილად აღიქვეს. უმეტეს შემთხვევაში ისიც იცის, რომ ეს ადამიანები მისი ფეხის

მტვრადაც არ ღირან. მას დიდი ძალისხმევის გარეშეც შეეძლო დაემსხვრია ის სოფიზმები, რომელთა დახმარებითაც უჩუმრად გამოუტანეს განაჩენი, ძალიან უნდა წავიდეს სტუმრად, დაწეროს წერილი: მეტად გონიერი ადამიანი არაფერს აკეთებს, მომავალი კვირისათვის ელოდება მიპატიჟებას. ხანდახან ეს განსაცდელი, იმის ნაცვლად, რომ ერთ საღამოში დასრულდეს, თვეობით გრძელდება. საზოგადოებრივი აზრის არასტაბილურობის ნიადაგზე წარმოშობილი განსაცდელი კიდევ უფრო ძლიერდება. რადგან იცის, რომ ქალბატონ იქსს ის სძულს და ამავდროულად პატივს სცემს. ქალბატონი იგრეკი მას აცხადებს უზენაესად, ის ადგება და აუცილებლად ქალბატონი იგრეკის სალონში გადაინაცვლებს. მოკლედ, აქ მაღალი საზოგადოების აღწერის დრო არ არის, მაღალი საზოგადოების, რომელმაც თავის საზღვრებს გარეთ

თავის გამოვლენა ვერ შესძლო, საზოგადოების, რომელიც ბედნიერია, როდესაც სასურველი სტუმრის სტატუსი აქვს და ბოროტდება მაშინ, როდესაც არაფრად აგდებენ, საზოგადოების, რომელიც ყოველ წელიწადს აღმოაჩენს ხოლმე ნაკლს იმ დიასახლისში, რომელსაც იქამდე უკმევდა გუნდრუკს და გენიალურობას იმისას, ვინც აქამდე არაფრად უღირდა; საზოგადოებას, რომელიც მზად არის დაიბრუნოს თავისი პირველი სიყვარული, როდესაც ახალი თავს მოაბეზრებს და თან სწორედ მაშინ, როდესაც პირველი სიყვარულის მიერ მიყენებული ტკივილი ოდნავ მაინც მივიწყებული ექნება. ეს პატარ-პატარა კაეშნის შემოტევები, რომელთაც დასასრული აღარ უჩანდა, სასოწარკვეთილებაში აგდებდა ბრიშოს. მისთვის საიდუმლო აღარ იყო ფაქტი, რომ ქალბატონი ვერდიურენი ხანდახან სახალხოდ დასცინოდა, დასცინოდა მის ფიზიონომიასაც, მაგრამ ბრიშოს გაცნობიერებული ჰქონდა ადამიანური ურთიერთობების სირთულეები და ქალბატონ ვერდიურენს მაინც თავის საუკეთესო მეგობრად მიიჩნევდა. პროფესორის აღაჟღაჟებულ სახეს რომ შეხედა, ქალბატონი ვერდიურენი მიხვდა, რომ მას ყველაფერი ესმოდა და გადაწყვიტა, მთელი საღამოს განმავლობაში მის მიმართ

თავაზიანი ყოფილიყო. თავი ვერ შევიკავე და ვუთხარი, რომ სანეტთან აღარ ეუხეშა. «უხეშობა? როგორ გეკადრებათ! ის ხომ ჩვენ გვაღმერთებს, თქვენ არ იცით, რა ძვირფასები ვართ მისთვის! მართალია, ჩემს ქმარს ზოგჯერ აღიზიანებს თავის სისულელეებით, მაგრამ სიმართლე გითხრათ, საამისო მიზეზიც აქვს, რატომ არ ეწინააღმდეგება და კუდს რატომ უქიცინებს? ეს გულწრფელი საქციელი არ არის. არ მიყვარს ასე. სულ ვცდილობ დავამშვიდო ჩემი ქმარი, თორემ თუ შეტოპა, სანეტი ჩვენთან აღარასდროს მოვა; მე კი ეს არ მაწყობს, რადგან სიმართლე გითხრათ, მას ერთი სუც არ გააჩნია და მაინც ჩვენთან ვახშმობს. თუმცა რომ განაწყენდეს და საერთოდ არ მოვიდეს, სულაც არ მენაღვლება, ვიღაც თუ გჭირდება, ეცადე, რომ ასეთი იდიოტი არ იყო». «ომალის საჰერცოგო დიდი ხნის განმავლობაში ჩვენს ოჯახს ეკუთვნოდა, სანამ საფრანგეთის მეფეების ხელში გადავიდოდა, – უხსნიდა ბარონი დე შარლიუ მარკიზ დე კამბრემერს სახტად დარჩენილი მორელის თანდასწრებით, რომლისკენაც მთელი ეს ლექცია პირდაპირ არ იყო მიმართული, მაგრამ რეალურად მას ეკუთვნოდა. – ჩვენ ყველა უცხოელ უფლისწულს წინ ვუსწრებთ; ამის დასამტკიცებლად ას მაგალითს მაინც მოგიყვანთ, როდესაც პრინცესა დე კრუამ მეფის უფროსი ძმის დაკრძალვაზე, ჩემი დიდი ბებიის უკან მუხლის მოყრა მოინდომა, ამ უკანასკნელმა მას უხეშად მიუთითა, რომ ამის უფლება არ ჰქონდა, მორიგე ოფიცრის დახმარებით გააძევა და მეფესთან მიიტანა ამბავი, რომელმაც ქალბატონ კრუას ქალბატონ გერმანტთან წასვლა და მისთვის ბოდიშის მოხდა უბრძანა. როდესაც ბურგუნდიის ჰერცოგი ჩვენთან კვერთხაწეული, სასამართლო აღმასრულებელთან ერთად მოვიდა, მეფის დახმარებით კვერთხი ძირს დავაშვებინეთ. მესმის, რომ ცუდი ტონია საკუთარი სისხლის და ხორცის ქება, მაგრამ ყველამ იცის, რომ საფრთხის ჟამს ჩვენი წინაპრები ყოველთვის წინა ხაზზე იყვნენ. ჩვენ უკვე ბრანბარტის ჰერცოგების შეძახილისგან განსხვავებული საბრძოლო

შეძახილი გვქონდა «წინ». ასე რომ საკმაოდ ლეგიტიმურად, ყველასგან და ყოველთვის პირველობის

უფლება, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ბრძოლების შედეგად გვქონდა მოპოვებული, ახლა უკვე სამეფო კარზეც მოვიპოვეთ. გარწმუნებთ, რომ ეს პირველობა ყოველთვის თან გვდევს. დამამტკიცებელ საბუთად ბადენის პრინცესას შემთხვევას მოგიყვანთ, როდესაც ის ისე დაიბნა, რომ ცოტა დააკლდა, თავი ჰერცოგინია დე გერმანტზე წინ არ დაეყენებინა, რომელზეც ეს წუთია გელაპარაკეთ და ისარგებლა წუთიერი შეყოვნებით, რომელიც შესაძლოა ჩემი ნათესავის მოსვლით იყო გამოწვეული (თუმცა რაღა იმ დროს მოვიდა), მეფემ წამოიყვირა: «შემოდით, შემოდით ბიძაშვილო, ქალბატონმა ბადენმა მშვენივრად იცის, როგორ მოგექცეთ». რანგით ჰერცოგინია გერმანტი და ქალბატონი ბადენი ერთნი იყვნენ, თვითონაც საკმაოდ შთამბეჭდავი წარმომავლობა ჰქონდა, პოლონეთის დედოფლის, უნგრეთის მეფის, კურფიუსტრის, სავოიის და ჰანოვერის პრინცის, შემდგომში ინგლისის მეფის დისშვილი იყო». «Maecenas atavis edite regibus!» – უთხრა ბრიშომ ბარონ დე შარლიუს, რომელმაც თავის ოდნავ დაკვრით უპასუხა ამ თავაზიანობას. «რა თქვით?» – ჰკითხა ქალბატონმა ვერდიურენმა ბრიშოს, რომლის წინაშეც თავისი ცოტა ხნის წინანდელი სიტყვების გამოსწორების სურვილი ჰქონდა. «მე ვლაპარაკობდი, ღმერთმა შემინდოს, ერთ დენდიზე, რომელიც საზოგადოების ნარწყევს (ქალბატონმა ვერდიურენმა წარბები შეჭმუხნა), აჰ, ნაღებს ეკუთვნოდა და დაახლოებით ავგუსტუსის ეპოქაში (ქალბატონი ვერდიურენი დამშვიდდა, რომ ძალიან ძველ ნაღებზე იყო ლაპარაკი და სახე გაუნათდა) ცხოვრობდა, იყო ვირგილიუსის და ჰორაციუსის მეგობარი, რომლებიც ეპირფერებოდნენ და უმტკიცებდნენ, რომ მისი წინაპრები უბრალო არისტოკრატები კი არა, სამეფო ჩამომავლობის იყვნენ, მოკლედ მეცენატზე ვლაპარაკობდი, ბიბლიოთეკის ვირთხაზე, ჰორაციუსის, ვირგილიუსის, ავგუსტუსის მეგობარზე. დარწმუნებული ვარ, რომ ბარონ დე შარლიუმ ზედმიწევნით იცის, ვინ ბრძანდებოდა მეცენატი, მთელი სიგრძე-სიგანით». ბარონ დე შარლიუს ცალი თვალი ქალბატონი ვერდიურენისკენ ეჭირა, რადგან გაიგონა, როგორ

უნიშნავდა შეხვედრას მორელს ზეგისთვის და ეჭვი ღრღნიდა, რომ მას არ პატიჟებდნენ, ამიტომ მომხიბვლელად გადახედა ქალს და თქვა: «მგონი მეცენატი ანტიკური ხანის ვერდიურენია». ქალბატონმა ვერდიურენმა კმაყოფილი ღიმილი სანახევროდ დამალა. მორელისკენ წავიდა. «სასიამოვნო ადამიანია თქვენი მშობლების მეგობარი, ჩანს რომ განათლებული და კარგად აღზრდილია. ჩვენი პატარა «ბირთვში» კარგად იგრძნობს თავს. პარიზში სად ცხოვრობს?» – მორელმა ამპარტავნულ დუმილი შეინარჩუნა და მხოლოდ კარტის ხელის თამაში შესთავაზა. ქალბატონმა ვერდიურენმა დაჟინებით მოსთხოვა, ჯერ ვიოლინოზე დაეკრა. ყველას გასაოცრად, ბარონმა დე შარლიუმ, რომელსაც არასდროს უთქვამს, რა დიდი ნიჭის პატრონი იყო, უდახვეწილესი სტილით აკომპანიმენტი გაუკეთა ფორის სონეტის ბოლო ნაწილს ვიოლინოსა და ფორტეპიანოსთვის (მღელვარეს, რთულს, გულისგამაწვრილებელს, შუმანისეულს და ამავე დროს წინარე ფრანკულს).

ვიგრძენი, რომ არაჩვეულებრივად ნიჭიერი, ბგერის შეგრძნების მქონე, ვირტუოზი მორელისთვის მას შეეძლო მიეცა ზუსტად ის, რაც აკლდა: კულტურა და სტილი. და ვფიქრობდი, რა საოცარი იყო, რომ ერთ ადამიანს შეიძლებოდა ერთდროულად ჰქონოდა ფიზიკური მანკიერება და უბადლო სულიერი ნიჭიც. ბარონი დე შარლიუ დიდად არ განსხვავდებოდა თავისი ძმისგან, ჰერცოგი გერმანტისგან. თვით ცოტა ხნის წინათ ისეთივე ცუდი ფრანგულით ილაპარაკა (და ეს იშვიათად არ ხდებოდა), როგორც მისი ძმა ლაპარაკობდა. მსაყვედურობდა (ალბათ, იმის გამო, რომ თბილი სიტყვებით მოვიხსენიე მორელი ქალბატონ ვერდიურენთან საუბრისას), რომ არასდროს მივდიოდი მის სანახავად, მე კი თავდაჭერილობას ვიჩენდი და ასე მითხრა: «რადგანაც გიხმობთ, ესე იგი, ჩემს თავსვე უნდა მოვდო შარი». ზუსტად ასე იტყოდა გერმანტის ჰერცოგი. ბარონი დე შარლიუ, არსებითად, მხოლოდ გერმანტი იყო. მაგრამ ბუნებამ საკმარისად, იმ დონემდე, შეურყია ნერვული სისტემა, რომ ქალს, თავისი ჰერცოგი ძმისგან განსხვავებით, ვირგილიუსის მწყემსი

თუ პლატონის მოწაფე არჩია, რაც არ შეეფერებოდათ ჰერცოგ გერმანტებს და სწორედ ამ თვისებამ, რაც ხშირად უკავშირდება ამგვარ გაუწონასწორებლობას, ბატონი შარლიუსგან შექმნა საუკეთესო პიანისტი, არცთუ უგემოვნო მოყვარული მხატვარი და მჭევრმეტყველი მოსაუბრე. ვინ გამოიცნობდა, რომ სწრაფი, ნაღვლიანი, მომხიბვლელი სტილი, რითაც ბარონი დე შარლიუ ფორეს სონატის შუმანისეულ ნაწილს უკრავდა, ემთხვეოდა – ვერ ვბედავ ვთქვა საფუძველი იყო-მეთქი – მის ფიზიკურ თავისებურებებს, ნერვულ დეფექტურობას? მოგვიანებით აგიხსნით, რას ნიშნავს «ნერვული დეფექტურობა» და რა იყო მიზეზი, რომ სოკრატეს დროინდელ ბერძენს ან ავგუსტუსის დროინდელ რომაელს შეეძლო აბსოლუტურად ნომალურ კაცად დარჩენა, მიუხედავად ყველაფრისა, რაც მათზე ვიცით, და არა ქალ-კაცად ყოფნა, როგორებსაც დღეს ვხედავთ. ამავე მიზეზით, რეალური არტისტული თვისებებისადმი მიდრეკილს, რომელიც რეალიზაციას ვერ ახდენდა, ბარონ დე შარლიუს, მეტად ვიდრე ჰერცოგს, უყვარდა თავისი დედა და თავისი ცოლი; და წლების შემდეგაც, როდესაც მასზე წამოუწყებდნენ ლაპარაკს, თვალზე ცრემლი ადგებოდა, ზედაპირული ცრემლი, როგორც ძალიან მსუქანი კაცის ოფლდენა, რომლის შუბლიც წამდაუწუმ ოფლით იფარება. განსხვავება ისაა, რომ მსუქანს ეუბნებიან: «როგორ გცხელათ!», მაშინ როცა სხვისი ცრემლის დანახვის შემჩნევა არაა მისაღები. ანუ არაა მისაღები მაღალ საზოგადოებაში; თორემ უბრალო ხალხი ისე ღელავს სხვისი ტირილის დანახვისას, თითქოს ქვითინი უფრო საშიში იყოს, ვიდრე ჰემორაგია. ცოლის გარდაცვალებით გამოწვეულ დარდს, მასში გამჯდარი სიცრუისადმი მიდრეკილების წყალობით, ისეთი ყაიდის ცხოვრებით იქარვებდა, რომელიც სულაც არ შეეფერებოდა მგლოვიარეს. მეტიც, ისეთ უსირცხვილობამდე მივიდა, ნართაულად ამბობდა, რომ სამგლოვიარო ცერემონიის დროს მოახერხა და გუნდის ბიჭს გამოელაპარაკა, სახელი ჰკითხა და თავისი მისამართიც უთხრა. იქნებ მართლა ასეც იყო.

---

* * *

როდესაც სონეტის დაკვრას მორჩნენ, თავს ნება მივეცი და ფრანკის დაკვრა ვთხოვე, მაგრამ მარკიზ დე კამბრემერს ისეთი გატანჯული იერი ჰქონდა, რომ აღარ დამიჟინია. «თქვენ ეს არ უნდა მოგწონდეთ», – მითხრა და დებიუსის «დღესასწაულების» დაკვრა ითხოვა, და როგორც კი პირველი აკორდები გაისმა, წამოიძახა: «აჰ! დიდებულია!» მაგრამ მორელმა შეამჩნია, რომ მხოლოდ პირველი ტაქტები ახსოვდა და, არავის გამასხარავება არ სურდა, მაგრამ პატარა ბიჭის ანცობით მეიერბერის მარში წამოიწყო. სამწუხაროდ, რადგან გადაბმულად გააგრძელა დაკვრა და არაფერი გამოუცხადებია, ყველას ეგონა, ისევ დებიუსის უკრავდა და ყვირილს განაგრძობდნენ: «დიდებულია, დიდებული!». როდესაც მორელმა განაცხადა, რომ ეს «პელეასის» ავტორის კი არა, «ეშმაკი რობერის» ავტორისა იყო, საზოგადოებას ტანში გასცრა. ქალბატონ დე კამბრემერს ამის შეგრძნების დრო არ ჰქონდა, რადგან ის-ის იყო, სკარლატის რვეული დაინახა და ისტერიული სიჩქარით ეცა: «აჰ! ეს დაუკარით! ეს ღვთიურია!» და ისეთი ნერვული მოუთმენლობით ჩააფრინდა კომპოზიტორის ნაწარმოებს, რომელსაც საკმაოდ დიდხანს აგდებულად უყურებდნენ და მხოლოდ ბოლო ხანს აიყვანეს ცამდე, თუმცა ერთ ისეთ დაწყევლილ ნაწარმოებს წარმოადგენდა, ძილს რომ უშლის ადამიანს, როგორც დაუნდობელი ბეჯითი მოსწავლე, დაუსრულებლად რომ არჩევს და უკრავს თქვენი ბინის თავზე. მაგრამ მორელს მობეზრდა მუსიკა და კარტის თამაში სურდა, ბარონი დე შარლიუ ვისტის თამაშში მონაწილეობაზე დათანხმდა. «მან თქვენს მეუღლეს უთხრა, რომ პრინცია, – ქალბატონ ვერდიურენს მიუბრუნდა სკი, – მაგრამ ეს არაა მართალი, უბრალო ბურჟუაზიული ოჯახიდანაა, საშუალო არქიტექტორების ოჯახიდან». «მინდა ვიცოდე, რა თქვით მეცენატზე, ძალიან მაინტერესებს!», – ხელახლა უთხრა ქალბატონმა ვერდიურენმა ბრიშოს უბრალო

თავაზიანობის გამო, რამაც ამ უკანასკნელს თავბრუ დაახვია და დიასახლისის და შესაძლოა, ჩემ წინაშეც თავის გამოსაჩენად თქვა: «სიმართლე რომ გითხრათ ქალბატონო, მეცენატი განსაკუთრებულად იმიტომ მაინტერესებს, რომ ის პირველი სახელმოხვეჭილი მოციქულია იმ ჩინური ღმერთისა, რომელსაც ამჟამად საფრანგეთში მეტი მიმდევარი ჰყავს, ვიდრე ბრაჰმას, თუნდაც თვით ქრისტეს, «ფე-ხებ-ზე მკი-დი-ას» ყოვლადძლიერი ღმერთისა». ქალბატონი ვერდიურენი ასეთ შემთხვევებში მარტო თავის ხელებში ჩარგვით არ კმაყოფილდებოდა, მწერის, სახელად მედღეურას, სისწრაფით ეცემოდა თავადის ქალ შერბაკოვას, თუ ეს უკანასკნელი მის ახლოს აღმოჩნდებოდა, ფრჩხილებით ჩააფრინდებოდა და დამალობანას მოთამაშე ბავშვივით იღლიაში შეურგავდა თავს. როდესაც ამ ფარს შეაფარებდა თავს, ყველა ფიქრობდა, რომ ცრემლებამდე ხარხარებდა, ის კი არაფერზე არ ფიქრობდა იმ ადამიანივით, ცოტა გრძელ ლოცვას რომ ამბობს და სიფრთხილის გამო სახეს ხელებით იფარავს. ქალბატონი ვერდიურენი სწორედ ამ ადამიანის

დარად იქცეოდა, როდესაც ბეთჰოვენის კვარტეტებს უსმენდა, თან სურდა ეჩვენებინა, რომ ლოცვასავით ჩაესმოდა, თან არ უნდოდა შეემჩნიათ, რომ ეძინა. «მე ძალზე სერიოზულად ვლაპარაკობ, ქალბატონო, – განაგრძობდა ბრიშო, – ჩემი აზრით, ჩვენს დროში ძალზე მომრავლდნენ ისეთი ადამიანები, ვინც საკუთარი ცხვირის იქით არ იყურებიან და თავიანთი ჭიპი მსოფლიოს ცენტრი ჰგონიათ. თეორიულად მე არაფერი მაქვს საწინააღმდეგო რაღაც ნირვანისა, რომელსაც სურს ჩვენი ერთ დიდ მთლიანობაში ათქვეფა (სხვათა შორის, ეს მთლიანობა, როგორც მიუნხენი ან ოქსფორდი, ბევრად უფრო ახლოსაა პარიზთან, ვიდრე ასნიერი ანდა ბუა-კოლომბი), მაგრამ ვერც ნამდვილ ფრანგს და ვერც ნამდვილ ევროპელს ღირსებად ვერ ჩავუთვლით იმ მდგომარეობას, რომ, როდესაც, შესაძლოა, იაპონელები უკვე დგანან ჩვენი ბიზანტიის კართან, სოციალისტი ანტიმილიტარისტები სერიოზულად მსჯელობენ ვერლიბრის ძირეულ ღირსებებზე». ქალბატონმა ვერდიურენმა

შესაძლებლად მიიჩნია თავადის ქალის დაშავებული მხრისთვის ხელი გაეშვა და თავისი სახე გამოეჩინა, თან ვითომ ცრემლებს იწმენდდა და სულს იბრუნებდა. მაგრამ ბრიშომ მოისურვა, ჩავეთრიე საუბარში; არ ეშვებოდა თავისი მსჯელობის თეზისების დაცვას, რომლის წარმართვაც ყველა სხვაზე უკეთ შეეძლო, რომ ახალგაზრდებს ისე არაფერი უფონავთ გულს, როგორც ის, რომ ჩასჩიჩინებენ, დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, და რეაქციონერისტ მოწინააღმდეგეს წარუდგენენ: «მე არ მინდა დავგმო ახალგაზრდობის ღმერთები, – თქვა და მალულად ისე გადმომავლო თვალი, როგორც ორატორი გადახედავს ხოლმე ჩუმად იმ მსმენელს, რომელიც ეს-ესაა ახსენა, – არ მინდა ერეტიკოსად შემრაცხონ მალარმეს ეკლესიაში, სადაც ჩვენი ახალი მეგობარი, როგორც ყველა მისი თანატოლი, ეზოთერულ მესაში იღებდა მონაწილეობას, მეტად თუ არა გუნდის მგალობლად მაინც, არ მინდა გადაგვარებულად ან როზენკრეიცერად წარმოვჩნდე. მაგრამ მართლა ყელში ამოგვივიდა ეს ხელოვნების გამღმერთებელი ინტელექტუალები, ხელოვნებისა დიდი ასოთი, რომლებსაც, როდესაც ზოლათი თრობა აღარ ჰყოფნით, ვერლენს უშვებენ ვენებში. ეთერომანები ხდებიან ბოდლერისადმი თავგადაკლული ერთგულებით, აღარ აქვთ მამაკაცური სიმამაცე, რომელსაც ერთ დღეს სამშობლო მოსთხოვთ, ანესთეზირებულნი არიან ძლიერი ლიტერატურული ნევროზით, რომელსაც იწვევს ოპიუმის მწეველი სიმბოლისტების მავნე ამონაორთქლის მძიმე, არაქათგამომცლელი ატმოსფერო». ბრიშოს უგუნური, უთავბოლო ლაქლაქით გამოწვეულ აღფრთოვანების უმცირეს ჩრდილსაც კი ვერ გადავიფენდი სახეზე, ამიტომ სკის მივუბრუნდი და ვარწმუნებდი, რომ აბსოლუტურად ცდებოდა ბარონი დე შარლიუს ოჯახისა და წარმომავლობის თაობაზე; მიპასუხა, რომ დარწმუნებული იყო თავისი ნათქვამის სისწორეში და დაამატა, რომ თითქოს მე ისიც კი მეთქვას, რომ მისი ნამდვილი გვარი განდენიაო, ლე განდენი. «მე თქვენ გითხარით, რომ ქალბატონი დე კამბრემერი ინჟინერი ლეგრანდენის დაა.

ბარონ დე შარლიუზე თქვენთან არასდროს მილაპარაკია. ქალბატონი დე კამბრემერის და ბარონის დაბადებებს შორის ისეთივე კავშირია, როგორც გრან კონდესა და რასინს შორის». «აჰ! დავიჯერე», – მსუბუქად თქვა სკიმ, ბოდიშის მოხდაც არ უფიქრია თავისი შეცდომის გამო, ისევე როგორც რამდენიმე საათის წინ, როცა მისი გამოისობით ლამის იყო მატარებელზე დავაგვიანეთ. «დიდი ხნით ფიქრობთ სანაპიროზე დარჩენას?» – ჰკითხა ქალბატონმა ვერდიურენმა ბარონ დე შარლიუს, რომელშიც თავისი «ერთგული» ამოიცნო და კანკალებდა, რომ დროზე ადრე არ გაქცეოდა პარიზში. «ღმერთო ჩემო, წინასწარ არასდროს ვიცი, – ცხვირში, გაწელილად ჩაიდუდღუნა ბარონმა დე შარლიუმ. – დავრჩებოდი ასე, სექტემბრის ბოლომდე». «მართალი ბრძანდებით, – თქვა ქალბატონმა ვერდიურენმა, – სექტემბერი მშვენიერი ქარიშხლების დროა». «სიმართლე რომ მოგახსენოთ, ეგ ვერ გადამაწყვეტინებდა აქ დარჩენას. ამ ბოლო ხანს, ცოტა უყურადღებოდ მყავდა მიტოვებული მთავარანგელოზი მიქაელი, ჩემი მფარველი, და მინდა ზარალი 29 სექტემბრამდე, მის დღესასწაულამდე ჩემი აქ, მონტის სააბატოში, დარჩენით ავუნაზღაურო». «თქვენ, მართლა გაინტერესებთ ეს ამბები?» – ჰკითხა ქალბატონმა ვერდიურენმა, რომელიც ალბათ ჩააჩუმებდა თავის შეურაცხყოფილ ანტიკლერიკალიზმს, ამ ხანგრძლივ ექსკურსიაზე რომ არ ეეჭვიანა, რომლის გამოც ორმოცდარვა საათით «ხელიდან დაუძვრებოდნენ» მევიოლინე და ბარონი. «თქვენ, ეტყობა, სიყრუის შემოტევები გაქვთ ხოლმე, – კადნიერად უპასუხა ბარონმა დე შარლიუმ. – გითხარით, რომ წმინდა მიქაელი ჩემი ერთ-ერთი დიდებული მფარველია». შემდეგ, ღვთიური ცეცხლით აღგზნებულმა, თვალი შორეთს მიაპყრო, გაიღიმა და, ჩემი აზრით, უფრო რელიგიური ეგზალტაციით და არა ესთეტიკურით, ამაღლებული ხმით თქვა: «ისეთი მშვენიერია, როდესაც მსხვერპლის შეწირვისას თეთრსამოსიანი მიქაელი დგას საკურთხეველთან და იქნევს ოქროს საცეცხლურს, საიდანაც საკმევლის სურნელი ამოდის და ღმრთისკენ მიემართება». «იქ

შეიძლება ჯგუფურად წავიდეთ», – აზრი გამოთქვა ქალბატონმა ვერდიურენმა, სამღვდელოების ზიზღის მიუხედავად. «რა მშვენიერი იქნებოდა, რომ მსხვერპლშეწირვის მომენტიდან მოყოლებული, – განაგრძობდა ბარონი დე შარლიუ, რომელიც სახელგანთქმული პარლამენტარების მსგავსად, მაგრამ სხვა მიზეზით, არასდროს პასუხობდა რეპლიკებს, ვითომ არც კი ესმოდა, – ჩვენს ახალგაზრდა მეგობარს შეესრულებინა ბახის არია. კეთილმსახური აბატიც ძალზე გახარებული დარჩებოდა, და ეს იქნება დიდი პატივისცემის გამოხატვა, პატივისცემის სახალხოდ გამოხატვა ჩემი მფარველი ანგელოზის მიმართ. რა კარგი მაგალითია მორწმუნეთათვის! ჩვენ ახლავე ვისაუბრებთ ახალგაზრდა ანჟელიკოზე, წმინდა მიქაელის დარ მეომარზე მუსიკაში».

სანეტმა, რომელიც «მკვდარ მოთამაშედ» მიიწვიეს კარტის ხელში, გამოაცხადა: ვისტის თამაში არ ვიციო. და კოტარი, იმის გათვალისწინებით, რომ დიდი დრო აღარ რჩებოდა მატარებლის გასვლამდე, სასწრაფოდ შეუდგა მორელთან ერთად კარტის თამაშს. გამძვინვარებული ბატონი ვერდიურენი მუქარიანი იერით უტევდა სანეტს:

«მაშ, არაფრის თამაში არ იცით!» – ყვიროდა გააფთრებული იმით, რომ ვისტის თამაშის შესაძლებლობა დაკარგა, და აღფრთოვანებული იმით, რომ ყოფილი არქივარიუსის გამოლანძღვის შესაძლებლობა მიეცა. დამფრთხალმა სანეტმა ხუმრობა გაბედა: «როგორ არა, პიანინოზე დაკვრა ვიცი». კოტარი და მორელი ერთმანეთის პირისპირ ისხდნენ. «თქვენი ჯერია, – თქვა კოტარმა. – სათამაშო მაგიდას ცოტათი რომ მივახლოვებოდით? – უთხრა მევიოლინისა და კოტარის ერთად დანახვით შეშფოთებულმა ბარონმა დე შარლიუმ ბატონ დე კამბრემერს. – ეს ისევე საინტერესოა, როგორც ეტიკეტის ნორმები, თუმცა კი ჩვენს დროში დიდი მნიშვნელობა აღარ ენიჭებათ. ერთადერთი მეფენი, რომლებიც შემოგვრჩნენ, ყოველ შემთხვევაში, საფრანგეთში, კარტის მეფეებია, და მგონი, ახლა

ყველას ახალგაზრდა ვირტუოზის ხელში მოუყრიათ თავი», – დაუმატა მალევე, მორელის თუნდაც თამასის მანერით აღფრთოვანებულმა, თან სურდა შეექო და თან მევიოლინის მხართან ძალზე ახლოს დახრა გაემართლებინა. «გაჭრილია!» – წამოიძახა კოტარმა კარგად გამოცდილი «შულერის» ხმით, მისი შვილები ახარხარდნენ, ისევე როგორც მის სტუდენტები და მთავარი ექიმი ხარხარებდა ხოლმე, როდესაც მეტრი, თვით მძიმე ავადმყოფის სასთუმალთანაც კი, უდრტვინველი ეპილეპტიკის სახით წამოისროდა ხოლმე თავისთვის ჩვეულ კვიმატ ხუმრობას. «წარმოდგენა არ მაქვს, რას ჩავიდე», – რჩევა ჰკითხა ბატონ დე კამბრემერს მორელმა. «რაც გინდათ, ის ჩადით, სულ ერთია, ყველა ვარიანტში წაგებული ხართ». «სულ ერთია... გალი-მარიე[138], – თქვა ექიმმა და თვალი შემპარავად და მწყალობლურად ბატონი დე კამბრემერისკენ გააპარა. – სწორედ ის იყო, რასაც ჩვენ ნამდვილ ვარსკვლავს ვეძახით, ოცნება იყო, მისნაირ კარმენს ვეღარასოდეს ვნახავთ. როლში იყო ჩამჯდარი. ინგალი-მარიესაც ვგულისხმობ». მარკიზი წამოხტა იმ კეთილშობილი ადამიანის ზიზღიანი აღშფოთებით, რომელსაც ვერ გაუგია, რატომ აყენებენ შეურაცხყოფას მასპინძელს და რომელიც არაა დარწმუნებული, რომ ამ სტუმრებთან შესაძლებელია ნაცნობობის ქონა და ქედმაღლურად ინგლისურ ყაიდაზე, ამბობს: «ვინაა ეს ბატონი, კარტს რომ თამაშობს? რას აკეთებს ცხოვრებაში? რას ყიდის? მსურს ვიცოდე, ვისთან ერთად ვიმყოფები, რომ არ დავუკავშირდე, ღმერთმა უწყის, ვის. ვერ გავიგონე მისი გვარი, როდესაც მქონდა პატივი მისთვის წარგედგინეთ». ბატონი ვერდიურენს მართლა რომ წარედგინა თავისი სტუმრებისთვის ბატონი დე კამბრემერი, მარკიზი ფრიად უკმაყოფილო დარჩებოდა. მაგრამ რადგან იცოდა, რომ პირიქით მოიქცა, ამიტომ მორცხვი და კეთილგანწყობილი ბავშვის სახეს თავაზიანად ინარჩუნებდა, რაც მისთვისაც და სხვებისთვისაც უხიფათო იყო. ბატონი ვერდიურენის სიამაყე, იმით გამოწვეული, რომ კოტართან ახლო მეგობრობა ჰქონდა, მას შემდეგ გაორმაგდა, რაც ექიმი

ცნობილი პროფესორი გახდა. მაგრამ ახლა თავის სიამაყეს ძველებურად გულუბრყვილო ფორმით აღარ გამოხატავდა. ადრე, როდესაც კოტარი ძლივს იყო ცნობილი, თუ ვერდიურენს მისი ცოლის სახის ნევრალგიაზე ჰკითხავდნენ რამეს, ის იმ ადამიანის გულუბრყვილი თავმოყვარეობით უპასუხებდა, რომელსაც ჰგონია, რომ

მისი ქალიშვილების მუსიკის მასწავლებელი, საყოველთაოდ ცნობილია: «ვერაფერს გააწყობ. ვინმე მეორეხარისხოვანი ექიმი რომ მკურნალობდეს, სხვას მოვძებნიდით, მაგრამ როდესაც ისეთი ექიმი მკურნალობს, როგორიც კოტარია (ამ გვარს ისე წარმოთქვამდა, თითქოს ბუშარი ან შარკო წარმოეთქვას), ვიღას უნდა მივმართო». ახლა კი, როდესაც იცოდა, რომ დე კამბრემერს აუცილებლად გაგონილი ექნებოდა სახელგანთქმული პროფესორ კოტარის გვარი, ვერდიურენმა მიამიტი სახე მიიღო. «ჩვენი ოჯახის ექიმია, გულკეთილი ადამიანი, რომელიც ძალიან გვიყვარს და რომელიც ჩვენთვის შუაზე იგლიჯება; მარტო ექიმი კი არა, მეგობარიცაა. შეიძლება პირადად არ იცნობთ, მისი გვარიც, კოტარი, არაფერს გეუბნებათ, მაგრამ ჩვენთვის ძალზე ახლობელი ადამიანი და ძვირფასი მეგობარია». ვერდიურენმა ისე მორიდებულად ჩაიჩურჩულა კოტარის გვარი, რომ მარკიზ დე კამბრემერი დაიბნა, იფიქრა საქმე სხვა ვინმეს ეხებაო. «კოტარი? პროფესორ კოტარზე არ ლაპარაკობთ?» სწორედ ამ დროს ზემოხსენებული პროფესორის ხმა გაისმა, რომელიც მოწინააღმდეგის მიერ ცუდ დღეში ჩაგდებული, კარტით ხელში ამბობდა: «აი, აქ დამარცხდნენ ათენელები!». «აჰ! დიახ, სწორედ პროფესორი კოტარია». «რაო?! პროფესორი კოტარი? ხომ არაფერი გეშლებათ?! დარწმუნებული ხართ, რომ ეს ის კოტარია, უნივერსიტეტის ქუჩაზე რომ ცხოვრობს?». «დიახ, უნივერსიტეტის ქუჩის 43-ში. იცნობთ?». «კი მაგრამ, პროფესორ კოტარს ყველა იცნობს, ის მედიცინის მწვერვალია! ეს იგივეა, რომ მკითხოთ, ვიცნობ თუ არა ბუფ დე სენ-ბლეზს ან კუტუა-სიუფის! მისი მოსმენისას კარგად დავინახე, რომ არაორდინალური ადამიანია და ამიტომაც მივეცი თავს ნება, თქვენთვის მეკითხა». «ვნახოთ, რა

ვითამაშო? კოზირი?» – თავისთვის ლაპაკობდა კოტარი. უეცრად კოტარმა კოზირის ჩამოსვლა დაღვრემილი სახით, თავგანწირული იერით გადაწყვიტა, თითქოს სიკვდილ-სიცოცხლის საკითხიაო, და ისეთი ვულგარული გამოთქმით, რომელიც აღმაშფოთებელი იქნებოდა იმ გმირულ სიტუაციაშიც კი, სიკვდილზე მიმავალი ჯარსკაცისგან რომ გაგვეგონა, და ორმაგად სულელური იყო კარტის მაგიდასთან დროსტარებისთვის, წამოძახა: «ფეხებზე მკიდია!» ცუდი სვლა გააკეთა, მაგრამ დამშვიდდა. სასტუმრო დარბაზის შუაში, ფართო სავარძელში ჩამჯდარი ქალბატონი კოტარი ამაო ძალისხმევის შემდეგ დაემორჩილა იმ დაუძლეველ ეფექტს, რომელსაც მასზე ვახშამი ახდენდა და მსუბუქ და უდრტვინველ თვლემას მისცა თავი. დროდადრო მაინც წამით წამოიხედავდა, გაიღიმებდა, ან თავის თავზე ეცინებოდა, ან იმას ფრთხილობდა, მისთვის მიმართული რაიმე თავაზიანი სიტყვა უპასუხოდ არ დაეტოვებინა, მაგრამ თავისდაუნებურად ისევ ტკბილი და ულმობელი მოთენთილობის მსხვერპლი ხდებოდა. უფრო ხმაური კი არა, თავისი ქმრის მზერა აღვიძებდა, ასე ერთი წამით (რომელსაც, თვალდახუჭულიც კი, სიყვარულით წინდაწინვე გრძნობდა, რადგან ასეთი სცენა ყოველ საღამოს ხდებოდა და ისევე უფრთხობდა ძილს, როგორც დილით, გაღვიძების დროს), მზერა, რომლითაც პროფესორი თავისი მეუღლის ძილს მიანიშნებდა დამსწრე საზოგადოებას. თავიდან მხოლოდ ყურებით და ღიმილით კმაყოფილდებოდა, რადგან, თუ როგორც ექიმი ჭამის შემდეგ ძილს მავნედ მიიჩნევდა (ყოველ შემთხვევაში, ამ მეცნიერულ თეორიას

ხშირად წარმოადგენდა, მაგრამ მთლად დარწმუნებული არ იყო მის სისწორეში, საბოლოოდ განსაზღვრული და დადგენილი ჰქონდა, ის ისე ხშირად იცვლიდა ხოლმე თვალსაზრის), როგორც ყოვლისშემძლე და დამცინავი ქმარი, ბოლოს და ბოლოს, აღშფოთდებოდა ხოლმე, თავს ირთობდა ცოლის დაცინვით, სანახევროდ გამოაფხიზლებდა და კვლავ ჩაძინებულს ისევ აღვიძებდა.

ახლა ქალბატონ კოტარს მართლა ეძინა. «ჰეი! ლეონტინა! ხვრინავ?» – დაუყვირა პროფესორმა. «არა, ჩემო მეგობარო, ვუსმენ რას ლაპარაკობს ქალბატონი სვანი», – სუსტი ხმით უპასუხა ქალბატონმა კოტარმა და ისევ ლეთარგიაში ჩავარდა. «რა უაზრობაა! – წამოიძახა კოტარმა, – ახლა იმის მტკიცებასაც მოჰყვება, რომ არ ეძინა. იმ პაციენტებივითაა, მიღებაზე მოსულნი რომ მიმტკიცებენ, საერთოდ არ გვძინავსო». «ასე ჰგონიათ», – ღიმილით თქვა ბატონმა დე კამბრემერმა. მაგრამ ექიმს ისევე უყვარდა საწინააღმდეგოს თქმა, როგორც დაცინვა, და განსაკუთრებით, როდესაც ვინმე უმეცარი ბედავდა მასთან მედიცინაზე ლაპარაკს. «არ შეიძლება ეგონოთ, რომ არ სძინავთ», – შეუვალი ტონით განაცხადა მან. «აჰ!» – პატივისცემის ნიშნად თავი დაუხარა მარკიზმა, როგორც ძველად კოტარი იზამდა. «კარგად ჩანს, – განაგრძობდა კოტარი, – რომ თქვენ არ გქონიათ შემთხვევა ტრიონალინი ორ გრამამდე გაგეზარდათ და ძილი მაინც ვერ გამოგეწვიათ». «მართლაც ასეა, – თვითკმაყოფილი სიცილით უპასუხა მარკიზმა, – არასდროს მიმიღია ტრიონალინი, არც ერთი სხვა გამაბრუებელი საშუალება, რომელიც მალე კარგავს ეფექტს, კუჭს კი გისპობთ. როდესაც მთელ ღამეს, ჩემსავით, ნადირობაში ატარებ შანტეპიში, გარწმუნებთ, დასაძინებლად ტრიონალი არ გჭირდება». «ამის თქმა მხოლოდ უმეცრებს შეუძლიათ, – უპასუხა პროფესორმა – ტრიონალი ხანდახან შესანიშნავად მოქმედებს ნერვულ სისტემაზე, ტონუსს ამაღლებს. ტრიონალზე ლაპარაკობთ, იცით კი რა არის?» «გაგონილი მაქვს... რომ საძილე საშუალებაა». «თქვენ არ უპასუხეთ ჩემს შეკითხვას, – განაგრძო იმ პროფესორის კილოთი ექიმმა, რომელსაც კვირაში სამჯერ უნივერსიტეტში «გამოცდა» ჰქონდა. – მე თქვენთვის არ მიკითხავს, ეს საძილე საშუალებაა თუ არა, მე გკითხეთ: რა არის ეს? შეგიძლიათ მითხრათ რამდენ წილ ამილს, რამდენ წილ ეთილს შეიცავს?». «არა, – უპასუხა გაჭირვებაში ჩავარდნილმა დე კამბრემერმა, – ერთი ჭიქა არაყი ან თუნდაც პორტვეინ-345 მირჩევია». «რომლებიც ათჯერ უფრო ტოქსიკურნი

არიან», – შეაწყვეტინა პროფესორმა. «ტრიონალს რაც შეეხება, – გაიბრდა და უთხრა ბატონმა დე კამბრემერმა, – ჩემი ცოლია მაგ ყველაფერზე ხელის მომწერი, უკეთესი იქნება, მას თუ დაელაპარაკებით». «რომელმაც ალბათ იმდენივე იცის მის შესახებ, რამდენიც თქვენ. მოკლედ, თქვენი ცოლი თუ ტრიონალს იღებს ძილისთვის, ჩემს ცოლს, როგორც ხედავთ, ეს სულაც არ სჭირდება. ლეონტინ, გაინძერი! ასე სახსრების გაშეშება დაგემართება. გინახავს ოდესმე, რომ ვახშმის შემდეგ დამძინებოდეს? სამოცი წლის რაღას იზამ, თუ ახლა უკვე ბებერივით გძინავს? ჩაფუშფუშდები, მოძრაობას შეწყვეტ... არ ესმის!». «ცუდია არა, ჯანმრთელობისთვის ჩაძინება ვახშმის შემდეგ? – თქვა ბატონმა დე კამბრემერმა, რომ თავის რეაბილიტაცია მოეხდინა

კოტარის თვალში. – კარგად ჭამის შემდეგ უნდა ივარჯიშოს, იაროს ადამიანმა». «უჰ! ზღაპრები! – უპასუხა ექიმმა. – ერთი და იმავე რაოდენობის საკვები ამოიღეს იმ ძაღლის კუჭიდან, რომელიც უძრავად იწვა და იმ ძაღლის კუჭიდანაც, რომელიც დარბოდა, და აღმოჩნდა, რომ პირველის საჭმლის გადამუშავება უკეთესი იყო, ვიდრე მეორისა». «მაშ, ძილი უშლის ხელს საკვების გადამუშავებას?» – «გააჩნია, საქმე ოსოფაგიკულ, სტომაქალურ თუ ინტესტინალურ გადამუშავებას ეხება; აზრი არ აქვს თქვენთვის ამის ახსნას, ვერ გაიგებთ, რადგან სამედიცინო განათლება არ მიგიღიათ. ლეონტინ! წინ... ნაბიჯით იარ! წასვლის დროა». ეს არ იყო მართალი, რადგან ექიმი ისევ კარტის თამაშს განაგრძობდა, მაგრამ მტკიცედ გადაეწყვიტა, ამ მუნჯის ძილისთვის ასე უხეშად შეეშალა ხელი, რომელსაც კი მიმართავდა, მაგრამ პასუხს ვეღარ იღებდა თავის უმეცნიერულეს არგუმენტებზე. ან იმის გამო, რომ ძილის მდგომარეობაში მყოფი ქალბატონი კოტარი განაგრძობდა ძილთან ბრძოლას, ან იმიტომ, რომ სავარძელი ვერ სთავაზობდა სათანადო დასაყრდენს, მისი თავი მექანიკურად ხან მარცხნიდან მარჯვნივ, ხან კი ზემოდან ქვემოთ იხრებოდა, გაუხშოებულ სივრცეში ინერციით მოძრავი საგანივით და იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ხან მუსიკას უსმენდა, ხან კი აგონიაში ვარდებოდა. იქ, სადაც

ექიმის უფრო და უფრო მგზნებარე შთაგონებანი ვერას გახდა, თავისივე სისულელის შეგრძნებამ მიაღწია სასურველ მიზანს. »ჩემი აბაზანა საკმაოდ თბილია... – ჩურჩულებდა ის, – მაგრამ ლექსიკონის ბუმბულები... – წამოიძახა და წელში გაიმართა. – ო, ღმერთო ჩემო, რა სულელი ვარ! რას ვბოდავ! ჩემს ქუდზე ვფიქრობდი და რაღაც სისულელე წამოვროშე, ლამის იყო ჩამეძინა, სულ ამ წყეული ცეცხლის ბრალია». ყველას გაეცინა, რადგან ცეცხლი არ ენთო.

«დამცინით ხომ? – თქვა ქალბატონმა კოტარმა, თავის თავზე თვითონვე ეცინებოდა, შუბლზე ხელი ჰიპნოტიზიორის ან იმ ქალის მსუბუქი მოძრაობით გადაისვა, თმას რომ ისწორებს და ძილის ყოველგვარი ნიშანწყალი განდევნა, – მინდა მდაბლად ბოდიში მოვუხადო ქალბატონ ვერდიურენს და მისგან სიმართლე შევიტყო». მაგრამ ღიმილი მსწრაფლვე ჩაუქრა, როგორც კი პროფესორმა, კარგად რომ უწყოდა, ცოლი მისთვის თავის მოწონებას ცდილობდა და ეშინოდა, ვაითუ არ გამომივიდესო, უყვირა: »სარკეში ჩაიხედე, ისე ხარ გაწითლებული, თითქოს აკნეს გამონაყარი გაქვს, ბებერ გლეხის ქალს ჰგავხარ». «იცით, ძალიან მომხიბვლელია, ბატონ კოტარის, – თქვა ქალბატონმა ვერდიურენმა, – უბოროტო დაცინვის არაჩვეულებრივი თვისება აქვს. და კიდევ ჩემი ქმარი სამარის კარიდან გამოაბრუნა, როდესაც მედიცინის მთელმა ფაკულტეტმა სიკვდილი მიუსაჯა. სამი ღამე მის სასთუმალს არ მოსცილებია, არ უძინია. აგრეთვე კოტარი ჩემთვის, და ეს კარგად მოგეხსენებათ, – დაამატა ძალიან სერიოზული, თითქმის მუქარიანი ტონით და ხელი თავისი ჭაღარა კულულებიანი, მუსიკალური ყვრიმალებისკენ ასწია, თითქოს ვინმე ექიმს წყენინებას უპირებდა, – წმინდათა წმინდაა! მას შეუძლია ყველაფერი ითხოვოს, რაც უნდა. მე მას ექიმ კოტარს კი არ ვეძახი, არამედ ექიმ ღმერთს! და ასეთი წოდებითაც ვაკნინებ,

რადგან ღმერთი, შესაძლებლობის ფარგლებში, მხოლოდ უბედურებისგან გვიხსნის ხოლმე, რომლებზეც პასუხისმგებელი სხვაა». «კოზირს

ჩადით», – უთხრა ბედნიერი სახით ბარონმა დე შარლიუმ მორელს. «ვცადოთ კოზირი». – თქვა მევიოლინემ. «ჯერ მეფეს უნდა ჩასულიყავით, – უთხრა დე შარლიუმ, – დაბნეული ხართ, მაგრამ მაინც რა კარგად თამაშობთ!». «ლამაზი კაცია», – უპასუხა პროფესორმა. «ეს რაებია, ეს სახრეები? – იკითხა ქალბატონმა ვერდიურენმა და ბატონ დე კამბრემერს ბუხრის თავზე არაჩვეულებრივად ნაკვეთ გერბზე მიუთითა. – ეს თქვენი გერბია?» – დაუმატა აბუჩად ამგდები ირონიით. «არა, ეს არაა ჩვენი გერბი. – უპასუხა მარკიზ დე კამბრემერმა, – ჩვენი გერბი ოქროს ფონზე ურთიერთგადაჯვარედინებული სამი ხაზია, თითოეულს ხუთ-ხუთი კბილა აქვს და კბილანების ბოლოს ოქროს სამყურა ჯვარია. არა, ეს არაშპელების გერბია, ჩვენი პირდაპირი წინაპრები არ არიან, მაგრამ სახლი მათგან გადმოგვეცა სამემკვიდროდ და ჩვენ, ჩემს პირდაპირ წინაპრებს, აქ არასდროს არაფრის შეცვლა არ მოგვდომებია. არაშპელების (ოდესღაც პელვილენებად იწოდებოდნენ) გერბზე ხუთი ბლაგვი ხიმინჯია გამოსახული ოქროს ფონზე. როდესაც ფეტერნში გადმოსახლდნენ, მათი გერბი შეიცვალა, მაგრამ ოციოდე გადაჯვარედინებული პატარა ოქროს ჯვრის მარჯვნივ ყარყუმის მანტია მაინც დარჩა». «ეგრე მოუხდება», – ხმადაბლა თქვა ქალბატონმა კამბრემერმა. «ჩემი დიდი ბებია არაშპელების გვარიდან იყო, თუ გნებავთ დე რაშეპელების, რადგან ძველ სიგელ-გუჯრებში ორივე გვარი მოიხსენიება, – განაგრძობდა ბატონი დე კამბრემერი, თან ჭარხალივით გაწითლდა, რადგან მისმა ცოლმა ზიზღი ამოანთხია და ეშინოდა, ქალბატონ ვერდიურენს ეს სიტყვები, რომლებიც სულაც არ იყო მისთვის გამიზნული, თავის თავზე არ მიეღო. – ისტორია მოგვითხრობს, რომ XI საუკუნეში პირველი არაშპელი, მასე, პელვილენად წოდებული, გასოცარი სიმარჯვით თხრიდა მიწიდან ხიმინჯებს ალყების დროს. აქედან წამოვიდა ზედსახელი არშეპელი და თან აზნაურობაც მიიღო და როგორც ხედავთ, ხიმინჯები საუკუნეების განმავლობაში დარჩა გერბში. ამ ხიმინჯებს არჭობდნენ, მაპატიეთ გამოთქმა, და შესთხრიდნენ ხოლმე ციხესიმაგრეების

გარშემო, რომ უფრო აუღებელი გაეხადათ. ეს სწორედ ის ხიმინჯებია, თუ ჯოხები, სახრეები, როგორც თქვენ ბრძანეთ, რომელთაც არავითარი კავშირი არა აქვთ ლა ფონტენის მოძრავ ჯოხებთან. ისინი ციხესიმაგრის გადაულახავ ჯებირებად მიიჩნეოდნენ. ცხადია, ეს ახლა სასაცილოდ მოჩანს თანამედროვე არტილერიის გათვალისწინებით. მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ საქმე XI საუკუნეს ეხება». «თანამედროვეობა აკლია, – თქვა ქალბატონმა ვერდიურენმა – მაგრამ კოშკურების წვეტებში კი იკითხება ხასიათი». «ისეთი კარტი მოგდით, რომ პირდაპირ... ტრულაილაა, – თქვა კოტარმა, ამ თავის საყვარელ სიტყვას მოლიერისას უნაცვლებდა. – იცით რატომაა წკენტის მეფე სამხედრო საქმეებს ჩამოცილებული?». «არ ვისურვებდი მის ადგილას ყოფნას. – თქვა მორელმა, რომელსაც სამხედრო სამსახური მობეზრებოდა. «აჰ! ცუდი პატრიოტი!» – წამოიძახა დე შარლიუმ, თავი ვეღარ შეიკავა და მორელს ყურზე უბწკინა. «არა თქვენ არ იცით რატომაა წკენტის

მეფე სამხედრო სამსახურს ჩამოცილებული, – განაგრძობდა ხუმრობას კოტარი, რომელიც ძალიან აფასებდა თავის ოხუნჯობებს, – იმიტომ, რომ მხოლოდ ერთი თვალი აქვს». «თქვენ ძლიერ მოწინააღმდეგესთან გაქვთ საქმე დაჭერილი, – უთხრა ბატონმა დე კამბრემერმა, რათა კოტარისთვის ეჩვენებინა, რომ იცოდა, ვინ იყო ის. «ეს ახალგაზრდა კაცი გასაოცარია, – შეაწყვეტინა ბარონმა დე შარლიუმ და მორელზე მიუთითა. – ღმერთივით თამაშობს». ეს აზრი მაინცდამაინც არ მოეწონა ექიმს და უპასუხა: «ვნახოთ, ვნახოთ... ცბიერი, ცბიერი დედაკაცი». «ქალი კოზირი», – ტრიუმფალურად გამოაცხადა მორელმა, რომელსაც ბედი სწყალობდა. ექიმმა დამარცხების ნიშნად თავი ისე მოიდრიკა, რომ აღიარებდა მოწინააღმდეგის უპირატესობას და მოჯადოებულმა აღიარა: «მშვენიერია!». – ძალზე კმაყოფილნი დავრჩით ბარონ დე შარლიუსთან ერთად ვახშმობით», – უთხრა ქალბატონმა დე კამბრემერმა ქალბატონ ვერდიურენს. «ადრე არ იცნობდით? საკმაოდ სასიამოვნო, უცნაური, სხვა ეპოქის ადამიანია» (გაუჭირდებოდა მიენიშნებინა, რომელი

ეპოქის), – უპასუხა ქალბატონმა ვერდიურენმა დახვეწილობის მოყვარე, მსაჯული, ოჯახის დიასახლისის კმაყოფილი ღიმილით. ქალბატონმა დე კამრემერმა სენ-ლუსთან ერთად ფეტერნში მიმიწვია. აღფრთოვანებული წამოძახილისგან თავი ვერ შევიკავე, როდესაც ფორთოხლისფერი ლამპიონის მსგავსი მთვარე დავინახე მუხების ხეივნის თავზე, ციხესიმაგრიდან რომ იწყებოდა. «ეს ჯერ არაფერია; ცოტა ხანში მთვარე უფრო მაღლა რომ აიწევს და ველს გაანათებს, ათასჯერ უფრო ლამაზი იქნება. აი, რა არ გაქვთ ფეტერნში!» – უთხრა ქედმაღლური ხმით ქალბატონ დე კამბრემერს, რომელმაც აღარ იცოდა რა ეპასუხა, არ უნდოდა თავის მამულის დაკნინება, განსაკუთრებით კი მდგმურის თვალში. «კიდევ დიდხანს აპირებთ ამ მხარეში დარჩენას?» – ჰკითხა ბატონმა დე კამბრემერმა ქალბატონ კოტარს; ამ კითხვაში ქალის თავისთან მიპატიჟების ბუნდოვანი სურვილიც კრთებოდა, ოღონდ ჯერჯერობით ზუსტი თარიღის დათქმის გარეშე. «ოჰ, ბატონო, ბავშვების გამო ყოველწლიურად ვაწყობ ამ გადასახლებებს. შეიძლება ძალიან პრიმიტიული მოგეჩვენოთ, მაგრამ დაბეჯითებით მიმაჩნია, რომ მათთვის აუცილებელია სუფთა ჰაერზე ყოფნა და არავითარი სხვა მკურნალობა ამას ვერ შეცვლის და ამაში ვერავინ გადამარწმუნებს. მათი პაწაწა დრუნჩები უკვე სრულიად შეიცვალა. უნივერსიტეტს სურდა ვიშიში გავეგზავნე, მაგრამ იქ სუნთქვა არ შეიძლება, ისე ცხელა, ჩემს კუჭს კი მერე მივხედავ, ეს ბიჭუნები რომ გაიზრდებიან. და კიდევ, პროფესორს იმდენი საქმე აქვს ამ გამოცდებით გამო და თან სიცხესაც ვერ იტანს. მიმაჩნია, რომ მასავით მთელი წელი მუხლჩაუხრელად მშრომელ ადამიანს ხანგრძლივი დასვენება ეკუთვნის. ყველა შემთხვევაში, ერთი თვე კიდევ დავრჩებით». «აჰ! მაშ, კიდევ შევხვდებით». «სხვათა შორის, აი, კიდევ რატომ უნდა დავყოვნდე აქ: ჩემი ქმარი სავუაში უნდა წავიდეს და მხოლოდ თხუთმეტი დღის შემდეგ დაბრუნდება, შემდეგ კი ადგილიდან ფეხმოუცვლელად დაისვენებს». «ველის ხედი უფრო მომწონს, ვიდრე ზღვისა, – განაგრძობდა

ქალბატონი ვერდიურენი. – მშვენიერი დარი გექნებათ უკან დაბრუნებისას». «უნდა ვნახო, ეტლები თუა მზად, რადგან ამ საღამოს აუცილებლად გინდათ ბალბეკში დაბრუნება, – მომმართა ქალბატონმა ვერდიურენმა, – თუმცა მე ვფიქრობ, რომ ამის არავითარი აუცილებლობა არაა. ხვალ დილით გაგიშვებდით მანქანით. ნამდვილად კარგი ამინდი იქნება. გზაც მშვენიერია.» ვუპასუხე, ეს შეუძლებელია-მეთქი. «მაგრამ ყოველ შემთხვევაში ჯერ არაა წასვლის დრო. – თქვა დიასახლისმა – აცალეთ ისხდნენ, აქ ჯდომა სჯობს ერთი საათით ადრე სადგურში მისვლას. და თქვენ, ჩემო პატარა მოცარტო, – მიმართა მორელს, რადგან პირდაპირ ბატონ დე შარლიუს ვერ გაუბედა – ხომ არ დარჩებოდით? მშვენიერი ოთახები გვაქვს ზღვის ხედით». «არ შეუძლია, – ყურადღებიანი მოთამაშის მაგიერ, რომელსაც არ გაუგონია ქალბატონი ვერდიურენის კითხვა, უპასუხა ბარონმა დე შარლიუმ, – არ შეუძლია, რადგან მხოლოდ შუაღამემდე აქვს მიცემული ვადა. უნდა დაბრუნდეს და დაიძინოს, როგორც ჭკვიანმა და გამგონე ბიჭმა», – დაუმატა მან მფარველური, მანერული, დაჟინებული კილოთი, თითქოს სადისტურ უდიდეს სიამოვნებას ნახულობდა ამ უვნები შედარების ხმარებისას, ხაზს უსვამდა ყველა სიტყვას, რომელიც მორელს ეხებოდა, თითქოს ხელით ვერ ეხება და სიტყვებით ეფათურებაო.

ქადაგებამ, რომლითაც მე მომმართა ბრიშომ, ბატონ დე კამბრემერს აფიქრებინა, რომ დრეიფუსარი ვიყავი. რადგან თვითონ თავგადაკლული ანტიდრეიფუსარი იყო, მტრისადმი თავაზიანობის გამო ვიღაც ებრაელი პოლკოვნიკის ქება-დიდებას შეუდგა, რომელიც ყოველთვის ძალიან სამართლიანი ყოფილა მისი ერთ-ერთი ბიძაშვილის, შევრენის, მიმართ და მისთვის დამსახურებული დაწინაურებისთვისაც შეუწყვია ხელი. «ჩემს ბიძაშვილს კი აბსოლუტურად საწინააღმდეგო აზრები ჰქონდა», – თქვა ბატონმა დე კამბრემერმა, არ ახსნა, რა

აზრებს გულისხმობდა, მაგრამ მივხვდი, რომ ეს აზრები ისეთივე ძველი და მოღრეცილი იყო, როგორც მისი სახე, აზრები, რომელიც ოდითგანვე მოსდგამს პატარა პროვინციული ქალაქების ზოგიერთ ოჯახს. «კეთილი! იცით, მისი მხრიდან ეს ძალიან ლამაზად მიმაჩნია!» – დაასკვნა ბატონმა დე კამბრემერმა. ამ სიტყვას, «ლამაზი», ის ესთეტიკური მნიშვნელობით არ ხმარობდა, დედისა და ცოლისგან განსხვავებით, რომელთათვისაც «ლამაზი» ხელოვნების ნიმუშს ნიშნავდა, თუმცაღა ორივესთვის სხვადასხვა ნიმუშს. ბატონი დე კამბრემერი ამ განსაზღვრებას უმეტეს წილად იმ შემთხვევაში იყენებდა, როდესაც, მაგალითად, მოხდენილ ქალს, ცოტა რომ მოსუქებულიყო, შეხვედრისას ეტყოდა: «როგორ მოიმატეთ სამი კილო ერთ თვეში? იცით ძალიან ლამაზია!». გამაგრილებელი სასმელები მოგვართვეს მაგიდაზე. ქალბატონმა ვერდიურენმა მამაკაცებს შემოგვთავაზა, თვითონვე მოვმსახურებოდით თავს და ის სასმელი აგვერჩია, რაც ყველაზე მეტად გვიყვარდა. ბარონმა დე შარლიუმ დალია თავისი ჭიქა, სწრაფად მიბრუნდა კარტის მაგიდასთან და მერე ფეხი აღარ მოუცვლია. ქალბატონმა ვერდიურენმა ჰკითხა: «გასინჯეთ ჩემი ფორთოხლის სასმელი?» ბარონმა დე შარლიუმ ნარნარი ღიმილით, ტუჩების პრანჭვით, თეძოების შერხევით, კრისტალური კილოთი, რომელიც იშვიათად ჰქონდა, უპასუხა: «არა,

მეზობელი ქალი ვარჩიე, მგონი, მარწყვის, ჩინებულია». უცნაურია, რომ ზოგიერთი შინაგანი განცდა, ლაპარაკის მანერით ანდა ჟესტიკულაციით მჟღავნდება. თუ ვინმე ბატონს სჯერა უბიწო ჩასახვა ან დრეიფუსის უდანაშაულობა, ანდა სამყაროთა მრავალრიცხოვნობა და სურს ამის თაობაზე დუმდეს, არც მის ხმაში, არც მის მოქმედებაში არაფერი გამოაჩენს მის აზრებს. მაგრამ ბარონი დე შარლიუს წვრილი ხმით ნათქვამის – «არა, მე მეზობელი ქალი ვარჩიე» – გაგონებისას, რომელსაც ღიმილი და ხელის მოძრაობა დაურთო, შესაძლებელი იყო ისეთივე დარწმუნებით გვეთქვა, რომ ძლიერი სქესი უყვარდა, როგორც მოსამართლეს გამოაქვს განაჩენი პატიმრისთვის, რომელიც დანაშაულს არა და არ აღიარებს,

ანდა როგორც ექიმი ხვდება, რომ პაციენტს დამბლა ემუქრება, თუმცა შესაძლოა ამ უკანასკნელს ეჭვიც კი არ ჰქონდეს, რომ ავადაა, და მისი დარღვეული მეტყველების მიხედვით ასკვნის, რომ სამ წელიწადში გარდაიცვლება. შესაძლოა, ამ ნათქვამი ფრაზიდან – «არა, მე მეზობელი ქალი ვარჩიე» – იმის ამოცნობას, რომ კაცს ეგრეთ წოდებული არანორმალური, ანტიფიზიკური, სიყვარულისკენ აქვს მიდრეკილება, დიდი მეცნიერული ცოდნა არ სჭირდება. მაგრამ აქ არის უფრო პირდაპირი დამოკიდებულება საიდუმლოსა და მის გამომამჟღავნებელ ნიშნებს შორის. როდესაც მომხიბვლელი და მოღიმარი ქალბატონი კეკლუცად გპასუხობთ, გაურკვევლად გრძნობთ, რომ ის მზადაა თქვენს, ანუ მამაკაცის, მკლავებში აღმოჩნდეს, მაშინ როდესაც კაცის მხრიდან ამგვარი კეკლუცობა უჩვეულოა. და უფრო მადლიანი იქნებოდა გვეფიქრა, რომ უკვე დიდი ხნიდან ანგელოზის დარი ქალების რაღაც რაოდენობა, შეცდომით, მამრობითი სქესისთვის მიუკუთვნებიათ, და განდევნილნი ამაოდ აფართხუნებენ ფრთებს და კვლავ კაცებისკენ მიისწრაფვიან, რომელთაც მათ მიმართ ფიზიკური ზიზღი აქვთ და უკუაგდებენ, მათ კი მშვენივრად შეუძლიათ სალონების მოწყობა და «შინაური» გარემოს შექმნა. ბარონ დე შარლიუს სულაც არ აწუხებდა, ქალბატონი ვერდიურენი ფეხზე რომ იდგა და არხეინად განაგრძობდა სავარძელში ჯდომას, მორელთან უფრო ახლოს რომ ყოფილიყო. «როგორ გგონიათ, – უთხრა ქალბატონმა ვერდიურენმა ბარონს, – დანაშაული არაა, რომ ეს ადამიანი, რომელსაც ვიოლინოზე დაკვრით ჩვენი მოხიბვლა შეუძლია, კარტის სათამაშო მაგიდას უჯდეს? ის ხომ საოცარი მევიოლინეა!» «ის კარტსაც კარგად თამაშობს, ყველაფერს კარგად აკეთებს, ის ისეთი ჭკვიანია», – თქვა ბარონმა დე შარლიუმ, რომელიც კარტის თამაშს აკვირდებოდა და თან რჩევას აძლევდა მორელს. უნდა აღინიშნოს, რომ მარტო ეს არ გახლდათ იმის მიზეზი, ქალბატონ ვერდიურენს სავარძელში მჯდომარე რომ ესაუბრებოდა. მისი საზოგადოებრივი ცნობიერება წარმოადგენდა თავისებურ ამალგამას, სადაც საზოგადოებრივი

ცნობიერება ხელოვნების მოყვარული ადამიანისა ერწყმოდა მედიდური ბატონისას, რის გამოც, იმის მაგივრად, რომ ყოფილიყო ისეთივე თავაზინი, როგორც მისი წრის სხვა ადამიანები, სენ-სიმონისეული სულისკვეთებით ქმნიდა ცოცხალ სურათებს, ახლა ის იმით ერთობოდა, რომ მარშალ ჰაქსელს განასახიერებდა, რომელიც სხვა თვისებებითაც აინტერესებდა, ყვებოდნენ, რომ მისი ამპარტავნება იქამდეც

მიდიოდა, თავს ისეთ ნებიერად გრძნობდა, რომ საჭიროდ არ მიაჩნდა ფეხზე წამომდგარიყო თუნდაც სამეფო კარის უმაღლესი რანგის წარმომადგენლების წინაშე. «მითხარით, შარლიუ, – უთხრა ქალბატონმა ვერდიურენმა, რომელიც უკვე გაშინაურებას უწყებდა, – თქვენს გარეუბანში ვინმე გაკოტრებული ძველი არისტოკრატი ხომ არ გეგულებათ, ჩემთან შვეიცარად რომ ემუშავა?». «კი როგორ არა... კი... – კეთილი ღიმილით უპასუხა შარლიუმ, – მაგრამ არ გირჩევთ». «რატომ?». «ვშიშობ, რომ თქვენი უელეგანტურესი სტუმრები, შევეიცარი ქოხის აქეთ აღარ წამოვლენ». ეს მათი პირველი შეხლა-შემოხლა გახლდათ. ქალბატონმა ვერდიურენმა ძლივს შეიკავა თავი. ამას, სამწუხაროდ, შემდეგიც მოჰყვა პარიზში. ბარონი დე შარლიუ ძველებურად განაგრძობდა თავის სკამზე ჯდომას. ოდნავ შესამჩნევმა ღიმილმა გადაურბინა სახეზე, როდესაც დარწმუნდა, რომ მისმა საყვარელმა მაქსიმებმა არისტოკრატიის პრესტიჟისა და ბურჟუაზიის სიმხდალეზე, კარგად მოახერხა ქალბატონი ვერდიურენის დამორჩილება. მფარველი ქალბატონი სულაც არ გაუკვირვებია ბარონის პოზას და მხოლოდ მაშინ დატოვა ბარონი, როდესაც დაინახა და შეშფოთდა, რომ ბატონი დე კამბრემერი გამშორდა. მაგრამ მანამდე ბარონი დე შარლიუსა და გრაფინია მოლეს ურთიერთობებზე შუქის მოფენა მოისურვა. «თქვენ მითხარით, რომ ქალბატონ დე მოლეს იცნობთ. დადიხართ მასთან?» – ჰკითხა ისე, რომ სიტყვებში «დადიხარ მასთან» იგულისხმა: გრაფინია თუ იღებდა შინ ბარონს და თვითონაც თუ შეეძლო მასთან მისვლის ნებართვის მოპოვება. ბარონმა დე შარლიუმ წამღერებით, ხმაში ქედმაღლობით და ხაზგასმულად უპასუხა:

«დიახ, ხანდახან ვარ ხოლმე.» ამ «ხანდახანმა» ეჭვი აღუძრა ქალბატონ ვერდიურენს და ჰკითხა: «შეხვედრიხართ მასთან ჰერცოგ გერმანტს?». «აჰ! არ მახსენდება». «აჰ! არ იცნობთ ჰერცოგ გერმანტს?». «კი მაგრამ, როგორ არ უნდა ვიცნობდე?! – უპასუხა ბარონმა დე შარლიუმ, სიცილით ტუჩები მოებრიცა. ირონიული სიცილი იყო, მაგრამ რადგან ბარონს ეშინოდა, ოქროს კბილი არ გამომიჩნდესო, ღიმილის ეს ხაზი შეამცირა და კეთილმოსურნედ აქცია. «რატომ ამბობთ, როგორ არ უნდა ვიცნობდეო?». «იმიტომ რომ, ჩემი ძმაა», – დაუდევრად თქვა ბარონმა დე შარლიუმ და ქალბატონი ვერდიურენი სრულ გაოგნებასა და გაუგებრობაში ჩაძირული დატოვა, რადგან ეს უკანასკნელი ვერ მიმხვდარიყო, სტუმარი დასცინოდა თუ მართლა იყო ჰერცოგის შვილი, ან უკანონო, ან მეორე ქორწინებიდან. რადგან თავში არ მოსდიოდა აზრი, რომ ჰერცოგი გერმანტის ძმას შესაძლოა სხვა გვარი, დე შარლიუ, ჰქონოდა. ჩემკენ გამოემართა და მითხრა: «ახლახან გავიგონე, რომ ბარონმა დე კამბრემერმა ვახშმად დაგპატიჟათ. ჩემთვის ეს, როგორც უწყით, სულერთია. მაგრამ, თქვენი ინტერესებიდან გამომდინარე, გირჩევთ, არ წახვიდეთ. ჯერ ერთი, მოწყენილობისგან მოკვდებით, თუ ყველასთვის უცნობ პროვინციალ გრაფებთან და მარკიზებთან ვახშმობის მოყვარული არ ხართ, და თუ ხართ, მაშინ გზა დამილოცია». «ვალდებული ვარ, ერთი-ორჯერ შევუარო. მე მთლად თავისუფალი არ გახლავართ, რადგან ჩემი ახალგაზრდა ბიძაშვილი არ შემიძლია მარტო დავტოვო ხოლმე (ვფიქრობდი, რომ ალბერტინთან ეს მოგონილი ნათესაობა გამიადვილებდა მასთან ერთად საზოგადოებაში გამოჩენის შესაძლებლობას). კამბრემენებთან უკვე

წარდგენილი მყავს...». «როგორც გსურთ, ისე მოიქეცით. მხოლოდ ის შემიძლია გითხრათ, რომ იქაურობა უკიდურესად საშიშია ჯანმრთელობისთვის; თუ ფილტვების ანთებას აიკიდებთ ან შთამომავლობითი რევმატიზმი შეგაწუხებთ, კარგი იქნება, არა?». «კი მაგრამ მშვენიერი ადგილია, არა?». «უჰ! კეთილი, თუ ეგრე გინდათ. მე გულახდილად ვაღიარებ, რომ აქედან

დაბლობზე გადაშლილი ხედი ასჯერ უფრო მომწონს. ჯერ ერთი, იქ არ ვიცხოვრებდი, აქეთ რომ მოეცათ ფული, რადგან ბატონი ვერდიურენისთვის ზღვის ჰაერი დამღუპველია. თქვენი ნათესავი ქალიშვილი ნერვიულია... თუმცა, მგონი, თქვენც ნერვიული ხართ... სულის ხუთვა გემართებათ ხოლმე... შემდეგ მთელი კვირა აღარ დაგეძინებათ, და თქვენს თავს დააბრალეთ». არც კი უფიქრია, რომ მისი ახალი ფრაზა წინა ნათქვამთან წინააღმდეგობაში მოდიოდა, განაგრძო: «თუ სახლის ნახვა გინდათ, სახლი არაა ცუდი, ვერ ვიტყოდი ლამაზია-მეთქი, ეს მეტისმეტი იქნებოდა, მაგრამ საინტერესოა, ძველი მიწათხრილით ასაწევი ხიდებით, იმ დღეს მიდით, როდესაც მეც ვიქნები ვახშმად, ერთხელ როგორმე გავუძლებ, მოდით იმ დღეს, მე კი შევეცდები მთელი ჩემი პატარა «ჯგუფი» წამოვიყვანო, ძალიან კარგი იქნება. ზეგ არამბუვილში მივდივართ ეტლით. გზა მშვენიერია, იქ მშვენიერი სიდრია. წამოდით. ბრიშო, თქვენ ხომ მოდიხართ და სკი, თქვენ? პიკნიკი იქნება. ჩემმა ქმარმა ამისთვის ყველაფერი უკვე მოამზადა. მხოლოდ არ ვიცი, ვინ დაპატიჟა. ბარონო დე შარლიუ, თქვენ ხომ ხართ მოპატიჟებული?» ბარონს არ ესმოდა ჩვენი ლაპარაკი, ვერ მიხვდა, რომ არამბუვილში მგზავრობაზე იყო ლაპარაკი და ადგილზე შეხტა. «უცნაური შეკითხვაა!» – წაიბურდღუნა თავისთვის, რითაც ქალბატონი ვერდიურენი შეურაცხყოფილი დარჩა და მე მომიბრუნდა: «იცით რა, კამბრემერებთან სტუმრობამდე, ჩვენთან მოგეყვანათ თქვენი ბიძაშვილი. უყვარს საუბარი? უყვარს ინტელიგენტი ადამიანები? სასიამოვნო ადამიანია? ჰოდა, კარგი, მშვენიერია! მოდით მასთან ერთად. ამქვეყნად მხოლოდ კამბრემერები ხომ არ არიან. ვიცი ისინი ბედნიერები იქნებიან თქვენი ნათესავის თავისთან მიწვევით, მათთან ხომ არავინ დადის. აქ კი ყოველთვის ამოისუნთქებს, ინტელიგენტ ხალხს შეხვდება. ვიმედოვნებ, რომ მომავალ ოთხშაბათს არ დამაღალატებთ. გავიგე, რომ რივებელში თქვენს ბიძაშვილთან, დე შარლიუსთან და კიდევ არ ვიცი ვისთან ერთად აპირებთ სამხრობას. იქიდან ჩვენთან გამოიარეთ. რა სასიამოვნო იქნება,

თუ მთელი კომპანიით მოხვალთ. გაცნობებთ – უკეთესს ვერ ინატრებთ, გზა მშვენიერია, გნებავთ ეკიპაჟს გამოგიგზავნით. არ მესმის, რა გიზიდავთ რივბელში? იქ ხომ კოღოების ღრუბლებია. ალბათ ბევრს მოგიყვნენ იქაურ გალეტებზე, ჩემი მზარეული ბევრად უკეთესად აცხობს. გაგიმასპინძლდებით ნორმანდიული გალეტებით ნამდვილი ფრხვიერი ნამცხვრებით, ეჭვი არ შეგეპაროთ, ჩემთან იმ საშინელებას არ მიირთმევთ, ჩემს სტუმრებს ვერ მოვწამლავ, რომ მომენდომებინა მოწამვლა, ჩემი მზარეული არაფრით არ გამოაცხობდა ამ სისაძაგლეს, თუ არადა ახალი ადგილის შოვნა მოუწევდა თავისთვის. გაუგებარია, რით აკეთებენ იქ ამ გალეტებს. ვიცნობდი საბრალო გოგონას, რომელსაც ამ გალეტების გამო

პერიტონიტი დაემართა და სამ დღეში გარდაიცვალა. მხოლოდ 17 წლისა იყო, საწყალი დედამისი, – დაამატა ქალბატონმა ვერდიურენმა ისეთი სევდიანი იერით, რომ მწუხარება საფეთქლებამდე აუვიდა. – მაგრამ თუ არ იშლით, გაემგზავრეთ რივბელში, თუ ყელის ჩაკაწვრა და ფულის ქარისთვის გატანება გართობთ. ოღონდ გემუდარებით, შეასრულოთ მისია, რომელიც განდეთ: ზუსტად 6 საათზე ყველა აქ მომიყვანეთ, შინ არავინ გაგექცეთ, არ დაგეფანტონ. ვინც გნებავთ, ის წამოიყვანეთ. ამას ყველას კი არ ვეუბნები. დარწმუნებული ვარ, რომ თავაზიანი მეგობრები გყავთ. ვგრძნობ, რომ ერთმანეთს უცბად გავუგებთ. ჩვენი პატარა «ბირთვის» გარდა, ოთხშაბათს ფრიად სასიამოვნო ხალხი შეიკრიბება. არ იცნობთ ქალბატონ ლონგპონს? მომაჯადოებელია და ჭკუით სავსე, არა, სნობი სულაც არაა, ძალიან მოგეწონებათ, აი, ნახავთ. მანაც თან მეგობრების მთელი ამალა უნდა მოიყვანოს. – დაამატა ქალბატონმა ვერდიურენმა, რომ ამ კარგი ტონის მაგალითით მეც წავექეზებინე. – ვნახოთ, თქვენ შორის რომელს უფრო დიდი გავლენა გაქვთ და რომელი უფრო მეტ ხალხს მოიყვანთ, ბარბ დე ლონგპონი თუ თქვენ. თუ არ ვცდები, ჩემთან ასევე ბერგოტი უნდა მოიყვანონ, – გაურკვეველი იერით დაამატა ქალბატონმა ვერდიურენმა, დილის გაზეთების ინფორმაციით ამ დიდი მწერლის

ჯანმრთელობა გაუარესებულიყო, რაც საეჭვოდ ხდიდა ვერდიურენებთან მის გამოჩენას. – მოკლედ, ნახავთ ჩემს წარმატებულ «ოთხშაბათობას», მოსაბეზრებელ ქალებს არ შემოვუშვებ. მხოლოდ დღევანდელი საღამოს მიხედვით ნუ იმსჯელებთ – ის ნამდვილად არ შედგა. არ შემეკამათოთ, თქვენ ჩემზე მეტად მოიწყინეთ, მეც ძალზე მოსაბეზრებლად მეჩვენა. იცოდეთ, ასეთი რამ აღარ განმეორდება! მარტო დე კამბრემერებს კი არ ვგულისხმობ – ისინი აუტანელები არიან, მე ვიცნობ მაღალი წრის ხალხს, თავი სასიამოვნო ადამიანებად რომ მოაქვთ! – და რა მერე?! ჩემი «ბირთვის» გვერდით ისინი არარანი არიან. გავიგონე თქვენი შეფასება სვანზე, როგორც ინტელიგენტზე, უპირველეს ყოვლისა, ძალიან გადაჭარბებულად მეჩვენება, თუნდაც მხედველობაში ნუ მივიღებთ მის ხასიათს, რომელიც ყოველთვის არსებითად ანტიპათიურად, გულჩათხრობილად მიმაჩნდა, ის ხომ ხშირად ვახშმობდა ჩემთან ოთხშაბათობით. ვისაც გინდათ კითხეთ, ბრიშოს გვერდითაც კი, – რომელიც სულაც არაა მფრინავი არწივი, უფროსი კლასების კარგი პედაგოგია, რომელსაც მაინც ვუშოვე სამსახური ინსტიტუტში, – სვანი არარაობა იყო. ისეთი უფერული იყო!» ვცადე საწინააღმდეგო აზრი გამომეთქვა, მან კი ასე მიპასუხა: «ასეა. მე მართალი ვარ. მის საწინააღმდეგოდ არაფრის თქმა არ მინდა, რადგან თქვენი მეგობარია, თანაც მართლა ძალიან უყვარხართ, ისე დახვეწილად საუბრობდა თქვენზე, მაგრამ ჰკითხეთ ამათ, ერთხელ მაინც თუ წამოსცდენია რამე საინტერესო ჩვენი ვახშმობისას. აქაურობა კი ოქროს აღმოსაჩენი საცდელი ქვასავითაა. არ ვიცი რატომ, მაგრამ სვანი ჩემთან... არაფერი, არაფერი გამოვიდა. და ის მცირედი, რითაც თავს იწონებს, სწორედ აქედან აიღო!» ვუმტკიცებდი, რომ ძალიან ინტელიგენტი ადამიანი იყო. «არა. ამას იმიტომ ამტკიცებთ, რომ ჩემზე ბევრად გვიან გაიცანით. სინამდვილეში, ძალიან მალე გახდა მოსაბეზრებელი. საშინლად მწყინდებოდა მასთან (ეს ნიშნავდა, რომ სვანი ხშირად იყო ლა ტრემოიებთან და გერმანტებთან,

თუმცა კარგად იცოდა, რომ მე იქ არ დავდიოდი). ყველაფრის ატანა შემიძლია, მოწყენილობის

გარდა. აჰ! ოღონდ ეს არა!». მოწყენილობის შიში გამხდარიყო ახლა იმის მიზეზი, რასაც შეეძლო აეხსნა მისი პატარა ϰგუფის შემადგენლობა. ϰერ კიდევ არ იღებდა ჰერცოგინიებს, რადგან არ ძალუძდა მოწყენილი ყოფილიყო, ისევე როგორც ზღვის ავადმყოფობის შიშით, ზღვით მოგზაურობაზე ამბობდა უარს. გავიფიქრე, რომ ქალბატონი ვერდიურენის ნათქვამში იყო სიმართლის მარცვალი, რადგან გერმანტები აცხადებდნენ, რომ ბრიშოს მსგავსი სულელი ϰერ არასდროს შეხვედრიათ, მე კი მთლად დარწმუნებული არ ვიყავი, რომ შინაგანად თვით სვანზე მაღლა თუ არა, გერმანტების სულით გაჟღენთილ ხალხზე მაღლა იდგა, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ კარგი გემოვნება, სხვათა შორის, იმაში ვლინდებოდა, რომ წამოწითლების გარეშე არ მოესმინათ მისი პედანტური გამონაგონები, მე კი, პორ-რუაიალის გავლენის ქვეშ მყოფი ქრისტიანივით, მთელი სერიოზულობით რომ ცდილობს, შეიცნოს რა არის წყალობა, ვცდილობდი რაღაც დონემდე მაინც მომეფინა ნათელი კითხვისთვის, რომელიც არ მასვენებდა, თუ რა იყო ინტელექტუალურობა. «თავად ნახავთ, – განაგრძო ქალბატონმა ვერდიურენმა, – მაღალი საზოგადოების წევრები ჩვენნაირ, ნამდვილ ინტელექტუალებს შორის მოხვდებიან თუ არა, მაშინვე თავს ამჟღავნებენ: მათ შორის ყველაზე ჭკვიანი და გონიერიც კი, მხოლოდ ბრმათა შორის ანათებს, ხოლო ჩვენ შორის, მხოლოდ ცალთვალობას თუ სϰერდებიან. სხვა წრის ადამიანები მათ წინაშე თავს შებოჭილად გრძნობენ. ჰოდა, აი, უნებურად თავში ერთმა აზრმა გამიელვა: იმის მაგივრად, რომ რაღაც ჭრელი საზოგადოება შევყარო, მათგან კარგს მაინც არაფერს უნდა ელოდე, ამ მოსაწყენი და ერთნაირი ადამიანების რიგ-რიგობით განუწყვეტლივ დაპატიჟების ნაცვლად, ისე მოვიქცევი, რომ ჩემი პატარა «ϰგუფით» მართლაც დავტკბე. ასე რომ, თქვენ, თქვენს ბიძაშვილთან ერთად მოხვალთ. შევთანხმდით. ძალიან კარგი. ყოველ შემთხვევაში, აქ ორივეს დაგაპურებენ. ფეტერნში, ხომ მაინც შიმშილი და წყურვილი სუფევს. არა, ვირთხები თუ გიყვართ, მაშინ შეგიძლიათ დაუყოვნებლივ გაემგზავროთ, სიამოვნებით

გაგიმასპინძლდებიან. რამდენ ხანსაც მოისურვებთ, იმდენ ხანს დარჩებით, მაგრამ შიმშილით მოკვდებით. ასე რომ, გამგზავრებამდე მე მაინც კარგად ვივახშმებდი. უფრო მეტი მხიარულებისთვის კი წასვლის წინ გამომიარეთ. როგორც საჭიროა, ისე წავიხემსებთ და დაბრუნებისას ვივახშმებთ კიდეც. ვაშლის ღვეზელი გიყვართ? მაშ, შემიძლია გითხრათ, რომ ჩვენი მზარეული ვაშლის ღვეზელს ისე აკეთებს, როგორც არავინ. ხომ ხედავთ, მართალი ვიყავი, როდესაც გეუბნებოდით, რომ აქ აუცილებლად უნდა გეცხოვრათ. ასე რომ, მობრძანდით და იცხოვრეთ. იცით, აქ იმაზე ბევრად მეტი ფართობია საცხოვრებლად, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. ამას მაინცდამაინც არ ვახმაურებ, ის მოსაწყენი ხალხი რომ არ მოვიზიდო. შეგეძლოთ აქ თქვენს ბიძაშვილთან ერთად გეცხოვრათ. აქ, ბალბეკში უფრო სუფთა ჰაერით შეუძლია ისუნთქოს ადამიანმა. დაბეϰითებით ვიტყვი, რომ ამ ჰაერზე უნუგეშო ავადმყოფებიც მომირჩენია. გეფიცებით, ნამდვილად მომირჩენია, და თანაც მხოლოდ

გუშინ და დღეს კი არა. უწინ ხომ აქედან სულ ახლოს ვცხოვრობდი, ის ადგილი მე თვითონ აღმოვაჩინე, და თანაც რაღაც ერთი ნაჭერი პურის ფასად; სულ სხვა რამაა, იმათ რასპალიერს კი არ ჰგავს. როცა გავისეირნებთ, აუცილებლად გაჩვენებთ. ვაღიარებ, რომ ჰაერი აქაც კი ჯანსაღი და ცხოველმყოფელია. ამაზე ბევრი ლაპარაკიც არ მინდა, ვინძლო პარიზელებს არ შეუყვარდეთ ეს მშვენიერი კუთხე. საერთოდ, ასეთი ბედი მაქვს. მოკლედ, უთხარით თქვენს ბიძაშვილს. ორ მშვენიერ ოთახს დაგითმობთ ხეობის მხარეს, დილაობით ბურუსიდან ამოწვერილ მზეს დაინახავთ! და ეს რობერ დე სენ-ლუ, ვისზეც თქვენ ლაპარაკობდით, ვინ არის? – იკითხა შეშფოთებული სახით, გაიგო, რომ მასთან, დონსიერში ვაპირებდი წასვლას და შიშობდა, ხელიდან არ გავეშვი. – ჯობს აქ წამოიყვანოთ, თუ, რა თქმა უნდა, ეგეც მოსაწყენი ადამიანი არ არის. მახსოვს, მორელი ახსენებდა; მგონი, მისი ახლო მეგობართაგანი უნდა იყოს», – თქვა მადამ ვერდიურენმა და აშკარად იცრუა, რადგან სენ-ლუმ და მორელმა ერთმანეთის არსებობის

შესახებაც კი არაფერი იცოდნენ. როდესაც გაიგო, რომ სენ-ლუ ბარონ დე შარლიუს იცნობდა, წარმოიდგინა, რომ ისინი ერთმანეთს სწორედ მევიოლინემ გააცნო, და ახლა ძალიან უნდოდა თავი ყოვლისმცოდნედ მოეჩვენებინა. «შემთხვევით მედიცინას ხომ არ სწავლობს, ან ლიტერატურას? იცით, რეკომენდაციები თუ დაგჭირდებათ გამოცდებზე, კოტარს ყველაფერი შეუძლია, რასაც მოვისურვებთ, იმას გააკეთებს. აკადემია კი, მე მგონი, მოგვიანებით უნდა გადავწყვიტოთ, ახლა ჯერ შესაფერისი ასაკი არ აქვს, მაგრამ მაინც იცოდეთ, რომ იქ რამდენიმე ხმა ჩემია. თქვენი მეგობარი აქ თავისიანებს შორის იქნებოდა და სახლის ნახვაც გაამხიარულებდა. დონსიერში ხომ საინტერესო არაფერია. ბოლოს და ბოლოს, თქვენ როგორც მოისურვებთ ისე მოიქცევით, როგორც თქვენთვის უკეთესი იქნება», – დაასკვნა მან და აღარ ჩამციებია, ალბათ არ უნდოდა შეტყობოდა, რომ ნაცნობებს მაღალ საზოგადოებაში ეძებდა, და კიდევ იმიტომ, რომ მმართველობის ის წესი, რომელსაც თავისი ერთგული ადამიანების მიმართ იყენებდა, ანუ ტირანია, მისივე ნება-სურვილის თანახმად თავისუფლებად უნდა ყოფილიყო წოდებული. «რა დაგემართა? – ჰკითხა ბატონ ვერდიურენს, რომელიც, სალონის გვერდით, ხეობის თავზე გამავალი ფიცარნაგიანი ტერასისკენ მიდიოდა და თან მოთმინებადაკარგული ადამიანივით იქნევდა ხელებს, ერთი შეხედვით ისე ჩანდა, თითქოს გულმოსულს სული ეხუთება და სუფთა ჰაერზე გასვლას ლამობსო. – ისევ სანეტმა გაგაბრაზა? მაგრამ ხომ იცი, რომ იდიოტია, შეეგუე და თავს ამ მდგომარეობაში ნუ იგდებ. არ მსიამოვნებს, – მომმართა მე, – მისთვის საშიშია, ძალიან ცუდად ხდის. თუმცა, ისიც კარგად მესმის, რომ სანეტის ასატანად ხანდახან ანგელოზის ხასიათია საჭირო; მაგრამ უნდა გახსოვდეთ, რომ სანეტის მიღებით დიდ მადლიან საქმეს ვაკეთებთ. ისე, შემიძლია ვაღიარო, რომ მისი ეს თვალსაჩინო სიბრიყვე პირადად მე ძალიან მამხიარულებს. ვახშმის მერე ალბათ გაიგონეთ, რა თქვა: «ვისტი არ ვიცი, მაგრამ სამაგიეროდ როიალზე ვუკრავო». ხომ მშვენიერია! შესანიშნავად ენამახვილობს და

თანაც ცრუობს: არც ვისტი იცის და არც როიალზე უკრავს. მაგრამ ჩემი ქმარი, მიუხედავად მკაცრი იერისა, ძალიან გულჩვილი და კეთილია, და სანეტის ამ ეგოისტურ ქცევას, როდესაც სულ ცდილობს, რომ სხვაზე შთაბეჭდილება მოახდინოს, ჩემი ქმარი მოთმინებიდან გამოჰყავს. კარგი, ძვირფასო, დამშვიდდი, კოტარმა ხომ გითხრა, რომ ნერვიულობა შენი ღვიძლისთვის ძალიან მავნებელია. და თანაც, მერე ყველაფერმა ისევ ჩემს კისერზე უნდა გადაიაროს». – მომიტრიალდა ქალბატონი ვერდიურენი. – ხვალ განერვიულებული სანეტი მოვა და წაიტირებს. საწყალი! ძალიან ავად არის. თუმცა, ეს იმის უფლებას არ აძლევს, რომ სხვებს სიცოცხლე მოუსწრაფოს. მაშინაც კი, როცა ძალიან წუხს და უნდა უთანაგრძნო, თავისი სიბრიყვის გამო ამის საშუალებას არ გაძლევს. ოჰ, რა სულელია! შენც რბილად უთხარი, რომ ეს სცენები არ გსიამოვნებს და თანაც, მერე თქვენზე, ორივეზე ცუდად მოქმედებს, უთხარი აღარ მოვიდეს; სწორედ მაგის ეშინია, და ეს სიტყვები, ბოლოს და ბოლოს, დამაწყნარებელივით იმოქმედებს მის აშლილ ნერვებზე.» – წყნარად ეუბნებოდა ქალბატონი ვერდიურენი თავის ქმარს.

მარჯვენა მხარეს ფანჯრებიდან ზღვა თითქმის აღარ მოჩანდა. მარცხენა ფანჯრებიდან კი კარგად ვხედავდით მთვარის შუქით თოვლივით თეთრად განათებულ დაბლობს. დროდადრო მორელისა და კოტარის ხმები აღწევდა ჩვენამდე. «კოზირი გაქვთ?» «Yes». «ჰო! ვერაფრით გაგახარებთ», – უპასუხა მორელის კითხვაზე მარკიზმა, რომელმაც დაინახა, რომ ექიმს ხელში ბევრი კოზირი ეჭირა. «აი, აგურის ქალი, – თქვა ექიმმა, – ესეც კოზირია, ხომ იცით? ჰოპ, და კლავს, ჰოპ, და მიჰყავს. მაგრამ «სორბონი» აღარ არის. – მიმართა ექიმმა ბატონ დე კამბრემერს; მხოლოდ პარიზის უნივერსიტეტიღა დარჩა». დე კამბრემერმა გულახდილად აღიარა, რომ ვერ მიხვდა, რატომ ეუბნებოდა ექიმი ამას. «მეგონა «სორბონზე» ლაპარაკობდით, – განაგრძო

ექიმმა. – შემომესმა, რომ ასე თქვით: «tu nous la sors bonne», დაამატა და თვალი ჩაგვიკრა, იმის ნიშნად, რომ ძალიან მახვილგონივრული კალამბური გამოუვიდა. – მოიცადეთ, და... – თქვა და თავის მოწინააღმდეგეზე მიგვითითა, – ტრაფალგარის ბრძოლის ველს მოვუწყობ». როგორც ჩანს, ექიმმა მართლაც კარგი სვლა გააკეთა, რადგან გახარებულმა, სიცილით რაღაცნაირად მინაზებულმა აიჩეჩა მხრები, რაც კოტარების «გვარში» თითქმის ცხოველური კმაყოფილების ნიშნად მიიჩნეოდა. იმის წინა თაობაში ამ მოძრაობას თან ხელების ფშვნეტაც ახლდა, ხელის დაბანას რომ მოგაგონებთ, ისეთი. კოტარი ოდესღაც ამ ორივე ჟესტს ერთდროულად აკეთებდა, თუმცა ერთ მშვენიერ დღეს ხელების ფშვნეტას თავი დაანება, მაგრამ ვისი მითითებით მოხდა ეს – მეუღლის თუ უფროსობის – დღემდე გაურკვეველია. დომინოს თამაშის დროსაც კი, როდესაც ის მოწინააღმდეგეს «ტვინის ჭყლეტას» და ორი ექვსიანის აღებას აიძულებდა, მისთვის ყველაზე დიდი სიამოვნება სწორედ მხრების აჩეჩვით მიღებული კმაყოფილება იყო. ხანდახან, ძალიან იშვიათად, როდესაც თავის მხარეში რამდენიმე დღით მიდიოდა ხოლმე და იქ, თავის რომელიმე შორეულ ბიძაშვილს ხვდებოდა, რომელიც ხელებს ჯერ კიდევ იფშვნეტდა,

დაბრუნებისას თავის ცოლს ეუბნებოდა: «საწყალი რენე, როგორ პროვინციალად დარჩა». «ეს კარტი არ გაქვთ? ასეთი მცირედი რამ არ გაგაჩნიათ? – კვლავ მორელს მიუბრუნდა. – რას ამბობთ, არა? მაშინ მე ისევ ამ ჯვრის მეფეს გავათამაშებ». «აჰ, თქვენ ხუთიანი გაქვთ, მგონი მოიგეთ!» «რა მშვენიერი გამარჯვებაა, ექიმო», – თქვა მარკიზმა. «პიროსის გამარჯვების სადარია! – უპასუხა კოტარმა მარკიზს და პენსნეს ზემოდან გადახედა; უნდოდა გაეგო, თავისი მახვილსიტყვაობით როგორ შთაბეჭდილებას ახდენდა. – «დრო თუ გვაქვს, შემიძლია რევანშის საშუალება მოგცეთ», – უთხრა მორელს. «რა, კარტი მე უნდა ავურიო... არა! ეტლი კარზეა მომდგარი, პარასკევამდე უნდა გადავდოთ, და აი, სწორედ მაშინ ისეთ ფოკუსს გაჩვენებთ, რომლის მიხვედრაც ალბათ ძალიან გაგიჭირდებათ.» ვერდიურენები ჩვენს გასაცილებლად

გამოვიდნენ. ქალბატონი სანეტის მიმართ განსაკუთრებით ალერსიანი იყო, უნდოდა მეორე დღესაც თავისთან ეხილა. «ჩემო პატარავ, მგონი საკმაოდ თბილად არ ხართ ჩაცმული, – მომმართა მე ქალბატონმა ვერდიურენმა; მას ხომ ასაკი ასეთი მშობლიური მომართვის უფლებას აძლევდა. – ჩანს, რომ ამინდი შეიცვალა». ვერდიურენის სიტყვებმა ისე გამახარა, რომ მეგონა ჯერ კიდევ სადღაც ღრმად მიჩქმალული ცხოვრება, ბუნებაში არსებული მიმალული სხვადასხვა მოულოდნელობა, უცაბედად თავს გაამჟღავნებდნენ და ჩემს ცხოვრებაში მოსალოდნელ სასიკეთო ცვლილებებს მამცნობდნენ, ახალი შესაძლებლობების გზას გამიხსნიდნენ. გაიღო თუ არა პარკისკენ მიმავალი კარი, ვიგრძენი, რომ წამიერად რაღაც სხვა «სიომ დაჰბერა»; ფიჭვნარში (სადაც ერთ დროს მადამ დე კამბრემერი შოპენზე ოცნებობდა) ზაფხულში შვების მომგვრელი, გრილი ნიავი ქროდა და თითქმის შეუმჩნევლად, ოდნავ ალერსიანად, ცოტა ჭირვეულადაც თავის მსუბუქ ნოქტიურნებს ასრულებდა. თბილ მოსასხამზე უარი ვთქვი, თუმცა მოგვიანებით, როდესაც აქ ალბერტინასთან ერთად ვსეირნობდი, ყოველთვის თან მომქონდა, არა იმდენად სიცივისგან თავის დასაცავად, არამედ უფრო ჩვენი საიდუმლო ალერსის უცხო თვალისგან დასამალად. ნორვეგიელი ფილოსოფოსის ძებნას შევუდექით, მაგრამ ამაოდ. იქნებ მუცელი ატკივდა? ან შეიძლება მატარებელზე დაგვიანების შეეშინდა? იქნებ მის წასაყვანად აეროპლანი მოფრინდა? ზეცად ხომ არ ამაღლდა? რაც არ უნდა მომხდარიყო, ცხადია, რომ შეუმჩნევლად გაქრა, როგორც რაღაც ზებუნებრივი სული. «ძალიან შეცდით, რომ ასე თხლად ჩაიცვით, – მითხრა ქალბატონმა კამბრემერმა, რაღაც ძაღლური სიცივეა». «რატომ ძაღლური?» – იკითხა ექიმმა. «სულის ხუთვას ერიდეთ, – გააგრძელა მარკიზმა. – ჩემი და საღამოობით გარეთ საერთოდ არ გამოდის. სხვათა შორის, რადგან სიტყვამ მოიტანა, ახლა თავს შეუძლოდ გრძნობს. ყოველ შემთხვევაში, ნუ იქნებით ასე თავშიშველი და ქუდი დაიხურეთ». «ეს სიცივით გამოწვეული სულის ხუთვა არ არის», –

რაღაცნაირი მაღალფარდოვნებით განაცხადა კოტარმა. «აჰ! ასე ხომ, – გამოეპასუხა მარკიზი და თან თავი დაუკრა, – ანუ ამჯერად თქვენ ამბობთ, რომ სიფრთხილე...». «სიფრთხილეს თავი არ სტკივა!» – თქვა ექიმმა და მარკიზს მისი ღიმილი კარგად

რომ დაენახა, პენსნეს ზემოდან გადმოიხედა. მარკიზმა, მართალია, გაიცინა, მაგრამ თავის სიმართლეს მაინც დაჟინებით ამტკიცებდა: «ყოველთვის, როდესაც ჩემი და საღამოობით გარეთ გამოდის, შეტევა ეწყება». «თქვენთან კამათი უსარგებლოა, – უპასუხა ექიმმა, ისე, რომ ვერც კი გააცნობიერა, რომ მისი სიტყვები თავაზიანობას იყო მოკლებული. – და თანაც, როდესაც ზღვაზე ვარ, მედიცინას აღარ მივსდევ, თუ, რა თქმა უნდა, ავადმყოფთან კონსულტაციაზე არ დამიძახებენ. ახლა მე უბრალოდ ვისვენებ». დასვენება კი იმაზე უფრო სრულფასოვანი გამოუვიდა, ვიდრე უნდოდა. დე კამბრემერმა ეკიპაჟში ჩაჯდომისას ექიმს უთხრა: «ჩვენ გაგვიმართლა: ჩვენთან ახლოს (ყურის თქვენს სანაპიროზე კი არა, მეორე უფრო ვიწრო ყურესთან), კიდევ ერთი ცნობილი ადამიანი ცხოვრობს: ექიმი დიუ ბულბონი.» კოტარმა, რომელიც დეონტოლოგიის გამო, როგორც წესი, თავისი კოლეგების კრიტიკისგან ყოველთვის თავს იკავებდა, ახლა ვერ მოითმინა და წამოიძახა, როგორც იმ, ჩემთვის საბედისწერო დღეს, როდესაც კაზინოში შევედით: «ეგ რანაირი ექიმია! მხოლოდ სამედიცინო ლიტერატურას იცნობს, მისი თერაპია ფანტასტიკის ჟანრიდან არის, წმინდა წყლის შარლატანობაა! სხვათა შორის, მასთან მშვენიერი ურთიერთობა მაქვს. აი, ახლაც, რომ არ მივდიოდე, გემში ჩავჯდებოდი და მის სანახავადაც წავიდოდი». თუმცა, მე როდესაც დავინახე, ბულბონზე ლაპარაკისას გამომეტყველება როგორ შეეცვალა, ვიგრძენი, რომ ის გემი, რომლითაც მის სანახავად წასვლას აპირებდა ასეთი სიამოვნებით, ძალიან გავდა სალერნოელი ექიმების ნავს, რომელიც მეორე ლიტერატორი-ექიმის – ვირგილიუსის – მიერ აღმოჩენილი მინერალური წყლების გასადაგურებლად გაემართა (იმანაც ხომ სხვა ექიმებს წაართვა პაციენტები) და ბოლოს იმ ექიმებთან ერთად ზღვაში

ჩაიძირა. «მშვიდობით, ჩემო საყვარელო სანეტ, აუცილებლად გვეწვიეთ ხვალ, ხომ იცით ჩემს ქმარს როგორ უყვარხართ. თქვენს მახვილგონიერებას, თქვენს ჭკუას ძალიან აფასებს; თუმცა კარგად იცით, რომ ხანდახან უხეშობა ახასიათებს, მაგრამ უთქვენოდ ცხოვრება ნამდვილად არ შეუძლია. პირველად სწორედ ამას კითხულობს: «რაო, სანეტი მოვა? როგორ მიყვარს ჩვენთან რომ მოდის!». «მსგავსი არაფერი მითქვამს», – უთხრა ვერდიურენმა სანეტს; ეს პირდაპირობა ისეთი გათამაშებული იყო, რომ ალბათ მფარველი ქალბატონის სანეტისადმი დამოკიდებულების დადასტურება უნდა ყოფილიყო. შემდეგ საათს დახედა – ეჭვგარეშეა, დამშვიდობების წუთების გახანგრძლივება არ სურდა, რადგან საღამოს ნესტიანი ჰაერი უკვე კარგად იგრძნობოდა, შემდეგ მეეტლეებს უთხრა, არ ეზოზინათ, თუმცა დაღმართებზე ფრთხილად ყოფილიყვნენ, ჩვენ კი დაგვაიმედა, რომ მატარებელზე არ დაგვაგვიანდებოდა. ამ მატარებელს ჩვენ, ანუ «ერთგულები» სათითაოდ უნდა მივეყვანეთ, ჯერ ერთ სადგურში, მერე მეორეში და ბოლოს ჩემი რიგიც დადგებოდა. ბალბეკზე შორს არავინ მიდიოდა, ხოლო პირველი კამბრემერები უნდა ჩასულიყვნენ; მათ შუაღამისას, ლა რასპელიერამდე ცხენების გამოყვანა აღარ მოისურვეს და ამიტომ ვაგონში ჩვენთან ერთად ჩასხდნენ. თუმცა მათთვის ეს სადგური არც ისე ახლოს იყო და სოფლიდანაც საკმაოდ იყო დაშორებული; მათთვის ლა სონი ბევრად უფრო მოხერხებული იყო. როდესაც დუვილ-ფეტერნში მივედით,

ფრანსუაზას თქმით, გადაწყვიტა ვერდიურენების მეეტლესთვის (რომელიც მგრძნობიარე და მელანქოლიური იდეების მქონე თავაზიანი კაცი ჩანდა) «ცოტა ფული» მიეცა; კამბრემერი დიდსულოვანი ადამიანი იყო, რითაც, როგორც ჩანს, «დედამისს ჰგავდა». მაგრამ ამჯერად ეტყობა «მამამისის მხარემ» იმძლავრა, რადგან ფეხის ქირის მიცემისას შეყოყმანდა, ეჭვგარეშეა, რაღაც შეცდომა მოხდა: ან თავად შეეშალა სიბნელეში და სუს მონეტა ფრანკის მონეტაში აერია, ანდა «დაჯილდოებულმა» მეეტლემ ამ გულუხვ გასამრჯელოს სათანადო მნიშვნელობა არ მიანიჭა.

«ხედავთ, რომ მთელ ერთ ფრანკს გაძლევთ? – მიმართა მეეტლეს და მონეტა შუქზე ააბრჭყვიალა, ისე, რომ «ერთგულებს» კარგად დაენახათ და მერე მადამ ვერდიურენისთვის ეთქვათ. – ხომ ხედავთ, მთელი ოცი სუ გამოდის, თანაც ასე მოკლე მანძილზე».

ის და მადამ კამბრემერი ლა სონში დაგვემშვიდობნენ. «ჩემს დას აუცილებლად ვეტყვი, რომ სულის ხუთვები გაქვთ, – შემპირდა. – დარწმუნებული ვარ, რომ ეს მას ძალიან დააინტერესებს.» როგორც მივხვდი, ამით იმის თქმა უნდოდა, რომ ამ ამბით თავის დას ასიამოვნებდა. რაც შეეხება მის ცოლს, როდესაც მემშვიდობებოდა, ორი ისეთნაირად შემოკლებული წინადადება მითხრა, რომელიც ჩემში წერილობით ფორმითაც კი უხერხულობას იწვევს, არათუ ზეპირმეტყველებაში, თუმცა ახლა უკვე რაღაცნაირად შევეჩვიეთ ამ დაუდევრად ნათქვამ, აუტანელ პედანტობამდე მისულ ფამილიარობას: «კმაყოფილებას გამოვთქვამ თქვენთან ერთად გატარებული საღამოს გამო, მეგობრული სალამი სენ-ლუს, როდესაც ნახავთ», – მითხრა მან. როდესაც ამას მეუბნებოდა, მადამ კამბრემერმა წარმოთქვა «სენ-ლუპ». ვერ გავიგე, ვისგან გაიგონა ასეთი წარმოთქმა, ან რატომ ეგონა, რომ ეს გვარი ასე წარმოეთქვა. ასე იყო თუ ისე, რამდენიმე კვირის განმავლობაში, ამ გვარს სწორედ ასე წარმოთქვამდა: «სენ-ლუპ», და მისი ერთი თაყვანისმცემელი, რომელიც ყოველ მის მოქმედებას მორჩილად იმეორებდა და ისიც ასე წარმოთქვამდა. როდესაც სხვები ამბობდნენ: «სენ-ლუ», ესენი, მთელი მონდომებით, ჯიუტად ამბობდნენ – «სენ-ლუპ», როგორც ჩანს, ამით დანარჩენებს მაგალითს აძლევდნენ ან ცდილობდნენ, ყველასგან გამორჩეული ყოფილიყვნენ. თუმცა, ეჭვი არ მეპარება, რომ მასზე უფრო პატივსაცემმა ქალბატონებმა პირდაპირ უთხრეს ან მიანიშნეს, რომ არასწორად წარმოთქვამდა ამ გვარს, და, რომ ის, რაც მას ორიგინალობა ეგონა, უბრალოდ შეცდომა იყო, რის გამოც მას საზოგადოებაში ნაკლებ გათვითცნობიერებული ადამიანის

სახელს უქმნიდა; ცოტა ხანში მადამ კამბრემერი უკვე «სენ-ლუს» წარმოთქვამდა და მისმა თაყვანისმცემელმაც მასთან ერთად შეწყვიტა ყოველგვარი წინააღმდეგობა, ან მადამ კამბრემერმა მისცა შენიშვნა, ან თავად მიაქცია ყურადღება იმ ფაქტს, რომ ქალბატონი ბოლო თანხმოვანს აღარ წარმოთქვამდა და თავის თავს უთხრა, რომ თუ ასეთი მნიშვნელოვანი, ასეთი ენერგიული და მსგავსი ამბიციების მქონე ქალმა თავისი პოზიცია დათმო, ეს, რა თქმა უნდა, სრულიად ცნობიერად გააკეთა. მადამ კამბრემერის თაყვანისმცემლებს შორის ყველაზე უარესი მისი ქმარი იყო. მარკიზას

ვიღაცების აბუჩად აგდება უყვარდა და ამას ხშირად ძალიან უცერემონიოდაც აკეთებდა. როდესაც თავისი დამცინავი მანერით მე ან ვინმე სხვას თავს გვესხმოდა, მისი ქმარი ამას სიცილით ხვდებოდა. რადგან მარკიზი ელამი იყო (რაც, სხვათა შორის, როგორც წესი იმბეცილებსაც კი ამხიარულებს ხოლმე), თვალის გუგა, რომელიც სხვა დროს თითქმის არ ჩანდა, სიცილის დროს, თეთრ ფონზე გადმოინაცვლებდა და თითქმის თავის ადგილს იკავებდა, გეგონებოდათ თეთრი ღრუბლებით დაფარული ზეცა იხსნებოდა და ცის სილურჯე ჩნდებოდა. ამ დელიკატურ ვითარებას მონოკლის მინა ისევე იცავდა, როგორც მინის ჩარჩო იცავს ძვირფას მხატვრულ ტილოს. ძნელი მისახვედრი იყო, რა განზრახვით იცინოდა მარკიზი: «აბა, უბადრუკო, შეგიძლია იამაყო, რომ ასეთი საოცარი გონიერებით დაჯილდოებული ქალის ყურადღების ღირსი გახდი». ანდა უფრო უკეთურად: «მაშ, რაო, ბატონო ჩემო? გსიამოვნებთ? იგემეთ სიმწარე?»; ან შეიძლება უფრო თავაზიანიც ყოფილიყო: «გახსოვდეთ, მე აქ ვარ, მხოლოდ იმიტომ ვიცინი, რომ ეს მშვენიერი ხუმრობაა, თუმცა იცოდეთ, თქვენს თავს არავის დავაჩაგვრინებ»; ან კიდევ უფრო სასტიკად: «მე აქ იმისთვის არ ვარ, რომ თქვენს ჭრილობას მარილი მოვაყარო, მაგრამ თავს ვერ ვიკავებ და სიცილით ვკვდები, როდესაც ასეთი ხუმრობებით უხვად გიმასპინძლდებიან; გიჟივით იმიტომ მეცინება, რომ ძალიან მომწონს და მხარს ვუჭერ, მე ხომ მისი ქმარი ვარ. და თუ რაიმე საწინააღმდეგოს

მოიმოქმედებთ, ჩემო ახალგაზრდა ბატონო, საქმე ჩემთან გექნებათ. ჯერ ერთი-ორჯერ გაგასილაქებთ, და თუ ესეც არ დაგაწყნარებთ, შანტეპის ტყეში დაშნით და მახვილით შევებმებით ერთმანეთს».

მარკიზის მხიარულების ინტერპრეტირება მრავალნაირად და დიდხანს შეიძლება, თუმცა მისი ცოლის ანცობას ჩქარა ესმებოდა წერტილი. მაშინ მარკიზიც წყვეტდა სიცილს, და მისი მყისიერად გამოჩენილი გუგა კვლავ სადღაც ქრებოდა, და ჩვენც, მანამდე სულ რამდენიმე წუთი გვქონდა იმისთვის, რომ მის სრულიად თეთრ თვალს გადავჩვეოდით, ახლა, კი უკვე ვხედავდით, რომ მის ღაჟღაჟა ნორმანდიულ სახეს ეს თეთრი თვალი ერთბაშად რაღაც უსიცოცხლო და ექსტატიკურ იერს აძლევდა, თითქოს მარკიზს სულ ახლახან გაუკეთეს ოპერაცია, ან თითქოსდა მისი თვალი, იქ, სადღაც, მონოკლის მიღმა ღმერთისგან წამებულის გვირგვინს ითხოვდა.

თავი მესამე

ბატონი დე შარლიუს სევდა. – მისი მოგონილი დუელი. – «ტრანსატლანტიკის» სადგურები. – ალბერტინი დაღლილია; მასთან ურთიერთობის გაწყვეტა მინდა.

ისე მეძინება, ფეხზე ძლივს ვდგავარ. ჩემს სართულამდე მელიფტის მაგივრად ელამმა შიკრიკმა ამიყვანა და მაშინვე ალაქლაქდა, რომ მისი და ისევ იმ ძალიან

მდიდარ ბატონთან ცხოვრობს, რომ ერთ მშვენიერ დღეს, იმის მაგივრად, ჭკუა ეხმარა და ბატონთან დარჩენილიყო, სახლში დაბრუნება მოინდომა; ბატონმა კი მოძებნა ელამი შიკრიკის დედა, მისი იღბლიანი ნაშიერნიც, და დედამ ეს გადარეული სასწრაფოდ ისევ თავის პატრონს ჩააბარა. «ერთი განახათ, ბატონო, ჩემი და ნამდვილი ქალბატონია. პიანინოზე უკრავს, ესპანურად ლაპარაკობს. ვერ დაიჯერებთ, რომ ის იმ უბრალო მოსამსახურის დაა, რომელსაც ახლა ზევით აჰყავხართ, საკუთარ თავს უარს არაფერზე ეუბნება; ამ ქალბატონს თავისი მოახლე ჰყავს, არ გამიკვირდება, თუ ერთ დღეს ეტლსაც გაიჩენს. ნეტავ, იცოდეთ, რა ლამაზია; მეტისმეტად მედიდური კია, მაგრამ რას იზამ, ქალბატონია – არც გასაკვირია, მის ადგილას ყველა გაამაყდებოდა. თანაც რა ოხუნჯია. სასტუმროდან ისე არ წავა, კარადაში ან კომოდში არ მოისაქმოს და მცირე სუვენირად არ დაუტოვოს მოახლეს, რომელსაც მერე მისი წმენდა უწევს. ზოგჯერ ეტლშიც ასე იქცევა; მეეტლეს გადაუხდის და მოშორებით იმალება, იქიდან უთვალთვალებს, როგორ ასუფთავებს მეეტლე ეკიპაჟს და უკანასკნელი სიტყვებით ილანძღება. მამაჩემსაც გაუმართლა. ოდესღაც ინდოელი პრინცი გაიცნო, მერე ბედმა ისევ ინება მათი შეხვედრა, ოღონდ ამჯერად ჩემი უმცროსი ძმის გამო ექლირსა პრინცს. ცხადია, ეს სულ სხვა საქმიანობაა, მაგრამ ჩემი ძმის

ცხოვრება საუცხოოდ აეწყო. ოღონდ ეს მოგზაურობები რომ არ ყოფილიყო, უკეთესს ვერაფერს ინატრებდა. ერთი მეღა დავრჩი ცარიელ-ტარიელი, მაგრამ, კაცმა არ იცის, ხვალ რა მოხდება. ჩემი ოჯახი ქუდბედიანთა ოჯახია. ერთ მშვენიერ დღეს, იქნებ, რესპუბლიკის პრეზიდენტიც კი გავხდე, ვინ იცის? რამდენი გელაქლაქეთ (მე ხმა არ ამომიღია; მისი ყბედობისას, ცოტას დარჩა, არ ჩამეძინა). ღამე მშვიდობისა, ბატონო. ოო! მადლობელი ვარ, ყველა თქვენსავით გულუხვი რომ იყოს, ღარიბები აღარ იქნებოდნენ. თუმცა ჩემი და ამბობს, ღარიბები საჭიროა, ახლა მდიდარი ქალი ვარ და ვიღაცის თავზე ხომ უნდა მოვისაქმოო. მომიტევეთ ამ გამოთქმისთვის. ღამე მშვიდობისა, ბატონო».

ყოველ საღამო რომ ვიძინებთ, შეიძლება ამით საკუთარ თავს ტანჯვისთვისაც ვწირავთ, მაგრამ მიჩვეული ვართ, ვიფიქროთ, რომ არ ვიტანჯებით, რომ ეს სულაც არ იყო ტანჯვა, რადგან ძილში ვიტანჯებოდით; ძილი კი ჩვენი არაცნობიერი მდგომარეობაა. თუ ლა რასპელიერიდან ძალიან გვიან საღამოს ვბრუნდებოდი, უცბად მეძინებოდა. როგორც კი აცივდა, მალევე ჩაძინებას ვეღარ ვახერხებდი, რადგან ბუხარში დანთებული ცეცხლი ისე გიზგიზებდა, ოთახს, როგორც ლამპა, ისე ანათებდა. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი აალება გახლდათ და, როგორც ლამპის ნათება, როგორც დღის სინათლე საღამოს დასაწყისისას, ბუხრის მცხუნვარე ალიც მალე ქრებოდა; და ძილში, როგორც მეორე სახლში, ისე შევდიოდი, სადაც პირველი სახლიდან, მთელი დღე რომ გავატარე, დასაძინებლად მოვედი. აქ განსაკუთრებული ზარებია, ზოგჯერ ძილში აშკარად მოგვესმის მათი მკვეთრი ხმა და გვაღვიძებს, თუმცა არავის დაურეკავს. აქ თავისი მსახურები ჰყავთ, სტუმრებიც მოდიან და მიდიან, მაშინ, როცა ადგომას ვაპირებთ, ერთი უეცარი გადაფრენით თითქოს მეორე

სახლში, დღის სახლში, გადავდივართ და ვრწმუნდებით, რომ ოთახი ცარიელია და არც არავინ მოსულა. იქ მცხოვრებთა ტომი, მსგავსად

პირველი ადამიანებისა, ორსქესიანია. მამაკაცი წამიერად დედაკაცის ასპექტით წარმოგვიდგება. საგნებს უნარი აქვთ, ადამიანებად იქცნენ, მეგობარ და მტერ ადამიანებად. დრო, რომელიც ძილში გადის და რომელშიც მძინარე ადამიანი სიზმრებს ხედავს, მკვეთრად განსხვავდება დროსგან, რომელშიც ვფხიზლობთ. ზოგჯერ იგი უფრო სწრაფადაც გადის, დღე ისე ქრება, როგორც მეოთხედი საათი, ზოგჯერ კი ძალიან ნელა; გვგონია, ოდნავ ჩავთვლიმეთ, არადა, თურმე მთელი დღე გვეძინა. ძილის ეტლით ისეთ სიღრმეებში ჩავდივართ, სად შეღწევაც მეხსიერებისთვის შეუძლებელია, ოდნავ მიახლოებული გონება იძულებულია, უკან დაბრუნდეს. ძილის ცხენებშებმული ეტლი, მსგავსად მზის ცხენებშებმული ეტლისა, თანაბარი ნაბიჯით შედის ისეთ ატმოსფეროში, სადაც უმცირეს წინააღმდეგობასაც არ ხვდება, მხოლოდ ჩვენთვის უცნობი აეროლითის[139] რამდენიმე პატარა ნამსხვრევს (ვიღაც უცნობმა ციდან რომ ისროლა?) თუ აქვს ჩვენი ძილის დონემდე მოღწევის უნარი (სხვანაირად შეჩერებას აზრი ეკარგება და საუკუნეების განმავლობაში არ შეაჩერებს თავის მოძრაობას), რათა აიძულოს იგი, მკვეთრად შებრუნდეს უკან, სინამდვილისკენ, გადაიაროს ყველა ეტაპი, სიცოცხლის მეზობელ რეგიონებს გადაუაროს და მძინარე ადამიანი გამოღვიძების ნაპირს მიაყენოს, საიდანაც ჯერ ბუნდოვანი, მაგრამ უკვე გასარჩევი, თუმც არათანაბრად აღსაქმელი ხმაური გვესმის. აი, ასეთი ღრმა ძილის შემდეგ განთიადისას გვეღვიძება, ვერ ვხვდებით, ვინ ვართ, რას წარმოვადგენთ, განახლებული ვიღვიძებთ, ყველაფრისთვის მზად ვართ, წარსულისგან, სადაც აქამდე ვცხოვრობდით, გათავისუფლებული გონებით. იქნებ, უკეთესიც კია, რომ გამოღვიძების ნაპირს უეცრად მივადგებით ხოლმე, რადგან დავიწყების სამოსელს მიფარებული ძილში მოგვრილი აზრები, ვიდრე ჯერ ძილი არ შემწყდარა, ვეღარ ასწრებენ ერთიმეორის მიყოლებით უკან დაბრუნებას. და აი, მრისხანე შავი ღრუბელი, როგორადაც ეს გვეჩვენება, უკვე გავიარეთ (მაგრამ «ჩვენ»-ო საკუთარ თავზე ჯერ ვერ ვამბობთ. გადაშხლართული ვწევართ საწოლზე,

თავში აზრის ნატამალიც არ გვიტრიალებს და «ჩვენ» მოკლებული ვართ ყოველგვარ შინაგან შინაარსს. ეროს რა საშინელმა დარტყმამ ჩაახშო, დაადუმა ჩვენი არსება ანდა სხეული იმდენად, რომ ყველაფერი დაავიწყა, იმ წამამდე გააქვავა, როცა მოვარდნილი მახსოვრობა ცნობიერებასა და პიროვნულობას ისევ დაგვიბრუნებს? მაგრამ, ჩვეულების კანონის თანახმად, აი, ამ ორი სახის გამოღვიძების გამო არ უნდა დაგვეძინა, ღრმა ძილითაც კი, რადგან ჩვეულება აყურადებს ყოველივეს, რასაც თავის ქსელში ახვევს; აუცილებელია მისგან გათავისუფლება, იმ წამს უნდა დაიჭირო ძილი, როცა გგონია, რომ ძილზე არც ფიქრობ, მოკლედ, ძილის იმ მომენტის დაჭერაა საჭირო, როცა წინდახედულობის მეურვეობის ქვეშ ჯერ კიდევ არ მოქცეულა და არც ფიქრებთან გაუბამს იდუმალი ურთიერთობა. ყოველ შემთხვევაში, ჩემ მიერ აღწერილ გამოღვიძებებში, ლა რასპელიერში ვახშმობების შემდგომ გამოღვიძებებში, ყველაფერი ასე ხდებოდა და შემიძლია ამისი მოწმეც ვიყო, მე, უცნაურ არსებას,

რომელიც დაკეტილ დარაბებს მიღმა იმის მოლოდინით ცხოვრობს, რომ სიკვდილი გაათავისუფლებს, წარმოდგენა არ მაქვს, ქვეყანაზე რა ხდება, ბუსავით უმოძრაოდ ვზივარ და მხოლოდ ბინდ-ბუნდის დადგომისას თუ ვიწყებ რაღაცის აღქმას. ყველაფერი ზუსტად ასე ხდება და მხოლოდ ჩალის საწოლმა შეიძლება შეუშალოს ხელი მძინარეს მახსოვრობის შინაგანი დიალოგისა და ძილის უწყვეტი ლაყბობის აღქმაში. როცა (მოვლენის ეს გაელვება პირველი სახის გამოღვიძებისასაც შეიძლება დავიჭიროთ, თუმცა იგი გაცილებით ფართო არეს მოიცავს, უფრო იდუმალსა და მისტერიულს) მძინარე იღვიძებს, შინაგანი ხმა ეუბნება: «ძვირფასო მეგობარო, დღეს ვახშმად მობრძანდით. ძალიან გაგვახარებთ!» ის კი გაიფიქრებს: «დიახ, მეც ძალიან გამიხარდება. აუცილებლად მოვალ». მერე, როცა ძილი გაივლის, უცბად ახსენდება: «ექიმი ირწმუნება, რომ ბებიას რამდენიმე კვირის სიცოცხლეღა დარჩა». ზარს რეკავს, ტირის, რადგან მის ძახილზე ბებია აღარ მოვა, მისი მომაკვდავი ბებია, როგორც ოდესღაც მოდიოდა, შემოვა გულგრილი მსახური და,

ვიდრე ძილი გარე სამყაროდან შორს დაატარებდა, სადაც მოგონებები და აზრები ცხოვრობენ, ეთერში, სადაც მარტო იყო, უფრო მარტო, ვიდრე მარტოობაა, რადგან თანამგზავრიც არ ჰყავდა, თანამგზავრი, რომელშიც თავის ანარეკლს დაინახავდა, საკუთარ მეს დაინახავდა, რადგან იგი დროისა და მისი განზომილების მიღმა იმყოფებოდა. და აი, მსახურიც შემოდის, მას კი ეშინია, ჰკითხოს რომელი საათიაო, რადგან არ იცის, რომ ეძინა, არ იცის, რამდენი საათი ეძინა (საკუთარ თავს ეკითხება, იქნებ, საათები კი არა, დღეები მეძინაო. სხეული დაქანცული აქვს, სული – მშვიდი, გული კი, შორეული, მაგრამ ხანმოკლე მოგზაურობიდან დაბრუნებული ადამიანივით, სამშობლოზე ფიქრის ნაღველით სავსე). ცხადია, უფლება გვაქვს, ვამტკიცოთ, რომ მხოლოდ ერთი დრო არსებობს, იმ უსაფუძვლო საბაბით, რომ, როცა საათს შევხედავთ, ვრწმუნდებით, თურმე მხოლოდ მეოთხედი საათია გასული, არადა, ასე გვგონია, მთელი დღე გავიდა. იმ მომენტში, როგორც კი ამაში დავრწმუნდებით, უკვე ფხიზლები ვართ და გაღვიძებული ხალხის დროის მსვლელობაში ჩაფლული, ჩვენ უკვე იმ სხვა დროიდან წამოსული ვართ. შეიძლება არამარტო სხვა დროიდან, სხვა ცხოვრებიდანაც. სიამოვნებები, რომელთაც ძილის დროს განვიცდით, არ შეიძლება, სინამდვილის დროს განცდილ სიამოვნებებთან ერთ რიგში დავაყენოთ. ვნებიანი სიამოვნებებიდან შეიძლება ერთი უბრალო მაგალითი მოვიყვანოთ: გამოღვიძებისას რომელ ჩვენგანს არ უგრძნია პატარა სინანული, რომ ძილში განცდილი სიამოვნების, გადაქანცვის შიშით განახლება და დღის ბოლომდე გაგრძელება აღარ შეგვიძლია. ეს დაკარგულ ქონებას ჰგავს. სიამოვნება სხვა ცხოვრებაში მივიღეთ და იგი ჩვენ არ გვეკუთვნის. მართალია, ჩვენს ბიუჯეტში ძილის ტანჯვა და სიხარული შემოგვაქვს (იმწამსვე რომ უჩინარდება, როგორც კი ვიღვიძებთ), მაინც ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ბიუჯეტში არ შედის.

ორ დროზე ვილაპარაკე; შეიძლება, ერთიც არსებობდეს, არა იმიტომ, რომ ფხიზელი ადამიანის დრო ერთნაირად მისაღებია მძინარისთვისაც, არამედ იმიტომ, რომ სხვა ცხოვრება, ძილის ცხოვრება, თავის ყველაზე ღრმა ნაწილში არ ემორჩილება დროის

კატეგორიას. და ეს ყველაფერი მხოლოდ მაშინ მემართებოდა, ლა რასპელიერში ვახშმობის შემდეგ ღრმად რომ მეძინა. აი, რა ხდებოდა. გაღვიძებული სასოწარკვეთამდე მივდიოდი, როცა ვრწმუნდებოდი, რომ ათჯერ დარეკვის შემდეგაც მსახური არ მოდიოდა. მეთერთმეტე დარეკვაზე გამოჩნდა. სინამდვილეში კი ეს პირველი დარეკვა იყო. წინა ათი ზარი ძილის დროს ზარის დარეკვის მცდელობა გახლდათ, რომელიც ისევ გრძელდებოდა. ჩემი გაშეშებული ხელები არც განძრეულა. რადგან ასეთ დღეებში დილით (აი, რატომ ვამბობ, რომ შესაძლოა, ძილი დროის კანონს არ ცნობს) გამოსაფხიზლებლად გაწეული ჩემი ძალისხმევა ძირითადად ძილის ბნელი, უფორმო ლოდის დაძვრის მცდელობა იყო, რომელიც ეს-ეს არის დროის ამ მონაკვეთში ჩემგან მოწყდა. ეს ადვილი ამოცანა არ არის. ძილმა არ იცის, ორი საათი გვეძინა თუ ორი დღე, ის ჩვენი ორიენტირი ვერ იქნება; და, თუ მას გარეთ ვერ ვპოულობთ, მაშინ დროის არეში ვერდაბრუნებული ისევ ვიძინებთ, ვიძინებთ ხუთი წუთით და გვგონია, სამი საათი გვეძინა.

ყოველთვის ვამბობდი – ცდებითაც შევამოწმე – რომ ყველაზე ძლიერი ძილის მომგვრელი საშუალება ძილია. მას შემდეგ, რაც ორსაათიანი ღრმა ძილის მერე ვიღვიძებთ, მას მერე, რაც უთვალავ გიგანტს ვებრძოლეთ, მას მერე, რაც სამუდამო მეგობრობა შევფიცეთ უამრავ ადამიანს, გაღვიძება გაცილებით ძნელია, ვიდრე რამდენიმე გრამი ვერონალის[140] მიღების შემდეგ. ძალიან გამაოცა ნორვეგიელი პროფესორის მსჯელობამ, რომელმაც სხვადასხვა საკითხზე ლაპარაკისას მითხრა, რომ ბერგსონის აზრი გაიზიარა, როცა «თავის სახელგანთქმულ კოლეგა – უკაცრავად – თანამოძმე ბუტრუს» უსმენდა, ეს აზრი ძილის მომგვრელი

საშუალებების ზემოქმედებით მახსოვრობის განსაკუთრებულ დარღვევას ეხებოდა. «თუ ნორვეგიელ პროფესორს დავუჯერებთ, ბერგსონს ბუტრუსთვის უთქვამს – საძილე საშუალების იშვიათად, ზომიერი დოზით მიღებისას იგი აღარ იმოქმედებს ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების მტკიცე მახსოვრობაზეო. მაგრამ მახსოვრობის სხვა სახეებიც არსებობს, უფრო ამაღლებული, ოღონდ ნაკლებად მდგრადი. ერთი ჩემი კოლეგა ძველი ისტორიის კურსს კითხულობს. მან მითხრა, რომ, თუ წინა დღით დასაძინებელი წამალი ჰქონდა მიღებული, უჭირდა იმ ბერძენი ავტორების ციტატების გახსენება, ლექციის დროს რომ სჭირდებოდა. ექიმი, რომელმაც წამალი გამოუწერა, არწმუნებდა, მახსოვრობაზე არ მოქმედებსო. «თქვენს მახსოვრობაზე არ იმოქმედებს, რადგან ბერძენი ავტორების ციტირება არ გჭირდებათ», – დამცინავად, სიამაყის გრძნობით უპასუხებია ისტორიკოსს».

არ ვიცი, ბატონი ბერგსონისა და ბატონი ბუტრუს ეს საუბარი რამდენად შეეფერება სინამდვილეს. ღრმა, ნათელი გონებითა და ყურადღებით გამორჩეულმა ნორვეგიელმა პროფესორმა, შეიძლება, კარგად ვერც გაიგო ნათქვამი. ჩემ პირად გამოცდილებას კი საწინააღმდეგო ვარაუდამდე მივყავარ. დავიწყების მომენტები, რომელიც ნარკოტიკის მიღების მეორე დღეს მოსდევს და მახსოვრობას გვიცვლის, დიდი არ არის, თუმცა შემაშფოთებელია მისი მსგავსება იმ დავიწყებასთან, რომელიც მთელი ღამის განმავლობაში ბუნებრივი ღრმა ძილის დროს გვეწვევა. ორივე

შემთხვევაში ბოდლერის ლექსი კი არ მავიწყდება, რომელიც საკმაოდ მღლის, მღლის «ისევე, როგორც ტიმპანონი»[141] ან რომელიმე ფილოსოფოსის აზრი, არამედ სინამდვილე სრულიად ჩვეულებრივი საგნებისა, რომლებიც გარს მარტყია, და იმის გამო, რომ მძინარე მათ ვეღარ აღვიქვამ, ამ დროს ჭკუაზე შეშლილისგან არაფრით განვსხვავდები. თუ ხელოვნური ძილისგან ეს-ესაა გამოვიღვიძე, პორფირიუსის[142] ან

პლოტინის[143] სისტემები კი არ მავიწყდება, მათზე ისევე კარგად შემიძლია მსჯელობა, როგორც სხვა დღეებში, არამედ მავიწყდება დაპირებული პასუხის შეტყობინება მიპატიჟებაზე, იმ ადგილას, სადაც ის უნდა დამემახსოვრებინა, მხოლოდ სიცარიელე გამეფებულა. ამაღლებული აზრი თავის ადგილზე რჩება, ხოლო საძილე საშუალებამ დროის გახსენების ქმედითი უნარი მომისპო, წამართვა უნარი, დროულად დავიჭირო ყოველდღიური ცხოვრების რომელიმე მოგონება. ტვინის ნგრევის შემდეგ სიცოცხლის გაგრძელებაზე რაც უნდა ილაპარაკონ, მე ჩემსას ვამბობ, ტვინის ქმედების ყოველ დარღვევას ორგანიზმის ნაწილობრივი სიკვდილი მოსდევს. ჩვენ ყველა მოგონებას ვინახავთ, შეიძლება მახსოვრობაში მათ აღსადგენ უნარსაც – ასე გადმოგვცემს ბერგსონის აზრს გამოჩენილი ნორვეგიელი პროფესორი. მეშინია, ისედაც გაჭიანურებული გადახვევა არ გამიგრძელდეს და აღარც ნორვეგიელის მეტყველების თავისებურებებს შევეხები. მხოლოდ უნარი იხმობს რაღაცას მახსოვრობიდან. შეიძლება მოგონებად მივიჩნიოთ ის, რისი მახსოვრობაში აღდგენაც შეუძლებელია? დავუშვათ, არ შეგვიძლია, მახსოვრობაში აღვიდგინოთ უკანასკნელი ოცდაათი წლის მოვლენები, მაგრამ ისინი ხომ ყოველი მხრიდან გარს გვეკვრის; მაშინ რატომღა შევჩერდეთ ოცდაათ წელზე, რატომ არ ჩავყვეთ განვლილ ცხოვრებას იმ დრომდე, როცა ამქვეყანაზე ჯერ არ ვიყავით? რაკი ბევრი მოგონება, რაც ჩემამდე იყო, ჩემგან დაფარულია, რაკი მათ ვერ ვხედავ, რაკი არ შემიძლია მათი გამოხმობა, მაშინ ვინღა დამიმტკიცებს, რომ ამ უცნობ მასაში, ჩემთვის რომ ამოცანად რჩება, არ არსებობს ისეთი მოგონებები, რომლებიც ჩემი ცხოვრების ზღვარს მიღმა, სხვა ადამიანში ინახება? თუ ჩემში და ჩემ ირგვლივ არსებობს მოგონებები, რომლებიც აღარ მახსოვს, მაშინ ეს დავიწყება (დავიწყება, სრულიად ბუნებრივი, რადგან გონების განათების ნიჭს ვარ მოკლებული), შეიძლება, იმ ცხოვრებასაც ეხება, რომელიც სხვა ადამიანის სხეულში გავატარე, თუ გნებავთ, სხვა პლანეტაზეც. დავიწყება ყველაფერს შლის. მაშინ სულის უკვდავება რაღას

ნიშნავს, რეალობას, რასაც ნორვეგიელი პროფესორი ამტკიცებდა? არსებას, რადაც სიკვდილის შემდეგ ვიქცევი, მიზეზი აღარ ექნება, გაიხსენოს ის ადამიანი, ვინც მე დაბადებიდან ვიყავი, აღარც ის ემახსოვრება, როგორი ვიყავი დაბადებამდე.

მსახური შემოვიდა. არ მითქვამს, რამდენჯერმე რომ დავრეკე; ვხვდებოდი, მხოლოდ მესიზმრა, რომ ზარს ვრეკავდი. შემეშინდა, რომ ჩემი ძილი მკაფიოდ გამოხატულ ცნობიერებას ფლობდა. თუ ასეა, მაშინ ცნობიერების დამახასიათებელი ხომ არ არის ძილის არარეალურობა?

სამაგიეროდ, მსახურს სხვაგვარად ვკითხე – ამ შუაღამისას ამდენს ვინ რეკავდა-მეთქი. «არავინ», მიპასუხა; თამამადაც შეეძლო ამის მტკიცება, რადგან ზარის რეკვა «ტაბლოზე» აღინიშნებოდა. მაგრამ მე რომ ასე მკაფიოდ გავიგონე ერთმანეთზე მიყოლებული, უამრავჯერ გამეორებული, თითქმის გამძვინვარებული ზარის რეკვის ხმა, რომელიც ახლაც ჩამესმის და, მისი ხმაური ყურში ალბათ, კიდევ რამდენიმე დღეს გამიგრძელდება; იშვიათად ხდება, რომ ძილმა ჩვენს ცხად ცხოვრებაში გადაისროლოს მოგონებები, ჩვეულებრივ, ისინი ძილთან ერთად უჩინარდებიან. ამ აეროლითების დათვლა შეიძლება. თუ აზრი ძილისგან არის წარმოშობილი, მაშინ იგი ძალიან სწრაფად იშლება ნამცეცებად, ძლივს შესამჩნევ ნაწილაკებად. მოცემულ შემთხვევაში ძილმა ბგერები მოამზადა; უფრო მატერიალური, უფრო მარტივი, ამიტომაც უფრო ხანგრძლივად ჟღერადი. გაოცებული დავრჩი, როცა მსახურმა მითხრა დილაა ადრიანიო. მიუხედავად ამისა, თავს კარგა დასვენებულად ვგრძნობდი. ხანგრძლივობით მხოლოდ მსუბუქი თვლემა გამოირჩევა, რადგან იგი სიფხიზლესა და ძილს შორის შუალედური რგოლია, სიფხიზლე ერთგვარად მქრქალ, მაგრამ უწყვეტ შთაბეჭდილებას ტოვებს, იგი გაცილებით მეტ დროს მოითხოვს იმისთვის, რომ დასვენება მოგვანიჭოს, ვიდრე ღრმა ძილი,

რომელიც შეიძლება ხანმოკლეც იყოს. თავს სხვა მიზეზით ვგრძნობდი კარგად, იმისთვის, რომ გააცნობიერო, რა მძიმეა დაღლილობის ტვირთი, საკმარისია, გაიხსენო, რომ დაიღალე, მაგრამ მოსვენებას რომ მიეცე, ისიც კმარა, საკუთარ თავს უთხრა: «დავისვენე». სიზმრად კი ვიხილე, რომ ბატონი დე შარლიუ ას ათი წლისა იყო და დედამისს ორიოდე სილა უთავაზა; კიდევ ქალბატონმა ვერდიურენმა იების თაიგული ხუთ მილიარდად იყიდა; და, რამდენადაც წინა დღის შთაბეჭდილებები და მიმდინარე მოვლენები სიზმარში დამახინჯებული სახით წარმომიდგა, დავრწმუნდი, რომ ღრმა ძილით მეძინა. და ეს საკმარისი აღმოჩნდა, თავი სავსებით დასვენებულად მეგრძნო.

დედაჩემისთვის რომ მეთქვა, გაოცებული დარჩებოდა, ვერაფრით გაიგებდა, რა მიზეზით მოუხშირა ბატონმა დე შარლიუმ ვერდიურენებთან სტუმრობას (ეს ზუსტად იმ დღეს მოხდა, როცა ალბერტინისთვის პატარა შლაპა შევუკვეთე, რაც მან არ იცოდა, რადგან სიურპრიზს ვუმზადებდი, ვერც იმას გაიგებდა, თუ ეტყოდნენ, ბალბეკის გრანდ-ოტელში ვისთან ივახშმა. სტუმარი კამბრემერების ერთი ნათესავი ქალის ლაქია გახლდათ. მსახური ისე ელეგანტურად იყო ჩაცმული, რომ, როცა ბარონთან ერთად ჰოლში მოდიოდა, ტურისტების თვალში, როგორც სენ-ლუ იტყოდა: «მაღალი წრის ადამიანს ჰგავდა». ახალგაზრდა შიკრიკებს, «ლევიტებს», ჯგუფ-ჯგუფად რომ ჩამოდიოდნენ ტაძრის კიბეზე, რადგან მათთვის ცვლა უკვე დამთავრებული იყო, ყურადღებაც არ მიუქცევიათ სასტუმროში ორი შემომსვლელისთვის, რომელთაგან ერთი, ბატონი დე შარლიუ, თვალდახრილი მოდიოდა და ცდილობდა, ისეთი სახე მიეღო, თითქოს ისინი ნაკლებად აინტერესებდა. შორიდან ისე ჩანდა, თითქოს მათ შორის მხოლოდ გზას მიიკვლევდა.

«კურთხეულია რჩეული ხალხის იმედი». გაახსენდა და ხმამაღლა თქვა რასინის ლექსი, რომელიც სრულიად არ შეეფერებოდა მოცემულ სიტუაციას. «რა

ბრძანეთ?» – ჰკითხა ლაქიამ, რომელიც კლასიკურ ლიტერატურაში არც ისე ძლიერი ბრძანდებოდა. ბატონმა დე შარლიუმ არ უპასუხა, მის პატივმოყვარეობას ის აამებდა, რომ შეეძლო, კითხვაზე არ ეპასუხა და სვლა ისე გაეგრძელებინა, თითქოს სასტუმროში არავინ ყოფილიყო მის გარდა, თითქოს მთელ სამყაროში არსებობდა მხოლოდ ის, ბარონი დე შარლიუ. და იოსაფეტის მონოლოგი განაგრძო: «ო, მოდით, მოდით, მომიახლოვდით, შვილნო ჩემნო, გოგონებო», თუმცა აღარ გააგრძელა, იოსაფეტივით აღარ დაუმატა, აუცილებელია მათი მოხმობაო, რადგან უცბად ზიზღი იგრძნო იმის გამო, რომ ეს უწიფარი ჭაბუკები ჯერ კიდევ არ იყვნენ იმ ასაკში, საბოლოოდ ჩამოყალიბებულნი რომ ყოფილიყვნენ, რაც ასე მოსწონდა ბატონ დე შარლიუს. ქალბატონი დე შევრენის ლაქიას წერილი მისწერა, ეჭვი არ ეპარებოდა, რომ გაუგებდა; არც იმაში, რომ დავაჟკაცებული იქნებოდა. ახლა კი, როცა ამ ლაქიას შეხედა, მეტისმეტად ქალური ეჩვენა. არც დაუმალავს – სულ სხვას ველოდიო და, მართლაც, ქალბატონი დე შევრენის ეკიპაჟში სულ სხვა ლაქია დაინახა: ნამდვილი სოფლელი ოყლაყი, ამ ტიპის სრულიად საპირისპირო; ამას კი, პირიქით, თავისი მანჭვა-გრეხა ღირსება ეგონა, ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ზუსტად მისმა მაღალი წრის მანერებმა მოხიბლა ბატონი დე შარლიუ, თანაც უცბად ვერ მიხვდა, ბარონი ვისზე ლაპარაკობდა. «მხოლოდ ერთი ამხანაგი მყავს, მაგრამ ვერ მოგხიბლავთ, უხეში და ხეპრე გლეხუჭაა». იმის გაფიქრებამ, რომ ბარონი, მგონი, იმ გაუთლელ ბიჭს გულისხმობდა, პატივმოყვარეობა შეულახა. ბარონმა ეს შეამჩნია და გამოკითხვა განაგრძო: «აღთქმა ხომ არ დამიდია, მხოლოდ ქალბატონი დე შევრენის მსახურებს გავიცნობ-მეთქი, თქვენ ბევრი სხვა ამხანაგიც გეყოლებათ, არ შეგიძლიათ, აქ ან პარიზში ვინმე გამაცნოთ, ისედაც მალე მივემგზავრები. «ოო, რას ბრძანებთ! – უპასუხა მსახურმა, – ჩემი წრიდან არავის ვიცნობ, ასეთ ადამიანებთან მხოლოდ საქმიანი ურთიერთობა მაქვს. მაგრამ შემიძლია, ძალიან დიდი ადამიანი გაგაცნოთ». «ვინ არის?» – ჰკითხა ბარონმა. «პრინცი დე გერმანტი». ბატონი დე

შარლიუ ლაქიაზე განაწყენდა, საქციელი წაუხდა, რადგან ასეთი ასაკიანი კაცი შესთავაზეს, თანაც, მოცემულ შემთხვევაში, ვიღაც ლაქიის რეკომენდაცია არ სჭირდებოდა. შემოთავაზებულ წინადადებაზე მშრალი ტონით განაცხადა უარი, ლაქია ისევ თავის ადგილს, თავის მაღალი წრის მანერებს დაუბრუნა; ხელახლა აუხსნა, რომ მას ტიპი, სტილი სჭირდებოდა, თუნდაც იგი ჟოკეი ყოფილიყო ან ვინმე სხვა. იმის შიშით, ამ დროს გამოვლილ ნოტარიუსს მათი საუბარი არ გაეგო, სასწრაფოდ ლაპარაკის თემა შეცვალა, ყველას გასაგონად, თითქოს დაწყებული საუბრის თემას აგრძელებსო, მტკიცედ განაცხადა: «დიახ, მიუხედავად ასაკისა, წვრილმანი საგნების, ლამაზი პატარ-პატარა ნივთების შეგროვების ვნება ისევ შემომრჩა, დიდ ფულს ვხარჯავ ძველებურ ბრინჯაოზე, ძველებურ ჭაღებზე. სილამაზეს ვაღმერთებ». უნდოდა, ლაქიაც მიმხვდარიყო, ასე სწრაფად რატომ შეცვალა სალაპარაკო თემა, ამიტომ ყოველ სიტყვას ხაზგასით წარმოთქვამდა, ხოლო,

ნოტარიუსს რომ გაეგო, ისე გაჰყვიროდა, მთელი ეს თამაში იკმარებდა საიმისოდ, რომ უფრო გამოცდილი ადამიანის სმენა, ვიდრე ეს სამინისტროს ჩინოვნიკის ყური იყო, მის საიდუმლოში შეჭრილიყო. ჩინოვნიკმა ვერც ვერაფერი იეჭვა, ისევე როგორც სასტუმროს სხვა ბინადრებმა, რომლებსაც მშვენივრად ჩაცმული ლაქია ელეგანტური უცხოელი ეგონათ. მაგრამ, თუ მაღალი წრის ადამიანები შეცდნენ და იფიქრეს, ეს ვინმე მდიდარი, კოხტა ამერიკელი უნდა იყოსო, სასტუმროს მსახურებმა მაშინვე ამოიცნეს, კარგა მანძილიდან იგრძნეს, ვინც იყო, ისევე როგორც კატორღელი ამოიცნობს კატორღელს, ისევე როგორც ცხოველები იკრავენ თავიანთ მსგავსთა სუნს. უფროსმა ოფიციანტებმა თვალი დაასვეს. ემემ ეჭვიანად გადახედა მათ. მსახურთუფროსმა მხრები აიჩეჩა და შეურაცხმყოფელი სიტყვები არ დაიშურა, თან პირზე ხელი აიფარა, აქაოდა, ასე უფრო თავაზიანი გამოვჩნდებიო, მაგრამ მისი სიტყვები ყველამ გაიგო. ჩვენმა ბებერმა ფრანსუაზმაც კი, რომლის თვალებიც ისე კარგად ვეღარ ხედავდა და რომელმაც ამ დროს კიბეს ჩაუარა, რათა «შიკრიკებთან» ერთად

ევახშმა, მსახურში ის შეიცნო, რაზეც სასტუმროს ბინადართ არც უფიქრიათ და სრულიად გაუაზრებლად მიიღეს თავმომწონე ბატონად, ასე მოხუცმა ძიძა ევროკლეამ[144] ორგიაში ჩართულ საქმროებზე ადრე იცნო ოდისევსი, როცა ის ბატონი დე შარლიუს გვერდით ძმაბიჭურად მომავალი დაინახა, წარბი შეიკრა, საიდანაც მხოლოდ ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლებოდა, რომ ყველა ის სისაძაგლე, რაც ბატონ დე შარლიუზე გაეგო, აქამდე რომ არ სჯეროდა, ახლა მის თვალში სამწუხარო სინამდვილედ იქცა. ამ შეხვედრაზე არც ჩემთვის და არც არავისთვის არაფერი უთქვამს, მაგრამ მის გონებაში მკვეთრი გარდატეხა კი მოხდა, მოგვიანებით, როცა პარიზში ჟიულიენს შეხვდებოდა ხოლმე, რომელიც ადრე ძალიან უყვარდა, მას თუმც თავაზიანად, მაგრამ ცივად და მეტისმეტად თავდაჭერილად ექცეოდა. სამაგიეროდ, ამ შეხვედრის შემდეგ მეორე ადამიანმა გადამიშალა გული; ეს ადამიანი ემე იყო. როცა ბატონ დე შარლიუს შევეჩეხე, ბარონმა, რომელიც აქ ჩემ ნახვას არ ელოდა, ხელი ამიწია და მომაძახა: «საღამო მშვიდობისა» იმ დიდი ბატონის მოურიდებელი იერით, რომელიც მიიჩნევს, რომ ყველაფრის უფლება აქვს და მისთვის გაცილებით ხელსაყრელია, ისეთი სახე მიიღოს, რომ დასამალი არაფერი აქვს. ემემ, რომელიც მას უნდო თვალით უყურებდა და არც ის გამოჰპარვია, მის თანამგზავრსაც რომ მივესალმე – თავად მან ის მსახურად მიიღო – საღამოს მკითხა, ვინ იყოო. საქმე ის არის, რომ ეს ერთი ხანია ემეს ჩემთან ლაპარაკი სიამოვნებდა ან, როგორც თვითონ ამბობდა, ამით უნდოდა, ხაზი გაესვა ჩვენი საუბრების ფილოსოფიური ხასიათისათვის, ჩემთან ერთად «გონივრულად ემსჯელა». ახლა ორ მოსამსახურე ბიჭთან იდგა და ლაპარაკობდა. ისინი თავის დაკვრით მომესალმნენ, საგონებელში ჩავვარდი, ვერ ვიცანი, თუმცა მათი ლაპარაკის მანერაში რაღაც ნაცნობი შტრიხები იგრძნობოდა. ემეს თურმე მათი საცოლეები არ მოსწონებია და ორივეს ტუქსავდა მათი არჩევანისთვის. დასახმარებლად მე მომმართა, უარი ვუთხარი, იმ ადამიანების მსაჯული ვერ ვიქნები, რომლებსაც არ

ვიცნობ-მეთქი. მათ თავიანთი სახელები მითხრეს; გამახსენეს რივბელში ხშირად გემსახურებოდითო. ერთს ულვაში მოეშვა, მეორეს გაეპარსა, აი, რატომ მოხდა, რომ, თუმცა მხრებზე იგივე თავები ედგათ (და არა სხვა, როგორც პარიზის ღვთისმშობლის წარუმატებელი რესტავრაციის შემდეგ), ჩემს თვალს ისინი შეუმჩნეველი დარჩა, ასე ყველაზე გულმოდგინე ჩხრეკისასაც კი შეუმჩნეველი რჩება ათასი წვრილმანი; ისინი ყველას დასანახად იქვე, ბუხრის თავზე, ყრია, მაგრამ ვერავინ ამჩნევს. მითხრეს სახელები და მაშინვე ჩემამდე მათი ხმების ოდნავ გასარჩევმა მუსიკამ მოაღწია, თვალწინ მათი უწინდელი სახეები დამიყენა, რამაც ისინი გამოკვეთა კიდეც. «დაქორწინება კი უნდათ, მაგრამ ინგლისურად ლაპარაკიც არ იციან!» – მითხრა ემემ ისე, არც უფიქრია, რომ სასტუმროს პერსონალის მოვალეობებში ნაკლებად ვიყავი გათვითცნობიერებული, არც ის ვიცოდი, რომ ადამიანს, რომელმაც უცხო ენები არ იცის, კარგი ადგილის მიღების იმედი არ უნდა ჰქონდეს. მეგონა, ემე უცბად იცნობდა მასთან სავახშმოდ ხელმეორედ მისულ ბატონ დე შარლიუს, მით უმეტეს, უნდა გაეხსენებინა, რომ მაშინაც, როცა ბალბეკში ჩემი პირველი ჩასვლისას ბარონმა მარკიზა დე ვილპარიზი მოინახულა, ის ემსახურებოდა და ემეს მისი სახელი ვუთხარი. უცნაურია, მან ბატონი დე შარლიუ ვერ გაიხსენა, მაგრამ, ეტყობოდა, მისმა სახელმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მითხრა, ხვალ მთელ ჩემს ქაღალდებს გადავქექავ, წერილს მოვძებნი და, იქნებ, მის აზრს მიმახვედროო. გაოცებული დავრჩი, ბალბეკში პირველად რომ ჩამოვედი, ბატონ დე შარლიუს ჩემთვის ბერგოტის წიგნი უნდა გამოეგზავნა და ამის გაკეთება საგანგებოდ ემეს სთხოვა, მერე პარიზის ერთ რესტორანშიც შეხვდნენ ერთმანეთს, სადაც სენ-ლუსა და მის საყვარელთან ერთად ვვახშმობდი და სადაც ბატონი დე შარლიუ ჩვენს დასაზვერად მობრძანდა. მართალია, ემემ დავალების შესრულება ვერ შეძლო, რადგან პირველ შემთხვევაში ეძინა, მეორედ კი რესტორანში მუშაობდა და მაინც, როცა მითხრა ბატონ დე შარლიუს არ ვიცნობო, მის

გულწრფელობაში ეჭვი შემეპარა. ნაწილობრივ იმიტომ, რომ ბარონს იგი უნდა მოსწონებოდა. როგორც ბალბეკის ოტელის სართულის ყველა გამგებელი, როგორც პრინც დე გერმანტის ზოგი ლაქია, ემეც ძველ მსახურთა მოდგმას ეკუთვნოდა, ამ გაგებით უფრო კეთილშობილურ მოდგმას, ვიდრე თვით პრინცი იყო. როცა რესტორანში ცალკე კაბინეტის შესაკვეთად მიდიხართ, ჯერ გგონიათ, რომ დარბაზი ცარიელია, ცოტა ხნის შემდეგ თქვენ წინ წითურთმიანი ეტრუსკული ჯიშის მონუმენტივით მეტრდოტელი აღიმართება, ეს ემე გახლავთ, შამპანურის სიყვარულმა ნაადრევად რომ ჩამოაბერა და მალე, ალბათ, კონტექსევილის წყლებზე სამკურნალოდ მოუწევდა სიარული. ყველა კლიენტი მის მომსახურებას ითხოვდა. ახალგაზრდებს, თუმც გულმოდგინედ მუშაობენ, განუწყვეტლივ აქედან გაძრომას ჩქარობენ, რადგან ქალაქში სატრფოები ელოდებიან, ემე საყვედურს არ ულევდა. სერიოზული ხალხი არა ხართო, ეუბნებოდა. ამის თქმის უფლება ჰქონდა. თვითონ სერიოზული იყო. ცოლი და შვილები ჰყავდა, მათ გამო კარგი სახელის შენარჩუნებას ცდილობდა. თუ ვინმე უცხოელი, ქალი თუ კაცი, უპირატესობას მიანიჭებდა, შემთხვევას ხელიდან არ გაუშვებდა, თუმცა მთელი ღამე ოტელში დარჩენა უწევდა.

საქმეს მუდამ პირველ ადგილზე აყენებდა. იგი იმ სტილის კაცი იყო, ბატონ დე შარლიუს აუცილებლად უნდა მოსწონებოდა, ამიტომ, როცა განაცხადა, მას არ ვიცნობო, ეჭვი შემეპარა, რომ ცრუობდა. შევცდი. გრუმმა ბარონს სიმართლე უთხრა, ემე დასაძინებლად დაწვაო (ან წავიდა), მეორედ კი – რესტორანში მუშაობსო. მაგრამ წარმოსახვა ყოველთვის როლი ვარაუდობს იმას, რაც სინამდვილეშია. გრუმის დაბნეულობამ, მიუხედავად მისი გულწრფელი ბოდიშებისა, ბატონ დე შარლიუს, ალბათ, ეჭვი გაუჩინა და ისეთი გრძნობები აღუძრა, რაზეც ემეს გუმანიც არ ჰქონდა. გვახსოვს, ალბათ, სენ-ლუმ ემე ეტლთანაც არ მიუშვა, სადაც ბატონმა დე შარლიუმ, უფალმა იცოდეს საიდან, მეტრდოტელის ახალი მისამართი გაიგო. კიდევ ერთი იმედგაცრუება

განიცადა. ადვილი წარმოსადგენია, რა გაოცებული დარჩებოდა ემე, რომელმაც ბარონის განცდების შესახებ არაფერი იცოდა, როცა იმ დღეს, სენ-ლუსა და მის სატრფოსთან ერთად რომ ვვახშმობდი, საღამოს, გერმანელების ღერბდასმული დალუქული წერილი მიიღო, საიდანაც ზოგიერთ ადგილს მოვიყვან იმის მაგალითად, რომ გავიგოთ, რა შეუძლია მისწეროს რაღაცაზე შეშლილმა გონიერმა ადამიანმა გონებადამჯდარ სულელს: «მოწყალეო ბატონო, მიუხედავად ჩემ მიერ გაღებული ძალისხმევისა, რაც ბევრს, ვინც ამაოდ ცდილობს, ეღირსოს ჩემთან მიღებასა და ჩემს მისალმებას, გააოცებდა, ვერ მივაღწია იმას, რომ ჩემი ახსნა-განმარტება მოგესმინათ; ამ ახსნა-განმარტებას არც ელოდით, მაგრამ, ვფიქრობ, იგი არც ჩემს ღირსებას შელახავს და არც თქვენსას. ჩემთვის უფრო მოსახერხებელი იქნებოდა, პირადად შეგხვედროდით და იგი სიტყვით გამომეხატა, მაგრამ ახლა, აუცილებლობის გამო, იძულებული ვარ, წერილობით გადმოგცეთ. არ დაგიმალავთ და გეტყვით, ბალბეკში პირველად რომ დაგინახეთ, თქვენმა სახემ ჩემზე საძაგელი შთაბეჭდილება მოახდინა». ამას მოსდევდა მსჯელობა ემეს მსგავსებაზე – რაც მხოლოდ მეორე დღეს აღმოაჩინა ბატონმა დე შარლიუმ – მის ერთ, აწ უკვე გარდაცვლილ მეგობართან, რომელიც ძალიან უყვარდა. «მაშინ გავიფიქრე, თუ ეს თქვენი მოვალეობების აღსრულებას არ დააზარალებდა, იქნებ, ჩემთან მოსულიყავით ბანქოს სათამაშოდ; ის ისე კარგად თამაშობდა, გუნება მაშინვე გამომიკეთდებოდა ხოლმე და თქვენთან თამაში შემიქმნიდა ილუზიას, რომ ის ისევ ცოცხალია. თქვენ, შეიძლება განვითარებული, დაწინაურებული მსახურის დონის შესაფერის (თუმცა თქვენი მსახურად მოხსენიებაც არ შეიძლება, რადგან ჩემთვის სამსახურის გაწევა არ ისურვეთ) უაზრო ვარაუდებს აგებდით, ამაღლებული გრძნობის მოძრაობა, თქვენთვის, ალბათ, ძნელი მისახვედრია ან, იქნებ, გინდოდათ, საკუთარი თავისთვის დიდი მნიშვნელობა მიგენიჭებინათ, ან, ეტყობა, არ იცოდით, ვინ ვიყავი, რას წარმოვადგენდი, რადგან წიგნის მოტანის თაობაზე ჩემი თხოვნის

პასუხად შემოთვალეთ, დასაძინებლად დავწექიო; მაგრამ ცდებით, თუ გგონიათ, რომ ცუდი ქცევა ადამიანს მიმზიდველობას ჰმატებს, ისიც უნდა ითქვას, რომ მიმზიდველობას საერთოდ მოკლებული ხართ. წერილს ამით დავამთავრებდი, მეორე დღეს, დილას, შემთხვევით რომ არ დაგლაპარაკებოდით. თქვენი მსგავსება

ჩემს საცოდავ, საყვარელ მეგობართან იმდენად გამიძლიერდა, რომ უკვე თქვენ წინწამოწეული საძაგელ ნიკაპსაც კი აღარ მივაქციე ყურადღება. და მივხვდი, წუთის, აი, ამ გაელვებაში მიცვალებულმა თავისი კეთილგანწყობა თქვენ გადმოგცათ, საშუალება მოგცეთ, კვლავ მიგეპყროთ ჩემი ყურადღება და ხელიდან არ გაგეშვათ ის შესაძლებლობა, რომელიც ადამიანს სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ ეძლევა. ახლა ამის უმცირესი სურვილიც არა მაქვს, რადგან უაზრობად მიმაჩნია, თანაც საეჭვოა, კიდევ შევხვდეთ ერთმანეთს, და მაინც, ბედნიერი ვიქნებოდი, აღმესრულებინა გარდაცვლილის თხოვნა (მე მწამს, წმინდანებსა და ცოცხლებს შორის ურთიერთკავშირი არსებობს და წმინდანები აქტიურად მონაწილეობენ ცოცხალთა ბედისწერაში), ისე მოგექცეთ, როგორც მას ვექცეოდი; არადა, თავისი ეკიპაჟი ჰყავდა, მსახურები; სრულიად ბუნებრივად მიაჩნდა, რომ ჩემი შემოსავლების დიდ ნაწილს მასზე ვხარჯავადი, რადგან შვილივით მიყვარდა. თქვენ კი სხვაგვარად განსაჯეთ. ჩემს თხოვნაზე, წიგნი მომიტანეთ-მეთქი, შემომითვალეთ სადღაც მეჩქარებაო. დღეს დილითაც, როცა გთხოვეთ, ჩემს ეტლთან მოსულიყავით, უარი მითხარით, მკრეხელობად თუ არ გამოჩნდება – უკვე მესამედ. მომიტევეთ, რომ კონვერტში ფეხის ქირად არ ვდებ დიდ თანხას, რომლის მოცემასაც ბალბეკში ვაპირებდი; სამწუხაროდ, ძალზე მძიმე აღმოჩნდა ჩემთვის, თავი შემეზღუდა, წამიერ სურვილს დამორჩილებულმა, ცოტა დარჩა, თქვენც არ ჩაგითრიეთ. ერთადერთი, რაც კიდევ შეგიძლიათ ჩემთვის გააკეთოთ, ის არის, რომ რესტორანში ჩემთან შეხვედრის, მეოთხე შეხვედრის, უაზრო ნაბიჯის გადადგმას მოერიდოთ: ვშიშობ, თავს ვეღარ შევიკავებ (აქ უკვე ბატონი დე შარლიუ თავის მისამართს აცნობებს,

უნიშნავს დროს, როდის შეიძლება მისი ნახვა და სხვა). მშვიდობით, ბატონო! იმედს ვიტოვებ, რომ კაცი, რომელიც ჩემს გარდაცვლილ მეგობარს ასე ჰგავს, არ შეიძლება სულელი აღმოჩნდეს, სხვანაირად ფიზიონომისტიკა ცრუმეცნიერება გამოდის, თანაც დარწმუნებული ვარ, თუ ოდესმე ამ შეხვედრას გაიხსენებთ – ვინ იცის? – იქნებ, თითზეც კი იკბინოთ და მოინანიოთ. მე კი გთხოვთ, ენდეთ ჩემს გულწრფელობას, თქვენზე ნაწყენი არა ვარ. ვისურვებდი, ერთმანეთისგან უფრო მეტი სასიამოვნო მოგონებები დაგვრჩეს, ვიდრე ის, რაც ჩემს მესამე ამაო ცდას უკავშირდება, თუმცა იგი მალე მიეცემა დავიწყებას. იმ გემებს ვგავართ, რომელთა წამიერი შეხვედრისთვის, ალბათ, ბალბეკში მოგიკრავთ თვალი: ორივე გემისთვის უკეთესი იქნებოდა, შეჩერებულიყო, მაგრამ ერთს ეს არ უნდა; ცოტა ხნის მერე ერთმანეთს შორიდანაც ვეღარ მოჰკრავენ თვალს, თითქოს შეხვედრა არცა ყოფილა, თუმცა მარადიულ განშორებამდე ერთმანეთს სალამს საყვირების გუგუნით უძღვნიან, ისევე, როგორც მე, მოწყალეო ბატონო, მოგესალმებით და ყველა სიკეთეს გისურვებთ, ბარონი დე შარლიუ».

ემეს ეს წერილი ბოლომდე არცა ჰქონდა წაკითხული: ვერაფერი გაუგო, შეეშინდა, რომ ვიღაცა მის მისტიფიცირებას ცდილობდა. როცა ავუხსენი, ბარონი ვინც იყო, ჩაფიქრდა და, როგორც ბატონმა დე შარლიუმ უწინასწარმეტყველა, მომხდარის გამო ინანა. დაფიცება არ შემიძლია, მაგრამ, ალბათ, მაშინვე დაჯდა და პატიების თხოვნის

წერილი მისწერა ადამიანს, რომელიც მეგობრებს ეკიპაჟებს ჩუქნიდა. მაგრამ იმ ხანებში ბატონმა დე შარლიუმ მორელი გაიცნო. იმ ურთიერთობით თუ ვიმსჯელებთ, რაც ბატონ დე შარლიუს მორელთან ჰქონდა, მას შეიძლება პლატონურიც დარქმეოდა, დიდი-დიდი, რისი უნარიც ბარონს გააჩნდა – ზოგჯერ მის საზოგადოებაში საღამოს გატარება იყო, აი ისე, მე რომ შევხვდი სასტუმროს ჰოლში. მაგრამ ბატონ დე შარლიუს ახალი ვნების, რომელიც მასში მორელმა გამოიწვია, დაძლევა აღარ

შეეძლო, ვნების, რომელიც რამდენიმე ხნის წინათ ვერ დაკმაყოფილდა და რომელიც მხოლოდ ერთს მოითხოვდა: მთელი ყურადღება მხოლოდ ემესკენ ყოფილიყო მიმართული, რამაც ის წერილიც დააწერინა, მეტრდოტელმა რომ მაჩვენა, რომლის კითხვისასაც ბატონი დე შარლიუს მაგივრად მე მრცხვენოდა. ეს იყო ბარონსა და მეტრდოტელს შორის განსაცვიფრებელი უთანასწორობის განუსჯელი მაგალითი: გადაულახავი გრძნობის მოზღვავებისას შეყვარებულს, მოცურავესავით, მდინარება შეუმჩნევლად მიაქანებს და წამიერად ხმელეთს თვალთახედვიდან კარგავს. მოცემულ შემთხვევაში კი, ვნებათა განსხვავებულობის გამო, რომლის გაზიარებაც ყველას არ შეუძლია, ასევე ბატონი დე შარლიუსა და ემეს საზოგადოებრივი მდგომარეობის სხვადასხვაობის გამოც, მათი შეუთავსებადობა კიდევ უფრო იზრდება.

ალბერტინთან ერთად ყოველდღე ვსეირნობდი. მან ისევ მხატვრობასთან დაბრუნება გადაწყვიტა და ნატურიდან სახატავად ჯერ წმინდა იოანე-დე-ლა-ების ყველასგან მივიწყებული ეკლესია აირჩია, რომლის პოვნაც გამცილებლის გარეშე შეუძლებელი იყო; მივარდნილ ადგილზე იდგა, სადგურ ეპრევილიდან ნახევარ საათზე მეტ სავალზე, სოფელი კეტჰოლმის ბოლო სახლებიდან კარგა მოშორებით. ეპრევილის შესახებ ბრიშოს ცნობები, სხვათა შორის, არ ემთხვევა იმ მონაცემებს, რომელსაც კიურეს წიგნი გვაწვდის. ბრიშო ამტკიცებს, ადრე ეპრევილს სპრევილას ეძახოდნენო; კიურე კი აღნიშნავს, ეტიმოლოგიურად აპრივილადან მოდისო. ჯერ ვიწროლიანდაგიანი რკინიგზით ფეტერნის საწინააღმდეგო მიმართულებით ვიარეთ, გრატვასტისკენ. ზაფხულის პაპანაქება იდგა, ჩვენ კი საუზმის შემდეგ გავუდექით გზას, საშინელება იყო. ასე ადრე წასვლა არ მინდოდა; დამაბრმავებლად აკაშკაშებული, გავარვარებული ჰაერი სიგრილესა და განცხრომაზე ოცნებას აღძრავდა. მიუხედავად სულის

მხუთავი სიცხისა, პირველსაათიანი მატარებლით გავემგზავრეთ. ალბერტინს ვაგონში საშინლად დასცხა, უფრო მეტად კი ფეხით ხანგრძლივი სიარულისას შეაწუხა სიცხემ; შემეშინდა, მერე, როცა ნესტიან ხევში, სადაც მზე ვერ აღწევდა, უმოძრაოდ დაჯდებოდა, არ გაციებულიყო, იმ პერიოდში, როცა მე და ალბერტინმა ელსტირთან დავიწყეთ სიარული, მივხვდი, რომ მან არა მარტო ფუფუნების ფასი იცოდა, არამედ გარკვეული კომფორტისაც, რისი ფულიც არასოდეს ჰქონია; ერთ ბალბეკელ ეტლების გამქირავებელს მოველაპარაკე, ჩვენთვის ყოველდღე ეკიპაჟის გამოეგზავნა. ძალიან რომ არ დაგვცხომოდა, შანტეპის ტყის გავლით დავიწყეთ

სიარული. ტოტებში მიმალული ურიცხვი, უხილავი ფრინველის, ძირითადად ნახევრად ზღვის ფრინველები იყვნენ, გადაძახილი ისეთი სიმშვიდის შეგრძნებას ქმნიდა, მაშინვე რომ გვეუფლება, როგორც კი თვალს ვხუჭავთ. ალბერტინთან ჩახვეული ეტლის სიღრმეში ვიჯექი და ამ ოკეანიდების[145] სიმღერას ვუსმენდი. და, თუ შემთხვევით ტოტიდან ტოტზე გადაფრენილ ერთ ამ მომღერალს თვალს მოვკრავდი, მასსა და მის სიმღერას შორის კავშირი წყდებოდა და არ მჯეროდა, რომ ეს პატარა, დალეული, მობღუნძული, არაფრის გამომხატველთვალიანი სხეული იყო ასეთი ბგერების წყარო. ეტლი ეკლესიამდე ვერ მიდიოდა. კეტჰოლმის გასასვლელთან ვაჩერებდი და ალბერტინს ვემშვიდობებოდი. საქმე ის გახლდათ, რომ შემაშინა, როცა მითხრა, როგორც სხვა არქიტექტურული ძეგლებისა და ხელოვნების ნაწარმოებების სანახავად წასვლისას ამბობდა ხოლმე: «რა სასიამოვნო იქნებოდა თქვენთან ერთად მისი ყურება!» ვგრძნობდი, მისთვის ასეთი სიამოვნების მინიჭებას ვერ შევძლებდი. სიამოვნებას მხოლოდ მაშინ ვიღებ, როცა რაიმე მშვენიერს სრულ მარტოობაში ვუყურებ ან როცა მთლიანი ჭვრეტითი მდგომარეობა მეუფლება და ვდუმვარ. და, რადგან მას მიაჩნდა, რომ ხელოვნების ნაწარმოებზე შთაბეჭდილებებს მხოლოდ ჩემი წყალობით იღებდა, თუმცა შთაბეჭდილებები ასე არ გადაიცემა, გონივრულად მივიჩნიე, მისთვის მეთქვა, რომ დროებით

დავტოვებდი და დღის ბოლოს მის წასაყვანად მოვიდოდი, მე კი ქალბატონ ვერდიურენთან ან კამბრემერებთან უნდა შემევლო, ან ბალბეკში ჩავსულიყავი, რათა ორიოდე საათი დედაჩემთან გამეტარებინა. ყოველ შემთხვევაში, პირველ ხანებში ასე ვიქცეოდი. ერთხელ ალბერტინმა წყრომით მითხრა: «დასანანია, რომ ბუნებას ისე მოუწყვია: იოანე-დე-ლა-ეზი ერთ მხარეს დატოვა, ლა რასპელიერი კი – მეორეზე; ახლა მთელი დღე ერთ ადგილზე უნდა ვიჯდე ტყვესავით». მაშინ, მას შემდეგ, რაც შლაპა და შარფი მომიტანეს, ჩემდა საუბედუროდ, სენ-ფარჟოში (კიურეს წიგნის მიხედვით Sanctus Ferreolus-ი ჰქვია) გამქირავებელს მოველაპარაკე და ავტომობილი ვიქირავე. ალბერტინმა არაფერი იცოდა, როცა ჩემთან შემოიარა და სასტუმროს ახლოს მოტორის გუგუნი შემოესმა, ჯერ გაოცდა, მერე, როცა გაიგო, ავტო ჩვენ გველოდა, აღტაცებული დარჩა. ვთხოვე, ერთი წუთით ჩემს ნომერში ამოსულიყო. სიხარულისგან ხტოდა: «ვერდიურენებთან მივდივართ?». «დიახ, და, რადგან ავტომობილით მიდიხართ, უკეთესია, გამოეწყოთ. აბა, შეხედეთ, ასე ხომ უკეთესი იქნება. – და შლაპა და შარფი გამოვაჩინე». «ჩემია? აჰ, რა კეთილი ხართ!» – წამოიყვირა და კისერზე ჩემომეკიდა. ალბერტინის ელეგანტურობითა და ჩემი სატრანსპორტო საშუალებით გაამაყებული ემე კიბეზე შემოგვხვდა და, რადგან იმ პერიოდში ბალბეკში ავტომობილი ჯერ კიდევ იშვიათობა იყო, სიამოვნება არ მოიკლო და ჩვენთან ერთად ისევ ქვევით დაეშვა. ალბერტინმა თავისი ახალი ტუალეტის გამოფენა ისურვა და «კაპოტის» აწევა მოითხოვა, მერე ისევ დახურვა, თავისუფლად რომ გვეგრძნო თავი. «აბა, – უთხრა ემემ მძღოლს, სიტყვამ მოიტანა და, ის მას არ იცნობდა. მძღოლი არც განძრეულა. – ვერ გაიგე, კაპოტის ახდა რომ გთხოვეს?» სასტუმროს ცხოვრების წესით გათამამებული ემე, სადაც მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა, მეეტლესავით, რომელსაც ფრანსუაზიც კი «ქალბატონი» ეგონა, არ

ფრთხებოდა; ვინმე მდაბიოს, თუნდაც ნაცნობიც არ ყოფილიყო და არც არასოდეს ენახა სადმე, მაინც «შენობით» მიმართავდა, თანაც გაუგებარი რჩებოდა, ამის ქვეშ რას ფარავდა –

არისტოკრატიულ ქედმაღლობას თუ მდაბიურ ძმაბიჭობას. «არ მცალია, – უპასუხა მძღოლმა, რომელიც არ მიცნობდა. – მადმუაზელ სიმონესთვის გამომიძახეს. ამ ბატონის წაყვანა არ შემიძლია». ემემ გადაიხარხარა: «ყეყეჩო, – უპასუხა მძღოლს, – მადმუაზელ სიმონე ეს არის, ხოლო ბატონი, კაპოტის ახდა რომ გიბრძანა, ავტომობილის შემკვეთია». ემე ალბერტინს მაინცდამაინც კეთილი თვალით არ უყურებდა, თუ მისი შლაპა მოიწონა, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემი ნაყიდი იყო, და მაინც მძღოლს ყურში ჩასჩურჩულა: «მოხარული იქნებოდი, ყოველდღე ასეთი პრინცესები გეტარებინა!» ავტომობილით დღეს პირველად გავემგზავრეთ. უწინდელივით ლა რასპელიერისკენ მარტო გამგზავრება, ვიდრე ალბერტინი თავის ეტიუდებს ხატავდა, ვეღარ მოვახერხე, რადგან ჩემთან ერთად წამოსვლა ისურვა. გზაში ხშირი შეჩერებები შესაძლებლად მიიჩნია, მაგრამ პირველად იოანე-დე-ლა-ეზის ეკლესიასთან მისვლა, რომელიც საპირისპირო მიმართულებით მდებარეობდა, მერე კი იმ ადგილებში წასვლა, მთელი მეორე დღე რომ უნდა მოგვენდომებინა, ვერ წარმოედგინა. და აი, მძღოლისგან გაიგო, რომ თურმე წმინდა იოანეს ეკლესიასთან მისვლაზე ადვილი არაფერი იყო, მანქანას მხოლოდ ოცი წუთი დასჭირდებოდა, თუ მოვისურვებდით, იქ რამდენიმე საათიც შეგვეძლო გაგვეტარებინა ან უფრო შორს წავსულიყავით, რადგან კეტჰოლმიდან ლა რასპელიერამდე გზის მონაკვეთის გასავლელად მანქანას ოცდათხუთმეტი წუთიც არ დასჭირდებოდა. ამაში დავრწმუნდით კიდეც, როცა ავტომობილი ადგილიდან მოსწყდა და წამში ისეთი მანძილი დაფარა, რომლის დასაფარადაც კარგ ცხენებს ოცი ნაბიჯის გადადგმა მაინც დასჭირდებოდათ. მანძილი სივრცისა და დროის ურთიერთდამოკიდებულებაა მხოლოდ და მასთან ერთად იცვლება. მოგზაურობის სიძნელეებს მილებში, კილომეტრებში გამოვხატავთ, მაგრამ ზომის ეს სისტემა უკვე არასწორი ხდება, როგორც კი სიძნელე იკლებს. პეიზაჟიც ამის მიხედვით იცვლება, სოფელი, რომელიც სულაც არ არის იმ მხარეში, სადაც მეორე სოფელი, იქვე მეზობლად აღმოჩნდება, რადგან

ზომები შეიცვალა, შესაბამისად შეიცვალა პეიზაჟიც. ყოველ შემთხვევაში, ცნობა, რომ შეიძლება არსებობდეს ისეთი სამყარო, სადაც ორჯერ ორი ხუთია და სადაც სწორი ხაზი სულაც არ არის ორ წერტილს შორის უმოკლესი გზა, ალბერტინს ნაკლებად გააოცებდა, ვიდრე მძღოლის განცხადებამ გააოცა, იმაზე ადვილი არაფერია, ერთსა და იმავე დღეს მოიარო წმინდა იოანეს ეკლესია და ლა რასპელიერი, დუვილი და კეტჰოლმი, სენ-მარ-ლე-ვიე და სენ-მარ-ლე-ვეტიუ, გურვილი და ბალბეკ-ლე-ვიე, ტურვილი და ფეტერნი, არადა, აქამდე ხომ ტყვეები იყვნენ, ისე მტკიცედ ჩაკეტილნი სხვადასხვა დღეების საკნებში, როგორც ოდესღაც მეზეგლიზი და გერმანტი, ტყვეები, რომელთა ერთსა და იმავე თვალს ერთი და იმავე დღის მეორე ნახევრის დანახვა არ შეეძლო, მაგრამ რომლებიც ახლა ბუმბერაზმა გაათავისუფლა და შუადღის ხანს გარს

შემოგვავლო ყველა ეს სამრეკლო, კოშკი, ძველებური ბაღი, მთელი ეს სანახაობა, რათა მათით დავმტკბარიყავით.

გორაკის ძირთან მისული ავტომობილი განუწყვეტელი ღრჭიალით, ისეთით, თითქოს დანას ლესავენო, ისარივით ავარდა გორაზე, საიდანაც ჩვენ ქვევით ჩაწოლილი ზღვა განეფინა. ჩვენს შესახვედრად სოფელ მონიურვანის ძველი, ხის სადა სახლები მოჰქონდნენ, გულში ზვრები და ვარდის ბუჩქები რომ ჩაეხუტებინათ. ლა რასპელიერის ნაძვის ხეები უფრო მძლავრად შეირხნენ, ვიდრე გუშინდელი ქარისას მოძრაობდნენ, ჩვენი დანახვისას აქეთ-იქით გაიფანტნენ და ახალმა მსახურმა, აქამდე რომ არ მინახავს, საპარადო შესასვლელი გაგვიღო, მებაღის შვილმა კი ნაადრევი განწყობილება გაამჟღავნა და მოტორის ადგილი ხარბი თვალით შეჭამა. იმ დღეს ორშაბათი არ იყო, სტუმრების მიღების დღე, და არ ვიცოდით, ქალბატონი ვერდიურენი შინ დაგვხვდებოდა თუ არა, რადგან ამ დღეს მასთან გაუფრთხილებლად მისვლა მისი ნახვის შესაძლებლობის წარუმატებლობას არ გამორიცხავდა. ცხადია, ზოგჯერ სახლშიც იჯდა

«პრინციპის გამო», ამ გამოთქმას ქალბატონი სვანი იმ დროს ხმარობდა, როცა ცდას არ იშურებდა, თავისი პატარა კლანი ჩამოეყალიბებინა და სტუმრები მიეზიდა, ადგილიდან არ იძვროდა, ეს უაზრო კონსტრუქცია მოიგონა, რაც მისთვის «როგორც წესიას» ნიშნავდა მრავალი გამონაკლისით. ქალბატონ ვერდიურენს კი არა მარტო სახლიდან გასვლა უყვარდა, არამედ ფართო წარმოდგენაც ჰქონდა, როგორი უნდა ყოფილიყო დიასახლისი: საუზმეზე დაპატიჟებულ სტუმრებს ყავის, ლიქიორებისა და სიგარეტის შემდეგ (მიუხედავად სიცხისა და საჭმლის მონელების გამო მსუბუქი გაოგნებისა, იმ დროს, როცა თვალს ტერასაზე შემოვლებული მცენარეების ფოთლებს შორის ლურჯად მოლივლივე ზღვაზე ჯერსიდან მომავალი გემის ყურება უფრო სიამოვნებდა) გასართობ პროგრამასაც სთავაზობდა, რომლის განრიგშიც სხვადასხვა გასეირნებაც შედიოდა; სტუმრებს, უნდოდათ თუ არა, ძალით სვამდნენ ეკიპაჟებში, ერთი ლამაზი ხედიდან მეორის სანახავად მიჰყავდათ, რითიც ასე მდიდარია დუვილის შემოგარენი. თუმცა ამ საზეიმო პროგრამის მეორე ნაწილი (ყველაზე ძნელი მაგიდიდან ადგომა და ეტლში ჩაჯდომა იყო) მაინც სიამოვნებას ანიჭებდა სტუმრებს, რომლებიც მაძღარი საჭმლის, დახვეწილი ღვინოებისა თუ ქაფქაფა სიდრის შემდეგ ზღვიდან მონაბერი ნიავის სიგრილითა და ირგვლივეთის მშვენიერებით ადვილად ბრუვდებოდნენ, ბუნების ამ მშვენიერების სანახავად (უახლოესის თუ მოშორებით მდებარესი) ქალბატონ ვერდიურენს სტუმრები ისე დაჰყავდა, თითქოს ეს ადგილები მისი სამფლობელოს ფარგლებში იყო მოქცეული, თითქოს მასთან საუზმის შემდეგ მათი უნახაობა არ შეიძლებოდა ან პირიქით – თითქოს ამ ადგილების დათვალიერება შეუძლებელი იყო, თუ თავად მათი მფარველი არ მოგიწვევდათ. ამ სეირნობების უფლების მოპოვებისკენ სწრაფვა, ისევე როგორც მორელთან, უფრო ადრე კი დე შამბრესთან თამაშისა, ბუნების ამ სურათების პატარა კლანის ნაწილად ქცევა სულიც არ იყო უაზრობა, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანდა. ქალბატონი ვერდიურენი

ამრეზით უყურებდა კამბრემერების უგემოვნებას, რაც, მისი აზრით, არა მარტო ლა რასპელიერის ავეჯით მოწყობისას გამოიჩინეს, არამედ ბაღის გაშენებისასაც, უფრო ბოროტად კი იმ უინიციატივობას დასცინოდა, რასაც სეირნობისას იჩენდნენ. ქალბატონ ვერდიურენს მიაჩნდა, რომ ლა რასპელიერი საყუდრად მხოლოდ მას შემდეგ გადაიქცა, რაც იგი პატარა კლანის თავშესაფრად გადაკეთდა; მეორე, ის ამტკიცებდა, კამბრემერები მხოლოდ ერთი გზით დადიან, რკინიგზის გაყოლებით, ყველაზე ულამაზო ადგილების გავლითო. ამბობდა, თუმცა აქ უხსოვარი დროიდან ცხოვრობენ, აქაურობას მაინც არ იცნობენო. ამ მტკიცებულებაში იყო სიმართლის ნატამალი. შეიძლება ჩამორჩენილობის, წარმოსახვის ნაკლებობის ან ამ ადგილებისადმი ინტერესის უქონლობის გამო, ანდა იმის გამო, რომ ეგონათ, ეს ადგილები სიგრძე-სიგანით ჰქონდათ დავლილი, კამბრემერები მართლაც ერთი და იმავე ადგილებით, ერთი და იმავე გზებით დადიოდნენ. ცხადია, ისინი ბევრს იცინოდნენ ვერდიურენების აჩემებაზე, მათთვის მათივე საკუთარი მხარე გაეცნოთ. მაგრამ კედელთან რომ მიგემწყვდიათ ისინიცა და მათი მეეტლეც, იმ საუცხოო, მყუდრო ადგილებამდე ვერ მიგიყვანდნენ, ვერდიურენმა რომ აღმოაჩინა ხან რომელიღაც მიტოვებული მამულის ღობეზე გადაძრომით, სად შესვლაც სხვას აზრად არ მოსვლია, ხანაც ეტლიდან ჯერაც უვალ გზაზე ჩამოსულს იმ რწმენით აღვსილს გაუვლია, რომ მისი ძალისხმევა რომელიმე საუცხოო პეიზაჟის აღმოჩენით დაჯილდოვდებოდა. ლა რასპელიერის პარკიც ხომ იმ ყველაფრის ცენტრი იყო, რისი ნახვაც შორეული გასეირნებებისას შეიძლებოდა. მისი განსაკუთრებულობა იქიდან მოდის, რომ მაღალ ადგილზე მდებარეობს, მისი ერთი მხარე ხეობას გადაჰყურებს, მეორე – ზღვას, ხოლო ორივე მხარეს, მაგალითად, იმ ნაწილში, ზღვას რომ უყურებს, განაკაფი ზოლია იმ ანგარიშით გაკეთებული, აქედან ერთი ჰორიზონტი ჩანდეს, იქიდან კი – მეორე. ყოველ საყურებელ მოედანზე გრძელი სკამი იდგა; იქ მჯდარი ადამიანი ბალბეკსაც უყურებდა, პარვილსაც და

დუვილსაც. იქაც კი, საიდანაც მხოლოდ რაღაც ერთი ჩანდა, სკამი იდგა ან თითქმის პირდაპირ ფლატესთან, ან ოდნავ მოშორებით. როცა ერთ-ერთ სკამზე იჯექით, თქვენ წინ, ახლოს, მხოლოდ სიმწვანე ჩანდა, შორეთი თვალუწვდენელი გეჩვენებოდათ, გაივლიდით ბილიკს მეორე სკამამდე და ნახევრად წრიული სანაპირო გამოჩნდებოდა, სივრცე – უსასრულობამდე გადაშლილი. აქამდე მოდიოდა ტალღების ხმაური, ბაღის სიღრმეში კი ვეღარ აღწევდა, აქედან ზვირთცემა ჩანდა, მაგრამ მისი ხმა აღარ ისმოდა. ლა რასპელიერის პატრონებმა ამ ადგილებს «ხედები» დაარქვეს: და მართლაც, თავიანთი ციხე-დარბაზის ირგვლივ მეზობელი ადგილების, ზღვასთან თუ ტყესთან მდებარე ყველაზე ლამაზი «ხედები» მოაგროვეს, ოღონდ ძალზე შემცირებული დაშორებებით, ასე ადრიანმა[146] თავის ვილაში თავი მოუყარა სხვადასხვა ქვეყნის ყველაზე განთქმული ძეგლების შემცირებულ ასლებს. «ხედების» სახელწოდება მხოლოდ ყურეს ამ მხარის ადგილებს როდი ეწოდებოდა, ხშირად იქითა ნაპირის, პანორამის სიდიდის გამო, გაურკვევლად რომ მოჩანდა, ადგილებსაც «ხედებს» უწოდებდნენ.

ვერდიურენების ბიბლიოთეკიდან ზოგჯერ ვინმე წიგნს აიღებდა, «ბალბეკის ხედს» მიაშურებდა, რათა ერთი საათი კითხვაში გაეტარებინა; კარგ ამინდში ყველა «რივბელის ხედისკენ» მიდიოდა ლიქიორის დასალევად, ოღონდ მხოლოდ მაშინ, როცა ძლიერი ქარი არ ქროდა, აკი უამისოდაც, რადგან ირგვლივ ხეები იყო ჩარიგებული, ყოველთვის გრილოდა. ისევ ეტლით სეირნობებს დავუბრუნდეთ, ქალბატონი ვერდიურენი დღის მეორე ნახევარში რომ აწყობდა. თუ შინ დაბრუნებული მფარველი ვინმე დიდაზნაურის სავიზიტო ბარათს აღმოაჩენდა, «ამ მხარეში გავლით რომ იყო ჩამოსული», თავს იკატუნებდა, ვითომ აღტაცებული იყო, სინამდვილეში სასოწარკვეთაში ვარდებოდა, სტუმარს რომ ვერ დახვდა (თუმცა ჩამოსულები ძირითადად სახლის დასათვალიერებლად და ერთდღიანი ნაცნობობის

გასაბმელად მოდიოდნენ იმ ქალთან, რომლის პარიზულ სალონს სახელი კი ჰქონდა განთქმული, მაგრამ ცოტა ვინმეს თუ იზიდავდა), მაშინვე ბატონ ვერდიურენს მასთან გზავნიდა და მომავალ სამშაბათს ვახშმად ეპატიჟებოდა. მაგრამ, რადგან ტურისტების უმრავლესობა ადრე მიემგზავრებოდა, ზოგიერთებს კი უკან გვიან დაბრუნებისა ეშინოდათ, ქალბატონი ვერდიურენი იმის ნიშანსაც იძლეოდა, რომ სტუმრებს ორშაბათის ჩაის სმის დროსაც შეეძლოთ შემოვლა. ეს ჩაის სმა მაინცდამაინც ხალხმრავლობით არ გამოირჩეოდა, პარიზში გაცილებით ბრწყინვალე შეკრებებზე მოვხვედრილვარ პრინცესა დე გერმანტთან, ქალბატონ დე გალიფთან თუ ქალბატონ დ’არპაჟონთან. მაგრამ აქ პარიზი არ იყო, ხიბლის ჩარჩოები ჩემზე ისეთ გავლენას აღარ ახდენდა, თავად თავყრილობა და იქ დამსწრე საზოგადოების ხარისხი კი ჩემს თვალში იზრდებოდა. ამა თუ იმ მაღალი წრის ადამიანთან შეხვედრა, პარიზში უმცირეს სიამოვნებასაც რომ არ მანიჭებდა, ლა რასპელიერში, სადაც სადღაც შორიდან, ფეტერნის და შანტეპის ტყის გავლით ჩამოსულიყო, სულ სხვა ხასიათს იძენდა, სხვა მნიშვნელობას და სასიხარულო მოვლენად გადაიქცეოდა. ზოგჯერ ეს ის ადამიანი იყო, რომელსაც მშვენივრად ვიცნობდი, მაგრამ მის სანახავად სვანებთან არასდიდებით არ მივიდოდი. აქ კი, ზღვის ამ კლდოვან სანაპიროზე, მისი სახელი სხვანაირად ჟღერდა; ასე ჟღერს ხოლმე თეატრში ხშირად გამეორებული მსახიობის სახელი, თუ იგი აფიშებზე, რომელიც უჩვეულო საზეიმო წარმოდგენაზე გეპატიჟებათ, განსაკუთრებული ფერით არის დაბეჭდილი, რის გამოც, მოულოდნელი კონტექსტით, მისი სახელგანთქმულობა უცბად იზრდება. აგარაკზე ცერემონიებს დიდად არ დაგიდევენ, ამიტომ ბევრი დიდგვაროვანი ბედავს და თან მოჰყავს მეგობრებიც, ვისთანაც დასასვენებლად შეჩერებულა; უკვე მოსული ქალბატონ ვერდიურენს პატიებას დაბალი ხმით სთხოვს – მასთან ვცხოვრობ და მათ გარეშე მოსვლა მეუხერხულა. თავაზიანობას თავაზიანობით პასუხობდნენ და მასპინძლებს ზღვის სანაპიროს მონოტონური

ცხოვრების გასახალისებლად კულტურ საზოგადოებაში ყოფნას, საუცხოო მამულის დათვალიერებას და უჩვეულოდ გემრიელი ჩაით გამასპინძლებას სთავაზობდნენ. მაშინვე მეორეხარისხოვანი ადამიანების თავყრილობა ყალიბდება; სოფელში ხომ ორი-სამი ხე საცოდავად გამოიყურება, გაბრიელის ავენიუზე ან მონსოს ქუჩაზე კი ეს

უჩვეულო სილამაზის ბაღია და ასეთი ფუფუნების უფლებას მხოლოდ მულტიმილიონერები აძლევენ საკუთარ თავს; ასეა აქაც, ბატონები, პარიზულ საღამოებზე სადღაც რომ არიან მიჩქმალულნი და მეორეხარისხოვანი ხალხია, ლა რასპელიერში ორშაბათის შუადღის შემდეგ ღირებულებას იძენენ. როგორც კი წითელნაჭერშემოვლებულ სუფრაგადაფარებულ მაგიდას მიუსხდებიან, მაშინვე გალეტი შემოაქვთ, ნორმანდიული ფენოვანი, ალუბლებით მორთული ნავის ფორმის ტორტები, «დიპლომატები», და იმავე წამს სტუმრებში, ლაჟვარდოვანი უღრანი ტევრის სიახლოვის ზეგავლენით, საითაც ფანჯრები იღება, საიდანაც ახლად მოსულები და ყველა სხვა დანარჩენი ჩანს, უჩვეულო ცვლილება, უჩვეულო გარდაქმნა ხდება, რაც მათ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებთ. უფრო მეტიც, ვიდრე ახალ სტუმრებს შეხვდებოდნენ, ორშაბათობით ქალბატონ ვერდიურენთან რომ იკრიბებოდნენ, ხოლო გამოხედვა დიდებული სასახლეების წინ მდგარი ელეგანტური ეტლების ყურებზე ჰქონდათ მიჩვეული, ორი თუ სამი დანჯღრეული ეკიპაჟის დანახვისას, ლა რასპელიერის უზარმაზარი ნაძვების ქვეშ რომ ჩერდებოდნენ, გული ძალუმად უჩქარდებოდათ. ეს, ალბათ, იმით აიხსნება, რომ სოფლური გარემო სრულიად სხვა იყო და ამ ადგილნაცვლობის წყალობით მაღალი შთაბეჭდილებები გადახალისდება. ალბათ, კიდევ იმითაც შეიძლება ავხსნათ, რომ ნაქირავები ძველი, დანჯღრეული, ჯაყჯაყა ეტლი, რომლითაც ქალბატონ ვერდიურენამდე უნდა მიეღწიათ, მათ წარმოსახვაში საუცხოო მოგზაურობისა და ძვირად ღირებული გარიგების შთაბეჭდილებას ტოვებდა, გარიგებისა მეეტლესთან, რომელიც დღეში «ამდენ და ამდენს» ითხოვდა. და კიდევ, ახალჩამოსულის

მიმართ ოდნავ იძაბებოდა ცნობისმოყვარეობა, მისი შეთვალიერება ჯერ ვერ მოესწროთ და ყველას ერთი და იგივე კითხვა უჩნდებოდა: «ნეტავ, ვინ ჩამოვიდა?» – ძნელად პასუხგასაცემი კითხვაა, თუ არ იცი, ვინ ესტუმრა ერთი კვირით კამბრემერებს ან ვინმე სხვას; ეს სასიამოვნო კითხვაც კია ამ მიყრუებულ ადგილზე, სადაც ადამიანთან შეხვედრა, თქვენს ჰორიზონტზე კარგა ხანია რომ არ გამოჩენილა, ახალი ნაცნობობა სიხარულით ავსებს ამ ცარიელ, მივარდნილ სივრცეს, სადაც ფოსტალიონის მოსვლაც კი ზეიმად იქცევა. იმ დღეს, როცა ლა რასპელიერში ავტომობილით ჩამოვედით, ოღონდ ჩვენი ჩამოსვლის დღე ორშაბათი არ იყო, ბატონი და ქალბატონი ვერდიურენები, ალბათ, ადამიანებთან ურთიერთობების იმ წყურვილს განიცდიდნენ, რაც კაცსაც აწამებს და ქალსაც, და მარტოობის სენის სამკურნალოდ ახლობლებთან განშორებულ ავადმყოფს აიძულებს, ფანჯრიდან გადმოხტეს. ახალ მსახურს, უფრო მკვირცხლს, ვიდრე უწინდელი იყო, აქ მიღებული გამოთქმები უკვე აეთვისებინა და გვითხრა: «თუ ქალბატონი სახლშია, მაშინ «დუვილის ხედთან» იქნება», მერე – ახლავე ყველაფერს გავიგებო, უცბად სადღაც გაქრა და ცოტა ხნის შემდეგ გამოგვიცხადა, ქალბატონი მიგიღებთო; ქალბატონ ვერდიურენს ვარცხნილობა მოუწესრიგებელი ჰქონდა, რადგან ჯერ ბაღში იყო, მერე საფრინველეში და ბაღჩაში, ფარშევანგები და ქათმები გამოკვება, კვერცხი მოაგროვა, ხილი და ყვავილები დაკრიფა, «რათა მაგიდა ისე გაეწყო, რომ იმ ხეივნის შთაბეჭდილება შექმნილიყო», რომელიც ბაღში გაკეთებულ ხეივანს ემსგავსებოდა;

სასადილოს ხეივანი ბაღის ხეივნისგან იმით განსხვავდებოდა, რომ იგი მხოლოდ სასარგებლო და საჭმელად ვარგისი, ბაღჩისა და საქათმის ნაბოძები ძღვენით იყო გაფორმებული, რომლის იქითაც, მაშასადამე, მსხლების, შაქარში ათქვეფილი კვერცხის ცილის იქით მიხაკები ჩანდა, ვარდები, აყელყელებული გველგესლას შტოები და კორეოფსისები[147], რომელთა შორისაც ღია ფანჯრიდან გაშლილ ზღვაში გემები და მათი ნაკვალევი მოჩანდა. როგორც კი სტუმრების

მოსვლა მოახსენეს, ქალბატონმა ვერდიურენმა ყვავილებით მაგიდის მორთვა შეწყვიტა და გაოცებულმა შემოგვხედა, რადგან ხელში მხოლოდ მე და ალბერტინი შევრჩით, მაშინვე მივხვდი, ახალმა მსახურმა, რომელმაც ჩემი გვარი ჯერ არ იცოდა, ყველაფერი აურია და, როცა პატრონს აუწყა ვიღაც უცნობი სტუმრები მოვიდნენო, ქალბატონმა ვერდიურენმა ჩვენი მასთან შეყვანის უფლება მისცა, რადგან, ვინც უნდა ყოფილიყო სტუმარი, მაინც ისურვა მისი ნახვა. მსახური ახლა კარს იქიდან აკვირდებოდა ამ სცენას, ცდილობდა მიმხვდარიყო, ამ სახლში რა როლს ვთამაშობდი. მერე უცბად ადგილიდან მოსწყდა და გავარდა – მან ხომ მხოლოდ გუშინ დაიწყო ვერდიურენებთან მუშაობა. მას შემდეგ, რაც ვერდიურენებს შესაძლებლობა მისცა, მისი შლაპითა და შარფით დამტკბარიყვნენ, ალბერტინმა ისეთი თვალით გადმომხედა, რომელიც მახსენებდა – ბევრი დრო აღარ დაგვრჩა იმისთვის, რისი გაკეთებაც ჩავიფიქრეთო. ქალბატონმა ვერდიურენმა ფინჯან ჩაიზე დარჩენა შემოგვთავაზა, გადაჭრით უარი ვუთხარით, უცბად ისეთი სურვილი გამოთქვა, რასაც ალბერტინთან ერთად გასეირნების მთელი სიხარული შეეძლო მოეწამლა: არ ვიცი, მფარველს ჩვენთან განშორება გაუძნელდა თუ ახალი გასართობის შესაძლებლობის ხელიდან გაშვება არ უნდოდა, უცბად ჩვენთან ერთად ისურვა წამოსვლა. მიჩვეული იყო – მის ასეთ წინადადებას მაინცადამაინც სიამოვნებით არ ხვდებოდნენ, თვითონ კი წამდა, რომ გაგვახარებდა; გველაპარაკებოდა, მოჩვენებითი შეუპოვრობით ცდილობდა სიმორცხვის დაფარვას და მიგვახვედრებდა, არ მეპარება ეჭვი, რომ დამეთანხმებითო. მერე ქმრისთვის არც უკითხავს, ისე განუცხადა, თანაც ისეთი ტონით, თითქოს მე და ალბერტინი ამით გაგვაბედნიერა: «ამათ გავაცილებ». იმ წამსვე სახეზე ის ღიმილი გამოეხატა, რომელიც მისი არ იყო და სხვათა სახეზე ბევრჯერ მინახავს, როცა ბერგოტს ცბიერი იერით ეუბნებოდნენ: «თქვენი წიგნი უკვე ვიყიდეთ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ», ადამიანები საჭიროების შემთხვევაში ზოგად ღიმილს აისახავენ ხოლმე სახეზე, გარდა სვანის ან დე შარლიუს მსგავსი

დახვეწილი, ნატიფი პიროვნებებისა, რომელთა ბაგენიც ჩემი დასწრებით მსგავსი ღიმილისთვის არასოდეს დაწყობილა. ჩვენმა ჩამოსვლამ კრახი განიცადა. თავი მოვიკატუნე, ვითომ ვერ მივხვდი, ქალბატონ ვერდიურენს რა სურდა. მაშინვე ცხადი გახდა, რომ ბატონი ვერდიურენიც მზად იყო წამოსასვლელად. «ბატონი ვერდიურენისთვის ძალზე დამღლელი იქნება, – ვთქვი მე». «არა, რას ამბობთ. – თითქოს წყალობა გაგვეღოს, ისე შემოგვხედა უცბად გამოცოცხლებულმა ქალბატონმა ვერდიურენმა. – ის ამბობს, რომ მისთვის ძალიან სასიამვნო იქნება

ახალგაზრდებთან ერთად მისთვის კარგად ნაცნობ გზაზე ავტომობილით გასეირნება; შეუძლია, მძღოლის გვერდითაც დაჯდეს: ეს მას არ აშინებს. დაბრუნებით კი თავმდაბლად, მატარებლით დავბრუნდებით, როგორც კეთილგონიერ ცოლ-ქმარს შეეფერება. შეხედეთ ერთი, რა გახარებული სახე აქვს». ქმარზე ისე ლაპარაკობდა, როგორც სიკეთით სავსე ცნობილ მოხუც მხატვარზე, რომელსაც სული უფრო ახალგაზრდული აქვს, ვიდრე ზოგიერთ ახალგაზრდას, და რომელსაც რაღაცის წამოროშვა ჭეშმარიტ სიამოვნებას ანიჭებს, ოღონდ თავისი ბავშვები გაართოს. გული განსაკუთრებით იმან მატკინა, რომ, როგორც ჩანდა, ალბერტინი ნაწყენი არ იყო, ეტყობოდა, მზად იყო, ვერდიურენებთან ერთად მთელი ეს მხარე შემოევლო. მე კი იმ სიამოვნების მიღება მწყუროდა, ალბერტინთან ერთად გასეირნებისგან რომ ველოდი, ამიტომ არც ვაპირებდი, მფარველისთვის ამ მოგზაურობის ჩაშხამების საშუალება მიმეცა. მისი განზრახვის საპასუხოდ რა არ მოვიგონე, ოღონდ ხელიდან დავსხლტომოდით. «დიახ, კიდევ ერთ ადგილზე უნდა შევიაროთ, – უცბად მოვიგონე». «სად უნდა შევიაროთ? – მკითხა ალბერტინმა». «მერე აგიხსნი. ეს აუცილებელია». «მერე რა, დაგელოდებით», – თქვა ქალბატონმა ვერდიურენმა. ის ყველაფერზე თანახმა იყო. ბოლოს და ბოლოს, შიშისგან, რომ დიდი ხნის ნალოლიავებ სიხარულს წამართმევდნენ, გამბედაობა მოვიკრიბე, უზრდელი ვყოფილიყავი. ქალბატონი ვერდიურენის წინადადებაზე მტკიცე უარი ვთქვი და ყურში

ჩავჩურჩულე, ალბერტინს რაღაც დიდი სევდა აწუხებს და ჩემთან დათათბირება სჭირდება, ამიტომ მასთან ჩემი პირისპირ დარჩენა აუცილებელია-მეთქი. მფარველის სახემ ღვარძლიანი გამომეტყველება მიიღო. «კარგი, არ წამოვალთ», – თქვა მრისხანებისგან აცახცახებული ხმით. ისეთი გახელებული იყო, გადავწყვიტე, თავი ისე დამეჭირა, ვითომ დათმობაზე მივდიოდი. «იქნებ, მაინც...». «არა, – უკვე იმდენად იყო განრისხებული, სიტყვა გამაწყვეტინა. – რადგან ვთქვი «არა», მაშასადამე, «არა». ის იყო, ვიფიქრე, უკვე წავიჩხუბეთ-მეთქი, რომ, ვიდრე მე და ალბერტინი ზღურბლს გადავაბიჯებდით, ქალბატონმა ვერდიურენმა მოგვაძახა, ხვალ ოთხშაბათია და არ მიმატოვოთ, ოღონდ ამ ჯაბახანით აღარ ჩამოხვიდეთ, რადგან ღამით ამით მგზავრობა სახიფათოა, მატარებლით აჯობებსო. ყველა დანარჩენთან ერთად, ქვევით დაშვებული ავტო კიდევ ერთხელ გაგვაჩერებინა, რადგან მსახურს ავტომობილში ტორტის ნაჭრისა და ფხვიერი ნამცხვრის ჩადება დაავიწყდა, რომელიც ჩვენთვის სამგზავროდ გაამზადებინა. კიდევ ერთხელ გავიარეთ გზა ჩვენს შესახვედრად მორბენალი ყვავილნარით დამშვენებული პატარა სახლების ამალით. მოგვეჩვენა, რომ ამ მხარის იერსახე ისე შეცვლილიყო, ვერ იცნობდით: იმ ტოპოგრაფიულ წარმოდგენაში, ყოველი ადგილის გავლისას რომ ვადგენთ, სივრცეს გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. უკვე ვთქვით, რომ მნიშვნელოვანწილად ადგილს დრო გამოაცალკევებს. მაგრამ დროც ყოველთვის როდია სრულუფლებიანი. ზოგიერთი ადგილი ხომ ჩვენთვის სამუდამოდ გამიჯნულია, ჩვენს წარმოდგენაში სხვა დანარჩენის თანაზომიერი არ არის. ისინი თითქოს შორეული სამყაროს მიღმა არიან, იმ ადამიანების მსგავსად, რომლებთანაც ჩვენი ცხოვრების ძირითად პერიოდებში

განსაკუთრებული ურთიერთობები გვქონდა, მაგალითად, სამხედრო სამსახურისას ან ბავშვობაში. ჩემი პირველი ჩამოსვლისას მარკიზა დე ვილპარიზს ჩვენი ბომონში წაყვანა უყვარდა, რადგან იქიდან, გორებიდან, მხოლოდ ტყე და წყალი ჩანდა. ეს გზა ყველაზე ლამაზ

გზად მიაჩნდა; იგი უძველეს ხეებს შორის გადიოდა, მაღლა და მაღლა ადიოდა, ისე მაღლა, ცხენები იძულებული იყვნენ, ნელი ნაბიჯით, ღოღიალ-ღოღიალით ევლოთ. გორაზე ასულები ეკიპაჟიდან გადმოვდიოდით, მცირე ხანს ვსეირნობდით, მერე ისევ ეკიპაჟში ვსხდებოდით და იმავე გზით ვბრუნდებოდით, გზაში არც სოფელი გვხვდებოდა, არც ციხე-დარბაზი. მახსოვდა, რომ ბომონი ფრიად საინტერესო, თავისებური ადგილი იყო, თანაც ძალიან შორს, ძალიან მაღლა, სხვა ადგილებში ბომონის გზით არასოდეს წავსულვართ, მხოლოდ ის მახსოვდა, იქამდე რომ მივსულიყავით, ეტლით ძალიან დიდხანს უნდა გვევლო... ბუნებრივია, ბომონი იმავე ოლქში (ანდა იმავე პროვინციაში) იყო, სადაც ბალბეკი, ოღონდ, ჩემი გაგებით, იგი სულ სხვა პლანში მდებარეობდა და ექსტერიტორიულობის პრივილეგიით სარგებლობდა. მაგრამ ავტომობილისთვის დაფარული არაფერი არსებობს; ენკარვილში ჩავედით, ბორცვებიან შარაგზაზე დაშვება დავიწყეთ, პარვილამდე (Paterni villa) რომ მიდიოდა, და ზღვა დავინახეთ; ვიკითხე, ამ ადგილს რა ჰქვია-მეთქი, ვიდრე მძღოლი მიპასუხებდა, ბომონი ვიცანი, რომლის სიახლოვესაც, ისე, რომ თავადაც არ ვიცოდი, მატარებლით თურმე რამდენჯერ ჩამივლია, რადგან აქედან პარვილამდე ორი წუთის სავალი იყო. წარმოიდგინეთ, რომ ერთ ჩემს თანაპოლკელ ოფიცერს ისე ვუყურებ, როგორც განსაკუთრებულ ადამიანს. ისეთ კეთილსა და უბრალოს, მაღალი წრის ადამიანებში რომ ვერ იპოვი, ისეთს, სხვებს რომ არ ჰგავს, და ისეთ იდუმალს, მაღალი წოდების ადამიანებში რომ ვერსად წააწყდები, და უცბად ვიგებ, რომ იგი ნათესავია იმ ადამიანების, ვისთან ერთადაც ქალაქში უნდა ვივახშმო, ასევეა ბომონიც, მოულოდნელად იმ ადგილებთან კავშირში რომ აღმოჩნდება, რომლებიც, როგორც მე მეგონა, აქედან ძალიან შორს იყო, და დაკარგა კიდეც თავისი იდუმალება, ამ მხარეში ის ადგილი დაიკავა, მას რომ ეკუთვნოდა; ამან საშინელი აზრი მომგვარა, თუ ქალბატონ ბოვარსა და სანსევერინას რომანის ჩაკეტილ სამყაროს მიღმა, სადმე სხვაგან შევხვდებოდი, შეიძლება

მომჩვენებოდა, რომ დანარჩენი ქალებისგან არაფრით განსხვავდებოდნენ. მკითხველს საფუძველი აქვს, იფიქროს, რომ რკინიგზით ჯადოსნური მოგზაურობისადმი ჩემი სიყვარულის გამო არ ვიზიარებდი ალბერტინის აღფრთოვანებას ავტომობილით, რომლითაც ავადმყოფს, სადაც გნებავთ, იქ გადაიყვანთ, რომ მე ადგილმდებარეობას ისე აღარ ვუყურებდი, როგორც ინდივიდუალურ თვისებას, როგორც ბუნების უცვლელი სილამაზის ჭეშმარიტ რაობას. ავტომობილისთვის ადგილმდებარეობა, ისევე როგორც წარსულში რკინიგზისთვის, როცა პარიზიდან ბალბეკში ჩამოვედი, ცხადია, თვითმიზანს არ წარმოადგენდა, რომელიც ყოველგვარ საჭიროებას იყო მოწყვეტილი; მაშინდელი მგზავრობისას ადგილმდებარეობა თითქმის არამატერიალური ჩანდა, ასეთივედ

დარჩა დიდ, უკაცრიელ სადგურში ჩასვლისასაც, მხოლოდ ქალაქის სახელი რომ ერქვა, ამის შემდეგ თითქოსდა მატერიალური ხდებოდა და იმედის მომცემი – ქალაქში შესვლის უფლებას მივიღებდი. არა, ავტომობილს ქალაქისკენ იმ ჯადოსნური გზით არ მივყავდით: ქალაქი ჩვენ თვალწინ ჯერ ერთ მთლიანობაში გადაიშალა, ისეთად, როგორიც მის სახელწოდებაში იდო, საკუთარ თავზე იგივე ცრუ წარმოდგენა შექმნა, როგორიც მაყურებელს ექმნება, როცა სპექტაკლის დაწყებას ელოდება. მძღოლი ქუჩების კულისებში დაგვატარებდა, ჩერდებოდა, გამვლელებს ეკითხებოდა, გზა როგორ გავაგრძელოო. ჩვენდა ჯილდოდ, ასეთი ჩვეულებრივი მოგზაურობისას, მძღოლის დაბნეულობის გამო, რომელმაც გზა არ იცოდა და უკან ბრუნდებოდა ხოლმე, ქალაქი გვეოხუნჯებოდა, ვუახლოვდებოდით, ის კი ცდილობდა, თავის საუკუნის განმავლობაში ნაზარდ ხეებს შორის მიმალულიყო, ოხუნჯობის გუნებაზე დამდგარიყო, ციხე-დარბაზს დაჭერობანას თამაში გაეჩაღებინა გორაკთან, ეკლესიას – ზღვასთან. უფრო და უფრო დავიწროებული წრეები, რომელსაც ავტომობილი ქალაქის ირგვლივ შემოწერდა, ჩვენს სასარგებლოდ მუშაობდა, ქალაქი კი მდევარს გაურბოდა, მაგრამ ბოლოს ავტომობილმა მაინც დაამხო ველის შუაში განფენილი

ქალაქი იგი; ამგვარად, ადგილმდებარეობა აღმოჩნდა ერთადერთ წერტილად, რომელსაც ავტომობილმა იდუმალების საბურავი ჩამოახია, საბურავი, რომელიც ქალაქს ჩქარმა მატარებელმა გადააფარა და ისეთი შთაბეჭდილება შეგვიქმნა, ვითომ იგი თვითონ აღმოვაჩინეთ, კომპასის დახმარებით დავადგინეთ, და პირველაღმომჩენის ის სიხარულის გრძნობა გაგვიღვიძა, რომელმაც ჭეშმარიტი გეომეტრია შეიცნო – «დედამიწის გასაზომად» შექმნილი ეს საოცარი მეცნიერება.

საუბედუროდ, ამ დროს არ ვიცოდი ის, რაც ორი წლის შემდეგ გავიგე, რომ მძღოლის ერთ-ერთი კლიენტი ბატონი დე შარლიუც ბრძანდებოდა და მორელი, მძღოლთან ანგარიშსწორება რომ ევალებოდა, ფულის ნაწილს იჯიბავდა (მძღოლს გავლილი კილომეტრების რაოდენობის გასამმაგებას, გაათმაგებას აიძულებდა); იგი მძღოლს ძალიან დაუმეგობრდა (ხალხში კი თავი ისე ეჭირა, ვითომ არ იცნობდა) და მის ავტომობილს შორეული მოგზაურობებისთვისაც იყენებდა. მაშინ ეს ყველაფერი რომ მცოდნოდა, ან ის, რომ ნდობის წყარო, მალევე რომ განეწყვნენ მისდამი ვერდიურენები, ამაში მდგომარეობდა, თუმცა ამის შესახებ მათ უმცირესი ეჭვიც არ ჰქონდათ, ალბათ, ბევრ ტანჯვას, მომდევნო წელს პარიზში რომ დამატყდა თავს, ალბერტინთან დაკავშირებულ მძიმე განცდებს თავს ავარიდებდი, მაგრამ მაშინ ვერაფერს ვხვდებოდი. ბატონი დე შარლიუს მორელთან ერთად ავტომობილით მოგზაურობები ჩემში რაიმე განსაკუთრებულ ინტერესს არ იწვევდა. მართლაც, აბა, რატომ უნდა დავინტერესებულიყავი ზღვის სანაპიროზე გამართული მათი საუზმეებითა და ვახშმობებით, რაც მათი მოგზაურობების უმთავრესი მიზეზი იყო. ანდა იმით, რომ ბატონი დე შარლიუ ბებერი, ღარიბი მსახურის როლს თამაშობდა, ხოლო მორელი, რომლის საქმეც დანახარჯის გადახდა იყო – ფრიად გულუხვი ბატონის როლს. ახლა ერთ-ერთი ასეთი ტრაპეზის ამბავს

გიამბობთ, იგი წარმოდგენას შეგიქმნით სხვა დანარჩენზეც. ეს მოხდა სენ-მარ-ლე-ვეტიუს რესტორნის გრძელ დარბაზში. «არ შეიძლება, ის მოაშორონ?» – ოფიციანტებთან ურთიერთობა არ ისურვა ბატონმა დე შარლიუმ და მორელს მიმართა საშუამავლოდ. სიტყვა «ეს»-ში სამი ჩამომჭკნარი ვარდი იგულისხმა, დაუზარებელმა მეტრდოტელმა მაგიდის გასალამაზებლად რომ მოიტანა. «შეიძლება... – უპასუხა შეცბუნებულმა მორელმა. – ვარდები არ გიყვართ?». «რადგან სიტყვა ჩამოვარდა, უამრავი მაგალითი შემიძლია მოვიყვანო იმის დასამტკიცებლად, რომ ვარდები მიყვარს, ვინაიდან ის ვარდები ამ მხარეში არ არსებობს (მორელი გაოცებული დარჩა – აზრი ვერ გაიგო); სინამდვილეში კი არც ისე ძალიან მიყვარს. სახელებს ვანიჭებ დიდ მნიშვნელობას, ასე რომ, თუ ვარდი საკმაოდ ლამაზია, აღმოჩნდება ხოლმე, რომ მისთვის ბარონესა როტშილდის ან მარშალი ნიელის[148] ცოლის სახელი დაურქმევიათ, რის გამოც გულს ავიყრი ხოლმე. სახელწოდებები გიყვართ? თქვენი საკონცერტო ნომრებისთვის ლამაზი სახელწოდებები შეარჩიეთ?». «ერთ ნომერს «სევდის პოემა» ვუწოდე». «საშინელებაა, – სილის გარტყმასავით უხეში ხმით წამოიძახა ბატონმა დე შარლიუმ. – მე ხომ შამპანური შევუკვეთე? – უთხრა მეტრდოტელს, რომელსაც ეგონა, რომ შამპანური მოიტანა, არადა, ორივე კლიენტის წინ შუშხუნა ღვინით სავსე ორი ბოკალი დადგა». «მაგრამ, ბატონო...». «წაიღეთ ეს საზიზღრობა. ყველაზე ცუდი შამპანურიც კი თქვენს ღვინოზე უკეთესია. ეს გულის ამრევი ღვინო, რომელსაც «კიუპს» ეძახიან, ძმრისა და სელტენის წყლის ნარევია და შიგ სამი დამპალი მარწყვი დაცურავს... დიახ, – ისევ მორელს მიუბრუნდა და განაგრძო: – როგორც ვატყობ, ვერ ხვდებით, რას ნიშნავს კარგი სახელწოდება. როგორც ჩანს, იმ ნაწარმოებების ინტერპრეტაციისასაც, რომლებსაც განსაკუთრებით კარგად ასრულებთ, მათ მედიუმირებას ვერ გრძნობთ». «რა ბრძანეთ?»... – ჰკითხა მორელმა; ბარონის ნათქვამიდან ვერაფერი გაიგო, არც უცდია გაგება, მხოლოდ ერთი რამის ეშინოდა – საინტერესო ინფორმაცია არ გამოჰპარვოდა, მაგალითად,

საუზმეზე მიწვევა. ბატონმა დე შარლიუმ არ ინება, ეს «რა ბრძანეთ?» კითხვაც მიეღო და, პასუხი რომ არ აღირსეს, მორელმა გადაწყვიტა, თემა შეეცვალა და საუბარი სქესთა შორის გრძნობადი ურთიერთობების მიმართულებით წაიყვანა. «შეხედეთ პატარა ქერა გოგონას, რომელიც იმ ყვავილებს ყიდის, თქვენ რომ არ გიყვართ; ან იმ მეორეს. მას, ალბათ, მეგობარი ქალიც ჰყავს. ან იმ მოხუცს, დარბაზის სიღრმეში რომ ვახშმობს». «საიდან იცი?» – გაიოცა მორელის ნათელმხილველური ნიჭით აღფრთოვანებულმა ბატონმა დე შარლიუმ». «ეგრეევე ვატყობ. ხალხში რომ ვსეირნობდეთ, დარწმუნდებოდით, რომ ორჯერაც არ შევცდებოდი». ამ წუთში თუ ვინმე აკვირდებოდა მორელს, მის მამაკაცურ სილამაზესა და სახის ქალწულებრივ გამომეტყველებას, ადვილად მიხვდებოდა, გაუცნობიერებლად რატომ ისწრაფოდნენ ქალები მისკენ, თვითონ კი ქალებისკენ. მას ჟიუპიენის განდევნა სურდა, ბუნდოვანი იმედი ჰქონდა, თავისი «ფიქსისთვის» ის ფული მიემატებინა, რომელსაც, როგორც მას ეგონა, ჟილეტების მკერავი ბარონს სძალავდა. «ალფონსებში უკეთესად ვერკვევი. ყველა ხათაბალას აგაცდენდით. მალე ბალბეკში ბაზრობა გაიმართება და იქ რამე შესაფერისს ვიპოვით. და პარიზშიც კარგად გაერთობით». ამ დროს

შინამოსამსახურის მემკვიდრეობითმა სიფრთხილემ თავისი გაიტანა, აიძულა, ამ წინადადებისთვის სხვა აზრი მიეცა. ბატონ დე შარლიუს კი ეგონა, რომ მორელს ისევ გოგონები ჰყავდა მხედველობაში. «იცით, – განაგრძო მორელმა, უნდოდა, ბატონი სხვა, ნაკლებ მაკომპრომეტირებელი საშუალებით აღეგზნო (თუმცა ეს საშუალება უფრო დიდი უზნეობა გახლდათ), – ჩემი ოცნებაა, უმანკო გოგონას შევხვდე, თავი შევაყვარო და უბიწობა წავართვა». ბატონმა დე შარლიუმ თავი ვეღარ შეიკავა, ყურზე ალერსიანად უჩქმიტა და ჰკითხა: «რაში გჭირდებათ? თუ ქალწულობას წაართმევ, მასზე დაქორწინება მოგიწევს». «დაქორწინება? – წამოიძახა მორელმა, ეტყობა, იგრძნო, რომ ბარონი მოიხიბლა, იქნებ, იფიქრა კიდეც, რომ ადამიანი, რომელთანაც საუბრობდა, უფრო პატიოსანი აღმოჩნდა, ვიდრე ეგონა. –

დაქორწინება? ნურას უკაცრავად! დავპირდები, მაგრამ როგორც კი ამ პატარა ოპერაციას წარმატებით დავამთავრებ, იმავე საღამოს მივატოვებ». ბატონ დე შარლიუს ჩვეულებად ჰქონდა ვინმეს ჩანაფიქრის მოწონება, თუ ის წუთიერ სიამოვნებას მიანიჭებდა, მაგრამ, როგორც კი ეს განცდა გადაუვლიდა, თავისი სიტყვა მაშინვე უკან მიჰქონდა. «მართლა ასე მოიქცეოდი?» – სიცილით ჰკითხა მორელს და მჭიდროდ მიეკრა. «და თანაც როგორ!» – უპასუხა მორელმა, როგორც კი შეამჩნია, ბატონი სიამოვნებით უსმენდა მის მიერ გულახდილად გამოთქმულ სანუკვარ სურვილს. «სახიფათოა», – თქვა ბატონმა დე შარლიუმ. «წინასწარ ჩავალაგებდი ჩემოდნებს და ისე გავვარდებოდი, მისამართსაც არ დავტოვებდი». «მე?» – ჰკითხა ბატონმა დე შარლიუმ. «თავისთავად იგულისხმება, რომ თან წაგიყვანდით. – პასუხი იჩქარა მორელმა, თუმცა ბარონზე ნაკლებად ფიქრობდა, რადგან ის სულაც არ იყო მისი მთავარი საზრუნავი – იცით, არის ერთი პატარა გოგონა, რომელიც ამ საქმისთვის ძალიან გამომადგება: უბრალო მკერავი გოგოა, მისი სახელოსნო ბატონი ჰერცოგის სახლშია». «ჟიუპიენის ქალიშვილი? – ზუსტად მაშინ წამოიყვირა ბარონმა, როცა დარბაზში მსახურთუფროსი შემოვიდა. – ო, არასოდეს!» – დაუმატა მან, იქნებ, იმიტომ, რომ მესამე პირის მოსვლამ გული გაუცივა, ან, იქნებ, იმიტომაც, რომ იმ შავ მასაში, სადაც სიამოვნებას იღებდა, ყველაზე წმინდა შეურაცხყვეს და იქ იმ ადამიანების შეშვება ვერ გადაეწვიტა, რომლებთანაც მეგობრობა აკავშირებდა. «ჟიუპიენი კარგი ადამიანია, პატარა კი მშვენიერი გოგონაა, მათი წყენინება უსინდისობა იქნება». მორელი მიხვდა, მეტისმეტად შორს შეტოპა და გაჩუმდა, სიცარიელეში იყურებოდა, უაზრო გამოხედვა იმ გოგონასკენ იყო მიმართული, რომლის დაპყრობაც იმ დღეს მოუნდა, როცა ჟილეტის შეკერვა შეუკვეთა და როცა მე «დიდი არტისტი» ვუწოდე. მუშა გოგო თავაუღებლად საქმიანობდა, მერე გავიგე, ვიდრე მევიოლინე ბალბეკის შემოგარენში ცხოვრობდა, გოგონა განუწყვეტლივ ფიქრობდა მის მშვენიერ სახეზე, რომლის ნაკვთებსაც მეტი კეთილშობილება მას შემდეგ მიანიჭა, ჩემთან ერთად რომ დაინახა და «ბატონი» ეგონა.

«არასოდეს მომისმენია, როგორ უკრავდა შოპენი – თქვა ბარონმა, – არადა, შემეძლო, მაგრამ სტამატი[149] მამეცადინებდა და დეიდაჩემმა მასთან ნოქტიურნების ოსტატის მოსასმენად არ გამიშვა». «რა სისულელე ჩაუდენია!» – წამოიძახა მორელმა. «არა,

პირიქით, – მწივანა ხმით, ცოცხლად უპასუხა ბატონმა დე შარლიუმ. – სწორედ აქ გამოჩნდა მისი ჭკუა. მიხვდა, ჯერ ღლაპი ვიყავი და ზეგავლენის ქვეშ ადვილად მოვექცეოდი. თუმცა ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა არც ჰქონდა, სრულიად ახალგაზრდამ მივატოვე მუსიკის შესწავლა, ისევე როგორც სხვა ხელოვნებების. თანაც გარკვეული შთაბეჭდილებების შექმნა მერეც შეიძლება, – ნელი, მონოტონური ხმით ცხვირში ჩაიდუდღუნა. – აუცილებლად შეხვდებით ადამიანებს, რომლებსაც მისთვის მოუსმენიათ და მასზე რაღაც წარმოდგენას შეგიქმნიან. მოკლედ, შოპენი ჩემთვის მხოლოდ საბაბი იყო, დავბრუნებოდი მედიუმობას, რომელსაც თქვენ არად მიიჩნევთ».

ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ამ დროს ბატონმა დე შარლიუმ მუსაიფიდან უცბად გადაუხვია და გადატყლარჭული, ამპარტავნული, მისთვის ასე დამახასიათებელი აგდებული ტონით ამეტყველდა. ეს, აი, რითი აიხსნება: იმან, რომ მორელი პატივაყრილ გოგოს სინდისის ქენჯნის გარეშე «მიატოვებდა», მოულოდნელად დიდი სიამოვნება მიანიჭა. მერე ბატონ დე შარლიუს მგზნებარება ერთხანს ჩაუქრა, სადისტი (მართლაც მედიუმური), რამდენიმე წამით რომ აჯობა, განშორდა და სიტყვა ნამდვილ დე შარლიუს გადასცა, მის დახვეწილობას, ნატიფ გრძნობებსა და სიკეთეს. «თქვენ ამას წინათ ფორტეპიანოსათვის გადამუშავებული მეთხუთმეტე კვარტეტი დაუკარით. გადამუშავება თავისთავად უაზრობაა. ძნელი წარმოსადგენია სხვა რამ ამაზე უფრო არაპიანისტური. ეს იმათთვის არის განკუთვნილი, ვისაც დიადი ყრუს მიერ მეტისმეტად დაჭიმული სიმებისგან ყურები სტკივა. არადა, ზუსტად ეს მკვეთრი მისტიციზმია ღვთაებრივი. თქვენ მაშინ ცუდად დაუკარით, რადგან საჭირო ტემპი არ აიღეთ. ის ისე უნდა შეასრულით,

თითქოს თვითონ შექმენით: ახალგაზრდა მორელი, ყურთასმენის მოულოდნელი დაკარგვითა და არარსებული გენიალობით განადგურებული, ერთი წამით გაშეშდება, მერე წმინდა ღვთაებრივ სიგიჟეშეპყრობილი დაკვრას იწყებს, თხზავს პირველ ტაქტებს; ძალისხმევას, რომელსაც შესავლისთვის ხარჯავს, ქანცგაწყვეტამდე მიჰყავს, თავს ხრის, შუბლზე ლამაზი კულული ეკიდება: ეს მას ქალბატონი ვერდიურენის მოსახიბლად და ოდნავ სულის მოსათქმელად სჭირდება, რათა ლეგა სუბსტანციის ძირითადი რაოდენობა აღიდგინოს, რომელიც წინასწარმჭვრეტელური ობიექტივაციისთვის გახარჯა; ძალამოკრებილი, უძლიერესი აღტყინების აღმაფრენით კვლავ შეპყრობილი ღვთაებრივი, ამოუწურავი მელოდიისკენ მიექანება, რასაც ბერლინელმა ვირტუოზმა (ვფიქრობ, ბატონმა დე შარლიუმ მენდელსონს უწოდა ასე) შემდეგში ბევრჯერ მიბაძა. მხოლოდ ასე, მხოლოდ ტრანსცენდენტურად და ამაღლებულად გაიძულებთ, პარიზში დაუკრათ». მსგავსი რჩევებისა, რომელიც ბატონმა დე შარლიუმ ჩამოაყალიბა, მორელს უფრო მეტად ეშინოდა, ვიდრე მეტრდოტელის მიერ ბარონისგან დაწუნებული ვარდებისა და «კიუპის» წაღება გახლდათ, რადგან მორელში იმ კითხვას ბადებდა, რაც ძალიან აღელვებდა – როგორ აღიქვამდნენ ამას «კლასში?» მაგრამ ეს ფიქრი მორელს დიდხანს არ გაგრძელებია, რადგან ბატონმა დე შარლიუმ უბრძანა: «ჰკითხეთ მეტრდოტელს «კეთილი

ქრისტიანი» თუ აქვთ». «კეთილი ქრისტიანი?» ვერ მივხვდი». «უკვე დროა, ხილი მოგვართვან. ეს კი მსხლის სახელია. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ მარკიზა დე კამბრემერს ამ მსხალს მიართმევენ ხოლმე, რადგან მას მიართმევდნენ ხოლმე გრაფინია დ'ესკარბანას, მარკიზა დე კამბრემერი კი გრაფინია დ'ესკარბანაა. გრაფინიას ეს მსხალი ბატონმა ტიბოდემ გამოუგზავნა, გრაფინიამ კი თქვა: «ამ ჯიშის მსხალს «კეთილი ქრისტიანი» ჰქვია, საუკეთესო მსხალია». «არ ვიცოდი». «ვხედავ, საერთოდ არაფერი იცით. ალბათ, მოლიერიც არ წაგიკითხავთ... კარგი, რადგან განკარგულების გაცემის უნარი არ გაქვთ

და სხვა დანარჩენშიც უგერგილო აღმოჩნდით, მაშინ ის მსხალი მოითხოვეთ, აქვე ყველგან რომ იზრდება ე. ი. «ლუიზ-ბონ-დ'ავრანში». «ეს არის?». «მოიცათ, რადგან ასე მიუხვედრელი ბრძანდებით, თვითონვე შევუკვეთავ, ოღონდ სხვას, ჩემს საყვარელს. მეტრდოტელო! «დოიან დე კომისი» გაქვთ? შარლ, თქვენ უნდა ის უბრწყინვალესი გვერდები წაიკითხოთ, ჰერცოგინია ემილი დე კლერმონ-ტონერმა რომ უძღვნა ამ მსხალს». «არა, ბატონო, ასეთი მსხჯალი არ გვაქვს». «ჟოდუანის გამარჯვება?» «არა, ბატონო». «ვირჟინი-დალე?» «არა, ბატონო». «დე ლა პას-კოლნარი?» არა? კარგი. რადგან არაფერი გაქვთ, მაშინ წავალთ. «ჰერცოგინია დ'ანგულმელი» ჯერ არ დამწიფებულა. წავიდეთ, შარლ». ბატონი დე შარლიუს, მისდა საუბედუროდ, შეიძლება ჯანსაღი აზრის ნაკლებობის გამო ან იმ უმანკო ურთიერთობის მიზეზითაც, როგორიც, ალბათ, მორელთან ჰქონდა, უჩვეულოდ უხვი წყალობებით ავსებდა მევიოლინეს, რომელიც ვერ მიმხვდარიყო, რას ნიშნავდა ეს, და თავისი უმადური, დაწვრილმანებული, ასევე უცნაურობებით სავსე ბუნების წყალობით, გულცივად პასუხობდა ან უფრო და უფრო მეტი უხეშობით, რასაც ბატონი დე შარლიუ, უწინ ასეთი ამაყი, ახლა დაბეჩავებული, სასოწარკვეთამდე მიჰყავდა. მერე ვნახავთ, როგორ წარმოიდგინა მორელმა, რომ ვიღაც დე შარლიუზე ათასი თავით გაიზარდა, ყველაფერი, ყოველი წვრილმანის ჩათვლით, გაეგებოდა, რასაც ბარონი თავის ზვიადურ ქადაგებებში არისტოკრატიაზე ელაპარაკებოდა. მანამდე კი, ვიდრე ალბერტინი სენ-იოანე-დე-ლა-ეზის ეკლესიასთან მელოდა, მორელი მიმტკიცებდა, მისთვის უმაღლესი თავადაზნაურული წოდება (და ეს, არსებითად, კეთილშობილება იყო, განსაკუთრებით იმ ადამიანის მხრიდან, რომელიც უდიდეს სიამოვნებას პატარა გოგოების დევნაში ხედავდა, თანაც ისე, ყველაფერი «ფარულად მომხდარიყო» მძღოლის ხელშეწყობით) მისი არტისტული დიდება და ვიოლინოს კლასის მეგობრების შეფასება გახლდათ. ეჭვი არ არის, კადნიერად იქცეოდა, რადგან გრძნობდა, რომ ბატონი დე

შარლიუ მთლიანად მის გავლენაში მოექცა. თავს იკატუნებდა, ვითომ ბარონთან ურთიერთობის გაწყვეტა უნდოდა, აბუჩად იგდებდა, ზევიდან დაჰყურებდა, ზუსტად ისევე, როგორც მე დამიწყო ყურება, როცა სიტყვა ჩამომართვა, არავისთვის გამემხილა, რა მოვალეობას ასრულებდა მამამისი პაპაჩემის სახლში. თავისი სახელი, დიპლომიანი მუსიკოსის სახელი, მართლაც უმაღლესი წოდება ეგონა ყველა სხვა «სახელთან» შედარებით. და, როცა პლატონური გრძნობებით სავსე ბატონმა დე

შარლიუმ მისთვის თავისი ოჯახის ერთ-ერთი ტიტულის მინიჭება მოისურვა, მორელმა მტკიცე უარი განუცხადა.

რადგან ერთხელ ალბერტინმა იოანე-დე-ლა-ეზში დარჩენა და ხატვა უფრო გონივრულად მიიჩნია, მე ავტომობილში ჩავჯექი და გურვილის, ფეტერნის, სენ-მარი-ლე-ვიეს მოვლა მოვასწარი, კრიკტოში ჩავედი, მერე მასაც შევუარე. თავს ისე ვაჩვენებდი, ვითომ მის გარდა სხვა საქმეც მქონდა, სხვა გასართობი, სინამდვილეში განუწყვეტლივ მასზე ვფიქრობდი. უფრო ხშირად გურვილის თავზე განფენილი ფართო მინდვრის იქით არც მივდიოდი, რომელიც რაღაცით იმ მინდორს მაგონებდა, კომბრესთან რომ იწყებოდა და მეზეგლიზამდე ადიოდა; ალბერტინისგან საკმაოდ დიდი მანძილის დაშორებითაც იმაზე ფიქრი მსიამოვნებდა, რომ, თუმცა ჩემი მზერა მას ვერ სწვდებოდა, ჩემ გვერდით მქროლავი ძლიერი და მოალერსე ზღვის ნიავი შეუჩერებლად მიაღწევდა კეტჰოლმს, იმ ხის ტოტებს შეარხევდა, რომლის ფოთლებიც სენ-იოანე-დე-ლა-ეზს ფარავდა, ჩემი საყვარელი ქალის სახეს მიელამუნებოდა და ამგვარად ჩემსა და მას შორის ამ მყუდრო კუთხეში ორმხრივ კავშირს დაამყარებდა, უსასრულოდ გაფართოვდებოდა, თუმცა ეს გაფართოება ჩვენთვის საფრთხეს არ წარმოადგენდა, როგორც იმ ორ ბავშვს არ ელის ხიფათი, თამაშისას ზოგჯერ ისე შორს რომ მიდიან, ერთმანეთის აღარ ესმით, ვერც ერთმანეთს ხედავენ და, მიუხედავად ასე დაშორებისა, მაინც ერთად ყოფნას

აგრძელებენ. იმ გზებით ვბრუნდებოდი, საიდანაც ზღვა ჩანდა, სადაც უწინ, მანამდე, ვიდრე იგი ტოტებს შორის გამოჩენას დაიწყებდა, თვალს ვხუჭავდი, ვემზადებოდი, აი, ახლა დავინახავდი მდრტვინავ წინაპართა მიწას, ისეთს, როგორიც იმ დროში იყო, როცა სიცოცხლე ჯერ არ არსებობდა, თავისი მოუთვინიერებელი უმიზეზო მარადმყოფი მღელვარებით. ახლა ეს ბილიკები მხოლოდ ალბერტინამდე მისასვლელად მჭირდებოდა; ხომ ვიცოდი, რომ ეს ბილიკები ერთმანეთს ჰგავდნენ, ვიცოდი, სადამდე მიდიოდნენ, სად უხვევდნენ; ვიხსენებდი, როგორ დავდიოდი ამ გზებით და მადმუაზელ დე სტერმარიაზე ვფიქრობდი, იმასაც, ასეთივე მოუთმენლობით როგორ მივდიოდი ალბერტინთან პაემანზე პარიზის იმ ქუჩებით, სადაც ჰერცოგინია დე გერმანტს გაევლო; ამ ყველაფერში სრულ ერთფეროვნებას, მათში ჩემი ხასიათის განვითარების სიმბოლოს ვხედავდი. ამ ბილიკებზე ყველაფერი ბუნებრივი იყო და ჩემთვის ღირებული; ისინი მახსენებდნენ, რომ ჩემი ბედისწერა მოჩვენებებს მისდევდა, არსებებს, რომელთა უმრავლესობაც ჩემი წარმოსახვის ნაყოფი იყო; სინამდვილეში, ყრმობიდანვე ადამიანთა იმ ჯიშს ვეკუთვნოდი, ვისთვისაც ყველაფერს მყარი ღირებულება ჰქონდა, სხვათა აზრით, უდავო რამეებს – სიმდიდრე, წარმატება, ბრწყინვალე მდგომარეობა – არაფრად აგდებდა; ამიტომ ასეთები მოჩვენებებთან შესახვედრად ყველა საშუალებას ეძებენ და ყველაფერს მსხვერპლად სწირავენ. მაგრამ მოჩვენება მალე ქრება; მაშინ სხვების ძებნას იწყებენ, საბოლოოდ ისევ პირველს უბრუნდებიან. აი ასე, მეც არაერთხელ დავუბრუნდი ალბერტინს, გოგონას, რომელიც პირველი ჩამოსვლისას ზღვის სანაპიროზე დავინახე. ისიც მართალია, რომ იმ ალბერტინსა, რომელიც პირველად შემიყვარდა,

და იმ ალბერტინს შორის, რომელთან განშორებაც ახლა ვეღარ მომეხერხებინა, სხვა ქალებიც შემოიჭრებოდნენ ხოლმე, კერძოდ კი, ჰერცოგინია დე გერმანტი. შეიძლება მკითხონ, რაღას ვიტანჯებოდი ჟილბერტის გამო ან რატომ ვიწამებდი თავს ჰერცოგინია დე გერმანტისთვის, თუ მათთან ვმეგობრობდი, ფიქრით კი

მხოლოდ ალბერტინზე ვფიქრობდი? ამაზე პასუხის გაცემა სიკვდილის წინ მხოლოდ სვანს შეეძლო, რადგან მოჩვენებები უყვარდა. ბალბეკის ბილიკები ასეთი მოჩვენებებით იყო სავსე, დევნილებით, დავიწყებულებით, ზოგჯერ ერთადერთი შეხვედრის გულისთვის ხელახლა ნაპოვნით, რათა ხელით შეხებოდნენ არარსებულ სიცოცხლეს, რომელიც წამიერად ქრება. იმაზე ვფიქრობდი, რომ ყველა ეს ხე, ვაშლის, მსხლის, რომელთა შორისაც ბილიკები გადიოდა, ჩემზე დიდხანს გაძლებდა; მელანდებოდა, თითქოს ისინი მირჩევდნენ, მალე შევდგომოდი საქმეს, ვიდრე მარადიული სიმშვიდის საათი ჩამომირეკავდა.

*** * ***

კეტჰოლმში მანქანიდან გადმოვდიოდი, ფრიალო გორაკზე ავრბოდი, წყაროს ერთი ნაპირიდან მეორეზე გადებულ ფიცარს გადავირბენდი და ალბერტინთან მივდიოდი, წვეტიანი, წითელი ვარდნარევით აფეთქებული პატარა სამრეკლოებით დაგვირგვინებული ტაძრის პირდაპირ რომ იჯდა და ხატავდა. სწორი მხოლოდ ტიმპანი[150] იყო; ქვის ზედაპირზე შეზრდილ ანგელოზებს ხელში სანთლები ეჭირათ და XX საუკუნის ახალგაზრდა წყვილის წინ XVII საუკუნის წეს-ჩვეულებებს აღასრულებდნენ. წინასწარ გამზადებულ ტილოზე, ელსტირის მიბაძვით, მათ დახატვას ცდილობდა ალბერტინი, უნდოდა, ფუნჯის ფართო მოსმით ის კეთილშობილური რიტმი გადმოეცა, რითიც, როგორც დიდი მასწავლებელი იტყოდა, იგი განსხვავდებოდა ყველა დანარჩენისგან, რაც აქამდე გვინახავს. მერე ალბერტინი თავის ნივთებს აგროვებდა, ერთმანეთის დახმარებით გორაკზე ავდიოდით, ეს პატარა ეკლესია კი ისევ მშვიდად იდგა, თითქოს არც დავუნახივართ, და წყაროს უწყვეტ რაკრაკს უსმენდა. ავტომობილით უკან მოვქროდით, ოღონდ სხვა გზით. მერე მარკუვილ-ლ'ორგეიეზს ჩავუვლიდით. მის ეკლესიას, ნახევრად ახალს, ნახევრად რესტავრირებულს, ჩამავალი მზე ისეთი მშვენიერი პატინათი[151] ფარავდა, როგორიც თვით საუკუნეები იყო. დიდი ბარელიეფები ნახევრად ფერგაცლილი, ნახევრად ავარვარებული სხეულებივით გამოიყურებოდნენ. არახელშესახები ლივლივით გარშემორტყმული წმინდა ქალწული, წმინდა ელიზაბეთი, წმინდა იოაკიმი ისე გამოიყურებოდნენ თითქოს წყლიდან და მზის სხივებიდან გადმოდიოდნენ. ცხელ მტვერზე აღმოცენებული, კოლონებზე აღმართული მრავალი თანამედროვე ქანდაკება მზის ჩასვენების მოოქრული საბურველების კიდეს ეხება.

ეკლესიის ახლოს ერთი მაღალი კვიპაროსი რაღაც წმინდა ზღუდედ იდგა. ეკიპაჟიდან გადმოვდიოდით და ეკლესიას ვათვალიერებდით.

ალბერტინის იტალიური ჩალის შლაპა და აბრეშუმის შარფი როგორღაც მისი სხეულის გაგრძელებად ჩანდა (ეს შეგრძნება მის განწყობილებაზეც აისახებოდა) და ეკლესიის გარშემოვლისას უკვე სხვა გუნებაზე იყო, უდარდელი შინაგანი კმაყოფილებით რომ გამოიხატებოდა და ჩემს თვალში, განსაკუთრებულ მშვენიერებას სძენდა. ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ შარფი და შლაპა ჩემს მეგობართან მოხვედრილი შემთხვევითი ნაწილაკი იყო, ახლა კი საღამოს სუფთა ჰაერზე ჩემთვის უკვე ძვირფასად ქცეულის კვიპაროსიდან გამოკრთომას თვალს ვადევნებდი. მართალია, ალბერტინი თვითონ ვერ ხედავდა, მაგრამ, ალბათ, გრძნობდა, რომ ელეგანტური შარფი და პატარა შლაპა ძალიან უხდებოდა, რადგან, როცა თავსაბურით დაგვირგვინებული თავის მოძრაობით ვარცხნილობას შეისწორებდა, თან მიღიმოდა. «ცუდად არის რესტავრირებული», – მითხრა და ეკლესიისკენ მიმანიშნა, მერე გაიხსენა ელსტირის სიტყვები იმ ძველი ქვეყნის საუცხოო, განუმეორებელ სილამაზეზე, რომელიც ამ ეკლესიის აგებულებაშიც გამოსჭვიოდა. ალბერტინი მაშინვე მიხვდა, რომ ეკლესია აღდგენილი იყო. ის ცუდად ერკვეოდა მუსიკაში, სამაგიეროდ, გასაოცრად სწორად მსჯელობდა არქიტექტურაზე. ელსტირივით ეს ეკლესია მაინცდამაინც არ მომწონდა, მისი მზის სხივებით აოქროებული ფასადი ჩემს მზერას არ იზიდავდა და მისი დათვალიერება ალბერტინის საამებლად დავიწყე მხოლოდ და მაინც, ჩემი აზრით, დიდი იმპრესიონისტი საკუთარ თავთან წინააღმდეგობაში მოდიოდა; განა სამართლიანია, ხუროთმოძღვრის მიერ შექმნილ სილამაზეზე ვიმსჯელოთ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, როგორ გარდაისახება იგი ჩამავალი მზის სხივებზე? «არა, ნამდვილად არ მომწონს, – თქვა ალბერტინმა, – მხოლოდ მისი სახელწოდება – «ამაყი»[152] – მომწონს. სიტყვამ მოიტანა და ბრიშოს უნდა ვკითხოთ, სენ-მარს რატომ ჰქვია «ჩაცმული»[153]. მოგვიანებით იქით წავიდეთ, თანახმა ხარ?» ლაპარაკისას შუბლზე ჩამოწეული პატარა შლაპის ქვემოდან შავი თვალებით შემომყურებდა, როგორც უწინ პატარა ქუდის ქვემოდან. ქარი შარფს

უფრიალებდა. ავტომობილში ისევ გვერდიგვერდ დავსხედით, მიხაროდა, რომ ხვალ სენ-მარში ერთად წავიდოდით, ორი ძველისძველი სამრეკლო, რომბისებური და ოდნავ დახრილი, იმ მონაკვეთში, სიცხე რომ ვარვარებს და ვერაფერზე ფიქრობ, გარდა ბანაობისა, აგურისფერქერცლიან, ბასრთავიან უძველეს თევზს გვაგონებს, უმოძრაოდ რომ ჰკიდია წყლის გამჭვირვალე სილაჟვარდეში. გზა რომ შეგვემოკლებინა, მარკუვილიდან გამოსვლისას გზაჯვარედინთან გადავუხვიეთ, სადაც ფერმა იყო. ზოგჯერ ალბერტინი მანქანას აქ აჩერებინებდა და, რადგან გადმოსვლა არ სურდა, მე მთხოვდა კალვადოსისა თუ სიდრის მოტანას; თუმცა გვარწმუნებდნენ, ქაფი არა აქვსო, თავზე მოგდებულ ნადებს მაინც ვხდიდით. ერთმანეთს ვეკვროდით; ფერმერები თავდახურულ ავტომობილში ძნელად თუ დაინახავდნენ ალბერტინს; ბოთლებს ვაბრუნებდით, ისევ გზას დავადგებოდით,

თითქოს იმიტომ, რომ ორს ერთად ყოფნა გაგვეგრძელებინა და შეყვარებულთა ცხოვრებით გვეცხოვრა, ალბათ, ასე ეგონათ ფერმერებსაც, და წყურვილის მოსაკლავად ეს შეჩერებაც მხოლოდ უმნიშვნელო გაელვება იყო ამ ცხოვრებისა; გლეხები დარწმუნდებოდნენ კიდეც თავიანთ ვარაუდში, ალბერტინი, ჩვენ, მთელი ბოთლი სიდრის დალევის შემდეგ რომ ვენახეთ – თითქოს ამ პატარა სივრცის, ჩვენ რომ გვყოფდა, ატანა აღარ შეეძლო; ტილოს ქვედაწელში გამოკვართული მისი ფეხები ჩემსას ეკვროდა, ცხელი, უეცრად გაფითრებული მისი ლოყა ჩემსას ეწებებოდა, ღაწვებზე წითელი ლაქები უფრო უღაჟღაჟდებოდა, და იყო მის ლოყებზე მგზნებარებაც ალანდული, ფერწასულობაც, ისეთი, როგორიც ქალაქის გარეუბნის გოგონებს აქვთ. ასეთი წამების გაელვება ისეთივე სწრაფი იყო, როგორიც მისი სახის ცვლილება, იცვლებოდა მისი ჩვეულებრივი ხმაც, სხვა ხმით იწყებდა ლაპარაკს – ხრინწიანი, თავხედური, თითქმის გარყვნილის ხმით. საღამო წვებოდა. რა სასიამოვნო იყო ალბერტინის შარფისა და პატარა შლაპის სიახლოვის შეგრძნება და იმაზე ფიქრი, რომ შეყვარებულები მუდამ ასე ეტმასნებიან ერთმანეთს. შეიძლება, მიყვარდა

კიდეც ალბერტინი, მაგრამ ჩემი სიყვარულის გამჟღავნებას ვერ ვბედავდი, თუნდაც მქონოდა ეს გრძნობა, ვიდრე გამოცდილებით არ შევამოწმებდი, ვერ შევძელი მისი ნამდვილი ღირებულების შეცნობა; ასე მეგონა, იგი უპასუხოდ დარჩებოდა და სადღაც ჩემი ყოფის ზღვარს მიღმა იქნებოდა. აი, ეჭვი კი მაიძულებდა, რაც შეიძლება იშვიათად დამეტოვებინა იგი მარტო, თუმცა იმასაც ვხვდებოდი, ეჭვისგან განკურნება შემეძლო, თუ მას სამუდამოდ დავშორდებოდი. ზოგჯერ მასთანაც დამმართნია ეჭვის აფეთქება, მაგრამ ასეთ შემთხვევებში ვცდილობდი, ერთხელ და სამუდამოდ განმეშორებინა ის, რაც ჩემში ეჭვიანობას იწვევდა. ზუსტად ასე მოხდა ერთხელაც, როცა რივბელში წავედით სასაუზმოდ. სასადილო დარბაზი, უზარმაზარი შემინული კარებით, დერეფნის ნაწილს რომ ჰგავდა და ჩაის სმისთვის იყო განკუთვნილი, თანაბარ დონეზე მდებარეობდა მზის მიერ ოქროსფრად დაფერილ პატარა მდელოებთან, ამის გამო უზარმაზარი ნათელი რესტორანი ისე ჩანდა, თითქოს ამ პატარა მდელოების გაგრძელება ყოფილიყოს. შავთმიანი, ღაჟღაჟა ლაქია, რომელსაც თმა ისე უფრიალებდა, როგორც ალი ფარფატებს ქარში, ამ უსასრულო სივრცეში ძველებური სიმკვირცხლით აღარ დაჰქროდა, რადგან ახლა უმცროსი მსახური აღარ გახლდათ, ის უფროსი ოფიციანტი გამხდარიყო, მაგრამ ბუნებით მკვირცხლი მაინც ყველგან ჩანდა – ხან შორს, სასადილო დარბაზში, ხან ახლოს, ჰაერშიც კი, გარეთ, ბაღში საუზმის მოყვარულ კლიენტებსაც ემსახურებოდა, მორბენალი ჭაბუკი ღმერთის რიგ სკულპტურებს ჰგავდა – ერთი მათგანი თუ კარგად განათებულ შენობაში იყო, რომლის იქითაც მწვანე ველობები იწყებოდა, მეორე ხეთა ჩრდილში, ბუნებრივ განათებაზე, სუფთა ჰაერზე გამოსჭვიოდა. მოულოდნელად ჩვენთანაც გამოჩნდა. ალბერტინმა ჩემს კითხვას დაბნეულად უპასუხა. გაფართოებული თვალებით შეჰყურებდა ოფიციანტს. რამდენიმე წუთში დავრწმუნდი, რომ შესაძლოა, იყო შეყვარებულთან და იმავ დროს გრძნობდე, რომ ის შენთან არ არის. ისეთი სახეები ჰქონდათ, თითქოს

ერთმანეთში იდუმალი საუბარი გაემართათ, ჩემი იქ ყოფნის გამო უსიტყვო, რაც შეიძლება იმ საუბრის გაგრძელებაც ყოფილიყო, უწინდელი შეხვედრებისას რომ დაიწყო, რის შესახებაც არაფერი ვიცოდი ან იმ ერთადერთი გამოხედვით აღმოცენდა, ალბერტინს რომ მიაპყრო – მე მესამე, ზედმეტი ვიყავი, ის, ვისაც ასეთ შემთხვევებში ემალებიან. მას შემდეგაც კი, როცა მეტრდოტელმა მკაცრად უხმო ოფიციანტს, ალბერტინს, საუზმობას რომ აგრძელებდა, რესტორანი, ბაღიც ისევ განათებული სცენა ეგონა, სადაც წამდაუწუმ იცვლებოდა დეკორაცია და სადაც ხან აქ, ხან იქ განუწყვეტლივ ჩანდა მორბენალი შავთმიანი ღმერთი. ერთ წამს ისიც ვიფიქრე: ნეტავ, ალბერტინი ადგილიდან ხომ არ წამოხტება, მარტო დამტოვებს და უკან ხომ არ დაედევნება-მეთქი. მერე ეს მძიმე შთაბეჭდილება მახსოვრობიდან წაიშალა, რადგან გადავწყვიტე, რივბელში აღარ ჩამოვსულიყავი, ალბერტინმაც სიტყვა მომცა, მარწმუნებდა, რივბელში პირველად ვარ და ამ რესტორანში მეტს აღარ შემოვიხედავო. და, რომ არ ეფიქრა, თითქოს გართობის საშუალებას ვართმევდი, დავუმატე, ფეხმარდ ოფიციანტს შენთვის შემოხედვა არც უფიქრია-მეთქი. კიდევ რამდენჯერმე ჩავედი რივბელში, მაგრამ ყოველთვის მარტო ვიყავი და ბევრიც დავლიე, რაც უკვე უწინაც დამმართნია. ბოლო ბოკალის ჩათავებისას მის კედელზე გამოხატულ როზეტს ვათვალიერებდი და მეგონა, რომ იგი იყო ჩემ მიერ განცდილი სიამოვნების ერთადერთი წყარო. ახლა ქვეყნიერებაზე ჩემთვის მხოლოდ ის არსებობდა; უკან მივდევდი, ხელს შევახებდი, მაგრამ დროდადრო ჩემს დაცეცებულ თვალს უსხლტებოდა; მომავალზე აღარც ვფიქრობდი, ჩემთვის როზეტი საკმარისი იყო, ასე ფარვანა დაფარფატებს პეპლის ირგვლივ და იმწუთშივე ერთად იღუპებიან, როგორც კი უმაღლესი სიამოვნების გემოს შეიგრძნობენ. დიახ, ალბათ, მაშინ უნდა შემეწყვიტა ურთიერთობა ქალთან, რომელსაც მწვავე ტკივილის მოყენება ჯერ ვერ მოესწრო, მისგან განკურნებას ხომ არც ველოდი, რადგან განკურნების საიდუმლოს მხოლოდ ის ფლობს, ვინც ტკივილს გვაყენებს. მარტო ჩვენი

სეირნობები თუღა მამშვიდებდა, ოღონდ ახლა მას ისე ვუყურებდი, როგორც მომავლის მაუწყებელს და ეს მომავალი მიზიდავდა, თუმცა იმასაც ვგრძნობდი, რომ საეჭვო ჩანდა, წარსულისგან რაიმეთი ყოფილიყო განსხვავებული: უბრალოდ, მიხაროდა იმ ადგილებში სიარული, სადაც ალბერტინი უჩემოდ ყოფილა დედასთან თუ მეგობარ გოგონებთან ერთად. ეს სიხარული თვითმიზანს არ წარმოადგენდა, დამამშვიდებელი სიხარული იყო, ოღონდ დიდი სიხარული. და, რამდენიმე დღის შემდეგ, როგორც კი მახსოვრობაში ფერმა წამომიტივტივდა, სადაც სიდრი დავლიეთ, გამახსენდა ორიოდე ნაბიჯზე მდებარე სენ-მარ-ლე-ვტიუს ეკლესიაც და ჩემ გვერდით მომავალი პატარაშლაპიანი ალბერტინიც, ამ გოგონას სიახლოვის გრძნობამ განახლებული ეკლესიის სილუეტს განსაკუთრებული აზრი მიანიჭა, ადრე ჩემზე არანაირ შთაბეჭდილებას რომ არ ახდენდა, ამწუთს, როცა მზით განათებული ეკლესიის ფასადი თვალწინ დამიდგა, ის ჩემთვის გულზე დადებულ ტკივილგამაყუჩებელ დიდ კომპრესად იქცა. ალბერტინი პარვილშიც დამყავდა, საღამოთი შევუვლიდი ხოლმე და ზღვისკენ მივდიოდით სიბნელეში ქვიშიან სანაპიროზე დასაწოლად. ცხადია, ალბერტინს ყოველდღე არ ვხვდებოდი და მაინც

დარწმუნებული ვეუბნებოდი საკუთარ თავს: «თუ ვინმეს მოუყვება, ზღვაზე როგორ ცხოვრობდა და დროს როგორ ატარებდა, მაშინ ამ მონაყოლში ყველაზე დიდ ადგილს მე დავიკავებ». ერთად რამდენიმე საათს ვატარებდით და ეს ისეთი დამათრობელი საათები იყო, რომ, მაშინაც კი, როცა პარვილში მანქანიდან ხტებოდა, რომელსაც ერთი საათის შემდეგ ისევ ვუგზავნიდი, მარტოდ აღარ ვგრძნობდი თავს, თითქოს მანქანიდან გადმოსვლისას ავტომობილში ყვავილებს ტოვებდა. შემეძლო, მასთან ყოველდღიური ურთიერთობების გარეშეც გამეძლო; მისგან ბედნიერი მოვდიოდი, ვგრძნობდი, ამ ბედნიერების დამამშვიდებელი მოქმედება შეიძლება რამდენიმე დღეს გაგრძელებულიყო. მაგრამ, ჩემთან დამშვიდობების შემდეგ თუ შემომესმებოდა, როგორ ეუბნებოდა ალბერტინი დეიდას ან მეგობარ გოგონას: «მაშ,

ხვალ ცხრის ნახევარზე. ოღონდ არ დაიგვიანოთ. ცხრის თხუთმეტ წუთზე ისინი უკვე მზად იქნებიან», ჩემი სიმშვიდე ირღვეოდა. საყვარელი ქალის ლაპარაკი იმ ნიადაგს ჰგავს, რომლის ქვეშაც დამანგრეველი მიწისქვეშა წყალი მიედინება: მის სიტყვებს მიღმა მუდამ გულგანმგმირავი სიცივე იგრძნობა, უხილავი საბურველით დაფარული, რომელიც მფლიანად არ ჩანს, იგი მზაკვარია: მხოლოდ ადგილ-ადგილ ჟონავს. როგორც კი ასეთი სიტყვები შემომესმებოდა, ჩემი სიმშვიდე მაშინვე ირღვეოდა. ხელი რომ შემეშალა ცხრის ნახევარზე იმ საიდუმლო შეხვედრისთვის, რომელზეც ჩემი თანდასწრებით მინიშნებებით ილაპარაკეს, მზად ვიყავი, მისთვის ხვალ დილითვე პაემანზე მოსვლა მეთხოვა. პირველ ხანებში, ცხადია, ჩემს სურვილს შეასრულებდა, მართალია, გეგმების ჩაშლა დაენანებოდა, მერე, ბოლოს და ბოლოს, მიხვდებოდა, რომ, თავის გეგმებზე იძულებით უარი მეთქმევინებინა, ეს ჩვეულებად მექცა, და ყველაფერს დამიმალავდნენ. და თანაც, იმ გასართობებზე, რომელსაც ჩამომაშორებდნენ, უფალმა უწყის რას წარმოადგენდა, იმის შიშით, ვაითუ, ვინმე სტუმარი ვულგარული ან მოსაწყენი მომჩვენებოდა, არ მიმიწვევდნენ, საუბედუროდ, ჩემი ცხოვრება იმდენად მჭიდროდ იყო დაკავშირებული ალბერტინის ცხოვრების წესთან, რომ არამარტო ჩემზე ახდენდა გავლენას: მე იგი მამშვიდებდა, დედაჩემს კი მოსვენებას უკარგავდა, და ეს წუხილი, რომელსაც არ მიმალავდა, სიმშვიდეს მირღვევდა. ერთხელ შინ კარგ გუნებაზე დაბრუნებულმა გადავწვიტე, უახლოეს ხანებში ახალი ცხოვრება დამეწყო, რადგან წარსულთან კავშირის გაწყვეტა მხოლოდ ჩემზე იყო დამოკიდებული და ამაში მტკიცედ ვიყავი დარწმუნებული, დედაჩემმა გაიგო, რომ მძღოლს ალბერტინთან წასვლა ვუბრძანე, და მითხრა: «ბევრ ფულს ფლანგავ (ფრანსუაზი თავისი მარტივი, ძარღვიანი ენით უფრო მწვავედ იტყოდა: «ქარს გატანებული ფული»). შარლ დე სევინიეს[154] ნუ დაემსგავსები, – განაგრძო დედაჩემმა, რომელზეც დედამისი ასე ამბობდა: «მისი ხელები ქურაა, რომელშიც ვერცხლი დნება». – თანაც,

მგონი, მართლაც ხშირად დადიხარ ალბერტინთან ერთად. დამიჯერე, ეს უკვე მეტისმეტია, უხერხულ მდგომარეობაში აგდებ. ძალიან მიხაროდა, რომ ერთობი; არც ახლა გიკრძალავ მასთან შეხვედრას, მაგრამ ის, რომ ყველგან ერთად გხედავენ, მართლაც ცუდია». როგორც კი დედაჩემის სიტყვებში ვიგრძენი, ჩემი და

ალბერტინის ცხოვრების წესს, რომელიც სრულ სიამოვნებას არ მანიჭებდა, ყოველ შემთხვევაში, მძაფრ, დიდ სიამოვნებას, ცხოვრების წესს, რომლის შეცვლასაც ყოველდღე ვაპირებდი და მხოლოდ ისეთი დროის შერჩევას ველოდი, როცა მშვიდად ვიქნებოდი, საფრთხე ემუქრებოდა, მაშინვე ეს წესი რაღაცა დროის განმავლობაში ჩემთვის აუცილებელი გახდა. დედაჩემს ვუთხარი, რომ მისმა სიტყვებმა იმ გადაწყვეტილების მიღება გადადო, რომელსაც იგი მოითხოვდა, გადასწია ორი თვით მაინც, რომ არა შენი სიტყვები, ამ გადაწყვეტილების მიღებას ამ კვირის ბოლოს ვაპირებდი-მეთქი. დედამ, რომელიც არ ელოდა, მისი რჩევა ჩემზე ასე იმოქმედებდა, გაიცინა (ალბათ, რომ არ მწყენოდა) და აღმითქვა, ამაზე მეტს აღარ დაგელაპარაკები, ისევ რომ არ შეიცვალო შენი სასიკეთო განზრახვაო. ბებიაჩემის გარდაცვალების დღიდან მოყოლებული, ყოველთვის, როცა დედა სიცილს იწყებდა, სიცილი მოულოდნელად უწყდებოდა, ძლიერი სულიერი ტკივილისგან უცბად ქვითინი აუვარდებოდა, რაც, შეიძლება, სინანულის გამოხატულება იყო, თავისი მწუხარება წამიერად რომ დაივიწყა ან თავის განუშორებელ ტკივილთან მოულოდნელი დაშორებით მწუხარება უმწვავდებოდა. როგორც უნდა ყოფილიყო, ვიგრძენი, რომ ბებიას გარდაცვალებით გამოწვეულ ნაღველს, რომელიც აკვიატებული იდეასავით ჩაუსახლდა, ჩემ გამო მღელვარებაც დაემატა, რადგან ალბერტინისა და ჩემი სიახლოვის შედეგების ეშინოდა, სიახლოვისა, რომლის ხელის შეშლაც ვერ მოეხერხებინა, რადგან ჩემს წინააღმდეგობას გადააწყდა. მაგრამ, როგორც ეტყობა, ვერ დავარწმუნე, რომ თავს არ ვიტყუებდი. გაიხსენა, რამდენი წელია, არც ბებიას, არც მას ხმა არ ამოუღიათ სამუშაოზე, სიტყვაც არ უთქვამთ

ცხოვრების ჯანმრთელი წესის თაობაზე, რომლის, როგორც მათ ვარწმუნებდი, დაწყებაც ვერ შევძელი, ვერ შევძელი დაწყება მხოლოდ იმიტომ, რომ მათი შეგონებები მაღიზიანებდა და, მიუხედავად მათი მორჩილი მდუმარებისა, ამ შეგონებების მიღება არ მომიხერხდა. სადილის შემდეგ ავტომობილს ალბერტინი ჩემთან მოჰყავდა; ჯერ ისევ ნათელი იდგა; სიცხეც იკლებდა, მაგრამ თაკარა დღის შემდეგ ორივე ისევ რაღაც განუცდელ სიგრილეზე ვოცნებობდით; მერე უცებ ჩვენი აღგზნებული, დაწითლებული თვალების წინ ნამგალა მთვარე ჩნდებოდა (როგორც იმ საღამოს, როცა პრინცესა დე გერმანტთან ვიყავი, სადაც ალბერტინმა დამირეკა), ჯერ თხელ, გამჭვირვალე ქერქს ჰგავდა, მერე ცაში უხილავი დანით დაჭრილ მწიფე ნაყოფის მეოთხედ ნაწილს. ზოგჯერ მეც შევუვლიდი ხოლმე მეგობარს, ოღონდ გვიან, ის მენვილის ბაზრის თაღებქვეშ უნდა დამლოდებოდა. პირველ წამებში ვერ ვხედავდი ხოლმე და მოსვენებას ვკარგავდი, ვაითუ, ვერ მოვიდა ანდა ჩემი ნათქვამი კარგად ვერ გაიგო-მეთქი; ამ დროს ცისფერი მუხუდოებით დამშვენებული თეთრი ბლუზით პატარა ცხოველივით მსუბუქად, მკვირცხლად ჩამიხტებოდა ხოლმე ავტომობილში და ჩემ გვერდით მოკალათდებოდა. მერე ლეკვივით დიდხანს, დიდხანს მეალერსებოდა. როცა ღამე ჩამოწვებოდა, როგორც სასტუმროს დირექტორი იტყოდა: «ცა ვარსკვლავებით მოირჭობოდა», შამპანურის ბოთლით ხელში ტყეში მივდიოდით სასეირნოდ ან სუსტად განათებულ სანაპიროზე აქა-იქა მოსეირნეებს ყურადღებას არ ვაქცევდით და დუინის ძირში ვწვებოდით, მოცახცახე მთვარის

ნათელით ორად გაპობილ ზღვასთან ახლოს, გადასაფარებელქვეშ ალბერტინის სხეულს ვიზიდავდი; სხეულს, რომლის მოქნილობას ქალური სინარნარე შეთანაზიარებოდა, რითაც ზღვითა და სპორტით იყო დავალებული; იმ გოგონების სინარნარეც, პირველად რომ დავინახე ზღვის შორეთზე ალანდულები; და შეუნელებელი სიამოვნებით დიდხანს ვუსმენდით, როგორ იკრავდა ზღვა სუნთქვას, ისე დიდხანს აჩერებდა, შეიძლება, კაცს ეფიქრა მოქცევა დამთავრდაო, ისიც

გვესმოდა, დიდი ხნით დაგვიანებული ხმაურით როგორ იშლებოდა ტალღები ჩვენს ფეხებთან. მერე ალბერტინი პარვილში მიმყავდა. მის სახლთან მისულები, იმის შიშით, ვინმეს არ დავენახეთ, იძულებული ვიყავით, კოცნა შეგვეწყვიტა. მას დაძინება არ უნდოდა, ბალბეკში მომყვებოდი, იქიდან ისევ პარვილში მომყავდა, მას შემდეგ, რაც ავტომობილი პირველად გამოჩნდა, ღმერთმა იცოდეს, მძღოლები როდის იძინებდნენ. ბალბეკში გარიჟრაჟის სინესტეში ვბრუნდებოდი, ამჯერად მარტო, მაგრამ ჩემი მეგობრის სიახლოვით, ჩვენს ხვევნა-კოცნაზე უშრეტი მოგონებებით ისე ვიყავი სავსე, რომ დიდხანს მყოფნიდა. ოთახში შესულს დეპეშა ან ღია ბარათი მხვდებოდა. ეს ისევ ალბერტინი იყო. როცა ავტომობილით მარტო მივდიოდი, კეტჰოლმში მწერდა, რათა მცოდნოდა, რომ ჩემზე ფიქრობდა. საწოლში ვწვებოდი და ხელახლა ვკითხულობდი მის ნაწერს. ფარდებს ზემოდან შემოსული დღის სინათლის ზოლს გავყურებდი და საკუთარ თავს ვეუბნებოდი: თუ მთელი ღამე ერთმანეთს ვკოცნიდით, მაშინ ერთმანეთი მართლა გვყვარებია. დილით, სანაპიროზე ერთმანეთთან შეხვედრისას, შიშით, რომ მოუცლელობის გამო უარს მეტყოდა ავტომობილით გასეირნებაზე, დიდხანს ვერ ვბედავდი სიტყვის დაძვრას. განსაკუთრებით მისი სახის გამომეტყველება მაღელვებდა – ცივი, შეფიქრიანებული სახე ჰქონდა; ჩვენ გვერდით მისი ნაცნობები მიმოდიოდნენ; ალბათ, სადღეისო გეგმა შედგენილი აქვს და ამ გეგმაში ჩემთან წამოსვლა არ შედის-მეთქი, ასე მეგონა. ვუყურებდი ალბერტინს, მის ლამაზ სხეულს, აღაჟღაჟებულ სახეს: ჩემ წინ მისი განზრახვების საიდუმლო იდგა, მისი ჩემთვის უცნობი გადაწყვეტილებები, რომლებზეც იყო დამოკიდებული, ბედნიერი დღე მექნებოდა თუ არა. ეს გახლდათ სრულიად განსაკუთრებული სულიერი მდგომარეობა: მთელი ჩემი მომავალი ამ გოგონას ალეგორიული, საბედისწერო გარეგნობით წარმომიდგა. დაბოლოს, როცა გამბედაობა მოვიკრიბე და რაც შეიძლება დიდი გულგრილობა ავისახე სახეზე, ვკითხე: «ახლაც წავალთ სასეირნოდ და საღამოსაც»; მან

მიპასუხა: «დიდი სიამოვნებით», და მაშინვე რაღაც ჯადოსნური გარდასახვის წყალობით, ამ ღაჟღაჟა სახეს, დიდხანს ჩემი მოუსვენრობის საგანი რომ იყო, რაღაც დამბნედავი სიმშვიდე აღებეჭდა, და ეს სახე, რომლისგანაც ყოველდღიური კარგი განწყობით ვარ დავალებული, ელჭექის შემდგომ დამშვიდებული, უფრო ძვირფასი გახდა. ჩემთვის ვიმეორებდი: «რა საყვარელია. რა მომხიბლავი არსებაა». ვიმეორებდი არა სიმთვრალის დროს მძაფრად გამოხატული აღტყინებით, არამედ სიღრმისეულად, როგორითაც მეგობრებისადმი ურთიერთობებით ვართ დავალებული, და გაცილებით მეტი ზეშთაგონებით, ვიდრე მაღალი საზოგადოების

გართობები გვიჩენს. როცა ვერდიურენებთან სავახშმოდ გვეძახდნენ, ავტომობილს არ ვქირაობდით, არც მაშინ, როცა ალბერტინს საქმე ჰქონდა და სასეირნოდ წამოსვლა არ შეეძლო. ამით ვსარგებლობდი და იმათ, ვისაც ჩემი ნახვა უნდოდა, წინასწარ ვატყობინებდი, ამა და ამ დღეს ბალბეკში ვარ-მეთქი. სენ-ლუსაც ვიწვევდი, ოღონდ მხოლოდ ამ დღეებში, როცა ერთხელ გაუფრთხილებლად მოვიდა, ვამჯობინე, ალბერტინთან პაემანი გადამედო, ოღონდ ისინი ერთმანეთს არ შეხვედროდნენ, რადგან მათი შეყრა იმ ნეტარ სიმშვიდეს დამირღვევდა, რომელშიც ერთი ხანია ვიმყოფებოდი და ჩემში ეჭვი ისევ იფეთქებდა. მხოლოდ სენ-ლუს გამგზავრების შემდეგღა დავმშვიდდი. აი, რატომ იყო, რომ, თუმცა ნაღვლიანი გრძნობით, მაგრამ მაინც მკაცრად იცავდა წესს: მოწვევის გარეშე ჩემთან ბალბეკში არ ჩამოსულიყო. ოდესღაც შურით ვფიქრობდი იმ საათებზე, რომელსაც მასთან ატარებდა ჰერცოგინია დე გერმანტი; ჩემთვის რობერთან შეხვედრა ძალიან ძვირფასი იყო! ადამიანები ჩვენთან მიმართებით მუდმივად იცვლებიან. სამყარო ჩვენდა შეუმჩნევლად მუდმივად მოძრაობს, ჩვენ კი გვგონია, ჩვენი გამოჩენის მომენტში უმოძრაოა, ვინაიდან ეს მომენტი ძალზე მოკლეა და ვერ ვასწრებთ, ვიგრძნოთ, რომ საერთო მოძრაობამ ჩვენც გაგვიტაცა. მაგრამ, როგორც კი მახსოვრობა გამოაცოცხლებს სხვადასხვა დროს აღბეჭდილ ორი

ადამიანის სახეს, რომლებმაც მაინც შემოინახეს მსგავსების ნაკვთები, რადგან მათმა შინაგანმა სამყარომ გარდაქმნა ვერ მოასწრო, ყოველ შემთხვევაში, საგრძნობი გარდაქმნა, ამ ორ სახეს შორის განსხვავებით შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმაზე, თუ როგორ შეიცვალა ეს ადამიანი ჩვენთან მიმართებით. გუნება-განწყობილება საშინლად გამიფუჭდა, როცა სენ-ლუმ ვერდიურენებზე დაიწყო ლაპარაკი: შემეშინდა, არ ეთხოვა, გამაცანიო, რაც საკმარისი იქნებოდა, ალბერტინთან ერთად მათთან სიარულის სიამოვნება ჩამშხამებოდა, რადგან ეს ჩემს ეჭვიანობას განაახლებდა. საბედნიეროდ, რობერი გამომიტყდა, რომ მათი გაცნობა ყველაზე ნაკლებად აინტერესებდა. «არა, – თქვა მან, – მგონი, ეს კლერიკალები[155] გამაღიზიანებელი არიან». პირველად ვერ მივხვდი, სენ-ლუმ ვერდიურენებს კლერიკალები რატომ უწოდა, არ ვიფიქრე ენაში მოდის გავლენაზე, ხშირად რომ აოცებს ინტელიგენტ ადამიანებს, მისი აზრი ჩემთვის ნათელი მხოლოდ მომდევნო ნათქვამიდან გახდა: «ეს განსაკუთრებული წრეა, თავის ტომს ჰქმნიან კონგრეგაციითა[156] და ეკლესიით. ვერ უარყოფ, რომ პატარა კასტაა; დათაფლული ენა აქვთ იმათთან, ვინც მათ კასტას მიეკუთვნება, და ზიზღით ექცევიან იმათ, ვინც მათთან არ არის. მათთან მიმართებით ჰამლეტის კითხვა სხვანაირად უნდა დაისვას: არა «ყოფნა-არყოფნა», არამედ მათთან ყოფნა ან არყოფნა. შენ მათთან ხარ, ბიძაჩემი შარლიუც. რა უნდა ქნა. ეგ ადამიანები არასოდეს მიყვარდა და ეს ჩემი ბრალი არ არის».

თავისთავად იგულისხმება, რომ წესი, რომელიც სენ-ლუს დავუდგინე, დაძახების გარეშე ჩემთან არ მოსულიყო, ასევე გავრცელდა ყველაზე, ვინც თანდათან გავიცანი ლა რასპელიერში, ფეტერნეში, მონსიურვანში და სხვა ადგილებში; თუ სასტუმროს

ფანჯრიდან სამსაათიანი მატარებლის კვამლს დავინახავდი, რომლის ბოლქვებიც პარვილის სანაპიროს კლდეების ნაპრალებში დიდხანს იჩხირებოდა და მის ტყიან ფერდობებს ეფინებოდა, ეჭვი აღარ

მეპარებოდა, რომ ჩემთან ფინჯანი ჩაის დასალევად ვინმე სტუმარი მოვიდოდა, რომელსაც ჯერჯერობით, როგორც ღმერთს, ღრუბელი ფარავდა. უნდა გამოვტყდე, რომ ჩემი თანხმობით ჩამოსულ სტუმართა რიცხვში სანეტი არასოდეს შედიოდა, რის გამოც მოგვიანებით ხშირად ვკიცხავდი საკუთარ თავს. თვითონაც ხვდებოდა, რომ მოსაწყენი ადამიანი იყო (ცხადია, თავისი ჩამოსვლის ფაქტით უფრო მეტად, ვიდრე ამბების მოყოლით), ამის გამო, თუმცა სხვებზე განათლებული, ჭკვიანი და კეთილი ადამიანი იყო, წინასწარ გეუფლებოდათ განწყობა, რომ მისი ჩამოსვლით სიამოვნებას ვერ მიიღებდით, მთელ დღეს მოწყენილი გაატარებდით, ბოლოს გულზე სევდაც შემოგაწვებოდათ. უკეთუ სანეტი გულწრფელად აღიარებდა, რომ იმაზე წუხდა, მოწყენილობა არ დაეთესა, ნაცნობებს მისი ჩამოსვლის აღარ შეეშინდებოდათ. მოწყენილობა ერთი ყველაზე მცირე ბოროტებაა; მოწყენილობა, მას რომ მოჰყვებოდა, შეიძლება მხოლოდ სხვების წარმოსახვაში არსებობდა ან სულაც ვიღაც ისეთმა შთააგონა, ვინც მისი მოკრძალებულობის ამბავი იცოდა. გულმოდგინედ მალავდა იმას, რომ არავინ ეპატიჟებოდა, თუმცა არც საკუთარ თავს ახვევდა ვინმეს. ცხადია, იმ ადამიანებთან მსგავსების სურვილი არც ჰქონდა, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში მარჯვნივ თუ მარცხნივ ყველას თავს რომ უკრავენ და ეს სიამოვნებას ანიჭებთ, ან თეატრში მათთვის უცნობ ბრწყინვალე გარემოცვაში თუ გნახეს, აჩქარებით, ყველას გასაგონად მოგესალმებიან, თან ბოდიშობენ, თქვენი ნახვა გამიხარდა და ამ შეხვედრამ ძალიან ამაღელვა, რა კარგად გამოიყურებით და სხვა, სანეტის კარგი თვისება ის გახლდათ, რომ ამ ჯიშის ადამიანების საპირისპიროდ მეტისმეტად მორიდებული იყო. თუ ქალბატონ ვერდიურენთან სააგარაკო მატარებლით მგზავრობისას შეეძლო ეთქვა, მოხარული ვიქნებოდი, თქვენს სანახავად ბალბეკში შემომევლო, მაგრამ ვშიშობ, არ შეგაწუხოთო, მისი ეს განზრახვა სულაც არ შემაშფოთებდა, მაგრამ თავის წადილს პირდაპირ არ ამჟღავნებდა, თითქოს მომინანქრებულ თვალებს, რომელშიც ჩემთან შეხვედრის ოცნება

ამოიცნობოდა, წამებულივით მომაპყრობდა, თუ საინტერესოს ვერაფერს ნახავდა, ცდილობდა, ეს ოცნება არაფრით გაემჟღავნებინა, გულგრილობის ნიღაბს აიფარებდა და მეტყოდა: «უახლოეს დღეებში რის გაკეთებას აპირებთ, ალბათ, ჯერ არც იცით. შესაძლოა, ბალბეკის ახლომახლო მოვხვდე. თუმცა ამას მნიშვნელობა არა აქვს, ისე წამომცდა». თავისი გარეგნობით არავის ატყუებდა: გარეგნული ნიშნებით, რომელთა დახმარებითაც გრძნობებს გამოვხატავთ, ადვილად გამოიცნობა ის, რაც ჩვენს სულში ხდება, მაშინ რაღა საჭიროა დიამეტრულად საწინააღმდეგო აზრის გამოთქმა, რასაც ზოგიერთი ადამიანი მიმართავს იმის დასაფარად, რომ არსად ეპატიჟებიან და ასე ეშმაკობს: «იმდენი მიპატიჟება მაქვს, არ ვიცი, რამდენად გავიჭრა». ეს მოჩვენებითი გულგრილობა, ალბათ, იმიტომ, რომ მასში სხვადასხვა გრძნობაა შენივთებული, თქვენში სულაც არ იწვევს შიშს, რომ თავს შეგაწყენენ, არც იმის გულწრფელ

აღიარებად მიიჩნევთ, რომ თქვენი ნახვა სურთ, მას აღიქვამთ რაღაც განსხვავებულ გრძნობად – თავი თქვენგან განსაზღვრულ მანძილზე დაიჭირონ: მსგავსი თავაზიანობა სამიჯნურო საქმეებს უფრო შეჰფერის, მეორე დღეს შეხვედრის შეფარულ შეთავაზებას, როგორითაც იმ ქალბატონს მიმართავთ, ვისშიც სამიჯნურო გრძნობებს არ იწვევთ, და იქვე უმატებთ, რომ ამას დაჟინებით სულაც არ მოითხოვთ და ეს შეთავაზებაც არ არის, არამედ მოჩვენებითი სიცივეა. სანეტში იყო რაღაც ასეთი, რაც მოთხოვნილებას გიჩენდათ, თბილად გეპასუხათ: «არა, ახლავე აგიხსნით: სამწუხაროდ, ამ კვირაში...». სანეტის ნაცვლად გაცილებით ნაკლები ღირსების ხალხს ვიღებდი, ვიდრე ის იყო, სამაგიეროდ, ისეთებს, ვისაც არც სანეტივით ნაღვლიანი გამომეტყველება ჰქონდა და არც მწუხარებისგან დამახინჯებული ტუჩები; მწუხარება კი ყველა იმ უარისგან დაუგროვდა, რომელსაც ყველასგან იღებდა, არადა, ძალიან უნდოდა ხან ამასთან და ხანაც იმასთან ყოფნა, მაგრამ იძულებული იყო, ეს უარები ხან ამისთვის დაეფარა და ხან იმისთვის. თითქოს ჯიბრზე, სანეტი საგარეუბნო მატარებელში განუწყვეტლივ ხვდებოდა ვინმე ისეთს,

ვინც ჩემთან მოდიოდა, ან იმას, ვინც ვერდიურენებთან ყოფნისას მისი თანდასწრებით შემახსენა: «არ დაგავიწყდეთ, ხუთშაბათს თქვენთან ჩამოვდივარ», არადა, სანეტისთვის უკვე ნათქვამი მქონდა, რომ ხუთშაბათს თავისუფალი არ ვიქნებოდი. ბოლოს და ბოლოს, სანეტს, ალბათ, უკვე ეჩვენებოდა, რომ მთელი ცხოვრება განუწყვეტილი გართობა იყო, რომელიც უიმისოდ ეწყობოდა და თანაც იმ მიზნით, რათა მისთვის უსიამოვნება მიეყენებინათ. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ერთი მთლიანი ნატურა არ არსებობს და მოცემულ შემთხვევაში გამონაკლისს არც სანეტი წარმოადგენდა: ეს მეტისმეტად მოკრძალებული ადამიანი ავადმყოფურად მოურიდებელი იყო. როცა ერთხელ, პირველად და უკანასკნელად, შემთხვევით, მოუწვევლად, ჩემთან შემოიარა, მაგიდაზე ვიღაცის წერილი მეგდო. ძალიან მალე შევამჩნიე, რომ დაბნეული მისმენდა. უკვე აღარც მახსოვდა, ვისგან მივიღე ეს წერილი, სანეტი კი მოაჯადოვა; მეჩვენებოდა, რომ მისი მომინანქრებული თვალები აგერ-აგერ ორბიტიდან გადმოცვივდებოდა და ამ სრულიად უმნიშვნელო წერილს, მაგნიტივით რომ იზიდავდა მის ცნობისმოყვარეობას, დაასკდებოდა. იგი იმ ფრინველს ჰგავდა, რომელსაც არ შეუძლია, გველს არ დააცხრეს. ბოლოს ვეღარ მოითმინა, თითქოს ჩემი ოთახის მოწესრიგება სურსო, აიღო და წერილი სხვა ადგილზე გადადო. ამან არ დააკმაყოფილა, ისევ აიღო, თითქოს ანგარიშმიუცემლად გადააბრუნ-გადმოაბრუნა. მისი მოურიდებლობის კიდევ ერთი გამომჟღავნება ისიც იყო, რომ, თუ მოგეწებებოდათ, თავს აღარ დაგანებებდათ. ერთხელ რაღაც შეუძლოდ ვიყავი, ვთხოვე, ნახევარ საათში წასულიყო და მატარებელს გაჰყოლოდა. ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ავად ვიყავი, და მაინც ასე მიპასუხა: «საათი და თხუთმეტი წუთი დავრჩები თქვენთან, მერე წავალ». საკუთარ თავს ვსაყვედურობდი, არ ჯობდა, მაშინ მომეწვია, როცა თავისუფალი ვიყავი-მეთქი. ვინ იცის, იქნებ, მისთვის ეს უბადრუკი სვე-ბედი ამერიდებინა, სხვებსაც დაეწყოთ მისი მიპატიჟება და ჩემთვის თავი დაენებებინა; ეს მოპატიჟება მისთვისაც

სახეირო აღმოჩნდებოდა და ჩემთვისაც, სანეტს სიცოცხლის ხალისს დაუბრუნებდა, მე კი მისგან გავთავისუფლდებოდი.

სტუმრიანობის დღეების ჩავლის შემდეგ სხვა ვიზიტორებს აღარ ველოდი და მე და ალბერტინს მეორე დღესვე ისევ გვაკითხავდა ავტომობილი. უკან დაბრუნებულებს ემე სასტუმროს შესასვლელის პირველ საფეხურზე გვხვდებოდა, თავს ვერ იკავებდა, ჟინიანი, ცნობისმოყვარე, ხარბი მზერით უთვალთვალებდა, რამდენს ვაძლევდი მძღოლს ფეხის ქირად. როგორ არ ვცდილობდი, ხელში ჩამემალე მონეტა თუ ქაღალდის ფული, მაგრამ ემეს გამოხედვა ჩემს თითებს მაინც გასწი-გამოსწევდა. მაშინვე თავს შეაბრუნებდა, ის ხომ თავმდაბალი, კეთილად აღზრდილი კაცი იყო და თვითონ შედარებით მცირე შემოსავლით კმაყოფილდებოდა. მაგრამ ფული, რომელსაც ვიღაც სხვა იღებდა, მის გადაულახავ ცნობისმოყვარეობას აღაგზნებდა და ნერწყვს ყლაპავდა. დროის ასეთ გაელვებაში იგი იმ ბავშვს მაგონებდა, რომელიც გატაცებით კითხულობს ჟიულ ვერნის რომანებს, ანდა იმ ადამიანს, რესტორანში თქვენგან არცთუ შორს რომ ზის და დაინახავს თუ არა, თქვენთვის ხოხბის დაჭრა დაიწყეს, რომლის შეკვეთაც თავად არ შეუძლია ან არ სურს, საკუთარ თავს ამის ნება მისცეს, სერიოზულ ფიქრებს მხოლოდ იმიტომ იშორებს, რათა მორთმეულ კერძს ღიმილიანი, ნაზი და შურიანი მზერა მიაპყროს.

მე და ალბერტინი ძველებურად ყოველდღე ვსეირნობდით ავტომობილით. ერთხელ, ლიფტით რომ ავდიოდი, მელიფტემ მითხრა: «ამ ბატონმა შემოგიარათ და ეს ბარათი დაგიტოვათ. – ეს სიტყვები ხრინწიანი ხმით, ხველებ-ხველებით თქვა, თან პირდაპირ სახეზე შემომაფრქვია ნერწყვი – აჰ, რა სურდო ავიკიდე!» – დაურთო, თუმცა ეს ისედაც ჩანდა. – ექიმი ამბობს ყივანახველაა. – ისევ ხველა აუვარდა და ისევ მომაფრქვია ნერწყვი, – «თქვენთვის ლაპარაკი

მაწყინარია», ვუთხარი ნაძალადევი მზრუნველი იერით. შემეშინდა, ყივანახველა არ გადამდებოდა, სულის ხუთვისადმი ჩემი მიდრეკილების გამო მძიმედ გადავიტანდი. მაგრამ მელიფტე, ავად გამხდარი მუსიკოსივით, ესტრადიდან ხელით გაყვანის უფლებას რომ არავის აძლევს, გაუთავებლად აგრძელებს ყბედობასა და ნერწყვის ფრქვევას, ამასაც ეგონა, რომ ეს მისდამი პატივისცემას იწვევდა. «არა, არაფერია, – თქვა მან («თქვენთვის შეიძლება არაფერია, გავიფიქრე, მაგრამ ჩემთვის არა»). – მალე პარიზში ვაპირებდი გამგზავრებას («კარგია, ოღონდ ჩემი დაავადება ვერ მოასწროს»), ამბობენ, – არატრატდა ისევ, – პარიზი დიდებული ქალაქიაო. ალბათ, იქ უფრო უკეთესია, ვიდრე აქ ან მონტე-კარლოში, თუმცა ლაქიები, კლიენტები, მეტრდოტელები, რომლებიც მონტე-კარლოში ზაფხულის სეზონზე მიდიან ხოლმე, მარწმუნებენ პარიზი მონტე-კარლოზე უარესიაო. შეიძლება იტყუებიან კიდეც, თუმცა სულელი მეტრდოტელი არ შემხვედრია; ყველა შეკვეთა მიიღო, მაგიდები გაანაწილო, დაიმახსოვრო – ამისთვის კარგი თავი უნდა გქონდეს! მეუბნებიან, ეს უფრო ძნელია, ვიდრე პიესებისა და წიგნების წერაო». თითქმის მივაღწიეთ კიდეც ჩემს სართულს, რომ მელიფტემ ისევ დაბლა ჩამიყვანა, რადგან მოეჩვენა ღილაკი ცუდად მუშაობსო და იმავე წუთში შეაკეთა. ვუთხარი, კიბით ასვლა მირჩევნია-

მეთქი, ეს ნიშნავდა, მელიფტესთვის დამეფარა, რომ ყივანახველის გადადების მეშინოდა. მაგრამ გადამდებ ხველებაამტყდარმა მელიფტემ ისევ უკან, კაბინაში შემტენა. «ახლა საშიში არაფერია. ღილაკი შევაკეთე». ისევ ალაქლაქდა გაუჩერებლად, მე კი ბალბეკის, პარიზისა და მონტე-კარლოს სილამაზის შედარებისთვის სად მეცალა, ვეღარ ვითმენდი, ისე მინდოდა გამეგო, ვინ მოვიდა ჩემთან, რა შინაარსის წერილი დატოვა და მელიფტეს ვკითხე (ასე ეუბნებიან ხოლმე ტენორს, რომელმაც თავისი ბენჟამენ გოდარით[157] ყველას თავი მოაბეზრა: «უკეთესია, დებიუსის რამე იმღეროთ»): «მაინც ვინ მოვიდა?». «ის ბატონი, ვისთან ერთადაც გუშინ წახვედით. ახლავე მოგიტანთ ბარათს. შვეიცართან არის». წინა

დღეს, ვიდრე ალბერტინს შევუვლიდი, რობერ დე სენ-ლუ დონსიერის სადგურში მივიყვანე, ახლა მეგონა, რომ მელიფტე რობერს გულისხმობდა, მაგრამ ბარათი მძღოლისგან იყო. როცა მითხრა: «ის ბატონი, ვისთან ერთადაც გუშინ წახვედით», მელიფტემ მიმანიშნა, რომ მუშაც ისეთივე ბატონია, როგორიც მაღალი წრის ადამიანი. მაგრამ ეს გაკვეთილი სიტყვების ამაო ხარჯვა იყო. ცხოვრებაში კლასების მიხედვით დაყოფა არასოდეს მომიხდენია. მართალია, გაოცებული დავრჩი, რომ მძღოლს ბატონი უწოდეს, მაგრამ ჩემი ეს გაოცება ისეთივე იყო, როგორიც გრაფ X-მა, რომელმაც გრაფის ტიტული რაღაც ერთი კვირის წინათ მიიღო, გამოხატა, როცა ვუთხარი, გრაფინიას დაღლილი სახე აქვს-მეთქი და უნებურად უკან მიიხედა, რომ მიმხვდარიყო, ვისზე ვლაპარაკობდი; ეს მხოლოდ მსგავსი სიტყვების ხმარების ჩვევის არქონა გახლდათ. მუშას, ბურჟუასა და დიდბატონს შორის განსხვავება არასოდეს მომიხდენია და შემეძლო, მეგობრად ყველა წრის ადამიანი ამერჩია. ოღონდ მერე მუშებს მაინც მაღალი წრის ადამიანებს ვამჯობინებდი, მაგრამ არა იმის გამო, რომ ბატონები უფრო მომწონდა, ვიდრე ბურჟუები, არამედ იმიტომ, რომ მუშებისადმი ისინი უფრო თავაზიანნი არიან, ვიდრე ბურჟუა, იქნებ, იმიტომაც, რომ მუშები ისე არ ეზიზღებათ, როგორც ბურჟუებს, ანდა, იქნებ, იმიტომაც, რომ ისინი ყველასთან თავაზიანები არიან, ისევე როგორც ლამაზი ქალები, სიამოვნებით რომ არიგებენ ღიმილს, იციან, მათმა ღიმილმა შეიძლება ბევრი გააბედნიეროს. ისიც უნდა ვთქვა, რომ ამ ჩემს ერთნაირ მიდგომას უბრალო ხალხთან და მაღალ საზოგადოებასთან, თუმცა მაღალი საზოგადოება ასეთ დამოკიდებულებას აფასებდა, დედაჩემი ყოველთვის როდი იწონებდა. ადამიანური თვალსაზრისით, მისთვის ყველა ადამიანი თანასწორი იყო და, თუ ფრანსუაზს რამე შეემთხვეოდა ან ავად გახდებოდა, დედა მუდამ ამშვიდებდა და ისევე ერთგულად უვლიდა, როგორც თავის მეგობარს. მაგრამ სოციალურ უთანასწორობას, როგორც პაპაჩემის ღვიძლ შვილს ეკადრებოდა, არ უარყოფდა. კომბრეს მცხოვრებნი კეთილი ხალხი იყო,

ლმობიერი, თანასწორობის იდეის მიმდევრები, მაგრამ ლაქიამ თუ ერთხელ «თქვენობით» მოგმართათ, მეორე, თავისუფლების სულით აღვსებული, ისე, რომ ეს შეუმჩნეველი დარჩენილიყო, გაურბოდა თქვენთან საუბრისას მესამე პირში ლაპარაკს, დედაჩემი უკმაყოფილებას გამოთქვამდა ასეთი სიახლისადმი. «კომბრეული სული» განსაკუთრებულად ქედუხრელი იყო (დედაჩემში კი

უსაზღვროდ) და მისი აღმოფხვრა მხოლოდ თანასწორობისა და სიკეთის მრავალსაუკუნოვან მეუფებას შეეძლო. დედაჩემი უსაზღვროდ კეთილი იყო, მაგრამ ვერ უარვყოფ, რომ მასში იყო რაღაც «კომბრეული სულისა». ლაქიისთვის ხელის გაწოდება მისთვის ისეთივე ძნელი იყო, როგორი ადვილიც იყო მსახურისთვის ათი ფრანკის მიცემა (რითიც უფრო მეტ სიამოვნებას იღებდა). იცნობიერებდა, მისთვის ბატონები ბატონები იყვნენ, ხოლო მსახურები ის ხალხი, სამზარეულოში რომ სადილობს. რომ დაენახა, სასადილოში ჩემთან ერთად მძღოლი იჯდა და ვახშმობდა, უკმაყოფილო დარჩებოდა და მეტყოდა: «მგონი, შეგეძლო, უკეთესი მეგობარი შეგერჩია, ვიდრე ეს ვიღაც შოფერია», თუ ლაპარაკი ჩემს ქორწინებაზე ჩამოვარდებოდა, ასევე შეეძლო ეთქვა: «შეგეძლო, უკეთესი მეწყვილე ამოგერჩია». მძღოლი (საბედნიეროდ, მისი დაპატიჟება აზრად არასოდეს მომსვლია) მოვიდა და მითხრა, რომ საავტომობილო კომპანია, რომელმაც ზაფხულის სეზონზე ბალბეკში გამოაგზავნა, სასწრაფოდ მოითხოვდა მის უკან, პარიზში, დაბრუნებას. მძღოლს დავუჯერეთ, სანდომიანი ბიჭი იყო და მისი ლაპარაკი ევანგელისტური სიმარტივით გამოირჩეოდა. მაგრამ მთელი სიმართლე არ უთქვამს. ბალბეკში საქმე, მართლაც, აღარ ჰქონდა. ყოველ შემთხვევაში, კომპანია, რომელიც ახალგაზრდა ევანგელისტს მაინცდამაინც არ ენდობოდა, პარიზში მის დაუყოვნებელ დაბრუნებას მოითხოვდა. საქმე ის გახლდათ, რომ ჭაბუკმა მოციქულმა სასწაული მოახდინა: როცა ბატონ დე შარლიუს ანგარიშს აბარებდა, გავლილი კილომეტრების რიცხვს ზრდიდა, ხოლო კომპანიას ამონაგებს ექვსჯერ უმცირებდა. ამის საფუძველზე

კომპანიამ დაასკვნა, რომ ბალბეკში ავტომობილით ან არავინ დადიოდა, რაც სეზონის ბოლოსთვის სრულიად შესაძლებელი იყო, ანდა ვიღაც ქურდობდა, ამიტომ ორივე შემთხვევაში მძღოლის უკან დაბრუნება კეთილგონივრულად მიიჩნია, თუმცა კომპანიას არც პარიზში ჰქონდა მაინცდამაინც მყარი მდგომარეობა. მძღოლს ყველაზე მეტად პარიზის მკვდარი სეზონისა ეშინოდა. როგორც უკვე გითხარით, მაშინ ეჭვი არ შემპარვია, რომ მცოდნოდა, ის და მორელი ძალიან დამეგობრდებოდნენ (თუმცა სხვათა წინაშე თავი არ გაუმჟღავნებიათ), ბევრ გულისტკენას ავირიდებდი თავიდან. იმ დღიდან, როგორც კი მძღოლი პარიზში გამოიძახეს, მე და ალბერტინმა, ჯერ არ ვიცოდით, რომ მძღოლს დარჩენის შესაძლებლობა ჰქონდა, სეირნობა სხვა ავტომობილით დავიწყეთ, ზოგჯერ, სიამოვნება რომ მიმენიჭებინა ალბერტინისთვის, რომელსაც ცხენით სიარული უყვარდა, ცხენებს ვქირაობდი. აქ საშინელი ავტომობილები იყო. «რა ჯაბახანაა!» – ამბობდა ალბერტინი. მე კი მასთან მარტო დარჩენა ხშირად მინდოდა. მაგრამ ასეთი წესით ცხოვრება უნდა დამემთავრებინა, ოღონდ დრო ჯერ არ დამითქვამს, განა იმიტომ, რომ მუშაობას ვერა და ვერ ვიწყებდი, არა, უბრალოდ, სიამოვნება ვერ მომეკლო, ერთხელ უკვე დამემართა ასე: თუ ჩვეულებას მოულოდნელად შევიცვლიდი, მაშინ თავისუფლებისკენ გავარდნის სურვილით გატანჯული ჩემი უწინდელი მე რაღაცა დროის განმავლობაში ჩემს ნამდვილ მე-ს ავიწროვებდა. ერთ დღეს ცხოვრების წესის შეცვლის სურვილმა მომიარა, ალბერტინი დეიდამისთან დავტოვე, მე კი ცხენით წავედი ვერდიურენებთან ტყეზე გავლით, უკაცური

ბილიკით, რომლის სილამაზეზეც ბევრს მიყვებოდნენ. აქეთ-იქიდან წამომართული კლდეების იკლიკანტური ფორმის გამო ბილიკი ხან აღმა მიუყვებოდა, კერძო ტყეებს შორის ჩაჭედილი, ხანაც დაღმა, ველურ ხეობაში ეშვებოდა. და უცბად, ვითარცა სხვა სამყაროს ნამსხვრევები, ჩემ წინ შიშველი კლდეები აღიმართა, მათ შორის კი ზღვა გამოჩნდა, წამის ამ გაელვებაში ის ზღვა და მთები შევიცანი, ფონად რომ უდევს ელსტირის ორ საუცხოო აკვარელს:

«პოეტი მუზას ხვდება» და «ჭაბუკის შეხვედრა კენტავრთან», რომლებიც ჰერცოგინია დე გერმანტთან ვნახე. ამ ადგილებში გავლისას ის აკვარელები გამახსენდა და არ გამიკვირდებოდა თუ ელსტირის მიერ დახატული მითოლოგიური ჭაბუკის მსგავს ზღაპრულ არსებებსაც შევხვდებოდი. მოულოდნელად ჩემი ცხენი ყალყზე შედგა. უცხო რამ ხმაური შემოესმა; უნაგირზე თავი შაჭირვებით შევიკავე, ძლივს დავაოკე ცხენი, ცრემლით სავსე თვალი ზევით ავაპყარ, საიდანაც ხმა მოისმოდა, და ორმოცდაათიოდე მეტრის დაშორებით ჩემს თავს ზევით მზის სხივებში მბრწყინავი ორი უზარმაზარი რკინის ფრთა დავინახე, რაღაც ადამიანური არსება რომ მიჰყავდა, თუმცა რამის გარჩევა ძნელი იყო. არანაკლებ გაოცებული დავრჩი, ვიდრე ის ბერძენი, რომელმაც პირველად იხილა ნახევრად ღმერთი. ვტიროდი; მზად ვიყავი, იმ პირველივე წუთებიდან ავტირებულიყავი, როცა მივხვდი, რომ ჩემს თავს ზემოთ რაღაც გუგუნებდა და ეს რაღაც თვითმფრინავი იყო, რომელიც პირველად დავინახე – მაშინ თვითმფრინავი ჯერ კიდევ იშვიათობა გახლდათ. რაღაც ისეთი დამემართა, გაზეთის გაშლამდე გულაჩქარებული რომ ელი გასაოცარ ამბებს, საკმარისი იყო, თვითმფრინავი დამენახა, რომ თვალები ცრემლმა დამიბუნდა. მომეჩვენა, რომ ავიატორს გზა აერია; ვგრძნობდი, მის წინ, ჩემ წინაც, ჩვეულებებით რომ არ ვყოფილიყავი შებოჭილი, როგორ იხსნებოდა ყველა გზა სივრცისა და ყველა გზა ცხოვრებისა. ავიატორი გაფრინდა, ერთხანს ზღვის თავზე ილივლივა, მერე მოულოდნელად, თითქოს მიზიდულობის ძალას, დედამიწის მიზიდულობის საპირისპირო ძალას დამორჩილებულმა სამშობლოში დაბრუნება გადაწყვიტაო, ოქროსფერი ფრთები მსუბუქად დააქნია და ზეცაში ავარდა.

ისევ მძღოლს დავუბრუნდეთ; მან მორელს მოსთხოვა, რომ ვერდიურენებს თავიანთი ბრეკი[158] ავტოთი შეეცვალათ (ვერდიურენები ერთგულებისადმი გულუხვობას იჩენდნენ და ამ

მოთხოვნის დაკმაყოფილება შედარებით ადვილი მისაღწევი იყო), მაგრამ შეცვალეს, ეს გაცილებით ძნელი აღმოჩნდა, უფროსი მეეტლეც, მგრძნობიარე ჭაბუკი, რომელიც მორელმა, ბოლოს და ბოლოს, სასოწარკვეთამდე მიიყვანა. ეს რამდენიმე დღეში, აი, ასე მოახერხეს. მორელმა იმით დაიწყო, რომ ნელ-ნელა მოჰპარა ყველაფერი, რაც ცხენების ეტლში შესაბმელად იყო საჭირო. ერთ დღეს მეეტლემ ლაგამი ვერ იპოვა, მეორე დღეს – აღვირი. თანდათან გაქრა კოფოზე დასადები ბალიში, მათრახი, ნატი. მეზობლებმა ხელი კი გაუმართეს, მაგრამ ეტლის გამართვა გვიანდებოდა და ეტლის ბატონებისთვის მორთმევაც უგვიანდებოდა, რამაც ვერდიურენები მის წინააღმდეგ განაწყო, ეს კი დარდისგან სასოწარკვეთაში ვარდებოდა. ხოლო მძღოლს უნდოდა,

სასწრაფოდ დაეწყო მუშაობა და მორელს განუცხადა, პარიზში ვბრუნდებიო. მეტის დაყოვნება აღარ შეიძლებოდა. მან ვერდიურენების მსახურები დაარწმუნა, ვითომ ახალგაზრდა მეეტლე იკვეხნიდა, ყველას მახეს დავუგებ და გავუსწორდებიო. თავის მხრივ კი დაამატა, თქვენს ადგილზე რომ ვიყო, ერთი კარგად შევახურებდი, მაგრამ ამ საქმეში ჩარევა არ შემიძლიაო, რჩევით კი ურჩია, ვიდრე ის დაესხმოდა თავს, თვითონ დაესწროთ. მოილაპარაკეს, როცა ვერდიურენები სტუმრებთან ერთად სასეირნოდ წავიდოდნენ, მაშინ მიუხტებოდნენ საჯინიბოში ბიჭს. საჭიროდ მიმაჩნია, ისიც გაუწყოთ, რომ ეს არ იყო იმის მიზეზი, რაც მოხდა, რადგან ამ ადამიანებმა მოგვიანებით დამაინტერესეს: იმ დღეს ვერდიურენებთან სტუმრად მათი მეგობარი ჩამოვიდა, რომლის გამგზავრების წინაც, ის კი იმავე საღამოს ტოვებდა იქაურობას, ფეხით გასეირნება მოისურვეს.

გაოცებული დავრჩი, როცა მორელმა, რომელსაც ტყეში ჩვენთვის ვიოლინოზე უნდა დაეკრა, ის იყო, სასეირნოდ გასვლას ვაპირებდით, მითხრა: «იცით, ხელი მტკივა, არ მინდა ქალბატონ ვერდიურენს ვუთხრა; თქვენ თხოვეთ, იქნებ, რომელიმე ლაქია იახლოს, თუნდაც ჰაუსლერი. ის

წამოიღებს ჩემს ინსტრუმენტს». «მგონი, უმჯობესია, სხვა წავიყვანოთ», – ვუპასუხე. – ის ხომ ვახშმობისას დაგვჭირდება. მორელს სახეზე სიბრაზემ გადაუარა. «არა, არ მინდა, ჩემი ვიოლინო ვინმე შემთხვევით ადამიანს ვანდო». მერე, გვიან მივხვდი, მორელმა ზუსტად ამ მსახურზე რატომ შეაჩერა არჩევანი. ჰაუსლერი იმ ახალგაზრდა მეეტლის ძმა იყო და მეეტლეს ძალიან უყვარდა იგი და, თუ სახლში დარჩებოდა, ძმის დასახმარებლად აუცილებლად მივიდოდა. სეირნობისას მორელმა ჩუმად, ისე, ჰაუსლერ-უფროსს არაფერი გაეგო, თქვა: «ყოჩაღი ბიჭია! მისი ძმაც ყოჩაღია, სმისადმი მიდრეკილების დამღუპველი ჩვეულება რომ არა». «როგორ თუ სმისადმი მიდრეკილება?» იკითხა ქალბატონმა ვერდიურენმა და იმის გაფიქრებაზე, რომ მისი მეეტლე ლოთი იყო, გაფითრდა. «ალბათ, ვერ შეამჩნიეთ. სასწაულია პირდაპირ, რომ, როცა სადმე მიჰყავდით, რაიმე უბედურება არ დატრიალდა». «სხვებსაც ხომ ატარებს?». «რამდენჯერ გადაუბრუნდა ეტლი, ალბათ, არც გაგიგიათ. დღესაც მთელი სახე დალილავებული ჰქონდა. ხელნა გაუტყდა, არ ვიცი, თვითონ როგორ გადარჩა». «დღეს არ მინახავს, – თქვა შიშით აკანკალებულმა ქალბატონმა ვერდიურენმა, რადგან გაიფიქრა, ვაითუ, მეეტლემ მეც გადამაყირავოსო, – ძალიან შემაშინეთ». მერე სახლში დაბრუნება იჩქარა, მაგრამ მორელმა სეირნობის გასახანგრძლივებლად ბახის ისეთი ჰანგი შეარჩია, რომელსაც ურიცხვი ვარიანტი ჰქონდა. სახლში დაბრუნებულმა ქალბატონმა ვერდიურენმა მაშინვე საჯინიბოს მიაშურა, ახალი ხელნა ნახა და გასისხლიანებული ჰაუსლერი. ქალბატონი ვერდიურენი მის დატუქსვას არც აპირებდა, პირდაპირ უნდოდა ეთქვა, რომ მეეტლე აღარ სჭირდებოდა, და ანგარიში გაესწორებინა, მაგრამ მეეტლემ ამხანაგების დასწრებით რაიმეს თქმა არ მოისურვა, რადგან ახლა უკვე დარწმუნებული იყო, რომ ისინი მტრობდნენ, რომ ყოველდღე ისინი ჰპარავდნენ ცხენის აღკაზმულობიდან რაღაცას

და აღარც იმაში ეპარებოდა ეჭვი, რომ ერთ მშვენიერ დღეს სულს გააფრთხობინებდნენ, თვითონ მოსთხოვა ანგარიშის გასწორება, ეს კი

ყველას ხელს აძლევდა. ვერდიურენებთან სამუშაოდ მეორე დღესვე მოეწყო მძღოლი და ქალბატონი ვერდიურენი მისით ისეთი კმაყოფილი იყო, რომ შემდეგში, როცა სხვა მეეტლის დაქირავება მოუხდა, ჩემთან გაუწია რეკომენდაცია, მარწმუნებდა, ამ ადამიანის ნდობა ყველაფერში შეიძლებაო. მის შესახებ არაფერი ვიცოდი და პარიზში იმ პირობით ვიქირავე, რომ დღიურად გადავუხდიდი. მაგრამ მოვლენებს წინ გავუსწარი – ეს ყველაფერი თავის ადგილს ალბერტინთან დაკავშირებულ ამბებში იპოვის. ჯერჯერობით კი ალბერტინთან ერთად პირველად ვვახშმობდი რასპელიერში, ასევე პირველად ვახშმობს აქ ბატონი დე შარლიუ მორელთან, იმ «მმართველის» მოგონილ შვილთან ერთად, რომელიც წელიწადში ოცდაათი ათას ფრანკს იღებდა, თავისი ეტლი ჰყავდა, ხელქვეითებად კი მსახურთუფროსები, თანაშემწეები, მებაღეები, ამა და ამ დარგის გამგეები და ფერმერები. მაგრამ, რადგან ასე წინ გავიჭერი, არ მინდა, მკითხველს მორელზე დასრულებული არამზადის შთაბეჭდილება დარჩეს. იგი წინააღმდეგობებით სავსე კაცი იყო და ზოგჯერ მომხიბლავ შთაბეჭდილებასაც ტოვებდა.

ბუნებრივია, ძალიან გამიკვირდა, როცა გავიგე, რომ მეეტლე გააგდეს, უფრო მეტად იმან გამაოცა, მის ადგილზე ის მძღოლი რომ დანიშნეს, ვისაც მე და ალბერტინი სასეირნოდ დავყავდით. მძღოლმა ძალზე აწეწილ-დაწეწილი ამბავი შეთხზა, ვითომ პარიზში გამოიძახეს, იქიდან კი ვერდიურენებთან გამოგზავნეს, მის სიმართლეში ეჭვი არ შემპარვია. მეეტლის დათხოვნა მორელის ჩემთან ხანმოკლე საუბრის მიზეზი გახდა, მწუხარება გამოთქვა, ასეთი ყოჩაღი ბიჭი სამსახურიდან რომ გააგდეს. მოკლედ, თუ იმ წუთებს არ ჩავთვლით, როგორც კი მარტოს მნახავდა, მაშინვე მეცემოდა ხოლმე და მძაფრად გამოხატავდა სიხარულს, ლა რასპელიერში ხელისგულზე რომ მატარებდნენ, ამის შემხედვარე, ეტყობა, მიხვდა – ის

შეგნებულად იშორებდა იმ ადამიანს, რომელიც მისთვის უმცირეს საფრთხესაც არ წარმოადგენდა; მორელმა ხომ უკან დასახევი ყველა გზა მომიჭრა, მიმახვედრა, არავითარ შემთხვევაში მფარველად არ უნდა დავდგომოდი (ასეთი განზრახვა არცა მქონია), და უკვე აღარ გამირბოდა. ეს შემობრუნება ბატონი დე შარლიუს გავლენას მივეწერე; ამ გავლენის წყალობით მორელი მართლაც აღარ გამოიყურებოდა შეზღუდულ ადამიანად, უფრო არტისტული გახდა, სამაგიეროდ, სხვა შემთხვევებში, როცა თავისი მოძღვრის მჭევრმეტყველურ, ცრუ, ერთმანეთის საპირისპირო ქადაგებებს ხვდებოდა, თავგზა ებნეოდა. ჩემთან მიმართებით მისი გარდაქმნა სხვა ვერაფრით ავხსენი, გარდა ბატონი დე შარლიუს ზეგავლენისა. აბა, იმხანად როგორ მივხვდებოდი იმას, რაზეც მერე ამეხილა თვალი (და რაზეც შემდეგში არ ვიყავი დარწმუნებული, რადგან ანდრეს მონაყოლს ალბერტინზე, განსაკუთრებით უფრო გვიანდელს, მუდამ ეჭვქვეშ ვაყენებდი, ხომ ვიცოდი, ანდრე ერთგული მეგობარი არ იყო და მასზე ეჭვიანობდა, და, ეს თუ სიმართლე იყო – ალბერტინისა და მორელის სიახლოვე, მაშინ ამას ორივე უჩვეულოდ მოხერხებულად მიმალავდა). მეეტლის

დათხოვნის შემდეგ მორელის ჩემთან დამოკიდებულების ასე უეცარმა შეცვლამ მაიძულა, მისთვის სხვანაირად შემეხედა. მის სულიერ თვისებებზე ძველებურად ცუდი აზრისა ვიყავი, ვერ შევძელი დავიწყება, როგორ მეგებოდა ფეხქვეშ, როცა ვჭირდებოდი, და, როცა დახმარება აღმოვუჩინე, როგორ დამიწყო მაშინვე ზევიდან ყურება, მერე კი საერთოდ აღარ მამჩნევდა. ამას უნდა დაემატოს კიდევ მისი აშკარა მატერიალური დაინტერესება ბატონ დე შარლიუსთან ურთიერთობებში და მისი უგუნური ცხოველური მოთხოვნილებები, რომელთა დაკმაყოფილების შესაძლებლობაც თუ არ ჰქონდა, აგრეთვე, ამასთან დაკავშირებული სირთულეების გამოც, სასოწარკვეთაში ვარდებოდა; და მაინც, არ შეიძლებოდა, მისთვის უიმედოდ წამხდარი ადამიანი გეწოდებინათ – ეს იყო წინააღმდეგობებით სავსე კაცი. ის შუა საუკუნეების შეცდომებით, ცრურწმენებითა და

უხამსობებით სავსე ძველ ფოლიანტს ჰგავდა; სხვადასხვა ფერის ქსოვილით იყო შეკერილი. პირველად მეგონა, რომ ხელოვნებამ, რომელშიც მართლაც სრულყოფილებას მიაღწია, გაცილებით მაღალი ღირსებები მიანიჭა, ვიდრე საშემსრულებლო ოსტატობამ. ერთხელ, როცა ვუთხარი მუშაობა უნდა დავიწყო-მეთქი, მიპასუხა: «იმუშავეთ, ცნობილი კაცი გახდებით». «საიდან არის ეს სიტყვები?» – ვკითხე. «ეს ფონტანმა უთხრა შატობრიანს». კიდევ ნაპოლეონის სასიყვარულო ბარათებს იცნობდა. «ნაკითხია. ეს კარგია». – გავიფიქრე. მაგრამ მთელი ძველი და ახალი ლიტერატურიდან მხოლოდ ეს ფრაზა, არ ვიცი, საიდან ამოკითხული, იცოდა და ყოველ საღამო მიმეორებდა. მეორე წინადადება, რომელსაც უფრო ხშირად იმეორებდა, რათა მის შესახებ არაფერი მეთქვა, მისი აზრით, ლიტერატურიდან მოდიოდა, სინამდვილეში, საეჭვოა, იგი ფრანგული წარმოშობისა ყოფილიყო, ყოველ შემთხვევაში, მის აზრს მხოლოდ ის მსახური ჩასწვდებოდა, ვისაც რაღაც აქვს დასამალი: «არ ვენდოთ უნდობლებს». ეს სულელური ნათქამი, იმ წინადადებიდან ამოღებული, ფონტანმა რომ უთხრა შატობრიანს, დიდი მანძილით იყო დაშორებული დედააზრს, და იმ მრავალფეროვანი წინააღმდეგობებისგან თავისუფალი, მორელის ხასიათში რომ მჟღავნდებოდა. ეს ბიჭი ფულის გამო ყველაფერზე იყო წამსვლელი, თანაც სინდისს არასოდეს შეუწუხებია; განა სინდისის ქენჯნად შეიძლება მივიღოთ რაღაც უცნაური გაღიზიანება, ნერვულ აშლილობაში რომ გადასდიოდა; შეეძლო, თუ ეს სარგებელს მოუტანდა, სხვათა ისეთი მწუხარება გამოეწვია, თუნდ მთელი ოჯახი სამგლოვიაროდ შემოსილიყო; ეს ბიჭი ფულზე მაღლა არაფერს აყენებდა; ბიჭი, რომელიც არა მარტო სიკეთის გრძნობას იყო მოკლებული, არამედ სრულიად მარტივ ჰუმანურ გრძნობასაც; ეს ბიჭი ფულზე მაღლა მხოლოდ თავის პირველი ხარისხის დიპლომს აყენებდა, კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ რომ მიიღო; ამ დიპლომით იგი ფლეიტისა და კონტრაპუნქტის კლასის არასასურველი შენიშვნებისგან იყო დაცული. სიავის ყველაზე მძაფრ აფეთქებას, ველურ და არაფრით

გამართლებული მრისხანების შეტევას მასში იწვევდა ის, რასაც თვითონ (ეჭვი არ არის, იმ არაკეთილმოსურნეობის კერძო მაგალითებს განაზოგადებდა, რომელიც

შემთხვეოდა) საყოველთაო გაიძვერობას უწოდებდა. იმით ამაყობდა, ხაფანგში მხოლოდ იმის წყალობით არ ვებმები, რომ არავისთან არაფერზე ვლაპარაკობო, გულს არავის უხსნიდა, არავის ენდობოდა (ჩემდა საუბედუროდ, თუ გავიხსენებთ, რაც მე პარიზში მელოდა, უნდობლობამ ბალბეკელ მძღოლთან ურთიერთობაში «უმტყუნა», რომელშიც, ეჭვი არ არის, შეიცნო მსგავსი თავისა, და, მაშასადამე, თავისი საყვარელი გამონათქვამის საწინააღმდეგოდ მოიქცა, მიუნდობელს დაუკავშირდა იმ დადებითი აზრით, რომელსაც თვითონ დებდა ამ გაგებაში, ადამიანს, რომელიც წესიერ ადამიანებთან ჯიუტად დუმს და მაშინვე ამყარებს კავშირს არამზადასთან). ეგონა, და ეს ტყუილი არ იყო, რომ უნდობლობა მუდამ დაეხმარებოდა, წყლიდან მშრალი ამოსულიყო, თავს დაიძვრენდა მაშინაც კი, თუ ესა თუ ის შემთხვევა მისთვის დიდი საფრთხის შემცვლელი იყო. ო, უნდობლობის წყალობით, არამცთუ გამოააშკარავებდნენ, არამედ ბერჟერის[159] ქუჩაზე მდებარე დაწესებულებაში ეჭვსაც ვერ შეიტანდნენ. იშრომებს და შეიძლება ოდესმე თავისი უმწიკვლო რეპუტაციით ცნობილი გახდეს, გახდეს სახელგანთქმული კონსერვატორიის ვიოლინოს კლასის საკონკურსო გამოცდების ჟიურის თავმჯდომარეც.

მაგრამ, შეიძლება, მორელის აზროვნების ლოგიკურობას ვაზვიადებთ კიდეც, როცა გვგონია, რომ მასში ერთი წინააღმდეგობიდან მეორე გამომდინარეობს. სინამდვილეში მისი ნატურა იმდენად დაჭმუჭნილ ქაღალდს გვაგონებს, რომლის წაკითხვაც არაფრით გვიხერხდება. შეიძლება, მასზე ისიც გვეფიქრა, რომ ცოტად თუ ბევრად კეთილშობილური პრინციპების მიმდევარი იყო. ხელწერა დიდებული ჰქონდა, ოღონდ წერა არ იცოდა. უხეშ ორთოგრაფიულ შეცდომებს უშვებდა, საათობით სწერდა ძმას წერილებს, საყვედურობდა, რომ ცუდად ექცეოდა

დებს, ის ხომ უფროსი იყო და მათი დასაყრდენი უნდა ყოფილიყო, ხანაც დებს ამუნათებდა, ცუდად მექცევითო.

არ გასულა დიდი დრო და ზაფხულის მიწურულის ერთ მშვენიერ დღეს დუვილში ვაგონიდან იმ დროს ჩამოვედით, როცა ერთფეროვან უსახო იასამნისფერ ცაზე ბურუსით დაფარული მზე მეწამულ ბურთად იქცა. საღამოობით დიდი სიმშვიდე ისადგურებს ამ მლაშობ ველებზე და ბევრ პარიზელს იზიდავს, უფრო მხატვრებს, რომლებიც დუვილში საცხოვრებლად ჩამოდიან, მაგრამ, რაკი აქ საღამოები ნესტიანია, ამიტომ უფრო ადრე შეძვრებიან ხოლმე თავიანთ პატარა სახლებში. აგერ, ზოგიერთმა მოაგარაკემ ლამპებიც აანთო. მხოლოდ ორი თუ სამი ძროხა ზმუილით გაჰყურებს ზღვას, სხვები უფრო ადამიანებით დაინტერესდნენ და მათი ყურადღება ავტომობილმა მიიპყრო. მხოლოდ ერთ მხატვარს დაედგა ბორცვზე მოლბერტი და მუშაობდა, გულმოდგინედ ცდილობდა სრული სიმშვიდისა და ყუჩი სინათლის გადმოცემას. შეიძლება, ადამიანების სახლებში დაბრუნების შემდეგ, გაუცნობიერებლად, მისთვის ნებაყოფილობით ნატურად ძროხებიც იქცნენ თავიანთი შთაგონებულ-ჭვრეტითი იერით, რაც მზის ჩასვენების მყუდროების ღრმა შთაბეჭდილებას ამძაფრებდა. ამ განსაკუთრებულ ტონალობას არც მერე,

შემოდგომით, დაუკარგავს თავისი ხიბლი, როცა დღე დამოკლდა და ჩვენ სიბნელეში დავდიოდით. თუ დღის მეორე ნახევარში ისევ სასეირნოდ ვიყავით, არაუგვიანეს ხუთ საათამდე ვბრუნდებოდი, ტანსაცმლის გამოცვლა რომ მომესწრო, იმ დროს, როცა მრგვალი და წითელი მზე უკვე გადაიწვერებოდა და ზღვა ბერძნული ცეცხლივით აბრიალდებოდა ჩემი წიგნების კარადების ყველა ვიტრინაში. სმოკინგს ვიცვამდი და შემლოცველის მოძრაობით ჩემ უწინდელ მე-ს ვუხმობდი, მხნესა და ფუქსავატს, იმ ადამიანს ვუხმობდი, სენ-ლუსთან ერთად რივბელში რომ დადიოდა სავახშმოდ და ოცნებობდა, ერთ მშვენიერ საღამოს ტყეში სავახშმოდ

მადმუაზელ დე სტერმარიაც წაეყვანა. თან უნებურად იმ მოტივს ვღიღინებდი, რასაც მაშინ ვმღეროდი და რასაც დროდადრო წავუღიღინებდი ხოლმე: პირველად მაშინ, როცა ალბერტინი შემიყვარდა და მეგონა, ერთმანეთს ვერ გავიცნობით. მერე პარიზში, როცა, როგორც კი პირველად დამნებდა, რამდენიმე დღის შემდეგ ახლა ისევ შემიყვარდა და მასთან ერთად სავახშმოდ წასვლას ვაპირებდი, სასტუმროს დირექტორის სამწუხაროდ, რომელსაც ეშინოდა, მისგან წავიდოდი და ლა რასპელიერში გადავბარგდებოდი, ამიტომ მარწმუნებდა, ხმები დადის, იქ, ბეკის ჭაობებისა და მისი წყლების გადამკიდე, ციებ-ცხელებით ავადდებიანო. ჩემი ცხოვრების ეს მრავალფეროვნება მახარებდა, ის სამი პერიოდი, ჩემი აზრობრივი ხედვისას რომ ვლინდებოდა. როცა რაღაც დროის განმავლობაში უწინდელი ადამიანი ხდები, ასე რომ ვთქვათ, იმ ადამიანს აღარ ჰგავხარ, როგორიც დიდი ხნის წინათ გახდი, როცა ჩვეულებებით ჯერ კიდევ დაუჩლუნგებელი გრძნობიერება გარესამყაროს უმცირესი შეხებისასაც კი იმდენად ძლიერ შეგრძნებას განიცდის, რომ ყოველი ყოფილი, მანამდე არსებული ფერმკრთალდება, თუმც მათი სიმძაფრის გამო ლოთის სწრაფწარმავალი აღფრთოვანებით მაინც მათ ვეჭიდებით. ომნიბუსში ან ეკიპაჟში უკვე სიბნელეში ვსხდებოდით და საგარეუბნო მატარებლების სადგურში მივდიოდით. სადგურში კი სასამართლოს თავმჯდომარე გვეუბნებოდა: «როგორ, ლა რასპელიერში მიბრძანდებით? ეშმაკმა დალახვროს! რა კადნიერი ქალია ეს ქალბატონი ვერდიურენი: ამ სიბნელეში მთელი საათი მატარებლით მგზავრობას გაიძულებთ მხოლოდ იმიტომ, რომ ერთად ივახშმოთ. მერე საღამოს ათი საათისთვის უკან უნდა წამოლასლასდეთ, თანაც ასეთ საშინელ ქარში. როგორც ვატყობ, საქმე არაფერი გაქვთ», – ხელების სრესით უმატებდა. ეჭვი არ არის, ამ ყველაფერს იმით განაწყენებული გვეუბნებოდა, რომ თვითონ მიწვეული არ იყო, თანაც ამას კმაყოფილების ის გრძნობაც ალაპარაკებდა, რასაც ის ადამიანები განიცდიან, რომლებმაც იციან, რომ «დაკავებული» არიან, თუნდაც სულელური საქმით, და რომლებსაც «დრო არა აქვთ», ის აკეთონ, რასაც თქვენ აკეთებთ.

გასაოცარი არაფერია, თუ ადამიანი, რომელიც ოქმებს ადგენს, გამოჰყავს ბალანსი, საქმიან წერილებს პასუხობს, ბირჟის კურსს თვალს ადევნებს, დაცინვით გეტყვით: «ამის უფლება შეიძლება თქვენ მისცეთ საკუთარ თავს, რადგან გასაკეთებელი არაფერი გაქვთ» და თავისი უპირატესობის სასიამოვნო გრძნობას განიცდის. მაგრამ ეს გრძნობა მათ თვალში ასეთივე ან უფრო დიდ ამპარტავნულ შეფერილობასაც

მიიღებდა (საქმიანი ადამიანებიც ხომ დადიან ზოგჯერ სტუმრად და სხვებთან ერთად სადილობენ კიდეც), თუ თქვენ თავს იმით ირთობთ, რომ «ჰამლეტს» წერთ ან თუნდაც კითხულობთ. აქ კი საქმიანი ადამიანები წინდაუხედაობას იჩენენ: არ ფიქრობენ, რომ ის უანგარო კულტურული მოთხოვნილებები, რის დაკმაყოფილებასაც ვიღაც მათ თვალწინ ცდილობს და რაც მათ უსაქმურის სასაცილო ახირება ჰგონიათ, მათივე წრის, ისეთივე ადამიანებს, ადმინისტრატორის მოვალეობას თუ სასამართლოს ჩინოვნიკის მოვალეობებს რომ ასრულებენ, პირველ ადგილზე წამოსწევს, ისინი თავბრუდამხვევ კარიერას იკეთებენ და ეს «დაკავებული ადამიანები» მათზე მოწიწებული გაოცებით ამბობენ: «როგორც ეტყობა, ეს ადამიანი ძალიან განათლებული, გამოჩენილი პიროვნებაა». სასამართლოს თავმჯდომარე კი ვერ მიმხვდარიყო, რაში მდგომარეობდა ჩემთვის ლა რასპელიერში სადილობის მიმზიდველობა, რისთვისაც, როგორც მან სამართლიანად შენიშნა, «ნამდვილ მოგზაურობებს» ვაწყობდი, რომლის მომხიბვლელობასაც მით უფრო განვიცდიდი, რომ იგი ჩემთვის თვითმიზანს არ წარმოადგენდა და არც მოგზაურობა, როგორც ასეთი, სიამოვნებას არ მანიჭებდა; სიამოვნება მომავალ თავყრილობებთან იყო დაკავშირებული, რაც გარემოების მიხედვით შეიძლება შეცვლილიყო. უკვე სრული სიბნელე იდგა ხოლმე, როცა თბილი სასტუმროდან – ჩემს მშობლიურ სახლად რომ იქცა – ალბერტინთან ერთად ვაგონში მოვხვდებოდი, რომლის ფანჯრებზე არეკლილი ლამპრების ნათებაც ტანჯვით აქოშინებული სააგარაკო მატარებლის შეჩერებებს მიანიშნებდა – რომელიღაც სადგურს

ვუახლოვდებოდით. ვაგონის გამცილებელმა სადგურის დასახელება გამოაცხადა, მაგრამ მე ყური ვერ მოვკარი და შეშინებულმა, კოტარი არ გამომპარვოდა, ვაგონის კარი გამოვაღე, «ერთგულების» ნაცვლად ვაგონში ქარი, სიცივე და წვიმა შემოიჭრა. სიბნელეში მინდორი გავარჩიე და ზღვის ხმაური შემომესმა, სადღაც დაცემულ ადგილას ვიდექით. ვიდრე «ბირთვს» შევუერთდებოდით, ალბერტინმა თავისი ოქროს ნესესერიდან სარკე ამოიღო და ჩაიხედა. პირველად, როცა ქალბატონმა ვერდიურენმა ვახშმობის წინ ალბერტინი თავის მოსაწესრიგებლად ზედა ოთახში აიყვანა, ვიგრძენი, იმ ჩემ შინაგან ღრმა სიმშვიდეში, უკანასკნელ ხანს ჩემს სულს რომ დაეუფლა, უცბად როგორ ამოძრავდა შიში და ეჭვი, რადგან კიბესთან ალბერტინს უნდა დავშორებოდი და სასტუმრო ოთახში, სადაც ეს ვიწრო წრე იკრიბებოდა, მისი მომლოდინე შეცბუნებული ვფიქრობდი, ჩემი მეგობარი იქ, ზევით, ამდენ ხანს რას აკეთებდა, და საშინლად ვღელავდი; მეორე დღეს ბატონი დე შარლიუსგან გავიგე, რომელი ნესესერი მიაჩნდათ ყველაზე ელეგანტურად, და კარტიეს ტელეგრაფით შევუკვეთე; ახლა ეს ნესესერი ამოიღო ალბერტინმა. ეს იყო ჩემი სიმშვიდის საწინდარი, ალბერტინის მხრიდან ჩემდამი გამოჩენილი დიდი ყურადღება. ცხადია, იგი მიხვდა, რომ ქალბატონ ვერდიურენთან მისი განმარტოება ძალიან მაღელვებდა და ვაგონშივე დაიწყო თავის მოწესრიგება.

ბოლო თვეებში ქალბატონი ვერდიურენის ყველაზე ერთგული და ხშირი სტუმარი ბატონი დე შარლიუ ბრძანდებოდა. მგზავრები, მოსაცდელ დარბაზებში თუ

დონსიერის დასავლეთ ბაქანზე მჭიდროდ რომ იდგნენ, აუცილებლად ხედავდნენ, როგორ ჩაივლიდა ხოლმე ჩასკვნილი, შავულვაშიანი, ჭაღარა, ტუჩშეღებილი კაცი, სეზონის ბოლოს ეს შეღებილი ტუჩები მთლად ისე გამოკვეთილად აღარ ჩანდა, როგორც ზაფხულში, როცა განათების გამო სისხლი

გეგონებოდათ და სიცხისგან დნებოდა. სააგარაკო მატარებლის ვაგონისკენ მიმავალი თავს ვერ იკავებდა (ახლა უკვე ჩვეულების გამო, რადგან, მასში აბობოქრებული გრძნობების გავლენით, იგი უმანკო გახდა, ანდა უფრო იმიტომ, რომ მისი ერთგული უნდოდა დარჩენილიყო), რომ შავი მუშების, სამხედროების და ტენისის სათამაშო ტანსაცმელში გამოწყობილი ახალგაზრდები ცნობისმოყვარე, მორცხვი გამოხედვით არ შეეთვალიერებინა, მერე კი იმ ბერის დათაფლული იერით, კრიალოსანს რომ მარცვლავს, ან ქმარზე შეყვარებული მოკრძალებული ცოლივით თუ ზნეკეთილად აღზრდილი ქალიშვილივით მაშინვე ხრიდა თვალს. «ერთგულები» დარწმუნებული იყვნენ, რომ მათ ვერ ხედავდა, რადგან სხვა ვაგონში ჯდებოდა (როგორც ოდესღაც, უმრავლეს შემთხვევაში, თავადის ქალი შჩერბატოვა), ასე ის ადამიანი იქცევა, რომელმაც არ იცის, კმაყოფილი დარჩებით თუ არა იმით, ვინმემ მასთან ერთად მიმავალი რომ დაგინახოთ და შესაძლებლობას გაძლევთ, თუ მოისურვებთ, მას შეუერთდეთ. პირველ ხანებში მასთან ერთად მგზავრობა დოქტორს საერთოდ არ სურდა, მოითხოვდა, არც ჩვენ გადავსულიყავით ბატონი დე შარლიუს კუპეში. მას შემდეგ, რაც დოქტორმა სამედიცინო სამყაროში მნიშვნელოვანი მდგომარეობა მოიპოვა, გულზვიადი გახდა, სულის სიღრმეში კი ისეთივე გაუბედავი დარჩა, ახლა ამაყ იერს მიიღებდა, ეშმაკურად ჩაიცინებდა, საზურგეს გადააწვებოდა, ლორნეტით სკის შეჰყურებდა; ზედ ეტყობოდა, ეშმაკურად ცდილობდა, გამოეძალა, ამ საკითხზე სხვები რას ფიქრობდნენ: «თავადაც ხვდებით, მარტო რომ ვიყო, თანაც ახალგაზრდა... მაგრამ ცოლი მახლავს და იმის შემდეგ, რაც თქვენგან გავიგე, ეჭვი მეპარება, რომ მისი ჩვენს კომპანიასთან შეერთება სასურველია». «ჩურჩულებდა დოქტორი». «რა ბრძანეთ?» – იკითხავდა ქალბატონი კოტარი». «არაფერი. შენ არ გეხება. ქალების საქმე არ არის», – პასუხობდა დოქტორი და უდიდესი კმაყოფილებით თვალის ჩაკვრას მოაყოლებდა, თან ამ თვალის ჩაკვრაში ის ფარული დაცინვაც იგრძნობოდა, რაც მის ტონშიც გამოსჭვიოდა,

როგორითაც თავის ავადმყოფებსა და მოწაფეებს ელაპარაკებოდა, და იმავე მოუსვენარი გამომეტყველებით, უწინ ვერდიურენებმა გონიერების ნიშნად რომ მიიღეს, ისევ ჩურჩულს იწყებდა. ქალბატონმა კოტარმა მხოლოდ ორი სიტყვა გაარჩია: «თანამოძმეები» და «ყბედობა» და, რადგან დოქტორი პირველ სიტყვაში ებრაელთა მოდგმას გულისხმობდა, მეორეში კი იმ ადამიანებს, სიტყვისთვის ჯიბეში რომ არ მიძვრებიან, ქალბატონმა კოტარმა დაასკვნა, რომ ბატონი დე შარლიუ ყბედი ებრაელი იყო. ვერ მიხვდა, ამის გამო ბარონის საზოგადოებას რატომ უნდა მორიდებოდნენ და თავის მოვალეობად მიიჩნია, რადგან ამ პატარა ჯგუფში უფროსი იყო, მოეთხოვა, მისგან თავი შორს არ დაგვეჭირა და ჩვენ ყველა, ძველებურად შეწუხებული ბატონი კოტარის მეთაურობით, ბატონი დე შარლიუს კუპესკენ

დავიძარით. ბატონმა დე შარლიუმ, რომელიც ბალზაკს კითხულობდა, ჩვენი გაუბედაობა შეამჩნია, მაგრამ თავი არ აუწევია. იმ ყრუ-მუნჯის მსგავსად, სხვისთვის მოუხელთებელი ჰაერის მოძრაობით რომ ხვდება უკანიდან ვიღაც მიახლოვდებაო, ესეც რაღაც განსაკუთრებული ალღოს წყალობით გრძნობდა, ცივად ვინ ექცეოდა. ასეთი გამახვილებული გრძნობის გამო, რაც ფართოდ არის გავრცელებული, ესეც წარმოსახვითი ავადმყოფობებით იტანჯებოდა. როგორც ნევროპათები, ჰაერის მსუბუქ ქროლას იგრძნობენ თუ არა, მაშინვე გადაწყვეტენ, ეს ზედა სართულის ფანჯარაა ღიაო, ანჩხლობენ და ცხვირის ცემინებას იწყებენ, ასევე ბატონი დე შარლიუც, თუ ვინმეს შეწუხებულ სახეს დაინახავდა, დაასკვნიდა, რომ ეს ადამიანი მის წინააღმდეგ იყო განწყობილი. თუმცა დაბნეული, ნაღვლიანი ან მხიარული სახეც რომ არ გქონოდათ, ბატონი დე შარლიუ რამეს მაინც მოიფიქრებდა. სამაგიეროდ, თუ მისდამი კეთილმოსურნეობას გამოიჩენდით, მის სულში წამითაც არ შეიპარებოდა ეჭვი, რომ მის შესახებ შავი ხმები დადიოდა. მიხვდა, რომ თავიდან კოტარი ყოყმანობდა, რითიც დიდად გააოცა «ერთგულები», რომლებმაც ვერაფრით წარმოიდგინეს, როგორ შეამჩნია ეს ადამიანმა, რომელიც კუპეს კუთხეში იყო მიმჯდარი და

ხელში წიგნი ეჭირა, ბარონმა ახლომისულებს ხელი გაუწოდა, კოტარს კი სხვანაირად მოექცა: მის მხარეს, მისალმების ნიშნად, მთელი ტანით დაიხარა და მაშინვე გასწორდა, შვედური ტყავის ხელთათმნიანი ხელი არც მიაკარა დოქტორის გამოწვდილ ხელს. «გადავწვყიტეთ, თქვენთან ერთად ვიმგზავროთ და მარტო არ დაგტოვოთ. ეს ჩვენთვის დიდი სიამოვნებაა». – უთხრა ბარონს ალერსიანად მოღიმარე ქალბატონმა კოტარმა. «მოხარული ვარ», – თავის დაკვრით ცივად უპასუხა ბარონმა. «გამიხარდა, როცა გავიგე, საბოლოოდ გადაწყვიტეთ, ჩვენს მხარეში დაგეცათ თქვენი კარა...». უნდოდა «კარავი» ეთქვა, მაგრამ ებრაულ სიტყვად მოეჩვენა, საწყენად, რომელიც ამას შეიძლება მინიშნებად მიეღო, და სხვა სიტყვის მოძებნას შეეცადა, სხვანაირად რომ ვთქვათ, ენაწყლიანი გამოთქმით: «მინდოდა მეთქვა: «თქვენი პენატები»[160], (ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ეს ღვთაებებიც ქრისტიანული არ არის; იგი იმ რელიგიას მიეკუთვნება, დიდი ხნის წინათ რომ მოკვდა და აღარც მიმდევრები ჰყავდა, რომ ვინმე შეურაცხყოფილი დარჩენილიყო). ჩვენ კი, სამწუხაროდ, სასწავლო წლის გამო, იმის გამო, რომ დოქტორს საავადმყოფოს წინაშე სამსახურებრივი მოვალეობები აკისრია, მოკლებული ვართ შესაძლებლობას, ხანგრძლივი დროით სადმე დავფუძნდეთ, – და ყუთი აჩვენა, – ხომ ხედავთ, ძლიერ სქესთან შედარებით რამდენად უბედურები ვართ ქალები. ასეთ ახლო მანძილზეც კი, ჩვენი მეგობრები ვერდიურენები რომ ცხოვრობენ, იძულებული ვართ, მთელი ქონება თან ვატაროთ». მე კი ამასობაში ბალზაკის თხზულებას ვათვალიერებდი, რომელიც ბარონს ეჭირა ხელში. ეს წიგნი მისი პირადი ბიბლიოთეკიდან იყო, ამიტომაც ზედ ეწერა: «მე ვეკუთვნი ბარონ დე შარლიუს». ზოგიერთ მის წიგნზე ისეთი გამოთქმები იყო მიწერილი, რომელიც გერმანტების განმასხვავებელი თვისებებს მოწმობდა: «In procliis non semper[161]« ანდა «Non sinelabore[162]«. მომავალში ვნახავთ, რომ მორელის

გულის მოსაგებად ეს წარწერები შეიცვალა. წამის შემდეგ ქალბატონი კოტარი იმ თემაზე ალაპარაკდა, ბარონისთვის უფრო ახლობელი რომ

ეგონა: «არ ვიცი, დამეთანხმებით თუ არა, მაგრამ საგნებზე ფართო შეხედულებები მაქვს: ჩემი აზრით, ყველა რელიგია კარგია, ოღონდ ადამიანი ნამდვილად რელიგიური უნდა იყოს. იმ ხალხს არ ვეკუთვნი, ვინც... პროტესტანტის დანახვისთანავე ცოფდება». «მე მასწავლეს, რომ მხოლოდ ჩემი რწმენაა ერთადერთი ჭეშმარიტი», – შეეპასუხა ბატონი დე შარლიუ. «ფანატიკოსია, – გაიფიქრა ქალბატონმა კოტარმა, – სვანი, ოღონდ სიკვდილის წინ არა, უფრო რჯულშემწყნარებელი იყო, თუმცა ის ხომ მონათლული ებრაელი გახლდათ». ბარონი კი, როგორც ცნობილია, არა მარტო ქრისტიანულ სარწმუნოებას აღიარებდა, არამედ შუასაუკუნეებისდროინდელი ღვთისმოშიშობაც ახასიათებდა. მისთვის ისევე, როგორც XII საუკუნის სკულპტორებისთვის, ქრისტიანული ეკლესია, პირდაპირი გაგებით, ურიცხვი არსებებით იყო დასახლებული, რომლებიც მას სრულიად რეალურად წარმოედგინა: წინასწარმეტყველები, მოციქულები, ანგელოზები, ყველაჯურის წმინდანები განსახიერებულნი იყვნენ ღვთის სიტყვაში; ყველა ეს წამებული და სწავლული, ყველა მორწმუნე ტაძრების კარებთან იყრიდა თავს და კათედრალების ირგვლივეთს ავსებდა. ბატონმა დე შარლიუმ მფარველებად მთავარანგელოზები: მიქაელი, გაბრიელი და რაფაელი აირჩია და ხშირადაც შესთხოვდა მათ, მისი ლოცვები მამა ღმერთის ტახტამდე მიეტანათ. აი, რატომ იყო, რომ ქალბატონი კოტარის შეცდომამ კარგად გამახალისა.

რელიგიურ თემას თავი დავანებოთ და კიდევ რამდენიმე სიტყვა ვთქვათ დოქტორზე – პარიზში დედის, გლეხის ქალის მწირი დარიგებებით ჩამოსული მატერიალისტური მეცნიერების შესწავლას შეუდგა, რასაც დიდ დროს უძღვნიან ისინი, ვისაც მედიცინის დარგში სურთ კარიერის გაკეთება; ავტორიტეტი კი მოიპოვა, მაგრამ ცხოვრებისეული გამოცდილება ვერ მიიღო, ამიტომ იყო, რომ სიტყვა «მოხარულის» აზრი ბოლომდე ვერ გაიგო და, რადგან

პატივმოყვარეობამ ძლია, გაამაყდა, ბუნებით კი კეთილი კაცი იყო და ამ სიტყვამ ნაღველი მოჰგვარა: «საწყალი დე შარლიუ, – უთხრა საღამოს ცოლს. – როცა მის გვერდით დავსხედით და თქვა ამით მოხარული ვარო, შემეცოდა. იგრძნობოდა, რომ მარტო ცხოვრობს საცოდავი, ამიტომმაც თავის დამცირება უწევს, ნაცნობობა რომ გააბას ვინმესთან».

მალე «ერთგულებს» ქალბატონი კოტარის ხელმძღვანელობის მოთხოვნილება გაუქრათ, უხერხულობის გრძნობას აჯობეს, რაც ბატონი დე შარლიუს საზოგადოებაში მოხვედრილ ყველა ადამიანს ამა თუ იმ ზომით ეუფლება. უეჭველია, მასთან ყოფნისას ყველას ახსენდებოდა, რასაც მათი თანამგზავრი სკი მის შესახებ მოჰყვა, და მის სექსუალურ მიდრეკილებაზეც ფიქრობდნენ, მაგრამ ეს უცნაურობა მათი ინტერესის ერთგვარ მიმზიდველ საგანს წარმოადგენდა. ეს უცნაურობა ყველაფერს, რასაც ბარონი ამბობდა – არადა, მოსაუბრე, დიახაც,

შესანიშნავი ბრძანდებოდა, ოღონდ ისეთ თემებს არჩევდა, «ერთგულებისთვის» მიუღწეველი რომ იყო, ამიტომ მის შეფასებას სათანადოდ ვერ ახერხებდნენ – მწვავე ელფერს აძლევდა, ამიტომ მის გვერდით უფრო ცნობისმოყვარე თანამოსაუბრენი, ბრიშოც კი, ოდნავ გაფერმკრთალებულნი ჩანდნენ. ბარონთან ნაცნობობის დასაწყისშივე «ერთგულებს» არ შეეძლოთ არ ეღიარებინათ, რომ ის ჭკვიანი იყო. «გენიალურობა სიგიჟეს ესაზღვრება», – განაცხადა დოქტორმა, მაგრამ, როცა თავადის ქალმა, რომელიც თვითგანათლებას გაძლიერებულად ეწაფებოდა, სთხოვა, ეს გამოთქმა განემარტა, მისი განვრცობა საჭიროდ არ მიიჩნია; გარდა ამ აქსიომისა, ვერაფერს იტყოდა, რადგან მისთვის გენიალობა ისე ნათელი არ იყო, როგორც ტიფი ანდა ნიკრისის ქარი. ამწუთას ძალიან ქედმაღლურად გამოიყურებოდა და ძველებურად უზრდელი იყო. «ახლა კითხვებით ნუღა ჩამაცივდებით, თავადის ასულო, – შეაწყვეტინა მან, – მე აქ, ზღვაზე, დასასვენებლად ჩამოვედი, თანაც ვერაფერს მიხვდებით,

რადგან მედიცინისა არაფერი გაგეგებათ». თავადის ქალმა მოუბოდიშა და გაჩუმდა; მას კოტარი საყვარელ ადამიანად მიაჩნდა, მაგრამ ზოგჯერ ცნობილ ადამიანებს ვერ გაეკარები. მაშ ასე, ბატონ დე შარლიუსთან ნაცნობობის დასაწყისშივე «ერთგულებმა» აღმოაჩინეს, რომ ის ჭკვიანი იყო, მიუხედავად მისი უზნეობისა (ანდა იმისა, რაც მიღებულია, უზნეობად იწოდებოდეს). ახლა ამას ანგარიშს აღარ უწევდნენ და ეგონათ, რომ ზუსტად ამ უზნეობის წყალობით იყო ჭკვიანი. ბატონი დე შარლიუს ყველაზე უბრალო აზრები სიყვარულზე, ეჭვიანობაზე, სილამაზეზე, მისი უჩვეულო, ფარული, მდიდარი და საძაგელი გამოცდილებიდან ამოღებული აზრები «ერთგულებს» თავისი უჩვეულობით ხიბლავდა, იმ უჩვეულობით, რომელიც მოულოდნელად ჩნდება ნებისმიერი საუკუნის ჩვენთვის კარგად ნაცნობ დრამატურგიაში, რუსულ თუ იაპონურ პიესებში, რასაც აქაური აქტიორები თამაშობენ. ზოგჯერ, თუ არ ესმოდა, ვიღაც მასზე ბოროტად ხუმრობდა. «თუ ბარონი კონდუქტორს მიბნედილად თვალს გაუშტერებს, მაშინ დანიშნულების ადგილზე ვერასოდეს ჩავალთ, მატარებელი უკან-უკან წავა, – ჩურჩულებდა მოქანდაკე, როცა ბაიადერის[163] მსგავსი გრძელწამწამიანი ახალგაზრდა კონდუქტორი შეამჩნია, რომლის დანახვაზეც ბარონმა თავი ვეღარ შეიკავა და მიაშტერდა. – ყურადღება მიაქციეთ, როგორ უყურებს. ჩვენ ახლა სააგარაკო მატარებლით კი აღარ მივდივართ, არამედ ფუნიკულიორით». და მაინც, თუ ბატონ დე შარლიუს ვერ შეხვდებოდნენ, თუ მათ გვერდით არ იჯდებოდა ეს იდუმალი, შეღებილი ღიპიანი კაცი, რომელიც საეჭვო ეგზოტიკურ ზარდახშას ჰგავდა, ნაყოფს უცნაური სუნი ასდიოდა და იმის გაფიქრებაზე, რომ მისი შეჭმა მოგიწევთ, უკვე გული გერევათ, «ერთგულებს» ერთგვარი იმედგაცრუება ეუფლებოდათ, რადგან ჩვეულებრივ ადამიანებთან ერთად მოუწევდათ მგზავრობა. «ერთგულების» მამაკაცთა საზოგადოებას ბატონმა დე შარლიუმ განსაკუთრებული სიამოვნება მიანიჭა მოკლე მანძილზე სენ-მარტენ-დიუ-შენიდან, სადაც ვაგონში ჩაჯდა, დონსიერამდე,

სადაც მათ მორელი შეუერთდათ. ვიდრე მევიოლინე არ იყო (ქალებმა, მამაკაცების საუბრისთვის ხელი რომ არ შეეშალათ, მოშორებით თავისი წრე შექმნეს), ბატონი დე შარლიუ მოურიდებლად მსჯელობდა იმ საკითხებზე, რასაც «უზნეობას» ეძახიან, თითქოს ამით უნდოდა ხაზი გაესვა, რომ მსგავს თემებზე საუბარს არ გაურბოდა. ალბერტინის იქ ყოფნამაც ვერ შეაჩერა, თუმცა მას ქალთა საზოგადოება არ მიუტოვებია იმ მოსაზრებით, რომ მოკრძალებულმა გოგონამ ხელი არ უნდა შეუშალოს მამაკაცთა ერთმანეთში საუბარს. არ ვნერვიულობდი, სხვა კუპეში რომ იყო, ჩემთვის მნიშვნელოვანი მხოლოდ ის გახლდათ, ჩემთან ერთად ერთი ვაგონით რომ მგზავრობდა. აღარ მიყვარდა და აღარც ვეჭვიანობდი, აღარც იმაზე ვფიქრობდი, იმ დღეებში როცა ერთმანეთს ვერ ვხვდებოდით, რას აკეთებდა; მაგრამ თუ ჯერ ერთად ვმგზავრობდით, მერე საძულველი ხდებოდა ყოველგვარი წინააღმდეგობა, რომელსაც შეეძლო, ჩემთვის დაეფარა მისი ყოველგვარი ღალატი, როცა ქალებთან ერთად მეორე კუპეში გადიოდა, ადგილზე დარჩენის ძალა აღარ შემწევდა, არ ვფიქრობდი, რომ შეიძლება თანამოსაუბრეს სწყენოდა, ვთქვათ, ბრიშოს, კოტარს ან დე შარლიუს, ჩემი გაქცევა, ვერც ავუხსნიდი, რატომ გავრბოდი, წამის შემდეგ უცბად წამოვხტებოდი, მათ ვტოვებდი და იქით გავრბოდი, რათა დავრწმუნებულიყავი, რომ მეორე კუპეში საძრახისი არაფერი ხდებოდა; ბატონ დე შარლიუს ვინმეს შოკში ჩაგდებისა არ ეშინოდა, დონსიემდე მიდრეკილებებზე ლაპარაკობდა, დროდადრო გულახდილადაც, რასაც პირადად არც კარგად მიიჩნევდა და არც ცუდად. ეშმაკობდა, ცდილობდა, თავისი ფართო შეხედულებების დემონსტრაცია მოეხდინა, დარწმუნებული იყო, მის ქცევებში «ერთგულებიდან» ეჭვი არავის ეპარებოდა. იმის იმედიც ჰქონდა, რომ მთელ სამყაროში მხოლოდ რამდენიმე კაცი მოიძებნებოდა, როგორც თვითონ ამბობდა, «ვინც მის საქმიანობაში იყო გათვითცნობიერებული». ეგონა, სულ ორიოდე კაცი თუ ჩასვწდა მის საიდუმლოს, მეტი არა, და ახლა არც ერთი მათგანი ნორმანდის სანაპიროზე არ

იმყოფებოდა. საოცარია, რომ ასეთი შორსმჭვრეტელი, ასეთი ეჭვიანი კაცი თავის მოტყუებით ერთობოდა. ფიქრობდა, რომ იმ ადამიანებსაც კი, რომლებსაც, მისი ვარაუდით, ხელთ ასე თუ ისე უტყუარი ცნობები ჩაუვარდათ, მასზე მაინც ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ და ეგონა, თანამოსაუბრეები, იმის მიხედვით, რასაც თავად ეტყოდა, მასზე აზრს შეიცვლიდნენ; თანამოსაუბრენი კი მხოლოდ თავაზიანობის გამო უკრავდნენ კვერს. ხვდებოდა, მის შესახებ რაღაც ვიცოდი თუ ვვარაუდობდი, წარმოიდგინა, რომ შთაბეჭდილება მასზე უფრო ადრე შემექმნა, შთაბეჭდილება საერთო და საკმარისი იყო, უკუეგდო რომელიმე წვრილმანი, რათა მისთვის დაეჯერებინათ, მაშინ, როცა სინამდვილეში ერთი მთლიანის ცოდნა მუდამ წინ უძღვის წვრილმანების ცოდნას, ამის წყალობით უსაზღვროდ შემსუბუქებულია მათი კვლევა, და, რადგან იგი ანადგურებს უჩინარობის ძალაუფლებას, ამიტომ ადამიანი უკვე უძლურია, განაგრძოს იმის დაფარვა, რისი დამალვაც ასე ძალიან უნდა. როცა ბარონს ვახშმად «ერთგულებიდან» ან მათი მეგობრებიდან იწვევდა ვინმე, ეშმაკურ გზებს ირჩევდა, რათა იმ ათიოდე პირს შორის, თავად რომ ასახელებდა, აუცილებლად მორელის სახელიც ჩაესვა, ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ,

როგორც არ უნდა აეხსნა, მუდამ სხვადასხვა მიზეზი ჰქონდა, რატომ ანიჭებდა სიამოვნებას, თუ იმ საღამოს ორივეს მიიწვევდნენ, სახლის პატრონები თავს ისე აჩვენებდნენ, თითქოს მის სიმართლეში ეჭვიც არ ეპარებოდათ, მასპინძლები მშვენივრად ხვდებოდნენ, რომ აქ მხოლოდ ერთადერთი მიზეზი იმალებოდა, მუდამ ერთი და იგივე, თუმცა ბარონს ეგონა, ვერავინ ხვდებოდა, კერძოდ, ეს იყო მისი მორელისადმი სიყვარული. ზუსტად ასევე მოხდა ქალბატონ ვერდიურენთანაც, ვითომ მისთვის სრულიად ნათელი იყო მათი ურთიერთობების საფუძველი – ნაწილობრივ ესთეტიკური, ნაწილობრივ ჰუმანური მოსაზრებები, როგორც ბატონმა დე შარლიუმ თავად აუხსნა; ქალმა მხურვალე მადლობაც კი გადაუხადა მევიოლინესთან ამ გულის შემძვრელი ურთიერთობისთვის. მაგრამ რა

განცვიფრებული დარჩებოდა ბარონი, თუ გაიგებდა, იმ დღეს, როცა სტუმრად მოსვლა დაუგვიანდათ, მფარველმა როგორ თქვა: «ახლა მხოლოდ იმ დედაკაცების ჩამოსვლას ველით!» ბატონი დე შარლიუ განსაკუთრებით გაოცებული დარჩებოდა, რადგან ლა რასპელიერში დღედაღამ კაპელანის როლს ასრულებდა, შინაური აბატისა. ზოგჯერ (როცა მორელი ორი დღე-ღამით თავისუფალი იყო) ორ ღამეს მიყოლებით ათევდა იქ. ქალბატონი ვერდიურენი მისი იქ დარჩენისას ორივეს მომიჯნავე ოთახებში აწვენდა, თავისუფლად რომ ეგრძნოთ თავი, და ეუბნებოდათ: «თუ დაკვრას მოისურვებთ, არ მოგერიდოთ, მყარი კედლებია, თქვენს სართულზე სხვა არავინ ცხოვრობს, ჩემმა ქმარმა კი მაგარი ძილი იცის». ასეთ დღეებში ბატონი დე შარლიუ თავადის ქალის დასახვედრად სადგურში მიდიოდა, მის წინაშე ქალბატონ ვერდიურენის მაგივრად ბოდიშს იხდიდა, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო დახვედრა ვერ შეძლოო, ეუბნებოდა, თან მის უქეიფობაზე ისე დამაჯერებლად ლაპარაკობდა, რომ სტუმრები, რომლებიც მასთან სახის ჯეროვანი გამომეტყველებით შედიოდნენ, ხმამაღლა გამოთქვამდნენ გაოცებას, როცა დეკოლტეამოღებულ კაბაში გამოწყობილ დიასახლისს ხედავდნენ.

საქმე ის გახლავთ, რომ ძალიან მალე ბატონი დე შარლიუ ქალბატონ ვერდიურენისთვის «ერთგულთა» შორის ყველაზე «ერთგულად», მეორე თავადის ქალ შჩერბატოვად იქცა. მაღალ საზოგადოებაში მისი მდგომარეობა ამ ქალბატონისთვის ცოტა ბურუსით იყო მოცული, ვიდრე თავადის ქალის მდგომარეობა, რომელზეც ფიქრობდა, რომ არსად დადიოდა, გარდა ამ «პატარა ბირთვისა», რადგან ყველა სხვა სალონი სძულდა და უპირატესობას მისას ანიჭებდა. ვერდიურენებისთვის განსაკუთრებული სახის ფარისევლობა იყო დამახასიათებელი, რაც იმით გამოიხატებოდა, რომ ყველას, ვინც მათ თავის სახლში არ უშვებდა, მოსაწყენ ადამიანებს ეძახდნენ, ხოლო თავადის ქალის ქცევას იმითი ხსნიდნენ, რომ მაღალი წრის ქალბატონი

მოსაწყენ ადამიანებთან არ დადიოდა, რადგან ინტელიგენტური საზოგადოება უფრო იზიდავდა. მოკლედ, მათ შორის, ვინც ვერდიურენებთან დადიოდა, ინტელიგენტური ადამიანების რაოდენობამ იკლო. ზღვის სანაპიროს კურორტის ცხოვრება იმ სახიფათო შედეგებამდე არ მიდის, რაც შეიძლება პარიზში ახალ

ნაცნობობას მოჰყვეს. უცოლოდ ბალბეკში ჩამოსული არისტოკრატები პირველ ნაბიჯებს დგამენ და მოსაწყენი ადამიანებიდან მომხიბლავ ადამიანებად იქცევიან. ასე მოხდა პრინც გერმანტის შემთხვევაშიც, რომელიც საეჭვოა, ლა რასპელიერში ჩასულიყო, ისიც «უცოლო კაცის მდგომარეობაში», რომ არა დრეიფუსარობის მაგნიტის ყოვლისშემძლეობა, რამაც პრინცი ფრთაშესხმულივით ააფრინა გორაზე, სადაც ციხე-დარბაზი იდგა, ოღონდ, მისდა საუბედუროდ, იმ დღეს მფარველი ქალი სახლში არ აღმოჩნდა. სხვათა შორის, ქალბატონი ვერდიურენი დარწმუნებული არ იყო, რომ პრინცი და ბატონი დე შარლიუ ერთ წრეს ეკუთვნოდნენ. ბატონი დე შარლიუსგან არაერთხელ მოუსმენია, რომ ჰერცოგი გერმანტი მისი ძმაა, მაგრამ ეს შეიძლება ავანტიურისტის ტრაბახიც კი იყო. როგორი ელეგანტურიც უნდა ყოფილიყო ბატონი დე შარლიუ, თავაზიანი, ვერდიურენების «ერთგული», ქალბატონმა მაინც ვერ გადაწყვიტა მისი და პრინც გერმანტის ერთად მოწვევა. სკისა და ბრიშოს ჰკითხა რჩევა: «ბარონისა და პრინც გერმანტის ერთად ყოფნა გამოვა?». «ღმერთო ჩემო, ქალბატონო, ერთ-ერთზე გაბედულად შემიძლია გითხრათ...». «მაგრამ ერთ-ერთი ჩემთვის ცოტაა, – გაღიზიანებული ხმით უპასუხა ქალბატონმა ვერდიურენმა. – გეკითხებით: მათი ერთად ყოფნა გამოვა?». «ძნელია ამის თქმა». ქალბატონმა ვერდიურენმა სკისა და ბრიშოს ყოველგვარი ფარული აზრის გარეშე დაუსვა ეს შეკითხვა. ბარონის გადახრებზე ბევრი გაეგო, მაგრამ ეს კითხვა რომ დასვა, ამაზე არც უფიქრია, უბრალოდ, უნდოდა სცოდნოდა, შეიძლებოდა თუ არა პრინცის ბარონთან ერთად მოწვევა, ერთმანეთს შეეფერებოდნენ თუ არა. ამ შაბლონური გამოთქმის ხმარებისას, ხშირად რომ გამოიყენება

არისტოკრატიულ წრეებში, მხედველობაში ცუდი არაფერი ჰქონია. ძალიან უნდოდა, პრინც დე გერმანტთან ნაცნობობით გაებრწყინა და გადაწყვიტა, დღის მეორე ნახევარში საქველმოქმედო საღამოზე წაეყვანა, სადაც ადგილობრივ მეზღვაურებს ზღვაში გასვლის სცენა უნდა გაეთამაშებინათ. მერე ყურადღება სხვა საქმეებზე გადაიტანა და პრინცის თანხლება «ერთგულთა» შორის «უერთგულესს», ბარონს დაავალა. «გესმით, გაშეშებული არ უნდა იდგნენ ვირებივით, აქეთ-იქით უნდა დადიოდნენ, კარგად რომ გამოჩნდეს... არ ვიცი, მეზღვაურულად რას ეძახიან. თქვენ ხომ ხშირად დადიხართ პორტში, შეგიძლიათ, ისე, რომ არ გადაიღალოთ, რეპეტიციები ჩაატაროთ. თქვენ, ბარონო, ჩემზე უკეთესად შეგიძლიათ მეზღვაურებთან მოქცევა. თუმცა, მგონი, ძალიან გადავყევით პრინც დე გერმანტს. შეიძლება, სულაც ჟოკეიკლუბელი სულელია. ოჰ, ღმერთო ჩემო, ჟოკეიკლუბი შემომელანძღა; თქვენ ხომ, რამდენადაც მახსოვს, ამ კლუბის წევრი ხართ, ბარონო! რატომ არ მპასუხობთ: ჟოკეიკლუბის წევრი ხართ? ჩვენთან ერთად გასეირნება არ გნებავთ? აი, წიგნი, სულ ახლახან მივიღე, ჩემი აზრით, უნდა დაგაინტერესოთ, რეჟონია[164]. მშვენიერი სათაური აქვს: «მამაკაცებს შორის».

მიხაროდა, რომ ბატონი დე შარლიე თავადის ქალ შჩერბატოვას მოვალეობას ხშირად ასრულებდა, რადგან ქალბატონთან დაძაბული ურთიერთობა მქონდა ერთი უმნიშვნელო, მაგრამ სერიოზული მიზეზის გამო. ერთხელ, როცა სააგარაკო

მატარებლით ვმგზავრობდი, ჩვეულებრივ, თავადის ქალ შჩერბატოვასადმი დიდ ყურადღებას ვიჩენდი, ამ დროს დავინახე, ვაგონში მარკიზა დე ვილპარიზი შემოვიდა. იგი პრინცესა დე ლუქსემბურგელთან იყო ჩამოსული სტუმრად, მაგრამ მე, ალბერტინის ნახვის ყოველდღიური მოთხოვნილებით სავსემ, ერთხელაც ვერ მოვახერხე მარკიზასა და მისი მასპინძლის, სამეფო გვარის შთამომავლის არაერთ მიწვევაზე პასუხის გაცემა. ბებიაჩემის მეგობრის დანახვისას სინდისის ქენჯნა

ვიგრძენი და მოვალეობის გამო მასთან მისულს საუბარი საკმაოდ ხანგრძლივი გამომივიდა (თავადის ქალი შჩერბატოვა არ მიმიტოვებია). მე ხომ არაფერი ვიცოდი იმაზე, რომ მარკიზა დე ვილპარიზი მშვენივრად იცნობდა ჩემს მეზობელს, მაგრამ მასთან საუბარი არ სურდა. შემდეგ სადგურზე მარკიზა დე ვილპარიზი ვაგონიდან ჩავიდა, მერე საკუთარ თავს ვსაყვედურობდი, ვაგონიდან ჩასვლაში რატომ არ დავემხმარე-მეთქი; დავბრუნდი და თავადი ქალის გვერდით დავჯექი. და ამ დროს – ადამიანის სულში მომხდარი გადატრიალების კერძო შემთხვევა, იმ ადამიანისა, რომელსაც საზოგადოებაში არამდგრადი მდგომარეობა უკავია და ეშინია, რომ მასზე ქირდვით ლაპარაკობენ, ზიზღით ექცევიან – ჩემ თვალწინ თავადის ქალის ჩემთან ურთიერთობაში მკვეთრი ცვლილება მოხდა. «რევიუ დე დე მონდის» კითხვაში ჩაძირული ქალბატონი ჩემს კითხვებს ცივად პასუხობდა, ბოლოს კი გამომიცხადა, რომ ჩემ გამო თავის ტკივილი დაეწყო. ვერ მივხვდი, რა დავაშავე. როცა დავემშვიდობე, ჩვეულმა ღიმილმა არ გაუნათა სახე, ოდნავ დამიკრა თავი, ხელიც არ გამოუწვდია და მას შემდეგ ერთხელაც არ გაუცია ჩემთვის ხმა. ალბათ, ვერდიურენებს ჩემზე ელაპარაკა კიდეც, ოღონდ არ ვიცი, რა უნდა ეთქვა, რადგან, როგორც კი ვიკითხე, რამეში ხომ არ გამოვადგები თავადის ქალ შჩერბატოვას-მეთქი, ორივემ ერთხმად უცბად წამოიძახა: «არა! არა! არავითარ შემთხვევაში! ვერ იტანს, როცა ვინმე მისდამი თავაზიანობას იჩენს!» ცხადია, ვერდიურენებს საერთოდ არ სურდათ, თავადის ქალს წავჩხუბებოდი; მან ისინი დაარწმუნა, რომ ყურადღების გამოჩენა არ სჭირდებოდა, რადგან მისი სული შორს იდგა მაღალი საზოგადოების ამაოებისგან.

სიტყვამ მოიტანა და, თავადის ქალს არ ვძრახავ. ასეთი ადამიანები ყოველ ნაბიჯზე გვხდებიან. ერთხელ, რომელიღაც გერმანტის დასაფლავებაზე, ვიღაც ცნობილმა ადამიანმა ლამაზი, ტანმაღალი კაცი დამანახა და მითხრა: «ეგ გერმანტებს შორის ყველაზე უცნაური, ყველაზე

ახირებულია. ჰერცოგის ძმაა». უტაქტობა გამოვიჩინე და სიტყვა შევუბრუნე – ეს ბატონი საერთოდ არ არის გერმანტების ნათესავი, მისი გვარი ფურნიე-სარლოვეზია-მეთქი. იმ ცნობილმა ადამიანმა ზურგი შემაქცია და მას შემდეგ აღარც მომსალმებია.

ერთი გამოჩენილი კომპოზიტორი, ინსტიტუტის წევრი, თანამდებობის პირი და სკის ნაცნობი, გავლით იყო ჩამოსული არამბუვილში, სადაც მისი დისწული ქალი ცხოვრობდა, და ერთ ოთხშაბათს ვერდიურენებსაც ეწვია. ბატონი დე შარლიუ უაღრესად თავაზიანად შეხვდა (მორელის თხოვნით), განსაკუთრებით იმიტომ, რომ

იმედი ჰქონდა, აკადემიკოსი პარიზში დახურულ სხდომებზე, რეპეტიციებზე და სხვა ასეთ ადგილებში მიიწვევდა, სადაც მევიოლინე მონაწილეობდა. ნასიამოვნებმა, ამასთან სასიამოვნო აკადემიკოსმა სიტყვა მისცა და შეასრულა კიდეც. ბარონი აღტაცებული დარჩა ყველა იმ სამსახურით, რომელიც აკადემიკოსმა გაუწია (სხვათა შორის, აკადემიკოსს უყვარდა, და უყვარდა ღრმა სიყვარულით, მხოლოდ ქალები), ხელი რომ შეუწყო, მორელი იმ დაწესებულებებში ენახა, სადაც უცხო პირთა შესვლა აკრძალული იყო; ახალგაზრდა ვირტუოზს შესაძლებლობა მიეცა, ცნობილ არტისტებთან გამოსულიყო და სახელი გაეთქვა, ამით აკადემიკოსმა მას იმ კონცერტში მონაწილეობის რეკომენდაციაც მისცა, მოვლენად რომ უნდა ქცეულიყო. ბატონ დე შარლიუს წარმოდგენაც არ ჰქონდა, რომ მეტრის განსაკუთრებული მადლიერი უნდა ყოფილიყო, რადგან აკადემიკოსმა, რომელმაც ორმაგი მადლიერება დაიმსახურა ან, თუ გნებავთ, ორმაგად დააშავა, მშვენივრად იცოდა მევიოლინისა და მისი მაღალი წრის მფარველის ურთიერთობაზე. ცხადია, მათ ურთიერთობას არ იწონებდა, მაგრამ ხელი მაინც შეუწყო; თვითონ სხვა სიყვარულს არ აღიარებდა, გარდა ქალის სიყვარულისა, რომელიც მთელი მისი მუსიკის შთაგონების წყარო გახლდათ; ხელი შეუწყო, რადგან ზნეობის საკითხებისადმი გულგრილი იყო; ხელი შეუწყო

პროფესიული თავაზიანობის გამო, მაღალი საზოგადოების ზრდილობისა და სნობიზმის გამო. მათი მეგობრობის ხასიათი მისთვის იმდენად ნათელი იყო, რომ ლა რასპელიერში პირველივე ვახშმობისას სკის ისე ჰკითხა დე შარლიუსა და მორელზე, როგორც მამაკაცზე და მის საყვარელზე: «დიდი ხანია ერთად ცხოვრობენ?» და, რადგან უაღრესად დახვეწილი მაღალი წრის ადამიანი იყო, იმათთან, ვინც განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა, ამ მეგობრობის შესახებ თავისი შეხედულება რომ არ გაემჟღავნებინა, მზად იყო, იმ შემთხვევისთვის, თუ მორელის ამხანაგებს შორის ხმები გავრცელდებოდა, გაეფანტა ეს ხმები და, მორელი რომ დაემშვიდებინა, მამაშვილური ტონით ეთქვა: «ახლა ყველაზე ასე ლაპარაკობენ». ბატონს ისევ ყველა სამსახურს უწევდა, დე შარლიუ კი ფიქრობდა, რომ ეს მისი მხრიდან დიდი თავაზიანობა იყო და ბუნებრივიც; დიდი კომპოზიტორი არც გარყვნილების განსახიერებად მიაჩნდა და არც სიკეთისა: საქმე ის არის, რომ მათ საერთო ნაცნობებში ისეთი ნაძირალა არავინ აღმოჩნდა, ვინც ბატონ დე შარლიუს ეტყოდა იმას, რასაც მისი არყოფნის დროს ამბობდნენ, ისევე, როგორც ერთ «მოსწრებულ ქარაგმას» გორელის ქცევებზე. სიტუაცია თითქოს უბრალოა, მაგრამ იმას, რასაც ყველა კიცხავს, ის, რომ დამცველს ვერსად ნახავ და თქვენს ყურამდე მოაქვთ ამბავი, რაც აქამდე არ იცოდით, ფსიქოლოგიური მნიშვნელობა აქვს. იგი ჩვენს გონებას საგნებზე ცრუ წარმოდგენით დამშვიდების საშუალებას არ აძლევს, რომლის ძალითაც მოვლენის გარსს მის არსად ვიღებთ. ჭორი ფილოსოფოს-იდეალისტის ჯადოსნური სიცქვიტით იქცევა მოვლენად და თქვენ თვალწინ უცბად ჩნდება უკუღმა პირი. განა ბატონი დე შარლიუ ოდესმე წარმოიდგენდა, რომ მისი ერთი საყვარელი ნათესავი ქალი ასე წამოიძახებდა: «თავში როგორ მოგივიდა, რომ მემე ჩემზეა შეყვარებული? დაგავიწყდა, რომ ქალი ვარ». არადა, მას ბატონი დე

შარლიუ ღრმა, ნამდვილი სიყვარულით უყვარდა. მაშინ რაღად უნდა გაჰკვირვებოდათ ვერდიურენებს, კარგი ურთიერთობებისა და კეთილი ზრახვების იმედი რომ არ ჰქონდა, არც ის უნდა

გაჰკვირვებოდათ, რასაც მის ზურგს უკან ლაპარაკობდნენ (და არამარტო ლაპარაკობდნენ, როგორც ეს შემდეგში გამოჩნდება) და რასაც, იმ სუსტი გამოძახილით თუ ვიმსჯელებთ, მის ყურამდე რომ აღწევდა, ვერც კი წარმოიდგენდა. მხოლოდ ვერდიურენები ამკობდნენ ნაზი წარწერებით იმ წარმოსახვით პავილიონს, სადაც ბატონი დე შარლიუ ხანდახან შედიოდა, მარტოს რომ ეოცნება და იმ წარმოსახვითი ცნების შინაარსში შეეღწია, ვერდიურენებს რომ უნდა შეჰქმნოდათ მასზე. იქ ისეთი კეთილგანწყობა, ისეთი გულითადობა მეფობდა, დასვენება იმდენად სახალისო იყო, რომ ბატონი დე შარლიუ პავილიონში მხოლოდ ძილის წინ შედიოდა, რათა ცოტა ხნით მაინც მოეხსნა დარდის ტვირთი, იქიდან კი აუცილებლად ღიმილით გამოდიოდა. ყოველ ჩვენგანს ხომ ორი ასეთი პავილიონი აქვს: იმის პირდაპირ, რომელიც, როგორც გვგონია, ჩვენი ერთადერთი პავილიონია, მეორეც დგას, რომელსაც, როგორც წესი, ვერ ვხედავთ, ეს ნამდვილი პავილიონია, სიმეტრიული და ჩვენთვის კარგად ნაცნობი, მაგრამ სრულიად არ ჰგავს პირველს, მისი ორნამენტაცია, ჩვენთვის ასე მოულოდნელი, შეგვაძრწუნებს, რადგან ისეთი მტრული, საზიზღარი ნიშნებისგან შედგება, რაზეც აქამდე ეჭვიც არ გვქონდა. ბატონი დე შარლიუ გაშეშდებოდა, ჭორების მოპირდაპირე პავილიონში რომ გაევლო ისე, როგორც შიდა კიბით ადიან, სადაც შესასვლელი კარი უკმაყოფილო მომმარაგებლებისა თუ დათხოვნილი მოსამსახურეების მიერ დატოვებული, ნახშირით წაწერილი უხამსი სიტყვებითა და ნახატებით არის დაფარული. ისევე, როგორც არ გვყოფნის ორიენტაციის გრძნობა, ზოგიერთ ფრინველს რომ გააჩნია, ასევე ხილულობის გრძნობასაც ვართ მოკლებულნი და სივრცის შეგრძნებასაც: ასე გვგონია, თითქოს ჩვენ გვერდით არიან ადამიანები, რომელთა ყურადღებაც ჩვენზეა მოპყრობილი, ამ დროს ისინი ჩვენზე საერთოდ არ ფიქრობენ, მაგრამ არიან სხვები, ეს ჩვენ არ ვიცით, რომლებიც მხოლოდ ჩვენით არიან დაინტერესებულნი. ასე ცხოვრობდა ბატონი დე შარლიუ, იმ თევზივით ცხოვრობდა,

რომელსაც ექმნება ცრუ შთაბეჭდილება, თითქოს წყალი, რომელშიც ცურავს, აკვარიუმის შუშის კედლებს იქითაც ვრცელდება, და ვერ ხედავს, რომ მის ახლოს, სიბნელეში, ადამიანი დგას და უყურებს, როგორ ცურავს, ან უარესი, ყოვლისშემძლე მეთევზე მოულოდნელ და საბედისწერო წამში, რომელიც ბარონისთვის ჯერ არ დამდგარიყო (პარიზში მისთვის ასეთი მეთევზე ქალბატონი ვერდიურენი აღმოჩნდება), დაუნდობლად ამოათრევს იმ გარემოდან, სადაც ასე კარგად ცხოვრობდა, და სადღაც გადააგდებს. გარდა ამისა, ერებში, რამდენადაც ისინი მხოლოდ ინდივიდუუმების კრებულს წარმოადგენენ, შეიძლება უფრო ფართო მასშტაბის მაგალითებიც ვიპოვოთ, მაგალითები სრული, ჯიუტი, გასაოცარი სიბრმავისა. ბატონ დე შარლიუში ეს სიბრმავე დროდადრო იმაში ვლინდებოდა, რომ მეტისმეტად მოხერხებული, ძალზე გაბედული მსჯელობებით იქცევდა ამ პატარა

კლანის ყურადღებას, მსმენელს შებრუნებას და ისე ჩაცინებას აიძულებდა, მას რომ არ დაენახა; ბალბეკში ამის გამო უსიამოვნებები არ შეხვედრია, არც უნდა შეხვედროდა. ცილა და შაქარი მცირე რაოდენობით, გულის არითმია ხელს არ უშლის ადამიანს, ნორმალური ცხოვრებით იცხოვროს, თვითონ ვერაფერს ამჩნევს და ეს ნიშნები მხოლოდ ექიმისთვის არის მოახლოებული კატასტროფის მანიშნებელი. ეს სიყვარული კი, პლატონური სიყვარული, რომელიც შეიძლება არც იყო პლატონური, ბარონზე ისე მოქმედებდა, რომ ყოველ მოხერხებულ შემთხვევაში, როცა მორელი იქ არ იყო, მხოლოდ მის არნახულ სილამაზეზე ლაპარაკობდა: ეგონა, სხვები მისთვის არასასურველ აზრს არ ჩადებდნენ, იმ გაიძვერა კაცივით იქცეოდა, რომელმაც შიშით სასამართლოს ისეთი ჩვენება მისცა, ერთი შეხედვით მისთვის ხელსაყრელი რომ არ იყო, მაგრამ ამ არახელსაყრელობის წყალობით იქმნება შთაბეჭდილება, რომ მისი ჩვენება სინამდვილეს შეეფერება და დასწავლილი არ არის, იმ ბრალდებულის ჩვენებისგან განსხვავებით, რომელიც მკერდზე მჯიღს ირტყამს და მთელ მონოლოგს წარმოთქვამს, სასამართლო როგორმე თავის სიმართლეში რომ დაარწმუნოს. დონსიერ-ესტიდან

მოყოლებული სენ-მარტენ-შენამდე ან უკანა გზაზე ბატონი დე შარლიუ ერთნაირი გულახდილობით, ხალისიანად ჰყვებოდა იმ ადამიანებზე, რომლებსაც ფრიად უცნაური მიდრეკილებები ჰქონდათ, თან უმატებდა: «უცნაური-მეთქი, ვამბობ და თვითონაც არ ვიცი, რატომ. ამაში ხომ უცნაური არაფერია», ცდილობდა, ამ დამატებით საკუთარი თავი დაერწმუნებინა, რომ ამ აუდიტორიაში თავს კარგად გრძნობდა. და მართლაც, თავს კარგად გრძნობდა, რადგან იცოდა, საუბრის ძაფი მის ხელში იყო, მსმენელად კი მდუმარე, მოღიმარე, მიმნდობი და კარგად აღზრდილი ხალხი ჰყავდა.

თუ ბატონი დე შარლიუ მორელის სილამაზეზე აღტაცებით არ ლაპარაკობდა, ვითომ თვითონ არ ყოფილიყო ამ მიდრეკილებასთან, სხვანაირად რომ ვთქვათ, მის ბიწიერებასთან დაკავშირებული, ამ ბიწიერებაზე ისე ლაქლაქებდა, თითქოს ეს ნაკლი თავად არ ჰქონოდა. ზოგჯერ საგნებს თავის სახელსაც არქმევდა. მისი ბალზაკის ლამაზ გადასაკრავს შევხედე და ვკითხე «ადამიანურ კომედიაში» რა უფრო მოგწონთ-მეთქი. მან კი, ჯერ კიდევ არ განშორებოდა თავის აკვიატებულ აზრებს, მიპასუხა: «ყველაფერი. ისეთი მინიატიურებიც, როგორიც «ტურელი მღვდელი» ან «მიტოვებული ქალია» და «გამქრალი ოცნებების» უზარმაზარი ფრესკებიც. როგორ? «გამქრალი ოცნებები» არ წაგიკითხავთ? ო, რა მშვენიერია! მაგალითად, ის მომენტი, კარლოს ერერა ციხე-დარბაზს რომ ჩაუვლის და იკითხავს, ეს ციხე-დარბაზი ვის ეკუთვნისო, როცა მოახსენებენ, ეს ახალგაზრდა კაცის, რასტინიაკის მამულიაო, იმ ახალგაზრდის, რომელიც ოდესღაც უყვარდა, აბატს ფიქრები წაიღებს, რასაც სვანი ენამოსწრებულად უწოდებდა «ოიდიპოსის პედერასტულ ნაღველს». ახლა ლუსიენის სიკვდილი! ვიღაცამ, დიდი გემოვნებით გამორჩეულმა, აღარ მახსოვს, ვინ იყო, შეკითხვაზე, რომელმა ამბავმა დაამწუხრა ცხოვრებაში ყველაზე ძლიერად, უპასუხა: «ლუსიენ დე

რიუბამპრეს სიკვდილმა «ბრწყინვალება და სიღატაკეში». «წელს, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ბალზაკი ისევეა მოდაში, როგორც გასულ წელს იყო. – ჩაერია საუბარში ბრიშო. – მაგრამ, გავბედავ და, გული უნდა ვატკინო ბალზაკის თაყვანისმცემლებს, გამოგიტყდებით, ამ მრავალსიტყვიან იმპროვიზატორს გადასარევი გადმოცემა აქვს, მაგრამ თქვენ, როგორც მგონია, ამაოდ აგყავთ ზეცაში, იგი მუდამ დაუდევარ მწერლად მიმაჩნდა. წავიკითხე ეს «გამქრალი ოცნებანი», თავს ძალას ვატანდი, ხელოვნურად ვაღვიძებდი ჩემს აღტაცებას, რათა მის თაყვანისმცემელთა რიგს შევერთებოდი, პატიოსნად უნდა გამოგიტყდეთ, რომ ასეთი პათოსით დაწერილი ეს რომან-ფელეტონები გალიმათიაა კვადრატში, კუბში («ბედნიერი ესთერი», «საით მივყავართ სახიფათო გზებს», «რამდენი უჯდებათ მოხუცებს სიყვარული»), მუდამ როკამბოლის[165] სადუმლოებებს უფრო მაგონებს, მკითხველის მიერ შედევრის მერყევ სიმაღლეზე აყვანილს». «ასე იმიტომ ლაპარაკობთ, რომ ცხოვრებას არ იცნობთ». – უპასუხა გულდაწყვეტილმა ბარონმა, რადგან გრძნობდა, რომ ბრიშო ვერც მის ესთეტიკას გაიგებდა და ვერც სხვა მიზეზებს. «მიგიხვდით, – უთხრა ბრიშომ, – მეტრი ფრანსუა რაბლეს ენით რომ ვთქვა, თქვენ, სორბონელებს, სორბინელებს, სორბუნელებს[166] მიმაკუთვნეთ. მაგრამ ჩემი მეგობრებივით მწერლისგან მოვითხოვ, რომ თავის წიგნებში გულწრფელი იყოს და მართალი, იმ სწავლულ კაცებს არ მივეკუთვნები...». «რაბლეს მეოთხედი საათი»[167], – გააწყვეტინა დოქტორმა კოტარმა, რომელსაც დაბნეული იერი აღარ ჰქონდა და მცოდნე ადამიანის სახე მიეღო. «... როცა ო'ბუას სააბატოს წესდების მიხედვით ვიკონტ დე შატობრიანის, დიდი მანჭია ვინმეს, ხელმძღვანელობით მწერლურ აღთქმას ადებინებენ და ჰუმანისტების მკაცრ წესებს მიჰყვებიან, ვიკონტი დე შატობრიანი...». «შატობრიანი ვაშლით?»[168] – გააწყვეტინა დოქტორმა კოტარმა. «მთელი საძმოს მეთაურია». – განაგრძო ბრიშომ, რომელმაც დოქტორის ხუმრობა არ აიტაცა, დოქტორი კი პროფესორის სიტყვებმა შეცბუნებული დატოვა და ბატონ დე

შარლიუს მოუსვენრად გადახედა. გულის სიღრმეში კოტარმა ბრიშო გაკიცხა, მისმა კალამბურმა კი თავადის ქალ შჩერბატოვას ნაზი ღიმილი გამოიწვია. «პროფესორმა დაგვიმტკიცა, რომ ჩამოყალიბებული სკეპტიკოსის ღვარძლიან ირონიას ყოველთვის აქვს წარმატება», – თავაზიანობის გამო უფრო თქვა, იმიტომაც, რომ დანარჩენებისთვის ეჩვენებინა, დოქტორის «სიტყვა» შეუმჩნეველი არ დარჩენია. «ბრძენი ძალაუნებურად სკეპტიკოსია, – თქვა დოქტორმა. – რა ვიცი? «შეიცან თავი შენი»[169], ასწავლიდა სოკრატე. და ეს სწორია. ზედმეტობა ყველა დარგში ნაკლია. მაგრამ სიბრაზისგან ვფითრდები, როგორც კი ვიფიქრებ, რომ ეს საკმარისი აღმოჩნდა, სოკრატეს სახელი დღემდე დიდებით მოსილი დარჩენილიყო. არსებითად, რას წარმოადგენს მისი სწავლება? იქ განსაკუთრებული არაფერია. შარკომ და სხვებმა ათასჯერ უფრო ღირებული შრომები დატოვეს; ყოველ შემთხვევაში, რაღაცას მაინც ეყრდნობოდნენ, თუნდაც იმას, რომ თვალის გუგის რეაქციის შესუსტება საერთო დამბლის სიმპტომია, მაგრამ ახლა ისინი აღარც კი ახსოვთ. არსებითად, სოკრატეში განსაცვიფრებელი არაფერია. ისეთებს, როგორიც ის იყო, საქმე არ ჰქონდათ, მთელი დღეები სეირნობდნენ და კამათობდნენ. ეს ისევეა,

როგორც იესო ქრისტესთან: «გიყვარდეთ ერთმანეთი», დიდებული ნათქვამია». «ჩემო მეგობარო...» – შეევედრა ქალბატონი კოტარი. «აბა რა, ჩემი ცოლი პროტესტს აცხადებს. ესენი ხომ ყველანი ნევრასთენიკები არიან». «ძვირფასო დოქტორო, საერთოდ არა ვარ ნევრასთენიკი», – აღშფოთდა ქალბატონი კოტარი. «რას ჰქვია, არა ხარ, როცა შვილის ავადმყოფობა მაშინვე უძილობას გგვრის? განა არ ვაღიარებ, რომ სოკრატე და მისთანები უმაღლესი კულტურის ინტერესებისთვის აუცილებელია, რათა ტალანტები გვამშვენებდნენ. პირველკურსელებს მუდამ ამ სიტყვებს ვეუბნები: შეიცან თავი შენი. როცა ბიძია ბუშარმა ეს გაიგო, ძალიან მომიწონა». «არ მივეკუთვნები იმ ადამიანების მომხრეთა ჯგუფს, რომლებიც აღიარებენ – ფორმა ფორმისათვისო, ლექსების რითმებშიც ხელმოჭერილი არა ვარ, – განაგრძო

ბრიშომ. – და მაინც, «ადამიანური კომედია», რომელშიც ძალიან ცოტა რამ არის ადამიანური, არ შეიძლება იმ ნაწარმოებებს მივაკუთვნოთ, სადაც ხელოვნება მაღლდება შინაარსზე, როგორც ის ცინიკოსი ოვიდიუსი იტყოდა. დაე, იქ შევჩერდე, სადაც ორი გზა იყრება, ერთი მედონის[170] სამწყსოსკენ მიმავალი, მეორე კი ფერნეის[171] სავანისკენ, მგელთა ველიდან[172] ორივე ერთი მანძილით დაშორებული, სადაც რენე პირველმღვდელმთავრის მოვალეობას ასრულებდა და მტკიცე ხელით მართავდა, და ჟარდიდან[173], სადაც აბდაუბდის მქადაგებელი ონორე დე ბალზაკი თავისი პოლონელი ქალისთვის[174] დაუღალავად ჭყაპნიდა ქაღალდებს». «რაც უნდა ილაპარაკოთ, შატობრიანი აქამდე ცოცხალია, ბალზაკი კი დიდი მწერალია, – შეეკამათა ბატონი დე შარლიუ; ის ჯერ კიდევ ხელოვნებაზე იმ შეხედულებების გავლენის ქვეშ იყო, რომელსაც სვანი მისდევდა, და ბრიშო აღიზიანებდა. – ბალზაკმა ისეთი ვნებებიც შეიცნო, სხვებისთვის რომ უცხოა და, თუ მათ გაგებას ცდილობენ, მხოლოდ იმიტომ, რომ დაგმონ. აღარ შეგახსენებთ მისი ნაწარმოების – «გამქრალი ოცნებების» – უკვდავებას, «სარაცინი», «ოქროსფერთვალება გოგონა», «ვნება უდაბნოში», თვით «წარმოსახვითი საყვარელიც» კი ჩემს სიმართლეს ამტკიცებს. როცა სვანთან ბალზაკის «არაბუნებრივ» მხარეზე ვლაპარაკობდი, მან მითხრა: «ტენის[175] თანამზრახველი ხართ». არ მაქვს პატივი, ბატონ ტენს ვიცნობდე, – განაგრძო დე შარლიუმ, რომელსაც აუტანელი ჩვეულება ჰქონდა – დიდი მწერლების გვარებისთვის სრულიად ზედმეტი სიტყვა «ბატონი» მიემატებინა, ისევე, როგორც, სხვათა შორის, სხვა მაღალი წრის ადამიანებსაც. ეტყობა, მიიჩნევდნენ, რომ ამით პატივს მიაგებდნენ მათ ანდა, შეიძლება, მანძილის დასაცავადაც, რათა ხაზი გაესვათ, რომ მათ არ იცნობენ, – არ ვიცნობ ბატონ ტენს, მაგრამ ჩემთვის დიდი პატივია, რომ იგივე აზრი მაქვს, რაც მას». მიუხედავად იმისა, რომ მაღალი წრის სულელური ჩვეულებები ბატონ დე შარლიუს თავგზას უბნევდა, მაინც ძალიან ჭკვიანი კაცი იყო; მისთვის უჩვეულო არ იქნებოდა, თუ გაიგებდა, რომ

რომელიღაც დიდი ხნის წინანდელი ქორწინებით მისი ოჯახი ბალზაკების ოჯახს ნათესავად მოხვდებოდა, გაიხარებდა (როგორც ბალზაკი გაიხარებდა), მაგრამ ამ სიხარულს ისე გამოხატავდა, მომხიბლავ შემწყნარებლობად მიიღებდით.

---

* * *

ზოგჯერ სენ-მარტენ-დიუ-შენის მომდევნო სადგურში ვაგონში ახალგაზრდები ამოდიოდნენ. ბატონი დე შარლიუ თავს ვერ იკავებდა, მათთვის თვალი არ შეევლო და, რადგან სასხვათაშორისოდ და ფარულად იყურებოდა, ამიტომ მათდამი ამ ყურადღებაში უჩვეულო არაფერი იფარებოდა, რაც სინამდვილე არ იყო; შეიძლება გეფიქრათ, რომ მათ იცნობდა და, თუმცა მსხვერპლის გაღებაზე მაინც მიდიოდა, ვიდრე ჩვენკენ შემობრუნდებოდა, უნებურად საკუთარ თავს ამჟღავნებდა, იმ ბავშვებივით, რომელთა მშობლებიც წაჩხუბებულნი არიან და მისალმებასაც უკრძალავენ, ერთმანეთთან შეხვედრისას კი არ შეუძლიათ, თავი არ აწიონ, თუმცა იციან, აღმზრდელისგან სახაზავის დარტყმა არ ასცდებათ.

როცა ბატონმა დე შარლიუმ «ოლიმპოს მწუხარებისა» და «ბრწყინვალება და სიღატაკის» ერთმანეთთან შეჯერებისას ბერძნული სიტყვები იხმარა, სკიმ, ბრიშომ და კოტარმა ღიმილით გადახედეს ერთმანეთს, ოღონდ არა იმდენად დამცინავი, რამდენადაც კმაყოფილების გამომხატველი ღიმილით, როგორსაც ის ადამიანები მიიღებდნენ, მათთან სავახშმოდ მჯდარ დრეიფუსს თავის სასამართლო პროცესზე ლაპარაკს რომ აიძულებენ ანდა იმპერატრიცას თავისი დედოფლობის შესახებ მოაყოლებენ, ისევ ამავე თემაზე უნდოდათ საუბრის გაგრძელება, მაგრამ უკვე დონსიერს ვუახლოვდებოდით; დონსიერში კი მორელი შემოგვიერთდა. მისი დასწრებით ბატონი დე შარლიუ ყველაფერს, რასაც ამბობდა, უკვე კონტროლს უწევდა და, როცა სკიმ კარლოს ერერასა და ლუსიენ დე რიუბამპრეს სიყვარულზე მოისურვა ლაპარაკის გადატანა, ბარონის სახემ უკმაყოფილო, გამოუცნობი და მკაცრი გამომეტყველოება მიიღო, იმ გამკიცხავი მამის სახე, მისი ქალიშვილის დასწრებით უხამს

საკითხებზე რომ საუბრობენ. სკი არ წყნარდებოდა, მაშინ ბატონმა დე შარლიუმ ხმას აუწია, მათ ალბერტინი დაანახვა, რომელიც ქალბატონ კოტართან და თავადის ქალ შჩერბატოვასთან საუბრით იყო გართული და ჩვენ ხმას ვერც გაიგებდა, და ისეთი ადამიანის მრავალმნიშვნელოვანი, ფარული აზრი ჩადო თავის სიტყვებში, ვინც მოისურვა, ამ უზრდელს ჭკუა ასწავლოს, და თქვა: «მგონი დროა, ამ ახალგაზრდა გოგონასთვის უფრო საინტერესო რამეზე ვილაპარაკოთ». მშვენივრად მივხვდი, მისთვის ახალგაზრდა გოგონა ალბერტინი კი არა, მორელი იყო; მერე, როცა ყოველგვარი ქარაგმის გარეშე მთხოვა, მორელის დასწრებით ასეთი საუბარი აღარ გაგვემართა, დავრწმუნდი, რომ მაშინ მართალი ვიყავი. «იცით, – მასზე ლაპარაკი რომ წამოიწყო, იმ დროს მითხრა, – მორელი ის არ არის, ვინც თქვენ გგონიათ: სრულიად წესიერი, ჭკვიანი და ძალიან სერიოზული ჭაბუკია». ბატონი დე შარლიუს სიტყვებიდან გამოდიოდა, რომ გარყვნილებას ახალგაზრდა კაცებისთვის ისეთივე სასტიკ საშიშროებად მიიჩნევდა, როგორც ქალებისთვის პროსტიტუციას, და მორელზე ლაპარაკისას ისე იხმარა სიტყვა «სერიოზული», როგორც პატარა მუშა

გოგონას დახასიათებისას იხმარდა. მაშინ ბრიშომ, საუბარი რომ სხვა თემაზე გადაეტანა, მკითხა, დიდხანს ვაპირებდი თუ არა ენკარვილში დარჩენას. რამდენი არ ვუჩიჩინე, ენკარვილში კი არა, ბალბეკში ვცხოვრობ-მეთქი, ვერაფერი შევასმინე, მუდამ ეშლებოდა, მისთვის ენკარვილი და ბალბეკი ერთი და იგივე იყო, ორივე ზღვისპირეთი გახლდათ. ადამიანებს ხშირად მხედველობაში ერთი აქვთ და სხვას ამბობენ. ერთი სენ-ჟერმენელი ქალბატონი, როცა ჩემგან ჰერცოგინია დე გერმანტზე რაღაცის გაგება უნდოდა, განუწყვეტლივ მეკითხებოდა, დიდი ხანია ზინაიდი თუ ორიან-ზინაიდი არ გინახავთო, რამაც პირველად საგონებელში ჩამაგდო. ჰერცოგინია დე გერმანტს მართლაც ჰყავდა ნათესავი ორიანი და გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ჰერცოგინიას ორიან-ზინაიდის ეძახდნენ. იქნებ, ადრე ენკარვილშიც იყო სადგური და იქიდან ბალბეკში ეკიპაჟებით

დადიოდნენ. «რაზე ლაპარაკობდით?» – მკითხა გაოცებულმა ალბერტინმა, როცა შეამჩნია, როგორ აიფარა ბატონმა დე შარლიუმ სახეზე ოჯახის მეთაურის ზვიადურობა. «ბალზაკზე. – იჩქარა პასუხი ბარონმა, – თქვენ ამ საღამოს ზუსტად პრინცესა და კადინიანის კაბა გაცვიათ; ის კი არა, ვახშამზე რომ ეცვა, მეორე». ეს მსგავსება იმით აიხსნება, რომ ალბერტინის კაბის რჩევისას იმ გემოვნებით ვიხელმძღვანელე, რომელიც მას ელსტირმა ჩამოუყალიბა, მკაცრ ფორმებს დიდად რომ აფასებდა, შეიძლებოდა, მისთვის ინგლისურიც გვეწოდებინა, რომ არა ფრანგული სინაზისა და სირბილის თანაზომიერება. ელსტირი ხშირ შემთხვევაში ნაცრისფერტონებშეხამებულ კაბებს აძლევდა უპირატესობას, როგორც დიანა დე კადინიანი. მხოლოდ ბატონ დე შარლიუს შეეძლო ალბერტინის კაბების ჭეშმარიტი ღირებულების შემჩნევა; მისი თვალი მაშინვე პოულობდა იმას, რაც სამოსში იშვიათობა იყო, ღირებული; არასოდეს ეშლებოდა ქსოვილის სახელი, უშეცდომოდ ცნობდა, ვისი ნახელავიც იყო. ოღონდ ქალის ტუალეტში მეტი ფერადოვნება და ბრწყინვალება უყვარდა, ვიდრე ამას ელსტირი მიიჩნევდა დასაშვებად. აი, რატომ იყო, რომ იმ საღამოს ალბერტინმა ნახევრად გახარებული, ნახევრად შეწუხებული მზერა მესროლა და თავისი კატისებური, მოვარდისფრო ცხვირი ძირს დაუშვა. და, რადგან ნაცრისფერი კრეპდეშინის კაბის ზემოთ ნაცრისფერი შევიოტის ჟაკეტი მჭიდროდ ჰქონდა შეკრული, მართლაც ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ნაცრისფერებში იყო გამოწყობილი. თვალით მანიშნა, ჟაკეტის გახდაში, მერე ისევ ჩაცმაში დავხმარებოდი, ნაოჭიანი სახელოების გასწორება თუ აწევა უნდოდა და ჟაკეტი ამიტომ გაიხადა და, რადგან სახელოები ძალიან რბილი ვარდისფერი, ფერწასულად ცისფერი, მომწვანო, შავმოიისფრო იყო, ისე ჩანდა, თითქოს ნაცრისფერ ცაზე ცისარტყელა გაბრწყინებულაო. ალბერტინმა არ იცოდა, მოეწონებოდა თუ არა ეს ბარონს. «ოო, – აღტაცებით წამოიძახა ბატონმა დე შარლიუმ, – ეს ხომ სხივია, ფერთა პრიზმა! გილოცავთ». «ამას უნდა

ვუმადლოდე ყველაფერს», – საყვარელი ღიმილით ჩემზე მოანიშნა ალბერტინმა; უყვარდა, როცა ჩემს საჩუქრებზე საყოველთაო ყურადღებას მიაპყრობდა». «მხოლოდ იმ ქალებს ეშინიათ ნათელი ფერების, ვისაც წესიერად ჩაცმის თავი არა აქვს, –

განაგრძო ბატონმა დე შარლიუმ, – შეიძლება, მყვირალა ფერების კაბა ჩაიცვა და ვულგარული არ გამოჩნდე, შეიძლება, რბილ ტონებში გადაწყვეტილი კაბა ჩაიცვა და მაინც გამოირჩეოდე. თქვენ მიზეზი არა გაქვთ, ისეთი გულგატეხილი სახე მიიღოთ, როგორიც ქალბატონ დე კადინიანს ჰქონდა; მის ნაცრისფერ კაბას დ'ართეზისთვის უნდა მიენიშნებინა, რომ დიანა ცხოვრებაზე გულგატეხილი იყო». კაბებზე ლაპარაკით დაინტერესებულმა ალბერტინმა ბატონ დე შარლიუს პრინცესა დე კადინიანის ამბების გამოკითხვა დაუწყო. «ოო, ეს საუცხოო ამბავია», – მეოცნებე იერით წარმოთქვა ბარონმა. «ვიცი ის ბაღი, სადაც დიანა დე კადინიანი ქალბატონ დ'ესპართან ერთად დასეირნობდა. ეს ერთი ჩემი ნათესავი ქალის ბაღია». «ნათესავი ქალის ბაღს, ისევე როგორც მის გენეალოგიას, შეიძლება ჩვენი ბრწყინვალე ბარონისთვის ჰქონდეს ფასი, – უჩურჩულა ბრიშომ კოტარს. – მაგრამ ჩვენ რა შუაში ვართ? იმ ბაღში სეირნობის უფლება არ გვაქვს, არც იმ ქალბატონს ვიცნობთ და არც ტიტულოვანი ხალხი ვართ». ბრიშოს ვერ წარმოედგინა, რომ შეიძლება, კაბებით ან ბაღით ისე დაინტერესდე, როგორც ხელოვნების ნაწარმოებით და რომ ბატონი დე შარლიუ ახლა ზუსტად ისეთ ბაღს ხედავდა, როგორიც ბალზაკთან ქალბატონი დე კადინიანის პატარა ხეივნები იყო. «თქვენ ხომ მას იცნობთ, – მხედველობაში თავისი ნათესავი ქალი ჰყავდა და ჩემს მოხიბვლას შეეცადა, ისე მომმართა, როგორც იმ ადამიანს, რომელიც ამ კლანში არ შედიოდა და იმავე წრეს ეკუთვნოდა, რომელსაც თვითონ დე შარლიუ ანდა, ყოველ შემთხვევაში, იმ ადამიანს მაინც, რომელიც ამ წრეში ტრიალებდა». «თქვენ, ალბათ, მარკიზა დე ვილპარიზთან გინახავთ იგი». «მარკიზა დე ვილპარიზთან, რომელიც ციხე-დარბაზ ბოკრეს მფლობელია?» – ჰკითხა დაძაბულმა ბრიშომ. «დიახ, ნუთუ ერთმანეთს იცნობთ?» – მშრალად

იკითხა ბატონმა დე შარლიუმ. «არა, – უპასუხა ბრიშომ, – მაგრამ ჩემი მეგობარი ნორპუა ყოველ წელს თავისი შვებულების ნახევარს ბოკრეში ატარებს. ზოგჯერ წერილებს იქ ვწერდი». მეგონა, მორელისთვის საინტერესო იქნებოდა და ვუთხარი, რომ ბატონი დე ნორპუა მამაჩემის მეგობარი იყო. მორელს სახის ერთი ნაკვთის მოძრაობითაც არ გაუმჟღავნებია, რომ ჩემი ნათქვამი გაიგო; მას მიაჩნდა, რომ ჩემი მშობლები უმნიშვნელო ადამიანები იყვნენ, პაპაჩემზე დაბლა მდგომნი, იმ პაპაზე, ვისთანაც მამამისი კამერდინერად მუშაობდა, პაპას კი, თავისი ნათესავებისგან განსხვავებით, მართლა უყვარდა მსახურების «შევიწროება», თუმცა მის ხსოვნაც მაინც მოწიწებით ინახავდნენ. «ეტყობა, ქალბატონი დე ვილპარიზი მართლაც საოცარი ქალია; სხვისი ნათქვამით თუ ვიმსჯელებთ, თორემ არც მე და არც ჩემს კოლეგებს არ გვინახავს. ბატონი დე ნორპუა ინსტიტუტში ყველასთან თავაზიანი და გულითადია, მაგრამ მარკიზასთან არც ერთი ჩვენგანი არ წარუდგენია. ვიცი, რომ მხოლოდ ჩვენს მეგობარ ტიურო-დანჟენს[176] იღებს სტუმრად, რომლის ოჯახსაც დიდი ხნის ნათესაობა აკავშირებს მარკიზას ოჯახთან, და კიდევ გასტონ ბუასიეს[177] – მასთან ნაცნობობის სურვილი მის ერთ-ერთ სამუშაოსთან დაკავშირებით გამოთქვა, რომელმაც განსაკუთრებულად დააინტერესა. ერთხელ მასთან ივახშმა კიდეც და მოხიბლული დაბრუნდა. მაგრამ ქალბატონი ბუასიე არ მიიწვია». ამ სახელის გაგონებაზე მორელმა მგრძნობიარედ გაიღიმა: «აჰ! ტიურო-დანჟენი! – მომიბრუნდა

და ისეთივე გათამაშებული ინტერესით მითხრა, როგორადაც სულ ახლახან გულგრილობა გაითამაშა მარკიზ დე ნორპუასა და მამაჩემის ხსენებისას. – ტიურო-დანჟენი და პაპათქვენი ისეთი გულითადი მეგობრები იყვნენ! როცა რომელიმე ქალბატონი აკადემიაში არჩევნებთან დაკავშირებულ საზეიმო სხდომაზე ცენტრში დაჯდომას მოისურვებდა, პაპათქვენი ამბობდა: «ტიურო-დანჟენს მივწერ». და, ცხადია, ქალბატონს მოსაწვევს მაშინვე უგზავნიდნენ. მშვენივრად მოგეხსენებათ, ტიურო-დანჟენი პაპათქვენისთვის უარის თქმას ვერ ბედავდა,

რადგან უსიამოვნებას ვერ ასცდებოდა. თავშესაქცევი ამბები მახსენდება ბუასიეს სახელთან დაკავშირებითაც: პაპათქვენი ქალბატონებისთვის საახალწლო საჩუქრებს იმათთან ყიდულობდა. ზუსტად ვიცი, ისიც კი მახსოვს, ვის ავალებდნენ». როგორ არ ეცოდინება, როცა მამამისს ავალებდნენ! პაპაჩემზე მორელი ასეთი გრძნობით იმიტომ ლაპარაკობდა, რომ იცოდა, გერმანტების სახლში დარჩენას, სადაც ბებიას დაჟინებული სურვილით ჩავსახლდით, აღარ ვაპირებდით. ზოგჯერ ერთმანეთს ველაპარაკებოდით, როგორ გადავიდოდით ამ სახლიდან. გადასვლის თაობაზე შარლ მორელის რჩევებს რომ მივხვდეთ, მხედველობაში უნდა მივიღოთ ის, რომ უწინ პაპაჩემი მალერბის ბულვარის ნომერ 40ა სახლში ცხოვრობდა. და, რადგან პაპა ადოლფთან ხშირად დავდიოდით იმ საბედისწერო დღემდე, როცა მასთან ჩემი მშობლები წავაჩხუბე – მათ ხომ ვარდისფერებიანი ქალბატონის ამბავს მოვუყევი, ჩვენი ნაცნობები უკვე არა «თქვენს პაპასთან» ამბობდნენ, არამედ, უბრალოდ, «ნომერ 40ა»-დ მოიხსენიებდნენ. დედაჩემის ნათესავი ქალები, თითქოს სწორედ ასე უნდა იყოსო, ისე იტყოდნენ: «აჰ, კვირაობით კაცი ვერ გნახავთ, თქვენ ხომ «ორმოცა»-ში ვახშმობთ». თუ რომელიმე ნათესავი ქალის ნახვას ვაპირებდი, მირჩევდნენ ჯერ «ორმოცა»-ში შემევლო, რათა პაპას არ სწყენოდა, პირველად ის რომ არ ვნახე. ეს სახლი მისი საკუთრება გახლდათ და უნდა გითხრათ, რომ მდგმურების არჩევისას ძალიან მომთხოვნი იყო: ბინებს მხოლოდ მეგობრებზე აქირავებდა ან იმათზე, ვინც მერე მეგობრები უნდა გამხდარიყვნენ. პოლკოვნიკი ბარონი დე ვატრი მასთან სიგარის მოსაწევად ყოველდღე შედიოდა, ასე უფრო ადვილი იყო რემონტის გაკეთებაზე მისი დათანხმება. თუ შეამჩნევდა, ვინმემ ფანჯარაზე თეთრეული ან ხალიჩა გაფინა, საშინლად ბრაზდებოდა, იმაზე უფრო სწრაფად აიძულებდა თეთრეულისა თუ ხალიჩის ჩამოხსნას, ვიდრე ამას ახლა აღწევენ წესრიგის დამცველები. სახლის ნაწილს აქირავებდა, მხოლოდ ორ სართულს იტოვებდა და საჯინიბოს. ადამიანებმა იცოდნენ, რომ პაპას სიამოვნებდა, როცა ეუბნებოდნენ,

სახლში სანიმუშო წესრიგი გაქვთო; აღფრთოვანებულნი იყვნენ «პატარა ბინების» კომფორტით და ისიც პასუხის გარეშე იღებდა ამ ქებას. «პატარა ბინები» მართლაც კომფორტული იყო (პაპა მაშინდელ ყველა ტექნიკურ შესაძლებლობას იყენებდა), ოღონდ განსაკუთრებული არაფერი ჰქონდა, მაგრამ პაპა დარწმუნებული ბრძანდებოდა, რომ ბინები კეთილმოწყობილია და თავის კამერდინერს, ცოლს, მეეტლესა თუ მზარეულსაც შთააგონებდა, რომ მთელ პარიზში მის სახლზე უკეთესად გაწყობილი სახლი არ არსებობდა, თუმცა მოჩვენებითი მოკრძალებით

«ჩემს პატარა ბუნაგს» ეძახოდა. შარლ მორელიც ამ აზრით იზრდებოდა. მერეც არ შეუცვლია აზრი. მაშინაც კი, როცა ვაგონში ვინმე სხვას ვეტყოდი, შესაძლოა, საცხოვრებლად სხვაგან გადავიდეთ-მეთქი, უკვე ღიმილს იწყებდა, შეთქმულივით თვალს ჩამიკრავდა და იტყოდა: «ნეტავ, რამე ისეთი იშოვოთ, როგორიც «ორმოცია» იყო! ყველასთვის კარგი იქნებოდა! პაპათქვენმა ეს კარგად იცოდა. დარწმუნებული ვარ, მთელ პარიზში «ორმოცა»-ზე უკეთესი არაფერი მოიძებნება».

იმ ნაღვლიანი გამომეტყველებით, როგორითაც ბატონი დე შარლიუ პრინცესა დე კადინიანზე ლაპარაკობდა, მივხვდი, არამარტო თავისი ნათესავი ქალის, რომელსაც საერთოდ ვერ იტანდა, პატარა ბაღი გაახსენდა. იგი ღრმა ფიქრებში ჩაიძირა, მერე თითქოს საკუთარ თავს მიმართაო, წამოიძახა: «პრინცესა დე კადინიანის საიდუმლოებები! რა შედევრია! რა ღრმად უნდა იცნობდე ადამიანის გულს, რომ დიანას მტანჯავი შიში, გაფუჭებული რეპუტაცია ასე აღწერო და საყვარელ ადამიანამდე მიიტანო! ადამიანებისთვის ეს ოდითგანვე დამახასიათებელია, თუმცა შეიძლება ზედაპირულადაც ჩანდეს, მაგრამ ადამიანთა ფართო წრეს კი იპყრობს ეს გრძნობა!» ბატონი დე შარლიუს ტონში ნაღველი ჟღერდა და მაინც იგრძნობოდა, რომ ამ ნაღველში იყო რაღაც მისთვის მომაჯადოებელი. ცხადია, ბატონ დე შარლიუს ნათლად ვერ წარმოედგინა, მისი

მიდრეკილებების შესახებ ბევრმა თუ იცოდა, მაგრამ რაღაც დროიდან იმის გაფიქრებაზეც კი თრთოდა, რომ, როგორც კი პარიზში მორელთან ერთად დაინახავდნენ, მორელის ოჯახი აუმხედრდებოდა და მისი ბედნიერება დასრულდებოდა. ასეთი შესაძლებლობა თვალწინ უდგებოდა, როგორც მისთვის რაღაც უკიდურესად უსიამოვნო და დამამძიმებელი. მაგრამ ბარონი არტისტული ბუნების მძლავრი ადამიანი იყო. და ახლა, როცა თავისი მდგომარეობა ბალზაკის მიერ აღწერილ მდგომარეობას შეუჯერა, თავი თითქოსდა რომანს შეაფარა და თავისი სულიერი ტკივილის დაყუჩება იმაში პოვა, რასაც სვანი და სენ-ლუ «ძალიან ბალზაკისებურს» დაარქმევდნენ. პრინცესა დე კადინიანთან შეჯერება ადვილად გამოუვიდა, რადგან ჩვევად ჰქონდა, აზრობრივად ერთი შეეცვალა მეორეთი, და ეს უნარი არაერთხელ გამოუყენებია. საკმარისი იყო, სიყვარულის საგანი ქალი ახალგაზრდა მამაკაცით შეეცვალა, რომ ახალგაზრდის ადამიანებთან ურთიერთობებიც მაშინვე ისევე რთულდებოდა, როგორც ქალსა და კაცს შორის ურთიერთობები რთულდებოდა ძლივს დაწყებული სატრფიალო კავშირისთანავე. თუ რაღაც მიზეზის გამო ერთხელ და სამუდამოდ კალენდარში ცვლილებას შეიტანენ ან გრაფიკში თუ წლის დასაწყისს რამდენიმე კვირით უკან დაწევენ, ხოლო საათს მეოთხედი საათით წინ გადაწევენ, დღე-ღამეში მაინც ოცდაოთხი საათი დარჩება, ხოლო თვეში ოცდაათი დღე, დროის საზომის ყველა შეპირისპირებაში არავითარი ცვლილება არ მოხდება. ყველა ცვლილება უმცირესი შეცდომების გარეშე ხდება იმ პირობით, თუ რიცხვთა თანაფარდობა არ შეიცვლება. ასე ხდება იმათთან, ვინც «ცენტრალური ევროპის დრო» მიიღო, და იმათთანაც, ვისაც აღმოსავლური კალენდარი აქვს. იმაში, რომ ბატონი დე შარლიუ მორელს დაუახლოვდა, ეტყობა,

თავისი როლი იმ პატივმოყვარეობამაც ითამაშა, რომელიც ადამიანს აქტრისას თავისი ხარჯით შენახვისკენ უბიძგებს. პირველსავე დღეს ბატონი დე შარლიუ შეეცადა, შეეტყო, ვინ იყო მორელი, ცხადია, გაიგო, რომ უბრალო ხალხის წრიდან იყო

გამოსული, მაგრამ განა დემიმონდენი[178], რომელიც გვიყვარს, თავის მომხიბვლელობას კარგავს იმის გამო, რომ ღარიბი ოჯახიდან არის? სამაგიეროდ, ცნობილმა მუსიკოსებმა, რომლებსაც ბარონმა მისწერა, უპასუხეს არა იმ ანგარებიანი განზრახვით, როგორც იმ მეგობრებმა, რომლებმაც სვანი ოდეტს გააცნეს და იგი ფაქიზ, მიუკერძოებელ ქალად გამოიყვანეს, როგორიც სინამდვილეში არ იყო, არამედ იმ ადამიანების ჩვეულების თანახმად, თვალშისაცემი მდგომარეობა რომ უკავიათ, დამწყები მუსიკოსი ქებით მოიხსენიეს: «ოო, დიდი ნიჭის პატრონია! ბრწყინვალე მომავალი ელის; ჯერ ახალგაზრდაა და სწავლულები უკვე პატივისცემით ექცევიან. თავის გზას გაიკვლევს». და იმ დაჟინებით, რომელსაც ის ადამიანები გამოხატავენ, რომლებიც ვერ ხვდებიან, რომ ერთი მამრის მეორე მამაკაცის სილამაზით აღფრთოვანება გარყვნილების ნიშანია, უმატებდნენ: «თანაც ისეთი ლამაზია, როცა უკრავს! კონცერტებზე ასეთ წარუშლელ შთაბეჭდილებას არავინ ახდენს; ლამაზი თმა აქვს, ნატიფი მოძრაობა, მშვენიერი სახე, მოკლედ, პორტრეტიდან გადმოსულ მევიოლინეს ჰგავს». ამიტომ იყო, რომ ბატონ დე შარლიუს, რომელსაც მორელი უკიდურესად დაძაბულ მდგომარეობაში აყენებდა, მისთვის არც დაუმალავს იმ უამრავი წინადადების თაობაზე, მას რომ სთავაზობდნენ, და არც ის, როგორი გახარებული იყო, მისი გადაბირება რომ შეძლო, პატარა კუთხეც მოუწყო, სადაც მორელი ხშირად დადიოდა. დანარჩენ დროს ბატონი დე შარლიუ მორელის განკარგულებაში ტოვებდა, რათა მას კარიერა გაეკეთებინა, მის კარიერაზე კი თანხის დაუზოგავად, განუწყვეტლივ ზრუნავდა და, როგორც ყველა გერმანტი, ესეც იმ რწმენით ხელმძღვანელობდა, რომ მამაკაცმა საქმე უნდა აკეთოს, მხოლოდ ნიჭიერი ადამიანი ღირს რაღაცად, წარმოშობა და ფული კი ნულია, რომელიც მას ღირებულებას მატებს; იმისიც ეშინოდა, ვაითუ, უსაქმურობისგან ან იმის გამო, რომ დე შარლიუს გარდა არავის ხვდებოდა, მევიოლინეს მოეწყინა. დაბოლოს, არ სურდა, დიდი კონცერტების დასასრულს უარი ეთქვა იმ

სიამოვნებაზე, რასაც თავისი ფიქრი ანიჭებდა: «ის, ვისაც ახლა ტაშს უკრავენ, ამ ღამეს ჩემთან გაატარებს». მაღალი საზოგადოების ადამიანებს, ასე თუ ისე შეყვარებულნი რომ არიან, პატივმოყვარეობა იქითკენ უბიძგებს, რომ მსხვერპლად შესწირონ ის, რაც უწინ მათ პატივმოყვარეობას აამებდა.

მორელი მიხვდა, რომ მისდამი ცუდი განწყობა არ მქონდა, ბატონ დე შარლიუსთან კი მხოლოდ წრფელი ურთიერთობა მაკავშირებდა, არც ერთისადმი არანაირი ფიზიკური ლტოლვა არ გამაჩნდა და, ბოლოს და ბოლოს, ჩემდამი ისეთი მხურვალე სიმპათიის გამოხატვა დაიწყო, რომ ამით იმ მსუბუქი ყოფაქცევის ქალთან მსგავსება გაამჟღავნა, რომელიც დარწმუნდა, არაფერი ემუქრება – მისი საყვარლის ერთგული მეგობარი ხართ და მათ წაჩხუბებას არ აპირებთ. ზუსტად ისევე მელაპარაკებოდა,

როგორც ოდესღაც რაქელი, სენ-ლუს საყვარელი მელაპარაკებოდა; და კიდევ, როგორც ბატონმა დე შარლიუმ გადმომცა, იგი იმასვე ეუბნებოდა ჩემზე, რასაც ოდესღაც რაქელი ეუბნებოდა რობერს. თვითონ ბატონმა დე შარლიუმ მითხრა: «ძალიან უყვარხართ!» ზუსტად ასევე მეუბნებოდა რობერი რაქელზე: «ძალიან უყვარხარ!» და, როგორც ძმისწული თავისი საყვარლის სახელით, ასევე ბიძა მორელის სახელით ხშირად მიწვევდნენ სავახშმოდ. და, რობერ-რაქელივით, არცთუ იშვიათად კინკლაობდნენ. ცხადია, როცა შარლი (მორელი) წასული იყო, ბატონი დე შარლიუ მის საქებარ სიტყვებს არ იშურებდა და თან აუცილებლად დაამატებდა ხოლმე, რომ მევიოლინე მასთან დიდებულად იქცეოდა, როგორც ეტყობოდა, ეს მას ძალიან მოსწონდა. მაგრამ ნათელი იყო, ამას ყველა ამჩნევდა, რომ «ერთგულების» თანდასწრებითაც კი შარლი ხშირად ღიზიანდებოდა და სულაც არ გამოიყურებოდა იმ ბედნიერ მორჩილად, რაზეც ბატონი ასე ოცნებობდა. შედეგად კი, ბატონი დე შარლიუს სუსტი ხასიათის გამო, მორელს უმსგავს გამოხდომებს რომ მიუტევებდა, საქმე

იქამდე მიდიოდა, რომ მევიოლინე არც კი ცდილობდა გაღიზიანების დაფარვას, პირიქით, განგებ უფრო ამძაფრებდა. რამდენჯერმე შევამჩნიე, როცა ბატონი დე შარლიუ ვაგონში შემოდიოდა, სადაც შარლი თავის სამხედრო მეგობრებთან იჯდა, მუსიკოსი მხრებს იჩეჩდა და მათ თვალს უკრავდა. ზოგჯერ თავსაც იმძინარებდა, როგორც ადამიანები ვინმე ისეთის გამოჩენისას თვალთმაქცობენ, ვინც აუტანელ მოწყენილობას ჰგვრით. ზოგჯერ ხველას იწყებდა, სხვები იცინოდნენ, ენამოჩლექით აჯავრებდნენ ისეთ ადამიანებს, როგორიც ბატონი დე შარლიუ იყო, შარლი კუთხეში გაჰყავდათ, ბოლოს შარლი უგუნებოდ ბრუნდებოდა დე შარლიუსთან, რომელსაც ამ დაცინვით ლამის გული გახეთქოდა. გაუგებარი იყო, როგორ ითმენდა ამას. და ეს ყოველი მუდამ ახალი ტანჯვა ბატონ დე შარლიუს აიძულებდა, სხვანაირად ეზრუნა ბედნიერების პრობლემაზე. არა მარტო დიდი მომთხოვნელობა გამოეჩინა, არამედ სხვაც ესურვებინა, საზიზღარ მოგონებებს რომ გააბათილებდა. მერე ეს სცენები აუტანელი გახდა, მორელში თავიდანვე ჩადებული ფრანგული მდაბიური სული მას აიძულებდა, უბრალოების მომხიბვლელი ნიღაბი ჩამოეფარებინა, მოჩვენებითი გულწრფელობა დაენახვებინა, თითქოსდა უანგარობით შთაგონებული ამაყი დამოუკიდებლობაც კი. ყველაფერი ეს სრული ფარისევლობა გახლდათ, მაგრამ მისთვის ხელსაყრელი: ვისაც უყვარს, მან რაღაც უნდა მოიგონოს, ფასი აიწიოს, ვისაც არა, მისთვის უფრო ადვილია, პირდაპირ უნდა იაროს, ლამაზად გავლებული ხაზიდან არსად გადაუხვიოს. ეს ხაზი, როგორც რაღაც რასობრივი განსაკუთრებულობა, ისე ჩანდა მორელის გულღია სახეზე, სულდახურული ადამიანის სახეზე, რომლის ალერსიანი გამოხედვაც იმ ახალბერძნული სინატიფით გამოირჩეოდა, შამპანის ბაზილიკებს რომ ამშვენებს. მიუხედავად მოჩვენებითი მედიდურობისა, ბარონის მოულოდნელ გამოჩენაზე პატარა კლანის წინაშე მორელს ხშირად ერცხვინებოდა, გაწითლებულა, თვალი დაუხრია, ბარონი კი აღტაცებაში მოსულა, რადგან ეს

მისთვის ნამდვილი რომანი იყო. სინამდვილეში კი მორელი ამით თავის გაღიზიანებასა და სირცხვილის გრძნობას გამოხატავდა. ზოგჯერ გაღიზიანებას არ მალავდა; ძალ-ღონეს არ იშურებდა, მშვიდად და დარბაისლურად დაეჭირა თავი, მაგრამ სიმშვიდე არცთუ იშვიათად მუხთლობდა. ზოგჯერ ბარონის რომელიღაც წინადადებას თავხედურად უპასუხებდა, უხეში ტონით, და მთელ საზოგადოებას საგონებელში აგდებდა. ბატონი დე შარლიუ მდუმარედ ხრიდა თავს, მერე, შვილების მაღმერთებელი მამასავით, რომელსაც იმედი აქვს, იქნებ, შვილების სიცივე და უხეშობა ვერავინ შეამჩნიაო, ისევ მევიოლინის ქებას იწყებდა. ოღონდ ბატონი დე შარლიუ ყოველთვის თვინიერი არ იყო, მაგრამ მისი ამბოხი მიზანს ვერ აღწევდა, ძირითადად იმიტომ, რომ განსაზღვრული რეაქციის გამოწვევას ცდილობდა, უმაღლეს საზოგადოებაში აღზრდილს მისი სულიერი სიმდაბლის იმედი ჰქონდა, თანდაყოლილის თუ არა, განსაზღვრული აღზრდის წყალობით განვითარებულის მაინც. მაგრამ მორელი მის აფეთქებებს სუსტი, წუთიერი რაღაც პლებეური გულგრილობით პასუხობდა. მისდა საუბედუროდ, ბატონი დე შარლიუ ვერ ხვდებოდა, რომ მორელის შეგნებაში ყველაფერი კონსერვატორიის შემდეგ და კონსერვატორიაში მისი კარგი რეპუტაციის შემდეგ გადადიოდა, მაგრამ ამ საკითხს, მომავალში რომ ძალიან მნიშვნელოვანი იქნება, ჯერ არ ჰქონდა არსებითი ნიშნადობა. ბურჟუა ადვილად იცვლის გვარს პატივმოყვარე სურვილების გამო, დიდი ბატონები კი – უპირატესობის მოსაპოვებლად. ახალგაზრდა მევიოლინესთვის გვარი მორელი მტკიცედ უკავშირდებოდა მევიოლინეთა კლასის პირველი ხარისხის დიპლომს, მაშასადამე, დიდბატონების საპირისპიროდ, მისთვის არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა გვარის შეცვლა. ბარონს კი უნდოდა, მორელი ყველაფრით, გვარითაც კი, მისგან ყოფილიყო დავალებული. გაიგო თუ არა, რომ იმ მამულს, სადაც ისინი ერთმანეთს ხვდებოდნენ, შარმი ერქვა, ხოლო მორელის სახელი შარლი თითქმის ისევე ჟღერდა, როგორც შარლიუ, მაშინვე

შეეცადა, მევიოლინე დაერწმუნებინა, რომ ლამაზი, წარმოსათქმელად მოხერხებული გვარი არტისტისთვის ნახევარ დიდებას ნიშნავდა, ამიტომ ვირტუოზს უყოყმანოდ უნდა შეეცვალა გვარი და შარმელი გამხდარიყო, რაც მათი შეხვედრების ადგილის მინიშნებად იქცეოდა. მორელმა მხოლოდ მხრები აიჩეჩა. მერე ბარონს თავში ცუდი აზრი მოუვიდა: ეს ბოლო არგუმენტი იყო – ამავე გვარის კამერდინერი მყავდაო, უთხრა. ამით მხოლოდ გააცოფა ახალგაზრდა კაცი. «წარსულში ჩემი წინაპრები დიდ პატივად მიიჩნევდნენ, მეფის კამერდინერები ან მეტრდოტელები ყოფილიყვნენ». «ჩემი წინაპრები კი წარსულში თქვენს წინაპრებს თავებს აჭრიდნენ», – ამაყად უპასუხა მორელმა. რადგან «შარმელის» გვარის მიღებასთან დაკავშირებით არაფერი გამოუვიდა, ის უკვე მზად იყო, მორელი შვილად ეღიარებინა და გერმანტების გვარის ერთ-ერთი ტიტული, რომელზეც უფლება ჰქონდა, მისთვის გადაეცა, თუმცა, როგორც შემდეგში ვნახავთ, მდგომარეობა საშუალებას არ მისცემს, ასეთი წინადადებით მიმართოს მევიოლინეს, და ბატონი დე შარლიუ, ალბათ, დიდად გაოცებული დარჩებოდა, როცა მუსიკოსის დიდების გამო, რომელიც მორელის გვართან იყო დაკავშირებული, და «კლასში» მითქმა-მოთქმის თავიდან აცილების

მიზნით, ამ წინადადებაზე უარს ეტყოდა. აი, რამდენად მაღლა აყენებდა ბერჟერის ქუჩას სენ-ჟერმენის გარეუბანთან შედარებით! მანამდე კი ბატონი დე შარლიუ მორელისთვის, უძველესი მოწოდებისამებრ: Plus Vetra Karol's[179], სიმბოლური ინკრუსტაციით შესრულებულ წარწერიან ბეჭდებს უკვეთავს. ბუნებრივია, რაკი საქმე მოწინააღმდეგესთან ჰქონდა, რომელიც მისთვის უხილავ ჯიშს ეკუთვნოდა, ბარონს ტაქტიკა უნდა შეეცვალა. მაგრამ ამის უნარი განა ბევრს მომადლებია? მოკლედ, არა მარტო ბატონ დე შარლიუს მოსდიოდა შეცდომები, არამედ მორელსაც; უფრო მეტადაც კი, ვიდრე ის ვითარებები მოითხოვდა, რომელმაც ისინი განხეთქილებამდე მიიყვანა, მორელი ბატონ დე შარლიუს თვალში დროდადრო (მერე ეს «დროდადრო» საბოლოო გახდა)

სულმდაბალ კაცად გამოიყურებოდა, თუ უხეშად მოექცეოდი, თავს იმდაბლებდა, ალურსზე კი თავხედობით პასუხობდა. თანდაყოლილი სულმდაბლობა მასში ნევრასთენიულობასა და გაუზრდელობას ემეზობლებოდა; და ეს ყველაფერში მჟღავნდებოდა, მაშინაც, როცა მისგან განსაკუთრებული თავაზიანობა, ალერსი, მხიარულება იყო საჭირო, რასაც შეეძლო, ბატონი დე შარლიუ განეიარაღებინა, ის მოღუშული და შარიანი იყო, აყალმაყალზე გადადიოდა, წინასწარ იცოდა, არ დაეთანხმებოდნენ, მაინც თავისაზე ჯიუტად იდგა, სუსტი არგუმენტები მოჰყავდა, ოღონდ ისეთი შეურაცხმყოფელი სიუხეშით, რომ ეს სისუსტე უფრო გამოკვეთილად ჩანდა. მიზეზები მალე ელეოდა, ახალს იგონებდა, რომლებშიც უფრო ნათლად იკვეთებოდა მისი სისულელე და უმეცრება. როცა თავაზიანი და მომხიბვლელი უნდოდა გამოჩენილიყო, ეს თვისებები ოდნავ თუ შეიმჩნეოდა, მოქურუხდებოდა და ასეთ წუთებში ისინი არათუ უწყინარი იყო, პირიქით, საზიზღრობად იქცეოდა. მაშინ ბატონი დე შარლიუ ბეჩავად გრძნობდა თავს და უკეთესი მომავლის იმედი ჰქონდა, მორელი კი, რომელიც ივიწყებდა, ვისი წყალობით ცხოვრობდა ასეთ ფუფუნებაში, სიბრალულმორეულ დამცინავ ღიმილს გადაიკრავდა სახეზე და ამბობდა: «არავისი ვალი არა მაქვს. არ არსებობს ადამიანი, რომელსაც რაღაცისთვის მადლობა უნდა ვუთხრა».

ჯერჯერობით კი ბატონი დე შარლიუ ცდილობდა, ისე მოქცეოდა, როგორც მაღალი წრის ადამიანს ექცევიან, სიბრაზითაც ლამობდა მასზე ზემოქმედებას, ზოგჯერ გულწრფელად, ზოგჯერ ნაძალადევად, მაგრამ უკვე ამაოდ. თუმცა ბარონი ყოველთვის როდი ბრაზდებოდა. ერთხელ (მათი ურთიერთობის პირველი პერიოდის შემდეგ მალევე), როცა შარლისა და ჩემი თანხლებით ვერდიურენებთან საუზმის შემდეგ ლა რასპელიერიდან ბრუნდებოდა და ამ დღის მორელთან ერთად დონსიერში გატარებაზე ოცნებობდა, მორელმა ვაგონიდან ჩამოსვლისას

უთხრა: «არა, არ მცალია,» რამაც ბატონ დე შარლიუს გული ისე დასწყვიტა, რომ, თუმცა ცდილობდა, არ შეემჩნია, შეღებილ წამწამებზე ცრემლი მაინც დაეკიდა და ერთხანს გაშეშებული იდგა ვაგონთან. ისე იტანჯებოდა, რომ, თუმცა მე და ალბერტინი საღამომდე დონსიერში ერთად ყოფნას ვაპირებდით, ალბერტინს წავჩურჩულე, ბატონი დე შარლიუ მეცოდება, მისი მარტო დატოვება არ მინდა,

ეტყობა, რაღაცაზე გულნატკენია-მეთქი. კეთილი გოგონა მაშინვე მიხვდა და დამეთანხმა. ბატონ დე შარლიუს ვკითხე, შეიძლება ცოტაზე გაგაცილოთ-მეთქი, დამეთანხმა, მაგრამ ჩემი თანმხლების გადაღლა არ ისურვა. და, რადგან შევძელი და ალბერტინს, როგორც ცოლს, ალერსიანად ვუბრძანე: «შინ წადი, საღამოს შემოგივლი», და როცა მისი პასუხი მოვისმინე, რომ, როგორც მეუღლეს, ნებას მრთავდა, სურვილი ამესრულებინა და ბატონ დე შარლიუსთან ჩემი დარჩენის გადაწყვეტილება მოსწონდა – მას ბარონი ძალიან უყვარდა – სასიამოვნო გრძნობა დამეუფლა (როგორც მაშინ მეგონა, უკანასკნელად, რადგან მასთან ურთიერთობის გაწყეტას ვაპირებდი). მე და ბატონი დე შარლიუ წავედით, ის თავისი ზორზოხა ტანის ქანაობითა და იეზუიტივით თვალდახრილი წინ მიდიოდა, მე უკან მივყვებოდი, შევედით ლუდხანაში, სადაც ლუდი მოგვართვეს. დავინახე, ბატონი დე შარლიუს თვალებში რაღაც მოუსვენარი აზრი როგორ გაკრთა. უცბად ქაღალდი და მელანი მოითხოვა და საოცარი სისწრაფით დაიწყო წერა. ვიდრე გვერდს გვერდზე აჭრელებდა, მრისხანე ჩანაფიქრის ნაპერწკლები უელვარებდა თვალებში. რვა გვერდი დაწერა და მომიბრუნდა: «შეიძლება გთხოვოთ, რომ ერთი დიდი სამსახური გამიწიოთ? მაპატიეთ, რომ კონვერტს ვაწებებ. ასეა საჭირო. სწრაფად რომ მიხვიდეთ, ეტლი იქირავეთ ან, თუ ეს შესაძლებელია, ავტომობილი. მორელს ალბათ, თავის ოთახში მოუსწრებთ, ტანსაცმლის გამოცვლაში იქნება. საცოდავი! ჩვენთან დამშვიდობებისას კი ფახიფუხობდა, მაგრამ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ჩემზე მეტად მას უმძიმს. ეს წერილი გადაეცით, თუ

გკითხავთ, სად მნახეთ, უთხარით, რომ რობერის სანახავად (ასეთი განზრახვა, როგორც მგონია, არცა გქონიათ) დონსიერში (ეს სრული ჭეშმარიტებაა) შეჩერდით, იქ ვიღაც უცნობთან დამინახეთ, რომ ძალზე მრისხანე სახე მქონდა და თქვენს სმენამდე სიტყვა «სეკუნდანტმა» მოაღწია (ხვალ მართლაც დუელში უნდა ვიბრძოლო). მთავარია, არ უთხრათ, რომ ვეძახი, ნურც მის აქ მოყვანას შეეცდებით, თუ თვითონ მოისურვებს მოსვლას, წინააღმდეგობა არ გაუწიოთ. გაემგზავრეთ, შვილო ჩემო, ეს ისევ და ისევ მის საკეთილდღეოდ კეთდება, შეგიძლიათ, დიდი უბედურება აგვაცილოთ თავიდან, ვიდრე აქ არ იქნებით, ჩემს სეკუნდანტებს მივწერ. მეგობარ ქალთან თქვენს გასეირნებას კი ხელი შევუშალე, მაგრამ იმედი მაქვს, ის ჩემზე არ ბრაზობს, დარწმუნებულიც კი ვარ. კეთილშობილი გოგონაა, ბობოქარი მოვლენების წინაშე არ შედრკება. ჩემი სახელით მადლობა გადაუხადეთ. მადლიერი ვარ მისი და ძალიან მსიამოვნებს, მისი მადლიერი რომ ვარ». შემებრალა ბატონი დე შარლიუ; მომეჩვენა, რომ შარლს დუელის აცილება შეეძლო, მით უმეტეს, ის იყო დამნაშავე, და, თუ მართლაც დამნაშავე იყო, მაშინ როგორ შეძლო და ასე გულგრილად მიატოვა თავისი მფარველი, იმის მაგივრად, მასთან დარჩენილიყო. გულისწყრომა უფრო გამიძლიერდა, როცა მივუახლოვდი სახლს, სადაც მორელი ცხოვრობდა და მევიოლინის ხმა ვიცანი, ეტყობა, სიცოცხლის სიხარულით პირთამდე იყო სავსე და ამ სიხარულის გადმოფრქვევა სიმღერით უნდოდა: «შაბათ საღამოს, სამუშაოს შემდეგ...» საცოდავ ბატონ დე შარლიუს ეს რომ გაეგო, მას ხომ სურდა, სხვებს დაეჯერებინათ, დაჯერებით კი მხოლოდ მას სჯეროდა, რომ მორელს ახლა უმძიმდა!

ჩემი დანახვისთანავე შარლი სიამოვნებისგან აცეკვდა. «ო! ჩემო მეგობარო (მომიტევეთ, ასე რომ მოგმართავთ, ჯარისკაცური საძაგელი ჩვეულება მაქვს), რა კარგია, რომ მოხვედით! არ ვიცოდი, ეს საღამო როგორ მომეკლა. ერთად გავატაროთ, გთხოვთ, თუ გნებავთ, აქ დავრჩეთ ან ნავით გავისეირნოთ, თუ ეს უფრო მოგწონთ, ან დაგიკრავთ, ჩემთვის სულერთია». ვუთხარი, რომ ბალბეკში ვვახშმობდი, ძალიან

უნდოდა, მიმეწვია, მაგრამ თავი შევიკავე. «თუ ასე ჩქარობთ, რატომღა მოხვედით?». «ბარონ დე შარლიუს წერილი მოგიტანეთ». ამ სიტყვებზე მთელი მისი მხიარულება სადღაც გაქრა; სახე დაებრიცა. «როგორ! აქაც არ მასვენებს! მონა ვარ! წერილს არ გავხსნი; გამოიჩინეთ თავაზიანობა და უთხარით, რომ ვერ მნახეთ». «უკეთესი ხომ არ იქნება, გახსნათ? ასე მგონია, მასში რაღაც მნიშვნელოვანი წერია». «არა, ათასჯერ არა. მანდ მნიშვნელოვანი არაფერი იქნება. განა არ იცით, როგორი ტყუილები იცის და როგორი ცბიერია ეს ბებერი ცოდვილი. ჩემს მიტყუებას ცდილობს. ავდგები და არ წავალ. დღეს დასვენება მინდა». «განა ხვალ დუელი არ არის?». – ვკითხე. მეგონა, მორელმა ყველაფერი იცოდა. «დუელი? – გაოცებულმა მკითხა. – არაფერი ვიცი. მიმიფურთხებია, სულიც გაფრთხობია ამ საზიზღარ ბებერს, თუ ასე მოსწონს. მაგრამ ცნობისმოყვარეობა კი გამიღვიძეთ. წერილს გავხსნი, მას კი უთხარით, რომ ჩემთვის გადმოსაცემად ვიღაცას დაუტოვეთ». ვიდრე ჩემთან საუბრობდა, ოთახში მიმოფანტულ საოცარ წიგნებს გაოგნებული მზერა შევავლე; ეს წიგნები მას ბატონმა დე შარლიუმ აჩუქა. როცა მევიოლინემ იმ წიგნებზე უარი თქვა, რომლებზეც ეწერა «მე ვეკუთვნი ბარონ...» და სხვა, რადგან ეს დევიზი სხვისი საკუთრების ნიშნად, მისთვის შეურაცხმყოფელად, მიიჩნია, მაშინ ბარონმა, სანტიმენტალური გამომგონებლობით, რომელშიც მისი ბედკრული სიყვარული დაკმაყოფილებას ეძებდა, წარწერების სხვა დევიზებით შეცვლა დაიწყო, რომლებიც ასევე მისი წინაპრებიდან მოდიოდა. ზოგი მოკლე იყო და იმედს გამოხატავდა, მაგალითად: «Spes mea»[180] ან «Exspectata non eludet»[181]. ზოგი მხოლოდ თვინიერებას: «დაგელოდები». ზოგსაც სასიყვარულო შინაარსი ჰქონდა: «Mesmes plaisiz du mestre»[182] ან უბიწოებას ქადაგებდა, როგორც, მაგალითად, სიმიანებისგან[183] ნასესხები, ოღონდ ახლებურად გააზრებული, ცისფერი კოშკებითა და შროშანებით დამშვენებული: «Sustentat lilia turres»[184]. ბოლოს მოდიოდა სრული სასოწარკვეთილებით აღვსილიც – ზეცაში პაემნის დანიშვნა იმისთვის, ვინც

უარყო იგი დედამიწაზე: «Manet ultima caelo»[185], და კიდევ, ბატონმა დე შარლიუმ, რომელსაც მიაჩნდა, რომ, თუ ყურძენს ვერ შესწვდებოდა, მაშასადამე, ის მწიფე არ იყო, თანაც თავს იკატუნებდა, რომ არც ისწრაფოდა იმისკენ, რისი მიღწევაც ვერ შეძლო, ასეთიც აირჩია: «Nin mortale quod opto»[186]. ყველა დევიზის ნახვა ვერ მოვასწარი.

როცა ბატონი დე შარლიუ ამ წერილს წერდა, თითქოს რომელიღაც დემონი აიძულებდა მის კალამს ქაღალდზე სრიალს და მორელმაც, გატეხა თუ არა ბეჭედი, რომელზეც ჯიქითა და ორი ალისფერი ვარდით დამშვენებული დევიზი «Atavis etvarmis»[187] ეწერა, ისეთივე სიფიცხით დაიწყო წერილის კითხვა, როგორი

მხურვალებითაც ბატონი და შარლიუ წერდა, და მისი თვალები ამ გადაჯღაბნილ გვერდებზე ისევე სწრაფად დარბოდა, როგორც ბარონის კალამი. «ღმერთო! – დაიყვირა მორელმა, – ესღა გვაკლდა! სად შეიძლება მისი პოვნა? უფალმა იცოდეს, ახლა სად არის». შეპარვით ჩავურთე სიტყვა, თუ არ დააყოვნებდა, შეიძლებოდა, ლუდხანაში მიესწრო, სადაც გონს მოსასვლელად ლუდის მორთმევა უბრძანა. «არ ვიცი, როდის დავბრუნდები, – უთხრა მორელმა მსახურს და დაამატა, – in petto[188]: «ყველაფერი მოვლენებზე იქნება დამოკიდებული». რამდენიმე წუთის შემდეგ ლუდხანასთან მივედით. შევამჩნიე, რა თვალით შემომხედა ბატონმა დე შარლიუმ. დარწმუნდა თუ არა, რომ მარტო არ მივსულვარ, თავისუფლად ამოისუნთქა, გამოცოცხლდა, ეს უცბად ვიგრძენი. ამ საღამოს მორელის გარეშე სიცოცხლე არ შეეძლო, აი, რატომ მოიგონა, თითქოს მის ყურს მისწვდა, როგორ ჭორაობდა ორი ოფიცერი მასზე და მევიოლინეზე და მათთან ვითომ სეკუნდანტების გაგზავნა გადაწყვიტა. მორელმა წარმოიდგინა, რა დავიდარაბაც ატყდებოდა, რის შემდეგაც მისი პოლკში გაჩერება შეუძლებელი შეიქნებოდა და ამიტომ სასწრაფოდ მოირბინა. და მართებულადაც მოიქცა. რადგან ბატონმა დე შარლიუმ, თავისი სიცრუისთვის მეტი

დამაჯერებლობა რომ მიენიჭებინა, მოასწრო და თავის ორ ნაცნობს (ერთ-ერთი კოტარი იყო) მისწერა, სთხოვა, მისი სეკუნდანტები ყოფილიყვნენ. და, თუ მევიოლინე არ მივიდოდა, მაშინ ისეთ შეშლილს, როგორიც ბატონი დე შარლიუ ბრძანდებოდა (მწუხარებისგან გამძვინვარებული), შეიძლება ალალბედზე პირველივე შემხვედრი ოფიცერი, ვისთანაც უფრო მოხერხებული იქნებოდა მისთვის ბრძოლა, დუელში გამოეწვია. ოღონდ, გაახსენდა თუ არა, რომ იგი უფრო ძველ გვარეულობას ეკუთვნოდა, ვიდრე საფრანგეთის მეფეები, საკუთარი თავი დაარწმუნა, ვიღაც მეტრდოტელის შვილის გამო სისხლის წახდენა არ ღირდა, ხოლო ამ მეტრდოტელის პატრონი საეჭვოა ოდესმე ღირსად ჩაეთვალა და სტუმრებოდა. მართალია, ყველანაირ ვიგინდარებთან მეგობრობა მოსწონდა, მაგრამ ვერ იტანდა, როცა ნაძირალებში ფესვგამდგარი ჩვეულების მიხედვით წერილებზე არ პასუხობდნენ, პაემანზე არ მოდიოდნენ, არც წინასწარ აფრთხილებდნენ, მერე არც ბოდიშს იხდიდნენ, თანაც როცა საქმე სასიყვარულო თავგადასავლებს ეხებოდა, რაც ამდენ უსიამოვნებასა და საზრუნავს უჩენდა; ეს ისე აცოფებდა, ზოგჯერ იმ ურიცხვ წერილზე ნაღვლობდა, ელჩები და პრინცები რომ უგზავნიდნენ, მათი პუნქტუალობა ენატრებოდა, მისდა საუბედუროდ, მათდამი გულგრილი ბრძანდებოდა, მაგრამ რაღაცა ზომით ამშვიდებდნენ. მორელის ქცევებს მიჩვეულს შეგნებული ჰქონდა, რომ თითქმის არანაირი უფლება მასზე არ გააჩნდა, იმასაც ხვდებოდა, იმ ცხოვრებასაც ვერ ჩაეზიარებოდა, როგორსაც ის ადამიანები მიჰყვებოდნენ, დიდი ხნის მეგობრობა რომ აკაშირებდათ ისეთივე უხამს ადამიანებთან, როგორებიც თვითონ იყვნენ, და ერთმანეთს იმდენ დროს ართმევდნენ, რომ განდევნილი, ამაყი დიდბატონისთვის ერთი საათიც აღარ რჩებოდათ, რასაც ამაოდ მოითხოვდა მათგან, აქედან გამომდინარე, ბატონი დე შარლიუ დარწმუნებული იყო, მუსიკოსი არ მოვიდოდა; ეშინოდა, რომ მეტისმეტად შორს შეტოპა და ახლა მასთან ყოველგვარი

ურთიერთობის შეწყვეტა მოუხდებოდა, ამიტომ, როცა მორელი დაინახა, ცოტას დარჩა, არ

წამოიყვირა. გამარჯვებულად იგრძნო თავი და გადაწყვიტა, პირობები, მისთვის ხელსაყრელ მშვიდობას რომ ჩამოაგდებდა, თვითონ ეკარნახა. «რატომ მოხვედით? – ჰკითხა მორელს. – თქვენ? – ახლა მე მომმართა და შემომხედა: – ხომ გთხოვეთ, არავითარ შემთხვევაში ეს არ მოგეყვანათ». «არ უნდოდა ჩემი წამოყვანა, – უპასუხა თავის მომხიბვლელობაში დარწმუნებულმა მორელმა და გულუბრყვილო სიკეკლუცით ნაძალადევად ნაღვლიანი, მოდიდან გამოსული მიბნედილი მზერა ისეთი სახით მიაპყრო ბარონს, თითქოს მისი მოხვევა და მის მკერდზე აქვითინება უნდოდა. – ჩემი სურვილით მოვედი, მას არ უთხოვია. მოვედი, რათა ჩვენი მეგობრობის სახელით მუხლმოდრეკილმა გთხოვოთ, არ ჩაიდინოთ ეს უგუნური საქციელი». ბატონი დე შარლიუ სიხარულისგან ზეიმობდა. მისი რეაქცია იმდენად ძლიერი იყო, რომ შეიძლება, ნერვებს ვეღარ გაეძლო, მაგრამ მდგომარეობის ბატონად მაინც დარჩა. «ჩვენს მეგობრობას, რომელიც ახლა სრულიად უდროო დროს ახსენეთ, – მშრალი ტონით უპასუხა მან, – თქვენთვის უნდა ეკარნახა, რომ მოვალე იყავით, მხარში ამომდგომოდით იმ დროს, როცა მტკიცედ გადავწყვიტე, იმ რეგვენისთვის, ჩემზე ყოველგვარ სისაძაგლეს რომ ავრცელებს, არ მეპატიებინა. მაგრამ ახლა იმ ადამიანის თხოვნა, რომელიც, მახსოვს, ჩემდამი ძლიერ სიყვარულს განიცდიდა, ყურად ვიღო, აღარ შემიძლია, რადგან სეკუნდანტებთან წერილები უკვე დაგზავნილი მაქვს, მათ თანხმობაშიც ეჭვი არ მეპარება. ჩემთან მუდამ პატარა სულელივით იქცეოდით; იმის მაგივრად, იმ უპირატესობით გეამაყათ, მე რომ მოგანიჭეთ; იმის მაგივრად ფელდფებელებისა და დენშჩიკების მთელი ის ხროვა მიგეხვედრებინათ, რომელთა შორისაც სამხედრო სამსახურის გამო იძულებული ხართ იცხოვროთ, რომ ჩემთან მეგობრობა თქვენთვის დიდი, შეუდარებლად დიდი ბედნიერებაა, ცდილობთ, თავი იმართლოთ და რაღაც სულელურ დამსახურებად მიითვლით, ჩემდამი განსაკუთრებულ მადლიერებას რომ არ განიცდით. ვიცი, – ისე გააგრძელა, არ მოსურვა ზოგიერთი იმ სცენის გამხელა, მას რომ

შეურაცხყოფდა, – თქვენი დანაშაული ის არის, რომ შურიანთა გავლენის ქვეშ მოექეცით. როგორ არ გრცხვენიათ, რომ თქვენს ასაკში სასაცილო ბავშვად (დამატებით – ცუდად აღზრდილ ბავშვად) იქეცით, ვერც ხვდებით, ჩემი არჩევანი, თქვენ რომ აგირჩიეთ, და ამასთან დაკავშირებული უპირატესობები აუცილებლად შურს გამოიწვევდა და თქვენი ამხანაგები ჩვენს დაშორებას შეეცდებოდნენ, რათა მერე თქვენი ადგილი თავად დაეკავებინათ. საჭიროდ არ მივიჩნიე, თქვენთვის გამემხილა, რომ უამრავი წერილი, რომელიც ამასთან დაკავშირებით მივიღე, იმათი გამოგზავნილია, ვისაც ყველაზე მეტად ენდობით. მძულს ამ შინამოსამსახურეთა ლაქუცი, ზუსტად ისევე მძულს, როგორც მიზანს აცდენილი დაცინვა. ერთადერთი, ვისზეც ვზრუნავდი, თქვენ იყავით, რადგან ძალიან მიყვარხართ, მაგრამ ყოველგვარ ერთგულებას თავისი ზღვარი აქვს და ეს თქვენთვის ცნობილი უნდა იყოს». რა მძიმეც უნდა ყოფილიყო მორელისთვის სიტყვა «შინამოსამსახურის» მოსმენა,

რადგან მამამისი შინამოსამსახურე იყო, კლასობრივი მტრობის ყველა გამოვლინების «შურით» ახსნა, თუმც გაუბრალოებული და უაზრო, მაგრამ თავისი ძალა ჯერ კიდევ რომ არ ჰქონდა დაკარგული, ძველებურად ისევ მოხერხებული სატყუარა იყო და განსაზღვრულ სოციალურ წრეში ისევე «ებმებიან», როგორც მაყურებელი მსახიობთა ძველ ტრიუკებზე, მორელსაც ფრანსუაზზე ან გერმანტების შინამოსამსახურე გოგოზე ნაკლებ როდი სჯეროდა, რომ შური კაცობრიობის თავსდამტყდარი ყველა უბედურების საწინდარია. მორელს ერთი წუთითაც არ ეპარებოდა ეჭვი, რომ ამხანაგები მის ჩამოგდებას ეცდებოდნენ და, თუმც გამოგონილი, მაგრამ მისი წარმოდგენით ავადსახსენებული დუელის მიზეზით ორმაგად უბედურად გრძნობდა თავს. «ოო, რა უბედურებაა! – წამოიყვირა შარლმა. – ვერ გადავიტან. განა ოფიცერთან შეხვედრამდე სეკუნდანტები არა გნახავენ?». «არ ვიცი, ვფიქრობ, მნახავენ. ერთს შევუთვალე, აქ მთელ საღამოს გავატარებ-მეთქი და მისთვის აუცილებელი მითითებები მინდოდა მიმეცა».

«დარწმუნებული ვარ, მასთან საუბარი გონს მოგიყვანთ; ოღონდ ნება მომეცით, თქვენს გვერდით დავრჩე», – მავედრებლად შესთხოვა მორელმა. ბატონ დე შარლიუსაც ეს უნდოდა, მაგრამ მაშინვე როდი დანებდა. «დიდ შეცდომას დაუშვებთ, თუ გგონიათ, რომ ამ შემთხვევას ეს ანდაზა: «ვინც უყვართ, იმისი ეშინიათ», მოუხდება. ძალიან მიყვარხართ, მაგრამ ჩხუბის შემდეგ თქვენს დასჯას არ ვაპირებ, დავსჯი იმათ, ვისაც თქვენთვის მოღალატურად ზიანის მოტანა უნდოდა. აქამდე მათ შემპარავ ცნობისმოყვარე კითხვებს, ისეთი კაცი, მე რომ ვარ, როგორ მეგობრობს თქვენნაირ მეტიჩარა ალფონსთან, ჩემი ნათესავების, ლა როშფუკოების დევიზით: «ამაშია ჩემი სიხარული» ვპასუხობდი. რამდენჯერ მითქვამს თქვენთვის, რომ ეს სიხარული შეიძლება ჩემთვის უმაღლეს სიხარულად ქცეულიყო, თუ თქვენი უნებლიე ამაღლების შედეგი ჩემი დამდაბლება არ იქნებოდა». ქედმაღლობისგან სიშმაგემდე მისულმა ხელები აღაპყრო და დაიძახა: «Tantus ab uno splendor!»[189] შემწყნარებლობა დამდაბლებას ჯერ კიდევ არ ნიშნავს, – განაგრძო, სიამაყისგან მოგვრილი სიხარული ოდნავ რომ გაუნელდა. – იმედი მაქვს, ჩემი ორივე მოწინააღმდეგის ძარღვებში, თუმც მათი თანასწორი არა ვარ, ისეთი სისხლი ჩქეფს, რომლის დაღვრაც არ შემრცხვება. საიდუმლოდ მათზე ცნობები შევკრიბე, რამაც დამამშვიდა. და, თქვენ თუ ჩემდამი სიყვარულის რაღაც გრძნობა მაინც შემოგრჩათ, უნდა იამაყოთ, რომ თქვენი წყალობით ჩემში ჩემი წინაპრების მეომრული სული ისევ გაცოცხლდა და, როცა მივხვდი, როგორი პატარა სულელიც ხართ, გავიმეორებ იმას, რასაც ჩემი წინაპრები ამბობდნენ საბედისწერო დასასრულის შემთხვევაში: «სიკვდილი ჩემთვის სიცოცხლეა». ბატონი დე შარლიუ სრულიად გულწრფელად ლაპარაკობდა, და არამხოლოდ მორელისადმი სიყვარულის გამო, არა, იმიტომაც, რომ მისი მხედრული განწყობილება, რომელიც, როგორც მას გულუბრყვილოდ ეგონა, წინაპრებისგან მიიღო მემკვიდრეობად, ზეიმით აღავსებდა, რომ ბრძოლა მოუწევდა, მაგრამ მერე, ალბათ, ინანებდა, რომ დუელი, რომელიც მხოლოდ იმიტომ

მოიგონა, მორელი რომ მიეტყუებინა, არ შედგებოდა. ყოველი პაექრობის წინ საკუთარ თავში სიმამაცეს გრძნობდა, სახელგანთქმულ კონეტაბელ[190] გერმანტთან მსგავსებას პოულობდა, თუმცა, ვინმე სხვას მისთვის ხელთათმანი რომ ესროლა, მასში უმცირეს მხარდაჭერასაც ვერ პოვებდა. «მგონი, სარა ბერნარი «არწივის მართვეში»[191] მშვენიერია, მაგრამ ნაგავია. – გულწრფელი აღტაცებით, სიტყვაგაწელვით ალაპარაკდა. – მუნე-სიული[192] «ოიდიპოსში» ნაგავია, – აი, როცა «ნიმის არენებში»[193] თამაშობს, მაშინ თუ შეიმჩნევა სუსტი გარდასახვის მცდელობა. და ამათ ფონზე, აბა, როგორი იქნება კონეტაბელის ნამდვილი შთამომავლის ორთაბრძოლა?» ამ დროს სიხარულის, აღტაცებისგან მთვრალმა ბატონმა დე შარლიუმ ისეთი შეტევა წამოიწყო, როგორიც მოლიერთანაა, მე და მორელმა სიფრთხილის ზომები მივიღეთ და ლუდის კათხები ახლოს მოვიწიეთ, შეგვეშინდა, დაშნების გადაჯვარედინებისას მხოლოდ მოწინააღმდეგეები კი არა, ექიმი და სეკუნდანტებიც არ დაზიანებულიყვნენ. «რა სიუჟეტია მხატვრისთვის! ბატონ ელსტირს იცნობთ? – მე მომმართა. – უნდა მოიწვიოთ». ვუპასუხე, ახლა ამ მხარეში არ იმყოფება-მეთქი. მაშინ დეპეშით გამოიძახეთო, მოგვაწოდა აზრი. «მისი გულისთვის ვამბობ, – დაუმატა ჩემი სიჩუმის პასუხად. – ოსტატისთვის საინტერესო უნდა იყოს, ჩემი აზრით, იგი ნამდვილი ოსტატია, ეთნიკური აღორძინების ამ მაგალითის ტილოზე გადატანა – ეს ხომ ას წელიწადში ერთხელ ხდება».

მაგრამ, თუ ბატონი დე შარლიუ ორთაბრძოლის აზრით ტკბებოდა, რომელიც დასაწყისში მხოლოდ მისი წარმოსახვის ნაყოფი იყო, მორელი შიშით ფიქრობდა იმ ჭორებზე, დუელის შემდეგ რომ გავრცელდებოდა და პოლკის ორკესტრიდან დაძრული ბერჟერის ქუჩაზე მდებარე ტაძრამდე მიაღწევდა. ნათლად წარმოიდგინა, როგორ დაიწყებდნენ ამაზე ლაპარაკს «კლასში» და ბატონი დე შარლიუს ირგვლივ უფრო დაჟინებით დაიწყო ტრიალი, ის კი ამ ბრძოლით

უფრო და უფრო იხიბლებოდა და ხელების ქნევას განაგრძობდა. მორელი ბარონს ევედრებოდა, ზეგამდე, დუელის სავარაუდო დღემდე, მასთან დარჩენის ნება მიეცა, უნდოდა, თვალწინ ჰყოლოდა, იქნებ, დაეთანხმებინა და გონს მოეყვანა. ასეთი მზრუნველი შემოთავაზებით გახარებული ბატონი დე შარლიუ, ბოლოს და ბოლოს, გატყდა, თქვა, რომ შეეცდებოდა, რაიმე მიზეზი მოეძებნა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას ზეგამდე გადადებდა. ამგვარად, ბატონმა დე შარლიუმ ერთი დარტყმით შეძლო, სულ ცოტა, ორი დღით მაინც თავისთან ჰყოლოდა შარლი, ამით ესარგებლა და სამომავლოდაც ასეთივე პირობა მიეღო, დუელზე უარის თქმის სამაგიეროდ, იმ გმირულ საქმეზე უარის თქმის სამაგიეროდ, რომელიც, ბარონის სიტყვებით რომ ვთქვათ, სიამოვნებას ანიჭებდა და მისი უარყოფა ენანებოდა. სხვათა შორის, როცა ეს განაცხადა, იგი სრულიად გულწრფელი იყო, მართლა უყვარდა დუელში ბრძოლა, თავისი დაშნის მოწინააღმდეგის დაშნასთან გადაჯვარედინება ან ტყვიის გაცვლა. ბოლოს კოტარი გამოჩნდა, თუმცა დიდი დაგვიანებით მოვიდა, ძალიან უხაროდა, სეკუნდანტი რომ უნდა ყოფილიყო, უფრო კი აღელვებული იყო, რადგან გზაში ყოველი კაფეს, ყოველი ფერმის წინ ჩერდებოდა და «#100»-ს, ანუ

«საჭირო ადგილს» ეძებდა. გამოჩნდა თუ არა, ბარონმა ცალკე ოთახში გაიყვანა; დუელის წესები მოითხოვდა, მე და შარლი ამ შეხვედრას არ დავსწრებოდით, ხოლო ნებისმიერი ოთახის სატახტო დარბაზად ან სხდომათა დარბაზად ქცევა ბატონი დე შარლიუს ხელში იყო. მარტო დარჩენილმა კოტარს მხურვალე მადლობა გადაუხადა; უთხრა, როგორც ეტყობა, ჭორს რომ მივრცელებდნენ, ეს სიმართლეს არ შეეფერება და გთხოვთ, მეორე სეკუნდანტს გააგებინოთ, თუ რამე გაუთვალისწინებელი გართულება არ მოხდა, ინციდენტი ამოწურულიაო. როგორც კი შეიტყო, საფრთხე აღარ არსებობდა, კოტარი წუთიერმა იმედგაცრუებამ შეიპყრო. ცოტას დარჩა, აღშფოთება არ გამოხატა, მაგრამ მაშინვე გაახსენდა თავისი ერთ-ერთი მასწავლებელი, რომელმაც თავის დროზე მედიცინის დარგში ბრწყინვალე

კარიერა გაიკეთა, აკადემიაში არჩევნების დროს კი მხოლოდ ორი ხმა დააკლდა, მაგრამ წუხილი არ შეიმჩნია, არჩეულ კონკურენტთან მივიდა და ხელი ჩამოართვა. აი, რატომ გადაწყვიტა დოქტორმა, უკმაყოფილება არ გამოეხატა, მით უმეტეს, რომ მისი პროტესტი არაფერს შეცვლიდა, თუმცა უპირველესი მშიშარა იყო, მაინც წაიბურტყუნა, არის რაღაცა, რაზეც თვალის არიდება არ შეიძლებაო, და იქვე დაუმატა – მაგრამ ასე უკეთესია და ეს გადაწყვეტილება მახარებსო. ბატონ დე შარლიუს უნდოდა, დოქტორისადმი თავისი მადლიერება გამოეხატა, ოღონდ ისე, როგორც მისი ძმა გამოხატავდა მამაჩემისადმი მადლიერებას, ან ჰერცოგინია, რომელიც მადლიერების ნიშნად ვინმე მდაბიო ქალს წელზე მოხვევდა ხელს, ამიტომ თავისი სკამი ძალზე ახლო მიაჩოჩა დოქტორის სკამთან და ზიზღს, რომელსაც იგი უნერგავდა, სძლია. ფიზიკურ სიამოვნებაზე არც უფიქრია, ნამდვილი გერმანტის მსგავსად გულზიდვა გადალახა და, დაამთავრა თუ არა ლაპარაკი, დამშვიდობების ნიშნად მისი ხელი აიღო, ხელისგული ალერსიანად ისე დაუსვა, როგორც კეთილმა პატრონმა – ცხენს შაქარს რომ მიაწვდის და თან დრუნჩზე მიუტყაპუნებს. კოტარმა კი, რომელსაც ბარონისთვის ერთხელაც არ უთქვამს, რომ ბარონის ცუდ მიდრეკილებებზე შავბნელმა ხმებმა მის ყურამდეც მიაღწია და გულის სიღრმეში მას «ნორმალურ» ადამიანთა ჯგუფს მიაკუთვნებს, იმ ადამიანებს, რომლებსაც ცუდად იცნობდა, ახლა წარმოიდგინა, რომ ეს ალერსი გადამწყვეტი მოქმედების პრელუდია იყო, რისთვისაც ბარონმა დუელის მომიზეზებით შემოიტყუა, ცალკე ოთახში გაიყვანა, სადაც შეეძლო, ძალა გამოეყენებინა. ვერ გაბედა სკამიდან ადგომა, რომელზეც შიშმა მიაჯაჭვა. ველურის ხელში მოხვედრილივით, და ვინ იცის, იქნებ კაცის მჭამელისაც, თავზარდაცემული აჭყეტდა თვალებს. ბოლოს ბატონმა დე შარლიუმ ხელი გაუშვა მის ხელს, ბოლომდე თავაზიანი უნდოდა დარჩენილიყო და ჰკითხა: «უარს იტყვით, ჩვენთან ერთად რამე ისეთი დალიოთ, რასაც ადრე «მაზაგრანი»[194] ანდა «გლორია» ერქვა; ახლა ეს სასმელები არქეოლოგიური

იშვიათობაა. და მხოლოდ ლაბიშის პიესებსა და დონსიერის კაფეებში გვხვდება. «გლორია» გარემოს მოუხდება, ასე არ არის? ვითარებასაც, თქვენ როგორ გგონიათ?». «მე ალკოჰოლიზმთან მებრძოლი საზოგადოების პრეზიდენტი ვარ, – შეეპასუხა კოტარი. – ვინმე უვიცმა პროვინციალმა ექიმბაშმა რომ დაგვინახოს, ლაპარაკს

დაიწყებენ ცუდ მაგალითს იძლევაო. «Os homini subbime coelumque taeri»[195], – უადგილოდ დაუმატა, რადგან ლათინური გამოთქმების ძალზე მწირი მარაგი ჰქონდა, თუმცა სრულიად საკმარისი იმისთვის, თავისი მოწაფეები გაეშტერებინა. ბატონმა დე შარლიუმ მხრები აიჩეჩა და კოტარი ჩვენთან მოიყვანა, ოღონდ წინასწარ სიტყვა ჩამოართვა, ყველაფერი ეს საიდუმლოდ შეენახა, რაც მისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იყო, რადგან არშემდგარი დუელის მიზეზი თავიდან ბოლომდე მოგონილი გახლდათ, ეს მიზეზი არ უნდა მისულიყო უდანაშაულო ოფიცრის ყურამდე, რომელზეც ბატონი დე შარლიუს არჩევანი შეჩერდა. და, როცა ოთხივემ სმა დავიწყეთ, კართან ქმრის მომლოდინე ქალბატონი კოტარი გამოჩნდა, რომელიც ბატონმა დე შარლიუმ მშვენივრად დაინახა, თუმცა მისი მოწვევა არც უფიქრია; ის ბარონს მიესალმა, ამან ხელი ისე გაუწოდა, როგორც მოახლე გოგოს, სკამიდან არც ამდგარა და ისე მიიღო ქალი, როგორც მეფემ, რომელსაც პატივისცემით ესალმებიან, ანდა როგორც სნობმა, რომელსაც არ სურს, მის მაგიდასთან არცთუ მთლად ელეგანტური ქალი დაჯდეს, ანდა ეგოისტმა, რომელსაც ვიწრო მეგობრულ წრეში უნდა ყოფნა და ეშინია, ნაკლებად ნაცნობი ადამიანი განწყობას გაუფუჭებს. ასე რომ, ქალბატონი კოტარი ფეხზე მდგარი ესაუბრებოდა ბატონ დე შარლიუსა და თავის ქმარს. მაგრამ, იქნებ, იმიტომ, რომ თავაზიანობა და «ზრდილობა» გერმანტების განსაკუთრებულ უფლებას არ წარმოადგენდა, რადგან შეეძლოთ გაენათებინათ, მიმართულება მიეცათ ყველაზე გაუბედავი გონებისთვისაც კი, ანდა, იქნებ, იმიტომ, რომ კოტარი ცოლს ხშირად ღალატობდა და ზოგჯერ მოთხოვნილება უჩნდებოდა, იმათგან დაეცვა, ვინც მას

უზრდელად ექცეოდა, დოქტორმა, ჩემი დასწრებით პირველად, უცბად წარბი შეიკრა, ბატონ დე შარლიუს ნებართვა არც სთხოვა და ცოლს ისე მიმართა, როგორც ბატონმა: «რას დგახარ, ლეონტინა? დაჯექი!». «ხელს არ შეგიშლით?» – მორცხვად ჰკითხა ქალბატონმა კოტარმა ბატონ დე შარლიუს. დოქტორის ტონით გაოცებულმა ბარონმა არაფერი უპასუხა. კოტარმა ცოლს გონს მოსვლის საშუალება არ მისცა და კიდევ ერთხელ მბრძანებლურად წარმოთქვა: «ხომ გითხარი: დაჯექი!»

ცოტა ხნის შემდეგ ისინი წავიდნენ და ბატონმა დე შარლიუმ მორელს მიმართა: «მთელი ამ ამბიდან, უკეთესად რომ დამთავრდა, ვიდრე იმსახურებდით, დასკვნა გამოვიტანე, რომ არ იცით, როგორ უნდა მოიქცეთ, ამიტომ სამხედრო სამსახურის დამთავრებისთანავე თვითონ წაგიყვანთ მამათქვენთან, როგორც მთავარანგელოზი რაფაელი მოექცა ჭაბუკ ტობიას»[196]. და ბარონმა მფარველურად, მხიარულად გაიღიმა, მორელს კი ისეთი სახე ჰქონდა, სამხიარულოდ არ სცხელოდა, რადგან, ეტყობოდა, იმ აზრს, სახლში რომ ბარონს მიეყვანა, საერთოდ არ იზიარებდა. აღტაცებულს იმით, რომ საკუთარი თავი მთავარანგელოზს შეადარა, მორელი კი ტობიას შვილს, ბატონ დე შარლიუს დაავიწყდა, ეს წინადადება იმისთვის წარმოთქვა, რათა ადგილი მოესინჯა – დაეთანხმებოდა თუ არა მორელი მასთან ერთად პარიზში გამგზავრებას. სიყვარულით გაბრუებულმა, იქნებ, პატივმოყვარეობითაც, ბარონმა ვერ შეამჩნია ანდა თავი მოიკატუნა, თითქოს ვერ შეამჩნია, მევიოლინის

უკმაყოფილო გრიმასი; და, როცა იგი ლუდხანაში მარტო დატოვა, ამაყი ღიმილით მითხრა: «შეამჩნიეთ, როცა ტობიას შვილს შევადარე, როგორ გაუხარდა? იმიტომ, რომ ძალიან ჭკვიანია, უცბად მიხვდა, რომ მამა, ვისთანაც ამიერიდან იცხოვრებს, მისი მშობელი მამა არ არის, ალბათ, ვინმე ულვაშიანი საძაგელი ლაქიაა, მისი სულიერი მამა კი, ასე რომ ვთქვათ, მე ვარ. რა საამაყოა მისთვის! რა

მედიდურად აწია თავი! როგორ გაუხარდა, როცა მიხვდა, რაც ელის! დარწმუნებული ვარ, ახლა ყოველდღე საკუთარ თავს ეტყვის: «უფალო, შენ ინებე, რათა ნეტარმა მთავარანგელოზმა რაფაელმა გზა უჩვენოს მონასა შენსა ტობიას ცხოვრების მანძილის გასავლელად და გვიწყალობე ჩვენ, მონებსა შენსას, მისი მფარველობის ქვეშ ვიყოთ მუდამ და მისი დახმარება არ მოგვკლებოდეს». მისთვის იმის ახსნა არ დამჭირდება, – დაუმატა ბარონმა, ღრმად დარწმუნებულმა იმაში, რომ დადგებოდა დღე, როცა ყოვლადმაღალის ტახტთან წარდგებოდა, – რომ ზეციური მოციქული მე ვარ, ისედაც მიხვდა და ბედნიერებისგან ენა ჩაუვარდა!» გამომშვიდობებისას ბატონმა დე შარლიუმ (რომელსაც ბედნიერებამ ლაპარაკის უნარი ვერ ჩაუხშო), ისე რომ იშვიათი გამვლელებისთვის, რომლებიც უკან იყურებოდნენ და, ალბათ, ფიქრობდნენ ვიღაც შეშლილიაო, ყურადღება არც მიუქცევია, ხელები აღაპყრო და მთელი ძალით დაიყვირა: «ალილუია!»

ამ შერიგებამ ცოტა ხნით ბატონი დე შარლიუს სულიერი ტანჯვა მიაწყნარა. მორელი მანევრებზე ისე შორს წაიყვანეს, რომ ბატონ დე შარლიუს მისი ნახვის შესაძლებლობა ან ჩემი შუამავლობის გამოყენების საშუალება აღარ მისცემია. მევიოლინე ხშირად სწერდა სასოწარკვეთილსა და ალერსიან წერილებს, არწმუნებდა, თავის მოკვლის გარდა არაფერი დამრჩენია, რადგან ერთი საშინელი საქმისთვის ოცდახუთი ათასი ფრანკი მჭირდებაო. არ უმხელდა, რა საქმე იყო ასეთი საშინელი, რადგან მაშინ რაღაცის მოგონება დასჭირდებოდა. მაგრამ საქმე ფული არ გახლდათ. ბატონი დე შარლიუ სიამოვნებით გაუგზავნიდა, რომ არ ეგრძნო, უფულოდაც მშვენივრად გაართმევდა თავს ვიღაც სხვის კეთილგანწყობის მოპოვებას. აი, რატომ უთხრა უარი და მისი დეპეშები ისეთივე ცივი და უკმეხი იყო, როგორიც მისი ხმა. ეჭვი არ ეპარებოდა, ეს დეპეშები როგორ იმოქმედებდა მორელზე, როცა მასთან დაშორება

უნდოდა – იმაში დარწმუნებულს კი, რომ ეს დაშორება აღარ ემუქრებოდა, ნათლად ეხატებოდა ყველა ის უსიამოვნება, რომელიც ამ ურთიერთობიდან ელოდა, მაგრამ ძალა არ შესწევდა თავის დაღწევისა. და, თუ მორელი არ უპასუხებდა, უძილობა ემართებოდა, მოუსვენრობისგან ადგილს ვერ პოულობდა – ამქვეყანაზე ბევრი რამ არის ისეთი, რითიც ვცოცხლობთ, თუმცა ამაზე წარმოდგენა არა გვაქვს, და რამდენი რამ არის გამოუყენებელი, ღრმად ჩაწნეხილი მოვლენა, ჩვენი მხედველობიდან დაფარული! ბატონ დე შარლიუს ვარაუდებისგან თავგზა ებნეოდა, თავს იმტვრევდა, მიხვედრილიყო, რომელმა უჩვეულო მოვლენამ მოითხოვა მორელისგან ოცდახუთი ათასი ფრანკი; იგი სხვადასხვანაირად ეხატებოდა და ხან ამ სახელს არქმევდა, ხანაც სხვას. ვფიქრობ, ასეთ წუთებში (თუმცა მაშინ სნობიზმი სუსტად ჰქონდა გამოხატული, ხოლო უბრალო ხალხისადმი ინტერესი კი გაზრდილი, ყოველ

შემთხვევაში, თითქმის ერთი და იგივე ძალის იყო, ზოგჯერ კი აჭარბებდა კიდეც) ბარონი ნაღვლიანად იხსენებდა მაღალი საზოგადოების მრავალფეროვან მხიარულებას, სადაც მშვენიერი ქალები და მომხიბლავი მამაკაცები მის საზოგადოებაში ყოფნას ნატრულობდნენ უანგარო სიამოვნების მისაღებად, მისთვის კვანტის გამოკვრაზე არავინ ფიქრობდა ანდა რაღაც «საზარელი საქმის» გამოგონებაზე, რის გამოც, თუ ახლავე ოცდახუთი ათას ფრანკს არ იშოვიდა, სიცოცხლეს თვითმკვლელობით დაამთავრებდა. ვფიქრობ, ალბათ, იმიტომ, რომ ჩემზე დიდი კომბრეელი იყო და თავის გერმანულ სიამაყეს ფეოდალური მედიდურება შეუსისხლხორცა, იმ დასკვნამდე უნდა მისულიყო, რომ მსახურის გულის დაპყრობა დაუსჯელად არ ჩაივლიდა და რომ მდაბიო ხალხი სულაც არ იყო მაღალი საზოგადოება, და, ჩემგან განსხვავებით, მუდამ რომ ვენდობოდი უბრალო ხალხს, იგი მდაბიორთადმი «ნდობას არც განიცდიდა».

საგარეუბნეო მატარებლის შემდეგმა გაჩერებამ, მენვილმა, მორელთან და ბატონ დე

შარლიუსთან დაკავშირებული ერთი შემთხვევა გამახსენა. ვიდრე ამ შემთხვევაზე გიამბობდეთ, უნდა გითხრათ, რომ მენვილში გაჩერება (როცა ბალბეკში შორიდან ჩამოსული მნიშვნელოვანი სტუმარი მიჰყავდა, რომელიც ვინმეს შეწუხებას ამჯობინებდა, ლა რასპელიერში არ გაჩერებულიყო), ჩვეულებრივ, ნაკლებად მძიმე სცენებთან იყო დაკავშირებული, ვიდრე ის ამბავია, ახლა რომ მოგიყვებით. ჩამოსულს, მართალია, მხოლოდ ხელბარგი აქვს, ჩვეულებრივ, ეჩვენება, რომ გრანდ-ოტელი ცოტა შორს არის, მაგრამ, რადგან ბალბეკამდე მხოლოდ კეთილმოუწყობელი აგარაკის შოვნას თუ შეძლებს, ამიტომ ფუფუნებასა და მყუდროებას არჩევს და დიდ მანძილს უკვე ეგუება. მაგრამ, როგორც კი მატარებელი მენვილში შეჩერდება, მის წინ უცბად «პალასი» აღიმართება, რომელზეც კაცი ვერ იფიქრებს, რომ ეს საროსკიპო სახლია. «შორს წასვლას აზრი აღარ აქვს, – აუცილებლად ეტყოდა ქალბატონ კოტარს, რომელიც თავისი პრაქტიკული გონებითა და სასარგებლო რჩევებით იყო განთქმული. – ზუსტად ის არის, რაც მჭირდება. ბალბეკში რატომღა წავიდე? ცხადია, იქ რაიმე ამაზე უკეთესი არ იქნება. გარეგნული სახითაც კი შემიძლია შევაფასო, რომ სრული კომფორტი დამხვდება; აქ თავისუფლად შემიძლია მოვიპატიჟო ქალბატონი ვერდიურენი, რომლის პატივსაცემადაც, ჩემდამი გამოჩენილი თავაზიანობის პასუხად, რამდენიმე საღამოს გამართვას ვაპირებ. თანაც მისთვის აქ უფრო ახლოა, ვიდრე ბალბეკი. მჯერა, აქაურობა მოეწონება, ისევე, როგორც თქვენს მეუღლეს, ძვირფასო პროფესორო. ალბათ, სალონებიც აქვთ, სადაც ქალბატონების დაპატიჟება შეიძლება. ჩვენ შორის დარჩეს და, ვერ ვხვდები, ქალბატოგნი ვერდიურენი რატომ აქ არ დასახლდა და რატომ იქირავა ლა რასპელიერი. აქ უფრო მეტი სიჯანსაღეა, ვიდრე ლა რასპელიერის მსგავს ნესტით გაჟღენთილ, მოუწესრიგებელ ძველ სახლებში; ცხელი წყალიც კი არა აქვთ და ნორმალურად დაბანვაც შეუძლებელია. ჩემი აზრით, მენვილი შეუდარებლად სასიამოვნო ადგილია. ქალბატონი ვერდიურენი აქ მშვენივრად შეასრულებდა მფარველის

როლს. თუმცა ყველას თავისი გემოვნება აქვს, მე აქ დავიდებ ბინას. ქალბატონო კოტარ! მატარებელი მალე დაიძვრება და ჩასვლა ვიჩქაროთ. იმ სახლამდე მიმიყვანეთ, რომელიც მალე თქვენიც გახდება, თუმცა შეიძლება აქ ხშირადაც ყოფილხართ. იგი თითქოს ჩვენთვის არის აშენებული». ამ საცოდავი ჩამოსულის გაჩუმებას და, რაც მთავარია, შეჩერებას დიდი ძალისხმევა სჭირდებოდა, რადგან იმ ადამიანის სიჯიუტით, რომელიც საკუთარ შეცდომას არ აღიარებს, თავის სიტყვაზე იდგა და არაფრის გაგონება არ სურდა. როცა აუხსნეს, რომ არც ქალბატონი ვერდიურენი, არც ქალბატონი კოტარი აქ მომსვლელები არ იყვნენ, თქვა: «მე მაინც აქ მსურს ცხოვრება. ქალბატონ ვერდიურენს კი შეუძლია, წერილები მომწეროს».

მორელს ერთი უჩვეულო ამბავი დაემართა. სხვებიც გადახდენია, მაგრამ ჯერჯერობით ამით დავკმაყოფილდები, ვიდრე სააგარაკო მატარებელი გაჩერდება და გამცილებელი დაიყვირებს: «დონსიერი», «გრატვასტი», «მენვილი» და სხვა, ყველაფრის ჩაწერას მოვასწრებ, რაც ზღვისპირეთზე თუ გარნიზონზე ჩემს მახსოვრობას შემორჩენია. მენვილი (Media villa) უკვე ვახსენე, ის მნიშვნელობაც, საროსკიპოს მდიდრული სახლის წყალობით რომ მოიპოვა, რომელიც არცთუ დიდი ხნის წინათ, ოჯახის დედების პროტესტის მიუხედავად, მაინც ააშენეს. მაგრამ, ვიდრე გავარკვევთ, ჩემს მახსოვრობაში მენვილი მორელთან და ბატონ დე შარლიუსთან რატომ არის დაკავშირებული, ჯერ მინდა, ის შეუსაბამობა აღვნიშნო (ამაზე შემდეგში უფრო დაწვრილებით მოგიყვებით), რომელიც მორელის მიერ მოთხოვნილ თავისუფალ დროსა და იმ წვრილმან საქმიანობას შორის იყო, რასაც ვითომ ამ დროს ანდომებდა. ეს შეუსაბამობა ბატონი დე შარლიუს ლაპარაკისას სხვა სახის განმარტებებშიც შეიმჩნეოდა. ბარონთან საუბარში თავი უანგარო ადამიანად მოჰქონდა (ყოველგვარი რისკის გარეშე, რადგან კარგად იცოდა თავისი მფარველის გულუხვობის ამბავი), მაგრამ, როცა საღამოს გატარება სხვაგან უნდოდა, ვიღაცას

გაკვეთილი უნდა ჩავუტაროო, იმიზეზებდა, თან იღიმებოდა, ხარბად იღიმებოდა და მუდამ ამ სიტყვებს ამატებდა: «ორმოც ფრანკს ვიშოვი. ცხადია, დიდი არაფერია, მაგრამ ფული მიწაზე არ ყრია. ნება მომეცით, წავიდე; ეს ჩემს ინტერესებშია. თქვენ რენტა გაქვთ, მე კი არა. მდგომარეობა უნდა შევიქმნა და დროა, ფული ვიშოვო». მართლა უნდოდა მორელს გაკვეთილების ჩატარება. სწორი არ არის, როცა ამბობენ, ყველა ფული ერთნაირიაო. მათი გამომუშავების ახალი საშუალება ხშირი ხმარებისგან გაცვეთილ მონეტებს ბრწყინვალებას ანიჭებს. როცა მორელი მართლა ატარებდა გაკვეთილს, შეიძლება, ის ორი ლუიდორი, რომელსაც გაკვეთილის შემდეგ მოწაფე უწვდიდა, სხვა შთაბეჭდილებას ახდენდა მასზე, ვიდრე ის ორი ლუიდორი, რომელსაც ბატონი დე შარლიუს ხელიდან იღებდა. უპირველესი მდიდარი ორი ლუიდორის გამო მზად იქნება, რამდენიმე კილომეტრი გაიაროს, იმ შემთხვევაში კი, თუ ეს ლაქიის შვილს ეხება, კილომეტრები მილებად იქცევა. მაგრამ ბატონ დე შარლიუს ხშირად უჩნდებოდა ეჭვი – მართლა დადიოდა თუ არა იგი ვიოლინოზე დაკვრის გაკვეთილების ჩასატარებლად, ეჭვი მით უფრო უძლიერდებოდა, რომ მუსიკოსი ხშირად სხვადასხვა მიზეზს იგონებდა, სრულიად უანგაროს

მატერიალური თვალსაზრისით, თანაც ფრიად შეუსაბამოს. მორელი თავს ვერ იკავებდა, ნაწილობრივ შეგნებულად, ნაწილობრივ შეუგნებლად ისეთ ბურუსში ეხვეოდა, საიდანაც მისი ცხოვრების რაღაც ცალკეული ნაკვთი თუ ჩანდა. მთელ თვეს ბატონ დე შარლიუს უთმობდა იმ პირობით, რომ საღამოები სრულიად თავისუფალი ექნებოდა, რადგან განზრახული ჰქონდა, ალგებრის სრული კურსი მოესმინა. გაკვეთილის შემდეგ ბატონი დე შარლიუს სანახავად მოსვლა? ოო, ეს არ შეუძლია, ლექციები ზოგჯერ ძალიან გვიან მთავრდება. «ღამის ორ საათზე გვიან?» – ეკითხებოდა ბარონი. «ხდება ხოლმე». «მაგრამ ალგებრის სწავლა სახელმძღვანელოთიც შეიძლება». «უფრო ადვილი იქნება, ლექციებზე თითქმის ვერაფერს ვიგებ». «მაშ, რა ხდება? ალგებრაც ხომ არაფერში გჭირდება?». «მომწონს, ნევრასთენიას

ვიქარვებ». «ალგებრის გამო მთელი ღამით სადღაც წავიდეს კაცი? შეუძლებელია. – საკუთარ თავს ეკითხებოდა ბარონი. – პოლიციასთან ხომ არ არის შეკრული?» ყველა შემთხვევაში, მორელმა საღამოს გვიანი საათები თავისთვის დაიტოვა – ხან ვითომ ალგებრის შესასწავლად, ხანაც ვიოლინოზე დაკვრის გაკვეთილებისთვის. მაგრამ ერთხელ თავისი თავისუფალი დრო არც ერთისთვის გამოიყენა და არც მეორისთვის, მან ის პრინც დე გერმანტს დაუთმო, რომელიც ამ მხარეს ჰერცოგინია დე ლუქსემბურგელის სანახავად ესტუმრა და ვიღაც უცნობ მუსიკოსს გადაეყარა, რომელიც, თავის მხრივ, მას არ იცნობდა; პრინცმა ორმოცდაათი ფრანკი შესთავაზა, რათა მენვილის «მხიარულებათა სახლში» ღამე ერთად გაეტარებინათ. მორელისთვის ეს შემოთავაზება ორმაგ სიამოვნებას ნიშნავდა – ბატონი დე გერმანტის ხარჯზე ხეირი ენახა და თავისი ავხორცული სიამოვნებები დაეკმაყოფილებინა იმ ქალებთან, თავიანთ შავგვრემან ძუძუებს ურცხვად რომ აჩენდნენ. არ ვიცი, ბატონმა დე შარლიუმ მომხდარი ამბავი ან მოქმედების ადგილი როგორ გაიგო, აი, მაცდუნებელი კი მისთვის უცნობი დარჩა. ეჭვისგან შეშლილი მოუთმენლობისგან იწვოდა, რომ როგორმე ისიც შეეტყო, ვინ იყო ეს მაცდუნებელი და ჟიუპიენს გაუგზავნა დეპეშა, რომელიც ორი დღის შემდეგ ჩამოუვიდა და, როცა მეორე კვირას მორელმა გამოუცხადა, რომ აუცილებლად უნდა წასულიყო, ბარონმა ჟიუპიენს სთხოვა, იმ დაწესებულების დიასახლისი მოესყიდა და ისინი ისე დაემალა, მომხდარი სცენის თვალთვალი ადვილად შეძლებოდათ. «კარგი. ყველაფერს მოვაგვარებ, ჩემო პატარა სიმპო», – უპასუხა ჟიუპიენმა. ძნელია იმის წარმოდგენა, ამ შემთხვევამ როგორ ააღელვა და წუთიერად გაამდიდრა ბატონი დე შარლიუს შინაგანი სამყარო. ზოგჯერ სიყვარული აზროვნების სამყაროში დიდ გეოლოგიურ ძვრებს ახდენს. ბატონი დე შარლიუს გონებაში, რამდენიმე დღეა, ერთფეროვან გლუვ ვაკეს რომ ჰგავდა და, რამდენადაც თვალი გასწვდებოდა, ერთი აზრიც არ ისახებოდა, უეცრად გრანიტის სიმტკიცის მთათა გრეხილი აღიმართა, სადაც ყოველი მთა

იმგვარად იყო ნაქანდაკები, თითქოს ოსტატმა, იმის მაგივრად, მარმარილო სახელოსნოში წაეღო, იქვე, ადგილზევე გამოკვეთა გოლიათების, ტიტანების,

მრისხანების, ეჭვის, ცნობისმოყვარეობის, შურის, სიძულვილის, ტანჯვის, სიამაყის, შიშის, სიყვარულის ჯგუფთა ხლართები.

ამასობაში ის საღამოც დადგა, როცა მორელი უნდა წასულიყო. ჟიუპიენმა თავისი მისია შეასრულა. ის და ბარონი საღამოს თერთმეტ საათზე მივიდოდნენ და იქ დაიმალებოდნენ. საროსკიპოს დიდებულ სახლამდე (სადაც ახლომახლო მდებარე ყველა ელეგანტური კურორტიდან ჩამოდიოდნენ) მხოლოდ სამი ქუჩაღა რჩებოდა გასავლელი, ბატონი დე შარლიუ უკვე თითის წვერებზე აწეული მიდიოდა, ხმაც შეიცვალა, ჟიუპიენს ევედრებოდა, ჩუმად ელაპარაკა, ეშინოდა, საროსკიპოს ფანჯრიდან მორელს მათი ხმა არ გაეგო. ვესტიბიულში შეპარულმა ბატონმა დე შარლიუმ, რომელიც მსგავს დაწესებულებებს ცუდად იცნობდა, მისდა გასაოცებლად და თავზარდასაცემად აღმოაჩინა, რომ უფრო ხმაურიან ადგილზე მოხვდა, ვიდრე ბირა ან აუქციონია. ამაოდ მოითხოვდა მის ირგვლივ მოტრიალე სუბრეტებისგან[197], წყნარად ელაპარაკათ; თუმცა მათ ხმასაც ხნიერი «უფროსი მსახურის თანაშემწის» ყვირილი ახშობდა, რომელსაც მეტისმეტად შავი პარიკი ეკეთა და ნაოჭების ყოველ ნაკეცში ნოტარიუსისა თუ ესპანელი ღვთისმსახურის მედიდურობა ჩაწოლილიყო და რომელიც წარამარა მქუხარე ხმით, თითქოს ქუჩაში მოძრაობას აწესრიგებსო, ბრძანებდა, ხან დაეხურათ, ხანაც გაეღოთ კარები. «ეს ბატონი ოცდამერვე, ესპანურ ოთახში მიაცილეთ». «ახლა იქ შესვლა არ შეიძლება». «კარი გააღეთ, ეს ბატონები მადმუაზელ ნოემის კითხულობენ. ის სპარსულ სალონში ელოდებათ». ბატონი დე შარლიუ ისე შეშინდა, როგორც პროვინციალი, რომელიც ქუჩაზე გადადის; ისე დაფრთხა, ქუჩაშიც კი ეშინოდა, ფანჯარასთან მდგარ მორელს მისი ხმა არ გაეგო,

რაშიც ბარონი სრულიად დარწმუნებული იყო, აქ კი, ამ უზარმაზარ კიბეზე ბრდღვინვა-ხმაურში, ოთახში მყოფნი რომ ვერაფერს გაარჩევდნენ, უკვე ისე აღარ ეშინოდა. ბოლოს მისი გოლგოთაც დამთავრდა, მადმუაზელ ნოემის შეხვდა, რომელსაც ჟიუპენთან ერთად უნდა დაემალა, და რომელმაც ჯერ ფრიად დიდებულ სპარსულ სალონში ჩაკეტა ისინი, საიდანაც არაფერი ჩანდა. თან შეატყობინა, მორელმა ორანჟიდი მოითხოვა, როგორც კი მიუტანენ, ორივეს გამჭვირვალეკედლებიან სალონში შეგიყვანენო. მერე ვიღაცამ მოითხოვა და გამოიძახეს, როგორც ზღაპარშია, წასვლისას აღუთქვა, ვინმე «ჭკვიან ქალს» გამოგიგზავნით და ის დაგეხმარებათო. «ჭკვიან ქალს» სპარსული ხალათი ეცვა, შემოსვლისთანავე გახდა მოინდომა. ბატონმა დე შარლიუმ სთხოვა, არ შეწუხდეთო, მაშინ განკარგულება გასცა, შამპანური შემოეტანათ, რომელიც ბოთლი ორმოცი ფრანკი ღირდა. ამ დროს მორელი უკვე პრინც დე გერმანტთან იყო; მერე თავი მოიკატუნა, ვითომ ოთახი შეეშალა და იქ აღმოჩნდა, სადაც ორი ქალი იმყოფებოდა. ქალებმა ამ ორი მამაკაცის ერთად დატოვება იჩქარეს. ბატონმა დე შარლიუმ ამის შესახებ არაფერი იცოდა, ჯავრობდა, ყველა კარს გავაღებო, იმუქრებოდა, მადმუაზელ ნოემის მოსვლას მოითხოვდა, რომელმაც, გაიგო თუ არა, ეს «ჭკვიანი ქალი» ბარონს ისეთ ცნობებს აწვდიდა მორელზე, რაც იმ ცნობებს არ ემთხვეოდა, ჟიუპიენს რომ მისცა, მალევე «ჭკვიანი ქალის» მაგივრად «სასიამოვნო ქალი» გამოგზავნა, არც ამან

იცოდა რაიმე, სამაგიეროდ, მოჰყვა, რა კარგად იყო ამ სახლის საქმეები აწყობილი და წინა ქალივით შამპანური მოითხოვა. პირზე ქაფმორეულმა ბარონმა ისევ მადმუაზელ ნოემი იხმო: «საქმე ცოტა გაჯანჯლდა, ქალები შესაფერ პოზებს იღებენ, მაგრამ ის თითქოს არაფრის გაკეთებას არ აპირებს», – მოახსენა ნოემმა. ბოლოს ბარონის დაპირებებმა, მუქარამ მადმუაზელზე იმოქმედა და აღუთქვა, ხუთ წუთზე მეტის მოცდა არ მოგიწევთო, გაბრუნდა და გულმოსული წავიდა. ეს ხუთი წუთი მთელი საათი გაგრძელდა, მერეღა წაიყვანა მალვით ოდნავ გამოღებული კარისკენ

განრისხებული ბარონი და სასოწარკვეთილებამდე მისული ჟიუპიენი. «აქედან კარგად დაინახავთ, – თქვა. – თუმც განსაკუთრებულად საინტერესო არაფერი ხდება, სამ ქალთან ერთად ზის და პოლკში თავის ცხოვრებაზე ჰყვება». ბოლოს და ბოლოს, ბარონმა ოდნავ გამოღებულ კარებსა და სარკეებში რაღაცის დანახვა შეძლო. და საზარელი შიშით შეპყრობილი კედელს მიეყრდნო. მის წინ მართლაც მორელი იყო, მაგრამ თითქოს მისტიკური ჯადოთი თუ ჯადოქრობით მონუსხული, უფრო აჩრდილი მორელისა, მუმია, ის მორელი კი არა, მკვდრეთით აღმსდგარი ლაზარესავით, არამედ რაღაც მორელის მსგავსი, აჩრდილი მორელისა, მორელი-მოჩვენება, ამ ოთახში (რომლის ყოველი კედელი და დივანი ჯადოსნური ნიშნებით იყო მოჩითული) გამოძახებული სული მორელისა. ასეთი მორელი იჯდა ბატონი დე შარლიუსგან რამდენიმე მეტრის დაშორებით, პროფილით მისკენ მობრუნებული. მიცვალებულივით გაფითრებული არ იყო, მაგრამ ამ ქალებს შორის, რომლებთანაც თავდავიწყებით უნდა ემხიარულა, გაქვავებული, რაღაც უცნაურად გალურჯებული იჯდა; მის წინ მდგარი შამპანურით სავსე ბოკალის აღებას ეცადა, მაგრამ ხელები უღონოდ ჩამოუვარდა. იყო ამ სანახაობაში რაღაც წინააღმდეგობა, როგორც რელიგიაში, რომელიც გვიმტკიცებს, უკვდავება არსებობსო და ამავე დროს არ გამორიცხავს არმყოფობის შესაძლებლობასაც. ქალები კითხვებს აყრიდნენ. «ხომ ხედავთ, – ჩურჩულით უთხრა ნოემმა ბარონს, – პოლკში მისი ცხოვრების შესახებ ეკითხებიან. თავშესაქცევია, არა? – და გაიცინა. – კმაყოფილი ხართ? მშვიდადაა, ასე არ არის?» – ისე ჰკითხა, თითქოს მიცვალებულზე ელაპარაკებოდა. ქალები გამოკითხვას განაგრძობდნენ, მაგრამ უსიცოცხლო მორელს ძალა არ ჰყოფნიდა, პასუხი გაეცა. არა, მეტყველების აღდგენის სასწაული არ მოხდა. ბატონ დე შარლიუს ეჭვი აღარ ეპარებოდა და სიმართლეს მიხვდა: ან ჟიუპიენმა გამოიჩინა მოლაპარაკებისას წინდაუხედაობა, ან რაღაც დაუოკებელი ძალა მოქმედებდა, რაც იმით გამოიხატა, რომ საიდუმლო არასოდეს ინახება, ან აქ

თავისი როლი ითამაშა ქალურმა ყბედობამ, ანდა პოლიციის შიშმა და მორელი გააფრთხილეს – ვიღაც ორმა ბატონმა მის ნახვაში დიდძალი ფული გადაიხადა. პრინცი დე გერმანტი გააპარეს, იგი სამ ქალად იქცა, ხოლო შიშისგან ბნედადაცემული უბედური მორელი ამ სამ ქალში იმგვარად დასვეს, ბარონს ცუდად დაენახა; მას კი, შეშინებულს, ენაჩავარდნილს, ბოკალი ისე გაუბედავად უნდა აეღო, ხელიდან გასხლტომოდა და იატაკზე ჩამოვარდნოდა; ბარონმა ყველაფერი კარგად დაინახა.

---

* * *

ეს ამბავი პრინც დე გერმანტისთვისაც ცუდად დამთავრდა. პრინცს წასვლა სთხოვეს, ბატონ დე შარლიუს რომ არ ენახა, და ამ მარცხმა იგი გააცოფა, მით უმეტეს, ვერაფრით მიხვდა, ვინ ჩაუშალა ეს საქმე, და მორელს ეხვეწებოდა, რომელმაც ისევ არ ისურვა ვინაობის გამხელა, შემდეგ საღამოს პაემანზე მასთან პატარა ვილაში მისულიყო, რომელიც, მიუხედავად იმისა, აქ დიდხანს დარჩენას არ აპირებდა, მაინც იქირავა, და რაღაც მანიით შეპყრობილმა, რაც უკვე მარკიზ დე ვილპარიზსაც შევამჩნიეთ, ოჯახური მყუდროების შესაქმნელად სხვადასხვა საოჯახო რელიკვიით დაამშვენა. და აი, მეორე დღეს მორელი, წარამარა აქეთ-იქით რომ იხედებოდა შიშით, ვაითუ ბატონი დე შარლიუ ფეხდაფეხ მომყვებაო, თუმც საეჭვო არაფერი შეუმჩნევია, ვილაში შევიდა. მსახურმა სასტუმრო ოთახში შეიყვანა და უთხრა, რომ ბატონს ახლავე მოახსენებდა (პატრონმა, იმის შიშით, ეჭვი არ გამოეწვია, მსახურს უბრძანა, სტუმრისთვის არ გაემხილა, რომ იგი პრინცი დე გერმანტი იყო). მარტო დარჩენილმა მორელმა სარკეში საკუთარი თავის შეთვალიერება გადაწყვიტა, აინტერესებდა, კულულები აწეწილ-დაწეწილი ხომ არ ჰქონდა, და უცბად მოეჩვენა, რომ ჰალუცინაციები დაეწყო. ბუხრის თავზე შემოდებულმა პრინცესა დე გერმანტის, ჰერცოგინია დე ლუქსემბურგელის, მარკიზა დე ვილპარიზის მევიოლინისთვის ნაცნობმა ფოტოებმა, ბატონ დე შარლიუსთან რომ ენახა, შიშისგან გააქვავა. შორიახლო თვით ბატონი დე შარლიუს სურათიც შეამჩნია. ისე ჩანდა, თითქოს ბარონი უცნაური თვალჩაციებით შემოჰყურებდა მორელს. შიშისგან გაგიჟებულს, გაშტერებიდან ძლივს გამოსულს უკვე ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ მახე დაუგეს, სადაც ბატონმა დე შარლიუმ შეიტყუა, რათა მისი ერთგულება გამოეცადა და... კიბე ოთხ-ოთხ საფეხურგადაბიჯებით ჩაათავა, თავქუდმოგლეჯით გავარდა გზაზე. როცა პრინცი (თავის

შემთხვევით ნაცნობს იმდენი რომ ალოდინა, რამდენიც წესი და რიგი იყო, თან დროდადრო საკუთარ თავს ეკითხებოდა, სიფრთხილის ყველა ზომა მიღებული თუ ჰქონდა და ეს ინდივიდი სახიფათო ხომ არ იყო) სალონში შევიდა, იქ არავინ დახვდა. გაძარცვის შიშით პისტოლეტშემართულმა მსახურთან ერთად ამაოდ მოიარა მთელი სახლი, ბაღის ყველა შორეული კუნჭული, სარდაფი; სტუმარი, რომლის მოსვლაშიც დარწმუნებული იყო, გაქრა. მომდევნო კვირას კიდევ რამდენჯერმე შეხვდნენ ერთმანეთს, მორელი, ეს სახიფათო ინდივიდი, ისე გაურბოდა, თითქოს სწორედ პრინცი ყოფილიყო მისთვის სახიფათო. ეჭვგაკერპებულმა მისგან ვერა და ვერ დაიხსნა თავი; პარიზშიც პრინცის დანახვისთანავე უჩინარდებოდა. ასე გადაიტანა ბატონმა დე შარლიუმ ღალატის საშიშროება, რომელიც სასოწარკვეთილებაში აგდებდა, ბედმა მის მაგივრად იყარა ჯავრი, თუმცა ისე, რომ თავად არ გაუგია და, რაც მთავარია, არც ის, როგორ მიეგო სამაგიერო.

ამ ნაამბობს სხვა ამბები ცვლის, მატარებელი კი ურემივით მიჩოჩავს, მომდევნო სადგურებში ზოგი მგზავრი ჩადის, ზოგიც ამოდის.

გრატვასტში ზოგჯერ პიერ დე ვერჟიუსი[198], გრაფი დე კრესი (ყველა გრაფ დე კრესს ეძახდა) ამოდიოდა, რადგან გრატვასტში მისი და ცხოვრობდა, რომელთანაც დღის მეორე ნახევარს ატარებდა; ეს, მართალია, გაღარიბებული, მაგრამ აზნაურის იშვიათი სულიერი კეთილშობილებით გამორჩეული კაცი კამბერემერებთან გავიცანი, თუმცა მათთან მაინცდამაინც არ მეგობრობდა. ისეთ სავალალო ცხოვრებას მიათრევდა, ისეთი სიხარულით იღებდა სიგარისა თუ «სირჩა სასმელის» დალევის შეთავაზებას, რომ ჩვეულებად მექცა, როცა ალბერტინთან შეხვედრა არ შემეძლო, ბალბეკში მიმეწვია. ძალიან გონებამახვილი, საუბრის

ბრწყინვალე ნიჭით დაჯილდოებული სრულიად ჭაღარა, უმშვენიერეს ცისფერთვალა კაცი უხალისოდ და უკიდურესად თავდაჭერილად ლაპარაკობდა ბატონკაცურ გაფუფუნებულ ცხოვრებაზე, რომელიც, ეტყობა, ოდესღაც ჰქონდა, და გენეალოგიაზე. როცა ვკითხე, მის ბეჭედზე რა იყო ამოტვიფრული, მოკრძალებული ღიმილით მიპასუხა: «მკვახე ყურძნის მტევანი» და დეგუსტატორის სიამოვნებადატანებით მოაყოლა: «ჩვენი ღერბი მკვახე ყურძნის მტევანია და სიმბოლური დატვირთვა აქვს, ჩემი გვარი ხომ ვერჟიუსია – ღერო და ფოთოლი კი მწვანე ფერისაა». მაგრამ, ვფიქრობ, ბალბეკში თუ მჟავე ღვინით გავუმასპინძლდებოდი, ნაწყენი დამრჩებოდა. ძვირფასი ღვინოები მოსწონდა, ალბათ, იმიტომ, რომ ხელმოკლედ ცხოვრობდა და ნათლად გრძნობდა თავის სიბეჩავეს, ანდა ასეთი გემოვნება ჰქონდა, შეიძლება იმიტომაც, რომ სმა უყვარდა. როცა ბალბეკში სავახშმოდ ვიწვევდი, დახვეწილი გემოვნებით ირჩევდა საჭმელს, ბევრს ჭამდა, განსაკუთრებით ბევრს სვამდა, თუ ღვინის ერთ სახეობას ოთახის ტემპერატურისას ირჩევდა, სხვა ღვინოებს ჩაციებულს მოითხოვდა. ვახშმის წინ და ვახშმის შემდეგ პორტვეინისა და კონიაკის ჩამოსხმის წელსა და ნომერს ისე ასახელებდა, როგორც მარკიზატის დაარსების წელს, რომელიც მის გარდა ცოტამ თუ იცოდა.

რადგან ემესთვის საყვარელი კლიენტი ვიყავი, აღფრთოვანებას ვერ მალავდა, როცა ნატიფ ვახშმებს ვაწყობდი, და ოფიციანტებს უყვიროდა: «ჩქარა, ოცდამეხუთე მაგიდა გაშალეთ»; ოღონდ «გაშალეთ» კი არ ამბობდა, «გამიშალეთ»-ო იტყოდა ისე, თითქოს სუფრას თავისთვის აწყობინებდა. მეტრდოტელი ისე როდი ლაპარაკობდა, როგორც უფროსი ოფიციანტები, უბრალო ოფიციანტები, მომსახურე პერსონალი და სხვა; ანგარიშს რომ მოვითხოვდი, ჩვენი მაგიდის მომსახურე ოფიციანტს ეუბნებოდა, თან ხელს ისე აიქნევდა, თითქოს ცხენის დაშოშმინება სურდა, რომელიც აგერ-აგერ თავს აიწყვეტდა: «თავხედურად არ მოექცეთ

(ანგარიშს), მსუბუქად, რაც შეიძლება მსუბუქად». როცა ოფიციანტი ჩვენი მაგიდისკენ ანგარიშით წამოვიდოდა, ემე, იმის შიშით, მის განკარგულებას მაინცდამაინც დიდი სიზუსტით არ შეასრულებდნენ, მიაძახებდა: «მოიცათ, თვითონ

ვიანგარიშებ». თუ ვეტყოდი, შეწუხებად არ ღირს-მეთქი, სიტყვას მიბრუნებდა: «ასეთი პრინციპი მაქვს, უხეშად რომ ვთქვათ, კლიენტი არ მოვატყუოთ». როცა დირექტორმა შეამჩნია, ჩემს სტუმარს ერთი და იგივე მოკრძალებული, დიდი ხნის ნახმარი ტანსაცმელი ეცვა (არადა, მხოლოდ მას ერთს ჰქონდა უნარი, თუ ამის საშუალება ექნებოდა, ბალზაკის პეწენიკი პერსონაჟებივით ლაზათიანად ჩაეცვა), მხოლოდ იმითღა შემოიფარგლა, ესეც ჩემი გულისთვის, შორიდან ედევნებინა თვალი, ყველაფერი რიგზე იყო თუ არა ან მაგიდას ფეხსქვეშ რამის დადება ხომ არ სჭირდებოდა, რომ არ ეკოჭლა; შემოიფარგლა არა იმიტომ, რომ საქმის კეთება თვითონ არ შეეძლო – მან ხომ რესტორნებში ჭურჭლის რეცხვით დაიწყო საქმიანობა. ერთხელ მხოლოდ გამონაკლისმა შემთხვევამ აიძულა, ინდაურები დაეჭრა. მაშინ რესტორანში არ ვიყავი, მერე მიამბეს, რომ ეს პროცედურა ქურუმის სიდიადით ჩაატარა, საპატიო მანძილზე მდგარი ოფიციანტების გარემოცვაში, რომლებსაც არაიმდენად ინდაურის დაჭრის სწავლა უნდოდათ, რამდენადაც მისი თვალთახედვის არეში მოქცევას ლამობდნენ და სახეზე ბედნიერი, აღტაცებული ღიმილი ეფარათ. თურმე როგორ არ ეცადნენ, ქურუმს მათთვის ყურადღება მიექცია (ნელა, თავისი ქურუმთმსახურებისთვის თვალმოუშორებლად რომ გაუყარა მსხვერპლს დანა, თითქოს იქიდან მომავლის რაღაც წინასწარმეტყველებას ელოდა), მაგრამ ის ვერავის ხედავდა. ქურუმმა ისიც ვერ შეამჩნია, რომ რესტორანში არ ვიყავი, მერეღა გაიგო და სასოწარკვეთას მიეცა. «მართლა ვერ ნახეთ, ინდაურები როგორ დავჭერი?» ვუპასუხე, რომ, რადგან ჯერ კიდევ არ მინახავს რომი, ვენეცია, სიენა, პრადო, დრეზდენის გალერეა, ინდოეთი, სარა «ფედრაში», ისღა მრჩება, ბედისწერას დავემორჩილო და ახლა ამ სიას ინდაურის დაჭრის თქვენეული ხელოვნებაც მივუმატო-მეთქი.

ეტყობა, ვერაფერი გაიგო, გარდა მისი ხელოვნების შედარებისა დრამატულ ხელოვნებასთან (სარას თამაში «ფედრაში»). «სულერთია, თქვენ მაგივრად მაინც ვწუხვარ. კიდევ როდისღა მომიწევს ინდაურის დაჭრა? ალბათ, რაღაც დიდ მოვლენას უნდა ველოდოთ, მაგალითად, ომს». ამ დღიდან კალენდარი შეიცვალა და ათვლა ასე ხდებოდა: «ეს, ინდაურები რომ დავჭერი, იმის მეორე დღეს». «ეს მოხდა ზუსტად ერთი კვირის შემდეგ, რაც დირექტორმა საკუთარი ხელით ინდაურები დაჭრა». ამგვარად, ეს ანატომიური მოვლენა, ქრისტეს შობასავით ანდა ჰეჯრასავით[199], იმ კალენდრის ამოსავალ წერტილად იქცა, ყველა დანარჩენისაგან განსხვავებული რომ იყო, ოღონდ ფართო გავრცელება ვერ პოვა და, დანარჩენისგან განსხვავებით, ვერც დიდხანს იარსება.

გრაფ დე კრესის ყველაზე დიდი საწუხარი იყო ის, რომ აღარ შეეძლო ცხენების ყოლა, ყუათიანი მაგიდის გაშლა და იძულებული იყო, ისეთ ადამიანებთან ჰქონოდა ნაცნობობა, რომლებსაც კამბრემერები და გერმანტები ერთი და იგივე ხალხი ეგონათ. როცა გაიგო, რომ ვიცოდი, ლე გრანდენს, რომელიც ახლა მოითხოვდა მისთვის ლეგრან დე მეზეგლიზი ეწოდებინათ, ასეთი ტიტულის ტარების უფლება არ ჰქონდა, ამან – ალბათ, ღვინის ბრალიც იყო – ძალიან აღაგზნო და დიდი სიხარული მიანიჭა.

მისი და, იმ ადამიანის იერით, რომელმაც იცის, რაზეც ლაპარაკობს, მეუბნებოდა: «ჩემი ძმისთვის დიდი ბედნიერებაა თქვენთან საუბარი». მართლაც, მას შემდეგ გამოცოცხლდა, რაც ისეთი ადამიანი აღმოაჩინა, ვინც კამბრემერების უფერულებას გერმანტების სიდიადისგან ანსხვავებდა, ადამიანი, რომლისთვისაც საზოგადოებრივ ურთიერთობათა სამყარო არსებობდა. იმის მსგავსად, დედამიწაზე ყველა ბიბლიოთეკა რომ დამწვარიყო და უმეცართა რასა გაბატნებულიყო, საკმარისი იყო, ვინმე მოხუცი ლათინისტისთვის ჰორაციუსის ერთი ლექსი ეთქვათ, ფეხქვეშ მიწა ეგრძნო და სიცოცხლე

მონდომებოდა. როცა ვაგონიდან ჩამოსვლისას მეკითხებოდა: «კიდევ როდის შევხვდებით?» იმ წუთებში მხოლოდ პარაზიტის სიხარბე როდი ლაპარაკობდა, არც მხოლოდ ერუდიტის დაუკმაყოფილებელი გრძნობა, არამედ ისიც, რომ ბალბეკური ნადიმები ექცა მხოლოდ საშუალებად, იმ თემებზე ელაპარაკა, მისთვის ასე ახლობელი რომ იყო და სხვაგან ვერც ვერავისთან ილაპარაკებდა. ეს ნადიმები მისთვის იგივე იყო, რაც ბიბლიოფილებისთვის უჩვეულოდ გემრიელი ვახშმობები კლუბში, სადაც მათი საზოგადოება განსაზღვრულ საათებში იკრიბებოდა. გრაფ დე კრესს არასოდეს უტრაბახია თავისი წარმომავლობით, ისიც დამიმალა, რომ ძალიან წარჩინებული გვარის შვილი იყო. როცა გავიგე, რომ იგი ნამდვილი კრესი იყო, ვუთხარი, ქალბატონ დე გერმანტის ერთი ნათესავი ამერიკელ ჩარლზ კრესის გაჰყვა-მეთქი ცოლად, იქვე დავუმატე, მასთან, ალბათ, არანაირი ურთიერთობა არა გაქვთ-მეთქი. «არავითარი, – დამიდასტურა მან. – თუმცა ჩემი გვარი არც ისე სახელგანთქმულია, როგორც ბევრი ამერიკელისა – მონგომერის, ბერის, ჩაუდოს ან კაპელის, თუმცა პემბროკების, ბუკინგემების, ესექსების ან ჰერცოგ დე ბერიელის საგვარეულოსთან ვერც ესენი მოვლენ». მოვინდომებდი ხოლმე მის გართობას ქალბატონ სვანთან ჩემი ნაცნობობით, რომელიც ოდესღაც პაწია ოდეტ დე კრესის სახელით იყო ცნობილი; თუმცა ჰერცოგ დ’ალანსონელს სულაც არ ეჩოთირებოდა, როცა ემილიენ დ’ალანსონელზე ელაპარაკებოდნენ, ვგრძნობდი, ჯერ ისე ახლოს არ ვიყავი გრაფ დე კრესისთან, რომ თავისთვის მსგავსი ხუმრობის უფლება მიმეცა. «ძალიან ცნობილი გვარიშვილია, – მითხრა ერთხელ ბატონმა დე მონსიურვანმა. – სეილორებიდან მოდიან». იქვე მის ენკერვილთან მდებარე ძველისძველ ციხე-კოშკზეც მიამბო, რომელზეც, თუმცა ახლა სანახევროდ დანგრეულია, რადგან, მართალია, დე კრესი ძალიან მდიდარი ოჯახიდან არის, მაგრამ იმდენად გაღარიბებულია, რომ მის აღსადგენად ძალა არ შესწევს, დღესაც შეიძლება მისი გვარის უძველესი დევიზის გარჩევაო. ყველა დროის

უმშვენიერეს დევიზად მივიჩნიე იგი. სეილორის გვარს ორმაგი აზრი აქვს და თანახმიერია დევიზთან: «Ne scait l’heure»[200].

ერმონვილში ზოგჯერ ვაგონს ბატონი დე შევრენი შემოემატებოდა, რომლის გვარიც, როგორც ბრიშომ გაგვანათლა, ისევე, როგორც მონსენიორ დე კაბრიერის[201] გვარი, ნიშნავდა: «ადგილი, სადაც თავს იყრიან თხები». იგი კამბრემერების ნათესავი იყო, ამიტომაც და იმის გამოც, რომ არასწორი წარმოდგენა ჰქონდათ ჯიშგვარობაზე,

ხშირად ეპატიჟებოდნენ ფეტერნში, ოღონდ მხოლოდ მაშინ, როცა მათთან არც ისე ბრწყინვალე საზოგადოება იკრიბებოდა. მთელი წლის განმავლობაში ბოსოლეში ცხოვრობდა, ამიტომაც მათზე უფრო პროვინციალად გამოიყურებოდა. როცა რამდენიმე კვირით პარიზში ჩადიოდა, ცდილობდა, ერთი დღეც არ დაეკარგა და რაც შეიძლება მეტის «ნახვა მოესწრო», ასწრებდა კიდეც, თანაც იმდენად ბევრს, რომ თავში ყველაფერი ერეოდა, ზოგჯერ ვერც პასუხობდა, ესა თუ ის სპექტაკლი ნახა თუ არა. მაგრამ ეს ხშირად არ ხდებოდა და, როგორც ყველა ადამიანმა, ვინც იშვიათად ჩადის პარიზში, დედაქალაქის ცხოვრების ყველა მოვლენის შესახებ დაწვრილებით იცოდა. მირჩევდა, ამა თუ იმ «სიახლის» («ღირს ამის ნახვა») სანახავად წასვლას, თვითონ «სიახლის» საყურებლად მხოლოდ საღამოს სასიამოვნოდ გატარების მიზნით დადიოდა და, თუ ეს თეატრის ისტორიაში მართლაც სიახლე აღმოჩნდებოდა, ვერ ხვდებოდა, ესთეტიკის საკითხებში სრულ უვიცობას ავლენდა. ყველაფერს ერთმანეთში ურევდა და გვეუბნებოდა: «ერთხელ «კომიკურ ოპერაშიც» ვიყავით, მაგრამ სპექტაკლი არ ვარგოდა. პიესას «პელეასი და მელისანდი» ერქვა. საინტერესო არ იყო. პერიე[202] ყველგან კარგად თამაშობს, მაგრამ მისი რამე სხვა როლში ნახვა მიჯობს. სამაგიეროდ, «ჟიმნაზში»[203] «ციხე-დარბაზის მფლობელ ქალს»[204] დგამენ. ორჯერ ვიყავით მის სანახავად. აუცილებლად წადით, ამის ნახვა ღირს. დიდებულად თამაშობენ. ფრევალი[205],

მარი მანიე[206] და ბარონ-შვილი[207] მონაწილეობენ». და იმ მსახიობების სახელებს ჩამოთვლიდა, რომლებზეც არასოდეს არაფერი გამეგო, მათ სახელებს არც «ბატონს», არც «ქალბატონს» და არც «მადმუაზელს» არ უმატებდა, როგორც ამას ჰერცოგი დე გერმანტი აკეთებდა, რომელიც ერთნაირი აბუჩად ამგდები, გადაპრანჭული ტონით ლაპარაკობდა «მადმუაზელ ივეტ გილბერის[208] სიმღერებზე» და «ბატონ შარიკოს ცდებზეც». ბატონი დე შევრენი სახელებს სხვადასხვანაირად წარმოთქვამდა, ისე ამბობდა «კორნალია»[209] და «დოჰემი»[210], როგორც ვოლტერსა და მონტესკიეს იტყოდა. საქმე ის არის, რომ არისტოკრატიული ჩვევა, მსახიობების ზემოდან ყურება, ისევე, როგორც ყოველივე პარიზულის, ამჟღავნებდა პროვინციალის სურვილს, ეჩვენებინა, რომ აქ თავის სახლშია.

ლა რასპელიერში «ახალგაზრდა წყვილთან» პირველი ვახშმობის შემდეგ, როგორც ფეტერნში ჯერ კიდევ ეძახოდნენ ბატონ და ქალბატონ დე კამბრემერებს, თუმცა ორივე ახალგაზრდობის ასაკს უკვე გადასული იყო, წერილი მივიღე, ხელნაწერის მიხედვით, ათასი სხვა ხელნაწერისგან რომ გამოირჩეოდა, მაშინვე ვიცანი, რომ იგი მოხუცი მარკიზასგან იყო. ის მწერდა: «წამოიყვანეთ თქვენი მეგობარი – მშვენიერი მომხიბლავი, საყვარელი. ჩვენთვის ეს უდიდესი სიამოვნება იქნება». იმ განუსჯელმა თავდაჯერებულობამ, როგორითაც იგი აღმავალი ხაზით დაღმავალს ცვლიდა, ბოლოს და ბოლოს მაიძულა, ამ დიმინუენდოებზე[211] აზრი შემეცვალა: მათში განზრახულობა და ცუდი გემოვნება შევიცანი, ოღონდ მხოლოდ მაღალი წრის ურთიერთობებში გამოვლენილი, რამაც სენტ-ბევი აიძულა, ყველა ჩვეული სიტყვათშეხამება დაენგრია და ყოველდღიურად სახმარი გამოთქმები

დაემახინჯებინა. მარკიზა დე კამბრემერის ეპისტოლარულ სტილში, როგორც ჩანს, ერთმანეთს შეეჯახა ორი სხვადასხვა მწერლის მანერა, ამასთან, მეორე მარკიზას მრავალრიცხოვანი ეპითეტის ბანალურობის დაღმავალი გამით

ჩანაცვლებას და ფინალური აკორდების დასრულებისთვის თავის არიდებას მოითხოვდა. ქვრივი მარკიზას სიტყვათა უკუწყობაში სინატიფე მაინც დავინახე, მაშინ, როცა მის ვაჟს ან ნათესავ ქალებს მეტი მოუქნელობა ეტყობოდათ. მათ გვარში დიდ პატივში იყო – ჯერ ერთი, იმიტომ, რომ იგი მათი წინაპრებიდან იწყებოდა, მეორეც, დეიდა ზელიას მოწიწებული მიმბაძველობის გამო – სამი ეპითეტის წესი, ისევე, როგორც სულის შემხუთველი აღფრთოვანების გამოხატვისას ფრაზის შუაში სულის მოსათქმელი შეჩერება. ეს მიბაძვა სისხლსა და ხორცში ჰქონდათ გამჯდარი და, როცა გოგონა ადრეულ ასაკშივე ნერწყვის გადასაყლაპად ფრაზას წყვეტდა, ამბობდნენ: «დეიდა ზელიასგან მოსდგამს»; ყველა დარწმუნებული იყო, ზედა ტუჩზე ულვაში ამოუბიბინდებოდა, და ყველა საკუთარ თავს პირობას აძლევდა, რომ მისი მუსიკალური შესაძლებლობის განვითარებაზე იზრუნებდა. მალე კამბრემერების ქალბატონ ვერდიურენთან ურთიერთობა სხვადასხვა მიზეზის გამო გაუარესდა. კამბრემერები მის დაპატიჟებას აპირებდნენ. «ახალგაზრდა» მარკიზამ აგდებული ტონით მითხრა: «მიზეზს ვერ ვხედავ, ეს ქალი რატომ არ უნდა მოვიწვიოთ. აგარაკზე დასაშვებია, ვისაც გნებავთ, იმათ შევხვდეთ, ეს არაფერს გვავნებს». მართალია, ამ ქალმა ისინი ნაწილობრივ დააინტერესა, მაგრამ რჩევებს მაინც მეკითხებოდნენ – როგორ მოეხადათ მისდამი თავაზიანობის მოვალეობა. რადგან სავახშმოდ მე და ალბერტინს დაგვიძახეს, სენ-ლუს მეგობრებიც მიიწვიეს, ადგილობრივი არისტოკრატები, გურვილის ციხე-დარბაზის მფლობელები, ნორმანდიული საზოგადოების ნამდვილი ნაღები, რომლებთანაც ქალბატონ ვერდიურენს, თუმც ცდილობდა, არ შეემჩნია, ურთიერთობის დიდი სურვილი ჰქონდა, ამიტომ კამბრემერებს მისი მოწვევაც ვურჩიე. მაგრამ ფეტერნის ციხე-დარბაზის მფლობელებმა, არ ვიცი, იმის შიშით (ძალიან მორცხვები იყვნენ), ვაითუ, მისი კეთილშობილი სტუმრები უკმაყოფილო დარჩენილიყვნენ, თუ მოერიდათ (ძალიან გულუბრყვილონიც), რომ

ვერდიურენები მოიწყენდნენ იმ ადამიანებთან, ვინც ინტელექტუალურ საზოგადოებას არ ეკუთვნოდა, შეიძლება სხვადასხვა ჟანრის, სხვადასხვა ჯურის ხალხის ერთმანეთში არევა არ მოისურვეს და, ქალბატონი ვერდიურენის მოწვევა, უმჯობესია, სხვა დროისთვის შემოვინახოთო, გამომიცხადეს. «ბირთვიდან» მხოლოდ მორელი დაპატიჟეს, ისიც იმიტომ, რომ ბარონის ყურამდე მიეტანა, რა ბრწყინვალე ადამიანებს იღებდნენ, ისიც გათვალეს, მისთვის სტუმრების გასართობად ვიოლინოს წამოღება ეთხოვათ. დაუძახეს კოტარსაც, რადგან მარკიზ დე კამბრემერმა განაცხადა, კოტარი მუდამ კარგ გუნებაზეა და ვახშმობებზე თავისი ენამახვილობით ბრწყინავს, გარდა ამისა, მასთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნებაა საჭირო იმ შემთხვევისთვის, თუ ვინმე ავად გახდებაო. მაგრამ კოტარს მარტო დაუძახეს, ქალები არ გვჭირდებაო, თქვეს. ქალბატონი ვერდიურენი გაანჩხლდა,

როცა გაიგო, რომ მას ფეტერნში «ვიწრო წრის» ვახშამზე არ იწვევდნენ და მისი პატარა ჯგუფიდან მხოლოდ ორი იყო მიპატიჟებული. დოქტორს მიპატიჟების მიღება სურდა, მაგრამ ქალბატონმა ვერდიურენმა ამაყი უარი უკარნახა: «დღეს ჩვენ ქალბატონ ვერდიურენთან ვვახშმობთ» – მრავლობით რიცხვს კამბრემერებისთვის ჭკუა უნდა ესწავლებინა და მიეხვედრებინა, რომ კოტარი და მისი მეუღლე ერთი მთლიანობაა. მორელმა კი, ქალბატონ ვერდიურენს არ მოუწია მისი უზრდელობის გზაზე დაყენება, თავად აირჩია, ასევე მოქცეულიყო. რაც შეეხება გართობას, დამოუკიდებლობა შეინარჩუნა და ეს სწყინდა ბარონს, მაგრამ უკვე ვნახეთ, რომ სხვა საკითხებში ბატონ დე შარლიუს მასზე დიდი გავლენა ჰქონდა, ის, რომ მისი მუსიკალური განათლება ფართოვდებოდა, დაკვრის სტილშიც დიდ წარმატებებს მიაღწია, ბარონის დამსახურება იყო. მაგრამ ეს მხოლოდ გავლენაა. იყო საკითხები, რომელთან დაკავშირებით რაც უნდა ეთქვა ბატონ დე შარლიუს, მორელი ყველა მის მოსაზრებას უსიტყვოდ იზიარებდა და ასრულებდა. ბრმად და განუსჯელად, მაგრამ ბატონ დე შარლიუს მსჯელობები საფუძველშივე სიყალბე იყო:

და, თუ ისინი ზვიად ბარონს რამეში ადგებოდა, მორელის შემთხვევაში, ბრმად რომ ემორჩილებოდა, ერთობ სასაცილო ჩანდა. საკითხი, მორელის ასეთ ნდობას რომ იწვევდა და დამრიგებლისადმი მორჩილებას გამოხატავდა, მაღალი საზოგადოების ურთიერთობების საკითხი გახლდათ. ბატონი დე შარლიუს გაცნობამდე მას უმცირესი წარმოდგენაც არ ჰქონდა დიდკაცთა საზოგადოებაზე და მევიოლინემ ის საეჭვო სქემა ირწმუნა, ბარონმა რომ მოუხაზა: «მხოლოდ რამდენიმე ყველაზე სახელოვანი გვარი არსებობს, – უთხრა ბატონმა დე შარლიუმ, – უპირველეს ყოვლისა, ესენი არიან გერმანტები, ვისაც საფრანგეთის სამეფო კართან თოთხმეტი ქორწინება აკავშირებს. ზუსტად ალდონის დე გერმანტს და არა ლუდოვიკო სქელს, თუმცა ერთი სისხლისანი არიან, მაგრამ უმცროსი ძმა იყო, უნდა დაეკავებინა საფრანგეთის სამეფო ტახტი. ლუდოვიკო მეთოთხმეტის დროს მეფის უფროსი ძმის გარდაცვალების გამო სამგლოვიარო ტანსაცმელი გვეცვა, რადგან მისი ბებია ჩვენი ბებიაც იყო. ნეაპოლიტანელ მეფეთა და გრაფი დე პუატიეს შთამომავალნი ლა ტრემუის გვარეულობა გერმანტებზე დაბლა დგას; დ’უზეს გვარი არც ისე ძველია, ოღონდ ამ გვარეულობის წარმომადგენლები ყველაზე ძველი პერები არიან: ლუინებს სრულიად ახალი წარმომავლობა აქვთ, სამაგიეროდ, ქორწინებებით ბრწყინვალე ოჯახებს დაუკავშირდნენ; მერე მოდიან შუაზელები, ჰარკურები, ლა როშფუკოები; ამას დავუმატოთ ნოაილები, გრაფი ტულუზელები, მონტესკიუები; კასტელანები ანგარიშში არ მიიღებიან. მორჩა, მგონი, არავინ დამვიწყებია. ხოლო რაც შეეხება კამბრემერებისა და ფატეფერფიშების მსგავს წვრილფეხობას, მათსა და თქვენი პოლკის ყველაზე უკანასკნელ ჯარისკაცს შორის დიდი განსხვავება არ არის». ისტორიის ეს გაკვეთილი მორელმა მოწიწებით მოისმინა და ისე დაიწყო მსჯელობა, თითქოს თვითონ ყოფილიყო გერმანტი, მხოლოდ შემთხვევას ელოდა, ვინმე ცრუ ლა ტურ დ’ოვერნი შეხვედროდა და ზვიადად ხელის ჩამორთმევით ეგრძნობინებინა, რომ მისთვის არაფერს წარმოადგენდა, რაც

შეეხება კამბრემერებს, ეს ზუსტად ის შემთხვევა იყო, როცა შესაძლებლობა მიეცა, ბოლოს და ბოლოს, ეჩვენებინა, რომ ისინი «მისი პოლკის ყველაზე უკანასკნელი ჯარისკაცები» იყვნენ. მათ მოწვევას არ უპასუხა, მხოლოდ ვახშმის დაწყებამდე ერთი საათით ადრე, აღფრთოვანებულმა, რომ ისე იქცევა, როგორც პრინცი, გაგზავნა მოსაბოდიშებელი დეპეშა. ძნელი წარმოსადგენია, რამდენად აუტანელი და წვრილმანი ადამიანი იყო ბატონი დე შარლიუ; მიუხედავად გონებამახვილობისა, უგუნურებასაც იჩენდა, როცა მისი ხასიათის უარყოფითი მხარეები გამომზეურდებოდა. არსებითად კი, განსაკუთრებული სულიერი ავადმყოფობით იყო დასნეულებული. თუმცა ეს ყოველ ნაბიჯზე გვხვდება: თუ ძალიან ჭკვიანი, მაგრამ ნერვული კაცები და ქალები ბედნიერად, მშვიდად გრძნობენ თავს და გარემომცველი პირობები არ აღიზიანებთ, მაშინ მათი სულიერი თვისებების არ შეგშურდეთ, არ შეიძლება მათი ბაგიდან ჭეშმარიტება ღაღადებდეს. მაგრამ აი, მიგრენი, ოდნავ შელახული თავმოყვარეობა და... ყველაფერი იცვლება. ნათელი გონება ღვარძლიანი ხდება, ფეთქებადი, შეზღუდული. თითქოს საგანგებოდ იქცევიან ისე, რომ უსიამოვნო შთაბეჭდილება შექმნან. ხმაში გაბოროტებული, უნდობელი, არაგულწრფელი ტონი უჩნდებათ. კამბრემერები აღშფოთდნენ. ამ დროს კიდევ ერთმა შემთხვევამ გააფუჭა მათი ურთიერთობა ამ პატარა კლანთან. ერთხელ კოტარები, შარლიუ, ბრიშო, მარსელი და მე ლა რასპელიერში ვახშმობის შემდეგ ვბრუნდებოდით, კამბრემერები არამბუვილელ მეგობრებთან სადილის შემდეგ დაგვემგზავრნენ, «ისე ძალიან გიყვართ ბალზაკი, რომ მისი გმირების თვისებებს თანამედროვე ადამიანებში ადვილად ამჩნევთ, – მივმართე ბატონ დე შარლიუს, – როგორ გგონიათ, კაბრემერები «პროვინციული ცხოვრების სცენების» გვერდებიდან ხომ არ არიან გადმოსულნი?» მაგრამ ბატონმა დე შარლიუმ, თითქოს კამბრემერები მისი ახლო მეგობრები ყოფილიყვნენ და ჩემი ნათქვამით შეურაცხყოფა მიმეყენებინოს, უცბად მომიჭრა: «ასე იმიტომ გგონიათ, რომ მხოლოდ ერთი

საფუძველი გაქვთ შედარებისთვის: აქაც და იქაც ცოლი ქმარზე მაღლა დგას, – მშრალად მიპასუხა. «არა, იმის თქმა როდი მინდოდა, რომ იგი პროვინციული მუზაა ან ქალბატონი დე ბარჟეტონი[212], თუმცა...». ბატონმა დე შარლიუმ ისევ გამაწყვეტინა: «უკეთესია ქალბატონ დე მორსოვს[213] შეადაროთ». მატარებელი გაჩერდა და ბრიშო ჩავიდა. «აუტანელი ადამიანი ხართ. განუწყვეტლივ განიშნებდით». «რატომ?». «განა აქამდე ვერ შენიშნეთ, რომ ბრიშოს სიგიჟემდე უყვარს ქალბატონი კამბრემერი?» კოტარებისა და შარლის სახის გამომეტყველებით მივხვდი, რომ «ბირთვში» ამაში ეჭვი არავის ეპარებოდა. მეგონა, ავსიტყვაობდნენ. «განა ვერ შენიშნეთ, როგორ შეცბა, როცა მასზე ლაპარაკი დაიწყეთ?» – განაგრძო ბატონმა დე შარლიუმ. უყვარდა, როცა სხვებს აგრძნობინებდა, რა დიდი გამოცდილება ჰქონდა მდედრობით სქესთან ურთიერთობის საკითხებში და იმ გრძნობებზე, ქალებს რომ აღაგზნებთ, ისე ლაპარაკობდა, თითქოს არაფერი ყოფილიყო და თავადაც უამრავჯერ გამოეცადოს. მაგრამ მამობრივი სინაზის ორაზროვანი ტონი, როგორითაც ყველა ახალგაზრდასთან ლაპარაკობდა, როცა მამაკაცად, ქალების მოტრფიალედ უნდოდა გაესაღებინა თავი, მიუხედავად მორელისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულებისა, მაინც

ააშკარავებდა მას. «ოო, ეს ბავშვები, – წარმოთქვა მკვეთრი, პრეტენზიული და რიტმული ტონით. – ყველაფერი უნდა ასწავლო, ახალდაბადებულივით უმანკონი არიან, ვერ ხვდებიან, რომ მამაკაცს ქალი უყვარს, თქვენს ასაკში მე უფრო ცუღლუტი ვიყავი», – დაუმატა მან. ავარული სიტყვების ხმარება უყვარდა ხალხური მეტყველებიდან, იქნებ, იმიტომ, რომ ასე მოსწონდა, ან იმიტომაც, არ ეფიქრათ, თუ არ იხმარდა, ესე იგი, იმათთან ჰქონდა ურთიერთობა, ვისთვისაც ეს სიტყვები ნიადაგსახმარი ენის ნაწილი იყო. რამდენიმე დღის შემდეგ მივხვდი, რომ რეალობის საპირისპიროდ სვლა არ შეიძლებოდა და ვაღიარე, რომ ბრიშოს მარკიზა მართლა უყვარდა. მისდა საუბედუროდ, იგი კამბრემერებთან საუზმეებზე დადიოდა. ქალბატონმა ვერდიურენმა მიიჩნია, რომ უკვე დრო

იყო, ამ საქმეში ჩარეულიყო და ხელი შეეშალა. ეგონა, მისი ჩარევა «ბირთვის» პოლიტიკას სარგებელს მოუტანდა, გარდა ამისა, ბოლო დროს ყველანაირმა ახსნა-განმარტებამ გაიტაცა და, აქედან გამომდინარე, ყველანაირმა დრამამ, ისევე, როგორც არისტოკრატებში და ბურჟუაზიულ წრეებში უსაქმურობის გადამკიდე ბევრი სხვაც სცემს თაყვანს. ლა რასპელიერში ყველა აღელდა, როცა შენიშნეს, ქალბატონმა ვერდიურენმა მთელი საათი როგორ დაიმარტოხელა ბრიშო. მერე გაირკვა, თურმე მთელი ამ ხნის განმავლობაში შთააგონებდა, რომ მარკიზა დე კამბრემერი დასცინოდა, რომ ამ სალონშიც ეს ამბავი მითქმა-მოთქმის საგანი გახდა, რომ თავის ჭაღარას არცხვენს და პედაგოგიურ სამყაროშიც თავის მდგომარეობას ზიანს აყენებს. არც ის დავიწყებია, გულშემძვრელი ტონით ელაპარაკა იმ მრეცხავ ქალზე, ვისთანაც პარიზში ცხოვრობდა და ვისგანაც პატარა გოგონა ჰყავდა. მან გაიმარჯვა. ბრიშომ ფეტერნში სიარული შეწყვიტა, მაგრამ ისე წუხდა, ამ საუბრიდან ორი დღის შემდეგაც ეშინოდათ, მხედველობა საბოლოოდ არ დაეკარგა; მისი მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა და ვეღარც მოიკეთა, ამასობაში მორელზე ჯავრის ამოსაყრელად კამბრემერებმა საგანგებოდ უიმისოდ დაპატიჟეს ბატონი დე შარლიუ. ბარონისგან პასუხი რომ ვერ მიიღეს, შიშით იფიქრეს, ალბათ, უტაქტობა გამოვიჩინეთო და დაასკვნეს, რომ გულღრძოობა ცუდი მრჩეველია და დაგვიანებული მოწვევა მორელსაც აახლეს; ამ სისულელემ, რომელიც კიდევ ერთხელ ამტკიცებდა საზოგადოებაში ბარონის წონას, ბატონ დე შარლიუს თვითკმაყოფილების ღიმილი მოჰგვარა. «ორივეს სახელით უპასუხეთ, რომ თანახმა ვართ», – უთხრა მორელს. ფეტერნში ვახშმის წინ ყველა დიდ დარბაზში შეიკრიბა. ამ ვახშამს კამბრემერები ბატონი და ქალბატონი ფერეების სახით მაღალი საზოგადოების ნაღებისთვის მართავდნენ. თუმცა ძალიან ეშინოდათ, ვაითუ, ბატონ დე შარლიუს ვერაფრით ვაამოთო; მართალია, ქალბატონი და ბატონი ფერეები თავის დროზე ბატონ დე შევრენს გააცნეს, მაგრამ მაინც, ქალბატონ დე კამბრემერს სახეზე ალმური მოედო,

როცა ამ მაღალი საზოგადოების წვეულების დღეს ფეტერნში მოსული შევრენი დაინახა, კამბრემერებმა ყველა შესაძლებელი მიზეზი მოიგონეს, ოღონდ რაც შეიძლება სწრაფად გაესტუმრებინათ იგი ბოსოლეიში, მაგრამ ეზოში გასვლისას მაინც გადაეყარა ფერეებს, რომლებიც მისი გაგდებით იმდენად გაოცებული დარჩნენ,

რამდენადაც შერცხვენილი იყო შევრენი. კამბრემერები ყველა საშუალებით შეეცადნენ, რომ ბატონი დე შარლიუსა და დე შევრენის შეხვედრა არ შემდგარიყო. ისინი მას პროვენციელად მიიჩნევდნენ, ოღონდ იმ ელფერით, ოჯახურ წრეში ყურადღებას რომ არ აქცევენ, მაგრამ უცხოების წინაშე კი სამარცხვინოა, თუმცა ისინი, ვინც ამას ვერ ამჩნევდა, სწორედ უცხოები იყვნენ. არ არის სასიამოვნო იმ ნათესავების გამოჩენა, რომლებიც ისეთივენი დარჩნენ, როგორებიც იყვნენ მაშინ, როცა თქვენ ამდენი იმუშავეთ საკუთარ თავზე. ბატონი და ქალბატონი ფერეები კი, თუ შეიძლება ასე ითქვას, «უმაღლესი მარკის» ადამიანები იყვნენ. იმ პიროვნებების თვალში, ვინც ასე ახარისხებს ადამიანებს, ბუნებრივია, გერმანტები და როანებიც, კიდევ სხვა ბევრი, «უმაღლესი მარკის» ხალხი იყო, რაზეც მათივე გვარები ღაღადებდა. და, რადგან ქალბატონი ფერეს დედის წარჩინებული წარმოშობა ყველამ არ იცოდა, არც ის, რომ ბატონი და ქალბატონი ფერეები ძალზე ვიწრო წრეში ტრიალებდნენ, ამიტომ, როცა ამ წყვილს ვინმეს აცნობდნენ, საჭიროდ მიიჩნევდნენ, განემარტათ, ეს ის ხალხია, უკეთესს რომ ვერ წარმოიდგენთო. იქნებ, ის, რომ მათი გვარი უცნობი იყო, ფერეებში ბადებდა კიდეც ერთგვარ ამპარტავნულ თავდაჭერილობას? როგორც უნდა იყოს, ფერეები არც იმათთან დადიოდნენ, ვისთანაც ლა ტრემუიები გააბამდნენ ურთიერთობებს. ზღვისპირეთის დედოფლის, ლამანშში ეს ადგილი მოხუც მარკიზა დე კამბრემერს ეკავა, კეთილგანწყობის მოპოვება იყო საჭირო, რომ ფერეებს ყოველ წელს საშუალება ჰქონოდათ, მათი მყუდრო მიღებების წვეულნი ყოფილიყვნენ. კამბრემერებმა ისინი ვახშამზე იმიტომ მოიწვიეს, რომ იმედი ჰქონდათ, ბატონი დე შარლიუ

მათზე დიდ შთაბეჭდილებას მოახდენდა. აღმოჩნდა, რომ ქალბატონი ფერე მას რატომღაც არ იცნობდა. ქალბატონ დე კამბრემერს ძალიან გაუხარდა, სახეზე იმ ქიმიკოსის ღიმილმა გადაურბინა, რომელიც ორი უჩვეულოდ მნიშვნელოვანი ელემენტის შეერთებას ცდილობს. კარი გაიხსნა და მარკიზა დე კამბრემერს, ცოტას დარჩა, გული არ წაუვიდა: მან მხოლოდ მორელი დაინახა. განსაკუთრებული დანიშნულების ჩინოვნიკის მსგავსად, რომელსაც მინისტრის ნაცვლად ბოდიშის მოხდა აქვს დავალებული, ან მორგანატიკული[214] ცოლისა, რომელიც ავად გამხდარი სამეფო სისხლის პრინცის სახელით სინანულს გამოთქვამს (ასე იუწყებოდა ხოლმე ქალბატონი დე კლენშანი ჰერცოგ ომალელის შეუძლოდ ყოფნას), მორელმა დაუდევარი ტონით წარმოთქვა: «ბარონი არ მობრძანდება. შეუძლოდ არის. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მგონია, თუმცა ერთი კვირაა, არ მინახავს». ამ ბოლო სიტყვებით მარკიზა დე კამბრემერს ბოლო მოუღო, რადგან ცოტა ხნის წინათ ბატონ და ქალბატონ ფერეებს უთხრა, მორელი და ბატონი დე შარლიუ განუყრელად ერთად არიანო. კაბრემერებმა თავი ისე დაიჭირეს, ვითომ ბარონის მოუსვლელობით მათი წვეულება მოგებულიც დარჩა, და ისე, მორელს არ გაეგო, სტუმრებს ჩუმად გადაულაპარაკეს: «უიმისოდაც იოლას გავალთ. ასე უფრო მხიარულად ვიქნებით, ხომ მართალია?» მაგრამ გაცოფებული კი იყვნენ, ეჭვობდნენ, რომ ეს ქალბატონი ვერდიურენის ხრიკები იყო და დარტყმას დარტყმითვე უპასუხეს. როცა ქალბატონმა ვერდიურენმა ლა რასპელიერში მიიწვია, მარკიზ დე კამბრემერმა თავისი სახლის

ნახვაზე და პატარა ჯგუფში ყოფნაზე უარი ვერ თქვა და წავიდა, მაგრამ მარტო. და განაცხადა: მარკიზა სასოწარკვეთილია და ექიმმა გარეთ გამოსვლა აუკრძალაო. ამ სანახევროდ იქ არყოფნით კამბრემერებს სურდათ, ბატონი დე შარლიუსთვის ჭკუა ესწავლებინათ, ვერდიურენებისთვის კი ეჩვენებინათ, რომ მათდამი თავაზიანები მხოლოდ გარკვეულ ზღვრამდე არიან: ასე სამეფო სისხლის პრინცესები მეზობელი ოთახის შუა ნაწილამდე

მიაცილებდნენ ხოლმე ჰერცოგინიებს. რამდენიმე კვირის შემდეგ მათ ურთიერთობას სრული განხეთქილება დაემუქრა. მარკიზი დე კამბრემერი ცდილობდა, ჩემთვის აეხსნა, რა ხდებოდა: «უნდა გითხრათ, რომ ბატონ დე შარლიუსთან არც ისე მარტივად არის ყველაფერი. ის გამოუსწორებელი დრეიფუსარია». «არა, რას ბრძანებთ!». «გარწმუნებთ... მისი ბიძაშვილი, პრინცი დე გერმანტიც უდავო დრეიფუსარია, ამის გამო ყველა ქვას ესვრის. ნათესავები მყავს, რომლებიც ორივეს თვალს ადევნებენ. ასეთ ადამიანებთან ყოფნა არ შემიძლია, სხვანაირად მთელ ჩემს გვართან უსიამოვნება მექნება». «თუ პრინცი დე გერმანტი დრეიფუსარია, მაშინ ყველაფერი საუკეთესოდ აწყობილა, – ჩაერია მარკიზა დე კამბრემერი, – ამბობენ, სენ-ლუ მის ნათესავზე ქორწინდებაო. ისიც ხომ დრეიფუსარია. შეიძლება ამ მიზეზებით ქორწინდებიან». «ძვირფასო, ნუ ამბობთ, რომ სენ-ლუ, რომელიც ძალიან გიყვარს, დრეიფუსარია. არ შეიძლება ამ ბრალდების ასე ნაჩქარევად წაყენება, – თქვა მარკიზა დე კამბრემერმა. – როგორ შეხვდება ამას არმია?». «ოდესღაც დრეიფუსარი იყო, ახლა აღარ არის, – ვუთხარი მარკიზ დე კამბრემერს. – რაც შეეხება მადმუაზელ დე გერმანტ-ბრასაკზე მის ქორწინებას, განა ეს საქმე უკვე გადაწყვეტილია?». «ყველა ამაზე ლაპარაკობს, მაგრამ თქვენ უკეთ მოგეხსენებათ». «გიმეორებთ, თვითონ გამომიტყდა, რომ დრეიფუსარია, – წამოიძახა მარკიზა დე კამბრემერმა. – თუმცა ეს მისთვის მისატევებელია, გერმანტები ხომ ნახევრად გერმანელები არიან». «ვარენისქუჩელ გერმანტებზე ასეთი რამის თქმის სრული უფლება გაქვთ, – თქვა კანკანმა. – მაგრამ სენ-ლუ სხვა საქმეა. მერე რა, რომ გერმანელები მისი ნათესავები არიან. მამამისმა საფრანგეთის სათავადაზნაურო ტიტული ღირსეულად დაიცვა, 1871 წელს სამხედრო სამსახურსაც დაუბრუნდა და ბრძოლაში გმირულად დაიღუპა. ამის გამო თავსაც დავდებ მოსაჭრელად, მაგრამ არ ღირს უკიდურესობაში გადავარდნა და ხან ერთი მხარის დაჭერა, ხანაც მეორესი. In medio... virtus...[215] დამავიწყდა, ვერ ვიხსენებ. ამ გამოთქმას დოქტორი კოტარი

ხშირად იყენებს. აი, ვინ არ ძვრება სიტყვისთვის ჯიბეში. მცირე ლარუსი უნდა გქონდეთ სახლში მუდმივად». ლათინურ ციტატაზე დიდხანს რომ არ შეყოვნებულიყვნენ და აღარც სენ-ლუზე მსჯელობა გაგრძელებულიყო, რომლის მიმართაც, როგორც მისი ქმარი ფიქრობდა, უტაქტობა გამოიჩინა, მარკიზა დე კამბრემერი ისევ მფარველს დაატყდა თავს და განაცხადა, რომ ვერდიურენებთან ჩხუბი უფრო საფუძვლიან განმარტებებს მოითხოვდა. «ლა რასპელიერი ქალბატონ ვერდიურენს სიამოვნებით მივაქირავეთ, – თქვა მარკიზამ. – მაგრამ რატომღაც წარმოიდგინა, რომ სახლთან და ყველაფერთან ერთად, რისი ხელში ჩაგდებაც შეძლო,

მაგალითად, მდელოების, ძველისძველი გადასაკრავებით და იმ ყველაფრით სარგებლობა, რაც საარენდო ხელშეკრულებაში არ შედის, მასთან გადავიდა ჩვენთან უფრო ახლო ურთიერთობების უფლებაც. ეს ხომ სრულიად სხვადასხვა რამეა. ჩვენ მაშინ შევცდით, როცა არც მმართველის მეშვეობით ვაწარმოეთ მოლაპარაკებები და არც კანტორის. ფეტერნში ამას მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ, აბა, წარმოიდგინეთ დეიდაჩემის დე შ'ნუვილის სახის გამომეტყველება, თუ ჩემი მიღების დღეებში დედიკო ვერდიურენი გამოჩნდება თავისი ჰაერში ასროლილი თმით. ცხადია, ბატონ დე შარლიუს ბრწყინვალე ნაცნობობა ჰყავს, მაგრამ არც მდაბალთა ნაცნობობას ერიდება». ვკითხე, ვის გულისხმობთ-მეთქი. ბოლოს მიპასუხა: «ირწმუნებიან, თავის კმაყოფაზე ჰყოლია ვინმე მორო, მორილი თუ მორიუსი. ზუსტად არ მახსოვს. ცხადია, მხედველობაში მევიოლინე მორელი არ მყავს, – დაუმატა და გაწითლდა. – როგორც კი ჩემთვის ნათელი გახდა, რომ ქალბატონმა ვერდიურენმა წარმოიდგინა, ლამანშში აგარაკის დაქირავებით უფლება მოიპოვა, პარიზშიც ვიზიტად გვეწვიოს, მაშინვე გადავწყვიტე – დროა, ბაგირი გადავჭრა».

მიუხედავად მფარველთან წაკიდებისა, კამბრემერებმა «ერთგულებთან» კარგი ურთიერთობა

შეინარჩუნეს, სადგურებში სიამოვნებით ამოდიოდნენ ჩვენს ვაგონში. დუვილთან მიახლოებისას ალბერტინი ბოლოჯერ ამოიღებდა ხოლმე სარკეს, ზოგჯერ ხელთათმანს იცვლიდა ან შლაპას იხდიდა და კუს ბაკნის სავარცხლით, რომელიც მე ვაჩუქე და რომელსაც თავზე იმაგრებდა, თმას ისწორებდა, იბუებდა კულულებს, თუ საჭირო იყო, კულულებს, კეფაზე თანაბარ ტალღებად რომ ეცემოდა, შინიონს ზემოთ იმაგრებდა. როგორც კი ეკიპაჟებში ჩავსხდებოდით, მაშინვე წარმოდგენა გვეკარგებოდა, სად ვიყავით; გზებზე სიბნელე იყო და ვერაფერს ვხედავდით; ბორბლები ძალიან რომ არახრახდებოდა, ვხვდებოდით, სოფელში მივდიოდით, გვეგონა, აგერ-აგერ, მივაღწევდით კიდეც დანიშნულ ადგილს, უცბად აღმოჩნდებოდა, ღია მინდორში ვიყავით, გვესმოდა შორიდან მომავალი ზარების ხმა, გვავიწყდებოდა, რომ სმოკინგებში ვიყავით გამოწყობილი და, ჩაგვეძინებოდა თუ არა, წყვდიადი სივრცე უცბად მთავრდებოდა, ეკიპაჟები წვრილ ქვიშაზე მიცურავდნენ, ეს კი იმის ნიშანი იყო, რომ პარკში შევედით, სადაც სინათლეები ენთო, და ისევ მაღალი საზოგადოების ცხოვრება გვიხმობდა, სასტუმრო და სასადილო ოთახები. როცა საათის რეკვა შემოგვესმებოდა, უნებურად უკან ვიხევდით, რადგან ზარი რვა საათის დადგომას იუწყებოდა, ჩვენ კი გვეგონა, უფრო დიდი დრო იყო გასული, მერე ფრაკიან მამაკაცებსა და საღამოს ტუალეტით მორთულ ქალბატონებს ვხედავდით, კერძს კერძზე რომ მიართმევდნენ და ბოკლებში დახვეწილ ღვინოებს უსხამდნენ; მთელ ამ ბრწყინვალე ვახშამს, ყველაფრით დედაქალაქისას რომ ჩამოჰგავდა და მისგან მხოლოდ იმ განსაკუთრებული კოლორიტით განსხვავდებოდა, სააგარაკო კოლორიტი რომ ჰქვია, ჩვეულ ზეიმურობას მოკლებული საღამოს საათებით ნაქსოვი სიბნელისა და იდუმალების ორმაგი ლენტი ერტყა, ხოლო დრო ერთი და იმავე გზით დადიოდა, აქეთ და იქით,

მინდვრებსა და ზღვას შორის. შინ ყოფნისას კი ამ გასხივოსნებული დიდმშვენიერების დავიწყებას გვაიძულებდა და აკაშკაშებული სალონების ეტლებზე გაცვლას;

და ალბერტინთან ერთ ეტლში მოხვედრას ვცდილობდი, რადგან არ მინდოდა, ვინმე სხვასთან ემგზავრა, უფრო კი იმიტომ, რომ ბნელ ეტლში, შეგვეძლო, ბევრი რამის კეთების უფლება მიგვეცა საკუთარი თავისთვის, ხოლო დაღმართზე დაშვებით გამოწვეული ბიძგები ერთმანეთთან ჩვენს ჩაკონებას გაამართლებდა, თუკი მოულოდნელი სინათლის სხივი დაგვეცემოდა. ვიდრე მარკიზი დე კამბრემერი ვერდიურენებს წაეჩხუბებოდა, დროდადრო დაინტერესდებოდა ხოლმე: «ბურუსში სულისხუთვა ხომ არ გეწყებათ? ჩემს დას დილას საშინელი შეტევა ჰქონდა. აჰ, თქვენც? – კმაყოფილების გრძნობით მეკითხებოდა. – ამას დღესვე ვეტყვი. ვიცი, როგორც კი სახლში დავბრუნდები, მკითხავს – დიდი ხანია სულისხუთვა არა ჰქონიაო?» ჩემი სნეულება მხოლოდ იმიტომ აინტერესებდა, მერე თავისი დის ავადმყოფობაზე გადასულიყო, მაიძულებდა, დაწვრილებით აღმეწერა მისი თავისებურებები, ჩემს და მისი დის სნეულებებს შორის განსხვავება რომ დაედგინა. მიუხედავად სხვადასხვაობისა, თავისი დის ავადმყოფობას დიდ უპირატესობას ანიჭებდა, ავტორიტეტად მიაჩნდა, ვერ შეგუებოდა, იმ «სასიკეთოდ მოქმედ» საშუალებას, მის დას რომ რგებდა, მე რატომ არ მინიშნავდნენ, მიწყრებოდა, უარს რომ ვამბობდი მის გამოყენებაზე – რომელიმე რეჟიმის დაცვა ხომ უფრო ძნელია, ვიდრე სხვისგან მისი დაცვის მოთხოვნაა. «ამ საკითხში უვიცი ვარ, რა მალაპარაკებს, როცა თქვენ წინ მთელი არეოპაგიაა[216], სიბრძნის წყარო. ვნახოთ, რას გვირჩევს პროფესორი კოტარი?»

კიდევ ერთხელ შევხვდი მარკიზას, ჩემამდე ხმამ მოაღწია, ერთ ჩემ «ნათესავ ქალზე» უთქვამს, თავდაჭერის უნარი არა აქვსო და გადავწყვიტე, გამეგო, რას გულისხმობდა. ჯერ იუარა, მერე მოიგონა, ვითომ ვიღაც სხვაზე თქვა, რომელიც თითქოს ჩემს ნათესავ ქალთან ნახა. მისი გვარი არ იცის, მაგრამ, თუ არ ცდება, ბანკირის ცოლია, ლინა, ლინეტი, ლიზეტი, ლია თუ რაღაც

ამგვარი ჰქვია. ვფიქრობ, «ბანკირის ცოლი» იმიტომ მოიგონა, უფრო მეტად რომ ამრეოდა თავგზა. გადავწყვიტე, ალბერტინთან შემემოწმებინა. ოღონდ ვამჯობინე, ისეთი სახე მიმეღო, ვითომ, რასაც ვეკითხებოდი, ისედაც ვიცოდი. ალბერტინი მაინც არაფერს მეტყოდა ან «არა»-ს ისე იტყოდა, ბგერა «რ» თითქმის არ გაჟღერდებოდა ანდა «ა»-ს ძალზე გაჭიმავდა. ალბერტინი არასოდეს მიყვებოდა ისეთ რამეზე, რასაც მისთვის ზიანის მოტანა შეეძლო, სხვა რამეზე იწყებდა ლაპარაკს, უფრო მისთვის საზიანო ფაქტებს ხსნიდა. ჭეშმარიტება, უფრო სწორად, ჩვენ მიერ დაჭერილი დინება, უხილავად იქიდან გამოდის, რაზეც გველაპარაკებიან. როცა ალბერტინს ვარწმუნებდი, ქალი, რომელიც ვიშში გაიცანი, ცუდი ტონის ქალია-მეთქი, დაიფიცა, რომ სულაც არ იყო ისეთი, როგორადაც მასზე ვფიქრობდი და არც არანაირ ცუდ აზრებს არ აღუძრავდა. სხვა დროს, როცა ვუთხარი, ასეთი ქალები მაინტერესებს-მეთქი, დაუმატა, ამ ვიშელ ქალბატონს მეგობარი ქალი ჰყავდა, რომელსაც არ

ვიცნობდი, მაგრამ ქალბატონი დამპირდა, გაგაცნობო, მაშასადამე, ალბერტინმა მისი გაცნობის სურვილი გამოთქვა, თუ ქალბატონი ამას დაჰპირდა ანდა თავად შესთავაზა მისი გაცნობა, მაშინ წინასწარ იცოდა, რომ ალბერტინს ამით სიამოვნებას მიანიჭებდა. თუ ამას ვიტყოდი და დავამტკიცებდი, რომ სამხილი თვით ალბერტინისგან მიდიოდა, მაშინ ამ საკითხზე აღარ დამელაპარაკებოდა, ვეღარაფერს გავიგებდი და ჩემი შიშიც გაუქრებოდა. მაგრამ ჩვენ ბალბეკში ვცხოვრობდით, ვიშელი ქალბატონი და მისი მეგობარი ქალი კი – მენტონში; მანძილის სიშორის გამო საფრთხის შეუძლებლობამ ჩემი ეჭვი მალევე გაფანტა.

ხშირად, როცა მარკიზი დე კამბრემერი სადგურში გამომელაპარაკებოდა ხოლმე, მე და ალბერტინს იმ დროს სრული სიბნელით გვინდოდა გვესარგებლა, მაგრამ მერე ბრძოლა მიწევდა, ეშინოდა, საკმაო სიბნელე არ არის, დაგვინახავენო და უწადინოდ მიგერიებდა. «იცით,

დარწმუნებული ვარ, კოტარმა დაგვინახა, კიდეც რომ არ დაენახა, თქვენს ყუჩ ხმას გაიგებდა, როცა სულისხუთვაზე, ოღონდ სხვა ჟანრის სულისხუთვაზე მელაპარაკებოდით», – მეუბნებოდა დუვილის სადგურში ჩასვლისას, სადაც ისევ სააგარაკო მატარებელში ვსხდებოდით უკან დასაბრუნებლად. დაბრუნება, ისევე, როგორც იქით მგზავრობა, პოეტურ განწყობაზე მაყენებდა, მოგზაურობისკენ სწრაფვას მიღვიძებდა, რაღაც ახალი ცხოვრების წყურვილს, ალბერტინზე ქორწინების ყოველგვარი აზრის თავიდან ამოგდების, მასთან ყველა ურთიერთობის გაწყვეტის სურვილს აღმიძრავდა და ამ სირთულეების ძალა მიიოლებდა განხეთქილების გადაწყვეტილებას. უკანა გზაზე, ისევე, როგორც იქითა გზაზე, ჩვენთან ნაცნობები სხდებოდნენ ან ბაქანზე იდგნენ და გვესალმებოდნენ; ადამიანებთან ურთიერთობის უწყვეტი სიამოვნება, მისი დამამშვიდებელი, დამათრობელი სიამოვნება წარმოსახვის იდუმალ სიხარულს ჯაბნიდა. თუ ადრე სადგურები მათივე სახელწოდებებს ფერს უკარგავდა (ბებიასთან ერთად ჩამოსვლის პირველ საღამოსვე ოცნებების ბურანში რომ ჩამძირა), ახლა თავისი განსაკუთრებულობა იმ საღამოს დაკარგეს, როცა ბრიშომ, ალბერტინის თხოვნით, მათი ეტიმოლოგია დაწვრილებით აგვიხსნა. აღტაცებული დავრჩი, ზოგიერთი «ფლერ»[217]-ით რომ მთავრდებოდა, მაგალითად, ფიკფლერი, ონფლერი, ბარფლერი, არფლერი და სხვა. განსაკუთრებით დაბოლოება «ბეფ»[218]-მა გამამხიარულა – ბრიკბეფი. მაგრამ, როგორც კი ბრიშომ (ეს მატარებლით მგზავრობის პირველ დღესვე მითხრა) გაგვანათლა, რომ «ფლერ»-ი «ფიორდ»-დან მოდიოდა, «ბეფ»-ი კი ნორმანდიული სიტყვიდან «ბიუდჰ»-ი, რაც «ტახს» ნიშნავს, და მთელი რიგი მაგალითები მოიყვანა, ყვავილი ხართან ერთად გაქრა, – ის, რაც დასაწყისში თავისებური მეჩვენა, ჩვეულებრივი აღმოჩნდა: ბრიკბეფს ელბეფი მოჰყვა, დასახელებები ისეთივე განსაკუთრებული იყო, როგორიც ადგილმდებარეობები, მაგალითად, პენდეპი, რომელშიც, როგორც მეჩვენა, უხსოვარი დროიდან ადამიანის გონებისთვის

მიუწვდომელი ყველაზე უცნაური დანაშრევები, ბოლოს და ბოლოს, ისე შეედნო ერთმანეთს, ერთი უხეში, გემრიელი და მტკიცე, ნორმანდიული ყველის სახელის მსგავსი სიტყვა გამოვიდა, მე კი ჩემი შეუპოვრობით აღმოვაჩინე, რომ გალური სიტყვა «პენ»[219]-ი «მთას» ნიშნავს და გვხვდება პენმარკში და აპენინებშიც. რადგან ვიცოდი, ყველა სადგურში მეგობრებთან ხელის ჩამორთმევა და ჩვენ გვერდით დაჯდომის შეთავაზება მოგვიწევდა, ალბერტინს ვუთხარი: «დროზე ჰკითხეთ ბრიშოს ის სახელები, რომელთა ცოდნაც გაინტერესებთ. მარკუვილ-ლ’ორგეიეზი ახსენეთ». «დიახ, მომეწონა ეს ორგეი[220], ამაყი სოფელი», – დამემოწმა ალბერტინი, «უფრო ქედმაღლური მოგეჩვენებათ, – აიტაცა ბრიშომ, – თუ ფრანგული ან დამახინჯებული ლათინური გამოთქმებით წაიკითხავთ ისე, როგორც ბაიეს ეპისკოპოსის კარტულარიუმშია[221] მოცემული – Marconvilla superba, და უფრო ძველს, ნორმანდიულთან უფრო ახლო მდგომ Marcu-lphinvilla superba-ს აირჩევდით, რაც მარკულფის მამულს ნიშნავს. თითქმის ყველა დასახელებიდან, «ვილ»-ით რომ მთავრდება, ამ სანაპიროზე ჯერ კიდევ შესაძლებელია, თქვენ წინაშე სასტიკი დამპყრობლების, ნორმანების, აჩრდილები ამოიზარდოს. აგერ, ერმონვილში ვაგონის კართან ჩვენი დიდებული დოქტორი დგას, აშკარაა, ნორმანდიელების მხედართმთავართან საერთო არაფერი აქვს, მაგრამ თვალს დახუჭავთ თუ არა, შეიძლება სახელოვანი ერიმუნდი (Herimundivilla) დაინახოთ. არ მესმის, ლუანისა და ბალბეკ-პლაჟის გზით რატომ დადიან, როცა ლუანისა და ძველ ბალბეკს შორის უფრო თვალწარმტაცი გზა არსებობს. ქალბატონ ვერდიურენს, ალბათ, უტარებიხართ კიდეც ეტლით ამ გზაზე. მაშინ ენკარვილსაც ნახავდით, ვისკარსაც და ტურვილსაც, ქალბატონი ვერდიურენის აგარაკის მახლობლად კი სოფელი ტუროლდია. მოკლედ, აქ მარტო ნორმანები როდი იყვნენ; მგონი, აქამდე გერმანელებმაც მოაღწიეს (ომენანკური, Alemanicurtis), ოღონდ ამაზე ნუ ვილაპარაკებთ, თორემ, აგერ, იმ ახალგაზრდა ოფიცერს თავის ნათესავებთან სიარულის

სურვილი დაეკარგება. აქ საქსონელებიც ყოფილან, ამას სისონის წყარო მოწმობს (ქალბატონ ვერდიურენს უყვარს იქით გასეირნება და მისი კარგად მესმის), ისევე, როგორც ინგლისშია – მიდლსექსი, ესექსი. აუხსნელია, მაგრამ თითქოს აქამდე გოთებსაც მოუღწევიათ, მავრებსაც, მორტანი ხომ მავრიტანიიდან წარმოდგება. მათი ნაკვალევი გურვილშიც (Gothorunvilla) დარჩა. არის ლათინების ყოფნის ნიშნებიც – ლანი (Latiniacum)». «მე ტორპეომის (Thorpehomme) სახელწოდების წარმომავალობა მაინტერესებს», – თქვა ბატონმა დე შარლიუმ. «მესმის, რომ ლათინური «homme» «მამაკაცს» ნიშნავს (ამ დროს მოქანდაკემ და კოტარმა ერთმანეთს მრავალმნიშვნელოვნად გადახედეს), მაგრამ ტორპი რაღაა?». «აქ «homme» არ ნიშნავს იმას, რაც თქვენ, ბატონო ჩემო, ბუნებრივია, გსურთ, ამ სახელში ამოიკითხოთ, – და ეშმაკური მზერა მოქანდაკესა და კოტარს მოავლო. – «homme»-ს მოცემულ შემთხვევაში, არაფერი საერთო არა აქვს სქესთან. «homme» «ოლში» გახლავთ, რაც პატარა კუნძულს ნიშნავს ან რაღაც ამგვარს. აი, ტორპი, ანუ დასახელება ასობით სახელწოდებაში გვხვდება; მათ ჩამოთვლას აღარ მოვყვები, რათა ჩვენს ჭაბუკ მეგობარს თავი არ შევაწყინო. მოკლედ, ნორმანელი ბელადის სახელი სიტყვა

«Thorpehomme»-ში არ იგულისხმება, თუმცა იგი ნორმანული სიტყვებისგან შედგება. ახლა ხომ ხედავთ, მთელი ეს მხარე როგორი გაგერმანულებულია». «მგონი, აჭარბებთ, – შენიშნა ბატონმა დე შარლიუმ. – გუშინ ორჟვილში ვიყავი...». «ახლა, ბატონო ბარონო, იმ მამაკაცს დაგიბრუნებთ, ტორპში რომ წაგართვით. რობერ პირველის ქარტიაში ორჟვილის მაგივრად «Otgervilla»-ა მოცემული, რაც ოტგერის მამულს ნიშნავს. და ეს ყველაფერი ძველი დროის დიდბატონების მამულებია. ლ'ავენელის მაგივრად ოკტევილ-ლა-ვენელია. ავენელების გვარი შუა საუკუნეებში ცნობილი გვარი იყო. ბურგნოლი, სადაც ერთხელ ქალბატონმა ვერდიურენმა წაგვიყვანა, ადრე «ბურ-დე-მოლ»-ი იყო, რადგან XX საუკუნეში ბუდუენ დე მოლს ეკუთვნოდა, ისევე როგორც შეზ-ბოდუენი... მაგრამ უკვე დონსიერში ვართ». «ღმერთო ჩემო, ნუთუ ყველა ეს ლეიტენანტი

ახლა აქ ეცდება ამოსვლას?! – მოჩვენებითი შიშით თქვა ბატონმა დე შარლიუმ. – თქვენ გამო ვწუხვარ, თორემ მე მაინც ჩავდივარ». «გესმით, დოქტორო? – თქვა ბრიშომ. – ბარონს ეშინია, ოფიცრებმა არ გადაქელონ. სრული უფლება აქვთ, თავი აქ მოიყარონ, რადგან დონსიერი ზუსტად, სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით სენ-სირია[222], Dominus Cyriacus. არსებობს ქალაქების ბევრი დასახელება, სადაც Sanctus და Sancta შეცვლილია Dominys და Domina-თი. და აი, ეს მშვიდი სამხედრო ქალაქი დროდადრო სენ-სირის, ვერსალისა და ფონტენბლოს მატყუარა იერს იღებს».

ლა რასპელიერიდან გამომგზავრების წინ (იქით გამგზავრებისასაც) ალბერტინს ვთხოვე, თბილად ჩაეცვა, რადგან მშვენივრად ვიცოდი, რომ ამენონკურში, დონსიერში, პერვილში, სენ-ვასტში მეგობრებთან ხანმოკლე შეხვედრები გვექნებოდა. ერმენონვილში (ერიმუნდის სამფლობელო) დე შევრენი შემომეყარა, რაც დიდად გამიხარდა; იქ სტუმრების დასახვედრად იყო მოსული; მან ამ შეხვედრით ისარგებლა და მეორე დღეს მონ-სიურვანში საუზმეზე მიმიპატიჟა, დონსიერში კი ზოგჯერ კმაყოფილებას მგვრიდა სენ-ლუს ერთი რომელიმე თვალში მოსასვლელი მეგობრის შემოჭრა, რომელსაც სენ-ლუ აგზავნიდა (ასე იმ დღეებში იქცეოდა, როცა თვითონ არ ეცალა), რათა კაპიტანი დე ბოროდინის მიწვევა გადმოეცა, რომელიც ხან «მამაც მამალში» ოფიცერთა, ხანაც «ოქროს ხოხობში» უნტეროფიცერთა ქეიფზე მეპატიჟებოდა. ხშირად მოდიოდა სენ-ლუც, აი, მაშინ კი, ვიდრე იგი ჩვენთან იყო, სხვათა შეუმჩნევლად ალბერტინს თვალს არ ვაშორებდი, თუმცა ეს გადაჭარბებული სიფრთხილე იყო. ერთხელ დაცვის მოხსნა დროებით მომიწია. ჩვენს სანახავად მოსულ ბლოკს ერთხანს დარჩენა მოუხდა, გათავისუფლდა თუ არა, მაშინვე მამამისს გამოეკიდა, რომელმაც რომელიღაც ბიძისგან მემკვიდრეობა მიიღო, ციხე-დარბაზი «კომანდორი» დაიქირავა, თავი დიდბატონად

წარმოიდგინა და ლივრეანი ფორეიტორების[223] თანხლებით საფოსტო ეტლით აქეთ-იქით დაჰქროდა. ბლოკმა გაცილება მთხოვა: «იჩქარე, ეს ოთხფეხები ვეღარ ითმენენ; გამოიქეცი, ღმერთების საყვარელო ადამიანო, და გაახარე მამაჩემი». სენ-ლუსთან ალბერტინის მატარებელში მარტო დატოვება აუტანლად მიმძიმდა, თუ დავტოვებდი, ერთმანეთში ლაპარაკს დაიწყებდნენ, სხვა ვაგონში გადავიდოდნენ,

ერთმანეთს გაუღიმებდნენ, შეეხებოდნენ, მოკლედ, რადგან სენ-ლუ არ მიდიოდა, თვალთვალის შეწყვეტის ძალა არ მქონდა. მაგრამ ჩემთვის ცხადი იყო, რომ ბლოკმა, რომელიც დახმარებას მთხოვდა, რაც მხოლოდ და მხოლოდ იმით გამოიხატებოდა, რომ მის მშობელს უნდა მივსალმებოდი, ჩემი უარი ჯერ უპატივცემულობად მიიჩნია, თანაც არაფრით გამართლებულ უარად, კონდუქტორმა ხომ გაგვაფრთხილა, მატარებელი თითქმის მეოთხედი საათით იგვიანებსო და, ალბათ, ყველა მგზავრი, ურომლისოდაც იგი არ წავიდოდა, ბაქანზე ჩავიდა; მერე ბლოკს ის რწმენაც დაეუფლა, ჩემი ქცევა ამ შემთხვევაში მასში ეჭვს აღარ იწვევდა, რომ დასრულებული სნობი ვიყავი. საქმე ის გახლავთ, რომ ის იმათ იცნობდა, რომელთა შორისაც ვტრიალებდი. ამ ამბამდე ცოტა ხნით ადრე ბატონმა დე შარლიუმ ბლოკის უფრო ახლო გაცნობა ისურვა, დაავიწყდა თუ, უბრალოდ, აღარ იფიქრა, რომ ეს ადრე უკვე მოხდა, და მითხრა: «თუ თქვენს მეგობარს არ გამაცნობთ, მაშინ ამას ჩემდამი უპატივცემულობად მივიღებ». ერთმანეთი გაიცნეს და მაშინვე ალაპარაკდნენ. ბლოკმა მოხიბლა იგი და ბარონიც ჩვეულად დაუტკბა: «იმედი მაქვს, ეს ჩვენი ბოლო შეხვედრა არ იქნება». «ვერ დავიჯერებ, რომ ასიოდე მეტრის გავლა არ გინდა, რათა მამაჩემს მიესალმო, რითიც ძალიან გაახარებდი». – მითხრა ბლოკმა. უბედური ვიყავი, რადგან ბლოკს, ერთი შეხედვით, ასე არამეგობრულად მოვექეცი; კიდევ უარესი, ბლოკმა, ალბათ, იფიქრა, რომ «მათი კეთილშობილებების» დასწრებით ბურჟუაზიული წარმოშობის მეგობრებს ასე სხვანაირად ვექცეოდი. ამ დღიდან იგი ჩემთან აღარ მეგობრობდა და, რაც უფრო მტკივნეული იყო ჩემთვის,

აღარც პატივს მცემდა. მაგრამ ბლოკისთვის იმის ახსნა, თუ რატომ დავრჩი ვაგონში, ნიშნავდა, მისთვის გამემხილა, რომ ალბერტინზე ვეჭვიანობდი, ეს კი ჩემთვის უფრო სატანჯველი იქნებოდა, ვიდრე მისი იმ რწმენაზე დატოვება, რომ მაღალი წრის სიტუტუციებით ვიყავი დასნეულებული. მოკლედ, საკუთარ თავზე არაერთხელ განგვიცდია ეს: თეორიულად მიგვაჩნია, რომ გაუგებრობის გადასაჭრელად აუცილებლად პირისპირ გულახდილი მოლაპარაკებაა საჭირო. ცხოვრებაში ეს გაუგებრობები ხშირად გროვდება და იშვიათ შემთხვევებში, როცა მათი გაფანტვა შესაძლებელია, ჩვენ სხვა გამოსავალი აღარ გვრჩება, მოცემულ შემთხვევას ეს არ ეხება, წარმოვადგინოთ ჩვენი სიმართლის დასამტკიცებლად რაღაც ისეთი, რაც უფრო მეტად გაანაწყენებს ჩვენს მეგობარს, ვიდრე ჩვენი ვითომდა დანაშაულია ანდა გავანდოთ საიდუმლო, ზუსტად ასე მმართებდა მოქცევა, ეს კი თვით ამ გაუგებრობაზე მძიმეა. მოკლედ, ბლოკისთვის კიდევაც რომ ამეხსნა, უარი რატომ ვუთხარი, სულერთი იქნებოდა, რადგან მაინც ვერ შევძელი მისი სურვილის ასრულება, რომ მეთხოვა, ჩემზე ნაწყენი არ დარჩენილიყო, და ისიც მეჩვენებინა, რომ ვხვდებოდი, ჩემზე ნაწყენი იყო, მხოლოდ გავუძლიერებდი ამ გრძნობას. ახლა ისღა მრჩებოდა, განგების იმ ძალას დავმორჩილებოდი, რომელმაც ინება, ალბერტინს შეეშალა ხელი, რათა ბლოკს არ გავყოლოდი, მას კი აზრად ჩაუნერგა, რომ ყველაფერში დამნაშავე იყო ჩემი ბრწყინვალე მაღალი საზოგადოება, მაშინ, როცა ის ასჯერ უფრო ბრწყინვალეც რომ ყოფილიყო, უკუეფექტი ექნებოდა, უფრო სწორად, ბლოკთან განსაკუთრებულად თავაზიანი ვიქნებოდი და მთელ ჩემს ყურადღებას მას

დავუთმობდი. ასე რომ, წინასწარგანუზრახველი გარემოებების უაზრო თავმოყრის (მოცემულ შემთხვევაში, ალბერტინისა და სენ-ლუს შეხვედრა) იმ ადამიანთა ბედში შეჭრამ, რომელთა გზებიც თითქმის ერთმანეთს უერთდებოდა, ერთი დააშორა მეორეს, ისე გათიშა, რომ უკვე ვეღარასოდეს დაახლოვდებოდნენ. უფრო ღირებული მეგობრული გრძნობაც კი, ვიდრე

ბლოკის ჩემდამი გრძნობა იყო, მაინც ჩაქრება, თუ ჩხუბის უნებლიე დამნაშავეს შესაძლებლობა არ აქვს, წყენის მიზეზი ისე აუხსნას, რომ ამ ახსნამ ის ჭრილობა მოუშუშოს, მის თავმოყვარეობას რომ მიაყენეს, და ნაწყენ კაცს უსიტყვოდ ისევ მასთან დააბრუნებს.

უფრო ღირებული მეგობრული გრძნობა, ვიდრე ბლოკის გრძნობა იყო-მეთქი ჩემდამი, ვთქვი, მაგრამ ეს რბილად ნათქვამი სიტყვები გახლდათ. ბლოკს თითქმის ყველა ის ნაკლი ჰქონდა, რაც მე მეტისმეტად მძულს. ალბერტინის სიყვარულმა კი შემთხვევით ისინი სრულიად აუტანლად აქცია. როცა ვსაუბრობდით, ამ დროს რობერს თვალს არ ვაშორებდი, მითხრა, რომ ცოტა ხნის წინათ ქალბატონ ბონტანთან საუზმობდა და ყველამ ისე გაქო, თვით ჰელიოსი[224] ჩაქრაო. «კარგია, – გავიფიქრე, – ქალბატონ ბონტანს ბლოკი გენიოსი ჰგონია; მისი აღფრთოვანება უფრო დიდ სარგებელს მომიტანს, ვიდრე სხვების მიერ ჩემზე ნათქვამი საქებარი სიტყვები; იგი აუცილებლად მიაღწევს ალბერტინის ყურამდე, დღე-დღეზე უნდა ველოდო, რომ აუცილებლად გაიგებს; გაოცებული ვარ, დეიდამისმა აქამდე როგორ ვერ შთააგონა, რომ «გამოჩენილი» ადამიანი ვარ.» «დიახ, – განაგრძო ბლოკმა. – ყველამ ცაში აგიყვანათ. მხოლოდ მე ვდუმდი. ისე ვიყავი, თითქოს საუზმის მაგივრად, სიტყვამ მოიტანა და, უხეირო საუზმე იყო, ყაყაჩოს ვყლაპავდი, რომელიც ასე უყვარდათ თანატოსსა[225] და ლეთეს[226] უნეტარეს ძმას, ღვთაებრივ ჰიპნოსს[227], ჩვენს სხეულსა და ენას საამო ბორკილი რომ დაადო. და იმიტომ კი არ ვდუმდი, რომ ნაკლებად ვარ აღტაცებული შენით, ვიდრე ის გაუმაძღარი ძაღლების ხროვა, რომელთა საზოგადოებაშიც მოვხვდი. შენით აღტაცებული ვარ იმიტომ, რომ ჩემთვის გასაგები ადამიანი ხარ, ისინი კი იმიტომ არიან შენით მოხიბლული, რომ მათთვის გაუგებარი ხარ. უფრო ზუსტად კი, შენით ისე ვარ აღფრთოვანებული, ყველას გასაგონად ამაზე ხმაური ჩემს ძალებს აღემატება, საქვეყნოდ იმის ქება-დიდება, რაც ჩემი სულის კუნჭულებშია დაცული, ჩემი აზრით,

პროფანაციაა. როგორ არ ეცადნენ, შენ შესახებ ჩემგან რამე გაეგოთ, მაგრამ წმიდა მოკრძალებამ, კრონიონის[228] ქალიშვილმა, დაადუმა ბაგენი ჩემნი». მეყო მოთმინება და უკმაყოფილება არ გამოვხატე, მაგრამ ეს წმიდა მოკრძალება უფრო მეტად, ვიდრე კრონიონია, იმ მოკრძალებას ენათესავება, რომელიც კრიტიკოსს, ქედს რომ იხრის თქვენ წინაშე, ხელს უშლის, ხმამაღლა გამოთქვას თავისი აღფრთოვანება, რადგან ეშინია, ის ფარული ტაძარი, სადაც თქვენ მეფობთ, უმეცარ მკითხველთა და ჟურნალისტთა ხროვამ არ წალეკოს; სახელმწიფო მოღვაწის იმ მოკრძალებას ენათესავება, რომელიც ორდენზე ვერ წარგადგენთ, რათა იმ ადამიანებთან არ აგრიოთ, რომლებიც თქვენთან შედარებით არაფრად ღირან; იმ აკადემიკოსის

მოკრძალებას ჰგავს, რომელიც ხმას არ გაძლევთ, რათა დამცირებისგან გიხსნათ და არ მიგიჩნიონ ვიღაც უნიჭო X-ის კოლეგად, დაბოლოს, უფრო მნიშვნელოვანს და ამავე დროს დანაშაულებრივ მოკრძალებას ვაჟიშვილების, რომლებიც ივედრებიან, მათ გარდაცვლილ მამაზე, ღირსეულ ადამიანზე, არაფერი დაწერონ, რადგან სურთ, სახელი მისი დავიწყებას მიეცეს, არავინ შეაწუხოს ნეშტი მისი, რათა ხსოვნა და სახელი მისი გაქრეს; არადა, უბედური მამა სიცოცხლეში ოცნებობდა, რომ ადამიანები, რომლებიც მის საფლავზე მოწიწებით დააწყობდნენ გვირგვინებს, მის შესახებ ყველას გასაგონად ილაპარაკებდნენ.

ბლოკმა თავისი მიუხვედრელობით გული მატკინა, ვერ გაიგო, მამამისთან მისალმებაზე უარი რატომ ვთქვი, გამაღიზიანა, როცა გამომიტყდა, ქალბატონ ბონტონთან თავმოყრილი საზოგადოების თვალში როგორ დამამცირა (ახლა მესმის, ალბერტინმა ერთხელ მაინც რატომ არ გაიხსენა ეს საუზმე და რატომ დუმდა, როცა ბლოკის ჩემდამი მეგობრულ დამოკიდებულებაზე ავლაპარაკდი), სამაგიეროდ, ახალგაზრდა ისრაელიტმა ბატონ დე შარლიუზე არ დატოვა გამაღიზიანებელი შთაბეჭდილება. ბლოკი, ცხადია, ახლა არა მარტო

იმას ფიქრობდა, რომ ძალა აღარ შემწევდა, ერთი წუთით მაინც დავშორებოდი მაღალი საზოგადოების ადამიანებს, არამედ იმასაც, რომ ის კეთილგანწყობა მშურდა, რომელსაც მისდამი ეს ადამიანები იჩენდნენ (მაგალითად, ბატონი დე შარლიუ), რომ ხელს ვუშლიდი მათთან დაახლოებაში, ბარონი კი ნანობდა, ასე მცირე ხნით რომ მოუწია ჩემი ამხანაგის საზოგადოებაში ყოფნამ. მაგრამ, ჩვეულების თანახმად, ამის დაფარვას გულმოდგინედ ცდილობდა. და ისეთი უგრძნობი იერით, ისეთი დაუდევარი ტონით, ისეთი მოჩვენებითი ცნობისმოყვარეობით დამიწყო მის შესახებ გამოკითხვა, თითქოს პასუხსაც არ ელოდა, ისეთი მოწყენილი სახე ჰქონდა, რომ მის ნათქვამში გულგრილობაც კი არ ჟღერდა, უფრო დაბნეულობა იგრძნობოდა და ვითომ ჩემდამი მომართული თავაზიანობა. «გონიერი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებს; გამომიტყდა, რომ წერს, ნიჭიერია?» ბატონ დე შარლიუს ვუთხარი, რომ დიდი თავაზიანობა გამოიჩინა, მისი ხელახლა ნახვის სურვილი როცა გამოთქვა. ისეთი სახე მიიღო, თითქოს ჩემი სიტყვები ვერ გაიგო; ოთხჯერ გავუმეორე ეს წინადადება და, რადგან პასუხი ისევ ვერ მივიღე, ვიფიქრე, რაღაც სმენითი მირაჟის მსხვერპლი გავხდი, ალბათ, შემომესმა-მეთქი ის, რაც ბლოკს უთხრა. «ბალბეკში ცხოვრობს?» – იკითხა და კითხვითი ინტონაცია მის ხმაში ისე სუსტად ჟღერდა, ვინანე, ფრანგულ ენაში სხვა რამ ნიშანი რომ არ იყო, გარდა კითხვითისა, რათა წინადადება, რომელშიც სმენა ოდნავ თუ იჭერდა რაღაც მინიშნებას კითხვითზე, დასრულებული გამოსულიყო, თუმცა ბარონს ეს ნიშანიც ვერ უშველიდა. «არა, აქვე ახლოს კომანდორი იქირავეს». საჭირო ინფორმაცია მიიღო და თავი მოიკატუნა, ვითომ ბლოკი ზიზღს ჰგვრიდა. «რა საშინელებაა! – წამოიძახა ენერგიული მქუხარე ხმით. – მთელი ეს დასახლება, «კომანდორის» სახელს რომ ატარებს, მალტის ორდენის (რომელსაც მეც მივეკუთვნები) რაინდებმა ააშენეს და მათ მფლობელობაში

გადავიდა, იმ ადგილების მსგავსად «სატაძროსა» თუ «სარაინდოს» სახელები რომ შეერქვათ და ტამპლიერები ფლობენ.

«კომანდორში» მე რომ დავსახლებულიყავი, ბუნებრივი იქნებოდა. მაგრამ – ებრაელი! თუმცა არც მაოცებს: ეს ებრაელი ერის მკრეხელობისადმი განსაკუთრებული მიდრეკილებით აიხსნება. თუ ებრაელმა იმდენი ფული იშოვა, რაც საშუალებას მისცემს, ციხე-დარბაზი იყიდოს, აუცილებლად ისეთს აირჩევს, რომელსაც «სავანე» ჰქვია, «სააბატო», «მონასტერი» ან «უფლის სახლი». ერთ ებრაელს ვიცნობდი, ჩინოვნიკს. გამოიცანით, სად ცხოვრობდა? ხარების ტაძართან. როგორც კი საქმე ცუდად წაუვიდა, ბრეტანში გადასახლდა, მიძინების ტაძართან. როცა ვნების კვირას უხამსი სანახაობა იმართება, რომელსაც «ვნება» ჰქვია, ნახევარ დარბაზს ებრაელები ავსებენ, ღვარძლიანად ელოდებიან, ხელმეორედ როგორ გააკრავენ ჯვარზე ქრისტეს, თუნდაც ეს თეატრალურ სცენაზე მოხდეს. ერთხელ ლამურეს კონცერტზე ვიღაც მდიდარი ებრაელი ბანკირის გვერდით ვიჯექი. ბერლიოზის «ქრისტეს ბავშვობას» ასრულებდნენ, ბანკირი საშინელ მდგომარეობაში იყო. მაგრამ, როგორც კი დიდი პარასკევის საუცხოო მელოდია გაისმა, მისმა სახემ მაშინვე სათნო იერი მიიღო, თქვენი მეგობარი «კომანდორში» ცხოვრობს. რა უბედურებაა! სადიზმია! გზა მიმასწავლეთ, – მოჩვენებითი გულგრილობით გააგრძელა; – ერთ დღეს წავალ და ვნახავ, ჩვენი უძველესი მამულები ასეთ პროფანაციას როგორ იტანენ. თქვენი მეგობარი, ეტყობა, კარგად აღზრდილი, დახვეწილი ადამიანია, მაგრამ მდაბალი სული აქვს, ეს არის საქმე. ისღა გვაკლია, პარიზში სატაძრო ქუჩაზე ცხოვრობდეს!» ბატონმა დე შარლიუმ ეს სიტყვები ისეთი ტონით წარმოთქვა, თითქოს თავისი თეორიის განმტკიცება უნდოდა, სინამდვილეში კი, ჩემდამი მომართული შეფარული შეკითხვა გახლდათ, ასე უნდოდა, გაეგო, ბლოკი სად ცხოვრობდა. «ოდესღაც, – ჩაერია ბრიშო, – სატაძრო ქუჩას სატაძრო რაინდების სახელი ერქვა. ნებას დამრთავთ, ბარონო, ამ საკითხს ნათელი მოვფინო?» – მიმართა ბატონ დე შარლიუს. «რა? რასთან დაკავშირებით?» – მშრალად ჰკითხა ბარონმა, რადგან ეს «ნათელის მოფენა» საჭირო ცნობების მიღებაში ხელს უშლიდა. «არა,

არაფერი, – გაუბედავად უპასუხა ბრიშომ. – ვიღაცა ბალბეკის ეტიმოლოგიით დაინტერესდა. სამონასტრო ქუჩას ოდესღაც ბარ-დიუ-ბეკი ერქვა, რადგან ნორმანდიულ სააბატო ბეკს პარიზში თავისი ეკლესია ჰქონდა». ბატონმა დე შარლიუმ არაფერი უპასუხა, ვითომ ბრიშოს ნათქვამი ვერ გაიგო – ამ ფორმით გამოხატა თავისი უპატივცემულობა. «თქვენი მეგობარი პარიზში სად ცხოვრობს? რადგან პარიზის ქუჩების სამი მეოთხედი ეკლესიებისა და სააბატოების სახელს ატარებს, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მკრეხელობა ამჯერადაც გრძელდება. ებრაელებს ხომ ვერ ავუკრძალავთ მაგდალენის ბულვარზე, გიორგი ძლევამოსილის გარეუბანში ან წმინდა ავგუსტინის მოედანზე ცხოვრებას. ჯერ მათი მზაკვრობა იქამდე არ მისულა, რომ საცხოვრებლად ღვთისმშობლის ტაძრის მოედანი, არქიეპისკოპოსის სანაპირო, დედა წინამძღვრის ანდა «Ave Maria»-ს ქუჩები აერჩიათ;

უნდა ვაგრძნობინოთ, რომ ამ ადგილებში მათი ცხოვრება უხერხულია». ვერ შევძელით ბატონი დე შარლიუს ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება, ბლოკის ახლანდელი მისამართი არავინ იცოდა. მაგრამ ეს კი ვიცოდი, რომ მამამისის კანტორა თეთრი მანტიების ქუჩაზე მდებარეობდა. «შერყვნილების მწვერვალია, – დაიყვირა ბატონმა დე შარლიუმ, ეტყობა, ამ დამცინავ, აღშფოთებულ წამოძახილში ღრმა სიამოვნება ჩადო. – თეთრი მანტიების ქუჩა! – ყოველი მარცვლის გამოკვეთით, სიცილით გაიმეორა მან. – რა მკრეხელობაა! აბა, წარმოიდგინეთ, ბატონი ბლოკის მიერ წაბილწული თეთრი მანტიები ოდესღაც გლახაკთა ძმობის მანტიები იყო, მაშასადამე, ყოვლადწმინდა ქალწულის მონები იყვნენ, რომელთა სავანეც ლუდოვიკო წმინდამ იმ ქუჩაზე დააარსა. მთელი ქუჩა ხომ მონაზვნურ ორდენს ეკუთვნოდა. ამ პროფანაციაში რაღაც ჭეშმარიტად სატანურსაც დავინახავთ, თუ გავიხსენებთ, რომ თეთრი მანტიებიდან რაღაც ორ ნაბიჯზე მდებარეობს ქუჩა, მისი სახელი აღარ მახსოვს, რომელიც მთლიანად ებრაელთა მფლობელობაში გადავიდა: დუქნებზე ებრაული ფირნიშებია, აქ აცხობენ მაცას, აქ არის ებრაელთა საყასბოც, მოკლედ,

ებრაული კვარტალია პარიზში. აი, სად უნდა ცხოვრობდეს ბატონი ბლოკი! ბუნებრივია, – განაგრძო იმ მაღალფარდოვანი ტონით, რომელიც, უნდოდა თუ არა, იმ საუბრების ტონს შეეფარდებოდა, როგორითაც ხელოვნებაზე მსჯელობდა, თან წინაპრებისგან მემკვიდრეობით მიღებული ამაყად უკან გადაწეული თავი ლუი XIII-ის დროინდელ მოხუც მუშკეტერს ამსგავსებდა. – ეს მხოლოდ ესთეტიკური თვალსაზრისით მაინტერესებს, თორემ პოლიტიკა სრულიად არ მაღელვებს. იმისთვის, რომ ბლოკი ამ ერის კუთვნილებაა, არ შეიძლება მთელი ერი მძულდეს და დავივიწყო, რომ მათი ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი სპინოზაა, რემბრანდტს თაყვანს ვცემ, ამიტომ არ შემიძლია, არ ვიცოდე, რამდენი სილამაზეა სინაგოგაში. საერთოდ კი, ამ ხალხის პრაქტიკულობა და ანგარება სადიზმთან არის შეზრდილი – თეთრი მანტიების ქუჩაზე ცხოვრება თქვენმა მეგობარმა იმიტომ აირჩია, რომ ებრაელთა ქუჩა იქიდან ერთი ხელის გაწვდენაზეა და, ბუნებრივია, ებრაული საყასბოც იქვეა. თავშესაქცევია, არა? არ შეიძლება, თქვენს მეგობარს მოელაპარაკოთ და თეთრი მანტიების ეკლესია გვაჩვენოს? გაიხსენეთ, იქ ლუდოვიკო ორლეანელი მარხია, რომელიც ჟან უშიშარმა მოკლა, მაგრამ, საუბედუროდ, ორლეანელებისგან მაინც ვერ გაგვათავისუფლა. პირადად მე ჩემს ნათესავ ჰერცოგ დე შარტრელთან მშვენიერი ურთიერთობები მაქვს, საერთოდ კი, უზურპატორთა ჯიშის ხალხია, ლუდოვიკო XVI-ის მკვლელი, შარლ მეათისა და ანრი მეხუთის მძარცველები. ჯიშში აქვთ. ო, რა ოჯახია!» ეს ანტიებრაული თუ პროებრაული სიტყვა, იმაზე დამოკიდებული, რომელს უფრო მიენიჭება მეტი მნიშვნელობა, – სიტყვასა თუ ინტონაციას, ჩემდა სასეიროდ შეწყდა, რადგან მორელმა ამ დროს ყურში ჩურჩულით ლაპარაკი დამიწყო, ამან ძალიან გააცეცხლა ბატონი დე შარლიუ. მორელს არ გამოჰპარვია ის შთაბეჭდილება, რომელიც ბარონზე ბლოკმა მოახდინა, და ჩუმად გადამიხადა მადლობა, რომ იგი აქედან «მივაბრძანე», თან ცინიკურად დაურთო: «დარჩენა უნდოდა. შურია. ჩემი ადგილის დაკავების წინააღმდეგი

არ იქნება. უჰ, ეს ყევერი!» «ეს ხანგრძლივი შესვენება გამოვიყენოთ და თქვენს მეგობარს ებრაული წეს-ჩვეულებების შესახებ გამოვკითხოთ. არ შეგიძლიათ, დაეწიოთ?» – მკითხა ბატონმა დე შარლიუმ და მის ხმაში მოუსვენარი ეჭვი გაკრთა. «არა, აზრი არა აქვს, ეპიპაჟით წავიდა, თანაც ჩემზე ნაწყენია». «გმადლობთ, გმადლობთ!» – მიჩურჩულა მორელმა. «სისულელეა, ყოველთვის შეიძლება სხვა ეკიპაჟის დაქირავება და დაწევა. ბოლოს და ბოლოს, რა შეგიშლით ხელს, ავტომობილი აიყვანოთ?» – თქვა ბატონმა დე შარლიუმ, რომელიც მიჩვეული იყო, რომ ყველა ემორჩილებოდა. მერე, რადგან ვდუმდი, დიდგულად და უკანასკნელ იმედსჩაბღაუჭებულმა იკითხა: «ეს რაღა წარმოსახვითი ეკიპაჟია? – ღია საფოსტო კარეტაა. ახლა უკვე «კომანდორში» იქნება». ბატონი დე შარლიუ გარდაუვალობას ან ვითარებას დაემორჩილა და ყველაფრის ხუმრობაში გადატანას შეეცადა. ბოლოს გაგვაფრთხილეს მატარებელი მალე დაიძვრებაო და სენ-ლუც გამოგვეთხოვა. ეს მხოლოდ ერთადერთხელ მოხდა, რომ უნებლიე ტკივილი მომაყენა – როცა ვიფიქრე, მისი და ალბერტინის მარტო დატოვება მომიწევდა, თუ ბლოკთან წასვლა მომიხდებოდა. სხვა შემთხვევაში მისი ყოფნა ტანჯვას არ მაყენებდა. ალბერტინზეც რომ არ მეღელვა, ვაგონში ისეთ ადგილს ირჩევდა, სადაც რობერს შემთხვევითაც ვერ შეეხებოდა, ხელის ჩამოსართმევადაც კი ვერ მისწვდებოდა, როგორც კი ვაგონში სენ-ლუ შემოვიდოდა, ხაზგასმულად ზურგს აქცევდა, არაბუნებრივად აღგზნებული ვინმე მგზავრს გაუბამდა ლაპარაკს და ეს თამაში იქამდე გრძელდებოდა, ვიდრე სენ-ლუ არ ჩავიდოდა. ამიტომ დონსიერში მისი ვაგონში შემოსვლა ტკივილს აღარ მაყენებდა, არც მაწუხებდა, რამეთუ მისი მოსვლა სხვების მოსვლისგან არაფრით განსხვავდებოდა, მხოლოდ მსიამოვნებდა, რადგან იმ დღეს საპატივსაცემო სტუმართმოყვარეობის დღედ აღვიქვამდი. ზაფხულის ბოლოს, როცა ბალბეკიდან დუვილში მივდიოდით და შორს სენ-პიერ-დე-იფი გამოჩნდებოდა, სადაც საღამოობით სანაპირო კლდეების თხემები ვარდისფრად ისე

ელვარებდა, როგორც ჩამავალ მზეზე მარადიული თოვლი მთის მწვერვალებზე, ნაღველი ისე აღარ მაწუხებდა, როგორც იმ პირველ საღამოს, როცა ჩემ წინ მოულოდნელად სენ-პიერ-დე-იფი ამოისვეტა, უცნაური მწვერვალი (ამას ნაღველსაც ვერ დავარქმევდი, უფრო მწუხარება იყო, რომელმაც ჟინიანი სურვილი აღმიძრა, ბალბეკს აღარ წავსულიყავი, პარიზში მიმავალ მატარებელზე გადავმჯდარიყავი და უკვე აღარც დილა-ბინდის ის საათები გამხსენებია, როცა მზის ამოსვლის წინ ცისარტყელას ყველა ფერი იმსხვრევა), სადაც ელსტირს, რომელმაც ამ სანახაობაზე მიამბო, რამდენიმე წლის წინათ, ვინ იცის, რამდენჯერ დილაუთენია გაუღვიძებია პატარა ბიჭი, რათა ქვიშებს შორის შიშველი დაეყენებინა თავისი მოლბერტის წინ. მახსენებდა, რომ ახლა აქ ერთი უცნაური, ორმოცდაათიოდე წლის წვერულვაშშეღებილი, საკმაოდ გონიერი კაცი გამოჩნდებოდა, ვისთანაც შეგეძლო, შატობრიანზე და ბალზაკზე გელაპარა. და საღამოს ბურუსში ენკარვილის კლდეებს იქით, ადრე რომ ხშირად ოცნების გუნებაზე მაყენებდა, ახლა მხოლოდ – თითქოს ანტიკური ქვიშაქვა გამჭვირვალე გამხდარიყო – ბატონი დე კამბრემერის ბიძის ლამაზ სახლს ვხედავდი, სადაც, ვიცოდი, თუ ლა რასპელიერში ვახშმობას არ

ვისურვებდი ანდა ბალბეკში დაბრუნებას, ყოველთვის სიხარულით მიმიღებდნენ. მოკლედ, არა მარტო ადგილების დასახელებებმა დაკარგა ჩემთვის თავდაპირველი იდუმალება, არამედ თვითონ ადგილებმაც. ამ სახელწოდებებმა, სანახევროდ რომ დაკარგეს თავიანთი იდუმალება, რომელიც, მათი განსჯით, ეტიმოლოგიამ საბოლოოდ გაფანტა, ერთი საფეხურით დაბლა დაიწიეს. ერმენონვილის, სენ-ბასტის, არამბუვილის გავლით უკან დაბუნებისას, ყოველ სადგურში შეჩერებისას მხოლოდ ჩრდილებს ვხედავდით, ჯერ ვერ ვცნობდით, ვინ იყვნენ, ბრიშოს, რომელიც ვერაფერს ხედავდა, ალბათ, ერიმუნდის, ვისკარისა და ერემბალდის აჩრდილები ეგონა. ჩრდილები ვაგონს მოუახლოვდნენ. ბატონი დე კამბრემერი აღმოჩნდა და მისი სტუმრები, რომლებსაც აცილებდა; ვერდიურენებთან საბოლოოდ წაჩხუბებულმა დედისა

და მეუღლის სახელით მთხოვა, იქნებ, შესაძლებელია «მოგიტაცოთ» და რამდენიმე დღით ფეტერნში შეგაყოვნოთ, სადაც მშვენიერი მომღერალი ქალი მთელ გლიუკს გიმღერებთ, ცნობილ მოჭადრაკესთან ჭადრაკის რამდენიმე დიდებულ პარტიას ითამაშებთ და ამ ყოველივეს თევზაობას, იახტით სეირნობას და თვით ვერდიურენების ვახშმებსაც ზედ დავამატებთო. მარკიზი პატიოსან სიტყვას მაძლევდა, რომ იმათთან გამიშვებდა, თვითონ წამიყვანდა და თვითონ მომიყვანდა, ასე უფრო მოხერხებული იქნებოდა ჩემთვის და ისიც მშვიდად იგრძნობდა თავს. «არა მგონია, თქვენს ჯანმრთელობას ამ საღამოს ასეთ სიმაღლეზე ასვლა მოუხდეს (ან ასვლამ არგოს). ჩემი და ამას ვერ შეეგუებოდა და უკან დაბრუნდებოდა. სიტყვამ მოიტანა და ახლა ვერ არის კარგად. ო, თქვენც ძლიერი შეტევა გქონდათ? მაშ, ხვალ ფეხზე დგომას ვეღარ შეძლებთ». ამბობდა და სიცილით კვდებოდა სულაც არა იმიტომ, რომ ავგულა კაცი იყო, უბრალოდ, აბა, როგორ არ გაეცინება კაცს, როცა ქუჩაში გაშხლართულ კოჭლს ან ვინმეს ყრუსთან მოლაპარაკეს დაინახავს. «ბოლო დროს? როგორ, უკვე თოთხმეტი დღეა შეტევა არ გქონიათ? ძალიან კარგია. აუცილებლად ფეტერნში უნდა წამოხვიდეთ და თქვენს შეტევებზე ჩემს დას უამბოთ». ენკარვილში მარკიზი დე მონპეირუც გამოჩნდებოდა ხოლმე; ნადირობას იყო გადაყოლილი და ფეტერნში ვერ მოდიოდა; მატარებელში სამონადირო ჩექმებითა და ხოხბის ფრთით დამშვენებული შლაპით ამოდიოდა, რათა ახლობლებისთვის, მათ შორის ჩემთვისაც, ხელი ჩამოერთმია, თანაც ეთქვა, რომ ამ კვირაში ჩემთვის ხელსაყრელ დღეს მისი ვაჟი შემომივლიდა, წინასწარ მეუბნებოდა მადლობას, ბედნიერი ვიქნები თუ მოახერხებთ და ჩემს შვილს კითხვას შეაყვარებთო. ბატონი დე კრესიც მოდიოდა, როგორც თვითონ აცხადებდა, «საჭმლის მოსანელებლად» და ყალიონის მოსაწევად, სეირნობდა, თუმცა ერთ ან რამდენიმე ღერ სიგარაზეც უარს არასოდეს ამბობდა. «აბა? – მეუბნებოდა. – როდის დამინიშნავთ თქვენი ლუკულუსის[229] სადარი ქეიფის დღეს? განა სალაპარაკო არაფერი

გვაქვს? ნება მომეცით შეგახსენოთ, მონგომერების ორი შტოს წარმოშობის საკითხი არ გაგვირკვევია. ეს საკითხი უნდა მოვამთავროთ. თქვენი იმედი მაქვს». სხვები,

უბრალოდ, გაზეთების შესაძენად გამოდიოდნენ. ბევრი ჩვენთან საუბრობდა, ეჭვი მქონდა, თავიანთი სახლებიდან იმიტომ გამოძვრებოდნენ ხოლმე, სხვა არაფერი საქმე ჰქონდათ, გარდა იმისა, რომ წუთით ნაცნობებს შეხვედროდნენ. ეს სააგარაკო მატარებლის გაჩერებები ხომ, არსებითად, არაფრით განსხვავდებოდა მაღალი წრის სალონებისგან. ეტყობა, მატარებელიც როლში შედიოდა და თითქმის ადამიანურ კეთილმოსურნეობას იძენდა: მოთმინებით, მორჩილად, დიდხანს, რამდენსაც საჭიროება მოითხოვდა, ელოდა დაგვიანებულებს, დაძვრის შემდეგაც ჩერდებოდა, ხელის ქნევით ადევნებული, აქოშინებული მგზავრები რომ აეყვანა, ამაში მჟღავნდებოდა მათი მსგავსება, განსხვავება კი ის იყო, რომ ადამიანები სირბილით მოსდევდნენ, ეს კი სვლის შენელებით გამოხატავდა თავის კეთილმოსურნეობას. ახლა არც ერმენონვილი, არც არამბუვილი და არც ენკარვილი ჩემს წარმოსახვაში ნორმანების შემოსევების მკაცრი დიდებულებით აღვსილ სურათებს აღარ ხატავდნენ და ქალაქებსაც აღარ უხაროდათ, ენით უთქმელი მწუხარების საბურველი რომ ჩამოიხსნეს, რომელშიც ოდესღაც ნესტიანმა საღამომ გახვია. დონსიერი! დიდი ხნის შემდეგ, მას მერე, რაც ქალაქი შევისწავლე, ყველა ჩემი ოცნება გაქრა, მის სახელს მხოლოდ ქუჩების სასიამოვნო სიგრილე შემორჩა, მზით ავსებული ვიტრინები და მასში გამოფენილი მადის აღმძვრელი ნანადირევი. დონსიერი! ახლა იგი მხოლოდ სადგური იყო, სადაც მატარებელში მორელი ჯდებოდა. ეგლევილი (Aquclaevilla), სადგური, სადაც, ჩვეულებრივ, თავადის ქალი შჩერბატოვა გველოდა. მენვილი, სადგური, სადაც დარიან საღამოობით ალბერტინი ჩადიოდა, თუ ძალიან დაღლილი არ იყო და ცოტა ხნით კიდევ უნდოდა ჩემთან დარჩენა, აქედან მის სახლამდე მხოლოდ ერთი ბილიკი იყო გასავლელი. ახლა უკვე მარტოობის მტანჯავ შიშს აღარ განვიცდიდი, როგორც იმ პირველ

საღამოს, არც მისი შემოტევის მეშინოდა, არ მეშინოდა, რომ სამშობლოს მონატრების ნაღველი მომერეოდა, რომ მარტოდ ვიგრძნობდი თავს ამ მიწაზე, რომელსაც უნარი ჰქონდა, არა მარტო წაბლები ეზარდა, არამედ მეგობრული ურთიერთობების გრძნობებიც გამოეზარდა, მატარებლის მსვლელობისას გრძელ ჯაჭვს რომ ქმნიდა, ზოგჯერ წყვეტილს, მოცისფრო მთათა მწკრივით, ზოგჯერ ფრიალო კლდეებს ან ცაცხვებს იქით მიმალულს, მაგრამ ყოველ სადგურზე აუცილებლად მიგზავნიდა ვინმე სალამქალმიან მემამულეს, რომელიც ჩემს მოგზაურობას გულითადი ხელის ჩამორთმევით წყვეტდა, ნაღველს მიქარვებდა და მზად იყო, საჭიროების შემთხვევაში ორივეს ერთად გაგვეგრძელებინა გზა. მეორე სადგურში კიდევ ვიღაც მელოდა, სათამაშო მატარებელი სტვენით მაუწყებდა, რომ ერთ ნაცნობთან დაშორებული სხვა ნაცნობებს ვხვდებოდი. ერთმანეთთან შორიშორ მდგარ სახლებსა და მათ შორის გამავალ რკინიგზას შორის, რომელზეც მატარებელი იმაზე ჩქარა არ მოძრაობდა, ვიდრე სწრაფად მიმავალი ადამიანი, მანძილი იმდენად დიდი არ იყო, როცა ბაქანზე მდგარი გამცილებლები მოსაცდელი დარბაზიდან გვიხმობდნენ, ისე ჩანდა, თითქოს თავიანთი სახლების ზღურბლზე იდგნენ და გვეძახოდნენ, ანდა თავიანთი ოთახების ფანჯრებიდან, თითქოს საგარეუბნო მატარებლის ლიანდაგი პატარა პროვინციული ქალაქის პატარა ქუჩა იყო, განზე მდგარი დიდმემამულის კარ-

მიდამო კი ერთი ქალაქური სახლი; იმ იშვიათ სადგურებშიც კი, სადაც არავინ მეუბნებოდა «საღამო მშვიდობისა!» სიჩუმეს ჩემთვის სამკურნალო მყუდროება ავსებდა, რადგან ვიცოდი, იგი ჩემი მეგობრების სიზმრებით იყო ნაქსოვი, უახლოეს მამულებში რომ ცხოვრობდნენ და ადრე წვებოდნენ დასაძინებლად, რომლებსაც, თუ გავაღვიძებდი და თავშესაფარს ვთხოვდი, ძალიან გაუხარდებოდათ. ჩვეულება ისე ავსებს ჩვენს დროს, რომ რამდენიმე თვის შემდეგ ქალაქში ჩავლისას წუთიც აღარ გვრჩება თავისუფალი, არადა, დასაწყისში ქალაქი ჩემს განკარგულებაში ტოვებდა დღის მთელ თორმეტ საათს, ახლა, თუ შემთხვევით ერთი საათი

თავისუფალი დრო გამომიჩნდება, აზრადაც არ მომდის, ის ეკლესიის დასათვალიერებლად გამოვიყენო, რისთვისაც ოდესღაც ბალბეკში ჩამოვედი, ანდა ფიქრებში ამ ადგილს შევადარო ელსტირის დახატული ესკიზი, რომელიც მასთან ვნახე. არა, მირჩევნია, ფერესთან წავიდე და ჭადრაკის პარტია ვითამაშო. სინამდვილეში კი, ბალბეკის გამრყვნელი გავლენა, მისი მომხიბვლელობაც, ისაა, რომ იგი ჩემთვის ნაცნობთა ქვეყნად იქცა. მისი უჩვეულო ადგილმდებარეობა, სანაპიროს გასწვრივ აჭრელებული ნათესი მინდვრები ჩემს მოგზაურობებს უცვლელად აკავშირებდა ნაირ-ნაირ მეგობრებთან, მაგრამ ამ მოგზაურობებს მაღალი საზოგადოების გართობების ჯაჭვამდეც მივყავდი, ადრე იმავე სახელწოდებებს «ციხე-დარბაზების ყოველწლიურის» ლამანშის დეპარტამენტის ნაწილშიც ვხვდებოდი და ისევე მაღელვებდა, როგორც რკინიგზის სახელწოდებები ცნობარში, ახლა კი რკინიგზა იმდენად ჩვეული გახდა ჩემთვის, რომ ცნობარს ისეთივე გულგრილობით ვშლი ბალბეკ-დუვილის გვერდზე, როგორც მისამართების კალენდარს. ეს ველი, რომლის ზედაპირიც ადამიანთა ურთიერთობების ხაზებს აეჭრელებინა, მრავალრიცხოვანი ხილული თუ უხილავი მეგობრებით იყო დასახლებული და უკვე ვეღარ ვარჩევდი საღამოს ხმების, ბუს კივილისა თუ ბაყაყების ყიყინის პოეტურობას; ეს ყოველივე კრიკტოსა თუ ბრიშოს მისალმებებმა შეცვალა. ბალბეკის ჰაერში ყველა მღელვარება ერთმანეთს შეურიგდა, ადამიანური მყუდროების სურნელით გაჯერდა და კაცი აქ იოლად, მეტისმეტად თავისუფლადაც სუნთქავს. აქ ვისწავლე საგნებისთვის პრაქტიკული თვალით შეხედვა. და ახლა ალბერტინზე დაქორწინება ნამდვილ სიგიჟედ მეჩვენება.

თავი მეოთხე

<u>ალბერტინისკენ</u> უეცარი შემობრუნება. – მწუხარება მზის ამოსვლისას. – ალბერტინისთან ერთად პარიზში დაუყოვნებლივ გამგზავრება.

მხოლოდ მიზეზს ველოდი, ალბერტინთან ურთიერთობა საბოლოოდ რომ გამეწყვიტა. იმ საღამოს, მეორე დღეს, დედა კომბრეში მიდიოდა ერთ-ერთი დეიდის,

მომაკვდავის, სანახავად, მე კი ბალბეკში მტოვებდა, ზღვის ჰაერი რომ მესუნთქა, რასაც თავის დროზე ბებია დაჟინებით მოითხოვდა, დედაჩემს გამოვუცხადე, საბოლოოდ გადავწყვიტე, ალბერტინიზე აღარ ვიქორწინებ და უახლოეს ხანში მასთან შეხვედრებს შევწყვეტ-მეთქი. კმაყოფილი ვიყავი, გამგზავრების წინ დედის გახარება რომ შევძელი. არ დაუმალავს, რომ ეს მართლაც დიდი სიხარული იყო მისთვის. ახლა ჩემი გადაწყვეტილება როგორღაც ალბერტინისთვისაც უნდა ამეხსნა. ლა რასპელიერიდან ერთად რომ ვბრუნდებოდით, «ერთგულები», ვინ სენ-მარ-ლე-ვეტიუში, ვინ სენ-პიერ-დე-იფში, სხვები კი დონსიერში ჩავიდნენ, რაღაც განსაკუთრებულად ბედნიერად და ალბერტინისგან განცალკევებულად ვგრძნობდი თავს, ამიტომ, როცა ვაგონში ორნი დავრჩით, ამ საკითხზე საუბრის დაწყება გადავწყვიტე. სიმართლე კი, სხვათა შორის, ის გახლდათ, რომ გოგონა, რომელიც შემიყვარდა, ამ დროს ბალბეკში არ იყო, ისევე, როგორც მისი მეგობარი გოგონები, მაგრამ ჩამოსვლას მალე აპირებდა (მათთან თავს კარგად ვგრძნობდი, რადგან პირველი დღიდანვე თითოეულ მათგანში ერთი საერთო არსის რაღაც ნაწილი შევიგრძენი, ერთ განსაკუთრებულ მოდგმად რომ აერთიანებდათ), ეს გოგონა ანდრე გახლდათ. რადგან რამდენიმე დღის შემდეგ ბალბეკში ისევ ჩამოდის, ცხადია, მაშინვე ჩემს სანახავად მოვა,

მე კი თავისუფლება უნდა შევინარჩუნო და მასზე არ დავქორწინდე, რა თქმა უნდა, თუ თვითონ არ მოვისურვებ, რათა ვენეციაში გამგზავრებაში ხელი არ შემიშალოს, მანამდე კი სრულ მორჩილებაში უნდა მყავდეს, ამიტომ არ შევიმჩნევ, რომ მენატრებოდა და მისი ჩამოსვლა ძალიან გამიხარდა, როცა ჩემთან მოვა, აი, რას ვეტყვი: «სამწუხაროა, რომ ერთმანეთს რამდენიმე კვირით ადრე არ შევხვდით! შეგიყვარებდით; ახლა ჩემი გული დაკავებულია. თუმცა ეს არაფერს ნიშნავს, ხშირად შევხვდებით ერთმანეთს, რადგან ის მეორე შეყვარებული სევდას მგვრის, თქვენ კი მანუგეშებთ». ამ საუბარზე ფიქრისას გულში გამეღიმა, რადგან ასე ილუზიას შევუქმნიდი, რომ მართლა არ მიყვარდა; ამგვარად, ისიც აღარ დაიღლებოდა ჩემით და მეც მისი ალერსით უდარდელად და მშვიდად ვისიამოვნებდი. მაგრამ ეს ყველაფერი ალბერტინთან მწვავე, სერიოზულ დალაპარაკებას საჭიროებდა, რათა მისთვის სასტიკი დარტყმა არ მიმეყენებინა, რაკი გადავწყვიტე და გული მის მეგობარს ვუძღვენი, უნდა სცოდნოდა, რომ აღარ მიყვარდა. ამის თქმა ახლავე იყო საჭირო, რადგან ანდრე დღე-დღეზე უნდა ჩამოსულიყო. მაგრამ, როცა პარვილს მივუახლოვდით, ვიგრძენი, რომ დღეს საღამოს ამაზე სალაპარაკოდ დრო არ გვეყოფოდა და უკეთესი იქნებოდა, ჩემი საბოლოო გადაწყვეტილების თაობაზე ხვალ მეთქვა. და ვერდიურენების ვახშამზე, საიდანაც მოვდიოდით, ლაპარაკით დავკმაყოფილდი. როცა მატარებელი ენკარვილს გასცდა, რომელიც პარვილამდე ბოლო სადგური იყო, ალბერტინმა პალტო ჩაიცვა და მითხრა: «აბა, ხვალ «ვერდიურენებამდე», არ დაგავიწყდეთ, რომ უნდა შემომიაროთ». განზრახ მშრალად ვუპასუხე: «დიახ, ოღონდ მანამდე «ფარ-ხმალი თუ არ დავყარე», რადგან უფრო და უფრო ვრწმუნდები, რომ ასე ცხოვრება, უბრალოდ, სისულელეა. და, თუ წავალთ, არ მინდა ლა რასპელიერში ჩემი გამგზავრება დროის უქმი ხარჯვა აღმოჩნდეს, ამიტომ,

ვფიქრობ, ქალბატონ ვერდიურენს ერთი რამ ვთხოვო, რამაც შეიძლება ძალიან დამაინტერესოს, დაფიქრების საგნადაც იქცეს და

სიამოვნებაც მომანიჭოს, თორემ წელს ბალბეკში მართლაც უსიხარულოდ ვცხოვრობ». «ამით ჩემ მიმართ მაინცდამაინც დიდ თავაზიანობას არ იჩენთ, მაგრამ გული არ მომდის, რადგან ვგრძნობ, ნერვიულობთ. რა სიამოვნებაა ასეთი?». «იქნებ, ქალბატონმა ვერდიურენმა არ დაიზაროს, ერთი კომპოზიტორის ნაწარმოებები მომასმენინოს, რომლის შემოქმედებაც მშვენივრად იცის. მე მხოლოდ ერთს ვიცნობ, ამბობენ, სხვაცა აქვსო, მინდა ვიცოდე, ამ ნაწარმოებებს თუ ასრულებენ და რითი განსხვავდებიან პირველისგან». «რომელი კომპოზიტორია?». «ეჰ, ჩემო პატარავ, თუ გეტყვი, რომ მისი გვარი ვენტეილია, განა ეს რამეს მოგცემთ?» შეგვიძლია, რაც გვინდა, ის ვილაპარაკოთ, მაგრამ სიმართლე სიტყვებში არ დევს და, როცა ყველაზე ნაკლებად ველით, აი მაშინ გარედან გვგესლავს საშინელი ნესტრით და ჭრილობაც სამუდამოდ გვრჩება. «ვერც კი ხვდებით, როგორ გამამხიარულეთ, – მიპასუხა ალბერტინმა. თან ადგა, რადგან მატარებელმა უკვე შეანელა მოძრაობა. – არა მარტო ბევრი რამ მომცა, როგორც თქვენ გგონიათ, არამედ ქალბატონი ვერდიურენის გარეშეც შემიძლია ყველაფერზე გიპასუხოთ, რაც გაინტერესებთ. გაიხსენეთ, ერთ ჩემს ასაკოვან მეგობარ ქალზე გიამბობდით, ვინც ცხოვრებაში დედობაც გამიწია და დის მაგივრობაც, ვისთანაც ტრიესტში ჩემი საუკეთესო წლები გავატარე და ვისაც, სხვათა შორის, რამდენიმე კვირის შემდეგ შერბურში უნდა შევხვდე – იქიდან სამოგზაუროდ ერთად მივდივართ (შეიძლება ეს ცოტა უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ ხომ იცით, როგორ მიყვარს ზღვა), და აი, ეს ჩემი მეგობარი (ოღონდ ისე არ წარმოიდგინოთ, რომ იგი «სხვა ჟანრის» ქალებს მიეკუთვნება!), ნახეთ, რა საოცარი დამთხვევაა, ვენტეილის ქალიშვილის საუკეთესო მეგობარია და მასთან ნაკლები მეგობრობა არც მე მაქვს. ორივეს უფროს დას ვეძახი. მიხარია, რომ თქვენმა პატარა ალბერტინმა შეძლო და მუსიკის სფეროში მაინც გამოგადგათ, რისიც, როგორც სამართლიანად აღნიშნეთ, არაფერი გამეგება». ამ სიტყვებმა, ალბერტინიმ სადგურ პარვილში მატარებლის შესვლისას რომ

მითხრა, ასე შორს კომბრეედან და მონჟუვენიდან, ვენტეილის სიკვდილიდან მრავალი წლის შემდეგ, გულში ხატება ამიმოძრავა, ხატება, მასში მრავალი წლის განმავლობაში რომ ინახებოდა, ხატება, რომლის ვნებისმომგვრელ ზეგავლენასაც წინასწარ ვგრძნობდი და სულის სიღრმეში ვმალავდი, იმედი მქონდა, დრო გავიდოდა და ისიც გაქრებოდა; მაგრამ ის მაინც აგრძელებდა ჩემში სიცოცხლეს – ორესტეს მსგავსად, რომლის სიკვდილიც ღმერთებმა თავიდან აიცილეს, რათა დათქმულ დღეს სამშობლოში დაბრუნებულიყო და აგამემნონის მკვლელობისთვის შური ეძია – სიცოცხლეს აგრძელებდა, რათა ვეტანჯე, ალბათ, ჩემს დასასჯელად, ვინ იცის? იქნებ, იმიტომ, რომ ბებიაჩემი სიკვდილს დავანებე; იქნებ, წყვდიადიდან, სადაც დაფლული იყო, მოულოდნელად გამოჩნდა, რათა განვეგმირე, როგორც შურისმაძიებელს, საზეიმოდ რომ აღენიშნა ჩემი საზარელი ცხოვრების დასაწყისი, ახალი და დამსახურებული ცხოვრების, ანდა, იქნებ, იმისთვისაც, რათა კაშკაშა

სინათლის კონა ესროლა მუდმივად მზარდი ცუდი ქცევების საბედისწერო შედეგებისთვის, და არა მარტო იმათთვის, ვინც ისინი ჩაიდინა, არამედ იმათთვისაც, ვისაც ჰგონია, მხოლოდ ისეთი საინტერესო და თავშესაქცევი სანახაობა ნახა, როგორადაც, სამწუხაროდ, მე გამოვიყურებოდი იმ შორეულ საღამოს მონჟუვენში, როცა ბუჩქებში მიმალულმა (სუნთქვაშეკრული რომ ვუსმენდი სვანის სასიყვარულო ამბებს) გაუფრთხილებლად აღმოვაჩინე ის ცოდნა, რამაც ჩემს შინაგან სამყაროს მწუხარების ფართო, საბედისწერო გზა გაუხსნა. ამავე დროს, საშინელმა დარდმა ისეთი შეგრძნება გააჩინა, სიამაყის გრძნობას რომ ჰგავდა, სიხარულის იმგვარ შეგრძნებას, როგორსაც ის ადამიანი განიცდის, ერთი ნახტომით რომ აფრინდა მწვერვალზე, რომელსაც სხვა გზით ვერაფრით მიაღწევდა. ალბერტინი, მადმუაზელ ვენტეილი და კიდევ ერთი მათი მეგობარი ქალი სოფიზმის ცდუნებას აეყოლიებინა; ის, რაც მე წარმოვიდგინე, როცა მტანჯველმა ეჭვმა შემიპყრო, შეიძლება, შევადაროთ 1889 წლის გამოფენაზე გამოტანილ აკუსტიკურ

მოწყობილობას, რომლისგანაც მხოლოდ შენობის ორი ბოლოს დაკავშირებას ელიან და რაც სხვა არაფერია, თუ არა ტელეგრაფის მავთულები, ქუჩების, ქალაქების, მინდვრების, ზღვების თავზე რომ დალივლივებენ და სახელმწიფოებს ერთმანეთთან აერთებენ. საშინელ terra incognit-ის მივადექი და ჩემ წინ ახალი, მოულოდნელი ტანჯვის პერიოდი გაჩნდა. და მაინც, უტყუარობის ეს წარღვნა, რომელმაც წაგვლეკა, რამდენად დიდიც უნდა ყოფილიყო ჩვენს გაუბედავსა და უბადრუკ ვარაუდებზე, მათში მაინც წინასწარ იგრძნობოდა. შესაძლოა, ასეთი წარღვნა მომაწყდა მეც, როცა ჩემთვის რაღაც ახალი გავიგე, ასეთ წარღვნად მიაჩნდათ ალბერტინისა და მადმუაზელ ვენტეილის მეგობრებს ის, რაც მიუღებელი იყო ჩემი გონებისთვის და რამაც გაურკვეველი შიში ჯერ კიდევ მაშინ აღმიძრა, შეშფოთებული რომ მივჩერებოდი ალბერტინს, როცა ის ანდრეს საზოგადოებაში მოხვდებოდა. ხშირად მხოლოდ შემოქმედებითი წარმოსახვის სიმწირე გვიშლის ხელს, ტანჯვის გზაზე წინ წავიწიოთ, მაგრამ ტანჯვის თანაზიარი ყველაზე საშინელი სინამდვილე გასაოცარი აღმოჩენით გვახარებს, იგი ახალ ნამდვილ ფორმას აძლევს იმას, რასაც დიდი ხანია ისე განვიცდით, თვითონაც რომ არ ვიცოდით. მატარებელი პარვილში გაჩერდა და, რადგან მგზავრები მხოლოდ ჩვენ ვიყავით, გამცილებელმა «პარვილი!» ისეთი სუსტი ხმით დაიძახა, იგრძნობოდა, ამ მოვალეობის შესრულება საჭირო აღარ იყო, ალბათ, ჩვევის გამო გამოაცხადა, რომელმაც სიზუსტეს, უფრო კი გულგრილობას მიაჩვია, მაგრამ, რაც მთავარია, ძალიან უნდოდა ძილი. ალბერტინი, ჩემ წინ რომ იჯდა, როგორც კი დაინახა, დანიშნულების ადგილზე მივედით, ადგა, ვაგონის კართან მივიდა და გააღო. მაგრამ ამ მოძრაობამ, ვაგონიდან ჩასასვლელად რომ გააკეთა, თითქოს გული გამიგლიჯა, თუმცა ალბერტინის სხეულს ჩემს სხეულთან კავშირი არ ჰქონდა, ჩვენი გამყოფი სივრცე, რომელიც ჭეშმარიტმა ხელოვანმა უნდა აღბეჭდოს, მხოლოდ ხილულ სივრცეს წარმოადგენდა, ასე რომ, ვინც მიზნად დაისახავს, რეალური სინამდვილის თანახმად, ხელახლა აღადგინოს ყველაფერი,

მან ალბერტინი უნდა მოათავსოს არა ჩემგან რაღაც მანძილით დაშორებული, არამედ ჩემ შიგნით. როცა მშორდებოდა, თავი ისე ცუდად ვიგრძენი, დავედევნე, სასოწარკვეთილმა მკლავში ხელი ჩავავლე და მოვქაჩე. «რამე მნიშვნელოვანი მიზეზი ხომ არ გაქვთ, რაც ბალბეკში ღამის გათევაში ხელს შეგიშლით?». «არავითარი. მაგრამ ისე მეძინება, რომ ვკვდები». «ფასდაუდებელ სამსახურს გამიწევთ, თუ...». «კარგი. ოღონდ არ მესმის, რატომ ადრე არ მითხარით? მოკლედ, ბალბეკში ვრჩები». იმის შემდეგ, რაც ალბერტინს სხვა სართულზე ოთახი გამოუყვეს, ჩემს ნომერში ავედი, დედაჩემს უკვე ეძინა. ფანჯარასთან დავჯექი, თავს ძალა დავატანე, ტირილი არ ამვარდნოდა და დედა არ გამეღვიძებინა, რომელსაც ჩემგან თხელი ტიხარი ჰყოფდა. დარაბების დაკეტვა არც მიფიქრია, როცა ავიხედე, ჩემ წინ ცაზე ჩამავალი მზის მეწამული ანარეკლი დავინახე, რომელიც თავის დროზე რივბელის რესტორანში მეცა თვალში და რომელიც ელსტირმა დაიჭირა ერთ-ერთ თავის ეტიუდში. გამახსენდა, როგორ ავღელდი, როცა ბალბეკში პირველად ჩამოსვლის დღეს ვაგონიდან მოსაღამოვების ეს სახე დავინახე, რომელსაც ღამე კი არ მოსდევდა, არამედ ახალი დღე. მაგრამ ახლა ჩემთვის ერთი დღეც აღარ იქნება ახალი, ჩემში უცნობი ბედნიერებისკენ სწრაფვას აღარ გამოაცოცხლებს, ეს იქნება მხოლოდ ჩემი წამების გაგრძელების დღე, რომელიც მანამდე არ შეწყდება, ვიდრე მისი ატანის ძალა შემრჩება. ახლა უკვე დარწმუნებული ვიყავი, რომ კოტარი, როცა პარვილის კაზინოში ვისხედით, არ ტყუოდა. ის, რისიც მეშინოდა, ის, რაც, დიდი ხანია, ბუნდოვნად მაეჭვებდა ალბერტინში, ის, რასაც მთელ მის არსებაში ინსტინქტურად ვჭვრეტდი, რასაც ჩემი გონება, რადგან ასე მსურდა, განუწყვეტლივ თავს არიდებდა, მართალი იყო! ალბერტინის უკან ზღვის ლურჯი ტალღების მთებს უკვე აღარ ვხედავდი, ვხედავდი ოთახს მონჟუვენში, სადაც მადმუაზელ ვენტეილს ეხვეოდა, სიცილ-ტკარცალით ეხუტებოდა, რაც ისე ჩანდა, თითქოს ჯერ არნახულ სიამოვნებას ეზიარებოდა. ასეც უნდა ყოფილიყო, განა მადმუაზელ ვენტეილი უარს

იტყოდა, თანაც ასეთი მიდრეკილების ქალი, არ შეეცდინა ისეთი ლამაზი გოგონა, როგორიც ალბერტინი იყო? ხოლო იმის დასამტკიცებლად, რომ მისი წინადადებით ალბერტინი შეურაცხყოფილი არ დარჩენილა და თანხმობა განუცხადა, ისიც კმარა, არ წაჩხუბებულან, მათი სიახლოვე კი მტკიცდება. ალბერტინის ის ნატიფი მოძრაობა, როზმონდის მხარზე ნიკაპი რომ ჩამოდო, თან რა ღიმილით უყურებდა და კისერზე კოცნიდა, მოძრაობა, რომელმაც მადმუაზელ ვენტეილი გამახსენა, მოძრაობა, რომელიც დაფიქრებას მაიძულებდა და აქამდე იმ უტყუარ დასკვნამდე ვერ მიმიყვანა, რომ თავის ერთნაირი გადახრა არის გარდაუვალი შედეგი ერთი და იმავე ბიწიერებისა, ვინ იცის, იქნებ, ალბერტინმა იგი მადმუაზელ ვენტეილისგან, უბრალოდ, გადმოიღო? ჩამქრალი ცა ნელ-ნელა აგიზგიზდა. ახლად გაღვიძებული უწინ ყველაფერს ღიმილით ვხვდებოდი: ფინჯან რძიან ყავასა თუ წვიმის ხმაურს, ქარის ღრიალს, ახლა ვიგრძენი, რომ დღე, რომელიც აგერ-აგერ დადგება, და ის დღეები, მის შესაცვლელად რომ მოვლენ, უცნობი ბედნიერების იმედს აღარ მომიტანენ და მხოლოდ ჩემს ტანჯვა-წამებას გააგრძელებენ. სიცოცხლეს ჯერ ისევ ვუფრთხილდებოდი, თუმცა ვიცოდი, მისგან სიმკაცრის გარდა არაფერი მელოდა.

ლიფტისკენ გავიქეცი, უდროო დროის მიუხედავად, ღამის მორიგე მელიფტე გამოვიძახე, ალბერტინის ოთახში წასვლა ვთხოვე, რათა გადაეცა, რომ მნიშვნელოვანი საქმე მქონდა და მისი ნახვა მსურდა. «მადმუაზელი ახლავე შემოვა, – მომიტანა პასუხი. – ერთი წუთით მოიცადეთ». მართლაც მალე გამოჩნდა, საშინაო ტანსაცმელი ეცვა. «ალბერტინ, – დაბალი ხმით დავიწყე, მასაც ვთხოვე, ოდნავ გასაგონად ელაპარაკა, დედაჩემს რომ არ გაღვიძებოდა, მისგან ის ტიხარი გვყოფდა, რომელიც ისეთი თხელი იყო, რომ უხერხულობას გვიქმნიდა, რადგან ჩურჩულით ლაპარაკს გვაიძულებდა, არადა, უწინ თავისი მუსიკალური გამჭვირვალობით ასე ერთგულად ემსახურებოდა ბებიაჩემს. – მრცხვენია, ასე რომ გაწუხებთ. საქმე ის გახლავთ, კარგად გამიგეთ, ისეთი რამ უნდა გითხრათ, რაც არ იცით. აქ

ჩამოსვლით ერთი ქალი მივატოვე, რომელიც ცოლად უნდა მომეყვანა, რომელიც მზად იყო, ჩემი გულისთვის ყველაფერი დაეთმო. დღეს დილით სამოგზაუროდ უნდა წავიდეს, აგერ, უკვე ერთი კვირაა, ყოველდღე საკუთარ თავს ვეკითხები, მეყოფა თუ არა ვაჟკაცობა ტელეგრაფით არ ვაცნობო ჩემი დაბრუნება-მეთქი. ვაჟკაცობა კი მეყოფოდა, მაგრამ, ისე უბედურად ვგრძნობდი თავს, ცოტას დარჩა, თვითმკვლელობით არ დავამთავრე სიცოცხლე. ამიტომაც გთხოვეთ გუშინ საღამოს, ღამე ბალბეკში გაგეთენებინათ. თუ სიკვდილს მტკიცედ გადავწყვეტდი, თქვენთან დამშვიდობება სიამოვნებას მომანიჭებდა». და ცრემლები თავის ნებაზე მივუშვი, ჩემი გამონაგონის წყალობით, ესეც ბუნებრივი უნდა გამოსულიყო. «ჩემო საბრალო პატარა ბიჭო! ეს რომ მცოდნოდა, მთელ ღამეს თქვენთან გავატარებდი». – წამოიძახა მან და ერთი წამითაც არ დაფიქრებულა, რომ შეიძლებოდა, იმ ვიღაცაზე მაინც დავქორწინებულიყავი, თვითონ კი ასეთი «მშვენიერი პარტია» გამოეცლებოდა ხელიდან, ისე გულწრფელად იყო აღელვებული ჩემი ტანჯვით, რომლის მიზეზის დაფარვაც შემეძლო, მაგრამ თვით ტანჯვისა და მისგან გამოწვეული სიმწარისა – არა. «გუშინ ლა რასპელიერიდან მოყოლებული, მთელი მგზავრობის განმავლობაში ვგრძნობდი, რომ ნერვულობდით, მოწყენილი იყავით და თქვენ გამო ვშიშობდი, – გააგრძელა ალბერტინმა. სინამდვილეში, მხოლოდ პარვილში მოვიწყინე, ხოლო ჩემი ნერვული მდგომარეობა, რომელსაც ალბერტინი, საბედნიეროდ, ჩემს ნაღველს უკავშირებდა, სულ სხვა მიზეზით იყო გამოწვეული: იმაზე ვჯავრობდი, რომ ერთხანს კიდევ მომიწევდა მასთან ყოფნა, – არ მიგატოვებთ, სულ თქვენთან ვიქნები». მან შემომთავაზა, და მხოლოდ მას შეეძლო შემოეთავაზებინა, ერთადერთი შხამსაწინააღმდეგო საშუალება, რამაც მთელი შიგნეულობა ამიწვა, მაგრამ, მიუხედავად წამლის სიკეთისა და შხამის სიმკაცრის ერთგვაროვნებისა, ორივე ალბერტინისგან მოდიოდა, და მხოლოდ მისგან. აი, ამ გაელვებაში ალბერტინმა, ჩემმა ტკივილმა, შეწყვიტა ჩემი ტანჯვა, მეორე ალბერტინმა კი, ჩემმა მკურნალმა,

გული ამიჩუყა, როგორც გამოჯანმრთელებულს უჩუყდება გული. მაგრამ ამ დროს გავიფიქრე, რომ მალე შერბურში მოუწევდა წასვლა, იქიდან კი ტრიესტში. და მისი წარსულიც განახლდებოდა. ალბერტინის გემში ჩაჯდომისთვის ხელის შეშლა და მისი პარიზში წაყვანა იყო ჩემი მთავარი სურვილი. ცხადია, თუ მოინდომებდა,

პარიზიდან უფრო ადვილი იყო, ვიდრე ბალბეკიდან, ტრიესტში ჩასვლა, თუმცა, მერე რაც მოხდება, პარიზში გამოჩნდება; იქნებ, ჰერცოგინია დე გერმანტს ვთხოვო, შეფარვით ზეგავლენა მოახდინოს მადმუაზელ ვენტეილის დაქალზე, რომ ტრიესტში არ დარჩეს და სადმე გადავიდეს, თუნდაც პრინც დე...სთან, რომელსაც ქალბატონ დე ვილპარიზთან და თვით ჰერცოგინია დე გერმანტთან შევხვედრივარ. მას კი, ალბერტინმა, კიდეც რომ მოისურვოს თავისი მეგობრის სანახავად მისვლა, შეუძლია, ჰერცოგინია დე გერმანტის დარიგების საფუძველზე ეს შეხვედრა ჩაშალოს. ცხადია, თუ ალბერტინს ასეთი მიდრეკილება აქვს, მაშინ პარიზში ბევრ ქალს იპოვის, მსგავს სიამოვნებას რომ მიანიჭებს. ეჭვის არც ერთი მორიგი აფეთქება მეორეს არ ჰგავს, მოცემულ შემთხვევაში ეს მადმუაზელ ვენტეილის მეგობარი ქალია, რომელმაც ეს ეჭვი გამოიწვია. და ეს მადმუაზელ ვენტეილის დაქალი განსაკუთრებით მაღელვებდა. ჩემი, სხვებისთვის გაუგებარი, სწრაფვა ავსტრიისადმი, რომელიც იმიტომ მიყვარდა, რომ ალბერტინი იქიდან ჩამოიყვანეს (სადაც მისი ბიძა საელჩოს მრჩევლად მუშაობდა), იმიტომ, რომ ალბერტინის ღიმილსა და მანერებში ზუსტად ისე ვხედავდი ამ მხარის გეოგრაფიულ განსაკუთრებულობას, სიძველეთა ძეგლებს, პეიზაჟებს, თითქოს ატლასს ანდა ალბომს ვუყურებდი, ეს სხვისთვის გაუგებარი ვნება ჯერ ისევ ცოცხლობდა ჩემში, თუმცა ახლა ამ სიყვარულს ზიზღი შეერია. დიახ, ალბერტინი იქიდან ჩამოვიდა. იქ, ალბათ, ყველა სახლში ხვდებოდა მადმუაზელ ვენტეილის დაქალსა და მის მსგავსთ. ბავშვობაში შეძენილი ჩვეულებები შეიძლება აღდგეს, სამი თვის შემდეგ შობას, მერე ახალ წელს დაქალები ერთმანეთს შეხვდებიან, ეს დღეები ჩემთვის განსაკუთრებულად

ნაღვლიანია, რადგან საახალწლო არდადეგების დროს ჟილბერტთან განშორებით გამოწვეულ სევდას მახსენებს. ახალ წელთან შეხვედრის ხანგრძლივი ვახშმის შემდეგ, როცა ყველა მხიარული და აღგზნებულია, ალბერტინი და მისი იქაური დაქალები ისეთ პოზას მიიღებენ, როგორსაც ჩემს თვალში იღებდნენ ის და ანდრე, თუმცა მათი მეგობრობა შეიძლება უმანკოც იყოს, ვინ იცის? შეიძლება იმ პოზასაც, რომელსაც მონჟუვენში ჩემგან რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით მადმუაზელ ვენტეილი იღებდა, როცა დაქალი დასდევდა. მეჩვენებოდა, ვიდრე მადმუაზელ ვენტეილს თავისი სხეულით საალერსოდ დაფარავდა მისი დაქალი, ჯერ ალბერტინის აალებულ სახეს ეფერებოდა, ალბერტინის, რომელიც ჯერ გაიქცა, მერე ჩემი ყურისთვის მკაფიოდ გასაგონად უცნაური, გამოუცნობი სიცილით გაიცინა და ბოლოს დანებდა. განა რამედ ღირდა ეჭვიანობის ამ ტანჯვასთან შედარებით ის ტანჯვა, რომელიც იმ დღეს ვიგრძენი, როცა დონსიერში მე და ალბერტინის სენ-ლუ შემოგვეყარა და ალბერტინმა მასთან ლაციცი დაიწყო, ან იმ ეჭვთან, რომელიც მაშინ დამეუფლა, როცა ის უცნობი გამახსენდა, რომლისგანაც ალბერტინის იმდღევანდელი პირველი კოცნით ვარ დავალებული, როცა მადმუაზელ დე სტერმარიასგან წერილს ველოდი? ეს სხვა ეჭვი, რომელიც შეიძლება სენ-ლუმ გამოიწვიოს ან სხვა ახალგაზრდა კაცმა, ეჭვიანობა არ არის. ასეთ შემთხვევაში, დიდი-დიდი, მეტოქისა შემეშინდეს, მაგრამ გამარჯვების იმედი მაინც შემრჩება. მოცემულ შემთხვევაში კი მეტოქე ჩემი მსგავსი არ იყო, სხვა იარაღი ჰქონდა და ერთ

მოედანზე მასთან ბრძოლა არ შემეძლო, ალბერტინი ჩემგან იმ სიამოვნებებს ვერ მიიღებდა, რაზეც წარმოდგენა არ მქონდა. ბევრ შემთხვევაში მზად ვართ, ჩვენი მომავალი რაღაც წვრილმანში გავცვალოთ. ოდესღაც მზად ვიყავი, ყველა ცხოვრებისეულ სიკეთეზე უარი მეთქვა, ოღონდ ქალბატონი ბლატენი გამეცნო, რადგან ქალბატონი სვანის მეგობარი იყო. ახლა, ოღონდ ალბერტინი ტრიესტში არ წასულიყო, უმკაცრეს ტაჯნვას ავიტანდი და, თუ ეს ცოტა აღმოჩნდებოდა, მაშინ

მას ვაიძულებდი ტანჯვის ატანას, სამყაროსგან გამოვაცალკევებდი, ჩავამწყვდევდი, იმ მცირე თანხას წავართმევდი, ურომლისოდაც სამოგზაუროდ ვერ წავიდოდა. თუ უწინ ბალბეკისკენ ვისწრაფოდი, მოუთმენლობისგან ვიწვოდი, რათა სპარსული ტაძარი მენახა, გარიჟრაჟზე კი ქარიშხალი, ახლა გული მისკდებოდა, როცა ვფიქრობდი, რომ ალბერტინი ტრიესტში წავიდოდა, იმის წარმოდგენაც კი სიცოცხლეს მიწამლავდა, რომ შობის ღამე შეიძლება მადმუაზელ ვენტეილის დაქალთან გაეტარებინა: როცა ჩვენი წარმოსახვა თავის ბუნებას იცვლის და გრძნობად იქცევა, სახეთა რიცხვი, მოცემულ დროში რომ არსებობდა, აღარ იზრდება. ჩემთვის რომ ეთქვათ ახლა იგი შერბურში არ არის, არც ტრიესტში და ალბერტინსაც ვერ ნახავსო, რა შვებას ვიგრძნობდი და სიხარულით ავტირდებოდი! როგორ შეიცვლებოდა ჩემი ცხოვრებაც და მისი მომავალიც! მაგრამ მე ხომ ვიცოდი, რომ ეჭვების ერთ რომელიმე ფორმაში თავმოყრა სამართლიანი არ არის, თუ ალბერტინს ასეთი მიდრეკილება აქვს, მაშინ იგი შეიძლება სხვებმაც დაუკმაყოფილონ, თუნდაც იმავე გოგონებმა, თუკი სადმე გადაეყრება. სწორედ ტრიესტიდან, ამ იდუმალი მხარიდან, სადაც, როგორც ვგრძნობდი, ალბერტინი სიტკბოებაში ცხოვრობდა და რომელთანაც ბავშვობის მოგონებები და გატაცებები, მეგობრული ურთიერთობები აკავშირებდა, ჩემკენ მტრული ატმოსფეროს გაუგებარი სუნი ქროდა, როგორიც ოდესღაც კომბრეში ჩემს ოთახში სასადილოდან ამოდიოდა ჩანგლების ხმაურთან ერთად, სადაც დედაჩემის სიცილიც აღწევდა, უცხო ხალხს რომ ელაპარაკებოდა, რის გამოც შეიძლებოდა ჩემთან გამოსამშვიდობებლად არც შემოსულიყო; იმ სუნის მსგავსი, სვანისთვის სახლებს რომ ავსებდნენ, სადაც ოდეტი მიუწვდომელი სიამოვნებების საძებნელად საღამოობით დადიოდა. ახლა ტრიესტზე უკვე ისე აღარ ვფიქრობდი, როგორც საუცხოო მხარეზე, სადაც ფიქრიანი ხალხი დადის, მზე ოქროსფრად ჩაესვენება, ზარები ნაღვლიანად რეკს, არამედ, როგორც დაწყევლილ ქალაქზე, რომლისთვისაც ცეცხლი მინდოდა წამეკიდებინა,

თანაც დაუყოვნებლივ, და პირისაგან მიწისა აღმეგავა. ეს ქალაქი ჭრილობიდან ამოუღებელი მახვილივით ჩამერჭო გულში. ალბერტინის შერბურში და ტრიესტში გაშვება საშინელება იქნება. ასევე ბალბეკში მისი დატოვებაც. ახლა, როცა მადმუაზელ ვენტეილთან ჩემი მეგობრის ახლო კავშირი ჩემთვის თითქმის უდავო გახდა, მომეჩვენა, რომ ალბერტინი, როცა ჩემთან არ იყო (ჩვენ კი, დეიდამისის გამო, იყო დღეები, ერთმანეთს ვერ ვხვდებოდით), დროს ბლოკის ნათესავ ქალებთან ატარებდა ან, იქნებ, სხვა ქალებთანაც. იმის გაფიქრებაც კი, რომ საღამოს ბლოკის ნათესავი ქალები უნდა ენახა, ჭკუიდან მშლიდა. აი, რატომ ვუპასუხე ასე, როცა

გამომიცხადა, რამდენიმე დღეს შენთან გავატარებო: «საქმე ის არის, რომ პარიზში ვაპირებ წასვლას. ჩემთან ერთად წამოხვალთ? წინააღმდეგი ხომ არ იქნებით, პარიზში ერთხანს ჩვენთან იცხოვროთ?» საჭირო იყო, რადაც უნდა დამჯდომოდა, სულ ცოტა, რამდენიმე დღე მაინც, მარტო არ დამეტოვებინა, ჩემთან უნდა ყოფილიყო, რათა დავრწმუნებულიყავი, რომ მადმუაზელ ვენტეილის დაქალს არ ნახავდა. ეს ნიშნავდა, რომ ჩემთან იცხოვრებდა, რადგან დედამ გადაწყვიტა, სამსახურებრივი საქმეების მოსაგვარებლად მამაჩემის გამგზავრებით ესარგებლა, ბებიაჩემის სურვილი და თავისი მოვალეობაც შეესრულებინა და ერთ-ერთ მის დასთან წასულიყო კომბრეში. დედას იგი, ბებიას რჩეული და, მაინცდამაინც არ უყვარდა, რადგან ცივად ექცეოდა. ადამიანები, როცა იზრდებიან, თბილად არ იხსენებენ მათ, ვინც ბავშვობაში ცუდად ექცეოდა. მაგრამ დედაჩემი, რომელმაც ჩემთვის ბებიის ადგილი დაიკავა, გულღრძო ქალი არ იყო, დედამისის ცხოვრება მისთვის სუფთა, ბავშვურად გულუბრყვილო ცხოვრებად რჩებოდა, მოგონებათა წყაროდ, სიტკბოებად და მწუხარებად, რაც მის ქცევებს განსაზღვრავდა. ბებიის ამ დას შეეძლო, ბევრი რამ მოეგონებინა და დედაჩემისთვის გაეზიარებინა, მაგრამ ახლა უკვე დაგვიანდა – მძიმედ იყო ავად (ამბობდნენ კიბო აქვსო), და დედაჩემი საკუთარ თავს საყვედურობდა რატომ აქამდე არ ვინახულეო, არადა, მის სანახავად

იმიტომ არ წავიდა, არ უნდოდა, მამა მარტო დაეტოვებინა. გამგზავრებისკენ ისიც უბიძგებდა, რომ დედამისიც ასე მოიქცეოდა, რადგან ბებიის მამის დაბადების დღეს, რომელიც ძალიან ცუდი მამა იყო, უნდოდა საფლავზე ყვავილები მიეტანა, რასაც მუდამ აკეთებდა ბებია. კომბრეში დედას სამეურნეო საქმეებიც უნდა მოეგვარებინა. ბებიის სურვილით ეს სამუშაოები მისი ქალიშვილის მეთვალყურეობით უნდა ჩატარებულიყო, ამიტომაც აქამდე ვერ დაიწყეს. დედას პარიზიდან წასვლა მამაზე ადრე არ უნდოდა, რათა ქმარს მის გარეშე ყოფნა არ გაძნელებოდა; დედაჩემის დეიდის სიკვდილს, არა მგონია, განსაკუთრებულად დაენაღვლიანებინა მამა, მაგრამ დედას სულითა და გულით უთანაგრძნობდა. «არა, ახლა ამას აზრი აღარ აქვს, – მიპასუხა ალბერტინმა. – თუ ეს ქალი უკვე გაემგზავრა, ასე სწრაფად პარიზში დაბრუნებას რაღა აზრი აქვს?». «იქ, სადაც ერთმანეთი გავიცანით, უფრო მშვიდად ვიქნები, ვიდრე ბალბეკში, რომელიც არასოდეს უნახავს და რომელიც ახლა მეზიზღება». ნეტავ, თუ მიხვდა ალბერტინი, რომ ის მეორე არ არსებობდა და, იმ ღამეს თუ მართლაც მინდოდა სიკვდილი, მხოლოდ იმიტომ, რომ თავისი ქარაფშუტობით გამომიტყდა, მადმუაზელ ვენტეილის დაქალთან ახლოს ვარო? შეიძლება. ხანდახან მგონია, რომ მიხვდა. ყოველ შემთხვევაში, იმ დილას დაიჯერა, რომ ის ქალი მართლაც არსებობდა. «თქვენ, ჩემო ბიჭუნა, უნდა დაქორწინებულიყავით იმ ქალზე, – მითხრა მან, – ბედნიერი იქნებოდით, ალბათ, ისიც ბედნიერი იქნებოდა». ვუპასუხე, რომ მის გაბედნიერებაზე ფიქრმა, ცოტას დარჩა, გადამწყვეტი ნაბიჯი არ გადამადგმევინა; ამ ცოტა ხნის წინათ, როცა დიდი მემკვიდრეობა მივიღე, რისი წყალობითაც ჩემს ცოლს ფუფუნებაში ვაცხოვრებდი და გართობის ყოველგვარ პირობას შევუქმნიდი, მზად ვიყავი, მსხვერპლი მიმეღო იმისგან, ვინც მიყვარდა. მადლიერებით მთვრალმა, რასაც ალბერტინისადმი

განვიცდიდი, რადგან ალერსიანად მექცეოდა, იმავ დროს აუტანელი სულიერი ტანჯვით გაწამებულმა, რასაც მის გამო ვითმენდი, იმის მსგავსად, როცა

კაცი მზად არის, დიდი სიმდიდრე აღუთქვას კაფეში ლაქიას, რომელმაც მეექვსე სირჩა არაყი დაუსხა, მეც ვთქვი, რომ ჩემს ცოლს ექნებოდა ავტომობილი და იახტა და, რადგან ალბერტინს ასე უყვარდა ავტომობილითა და იახტით სეირნობა, ამიტომ ვწუხვარ, რომ ის არ შევიყვარე და რომ მისთვის იდეალური ქმარი ვიქნებოდი, მაგრამ ჯერ ვნახოთ, ჩვენ კიდევ გვექნება სასიამოვნო შეხვედრები-მეთქი. იმ ლოთივით, შიშის გამო გამვლელებთან გამოხმაურებას რომ ერიდება, რათა არ გაიტყიპოს, არც მე გამოვიჩინე ის გაუფრთხილებლობა (თუ შეიძლება, ამას გაუფრთხილებლობა ვუწოდოთ), რაც ჟილბერტთან ურთიერთობისას დავუშვი და არ ვუთხარი, რომ ის, ალბერტინი მიყვარდა. «ხომ ხედავთ, ცოტას დარჩა, მასზე არ ვიქორწინე. ვერ გავბედე, წინააღმდეგი ვიყავი, ასეთ ახალგაზრდა ქალს ისეთ ავადმყოფსა და მოსაწყენ ადამიანთან დაეკავშირებინა თავისი ცხოვრება, როგორიც მე ვარ». «გიჟი ხართ, ყველა მოინდომებს თქვენს გვერდით ცხოვრებას, მიიხედ-მოიხედეთ, როგორ დაგდევენ. ვერდიურენებთან მხოლოდ თქვენზე ლაპარაკობენ, ყველაზე მაღალ საზოგადოებაშიც, ვიცი. რადგან ეჭვი შეგეპარათ, მაშასადამე, ის ქალბატონი თქვენი ღირსი არ ყოფილა. ახლა ვხვდები, ვინც ბრძანებულა, ბოროტი ადამიანი. მძულს. აჰ, მე რომ მის ადგილზე ვყოფილიყავი...». «არა, რას ამბობთ, ძალიან საყვარელია; ხოლო ვერდიურენები და სხვა დანარჩენი სასაცილოდ არ მყოფნის. თუ არ ჩავთვლით იმას, ვინც მიყვარს, და ვისთანაც ურთიერთობა შევწყვიტე, მხოლოდ ჩემი პატარა ალბერტინი მიზიდავს. მხოლოდ მას, თუ ერთმანეთს ხშირად შევხვდებით, პირველ ხანებში მაინც, – ჩავურთე, რომ არ შემეშინებინა და შესაძლებლობა მქონოდა, პირველ დღეებში ბევრი რამ მეთხოვა, – შეუძლია, ოდნავ მაინც დამამშვიდოს». ქორწინების შესაძლებლობაზეც მივანიშნე, ოღონდ იქვე დავუმატე, ეს განუხორციელებელი რამ არის, რადგან ხასიათებით ვერ შევეწყობით-მეთქი. ჩემი ეჭვიანობა სენ-ლუსა და რაქილზე, სვანსა და ოდეტზე მოგონებებით იკვებებოდა და აბეზარ ფიქრებს აღმიძრავდა, რადგან მე

მიყვარდა, მასაც უნდა ვყვარებოდი, არადა, ქალს შეიძლება მხოლოდ გამორჩენის გამო შევეყვარებინე. ცხადია, ალბერტინზე ოდეტისა და რაქილის მაგალითით მსჯელობა სისულელე იყო. მაგრამ საქმე ალბერტინში კი არ იყო, არამედ ჩემში, იმ გრძნობებში, მასში რომ შემეძლო გამომეწვია და ეჭვიანობის გამო არ ვაფასებდი. ბევრი უბედურება, რასაც შემდეგში ვიგებთ, ალბათ, ამ რწმენიდან მოდის და, იქნებ, უსაფუძვლოც არის. «მაშ, პარიზში ჩემთან ერთად წამოსვლა არ გნებავთ?». «ახლა დეიდაჩემი არ გამომიშვებს. მერეც რომ ჩამოვიდე, განა უცნაურად არ გამოჩნდება, თქვენთან რომ გავჩერდე? პარიზში ხომ ყველამ იცის, რომ ნათესავები არა ვართ». «ვიტყვით, რომ ნიშნობის მსგავსი რაღაც გვქონდა. ამაში ისეთი არაფერია, ჩვენ ხომ გვეცოდინება, რომ ეს მართალი არ არის». ალბერტინს პერანგიდან კისერი გამოუჩნდა, მოქნილი, მსხვილი ოქროსფერი ჭორფლით დაფარული. ისეთივე სუფთა გრძნობით ვაკოცე, როგორც დედაჩემს ვკოცნიდი, ვცდილობდი, ჩემი ბავშვური

მწუხარება, რომელიც მაშინ გაუქარვებელი მეგონა, როგორღაც დამეამებინა. ალბერტინი ჩასაცმელად წავიდა. მის თავგანწირულებას უკვე ნაპრალი გაუჩნდა, ის ხომ სულ ახლახან მარწმუნებდა, ერთ წამსაც არ მიგატოვებო (ვგრძნობდი, სიმტკიცე დიდხანს არ ეყოფოდა, მეშინოდა, თუ ბალბეკში დავრჩებოდით, ამავე საღამოსვე მიმატოვებდა და ბლოკის ნათესავ ქალებთან შესახვედრად წავიდოდა). მერე მოვიდა და გამომიცხადა, მენვილში მივდივარ და დღის მეორე ნახევარში დავბრუნდებიო. ღამე სახლში არ გამითევია და შეიძლება ჩემს სახელზე რაიმე წერილი მოვიდა, თანაც, ალბათ, დეიდაჩემი ნერვიულობსო. «თუ მხოლოდ ეს არის, – შევეპასუხე, – დეიდას მელიფტე გავუგზავნოთ, ეტყვის, რომ აქ ხართ, თან წერილებს წამოიღებს». უნდოდა ეჩვენებინა, რა კეთილი იყო, თუმცა არ უყვარდა, დამჯერი გამოჩენილიყო, ამიტომ ჯერ წარბები შეიკრა, მაგრამ მაშინვე საყვარელი ხმით თქვა: «ასე იყოს», და დეიდასთან მელიფტე გაგზავნა. გვერდიდან აღარ მომშორებია. უცბად კარზე ფრთხილად

დააკაკუნა მელიფტემ, რაც ჩემთვის სრულიად მოულოდნელი იყო – ვიდრე ჩვენ ვლაპარაკობდით, მან მენვილში მისვლა და უკან დაბრუნება მოასწრო. მოვიდა, რათა ეთქვა, რომ ალბერტინმა დეიდას წერილი გაუგზავნა, დეიდამ კი შემომითვალა, თუ თქვენ ასე გსურთ, ალბერტინს დღესვე შეუძლია პარიზში გამგზავრებაო. სიტყვიერი დავალების მიცემისას ალბერტინი წინდაუხედავად მოიქცა, მიუხედავად ადრეული საათისა, დირექტორი უკვე გაფრთხილებული იყო და აღელვებული მოიჭრა საკითხავად, უკმაყოფილო ხართ, სიმართლეა თუ არა, რომ მიემგზავრებითო, რამდენიმე დღეს ხომ ვერ მოიცდიდით, რადგან დღეს საკმაოდ ცივი ქარიაო. აღარ ავუხსენი, რომ მხოლოდ ერთი სურვილი მქონდა: იმ დროს, როცა ბლოკის ნათესავი ქალები სასეირნოდ გამოდიან, ალბერტინი ბალბეკში აღარ ყოფილიყო, მით უმეტეს, რომ ანდრე, ერთადერთი, ვისაც მისი მათგან დაცვა შეეძლო, აქ არ იყო და ბალბეკი ერთ იმ ადგილად იქცა, სადაც ავადმყოფი ვეღარ სუნთქავს და სასწრაფოდ უნდა გაემგზავროს, აქ ერთი ღამის გათევაც აღარ სურს და გზაში სიკვდილს ამჯობინებს. ცოტა წაჭიდავებამ კიდევ მომიწია ჯერ ოტელში, როცა მარი ჟინესტი და სელესტ ალბარი დაწითლებული თვალებით გამომეცხადნენ (მარის გულამომჯდარმა ტირილმა ნიაღვრის ხმაური გამახსენა); სელესტი, თავისი გრძნობების გამჟღავნებაში ნაკლებად ბობოქარი, ამშვიდებდა; მაგრამ, როცა მარიმ ის ერთადერთი ლექსი წაიდუდუნა, რომელიც იცოდა: «ამქვეყნად ყველა იასამანი ჭკნება», სელესტმაც თავი ვეღარ შეიკავა და ცრემლებმა დაუფარა იასამნისფრად შეტრუსული სახე; თუმცა დარწმუნებული ვარ, ამ საღამოსვე ჩემზე ფიქრიც კი მიავიწყდებოდათ. მერე საგარეუბნო მატარებელში, მიუხედავად სიფრთხილის ყველა ზომისა, არავის შევემჩნიე, მარკიზ დე კამბრემერს გადავეყარე, ჩემი ჩემოდნების დანახვაზე გაფითრდა, რადგან ეგონა, ზეგ მასთან მივიდოდი; თავი მომაბეზრა იმაზე მსჯელობებით, რომ ჩემი შეტევები ამინდის ცვლილებებით აიხსნებოდა, რომ ოქტომბერში აქ ყოფნა ჩემი ჯანმრთელობისთვის საუცხოო იქნებოდა;

მთხოვდა, გამგზავრება «ერთი კვირის შემდეგ მაინც» გადამედო, არასწორად წარმოთქმულმა ამ ფრაზამ არ გამაცოფა, იქნებ, იმიტომ, რომ მისმა თხოვნამ გული დამიმძიმა. ვაგონში ლაპარაკით შემიყოლია, მე კი ყოველ სადგურში მეშინოდა, ერემბალდზე ან გისკარზე უარესი ვინმე არ შემოსულიყო. თუნდაც გრაფი დე კრესი, დაპატიჟებას მომთხოვდა ან მეტიც მოხდებოდა, მძვინვარე ქალბატონი ვერდიურენი შემოიჭრებოდა და თავისთან სტუმრად მიმიწვევდა. მაგრამ ეს ყველაფერი მერე იქნება. ჯერ კიდევ მატარებელში არ ვიჯექი. ჯერ ისევ დირექტორის სასოწარკვეთილ ვედრებას ვუსმენდი; ჩურჩულით ლაპარაკობდა, ეშინოდა, დედა არ გაეღვიძებინა, მაგრამ ოთახიდან მაინც გავაბრძანე. მარტო დავრჩი ზუსტად იმ მაღალჭერიან ოთახში, პირველი ჩამოსვლისას ასე უბედურად რომ ვგრძნობდი თავს, სადაც დიდი სინაზით ვფიქრობდი მადმუაზელ დე სტერმარიაზე და საიდანაც ალბერტინსა და მის დაქალებს ვუთვალთვალებდი, გადამფრენი ფრინველებივით რომ ისვენებდნენ პლაჟზე, სადაც გულგრილად დავეუფლე ალბერტინს, სადაც ბებიას სიკეთე შევიცანი და სადაც მერე ისიც გავიგე, რომ გარდაცვლილიყო; ეს დარაბები, დილის მზის სხივი რომ ატანდა, პირველად გამოვაღე, რათა ზღვის უახლოესი ტალღების გრეხილი დამენახა (ალბერტინი დარაბების დახურვას მაიძულებდა, რომ არავის დაენახა, როგორ ვკოცნიდით ერთმანეთს). ჩემში მომხდარი ცვლილებები საგანთა უცვლელობასთან შეპირისპირებით შევიცანი. ნივთებს ისევე ვეჩვევით, როგორც ადამიანებს, ვიხსენებთ, რა მნიშვნელობა ჰქონდა მათ ჩვენთვის, მერე როგორ დაკარგეს ეს მნიშვნელობა, ვიხსენებთ მათით სავსე მოვლენებს, ახლანდელთან საერთო რომ არაფერი აქვს, იმ შემთხვევების მრავალფეროვნებას, ამ ჭერქვეშ, ამ შემინული წიგნების კარადებს შორის რომ მოხდა, გულებისა და ცხოვრების ცვლილებებს, ამ მრავალფეროვნების ნაწილს რომ შეადგენს, და დეკორაციის უცვლელობის წყალობით ჩვენს თვალში ადგილის მთლიანობის ძალა იზრდება.

ერთი წუთის განმავლობაში ორჯერ თუ სამჯერ მომივიდა აზრად, რომ სამყარო, სადაც ეს ოთახი მდებარეობდა, და წიგნების კარადები, სადაც ალბერტინს ასე ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა, შეიძლება ყოფილიყო კიდეც სულიერი სამყარო, ერთადერთი რეალობა, ხოლო ჩემი კაეშანი რაღაც ისეთი სევდის მსგავსი იყო, რასაც რომანის კითხვა გვგვრის და რაც მხოლოდ შეშლილს ხელეწიფება, აქციოს ხანგრძლივ, აკვიატებულ მწარე გრძნობად, რომელსაც მთელი ცხოვრება შეინარჩუნებს; იქნებ, შესაძლებელია, ნებისყოფის მცირე დაძაბვით დავუბრუნდე რეალურ სამყაროს, გადავაბიჯო ჩემს ტკივილს, შევიდე მასში, მხოლოდ ალბერტინზე ვიღელვო და არა წაკითხული რომანის გმირ ქალზე. საერთოდ კი, ჩემი ყველაზე რჩეული ქალები მათდამი მიმართული ჩემი გრძნობების ძალას არ შეესაბამებოდნენ. ჩემი სიყვარული ნამდვილი იყო, რადგან ყველაფერს ვწირავდი მსხვერპლად, რათა ისინი მენახა და მათთან მარტო დავრჩენილიყავი, და რადგან ერთ საღამოს, როცა მათი ხმები შემომესმა, ავტირდი კიდეც, მათ ჰქონდათ უნარი, ჩემში ვნება გაეღვიძებინათ, შეშლილობამდე მივეყვანე, მაგრამ არც ერთი სიყვარულის საგანს არ წარმოადგენდა. როცა მათ ვხედავდი, ვუსმენდი, მათ გრძნობებში ჩემი მათდამი გრძნობის უმცირეს მსგავსებასაც ვერ ვპოულობდი, მათში არაფერი იყო ისეთი, რასაც

შეეძლო აეხსნა, რატომ მიყვარდა ისინი. და მაინც, ერთადერთი ჩემი სიხარული მათი ნახვა იყო, ერთადერთი ჩემი წუხილი კი მათი ლოდინი. კაცმა შეიძლება იფიქროს, თითქოს ბუნებამ ისინი რაღაც ისეთი განსაკუთრებული თანამდევი თვისებით დააჯილდოვა, მათთან კავშირში რომ არ არის, და ეს რაღაც ელექტრობის მსგავსი თვისება ჩემში სიყვარულს აღძრავდა, ასე ვთქვათ, იგი მართავდა ჩემს ქცევებს და მაყენებდა ტკივილს. მაგრამ ამ ქალების სილამაზე, გონება, სიკეთე ამ თვისებისგან სრულიად განსხვავდებოდა. ჩემი გატაცებები, ელექტროდენის მსგავსად, დარტყმისას რომ გვაკანკალებს, მანჯღრევდა, მათით ვცხოვრობდი, შევიგრძნობდი, მაგრამ ერთხელაც არ მინახავს ისინი, არც გამიაზრებია. იმასაც კი ვფიქრობ, რომ, როცა ხიბლში

ვვარდებით (მხედველობაში ფიზიკური სიამოვნება არა მაქვს, რაც ჩვეულებრივ გატაცებასთან არის დაკავშირებული, რომელიც მას არ წარმოშობს), ისე ვიქცევით, თითქოს თვალშეუვლებ ღვთაებას მივმართავთ, რომელმაც უხილავი ძალების დახმარებით ამ ქალის სახე მიიღო. ჩვენთვის აუცილებელია არა ვინმე ნებისმიერის, არამედ ზუსტად მათი კეთილგანწყობა, ზუსტად მათთან ვეძებთ ურთიერთშეხების წერტილს, თუმცა ამით ნამდვილ სიამოვნებას ვერ ვიღებთ. პაემნის დროს ქალი ამ ღვთაებებს გვაცნობს და მეტი არაფერი. ძღვნად აღვუთქვამთ ძვირფასეულობას, მოგზაურობებს, ისეთ სიტყვებს წარმოვთქვამთ, რაც ნიშნავს, რომ ვაღმერთებთ, ანდა პირიქით, მათდამი გულგრილები ვართ. ყველაფერს ვაკეთებთ, ახალ პაემანს რომ მივაღწიოთ, თუმცა არა მოსაბეზრებელს. და მაინც, ეს იდუმალი ძალები რომ არ იყოს, განა ქალის გამო ამდენს გავირჯებოდით? თანაც, თუ უკვე წასულია, იმის თქმაც გვიჭირს, როგორ იყო ჩაცმული, და გვახსენდება, რომ ერთხელაც არ შეგვიხედავს მისთვის?

მხედველობა მატყუარაა! ადამიანური სხეული, საყვარელიც კი, როგორიც ალბერტინის სხეულია, თუნდაც რამდენიმე მეტრზე, რამდენიმე სანტიმეტრზე ჩვენგან მოცილებული მაინც შორს გვეჩვენება. სხვა ქალთანაც იგივე ხდება. ოღონდ, რაღაც ისეთი, მის სულს რომ ძალდატანებით აიძულებს, მკვეთრად იცვალოს მდგომარეობა. უკვე ვხედავთ, რომ ქალს ჩვენ კი არა, ვიღაც სხვა უყვარს, მხოლოდ მაშინ გულის გახშირებული ძგერა გვკარნახობს: საყვარელი არსება ჩვენგან რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით კი არ იმყოფება, არამედ ჩვენშია. ჩვენშია, თანაც ღრმად. სიტყვები «ეს მადმუაზელ ვენტეილის დაქალია» იმ სეზამად იქცევა, რომელსაც თვითონ ვერასოდეს ვიპოვიდი და რომელიც ალბერტინს ჩემი გაწამებული გულის სამალავამდე შეღწევაში დაეხმარა. მე კი მის უკან დახურული კარის გასაღებად შეიძლება ასი წელი მოცდა დამჭირვებოდა და მაინც ვერ გამეგო, როგორ იღებოდა.

ვიდრე ალბერტინი ჩემთან იყო, ერთხანს ხმა აღარ ამოუღია. ისე ვკოცნიდი, როგორც დედაჩემს ვკოცნიდი კომბრეში, რათა ჩემი სევდა გამექარვებინა, და თითქმის უკვე მჯეროდა ალბერტინის უდანაშაულობა, ყოველ შემთხვევაში, მასში ბიწიერის აღმოჩენას აღარ დავბრუნებივარ. მაგრამ ახლა, მარტო რომ დავრჩი, ის სიტყვები

ხელახლა გაისმა და ისე ხმაურობს ყურებში, როგორც მაშინ, როცა ვიღაც ჩვენთან ლაპარაკს შეწყვეტს, ყურში კი ისევ მისი ხმა გვესმის. ახლა მის ბიწიერებაში ეჭვი უკვე აღარ მეპარებოდა. ცისკრის ნათელზე, რის გამოც ირგვლივ ყველაფერი გარდაიქმნება, ახლებურად ვიგრძენი ჩემი ტკივილი, უფრო მწველი რომ გახდა, თითქოს მდგომარეობა შემეცვალოს. ცხოვრებაში ჯერ არ მქონია ასეთი მშვენიერი, მაგრამ ასე მაწამებელი დილა. წარმოვიდგინე თუ არა ბუნების მთელი ის გულგრილობა, რომელიც აგერ-აგერ აფეთქდებოდა და რომელმაც ჯერ კიდევ წინა დღეს მიხმო, მისი ცქერით დავმტკბარიყავი, ავტირდი, თითქოს ამ დროს უცბად რაღაც გიჟური მსხვერპლი შემეწიროს, რომელიც, როგორც მეგონა, იმ გასისხლიანებული შესაწირავის სიმბოლური გამოხატულება იყო, რასაც ამიერიდან ყოველდღე მივიტანდი სამსხვერპლოზე, ცხოვრების ყოველგვარ სიხარულზე უარს ვიტყოდი და სიკვდილამდე სულ მსხვერპლშეწირვაში ვიქნებოდი, რაც იმ ზეიმის სიმბოლოც იქნებოდა, ჩემი მწუხარების ჩემთან დაბრუნების, ჩემი სისხლმდინარე ჭრილობის პატივსაცემად რომ მოეწყოთ; თითქოს დარღვეული წონასწორობის ძალით გამოგდებული მზის ოქროს კვერცხი, რომელსაც კოაგულაციის მომენტში შეიძლება სიმკვრივე შეცვლოდა, ერთ წამში გაარღვევდა ფარდას – ეს იგრძნობოდა – რომლის უკანაც სცენაზე გასვლისა და ზეაფრენის მოლოდინში უკვე თრთოდა, აი, გაარღვია კიდეც და თავისი იდუმალი სქელი მეწამული სხივების ტალღებს შეერია. ამ დროს ჩემი ტირილიც შემომესმა. მოულოდნელად კარი გაიღო, ვიგრძენი, გული როგორ მიცემდა, მომეჩვენა, თითქოს ბებია შემოვიდა, რომელიც უკვე რამდენჯერმე მეწვია და არამხოლოდ სიზმარში. იქნებ, ესეც სიზმარი იყო? მაგრამ ვაი, რომ არ მეძინა. «გგონია, რომ შენს

საყვარელ ბებიას ვგავარ», – ალერსიანად მკითხა დედამ, დედაჩემი იყო და ჩემს დამშვიდებას მოფერებით ცდილობდა, ამავე დროს ბებიასთან თავის მსგავსებას საუცხოო ღიმილით აძლიერებდა, კეკლუცობას მოკლებული მოკრძალებული ღირსების გრძნობასაც რომ გამოხატავდა. მხრებზე ჩამოშლილი თმა, ჭაღარა კულულებს რომ არ უმალავდა, შეშფოთებული თვალების ირგვლივ, გაფითრებული ლოყების ახლო ეხვეოდა, ბებიის საშინაო ტანსაცმელი ემოსა, ახლა ის იცვამდა ხოლმე, ამიტომ ვერ ვიცანი და ვიფიქრე: ხომ არ მძინავს და ბებიაჩემი ხომ არ აღდგა-მეთქი მკვდრეთით? უკვე დიდი ხანია, დედაჩემი უფრო ბებიას მაგონებდა, ვიდრე ჩემს საყვარელ, მხიარულ დედას, როგორსაც ბავშვობაში ვიცნობდი. მაგრამ ახლა ამაზე არ ვფიქრობდი. თუ კითხვით ვართ გატაცებული, ვერ ვამჩნევთ, როგორ გადის დრო, მერე უცბად ვრწმუნდებით, რომ მზე, რომელიც გუშინ ამ დროსაც ასევე ანათებდა, ირგვლივ ასეთივე ჰარმონიულ ფერთა შეხამებას ქმნიდა, იმავე შესაბამისი ტონებით, ჩასვლისთვის ემზადებოდა. შეცდომა დედამ ღიმილით მიმანიშნა, ღიმილით, რადგან სიამოვნებდა, დედამისს რომ ჰგავდა. «მოვედი, რადგან ძილში შემომესმა, ვიღაც ტიროდა, – მითხრა მან. – ამან გამაღვიძა. რატომ არ დაწექი? თვალებიც ცრემლით გაქვს სავსე. რა დაგემართა?» თავზე ხელები შემოვხვიე: «დედა, მეშინია არ იფიქრო, რომ ძალიან მერყევი კაცი ვარ. გუშინ ალბერტინიზე არცთუ თავაზიანად გელაპარაკე; რაც გითხარი, მართალი არ იყო». «მერე ამაში

განსაკუთრებული რა არის?» – მითხრა დედაჩემმა და, ამომავალი მზე რომ შეამჩნია, ნაღვლიანად გაიღიმა, დედა გაახსენდა, სანახაობა რომ არ გამომეტოვებინა, რომელიც არასოდეს მენახა, რაზეც ბებია ძალიან წუხდა, ფანჯარაზე მიმითითა. მე კი ბალბეკის პლაჟს იქით, ზღვის იქით, ამომავალი მზის იქით, დედაჩემმა რომ მაჩვენა, მე, სასოწარკვეთილი, რაც მას, არ შეეძლო, არ შეემჩნია, მონჟუვენის იმ ოთახს ვხედავდი, სადაც ალბერტინი, ვარდისფერი, ცხვირაბზეკილი, დიდ კატასავით მოკუნტული იმ ადგილზე იწვა, ოდესღაც მადმუაზელ ვენტეილის დაქალი რომ იყო

გადაშხლართული და ავხორცული სიცილით ბჟირდებოდა: «მერე რა? გვიყურონ, მით უკეთესი. თუ გგონიათ, გამბედაობა არ მეყოფა, შევაფურთხო მაგ ბებერ მაიმუნს?» ამ სცენას ფანჯრიდან ჩემ წინ გადაშლილ პეიზაჟზე ვხედავდი, რომელიც შავი ვუალივით ისე ეფინა მასზე, როგორც რაღაცის ანარეკლი. თვით სცენა კი თითქმის არარეალური იყო და დახატულს ჰგავდა. ჩვენ პირდაპირ ზღვაზე გადმოკიდებული პარვილის ნაპირის ციცაბო კლდის შვერილით წყლისკენ პატარა ტყე ეშვებოდა, რომლის სიმწვანესაც წყალი ოქროსფრად აირეკლავდა, რაც საღამოს საათებში ხდებოდა, როცა ალბერტინთან ერთად ტყეში ვიჯექი და მხოლოდღა მზის ჩასვლისას ვბრუნდებოდით სახლში. ნაღამური ბურუსის ვარდისფერსა და ცისფერ ნაფლეთებს შორის, ჯერ კიდევ ბოლქვ-ბოლქვად რომ იდო წყალზე, განთიადის სადაფისფერი ნამსხვრევებით მოფენილი მზის ირიბი სხივების ღიმილქვეშ ნავები დასრიალებდნენ, რომელთა იალქნებსა და ბუშპრიტის[230] წვერებს, ზუსტად ისევე, როგორც საღამოობით, როცა ნავები ბრუნდებიან, მზის სხივები ყვითლად ღებავენ: ეს წარმოსახვითი სურათია, გაყინული და ცარიელი, მხოლოდ მზის ჩასვენების გახსენების წყალობით რომ აღმოცენდა და ჩემს წარმოდგენაში მოწყვეტილად, განცალკევებულად დგას და უფრო არამდგრადად გამოიყურება, ვიდრე მონჟუვენის საზარელი სახე, რომლის განადგურების, დამალვის, მიფარების ძალა არ ჰქონდა, რადგან მოგონებებისა და ზმანებების ამაო სახეებით იყო შექმნილი. «რას ამბობ, – მითხრა დედამ, – მასზე ცუდი არაფერი გითქვამს, უბრალოდ, განაცხადე, რომ მოგწყინდა და გადაწყვიტე, მასზე აღარ იქორწინო. ამაში სატირალი რა არის? აბა, დაფიქრდი, დედაშენი დღეს მიემგზავრება და თავისი ლეკვის ასეთ მდგომარეობაში დატოვება მისთვის საშინლად მძიმე იქნება. თანაც დროც აღარ არის, განუგეშო, ჩემო პატარავ, რადგან ბარგი უკვე ჩალაგებული მაქვს; გამგზავრების დღეს კი ადამიანს დრო არასოდეს ჰყოფნის». «არა, საქმე ეს არ არის!» ამ დროს მომავალი ავწონ-დავწონე, ჩემი სურვილიც

მხედველობაში მივიღე და მივხვდი: მადმუაზელ ვენტეილის დაქალისადმი ალბერტინის ასეთი მგზნებარე ლტოლვა, თანაც ასე ხანგრძლივი, არ შეიძლება უმანკო ყოფილიყო; რომ ალბერტინმა ყველაფერი გაიზიარა და, როგორც მისი თავდაჭერის მანერიდან ჩანს, იგი ამ ბიწიერებისადმი მიდრეკილებით დაიბადა, რაც ჩემმა შიშმა წინასწარ რამდენჯერმე ამოიცნო და რაც, ალბათ, არც არასოდეს შეუწყვეტია (ამას, შეიძლება, ახლაც აკეთებდა; იმით ისარგებლა, რომ მასთან არა ვარ), და დედაჩემს გამოვუცხადე, ვიცოდი, ძალიან განაწყენდებოდა, თუმცა ჩემგან

დაფარა, საკუთარი თავი მხოლოდ იმ მოღუშული, შეწუხებული გამომეტყველებით გასცა, სახეზე მაშინ რომ ეხატებოდა, როცა ეშინოდა, რამე არ მწყენოდა, ჩემთვის არ ევნო; გამომეტყველებით, როგორიც პირველად კომბრეში გაუჩნდა, როცა ჩემს საწოლთან მთელი ღამის გატარებაზე დათანხმდა; გამომეტყველებით, რომელმაც ახლა საოცრად დაამსგავსა ბებიას, როცა კონიაკის დალევის უფლება მომცა: «ვიცი, ახლა გული როგორ გეტკინება. იმის მაგივრად, აქ დავრჩე, როგორც შენ გინდოდა, მეც მივემგზავრები. ეს კიდევ არაფერი: აქ ცუდად ვგრძნობ თავს, ჩემთვის უკეთესია, წავიდე. ბოლომდე მომისმინე და მაინცდამაინც დიდად ნუ ინაღვლებ. გუშინ შევცდი და უნებლიეთ შენც შეცდომაში შეგიყვანე. მთელი ღამე ვიფიქრე. ეს აუცილებლად მჭირდება. და, მოდი, ამით დავამთავროთ, რადგან ახლა უკან აღარ დავიხევ; სხვანაირად სიცოცხლე აღარ მიღირს, ალბერტინზე დაქორწინება ჰაერივით მჭირდება».